ჟ. ჯავახიშვილი

ტ. ვილი



ჩიტი III

ნოველები ორცალი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1974

ночь пролетела. Утро. Ветер сорвал с
неба последние звезды. Ветер, который
сорвал последние звезды, ворвался в
комнаты Ирины и Ивана, разбудил...
Ирина открыла глаза. Иван еще спал.
Ирина осторожно выскользнула из-под
одеяла. Ей показалось, что ночь
прошла.

...და მაინც ეს არის გუშინდელი

დღე.

ა. რ ე მ ბ ო

ვაჰ, სოფელო...

მართლაც, რა ზნე სჭირს ამ დალოცვილ წუთისოფელს! წაგკიდებს რაღაც შემთხვევას და, ვინ იცის, საიდან სად გაგიყენებს გზას. იმასაც კი არავინ გკითხავს, შენ თვითონ გინდა თუ არა? ან რატომ უნდა გკითხონ, როცა საჭიროება მოითხოვს ამას!

ის უსაშველო ომი რომ დამთავრდა, ერთი სული მქონდა, შინ დავბრუნებულიყავი, მაგრამ, აგერ, თქვენც ხედავთ, რომ გარემოებამ ისევ უცხოეთისაკენ მიქცია პირი. ამბობენ, ყველა გზა ქვეყნის დასასრულისაკენ მიდისო. შესაძლოა, ეს მართლაც ასეა. აი, მე გული თბილისისაკენ მიმიწევს, მატარებელი კი ბერლინისაკენ მიმაქანებს. ასე თუ გაგრძელდა, ვინ იცის, „სოფლის ბრუნვა“ საიდან სად ამომაყოფინებს თავს. იმასაც ხომ ამბობენ, საკუთარი თავი რომ იპოვნო, ამისთვის მსოფლიო უნდა შემოიაროო. ეგ ვერაფერი ნუგეშია, მაგრამ რას იზამ! მსოფლიოსი რა მოგახსენოთ და, შინ დაბრუნების ნაცვლად ისევ ბერლინისაკენ კი მივემგზავრები. თან ეს ოცდათი ახალბედა მთარგმნელი მიმყვება და ისეთი ჟივილ-ხივილი აქვთ ვაგონში ატეხილი, რომ ყურთასმენა აღარ არის.

ფანჯარასთან ვდგავარ და ბუნების ფეხადგმულ სურათებს გავყურებ. მატარებელი და ველ-მინდვრები თითქოს ერთმანეთს გაურბიან. ირგვლივ ყველაფერი მოძრაობს: ცის გუმბათიცა და დედამიწაც. გეგონებათ, მთელი ქვეყანა ერთი

წერტილის გარშემო ბრუნავსო. ხანდახან დაღლილი ორთქლმავალიც შეჰკივლებს და ისევ ისე გრძელდება ყველაფერი...

სხვა საქმე რომ არაფერი მაქვს, გუნებაში ბორბლების რიტმულ ხმაურს ტიციანის სიტყვებს ვაყოლებ:

მივალ, მივდივარ და მივიმღერი,
თან საქართველოს მიმაქვს ოცნება...

თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა მემღერება, როცა საქართველოც უკან მრჩება და ოცნებაც. მართალია, ფიქრით ისევ იქა ვარ — თბილისში, ოჯახში, ნათესავებთან და მეგობრებთან, მაგრამ სინამდვილეს რომ ვუბრუნდები, ის ფიქრები ორთქლმავლის მილიდან ამოსროლილი კვამლივით მეფანტება. ასეთ დროს კი ლიანდაგზე ბორბლების რახარუხი უფრო ძლიერდება.

— ბერ-ლი-ნი... ბერ-ლი-ნი... ბერ-ლი-ნი... — თითქოს გარკვევით მესმის ამ ხმაურში და ისევ იმ „სოფლის ბრუნვას“ მინდობილი, მორჩილად მივყვები რკინის ორ პარალელურ ხაზს, რომლებიც არსად არ ერთდებიან...

... სულ რამდენიმე თვის წინ მოკავშირეთა არმიები ბრძოლით მიიწევდნენ ბერლინისაკენ, ახლა კი ყველაფერი დამთავრდა. იმ ას ერგასის „წყლით რღუნამაც“ გადაიარა, არესის მრისხანება დაცხრა, მაგრამ საქმეს მაინც რა გამოლევდა იმ გაოხრებულსა და გატიალებულ ქვეყანაში, მით უმეტეს, გერმანული ენის მცოდნეთათვის.

გერმანიაში სახელმწიფო-ადმინისტრაციულ საქმეებს მაშინ ხომ მოკავშირეთა არმიები განაგებდნენ. მოსახლეობასთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად მათ უამრავი მთარგმნელი ესაჭიროებოდათ. ეს უმწიფარი გოგო-ბიჭებიც, ალბათ, ამიტომ გაიწვიეს უცხო ენათა ინსტიტუტებიდან, საჭიროებამ რომ მოიტანა, ყველას წამოუსვეს ხელი და ბერლინის გზას გაუყენეს. რაკი უმრავლესობა გოგოები იყვნენ, მარკოვმა ჩვენს ვაგონს „დედათა მონასტერი“ შეარქვა, იმათ კი „კეთილშობილ ქალწულთა ბატალიონი“.

ახალწვეულები ჯერაც ვერ შეგუებოდნენ სამხედრო ფორმას, განსაკუთრებით გოგოები. იყო ერთი მუნდირების მორგება, სარკეებთან ტრიალი. ხალათი ზოგს დიდი ჰქონდა, ზოგს პატარა, გოგოებს უხეში ქირზის ჩექმების ტარებაც ეხამუშებოდათ, თითქმის არც ერთმა არ იცოდა პილოტურას წესისამებრ მორგება. სამაგიეროდ, ბიჭები გამოიყურებოდნენ ისე ამაყად, გეგონებოდათ, ომგადახდილი გვარდიელები არიანო...

...მე და მარკოვმა მოსკოვიდან გასვლისთანავე დავიწყეთ ამ „კეთილშობილ ქალწულთა ბატალიონის“ ინსპექცია. შევიდოდით თუ არა რომელიმე კუპეში, აღლუმის მიმღები სარდალივით დავიძახებდი:

— გამარჯობათ, გოგოებო! როგორ მოეწყვეთ?

სამხედრო ჩვევებისა მათ ჯერ არა ეცხოთ რა, ძლივს აიზლაზნებოდნენ, გულკეთილად შემოგვცინებდნენ და თავიანთთვის ჩაიბურტყუნებდნენ:

— არა გვიშავს რა!..

— არც ისე ცუდად!..

— ვცხოვრობთ ნელ-ნელა...

— როგორც ჩექმებიან მადონებს შეეფერებათ, — წამოიძახა ერთმა მათგანმა.

— სახელები...

— ლენა! — დაასწრო ყველას ისევ იმ „მადონამ“. მერე სხვებიც მიჰყვნენ:

— მარია!..

— ლუკრეცია!..

— კლავა!..

სხვა კუპეშიც იგივე განმეორდა:

— გამარჯობათ, გოგოებო! როგორ მოეწყვეთ?..

— გმადლობთ, კარგად!..

— როგორც მოგვიხერხდა!..

— რა გვიშავს!..

— სახელები?

— ვერონიკა!..

— დაშა!..

— გალინა!..

— ნინა!

ერთ-ერთ კუპეში რამდენადმე განსხვავებული შეხვედრა მოგვიწყეს, შევაღეთ კარი და, მივესალმე თუ არა, ერთი ხვლიკივით მოქნილი, კუსპარა გოგონა წამოხტა, პილოტურა მოხდენილად მოიგდო თავზე, გასწორდა, სამხედრო სალამი მომცა, მაგრამ ხმამ მაინც უმტყუნა და თრითინასავით დაიწრიპინა:

— გამარჯვებას გისურვებთ, ამხანაგო მაიორო!..

— როგორ მოეწყვეთ?

— ჩინებულად, ამხანაგო მაიორო!

— განწყობილება როგორია?

— როგორიც საჭიროა, ამხანაგო მაიორო!..

ისე გაშეშებული იდგა, იძულებული გავხდი, განკარგულება მიმეცა:

— თავისუფლად!..

ხელი კი ჩამოუშვა, მაგრამ მაინც „სმენაზე დადგა".

თქვენი სახელი? — ვკითხე მას.

იმ კუსპარამ ხელი ისევ მოსხლეტით მიიტანა საფეთქელთან, რაც შეეძლო გაიჭიმა და უფრო თამამად წამოიძახა:

— ადელაიდა, ამხანაგო მაიორო, ისე კი ადას მეძახიან!„..

— აუჰ, ვინ დაგანათლა ასე გრძელი და თანაც გერმანული სახელი?!

— მამამ, ამხანაგო მაიორო! მსახიობი იყო, შილერის „ვერაგობასა და სიყვარულში" თამაშობდა. ეს ფრიცული სახელი მოეწონა და შემარქვა.

აქ სული მოითქვა და უფრო დაბალი ხმით დაუმატა:

— სამწუხაროდ, რა თქმა უნდა!..

— სად არის ახლა მამაშენი?

— დაიღუპა ფაშისტ ინტერვენტებთან ბრძოლაში, ამხანაგო მაიორო!..

— დედა?

— დედაც, ამხანაგო მაიორო, — ჩაილაპარაკა მან გაბზარული ხმით და ცრემლმორეულმა ძლივს წარმოთქვა:

— ქალაქ სმოლენსკზე მტრის თვითმფრინავების თავდასხმის დროს, ამხანაგო მაიორო!..

ვინანე, ასეთი კითხვები რატომ მივეცი-მეთქი, და სიტ-ყვის ბანზე აგდება ვცადე:

— ეს გვარდიული წესები სად გასწავლეს?

— სამხედრო მთარგმნელთა ინსტიტუტში, ამხანაგო მაიორო!..

ამას რომ ამბობდა, ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა სახეზე.

მე ახლაც თვალწინ მიდგას იმ პატარა გოგონას სინათლი-თა და მწუხარებით სავსე თვალები. თან დოსტოევსკის „слезинка" მახსენდება, საძირკველში რომ ერთი წვეთიც მოხვდეს, ტაძარი არ აშენდებაო. ზოგჯერ იმაზეც ვფიქრობ: საერთოდ, რაც იმ ომის დროს ცრემლი დაიღვარა, ყველა ერ-თად რომ შეგროვდეს, ნეტავი ის ას ერგასის დღე ისევ გან-მეორდება?

ცვარი ცვარს ეცა და ზღვად იქცაო, — ამბობენ ჩვენში. იქნებ ეს იყოს ამ კითხვის პასუხი...

... სხვები უკვე ნარებზე ისხდნენ, ადა კი ისევ გაჭიმული იდგა და ტუჩები უცახცახებდა. [illegible] ეს ულიამოვნო გან-წყობილება გამეფანტა და უცებ [illegible]

— ამხანაგო ადელაიდა, თქვენ ამ [illegible]ბილ ქალ-წულთა"... ბოდიში... „მთარგმნელთა ბატალიონის" ზემდეგად უნდა დაგნიშნოთ, რას იტყვით ამაზე?

ცრემლიან სახეზე ბავშვურმა ღიმილმა გადაურბინა, ხე-ლი ისევ საფეთქელთან მიიტანა და, რაც შეეძლო, სხარტად გამოკვეთა:

— მზად ვარ სამშობლოს სამსახურისათვის, ამხანაგო მა-იორო!..

მერე დანარჩენ კუპეებშიც შევედით და გამოვუცხადეთ, რომ ადა იქნებოდა მათი ზემდეგი. ყველა სიამოვნებით შეხვდა ამ ცნობას. სამხედრო წოდებაც მაშინვე მიანიჭეს, თანაც არც მეტი, არც ნაკლები — გენერალი! ადაც რას იზამდა, „ენერ-ლობა" შეიფერა, ხმა ოდნავ დაიბოხა და ვამომეტყველებაც უფრო მკაცრი მიიღო.

მას აქეთ მე და მარკოვი სალამს პირველი ვთავაზობდით, რადგან იგი „გენერალი“ იყო, ჩვენ კი მხოლოდ მაიორები.

ვიცოდი, მთარგმნელთა შორის ბიჭებიც იყვნენ და იმ წრიპანტელა „გენერალს“ ვკითხე:

— ვაჟები სად არიან?

— უკანასკნელ კუპეში შევყარეთ, ამხანაგო მაიორო, საპირფარეშოს გვერდით.

— მერე რატომ, ბიჭებს ჩაგრავთ?

— როგორც უმცირესობას, ამხანაგო მაიორო!..

ბოლოს, „გენერალ“ ადას თანხლებით, იმ „დაჩაგრულ უმცირესობასთანაც“ შევედით. დიდი ვერაფერი ბოღრა ბიჭები იყვნენ, მაგრამ მაინც ძალზე სიმპათიურად გამოიყურებოდნენ.

— როგორ მოეწყვეთ? — მივეცი მათაც სტანდარტული კითხვა.

ძლივს აიზლაზნენ ადგილიდან და პასუხიც დააგვიანეს. ეტყობოდათ, არცთუ ისე კმაყოფილნი იყვნენ. მერე ერთმა, ჩასუქებულმა ვაჟმა გაბედა:

— არა გვიშავს რა, ამხანაგო უფროსო, მაგრამ ხუთნი ვართ ოთხადგილიან კუპეში.

— გეყოფა, ბალზაკ, შენ ყოველთვის ასე წუწუნებ ხოლმე, — დატუქსა ადამ „სახელოვანი მწერალი“, — ხომ იცი, ერთ-ერთი თქვენგანი მორიგე იქნება, საგუშაგოზე კი, წესდების მიხედვით, ძილი ნებადართული არ არის!..

ეს, ალბათ, „ბალზაკმაც“ იცოდა, მაგრამ „გენერალ“ ადას მაინც შეეპასუხა:

— მით უმეტეს! კარგი დასვენება გვჭირდება...

— სულ დასვენებაზე რომ ფიქრობ, იმიტომ ხარ ასე გაბერილი, — დატუქსა ადამ მოწუწუნე „ბალზაკი“.

ეს საქმე ადვილი მოსაგვარებელი იყო. მე და მარკოვი ორნი ვიყავით ოთხადგილიან კუპეში და „ბალზაკს“ წინადადება მივეცით, ჩვენთან გადმოსულიყო, ჯერ იუარა, მერე დაგვეთანხმა, მაგრამ მაინც არ გადმოსულა...

ის ღამე მე და მარკოვმა თეთრად გავათენეთ. რას არ მივედ-მოვედეთ, რა არ ვილაპარაკეთ, ცისაც და ბარისაც, საინტერესოც და უინტერესოც. ისე, ტყუილად, თორემ ამდენი სალაპარაკო რა გვქონდა! მე ძილისაგან თვალები მებლიტებოდა, მაგრამ იმის გაჩერებას მაინც არ დაადგა საშველი. ერთხელ რომ მოხსნა გუდას თავი, აღარ გაათავა...

ამბობენ, ადამიანს ჭირი და ვარამი ალაპარაკებსო. მარკოვს ამის გარდა სხვა უბედურებაც სჭირდა.

— მე ისეთი საზიზღარი ხასიათი მაქვს, — მითხრა მან, — უნდა რამეს ვაკეთებდე, ვლაპარაკობდე ან მეძინოს. სხვაგვარად ყოფნა ან ფიქრი არ შემიძლია. ასეა, ძმაო, ზოგს ტვინის ქავილი აქვს ატეხილი, ზოგსაც — ენის. თუ საქმე არაფერი მაქვს და არ მძინავს, სულ ვლაპარაკობ, რადგან ჩემივე თავთან მარტო დარჩენის მეშინია. ხომ გაგიგონია, არა კეთილ არს ყოფნა კაცისა მარტოო, ძველი რომაელებიც ამბობდნენ, „ვაი მარტომყოფთო“, სხვებსაც ეგონათ, კაცი რომ მარტო დარჩება, ეშმაკიც მაშინ შეუჩნდებაო. მე უბედურს ეშმაკიც არ მეკარება, თორემ სულ ენის წვერით დავკიდებდი ცაზე. ისე კი, ნამდვილი ცოდვის ტრიალია: თვალებს ვხუჭავ და თავს ძალას ვატან, მაგრამ, საქმეში ხარ! ძილი არ მეკარება, არც ფიქრი მომდის თავში. თითქოს ცარიელ სივრცეში ვარ. დრო კი თავისი გზით მიედინება. იცით, ეს რა საშინელია? დროც ხომ სიცარიელეა, რასაც რამეთი ვავსებთ: საქმით, ძილით ან ფიქრით. მაგრამ როცა საქმე არაფერი მაქვს, არც მეძინება და არც ფიქრი მომდის თავში! ასე მგონია, სრულ სიცარიელეში ვარ. ამასაც ისე ვამბობ, ვარ-მეთქი, თორემ ვერცა ვგრძნობ, საერთოდ ვარსებობ თუ არა. ალბათ, სიკვდილიც ასე მოდის: ჯერ ფიქრი წაგერთმევა კაცს, მერე ვონი, საკუთარი არსებობის შეგრძნებასაც კარგავ და გასისკენებ წიაღსა შიგან აბრაამისასა, სადაც არც ერთი გჭირდება და არც მეორე...

... დუნაის პირას მომხდარი აფეთქების შემდეგ არც ჩემთვის იყო უცნობი აზრისა თუ ფიქრების ამგვარი ვიბრაცია სი-

ცარიელეში, მაგრამ იმათ მაინც ვერ დავეთანხმები, რომ ამბობენ, ყველაზე ნეტარ ცხოვრებას ის ატარებს, ვინც არაფერზე ფიქრობსო. მე თუ მკითხავთ, ფიქრის გარეშე ცხოვრება ავადმყოფობაა — ძლიერი ტრავმის ან სულიერი სიღატაკის შედეგი. ადამიანი ის არის, რასაც ფიქრობს. ამიტომაა, რომ ფიქრი ზოგს ხელოვნებად მიაჩნია, ზოგსაც — „უდიდეს ოსტატობად". უფიქრებოდ დრო, მართლაც, ცარიელი სივრცეში დინება იქნება. და ცხოვრება სტიქსის აშმორებულ ჭაობად გადაიქცევა.

როგორც ჩანს, მარკოვიც ამგვარ ჭაობში იტანჯებოდა.

—ეს ჩემი ბრალიაო, — ამბობდა თვითონ, — წლების განმავლობაში ფიქრებს მხოლოდ დაღუპული ცოლ-შვილის ამბები მოჰქონდა, ამას სიგიჟემდე მივყავდი, ვცდილობდი, არაფერზე მეფიქრა, თავს ძალას ვატანდი, ვწვალობდი, ვიტანჯებოდი და საშინელ ფიქრებს ცოფიანი ძაღლებივით ვერეკებოდი თავიდან. ახლა კი არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიცარიელე, თუმცა ღამღამობით მაინც ვხედავ კოშმარულ სიზმრებს.

შემეცოდა ეს გაუბედურებული კაცი და ამიტომაც ვეცადე, როგორმე მხარი ამება მისი ლაპარაკისათვის. მართალი გითხრათ, ჯერ გამიჭირდა, ძალიანაც გამიჭირდა, მაგრამ სხვა გზა რომ არ მქონდა, როგორც შემეძლო, ისე ავუბი მხარი მის ქადაგებას. ბოლოს, ერთი გრძლად დავამთქნარე და განაჩენიც გამოვუტანე:

— ეჰ, გენადი, გენადი, რამდენი ხანია გიცნობ და მაინც ვერ გავიგე, რა კაცი ხარ შენ? კარგი თუ ცუდი?

„უცენზურო სახეზე" რაღაც უცნაური ღიმილი აეხატა და ისე თქვა:

— დიდი ამბავი! ეს შენ კი არა, მეც ვერ გავიგე. რომ მეკითხები, რა კაცი ხარო, აბა, რა ვიცი, რა კაცი ვარ! რაც უფროსებს უნდათ, ისა ვარ, სხვა რა უნდა ვიყო?! ცხოვრებაში მთავარი ის არის, თუ როგორ ხაზს მოგცემენ უფროსები. ჩემის მხრივ, რაც თავი მახსოვს, სულ სხვის მიერ ნაჩვენებ ხაზს მივყვები. ბავშვობიდან დღემდე საკუთარი სურვილით არაფერი მიკეთებია. ჯერ იყო და, მშობლების ხაზს მივყვებოდი, მერე მასწავლებლებისას, ახლა კი უფროსებისას. საერთოდ ასეა,

ჩემო ძმაო, რა ხაზსაც მოგცემენ,, იმას უნდა გაჰყვე· თუ კარგს გაჰყვები, შენც კარგი იქნები, არადა — ცუდი...

* * *

...ამ „ხაზის მიცემას“ მარკოვისათვის რაღაც ფატალური მნიშვნელობა ჰქონდა. ვერც წარმოედგინა, რომ შეიძლება ზოგჯერ მოცემულ „ხაზს“ გადაუხვიო და საკუთარ გულისხმას მიჰყვე. კაცმა რომ თქვას, არც სურვილი ჰქონდა ამისი. რატომ-მეთქი, რომ ვკითხე, ხელი ჩაიქნია და ისე მიპასუხა,— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ, ხლაფორთის თავის სადა მაქვსო. ამაზე მეც შევეპასუხე:

— ეჰ გენადი, სისულელეს კი ამობობ, მაგრამ მაინც კარგი კაცი ხარ...

— სისულელეა თუ არა, შენ რა იცი, — გაიბუტა იგი. მერე მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა:

— არ მინდა გაწყენინო, თორემ კი გეტყოდი მაგის პასუხს.

— მაინც რას? თქვი, არ მეწყინება...

— რას და... — ისევ შეყოყმანდა მარკოვი.

— მიდი, მიდი, ნუ გეშინია, ხომ გეუბნები, არ მეწყინებამეთქი!

მარკოვმა თავისი „უცენზურო სახე“ ზედ ყურთან მომიტანა და წამჩურჩულა:

— ჩვენებური ანდაზაა, სულელს ისე არაფერი უკვირს, როგორც სხვისი სისულელეო.

— მეც გამიგონია, რომ უთქვამთ: სულელი სულ ლაპარაკობს, ჭკვიანი კი ფიქრობსო.

— ეჰ, სულიკო, ქვეყნად რომ სულელები არ იყვნენ, მაშინ ნახავდით, ჭკვიანებს რა დღეც დაადგებოდათ!..

ამის თქმაზე ისეთი ხარხარი აუტყდა, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ვკითხე კიდეც, რა გაცინებს-მეთქი. ხარხარი არ შეუწყვეტია, ისე მიპასუხა: ძალიან ბედნიერი უნდა იყო კაცი, რომ ასეთ რამეზე სიცილი არ აგიტყდესო.

მართალი გითხრათ, ვერც გავიგე ეს „ბედნიერება“ რა შუაში იყო, ვიდრე თვითონ არ „განმიმარტა:“

— ჭირი ვისაც უნახავს, წამალიც იმას უნდა ჰკითხო, ჩემო ძმაო, თორემ შენ რა, მართლაც ბედნიერი კაცი ხარ, ამ წყეულ ომში არც ცოლ-შვილი დაგიკარგავს და არც ნათესავები. ამიტომაც ლაპარაკობ ასე დალაგებულად. მე კი, ,ხომ ხედავ, ძირფესვიანად ვარ ამოწყვეტილი და გიკვირს, ტვინი რომ გადაბრუნებული მქონდეს:..

ეს რომ თქვა, მე თითქოს ჩემი ბედნიერებისა შემრცხვა, უხერხულად შევიშმუშნე. თან მინდოდა, როგორმე მენუგეშებინა ეს გაუბედურებული კაცი, — „ჭირსა შიგან გამაგრეება...“ მეთქი, მაგრამ რუსულად არ მომაგონდა და გავჩუმდი. ან რა აზრი ჰქონდა ამის თქმას, როცა არც თვითონ სდებდა თავს „ქვითკირობაზე“. ასე ამბობდა, მე გათავებული კაცი ვარ და თუ რამეს ვაკეთებ, ჩვეულება ან ისტერია მამოქმედებს. ზოგჯერ მინდა ყველაფერი დავივიწყო, ცხოვრების დინებას მივყვე, კიდეც ვიცინო, კიდეც ვიტირო; ხანდახან არაყსაც მივეძალო, მაგრამ რომ მომაგონდება ჩემი პატარა შვილი, ლენინგრადში, შიმშილით სიკვდილის წინ დედას რომ ეუბნებოდა, თურმე, მალე მამიკო მოვა და დიდ, დიდ პურს მომიტანსო... გულ-ღვიძლი გადამიტრიალდება და ისევ წყალაღმა ვიწყებ ცურვას...

ალბათ, ასეც იყო, თორემ მის მდგომარეობაში მყოფ კაცს ამგვარი ლაგამწაყრილი სიცილი როგორ დასჩემდებოდა. თუმცა ვერც ამისას გაიგებ რამეს. როგორც ჩანს, ცხოვრება

ასე უცნაურადაც ფანტავს მწუხარების აჩრდილებს. ის კი არა, ამბობენ, დიდი მწუხარება ზოგჯერ სიცილის ქარიშხალსაც იწვევსო. ასე რომ არ ყოფილიყო, ენი-კალეში უკვე საფეთქელთან რევოლვერმიდებულ მაიორს ის საოცარი სიცილი როგორ აუტყდებოდა!

ამ ამბის გახსენებაზე ტანში ისევ ცივად გამცრა. ეს დუმილიც აუტანელი გახდა ჩემთვის და რატომღაც ვთქვი:

— ეჰ, ჩემო გენადი, განა მარტო შენ ხარ ასეთ მდგომარეობაში! რას იზამ, ალბათ, ასე გიწერია ბედისწერის წიგნში.

— ბედისწერის წიგნი არა, მაგისი... — შეუკურთხა ვიღაცას უმისამართოდ და კედლისკენ შებრუნდა. თან ძლივს გასაგონად ჩაიბურტყუნა:

— რის ბედისწერის წიგნი, რა ბედისწერის წიგნი! სულ იმ შობელძაღლი გერმანელების ბრალია ყველაფერი...

— გერმანებელის კი არა, ჰიტლერელების, — ვითომ გაუსწორე მე.

თავი ისევ ჩემსკენ მოაბრუნა. შევხედე: ბრაზისაგან სახეზე ძარღვები გალურჯებოდა, ტუჩებზეც რაღაც გესლნარევი ღიმილი უთამაშებდა, რომ მითხრა:

— მე კი დამღუპეს და ახლა მიდი შენ და არჩიე მათში, რომელი შაშვია და რომელი შრომანი.

ამის გარჩევა მაშინ მართლაც არ იყო ადვილი, ამიტომ არც არაფერი მითქვამს, ისე გავგორდი ნარზე.

გენადი კიდევ კარგახანს ოხრავდა. ზოგჯერ კბილებსაც ისე აკრაჭუნებდა, რომ ტანში მაზრიალებდა, მაგრამ ვითმენდი. არ მინდოდა, რამეზე მეფიქრა, თვალებიც დავხუჭე ძილის დამოსაწვევად, მაგრამ ამაოდ.

ამასობაში კი გენადიმ ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ მატარებლის ბორბლებსაც კი ჩაუწყვიტა ხმა...

მე კიდევ ერთხანს ვიწრიალე ნარზე. ძილი გამიტყდა. ვერც ფიქრებს მოვუყარე თავი. თითქოს ყველაფერი დაირღვა და დაიშალა. მერე გულმა ისევ შინისაკენ გამიწია. მომენატრა ჩემი თბილისი, უნივერსიტეტი, ოჯახი, ნაცნობ-მეგობრები. კარგად უთქვამთ, ოჯახი გულის სამშობლოაო; ფიქრებით მეც სამშობლოსაკენ მივიჩქარი, მაგრამ ამას რა ძალა ჰქონდა, როცა მატარებელი ისევ ისე ჯიუტად მიყვებოდა თავის „ხაზს“ ბერლინისაკენ...

ბოლოს, როგორც იქნა, ძილმა მეც ჩამითრია, არ ვიცი, დიდი ხნით თუ არა. უცბად ყვირილმა გამომაღვიძა. ინსტინქტურად წამოვხტი, მაგრამ აზრი ვერ მივატანე, რა მოხდა. ფარდა გადავწიე. ფანჯარას დილის რიჟრაჟი მოდგომოდა, კუპეში კი ჯერაც ბნელოდა. გაცეცხლებული მარკოვი ნარზე იჯდა და იმ სიბნელეში ვიღაცას რჯულს უხსენებდა:

— ვინ ოხერი ხარ, ასე დილაადრიან რომ გვაღვიძებ? შეიშალე თუ რა?! — გავიგონე მისი ღრიალი.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა, მერე კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა. მარკოვი სულ გაცოფდა:

— უჰ, მე შენი! — წამოიძახა და ფეხზე წამოხტა... — გავალ ახლა და, ვინც არ უნდა იყოს, გავხეთქავ ცემით...

— დაიცა, მე გავალ და ვნახავ, ვინ არის. შენ დაწექი და ნუ ყვირი, თორემ ხალხს გადარევ...

მარკოვი ისევ გაგორდა ნარზე. მე კარი გამოვაღე და ბინდბუნდში ძლივს გავარჩიე იქვე მდგარი ადა. დამინახა თუ არა, გვარდიელი ოფიცერივით გაიჭიმა და ხმის ამოღება არ მაცალა, ისე სხაპასხუპით მომახსენა:

— ამხანაგო მაიორო, მთარგმნელთა ბატალიონი, „დედათა მონასტერი“, გარდა ლენა ვორონკოვასი, გაწყობილია დილის ამოკითხვაზე, ვორონკოვა, აქაოდა ასპირანტი ვარო, არ დაემორჩილა ჩემს ბრძანებას! მოგახსენებთ გენერალი... უჰ... ზემდეგი ადელაიდა შუმილოვა...

თურმე, ნუ იტყვით, ადას ძაღლუთენია წამოუყრია თავი-

სი „ბატალიონი“ და ე. წ. „დილის ამოკითხვაზე“ გაუმწკრივებია დერეფანში...

გამეცინა, მაგრამ მაინც ვუსაყვედურე:

— ასე ადრე რომ წამოშლილხართ, ხის ტოტზე ხომ არ გეძინათ ბეღურებივით ან ეს „აღლუმი“ რა საჭიროა მატარებელში?!

— ასეთი წესი იყო სამხედრო მთარგმნელთა სასწავლებელში, ამხანაგო მაიორო, — ჩაილაპარაკა ოდნავ დაბნეულმა ადამ.

რა უნდა მექნა! რაკი „გენერალი“ ადა ასე გულმოდგინედ იცავდა სამხედრო წესებს, მეც გავყევი „კეთილშობილ ქალწულთა აღლუმის“ მისაღებად. ცხადია, არც იმათ სიამოვნებდათ, გარიჟრაჟამდე რომ წამოყარეს საწოლიდან, მაგრამ რა უნდა ექნათ, თუკი „გენერალს“ ამგვარი წესი ჰქონდა შემოღებული!

— აბა, გოგოებო, სმენა! — დასჭყივლა ადამ და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა:

— სხვათა შორის, ბიჭებსაც ეხება!

ზოგი მართლაც გასწორდა, მაგრამ „იდეალური მწყობრი“ მაინც არ გამოვიდა.

უჰ, თქვენი, გასწორდით-მეთქი! — გაბრაზდა ადა.

არც ამ ბრძანებამ გაჭრა:

— სწორება მარცხნივ!

თავი ზოგმა მარცხნივ მოაბრუნა, ზოგმა მარჯვნივ. მერე, როგორც იქნა, ყველამ მარცხნივ მოიხედა და ადა „ცერემონიული ნაბიჯებით“ წამოვიდა ჩემსკენ. ეს ისე სასაცილო იყო, რომ თავს ძლივს ვიკავებდი, მაგრამ მეც ადასავით გავიჭიმე და სამხედრო სალამი მივეცი.

— ამხანაგო მაიორო,— მომახსენა მან, — ბატალიონი „დედათა მონასტერი“ ოცდახუთი დედაკაცისა და ხუთი მამაკაცის შემადგენლობით, სახეზეა!..

რაკი საქმე საქმეზე მიდგა, აღარც მე ვაწყენინე და სამხედრო წესის მიხედვით მივესალმე:

— გამარჯობათ, ამხანაგებო!

როგორც ჩანს, გოგოებმა გადაწყვიტეს, ადასათვის „აერი-

ათ“ ასე დილაადრიან გაღვიძების გამო და, ეშმაკმა უწყის, ვინ რა დაიძახა:

— გაგიმარჯოთ!

— სალამი!

— დილა მშვიდობისა!

— გუტენ მორგენ!

— ბონ ჟურ!

ზოგმა სულ სხვა რაღაც წამოიძახა და ისეთი დომხალი გამოვიდა, რომ სასოწარკვეთილმა ადამ შუბლზე იტკიცა ხელი. უნდოდა, ისევ დაეტუქსა „კეთილშობილი ქალწულნი“, მაგრამ შეეაჩერე:

— არა უშავს, დასაწყისისათვის ესეც კარგია, შეუდექით ამოკითხვას!

ადამ მაინც მუშტი მოუქნია თავის ბატალიონს და ტუჩებიც ისე გააცმაცუნა, ეტყობოდა, გუნებაში რაღაც „მამაკაცური“ გაიფიქრა...

...ამოკითხვა უფრო არეულ-დარეულად ჩატარდა. ადა გვარებით კი არა, სახელებით იძახებდა ამხანაგებს. ისინიც რაც შეეძლოთ, ურევდნენ თავიანთ „გენერალს“ — გოგოებიცა და ბიჭებიც.

— მარია!

— ვარ!

— ლიდია!

— გახლავართ, ძვირფასო!

— პოლინა!

— აგერ ვარ და მძინავს!

— სუზანა!

— ვერა მხედავ? — გააბრტყელა სათვალიანმა გოგონამ და თან კოპწია რევერანსის გაკეთებაც არ დაიზარა.

ადა გაბრაზდა:

— დიდ ვინმეს კი ვხედავ, აი!.. მარინა!

— რომელი მარინა?

— ცხვირპაჭუა!

— ცხვირპაჭუაცა ხარ და ჩერჩეტიც, შე უდღეურო, შენა! — შეუბღვირა მარინამ.

ჯერი ბიჭებზე მიდგა.

— ვიქტორ ბრუციანი!

— ვარ!

— პატი!

— აქ ვარ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— პატაშონი!

— წარმოიდგინეთ, რომ მეც აქ გახლავართ!

— ბალზაკ!

„სახელოვანმა მწერალმა“, როგორც იქნა, მთქნარება ჩაათავა და ძლივს ამოღერღა:

— რა გაყვირებს, ხომ ხედავ, რომ აქა ვარ!

— რას გევხარ, შე ჩანჩურა, გაისწორე ხალათი!

— ეს შენი საქმე არ არის!

ადას ბრაზი მოერია.

— ინიშნები რიგგარეშე მორიგედ!

— მორიგე კი არა, ადიუტანტი არ გინდა? — გამოაჯავრა „ბალზაკმა“.

ადას ზაფრანის ფერი დაედო:

— თუ ბრძანებას არ შეასრულებ, ჭურჭლების რეცხვაც შენ მოგიწევს დღეს!

გამახსენდა, საზენიტო არტილერიის სამხედრო სკოლაში ლეიტენანტი ჩმუროვი ჭურჭლების რეცხვით რომ გვსჯიდა და ჭინდოდა, „ბალზაკს“ გამოვსარჩლებოდი, მაგრამ „გენერალ“ ადას პრესტიჟის შელახვას მოვერიდე. ადამ კი ამასობაში ამოკითხვა დაამთავრა და ბრძანა:

— თავისუფლად!

ბიჭებმა დემონსტრაციულად დაამთქნარეს და ისეთი ზმუილი ატეხეს, რომ გოგოებს სიცილი წასკდათ. ადასაც გაეცინა, მაგრამ არ დაიბნა და გამოაცხადა:

— დოყლაპიებს შეუძლიათ ისევ დაწვნენ და იძინონ გაკდომამდე...

გოგოებმა მაშინვე თავ-თავიანთ კუპეებს მიაშურეს.

„გენერალი“ ადა ჩემთან დარჩა.

— ლენა ვორონკოვა რითი დავსაჯოთ, ამხანაგო მაიორო? — მომმართა მან.

მე აღარც მახსოვდა, რომელი იყო ლენა ვორონკოვა, ამიტომაც ვკითხე:

— ლენა რომელია?

— აი, ყველაზე ლამაზი რომ არის, ასპირანტი, — ვითომ განმიმარტა ადამ.

— არ ვიცი, რაკი ასპირანტია, ამჯერად ვაპატიოთ, მერე კი ვნახოთ.

— არის, ვაპატიოთ! — წამოიძახა ადამ. ჯარისკაცურად შეტრიალდა და თავის კუპეში შევიდა...

... ბიჭები რატომღაც დერეფანში დარჩნენ. გაცხარებით ლაპარაკობდნენ და თან „ბალზაკს“ აქეზებდნენ: „მიდი, მიდი, უთხარიო“. შევატყვე, რაღაცის თქმას აპირებდნენ, მაგრამ ვერ მიბედავდნენ. მაშინ თავად მივედი მათთან და ვკითხე:

— რა გაწუხებთ, ბიჭებო?..

ჯერ გაჩუმდნენ, მერე წინ „ბალზაკი“ გამოვიდა, ამოჩაჩული ხალათი გაისწორა და, ადა-გენერალივით, სამხედრო ყაიდაზე წამოიწყო:

— ნება მომეცით, მოგმართოთ, ამხანაგო უფროსო!

— ბრძანეთ!

ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, მერე კოტიტა ხელი საფეთქელთან მიიტანა, შვეიკივით გაიჭიმა და სულმოუთქმელად ჩაარაკრაკა:

— ბიჭებს არ გვინდა, ის მეტიჩარა ადა იყოს ჩვენი გენერალი, ამხანაგო უფროსო!..

ეს რომ თქვა, თითქოს მძიმე ტვირთი მოიშორაო, ღრმად ამოისუნთქა.

— რატომ? რა მიზეზია?!

„ბალზაკს“ ისევ შეუგუბდა სუნთქვა, მაგრამ მოახერხა ეთქვა:

— სირცხვილია, მამაკაცების მეთაური დედაკაცი იყოს, რას იტყვის ხალხი?

— რა ხალხი! განა ამას რადიოთი გამოაცხადებენ...

— ადა რადიოზე უარესია, ამხანაგო უფროსო! მთელ ქვეყანას მოსდებს, მე ვიყავი მაგათი გენერალიო, — წამოეშველა „ბალზაკს“ თავგიდელა პატაშონი.

— აბა, ვინ გინდათ მეთაურად? — ვკითხე მე.

— ბალზაკი! — წამოიძახეს ერთხმად, მათ შორის თვითონ „ბალზაკმაც“.

ეტყობოდა, წინასწარ იყვნენ შეთანხმებული და ამიტომაც ასე ერთ პირზე იდგა ყველა.

— განა მეტი სირცხვილი არ იქნება, „დედათა მონასტრის“ იღუმენი მამაკაცი იყოს?

— მე მაგათ ვუჩვენებ სირცხვილს, — ჩამომართვა სიტყვა „ბალზაკმა“. თან იმის დასამტკიცებლად, ვითომ მეც მაქვს საშხედრო წრთობაო, ისე სასაცილოდ გაიჭიმა, რომ მართლაც შვეიკს დაემსგავსა...

მე მთელ ბატალიონს შევატყობინე ბიჭების პროტესტის ამბავი. ადას სულ ცეცხლი წაეკიდა. სხვებიც გაბრაზდნენ და, რა თქმა უნდა, თავიანთი სქესის „გენერალს“ დაუჭირეს მხარი.

საქმე იმით დამთავრდა, რომ იმ დღეს მორიგეობამაც „ბალზაკს“ მოუწია და ჭურჭლის რეცხვამაც.

საკუთარი მზე...

ბრესტამდე დრო ისე გაგვეპარა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. აქ კი, ამ სასაზღვრო სადგურში, მატარებელი დიდხანს გაჩერდა. რაღაც ფორმალობის დაცვა იყო საჭირო. თან ჩვენი ვაგონების ღერძები უნდა დაევიწროებინათ, რადგან პოლონეთისა და შემდეგ გერმანიის ტერიტორიაზეც ლიანდაგები უფრო მცირე სიგანისა იყო, ვიდრე ჩვენთან. საერთოდ, ამის მოგვარებას, როგორც ჩანს, ისეთი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მოკავშირეთა მთავრობების უმაღლეს დონეზე შეთანხმებაც კი გახდა საჭირო. საკითხი რუზველტმა დასვა ყირიმის კონფერენციაზე.

— საბჭოთა კავშირი იძულებულია, პოლონეთში ზოგან

გააფართოვოს რკინიგზის ლიანდაგები, რასაც არცთუ ისე დიდი ხალისით ვაკეთებთო, — უპასუხა სტალინმა.

ვიდრე ეს მოხერხდებოდა, როგორღაც საბჭოთა კავშირის მატარებლების ღერძებს ავიწროვებდნენ საამისოდ, ყველაფერი წინასწარ იყო მომზადებული და მთელი ეს სამუშაო რამდენიმე საათში სრულდებოდა. ამის გამო ბრესტში კარგა ხანი გავჩერდით. რაკი დრო გვქონდა, „მუხლის გასამართავად“ ყველანი გადმოვედით ვაგონიდან. ზოგმა იქვე ბაქანზე დაიწყო სეირნობა, სხვები დანგრეულ სადგურს ათვალიერებდნენ.

ჩვენი „ქალთა ბატალიონი“ ყველას ყურადღებას იქცევდა. სხვა ვაგონებიდან მეკავშირე ქალიშვილებიც გადმოვიდნენ და ჩვენებს გამოეცნაურნენ. ახალწვეულები შურით შეჰყურებდნენ, თუ რა მოხდენილად ეცვათ მათ სამხედრო ფორმები, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდნენ, „სულერთია, ჩვენი ლენა ყველას სჯობიაო“. ლენა მართლაც ღირსეულად იცავდა „დედათა მონასტრის“ პრესტიჟს. იგი ჯეირანივით დადიოდა ბაქანზე. იქვე მოსეირნე ოფიცრები თვალს ვერ აშორებდნენ საოცარი სილამაზის „ჩექმებიან მადონას“. ლენაც გრძნობდა ამას და გედივით ყელმოღერებული „დაცურავდა“ პირდაღებულ ცნობისმოყვარეთა თვალწინ. ისეთი ჩამოქანდაკებული ტან-ფეხი ჰქონდა, რომ ჯარისკაცური ფორმა და ჩექმებიც ვერ ფარავდა მის სინატიფეს.

— ასეთი სილამაზე სახიფათოა კაცისთვის, — გადმომკრა მარკოვმა ისე, რომ ლენასთვის თვალი არ მოუშორებია.

— რატომაა სახიფათო? — შევეკითხე მე.

— რა ვიცი, შეიძლება თავს ვერ მოერიო კაცი და რამე ფათერაკს გადაეკიდო, — თქვა და თვალი ისევ ლენასკენ გააპარა...

... ბრესტიდან რომ გავედით, მატარებელი უკვე პოლონეთის ტერიტორიაზე მიქროდა. გოგოები ფანჯრებს მისცვივდნენ და კისერწაწვდილები უყურებდნენ პირველ „საზღვარგარეთულ პეიზაჟს“. ეგონათ, აქ ყველაფერი მართლაც უცხოური იქნებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. აქაც ის იყო, რასაც ჩვენში ხედავდნენ: ისეთივე ცა, ველ-მინდვრები, ფერდობები.

ხეები, ბუჩქები თუ ლიანდაგის გასწვრივ ჩამწკრივებული ტელეგრაფის ბოძები. მართალია, ყველა ეროვნებას, თავისი ქვეყნის ცა რაღაც განსაკუთრებულად წარმოიდგინოს, მაგრამ, როგორც ჩანს, მთელ ჩვენს პლანეტას ერთნაირი ცა ჰხურავს, შესაძლოა, ზოგან უფრო ლურჯი, ზოგან — ლაჟვარდოვანი, მაგრამ მაინც ერთნაირად ღრუბლიანი ან უღრუბლო. წარმოიდგინეთ, რომ მზეც საერთოა ყველასათვის. გერმანელები კი ამბობენ, „გერმანული ცა“ და „გერმანული მზეო“, ჩვენც, „ჩემმა მზემო“, ვიფიცავთ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, საკუთარი მზე ჯერ კაციშვილს არ მოსწრებია...

... რაკი ახალი და უჩვეულო ვერაფერი ნახეს, გოგონებმა ჩქარა მოიწყინეს და ნელ-ნელა მოშორდნენ ფანჯრებს. ეს მოქუფრული ცაც ხალისს უკარგავდა თვალს. ამიტომ ისევ თავიანთ კუპეებში ჩაიკეტნენ და ვის როგორც ეხალისებოდა, ისე კლავდა დროს.

მე და მარკოვმაც მივბაძეთ მათ მაგალითს.

კუპეში რომ შევედით, მარკოვს ვკითხე, კარგი, ვთქვათ, ფიქრი და ოცნება არ შეგიძლია, სიზმრებს მაინც თუ ხედავ-მეთქი.

ხელი უნუგეშოდ ჩაიქნია:

— მე არც სიზმრებში მაქვს ბედი, ჩემო ძმაო! რა უბედურებაც ცხადში მჭირს, სიზმარშიც იმას ვხედავ, უარესსაც. ზოგჯერ ისეთი კოშმარები მაქვს, ტვინი მემღვრევა ხოლმე. დასწყევლოს ღმერთმა, ზოგი ძილშიც ბედნიერია. წამოწვება სადმე თოვლ-ჭყაპიან ამინდში, ხის ძირას ან ტალახიან სანგარში, და ასე სახევაბრწყინებული მიეცემა მშვიდ ძილს, გეგონება, ვასილისა მშვენიერთან წევს ბუმბულის საწოლშიო. სასიამოვნო სიზმრებს ხედავს, ჩემო ძმაო, და იმიტომ, თორემ მე, რომ უყურებ, ძილშიაც ვიტანჯები, ვიგრიხები, ვყვირი ან ვიგინები. ზოგჯერ, თავი რომ მომბეზრდება, ვინატრებ, კარგ სიზმარს მაინც ვნახავდე-მეთქი, მაგრამ გაგიგონია! კარგი კი არა, რაღაც მაჯლაჯუნა გამომიდგება, გავრბივარ, მაგრამ ნაბიჯსაც ვერ ვიცვლი, ვყვირი, მაგრამ ხმასაც ვერ ვიღებ. ის მაჯლაჯუნა კი უზარმაზარ ხახას აღებს და უნდა გადამყლაპოს, რომ... ოფლში

გალვარულს მელვიძება. შენ კი რა, ჩემო ძმაო, ამას წინათ დაგ-ხედე და ძილშიაც იღიმებოდი...

მე ვითომ გავეხუმრე:

— ეს ინიტომ, გენაცვალე, რომ ძილის დროს ჩემი სული სამოთხეში მიდის სამოგზაუროდ, შენი კი ჯოჯოხეთში...

— მერე, რა ოხრობას ხედავ ასეთს იმ შენს სამოთხეში, სანე რომ სულ გაბადრული გაქვს, — ამყვა ისიც.

— ანგელოზებს, ძმაო, ანგელოზებს: ფრთიანებს და უფ-რთოებს. მათ შორის შენს ლენასაც...

მარკოვს გაეცინა:

— შენ რა გგონია, ლენა წუხელ მეც ვნახე სიზმარში, მაგ-რამ რა გინდა, რა! რომ მეგონა, მეშვიდე ცას მივაღწიე-მეთქი, სწორედ მაშინ გამომეღვიძა და... კბილი ისე საშინლად მტკი-ოდა, რომ ლენა კი არა, თავიც დამავიწყდა.

— ღმერთი გსჯის და იმიტომ, — ისევ ვცადე გახუმრება.

მარკოვმა ჯერ კუთხეში მიდგმულ ურნაში გადააფურთხა და მერე სახედაღრეჯილმა თქვა:

— ღმერთს რა საქმე აქვს ჩემთან?

— გულმოსულია, გერმანელები რომ ასე გძულს. ისინი კი კარგი სიზმრების ოსტატები არიან. ამბობენ კიდეც, გერმა-ნელებმა ისეთი კარგი სიზმრები ვიცით, რომ ჩვენი მეზობლე-ბის ცხადშიც არ გავცვლითო.

— ეჰ, ძმაო, ცხადში ვიყო ბედნიერი, თორემ სიზმრებს სულაც იმ ძაღლიშვილებს დავუთმობდი. აბა, შენ კი ვერ იზამ ამას, რადგან სიზმარშიაც ანგელოზები გწყალობენ და ცხად-შიც...

... მარკოვი არ იყო მართალი: სიზმრის დაბეზღება არ მი-ყვარს, თორემ კოშმარები განა მე არ მაწუხებდა. ომის დღეებ-ში კი არა, შემდეგაც — სიზმარი და ცხადი ისე მერეოდა ერთ-მანეთში, რომ ვერც ვარჩევდი, როდის რა ხდებოდა. დღის მძი-მე შთაბეჭდილებები ღამითაც მაწვალებდა. თვალს დავხუჭავდი თუ არა, ისევ ომი, ყუმბარების სეტყვა, არტილერიის ცეცხლი ან სხვა რაძ უბედურება მელანდებოდა. ერთხელ სახლი, სადაც მეძინა, და გარშემო კვარტალიც, სულ ნანგრევებად აქცია

მტრის ავიაციამ. დილით, თვალი რომ გავახილე, კაპიტან გეიბერს ვეუბნები, რა საზიზღარი სიზმარი ვნახე-მეთქი და მოვუყევი ყველაფერი. სიცილი აუტყდა, შე სულელო, სიზმარი კი არა, გამოდი გარეთ და ნახე, რა ამბავიაო. იქაურობა, მართლაც, სულ მილეწილ-მოლეწილი იყო. ჩვენს სახლსაც ცალი ფლიგელი ჰქონდა ჩამოხგრეული. მე კი ეს სიზმარი მეგონა...

ომი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ იმ დღესაც რაღაც ამის მსგავსი მოხდა. საშინელი სიზმარი ვნახე, თუმცა კარგად ვერც გამოვიტანე აზრი, სად ვიყავი, მგონი, ჩემიანებთან. ვერც ის გავარჩიე, ჭექა-ქუხილი იყო თუ მტრის თვითმფრინავები ბომბავდნენ თბილისს. მე მხოლოდ გაელვების დროს ვხედავდი ჩვენიანების შეშინებულ სახეებს. მერე სადღაც მეხი თუ ყუმბარა დაეცა და... თვალი გავახილე. მარკოვს ისევ ეძინა და კვნესოდა. მინდოდა გამეღვიძებინა, მაგრამ თავი გავანებე. ვიცოდი, ყვირილს დაიწყებდა, რა ჯანდაბა გინდაო. მე კი ვეტყოდი, არაფერი, ისე უბრალოდ, უსიამოვნო სიზმარი შეგაწყვეტინე-მეთქი, მაგრამ მადლობის მაგივრად რამე უცენზურო სიტყვას ისროდა უმისამართოდ და ისევ დაიძინებდა. თვითონ მარკოვის ნათქვამიც მომაგონდა, ნაგიჟარს სიგიჟეს ნუ მოაგონებ, თორემ ისევ გაგიჟდებაო, და ფრთხილად გამოვიხურე კარი...

უმიზეზო სევდა...

დერეფანში ისე ჩამობნელებულიყო, რომ დღისითაც სინათლე აენთოთ. გარეთ კი საშინელი დელგმა-ავდარი იდგა, ცა მიწას ეწეოდა. ვაგონის სახურავზე წვიმის მსხვილ წვეთებს ჩხრიალი გაჰქონდა. ფანჯრებსაც თქეში ასხამდა. იქვე ახლოადა იდგა, სხვა არავინ. შევხედე... ტიროდა. რომ მივუახლოვდი, ცრემლით სავსე თვალები შემომანათა და ტირილს უმატა. მერე დარცხვენილმა ზურგი შემაქცია, მაგრამ მხრებზე ხელი მოვკიდე და შემოვაბრუნე. ტირილი მაინც არ შეუწყვეტია.

— რა იყო, ჭექა-ქუხილის ხომ არ შეგეშინდა?

— არა, — მითხრა მან სლუკუნით და სახეზე ცხვირსახოცი

აიფარა. ვიფიქრე, იქნებ გულმოსულმა ბიჭებმა მიაყენეს შეურაცხყოფა-მეთქი და ვკითხე:

— გაწყენინა ვინმემ?

უარის ნიშნად თავი გააქნია...

— აბა, რა მოგივიდა, რა გატირებს?

— არაფერი, მეტირება და იმიტომ ვტირი.

— შენ ხომ მეთაური ხარ, გენერალი, ტირილი როგორ შეიძლება. თანაც, უფროსი რომ გეკითხება, სიმართლე უნდა უთხრა.

— გენერალი კი არა! განა არ ვიცი, რომ ყველაფერი ეს ხუმრობაა!..

— რატომაა ხუმრობა?! — გავიკვირე მე, თითქოს ასე არ ყოფილიყოს.

— ხუმრობაა, აბა რა! თქვენ მე შეგეცოდეთ და იმიტომ დამნიშნეთ გენერლად, თორემ...

— შეცოდება რა სათქმელია, შე სულელო...

— ვიცი, მე ყველას ვეცოდები, ასეთი გაუბედურებული რომ ვარ, იმიტომ. მე კი სულაც არ მინდა, სხვებს ვეცოდებოდე.

დავიბენი. არც ვიცოდი, რა მეთქვა და ისევ ადამ განაგრძო:

— იმ პრანჭია ლენას მეტს ყველას ვეცოდები, ბიჭებსაც კი.

— შენ რა იცი?

— ბალზაკმა მითხრა, შენ რომ ასეთი უბედური არ იყო და არ მეცოდებოდე, ამ ჭურჭელს დავრეცხავდი კი არა, სულ თავზე დაგამტვრევდიო.

ადამ ისევ უმატა ტირილს. ვცადე დამეწყნარებინა:

— მერე, შე სულელო, ამიტომ ტირი?

— არა, ამიტომ არა!

— აბა, რატომ?

— რა ვიცი, ყველა ტირის და იმიტომ...

ესეც ახალი ამბავი!..

— რატომ ტირიან, რა მოხდა ასეთი?

ადას წარბები ნერვიულად შეუთამაშდა.

—არ ვიცი, კი ტირიან და...

— თუ ყველა ტირის, როგორ შეიძლება, მეთაურმა არ იცოდეს ამის მიზეზი?

— დედას გეფიცებით, არ ვიცი...

— მაინც?

— არ იციან, რა იქნება და იმიტომ.

— რა უნდა იყოს, ომი დამთავრებულია, რისი ეშინიათ?

— კი არ ეშინიათ, მაგრამ ისეთები არიან, სულ დედის კალთაში უნდათ ედოთ თავი. რომელ კუპეშიაც არ შევედი, ლენასა და იმ ქარაფშუტა ბიჭების გარდა, ყველა ტირის.

— სულ ახლახან ასე მხიარულად იყვნენ და ახლა რა მოუვიდათ?!

— არ ვიცი, ბრესტიდან რომ გავედით, ყველამ მოიწყინა. ერთმა ამოიოხრა, მეორემ ცრემლი გადმოაგდო, მერე სხვებმაც ატეხეს ამბავი, გეგონებოდათ, შეთქმულება მოაწყვესო. ვუყურე, ვუყურე და მეც ტირილი მომინდა...

ადა უკვე გულამოსკვნილი ქვითინებდა. მე ცხვირსახოცი გამოვართვი და ცრემლი მოვწმინდე, მერე ვითომ ვეხუმრე კიდეც:

— ეჰ, გენერალო, ხომ ხედავ, ლენა ყველაზე ყოჩაღი ყოფილა. აკი თქვი, ის არ ტირისო. შენც გაჩუმდი, თორემ გენერლად იმას დავნიშნავ.

ადამ ცრემლიანი თვალებით შემომხედა, მაგრამ მაინც ეშმაკურად გაიღიმა და თქვა:

— ლენას ეშინია, ცრემლმა თვალები არ გაუფუჭოს, თორემ განა იმას არ ეტირება...

ეტყობა, ადამ მართლა იფიქრა — „გენერლობა“ არ ჩამომართვანო და მაშინვე გაჭორა თავისი „მეტოქე“.

მე მათი მოულოდნელი მწუხარებით დავინტერესდი და ვკითხე:

— ახლა რას შვრებიან, ხომ არ სძინავთ?

— არა.

— აბა, შევიდეთ!..

შევაღე თუ არა კარი პირველივე კუპეში, დავიძახე:

— ჰეი, გოგოებო, მიიწ-მოიწით და დამსვით, ეს რა პანაშვიდი გაგიმართავთ?!

ერთმა ცხვირსახოცით ცრემლი მოიწმინდა, მეორემ გაღიმება სცადა. ლენამ ყელი კეკლუცად მოიღერა და თმები შეისწორა. მე ნარზე ჩამოვჯექი, როგორ არ ვუტრიალე, მაგრამ მათი იდუმალი მწუხარების მიზეზი მაინც ვერ გამოვარკვიე ვერც აქ და ვერც სხვა კუპეში.

მე, სულელმა, მაშინ რა ვიცოდი, რომ ამგვარი მწუხარების მიზეზი სიტყვებით არ გამოიხატება. სადღაც უსიამოვნო გრძნობა ამოძრავდება, გულს სევდა შემოაწვება და ცრემლად მოადგება თვალებს...

ცხადია, ამის მიზეზი ომის დროს განცდილი ამბებიცაა. დღევანდელი შთაბეჭდილებები რომ ნელდება, გუშინდელის პროექცია ძლიერდება. ცნობიერებაში ათასი რამ ამოტივტივდება და თან ომში დაღუპული მშობლების, ძმებისა თუ ნათესავების ამბებს მოიტანს. წინაც ეს შიშისმომგვრელი გერმანიაა და არც თუ ისე გარკვეული პრესპექტივა უცხო მხარეში... ერთი სიტყვით, რას გაიგებ ასეთ დროს, ვის გულში რა ცეცხლის ალი ბრუნავს, რაზე ფიქრობს ან წუხს. მწუხარების მიზეზს კი რა გამოლევს ამ არეულ-დარეულ დროში. ახლა კი არა, ამ საუკუნენახევრის წინაც წერდა გოეთე: არის მომენტები, როცა სასოწარკვეთაში არჩავარდნა უხამსობაა...

„გენერალ" ადას არ უნდოდა ამგვარ განწყობილებაში ჩავარდნა და უკვე სხვებს ამხნევებდა:

— რა ცხვირი ჩამოგიშვიათ, გოგოებო, ახლა გაიგეთ ომი რომ იყო?

ამაზე ხმა არავის ამოუღია. მერე უცებ ლენამ იკითხა:

— ბერლინში რომ ჩავალთ, ნეტავი ერთად გვამუშავებენ თუ სხვადასხვა ქალაქებში დაგვანაწილებენ?

მე ვიცოდი, რომ დაანაწილებდნენ, მაგრამ გული მაინც არ გავუტეხე.

— რატომ დაგანაწილებენ, საგზური ხომ ყველას ერთნაირი გაქვთ!..

— აბა, ერთად ვინ გვამუშავებს, ხომ ხედავთ, მთელი ბატალიონი ვართ! — ეჭვი შეიტანა ჩემს ნათქვამში ლენამ.

— რაკი ამხანაგი მაიორი ამბობს, არ დაგანაწილებენო, მაშასადამე, ასეც იქნება, — დატუქსა ადამ.

— ჯგუფ-ჯგუფად მაინც გაგვიშვებდნენ სადმე, — ინატრა კლავამ.

— ნუ გეშინიათ, გოგოებო, ერთად გამუშავებთ კი არა, თუ გინდათ, სულ ჯგუფ-ჯგუფად დაგათხოვებთ, — ვიხუმრე მე.

გოგოებმა ამაზე ცალყბად გაიცინეს.

მერე ლენამ სრულიად მოულოდნელად თქვა:

— რა ეშმაკად მინდოდა, ამ გერმანულ ენას რომ ვსწავლობდი, ყოველი სიტყვის წარმოთქმაზე გული მერევა!

— მართლაც! — დაუდასტურა მარიამ.

— ეს გაბერილი ბალზაკი რა ბედნიერია, ფრანგული რომ იცის, გერმანელებთან მაინც არ ექნება საქმე, — თქვა გალინამ.

ახლა გვიმძიმს ამის გამხელა, თორემ მაშინ ყველაფერი, რაც კი „გერმანულთან“ იყო დაკავშირებული, მართლაც უსიამოვნო გრძნობას იწვევდა. მახსოვს, ნიურნბერგის პროცესზე ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯექსონმა რომ თქვა, ნაცისტურმა ოშმარმა თვით სიტყვა „გერმანულს“ ისეთი ახალი და ავბედითი მნიშვნელობა მისცა, რომ ალბათ საუკუნეების მანძილზე გამოიწვევს ამგვარ ასოციაციასო.

ეს თუ ჯექსონს ეთქმის, ამათ მით უმეტეს. ჩვენს ვაგონში თითქმის არც ერთი არ იყო ისეთი, ახლო ნათესავი ან ნაცობ-მეგობარი არ დაღუპოდა ომში. ზოგს კი ისეთი უბედურება ჰქონდა გადატანილი, რომ იმის გახსენებაზე ტირილი კი რა, შეიძლება ღრიალიც მორთოს კაცმა...

ᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ...

ხუთი წელი სულ ფრონტზე ვიყავი და ზურგის ცხოვრებას რაც ვიცნობდი, მაგრამ შემდეგ რომ გავიგე, დღემდე ვერ გავიკვეულვარ, რა უფრო ამძიმე იყო: ფრონტზე ბრძოლა თუ ზურგში მუშაობა. გმირული ბრძოლაც არის და შრომაც. ალბათ იმის გახსენება რად ღირს, რომ საბჭოთა კავშირის თიქმის მთელი ევროპული ნაწილი, სადაც ჩვენი ინდუსტრიის

უმთავრესი ცენტრებია განლაგებული, გერმანელების მიერ იყო დაპყრობილი, ფაბრიკა-ქარხნები — დალეწილი ან სასწრაფოდ ევაკუირებული. მიუხედავად ამისა, არმია უფრო მეტსა და მაღალი ხარისხის შეიარაღებას იღებდა, ვიდრე ამას ომამდე ვახერხებდით. ხალხსაც ძალიან უჭირდა მაშინ, მაგრამ მაინც გმირულად იტანდა ყველაფერს. მე შინ მოხუცი დედა, ცოლი და ორი პატარა შვილი დავტოვე, უმცროსი სულ რაღაც ორმოცი დღისა. წარმოდგენილი მაქვს, რა გაჭირვება გამოიარეს, მაგრამ ძმის, ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით გაუძლეს იმ მკაცრ გამოცდას. ლუკმაპურისათვის ბრძოლა კი მაშინ ისევე ძნელი იყო, როგორც გერმანელებთან ხელჩართული შეტაკება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ევაკუირებულნი, მაგრამ დიდია ხალხის გული: ყველა შეიკედლეს, მოაწყვეს, საკუთარი ლუკმა გაუყვეს და გადაარჩინეს...

ყოველივე ეს ხომ ძნელია, მაგრამ მთავარი მაინც სხვაა: დაუსრულებელი ცნობები ფრონტზე დაღუპულთა შესახებ! ყოველი ქალაქი თუ სოფელი, ყოველი ქუჩა თუ სახლი, ოჯახი, დედა, მამა, შვილები, დები თუ ძმები, გულისფანცქალით უცდიდნენ რაიმე ცნობას ფრონტიდან. ზოგჯერ ამგვარი უცნაური აზრიც მომდის: შესაძლებელი რომ იყოს, ყოველი ადამიანის მაშინდელი გულისძგერის ერთად შეკრება, ალბათ, მთელ ჩვენს პლანეტას შეაზანზარებდა-მეთქი...

... მწუხარების ის ინერცია რა გასაკვირია, ჩვენი „დედათა მონასტერი“ რომ მოიცვა. ომი მაინც ომია და ბევრ რამეს ადვილად ეჩვევა ფრონტზე მყოფი კაცი. დღეს რომ ერთად ვართ, თანამოსაგრეებთან, ხვალ რომელიმე მათგანი გამოგვეცლება, ზეგ კიდევ სხვა, ორი, სამი ან რამდენიმე, მაგრამ ამას როგორღაც ვეჩვევით. ამბობენ, რაც საერთოა, უფრო ადვილი ასატანიაო. შვილის დაკარგვას კი როგორ აიტანს დედა, ან შვილი — მშობლებისას, დებისას თუ ძმებისას?! შესაძლოა, ამ გოგონების ცრემლების მიზეზიც გადატანილ უბედურებათა გახსენება იყო. საკვირველი აქ არაფერია. პირიქით, მე უფრო ის მიკვირს, მიუხედავად ამდენი გაჭირვებისა და უბედურები-

სა, როგორ შეინარჩუნეს ამგვარი სულიერი სიხალისე! აი, თუნდაც ამ კუსპარა ადას ამბავი: მამა — ფრონტზე დაღუპული, დედა და ორი პატარა ძმა — სახლის ნანგრევებში ჩამარხული, კერა — გაციებული და გატიალებული, მაგრამ გული — მაინც ხალისიანი და შეუპოვარი. სხვაც ბევრი იყო ასეთი: მარია, დაშა, ლუკრეცია, სუზანა, ნინა, ყველას ვინ ჩამოთვლის, ვინ იცის, საერთოდ რამდენია შინმოუსვლელთა ამგვარი ჭირისუფალი, ან უფრო უბედურიც. შესაძლოა, ყველა ამათგანი, ვინც ფრონტზე თავის უძვირფასესი დაკარგა, იმდენად უბედური არ იყოს, როგორც ეს „ბედნიერი“ გალინა, რომელსაც ვაჟკაცი მამის ნაცვლად, ორივე თვალით დაბრმავებული და ფეხებწაჭრილი „კუნძი“ შემოუტანეს სახლში...

შემაძრწუნებელია ამაზე ფიქრი. ალბათ, ლენამაც ამიტომ მითხრა, ყველაზე უფრო მეტად საკუთარი ფიქრებისა მეშინიაო. თუ ფიქრების გეშინია, იოცნებე-მეთქი, ვურჩიე. მწუხარებით სავსე თვალებით შემომხედა და მითხრა: „ასეთ დროში ოცნება ყველაზე დიდი უხამსობაა“.

მეგონა, სხვებზე დიდი უბედურება სწორედ მას ჰქონდა გადატანილი, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი. ლენა ბედნიერი გამონაკლისი იყო. მას არც მშობლები დაუკარგავს, არც ძმები, თვითონაც სადღაც ზღვის სანაპიროზე წყნარ ადგილას იყო ევაკუირებული, ისე რომ, სახეზე ახლაც მზის ჟინჟღი გადასდიოდა, მაგრამ ყველაზე ტრაგიკულად მაინც ის განიცდიდა მთელ ამ უბედურებას. რატომ-მეთქი, რომ ვკითხე, ისევ უცნაური რამ მითხრა: იმიტომ, რომ გული მე ჯერ კიდევ არ მაქვს მწუხარებისაგან გაქვავებულიო...

იქნებ ამიტომაც ბრაზდებოდა, გოგოები რომ ეუბნებოდნენ, ბედნიერი ქალი ხარო. სულელები, იტყოდა ხოლმე, მათ ჰგონიათ, ბედნიერება ისაა, უბედური არ იყო. თუმცა რა იციან, იქნებ მეც მქონდა ბედნიერება, უბედური ვყოფილიყავი. ამას ვერც გაიგებენ, რადგან ბედნიერება მათთვის ილუზიაა. მე კი კარგა ხანია, რაც ამ სენისგან განვიკურნე. ტკბილი სიზმრები და ოცნებები დამთავრდა, ახლა მხოლოდ იმას ვცდილობ, რამე საესარგებლო ეპიზოდი მაინც ვითამაშო ცხოვრების ამ ტრაგედიაში...

ამას რომ ამბობდა, ცრემლი მოერია, მერე უცებ გაბრუნდა და თავის კუპეში მიიმალა, თან „სასიყვარულოდ მოქნეული წელი“ ისე სიზმარივით შეარხია, რომ თავში კვლავ გალაკტიონის სტრიქონმა გამიელვა:

ო, ნეტავ აღარ შეირხეოდეს
გადაზნექილი სიზმრების წელი...

შაშვი და შრიშანი...

კუპეში რომ დავბრუნდი, მარკოვს ვუამბე გოგოების ცრემლების ამბავი. თვითონაც ისე დამწუხრებული და დატანჯული სახით მისმენდა, რომ ვინანე, რადგან უნებლიეთ მის ჭრილობებსაც შევეხე. მარკოვს ხომ მთელი ოჯახი დაეღუპა ლენინგრადში: მოხუცი დედა, ცოლი და სამი წლის ბიჭი. ჭროღა თვალებში არასოდეს იმხელა სევდა არ ჩასწოლია, როგორც იმ დღეს. წითური სახე ლიმონისფერი გაუხდა, თვალები გაუშეშდა, წამწამებს არ ახამხამებდა, ტუჩები კი ისე მაგრა მოეკუმა, მეგონა, სადაცაა სისხლი გამოჟონავს-მეთქი. ყველაზე უფრო ის მიკვირდა, რომ მაინც გაღიმებას ცდილობდა, რის გამოც შემაძრწუნებელი სანახავი იყო. ვიცოდი, ამ დროს არაფერზე არ ფიქრობდა და უფრო შემეშინდა. მერე ვიფიქრე, იქნებ ამ „ცარიელი სივრციდან“ გამოვიყვანო-მეთქი, და ლენას ნათქვამი გავუმეორე, ყოველი გერმანული სიტყვის წარმოთქმაზე გული მერევაო, რომ მითხრა.

მარკოვს თვალი არც ახლა დაუხამხამებია, ისე თქვა:

— იმ ლენას ისარივით წვეტიანი ენა აქვს, თან, როგორც ჩანს, ჭკვიანიცაა, ასეთი რამ თუ უთქვამს.

ამაში რა ჭკუაა-მეთქი, რომ შევუბრუნე, ისევ ისე გაყინული თვალებით მომაჩერდა და თქვა:

— შენ, ჩემო ძმაო, ბედნიერი კაცი ხარ და ამას ვერ გაიგებ. მეც რომ გითხრა, სიტყვა „გერმანელის“ ხსენებაზე გულღვიძლი გადამიტრიალდება-მეთქი, მაშინვე ლექციის კითხვას დამიწყებ. მე კი იმ შენი ლექციის ყველა თეზისი ზეპირად ვი-

ი: ჰიტლერელებმა თუ ამდენი საზიზღრობა ჩაიდინეს, განა
ს ყველა გერმანელის დანაშაულიაო, მკითხავ...

— ჰო, ასეა, — შევაწყვეტინე მე, — შენ კი ყველას ერთ-
ანეთში ურევ — დამნაშავესა თუ უდანაშაულოს, იძახი, ყვე-
ა გერმანელი ჩამოსახრჩობიაო. ეს ისეა, შაშვზე გულმო-
ულმა ყორანმა შროშანიც რომ მოკლა, შენც შავი ხარ და
სიცო...

— მე არც შაშვის მოკვლას ვაპირებ, ჩემო ძმაო, და არც
როშანისას, მაგრამ უნდა გითხრა, რომ მართალი არა ხარ.
ეუმცა, შეიძლება მართალი კი იყო, მაგრამ ეს არ არის ჩემსა-
ით გამწარებული კაცის სიმართლე. მეც რომ გონებას შეევ-
ითხო, შეიძლება ვთქვა კიდეც, რომ ეს ასეა, მაგრამ შიმშილით
ალუპული ცოლ-შვილი და გერმანელების მიერ ჩადენილი სა-
იზღრობა რომ გამახსენდება, თავგზა მებნევა. მერედა, ჩემი
ა ბრალია? გონება იქნებ მეც მიკარნახებს რაღაც უფრო
წორს, მაგრამ გული რომ არ მემორჩილება? რამდენ ლუკმა-
აც ჩავიდებ პირში, იმდენჯერ ჩემი სამი წლის ლიოშა მაგონ-
ება. იმას რომ ამის მეათედი ჰქონოდა, შიმშილით არ მოკვ-
ებოდა! მე რომ იქ ვყოფილიყავი, ალბათ, გულს ამოვიგლეჯ-
ი და იმას მაინც გადავარჩენდი. ხომ გაგიგონია, პელიკანი
ვილებისათვის საჭმელს რომ ვერ იშოვის, ნისკარტით მკერდს
ეიფატრავს და საკუთარ გულს აჭმევსო მათ. მეც ასე ვიზამ-
ი-მეთქი, რომ გითხრა, არც დაიჯერებ. ისე კი, დაგიჩემებია
ეცვეთილი ფორმულები და გაიძახი რაღაც სიმართლეს. კი, ბა-
ონო, არ გეწინააღმდეგებით, ხომ ხედავთ, როგორ ხაზსაც
ძლევენ, ისეთს მივყვები. ახლა წადი გერმანიაში და იმ ძაღ-
ლიშვილებს ემსახურეო, კეთილი, აკი მივდივარ კიდეც. შენ რა
ონია, საღი გონება მეც მიკარნახებს, რომ ეს საჭიროა, მაგ-
ამ გული! თქვე დალოცვილებო, ეს ოხერი გული მაინც და-
ნებეთ მე. აქაც რას მოძვრებით.

მარკოვის ამ „აღსარებაზე", მართალი გითხრათ, გული
ე შემეკუმშა, თვალებზე ცრემლი მომადგა. მარტო რომ ვყო-
ილიყავი, ალბათ, მეც ავტირდებოდი და ვერავინ დამძრახავ-
ა, მაგრამ თავი შევიკავე. მერე მასთან მივედი, მხრებზე ხელი
ავხვიე და ისე ვეამბორე შუბლზე, როგორც ჯვარცმულს...

ისიც გამახსენდა, თავად მაცხოვარი რომ ეამბორა დიდ ინკვიზიტორს და ტანში გამაჟრჟოლა. იმას კი, ვითომდა იმედის მისაცემად, მოვუყევი, შატობრიანმა რომ პუსენს ძეგლი აუგო რომში და წააწერა: მეც მიცხოვრია არკადიაშიო.

მარკოვი ჯერ გაშეშებული მისმენდა, მერე კი საოცრება მოხდა: უცებ ისტერიული სიცილი აუტყდა. ეს ისეთი შემზარავი სიცილი იყო, რომ კანკალმა ამიტანა. ვიცოდი, ამით გულის ვარამს იქარვებდა, მაგრამ მაინც ვცახცახებდი. იმას კი ლიმონის ფერი დაედო. სახე ისევ გაყინული ჰქონდა. თვალები ფართოდ გახელილი და... იცინოდა. ეს იმას ჰგავდა, მიცვალებულმა რომ უცებ სიცილი აიტეხოს. გაგეხარდება კი არა, გაგიჟდები კაცი! იქნებ იმ ერთი წუთით სიგიჟის ფრთები მასაც შეეხო? ვინ იცის, ეს კია, უცებ წამოვარდა, ზურგჩანთას ეცა, არყით სავსე მათარა ამოიღო, დაისხა, მეც დამისხა და უფრო მიყვირა, ვიდრე მითხრა:

— თუ ძმა ხარ, დავლიოთ, უარს ნუ მეტყვი... დავლიოთ ისე, რომ მთელი ქვეყნისა და ღმერთების ჯიბრზე, ჩვენც მოვხვდეთ იმ დაწყევლილ არკადიაში...

ხმა არ ამომიღია, ისე გადავკარი. იმან კიდევ ერთი გამოცალა, მერე დერეფანში გავარდა და პირველივე კუპის კარი შეაღო. მეც მივყევი.

— ეი, მტირალებო, დღეს ჩვენც ვიცხოვრებთ არკადიაში, საერთო სუფრას გავშლით და ქეიფი იქნება. მოსამზადებლად ნახევარ საათს გაძლევთ.

ასე ჩამოიარა ყველა კუპე და ბიჭებთან უფრო აუწია ხმას:

— დღეს ვქეიფობთ. ვინც არ დალევს, სამხედრო მუნდირს გავხდი და ნიფხავ-პერანგის ამარა ვარბენინებ დერეფანში, გოგოების თვალწინ...

კუპეში რომ დავბრუნდით, მარკოვმა მთელი თავისი „საწვავი მასალის“ მარაგი ამოყარა. მეც არაფერი დამიტოვებია. იმ „მწვანე ბიჭებსაც“ აღმოაჩნდათ რაღაც-რაღაცეები. ასე რომ, „განწყობილების შესაცვლელად“ ყველაფერი საკმარისი გვქონდა...

... ჩვენი ვაგონი უკანასკნელი იყო, მაგრამ კარი მაინც ჩავკეტეთ, მგზავრებს რომ ხელი არ შეეშალათ.

— აბა, შევქმნათ კოლექტიური განწყობილება! — დაიძახა მარკოვმა. იგი ჭირშიც პირველი იყო და ლხინშიც. რა არ მოიგონა იმისათვის, რომ როგორმე სუფრა გაეშალა. ჩემოდნებისაგან ვიწრო, მაგრამ გრძელი მაგიდა გამართეს დერეფანში, ზედ გაზეთები გადააფინეს, თუ რამ სურსათი ჰქონდათ წამოღებული, სულ ზედ დაყარეს და ისეთი პურმარილი გაშალეს, რომ აუგი არ ეთქმოდა. მერე, ვისაც როგორ მოუხერხდა, ისე მოეწყო. ზოგი დერეფნის ძგიდეებზე ჩამოჯდა, ზოგმა კი კარიდან გამოჰყო თავი. ბიჭები იატაკზე იყვნენ წამოყუნტებულნი ან ჩოქვით უსხდნენ მაგიდას, მაგრამ „კოლექტიური სუფრის“ შთაბეჭდილება მაინც შეიქმნა...

...ადას პროტესტის მიუხედავად, რამდენიმე „მეტიჩარა“ სამოქალაქო ტანსაცმლით გამოვიდა. ბევრი იძახა „გენერალმა“, ეს შინაგანაწესის დარღვევაო, მაგრამ, ეტყობოდა, გოგოებს მოენატრათ საკუთარი ტანისამოსის ჩაცმა და ამას ყურადღება არ მიაქციეს. ლენა ისეთი გამოპრანჭული და მორთულ-მოკაზმული გამობრძანდა თავის კუპედან, გეგონებოდათ, დიდ თეატრში მიდისო. ის რომ კარებში გამოჩნდა, ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანს თითქოს შუქი მოეფინა. კისერი ყველას იქით მოეღრიცა, ის კი იდგა მაღალი, მკერდსავსე, ოქროსფერნაწნავებიანი და ფართო, იისფერი თვალებითა და მომხიბლავი ღიმილით ატყვევებდა ბიჭებს. ყელზე მოკლე, შავთასმიანი ავგაროზი ეკიდა. არ ვიცი, მარკოვი ამ თილისმით იყო შებოჭილი თუ ლენას სილამაზის მაგნიტური ძალით, ეს კია, ჭროღა, უწამწამო თვალები სულ მისკენ გაურბოდა.

— მე თქვენ გაღვრევინებთ დღეს პილატეს ცრემლებს, — დაემუქრა თანამესუფრეებს და, ის იყო, „საქმეს“ უნდა შევდგომოდით, რომ ჩვენი მატარებელი რომელიღაც სადგურში გაჩერდა. იმავე წუთს ღია ფანჯრებიდან ბავშვების ერთსულოვანი ყიჟინა შემოიჭრა:

— ლემონეადა!.. ლემონეადა!..

გადავიხედეთ: ფეხშიშველი ბიჭები ლიმონათს დაარბენინებდნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაჰყვიროდნენ:

— ლემონეადა!.. დობჟე ლემონეადა!..

ბინდდებოდა. თურმე ვარშავაში ჩავსულვართ. გაწყობილი სუფრა მივატოვეთ და ძირს ჩავედით. გვინდოდა, თვალი მოგვეკრა ამ ტრაგიკული ქალაქისათვის. ამდენი უბედურება რომ გადაიტანა, მაგრამ მატარებელი ძალიან შორს გაჩერებულიყო. ბინდში მხოლოდ ჩაბნელებული, მაღალი სახლების ჩონჩხები მოჩანდა. სადგურზე კი ამ „ლემონეადას“ გამყიდველი ბიჭების გარდა არავინ იყო. მხოლოდ ორიოდე დედაბერი ყიდდა სათამაშოებს. ერთმა მათგანმა თოკზე გამობმული ჯამბაზი შემოგვთავაზა.

— ფული რომ მქონდეს, ამას ვიყიდდი და სასთუმალთან ჩამოვიკიდებდი, — ინატრა მარკოვმა. მე არაფერი მითქვამს. უკან ისევ ბიჭები მოგვდევდნენ და ყურთასმენა მიჰქონდათ:

— ლემონეადა, პანე, ლემონეადა!..

იცოცხლე, „ლემონეადა“ კი გვინდოდა, მაგრამ პოლონური ზლოტები სად გვქონდა! უსაშველო კი მართლაც არაფერია. მარკოვი და „ბალზაკი“ უცებ მოერგნენ სიტუაციას და სასაქონლო გაცვლის უძველეს წესს დაუბრუნდნენ: კონსერვებსა და სხვა პრუდუქტებს ცვლიდნენ ლიმონათზე. ეს პოლონელ ბიჭებსაც ჭკუაში დაუჯდათ და ჩქარა ჩვენი ვაგონი იმ უგემური „ლემონეადათი“ აივსო...

ღამის სიცილი...

ვარშავიდან გავედით თუ არა, მიტოვებულ სუფრას დავუბრუნდით. მარკოვმა თავისი „საწვავი მასალით“ მაშინვე შექმნა „კოლექტიური განწყობილება“. პირველი „ჯარისკაცური ულუფა“ — ასი გრამი, ყველას დაალევინა. მარტო ლენას არ უხლია ხელი „იმ საძაგლობისათვის“, რაც მაშინვე შენიშნა მარკოვმა და საგანგებოდ მინაზებული ხმით უსაყვედურა:

— თქვენ რატომ არ მიირთმევთ, ღვთაებრივო არსებავ?..

ლენამ, როგორც ჩანს, მარკოვის ეს გიმნაზისტური ქათინაური ირონიად მიიღო და სამაგიერო გადაუხადა:

— მე ისედაც ცეცხლი მიკიდია თქვენი წყალობით, მიწიერო არსებავ! — ეს ისე კეკლუცად ითქვა, რომ „ხმა შაქრისფერი გაუხდა ვარდსა, ხშირ-ხშირად პობილსა“...

წითურა მარკოვი უფრო გაწითლდა. გოგოები კი აკისკისდნენ. ბახუსი რომ ცეცხლს უბერავს, ვენერა ბუხართახ ჯდებაო, — იტყვიან. ლენა ისევ თვალებმოწკურული იჯდა და მომხიბვლელად იღიმებოდა. მერე ის აწოწილი პატი წამოხტა და რატომღაც დაიძახა, ცეცხლი ქაღალდში არ გაიხვევა, სხვათა შორის, არც აბრეშუმის კაბაშიო.

— შენც ხომ არ წაგეკიდა ცეცხლი, ბიჭო? — დაუძახა ახლა ცხვირპაჭუა გალინამ და კიდევ უფრო დაწვა ისედაც დამწვარი პატი. ამან სხვა გოგოებიც გაათამამა და სიცილ-კისკისმაც იმატა. მარკოვი უკვე აღარ აძალებდა მათ მორიგ „ას გრამს“, მაგრამ იმ კუდიანობის ღამეს თითქოს ყველას ეშმაკი შეუჯდა გვერდებში და თავად მიეძალნენ „თხევად ცეცხლს“...

... ახლაც რომ მკითხოთ, ვერ გეტყვით: რა იყო ეს, მწუხარება თუ მხიარულება? იქნებ არც ერთი და არც მეორე, ან ორივე ერთად. ვისთვისაც არ უნდა შეგეხედათ, ყველა ნიღაბს ჰგავდა. ეს ნიღბები ყოველ წუთს ცვლიდნენ ერთიმეორეს. გოგოები ბევრს იცინოდნენ, მაგრამ სახეზე მწუხარების დაღი მაინც აჩნდათ. შეწყვეტდნენ თუ არა სიცილს, ნიღაბი იცვლებოდა და მწუხარებაც მაშინვე იღებდა თავის სევდიან სახეს. ეს ისე თვალსაჩინო იყო, რომ მარკოვსაც კი არ გამოპარვია.

— მწუხარებასა და სიხარულს მართლაც ფართო ხიდი აერთებს, — მითხრა მან. სიცილი და ტირილი ერთმანეთის დებიაო, რომ ამბობენ, როგორც ჩანს, მართალია. მეგონა, ყველას ადვილად გავამხიარულებდი, მწუხარებას დავავიწყებდი, მაგრამ გაგიგონია! ხომ ხედავ, რა ხდება? რომ ფიქრობ, იცინიანო — სახე ჩამოსტირით. მე თუ მკითხავ, ეს უარესია. ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე. ორივე ერთად — აუტანელია. თუ გინდა, ამას ჩემებურად აგიხსნი: სალათს გინდ ძმარს დაასხამ, გინდ შაქარს მოაყრი, ერთიც კარგია და მეორეც, მაგრამ ძმარი-

ცა და შაქარიც ერთად — ჩემს მტერს!. საძაგლობაა... ასეა, ჩემო ძმაო, სიხარული მწუხარების გარეშე არ არსებობსო, კი ამბობენ, მაგრამ, მე მგონი, ეს ტყუპისცალები ერთად რომ დასვა, თვალებს ამოკაწრავენ ერთმანეთს...

...მარკოვს ძალიან უნდოდა, სუფრაზე გულიანად მოელხინათ, მაგრამ რა უნდა ექნა. პირის გემოს მოყვარე კაცი იყო და ყველაზე მეტს თვითონ ჭამდა, სვამდა და მხიარულობდა. აბა, რა ემხიარულებოდა, მაგრამ ამ ამბისას რას გაიგებ კაცი. ალბერ კამიუს უთქვამს, სიხარული ყველაფრისგან წარმოიშობა, თვით ხანგრძლივი მწუხარებისგანაც. მე ის იც მიკვირდა, უზომოდ როგორ ეძალებოდა საჭმელს. რომ მიგეშვათ, ჩვენში ნათქვამისა არ იყოს, მუცელს თავზე ჩამოიცვამდა, მაგრამ უცებ გაჩერდებოდა, სახე გაუშეშდებოდა და ყელში გაჩხერილ ლუკმას ებრძოდა. მერე ჩუმად ადგებოდა, კუპეში შევიდოდა და იქიდან ერთხანს მოისმოდა ხრინწიანი ხველება.

თქმა არ უნდა, ასეთ დროს შიმშილით დაღუპული შვილი ლიოშა აგონდებოდა.

იმ საღამოს მესამედ დაემართა ასეთი უცნაური რამ. უცებ წამოდგა და თავის კუპეში შევიდა. ყველა გაოგნებული მიაჩერდა. იცოდნენ, რა უბედურებაც სჭირდა და ხმა არავის გაუღია. ცოტა ხნის შემდეგ, თვალებაცრემლებული მარკოვი ისევ გამოვიდა, თავის ადგილზე დაჯდა და, ვითომ არაფერი, შეწყვეტილი საუბარი განაგრძო: ესენი იმიტომ იცინიან, რომ არ იტირონო, — თქვა და ისევ გერმანელებს უხსენა რჯული. ის ღორიშვილები ამბობენ, ვინც ოთხშაბათს იცინის, კვირას იტირებსო. ჩემი საქმე **რომ იყოს, ღმერთს** გავაგდებინებდი ყველას და ყოველდღე ვატირებდიო, — მერე რატომღაც იმ „ცეცხლმოკიდებულ“ პატის დააჭირა კისერზე მახათი, გინდა თუ არა, დალიეო. საცოდავმა პატიმ თავი მოისაწყლა და შეეეედრა, ოღონდ მეტს ნუ დამალევინებთ და, თუ გინდათ, საცეკვაოს დავუკრავო.

— რა საცეკვაოს?! — გაიკვირვა მარკოვმა.

პატიმ ჯიბიდან გერმანული „მუნდჰარმონიკა“ ამოიღო, ტუჩებზე მიიდო, ჩაბერა და მშვენიერი მელოდია გამოიყვანა.

მარკოვმა როგორღაც მოახერხა და დერეფნის ერთ კუთ-

ხე"ში „საცეკვაო მოედანიც" მოაწყო. მართალია, იქ მარტო ორი წყვილი ეტეოდა, მაგრამ რიგრიგობით თითქმის ყველამ იცეკვა. თვითონაც გაიხარა და ის „ცეცხლის ანგელოზი" გაიწვია, თან სრულიად ყალბი ტონით მიმართა, ღვთაებრივო არსებავ, ხომ არ ინებებდით, რამდენიმე წუთი დაგეთმოთ ჩემთვის და საცეკვაოდ გამომყოლოდითო.

— აბა, სად უნდა ვიცეკვო! — კვლავ ისეთი „შაქრისფერი ხმით" იკითხა ლენამ, რომ მარკოვმა ეს დასტურის ნიშნად მიიღო და მაშინვე ქათინაური შეაგება:

— შვიდ ანგელოზს თუ ნემსის წვერზე შეუძლია იცეკვოს, ჩვენ ორი როგორ ვერ მოვახერხებთ ამას, მშვენიერო ქმნილებავ!..

გოგოებს ისევ სიცილი წასკდათ, მერე თავი ერთმანეთს მიადვეს და მოჰყვნენ ჭორაკუდაობას. იმ აყლაყუდა პატიმ კი, ოღონდ მარკოვმა მეტი არ დამალევინოსო, თავი გამოიდო და ლამის გაიგუდა თავისი ინსტრუმენტის ბერვით...

... ცეკვა რომ დამთავრდა, ეშხმოკიდებული მარკოვი სუფრას დაუბრუნდა, მე კი სხვების გასაგონად გავეხუმრე:

— გენადი, შენ რაღაც საეჭვოდ დაუახლოვდი იმ „ღვთაებრივ ქმნილებას".

გოგოებმა მაშინვე ტაში შემოკრეს და სიცილს უმატეს. ის „ცეცხლის ანგელოზიც" კმაყოფილი იყო, სწორებში რომ გამორჩეული ჰყავდათ, მარკოვი კი ისევ გიმნაზისტივით იშმუშნებოდა:

— ამგვარ სიახლოვეს რა თავში ვიხლი, იდაყვიც ახლოა, მაგრამ ტუჩს ვერ შეახებ, — თქვა ისე, რომ ლენასთვის თვალი არ მოუშორებია.

ამას ყური მოჰკრეს თუ არა, გოგოები და ბიჭები მაშინვე დაინტერესდნენ, ნუთუ ასე ძნელია, კაცი საკუთარ იდაყვს ტუჩით მიწვდესო. ყველა ცდილობდა, მაგრამ, ცხადია, ვერავინ მოახერხა, რადგან ეს მართლაც შეუძლებელია. ერთხანს იწყვეტდნენ კისრის ძარღვებს, ის აწურწუტებული, გრძელკისერა პატი თითქოს მიუახლოვდა კიდევაც მიზანს, მაგრამ ვერა... მაინც არ გამოუვიდა. გოგოები კი გაუთავებლად კისკი-

სებდნენ. მე მგონი, ამ დროს მხიარულებამ მართლაც სძლია მწუხარებას, მაგრამ განა დიდი ხნით! ამგვარი აღტკინების დროს რაღაც რომ არ მოხდეს, ხომ არ იქნება! ის-ის იყო, მარკოვმა იფიქრა, მიზანს მივაღწიეო, რომ ერთბაშად შეტრიალდა ყველაფერი. სულ იმ უკანასკნელი სადღეგრძელოს ბრალი კი იყო!..

... შუაღამემ რომ გადაიარა, უკვე ნორმაზე მეტად გამობრუჟული მარკოვი ადგა და თქვა:

— ეს დღეს თქვენს მიერ დაღვრილი ცრემლების სადღეგრძელო იყოს, გოგოებო!

დალიეს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ყველამ კი შეახო ტუჩი ჭიქას. წარმოიდგინეთ, ლენამაც კი მოსინჯა „ის საძაგლობა“ და ნიღბებიც მაშინვე შეიცვალა. ჯერ სრული სიჩუმე ჩამოვარდა, „ცარიელი სიჩუმეო“, რომ იტყვიან, ისეთი. მერე სიჩუმის ის თასი ისევ მწუხარებით აივსო და თვალებში ცრემლებად გამოჟონა. მარკოვსაც გული აუჩუყდა:

— ეჰ, გოგოებო, რაც თქვენ დღეს ცრემლები ღვარეთ, ერთად რომ შემაგროვებინა, ბერლინში ჩავიტანდი და შიგ სახეში შევასხამდი ქუჩაში შემხვედრ პირველსავე გერმანელს...

მოწონების ნაცვლად, ყველას უკმაყოფილების ბურუსმა გადაუარა სახეზე. თითქოს მოიღრუბლა კიდეც და, ვიდრე „წვიმა“ წამოვიდოდა, მარკოვს ვკითხე:

— გენადი, როდისმე თუ გიფიქრია, ამ ომის დროს გერმანელებს რამდენი ცრემლი აქვთ დაღვრილი? ხომ იცი, ექვსი მილიონი კაცი რომ დაკარგეს. აქედან ნახევარ მილიონზე მეტი თვითონ ჰიტლერელებმა დახვრიტეს. როგორ გგონია, იმათ ჭირისუფლებს ცრემლი არ უღვრიათ?

— მიმიფურთხებია მაგათი ცრემლებისთვის, — მოკლედ მოჭრა მარკოვმა.

ყველამ გაოცებით შეხედა. ვიღაცამ წამოიკივლა კიდეც — „ღმერთო ჩემოო“, და სახეზე ხელები აიფარა, იმდენად შეძრწუნებული იყვნენ მარკოვის უხეში, მაგრამ გულწრფელი პასუხით, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რატომ?

რა ვიცი, არის, ალბათ, რაღაც ისეთი, რასაც მოსისხლე მტერშიც პატივს სცემს ადამიანი. შეიძლება ეს დიდი მწუხარებით გამოწვეული ცრემლიც იყოს, გულწრფელი ცრემლი, რა თქმა უნდა, თორემ ამგვარ „მარგალიტებს“ ქრისტეც აფრქვევდა და იუდაც...

ცრემლის ჩრდილი...

სხვისი ცრემლის აუგად ხსენებამ, შეწყნარებისა და თანაგრძნობის საკითხიც აღძრა. ასეთ შემთხვევაში კი ყველას საკუთარი აზრი აქვს. ჰაინე ამბობს, მტერი მხოლოდ მას შემდეგ უნდა შეიწყნარო, როცა ჩამოაბრჩობო. ამაზე არც მარკოვი იტყოდა უარს, თუმცა მეეჭვება, რომ ჩამოხრჩობილი მტრის შეწყნარებაც კი ეკისრა. მგელს შეიწყნარებ, ცხვარს დაკარგავო, — ხშირად უთქვამს ჩემთვის.

ჩვენში ასეთი ლეგენდაც არსებობს: რაჭიდან გელათს მიმავალი თამარ მეფე, ველიეთის გზაზე, მთასაყდარში გაჩერებულა სალოცავად. ტყეში დედა დათვი შეფეთებია. დედოფალსა და სეფექალებს შეშინებიათ, მცველ რაინდს კი შუბი უძგერებია დათვისათვის და გაუგმირავს. იქვე ახლო დათვის პატარა ბელები აცრემლებულან და მკვდარ დედას ჩახუტებიან. თამარ მეფეს ისე შესცოდებია ბელები, რომ ცრემლები გადმოუყრია და... სასწაულიც მომხდარა: სწორედ იქ, სადაც დედოფლის ცრემლი დაცემულა, ანკარა წყაროს ამოუხეთქავს...

იმ წყაროს დღესაც „თამარის ცრემლებს“ უწოდებენ თურმე...

... ვინ იცის, იქნებ ილიასაც ამგვარი ცრემლის წყაროს იმედი ჰქონდა, როცა მისი არჩილი ჩატეხილი ხიდის გამრთელებაზე ოცნებობდა:

— ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს, — ეუბნებოდა იგი კესოს, — ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მო-

იტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთიანებს...

ალბათ, გერმანელებმაც იცოდნენ მწუხარებით დაღვრილი ცრემლის ფასი! იცოდნენ, რა ძვირფასია „კურცხალი ცრემლისა“, რომელიც ბაბილონის გოდოლივით დაანგრევს ასაშენებელი საყდრის კედლებს! ერთი გერმანელი მწერალი ცრემლს მუსიკას ადარებს. მეორე წერს, მე ვერ ვხედავ განსხვავებას ცრემლსა და მუსიკას შორისო. ეკზიუპერი წერს, მე ჩემი ცრემლის დიდი ჩრდილი ვარო. სხვებიც ამბობენ: ცრემლი „მწუხარების მალამოაო“, „სულის ენა“ თუ „გრძნობის ხმაო“. საუკუნეზე მეტს მღეროდნენ სანტიმენტალურად განწყობილი გერმანელები გოეთეს სიტყვებს:

— ნუ, ნუ შეიმშრალებ სიყვარულისთვის დაფრქვეულ ცრემლებს...

ეჰ, ეს კი ასეა, მაგრამ, ვინ იცის, რამდენი ცრემლისღვრა იყო საჭირო გერმანელებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ჩატეხილი ხიდის გასამრთელებლად, ან ომის დროს ადიდებული ცრემლის მდინარე თუ მოიტანდა ისეთ ტივს, რომ ის ხიდი გამრთელებულიყო?

ილიას სიტყვები: ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებსო, შეიძლება მართლაც ნუგეში ყოფილიყო მომავლისა. ყოველ შემთხვევაში იმ დღეს გოგოების მიერ დაღვრილი ცრემლი, თუ ასევე გაწამებული გერმანელი დედების, დებისა და ძმების ცრემლის შეგინებით გამოწვეული შეძრწუნება ისეთი იმედის მომცემი იყო, რომ ისევ ილიას სიტყვებით უნდა ვთქვათ:

— ბარაქალა მათ გულწმინდაობას!..

იარეგოდა დედაი...

გამიგონია, ცოდვა კეთილის ადლიაო. იქნებ ამიტომაც მესიამოვნა ადას „ბატალიონის“ დამოკიდებულება მარკოვის უხეში წამოძახილისადმი. ვიცი, რატომ შეძრწუნდნენ მტრის ცრემლების აუგად ხსენებაზე. ამან ისე სასწაულებრივად იმო-

ქმედა ჩემზე, რომ თავი ისევ ლექტორად წარმოვდგინე, თუმცა იმათ არც იცოდნენ, სამოქალაქოში მეც ფუ[illegible]მათი [illegible]ბის“ კაცი ვიყავი: უცხო ენებისა და ლიტ[illegible]ურის [illegible]ლისტი. ომამდე თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტშიც კი ვმუშაობდი. იქნებ გაგიკვირდეთ: სად იყო მაშინ ასეთი ინსტიტუტიო. იყო კი არა, ომის შემდეგ ბერლინისაკენ რომ მივყვებოდი მატარებელს, ფორმალურად მაშინაც იმ ინსტიტუტის „დაკონსერვებულ დირექტორად“ ვითვლებოდი...

... 1941 წლის ივნისის დასაწყისში საკავშირო მთავრობის დადგენილება მოვიდა რამდენიმე ქალაქში, მათ შორის თბილისში, უცხო ენათა ინსტიტუტების გახსნის შესახებ. ამ დადგენილებას ხელს სტალინი აწერდა. მოსამზადებელი სამუშაოებიც მაშინვე დაიწყო. იმავე წლის 21 ივნისს მე იმ ინსტიტუტის დირექტორად დავინიშნე, მეორე დღეს კი ომი გამოცხადდა. ჩვენ კიდევ ორიოდე თვე ვჩალიჩობდით რაღაცას, ინსტიტუტში მიღების პირობებიც გამოვაცხადეთ გაზეთში, საბუთების შეგროვებასაც შევუდექით, მაგრამ საქმე ისე წარიმართა, რომ ამ ინსტიტუტისათვის აღარავის ეცალა. ვერც თავის დანებება გაბედეს, რადგან განკარგულება უმაღლესი ინსტანციიდან მოდიოდა და... სიტუაციის შესაფერისი დადგენილება გამოიტანეს: ომის პერიოდში ინსტიტუტი „დაკონსერვებულ იქნესო“. მეც, როგორც დირექტორი, „დამაკონსერვეს“ და სამხედრო სასწავლებელში გამგზავნეს...

... ახლა რომ ისევ უცხო ენათა ინსტიტუტების სტუდენტთა წრეში მოვხვდი, და ისიც „პილატეს ცრემლებით“ შეზარხოშებული, როგორც ჩანს, გულმა ამიტაცა, გარემოს შეგრძნება დავკარგე, თავი, მართლაც, აუდიტორიაში მეგონა, ქართველი სტუდენტების წინაშე და, მარკოვის უცნაური სადღეგრძელოთი წაქეზებულმა, მოწაფესავით წამოვიწყე:

მოყმემა პირშიშველამა შიბნ გაიარნა კლდისანი,
მოინადირნა, დალახნა ბილიკნი ჭიუხისანი,
შამახვდეს კლდისა თავზედა
ხორონი ჯიხვებისანი.

ჯიხვსა თოფ დახკრა, ბერხენსა,
ჭალას ჯახნ იქნეს რქისანი...

ეს ისე უცნაურად გაისმა და ისე მოულოდენლი იყო ყველასათვის, რომ გაოცებისაგან პირდაღებული მომჩერებოდნენ. მეც, თითქოს დიდი დეკლამატორი ვყოფილიყავი, გავუტიე და ის ბალადა ბოლომდე ჩავათავე. ტყუილად ვიქაჩებოდი, თორემ ჩემი ქართულისა იქ ვის რა ესმოდა! გაოგნებულებმა კი ისე მომისმინეს, რომ ერთხელაც არ შეუწყვეტინებიათ. ალბათ, სიმთვრალეს მიაწერეს ყველაფერი და იმიტომ...

დეკლამაცია დავამთავრე თუ არა, მაშინვე მარკოვის დამცინავი შემოხედვა დავიჭირე. მერე კი მისი სიტყვებიც გავიგონე:

— ვითომ რა იყო ეს, ლოცულობდი თუ რა?!

მე მოკლედ ვუთარგმნე ყველას იმ ბალადის შინაარსი. მოვუყევი, როგორ დახოცეს ერთმანეთი მოყმემ და ვეფხვმა. როგორ იარებოდა „ტირილით თვალცრემლიანი“ დედა შვილის საძებნელად, როგორ იპოვა ორივე მკვდარი: ვეფხვიცა და თავისი პირმშოც. მერე როგორ შეებრალა მოყმის დედას ვეფხვის დედა, „იქნებ ისიც ჩემებრ ტირისო“, და წავიდა მასთან ნუგეშის საცემად...

ამან კი მართლაც მოახდინა შთაბეჭდილება. ყველანი სულგანაბულნი მისმენდნენ. მეც გავთამამდი, სავსე ჭიქა ავიღე და რატომღაც ხაზგასმული სიამაყით ვთქვი:

— მე იმ ქვეყნიდან გახლავართ, სადაც ეს ბალადა შეიქმნა, და ამიტომ ვსვამ ყველა იმ ცრემლის სადღეგრძელოს, რაც საერთოდ დაიღვარა ამ ომის დროს...

მარკოვი ბრაზისაგან გალურჯდა. თუ რამეზე გაჯიუტდებოდა, გზას არავის დაუგდებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში თითქოს გული მოიბრუნა, წამოხტა, ჭიქა ისევ გაავსო და, თუმცა იმ გოგოების ცრემლების სადღეგრძელო უკვე მირთმეული ჰქონდა, მაინც გადაჰკრა და მიყვირა:

— ჯანდაბას, იყოს შენებურად, ოღონდ იცოდე, ჩვენს ცრემლებში მე მტრისას ვერ გავურევ, გაიგე, ვერ გავურევ-მეთქი!..

გავიგე, როგორ არ გავიგე, მაგრამ რაც ამის შემდეგ მოხდა, მაშინაც გაუგებარი იყო ჩემთვის და დღესაც ერუანტელად მივლის ტანში...

NUTRIMENTUM SPIRITUS...

მარკოვს ჩვეულებრივმა სიცილის ისტერიამ მოუარა. მერე მუშტი დასცხო „მაგიდას“ და, როცა თავიც რამდენჯერმე ახალა კედელს, გოგოებმა წივილი მორთეს.

სუფრა აიშალა. მე გაცოფებულ მარკოვს ჩავეჭიდე და ძლივს შევიყვანე კუპეში. ერთხანს იბორგა, იყვირა, მიმიფურთხებია თქვენი არკადიისთვისო, მერე კი ისევ ზურგჩანთას ეცა და რაღაც უცნაურად დაგრეხილი ფორმის ბოთლი ამოაძვრინა.

— რა არის ეს! შენ კიდევ დალევა გინდა?! — მინდოდა წამერთმია, მაგრამ არ გამოვიდა. გაიბრძოლა და თავი გაითავისუფლა ჩემგან. მერე ის ბოთლი ჯვარცმის ნიშანივით ზეასწია და ლოცვანივით წარმოთქვა სადღაც გაგონილი ორიოდე ლათინური სიტყვა:

— Nutrimentum spiritus, ჩემო ძმაო, „ნუტრიმენტუმ სპირიტუს!“

მართალია, ქართულად ეს „სულის საზრდოს“ ნიშნავს, მაგრამ მარკოვს ამ შემთხვევაში „სპირიტუსის“ უფრო ფონეტიკური ასოციაცია აღიზიანებდა, ვიდრე მისი შინაარსი.

— ახლა ვნახავ, რა ბიჭიც ხარ, — დამემუქრა იგი, — ჭკუით რომ გინდა მომერიო, აბა, საქმითაც სცადე, თორემ სხვისი ტყავისაგან ქამრის გამოჭრა ადვილია, ხომ იცი...

ეს რომ თქვა, ის „სპირიტუსი“ კარგა მოზდილ ჭიქაში ჩაასხა და თვალი არ დაუხამხამებია, ისე სულმოუთქმელად გადაყლაპა. ერთი კი დაიკრუნჩხა, მაგრამ მაშინვე გასწორდა და ის დაგრეხილი ბოთლი ისევ ჭიქაში ჩააპირქვავა, პირამდე ავსო და გამომიწოდა.

ასეთ დროს ოფიცრებში უკანდახევა მიღებული არ არის. ისე კი ვიცოდი, ეს „სპირიტუსი“ კარგ დღეს არ დამაყრიდა,

მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე და ჭიქა გამოვართვი. ჯერ ცხვირთან მივიტანე და დავყნოსე. სუნი სასიამოვნო ჰქონდა.

— მიდი, მიდი, გადაკარი და მოუსვი შენს არკადიაში!.. — შემაგულიანა მარკოვმა. მეც ავიღე და გადავკარი... გადავკარი და... არკადიაში კი არა, მაშინვე ჯოჯოხეთის ცეცხლსა და გეჰენიაში ჩავვარდი. ისეთი ალმური შემომენთო, რომ სული ძლივს მოვიბრუნე, მუხლებიც მომეკვეთა და ნარზე გავგორდი. შეშინებული მარკოვი გარეთ გავარდა და იყვირა:

— გოგოებო, ლიმონათი!

პირველი ლენა შემოვარდა და ლიმონათის ბოთლი მომაყუდა. მოვსვი... ჯერ ცოტა... მერე კიდევ ცოტა და... სული რომ მოვითქვი, ბოლომდე გამოვცალე, მაგრამ ხველება მაინც ვერ შევიჩერე; თვალებიდანაც სულ ნაპერწკლები მცვიოდა... ოდნავ რომ დავწყნარდი, ისევ მარკოვის დამცინავი ხმა გავიგონე:

— ახლა ხომ მიხვდი, სულიკო, რას ნიშნავს „ნუტრიმენტუმ სპირიტუს?..“ ეს არის, რაც არის...

მივხვდი, ამასაც მივხვდი, ჩემო გენადი, ის კი არა, გავიგე კიდეც, რატომ შეარქვი იმ „პილატეს ცრემლებს“ „ნუტრიმენტუმ სპირიტუს“, მაგრამ მიკვირს, ნუთუ მართლა გგონია, რომ ლათინურად თქმული „სული“ და ეს შენი „სპირიტუსი“, მართლაც, ერთი და იმავე შინაარსისაა? ან ამგვარი „პილატეს ცრემლი“ მოიტანს ტივს, რომელიც ხალხთა შორის ჩატეხილ ხიდს გაამრთელებს?..

ამას ახლა ვამბობ, ჩემთვის, თორემ მარკოვს უკვე კისერი ჰქონდა მოწყვეტილი, ნარზე გაგორებულს თავსასთუმალი გამოშლოდა და ძილში ისე ბორგავდა, თითქოს ეშმაკებთან ხელჩართული ბრძოლა ჰქონდა გაჯმართული...

მე კი ისევ ძველებურად მივყვევი ჩემივე ფიქრების თვალღია ზმანებებს. მარკოვთან „ნასპირიტუსალს“ ჯერ კიდევ ორთქლი ამდიოდა ტვინში. ფიქრები კვამლივით მეფანტებოდა და აზრებიც ისე გამირბოდნენ, როგორც ტელეგრაფის ბოძები მატარებელს. მინდოდა, საკუთარი თავი დამეჭირა, მაგრამ აღარც ეს გამომდიოდა. ჰაერს, რაც არ-უნდა მოუჭირო ხელი, მუჭში მაინც ვერ ჩაიმწყვდევ. ვერც ბედისწერას შეუცვლი მიმართულებას, ოცნებით კი, საითაც გინდა, იქით შეგიძლია

გაიარავარდო, მაგრამ, სულერთია, „სოფლის ბრუნვა“ მაინც ისე წაგიყვანს თავისი ხაზით „ქვეყნის დასასრულისაკენ“, რომ ვერც ასავალს გაიგებ მისას და ვერც დასავალს...

რამეთუ ბნელია გზაჲ იგი ბედისწერისაჲ...

ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲔᲓᲘ...

! გამიგონია, დღევანდელი დღე გუშინდელის მოწაფეაო; და კიდევ: ერთი დღე მეორის მასწავლებელიაო, რომ ამბობენ. ᲔᲔ იმ დღის შემდეგ „სპირიტუსს“ აღარ გავკარებივარ, მაგრამ დილით მაინც თავგაბრუებული გამოვედი დერეფანში. ჩემს მეტი იქ არავინ იყო. არც ადას გამოუყვანია თავისი „მრეველი“ დილის ამოკითხვაზე. მატარებელი ქშენით მიიკვლევდა გზას აღმოსავლეთ სილეზიის ტერიტორიაზე. ომამდე აქ უკვე გერმანია იყო, ახლა კი ჯერაც პოლონეთია. ასეა, ომიანობის დროს სახელმწიფო საზღვრები ზღვის ტალღების მიმოქცევას ჰგავს — ხან იქით, ხან აქეთ. როცა აგრესიული ქვეყნის მთავრობა საკუთარ ტყავში ვერ ეტევა, სულ იმის ცდაშია, თავისი სახელმწიფოს საზღვრები რაც შეიძლება იქით გადასწიოს, სხვის ხარჯზე, ხშირად კი პირიქით ხდება, გაფართოების მაგივრად შაგრენის ტყავივით იკუმშება და რაც ჰქონდა, იმასაც ჰკარგავს. რამდენი ითარეშეს ალექსანდრე მაკედონელმა, ჩინგის ხანმა, ნაპოლეონმა, მაგრამ ბოლოს ვის რა შერჩა? არაფერი! რისთვის ვიბრძოლე?! — წარმოთქვა თურმე მაკედონელმა სიკვდილის წინ. ასე მოუვიდა ჰიტლერსაც. „მესამე იმპერიის“ საზღვრები მან იქით, ლამანშზე მოხაზა, აქეთ კი—ურალზე. მაგრამ დამარცხებისშემდეგ ხელთ არაფერი შერჩა. ასეა, თვითონ გერმანელები ამბობენ, ღმერთი ქუდს ერთს მოხდის და მეორეს დაახურავსო. თუმცა ქუდს ვინღა ეძებს, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ჩოხა-ახალუხიც შემოაძვრეს და რიყეზე დატოვეს ცარიელ-ტარიელი...

... მე ისევ ფანჯარასთან ვდგავარ და იმ ტყვიისფერ ბუ-

რუსს გავყურებ. არაფრობის ქაოსი ფარავს ყველაფერს, ცისა და მიწის კიდური ხომ სულ წაშლილია, მთები და ფერდობები ბიმალულა, ველ-მინდვრები ნისლის ზღვად ქცეულა. მხოლოდ ტელეგრაფის ბოძები გაირბენენ აჩრდილებივით, სხვა არაფერი ჩანს... არაფერი, გარდა თვით ბურუსით მოსილი არაფრისა, რასაც თ. მანი „მოქუფრულ არაფერს“ უწოდებს და „არყოფნის სიცარიელეს“ ადარებს. მატარებლის ხმაური რომ არა, ისე არც არაფერი გვამცნობდა სინამდვილის არსებობას. ვერც იმას გაიგებდით, თუ რა არსებობს ქვეყანაზე მატარებლის ბორბლების დუგ-დუგისა და ამ ყოვლისმომცველი ბურუსის გარეშე. ყველაფერი ისეა არაფრის ნაცრისფერ ორომტრიალში გახვეული, როგორც წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობნიდან დანახული უსასრულო სივრცე წყლისა, რამაც წალეკა მთელი ქვეყნიერება. ასეთ დროს სხვა არაფერი დაგრჩენია კაცს, რომ იდგე და უცადო: ოდეს „დაწყდეს წყარონი უფსკრულისანი“, რათა „განავლინო ყორანი ხილვად, უკეთუ მოაკლდა წყალი“... მაგრამ „განხმული არღა კვალად იქცა, ვიდრე განხმობამდე წყლისა ქვეყნისაგან“.

მერე ნოემან „განავლინა ტრედი უკანა მისსა“... მაგრამ „ვერ მპოვნელი ტრედი განსვენებისაჲ ფერხთა მისთასა მიიქცა მისსა მიმართ კიდობნად, რამეთუ წყალი იყო პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა.

... და მერმე შემდგომად შუიდთა დღეთასა, კვალად განავლინა ტრედი კიდობნისაგან და მიიქცია მისსა მიმართ ტრედმან, მიმწუხრი: და აქუნდა ზეთის ხილისა ფურცელი რტოითა პირსა შინა მისსა...“

... მატარებლის ფანჯრიდან იმ „ბურუსის არაფერს“ მეც ისე დაჟინებით მივჩერებოდი, თითქოს ველოდი, როდის მოიმიტანდა „ტრედი განსვენებისაჲ“ ზეთის ხილის რტოს — ნიშანს იმ ას ერგასის დღის დასასრულისა, მაგრამ წინ იმ საშინელი ბურუსით მოსილი გერმანია იყო, ფერფლსა და წყვდიადში შთანთქმული მხარე, რომელიც ჯერაც შიშის ისეთ უსიამოვნო გრძნობას იწვევდა ჩვენში, როგორც დანტეს ჯოჯოხეთთან მიახლოება, თუმცა, ვიდრე მის წიაღში შევაღწევ-

დით, უნდა „შვიდი გალავნის შვიდნივ კარიბჭე“ გაგვევლო — გარსი პირველი და ჭალა ვარამისა, რომელიც გარს ერტყა იმ „უფსკრულის დაგმანულ კარებს“. აქ კი ჩვენს ყურამდე ჯერ კიდევ ვერ აღწევდა „ტანჯვის სავანის“ ბინადართა ურვა და გოდება.

„მხოლოდ ეთერი ცახცახებდა მარადჟამული,
მძიმე კვნესისგან შენარხევი და შენაძრწოლი“...

სასომიხდილი „უშქარი ბრბო“ კი სადღაც მიჯარულიყო „და ქედმოდრეკით მისცემოდა უდრტვინველ ვარამს“.

— ჰოჲ, ამ ტანჯვის სავანეში ახლად მოსულნო, — ისმის მატარებლის ბორბლის ხმაურში და მერე პასუხიც:

— ჰოი, თქვენ, ვისაც გაგაჩნიათ საღი გონება...

მაგრამ „საღი გონება“ სადღაა, როცა თავიც ისეთ ბურუსშია, როგორც იმ „არაფრის ბურუსში“ გახვეული არაფერი. ასე კი შეიძლება საკუთარი „მეც“ დაკარგო კაცმა ან ისე დაიბნე იმ „არაფრის ბურუსში“, რომ გზა ვერსაით გაიკვლიო. მერე მიდი და სდიე შენივე მეობის დაკარგულ არსს, რომ ერთი წუთით მაინც შეასწრო თვალი. ეს არც ისე ადვილია, რადგან, ისეთ მდგომარეობაში ვარდები, თვითონ გერმანელები რომ „უმეო“ (ichlos) თუ „უთვითონო“ (selbstlos) არსებობას უწოდებენ და ჩრდილდაკარგული ადამიანების ტრაგედიას ქმნიან. თუმცა საკუთარი ჩრდილის ან „მეს“ დაკარგვა ზოგისთვის შეიძლება ბედნიერებაც იყოს — თავდავიწყება ანუ არაფრის სიცარიელეში წასვლა, ზოგისთვის კი უბედურება: სხვად ან სულ არაფრად ქცევა. ამაზეა ნიცშე რომ ამბობს, ადამიანმა ხანდახან თვითონ უნდა დაკარგოს თავისი თავი და სხვად იქცეს, რომ ხელახლა აღმოჩენის სიხარული განიცადოსო, მაგრამ სხვებს ეს „სხვად ქცევა“ და ძიება შიშს ჰგვრის მხოლოდ — აი, თუნდაც ლუთერს, რომელიც ხელაპყრობილი ევედრება არსთა გამრიგეს:

— ღმერთო, შენ შემეწიე, მე არ მინდა სხვა ვიყო, ამინ!..

... ჰიტლერული რეჟიმის დროს, მე მგონი, გერმანელთა უმრავლესობა სწორედ ასეთ „უმეო“ ან „უთვითონო“ „სხვად“ იქცა. ეს ბეჯითი, ოდნავ სანტიმენტალური, პოეზიით, მუსი-

კით, მეტაფიზიკური აზროვნებით გატაცებული და თავის ხელობას ვირტუოზულად დაუფლებული ხალხი რამდენიმე წელიწადში სისხლმოწყურებულ, სადისტურ ბრბოდ გადაიქცა, აღტაცებული ყიჟინით მიჰყვა იმ „ბნედიან ფიურერს“ და, როგორც ვნახეთ, ვარამის ჭალის ბინადართა სავალალო ბედი გაიზიარა, მაგრამ მე არ მინდა იმ საშინელმა ამბებმა კალამი ისე გამიბოროტოს, რომ შავით შავზე დავიწყო წერა. ამიტომ, ვიდრე გერმანელი ხალხის დიდი ნაწილის ამ „შემაძრწუნებლად სხვად“ ქცევის „საჩოთირო საკითხს“ შევეხებოდე, მინდა საკუთარ გულშიაც ჩავიხედო და გავიგო: რა გრძნობა მამოძრავებდა მაშინ, როცა ვუახლოვდებოდი იმ „ცოდვით სავსე ქალაქს“, რომელსაც ზიზღით ბიბლიურ სოდომს ადარებდნენ. ეს კი აღსარებას მოითხოვს ჩემგან: პირდაპირსა და გულწრფელ პასუხს კითხვაზე — სიყვარული თუ სიძულვილი, ან იქნებ ორივე ერთად, რაც, მარკოვის იგავის მიხედვით, ძმრისა და შაქრის ნაერთს ქმნის. ამგვარი „ნაერთი“ კი, მოგეხსენებათ, დიდ ვერაფერ სასიამოვნო „კერძს“ მოგიმზადებს, თუნდაც ირონიის სახით ერთი მწიკვი მარილიც მოაყარო ზედ.

ამას უფრო ის გაიგებს, ვინც თავის დროზე დანტეს ჯოჯოხეთი გაიარა, მაგრამ საღი გონება შერჩა. ხომ ამბობენ, გული გონების მტერიაო. მართალი გითხრათ, მე არ მჯერა ამისი, მაგრამ რაკი საქმე აღსარებაზე მიდგა, მაინც გულზე ხელის დადებით მირჩევნია ლაპარაკი...

ღვთის ხელი...

მთელი ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გერმანული ენის, ლიტერატურის, ფილოსოფიისა და ხელოვნების შესწავლას მოვანდომე: წლების განმავლობაში ღამეებს ვათენებდი იმ ქვეყნის კულტურის შესწავლაზე, რომელიც თვალითაც არ მენახა. მერედა, რა აღტაცებით ვხვდებოდი გერმანელი ფილოსოფოსების ღრმა და მახვილგონიერ აზრებს, რა სიყვარულით ვკითხულობდი გემრანელი მწერლების ნაწარმოებებს. გოეთე და კანტი იყვნენ ჩემი სალოცავი ხატები. მე მათ თაყვანს ვცემდი, როგორც ღვთაებებს. ერთხანს შოპენჰაუერისა

და ნიცშეს წიგნებზე ვაღამ-ვათენებდი, მუსიკალურ სმენაზე ცოტა მწყრალად ვარ, მაგრამ მაინც ვტკბებოდი ბახის, ბეთ-ჰოვენისა და მოცარტის ჯადოსნური მუსიკით...

თავის დროზე, ალბათ, მარკოვიც ასე იყო, განა იმას ცოტა დრო და ენერგია აქვს დახარჯული, რომ ასე ჩინებულად ეს-წავლა გერმანული ენა? ასევე იყვნენ სხვებიც, რომლებიც ახ-ლა ჩვენს ვაგონს მოყვებოდნენ. მე კი, როგორც მათი „ხელო-ბის კაცი", მგონი, საკუთარ თავსაც შევესწარი და მოგონების ერთი ძაფი დავიჭირე: გავიხსენე, თვითონ როგორ მოვხვდი ამ „გერმანოფილთა სამყაროში" ან ეს გერმანული ენა საიდან ვისწავლე. იმ დროს, 30-იან წლებში, ამგვარ „ბურჟუაზიულ გადმონაშთზე" ხომ ბევრი არავინ იწუხებდა თავს, არც მე, რა თქმა უნდა. საშუალო სკოლაში რომ ვსწავლობდი, აზრადაც არ ჰომსვლია, ოდესმე უცხო ენების შესწავლას თუ მოვკიდებდი ხელს. ის კი არა, ჭირის დღესავით მძულდა გერმანულის გა-კვეთილები. რატომ? ვეკითხები ახლა ჩემს თავს, მაგრამ სწო-რედ ეს „რატომაა" ძნელად ასახსნელი. შეიძლება იმიტომაც, რომ გერმანული ენა ბავშვობიდანვე შიშის გრძნობად ჩამყვა გულში...

... მე და ჩემი უფროსი ძმა დავითი ჯერ სოფლის სკოლა-ში ვსწავლობდით, სამეგრელოში, ენაც იქ ამოვიდგით. ამიტომ პირველი „უცხო ენა" ჩვენთვის ქართული იყო, მეორე — რუ-სული. ერთიც უნდა გვესწავლა და მეორეც. გერმანულით იქ არც „გვაწუხებდნენ", რადგან მასწავლებელი არ გვყავდა. მის მაგივრად გაკვეთილზე მათემატიკოსი შემოდიოდა და... „გა-ლობას" გვასწავლიდა. მართალია, მას გალობაც ისევე ეხერხე-ბოდა, როგორც გერმანული, მაგრამ საქმე მაინც იოლად მი-დიოდა, რადგან სულ ერთსა და იმავე ფრაზას გვამღერებდა:

„ბუბა, ბუბა, ბუბა, ბუბა,
ბუბა ქაქუჩელა...

ეს იყო და ეს. წლის ბოლოს „გალობაში" მათემატიკის მასწავლებელმა ჩემს ძმას ხუთიანი დაუწერა, მე კი ოთხიანი. ამის გამო ორივენი ერთად ავტირდით, მერე კი სულ ღრიალ-ღრიალით დავბრუნდით შინ. გულგახეთქილი დედა ჭიშკართან

მოგვეგება და შემოგვძახა, რა იყო, რა მოგვიდათო. ჩვენ ი
გულამოსკვნით ვტიროდით, ძლივს გავაგებინეთ, რომ გალობ
ში ოთხიანი დამიწერეს. დედამ ისედაც იცოდა, რა „მგალობ
ლი ჩიტიც“ ვყავდი და მომეფერა:

— ნუ ტირი, შვილო, დედა გენაცვალოს, შენ ან იმ ოთხი
ნისას რას იგალობებდიო...

ამის შემდეგ „გალობაზე“ თავი არასოდეს გამომიდვ
არც გერმანულისკენ მიმიწევდა გული, მაგრამ...

... თბილისის სკოლაში რომ გადმოგვიყვანეს, ბედი
გინდა! — პირველსავე დღეს გერმანულის გაკვეთილზე მო
ვდით. ჩვენს გარდა ყველამ იცოდა რაღაც, ჩვენ კი — არც ე
თი სიტყვა. ამან ისე შეგვაშინა, რომ მთელი ღამე არ დაგ
ძინია. ჯერ ჩუმად ვჩურჩულებდით ლოგინში, ვარკვევდ
რა უნდა გვექნა, მაგრამ ვერაფერი რომ ვერ მოვიფიქრეთ, ი
ერთად დავიწყეთ ტირილი.

მეორე დღეს ჩვენი გასაჭირი დედას გავანდეთ და სა
ვენი წავედით სკოლაში საქმის მოსაგვარებლად. შეიძლება
დროიდან ჩამყვა რაღაც იდუმალი შიში გერმანული ენისად
რაც შემდეგ არცთუ ისე ადვილი დასაძლევი აღმოჩნდა ჩ
თვის, თუმცა, მართალი გითხრათ, არც აქ იკლავდნენ მაინც
მაინც თავს ამ „ვას ისტ დას“-ის შესასწავლად.

მასწავლებლად გერმანელი ქალი გვყავდა, რომელსაც მი
ლი ჯგუფი „ქალბატონ ფრაუს“ ან „ფრაუ მასწ“-ს ვეძახდ
ის საცოდავი ძალიან მონდომებული იყო, რამე ესწავლებ
ჩვენთვის, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა მის გაკვეთილზე დ
წრებას ეზოში ჩვრის ბურთით თამაშს ვამჯობინებდით. ამიტ
საშუალო სკოლაც ისე დავამთავრე, რომ „ვას ისტ დას“-ისა
„დერ, დი, დას“-ის მეტი არაფერი მისწავლია. შემდეგში, „
ლბატონ ფრაუსთვის“ რომ უთქვამთ ჩემზე, უმაღლესში სპ
ციალობად გერმანული ენა აირჩიაო, თურმე პირჯვარი გა
უწერია და წამოუძახია, ღმერთო ჩემო, ნუთუ ასეთი სასწ
ულიც ხდება ქვეყანაზეო...

... სასწაულისა რა მოგახსენოთ, და შემთხვევით კი მო
და ყველაფერი. შემთხვევა კი, მოგეხსენებათ, ბედისწერ

ჰგავს. სკოლაში მე უფრო ქართული ლიტერატურით ვიყავი დაინტერესებული. ეს ინტერესი პირველად ჩემმა საყვარელმა მასწავლებელმა სალომე ხიმშიაშვილმა ჩამინერგა. ნამდვილ მასწავლებლად, მეც, უწინარეს ყოვლისა, ის მიმაჩნია, ვინც მოწაფეების აღტაცებას იწვევს. ჩვენი „ქალბატონი სალომე“ სწორედ ასეთი იყო. მოწაფეები, სამართლიანი სიმკაცრის გამო, ოთარაანთ ქვრივს ვეძახოდით. ტკბილი სიტყვა არც იმას უყვარდა, მაგრამ სულ თავს დაგვტრიალებდა და ისეთი მონდომებით გვწვრთვნიდა, რომ მისი მოწაფეები დღემდე დიდი მოკრძალებით ვიგონებთ.

მაღალ კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად პატივცემული ბენედიქტე ჩიქობავა დაგვინიშნეს და... უნდა გითხრათ, კარგი მასწავლებელი მართლაც დიდი ბედნიერებაა მოსწავლისათვის. მე რომ მკითხონ, „სწავლება“ კი არ ჰქვია იმას, რასაც ჩვენთვის ქალბატონი სალომე და ბატონი ბენედიქტე აკეთებდნენ — ეს ადამიანის სულის ძერწვის ურთულესი ხელოვნებაა და, ვინ იცის, ყოველგვარ ხელოვნებაზე უფრო პატივსაცემი და საპასუხისმგებლოც. მართლაც, ადამიანის აღზრდაზე უფრო კეთილშობილური საქმე რა უნდა იყოს, ეს ჭეშმარიტი შემოქმედებაა. კაცმა რომ თქვას, ქვისაგან უფრო ადვილია სახის შექმნა, ვიდრე ადამიანის სულისაგან.

ამას რომ ვამბობ, თვალწინ, მართლაც, როდენის ერთი შესანიშნავი ქანდაკება მიდგას: „ღვთის ხელი“: მარმარილოსგან გამოკვეთილ ხელის მტევანში რაღაც უფორმო მასა ადამიანის სახეს იღებს...

მე ვინ მკითხავს, თორემ ამ ქანდაკებას „ღვთის ხელს“ კი არა, „მასწავლებლის ხელს“ დავარქმევდი...

... საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, უმაღლესში დავაპირე შესვლა. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. მისაღებ გამოცდებზე მეტად მაშინ რაღაც საბუთებს აქცევდნენ ყურადღებას. მე ის საბუთები არ მქონდა და არც უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე შემეძლო ოცნება.

ბედად, სამედიცინოზე აღმომაჩნდა გავლენიანი ნაცნობი და მიმიღეს კიდეც. იმედი მქონდა, შემდეგ უნივერსიტეტში გავუცვლიდი ვინმეს ადგილს. ასეთი რამ მაშინ ხდებოდა. მათემატიკურ ფაკულტეტზე მეოცნებე ჩემი ძმა, რომელსაც თავის დღეში არ მოუსვამს სახატავი ფანქარი ქაღალდისათვის, სამხატვრო აკადემიაში მიიღეს, ერთი მხატვრობაზე მეოცნებე აბითურიენტი კი მათემატიკურზე. გზააბნეულები შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს, ადგილები გაცვალეს და... ერთი მათემატიკის პროფესორი გახდა, მეორე კი ცნობილი მხატვარი.

ჩემი საქმე კი სულ სხვაგვარად წარიმართა. მე ადგილის გამცვლელი ვერ ვიპოვე და ბედს უნდა შევრიგებოდი, რომ ქუჩაში სრულიად შემთხვევით ბატონ ბენედიქტეს შევხვდი. შინ შემიპატიჟა და მაშინვე ის მკითხა, როგორ არის უმაღლესის საქმეო. ვუთხარი, სამედიცინოზე მოვეწყვე-მეთქი. ჯერ არაფერი თქვა, პენსნე მოიძრო, თვალები ნელა მოხუჭა, მიყურა, მიყურა და წყნარად მითხრა:

— მაშ, ქალბატონი სალომე და მე ტყუილად გწვრთნიდით იმდენ წელიწადს, არა?

— რატომ, პატივცემულო მასწავლებელო! — გავიკვირვე მე. ვითომ არ ვგრძნობდი, რომ მართლაც ასე გამოდიოდა.

მკაცრად შემომხედა და მისაყვედურა:

— რატომ მე არ შემეკითხეთ, ყმაწვილო?

უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, სხვა გზა არ მქონდა-მეთქი, ვუპასუხე.

— რატომ? — თქვა მან და თვალები უფრო მოხუჭა.

— რა ვიცი, ფილოლოგიურზე არ მიიღეს ჩემი საბუთები.

— მერე ეს ამართლებს თქვენს დანაშაულს?

ამან სულ დამაბნია, მაგრამ გავუბედე:

— განა რა დანაშაული ჩავიდინე ასეთი?

ბატონი ბენედიქტე თავის მეუღლეს მიუბრუნდა და უთხრა:

— აი, ხომ ხედავ, არც ესმის, რა დანაშაული ჩაიდინა! მაშ, ქალბატონი სალომე და მე ტყუილად ვწვალობდით იმდენ წელიწადს? იმას მაინც თუ ჰკითხეთ რჩევა?

—არა, არ მიკითხავს!

— რატომ? რამ შეგიშალათ ხელი?

— ისე, მომერიდა...

— მოერიდა ყმაწვილს, ხედავ, მოერიდა; იმისი კი არ მოგერიდათ, რომ წყალში ჩაგვიყარეთ ამაგი?

რა მეთქვა, არ ვიცოდი. ბატონმა ბენედიქტემ კი სათვალე ისევ გაიკეთა და როგორღაც უმისამართოდ თქვა:

— კეთილი, რა გაეწყობა, ყოველთვის როდი უმართლებს ადამიანს!

ეს საუბრის დამთავრებას ნიშნავდა, მაგრამ ისე დავიბენი, რომ ადგილიდან არ დავძრულვარ.

— კარგი, ბენია, ნუ შეუწუხე გული ამ ბავშვს. ყველამ შენს ჭკუაზე ხომ არ უნდა იაროს, — ჩაერია საუბარში ბატონი ბენედიქტეს მეუღლე. ამან უფრო წამიკიდა ცეცხლი. განა მე კი არ მინდოდა ჩემი საყვარელი მასწავლებლის რჩევას გავყოლოდი, მაგრამ რომ არ შემეძლო! ვიცოდი, ეს რომ მეთქვა, მაინც არ დამიჯერებდა და ვკითხე:

— ახლა რას მირჩევთ, პატივცემულო?

— უკვე გვიანაა, ჩემო კარგო, თუ გგონია, რომ მეც ასე ნაჩქარევად ვიღებ გადაწყვეტილებას. მე დიდხანს ვფიქრობდი, რა რჩევა მომეცა თქვენთვის.

— მაინც რა, — არ მოვეშვი მე.

— მინდოდა, ვიდრე უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე შეხვიდოდით, ერთი რომელიმე უცხო ენა შეგესწავლათ, ვთქვათ, გერმანული.

გერმანულის ხსენებაზე ტანში ჭიანჭველებმა დამირბინეს. მაშინვე ავდექი, ბატონ ბენედიქტეს ბოდიში მოვუხადე, შეგაწუხეთ-მეთქი, და წამოსვლა დავაპირე.

ვინ იცის, რა იფიქრა მაშინ ჩემმა მასწავლებელმა. კარებამდე კი მიმაცილა, სათვალე მოიძრო, ისევ ერთხანს მიყურა... მიყურა... მერე კი ხელი გამომიწოდა.

არ ვიცი, მომეჩვენა თუ მართლა ასე იყო, მაგრამ თვალებში ცრემლი შევნიშნე...

... მეორე დღესვე გამოვიტანე საბუთები სამედიცინოდან

და გუნიბის (ამჟამად ვ. ბარნოვის) ქუჩაზე მდებარე უცხო ენების უმაღლესი კურსების გერმანულ განყოფილებაზე ჩავეწერე.

პატივცემულმა ბენედიქტე ჩიქობავამ, ალბათ, ახლაც არ იცის, რომ ის დღე გადამწყვეტი იყო ჩემს ცხოვრებაში...

ბედნიერი ვარსკვლავი...

მასწავლებლის ამაგი არასოდეს არ იკარგება მოწაფეში. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე თან გასდევს და თუ რამ მოულოდნელი არ მოხდა, შემდეგშიც იმ ერთხელ დადებული გზით ატარებს. მე მერეც იმ გზას მივყვევი და ის წელიწადი თავმოძულებული ვებრძოდი ჩემთვის არცთუ ისე სასიამოვნო საქმეს — გერმანული ენის შესწავლას. მასწავლებლები აქაც ჩინებული მყავდა, სულ გერმანელები: ჩაკერტი, მერიკიული, პფეფერი და სხვები. „ქალბატონ ფრაუს“ შემდეგ აქ მეორედ მოვხვდი გერმანელების ხელში. შთაბეჭდილებაც მეორედ მივიღე, მაგრამ ამჯერად ორგვარი: ერთის მხრივ — ცივი, ამაყი და მკაცრი ჩაკერტი, ხოლო მეორეს მხრივ — მოსიყვარულე, მხიარული და უაღრესად სიმპათიური მერიკიული. ნეტავი რომელი იყო მათ შორის „ნამდვილი გერმანელი?“ — ვეკითხები ახლაც ჩემ თავს. ალბათ, ერთიც და მეორეც. ჩაკერტის დავალებებს უფრო შიშით ვასრულებდით, მერიკიულისას კი — პატივისცემით. სამაგიეროდ, ორივე ერთნაირი მონდომებით გვწვრთნიდა და მეც, რაკი ამის მეტი სხვა არაფერი საქმე მქონდა, იმ ერთ წელიწადში საკმაოდ კარგად დავეუფლე ენას. ამაში, ალბათ, ერთმა გარემოებამაც შეიწყო ხელი. კურსების შენობაში რომ ფეხს შედგამდით, უცხო ენების გარდა ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებდით. ეს სასტიკად იყო აკრძალული. იცოდი რამე თუ არა, იმ ენაზე უნდა „გელაპარაკა“, რომელსაც სწავლობდი. მე მგონი, ამან კარგი შედეგი გამოიღო: ჯერ ვწვალობდით, ენას ხელების მოძრაობას ვაშველებდით, მაგრამ ჩქარა ვეგუებოდით ყველაფერს და... ასევე ჩქარა ვსწავლობდით ენას....

... ერთი წლის შემდეგ ბედი პირდაპირ კარზე მომადგა. უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის სექცია გაიხსნა. მე კურსებიდან პირდაპირ იმ სექციის გერმანულ განყოფილებაზე მოვხვდი. ჩვენს ჯგუფში რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტებიც იყვნენ, რომელთაც ისევე არ იცოდნენ არც ერთი სიტყვა, როგორც მე, როცა პირველად ჩამოვედი თბილისში. ახლა კი ენა საკმაოდ გაწაფული მქონდა. ამან იძულებით მეორე უცხო ენის შესწავლა დამაწყებინა: აკი მოგახსენეთ, კარგი მასწავლებელი ბედისწერაა-მეთქი მოწაფისათვის. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ მხრივ პირდაპირ ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული: პირველივე ლექციაზე ჩვენთან ევროპული ენების კათედრის გამგე, აწ განსვენებული ერეკლე ტატიშვილი შემოვიდა. აქ, მე მგონი, სიტყვები ზედმეტია. ვისაც მისი მადლიანი ხელი უგრძვნია, არასოდეს დაივიწყებს ამ კრისტალურად წმინდა და უდიდესი პასუხისმგებლობის ადამიანს, რომელმაც უცხო ენათა მცოდნეების მთელი თაობა აღზარდა, თვითონ სამეცნიერო მუშაობას არ ეწეოდა, არც წიგნებს წერდა, მაგრამ მის მიერ აღზრდილი მოწაფეები, განა მისივე ხელით დაწერილი წიგნები არ ვართ?..

... შემოვიდა თუ არა ბატონი ერეკლე აუდიტორიაში, მაშინვე ის გვკითხა:

— ბატონებო და ქალბატონებო, იცით რამე იმ ენაზე, რომელიც აქ უნდა შეისწავლოთ?

ყველამ თავი ჩაღუნა. ზოგმა რამდენიმე სიტყვა მაინც იცოდა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, უმრავლესობას კი ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდა გერმანულისა. მე სითამამე მოვიკრიბე, თითი ავწიე და შეშინებულმა დავიკნავლე, ვიცი-მეთქი. ბატონი ერეკლე მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა და რატომღაც ირონიულად მითხრა, აბა, თქვი, რაც იცი. მკითხეთ, ბატონო მასწავლებელო, და გიპასუხებთ-მეთქი. ბატონმა ერეკლემ პენსნე მოიძრო (ეს ჟესტი ჩემთვის უკვე ნაცნობი იყო) და ღიმილით შემათვალიერა. დარწმუნებული ვარ, ის ჩემგან ისევ იმ „ვას ისტ დას"-სა და „დერ, დი, დასს" მოელოდა, მაგრამ ეამოირკვა, რომ მე უკვე ვლაპარაკობდი გერმანულად.

— გაკვეთილების შემდეგ ჩემთან წამოხვალ, ყმაწვილო, — მომმართა მან და საერთო რჩევა-დარიგების შემდეგ გავიდა აუდიტორიიდან.

ბატონი ერეკლე ინგლისურს ასწავლიდა, მაგრამ გერმანულიცა და ფრანგულიც ბრწყინვალედ იცოდა. იგი ჩვენი სტუდენტური ოცნების მაგალითიც იყო და მიზანიც...

... უკანასკნელი ზარი რომ მისცეს, მე აჩრდილივით ავედევნე ბატონ ერეკლეს. უნივერსიტეტიდან გამოვედით, მელიქიშვილის ქუჩას გავყევით, რუსთაველის პროსპექტი სანახევროდ ჩავიარეთ, მერე ზევით ავუხვიეთ და მის ბინას მივადექით.

რაც საჭირო იყო, გზადაგზა ითქვა ყველაფერი.

— საერთო ლექციებს არსებული განრიგით მოისმენთ, რაც შეეხება ენას, გერმანულის მაგივრად ინგლისურ ჯგუფში ივლით. იქ თქვენ ტყუილად დროს დაკარგავთ, აქ კი მეორე ენას შეგასწავლით, — მითხრა მან.

უარის თქმას როგორ გავბედავდი.

ბატონი ერეკლე ისეთი მკაცრი მასწავლებელი იყო, რომ დავალების შეუსრულებლად აუდიტორიაში ფეხს ვერავინ შედგამდა...

და ასე იძულებით ვისწავლე მეორე უცხო ენაც. მაგრამ ღმერთი სამობითაარ, იტყვიან. ბედმა ასევე იძულებით მესამე ენის, ფრანგულის შესწავლაც დამაწყებინა...

... ზოგჯერ ჩემს საუნივერსიტეტო მატრიკულს რომ ჩავხედავ, გული მოწიწებისა და მადლიერების გრძნობით მევსება, რადგან იმ სახელმოხვეჭილი მეცნიერების ხელისმოწერას ვხედავ, რომელთა ლექციებსაც ვუსმენდი უნივერსიტეტში. ყოველი მათგანის სახელი დიდების შარავანდედითაა მოსილი ჩვენს ქვეყანაში. აი ისინი, პროფესორები: ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ წერეთელი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე წერეთელი, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, კოტე ბაქრაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, ვახტანგ კოტეტიშვილი და სხვა.

ჩემი უშუალო ხელმძღვანელი პროფ. შალვა ნუცუბიძე იყო. ბედმა აქ სულ ჩემსკენ იბრუნა პირი და წლების მანძილზე მისი ყურადღება არ მომკლებია...

... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში მოხვედრა იყო ჩემი ოცნება, მაგრამ აქაც იგივე დაბრკოლება გადამეღობა: საბუთები, გამოცდის ნაცვლად! ბატონი შალვას ავტორიტეტმა და დაჟინებულმა მოთხოვნამ ეს დაბრკოლებაც გადამალახვინა. ჩამრიცხეს ასპირანტურაში, გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, რაც ჩემთვის მეშვიდეცაზე ასვლას უდრიდა და... სწორედ მაშინ მოხდა ის, რისთვისაც ვყვები ყოველივე ამას... რამდენიმე დღის შემდეგ, რაც ბატონმა შალვამ დიდის ვაი-ვაგლახით მიაღწია ჩემს ასპირანტურაში ჩარიცხვას, მივედი მასთან და განვუცხადე, არ მინდა მეთქი გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე მუშაობა.

გაოცებულმა შემომხედა და მკითხა:

რატომ?

ისევ ეს „რატომ!“ აბა, რა ვიცი, რატომ? ახლაც ვფიქრობ ამაზე, მაგრამ პასუხი ვერ მიპოვია. ერთის მხრივ, დიდი გატაცება გერმანული ლიტერატურითა და ფილოსოფიით, ხოლო მეორეს მხრივ, რაღაც იდუმალი შიშისა და უკმაყოფილების აღმძვრელი გრძნობა, რომელიც ყოველთვის თან ახლდა ამ გატაცებას. ამის ახსნა ახლაც მიჭირს, თორემ მაშინ რა შემეძლო, გარდა იმისა, რომ ძლივს მოვიბრუნე ენა:

— მე უფრო დასავლეთ ევროპის ლიტერატურის უახლესი კურსი მაინტერესებს, ბატონო შალვა, თუ ეს შესაძლებელია, გთხოვთ, ამ სპეციალობაზე გადამიყვანოთ...

ბატონი შალვა ერთხანს ბოლთას სცემდა ოთახში. მერე უცებ მომიბრუნდა და მითხრა: უახლეს ლიტერატურაზე რომ იმუშაოთ, საჭიროა, ფრანგული ენაც იცოდეთ. შეგიძლიათ, ერთი წლის განმავლობაში იმდენი ისწავლოთ, რომ სპეციალური ლიტერატურით სარგებლობა შესძლოთ?

— შემიძლია! — წამოვიძახე ანგარიშმიუცემლად, იმაზე კი არ მიფიქრია, რომ უკვე მესამედ ვყოფდი თავს ყულფში.

ბატონი შალვას შუამდგომლობით, უნივერსიტეტის რექტორატმა იმ დროს ფრანგული ენის ცნობილ მასწავლებელ პოლტორაცკაიას მიმმართა და... ერთი წლის შემდეგ ბატონ შალვასთან რომ მივედი, წიგნების კარადიდან ლანსონის „ფრანგული ლიტერატურის ისტორია“ გადმოიღო, გადაშალა და მითხრა:

— წაიკითხეთ და თარგმნეთ!..

ეს ჩემთვის ადვილი საქმე იყო და ყველაფერი ისე მოგვარდა, როგორც მინდოდა...

აი, ამას ნიშნავს გულისხმიერი მასწავლებელი მოწაფისათვის. დარწმუნებული ვარ, არც ერთგულ მოწაფეს დაეშალება თავი ასეთი მასწავლებლისათვის...

რამეთუ იგინი იღუიძებენ სულთა ჩუენთათვის...

შემაძრწუნებლად სხვა...

ასე იძულებით ვისწავლე სამივე უცხო ენა და ახლა ვარ „ოუსულ „ტროიკასავით“ გამობმული ამ ენებზე და, შინ დაბრუნების ნაცვლად, ისევ უცხოეთში მოვემგზავრები... თან „ყოველივე გერმანულისადმი“ ის იდუმალი შიში მიმყვება, რაც ომის წლებში უფრო დიდი და საშინელი გახდა, ისე საშინელი, რომ თომას მანივით შემიძლია „შემაძრწუნებლად სხვა“ ვუწოდო მას. ჩემს ბავშვობაში ეს შეგრძნება პატარა იყო, გაურკვეველი, შეიძლება უსაფუძვლოც, მერე, უნივერსიტეტის წლებში, რატომღაც უფრო გამოიკვეთა, ხოლო ომის დროს მთელ იმ საშინელებათა შემდეგ, რაზედაც უკვე გიამბეთ, უზომოდ გაიზარდა. ახლა კი, როცა ბერლინს ვუახლოვდები, ის „სხვა“ ჩემდა უნებლიეთ ისევ იზრდება... იზრდება და მიწიდან ზეცის თაღებს წვდება, როგორც უზარმაზარი ნაცრისფერი ეკრანი, რომელზედაც სისხლის ასოებით წერია: გერმანელების მიერ ატეხილ ამ ომში 50 მილიონი კაცი დაიღუპა, 35 მილიონი დასახიჩრდა. მარტო ჩვენს ქვეყანაში დაინგრა 1700 ქალაქი, 70 000 სოფელი, 31 000 სამრეწველო საწარმო, 127 000 სკოლა, ბიბლიოთეკა და კულტურის სხვა დაწესებუ-

ლება. ეს გამანადგურებელი ომი 22 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე გაიშალა და 72 ქვეყანა ჩაითრია, რითაც 110 მილიონი კაცი და ქალი ჩაბა თავის ოროომტრიალში. ასე რომ მივყვე, ვინ იცის, კიდევ რა წარწერა გამოჩნდება იმ ეკრანზე, რამდენი მილიონი გულდამწვარი დედა ან მამა, დაქვრივებული ახალგაზრდა ქალი ან დაობლებული ბავშვი, საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებანი, გაზკამერები და კრემატორიუმები. მე თითქოს ახლაც ვხედავ, როგორ მოსრიალებენ ბავშვები ზევიდან ქვევით, გავარვარებულ ღუმელში მოსახვედრად, როგორ ჩაჰყავთ მშობლებს ძუძუმწოვარა ბავშვები ორმოში, წვებიან უკვე დახოცილებზე და უცდიან თავიანთ ჯერ ტყვიას, როგორ ინაწილებენ გერმანელი მანდილოსნები ოსვენციმში დახოცილთა ფეხსაცმელებს და ტანისამოსს, ვხედავ...

ეჰ, ბევრ რამეს ვხედავ, მაგრამ ისევ თავიდან ხომ არ დავიწყებ ამის მოყოლას!.. არადა, მთელი ეს კოშმარი თან მიმყვება გერმანიაში.

იქნებ სჯობდა, ამის შესახებ არაფერი მეთქვა, მაგრამ საქმე რაკი აღსარებაზე მიდგა, სხვა რა გზა მაქვს. მე ხომ არ შემიძლია, საკუთარი თავის წინაშე ვიფარისევლო და ხელის ერთი მოქნევით წავშალო საშინელი წარწერები იმ „სხვის“ ეკრანზე ან სულის ერთი შებერვით გავფანტო ჯოჯოხეთური ბურუსი, რომელშიც ჩაძირულა მთელი ეს მიდამო...

... მატარებელი ისევ ჯიუტად მიიწევს ბერლინისაკენ და ასე მგონია, იმ ბურუსიდან სულ კოშმარულ წყვდიადში შევდივარ. მერედა, რა ძნელია ამ ერთისა და მისი „შემაძრწუნებლად სხვის“ ერთად მოთავსება. ან იმ ორი ექსპოზიციის ერთმანეთზე დამთხვევა, რომელთაგანაც ერთზე გამოსახულია ლუთერი, გოეთე, შილერი, კანტი, ბეთჰოვენი, მოცარტი და, ვინ იცის, კიდევ ვინ, მეორეზე კი სასიკვდილოდ განწირული ადამიანების უზარმაზარი რიგი გაზკამერების წინ...

შესაძლოა ესეც იმ „ნუტრიმენტუმ სპირიტუსის“ ბრალი იყოს, მაგრამ ისე მეჩვენება, თითქოს იმ რიგში დგანან ლუთერიც, გოეთეც, შილერიც, კანტიც, ბეთჰოვენიც და მოცარ-

ტიც. ისინ.ც შეჰყავთ გაზკამერებში, რათა კრემატორიუმში დაწვან და ცამდე აწვდილ მავ ბოლს გაატანონ მათი ფერფლი... ამგვარ კოშმარებს კი უფრო შემაძრწუნებელი ალეგორიები და ასოციაციები მოსდევს. ასე რომ არ იყოს, იმ საშინელ გარემოში გალაკტიონის სიტყვებს რა გამახსენებდა:

ობობებიან კუთხეში დივანს
ვხედავ: ვით გოეთე, ზის იქ სატანა,
გადაეზმანა კედლებს, აივანს —
და ღამემ სულში შემოატანა.

ეს რომ პირველად წავიკითხე, ვიფიქრე, იქნებ ბეჭდვის უბრალო შეცდომაა და ის ორი წერტილი სიტყვა „ვხედავ“-ის შემდეგ კი არ უნდა იყოს, არამედ „გოეთეს“-ს შემდეგ-მეთქი, მაშინ ამ სტროფის აზრიც სხვა იქნებოდა, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, ასე არ არის. მე ისეთი ფაუსტური პარადიგმებიც წამიკითხავს, სადაც მეფისტოფელი არისტოტელეს სახით დაყვება ფაუსტს, თუმცა ეს მართლაც მეტისმეტია:

სატანა, ვით გოეთე!!!

ამაზე ფიქრით სულში ღამე შემოატანს კი არა, შესაძლოა, გონებაც აგემღვრეს კაცს, მით უმეტეს, „ნასპირიტუსალს“, როცა ერთი ორად გეჩვენება და საკუთარ თავსაც ისე უყურებ, როგორც სხვას. ის „სხვა“ კი დამცინავად მოგჩერებია და თავი ისე მოაქვს, თითქოს მართლაც სხვა იყოს...

საუბარი მასთან...

ვინ მასთანო, რომ მკითხოთ, ასე ადვილად ვერც გიპასუხებთ. ვისაც არ უნდა დაელაპარაკოთ, მაინც „მასთან“ საუბარი იქნება. მაშასადამე, ის ერთი არ არის. თუ ასეა, შეიძლება ორიც იყოს. ხოლო სადაც ორია, იქ მესამეც ჩნდება და მერე ვინ გაიგებს, სად უნდა დაისვას ის ორი წერტილი. მდგომარეობის გასამარტივებლად ასეთი მათემატიკური ხერხიც არსებობს: ჩამოთვლიან რიცხვებს — 1, 2, 3, 4, 5, 6, 7,— მერე სადღაც მრავალ წერტილს დასვამენ და ბოლოს დაწერენ მრავალმნიშვნელოვან ასოს — „№“, მაგრამ როგორ გგონიათ, რამდე-

ნი შეიძლება იყოს ეს „№?“ რამდენიც გნებავთ თუ რაღაც განსაზღვრული? ეს განსაზღვრული იმას ნიშნავს, რომ ი ს ყველა არ არის, და თუ ასეა, მაშინ უნდა გამოიცნო: რამდენია? იქნებ ვინმემ თქვას, „მრავალიო“, მაგრამ ესეც გამოუცნობში ხელის ფათური იქნება. ადგება ვინმე და გკითხავთ: რამდენი ვინმე იგულისხმება ამ „მრავალშიო“. ამაზე შეგიძლიათ უპასუხოთ, რამდენიც თქვენ გნებავთო, მაგრამ მაშინ მ რ ა ვ ა ლ ი კი არ იქნება, არამედ „მ რ ა ვ ლ ე ბ ი“, იმისდა მიხედვით, თუ ვინ რას „ინებებს“, ამის თქმის უფლებას კი არც გრამატიკის კანონები მოგცემთ და არც აზრის სიზუსტის აუცილებლობა, თანაც თქვენი პასუხი ახალ თავსამტვრევ კითხვას წარმოშობს: ის თუ მრავალია, ს ხ ვ ე ბ ი ვინ არიანო. კიდევაც რომ უპასუხოთ, ვინც მ რ ა ვ ა ლ შ ი არ იგულისხმებაო, მაინც აგიხირდებიან: რამდენია ის „ი ს ი ნ ი ო“. ამ შემთხვევაშიც უნდა თქვათ: „მრავალიო“ და ისევ თავიდან დაიწყება ყველაფერი...

ასეა ყოველი ჩვენთაგანის „მე-ც. რამდენი ვინმეცაა, იმდენი „მე“-ა, რასაც მაქს შტირნერმა, როგორც მოგახსენეთ, გრამატიკის წესების დარღვევით, „ichen“ ანუ „მეები“ უწოდა. ამ აზრის დაზუსტება რომ მოინდომოთ, ისევ იმ მაგიურ მწკრივს წააწყდებით: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7... №. გამოდის, რომ „მე“-ც მრავალია და „ისიც“. შეგვიძლია პირობით ასეც მივიღოთ, მაგრამ, ვინმემ გაუტამა ბუდდას სიტყვები რომ შეგვახსენოს — „შენ ხარ მე-ო“, მაშინ როგორ მოვიქცეთ? ვუთხრათ — „მეც შენ ხარო?“ მერედა, რა გამოვა აქედან? ორივე — „შენც“ და „მეც“ — ერთსა და იმავე დროს ერთიც ვიქნებით და მეორეც — წინააღმდეგობა კიანფა დონატოსი, ან კენტავრებისა და სირინოზების ერთიანობა, თუმცა ახირებულ კაცს რა გამოლევს ამქვეყნად და ვინმე უთუოდ გვიკითხავს, კი მაგრამ, მაინც რომელიო? აქ კი არც ერთის ნახევრობა გვიშველის და არც ორის ერთიანობა. პირველიც განუსაზღვრელი იქნება და მეორეც, ამიტომ „მე“-შიც ყველას შეგვიძლია საკუთარი თავი ვიგულისხმოთ და „იმას“-შიც. ასეთ შემთხვევაში დიალოგიც ადვილი მოსახერხებელია. „მე“- ი ს ვიქნები, რაც მე მინდა, ხოლო „ი ს“—რაც იმას უნდა, მე ბრალმდებლის როლს ვიკისრებ, ის კი დამცველისას. ამით, ილია რომ

ბრძანებს — „სადაც ბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა იყოსო“, ისე გამოვა: მე, როგორც ბრალმდებელი, იმავე დროს თავს დავიცავ, ხოლო ის, როგორც დამცველი, მე ბრალს დამდებს. ამით არც ცალმხრივობას ექნება ადგილი და არც მიკერძოებას, თანაც, ორივენი სხვად ქცევისა და „მასთან“ შეხვედრის უფლებას მოვიპოვებთ. შეიძლება ეს, მართლაც, ბარბაროსული პირდაპირობა იყოს, ან დოკუმენტური თხრობისთვის შეუფერებელი იგავურობაც, მაგრამ გულახდილი საუბრისათვის ისე მოსახერხებელი და მაცდუნებელია, რომ სხვა დანარჩენი გვეპატიება...

... მაშ, ასე: ის ნელ-ნელა მიახლოვდება, ვაგონის კედელზე მიჭედილ სკამს გამოსწევს და ჩემს წინ ჯდება. რაც არ უნდა ვცადო მისი გარეგნობის აღწერა, მაინც ვერ შევძლებ. ან კი რა საჭიროა! სულერთია, მაინც ყველა თავისებურად წარმოიდგენს მას, როგორც მისივე სხვას. ეს ი მ ა ს ა ც ეხება, ჩემს წინ რომ ზის და ყოველ საჭირო მომენტში სახეს იცვლის. თქვენც, როგორც გენებოთ, ისე წარმოიდგინეთ. აქ სრული თავისუფლებაა. ამბობენ, გაჩენის დღიდან დღემდე ჩვენს პლანეტაზე დაახლოებით 77 მილიარდ ადამიანს უცხოვრიაო. მათ შორის ორი არ ყოფილა ისეთი, აბსოლუტურად რომ დამსგავსებოდნენ ერთმანეთს და რაღა ჩემს მიერ აღწერილი ის დაემსგავსება იმას? მით უმეტეს, როცა საკუთარი სულის სარკეში იხედები და შენს მაგივრად სხვას ხედავ ან გეჩვენება, რომ ხედავ, თორემ ისე საკუთარ ეჭვებს ესაუბრები, სხვა არაფერი...

ის კი ისევ ზის ჩემს წინ და მაცდურად იღიმება, ვაკვირდები მის სახესხვაობას და ხან ვის ვამსგავსებ, ხან ვის, როგორც დიდს ისე პატარას, გამოჩენილ მოღვაწეებსა თუ უბრალო ადამიანებს, მათ შორის ზოგიერთ ჩემს მეგობარსაც. თან ვითომ არც ვიცოდე, ვისთან მაქვს საქმე, ისე ვეკითხები:

მ ე: ბოდიში, მაგრამ ვინ ბრძანდებით?

ი ს: ვინ ვბრძანდები? ვინც თქვენ თვითონ ბრძანდებით. მაგრამ არ გინდათ, რომ ბრძანდებოდეთ.

მ ე: ვინ „თქვენ“.

ი ს: შენ, მე, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი — განა ეს სულერთი არ არის? იმ „№“-ში ხომ ყველანი ვიგულისხმებით.

მ ე: ის მაინც მითხარით, საიდან მობრძანდებით?

ი ს: პიტეკანტროპის დროიდან, როცა ის ნეტარცხონებული Homo sapiens-ი გაჩნდა და ქვეყანას თავგზა აუბნია თავისი გონიერებით.

მ ე: ახლა საით მიემგზავრებით?

ი ს: საითაც თქვენ, კოლეგა, გერმანიაში, ბერლინში...

მ ე: ჰო, მართლა, თქვენ ერთხელ ბრძანეთ, წარმოშობით გერმანელი ვარო და დაუმატეთ: ნამდვილი გერმანელიო.

გაეცინა, მერე ერთი ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის სახე მიიღო, წვერი მოიქექა და სულ სხვისი ხმით თქვა:

ი ს: მე კი არა, ბატონმა შლეგელმა თქვა, თითქოს გერმანელების მოგონილი ვიყო. რაკი თვითონ გერმანელებმა ისურვეს ასე, თავაზიანობის გამო უარი ვერ ვუთხარი და დავეთანხმე. თუ თქვენც გნებავთ, რომ მე გერმანელი ვიყო, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, შესაძლებელია, ასე უფრო მოსახერხებელიც იყოს, რადგან ჩვენ ახლა სწორედ გერმანიაში მივემგზავრებით.

მ ე: იქნებ მე არ მსურს, გერმანიაში ისევ თქვენ დაგინახოთ.

ი ს: მე მინდა, პატივი ვცე თქვენს სურვილებს, მაგრამ ამას მაინც ვერ შესძლებთ.

მ ე: რატომ?

ი ს: იმიტომ, რომ თქვენ უკვე ხედავთ იმას, რაც არ გინდათ, რომ დაინახოთ.

მ ე: თქვენი სახით?

ი ს: თუნდაც ჩემი სახით, მაგრამ მე ხომ მარტო არა ვარ! არც შემიძლია მარტო ვიყო. მე მხოლოდ სხვაში ვარსებობ, ისე, რომ საკუთარი არსებობა არც გამაჩნია. თქვენ, ადამიანებიც ასე ხართ: ამბობთ — ღმერთი ადამიანში იბადებაო, მე კი გავიწყდებით, რატომ? მეც ხომ თქვენში ვიბადები და თქვენშივე ვცხოვრობ, ვიდრე ბჭეთამდე ჯოჯოხეთისა. იქ კი თქვენ სასურველი სტუმარი იქნებით, მე კი გულუხვი მასპინძელი...

მ ე: ეს მეტისმეტია. თქვენ გგონიათ, ყველა თქვენი სასურველი სტუმარია?

ი ს: აქ სიტყვა „სასურველი“ უადგილოა, გირჩევნიათ თქვათ — „აუცილებელი“.

მ ე: რაკი თავაზიანობაზე მიდგა საქმე, მინდა, ბოდიში მოვიხადო, მაგრამ მაინც პირდაპირ გკითხოთ, ხომ არიან ისეთებიც, ვისაც თქვენ ეზიზღებით?

ი ს: რა თქმა უნდა, არიან. ის კი არა, ბევრიც, თუკი, „მრავლისა“ არ იყოს, ეს სიტყვა რამეს ნიშნავს. ჩემთვის კი ეს ცარიელი ბგერებია. შეიძლება ზოგჯერ ხუთიც ბევრი იყოს, ზოგჯერ კი ხუთასიც ცოტა. ამიტომ გირჩევთ, აქ ისევ ის „№“ იხმაროთ. ესე უფრო მოსახერხებელია. შემიძლია, თქვენი სურვილიც დავაკმაყოფილო და ვთქვა: „ყველას“, დიახ, მე ყველას ვეზიზღები, თუმცა ეს ხელს არავის უშლის, სიამოვნებით მისტუმრობს. ხომ იცით, თქვენი „ზიზღი“ ჩვენს ენაზე ითარგმნება როგორც „სიყვარული“, ხოლო ჩვენს „სიყვარულს“ თქვენ „ზიზღს“ უწოდებთ, ისე კი აზრადაც არ მოგდით, რომ ეს ერთი და იგივეა. ამიტომ, როცა თქვენ ზიზღით გვახსენებთ, ჩვენ სიყვარულით მოვდივართ... და რადგან თქვენ ზიზღის გარეშე არსებობა არ შეგიძლიათ, ჩვენ, ალბათ, ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

მ ე: მე არ ვისურვებდი ამას...

ი ს: ასე გგონიათ? მე თუ მკითხავთ, თქვენ უკვე ისურვეთ. ისე არც მოვიდოდი. მე ხომ სხვისი სურვილით ვარსებობ, მხოლოდ ს ხ ვ ი ს ი...

მ ე: პირადად მაინც არ ვისურვებდი თქვენთან შეხვედრას.

ი ს: შესაძლებელია, ეს რომ თქვენზე იყოს დამოკიდებული. მაგრამ ასე არ არის! თქვენ ხომ მარტო არა ხართ. დაგავიწყდათ? რაც შეეხება სიტყვას პ ი რ ა დ ა დ, ესეც ცარიელი ბგერებია. თავისთვის ყველა „პირადადაა“, სხვისთვის კი ყველა სხვაა, ასეთი ცნებებით ვერაფერს გამოხატავთ. პირიქით, სულ იმის ცდაში იქნებით, თქვენი ცუდი სხვაში დაინახოთ, სხვისი კარგი კი თქვენად მიიჩნიოთ და თავი ინუგეშოთ სიტყვებით, რაც იმ უწმინდურ ლუკას სახარებაში წერია:

— ღმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხუანი კაცნი...

ასე „№“ კი არა, ორი კაცი ვერ გამოძებნის საერთო ენას. ამას გირჩევნიათ, ჩემი ენა შეისწავლოთ. იგი იმას კი არ გამოხატავს, რაც გვსურს ვიყოთ, არამედ — რაც ვართ. ხოლო იქ, სადაც ვინმეა, მეცა ვარ. თქვენ გგონიათ, მე ეს მსიამოვნებს? პირიქით, მირჩევნია, სულაც არ ვიყო..

მ ე: გამიგონია, თქვენი ყველაზე დიდი ეშმაკობა ისაა, რომ გინდათ დაგვარწმუნოთ, ვითომ არც არსებობთ.

ჩემი ნათქვამი რატომღაც არ ესიამოვნა, წამოხტა, ვიწრო დერეფანში ფეხათრევით გაიარ-გამოიარა და ისევ ჩემს წინ დაჯდა.

ი ს: ამბობთ, „თქვენი ეშმაკობაო“, მაგრამ მეც რომ გკითხოთ, ვინ თქვენი-მეთქი, განა პირდაპირ იტყვით „ეშმაკისო?“ არა, რამე სხვას მოიგონებთ. ეშმაკობაც ეს არის, ისე კი გგონიათ, რომ ეშმაკობა მართლაც ეშმაკის მოგონილია?

მ ე: აბა, ვისი?

ი ს: სხვისი, ვინც თვითონ შესცოდა და ეშმაკს გადააბრალა: იმან შემაცდინაო. სწორედ ეს იყო პირველი ეშმაკობა. მერე ამას სხვაც მოჰყვა. მისმა უქალწულესობამ. ქალბატონმა მარიამმა ბატონი ქრისტე ისე შვა, რომ...

აქ მან ისეთი ჯოჯოხეთური ხარხარი ატეხა, რომ კუპეებიდან შეშინებულმა გოგოებმა გამოიხედეს, მაგრამ დერეფანში მარტო მე რომ დამინახეს, გაოცებულები ისევ თავიანთ ბუნაგებში მიიმალნენ...

ის კი უკვე უხმოდ იცინოდა და ისე განაგრძობდა:

— მერე სხვებმაც ინატრეს ეს და იმ ქალწულ ღვთისმშობელს შეღაღადეს: — ო, დედაო ღვთისა მარიამ, რომელმაც ჩასახე, ისე რომ არ შეგიცოდავს, მოგვეცი ცნობა, ვითარ შევცოდოთ ისე, რომ არ ჩავსახოთ...

დერეფანში ისევ ისეთი ხარხარი გაისმა, მაგრამ ახლა მხოლოდ ლენამ გამოიხედა და ისევ მარტო მე რომ დამინახა, უხერხულად გამიღიმა, მხრები აიჩეჩა და უკანვე შებრუნდა კუპეში...

მე კი ისევ მისი ლაპარაკი მესმოდა:

ი ს: ეს უკვე ეშმაკობა კი არ არის, ეშმაკობის სურვილია. მეც ვაკმაყოფილებ მათ სურვილს, სხვებისასაც, თუკი ვინმე რამეს ისურვებს. მსურველი კი ძალიან ბევრია. ხან ერთი მიხმობს, ხან მეორე. ზოგჯერ კი ყველა ერთად ატყდება და ჩემკენ იწვდის ხელებს....

აქ მან ისეთი ჟესტი გააკეთა, გერმანელები რომ ესალმებოდნენ თავიანთ ფიურერს.

— მეც სიამოვნებით მივდივარ მათთან და ვნაწილდები მათში, რადგან ამით პირადად მე არაფერი მაკლდება, პირიქით. თქვენ რომ ამბობთ, ღმერთს მეტი აქვს, ვიდრე იძლევაო, მეც ისე ვარ. რაც უფრო ვნაწილდები სხვაში, მით უფრო ვიზრდები ჩემში. ამიტომაც ვარ ამოუწურავი. შემიძლია ყველას გავწვდე. ისინი კი მადლობის მაგივრად — „ფუი ეშმაკსო“, მაფურთხებენ. ის კი არა, ბატონმა ლუთერმა სამელნეც კი მთხლიშა თავში, მაგრამ რა? არაფერი! რამდენიმე ხნის შემდეგ მანვე აღიარა ჩემი აუცილებლობა და იმავე მელნით დაწერა, „ქვეყანა ეშმაკის სახლიაო“. თუმცა მე თქვენი სახლი სულაც არ მჭირდება, გულიც შინისკენ მიმიწევს...

მ ე: რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, „შინისკენო“: გერმანიას ხომ არა?

ი ს: როგორ გეკადრებათ. მართლა გერმანელების მოგონილი ხომ არ გგონივართ! მე მანამდეც ვიყავი, სანამ ისინი გაჩნდებოდნენ. ამიტომ, ისეთივე გერმანელი ვარ, როგორიც ფრანგი და ისეთივე ფრანგი, როგორიც ინგლისელი ან სხვა ვინმე. ეს სულერთია. ჩვენში ასეთ რამეებს არ ანსხვავებენ, ხომ გაგიგონიათ, ტყუილი საფლავის ქვებზეც წერიაო. თუ ასეა, მეც ფარნეიში ფერფლით სავსე ურნაზე გაკეთებულ წარწერას გავიმეორებდი:

— ჩემი სული ყველგანაა, გული კი აქ...

მ ე: სად აქ?

ი ს: თუნდაც გერმანიაში, სადაც ბევრი მეგობარი მყავს. მეგობარი კი, როგორც ერთმა ჩემმა ძველმა ნაცნობმა თქვა,

ორი სულია ერთ სხეულში. ასეთი მეგობრები ეშმაკებსაც სჭირდებათ. აკი მოგახსენეთ, რომ ისინი სხვის სხეულში ცხოვრობენ. გერმანელები კი ისეთი ეშმაკთმოყვარე ხალხია, რომ თავიანთ თანამემამულედაც გამომაცხადეს, თუ ასეა, მე იქ სტუმარი კი არა, მასპინძელი ვარ. თანაც ის მომწონს, რომ გერმანელებს კარგად ესმით ჩემი, მეც მიყვარს, როცა ამბობენ: „მთელ მსოფლიოს გერმანული მზე ანათებსო“, „გერმანია კაცობრიობის გულიაო“, „გერმანულ ენას ვერც ერთი ენა ვერ შეედრებაო“, „გერმანელი ქალები ყველა ქვეყნის ქალებს სჯობიანო“. იმასაც ამბობენ: „სხვა ერებს შეუძლიათ გერმანელები მოსპონ, დამარხონ, მაგრამ როცა ამას გააკეთებენ, მერე მიხვდებიან თავიანთ შეცდომას და საფლავებიდან დაუწყებენ მათ ამოთხრასო“.

მ ე: ვინ ამბობს მაგას?

ი ს: ჩემი კოლეგა გერმანელები ამბობენ, ფრიად პატივცემული მწერლები, ფილოსოფოსები და სახელმწიფო მოღვაწენი, რომელთაც ჩვენში ძალიან აფასებენ. მოგეხსენებათ, რომ მე მათთან ხელშეკრულებაც მქონდა დადებული ოცდაოთხი წლით. ეს დრო გავიდა და მივემგზავრები ანგარიშის გასასწორებლად, „რამეთუ მოვიდა დღე იგი დიდი რისხვისა მისისაჲ და ვინ შემძლებელ არს დადგომად?“

ეს მან ისეთი მრისხანებით წარმოთქვა, რომ სულ ცეცხლს აკვესებდა თვალებიდან. თან ხელებს ჯვარცმულივით შლიდა და ზეცის მაგივრად თითქოს ჯოჯოხეთს ხედავდა. ისიც სასეირო ამბავი იყო, ეშმაკი რომ ასე ხშირად იმოწმებდა „წმიდა წიგნებს“.

ამბობენ, ურჯულომ დაიფიცა და რჯულიანმა დაიჯერაო. ნიურნბერგის პროცესზეც ასე იყო. ის „ეშმაკის ნაბუშრებიც“ სულ წმინდა წიგნებს იმოწმებდნენ თავიანთი უწმინდური საქმეების გასამართლებლად. ეს კი ამ საქმის ოსტატი გახლდათ. რამე საშინელებას იტყოდა და, მაშინვე სახარებას დაიმოწმებდა, ვითომ თვით ქრისტე-ღმერთია ეშმაკის ალიბი და თქვენი სარწმუნოებაც სულ შიშსა და სისასტიკეზეა დაყრდნობილიო. თვითონაც მაცხოვრის სახეს იღებდა და წყნარად განაგრძობდა:

— ამასაც სხვების სურვილით ვაკეთებ, თორემ იმ პატივცემულ ვიგინდარებთან წანწალს შინ ყოფნა მირჩევნია. თუმცა, რას იზამ, თქვენი ფარისეველური მორალისა და სამართლის მიხედვით დანაშაულს აუცილებლად სასჯელი უნდა მოჰყვეს.

მ ე: განა თქვენთან ასე არ არის?

ი ს: როგორ გეკადრებათ, პირიქით, ჩვენთან დანაშაული დიდად საპატიო საქმედ ითვლება. სხვათაშორის იქაც, სადაც ახლა მივემგზავრებით. სხვები მაძალებენ, თორემ მე იმათ, დავსჯიდი კი არა, დავაჯილდოვებდი კიდეც...

მ ე: რითი?

ი ს: ჯოჯოხეთის ორდენებით, სატანის კვერთხითა და ეშმაკის მათრახით. თან ისეთ ადგილას დავასახლებდი, თავი სამოთხეში ეგრძნოთ, თქვენ რა გგონიათ, ჯოჯოხეთს არა აქვს თავისი სამოთხე?

მ ე: ეს მე არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, მაგრამ, ეროი მიბრძანეთ, თქვენ რას კისრულობთ იმ სამსჯავროში — ბრალმდებლის თუ დამცველის როლს.

ი ს: ჩვენთან ასეთი დაყოფა არ არის. ვინც ბრალს სდებს ვინმეს, იმავე დროს იცავს კიდეც, ან თუ იცავს, ბრალსაც დებს. მეც, ასე ვთქვათ, დამცველი ბრალმდებლის როლი უფრო მეჯერხება. ესე იგი, თქვენებურად მე ბრალს დავდებ, რაც ჩვენებურად დაცვა იქნება, ან პირიქით. ასეთია ჩვენი სამართალი...

მ ე: მოსამართლენი ვინ იქნებიან?

ი ს: დიდად პატივცემული ბატონები, დანაშაულის დანაშაულით დათრგუნვის დიდოსტატები; სამართლიანი უსამართლობის ქურუმები, რომელნიც კანონიერ უკანონობას სცემენ თაყვანს.

მ ე: რამდენ კაცს უპირებთ გასამართლებას?

ი ს: №-ს, ჩემო ბატონო, №-ს. სხვაგვარად აქ ვერც ვერაფერს ვიტყვი, რადგან, თქვენივე ბრძანებით, რამდენი დამნაშავეა, ამას ეშმაკიც ვერ გაიგებს. მართალი ბრძანებაცაა, აბა, ვინ იტყვის, რამდენი დამნაშავეა, როცა არ ვიცით, დანაშაული რაა. ერთისთვის ის ბოროტებაა, მეორისთვის — სიკეთე, ბოროტი სიკეთე ან, თუ გნებავთ, კეთილი ბოროტება. მათ შო-

რის არც საზღვარია და არც რიცხვი. ზოგიერთი გერმანელი იმასაც ამბობს, ყველა დამნაშავეაო. კი, ბატონო, რაკი ასე გნებავთ, მეც მანდა ვარ, ხომ იცით, სადაც ყველა დამნაშავეა, იქ ყველა უდანაშაულოა. თუ ასეა, მე აქ რა მესაქმება! თქვენ ისედაც კარგად გაართმევთ თავს ყველაფერს. მეც ხომ ვხედავ, ადამიანებმა ეშმაკებსაც რომ გვაჯობეთ სიავეში. ის კი არა, ჩვენზე უკეთესი ჯოჯოხეთიც მოიწყვეთ თქვენთვის, ნამდვილი სამოთხისებური ჯოჯოხეთი. უწინ აღთქმული ქვეყნისკენ ილტვოდით და ჯოჯოხეთში ხვდებოდით, ახლა ჯოჯოხეთისკენ ილტვით და აღთქმულ ქვეყანაში ხვდებით. ის კი ვერ გაგიგიათ, რომ ეს ერთი და იგივეა. აგერ თქვენი აღთქმული ქვეყანაც. სადაცაა შევალთ ბერლინში და ნახავთ კართაგენს. მერე იტყვით, ეს, აღთქმული ქვეყანა კი არა, ჯოჯოხეთიაო, თითქოს ჯოჯოხეთიც თქვენი მოგონილი არ იყოს და ეშმაკიც. ისე კი იძახით: „ფუი ეშმაკსო“, „ეშმაკმა წაგიღოსო“, „ეშმაკმა შემაცდინაო“, „ეს, ცხოვრება კი არა, ჯოჯოხეთიაო“ და სხვა ამგვარ სისულელეს. მაგრამ, რაკი ინებეთ, ასეთი სახელი შეგერქვათ ჩვენი ქვეყნისათვის, კეთილი, იყოს ასე. მე „ჯოჯოხეთზეც თანახმა ვარ. ოღონდ იცოდეთ, რომ თქვენი ჯოჯოხეთი ჩვენი სამოთხეა, ხოლო თქვენი სამოთხე — ჩვენი ჯოჯოხეთი. მეტიც, ჩვენ ჯოჯოხეთი ან, როგორც თქვენ ბრძანებთ, „შესაკრებელი“ თუ „საყდარი ეშმაკისაჲ“ უფრო ძვირად გვიღირს, ვიდრე თქვენ — „ცათა სასუფეველი“. ამიტომაა, რომ ჩვენთან მხოლოდ ღირსეულებს ვიღებთ, დანარჩენ ვიგინდარებს კი სამოთხეში ვგზავნით.

მ ე: თუ კეთილებს — სამოთხეში, ბოროტებს კი — ჯოჯოხეთში?

ი ს: რა თქმა უნდა, მაგრამ რასაც თქვენ ბოროტებას ეძახით, ჩვენთვის სიკეთეა, ხოლო სიკეთე — ბოროტება, ამიტომაცაა, ბოროტი კი გვსურს, მაგრამ კეთილი გამოგვდის. ასეა, კოლეგა, ყველაფერი პირობითია. თეთრებისათვის ეშმაკი შავია, შავებისათვის — თეთრი. აფრიკელები ამბობენ: ჩვენი ღმერთი შავია, მხსნელი შავია, ჩვენი ანგელოზები შავებია, მხოლოდ ეშმაკები არიან თეთრებიო. თქვენ კი რას იტყოდით? პირიქით, ასეა სიკეთეც და ბოროტებაც. ამიტომ, ჩვენში ბოროტება შეუძლებელია, ეს მხოლოდ თქვენი მოგონილია.

მ ე: როგორ გეკადრებათ!

ი ს: დიახაც მეკადრება, აბა, მიბრძანეთ, რა მიგაჩნიათ ყველაზე დიდ ბოროტებად?

მ ე: მოყვასთა კვლა ან წამება.

ი ს: დიახ, „არა კაც ჰკლა“... ათი ცნება, რომელსაც, ჩვენთან უფრო იცავენ, ვიდრე თქვენთან. აბა, სად გაგონილა, რომ ჯოჯოხეთში ვინმეს კლავდნენ. იქ, ვისაც სიკვდილი უნდა, იმასაც არ კლავენ. არც მკვდრებს აძლევენ სიკვდილის ნებას. ხომ გახსოვთ, როცა მე ის შეშლილი მესია ვიყავი, სიკვდილით დასჯის მუქარით ავუკრძალე გერმანელებს თავის მოკვლა... ეს კი ნამდვილად ჩვენებურია, ჯოჯოხეთური, სადაც ყველა უკვდავია.

მ ე: წამებაც მარადიულია, არა?

ი ს: რა თქმა უნდა, მაგრამ წამებაც და შურისძიებაც ჯოჯოხეთიდან კი არა, ცათა სასუფევლიდან მოდის, პირველად იქ „განიღო ტაძარი კარვისაჲ მის საწამებლისაჲ“. ჩვენც იმის განაჩენს ვასრულებთ, „რომელსა იგი აქუს მახუილი ორპირი აღლესული“, რადგან ეს მისი პრივილეგიაა. აკი თქვენი უწმინდური მამებიც გვაფრთხილებენ:

— ნუ თავით თუისით შურსა იძიებთ, საყუარელნო, არამედ ეცით ადგილ რისხუასა, რამეთუ წერილ არს: ჩემი არს შურისგებაჲ და მე მივაგო, იტყუის უფალი...

ამას ხომ აპოკალიფსის ამაზრზენი შურისძიება მოჰყვა, ჯოჯოხეთში შთანთქმა და კბილთა ღრჭენა. ასეა, ყოველივე ეს თქვენი მოგონილია. ჯოჯოხეთის გასაღებიც თქვენა გაქვთ.

— და მქონან კლიტენი სიკუდილისა და ჯოჯოხეთისანი, — წერია თქვენს სახარებაში. ჩვენ კი ამ შემთხვევაშიც სხვის ნებას ვასრულებთ, თანაც კანონების უზუსტესი დაცვით. თვითონ კი არავის არაფერს ვუსჯით. ან ვინ უნდა მიუსაჯოს! ჩვენ არც მოსამართლეები გვყავს და არც ნაფიცი მსაჯულები. ამასთანავე, ჯოჯოხეთში მხოლოდ დამნაშავეებს სჯიან. თქვენთან კი ბავშვებსაც არ ინდობენ. ხომ ხედავთ, თქვენი სახარება სულ ზეპირად ვიცი, განა იქ არ წერია, „და შვილნი მისნი მოსწყუდნე სიკვდილითაო?“

ან ომი აიღეთ. ჯოჯოხეთში ომი ვის გაუგონია! იქ მხოლოდ წესრიგია და მშვიდობა. თქვენ თვითონ რომ ადამიანებს მარა-

დიულ ტანჯვა-წამებას არ უსჯიდეთ, არც ეს საზიზღრობა იყ-
ნებოდა ჩვენთან, ახლა კი: — იცოხნიდეს [illegible]
ვილისაგან... და მათ დღეთა შინა ეძიებდენ [illegible]
და ვერ პოვონ, და ჰსურდის მოკუდომად, და იქმნების
მათგან სიკუდილი...

მ ე: ამგვარ ბოროტებას თქვენ შთაგონებთ ადამიანებს
და აცდენთ მათ!

ი ს: როგორ გეკადრებათ! ჩვენ რომელი შთამაგონებელი
ვართ! პირიქით, ვისაც ჯოჯოხეთის შხამი დაულევია, იცის,
რომ ჩვენ დაგმობილთა მოდგმას ვეკუთვნით. შთამაგონებლები
კი თქვენ სხვები გყავთ: ღმერთები, მათი მოციქულები, პოლი-
ტიკოსები, ფილოსოფოსები, ჟურნალისტები... იმათ მიჰკით-
ხეთ. ჩვენთან ჯერ ერთი წიგნი არ დაბეჭდილა, არც ჟურნალი
გამოდის, არც გაზეთი. ეს ყველაფერი თქვენი მოგონილია.
იარაღებიც თქვენი მეცნიერების ნაყოფია. ვერა სედავთ, მთე-
ლი ქვეყანა რომ სასაკლაოდ აქციეთ? სულ იძახით, „კეთილი
ღმერთი და ბოროტი ეშმაკი“, თან იმ სიბრძნისათვის მოქა-
დულ სოლომონივით ფარისევლობთ და ამბობთ: „მოქმედი კე-
თილისა ეძიებს მადლსა კეთილისაო“. ან კიდევ: „ბოროტნი
გონებითა თანაყოფენ ბოროტსაო“, თვითონ კი in gloriam
Dei— ღმერთის სადიდებლად ისევ იმ „ბოროტ ეშმაკს“ ემსახუ-
რებით. აბა, ვინა თქვა: malum malo medicari — ბოროტება
ბოროტებით დაიძლევაო? — თქვენ, კეთილმა და ღვთისნიერმა
ადამიანებმა. ბრალს კი ჩვენ გვდებთ ბოროტების შთაგონე-
ბაში. რატომ? ჩვენც ხომ თქვენსავით ტალახით არ ვიცლით
ჭუჭყს! არც ვფარისევლობთ. თქვენ ამტკიცებთ, გმირული სუ-
ლი ტანჯვაში იწრთობაო. რაკი ასეა, კარგი, ბატონო, ტანჯვა
გნებავთ? წამება? კეთილი და პატიოსანი. ჩვენ არ მოგა-
კლებთ ამ სიამოვნებას. ჯოჯოხეთის კარი მუდამ ღიაა. მობრ-
ძანდით, დაგხვდებით, გიმასპინძლებთ, გნებავთ, ცეცხლს შე-
გინთებთ, გნებავთ, ჩანგალზე დაგკიდებთ... იმისდა მიხედვით,
თუ რას იმსახურებთ...

მ ე: რა საზიზღრობაა!..

ი ს: გეთანხმებით, ეს, რა თქმა უნდა, საზიზღრობაა, მაკ-

რამ ამას სულ თქვენგან ვსწავლობთ. ჩვენ არაფერს არ ვიგონებთ. არც შეგვიძლია რამე მოვიგონოთ, რადგან განათლება არა გვაქვს. ჩვენთან არც სკოლებია, არც უნივერსიტეტები. წერა-კითხვასაც არავინ გვასწავლის. ჩვენ მხოლოდ ადამიანის სულში ვიხედებით და ვიგებთ ყველაფერს. თქვენ კი უაღრესად განვითარებული ვაჟბატონები ბრძანდებით, ჩვენ თქვენი წაბაძვით ვაუმჯობესებთ წამების ტექნიკას. ახლაც, შინ რომ დავბრუნდები, ისეთ სიახლეებს ჩავიტან, რომ თვით ლუციფერსაც თმა ყალყზე დაუდგება სიხარულისაგან..

მ ე: რატომ სიხარულისგან?!

ი ს: იმიტომ, რომ ეს უ კ ე თ ე ს ი იქნება, ვიდრე ჩვენთანაა. უკეთესი კი, მოგეხსენებათ, კარგის მეტოქეა, ისევე როგორც უარესი ცუდისა. ამიტომ, ვისაც უარესის ეშინია, ცუდით უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ვისაც უკეთესის ეეჭვება, კარგს დასჯერდეს. ჩვენ არაფრის გვეშინია, ამიტომ, კარგს უკეთესი გვირჩევნია. თქვენ კი ცუდს გითმობთ, რადგან უარესის გეშინიათ. ცუდზე უარესი კი შეიძლება მართლაც არასასიამოვნო იყოს.

ვილაცის ნათქვამი გამახსენდა, მჯერა, რადგან აბსურდიაო, თუმცა არაფერი მითქვამს. იმან კი მაინც მიპასუხა:

ი ს: რა თქმა უნდა, აბსურდია, სამაგიეროდ ლოგიკურია.

მ ე: განა თქვენ ლოგიკაც იცით?

ი ს: დიახ, და ისიც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში შეთვისებული.

მ ე: ისევ ბოდიში, მაგრამ ეს სატანის ლოგიკაა!

ი ს: რატომ სატანის! მე იგი თქვენი ღმერთის მაგალითზე ვისწავლე, როცა თეოლოგიის ლექციებს ვისმენდი...

ახლა მე გამეცინა, იმან კი უკმაყოფილოდ შემომხედა:

ი ს: რატომ გეცინებათ? განა ეშმაკს არ შეუძლია თეოლოგია ისწავლოს! როცა ვინმე ბრალს გდებს ბოროტებაში, ხომ უნდა იცოდე, რატომ? მეც ეს მაინტერესებდა და გამოჩენილი თეოლოგის ლექციაზე შევედი. იგი სწორედ ბოროტების გენეზისზე ანუ პირველცოდვაზე (Ursünde) ლაპარაკობდა. ძალიან მომეწონა მისი აზრების ლოგიკური სიმტკიცე:

— არსებობს რამდენიმე მოდუსი, — თქვა მან, — ან

ღმერთს უნდა მოაშოროს ქვეყანას ბოროტება, მაგრამ არ შეუძლია; ან შეუძლია, მაგრამ არ უნდა მოაშოროს; ან არც უნდა და არც შეუძლია; ან კიდეც უნდა და კიდეც შეუძლია. მაშასადამე, თუ უნდა და არ შეუძლია — ეს სისუსტეა, რაც ეწინააღმდეგება ღმერთის გაგებას: თუ შეუძლია და არ აკეთებს — ეს ბოროტებაა, რაც არანაკლებ ეწინააღმდეგება მის ბუნებას; თუ არც შეუძლია და არც უნდა — ეს სისუსტეცაა და ბოროტებაც, ერთსა და იმავე დროს, მაგრამ თუ კიდეც შეუძლია და კიდეც უნდა, რაც ერთადერთი შემთხვევაა ყველასაგან, ღმერთის ბუნებას რომ შეესაბამება, მაშინ საიდან ჩნდება ბოროტება ქვეყანაზე?..

— ეშმაკისაგან! — წამოვიძახე მე და ამაყად გადავხედე აუდიტორიას...

— კი, მაგრამ ის წყეული ეშმაკი ვინ გააჩინა, შვილო?.. შემეკითხა ლექტორი.

— ეშმაკიც უფალმა ღმერთმა, ბატონო ჩემო!

ვიდრე ლექტორი ჩემს დატუქსვას მოასწრებდა, რომელიღაც სტუდენტმა წამოიძახა:

— ღმერთი ვინღა გააჩინა, შე ბრიყვო, შენა?

— ღმერთი ბატონმა ეშმაკმა, კოლეგა! — მივაძახე და ვიდრე ისინი გონს მოვიდოდნენ, ქუჩაში გამოვვარდი... ვიცოდი, არწივი თევზს რომ ფრენას ვერ ასწავლის ან ტყუილი სიმართლეს რომ ვერასოდეს დაეწევა, მაგრამ ისე ვიყავი შეშინებული, სულ ფეხს ფეხზე ვადგამდი...

მ ე: რისი შეგეშინდათ ასე?

ი ს: ორი ღმერთის ერთად ხსენების! ერთ ღმერთს კიდევ აიტანს ეშმაკი, ორს კი — ვერავითარ შემთხვევაში. ეს ხომ თქვენს სახარებაშიც წერია: ვერვინ ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად... ისიც გერმანიაში, სადაც ღმერთი და ეშმაკი ორ უკიდურესობად მიაჩნიათ. ამ ორი უკიდურესობიდან წარმოიშვა ადამიანიო, თქვა გერმანელმა პოეტმა. მერე კი მიხვდნენ, რომ ეს ორი უკიდურესობა კი არ არის, არამედ ერთი მონეტის ორი მხარეა. მე არითმეტიკაში ცუდად ვერკვევი და ამიტომაა, ორ ღმერთს ჩემი ერთი მირჩევნია, ისევე როგორც სხვის ორს ჩემი ცალი თვალი.

დავაკვირდი და შევნიშნე, რომ ერთი თვალი შუშისა ჰქონდა. ცალთვალა ეშმაკი კი არცთუ ისე უცნობი იყო ჩემთვის, რომ ეს გამკვირვებოდა. უსიამოვნო მხოლოდ ის გახლდათ, რომ იმ შუშის თვალს ვერ ახამხამებდა, მეორეს კი ხან მოხუჭავდა, ხან გაახელდა, ზოგჯერ კი იმასაც გააშტერებდა და მაშინ, მართლაც, საშინელი სანახავი იყო, მიუხედავად მისი სიმპათიური გარეგნობისა...

ამ დროს მეზობელი კუპის კარი გაიღო და... ლენა გამოვიდა. იმავე წამს მ ი ს ი ხმა გავიგონე:

— და სასწაული დიდი გამოჩნდა ცათა შინა: დედაკაცი, რომელსა ემოსა მზე, და მთოვარე იყო ქუეშე ფერხთა მისთა და თავსა ზედა მისა გუირგუინი ვარსკვლავთა ათორმეტთაჲ...

მერე მომეჩვენა, რომ ი ს ვიღაც „სხვა“ აწრიალდა და წასვლა დააპირა.

მ ე: სად გეჩქარებათ? — ვკითხე, თუ არც მიკითხავს, ისე მიპასუხა:

ი ს: არსად, მაგრამ არ მინდა იმას შევხვდე. ხომ იცით, ჩვენ ვერ ვიტანთ დედათა სქესს.

მ ე: რატომ?

ი ს: მათი წინაპარი არ იყო, რომ მოიგონა, ეშმაკმა შემაცდინაო. ამის შემდეგ სულ ამ სისულელეს იმეორებენ, მაშინ, როცა თვითონ რომელ ეშმაკსაც უნდათ, იმას შეაცდენენ...

აქ მან თავისებურად ჩაიხითხითა, თავი ჩემსკენ გადმოსწია და გესლიანი ღიმილით დაუმატა:

— პირჯვარი გადაიწერეთ, კოლეგა, ან სამჯერ გადააფურთხეთ მხარმარცხნივ და „ფუი ეშმაკსო“ მიაყოლეთ, თორემ ხომ იცით, ქრისტე ღმერთი როგორ დაემუქრა იოანეს ცოლს იეზაბელს:

— აჰა, ესერა დავამხუა იგი სარეცელსა ზედა, და რომელნი იმრუშებდეს მის თანა, შთავყარნე ჭირსა დიდსა, უკუეთუ არა შეინანონ საქმეთაგან მათთა...

ეს რომ თქვა, გავიხედე: ი ს აღარ იყო. ისე მოულოდნელად გაქრა, რომ დანახვაც ვერ მოვასწარი. ან რას მოვასწრებდი, როცა მე თვითონ, მგონი, მაშინ გავახილე თვალი. ის „იე-

ზაბელი“ ისე მოედინებოდა ჩემსკენ, როგორც, „ღვინისფერი მდინარე მინდორში“.

მასთან ლაპარაკის თავი არა მქონდა და, თითქოს არც შემემჩნიოს, ისევ იმ ფანჯარაზე მოწოლილ ბურუსს მივაშტერდი...

მეცხრე გარსი...

მართალია, გარეთ თითქმის არაფერი ჩანს, მაგრამ მაინც ვატყობ, რომ მატარებელი უკვე გერმანიის ტერიტორიაზე მიქრის. ზოგჯერ დანგრეულ სადგურს ჩავუვლით და გერმანულ წარწერას თუ მოვკრავთ თვალს. ეს არის და ეს, რაც გვამცნობს სინამდვილის არსებობას.

ჩვენი მგზავრებიც სულ დერეფანში არიან გამოფენილი. ფანჯრებთან ტევა არ არის. უნდათ, ყველაფერი დაინახონ, მაგრამ ადამიანის თვალიც გაუმაძღარია თურმე... ვაჟასი არ იყოს, „უნახავის დანახვა“ უნდათ და იმიტომ. ყველა ცნობისმოყვარეობას შეუპყრია. ზოგჯერ მატარებელი რომელიმე დანგრეულ-დალეწილ სადგურში შევა და ორიოდ წუთსაც არ იცდის, ისე განაგრძობს გზას. მგზავრებს არც არავინ ხვდება და არც არავინ აცილებს. ადამიანის არავითარი ჭაჭანება. მხოლოდ ნანგრევები და ბოლით გარუჯული კედლები. ხიდებიც დანგრეულია და მატარებელი სახელდახელოდ გაკეთებულ პონტონებზე გადის.

მე ისევ ფანჯრიდან ვიყურები, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალს ვერ ვამჩნევ, ირგვლივ სულ უდაბური და უკაცრიელი ადგილებია, ყველაზე საშინელი კი მაინც ის არის, რომ კაციშვილისთვის არ მომიკრავს თვალი... ადრე მხოლოდ ბურუსს მივჩერებოდი და არაფრის ყურებით ვერთობოდი. ახლა ბურუსი ოდნავ გაიფანტა, მაგრამ ვხედავ ისევ არაფერს. ბუნება კი, თუ მასში სიცოცხლის ნიშანი არ არის, საშინელია, შემაძრწუნებელიც...

— ვაი, რა ცარიელია დედამიწა უადამიანოდ, — წერს ილია. ამიტომაა, ულრან ტყეში რომ ბუკიოტის ხმაც გაგვეხარ-

დება ხოლმე, აქ კი ომის ისეთმა ქარიშხალმა გადაიარა, რომ ადამიანების კი არა, გარეული ფრინველების ნასახიც არა ჩანს...

... შუადღისას, როგორც იქნა, ერთ უზარმაზარ სადგურში შევედით. ჯერ ლიანდაგების უამრავი ქსელი შევნიშნეთ, მერე გადათხრილი მიწა, აღრეცილ-დაღრეცილი ლიანდაგების შავი სილუეტები და პარალელური ხაზების ქაოსი. ჩვენი მატარებელი კი მაინც სწრაფად მიჰყვებოდა ერთადერთ აღდგენილ „ხაზს“ და რაღაც კოშმარული ნანგრევების ჯუნგლებში შედიოდა. ეს, თურმე, ბერლინი იყო. თუმცა, რა გინდა რა, ამ ნანგრევებს ამიერიდან გინდა ბერლინი დაარქვი და გინდა კართაგენი...

გოგოებს შიშისაგან თვალები გაუფართოვდათ, მარკოვი კი კმაყოფილი შეჰყურებდა „ამ დიდებულ სანახაობას“. ბერლინი მისთვის „ნაციზმის ბუნაგი“ იყო, სხვა არაფერი. ან რა გაემტყუნებოდა, როცა იცოდა, მის ლენინგრადს რა დაუპირეს გერმანელებმა. ხომ გახსოვთ, ბრძანება რომ იყო: ლენინგრადი მოისპოს, როგორც დასახლებული პუნქტი და ცარიელი ტერიტორია ფინელებს გადაეცესო.

როცა ბრალმდებლებმა ეს ბრძანება გამოაქვეყნეს ნიურნბერგის პროცესზე, მთავარი სამხედრო დამნაშავენი და მათი დამცველები პანიკამ მოიცვა. ვინც არ იცოდა, მართლა გაოცდა, ეს რა გაუგონარი ამბავიაო, ვინც იცოდა, დარცხვენით ეუბნებოდა ჯილბერტს:

— არ ვიცი, ამ დოკუმენტს რა უნდა მოუხერხოს კაცმა ან დამცველებს რა შეუძლიათ ამაზე თქვან!

მერე საქმე ისე წავიდა, რომ მოკავშირეთა არმიები მიადგნენ ბერლინს და... მართალია, ასეთი ბრძანება არავის გაუცია, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არც არაფერი დაუკლიათ მისთვის...

... სადგურზე საგანგებოდ გამოგზავნილი ლეიტენანტი შემოგვხვდა და ავტობუსი დაგვახვედრა. გავიარეთ აყრილი ქუჩები, ჩამონგრეული შენობები. გავედით ბრანდენბურგის მოედანზე, ვნახეთ მისი მილეწ-მოლეწილი „ალაყაფის კარები“.

შემდეგ ქვისა და აგურის გროვად ქცეულ ფრანკფურტის ხეივანს გავყევით და ქალაქის გარეუბანში, კარლსჰორსტში მივედით. აქ ჯერ „ადას ბატალიონი“ მოვიშორე, მე და მარკოვი გოგოებს და ბიჭებს დავემშვიდობეთ, გინახულებთო, შევპირდით და კომენდატურისაკენ წავედით საკუთარი საქმეების მოსაგვარებლად. მე სამუშაოდ საბჭოთა ადმინისტრაციის აპარატში ვიყავი განწესებული, კულტურის განყოფილებაში. ეს სამუშაო ჩემ სამოქალაქო პროფესიასთან, ლიტერატურასა და ხელოვნებასთან იყო დაკავშირებული, რაც განსაკუთრებით მახარებდა.

ლილი მარლენი...

უწინარეს ყოვლისა, ბინის შოვნა იყო საჭირო. კომენდატურიდან ლეიტენანტი გამომაყოლეს და წავედით „ბუდის“ საძებნელად. კარლსჰორსტი ბერლინის გარეუბანია. აქ მდიდრული ვილებია გაშენებული: გერმანული არისტოკრატიისა და მსხვილი ბურჟუაზიის საზაფხულო რეზიდენციები. რუხი, უხეში ნაგებობანი და გაბატონებული გერმანულ-გუთური სტილი უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამ სახლებში აქაიქ ისევ გერმანელები ცხოვრობდნენ. მე არ მინდოდა ვინძეს ოჯახში ჩასახლება და, თუ შესაძლებელია, ცალკე ბინა მომიძებნეთ-შეთქმა. ვთხოვე ლეიტენანტს. ვიცოდი, ეს ადვილი არ იყო ასეთ დანგრეულ ქალაქში, მაგრამ თავაზიანი ლეიტენანტი მაინც შემპირდა, რამეს მოვახერხებო.

ამასობაში ერთ პატარა მოედანზე გამოვედით. მოედნის შუა ლამაზი სკვერი იყო გაშენებული. სკვერში შილერის ბიუსტი იდგა. ლეიტენანტი ვიღაც წვერმოშვებულ მოხუც გერმანელთან მივიდა და „გამოელაპარაკა“. მე ყოველთვის მიკვირდა, როგორ ახერხებდნენ ჩვენი ოფიცრები და ჯარისკაცები ასე გაბმულ საუბარს გერმანელებთან. როგორც ჩანს, ხელების მოძრაობა და სახის მიმიკა ამ შემთხვევაში ადვილად ასრულებს ენის მაგივრობას. ახლაც ვხედავდი, როგორ წვალობდა ლეიტენანტი. მივედი და გერმანულად გამოველაპარაკე იმ მოხუცს.

— მადლობა ღმერთს, — ამოისუნთქა ლეიტენანტმა, — ამ

ოხრების ენა თუ იცოდით, რას მაწვალებდით ამდენს, ხომ ხედავთ, ამ ძეხვის ტომარას რომ ვერაფერი გავაგებინე!

— იოჰან კარლ ფრიდრიჰ ბეკენბაუერი — იმპერიის საოპერო თეატრის ორკესტრის სოლისტი, — გამომეცნაურა გერმანელი. რომ შევხედე, სრულიადაც არ ჰგავდა ასე უსაშველო გრძელი სახელისა და ტიტულის პატრონს. სამუშაო ხალათი ეცვა, ხელში გრძელტარიანი ცოცხი ეჭირა და ბაღს გვიდა. ვიოლინოზე დამკვრელისათვის არცთუ ისე შესაფერისი სამუშაო იყო, მაგრამ ომმა ამაზე მეტი პარადოქსებიც იცის. გერმანელს გაუხარდა, მათ ენაზე მოლაპარაკე ოფიცერს რომ შეხვდა და თავის ბინაში მიმიწვია საცხოვრებლად. მე ვთხოვე, იქნებ ცალკე ოთახი ნახოთ-მეთქი.

ამასობაში ერთი ტანმაღალი ქერა გოგონა მოგვიახლოვდა და შორიდან დაგვიწყო ყურება. ბიჭივით შარვალი ეცვა. სკულპტურულად გამოკვეთილი ძლიერი ტანი და გაწეწილი ქარვისფერი თმები ძალაუნებურად იპყრობდა ყურადღებას. გერმანული ჟურნალების ყდებზე მინახავს ასეთი „არიული ჯიშის მშვენებათა“ სურათები. ხელები ჯიბეში ჩაეწყო და როგორღაც დამცინავი ღიმილით მოგვჩერებოდა. მერე ჩვენთან მოვიდა, არც მოგვესალმებია, ისე აგვხედ-დაგვხედა, იოჰანს ცოცხი გამოართვა და იქვე, შორიახლო, ხის ჩამოცვენილ ფოთლებს დაუწყო ხვეტა. მე და ლეიტენანტი სკვერის გარშემო სახლებს ვათვალიერებდით. პირდაპირ ორსართულიანი ვილა იდგა. ისე შევატყვე, რომ იქ არავინ ცხოვრობდა და იმ გოგონას დავუძახე:

— ეი, ლილი მარლენ, მოდი, რაღაც უნდა გკითხო:

მე რა ვიცოდი, იმას რა ერქვა! „ლილი მარლენი“ კი ყველასათვის გასაგები იყო. ეს პოპულარული სიმღერა ფრონტზედაც გავრცელდა. ამიტომ, ჩვენი ჯარისკაცები თუ გერმანელ კაცებს „ფრიცებს“ ან „ჰანსებს“ ეძახდნენ, გოგოებს „ლილი მარლენს“ არქმევდნენ. მეც ეს მოგონილი სახელი გამოვიყენე.

„ლილი მარლენი“ მომიახლოვდა, ცოცხის ტარს დაეყრდნო, ტუჩები აიბზუა და მითხრა:

— მე სულაც არ მქვია ლილი მარლენი!

— აბა, რა გქვია, სამოთხის ჩიტო?

— რა მქვია და, ჰერტრუდა, — მერე ჩაიცინა და თავისთვის ჩაილაპარაკა: — სამოთხის ჩიტი არა, ანგელოზის ფეხი!

მე ენაზე სულ ლილი მარლენი მეკერა, ამიტომაც ვუთხარი ჰერტრუდას:

— ლილი მარლენი სჯობია, ასე დაგიძახებ, კარგი?

— თქვენი ნებაა, მე კი ჰერტრუდა მქვია და...

— იმ სახლში ვინ ცხოვრობს?

— არავინ, ბიბლიოთეკაა.

— დაკეტილია?

— დიახ, მაგრამ გასაღები მე მაქვს.

— შეიძლება გვაჩვენო?

— რატომაც არა!

შეგვიყვანა. ზემოთა სართული სულ წიგნებს ეჭირა. ქვემოთ ერთ ფლიგელში კანცელარია იყო, მეორეში საცხოვრებელი ოთახები. ჩემი პროფესიის კაცი ასეთ ბინას სიზმრადაც ვერ ინატრებდა.

— ლილი, შეიძლება, აქ ვიცხოვრო?

— რატომაც არ შეიძლება, თქვენი ნება არ არის! მაგრამ მარტო როგორ უნდა იცხოვროთ?

— არა უშავს, წიგნებთან მეზობლობას რა სჯობია!

მერე იმ ბინაში შევედით და ლილის ვუთხარი:

— ერთი ოთახი მეყოფა, აბაზანა და სამზარეულო, სხვა დაკეტეთ, არა მჭირდება.

ლილი დამპირდა, სამ-ოთხ საათში ყველაფერს დავალაგებო.

კედლებზე ჯერ კიდევ ეკიდა ჰიტლერის, გერინგის, გებელსისა და ბალდურ ფონ შირახის პორტრეტები.

— ეს პორტრეტები ჩამოხსენი, — დავავალე ლილის. ხმა არ გაუღია, მაგრამ ცალი წარბი ზემოთ აწკიპა და ალმაცერად შემომხედა. შევნიშნე, რაღაც ბოროტმა ნაპერწკალმა გაჰკრა თვალებში, მერე გესლიანად ჩაიცინა და სამზარეულოში გავიდა.

დრო მეც ბევრი მქონდა. ჯერ სამსახურში შევიარე, სამეურნეო ნაწილმა მსუბუქი მანქანა მომამაგრა, ჯამაგირი წინას-

წარ გამომიწერა და „ვოენტორგში“ ათასგვარი წვრილმანით დატვირთული გამოვბრუნდი შინისკენ. ბერლინის შოსეზე რომ გამოვედით, შოფერს ვუთხარი, — ჯერ ოთახები მაინც არ იქნება დალაგებული და ქალაქს ხომ არ დამათვალიერებინებთ-მეთქი. სიამოვნებითო, მიპასუხა და მანქანას მაშინვე შეუცვალა გეზი...

VAE VICTIS...

გალების სარდალმა ბრენმა, რომი რომ დაიპყრო და ააოხრა, თან ათასი გირვანქა ოქრო დაადო ხარკად. რომაელებმა ამაზე უარი უთხრეს. მაშინ ბრენმა სასწორზე თავისი ხმალიც დადო და წამოიძახა:

— Vae victis!.. — ვაი დამარცხებულთ!..

დანგრეული ქალაქი ბევრი მინახავს, მაგრამ ასეთი!!! ამას მხოლოდ ლეგენდარული ბაბილონი ან კართაგენი თუ შეედრება. მართლაც აპოკალიფსური ხილვის უნარი უნდა ამის წარმოდგენას:

... დაეცა ბაბილონი დიდი და იქმნა სამკუიდრებელ ეშმაკთა და საყოფელ ყოვლისავე სულისასა არაწმინდისა...

... შორით მდგომარენი შიშისათუის ტანჯვისა მისისა იტყოდიან: ვაჲ, ვაჲ, ქალაქო დიდო ბაბილონო, ქალაქო ძლიერო! რამეთუ ერთსა ჟამსა მოვიდა სასჯელი შენი...

აქ „ბაბილონის“ ნაცვლად უბრალოდ „ბერლინი“ უნდა ითქვას...

..ამბობენ, ამ ახალ ბაბილონსა თუ კართაგენში ომის დროს სამი მილიონ ექვსასი ათასი ბინა დაინგრა ან დაზიანდაო. მე თავად ვიხილე ეს საოცარი სურათი: ქალაქის ცენტრი ლაიპციგშტრასესა და ფრიდრიხშტრასეს შორის — სულ ნაცარტუტად ქცეული. მისი ვიწრო შესახვევები — მხოლოდ ქვისა და აგურის გროვა; სადგურები: პოცდამენჰოფი, ანჰალტერბაანჰოფი, ლენცერბაანჰოფი და სხვა — მილეწილ-მოლეწილი. კურფიურსტენდამის მდიდრული კვარტალები — მი-

წისაგან აღგვილი. კაიზერის უზარმაზარი სასახლე — სახურავ-
გადაგლეჯილი. ტირგარტენი — ყუმბარებით გადათხრილი...
ამ დანგრეულ ქალაქში ბრინჯაოს უზარმაზარი ძეგლებიც კი
საცოდავად გამოიყურებოდნენ. რომელიღაც კაიზერს თავი
ჰქონდა წაგლეჯილი, ცხენზე ამხედრებული რაინდი ძირს ეგ-
დო. თილაქანზე.

შემდეგ შარლოტენბურგის შოსეზე ვავედით და ტრიუმფუ-
ლი თაღისკენ გავუხვიეთ, სადაც ჰიტლერი თავის გრანდიოზულ
აღლუმებსა და ჩირაღდნებით სვლას აწყობდა. აქ ყველაზე
ტრაგიკული სანახავი იყო „ჯარისკაცური ბერლინის“ შემზა-
რავი სურათი. რა უნდოდათ და რა გამოვიდა! ჰიტლერს უკვე
შეიტანილი ჰქონდა ამ მაგისტრალის რეკონსტრუქციისა და
უზარმაზარი ტრიუმფული თაღის მშენებლობის გეგმა. აქ
უნდა ჩატარებულიყო „საბოლოო გამარჯვების“ აღლუმი. ო.
რა ზეიმი, რა მსვლელობა გაიმართებოდა! რკინით დაჭედილი
ჩექმების რა ხათქახუთქი ატყდებოდა ასფალტზე. რა ომახი-
ანი შეძახილებით შეამკობდნენ „ღმერთკაც“ ჰიტლერს. ახლა
კი აჩაჩულ-დაჩაჩული სამხედრო ტყვეები და დამშეული ბერ-
ლინელები წმენდნენ ქუჩის გასასვლელებს ნაგვისა და ნანგ-
რევებისაგან. აქა-იქ მოხუცი დედაკაცებიც დალასლასებდნენ.
ასეთ პეიზაჟში კურიოზულად ჩახატულიყო ბერლინის ცნობი-
ლი „გამარჯვების ძეგლი“ (Siegessäule), რომელიც 1871 წელს
საფრანგეთზე გამარჯვების აღსანიშნავად ააგეს. ახლა კი ვიღაც
ფრანგი ამძვრალიყო ძეგლზე და ოქროს ქალის ქანდაკებისა-
თვის ხელში საფრანგეთის დროშა მიეცა გულის მოსაოხებ-
ლად. იქვე ახლო შენდებოდა საბჭოთა მეომრების საბრძოლო
დიდების ძეგლი...

... უკან რომ ვბრუნდებოდით, ვილჰელმშტრასე გამოვია-
რეთ — ვიწრო ქუჩა, ცნობილი თავისი ძველებური, ტლანქი
პრუსიული ნაგებობებით, სადაც უწინ ჰიტლერული მთავრო-
ბის სამინისტროები იყო მოთავსებული. აქ არც ერთი დაზია-
ნებული სახლი არ შეგვხვედრია: ჩამონგრეული იყო რიბენ-
ტროპის საგარეო საქმეთა სამინისტრო, სამხედრო სამინის-
ტრო, ჰესისა და ბორმანის პარტიული კანცელარია, იქვე ახ-

ლოს საცხოვრებელი ბინებიც — გერინგის, რიბენტროპის, გებელსის, ლეის, ჰესის, ფუნკის, ჰიმლერის. ოდესღაც აქ მოსრიალებდნენ მძიმე სუპერ-მერსედესები, საიდანაც გადმოდიოდნენ ქედმოუღუნავი ფელდმარშლები და მინისტრები, გერმანიას რომ განაგებდნენ და უნდოდათ, მთელი მსოფლიოს ბატონ-პატრონები გამხდარიყვნენ. ახლა კი აქ მხოლოდ ბაბილონის გოდოლია და კართაგენი! ყველაფერი დანგრეული და განიავებული.

ერთხანს რაიჰსკანცელარიის წინაც ვიდექი... რა საცოდავი სანახავი იყო! მარცხნივ ფეშენებელური სასტუმრო „ადლონი“, სადაც ერთ დროს ხელისუფლებისათვის მებრძოლ ჰიტლერელებს თავიანთი შტაბი ჰქონდათ გამართული, ახლა სულ მილეწ-მოლეწილი იყო. ასევე უნივერსიტეტი, საგამოფენო სახლი, სამხედრო მუზეუმი, ოპერის თეატრი. ბერლინის ჩამონგრეულ რატუშაზე მხოლოდ ტრადიციული წარწერა დარჩენილიყო დაუზიანებელი: „Die beste Zeit ist immer der nächste Auguenblic (საუკეთესო დრო ყოველთვის მომდევნო წამია).

ეს ისე პარადოქსულად ჟღერდა მაშინ იმ დანგრეულ ქალაქში, რომ მხოლოდ მარკოვსა და მასავით გამწარებულთ შეეძლოთ პასუხად გოეთეს სიტყვები წამოეძახათ:

— შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ შენ!..

და, ასე გასინჯეთ, მართალიც იქნებოდნენ, თუმცა...

ვინ იცის, იქნებ ასეთი სიმართლე უფრო საშინელი იყოს, ვიდრე ჩვენს თვალწინ გადაშლილი სურათი...

უვარსკვლავებო არაფერი...

ყოველ შემთხვევაში, მე არც ვიცი, რა შეიძლება ამგვარ დამარცხებას ეწოდოს, ამბობენ, „ტოტალური კატასტროფაო“, მაგრამ ესეც ცოტაა. ერთმა გერმანელმა ჟურნალისტმა თავისი ქვეყნის მაშინდელ მდგომარეობას „ნულამდე დაყვანილი“ (Nullzustand) უწოდა და „იმპერიის არაფრობის“ (Nichtigkeit des Reiches) სურათი წარმოადგინა, გოტფრიდ ბენმა კი „უვარსკვლავებო არაფერი“ (sternenloses Nichis). შეიძლებო-

და, ისევ გოეთეს სიტყვები მოგვეშველებინა: „არაფერში დაშლა“ (zum Nichts zerfallen). ასეც იყო. გერმანელებისაგან მაშინ, მართლაც, არაფერი დარჩა, არც სახელმწიფო, არც ადმინისტრაციული ორგანოები, არაფერი, გარდა შეძრწუნებული და დაქსაქსული მასისა. აღარც ის იცოდნენ, სად იწყებოდა და სად თავდებოდა ეს „გერმანია“. ის კი არა, ასეთი საოცარი კითხვაც დაისვა: რას ნიშნავს თანამედროვე პირობებში სიტყვა „გერმანია?“ ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, თვით ამ ცნებამაც ისე დაკარგა შინაარსი, რომ საჭირო გახდა მისი ხელახალი განმარტება, თქვენ გგონიათ, სადმე, ფელეტონისტთა წრეში? არა, გამარჯვებულ სახელმწიფოთა მეთაურების უმაღლეს ფორუმზე:

პოტსდამის კონფერენციაზე, როცა გერმანიის მომავლის საკითხი ირჩეოდა, სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

ჩ ე რ ჩ ი ლ ი: მინდა, ერთი საკითხი დავსვა. მე ვხედავ, რომ აქ იხმარება სიტყვა „გერმანია“. რას ნიშნავს ახლა „გერმანია?“ შეგვიძლია თუ არა ეს გავიგოთ ისე, როგორც ომამდე გვესმოდა?

ტ რ უ მ ე ნ ი: როგორ ესმის ეს საკითხი საბჭოთა დელეგაციას?

ს ტ ა ლ ი ნ ი: გერმანია არის ის, რაც ის არის ომის შემდეგ. არავითარი სხვა გერმანია ამჟამად არ არსებობს. მე ასე მესმის ეს საკითხი.

ტ რ უ მ ე ნ ი: შეიძლება თუ არა, ვილაპარაკოთ გერმანიაზე, როგორიც ის იყო 1937 წელს?

ს ტ ა ლ ი ნ ი: როგორიც ის არის 1945 წელს.

ტ რ უ მ ე ნ ი: **მან ყველაფერი** დაკარგა 1945 წელს, გერმანია ახლა ფაქტიურად არც არსებობს.

ს ტ ა ლ ი ნ ი: გერმანია, როგორც ჩვენში ამბობენ, წარმოადგენს გეოგრაფიულ ცნებას, ჯერ ასე გავიგოთ. არ შეიძლება ომის შედეგებისაგან აბსტრაჰირება.

ტ რ უ მ ე ნ ი: კი მაგრამ, რაღაც განმარტება ხომ მაინც სჭირდება ცნებას — „გერმანია?“ მე მიმაჩნია, რომ 1886 წლისა და 1937 წლის გერმანია ის არ არის, რასაც ის წარმოადგენს ახლა — 1945 წელს.

ს ტ ა ლ ი ნ ი: იგი შეიცავალა ომის შედეგად და ასეთადაც ვიღებთ მას.

ტ რ უ მ ე ნ ი: მე მთლიანად ვეთანხმები ამას, მაგრამ როგორღაც მაინც უნდა განვმარტოთ ცნება „გერმანია“.

ამაზე სტალინმა უპასუხა:

— მე ძალიან მიჭირს იმის თქმა, თუ რა არის ახლა გერმანია. ეს არის ქვეყანა, რომელსაც არა ჰყავს მთავრობა, რომელსაც არა აქვს გარკვეული საზღვრები, რადგან საზღვრები არ დგინდება ჩვენი ჯარებით. გერმანიას არავითარი ჯარი არა ჰყავს, არავითარი ჯარი, მათ შორის არც სასაზღვრო, იგი დაყოფილია საოკუპაციო ზონებად. ახლა მოდით და განსაზღვრეთ, რა არის გერმანია. ეს არის დამსხვრეული ქვეყანა...

... კარგი დღე არც ერთ დამარცხებულ სახელმწიფოს არ დასდგომია, ამგვარ ბედს ვერც გერმანია ასცდა. ეს სრულიად აშკარად ითქვა მოკავშირეთა დეკლარაციაშიც „გერმანიის დამარცხებისა და უმაღლესი ხელისუფლების (ძალაუფლების) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების და საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მიერ აღების შესახებ“.

ამ დოკუმენტში წერია, რომ გერმანიის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო შეიარაღებულმა ძალებმა განიცადეს სრული დამარცხება, რაც მათი უსიტყვო კაპიტულაციით დამთავრდა. გერმანიას, რომელიც ამ ომის პასუხისმგებელია, უნარი აღარ შესწევს, წინ აღუდგეს გამარჯვებულ სახელმწიფოთა ნებასურვილს, რითაც თავის თავს იმ მოთხოვნილებებზე დამოკიდებულს ხდის, რასაც ახლა ან მომავალში წარუდგენენ. გერმანიაში არ არის ისეთი მთავრობა ან ხელისუფლება, რომელსაც შეეძლოს წესრიგის დამყარება, ქვეყნის მართვა და გამარჯვებულ სახელმწიფოთა მოთხოვნების შესრულება. ამიტომ საბჭოთა კავშირის, ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის (დროებითი) მთავრობები თავიანთ თავზე იღებენ უმაღლეს ძალაუფლებას გერმანიაში, რაც სრულიადაც არ ნიშნავს მის ანექსიას....

ბერლინში ჩავედი თუ არა, პირველი, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო, ის იყო, რომ ოფიციალურად არავინ არ ხმარობდა ცნებას — „გერმანია“. ნაცვლად ამისა, ამბობდნენ: ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის „საოკუპაციო ზონები“. გერმანია და ბერლინიც ოთხ ზონად იყო დაყოფილი. წინადადება ამის შესახებ პირველად ინგლისელებმა და ამერიკელებმა წამოაყენეს 1943 წელს, თეირანის კონფერენციაზე. რუზველტმა განაცხადა, გერმანია ხუთ ზონად დავყოთო. ჩერჩილი ყოყმანობდა, მაგრამ უარი არც იმას უთქვამს. სტალინს კი ამ შემთხვევაში, ინიციატივა არ გამოუჩენია.

შემდეგ ეს საკითხი ყირიმშიც ირჩეოდა. დოკუმენტებიდან არ ჩანს, რომ საბჭოთა მხარე დიდი ხალისით შეგებებოდა გერმანიის ზონებად დაყოფის წინადადებას. მართალია, ამაზე საუბარი მოსკოვის კონფერენციაზეც ჰქონდათ სტალინსა და ჩერჩილს, მაგრამ რაიმე გარკვეული გადაწყვეტილება არც თეირანში მიუღიათ და არც მოსკოვში. ჩერჩილმა თქვა, გერმანია ადრეც ბევრჯერ ყოფილა დაქუცმაცებულიო, მაგრამ, წინააღმდეგ რუზველტისა, გერმანიის ორ ნაწილად გაყოფა მოითხოვა: პრუსიად და ბავარიად. რაც შეეხება რურის ოლქსა და ვესტფალიას, იქ საერთაშორისო კონტროლი დავაწესოთო.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოსკოვის კონფერენციაზე არც შეიძლებოდა, რადგან მოკავშირეთა ერთ-ერთი მხარე — ამერიკა არ იყო წარმოდგენილი. რაც შეეხება ყირიმის კონფერენციას, აქ უკვე სტალინმა მოითხოვა „ამ საკითხზე რაიმე შეთანხმების მიღწევა“. თან ის იკითხა, გერმანიაში ცენტრალური მთავრობის შექმნაა განზრახული თუ რამე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს დავაარსებთო. შემდეგ კი დაუმატა:

— თუ მ ა ი ნ ც ა დ ა მ ა ი ნ ც გადაწყდება გერმანიის დანაწილება, რა შეიქმნება იქ: ცალ-ცალკე მთავრობები ყველა ზონისთვის თუ სხვა რამ?

ამაზე რუზველტმა უპასუხა:

— ეს პერმანენტული საკითხია. გერმანიის ზონებად დანაწილება პირველი ნაბიჯი იქნება.

ჩერჩილი ისევ ორჭოფობდა:

— მე პრინციპში თანახმა ვარ გერმანიის დაყოფისა, — განაცხადა მან, — მაგრამ ამას დრო სჭირდება, როგორ და რა საზღვრებში უნდა მოხდეს, გადაჭრით ახლა ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ შემიძლია ვივარაუდო, რომ ეს მიზანშეწონილია.

ამასთანავე, ჩერჩილი ისე უდიერად იხსენიებდა გერმანელ ხალხს: „ცხენით სიარული თუ გვინდა, თივაც უნდა ვაჭამოთო“, ან: „მანქანაში ბენზინი თუ არ ჩავასხით, ისე ვერ ვივლითო“, რომ სტალინი იძულებული გახდა რეპლიკა ესროლა:

— ეგ ვერაფერი შედარებაა, გერმანელები მანქანები კი არა, ადამიანები არიან!

ესე არს სასჯელი...

კონფერენცია მაინც შეუდგა გერმანიის ზონებად დაყოფის საკითხის განხილვას. იმ დღეს თავმჯდომარეობდა რუზველტი. მან თქვა, რომ საქმე ეხება არა მუდმივ, არამედ დროებით ოკუპაციას და ზონებად დაყოფა გერმანიის საბოლოო დანაწევრების წინა საფეხურია.

სტალინმა მეტი სიცხადის შეტანა ისურვა ამ საკითხში.

— თუ მოკავშირეებს განზრახული აქვთ გერმანიის დანაწევრება, ასეც უნდა ითქვას, — განაცხადა მან.

ჩერჩილი ყოველმხრივ ცდილობდა, გადაედო ამ საკითხის განხილვა, მაგრამ სტალინმა უკვე კატეგორიულად მოითხოვა, თუნდაც „პრინციპში გადაწყვეტილიყო“ — სურთ თუ არა მოკავშირეებს გერმანიის დანაწევრება. რაც შეეხება დეტალებს, როგორ და რა საზღვრებში, ეს შეიძლება შემდეგ განვიხილოთო.

ამაზე შეთანხმდნენ კიდეც და საკითხი წინასწარ განსახილველად გადასცეს საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომელთა წინადადებით კონფერენციის კომუნიკეში შეტანილ იქნა მუხლი გერმანიის ზონებად დაყოფის შესახებ.

ამრიგად, გადაწყდა გერმანიის ოთხ ზონად დაყოფა (საბჭოთა კავშირის, ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის). აქვე დადგინდა ე. წ. საკონტროლო საბჭოს შექმნა მთელი გერმანიის ტერიტორიისათვის.

გარდა ამისა, გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა გერმანიას წაუყენეს მოთხოვნები, რომელთა შესრულებაც მას ევალებოდა. ეს მოთხოვნები ჩამოყალიბდა 15 მუხლად და მას სათანადო მთავრობათა რწმუნებით ხელი მოაწერეს გერმანიაში განლაგებული საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლებმა: საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა, არმიის გენერალმა დ. ეიზენჰაუერმა, ფელდმარშალმა ბ. ლ. მონტგომერიმ და გენერალმა დელატრ დე ტასინ'იმ.

დეკლარაცია მოითხოვდა საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, ყველა სახეობის შეიარაღებული ძალებისა და მათი დამხმარე ორგანიზაციების სრულ განიარაღებას, სამხედრო ტყვეების ჩაბარებას, საჭირო სიებისა და ინფორმაციის გადაცემას, კავშირგაბმულობის საშუალებათა (ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო) მუშაობის შეწყვეტას, საოკუპაციო ჯარების საჭიროებისა და ნებართვის გარეშე, სამხედრო დამნაშავეთა დაპატიმრებას და მოკავშირეთათვის გადაცემას...

იქვე ნათქვამი იყო, რომ გამარჯვებული სახელმწიფოები აიძულებენ გერმანიას, შეასრულოს დამატებითი მოთხოვნები პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, ეკონომიურ, ფინანსურ, სამხედრო და სხვ. დარგში, რაც გერმანიის სრული დამარცხებიდან გამომდინარეობს. გერმანული ხელისუფლება და ხალხი ვალდებული არიან, უსიტყვოდ შეასრულონ ყველა მოთხოვნა, რასაც მათ წარუდგენენ მოკავშირეები და სხვა და სხვა...

ეს დეკლარაცია ხელმოწერილ იქნა 1945 წლის 5 ივნისს, ბერლინში. დაახლოებით თვენახევრის შემდეგ, 17—25 ივლისს შედგა ბერლინის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჰ. ტრუმენმა, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ, გენერალისიმუსმა ი. სტალინმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უ. ჩერჩილმა, რომელიც შემდეგ შეცვალა მთავრობის ახალმა მეთაურმა კ. ეტლიმ. გამარჯვებულ სახელმწიფოთა მეთაურებს თან ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები: ვ. მოლოტოვი, დ. ბირნსი, ა. იდენი (შემდეგ ბევინი) და შეიარაღებული ძალების გენერალური შტატების უფროსები. სხდომები ტარდებოდა სესილიანჰოფში, პო-

ტსდამის ახლოს. კონფერენციის ოფიციალურ დოკუმენტში გერმანიის შესახებ სრულიად გარკვევითაა განცხადებული, რომ „მოკავშირენი ანხორციელებენ მთელი გერმანიის ოკუპაციას და გერმანელი ხალხი იწყებს იმ საშინელ დანაშაულებათა გამოსყიდვას, რაც ჩადენილ იქნა იმათი ხელმძღვანელობით, ვისაც საერთო მიღწევების დროს აშკარად უჭერდნენ მხარს და ბრმად ემორჩილებოდნენ...“

როცა ნიურნბერგში ერთ-ერთი ბრალმდებელი ლაპარაკობდა ამაზე, იოანეს სახარების შეგონებაც მოიშველია:

— ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყუარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი...

... დეკლარაციაში მოკავშირეები აცხადებდნენ, რომ შესრულებული იქნებოდა ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილება გერმანული მილიტარიზმისა და ნაციზმის ძირფესვიანად აღმოფხვრის შესახებ და მიიღებდნენ იმგვარ ზომებს, რომ გერმანია კვლავ ვეღარასოდეს დამუქრებოდა მეზობელ სახელმწიფოებსა და მშვიდობას მთელ მსოფლიოში...

იქვე სრულიად აშკარად იყო ნათქვამი, რომ მოკავშირეებს განზრახული არა აქვთ, მოსპონ ან დაიმონონ გერმანელი ხალხი, რომ გერმანელ ხალხს მიეცემა საშუალება, მოემზადოს მომავალში თავისი ცხოვრების დემოკრატიულ და მშვიდობიან ნიადაგზე გარდასაქმნელად და თუ მისი მონდომება განუხრელად იქნება მიმართული ამ მიზნის მისაღწევად, რამდენიმე ხნის შემდეგ კიდეც დაიკავებს თავის ადგილს მსოფლიოს თავისუფალ და მშვიდობიან ხალხთა შორის.

ჩამოყალიბდა აგრეთვე „პოლიტიკური და ეკონომიური პრინციპები“, რომელთა შესაბამისად უნდა მოპყრობოდნენ გერმანიას საკონტროლო პერიოდის დასაწყისში. ამათგან „პოლიტიკური პრინციპი“ ითვალისწინებდა, რომ უმაღლეს ძალაუფლებას გერმანიის ზონების მიხედვით განახორციელებდნენ ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა ნთავარსარდლები, თავიანთი მთავრობების მითითებათა მიხედვით. ხოლო ერთად გადაწყვეტდნენ იმ საკითხებს, რაც მთელ გერმანიას შეეხებოდა.

საკონტროლო საბჭოს დაეკისრა: გერმანიის სრული დემილიტარიზაცია და სამხედრო მრეწველობის იმგვარად მოსპობა, რომ გერმანიას არასოდეს არ მისცემოდა საშუალება კვლავ აეღორძინებინა მილიტარიზმი და ნაციზმი. იქვე ნათქვამი იყო:

— საჭიროა, საკონტროლო საბჭომ დაარწმუნოს გერმანელი ხალხი, რომ მან განიცადა მძიმე ტოტალური სამხედრო დამარცხება და არ შეუძლია აიცდინოს პასუხისმგებლობა იმაზე, რა დღეშიც თვითონ ჩაიგდო თავი იმით, რომ ომის უმოწყალო წარმოებითა და ნაცისტების ფანატიკური წინააღმდეგობით დანგრეულ იქნა გერმანული ეკონომიკა, რამაც ამგვარი ქაოსი და ტანჯვა გამოიწვია...

... ამის შემდეგ მოკავშირეთა მთავრობებმა საკონტროლო საბჭოს დაავალეს: ნაციონალურ-სოციალისტური პარტიისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების დაშლა, ყველა ნაცისტური კანონის გაუქმება, სახელმწიფო დაწესებულებათა სრული გაწმენდა ყოფილი ნაცისტებისაგან, სასამართლო ორგანოების გარდაქმნა და კანონიერი მართლმსაჯულების აღდგენა, კვლავ აღორძინებული დემოკრატიული პარტიების საქმიანობისათვის ხელის შეწყობა.

დეკლარაციის „ეკონომიური პრინციპი" მოითხოვდა გერმანიის სამხედრო პოტენციის მოსპობას, ეკონომიკის დეცენტრალიზაციას, სოფლის მეურნეობისა და სამშვიდობო მრეწველობის განვითარების უზრუნველყოფას და სხვ.

როცა ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ლონდონში სპეციალური დელეგაციები არჩევდნენ საკითხს 1943 წლის მოსკოვის დეკლარაციის საფუძველზე იმ მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სამართალში მიცემის თაობაზე, ვისი დანაშაულიც არ ექვემდებარებოდა გეოგრაფიულ პრინციპს. მოკავშირენი გამოთქვამდნენ იმედს, რომ ლონდონის კონფერენცია წარმატებით დამთავრდებოდა და 1945 წლის პირველ სექტემბერს გამოქვეყნდებოდა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სია...

ამასთანავე, მიღწეულ იქნა შეთანხმება გერმანიის საკონტროლო მექანიზმის შესახებ. ოთხი მთავარსარდალი ქმნიდა

უმაღლეს საკონტროლო ორგანოს ანუ საკონტროლო საბჭოს, რომელიც ანხორციელებდა სრულ ძალაუფლებას გერმანიაში. მთავარსარდლებს ჰყავდათ ე. წ. „პოლიტიკური მრჩევლები“, რომელნიც საჭიროების მიხედვით ესწრებოდნენ საკონტროლო საბჭოს სხდომებს. იმავე დადგენილებით შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც ევალებოდა საკონტროლო საბჭოს გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება, საჭირო წინასწარი შეთანხმებების მიღწევა და სათანადო რეკომენდაციების მომზადება. ამის შესაბამისად შედგა საკმაოდ დიდი საკონტროლო აპარატი, სხვადასხვა განყოფილებით. ყოველ განყოფილებას მეთაურობდა ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოს პასუხისმგებელი მოხელე. განყოფილებათა შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირები. რაც შეეხება „დიდი ბერლინის“ მართვას, ამისთვის დაარსდა სამოკავშირეო კომენდატურა ოთხი კომენდანტის შემადგენლობით (თითო ყოველი სახელმწიფოდან), მთავარი კომენდანტის მოვალეობას ასრულებდნენ რიგრიგობით...

საკონტროლო საბჭოს მიერ გამოცემულ გერმანელი ხალხისადმი სპეციალურ მიმართვაში განმარტებული იყო, თუ ადგილობრივი მცხოვრებლები და ორგანოები როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ოკუპაციის პერიოდში...

როცა ბერლინის მინგრეულ-მონგრეულ ქუჩებში დავდიოდით, ამ დადგენილებებს ცეცხლით გარუჯულ კედლებზე გაკრულს ვხედავდით...

მექანიკური ევა...

კარლსჰორსტში რომ დავბრუნდით, უკვე ბინდდებოდა. პინა დასუფთავებული და დალაგებული დამხვდა. მჭვარტლით გამურული ლილი მარლენი სამზარეულოში ტრიალებდა. რომ დამინახა, ვითომ სახელოთი მოიწმინდა მური სახეზე, მაგრამ უფრო კი მოითხუპნა. მერე ფართო, თეთრი კბილები გააელვა და მკითხა:

— მოგწონთ?

— კარგია, რა უშავს!

— სხვა ოთახებიც დავალაგე, ნახეთ!

სასადილო, სასტუმრო, სამუშაო კაბინეტი — ყველაფერი დაეკრიალებინა.

— რად მინდოდა, მე ხომ მთელი დღე სამსახურში ვიქნები, აქ მხოლოდ დასაძინებლად მოვალ.

— კარგია, ასე სჯობია, ხომ შეიძლება, სტუმრებიც გეწვიონ.

მადლობა მოვახსენე. მერე კედლებს შევხედე. გერინგისა და გებელსის სურათები ჩამოეხსნა, ჰიტლერისა და შირახის კი დაეტოვებინა. ლილის დავუძახე:

— სურათები რატომ არ ჩამოხსენი?

— გერინგისა და გებელსის ხომ ჩამოვხსენი, აგერ, საკუჭნაოში შევაგდე, — აარიდა თავი პირდაპირ პასუხს.

— მარტო მაგათი რად ჩამოხსენი?

— იმიტომ, რომ გერინგი მოღალატეა, გებელსი კი მატყუარა.

— შენ რა იცი?

— ვიცი, გერინგს რომ არ ეღალატა ფიურერისთვის და გებელსს არ მოეტყუებინა, ომს მოვიგებდით.

— შენ გგონია, გერინგი და გებელსი უშველიდნენ საქმეს?

— აბა რა, მაშინ ფიურერს ჯადოსნური იარაღი ექნებოდა.

— ეს ზღაპარია!

— სულაც არ არის ზღაპარი, — ბაბუამ მითხრა.

როგორც ჩანდა, ბაბუას ნათქვამი მისთვის ჭეშმარიტების უცილობელი საბუთი იყო. მე მაინც არ მოვეშვი.

— ეს სურათებიც ჩამოხსენი.

— ვერ ჩამოვხსნი!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ფიცი მივეცი, ბოლომდე ერთგული ვიყო.

სხვა რა გზა მქონდა, ჩხუბს ხომ არ დავუწყებდი. თვითონ მივეხმარე „ფიცის მოშლაში“, სურათები ჩამოვხსენი და საკუჭნაოში გადავიტანე. ლილი მარლენი დამცინავად მომჩერებოდა, თვალები ისევ ბოროტად უელავდა. სურათები რომ „გავასვენე“, ლილიმ ისევ ტუჩაბზუებით მითხრა:

— მერე რა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, სურათებს ჩამოხსნით თუ არა.

— ალბათ აქვს მნიშვნელობა!

ისევ დამცინავად მომაჩერდა და ნიშნისმოგებით მითხრა:

— გეშინიათ ხომ, სურათების გეშინიათ! მაშ, რა გგონიათ, ასეთი იყო ჩვენი ფიურერი!

მინდოდა, სამაგიერო მიმეზღო და გერმანული ანდაზა გამოვიყენე:

— რისი უნდა მეშინოდეს, ხომ იცი, მკვდარი ძაღლი არ იკბინება.

ამის გაგონებაზე ჯერ გესლიანად შემომხედა, მერე უცებ შეტრიალდა და სახეალეწილი გავარდა სამზარეულოში, მაგრამ ერთი წუთიც არ გასულა, ისევ შემობრუნდა.

— თქვენ როგორ გგონიათ, ჰიტლერი მართლა მკვდარია?

— ჰო, ასე ამბობენ.

— ეს-ნამდვილი ამბავია?

— ალბათ!

— მაშინ მართლაც ყველაფერი დაღუპულა, — ამოიოხრა მან... — ახლა არც სხვებს დაადგებათ კარგი დღე.

— რატომ გგონია?

— ბაბუამ თქვა, ხე რომ წაიქცევა, ტოტებს მისცვივდებიანო. განა ვერ მივხვდი, რას ნიშნავს ეს!..

... ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრა გერმანიის „ადგილობრივ მოსახლეობასთან". ყველაფერი მაინტერესებდა, ამ „ქერათმიანი ბესტიას" განწყობილებაც კი. ნელ-ნელა გამოვკითხე. მამამისი რუდოლფი მაღალი რანგის ესესელი ყოფილა, „ნამდვილი ესესელიო", ხაზგასმით თქვა ლილი მარლენმა. აღმოსავლეთის ფრონტზე გაუგზავნიათ, მაგრამ უკვე მეორე წელია, მისგან წერილი არ მიგვიღიაო. დედა ვიღაც ოფიცერს გაჰყოლია და დასავლეთის ზონაში დარჩენილა.

ბაბუა იოჰანი „ვერსალის კატასტროფამდე", თურმე, პრუსიული არმიის ოფიცერი იყო, მერე ერთხანს ვიოლინოზე დაკვრით ირჩენდა თავს, ბოლოს, როცა ებრაელი ორკესტრანტები დაარბიეს, ისე დაწინაურებულა, რომ ოპერის თეატრში

მიუღიათ, ახლა კი საღამოობით კარლსჰორტის ვარიეტეში უკრავდა, ხოლო დღისით ამ სკვერს უვლიდა და საბჭოთა კომენდანტურას ეხმარებოდა ახალჩამოსული ოფიცრების დაბინავებაში.

თვითონ ლილი მარლენი „ჰიტლერული ახალგაზრდობის“ წარმომადგენელი იყო. „არიული რასის მშვენება“, სწორედ ისეთი გარეგნობის, ჰიტლერელი რასისტები რომ სანიმუშოდ თვლიდნენ. ლილი მარლენის სიამაყის მთავარი საფუძველი მისი ეს „არიული ანატომია“ იყო. ამითვე დაწინაურებული „ჰიტლერელ გოგონათა“ კავშირში. ჯერ ჩვენი სკოლის შტანდარტების მეთაური ვიყავი, მერე რაიონის გოგოების დროშების წინამძღოლიო. ყველაზე უფრო იმით ამაყობდა, ერთხელ ბალდურ ფონ შირახმა პირადად გადმომცა დროშა და ეს სურათი ჟურნალში იყო დაბეჭდილიო.

„არ დამცალდა, თორემ შეიძლება ფიურერის რძალიც გამხდარიყავიო“, — დაასრულა მან თავისი „გმირული ბიოგრაფიის“ მოყოლა.

მე ვერ გავიგე, როგორ უნდა გამხდარიყო ჰიტლერის რძალი.

— ჰიტლერს ხომ შვილი არ ჰყავდა, მისი რძალი როგორ უნდა გამხდარიყავით?! — ვკითხე გაკვირვებულმა.

გაიცინა, ეს რა სულელური კითხვა მომცაო:

— ნამდვილი ესესელების ცოლები, ყველანი, ჰიტლერის რძლები არ არიან?

ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო. ჰიტლერი ხომ ამ გზითაც ცდილობდა მომავალი ჯარისკაცების მომრავლებას აგრესიული ომებისათვის.

ამგვარი იდეების პროპაგანდას შირახი ეწეოდა ახალგაზრდობაში. ეს მან გამოაცხადა „ჩემი ბრძოლა“ ბიბლიად და საცალდებულო საჩუქრად ახალდაქორწინებულთათვის. „ჩემ ბრძოლას“ მე ზეპირად ვსწავლობდი, რომ ადვილად გამეცა პასუხი ნაციონალ-სოციალისტური იდეების კრიტიკოსებისათვისო, — წერდა შირახი. შემდეგ მან თვითონაც გამოსცა წიგნი „ჰიტლერული ახალგაზრდობა“. ამ წიგნით „აღფრთოვანებულმა“ მოწაფეებმა საჯაროდ დაწვეს სასკოლო ქუდები. ში-

რახი აღტაცებული იყო „არიული ბუნების“ ასეთი გამოვლენით და აცხადებდა, ცეცხლის წაკიდება ჩვენი ახალგაზრდობის სპეციალობაა. იგი თავს ისე უტენიდა ახალგაზრდებს ჰიტლერული დოქტრინებით, რომ სულ გადააჩვია დამოუკიდებელ ფიქრს, აზროვნებას, მოქმედებას. ყველგან მზამზარეული ფორმულა, განრიგი, მწყობრი, რიგები, კოლონები, მანქანური სიზუსტე და დავალებების მექანიკური შესრულება... ეს იყო მათი აღზრდის მთავარი მეთოდი.

ახლა სწორედ ერთი მათგანი იდგა ჩემს წინაშე: ლილი მარლენი. ჯერ სულ 17—18 წლისაა, მაგრამ უკვე წარჩინებული, დაფასებული, აღიარებული და ამით ზომაზე მეტად გაამაყებული, თანაც ფანატიკური. ღიმილის მომგვრელი იყო მისი მსჯელობა. როცა ლაპარაკობდა, ყოველთვის ვფიქრობდი: ეს სადღაც წამიკითხავს, ეს სადაცაღ წერია. თავი სულ „თავისი ფიურერის“ მზა ფორმულებითა და ლოზუნგებით ჰქონდა გამოტენილი...

... ერთხელ ფრანგი მწერლის ვილიე დე ლილ ადანის მოთხრობა „მომავლის ევა“ წავიკითხე. ამ მოთხრობის მიხედვით ცნობილმა გამომგონებელმა ედისონმა არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი-ავტომატი შექმნა, როგორც ღმერთმა ბიბლიური ევა. ქალს ტვინის მაგივრად თავში ფონოგრამა ედო, რომელზეც გამოჩენილი ადამიანების აზრები იყო ჩაწერილი. მას შეეძლო ყოფილიყო ისეთი, როგორსაც სხვები მოისურვებდნენ, წარმოეთქვა ისეთი აზრები, როგორიც სხვებს უნდოდათ...

ლილი მარლენმა მე სწორედ ეს „მექანიკური ევა“ მომაგონა...

ბრუნჰილდეს ჟამარი...

მეორე დღეს მან კარი შემოაღო და, ჯერ ისევ ლოგინში რომ მნახა, სწრაფად გაბრუნდა უკან.

კვირა დღე იყო და მინდოდა, კარგად დამესვენა, მა-

გრამ რაკი ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოვიდა, მაშინვე ავდექი. ლილი სამზარეულოში მუშობდა. მერე ჩემთან შემოვიდა და მითხრა:

— რატომ სადარბაზო კარს არ კეტავთ. არ გეშინიათ?

— რისი უნდა მეშინოდეს?

— ვინმემ რომ მოგკლათ.

— ვინ უნდა მომკლას?!

ჯერ გაეცინა, მერე თვალებში ბოროტმა ნაპერწკალმა გაჰკრა და პირდაპირ მომახალა:

— თუნდაც მე!

— თქვენ რატომ უნდა მომკლათ?

— ისე, აზრი არა აქვს, თორემ...

— კარგი, ამის შემდეგ მეცოდინება და კარს ჩავკეტავ.

წინა ღამით დიდხანს შევრჩი ბიბლიოთეკაში წიგნების თვალიერებას და დამავიწყდა, თორემ მერე ყოველთვის ვკეტავდი. მართლაც, რა იცი, სად რა ფათერაკი შეხვდება კაცს ამ არეულ-დარეულ ქვეყანაში. გაფრთხილებული ვიყავი, „არასასიამოვნო ექსცესებს“ კიდევ აქვს ადგილიო. მით უმეტეს, მთელ სახლში მე ერთი ვცხოვრობდი. თანაც, ჩემი თანამგზავრი მთარგმნელი გოგოები, ვინც ბერლინში დარჩა, შეეჩვივნენ ამ ბიბლიოთეკას და გვიან ღამემდე ფურცლავდნენ წიგნებსა და ილუსტრირებულ ჟურნალებს. სადარბაზო კარი რომ ადრე ჩამეკეტა, მათ ცოდვაში ჩავდგებოდი.

ლილი მარლენს, როგორც ჩანს, ეწყინა, მისმა მუქარამ ჩემზე შთაბეჭდილება რომ ვერ მოახდინა და თვითონ „შემიბრალა“:

— ვიხუმრე, კიდეც რომ მინდოდეს, თქვენ მაინც არ მოგკლავთ...

— რატომ, ვითომ მე რითი დავიმსახურე ამგვარი წყალობა?

— იმიტომ, რომ გერმანულად ლაპარაკობთ. მე აქ პირველად შევხვდი რუს ოფიცერს, რომელმაც გერმანული ენა იცის. ბაბუაც დაინტერესებულია. ძალიან გთხოვთ, თუ დრო გექნებათ, რამდენიმე წუთით თქვენთან სტუმრობის ნება დართოთ.

— რა უნდა, თუ იცი?

— რა ვიცი, ალბათ, მამაჩემზე თუ გკითხავთ რამეს?

— უთხარი, მოვიდეს, დღეს ხომ კვირაა, სულ სახლში ვიქნები.

— მართლა? — გაეხარდა ლილის, — აბა, ამ საღამოს მოვიყვან!

— კეთილი, მოიყვანე!

ლილი სამზარეულოში გავარდა და რამდენიმე ხანში საუზმე გამოიტანა.

— თქვენ სად ისწავლეთ გერმანული ენა?

— ჩვენთან, უნივერსიტეტში...

— თქვენს უნივერსიტეტში განა გერმანულს ასწავლიან? — გაუკვირდა ლილის.

— გერმანულს კი არა, გერმანიის ისტორიას, ლიტერატურას, ყველაფერს, რაც თქვენს ქვეყანას შეეხება.

რამეში ეჭვი რომ შეეპარებოდა, ცალ თვალს მოხუჭავდა და ისე იცინოდა. ახლაც უნდობლად შეხვდა ჩემს ნათქვამს.

— არა გჯერა, ხომ, აბა, მკითხე, რაც გინდა, გერმანული ლიტერატურიდან, თუ არ გიპასუხო.

გათამამდა. ჰანს იოსტი თუ იცითო, — მკითხა.

ეს ჰანს იოსტი ერთი საშუალო ნიჭის ჰიტლერელი მწერალი იყო, რომელიც ნაცისტური დიქტატურის დროს გერმანიაში დარჩა. გებელსის პროპაგანდა ყოველმხრივ ცდილობდა მის განდიდებას და ლილი მარლენსაც, ალბათ, ამიტომ ჩაუჯდა ტვინში.

— გერმანულ ლიტერატურაში სხვა უფრო დიდი მწერალი ვერ ნახე, რომ ჰანს იოსტზე მეკითხები?

— გერმანიას არა ჰყავს ჰანს იოსტზე ღირსეული მწერალი. უფრო დიდი ჰორსტ ვესელი იყო, მაგრამ იგი ებრაელებმა მოკლეს, — ამუშავდა მის თავში ფონოგრამა.

გამოცდა მაინც კარგად ჩავაბარე, მერე თვითონ გადავედი შეკითხვებზე და გავაწითლე. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ისევ მოხუჭა თვალი, დამცინავად გაიღიმა და მითხრა:

— ჩვენს ლიტერატურას იმიტომ სწავლობდით, რომ მერე გერმანია დაგენგრიათ?

— მე სულაც არ დამინგრევია თქვენი გერმანია!

— აბა, ამდენი ორდენები რატომ გაქვთ?

— გერმანიაში ახლა ჩამოვედი პირველად, უწინ რუმინეთში ვიყავი, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიაში...

— სულერთია, იქაც ხომ ჩვენების წინააღმდეგ იბრძოდით?

კედელზე ცერცვის ყრას რა აზრი ჰქონდა, მაგრამ მაინც ვუთხარი:

— გერმანია, ჩვენ კი არა, თქვენმა ჰიტლერმა დაანგრია. მისი ბრალია, თუ ეს არ უნდოდა, რას იწყებდა ომს?

— ომი ჰიტლერს არ დაუწყია.

— აბა, ვინ დაიწყო?

— ებრაელებმა!

— შენ იცი, ვინ არიან ებრაელები?

— ვიცი, გერმანიის მტრები.

— თვალით თუ გინახავს ერთი ებრაელი მაინც?

— არა. მე ბავშვი ვიყავი, ფიურერმა რომ მოსპო ისინი. ახლა, მადლობა ღმერთს, ერთი ებრაელიც არ არის გერმანიაში.

— აბა, რა გიჭირთ, ამიერიდან მაინც წავა თქვენი საქმე კარგად.

— არაფერიც, ჩვენი საქმე გათავებულია.

— რატომაა გათავებული?

— იმიტომ, რომ ჩვენს არსებობას აზრი არა აქვს. რისთვის უნდა ვიცხოვროთ?

— მომავლისათვის.

— სისულელეა, ვის რა მომავალი შეიძლება ჰქონდეს ამ კატასტროფის შემდეგ?

— შენ რა გაწუხებს, ახალგაზრდა ხარ, გათხოვდები, ოჯახს შექმნი, შვილები გეყოლება.

გაეცინა.

— მე არასოდეს არ გავთხოვდები.

— ვითომ რატომ?

— ვის უნდა მივთხოვდე?

— ვინმეს, ვინც შენი აზრით ღირსეული იქნება!

— ასეთი არავინ დარჩა გერმანიაში.

— დაიცადე, ჯერ კიდევ ბევრი ახალგაზრდა დაბრუნდება ტყვეობიდან.

ზიზღით შემომხედა.

— მე არასოდეს მივთხოვდები კაცს, რომელიც ფრონტიდან დამარცხებული დაბრუნდება!

— ასე თუა, მართლაც ჩაბერდები ნაცარში. აბა, ფრონტიდან დაბრუნებულ გამარჯვებულ გერმანელს სადღა ნახავ?!

— ამიტომაც სჯობია, ერთბაშად დაიღუპოს ყველაფერი, — თქვა მან და დაუმატა: — ფიურერმა ბრძანა, დამარცხებულ გერმანიას დაღუპული გერმანია სჯობიაო.

თუ სახელმწიფოს მეთაური ასეთ აზრებს ქადაგებდა, რა გასაკვირია, ეს ქერათმიანი კაჭკაჭი იმასვე რომ იმეორებდესმეთქი, გავიფიქრე გულში.

— მე მეზიზღება ყოველი გერმანელი მამაკაცი, რომელიც ახლა ცოცხალია, — კატეგორიულად განაცხადა მან.

— მაშ, ყველა გებელსივით უნდა მოიქცეს? ცოლ-შვილი დახოცოს და თვითონაც თავი მოიკლას?

გებელსის ხსენება არ ესიამოვნა.

— მაგაზე ახია ყველაფერი! — თქვა მან ზიზღით.

— რატომ?

— ხომ გითხარით, მატყუარაა-მეთქი.

აქ, მგონი, სიმართლეს მიუახლოვდა, მაგრამ მაინც თავისებურად:

— ფიურერს ყველაფერში ატყუებდა.

— მერე ბავშვებს რატომ ხოცავდა?

— იმიტომ, რომ არ უნდოდა მონები დაზრდილიყვნენ.

— ვისი მონები?

— თქვენი, წითლების.

— შენ ვისი მონა ხარ?

დაიბნა, მერე დაფიქრდა და თქვა:

— არავისი, მე მარტო იმისი მონა ვიქნები, ვინც მომეწევა.

— ბრუნჰილდე! — წამომცდა უნებურად.

— თქვენ საიდან იცით, ბრუნჰილდე ვინ არის?

— „ნიბელუნგები“ წამიკითხავს.

იმან რა იცოდა, რომ ეს პოემა ქართულადაც იყო თარგმნილი. საქართველო არც გაეგონა. „ნიბელუნგების“ ხსენება კი მაინც ესიამოვნა. უცებ წამოხტა და გაიქცა. მერე ბიბლიოთეკიდან შესანიშნავად გამოცემული „ნიბელუნგები“ ჩამოიტანა.

— აჰა, ისევ გადაიკითხეთ, განა ბრუნჰილდე თქვენი დასაცინია, სასაცილო გუნთერია, ბრუნჰილდემ რომ ხელფეხშეკრული ჩამოკიდა კედელზე ქორწინების ღამეს, — თქვა და სიცილი აუტყდა.

— შენ შეგიძლია ასეთი რამ გააკეთო?

— რა თქმა უნდა, თუ იგი ჩემზე სუსტი აღმოჩნდება!

არ ვიცი, ეს „იგი“ ვინ იყო, მაგრამ მაინც ვკითხე:

— თუ არ აღმოჩნდა?

— აღმოჩნდება!

— ვთქვათ, არ აღმოჩნდა!

— აღმოჩნდება-მეთქი!

ეს რომ თქვა, თვალებში ისევ ბოროტმა ელვამ გაჰკრა, სახეზე ცეცხლი მოედო, მთელი სხეულით დაიძაბა. მერე წელზე ქამარი შეისწორა და თვალებს გარეულ კატასავით ისე აკვესებდა, გეგონებოდათ, მართლაც ბრძოლას აპირებსო...

ესეც მისი „არიული სიამაყე“, გადამეტებული თვითდაჯერება, თანაც ტევტონური ჟინი და „ძლიერი წინააღმდეგობის“ ბრუნჰილდესებური სურვილი, თორემ, ქამარს რა ჯადო უნდა ჰქონოდა ასეთი?!. თუმცა ალეგორიულად ათასი რამ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა:

> წყალს რომ ქამარი მიჰქონდა — ნეტავ, დედა, რა�о?
> შვილო, შენი სული არის, — ვაი შენს დედასაო...

გამახსენდა ჩვენებური ხალხური ლექსი და ლილის ვკითხე:

— შენ მართლა გჯერა ჯადოსი?

— მჯერა, აბა რა! ქამარი რომ არ გაწყვეტილიყო, არც არაფერი მოხდებოდა.

არ ვიცი, ამ „არც არაფერში“ რას გულისხმობდა, მაგრამ ამ ალეგორიას მაინც შევუცვალე მიმართულება:

— თქვენმა გერმანიამ ქამარი თვითონ შემოიხსნა, როცა უსიტყვო კაპიტულაციას მოაწერა ხელი...

ამაზე არაფერი უთქვამს, საღამოთი ბაბუას მოვიყვანო, და წავიდა...

ჩვენ და შენ...

ამბობენ, სიბერეს საბუთები არ სჭირდებაო, თუმცა უსაბუთოდ ვერც მიხვდებოდით, ბაბუა იოჰანი თუ ოთხმოც წელს იყო გადაცილებული. მეც მაინტერესებდა მასთან საუბარი, რადგან, გარდა იმ თავქარიანი ლილი მარლენისა, ეს პირველი გერმანელი მოქალაქე იყო, ვისაც ველაპარაკებოდი. ომის დროს მე ხომ მხოლოდ სამხედრო ტყვეებს ვხვდებოდი. ეს მოხუცი კი სულ სხვა იყო: დროც ერჩოდა და ხანიც უწერდა — ცხოვრების გამოცდილება მიეღო. ისედაც სიმპათიური კაცი ჩანდა. ეტყობოდა, ადრე კარგ ცხოვრებას იყო ჩვეული, ახლა კი ნირწამხდარი გამოიყურებოდა. საკონცერტო ფრაკისათვის ბეგივით „მერცხლის კუდები“ შეეჭრა და ჩვეულებრივ კოსტუმად გადაეკეთებინა, რაც ოდნავ კომიკურ იერს აძლევდა მის გოლიათურ აღნაგობას.

დიდი მოკრძალებით შემოვიდა და მხოლოდ განმეორებითი თხოვნის შემდეგ ჩაჯდა სავარძელში. ლილი მარლენს ვთხოვე, გაგვმასპინძლებოდა. მაშინვე დატრიალდა და წინ პატარა მაგიდა გაგვიწყო. ბევრი არაფერი მქონდა, მაგრამ იოჰანისთვის ესეც საკმარისი იყო, აკი გერმანელები ამბობენ, როგორიც სტუმარია, ძეხვიც ისეთი შეიწვებაო.

მოკრძალებულმა იოჰანმა ბევრი იუარა, მაგრამ ბოლოს მაინც სიამოვნებით გადაკრა ერთი ჭიქა რუსული არაყი. მერე მეორეც მიაყოლა და საუბარს ძლივს მოება თავი. იმას ანდაზებით უყვარდა ლაპარაკი, მეც შემეძლო მისთვის მხარის აბმა, რადგან გერმანულს რომ ვსწავლობდი, ერთმა მასწავლებელმა უამრავი გერმანული ანდაზა გაგვაზეპირებინა. ისე კი, სალაპარაკო არაფერი მქონდა, ვერც ის ბედავდა გულის გადაშლას, ამიტომაც დაიწყო შორიდან:

— სასიამოვნოა, ჩვენი ენა რომ იციან, — ძლივს წარმოთქვა და, თითქოს მძიმე ტვირთი მოიშორაო, ისე ამოიხვნეშა. ლილის სიცილი წასკდა. მე უკვე აღარ მიკვირდა, მესამე პირით რომ მომმართა, მაგრამ როცა სხვის ენაზე ლაპარაკობ, ამგვარ „გრამატიკულ თავისებურებებს“ ადვილად მაინც ვერ ეგუები. ამ ამბავმა ერთი შემთხვევა გამახსენა:

ერთხელ სოფლიდან ახალგაზრდა აბითურიენტი მესტუმრა. რაღაც განსაკუთრებული მოწიწებით მომესალმა და უნდოდა, რაც შეიძლება ზრდილობიანად მოემართა, მაგრამ, როცა ვკითხე, როგორ ბრძანდებით-მეთქი, ასე მიპასუხა: ჩ ვ ე ნ კარგად ვბრძანდებით, ბატონო, შ ე ნ როგორ ხარ, გენაცვალეო.

მეშინოდა, მეც ასეთივე „კონფუზი“ არ მომსვლოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო და როგორღაც ავყევი ამ ყოფილი ოფიცრის გრამატიკულ თავაზიანობას...

— ჰო, როცა რომელიმე ხალხის ენა იციან, მათ ხასიათსაც ადვილად სწავლობენ, — ვთქვი მე.

— ადრე გერმანიაში თუ უცხოვრიათ?

— არა, პირველად ვარ.

— საკვირველია, მაშ, ჩვენი ენა როგორ უსწავლიათ?

— რატომ, განა ამისათვის აუცილებელია იმ ქვეყანაში იცხოვრონ, რომლის ენის შესწავლაც უნდათ?

— მე ასე მგონია. ჩემი უფროსი ვაჟი კომერსანტი იყო და ინგლისურის შესასწავლად ერთი წლით ლონდონში დასახლდა. ჰერტრუდას ომმა მოუსწრო, თორემ პარიზში უნდა გაგვეგზავნა.

— ისინი მაინც წავალთ პარიზში, — ჩაერია ლილი მარლენი და იმანაც „გრამატიკულად“ დაიფასა თავი.

— კი, ძვირფასო, წახვალ, თუ შეგიშვებენ, — მიესიყვარულა ბაბუა.

— რატომც არ შემიშვებენ? — გაიკვირვა ლილიმ და ისევ ჩვეულებრივ გრამატიკაზე გადავიდა.

— გულმოსული იქნებიან, საყვარელო, ჩვენზე, ამ წყეულ ომში რომ დავამარცხეთ.

— გულზე გამსკდარან და ეშმაკების ძვლებიც უმტვრევიათ, თუ უნდათ. მათი ბრალია, ჩვენ თუ პოლონელებს ვეომებოდით, ისინი რას ეჩრებოდნენ?

იოჰანს არ მოეწონა ლილი მარლენის ასეთი სითამამე, არც ის, უცებ პოლიტიკაზე რომ დაიწყო ლაპარაკი, და ამიტომაც დატუქსა.

— ეს შენი საქმე არ არის, ხომ ხედავ, პოლიტიკამ როგორ დაღუპა ქვეყანა...

ლილი გაჩერდა, მაგრამ მაინც მშვილდივით მოზიდული იჯდა.

— ახლა სად მუშაობენ? — ვკითხე იოჰანს და მე თვითონ გამიკვირდა, როგორ უცებ შევეწყვე ამ ახალ „სტილს“.

— სადღა ვმუშაობთ, ჩემო ბატონო, ვმუშაობთ კი არა, ჯოხს ვაკაკუნებთ ვიოლინოზე, აქაურ ვარიეტეში. თუმცა ამას რა დაკვრა ჰქვია, მუსიკა არავის აინტერესებს, ყველა რაღაც გიჟურ ცეკვებზეა გადარეული, ჯაზებზე, ხმაურზე. ჩვენც ვღალატობთ იმ ცხონებულ სტრადივარიუსს და ჯოხით ვაკაკუნებთ მისი მგალობელი ინსტრუმენტის სიმებზე... რას იზამთ, ასეთი მოდაა ახლა. უწინ ბეთჰოვენს ვუკრავდით, ვაგნერს, ახლა ეშმაკმა იცის, რას არ გვჩრიან ხელში...

— ბაბუ, მე რამდენჯერ გირჩიე, სამხედრო ორკესტრში გადადი-მეთქი, აი იქაა ნამდვილი მუსიკა, — ისევ ჩაერია საუბარში მეტიჩარა ლილი.

— თქვენც ხომ ხედავთ, ბატონო, — მომიბრუნდა იოჰანი, ეს არის ახალგაზრდების მუსიკა... სამხედრო ორკესტრი...

— ეს ძველი პრუსიული გატაცებაა, ჩემო ბატონო, — ვუთხარი მე, — თქვენებისაგან გამიგონია, როგორც ბებრები მღერიან, ახალგაზრდებიც ისე ჭიკჭიკებენო...

ბაბუა იოჰანი მიხვდა ამ გადაკრულად ნათქვამის აზრს, მაგრამ გაჩუმდა. ლილი მარლენი კი მაშინვე მოახტა თავის ბედაურს:

— აბა რა, სამხედრო მუსიკა რაზმავს ადამიანებს, თქვენი გულისგამწყალებელი სიმფონიები კი ძილს გვგვრიან!

— ჰე, ბატონო, — ამოიხვნეშა იოჰანმა, — ქვეყანას ტვინი გადაუბრუნდა. ყველა იმაზე ფიქრობს, რა გატეხოს, ამოთხაროს ან დაანგრიოს. საძირკვლის ჩაყრა და გამაგრება კი არავის უნდა. ეს მოუმწიფებელი ბალღებიც სულ ნგრევასა და მოსპობაზე ფიქრობენ. ასე თუ გაგრძელდა, სად წავა, ბატონო! ადა-

მიანები ერთმანეთს ამოწყვეტენ და ვინღა იცხოვრებს ამ გაოხრებულ ქვეყანაზე?

მე რა უნდა მეთქვა? ასეთ დროს სტუმარს სამძიმარს ეტყვიან. მეც რაღაც ამის მსგავსი ვუთხარი და ნუგეშისათვის დავუმატე:

— რას იზამთ, მოთმინება ანდამატზე მტკიცეაო, — ასე ამბობს თქვენებური ანდაზა, — დრო გაივლის, ტკივილები დაყუჩდება და ისევ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდებით. ადამიანი იმედით ცხოვრობს.

— ეჰ, ჩემო ბატონო, ჩვენებური ანდაზა იმასაც ამბობს, იმედი თოკია, რომლის ბოლო სიკვდილს უპირავსო.

— გული მაინც არ უნდა გაიტეხოთ, ვინ იცის, რა მოხდება.

— რა ვიცი, ჩემო ბატონო, ჩვენ კი ამოვწყდით და სხვა რა უნდა მოხდეს, სულერთია, მდინარე მთაზე ვერ ავა, ისევ დაღმართს უნდა დაუყვეს და თავის დასასრულისაკენ გასწიოს, ესეც ბედისწერაა. მშვიდობის დროს შვილები მარხავენ მამებს, ომის დროს კი მამები შვილებს. მე არც ერთისა ვარ და არც მეორისა. ეს ერთი შვილიშვილი შემომრჩა მხოლოდ. ჩემს მეტი ყურისმგდები არავინა ჰყავს, არც დედა, არც მამა, ყველანი დაიღუპნენ ან გადაიკარგნენ. ცოცხლებიც რომ იყვნენ, ამ ნაცარგანიავებულ ქვეყანაში ვინ მიაგნებს მათ კვალს. უფროსმა შვილმა, სამოც წელს რომ გადააბიჯა, მაშინ ითხოვა ცოლი, თანაც ისეთი როკაპი დედაკაცი, ჩვენში რომ იტყვიან, ბოსელში რომ შეიხედოს, ხბორები დაბრმავდებიანო. გარდა ამისა, სამოცი წლის კაცი რომ ახალგაზრდა ცოლს მოიყვანს, ბატონო, შინ სიკვდილს ეპატიჟება. ასეც მოხდა, ორი წლის შემდეგ ჩემი ბიჭი ისე მოკვდა გულის დამბლით, რომ შვილი არ დარჩენია. უმცროსისა ორი წელია არაფერი ვიცი. მისი ქალბატონი, ამ ჰედას დედა, სადღაც გაჰქრა უცხო მამაკაცთან ერთად. ნათესავები შემომეფანტნენ და დავრჩი მარტო, სულ მარტო, აი ამის ამარა! ახლა იმისიც მეშინია, ეს გოგოც დედის კვალს არ გაჰყვეს. ხომ გაგიგონიათ, ანგელოზი რომ დაბერდება, ეშმაკად იქცევაო. ჰოდა, რაც ფრინველია, კვერცხსაც ისეთს სდებს.

ცრემლი მოერია, ჰედა გვერდზე მოისვა და მიუალერსა.

— რა უნდა ვქნა? სიბერე ჩამიმწარდა, ცხოვრებამ ჯამბაზად მაქცია. ამდენი უბედურების გადამტანი, ვზივარ და ვუკრავ რაღაც სახტუნაო მელოდიებს. თუმცა რა გვეხტუნავება, ბატონო, ქვეყანა დანგრეულია. თქვენც ხომ ხედავთ, ჩვენი ბერლინი რა დღეშია; მის ნანგრევებში კი ვარიეტები გამართეს და შიგ ისევ ტიტველ გოგოებს აცეკვებენ. მეც ვითომ ვუკრავ, სინამდვილეში კი თითებს ვაბარტყუნებ სიმებზე. მე, ბერლინის ოპერის პირველი მევიოლინე! ბედი ამაზე მეტად რითი დასცინებს ადამიანს? განა არ სჯობდა, მეც მოვმკვდარიყავი? მაგრამ რას იზამ, თავი ვერ მოვიკალი. ასეთია კაცის ბუნება, ისე არავინ ბერდება, რომ კიდევ ერთი წელი სიცოცხლე მაინც არ უნდოდეს. მეტი რა გზაა, თუ ისე არ შეგვიძლია ვიცხოვროთ, როგორც გვინდა, უნდა ვიცხოვროთ ისე, როგორც შეგვიძლია.

შემეცოდა ეს გაუბედურებული მოხუცი, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს ვეუბნებოდი და ისევ ჭიქა შევუვსე. უხმოდ გადაკრა, ეტყობოდა, ძალიან ესიამოვნა, გმადლობთო, მითხრა და ცრემლი მოიწმინდა...

— ბოდიში, ბატონო, — თქვა მერე, — შეგაწუხეთ ჩემი წუწუნით...

— ასეთმა წუწუნმა დაღუპა გერმანია, — ჩაგვერია ისევ ლილი, — ომი მსხვერპლს მოითხოვს, ვინც ამისათვის მზად არ არის, არც ნამდვილი გერმანელია. ყველამ რომ ასე იწუწუნოს, სამშობლოსათვის ვინღა გასწირავს თავს?!

— თქვენ გგონიათ, სამშობლოსათვის ზრუნვა აუცილებლად ომსა და თავის განწირვას ნიშნავს? — შევეკითხე მე.

— აბა, როგორ? — გაიკვირვა მან, — ომის გარეშე რას მოვიპოვებთ!

ეს მე ვხმარობ ამ სიტყვას „მოვიპოვებთო“, თორემ ჰედამ „kriegen“-ო, თქვა. ქართულად ეს „ომით მოპოვებას“ ან, ასე რომ შეიძლებოდეს გამოითქვას, „მოომებას“ ნიშნავს. მე ყოველთვის მაღიზიანებდა გერმანულში ორი სიტყვის „kriegen“-ისა და „kämpfen“-ის მოჭარბებული ხმარება. საქმე ერთი ნაჭერი ძეხვის შოვნას რომ ეხებოდეს, გერმანელი მაინც იტყვის „gekriegt“, ე. ი. ომით მოვიპოვე, ანუ „მოვიომეო“. ჰედასაც ამიტომ ვუთხარი, სხვისი რამ რატომ უნდა „მოიომოთ“-

მეთქი. გაუკვირდა. როცა ჩვენი არა გვყოფნის, უნდა სხვისი „მოვიომოთ“, აბა, რა უნდა ვქნათო.

— ჰედა! სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, — დატუქსა ბაბუამ თავისი „მექანიკური პოლიტიკოსი“.

— სულაც არ არის სისულელე! — გაიბუტა ლილი, მაგრამ თავი მაინც ბაბუას მხარეზე დადო და გაიტრუნა. მე მინდოდა, საუბარი ჩემთვის საინტერესო საკითხებისათვის მიმეახლოვებინა, ამიტომაც დავიწყე:

— თქვენ ბრძანეთ მსხვერპლის შესახებ. მერედა, განა მარტო გერმანელებმა გაიღეს მსხვერპლი? ყველაზე მეტი მსხვერპლი ჩვენ გავიღეთ... და მე მოვუყევი, თუ რა საშინელ დანაშაულს ჩადიოდნენ ისინი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ვუამბე მათი თანამემამულეების თარეშობასა და ავკაცობაზე, „გაზვაგენებსა“ და საკონცენტრაციო ბანაკებზე. ბევრი ისეთი რამ ვუთხარი, ადამიანს თმა ყალყზე დაუდგებოდა...

მთელი ამ ხნის განმავლობაში ლილი მარლენი აღტაცებით მომჩერებოდა, თვალები უბრწყინავდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ყველაფერი ეს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. მოხუცი იოჰანი კი პირჯვარს იწერდა და შეშინებული ბურტყუნებდა:

— შეუძლებელია, შეუძლებელია!... როგორ შეიძლება, ადამიანმა ასეთი რამ ჩაიდინოს... მით უმეტეს, გერმანელმა... ჩვენ კულტურული ერი ვართ, ბატონო... როგორ გეკადრებათ... ამას გერმანელები როგორ ჩაიდენდნენ?!

— განა თქვენ ეს ამბავი არ იცოდით? — ვკითხე მე... უკვე ჩვეულებრივი გრამატიკით.

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ... ეს რა ესმის ჩემს ყურებს... ასეთი რამ ზღაპრადაც არ გამიგონია!..

ლილი მარლენმა რატომღაც ეშმაკურად ჩაიცინა, მაგრამ მერე შეშინებული თვალებით შეხედა ბაბუას და გაჩერდა. იოჰანი კი განაგრძობდა:

— ეს რომ ასე იყოს, მე თვითონ დავწყეველიდი, ბატონო, ჩვენს მოდგმას.

— რატომ? — აღელდა ლილი მარლენი, — მტერი იმის მტერია, რომ მოსპო.

— ვინ არის მტერი? — ვკითხე მე.

— თქვენ, ებრაელები და წითლები!

შეშინებულმა იოჰანმა სცადა ლილის გაჩუმება, მაგრამ ეს არც ისე იოლი საქმე იყო. ლილი მეტად აღგზნებული ჩანდა, არ ვიცი, ამ უსიამოვნო ლაპარაკით თუ იმ ერთი ჭიქა არყის ზეგავლენით, ბაბუას დაუკითხავად რომ გადაკრა.

— თქვენ ხომ არც გინახავთ ებრაელები? — ვკითხე მას.

— აკი გითხარით, რომ არა, მადლობა ღმერთს, ისინი უკვე აღარ არიან გერმანიაში!

— რატომ? ადრე ხომ იყვნენ? აბა, სად წავიდნენ!

— ფიურერმა მოსპო!

— რამდენი?

— რამდენიც იყო!

მე ისევ იოჰანს მივუბრუნდი:

— არც ამის შესახებ იცოდით რამე?

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ, — გაასავსავა ხელები, — გამიგონია, ებრაელები გადაასახლესო სადღაც, მაგრამ მე არ მყოლია ებრაელი ნათესავები და არც არაფერი გამიგია მათი მოსპობის შესახებ, ან იქნებ არ დავინტერესებულვარ...

... ამის შემდეგ საუბარს თავი ვერ მოება. იოჰანმა მკითხა, რამე იმედი თუ შეიძლება მქონდეს, შვილი რომ დამიბრუნდებაო.

— ამბობენ, მოკავშირეთა ჯარებმა მილიონზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დაატყვევესო, შესაძლებელია, თქვენი შვილიც მათთან იყოს და დაბრუნდება-მეთქი, — მივუგე.

ლილი მარლენმა ისევ იფეთქა:

— მამაჩემი არ შეიძლება ტყვედ იყოს!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ესესელია და ფიურერის ერთგული!

იოჰანმა გაცლა ამჯობინა. სტუმარი მანამ უნდა წავიდეს, ვიდრე მასპინძელს თავს მოაბეზრებდესო, — თქვა, მადლობა გადამიხადა საუბრისათვის და ფეხათრევით გავიდა ოთახიდან...

ლილი მარლენმა მაგიდის ალაგება დაიწყო.

— ლილი, რატომ აწვალებ ბაბუას, არ გეცოდება? ხომ ხედავ, ის როგორი კეთილია?

როგორც ჩანს, ლილიმ სიტყვა „კეთილი“ ბაბუას შეურაცხყოფად მიიღო:

— აბა, კეთილი! — ჩაიცინა მან.

— რა, არ არის თუ?

— ნამდვილი გერმანელი კეთილი არ უნდა იყოს!

— ეს ყველას ეხება?

— ყველას, ვინც ფიურერს ფიცი მისცა.

— ვინც არა?

— ის ნამდვილი გერმანელი არ არის.

— შენი ბაბუა ხომ ნამდვილი გერმანელია?

— იყო, ახლა კი ცუდი გერმანელია!

— რატომაა ცუდი?

— იმიტომ, რომ ფიცი გატეხა!

— რითი?

— ხომ ხედავთ, ახლა ისიც ამბობს, ჰიტლერმა დაღუპა გერმანიაო.

— განა ასე არ არის?

— არა, არ არის. ამას ებრაელები და წითლები ამბობენ.

— ბაბუაშენი ხომ არც წითელია და არც ებრაელი?

— არა, მაგრამ ფიცის გამტეხი მაინც არის.

ლაპარაკის გაგრძელება უაზრო იყო, ამიტომ საუბარს ოდნავ შევუცვალე მიმართულება.

— ვინ გასწავლა ასეთი „ჭკვიანური“ ამბები?

— სანამ დავმარცხდებოდით, ბაბუაც ასე ამბობდა. მეც ხომ ვიცი, რომ ასეა.

— ბაბუა უფრო ნამდვილი გერმანელია თუ მამაშენი რუდოლფი?

— მამაჩემი, ის ნამდვილი ესესელია.

— რას აკეთებდა, თუ იცი?

— ებრაელებს სპობდა.

— მერე?

— მერე, წითლებსა და პარტიზანებს.

— პარტიზანები ვინ არიან?

— პარტიზანებიც ებრაელები არიან.

— წითლებიც?

— ჰო, წითლებიც.

— მაშ, ვინც ჰიტლერის წინააღმდეგი იყო, ყველა ებრაელია?

— აბა, რა!

— მერე ყველა უნდა მოისპოს, ქალიც, კაციც, დიდიც, პატარაც?..

— რა თქმა უნდა! ქალი და კაცი სულერთია. მოხუციც და ბავშვებიც. პატარა ებრაელი რომ გაიზრდება, ისიც დიდი ებრაელი იქნება... ამიტომ ერთბაშად უნდა მოგვესპო ყველა. მაგრამ ასე არ გამოვიდა. ფიურერს უღალატეს, თორემ ყველა ებრაელი რომ დაეხოცა, ჩვენ ვინღა დაგვამარცხებდა?

— ბაბუას რომ ასე ეცოდება ებრაელები, შენ რატომ ხარ ასეთი სასტიკი?

— უწინ არც ბაბუას ეცოდებოდა. ამას ახლა ამბობს, ეშინია და იმიტომ, თორემ უწინ ჩვენს ოჯახში ყველანი ერთნაირად ვფიქრობდით. ასეც უნდა იყოს, ყველა გერმანელი ერთნაირად უნდა ფიქრობდეს.

— შენ ხომ იცი, რომ ბუნებას ჯერ ორი ერთნაირი ადამიანი არ გაუჩენია და ყველამ ერთნაირად როგორ უნდა იფიქროს.

— როგორც ფიურერი ფიქრობს.

— ჰედა, ღმერთი გწამს?

— მე მხოლოდ ფიურერი მწამს.

— როგორ გგონია, ღმერთი უფრო დიდია თუ ფიურერი?

— ღმერთი ჯერ არავის უნახავს, ფიურერი კი მეც ვნახე, ფიცის მიღების დღეს. ჰიტლერმა გოგონების მწკრივს ჩამოუარა. რომ მოგვიახლოვდა, მე სუნთქვა შემეკრა. ყველაფერი ამიკანკალდა. ხელში დროშა მეჭირა, თორემ მუხლებზე დავეცემოდი მის წინ.

მე მეცინებოდა, ის კი ამას ისე სახეგაბრწყინებული ამბობდა, თითქოს მართლა ღმერთი ენახოს...

... ლილის უნდოდა როგორმე დაემტკიცებინა, რომ მისი ბაბუაც ერთ დროს „ნამდვილი გერმანული“ ყოფილა ალბათ, ამიტომაც თქვა:

— ბაბუა ყველაზე მტკიცე იყო ჩვენს შორის. ახლა დაბერდა და, ალბათ, ამიტომ გატყდა. არა გჯერათ?

— არა!

— ნამდვილად?

— ნამდვილად!

— აბა, თუ ძალიან გვიან არ იქნება, მე ისევ მოვალ, რაღაც უნდა გაჩვენოთ. ბაბუას რომ დაეძინება, მაშინვე მოვირბენ. რაკი იმდენი დალია, ძილი მალე მოეკიდება.

მერე ფიცით შემაჯერა, ბაბუას არ გაუმხილოთ ეს საიდუმლო, თორემ თუ გაიგო, თავს გამიჭეჭყავსო.

ესა თქვა და გაიქცა. მე რომელიღაც წიგნს დავუწყე თვალიერება...

კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ლილი მარლენი დაბრუნდებოდა. რომ შემოვიდა, ძალიან აღელვებული იყო. ხელში რაღაც გახვეული ეჭირა. მძიმედ ქშინავდა და ისე ლაპარაკობდა:

— ბაბუას ძლივს ჩაეძინა და წამოვიღე. ამას ისე უფრთხილდება, თუ გაიგო, რომ გიჩვენეთ, მომკლავს. ხომ არ გამცემთ?

— არა, რატომ უნდა გაგცეთ, მაგრამ მე არც ვიცი, რაზეა ლაპარაკი, რა წამოიღეთ?

— საოჯახო ალბომი, ბაბუას მიერ გაკეთებული...

გახსნა და წინ საგანგებოდ პომპეზურ ყდაში ჩასმული უზარმაზარი ალბომი დადო.

— ეს ჩვენი ოჯახის ალბომია, ნახეთ! მე აგიხსნით ყველაფერს.

გადაშალა თუ არა, პირველსავე გვერდზე კალიგრაფიული ხელით ეწერა სოლომონ ბრძენის შეგონება:

— ისმინე, შვილო, მშობლისა შენისა მამისა, და ნუ შეურაცხყოფ, ოდეს დაბერდეს დედა შენი. ჭეშმარიტება მოიგე, და ნუ განიშორებ სიბრძნესა, და სწავლასა, და მეცნიერებასა. მამა მართალი გამოზრდის კეთილად, ხოლო ძისთა თვის ბრძენთა იხარებს სული მისი...

ქვევით კი ლექსად:

Leben ohne Elir
Ist kein Leben mehr...

(სიცოცხლე ღირსების გარეშე, უკვე სიცოცხლე არ არის) მეორე გვერდზე კი ლუთერის სიტყვები იყო მიწერილი, მაგ რამ სხვა ხელით:

— თუ ოცი წლისა ლამაზი არა ხარ, ოცდაათისა — ძლიე რი, ორმოცისა — ჭკვიანი, ხოლო ორმოცდაათისა — მდიდარი შემდეგ არაფრის იმედი არ უნდა გქონდეს...

გადავფურცლე და ჯერ ახალდაქორწინებულთა წყვილის ფოტო ვნახე, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, წარმოსადეგი მამაკაცი გაჭიმული იდგა; გვერდს უმშვენებდა თვალტანადი ქალი, რომელსაც საქორწინო კაბა ემოსა. სერიოზული და კმაყოფილი სახეები. ნამდვილი გერმანული წყვილი!

— ეს ბაბუა და ბებიაა... ხედავთ, რა კარგი იყო ჩემი ბაბუ ახალგაზრდობაში, არმიაში რომ მსახურობდა!

ახლა სხვა სურათები: ცოლ-ქმარი სადღაც ბაღში, მერე ზღვის პირას, პატარა ბავშვებთან ერთად. უფროსი ლეონარდია, უმცროსი — რუდოლფი. სურათებიდან ჩანდა, როგორ იზრდებოდნენ ბავშვები. მერე ლეონარდი ვიღაც მოხელეების გვერდით, რუდოლფი კი ესესელის ფორმაში, მკლავზე სვასტიკით. აი, მათი მეუღლეებიც გამოჩნდნენ ფოტოებზე, ტიპიური გერმანელი ქალები — ძლიერი სხეულითა და ცივი, უკმეხი გამოხედვით. ისინი არცთუ ისე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდნენ, თუმცა ლილი მარლენი კი გაიძახოდა:

— შეხედეთ, ეს დედაა, ნახეთ, რა ლამაზია, მომღერალი იყო, მართალია, ოპერაში არ გამოდიოდა, მაგრამ ხმა კარგი ჰქონდა, ცეკვავდა კიდეც.

ერთი სიტყვით, ვარიეტეს მსახიობი ყოფილა. რუდოლფის კარიერაც კარგად ასახულიყო ფოტოზე. ჯერ რიგითი მოიერიშე, მერე ესესელი, შტურმფიურერი, ობერშტურმფიურერი, მაღალი, მხარბეჭიანი, მინოტავრივით სქელი კისრით და ჯიუტი, წინწამოწეული ყბებით. მერე ისევ იოჰანი და მისი მეუღლე — უკვე ხანდაზმულები. იქვე, დიდ სურათზე, მანუფაქტურის მაღაზიას ვხედავ. აბრაზე აწერია: „ლეონარდი და მარია, მობრძანდით, ყველაფერი თქვენთვისაა“.

ეს მაღაზია უწინ, თურმე, მდიდარი ებრაელის ოჯახს ეკუთვნოდა, ჩვენი მეზობლები იყვნენო, ჩამოალაგა ენაჭარტალა ლილი მარლენმა. მერე მამამ ის ებრაელები მოსპო და მაღაზია ჩვენი გახდა. ბაბუას არ უნდოდა მის სახელზე ყოფილიყო და ამიტომ ბიძაჩემს — ლეონარდს გადასცეს. ძია ლეონარდი კი სულ ფულის შოვნაზე ოცნებობდა. ამბობდა, ქვეყანა ფულის გარშემო ტრიალებსო, ცხოვრება იმისია, ვისაც ბევრი ფული აქვსო. ფული არც აკლდა, მაგრამ მაინც ვერ უშველა.

ლილი ახლა რუდოლფის სურათებს მიჩვენებდა, სადღაც აღლუმზე გადაღებულს, მერე დროშასთან მდგარს და, ბოლოს, მთელი ალბომის გვერდზე გადიდებულს: ჰიმლერი ხელს ართმევს რუდოლფს.

— იცი, ეს კაცი ვინ არის? —ვეკითხები ლილის და ჰიმლერზე მივუთითებ.

— როგორ არ ვიცი, ეს ხომ რაიხსფიურერი ჰიმლერია! — თქვა მაშინვე, — მამაჩემს იცნობდა, რკინის ჯვარიც კი გადასცა პირველად.

— მამაშენს რაში მისცეს რკინის ჯვარი?

— ებრაელებისა და კომუნისტების მოსპობაში, — ისევ ამაყად თქვა მან. მერე რუდოლფისა და მისი მეუღლის ელზას სურათები დაიწყო. ისინი სადღაც ზღვის ნაპირას ისვენებენ... ნავით სეირნობენ... ბანაობენ, რესტორნის ვერანდაზე სხედან, ბოლოს, პატარა ბავშვი უჭირავთ ხელში...

— ეს მე ვარ, — თქვა ლილიმ და გაიცინა.

ამის შემდეგ სულ ლილი მარლენის სურათები მოდიოდა, მარტო თუ ჯგუფურად გადაღებული... ჯერ პატარა, მერე მოზრდილი, ბოლოს უკვე ქალიშვილი, მაღალი, ტანაყრილი, ძლიერი, ქერათმიანი და ცისფერთვალება. სად და როგორ აღარ იყო გადაღებული: სკოლაში, კრებაზე, აღლუმზე, ხან ლოზუნგით, ხან დროშით ხელში, სპორტულ ტანისამოსში. მერე ტრიბუნაზე, ფიცის მიღების დროს და, ბოლოს, აქაც მთავარი სურათი: ჰიტლერელი ახალგაზრდობის ბელადი ბალდურ ფონ შირახი დროშას გადასცემს ლილი მარლენს. ამ სურათის დაჭედვაზე ხომ სულ მთლად გაიბადრა.

— მე ბოლომდე ღირსეულად ვატარე ეს დროშა, — თქვა

მან, — ბრძოლებშიაც კი მივიღე მონაწილეობა ბერლინის ქუჩებში და, როცა ყველაფერი გათავდა, დავწვი, სხვა რა გზა მქონდა, მტერს ხომ არ ჩავუგდებდი ხელთ.

— აბა, — ვთქვი მე, — ჩვენ კი სულ თავს ვიტეხდით, როგორ გვეგდო ხელთ ეს თქვენი დროშა.

დაცინვას მაშინვე მიმიხვდა, ტუჩები აიბზუა და ცალყბად გამოსცრა:

— სანამ ცოცხალი ვიქნებოდი, სულერთია, იმ დროშას მაინც ვერ ჩაიგდებდით ხელთ...

... მერე კიდევ ვიღაცეები ვაჩვენა, ნათესავები, ახლობლები და...

გერმანელები ამბობენ, თვალი თავის თავს უჯერებს, ყური კი სხვებსო. აქ თვალიც და ყურიც რაღაც დაუჯერებელს მანიშნებდა: ჩემს წინ წარმოსადეგი მოხუცი იდგა ესესელის ფორმაში. დავხედე და გავოცდი: ბაბუა იოჰანი! ლილიმ სიცილი დაიწყო:

— აი, ხომ ხედავთ, როგორია ჩემი ბაბუა!

— განა თქვენი ბაბუაც ესესელი იყო?

ლილიმ ძლივს შეწყვიტა სიცილი.

— არა, ფორმას იცვამდა მარტო, მამაჩემის ფორმას, სურათის გადასაღებად. ახალგაზრდა რომ ვიყო, მეც ესესელი ვიქნებოდიო, ამბობდა.

გამიკვირდა, ნუთუ ეს ის მოხუცია, ერთი საათის წინ ჩემს წინ რომ იჯდა თვალცრემლიანი. როგორი სასტიკი გამოხედვა ჰქონდა აქ, ამ სურათზე.

— როცა მამისგან წერილებს და სურათებს მივიღებდით, ბაბუა მაშინვე ამ ფორმას ჩაიცვამდა და ისე გვიკითხავდა, — თქვა ლილიმ. მამამ ადრეც იცოდა, ბაბუას რომ ესესელის ფორმა უყვარდა და ერთი უფრო სრული შეაკერინა, რომ ტანზე კარგად მორგებოდა. ბაბუა ხშირად იცვამდა ამ ფორმას.

— გარეთაც გამოდიოდა ასეთი ფორმით?

ლილიმ ისევ გადაიკისკისა.

— არა, გარეთ არა, მარტო შინ, ჩაიცვამდა და სარკის წინ

ტრიალებდა. ვერსალის კატასტროფა რომ არ მომხდარიყო, ახლა გენერალი ვიქნებოდიო, — ამბობდა.

ერთხელ კიდევ დავხედე სურათს და ჩემდაუნებურად წამოვიძახე:

— Aussen blank, innen stank, — გარედან ბრწყინვალე, შიგნიდან სიმყრალე...

ლილიმ მწყრალად შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მე ალბომის ფურცვლა განვაგრძე და უფრო საოცარი რამ ვნახე:

... რუდოლფი ხვრეტს სამხედრო ტყვეს — წარწერა: „საშობაო საჩუქარი (Weinachtsgeschenk) მამას“.

...რუდოლფი ხვრეტს პარტიზანს — წარწერა: „საშობაო საჩუქარი ელზას“.

... რუდოლფი ხვრეტს ებრაელს —წარწერა: „საახალწლო საჩუქარი ლეონარდს“.

... რუდოლფი დგას და უყურებს, როგორ იწვის უკრაინელის ქოხი...

... განკარგულებას იძლევა და ხვრეტენ კედელთან მიმდგარ შიშველ მამაკაცებს.

... უყურებს დახოცილ ქალებსა და ბავშვებს...

... სახრჩობელაზე ჩამოკიდებული ექვსი გლეხი... იქვე რუდოლფიც.

... გაშიშვლებული მამაკაცები თოვლში. შემდეგ დახოცილები. რუდოლფი დგას ფეხებგაჩაჩხული. სურათს ქვემოთ აწერია — „ალაგირი“

მერე ისევ მთელი სერია ასეთივე შემაძრწუნებელი სურათებისა, საოჯახო ალბომში მზრუნველი ხელით ჩაწებებული. ყოველ სურათს გარშემო წითელი, შავი და თეთრი ხაზები აქვს შემოვლებული. ალბომი ფერადი ორნამენტებითაა მორთული და ცისფერი ლენტით შეკრული. შიგადაშიგ მხვდება გამხმარი ყვავილები, ვარდის ფურცლები, დამჭკნარი ია...

ყველაზე საშინელი კი ხელით მინაწერებია, უმთავრესად ანდაზები, ლექსები ან პროზა. ბევრგან შემხვდა ადგილები მათეს სახარებიდან, რწმენის, სიყვარულისა და სასოების შესახებ. თვითონ იოჰანის სურათის ქვეშ ეწერა:

— რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს, ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს....

იოჰანის ცოლის სურათს ასეთი წარწერა „ამშვენებდა“:

— აწ ესერა ჰგიეს, სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყვარული, სამი ესე, ხოლო უფროის ამათსა სიყვარული არს...

ლილი მარლენის დედის საქორწინო სურათის ქვეშ ვირგილიუსის სიტყვები მიეწერათ:

— Omnia vincit Amor — ყველაფერს სძლევს სიყვარული.

ნათქვამია, ბავშვობიდანვე ღმერთს ვეძებდი და ეშმაკი ვიპოვეო, მაგრამ ეს კიდევ არაფერი! ყველაზე შემაძრწუნებელი წარწერები რუდოლფის იმ სურათებს ჰქონდა, სადაც იგი ჩამოხრჩობილებს უყურებდა:

— მტრის გვამს კარგი სუნი უდის...

დახოცილებით სავსე ორმოსთან მდგარი რუდოლფის სურათს ჰიუგოსთან სადღაც ამოკითხული სენტენცია „ამშვენებდა“:

— სასაფლაოსკენ თუ მტრის გვამი მიგაქვს, მძიმედ არ მოგეჩვენება.

მეორე სურათს უფრო მოკლე მინაწერი ჰქონდა:

— მადლობა ღმერთს!

სუნთქვა ისე შემეკრა, რომ ძლივს ვკითხე ლილის:

— ვინ მიაწერა ეს, თუ იცი?

— ბაბუამ! — მიპასუხა მან ამაყად.

— ეს ალბომიც იმან გააკეთა?

— ჰო, იცით, რამდენი იშრომა ამაზე?

— რისთვის ინახავს, თუ იცი, ამ ალბომს?

— მომავლისათვის! ბაბუა ამბობს, ისევ დადგება ჩვენი დრო და მაშინ ამითაც დავამტკიცებთ ერთგულებას ფიურერისადმი.

ლილი, როგორც ჩანდა, ისე იყო აღტაცებული ბაბუას ფიურერისადმი ერთგულების დამტკიცებით, რომ სხვა საიდუმლოებაც წამოცდა:

— ბაბუას ერთი დიდი ჩანთა აქვს, სადაც მამაჩემის წერი-

ლებს ინახავს, იცით, რა საკითხავია! თუ მოვახერხე, იმასაც მოგიტანთ!

— რა წერია ასეთი იმ წერილებში?

— როგორ იყო, რას აკეთებდა, რამდენ პარტიზანსა და ებრაელს ხოცავდა... რა ვიცი, ათასი რამე!.. ბაბუა თხოვდა, მომწერეო, და ისიც წერდა. საჩუქრებად კი ასეთ სურათებს უგზავნიდა...

ლილის გაბრწყინებულ სახეს რომ შევხედე, ვკითხე:

— შენ არ გიგზავნიდა სურათებს?

— არა, მე კაბებს, ფეხსაცმელებსა და კამფეტებს მიგზავნიდა.

— ალბათ, ქრისტეს პერანგსაც, არა?

ამგვარ ირონიას, რა თქმა უნდა, ვერ მიხვდა და გულუბრყვილოდ მიპასუხა:

— არა, პერანგი არ გამოუგზავნია...

... დანტე ალიგიერი „ჯოჯოხეთში“ აღწერს „ქვეყნის წამბილწველ საზარელ ურჩხულს“, კიანფა დონატოს, რომელსაც სახე სათნო კაცისა აქვს, ტანი კი შხამიანი გველისა. იგი არც მთლად ადამიანია, არც მთლად გველი და ამიტომაც დაიწყევლა, ამიერიდან აღარც ერთი იყოს და აღარც ორი, ე. ი. აღარც ადამიანი და აღარც გველი, არამედ ორივე ერთად ერთში მოცემული, რასაც ურჩხულს უწოდებს...

ის ურჩხული კიანფა დონატო ორიოდე საათის წინ, თურმე ჩემს წინ იჯდა, მე კი სათნო მოხუცი მეგონა, მერედა, რა კეთილი სახე ჰქონდა, რა ტკბილად საუბრობდა! როგორ იცავდა სიკეთეს, სიყვარულს, სასოებას!... განა შესაძლებელია თავის თავისგან გაუცხოვების ამგვარი ოსტატობა?! ან იქნებ ეს სიბერეში შესული ადამიანის მონანიება იყოს? ფრანგული ანდაზაა, ვინც ინანიებს, თითქმის უდანაშაულოაო. დანტე წერს, მომნანიებელს მიეტევებაო, თვითონ გერმანელებიც ამბობენ: ეშმაკი რომ დაბერდება, ბერად აღკვეცას მოინდომებსო...

მონდომება კი შეიძლება, მაგრამ ბერად აღკვეცილი ეშმაკის წარმოდგენა მაინც ძნელია...

იმ ღამეს დიდხანს ვფიქრობდი „კიანფა დონატოსა“ და მის ალბომზე. ვინ იცის, რამდენი ასეთი ურჩხული დადის დედამიწაზე. ბევრ მათგანს ხომ ჩვენც ვხვდებით ყოველდღიურად! იმათ კეთილი და სათნო სახეები აქვთ, რბილი, უწყინარი გამოხედვა; თანაც, ზედმიწევნით თავაზიანები არიან, თითქოს გულუბრყვილონიც, მაგრამ კუდი თუ მოიქნიეს... და ისიც გველისა კი არა, მორიელისა: „ორი, გესლით გავსილი ჭანგი...“, მყისვე შხამავენ ადამიანს, ფიზიკურად, მორალურად თუ სულიერად, ეს სულერთია. თანაც ტუჩებზე შაქარყინულივით ტკბილ ღიმილს არ იშორებენ, აღარც თაფლნარევ სიტყვებს იშურებენ სიკეთის, სიყვარულისა და სასოების სადიდებლად...

შემდეგ ამას რაიმე „უცილობელი“ თეორია მოჰყვება, „უჭეშმარიტესი“ მოძღვრება, „ბრძნული“ აზრი ან სენტენცია იმის შესახებ, რომ „ყველაფერს, რაც ამქვეყნად არსებობს, თავისი მეორე სახე აქვს: ბუნებას, კულტურას, რელიგიას, ხელოვნებას, პოლიტიკას, სიყვარულს... ყველაფერს!..“

ისეთი ცინიკოსებიც არიან, მთელ კაცობრიობას რომ დანტეს იმ საშინელი ურჩხულის სახით წარმოადგენენ.

ასეთ რამეს რომ ისმენ, საკუთარ თავსაც ეკითხები: ნუთუ ყველაფერს, მართლაც, მეორე სახე აქვს, მეორე დანიშნულება? შექსპირს უწერია, ღმერთმა ერთი სახე მოგცათ, თქვენ კი მეორეს იღებთო. მერედა, ეს ბუნებრივობაა თუ სამწუხარო აუცილებლობა? იქნებ ადამიანებიც იძულებულნი არიან, თავიანთი „შემაძრწუნებლად მეორე“ სახე მიიღონ, ანუ „აქუნდეს რქანი, მსგავსნი კრავისა, და ზრახვიდეს ვითარცა ვეშაპი“. გერმანელმა მწერალმა გოტფრიდ ბენმა ხომ სწორედ ამას უწოდა „ორსახოვანი ცხოვრება“ (Doppelleben). მისი აზრით, ადამიანიც ისეთივე ორმაგი არსებაა, როგორც მითიური სფინქსი, კენტავრი, სირინოზი, ან ძაღლისთავა ღმერთი. ყოველი პიროვნება ამგვარი ორმაგობის კულმინაციაა, — ამტკიცებს იგი და განაგრძობს:

— ჩვენ ვფიქრობთ სხვას, ვიდრე ვართ. ეს არის აზრის (Sinn) და ყოფნის (Sein) წინააღმდეგობა, ე. ი. პიროვნების

შეგნებული ორმაგობა, რის გამოც ყველა სხვაგვარია, ვიდრე არის.

— ჩვენ ყველანი სხვაგვარად ვცხოვრობთ, ვიდრე ვართ, — ამბობს იგი.

ეს იგივეა, რასაც პასკალი წერდა:

— ჩვენ კი არ ვცხოვრობთ, არამედ ვიმედოვნებთ, რომ ვიცხოვრებთ ხვალ ან ზეგ...

ამით ერთმანეთს ეთიშება „ცხოვრება" და „სული", „მოქმედება" და „აზროვნება". ერთი ნიღაბი ცვლის მეორეს და მოხერხებულად მალავს თავის ნამდვილ სახეს. ცხოვრებაც იმას ულიმის, ვისაც მეორე სახის ანუ ნიღბის კარგად მორგება შეუძლია. ასეთი ადამიანი თავსაც ადვილად დაირწმუნებს, რომ ეს ასეა და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს.

გოტფრიდ ბენმაც ამიტომ შემოგვთავაზა დელფოსში აპოლონის ტაძრის ცნობილი წარწერის — „შეიმეცნე თავი შენი" ახალი ვარიანტი. „შეიგნე მდგომარეობა შენი" ან სხვაგვარად: „შეეგუე სიტუაციას". თუ ამას მოახერხებ, შეგიძლია ორგვარი ცხოვრება გქონდეს: ერთი აკეთო, მეორე იფიქრო. ყოველგვარ გარემოს, თუნდაც დანაშაულებრივს, შეეგუო, ხოლო სული, ფიქრი, აზრი წმიდად შეინარჩუნო.

ბენს უნდა თქვას, რომ ასე იყო ნაცისტურ გერმანიაშიც. კეთილი ნების ადამიანები ერთს ფიქრობდნენ, მაგრამ გარემოების იძულებით სხვას აკეთებდნენ; საჯაროდ ჰიტლერს უქერდნენ მხარს, გულში კი წინააღმდეგი იყვნენ ყოველივე იმისა, რაც ნაცისტურ გერმანიაში ხდებოდა.

ერთი სიტყვით, ბენისებური თვალსაზრისით, მესამე იმპერიაში შეიძლებოდა ადამიანი ერთსადაიმავე დროს გონიერიც ყოფილიყო, პატიოსანიც და ნაციონალ-სოციალისტიც. სამივე იპოსტასი იძულებით ეგუებოდა ერთმანეთს და, ამის გამო, არც იურიდიულ მსჯავრდებას იმსახურებს და არც მორალურს.

ეს, რა თქმა უნდა, იმის ცდაა, რომ ნაცისტების მიერ ჩადენილი დანაშაული შეარბილონ ან სულაც გაამართლონ. აკი თვითონაც ამბობდნენ: გვიბრძანებდნენ, გვაიძულებდნენ და გვაკეთებინებდნენო. ეს იყო ყველა ჰიტლერელი ბოროტმოქმედის თვითგამართლების ძირითადი მოდუსი. ესე იგი, მართა-

ლია, საქმით ვითომ ნაციონალ-სოციალისტები ვიყავით, მაგრამ პირადად არც გონიერება დაგვიკარგავს და არც პატიოსნებაო. ისე კი, ვინც ნაციონალ-სოციალისტურ აქიოტაჟს არ აჰყვა და ნამდვილად შეინარჩუნა როგორც გონიერება, ისე პატიოსნებაც, სულ სხვაგვარად აფასებდა ამ სამი იპოსტასის შესაძლებელ ურთიერთობას:

— არის ადამიანის სამი თვისება: გონიერი, პატიოსანი და ნაციონალ-სოციალისტი. ამათგან ორი ხშირად უთავსდება ერთმანეთს, სამივე კი არასოდეს:

1. თუ კაცი გონიერია და პატიოსანი — ნაციონალ-სოციალისტი არ არის;

2. თუ გონიერია და ნაციონალ-სოციალისტი — პატიოსანი არ არის;

3. თუ პატიოსანია და ნაციონალ-სოციალისტი — გონიერი არ არის....

ეს ისე უეჭველია, რომ არავითარი „ორმაგი ცხოვრების" ზღაპარს არ შეუძლია ამის დარღვევა, არც გადაჭრით თქმა, თუ ამ სამი იპოსტასის რა ვარიაცია სჭარბობდა მაშინ გერმანიაში. ერთი რამ კი ცხადია, იმ სამს მეოთხეც უნდა დაემატოს: „ვინც არც გონიერია და არც პატიოსანი — ნაციონალ-სოციალისტია"...

...როცა „ჰიტლერულ გერმანიაზეა" ლაპარაკი, ეს „მეოთხე იპოსტასი" წარმოადგენს მის „უმრავლესობას", შეიძლება „დიდ უმრავლესობასაც" კი. და თუ საქმე აქაც ალეგორიაზე მიდგება, გერმანელი ხალხის ამ სამწუხარო მეტამორფოზის გასაგებად ისევ დანტეს მაგალითი უნდა გავიხსენოთ:

„ჯოჯოხეთის" ოცდამეხუთე თავში აღწერილია ექვსფეხა გველად ქცეულ კიანფა დონატოს ბრძოლა სამ აჩრდილთაგან ერთ-ერთთან, აგნელოსთან.

„ექვსფეხა გველი ზედ მიეჭრა ერთ-ერთს სამთაგანს,
„შემოეჭიდა, მოეხვია შუა ჭანგებით,
„მუცელზე, წელზე შემოეჭდო გაცხარებული.

მერე წინა ჭანგები წაიგრძელა, მკლავებზე მოსდო, ორ-

თავ ლოყაში გაუყარა, სუროსავით შემოეხვია მთელ სხეულზე, რის შემდეგაც ორივე ერთმანეთს გადაენასკვა, გადაეკვანძა, შეეხორცა და შეედუღა. მათი ფერი და ხორცი ისე აირია, ისე გაითქვიფა, რომ „არც ერთს არ შერჩა აღნაგობა უწინდებური“.

დანარჩენმა სულებმა ეს საოცრება რომ დაინახეს,

„წამოიძახეს: — „ო, აგნელო, გეცვალა სახე,
„ამიერიდან არც ერთი ხარ და აღარც ორი...

მე მეჩვენება, რომ ამის მსგავსი რაღაც მოხდა გერმანიაშიც. კიანფა დონატოსებური ექვსფეხა გველები შემოეხვივნენ თავიანთი ოჯახისა და ხელობის მოყვარულ გერმანელ ბიურგერებს და ორგვარ არსებათა იმგვარი „უცხო რამ სახე“ მიაღებინეს, რომლის მსგავსი, მართლაც, კაციშვილს არ ზოსწრებია...

... ეს რომ ასეა, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც იყო ძნელად ასახსნელი, თუ როგორ მოახერხეს ჰიტლერელმა კიანფა დონატოებმა გერმანელების ამ „დიდი უმრავლესობის“ ისეთ სისხლმოწყურებულ „უცხო რამ სახედ“ ქცევა, რომ მთელი კაცობრიობა შეაძრწუნეს თავიანთი გაუგონარი ბოროტმოქმედებით. აბა, ისე საიდან უნდა გაჩენილიყვნენ გოეთესა და ბეთჰოვენის გერმანიაში მილიონობით კიანფა დონატოები, რომელთაც ნაცარტუტად აქციეს მთელი ევროპა? ან ჰიტლერს რა შხამი ჰქონდა ისეთი, რომ სულ რამდენიმე წელიწადში მოწამლა ამდენი ხალხის გონება. ისიც საინტერესოა გავიგოთ, თუ როგორ შემზადდა ეს საწამლავი გერმანიაში, რომელსაც „პოეტებისა და მოაზროვნეების ქვეყანას“ უწოდებდნენ, ან რატომ მოხდა, რომ ვერავითარმა წინასწარმა გაფრთხილებამ ვერ დაიცვა მისგან ერთ დროს პატიოსანი და შრომისმოყვარე გერმანელები?

ბუნებრივია, რომ ამგვარი კითხვები ნიურნბერგის პროცესზედაც დაისვა. ფრანგმა ბრალმდებელმა ფრანსუა დე მენტონმა თქვა:

— როგორ ავხსნათ, რომ გერმანია, რომელიც საუკუნეთა

განმავლობაში იკვებებოდა კლასიკური სიძველითა და ქრისტიანიზმის სიმდიდრით, თავისუფლების, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის იდეებით, რაც ჰუმანიზმის საერთო საგანძურს წარმოადგენს და რაშიც თავისი კეთილშობილური და ძვირფასი წვლილი თვითონაც შეიტანა, ასე უცნაურად დაუბრუნდა პრიმიტიულ ბარბაროსობას?..

— ეს რომ გავიგოთ და დაუყოვნებლივ მივიღოთ ზომები, — განაგრძო მან, — რათა აღმოეფხვრათ გერმანიაში ბოროტება, რამაც დაღუპვის პირამდე მიიყვანა ცივილიზაცია, უნდა გამოვააშკარავოთ ნაციონალ-სოციალიზმის ღრმა და შორეული საფუძვლები.

ვიდრე ნიურნბერგში ნემეზიდას მახვილი აღიმართებოდეს, ჩემი საზრუნავიც ეს იქნება, რადგან, ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ საქმეს მართლაც „ფესვებიდან უნდა გასინჯვა“.

აბა, მე ხომ იურისტი არა ვარ, მარტო ოცდაერთი მთავარი სამხედრო დამნაშავის მიერ ჩადენილი საქმეებით დავინტერესდე. ამითაც, რა თქმა უნდა, მაგრამ არანაკლებ იმ იდეური წინამძღვრებით, ანუ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ, რამაც ის საშინელი ს ა ქ მ ე ე ბ ი გამოიწვია. მართალია, წმიდა წიგნებში წერია, „საქმეთა მათთაებრ განისაჯონ ისინიო“, მაგრამ ხომ შეიძლება ამას დავუმატოთ: „სიტყუითა მათთაებრაც“, რადგან ზოგჯერ ს ი ტ ყ ვ ა უფრო დამნაშავეა, ვიდრე ს ა ქ მ ე. ნიურნბერგში ინგლისელმა ბრალმდებელმა შოუკროსმა ლორდ ასტორის სიტყვებიც გაიხსენა:

— მკვლელობა უდიდესი დანაშაულია, მაგრამ არც დამხმარე თუ დამხმარის დამხმარეა უკეთესი, ვიდრე მკვლელი; მკვლელობის თეორეტიკოსი კი ყველაზე უარესია.

მეც ამიტომ მინდა, ნიურნბერგის სამსჯავროს წინაშე წარმოსახვით მაინც მოვუხმო გონებისა და ჭეშმარიტების „დიდ ბატონებს“, ცოცხლებსა თუ მკვდრებს, რომელთაც თავიანთი „ფრიად განათლებული სიტყვებით“ ხელი შეუწყეს „მკვლელობის თეორეტიკოსებს“ იმ საშინელი საქმეების წასაქეზებლად. ნებსით თუ უნებლიეთ, ეს სულერთია. ამით შეიძლება

დანაშაული დამძიმდეს ან შემსუბუქდეს, მაგრამ პასუხისმგებლობას მაინც ვერავის მოხსნის...

ხორცქმნად სიტყვისად...

ამიტომაა, ამ ახლო სატკივარს მეც რომ მორეული ამბებით ვბლანდავ და ვფიქრობ:

— რას უფრო მძიმედ აწევს „პირველცოდვის“ და მისი ისტორიაში ხანგრძლივობის დანაშაული, ს ი ტ ყ ვ ა ს თუ ს ა ქ მ ე ს, ე. ი. ვინ მეტ სასჯელს იმსახურებს, ვინც დანაშაულებრივ აზრებს ქადაგებს, თუ ვინც მათ ანხორციელებს?

ამ აზრს რომ ძირამდე მისდიოს კაცმა, ისევ ძველი მეტაფიზიკური კითხვა წამოიჭრება: რა იყო საწყისის საწყისამდე — სიტყვა თუ საქმე?

იოანეს სახარებაში, მოგეხსენებათ, ასე წერია:

— პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტ̀ყუაჲ იგი...

მერეც ამბობდნენ: ყოველივე განისაზღვრება სიტყვით. სიტყვაა საფუძველი და სიტყვისაგან წარმოსდგება ყოველი... და რომ „სიტყუაჲ იგი“ სამყაროს დაბადებამდე „ითქუა“. მერედა, ვინა „თქუა“ იგი? ღმერთმა? კეთილი, მაგრამ ღმერთიც ხომ „სიტყუაა“. გამოდის, რომ სიტყვამ თქვა სიტყვა და იქცა საქმედ! ეს კი შეუსაბამობაა.

ალბათ, ამიტომ იყო, რომ გოეთეს ფაუსტსაც არ მოეწონა სახარებაში გამოთქმული აზრი, „არ შემიძლია, ვიწამო სიტყვა ამ ძალადო“ და პირველად იყო გ ო ნ ე ბ ა ო, თქვა, მერე ძ ა ლ ა ო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ს ა ქ მ ე არჩია.

— ვწერ თამამად, რომ პირველითგან იყო საქმე, — განაცხადა მან.

ამრიგად, რაც „პირველ სიტყვასა“ და „პირველ საქმეს“ შეეხება, მე თუ მკითხავთ, ეს ისეთი უფსკერო სიღრმეა, რომ მის არსს წამოსახვითაც ვერ მიწვდება ადამიანი. მართალია, ძველი გერმანელი მისტიკოსები, კითხვას, რა იყო საწყისის საწყისამდე, გაბედულად უპასუხებენ: არაფერი და ყველაფე-

რი, დიადი მისტერია, უხარისხო რაღაც, ერთიანი ძალისა და მრავალფეროვნების პოტენცია, არაფრიდან რამეში გადასვლა და სხვა ასეთი, მაგრამ ეს თეოლოგიაა და არა ბუნებისმეტყველება. ამიტომაც ვამბობ, რომ ამ საკითხს თავსა და ბოლოს ვერავინ უპოვის. ცხოვრებაში კი, მგონი, ეს პრობლემა უფრო მარტივად ისმის. აქ ხშირად სიტყვა უსწრებს საქმეს. ჯერ ითქმის და მერე კეთდება. თუ ეს საერთოდ ასეა, მით უმეტეს ასე იქნებოდა ნაცისტურ გერმანიაში, სადაც ს ი ტ ყ ვ ა ს რაღაც საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. სწორედ აქ შეიქმნა ის Lingua Tercii Imperii (LTI) ანუ „მესამე იმპერიის ენა“, რისთვისაც გამოყენებულ იქნა როგორც ბიბლიურ-ქრისტიანული სიმბოლიკა, ისე „ღვთის სიტყვის“, როგორც ყოვლის შემოქმედი ლოგოსის, უძველესი ფილოსოფიური გაგება. აქ გაერთიანდა აღმოსავლურ-დასავლური რელიგიური რწმენა „გვამოვანი“ ანუ „განხორციელებული სიტყვისა“, რასაც დავით აღმაშენებელმა „ხორცქმნაჲ სიტყუისაჲ“ უწოდა, ე. წ. „წმიდა წიგნებში“ წერია, რომ „განხორციელებული სიტყუაჲ ღმრთისა არის ქრისტე“. „ღმერთმა თქვა და სიტყუაჲ იგი ხორციელ იქმნა“. მთელ აღმოსავლურ რელიგიას მოჰყვება „ღვთის სიტყვის“ ამგვარი განკაცების იდეა. ზენდ-ავესტაში ლაპარაკია „ხორცშესხმული სიტყვის“ შესახებ. უპანიშადის მიხედვით, ღვთის სიტყვა სიბრძნეშია განკაცებული. „სიტყვის განკაცების“ ეს საიდუმლოება ცნობილია, როგორც ძველი აღმოსავლეთის, ისე ქრისტიანული დასავლეთის სამყაროში. იგი ეკჰარტისა და ბომეს მისტიკურ-მატერიალისტურ მოძღვრებაშიც ჩნდება და როზენბერგის „XX საუკუნის“ მითის გზით შემოდის ნაციონალ-სოციალისტურ იდეოლოგიაში, რომლის მიხედვითაც „გენია მოქმედებაშია და არა აზროვნებაში“. სწორედ ამ „განკაცებული“ და „მოქმედი“ სიტყვებით შეძლეს ჰიტლერელებმა, მოეწამლათ გერმანელთა უმრავლესობის გონება. ეს იყო მასობრივი ფანატიზმის ენა, რასაც შელოცვის ძალა ჰქონდა. საკრალური სიტყვებით აღგზნებულ ბრბოს შთააგონებდნენ, რომ მოდის ახალი მესია, მოდის მხსნელი და მოაქვს სასწაული: Heiland — აღთქმული

ქვეყანა, ანუ გერმანელი ხალხის ახალი ათასწლოვანი იმპერია... ამ იმპერიის „წმიდა ენამ“ (Lingua sacri) არ იცის ისეთი ცნებები, როგორიცაა სინდისი, მონანიება, შეწყალება, ზნეობა... სამაგიეროდ, სრულიად ახალი მნიშვნელობა ენიჭება ძველ სიტყვებს: სისხლი, ბრძოლა, თავგანწირვა დ სხვ. ამით ბოროტების ენა სძლევს სიკეთისას, რის გამოც ერთიც ისევე უნდა დაიდოს თემიდან სასწორზე, როგორც მეორე. ერთიც განსასჯელია და მეორეც, რათა კეთილსა ეზღოს კეთილი, ხოლო ბოროტსა — ბოროტი, თორემ ისევ იმ „შხამიან ნექტარს“ შემოგვაპარებს ვინმე და იტყვის, „ბოროტება სიკეთისაკენ მისწრაფისო“. მერე ეშმაკიც ჩაგიძვრება სულში და დაგიწყებს მტკიცებას, ბოროტი კი მსურს, მაგრამ სიკეთე გამომდისო. ასე რომ მივყვეთ, ვინ იცის, სანამდე მივალთ. იქნებ კეთილი და ბოროტი, ღმერთი და ეშმაკი, სიტყვა და საქმე ისე აგვერიოს ერთმანეთში, რომ აპოკალიფსის შემაძრწუნებელი სიტყვებიც გაგვახსენდეს:

— და ვიხილენ ტანი განხუმებულნი. და აჰა, ცხენი სპეტაკი, და მჯდომარესა მას ზედა ეწოდების სარწმუნოჲ და ჭეშმარიტი.

მერედა, რა სახით წარმოდგება „სარწმუნოჲ“ იგი და „ჭეშმარიტი“ წმიდისა მახარებლისა და ღმრთის მეტყველისა იოანეს წინაშე.

— და ემოსა სამოსელი შეღებილი სისხლითა, და წოდებულ არს სახელი მისი: სიტყუაჲ ღმრთისა.

წარმოგიდგენიათ? ღვთის სიტყვა სისხლის სამოსელში! თუ ასეა, „სატანის სიტყუა“ რით უნდა შეიმოსოს? იქნებ სპეტაკითა და ბრწყინვალითა ან პორფირითა და ძოწეულითა შემკულით ოქროჲთა და ქვითა პატიოსნითა? ისიც ხომ შესაძლებელია, რომ სატანამ ღმერთს თავზე ნათელი მოხადოს და თვითონ დაიდგას რქებზე?

ძნელია ამ საკითხებში ჩახედვა, მაგრამ ამ ალეგორიების თანამედროვე მოდელებში მაინც უნდა გავერკვეთ, რომ ჩვენს თვალწინ გადაშლილი შემაძრწუნებელი ამბების მიზეზთა ფესვები გავსინჯოთ, რადგან, გოეთესი არ იყოს, „ბოროტება საფუძველს კი არ ეძებს, არამედ მიზეზს“...

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ეს საჭირო არ არის, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, საჭირო კი არა, აუცილებელიცაა, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება იმ საშინელი ამბების მიზეზებსა და შორეულ საფუძვლებში გარკვევა. ისე კი, ზოგს ჰგონია, იდეოლოგიური შხამი, რასაც „ნაციონალ-სოციალიზმი“ ეწოდა, ჰიტლერთან ერთად დაიბადა და მასთან ერთადვე მოკვდა. არა. ის ლორწოვანი ლოკოკინა დიდი ხანია, რაც ისტორიის შარაგზაზე მობობღავს. ჰიტლერი მხოლოდ ნიჟარა იყო მისი. მართალია, მოკავშირეთა საერთო ძალებით ის ნიჟარა დამსხვრეულ იქნა, მაგრამ ლოკოკინა მაინც განაგრძობს თავის გზას და ეძებს ახალ თავშესაფარს. მას მომხრეც ბევრი ჰყავს და ხელის შემწყობიც. ომმა ნაციონალ-სოციალისტური სარეველა კი მოცელა, მაგრამ ფესვები მაინც დარჩა. საჭიროა მათი ამოძირკვა. ეს რომ შევძლოთ, კარგად უნდა ვიცოდეთ დროის ხასიათი და ისტორიული პირობები, რამაც იგი წარმოშვა. დრო კი, როგორც ამბობენ, ყოველთვის ჩვენი თანატოლია.

ჩემთვის ეს საქმე რამდენადმე გაადვილებულიცაა, რადგან თითქმის ყველა საჭირო მასალა ხელთა მაქვს. ამ მხრივ დიდი დახმარება გამიწია კარლსჰორსტის ბიბლიოთეკაში მუშაობამ. ბინაც ხომ იქვე მქონდა და ჩემი ხელობის კაცს მეტი რაღა უნდოდა...

სულიერი სასაფლაო...

> შეღამდა, მე წავალ იქ, სადაც სიზმრები
> წიგნებში დარდობენ დახუჭულ თვალებით.

გალაკტიონის ეს სიტყვები გამახსენდა, როცა კიანფა დონატოსთან საუბრის შემდეგ ჯოჯოხეთის იმ ბიბლიოთეკაში ავედი. სადარბაზოს პორტალზე ოქროს ასოებით ეწერა:

Libri — amici, libri — magistri

(წიგნები — მეგობრები, წიგნები — მასწავლებლები), სამკითხველოს ზემოთ კი: Alit lectio ingenium (კითხვა კვებავს გონებას).

კარადებში მხოლოდ გერმანული წიგნები ეწყო, თარგმნილი თუ ორიგინალური. უფრო საპატიო ადგილას კი ჰიტლერის სახარება „ჩემი ბრძოლა“ იდო, ხბოს ტყავის ყდაში ჩასმული და ოქროთი მოვარაყებული, მერე როზენბერგის „XX საუკუნის მითი“, გებელსის რომანები და სხვა ნაცისტი იდეოლოგების წიგნები. დანარჩენ თაროებზე კი მთელი კლასიკური გერმანული ლიტერატურა იყო გამოფენილი. ჩვენი საუკუნე უმთავრესად ნაციონალ-სოციალისტურად მოაზროვნე ფილოსოფოსებისა და მწერლების წიგნებით იყო წარმოდგენილი. როცა მათ ვფურცლავდი, უნდა გამოგიტყდეთ, ისეთი გრძნობა დამეუფლა, როგორიც იპყრობდა შუა საუკუნეების ღვთისმეტყველებს მაგიური წიგნების კითხვის დროს; ან თუნდაც თომას მანის სერენუს ცაიტბლომს, რომელიც ადრიან ლევერკიუნის მიერ სანოტო ქაღალდებზე დაწერილ აღსარებას კითხულობდა, მისი „შემაძრწუნებლად სხვასთან“, ანუ ეშმაკთან, საუბრის შესახებ. ალბათ, ამიტომ იყო, რომ იმ საღამოს რაღაც უსიამო გრძნობამ შემიპყრო. ეს ვაზნებივით ჩალაგებული ტომებიც უფრო შიშს იწვევდნენ ჩემში, ვიდრე აღტაცებას. თან ისეთი სამარისებური სიჩუმე იდგა, თავი მიტოვებულ სასაფლაოზე მეგონა. პოლ ვალერი ამგვარ ბიბლიოთეკას, მართლაც, „სულიერ სასაფლაოს“ უწოდებს, სადაც „გარდაცვლილ ჭეშმარიტებათა მარადიული დუმილი“ სუფევს, „შარავანდით მოსილი“ თუ „სახელმოხვეჭილი დუმილიო“, — უმატებს იგი. აქ, ამ სულიერ სასაფლაოზე, განისვენებს კაცობრიობის მთელი ისტორია, „რაც იყო და რაც არ იყო“, ჭეშმარიტი თუ ცრუ, მოგონილი თუ ნამდვილი. ყველაფერი შეიცვალა მათ გარშემო, ეს „ობობის ქსელით დაბლანდული ტომები“ კი ისევ ისე დარჩა. მართალია, მათ უკვე ნესტის სუნი ასდით, მაგრამ მოვარაყებული ყდები მაინც ამპარტავნულად გამოიყურებიან თაროებიდან.

მერედა, რა მისცა ამან კაცობრიობას, ან იმ საცოდავ ადამიანებს, რომელნიც, ისევ იმ ვალერისა არ იყოს, „დღემდე ამაოდ დაძრწიან ცხოველური ნულიდან ღვთაებრივობის უმაღლეს ნიშნამდე, მაგრამ თავიანთი ბედი მაინც ვერ უპოვიათ“...

— კიდევ ერთი საუკუნე ამ წიგნების მკითხველებისა და თვით სულიც კი აყროლდებაო, — წერს ნიცშე...

... ვიცი, ეს ისეთი მკრეხელური აზრებია, რომ მაშინვე „ფუი ეშმაკსო“, უნდა მეთქვა, მაგრამ იმ „შემაძრწუნებლად სხვამ“, ეტყობა, მეც ისე ჩამჭიდა თავისი „ბეღლები“, რომ არაფერი მითქვამს. ისე კი მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი ფიქრების კლავიშებზე ვიღაც სხვა უკრავდა, „ჩემივე სხვა“, რა თქმა უნდა, მაგრამ ტანში მაინც მაჟრიალებდა. აბა, რა სასიამოვნოა, როცა შენში ვიღაც სხვას გრძნობ, რომელიც შენ თვითონა ხარ. ზოგჯერ მისი დამცინავი ხითხითი და ნაცნობი სიტყვებიც კი ჩაგესმის:

— ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა, რომელიც ჩანედ გარეშე შვენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიედ ძუალებითა მკუდართაჲთა და ყოვლითა არაწმიდებითა...

ეშმაკი რომ წმიდა წიგნების ენით დაგიწყებს ლაპარაკს, ამაზე საშინელი რა არის! ან რა გასაკვირია, თუ ასეთ დროს შიში შეგიპყრობს კაცს. ეს შიში მე უფრო მიძლიერდებოდა, როცა თაროებიდან იმ „ყავისფერ წიგნებს“ ვიღებდი. ასე მეგონა, რაღაც იდუმალსა და აკრძალულს ვეხებოდი, რათა ბნელი ადამიანების სულიერ უფსკრულში ჩამეხედა. მერედა, ვინ მაძალებდა ამას? არავინ. ჩემივე ცნობისმოყვარეობა, სხვა არაფერი! მე ხომ ჰიტლერელთა ყველა იმ ბარბაროსულ მოქმედებასთან შედარებით, რაზედაც უკვე გიამბეთ, უფრო საშინლად ის ძალადობა მიმაჩნია, რაც მათ ადამიანთა სულიერ სფეროს მიმართ გამოიჩინეს. ეს იყო მთავარი, რადგან, დარწმუნებული ვარ, ნაცისტური ფილოსოფიიდან „მთელი რასობრივი ელემენტების“ გაჟღეტამდე ერთი ნაბიჯია. სიტყვა და საქმე აქ მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს: რასაც ქადაგებდნენ, იმასვე აკეთებდნენ...

შხამიანი ნექტარი...

უკვე გვიან იყო, მაგრამ მაინც მივყევი წიგნების გრძელ თაროებს. მსოფლიოს მთელი კლასიკური მწერლობა იყო აქ წარმოდგენილი. მე ყოველთვის დიდი მოწიწებით შევყურებდი

ბიბლიოთეკების წიგნებით სავსე თაროებს. მე კი არა, ასე შეჰყურებს მათ მილიონობით ადამიანი. ზოგს კი ამგვარი ბიბლიოთეკები თავიანთი სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა. შოპენჰაუერი წერდა, ბიბლიოთეკა რომ არ მქონოდა, სასოწარკვეთა დიდი ხნის წინ მომიღებდა ბოლოსო. იგი ნანობდა, სიკვდილის შემდეგ რომ უნდა გამოთხოვებოდა თავის საყვარელ ბიბლიოთეკას. თან იმას სწუხდა, დრო რომ არ ჰყოფნიდა ყველა საჭირო წიგნის წასაკითხავად:

— რა კარგი იქნებოდა, წიგნებთან ერთად მათი წასაკითხი დროც იყიდებოდესო, — ამბობდა იგი.

მიუხედავად ამისა, იმავე შოპენჰაუერს უთქვამს, ცუდი წიგნი ისეთი ინტელექტუალური საწამლავია, რომ შხამავს ადამიანის სულსო.

მართლაც, რა გულუბრყვილობაა, ზოგადად ამტკიცო — „წიგნი შენი მეგობარია, რომელიც არასოდეს მოგატყუებსო". მოგატყუებს კი არა, ისეთი შხამით მოგწამლავს, სულ ეშმაკის ნაკვალევზე გატარებს...

ასეა. წიგნებში შხამიც ბევრია და ნექტარიც, მაგრამ ორივე ერთად, ესე იგი, „შხამიანი ნექტარი" ისეთი „უცხო რამ სახეა", რომლის ქიმიური შემადგენლობის ამოცნობა არც ისე ადვილია...

... ამბობენ, ჰიტლერსაც დანტეს მორიელივით ორმაგი ჭანგი ჰქონდა, ერთი ნექტარით (გერმანელებისათვის), ხოლო მეორე საწამლავით (სხვა ხალხებისათვის) სავსეო; სინამდვილეში ის „ნექტარი" უფრო შხამიანი აღმოჩნდა, ვიდრე საწამლავი. ისე კი, ჰიტლერი ორივეს ერთნაირი გულმოდგინებით იყენებდა. იგი ნაციონალ-სოციალიზმის „სულიერი სუბსტანციისაგან" შემზადებულ „შხამიან ნექტარს" ასმევდა ვერსალის ხელშეკრულებით თუ სხვა რამ მოტივებით განაწყენებულ გერმანელებს. ისინიც ლაკმუსის ქაღალდივით იეღინთებოდნენ ამ საწამლავით, ვიდრე ყავისფერი ნადირ-კაცების ის „უცხო რამ სახე" არ მიიღეს. „უცხოო", იმიტომაც ვამბობთ, რომ მანამ გერმანელების დიდი უმრავლესობა თავიანთი ოჯახისა და ხელობის მოყვარული, მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ, ისეთ

ოჯახს ვერც ნახავდით, სადაც ხელსახოცებსა და პირსახოცებზე ქრისტეს ათი მცნების რომელიმე შეგონება მაინც არ ჰქონოდათ ამოქარგული. ახლა კი ისე ადვილად მოექცნენ იმ ანტიქრისტეს გავლენის ქვეშ, თითქოს ეს მართლაც მათი ბუნებიდან ყოფილიყო გამომდინარე. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ მხრივ გერმანელები უფრო მკაცრ მსჯავრს ადებენ თავიანთ ერს, ვიდრე სხვა ხალხთა წარმომადგენლები. ეს ნიურნბერგშიც იგრძნობოდა, ერთ-ერთმა დამცველმა თქვა კიდეც:

ბრალმდებელთა სასახელოდ უნდა ვაღიაროთ, რომ არც ერთ მათგანს გერმანელი ხალხი არ გამოუცხადებია ჰიტლერელთა დანაშაულის მოზიარედ (mitschuldig). ის კი არა, ლოურენსი კრძალავდა კიდეც „საერთო გერმანულ დანაშაულზე“ ლაპარაკს. ასე, მაგალითად, როცა დამცველმა კაუფმანმა დაიწყო მსჯელობა გერმანელი ხალხის დანაშაულისა თუ შეცოდების შესახებ, ლოურენსმა მაგიდას ჩაქუჩი დაჰკრა და შეაწყვეტინა:

— ჩვენ აქ ბრალდებულთა დანაშაულს ვიხილავთ და არა გერმანელი ხალხისასო.

მიუხედავად ამისა, ფრანკი მაინც თავისას იმეორებდა:

— ბარბაროსობა უალრესად გერმანულ-რასობრივი ხასიათია. აბა, ისე ჰიმლერს როგორ შეეძლო ამდენ მკვლელობაზე ბრძანების გაცემა. მე შეძრწუნებული ვარ იმაზე ფიქრით, რომ სწორედ ჰიტლერია ყოველივე ამის წყარო.

ასე გასინჯეთ, გერინგიც გამოთქვამდა ამგვარ აზრს. როცა ციხის კამერაში მასთან ჯილბერტი შეეცდა და მასობრივ მკვლელობაზე ჩამოუგდო ლაპარაკი, გერინგმა აქეთ-იქით გაიხედა და უთხრა, მე ვგრძნობ, რომ გერმანელი ხალხი სამუდამოდ იქნება დაწყევლილი ამ სიმხეცის გამოო.

შემდეგ ეს საკითხი ბიბლიურ მითებსაც დაუკავშირეს და რაღაც „თანდაყოლილ გერმანულ ცოდვაზე“ დაიწყეს მსჯელობა. ეშმაკსაც ამიტომ უბოძეს „წარმოშობით გერმანელის“ ანუ „ნამდვილი გერმანელის“ ტიტული. ამას მოჰყვა გერმანელი ფილოსოფოსის — იასპერსის, შესაძლოა, პარადოქსული, მაგრამ მაინც საკმაოდ გესლნარევი „ხუმრობა“,

ღმერთმა გერმანელები მაშინ გაგვაჩინა, როცა გაბრაზებული იყოო (in seinem Zorn erschaffen).

იგივე იასპერსი წერს, იმდენად ჰიტლერი კი არ არის დამნაშავე, რამდენადაც ხალხი, რომელიც მას მიჰყვებოდაო.

თუ სხვები ზოგადად ამბობენ, ეშმაკი თვით ადამიანის ბუნებაშიაო, იასპერსი აქ „ადამიანის“ მაგივრად „გერმანელისო“, წერს და ამის საბუთად გოეთეს ავტორიტეტს მიმართავს.

— კიდევ ორი საუკუნე უნდა გავიდეს, რომ საკმაოდ დავშორდეთ იმ დროს, როცა ბარბაროსები ვიყავითო, — უთქვამს მას. ბარბაროსები კი, იასპერსის განმარტებით, ეს ის ხალხია, ვინც „თავისი შესაძლებლობა მანამ ამოსწურა, ვიდრე კულტურას შექმნიდა“; და ისევ გოეთე:

— მთელი საუკუნე უნდა ვიცადოთ, რომ გავერკვეთ, ვინა ვართ ჩვენ: აბსტრაქტული სწავლულები თუ ადამიანები?

რაღაც ამის მსგავსს თურმე ჰოლდერლინიც წერდა:

— გერმანია ის ქვეყანაა, სადაც ხელოსნები არიან, მაგრამ არა ადამიანები, მოაზროვნენი, მაგრამ არა ადამიანები; მღვდელები, მაგრამ არა ადამიანები; ბატონები და მსახურები, მოხუცები და ახალგაზრდები, მაგრამ არა ადამიანები...

როგორც ჩანს, ეს „პრობლემა“ ნიცშესაც აწუხებდა: „გერმანული არსი ჯერაც არ არის გამოკვეთილიო“, — უთქვამს მას. ისიც: გერმანელები ჯერ არაფერი არ არიან, მაგრამ მალე გახდებიან რამეო. შეიძლება ამგვარი თვალსაზრისიც უწყობდა ხელს „საერთო გერმანული დანაშაულის“ საკითხის წამოჭრას. ვიმეორებ, რომ ეს საკითხი თვითონ გერმანელებმა დააყენეს. როცა სხვები, თუნდაც დაზარალებული ერების წარმომადგენლები ამბობდნენ, „საერთო გერმანული დანაშაული“ აქ არაფერი მოსატანია, რადგან ეს კულტურული ხალხი უფრო დანაშაულებრივი ზეგავლენის მსხვერპლად იქცაო, იასპერსი ირონიულად უპასუხებდა:

— კი, მაგრამ ის „კულტურული ხალხი“ რომ აღტაცებით ხვდებოდა ჰიტლერელ დამნაშავეებს?..

მეტიც. იგი პირდაპირ ამბობდა:

— ეს ჩვენ შევქმენით დანაშაულებრივი სახელმწიფო,

რაც გერმანელი ხალხის უმრავლესობის ხასიათის გამომქღავნებას წარმოადგენს...

მერედა, იასპერსი ხომ გერმანელი ფილოსოფოსია და არა ჯვარცმული მარკოვი, რომელიც ძილშიაც კოშმარებს ებრძვის!

რაც შეეხება „კულტურულ ხალხს“, თვით თომას მანიც კი ეჭვით უყურებს „კულტურის“ ცნების გერმანელებთან დაკავშირების შესაძლებლობას, „ცივილიზაციის“ კი, რა თქმა უნდა, მაგრამ „კულტურის!..“

თუმცა, ნაცისტი მწერლები არც ცივილიზაციას სცნობდნენ. დვინგერი წერდა:

— ერთხელაც იქნება, ჩვენი ახალგაზრდობა ადგება და მილეწ-მოლეწავს ყველაფერს, რასაც ცივილიზაცია ეწოდება...

რატომო, ვინმემ რომ იკითხოს, უპასუხებენ:

— იმიტომ, რომ ცივილიზაცია დაბერებულ-დაჩაჩანაკებულია, ახალგაზრდული კი ბარბაროსობაა...

... აბა, ამის შემდეგ იმ მარკოვის ეჭვებისა, მართლაც, რა უნდა გამიკვირდეს. ის კი არა, ერთხელ ამაზე რომ ჩამოვარდა ლაპარაკი და მე საწინააღმდეგო არგუმენტებად, როგორც ყოველთვის, ლუთერის, გოეთეს, ბეთჰოვენისა და სხვა გერმანელი გენიოსების სახელები მოვიშველიე, ზიზღით შემომხედა, თან „ერთი მაგათიო“... მომაძახა და ზურგი შემაქცია.

მერე, როგორც ჩანს, თვითონაც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მომიბრუნდა და მითხრა:

— შე სულელო, განა მე არ ვიცი, რომ ისინი გენიოსები არიან, მაგრამ როცა წარმოვიდგენ, ათასობით ბავშვს როგორ მიერეკებიან გაზკამერებსა და კრემატორიუმებში ან ჩემი დაღუპული ცოლ-შვილი გამახსენდება, გოეთესა და ბეთჰოვენის გენიოსობა რას მშველის მაშინ?!

არაფერი მითქვამს, იმან კი სული მოითქვა და დაუმატა:

— სხვათა შორის, ეგ გენიოსები ვერც ამ შობელძაღლ გერმანელებს შველიან რამეს, ასე გაუბედურებული რომ დაეთრევიან ბერლინის ნანგრევებში...

ეს, მართლაც, გამწარებული კაცის შეხედულებაა, მაგრამ

ახლა ისიც მაგონდება, რაღაცაზე გულმოსულმა დამცველმა რომ წამოიძახა პროცესზე:

— ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ გოეთესა და ბეთჰოვენის ქვეყნის შვილები ვართ!..

ეს არც არავის ავიწყდებოდა, მაგრამ თვითონ გოეთე და ბეთჰოვენი რომ მოწმეებად გამოეძახებინათ ამ პროცესზე, განა საეჭვოა, რომ ისინი უფრო ბრალდების მხარეს დაიჭერდნენ, ვიდრე დაცვისას? ხომ ფაქტია, რომ იმავე გოეთესა და ბეთჰოვენის ყველაზე დიდი სულიერი მემკვიდრე თომას მანი ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის უმკაცრესი ბრალმდებელი იყო...

დე სანტოსის წყევლა...

ახლა, რა თქმა უნდა, ამაზე ლაპარაკიც საჩოთირო, მაშინ კი სხვა იყო. მარკოვი კი არა, მახსოვს, ნიურნბერგში, ჩემს საცხოვრებელ ოთახში, ერთი-ორი დღით რატომღაც დამატებითი საწოლი დადგეს და რომელიღაც ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტად ჩამოსული ცნობილი მწერალი ლეონიდ ლეონოვი შემოასახლეს.

— ამერიკელებმა ბერგენ-ბელზენის საკონცენტრაციო ბანაკი დაგვათვალიერებინეს, — თქვა მან, — იქიდან ისე გონებაარეული ბრუნდები, რომ შენივე ადამიანური რაობისა გრცხვენია კაცს!..

მეორე დღეს პროცესზე ბრალმდებლები ჰიტლერელთა ბარბაროსობის საშინელ დოკუმენტებს ადგენდნენ. ეს სწორედ ის დღე იყო, როცა იუსტიციის პოლკოვნიკი სმირნოვი ყვებოდა, საკონცენტრაციო ბანაკებში რა მეთოდებით ხოცავდნენ პატიმრებს, დიდებსა თუ პატარებს:

— ფაქტები, მხოლოდ ფაქტები, — თქვა მან და ჩამოთვალა:

... ტყვეების გამოყენება ცოცხალ სამიზნედ ან ჭიქით ხელში სროლა. თუ ტყვია ჭიქას მოხვდა, — ტყვე გადარჩენილია, თუ ხელში მოხვდა, დახვრეტენ, — სულერთია, მუშახელად არ გამოდგებაო.

... ჩვილი ბავშვების:

... ერთ ფეხზე ხელის ჩავლება, მეორეზე ფეხის დადგმა და შუაში გახლეჩა მშობლების თვალწინ.

... კასრში ჩაყრა და გაყინულ წყალში ჩახრჩობა.

... დედის მკერდზე ხიშტით „მიჭედება“.

... კრემატორიუმის ღუმელში ცოცხლად ჩაყრა.

... პატიმრების:

... უკან გადაგრეხილი ხელებით ან თმებით ჩამოკიდება და „საქანელას“ თამაში.

...შეჯიბრი: ძაღლების მისევა სამხედრო ტყვეებზე. ვისი ძაღლიც უფრო ადრე „მორჩება საქმეს“ — ჯილდო.

... მუცლის გამოფატვრა, ნაწლავების გამოწელვა, ნაკუწ-ნაკუწად აქნა და, ვინ იცის, კიდევ რა. თან ყველაფერს მუსიკისა და გართობის მოყვარული ესესელების საერთო ხარხარი ახლავს...

... იმ საღამოს ლეონოვი რომ შემოვიდა ოთახში, ნორმალურ ადამიანს აღარ ჰგავდა, ისე იყო აღშფოთებული ყოველივე იმით, რაც იმ დღეს ნახა და მოისმინა. მან ჯერ დოსტოევსკი გაიხსენა: ივანე კარამაზოვს უამბეს, რა საშინელებებს ჩადიოდნენ თურქები ბულგარეთში: მამაკაცებს კლავდნენ, სწვავდნენ; ქალებსა და ბავშვებს აუპატიურებდნენ; ტუსაღებს ყურით აჭედებდნენ კედელზე და სხვა ასეთი.

— ყველაფერს ვერც წარმოიდგენ, — ამბობს კარამაზოვი, — ზოგჯერ ადამიანის „მხეცურ“ სისასტიკეზე მიუთითებენ, მაგრამ ეს უსამართლობაა და შეურაცხმყოფელი მხეცებისათვის: მხეცი არასოდეს არ არის ისე არტისტულად და მხატვრულად მკაცრი, როგორც ადამიანი.

ლეონოვმა კიდევ ერთხანს იბობოქრა. მერე, როგორც იქნა, დაწყნარდა, წინ საბეჭდი მანქანა დაიდო და სტატიის წერას შეუდგა.

მე სასტუმრო ოთახში ჩავედი. მართალი გითხრათ, თავადაც ისე ვიყავი თავგზააბნეული ნანახითა და გაგონილით, რომ ძილი აღარ შემეძლო. მე კი არა, მთელი ჩვენი „გარნიზონი“

ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა. ყველა ის [illegible] ბეჭდილების ქვეშ იყო და არც იმათ [illegible]ათ.

— კიდევაც რომ ჩამეძინოს, სიზმა[illegible] ის [illegible] შემაწუხებენო, — მითხრა მარკოვმა...

... ოთახში რომ დავბრუნდი, ლეონოვი უკვე ამთავრებდა სტატიას. ხომ არ გეძინებათო, — მკითხა. არა-მეთქი, — ვუპასუხე. აბა, თუ არ დაგეზარებათ, ეს სტატია წაიკითხეთ, ისე ვარ შეძრწუნებული, რომ არც ვიცი, რა გამოვიდაო. სიამოვნებით-მეთქი, მივუგე და კითხვას შევუდექი, მაგრამ...

ღმერთო-ჩემო! რა იყო ეს! სტატია თუ დე სანტოსის წყევლა გუცკოვის „ურიელ დ'აკოსტადან!" იგი ახსენებდა ნიურნბერგის ძველ სახელგანთქმულ მოქალაქეებს და რატომღაც რჯულს უხსენებდა ყველას. ასეთი სტრიქონიც კი ჰქონდა, მიმიფურთხებია შენი ჰანს საქსისა და დიურერისთვისო...

...სტატიის კითხვა დავამთავრე, მაგრამ ერთხანს გაჩუმებული ვიყავი. არც ვიცოდი, რა მეთქვა. ძალიან მეუხერხულებოდა, რამე შენიშვნა მეკადრებინა სახელგანთქმული მწერლისათვის, არადა...

— ჰა, რაო, არ მოგეწონათ? — მკითხა მან.

მე უხერხულად შევიშმუშნე და ძლივს გავუბედე:

— როგორ არა, სტატია, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ჰანს საქსმა და დიურერმა რა დააშავეს, მიმიფურთხებია მათთვისო, რომ წერთ?

პასუხის მაგივრად გაოცებით შემომხედა:

— მართლა ვწერ ამას?!

გამეგონა, იტალიელი პოეტი ალფიერი ღამით, შემოქმედებითი ექსტაზის დროს, ლექსს რომ დაწერდა და დილით გადაიკითხავდა, იყვირებდა: არა, მე არ მინდოდა ამის დაწერაო.

რაღაც ამის მსგავსი დაემართა ლეონოვსაც. დიახ, ასე წერთ-მეთქი, რომ ვუთხარი, სტატია გამომართვა და ერთხელ კიდევ გადაიკითხა, მერე უხერხულად გამიღიმა და მითხრა:

— ეს სტატია თქვენთვის მომიცია, ამ კოშმარული დღეების

სახსოვრად, წაიღეთ, მე სხვას დავწერ, თორემ აქ, მართლაც, არასწორი მისამართით გადამიფურთხებია...

ის სტატია ახლაც ჩემთან ინახება...

მშვიდი ჰეშმარიტება...

ასეა. „მისამართების დაზუსტება“ მაშინ არც ისე ადვილი იყო. ახლა კი, როგორც იტყვიან, ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. ბოროტებისა და სიკეთის განზომილებებიც დაზუსტდა და ყველასათვის ცხადი გახდა, რომ „დანაშაულებრივი გერმანიის“ გარდა არსებობდა „სხვა გერმანიაც“, რომელსაც ნამდვილად გასისხლიანებული პერანგი ეცვა. მართალია, ნაცისტური დიქტატურის დროს „უკუეთუ ბოროტი“ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე „უკუეთუ კეთილი“, მაგრამ მომავალი მაინც იმას ეკუთვნოდა, ვინც „პირველი იპოსტასის ჯგუფს წარმოადგენდა“.

კარლ იასპერსმა საგანგებო წიგნიც უძღვნა ამ საკითხებს. ნიურნბერგის პროცესის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ მან გამოსცა თავისი „Die Schuldfrage“ („დანაშაულის საკითხი“), რამაც დიდი გამოხმაურება პოვა გერმანიაში. ცხადია, ყველას აინტერესებდა, რას იტყოდა გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი თავისი ხალხის პასუხისმგებლობაზე. უნდა ითქვას, რომ იასპერსი არც გაურბის ყველაზე მწვავე საკითხების დასმას.

— ახლა მთელი მსოფლიო ბრალს დებს გერმანიას და გერმანელებს, — წერს იგი, — ჩვენს დანაშაულზე აღშფოთებით, ზიზღითა და სიძულვილით ლაპარაკობენ. ისინი მოითხოვენ დასჯას და შურისძიებას... ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, სამართლიანია ეს თუ არა. გერმანელები, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ვალდებული ვართ გავერკვეთ ამ საკითხში. რასაც მსოფლიო ფიქრობს, ეს ჩვენთვის სულერთი როდია. ჩვენ თვალს ვერ დავხუჭავთ იმაზე, რომ დღეს სიტყვა „გერმანელი“ უსიამოვნო გრძნობას იწვევს. ჩადენილი დანაშაულის საკითხი ჩვენი საკითხია. იგი ეხება ჩვენს ღირსებას და აქ მხოლოდ საკუთარ თავთან გვაქვს საქმე...

იასპერსი მოუხმობს ფილოსოფიასა და თეოლოგიას დანაშაულის საკითხის გასარკვევად. იგი წერს, რომ ამ შემთხვევაში მშვიდი ჭეშმარიტებაა საჭირო და არა ბრალდების დამძიმება. მისი აზრით, გერმანელებს ოთხგვარ დანაშაულთან აქვთ საქმე. ეს არის: კ რ ი მ ი ნ ა ლ უ რ ი, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი, მ ო რ ა ლ უ რ ი და მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ ი დანაშაული. პირველის ხასიათი ყველასათვის ცხადია, მეორე — საერთაშორისო სამართლის სფეროა, მესამე — სინდისის სამსჯავროსი, ხოლო მეოთხე გულისხმობს აზრს: დანაშაული არ ჩამიდენია, მაგრამ არც არაფერი გამიკეთებია მის აღსაკვეთად.

იასპერსი აღიარებს, რომ ოთხივე სახის დანაშაული ეხება გერმანელ ხალხს. იგი ვერც აიცდენს ამის პასუხისმგებლობას, მაგრამ, მისი აზრით, ეს როდი ნიშნავს — თითქოს ყ ვ ე ლ ა ს ერთნაირად უნდა დაედოს ბრალი. ზოგს კრიმინალური დანაშაული აქვს ჩადენილი, ზოგს პოლიტიკური, სხვებს — მორალური ან მეტაფიზიკური. საჭიროა, ყველა გაერკვეს თავის პირად დანაშაულში, რადგან ბოროტებამ, რაც გერმანიის იმპერიამ ჩაიდინა, პასუხისმგებელი გახადა ყველა გერმანელი.

— ჩვენ კოლექტიურად ვაგებთ პასუხს, — წერს იასპერსი, რადგან ყველანი პოლიტიკური პასუხისმგებელნი ვართ ნაცისტურ რეჟიმზე, მის საქმეებზე, ომის დაწყებაზე, იმ მდგომარეობაზე, რაშიც მსოფლიო ჩავაგდეთ, ჩვენ ეს უნდა ვზღოთ გაბარჯვებულთა წინაშე. გარდა ამისა, უნდა გავიზიაროთ მამების დანაშაული, რომელთაც შექმნეს ამგვარი რეჟიმის სულიერი საფუძვლები...

იასპერსმა ისიც იცის, რომ დ ა ნ ა შ ა უ ლ ი და პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა ერთი და იგივე არ არის. შეიძლება გერმანელი ხალხი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ე ლ ი იყოს იმაზე, რაც მოხდა, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი დ ა მ ნ ა შ ა ვ ე ა. ამიტომაა, რომ იგი გერმანელი ხალხის კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა ს აღიარებს, კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ დ ა ნ ა შ ა ულ ს კი არა. არც კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი ს ა ს ჯ ე ლ ი მიაჩნია სამართლიანად. დანაშაულზე მხოლოდ ცალკეული პიროვნება შეიძლება დაისაჯოს და არა ხალხი. იასპერსის აზრით, არ არსებობს ისეთი ს ა ე რ თ ო ხ ა ს ი ა თ ი, რაც ყველასათვის

ერთნაირია. ასეთი შეიძლება იყოს ენა, ზნე-ჩვეულებები და სხვა, მაგრამ ამ ს ა ე რ თ ო შ ი სრულიად განსხვავებული ხასიათებია. არ შეიძლება გერმანელების, ინგლისელების, რუსების ან ფრანგების მსჯავრდება. ეს თესავს სიძულვილს ხალხთა შორის. ხალხი არ არის ერთობლივი ცნება. იგი არ შეიძლება გმირული იყოს, მხდალი ან დანაშაულებრივი. მ ა ს არ უნდა მიეწეროს ი ნ დ ი ვ ი დ ი ს თვისება, ხალხი არ დაიყვანება ინდივიდამდე. არც ითქმის, დამნაშავეა თუ უდანაშაულო. ეს პრინციპი უხეშად დაარღვიეს ნაციონალ-სოციალისტებმა, რამაც გაუგონარი დანაშაული გამოიწვია.

იასპერსის აზრით, ადრეც იყო მსგავსი შემთხვევა. ამბობდნენ, ებრაელებია დამნაშავე, ქრისტე რომ ჯვარს აცვესო. დანაშაულს პიროვნებები სჩადიან და სასჯელსაც ისინი იმსახურებენ. ამიტომაა, ყველა გერმანელი ეკითხება თავის თავს: მე რა დანაშაული მაქვს ჩადენილი? იასპერსი განდაგან მიყვება ამ საკითხს:

— ომის შემდეგ გერმანიის ქალაქებსა და სოფლებში გაკრეს პლაკატები, რომლებზეც გამოსახული იყო საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებანი. ამ პლაკატებს ასეთი წარწერა ჰქონდა:

„ეს არის თქვენი დანაშაული!..“

ამაზე იასპერსი რამდენადმე გულუბრყვილოდ მსჯელობს:

— პლაკატებს ხელს არავინ აწერს. კაცი ვერ გაიგებს, ვინ გვდებს ბრალს. თუ ბრალმდებელი არ ჩანს, თავი როგორღა უნდა დავიცვათ?! ამგვარი ბრალდება ხომ ცარიელი სივრციდან (leere Raum) მოდის!

არა, ასე არ არის! ჯერ ერთი, თვითონ იასპერსი წერს, ახლა მთელი მსოფლიო გვდებს ბრალსო. ასე რომ, ხელის მოუწერლადაც ცნობილია, თუ ვინ არის ბრალმდებელი. მეორეც: საკონცენტრაციო ბანაკები ომის შემდეგ შეიძლება მართლაც „ცარიელი სივრცე“ იყოს, მაგრამ კედლებზე ხომ მაინც დარჩა ათასობით და ათიათასობით ტანჯული ტუსაღის მიერ ფრჩხილებით ამოკაწრული ან საკუთარი სისხლით მიწერილი სახელი და გვარი. აი, ისინი არიან ბრალმდებლები. იასპერსს კარგად აქვს ეს შეგნებული, მაგრამ უნდა ერთმანეთისაგან გამიჯ-

ნოს ის ოთხი დანაშაული: კრიმინალური, პოლიტიკური, მორალური და მეტაფიზიკური. როცა ადამიანი თავისი ერის მძიმე დანაშაულზე წერს, შეიძლება არც ამაზე ავუხირდეთ. კრიმინალური დანაშაული მართლაც, ყველას არა აქვს ჩადენილი. მართლმსაჯულებაც კარგად არჩევდა ამას და, მოგეხსენებათ, არც არავის დაუდვია ბრალი მთელი გერმანელი ხალხისათვის. რაც შეეხება პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და დანაშაულს, აქ თვითონ იასპერსი აჭარბებს. მისი აზრით, ასეთი დანაშაული მიუძღვის ყ ვ ე ლ ა გ ე რ მ ა ნ ე ლ ს, ვინც ხ მ ა მ ი ს ცა ჰიტლერს ან ითმენდა მის მიერ შექმნილ დანაშაულებრივ სახელმწიფოს მიერ ჩადენილ ბოროტებას. მათ შორის ისეთებსაც, ვინც ხედავდა ამ ბოროტებას, ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ დ ა კიდეც ამის შესახებ, მაგრამ არ მ ო ქ მ ე დ ე ბ დ ა ყოველივე ამის წინააღმდეგ. სხვები ამბობდნენ, ხომ იყვნენ აპოლიტიკური ადამიანები, რომელნიც არ ერეოდნენ პოლიტიკურ საქმეებში — სწავლულები, მკვლევარები, ხელოვნების წარმომადგენლები, განდეგილები და ბერები, იმათი რა ბრალიაო. იასპერსის აზრით, არც ისინი არიან თავისუფალი პოლიტიკური პასუხისმგებლობისაგან, რადგან დანაშაულებრივ სახელმწიფოში მოქმედებდნენ.

— ეს დანაშაული ყველას გვაწევს, — წერს იასპერსი, — რადგან ჩვენ მარტო ცალკეული პიროვნებები კა არა, გერმანელები ვართ. გერმანია კი მაშინ ციხე იყო. იმ ციხეში მყოფნი პოლიტიკური დამნაშავეები არიან, თუმცა ტუსაღი და ზედამხედველი ერთი და იგივე არ არის!

რაც შეეხება მ ო რ ა ლ უ რ დ ა ნ ა შ ა უ ლ ს, აქაც დიდი განსხვავებაა გერმანელთა შორის. იასპერსი წერს, რომ ჰიტლერი და მისი დამქაშები თავისუფალი არიან ამგვარი დანაშაულისაგან, რადგან არ გრძნობენ ამას. არც შეუძლიათ მოინანიონ ან გარდაიქმნან. მათ წინააღმდეგ მხოლოდ ძალაა საჭირო, რადგან თვითონაც მხოლოდ ძალას ეყრდნობოდნენ. მორალური დანაშაული მოქმედებს იქ, სადაც სინდისსა და მონანიებასთან გვაქვს საქმე. ეს იმათ ეხება, ვინც იცოდა ან უნდა სცოდნოდა, თუ რა საშინელება ტრიალებდა გერმანიაში, მაგრამ თავს ნიღაბს აფარებდა (Das Leben in der Maske). ისინი ლოია-

ლურად იყვნენ განწყობილნი, ნაცისტურ სალამს აძლევდნენ ერთმანეთს, მონაწილეობდნენ კრებებში და აგრძნობინებდნენ მათ, თქვენთან ერთად მივდივართო (mitgehen) და სხვ.

— ვის არ გვაწევს ასეთი დანაშაული? — კითხულობს იასპერსი და განაგრძობს: შენიღბვა იყო ჩვენი არსებობის მთავარი ნიშანი, რაც მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს მორალურ სინდისს (moralisches Gewissen).

იასპერსის განსაზღვრით, ეს ეხება იდეალისტურად განწყობილ ახალგაზრდებსაც, რომელნიც დაინტერესებული იყვნენ გერმანიის ბედით, სჯეროდათ მისი კარგი მომავლისა და მიჰყვებოდნენ მათ, ვიდრე დაინახავდნენ, რომ ეს ასე არ არის. ჯარისკაცებიც ბრძანებებს ასრულებდნენ. ერთგულება და მორჩილება იყო მათი საქმე, მაგრამ... იასპერსი არ ეშვება ამ „მაგრამს“ და წერს, რომ დანაშაული დანაშაულად რჩება, თუნდაც სხვისი ბრძანებით იყოს ჩადენილი. მოვალეობა სამშობლოს წინაშე სულაც არ მოითხოვდა მათგან ჰიტლერისადმი ერთგულებას. ეს კი უბრალო დანაშაული კი არა, ტრაგიკული დაბნეულობაა; არცოდნა იმისი, რომ მოვალეობა სამშობლოს წინაშე მაღალი იდეალებისაკენ სწრაფვას გვავალებს და არა კერპთთაყვანისმცემლობას, რაც მონურ მორჩილებას იწვევს. უსაზღვრო მიდრეკილება მორჩილებისადმი (Gehorsamsdrang) დანაშაულია, იასპერსი აქაც თავისებურ შენიშვნებს აკეთებს წინააღმდეგობისა და თავგანწირვის შესახებ:

— მორალური შეიძლება იყოს შინაგანი მიდრეკილება თავგანწირვისადმი და არა თავგანწირვის მოთხოვნა, როცა ამით არაფერი არ მიიღწევა.

დასასრულ, იასპერსი ასკვნის:

— ჩვენ ბრალს გვდებენ, რომ ამას ვითმენდით. ეს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი დანაშაულია; ამას რომ მხარს ვუჭერდით — ეს მორალური დანაშაულია; უმოქმედონი რომ ვიყავით — ეს მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ ი დანაშაულია.

მისი აზრით:

— მეტაფიზიკური დანაშაული სოლიდარობის უქონლობაა. სოლიდარობა დარღვეულია, თუ მე იქ ვარ, სადაც უსამართლობა ხდება. თუ მე ვცხოვრობ იქ, სადაც სხვებს ხოცავენ —

ეს ჩემი დანაშაულია. ჩვენ სხვად ვიქეცით 1933 წლიდან. იმ სამარცხვინო დღეებში ხომ შეგვეძლო სიკვდილი გვერჩია! ან 1934 წელს, როცა ჩვენს თანამემამულეებს ჟლეტდნენ; თუნდაც 1938 წელს, როცა სინაგოგებს ცეცხლი წაუკიდეს; მით უფრო ომის წლებში, როცა უხეშად ირღვეოდა კანტის შეგონება: „ომის დროს ისეთი არაფერი უნდა ჩაიდინო, რაც ომის შემდეგ დაძმობილების საშუალებას მოგისპობს“.

იასპერსი აცხადებს, ბევრმა ირჩია ასეთი სიკვდილი, ჩვენ კი ცოცხალი დავრჩით და ეს არის ჩვენი მეტაფიზიკური დანაშაული.

ამგვარი „მეტაფიზიკისა“ რა მოგახსენოთ და გერმანელთა შორის მართლაც ბევრი იყო ისეთი, ვინც სიკვდილი არჩია ჰიტლერული რეჟიმისადმი მორჩილებას და, მე არ მესმის, რა მოდუსით შეიძლება მათ ბრალი დადონ „გერმანელების მიერ ჩადენილ დანაშაულში“. ეს ისეთი ნათელი საკითხია, რომ ამაზე არც ღირს სიტყვის გაგრძელება...

სხვა გერმანია...

ისედაც ვიცით, რომ გონიერმა და პატიოსანმა გერმანელებმა იმთავითვე ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს ჰიტლერელთა შემოტევას. ნაციზმის საბრძოლო ასპარეზზე გამოსვლასთან ერთად გაიშალა ანტიფაშისტური მოძრაობა. გონიერი გერმანელები მაშინაც მიუთითებდნენ იმ დიდ საფრთხეზე, რაც ემუქრებოდა მშვიდობას არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ჩემი თაობის ხალხს კარგად ახსოვს ამ ბრძოლის სიმძაფრე და შეურიგებლობა. კეთილი ნების გერმანელებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ნაციონალ-სოციალისტების წინააღმდეგ. მაშინაც კი, როცა 1933 წელს ჰიტლერი კანცლერი გახდა, იმის მიუხედავად, რომ ქუჩები სავსე იყო შეიარაღებული ესესელებითა და მოიერიშეებით, გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში გაიმართა მძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია. მარტო დრეზდენში ამგვარ დემონსტრაციაში 300 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ბევრგან

სისხლისმღვრელი შეტაკებებიც მოხდა. რამოყალიბდა წინააღ-მდეგობისა და თვითდაცვის ორგანიზაციები. ბერლინში 200 ათას მშრომელზე მეტი ჩაება ამგვარ ორგანიზაციაში. თებერვალში წინააღმდეგობის მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა. გაისმა მოწოდებები ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის შექმნის შესახებ. ნაცისტური რეჟიმის პირველ დღეებში ჯერ კიდევ გამოდიოდა ოპოზიციური გაზეთები. მერე ყველა მათგანი დაარბიეს და დახურეს. ტერორი გაძლიერდა. 3 მარტს ტელმანი დააპატიმრეს. ორი დღის შემდეგ კი რაიხსტაგის არჩევნები ჩატარდა. შეგახსენებთ, რომ ამ არჩევნებში კომუნისტებმა 4,85 მილიონი ხმა მიიღეს. ეს იყო წინააღმდეგობის ფრონტის მოწინავე რაზმი. ყველაზე მეტი ხმა მაშინ სოციალ-დემოკრატებს მისცეს: 18 მილიონი. ისინიც ოპოზიციაში ედგნენ ჰიტლერელებს, რომლებმაც 17,3 მილიონი ხმა მოაგროვეს. მათ წინააღ-მდეგ გამოვიდნენ სხვა მუშათა პარტიებიც, რომელთაც მხარს უჭერდა 12 მილიონი ამომრჩეველი. ასე რომ, გერმანიის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ ჰიტლერელების საწინააღ-მდეგო პოზიცია დაიკავა. მიუხედავად ამისა, გაიმარჯვა ნაცისტურმა პარტიამ. რატომ? იმიტომ, რომ ოპოზიციურ პარტიებში არ იყო ერთიანობა. გარდა ამისა, ჰიტლერელები · შეიარაღებული იყვნენ, ოპოზიციონერებს კი მხოლოდ საარჩევნო ბიულეტენები ჰქონდათ ხელთ. ეს გამოიყენა ჰინდენბურგის მიერ კანცლერად დანიშნულმა ჰიტლერმა და, როგორც იცით, სისხლიანი ბაკქანალიაც მაშინ დატრიალდა: დაუყოვნებლივ გამოიცა ბრძანება „პრევენტიული პატიმრობის შესახებ“, მასობრივად დაიბეჭდა განკარგულებები: „თქვენ დაპატიმრებული ხართ უშიშროებისა და წესრიგის დაცვის მიზნით პრეზიდენტის 1933 წლის 28 თებერვლის დეკრეტის პირველი მუხლის თანახმად“.

მიზეზი: ეჭვი სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებაში.

მეორე დოკუმენტში ნათქვამია: „ჩვენ უმოწყალოდ უნდა გავსწორებოდით სახელმწიფოს ამ მტრებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ მომენტში, როცა ხელთ ვიგდეთ ძალაუფლება. რაიხსტაგის არჩევნებზე 6 მილიონმა კაცმა ოფიციალურად მისცა ხმა კომუნიზმს, ხოლო 8 მილიონმა — მარქსიზმს.

ამისთვის ჩვენ შევქმენით საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც პირველ რიგში გავგზავნეთ ათასობით კომუნისტი და სოციალ-დემოკრატი“.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ფრიკმა, რომელიც ნიურბერგის საბრალდებო სკამზე იჯდა, 1933 წლის 28 იანვარს გამოსცა ბრძანება: „ფიურერმა დაავალა გესტაპოს, გამოავლინოს და უვნებელყოს პარტიისა და ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოს მტრები, ყველა, ვინც მის წინააღმდეგ მუშაობს. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება წარმოადგენს პარტიის თავისუფალი და ეფექტური მოქმედების ერთ უმთავრეს წინამძღვართაგანს. გესტაპოს, რომელიც ამ საგანგებოდ მნიშვნელოვან ამოცანას ასრულებს, პარტიის მხრივ ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოს“...

ასე რომ, საკონცენტრაციო ბანაკები მარტო გესტაპოს კი არა, მთელი ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მიერ იყო შექმნილი „ყოველგვარი დემოკრატიული ოპოზიციის ჩასახშობად“. ჯერ კიდევ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე, რაიხსტაგის საგარეო საქმეების თავმჯდომარემ ფრიკმა უთხრა სოციალ-დემოკრატ დეპუტატს გერჰარტ სეგარს:

— ნუ ღელავთ, როცა ჩვენ ძალაუფლებას მოვიპოვებთ, თქვენ, ყველას, საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაგყრით.

ამის თაობაზე ნიურნბერგის პროცესზე ჯეკსონსა და გერინგს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

ჯ ე კ ს ო ნ ი: თქვენ და თქვენს თანამებრძოლებს მიზნად გქონდათ დასახული, დაგემხოთ და მართლაც დაამხეთ ვაიმარის რესპუბლიკა?

გ ე რ ი ნ გ ი: რაც შემეხება პირადად მე, ეს ჩემი მტკიცე გადაწყვეტილება იყო.

ჯ ე კ ს ო ნ ი: აიღეთ თუ არა ძალაუფლება, თქვენ მაშინვე მოსპეთ გერმანიის პარლამენტარული მთავრობა?

გ ე რ ი ნ გ ი: ის ჩვენ უკვე აღარ გვჭირდებოდა.

ჯ ე კ ს ო ნ ი: ხელისუფლების აღების შემდეგ თქვენ დაუყოვნებლივ აკრძალეთ ოპოზიციური პარტიები?

გ ე რ ი ნ გ ი: ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნდა, არ დაგვეშვა ოპოზიციის არსებობა.

ჯ ე კ ს ო ნ ი: თქვენ ქადაგებდით აგრეთვე თეორიას, რომ საჭირო იყო მოგესპოთ ნაცისტური პარტიისადმი ოპოზიციურად განწყობილი პირები?..

გ ე რ ი ნ გ ი: რამდენადაც ოპოზიცია, ასე თუ ისე, სერიოზულად უშლიდა ხელს ჩვენს პარტიას, თავისთავად ცხადია, მისი წინააღმდეგობა არ შეიძლებოდა მოგვეთმინა.

ეს გეგმა მათ თავიდანვე ჰქონდათ შედგენილი, ჯერ კიდევ 1929 წელს. ფრიკმა თქვა:

— ეს საბედისწერო ბრძოლა დაიწყება არჩევნებით, რაც განუსაზღვრელ დროში არ გაგრძელდება, რადგან ისტორია გვასწავლის, რომ ბრძოლაში უნდა დაიღვაროს სისხლი და გატყდეს რკინა. არჩევნები იქნება ამ საბედისწერო ბრძოლის დასაწყისი. ჩვენ მზად ვართ, ძალით განვახორციელოთ ის, რასაც ვქადაგებთ. მუსოლინიმ მოსპო მარქსიზმი იტალიაში. ჩვენც უნდა მივაღწიოთ ამ მიზანს დიქტატურისა და ტერორის მეშვეობით...

საქმე კი მხოლოდ მარქსისტებს არ ეხებოდა, არამედ ყველას, ვინც დემოკრატიისა და მშვიდობისათვის იბრძოდა. ჰიტლერელები ასევე ემუქრებოდნენ პაციფისტებსაც. რეპრესიები გაუგონარი უკანონობით ტარდებოდა. ჯერ სასამართლო მიუსჯიდა ციხეს, სასჯელის მოხდის შემდეგ კი მათ საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდნენ...

...„სხვა გერმანია“ (თუმცა რატომ „სხვა?!“) შეძრწუნებული იყო ამგვარი ნაცისტური ტერორით. ვინც მოახერხა, გაიქცა, ვინც ვერა, დახოცეს ან ბუჰენვალდის, დახაუს, რასტენბურგის თუ სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაყარეს. რავენსბრუკში სპეციალური ბანაკი გახსნეს ქალებისათვის. გაჩნდა ე. წ. „შინაგანი ემიგრაციაც“. ბევრმა აიღო ხელი საზოგადო მოღვაწეობაზე და ნეიტრალურ საქმეებს შეაფარა თავი. ყველგან შიში გამეფდა. ოპოზიციური ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა ხმა ჩაიწყვიტა. ამაზე ამბობდნენ, რომ მთელი გერმანია „დუმილის ქვეყნად“ იქცა (Deutschland ist das Land des Schweigens geworden).

მიუხედავად სასტიკი ტერორისა, საპროტესტო ხმები მა-

ინც გაისმოდა. უცხოეთშიც იცოდნენ, თუ რა ხდებოდა მაშინ ნაცისტურ გერმანიაში. მთელ მსოფლიოს მოედო გესტაპოს ჯურღმულებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში წამებულ გერმანელ პატრიოტთა ამბავი. მართალია, გებელსი გაჰყვიროდა, ყველაფერი ეს ებრაელების მონაჭორიაო, მაგრამ ტერორი მაინც მძვინვარებდა. ესესელებმა და გესტაპოელმა ჯალათებმა პირველად ხელი სწორედ გერმანელებზე გაიწაფეს. ისტორიას ჯერ არ მოსწრებია წამების ისეთი მეთოდები, რასაც გესტაპოს ჯურღმულებში მიმართავდნენ თანამემამულეთა წინააღმდეგ. მილიონზე მეტმა გერმანელმა გამოსცადა ეს ჯოჯოხეთი. ნიურნბერგის პროცესზე იყო ამაზე ლაპარაკი. როცა ბრალდების მხარე ამ შავ საქმეებში გერინგის მონაწილეობის ფაქტს ადგენდა, მოწმედ გამოიძახეს გესტაპოს მაშინდელი უფროსი დილსი. იგი ისეთ საშინელ ამბებს მოჰყვა, რომ დარბაზში მსხდომთ თმა ყალყზე დაუდგათ.

— წამებულთა ყვირილს რეპროდუქტორები ნაცისტური სიმღერებით ახშობდნენ. შემდეგ საგანგებოდ მოწყობილი „საწამებელი კამერები“ შექმნეს, გაძლიერებული იზოლაციით, რომ ყვირილის ხმა ქუჩაში არ გამოსულიყო.

დილსი ყვებოდა, თუ რა მეთოდებით აწამებდნენ ტუსაღებს. ამის მოსმენა მართლაც შეუძლებელი იყო. გერინგიც მოიღუშა და ყურმილი მოიხსნა. იგი არ უარყოფდა, რომ საკონცენრაციო ბანაკები მისი განკარგულებით გაიხსნა, არც იმას, ამ ბანაკებში რომ ტყვეებს „მკაცრად ექცეოდნენ“, მაგრამ მაინც „თავდაცვით პატიმრობას“ („Schutzhaft“) უწოდებდა გესტაპოს ჯურღმულებში ადამიანების მხეცურ წამებას.

დილსი კი იდგა და ყვებოდა, როგორ აიძულებდნენ გერმანელ პატიმრებს, გადაეყლაპათ მოკიდებული პაპიროსი, როგორ შანთავდნენ გახურებული რკინით და სხვ.

წამებულთა ყვირილის ჩახშობა კი მოხერხდა, მაგრამ დაძწვარი ხორცის სუნს ვერაფერი მოვუხერხეთო, — თქვა მან. მერე ამგვარ „გართობაზე“ გადავიდა. ვუპერტალის ბანაკში პატიმრებს პაპანაქება სიცხეში ძლიერ მარილიან თევზის ნახარშს ასმევდნენ, წყალს კი არ აძლევდნენ, პირს პლასტირით უკესებდნენ და თავზე ასხამდნენ. ვის როგორც მოეხასიათებო-

და, ისე ერთობოდა: ტუსაღს აიძულებდნენ, ხის კენწეროზე ამძვრალიყო და საათობით „კუ... კუუ“ ეძახა. თვითონ კი ფეხებგაბარჯული იდგნენ და იცინოდნენ...

პაპენბურგის ბანაკში, თურმე, ტუსაღები აჯანყდნენ. დილსი მაშინვე ჰიტლერთან გაიქცა და ჰკითხა, როგორ მოვიქცეთო.

— რაიხსვერის არტილერია მიუშვირეთ და მთელი ბანაკი მოსპეთ! — ბრძანა მან.

გერმანულმა ანტიფაშისტურმა მწერლობამ კარგად ასახა ეს ამბები. ახლა მეც რომ ავდგე და ისევ დავიწყო მოყოლა, თუ რა სასტიკად ეპყრობოდნენ გერმანელ ტუსაღებს, თვალწინ ისევ იმ საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებანი დაგიდგებათ. ჰიტლერი, ამ შემთხვევაშიც, ზუსტად იცავდა თავის პრინციპს: როცა საქმე მოითხოვს, მე მტერსა და მოყვარეს ერთმანეთისაგან არ ვარჩევ...

არც არჩევდა. მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობის ფრონტის ბრძოლა მაინც არ შეწყვეტილა. მართალია, გერმანელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გატყდა, ხელი აიღო ბრძოლაზე და „დიდი გამარჯვების“ წლებში შეედუღა კიდეც იმ ექვსფეხიან ურჩხულს, მაგრამ, „სხვა გერმანია“ მაინც განაგრძობდა არალეგალურ მუშაობას. სამხედრო ქარხნებში მუშები საბოტაჟს მიმართავდნენ: ყუმბარებს ისე აკეთებდნენ, რომ არ სკდებოდა. ეს კი იშვიათი შემთხვევა როდი იყო. რამდენჯერ გვინახავს ფრონტზე, „იუნკერსები“ ყუმბარებს ყრიდნენ, მაგრამ ნახევარზე მეტი მიწაში იკარგებოდა. ეს გერმანელი მუშების საქმე იყო. ერთ-ერთი მათგანისაგან პირადად მე სიცოცხლით ვარ დავალებული: ჩემს გვერდით რომ უზარმაზარი ყუმბარა დავარდა და არ გასკდა.

ვინ იცის, რამდენი სიცოცხლე გადარჩა ასე...

პიდრე მიქცევამდე...

სტალინგრადის ამბების შემდეგ ანტიფაშისტური ფრონტი გაძლიერდა. 1943 წლის ივნისში ემიგრაციაში ნაციონალური კომიტეტი „თავისუფალი გერმანია“ ჩამოყალიბდა, იმა-

ვე წლის სექტემბერში კი „გერმანელ ოფიცერთა კავშირი“. ნაცისტურმა გერმანიამ ამას ტერორის გაძლიერებით უპასუხა. მარტო 1943 წელს მესამე იმპერიაში დააპატიმრეს და დახოცეს ორმოცი ათასამდე გერმანელი.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ფანატიკოსი ნაცისტები უფსკრულს, მით უფრო აძლიერებდნენ ტერორს. გაბოროტებული იყვნენ და იმიტომ. ნათქვამია, სჯობს არ გქონდეს, ვიდრე დაკარგოო. ჯერ ვოლგამდე მოვიდნენ, ახლა კი, რაც ომამდე ჰქონდათ, იმასაც ჰკარგავდნენ და... შურს იძიებდნენ, მაგრამ ანტიფაშისტებიც არ ღალატობდნენ თავიანთი ცხოვრების დევიზს: „არ შეიძლება მონად აქციო ის, ვისაც თავის განწირვა შეუძლია“. აი, რას წერდა მამას სიკვდილით დასჯის წინ ერთი ასეთი განწირულთაგანი:

— უკანასკნელი მიზანი, რაც მე ჩემს თავს დავუსახე, ეს არის — ღირსეული სიკვდილი. მე ვკვდები ისეთი, როგორიც ვიყავი ცხოვრებაში: მებრძოლი ჩემი კლასისა. მამა! საცოდავო, მაგრამ მაინც ბედნიერო! შენ მსხვერპლად გაიღე ყველაზე ძვირფასი, რაც გაგაჩნდა: შენი შვილი უკვე ცოცხალი აღარ არის!

გერმანელები დღესაც სათუთად ინახავენ იმათ ხსოვნას, ვინც ასე გმირულად დაიღუპა. ვინც გადარჩა, მესამე იმპერიის დასასრულის დღიდანვე გამოვიდა მზის სინათლეზე და განაცხადა თავისი მზადყოფნა, შეძლებისამებრ შეეწყო ხელი ახალი გერმანიის აღორძინების საქმისათვის.

განა იმათზეც ითქმის, თქვენც შავი ხართ და ისინიცო?! ან თუნდაც იმ ჯარისკაცებსა და ოფიცრებზე, რომელნიც ჯერ კიდევ ომის დროს დარწმუნდნენ თავიანთ შეცდომებსა და დანაშაულში, მართალია, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჯერ მოსკოვთან, ხოლო შემდეგ სტალინგრადთან იწვნიეს სასტიკი დამარცხების სიმწარე, მაგრამ მაინც. მანამ ხომ ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. ევროპის სახელმწიფოები სულ იოლად მოითარეშეს, ჩვენს ტერიტორიაზეც ღრმად შემოიჭრნენ, იომეს, ილაღობეს, მაგრამ... აი სტალინგრადი!.. თუ რა გარდატეხა მოხდა აქ გერმანელი ჯარისკაცების შეგნე-

ბაში, შეიძლება თუნდაც ამ საკმაოდ ცნობილი ფაქტითაც გადმოგცეთ...

... ალყაშემორტყმული სტალინგრადიდან ერთ-ერთმა უკანასკნელმა საფოსტო თვითმფრინავმა 8 ტომარა წერილები წაიღო. გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები უცილობელი სიკვდილის წინ გამოსამშვიდობებელ წერილებს წერდნენ თავიანთ ნათესავებს. ჰიტლერის განკარგულებით, ეს ფოსტა დაიკავეს და არმიის სპეციალურ სამსახურს გადასცეს გასარჩევად და გამოსაცემად, რათა მთელი მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ, თუ რა „გმირულად სწირავდნენ თავს სტალინგრადელი გრენადერები სამშობლოსა და ფიურერისათვის". წიგნი აიწყო კიდეც, მაგრამ მისი დაბეჭდვა ცენზურამ შეაჩერა, გებელსმა კი მთელი ეს მასალა დააწვევინა. რატომ? იმიტომ, რომ ეს გამოსამშვიდობებელი წერილები სრულიადაც არ გამოხატავდა გერმანელი ჯარისკაცების გმირულ განწყობილებას. პირიქით, იმ საშინელი ბრძოლებისა და აუცილებელი კატასტროფის წინ ისინი თითქოს გონს მოვიდნენ და...

აი, თუნდაც ერთი იმ წერილთაგანი, რომელიც განადგურებას გადარჩა, ისიც არა ჯარისკაცისა, არამედ ყოფილი მსახიობის, ხოლო შემდეგ ოფიცრის მიერ მიწერილი თავისი მეუღლისადმი:

— შენ მოწმე ხარ იმისი, რომ მე ყოველთვის ვწევდი წინააღმდეგობას, რადგან მეშინოდა აღმოსავლეთისა და საერთოდ ომისა. მე არასოდეს ვყოფილვარ ნამდვილი ჯარისკაცი, — ისე, მხოლოდ მუნდირს ვატარებდი. მერედა, რა მივიღე სამაგიერო? ან იმათ რა მიიღეს, ვინც არც წინააღმდეგობას სწევდა და არც ეშინოდა? დიახ, რა მივიღეთ ამის სამაგიერო? ჩვენ ხომ ამ განსახიერებული უაზრობის, სისულელის და სიბრიყვის სტატისტები ვართ! მერედა, რას გვაძლევს ეს გმირული სიკვდილი? მე მრავალჯერ მითამაშია სიკვდილი სცენაზე, მაგრამ მაშინ მხოლოდ ვთამაშობდი; შენ კი ხავერდის კაბაში გამოწყობილი იჯექი პარტერში და ფიქრობდი, რომ ჩემი თამაში — სწორედ ეს არის სიკვდილი. მე უნდა მოვმკვდარიყავი შთაგონებულად, მგრძნობიარედ, დარწმუნებული, რომ ვკვდე-

ბი დიადი საქმისათვის. აქ კი სინამდვილეში როგორია სიკვდილი? კვნესა და სულის ღაფვა შიმშილისაგან, სიცივისაგან. ჩვენ ვიხოცებით, როგორც ბუზები და ეს არავის არ აწუხებს, არავინ არავის არ მარხავს. ყველგან გვამებია, უხელო, უფეხო, თვალებდათხრილი, მუცელგამოფატრული. ყველაფერი კინოფირზე უნდა გადაიღონ, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ზღაპარს „ყველაზე მშვენიერი სიკვდილის“ შესახებ. ეს ხომ ცხოველური სიკვდილია...

მე შენ ძალიან მიყვარხარ, ვიცი, რომ შენც გიყვარვარ და ამიტომაც უნდა იცოდე სიმართლე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს ბრძოლა ყველაზე საშინელი და უიმედოა. უბედურება, შიმშილი, სიცივე და... მაგრამ ამაზე კმარა.... მე არ უარვყოფ, რომ ყოველივე ამისათვის პასუხისმგებლობის ნაწილი მეც მაკისრია. ეს არის პასუხისმგებლობა ერთი ჯარისკაცისა, სხვა 17 მილიონს შორის... ვდებ რა თავს სამსხვერპლოზე, მე ვიხდი ჩემს ვალს. ავგუსტა, როცა შენ დაგჭირდება სიმტკიცის გამოვლენა, თვითონაც იგრძნობ ამას. მე მხდალი არა ვარ, მაგრამ ვწუხვარ, რომ არ მეძლევა უკეთესი საშუალება, გამოვიჩინო სიმამაცე და არა მოვკვდე ამ ამაო, რომ არ ვთქვა, დანაშაულებრივი საქმისათვის...

იქნებ ეს წერილი ვინმეს მხდალი ჯარისკაცის ისტერიად მოეჩვენოს, მაგრამ არა, ასე არ არის. სხვა წერილებიც ასეთივე განწყობილებისაა. აი თუნდაც ისეთივე „სტალინგრადელი გრენადერის“ წერილი მამისადმი... გენერლისადმი. იგი საყვედურობს მამას, რომ თავისი გავლენა არ გამოიყენა და არ გამოიყვანა ამ ჯოჯოხეთიდან, რადგან ისევ ძველებურად იყო გაბრუებული იოლი გამარჯვებებით. შვილი კი აი რას წერს:

— გამარჯვება უკვე აღარ არის, ბატონო გენერალო! არის მხოლოდ დროშები და არიან ადამიანები, რომელნიც იღუპებიან. ბოლოს არც დროშები იქნება და არც ადამიანები. სტალინგრადი სამხედრო აუცილებლობა როდია, იგი პოლიტიკური ავანტიურაა. ამ ექსპერიმენტში კი თქვენი შვილი მონაწილეობას არ მიიღებს, ბატონო გენერალო! თქვენ მას გადაუღობეთ ცხოვრების გზა, ის კი აირჩევს სხვა გზას, რაც ისევ სიცოცხლისაკენ მიდის, მაგრამ უკვე ფრონტის ხაზის იქითა მხარეს...

ისევ იმ შაშვის ბრაკისა არ იყოს, განა ამ წერილების დამწერნი და ათასობით თუ ასიათასობით სხვა მათი მსგავსნიც ისევე შავნი არიან, როგორც სხვები, რომელნიც ბოლომდე დარჩნენ თავიანთი მართლაც შავი საქმეების ერთგულნი? რა თქმა უნდა, არა.

მესამე ადამიანი...

ეს, როგორც მოგახსენეთ, ნათელი საკითხია. უფრო ძნელია იმ „შხამიანი ნექტარის" ანალიზი, რამაც სხვადასხვა განწყობილების გერმანელები ისე შეადუღა ერთმანეთთან, რომ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული პ ი რ ვ ე ლ ი იპოსტასისგან მივიღეთ მ ე ო თ ხ ე, სრულიად ახალი ტიპის („უცხო რამ სახის") არსება, რომელსაც ნიცშე „ზეადამიანს" უწოდებდა, როზენბერგი — „ახალ ტიპს", ხოლო მათი მიმდევრები „მესამე საეკლესიო ადამიანად" ნათლავდნენ.

მოფილოსოფოსო ნაცისტი ე. როზენშტოკი წერდა:

— ყოველ ახალ ეპოქას ისეთი ახალი ადამიანი ესაჭიროება, რომლის მსგავსი წინათ არ ყოფილა, რადგან ახალ რელიგიას ადამიანის ახალი სახე სჭირდება, ახალი წესრიგი უნდა დამყარდეს მსოფლიოში...

ნაცისტებისათვის ეს „ახალი ანთროპოლოგიური ხარისხის მიღწევას" ნიშნავდა, რაც, ნიცშეს სიტყვებით რომ ვთქვათ, უარყოფს „სულის ჭლექით დაავადებულ, ადამიანებს" და „გონებით დამპალ" ცივილიზაციას. აქედანვე გამომდინარეობს ნეგატიური დამოკიდებულება გერმანიაში ესოდენ პოპულარული ცნებისადმი: „ბიურგერი". ეს ტენდენცია ჯერ კიდევ რომანტიკოსებთან შეიმჩნეოდა, ისინი ბიურგერებს „ცხოველთა ჯოგს" (Herdentier) უწოდებდნენ. გერმანელი ნაცისტების აზრითაც, „ბიურგერი სრულიად უცხოა გერმანული არსისათვის". ეს „ვიწრო, ჩლუნგი, ეგოისტური და რაციონალური ბიურგერი" უნდა განდევნოს ახალი ტიპის ადამიანმა, რომლისთვისაც „მე"-ს შეცვლის „ჩვენ". ასეთი ადამიანისათვის ცხოვრებაში მთავარია მოვალეობის შესრულება და სამსახუ-

რი (Dienst). იგი მომთმენია, ყველაფერს იტანს და არც არაფერი სურს, გარდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისა. ჰანს იოსტი უფრო პირდაპირია. მისი აზრით, „ახალი ანთროპოლოგიური ხასიათი“, უწინარეს ყოვლისა, ვლინდება ჯარისკაცში, რომელიც „ისევე ეწევა სამხედრო სამსახურს, როგორც მონა“.

ამგვარი „ხასიათი“ გამორიცხავს ყოველგვარ პიროვნულ ინტერესს.

— ჩვენ უკვე აღარ ვართ მამები, დები, ძმები ან ნათესავები; ჩვენ ამხანაგები (kameraden) ვართ, — ამბობს იოსტის ერთ-ერთი გმირი.

სხვები წერენ, რომ ახალი ტიპის მესამე ადამიანი პირველი ომის დროს დაიბადა სანგრებში. სწორედ ეს მეომარი, ჯარისკაცი, რაინდი, გმირი, ღირსებისა და მოვალეობისთვის თავდადებულად მებრძოლია ბიურგერის საწინააღმდეგო ტიპი. აღსანიშნავია, რომ ასეთი „ახალი ადამიანი“ უაღრესად რელიგიური უნდა ყოფილიყო. ამისთვის ნაციზმის ზოგიერთმა თეორეტიკოსმა „გერმანელებისა“ და „ქრისტიანობის“ იმგვარი სინთეზი მოითხოვა, რომლის შედეგი ე. წ. „მესამე საეკლესიო ადამიანი“ იქნებოდა. მესამე იმიტომ, რომ იმ ორიდან სრულიად ახალი ტიპის გერმანელი უნდა მიეღოთ, რომელიც ცნობდა საეკლესიო იერარქიას, დოგმებს და რიტუალს. მას მიდრეკილება ექნებოდა ლიტურგიული მისტერიისადმი, წმინდანობისადმი, ცერემონიებისა და კურთხევისადმი. ამიტომ უწოდებდნენ მას „საეკლესიო ადამიანს“ — Kirchenmensch“-ს. ცხადია, ეს ეკლესიაც სრულიად ახალი ტიპისა იქნებოდა და არა ძველებური; სახელდობრ: „გერმანელი ხალხისა და გერმანელი ერის სულიერი ორგანიზაცია“.

კრიკის აზრით, მთავარი აქაც ისაა, რომ „მესამე საეკლესიო ადამიანის“ მიმართება ღმერთისადმი კოლექტიურია და არა პერსონალური. ღმერთს შეღაღადებს არა მარტოხელა პილიგრიმი, არამედ გმირული სულისკვეთებით გამსჭვალული ერი. ღმერთიც ერის საქმეებს განსჯის და არა კერძო პირებისას. უმაღლესი სამსჯავროს წინაშეც ცალკეული ადამიანები კი

არ წარსდგებიან, არამედ მთელი ერი, როგორც რასისა და სისხლის საბედისწერო ერთიანობა...

ხედავთ, რა ეშმაკურადაა ყველაფერი ეს მოფიქრებული: წმინდა გერმანელის ტიპი ჯარისკაცია, რომელიც ჰიტლერმა ჯერ სინდისის ქენჯნისაგან გაათავისუფლა, შემდეგ მსჯავრდებისაგან, ახლა კი ღმერთის წინაშე პირადი პასუხისმგებლობაც მოხსნა. ახალ „ქერათმიან ბესტიას“ შეუძლია, რაც უნდა, ის აკეთოს, ანგრიოს, დაწვას, დახოცოს... რადგან, ისევ დოსტოევსკისა არ იყოს, ასეთ შემთხვევაში „все позволено“...

... ახალი ტიპის ძიება ამითაც არ დასრულებულა. უფრო რადიკალურად მოაზროვნე ნაცისტებმა არ მოიწონეს „გერმანელობის“ ქრისტიანობასთან დაკავშირება — ეს უფრო შუა საუკუნეებისა და რეფორმაციის სულისკვეთებიდან გამომდინარეობსო. ულტრანაცისტების იდეალი კი ძველი ტევტონი გერმანელები იყვნენ, „ტყის ადამიანები“, რომელნიც ტაციტს ჰყავს აღწერილი. აი, იმათი „ბიოლოგიური აღდგენა“ უნდოდათ თანამედროვე ევგენიკის მიღწევებით. ჰიმლერი ამისთვის სპეციალურ საკვლევ ინსტიტუტებს ხსნიდა და ფართო მასშტაბის ცდებსაც ახდენდა. რატომ? რა უპირატესობა ჰქონდათ იმ ტევტონებს თუნდაც ამ ახალი ტიპის „მესამე საეკლესიო ადამიანებთან?“ თურმე ის, რომ „ისინი მათ მიერვე არჩეულ ჰერცოგს აძლევდნენ ფიცს“ — არა ღმერთს, არამედ ადამიანს. ამ „ჰერცოგიდან“ ფიურერამდე ერთი ნაბიჯია. მიზანიც გარკვეულადაა დასახული: ფიცი არა ღმერთის, არამედ ჰიტლერის წინაშე.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა მძიმე შედეგი მოჰყვა ამას.

აი, რატომ იყო მათი იდეალი პირველყოფილი ტყის კაცი...

Homo, რა თქმა უნდა, მაგრამ sapiens-ის გარეშე...

... ამას ძველი წარმართული რწმენის აღდგენა მოჰყვა:

— ღმერთი, სული და ძალა ყოველთა თვით ადამიანშია მოცემული, — წერს კრიკის თანამოაზრე ფრესლერი, — იგი არ გამოიხატება ცნებებში და არ გამოითქმის ლოგიკურად.

ამგვარი რწმენა დგინდება ცხოვრების ფორმაში (Lebensgestaltung), მაგრამ განა ეს წარმართული რწმენა არ არის? — გვკითხავენ ჩვენ, — ამბობს ავტორი, და განაგრძობს:

— წარმართულია? ჩვენ წარმართები ვართ? დიახ, ახალი, ნეოწარმართები! და განა ეს დასაძრახია? განა ჩვენი წინაპრები, რომელთა ფერფლი ჰუნების საფლავებში ან შავ ქვევრებში განისვენებს, წარმართები არ იყვნენ? იოსებ ნაზარეველიც წარმართი იყო (!), ჩვენ სრულიად ახალ რელიგიას კი არ ვქმნით. არა, ფიურერი და მისი მოძრაობა იმ ძველ, წარმართულ რწმენაში იღებს სათავეს, აღადგენს ძველთაძველ გერმანულ რწმენას. ქრისტიანული რელიგია დაჭკნა, დაბერდა. მოდის ახალი!..

ამას გერმანული ნაციზმის თეორეტიკოსები უწოდებენ „უზენაეს წესრიგს“, რაც ეყრდნობა ავტორიტეტის პრინციპს, ანუ წარმოადგენს უმაღლეს ძალას და განაგებს სამყაროს, როგორც ბედისწერა.

არც იმ „უზენაესი წესრიგის“ დახასიათება შეიძლება თურმე ცნებებით, რადგან იგი დაუსაბუთებელია (unergründlich). მისი მხოლოდ „გუმანით წვდომა“ ხერხდება. ავტორიტეტი ამას გრძნობს თავის თავში, ამიტომ მხოლოდ ფიურერია ბედისწერის წინაშე პასუხისმგებელი. მასში სახიერდება უზენაესი წესრიგი და მისი გადაწყვეტილებაც უცილობელია.

ამაშია უმაღლესი ძალაუფლების მეტაფიზიკა, რასაც გოტფრიდ ბენმა „სამყაროს იმპერატივული სურათი“ (imperativen Weltbild) უწოდა.

გერმანული მზე...

რაც შეეხება ადამიანთა საზოგადოებას, იგი „ორგანულ-ბიოლოგიურ წინამძღვრებს“ ეყრდნობა, სადაც „განვითარების“ ცნებას ცვლის „წრებრუნვა“, „წინსვლას“ — „მუტაცია“. ეს კი ფიზიოლოგიური პროცესია და არა გონებრივი. „გონებრივი“ დემოკრატიულს ნიშნავს, „ორგანულში“ კი ხალხურობა იგულისხმება. „ხალხი“ საზოგადოების ანტითეზაა (!),

სოციოლოგია უარსაყოფია, მისაღებია „ხალხთმცოდნეობა“ (Volkskunde). ხალხი ისეა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი. მას თავისი სისხლის მიმოქცევა აქვს. ამიტომ, თუ ორგანიზმზეა ლაპარაკი, სისხლის, როგორც ორგანიზმის მითიური ძალის, აღიარებაა საჭირო. ფრ. იუნგერის აზრით, „სისხლი ძალაუფლებამდე უნდა იქნას მიყვანილი“, რითაც იგი დაუპირისპირდება სიცოცხლის „მექანისტურ გაგებას“. ამასვე ქადაგებს ცნობილი ნაცისტი პროზაიკოსი ერვინ კოლბენჰაიერი. მისი აზრით, ხალხი ერთიანი სხეულია. იგი ამაში რასის ბიოლოგიურ არსს ხედავს, ერნსტ იუნგერი კი „სისხლის მითოსს“. მართლაც, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ხალხი ერთი ბიოლოგიური არსება იყოს, ერთი თავით (ფიურერი), რომლის ნებასურვილზე მოქმედებს მთელი ორგანიზმი. ეს „ახალი ბიოლოგიური ტიპი“ პირველყოფილი ძალის მატარებელია. იგი ელემენტარულია თავისი „სულიერი აგებულებით“ და ძლიერია, როგორც გამოქვაბულებში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი (Urmensch). ასეთი ტიპი უპირისპირდება დემოკრატიის „გამოფიტულ სულს“ და „უსისხლო გონებას“. მისი დამახასიათებელი ნიშანია სიკვდილისა და წამებულის (Märtirium) მითოსი. იგი უარყოფს იმათ, ვინც პიროვნულ ბედნიერებაზე ფიქრობს და არა „ჰეროიკულ ექსტრავაგანტურობაზე“. ბენი მათ საკმაოდ ირონიულად „ცივილიზაციის მოყვარულთ“ და „დასავლეთის პროგრესის ტრუბადურებს“ უწოდებს, ფრ. იუნგერი კი „ამოწურულთა ლიგას“ და უპირისპირებს იმათ, ვისაც სწამს, რომ „გერმანული მზე უნათებს მთელ მსოფლიოს“:

— მზად რომ იყო, თავი დასდო ამ იდეისათვის და მსხვერპლად შეეწირო მოვალეობას, — ნიშნავს თავგანწირვისათვის მზადყოფნას.

ერნსტ იუნგერი წერს:

— ვისაც არ განუცდია განწირულობის ექსტაზი, — გროშია მისი ფასი, თუნდაც ეს გულისხმობდეს მილიონთა მსხვერპლად გაღებას, ქვეყნის მოღალატეთა სამწუხარო ჰედონიზმის აღმოსაფხვრელად...

ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ასეთი მზადყოფნა და

თავდადება შექმნის ახალ იმპერიას, რაც კაცობრიობის მთელ ისტორიას დაჩრდილავს...

ცხადია, ჰიტლერსაც ამიტომ უყვარდა ხალხის წინაშე მსხვერპლშეწირულის პოზაში წარდგომა. ის კი არა, ახლაც არიან ისეთები, რომელთაც თავიანთი „წამებული ფიურერი“ ისევე წარმოუდგებათ სვასტიკაზე გაკრულად, როგორც ქრისტე ჯვარცმის ნიშანზე... მხოლოდ ის არის, რომ სვასტიკას აი ეს წარწერა აკლია:

J. N. R. J.

ქარის ჩრდილი...

ასეთი იყო „ბედისწერისა და განგების (Vorsehung) მითოსი“, რაც არსებობის გარდუვალ კანონად მიაჩნდათ ჰიტლერელებს. მათი აზრით, ამგვარ ბედისწერას უზენაესი ძალები განაგებენ ჩაბნელებული კულისებიდან, რაც ძალადობას, იძულებას, წესრიგსა და მთლიანობას ეყრდნობა. მათ ახასიათებთ მტკიცე გადაწყვეტილება, ყოველგვარი მერყეობა და „ან... ან-ის“ ლოგიკა უცხოა მათთვის. აღარც ფსიქოლოგია არსებობს, მის ადგილს იჭერს მექანისტური აზროვნება და ურყევი პოზიცია. იგი უარყოფს ყოველგვარ ინდივიდუალობას და ქმნის „სისხლის ერთიანობას“ თუ „ბედისწერის კავშირს“, რომელიც მზადაა ათასობით ან მილიონობით დაიღუპოს, ოღონდ შექმნას ის სანუკვარი „წმიდა რაიხი“, რომლისკენაც ისე მიილტვის გერმანელი ხალხი, როგორც ბიბლიური მოსეს წინამძღოლობით ეგვიპტიდან გასული ებრაელები მიილტვოდნენ აღთქმული ქვეყნისაკენ. მართალია, მათი დიდი უმრავლესობა დაიღუპა უდაბნოში და იმ „აღთქმულ ქვეყნამდე“ არ მიუღწევია, მაგრამ ეს არაფერი! ხალხის მსხვერპლად შეწირვა, მათი აზრით, ხომ „უმაღლესი რაინდული აქტია“.

— ხალხის გმირული სიკვდილი პიროვნების სიკვდილზე უარესი როდია, — ამბობს მათი „ფილოსოფოსი მწერალი“ კოლბენჰაიერი. იგი, სერთოდ, არაფრად აგდებს პიროვნებას და წერს:

— პიროვნება არაფერია, ხალხი — ყველაფერი.

მერე ის „ყველაფერიც“ მსხვერპლად ეწირება „მსოფლიო იმპერიისა“ და „აღთქმული ქვეყნის“ მითს, რაც საბედისწერო უ ნ დ ა-ს (Muss) სინამდვილედ ქცევას გულისხმობს.

ფრ. იუნგერი ჯერ კიდევ 1926 წელს გამოცემულ წიგნში მოუწოდებდა:

— დავამსხვრიოთ მომდუნებელი რომანტიკა და დემოკრატია! ევროპა ჩრდილია ქარისა. არავითარი ურთიერთგაგება და დაძმობილება! მხოლოდ ბრძოლა! მივმართოთ საქმეს და რეალიზმის საოცარ მისტიკას აღმოვაჩენთ მასში. არ გვინდა მოქანცული ევროპის აბსტრაქტულობა. ან სადღაა ეს ევროპა?! გათიშულობაა ყველგან, რადგან ძლიერია არა ის, რაც აერთიანებს, არამედ ის, რაც თიშავს. ჩვენ გვესმის სისხლის ნიაღვრის მელოდია (ღმერთო, რას არ გაიგონებს კაცი!) და ცხოვრების სისხლიან მხარეზე ვდგებით (auf das Blutseit des Lebens).

ჰანს გრიმიც წერს „მილიონების მხსვერპლშეწირვის პლანეტარული მუსიკის“ შესახებ, ხოლო ერნსტ იუნგერი აცხადებს:

— ყოველ დროს თავისი ენა აქვს, და რა ვქნათ, თუ ჩვენი ენა რომანტიკული არ არის! იგი მკაცრია და მახვილი.

— რას იზამთ, დროა ასეთი! — კვერს უკრავს მათ გერჰარდ შუმანი, — ასე რომ არ მოვქცეულიყავით, საით წაგვიყვანდნენ სულიერი ატომის დაშლის ოსტატები — ბატონი ცვაიგები, ვერფელები, რემარკები? ამ საშინლად წმიდათაწმიდა სალხინებელში საქმე ანალიზი კი არ არის, მთლიანობაა...

სხვები ამტკიცებენ, რომ მწერლობას უნდა ჰქონდეს ბრძოლის ძალა (Kampfkraft) და ასეთ რამეს კადრულობენ:

— გერმანელი ჯარისკაცები წინ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდნენ ეკჰარტის, გოეთესა და შილერის გარეშე. ჩვენ ვერ მივაღწევდით გამარჯვებას ლაიფციგში, რომ არ გვყოლოდნენ გოეთე, შილერი და რომანტიკოსები. შილერის „ვილჰელმ ტელს“ ისეთი ძალა აქვს, როგორც არმიის სამ კორპუსს...

... ყოველივე ეს მოასწავებდა „ახალი ეპოქის“ დასაწყისს, რასაც ჯერ კიდევ 1933 წელს ასე ახასიათებდა გოტფრიდ ბენი:

— დაიწყო ახალი ისტორიული მოძრაობა. ტიპოლოგიურად იგი არც კეთილია და არც ბოროტი. იგი მხოლოდ იწყებს ყოფნას... და ყოველი მხრიდან ისმის სისინი: კულტურა საფრთხეშია! სიმართლე საფრთხეშია! იდეალი საფრთხეშია! ადამიანი საფრთხეშია! ამგვარი სისინი მოისმის ლომბარდიიდან, უნგრეთიდან, ვერსალიდან. როცა გალები, გუთები და სანკილოტები მოდიოდნენ, მაშინაც ასე იყო... და ყოველთვის ასეა, როცა ისტორიის მობრუნების ხანა დგება, როცა სინაის მთაზე დაფდაფებს უკრავენ და მთა ბოლავს, როცა გზის მაჩვენებელი ბოძები მიუთითებენ ბიზანტიისა და რომისაკენ... ახლაც იგივე მეორდება, რადგან მოდის ტოტალური სახელმწიფო.

აქ ბენი მაგალითად იშველიებს იმავე ბიბლიური მოსეს ლეგენდარულ თავგადასავალს, გუთების ლაშქრობას რომზე და ნაციონალ-სოციალიზმის მოძალებას ევროპაში...

... ამ ახალი რელიგიის ქვაკუთხედიც რასობრივი დოქტრინაა. როზენბერგის აზრით, ამის უგულებელყოფა ბადებს თავისუფლების მოთხოვნილებას ყველასათვის, რასაც ანარქიისკენ მივყავართ. რასები თანაბარნი არ არიან. ამიტომ რასობრივი დომინანტა აფორმებს ტიპებს და წარმოშობს ძლიერ პიროვნებას. ყველა ეპოქას ჰყავს თავისი დიდი პიროვნება არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ფილოსოფიასა და მწერლობაში. როზენბერგი ამტკიცებს, რომ ამ მხრივ ნიცშემდე გერმანიაში ქაოსი იყო გამეფებული. ნიცშეც ქაოსურ ეპოქაში მოხვდა და შეიშალა. ეს იყო ეპოქის განწირულების ძახილი, მაგრამ იმ შეშლილმა სამყარომ სამი შორსმხედველი პროფეტი მაინც შექმნა: ნიცშე, ლაგარდი და ვაგნერი. ახლა ეს ეპოქაც დამთავრდა, თანამედროვეობა ცალკეულ პიროვნებებს კი არ მოუხმობს, არამედ ახალ მესიას, ვინც პლასტიკურ ფორმას მისცემს ხალხის ოცნებას, მის მისწრაფებას და წაიყვანს საბრძოლველად. ამაშია მთელი ჩვენი ისტორიის აზრი...

ამრიგად, ნაცისტური პროპაგანდის მთელი არსენალი იმისთვის იქნა გამოყენებული, რომ პირველი იპოსტასიდან მიეღოთ მეოთხე, ე. ი. გერმანული ბიურგერი გარდაექმნათ ახალი ტიპის ნაციონალ-სოციალისტურ „მესამე საეკლესიო ადამიანად“, დაეყენებინათ მათ სათავეში ასევე ახალი პოლიტიკური ელიტა და შეექმნათ ამქვეყნიური ცათა სასუფეველი ანუ მესამე რაიხი, როგორც მომავლის ათასწლოვანი მსოფლიო იმპერია.

საერთო დეკადანსისა და დეპრესიის ფონზე, განსაკუთრებით კი ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში, ეს „აღმაფრთოვანებელი მიზნები“ ოპიუმივით მოქმედებდა იმედგატეხილ გერმანელ ბიურგერებზე, რომელთაც ჰიტლერელები დაჟინებით უნერგავდნენ მათ რასობრივ უპირატესობასა და მსოფლიოს წინაშე რაღაც განსაკუთრებული, ღვთაებრივი მისიის რწმენას. ამისთვის მოუხმობდნენ ისინი შორეულ ისტორიულ ფაქტებს, დიდ მოღვაწეთა აზრებს, ყველაფერს, რაც კი, მათი აზრით, იმ ახალი მესამე საეკლესიო ადამიანის სულიერ სუბსტანციად გამოდგებოდა. მართალია, უმთავრეს შემთხვევაში, ისინი სრულიად თვითნებურად იქცეოდნენ, ცალკეულ ფრაზებს ეჭიდებოდნენ, მაგრამ ზოგჯერ ერთგვარ „ნუტრიმენტუმ სპირიტუსს“-აც პოულობდნენ.

მე მესმის, ესეც ისეთი „საჩოთირო საკითხია“, შეიძლებოდა სულაც გვერდი აგვევლო ამისთვის, რომ თომას მანსაც არ წამოეჭრა იგი: „დოქტორ ფაუსტუსში“, სადაც „მესამე იმპერიის“ შემუსვრასა და გერმანელი ხალხის შემაძრწუნებელ დანაშაულზეა ლაპარაკი, ასეთი კითხვაც ისმის:

— ხომ არ იყო ამ ხელისუფლების სიტყვები და საქმეები მხოლოდ დამახინჯებული, გაუხეშებული, გაუარესებული განხორციელება იმ დამახასიათებელი რწმენისა და თვალსაზრისისა, რასაც ქრისტიანი და ჰუმანისტი შიშით (მიაქციეთ ყურადღება ამ სიტყვას) ამჩნევს ჩვენი დიდი ადამიანების დამახასიათებელ თვისებებში, იმ ადამიანებისა, რომელნიც ყველაზე ძლიერად განასახიერებდნენ გერმანულ სულს?

ვინც თომას მანის „ეპოქის რომანში“ ამ ადგილს გულდასმით წაიკითხავს, ადვილად მიხვდება, რომ აქ დასმულ კითხვაში დადებითი პასუხიც იგულისხმება. მეც ამით მინდა ავხსნა ის იმანენტური შ ი შ ი „ყოველგვარი გერმანულისადმი“, რაზედაც ადრე მოგახსენეთ. ეს შიში კიდევ უფრო გააძლიერა ნიურნბერგის პროცესმა. მართალია, რამდენადმე განსხვავებულად, მაგრამ აქაც ხომ ამაზე იყო ლაპარაკი. იმავე მენტონმა განაცხადა, ნაციონალ-სოციალიზმი თანამედროვე კაცობრიობის გონებრივი და მორალური კრიზისის მწვერვალიაო. მისი აზრით, ეს კრიზისი ყველზე უფრო XIX საუკუნის გერმანიაში იგრძნობოდა. იმისდა შესაბამისად, თუ როგორ კნინდებოდა სულიერი და მორალური ცხოვრება, სულ უფრო ძლიერდებოდა ტრაგიკული ურწმუნოება. უკვე აღარ ვიცით, რომელ ღვთაებას ვცეთ თაყვანიო, — ამბობდნენ მაშინ. ამით გზააბნეულმა „გერმანულმა გონებამ“ შეუტია ჰუმანიზმს. იგი ჰუმანიზმში ავადმყოფობის მეტს არაფერს ხედავდა და ხელაღებით უარყოფდა როგორც იუდაიზმს, ისე ქრისტიანიზმს. ამგვარი სულიერი კრიზისის დროს გერმანიაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ნიცშემ, რომელიც ზეადამიანში სრულიადაც არ გულისხმობდა არაადამიანს. თუმცა, ისიც ცხადია, რომ სწორედ მან წარმოადგინა თანამედროვე ბარბაროსი, რომელიც სხვებზე ძლიერია და თავისუფალი ყოველგვარი მორალური პრინციპებისაგან.

მენტონმა ისიც აღნიშნა, რომ ნიცშეს ამგვარი მოძღვრება შეუთავსებელია ნაციონალ-სოციალიზმის უხეშ პრიმიტივიზმთან. იგი ამბობდა, რომ მორალური და სულიერი კრიზისით გამოფიტულ გერმანულ სულში დაბუდებული რასობრივი ერთიანობის მითი შეერწყო პანგერმანიზმის ძირითად პრინციპებს. ომის აპოლოგიასაც თავისი ისტორია აქვს გერმანიაში. იგი, მენტონის აზრით, ფიხტესა და ჰეგელთანაა დაკავშირებული. სახელმწიფო ტოტალიტარიზმი და ინდივიდის სახელმწიფოს ცნებაში შთანთქმის მოძღვრებაც ჰეგელს უკავშირდება. ნიურნბერგის ტრიბუნალის დარბაზში წაიკითხეს მისი სიტყვები:

— ცალკეული პიროვნება ქრება მსოფლიო სუბსტანციაში (ხალხის სული ან სახელმწიფო) და ის სუბსტანცია თვითონ

ქმნის ისეთ პიროვნებას, როგორსაც მოითხოვს მის მიერ დასახული მიზნები.

თავის მხრივ, ფიხტეც ხელს უწყობდა გერმანელების ეროვნული განსაკუთრებულობის რწმენას. იგი წერდა, რომ „გერმანელები ღვთის რჩეული ხალხია“ და იმოწმებდა, თუ როგორ გაათავისუფლეს მათ ევროპა ჯერ „რომის იმპერიის უნივერსალური ბატონობისა და ერთფეროვნებისაგან“, მერე, ლუთერის სახით, „ტირანული ქრისტიანული ცრურწმენისა და პაპების დესპოტიისაგან“, ახლა კი მოწოდებული არიან, „ევროპაც გაათავისუფლონ ნაპოლეონის უღლისაგან“.

შემდეგში ფიხტემ კიდევ უფრო განავითარა ეს აზრი:

— გერმანელები უძველესი და ერთადერთი თვითმყოფი ხალხია (ursprüngliche Volk), რომელმაც შეინარჩუნა თავისი ძველთაძველი ენა (Ursprache), მაშინ როდესაც სხვა გერმანულმა ტომებმა, — ფრანკებმა, ლანგობარდებმა და სხვებმა, დაკარგეს პირველყოფილი ენაც და სულიც. ამის გამო ფრანგები და იტალიელები ვერ შექმნიან საკუთარ ორიგინალურ ლიტერატურას. რატომო, რომ გეკითხათ, იტყოდა, იმიტომ, რომ „ფრანგები ჭკუამოკლე (leichtsinnig), ზარმაცი და თავქარიანი (windbeutlich) ხალხიაო“. ანდა თავს ნებას მისცემდა, ეხუმრა:

— ყველა ქვეყანას ჰყავს თავისი მაიმუნები, ევროპას — ფრანგები. ეს ერთი და იგივეა.

რაც შეეხება გერმანელებს, აქ იგი ამაყად აცხადებდა:

— მხოლოდ გერმანელი ხალხია მარადისობაში ფეხგადგმული, მხოლოდ იგია ევროპული კულტურის განახლების უშრეტი წყარო...

ჰეგელსაც გერმანელები მიაჩნდა „ერთადერთ ღირსეულ ხალხად ევროპაში“. მის ნაწერებშიც ვხვდებით მსჯელობას გერმანელთა „განსაკუთრებული მისიის“ შესახებ. ამასვე ამტკიცებდნენ შლეგელი და გოერესი. მათი აზრით, ღმერთმა დააკისრა გერმანიას მისია—განეხორციელებინა ევროპის ერთიანობა და მიეღო რომის იმპერიის მემკვიდრეობა, რადგან თავის დროზე, თურმე, „გერმანულმა სისხლმა განაახლა ევრო-

პა“. გერმანელები იყვნენო კათოლიკური ეკლესიის მეომარნი და მეაბჯრენი.

ამგვარი იდეების ქადაგებამ საბაბი მისცა ფრანგ ბრალმდებელს, ნიურნბერგის პროცესის ტრიბუნიდან განეცხადებინა:

— მაშასადამე, თანამედროვე გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმი შემთხვევითი მოვლენა არ არის, იგი არც 1918 წლის დამარცხების შედეგია და არც ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოსურნე ადამიანთა ჯგუფის ჩვეულებრივი გამონაგონი. ნაციონალ-სოციალიზმი ხანგრძლივი იდეური ევოლუციის დაგვირგვინებაა და გერმანული სულის ყველაზე ბნელი და ღრმა მხარეების გამოყენება. ჰიტლერისა და მისი თანამებრძოლების დანაშაული ის არის, რომ სწორედ მათ გააღვიძეს და გამოიყენეს ფარული ბარბაროსული ძალები, რაც ნაციონალ-სოციალისტების გამოჩენამდეც არსებობდა გერმანელ ხალხში... მათ უნდოდათ განემტკიცებინათ აზრი, რომ სწორედ გერმანიაა დასავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების კულტურისა და ქრისტიანული რწმენის ცენტრი. შემდეგში ეს ტრადიცია რეფორმაციამ კი არ დაარღვია, არამედ რენესანსმა — ინდივიდის ამ გველფურმა აჯანყებამ (revolte), რისგანაც გამომდინარეობს რაციონალისტური და ნატურალისტური სულისკვეთება; აგრეთვე განმანათლებლობის, ლიბერალიზმისა და დემოკრატიის იდეა, რაც გაგებულია, როგორც საფრანგეთის რევოლუციის „მშობელი დედა“.

ცენტრის, ე. ი. გერმანიის გიბელინურ იმპერიას აუმხედრდნენ საფრანგეთი, ინგლისი და იტალია. ამიტომ გერმანელი ხალხის უზენაეს მოწოდებად კვლავ რჩება, განახორციელოს გერმანიისა და ქრისტიანიზმის მსოფლიო ჰეგემონიის მისია...

... როზენბერგმა ქამანდი უფრო შორს ისროლა და განაცხადა:

— მარტო ევროპული კულტურა კი არ არის ჩრდილოეთის გერმანული რასის შექმნილი, არამედ ძველი ბაბილონის, ეგვიპტის და თვით ჩინეთისაც კი.

ყოველგვარ კულტურას, ყველგან და ყოველთვის, თურმე,

მხოლოდ ქერა და ცისფერთვალება რასები ქმნიდნენ. როზენ-ბერგის თეორიით, „მითიურ-ისტორიული“ ატლანტიდის და-ღუპვის შემდეგ მათი კულტურა გადარჩენილმა მეზღვაურებმა და ჯარისკაცებმა გაავრცელეს. ისინი გადავიდნენ ჩრდილო-აფ-რიკაში და აქაც დაამკვიდრეს ძველი ატლანტიდის კულტურა. ატლანტიდების ნაკვალევი ჩანს ეგვიპტეში, არიულ-ინდურ რელიგიურ სისტემებში, ბრაჰმანის მოძღვრებაში, აჰურამაზ-დასა და ანგრიმანიუს (აჰრიმანი) დაპირისპირებასა და ჩრდი-ლოეთურ ელინიზმში. ასეთივე ხასიათისაა საბერძნეთის კლასიკური და რომანტიკული მოძღვრება, პელასგურ-ჩრდი-ლოაზიურ-ხტონური რელიგიები, რომლის შემდეგაც ჩნდება დიონისეს კულტი, როგორც რასობრივი აღრევის ნიმუში (Zeugnis) და რომაული კულტურის დაცემის მიზეზი...

როზენბერგმავე „აღმოაჩინა“, რომ ჰომეროსის პოემებ-შიც არიან ჩრდილოეთური სახეები. ასე, მაგალითად, ოდისეა-ში წერია „ზევსის ცისფერთვალება ქალიშვილიო“. არიან ქე-რათმიანი გმირებიც, მოკავშირე თერსიტები ქერები არიან, მტრულად განწყობილნი კი შავთმიანები და... (ო, ღმერთო!) თურმე, წინაპრები თანამედროვე ბერლინელი პაციფისტებისა. მერე მოდგა და თუ ვინმე „ქერა“ ან „ცისფერთვალება“ ნახა მოხსენებული, ყველა არიელად გამოაცხადა, თვით ღმერთე-ბიც კი. მისი აზრით, ათინა-პალადა და აპოლონი ჩრდილოური არიული ღმერთები ყოფილან, რადგან მითების მიხედვით პირველს ცისფერი თვალები ჰქონდა, ხოლო მეორეს — ოქ-როსფერი კულულები. სამაგიეროდ, დემეტრე, ჰერმესი, დიო-ნისო — დაბალი რასის წარმომადგენლები არიან. ფილოსო-ფიაში პლატონი მაღალ რასას მიეკუთვნა, პითაგორე და სოკ-რატე — დაბალს. მერე ბიბლიასაც გადაწვდა და განაცხადა, ამარიტელები ქერათმიანები და ომის მოყვარული არიელები იყვნენო. თურმე მათ დაარსეს იერუსალიმი და გალილეი, საი-დანაც ქრისტე წარმოიშვა. ჩრდილოური მიგრაციის შედეგად რომის იმპერია დაუპირისპირდა ეტრუსკულ კულტურას და ორივემ ერთად დაანგრიეს „სემიტური კართაგენი“. იგი ამ-ტკიცებს, ე. ი. კი არ ამტკიცებს, არამედ აცხადებს, რომ ბერ-ძნულ და გერმანულ ხელოვნებას ერთი რასობრივი საფუძვე-

ლი აქვს. ამას, თურმე, ადასტურებს პერიკლესა და ფრიდრიხ დიდის თავის ქალას ანთროპოლოგიური შედარება(!)...

... ასე და ამგვარად, რაც მსოფლიოში ღირსეული რამ შეიქმნა კულტურის დარგში, ყველაფერი გერმანელების დამსახურება ყოფილა. ყველა დიდი ადამიანიც, თურმე, გერმანული წარმოშობის ან ხასიათისაა. ამიტომ, არც გაგიკვირდეთ, თუ ამგვარ აზრებსაც მოისმენთ:

— ოსიანი გერმანელი პოეზიის წარმომადგენელია...

— დიდრო ეკუთვნის ჩვენს ოჯახს, რადგან იგი, უწინარეს ყოვლისა, ჭეშმარიტი გერმანელი იყო...

ასევე რუსოც. შექსპირი კი, თურმე, „გერმანული გენიის განსახიერებაა...“

რატომ? იმიტომ, რომ „მის წიგნებში ასახულია გერმანული ერთგულება და გერმანული პატივისცემა ქალის, როგორც მებრძოლი ამხანაგისადმი...“

როზენბერგის ამგვარ ძიებებს არც იუნგი ჩამორჩა. მისი აზრით, კაცობრიობა ერთობლივი ცნებაა და არა ხალხთა ერთიანობა. ამ ერთობლიობაში გერმანელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგია ღვთაებრივი სულის ინდივიდუალური გამოხატულება. სამი „ხავსი“, რასაც თანამედროვე ევროპული აზროვნება ეჭიდება, სამივე გერმანულია: რეფორმაცია, კლასიკური მუსიკა და იდეალისტური ფილოსოფია. „დეკადანსი“ და „დაცემა“ დასავლური ცნებაა, „აღორძინება“ კი გერმანული. ამიტომ გერმანელებს ეკისრებათ ევროპის ხელახალი გაქრისტიანების მისია.

— არც ერთი ქვეყანა, არც ერთი ხალხი, — წერდა იგი, — არ არის ნამდვილი აზრით ისე ევროპული, როგორც გერმანია და გერმანელები... იგი ევროპის ცენტრშია არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ სულიერადაც.

ადამ მიულერი უფრო პირდაპირია და უტიფარი:

— ყველაფერი, რაც კარგია, ამაღლებული, მნიშვნელოვანი — გერმანულია. ევროპაში ყოველგვარი სულიერი იმპულსი გერმანულიდან წარმოიშობა. გერმანიაა მთელი დასავლეთის სამყაროს სულიერი გულისცემა...

მერე იუნგმაც, აქაოდა, სხვამ არ გადამაჭარბოსო, ასეთი რამ იკადრა:

— გერმანელები არა მარტო ერთადერთი დიადი სულის ხალხია, არამედ ერთადერთი ხალხი, რომელსაც საერთოდ აქვს სული.

თურმე ნუ იტყვით, საუკუნეთა მანძილზე „ყველა ხალხს დაუშრა სულიერი წყარო, გარდა გერმანელებისა", ახლა კი მთელი დასავლეთის სამყარო მარტო ამ წყაროს ეწაფება, გარშემო კი მხოლოდ უდაბნოა...

ეს ეხება არა მარტო კულტურის, არამედ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სფეროსაც. ნაცისტი მწერალი ჰანს გრიმი აცხადებდა:

— ჩვენ არ დაგვიწყებია, ინგლისის უდიდესი დედოფალი ვიქტორია წარმოშობით გერმანელი რომ იყო და გერმანელი ქმარი ჰყავდა. გერმანელები იყვნენ ბალკანეთის ქვეყნების მეფეები. ესპანეთი გერმანელი თავადების მეთაურობით აყვავდა. რუსეთსაც გერმანული წარმოშობის მეფეები მართავდნენ. განა იმათ ისე უხმობდნენ, რომ არ ესმოდათ ამის სარგებლობა? რაც მსოფლიოში ათეული წლების მანძილზე კარგი გაკეთდა, სულ გერმანელების საქმეა. ჩრდილოეთის რასამ დაამყარა წესრიგი უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში და თუ მსოფლიო იმად იქცა, რაც არის, ესეც გერმანელების დამსახურებაა...

მოკლედ:

Deutschland, Deutschland über alles,
Über alles in der Welt...

(გერმანია, გერმანია ყველაზე მაღლა, ყველაზე მაღლა მთელ მსოფლიოში...)

IMPERIUM SACRI...

ამგვარმა შეხედულებებმა განამტკიცეს გერმანელთა ეროვნული უპირატესობის გრძნობა და ჩაუნერგეს მათ რწმენა, რომ კაცობრიობის მთელი ისტორიული არსებობა (Wer-

den) დაკარგავს აზრს, „თუ იგი არ მივა გერმანელი ხალხის ტრიუმფამდე“.

კაცმა რომ თქვას, რაღაც ამის მსგავსს ჰეგელიც ამტკიცებდა. მისი აზრით, გერმანელ ხალხს ეკისრება ქრისტიანიზმის პრინციპების სრულ გამარჯვებამდე მიყვანა მთელ მსოფლიოში. გერმანელები მოწოდებული არიან ამ წმიდა მისიისათვის, რადგან თვითონ უაღრესად რელიგიურად არიან განწყობილნი, რაც აკლიათ რომანული რასის წარმომადგენლებს.

არ ვიცი, „ქრისტიანიზმის მთელ მსოფლიოში გამარჯვება“ როგორ ეგუებოდა ანტიქრისტე ჰიტლერის მოძღვრებას, მაგრამ გერმანელი ერის ეს „განსაკუთრებული მისია“ მაინც მოეწონა. მოეწონა ისიც, ჰეგელი რომ ამტკიცებდა, ქრისტიანიზმის წმიდა და ჭეშმარიტი რეფორმა სწორედ გერმანიაში დაიწყო და ამით გვევლინება იგი „მთელი მსოფლიოს სულიერი თავისუფლების მედროშედო“.

არც ეს „სულიერი თავისუფლება“ იყო მაინცდამაინც შესაფერისი ჰიტლერელი ბარბაროსებისათვის, მაგრამ „მედროშეო“, ხომ მაინც არის ნათქვამი, და ისიც „მსოფლიო მასშტაბით“. ესეც საქმეა თუ არა! ან თუნდაც მტკიცება, რომ „გერმანელობისა და თანამედროვეობის სული ერთი და იგივეა“, რის განსახიერებასაც პრუსიელობა წარმოადგენს?! იქნებ ამიტომ იყენებდნენ ყოველგვარი „სულის“ მტერი ჰიტლერელები ჰეგელის „სულის ფენომელოგიის“ ავტორიტეტს, რაც იმას ჰგავს, ეშმაკი ბიბლიას რომ იმოწმებდეს თავისი აზრების საბუთად...

მართალია, ამ შემთხვევაში პოლიტიკურ-პატრიოტული ინტერესი ახშობს მეცნიერულს, მაგრამ ეს „პრინციპი“ ისეა ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ პროტესტანტ ფიხტესა და ჰეგელის ნააზრევს აახლოებს კათოლიკე გოერესისა და შლეგელის თვალსაზრისთან იმის შესახებ, რომ ღმერთის მიერ რჩეული, მართალია, რომის წმიდა იმპერიაა, მაგრამ იმავე ღმერთმა იზრუნა, რათა ნგრევის პერიოდშივე შეექმნა ახალი ბარბაროსული ძალები, რომელთაც განაახლეს იმპერია და ამის გამო რომის პაპმა გერმანული სისხლის მეფე აკურთხა ქრისტიანობისა და ეკლესიის მცველად, რითაც გერმანიას დაეკისრა იმ-

პერიისა და ეკლესიის კავშირის აღდგენის მისია, რაც ევროპის მისტიკურ ერთიანობას ან ე. წ. „წმიდა რაიხის“ (Jmperium sacri) ვიზიონერულ ხილვას გულისხმობს.

ნოვალისი წერს, ერთ დროს ევროპა ერთიანი ქრისტიანული სახელმწიფო იყოო.

— ისევ რელიგიას შეუძლია ევროპის ხალხთა გაერთიანება, — „წინასწარმეტყველებდნენ“ მისი მიმდევრები და ამტკიცებდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში ეკლესია გამოვა ნამდვილი თავისუფლების დამცველად, რაც წმიდა იმპერიის ქრისტიანულ იდეალში ანუ „ცათა სასუფეველში“ (Himmelsreich) განხორციელდება...

ამ „წმიდა რაიხს“ შუა საუკუნეებიდან თან სდევდა რაღაც საკრალური ჟღერადობა. შემდეგში ის მეტაფიზიკურ ძალად იქცა. რაიხი, გერმანელის გაგებით, არის ყაზარმის ყაიდის იერარქიული წყობა, „დიდი სივრცის პოლიტიკური წესრიგი“ (Grossraumordnung). ამაშივეა მისი ისტორიული მისია, რამაც იდეური ნარკოზის როლი ითამაშა გერმანიაში. ფიქრი რაიხზე, როგორც პოლიტიკური მითოსი, Fata morgeana, ზრანდიოზული მომავლის რწმენა — იტაცებდა „მეოცნებე გერმანელებს“.

თანმიმდევრულმა ნაცისტებმა უარყვეს რაიხის იდეის ქრისტიანული ასპექტი, მაგრამ არა მისი რელიგიური ხასიათის გამო. მართალია, იგი ჩამოყალიბდა როგორც მითოსი, მაგრამ გერმანიის მომავლის რწმენა მაინც რელიგიურ აღსარებად იქცა. ჰანს იოსტმა წამოაყენა იდეა, რომ „გერმანიის ახალი ღმერთი წმიდათაწმიდა რელიგიური იარაღის ტარების უნარია“. მისი აზრით, მესამე იმპერია იქნება „ზეციური და მიწიერი რაიხის გაერთიანება“. იოსტიც გაურბის „რაიხის“ ქრისტიანულ წარმოშობას და „გერმანიკულ იმპერიას“ (Imperium Germanikum) უწოდებს მას...

... მინდა, აქაც ვისარგებლო შემთხვევით და, რაკი სიტყვამ მოიტანა, ერთხელ კიდევ განვაცხადო, რომ ჰიტლერს ნაციონალ-სოციალიზმი, უწინარეს ყოვლისა, რელიგიურ დოქტრი-

ნად მიაჩნდა. ეს უფრო რ წ მ ე ნ ი ს საკითხი იყო, ვიდრე პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ა. ნაცისტი მწერალი რუდოლფ ბინდინგი წერდა, მსოფლიოს დღემდე არ შეუძლია გაიგოს ნაციონალ-სოციალისტური რევოლუციის რელიგიური ხასიათიო.

მე მგონი, ეს ახლაც არ არის გაგებული. ყოველ შემთხვევაში, ამას ნაკლები ყურადღება ექცევა. ნამდვილად კი ახალი გერმანია მოფიქრებული იყო როგორც ამქვეყნიური „ცათა სასუფეველი“ ანუ ბიბლიური აღთქმული ქვეყანა. ნაცისტური მწერლობა ადასტურებს ამ აზრს, პირველ რიგში კი მისი მთავარი ქურუმები, რომელნიც გერმანიას „ცათა სასუფევლის“ (Himmelsreich) ცნებით გამოხატავენ. 1943 წელს იოსტი წერდა, რომ თავდება ათასწლოვანი გოდება ვაების ჭალაში და იწყება სასუფეველი ცათა, რაც გერმანელი ხალხის სულიერი ერთიანობით წარმოიქმნება და წმიდა მისტიკურ სინამდვილედ იქცევა.

ველერი აცხადებს:

— რაიხის შინაგანი ბუნება თავისი საწყისით უკავშირდება ღმერთს, რომელიც ხალხთა სულიერ ერთიანობას აწესრიგებს და „ამტკიცებს“, რომ არსად ეს იდეა ისე არ არის განხორციელებული, როგორც გერმანულ სულში...

ეს „მეტაფიზიკური იდეა“ შემდეგში, შეძლებისამებრ, ისევ კონკრეტულ ფორმას იღებს რესტავრაციისა და კონსერვატიზმის პერიოდში, როცა, ლაგარდის თქმით, ხდება „სახელმწიფოს გაღმერთება“ (Staatsvergötterung).

ფაქტიურად ედგარ იუნგიც იმავე ამოცანებს სახავს თანამედროვეობის წინაშე. მისი წიგნი ეძღვნება „მცირეფასოვანთა ბატონობის დაშლას და მოსპობას ახალი რაიხის მიერ“, ამიტომ იყო, რომ იუნგის წიგნი კონსერვატიზმის ბიბლიად იქცა. მან მთელი ეს ბუნდოვანი თეორიები ნაციონალისტური პოლიტიკის კონკრეტულ ამოცანებს დაუკავშირა და, ფაქტიურად, ჰიტლერის „მესამე იმპერიის“ იდეამდე მიიყვანა. იუნგი ამტკიცებს, რომ კაცობრიობა დგას ახალი სამყაროს კარიბჭესთან. იწყება პერიოდი, რომელიც, ალბათ, ახალ ათასწლეულს მისცემს დასაბამს. მისი აზრით, ამით გერმანელი ხალხის წინაშე ისევ დგება საბედისწერო საკითხი: იქნება თუ

არა იგი პირველი ნამდვილი დასავლური რაიხის შემოქმედი მართალია, იუნგი „პირველს“ უწოდებს იმ იმპერიას, რომლის შექმნას ჰიტლერი ცდილობდა, მაგრამ არ ივიწყებს წინა ორს, რასაც ძველი ბერძნებისა და ქრისტიანულ-კათოლიკური შუასაუკუნეების წმიდა რომაული იმპერიის „უაღრესად ტრაგიკულ“ ეპოქად მიიჩნევს. მისი აზრით, პირველის სათავეში იდგა პლატონი, ხოლო მეორისა — დანტე ალიგიერი, წარსულის ორი უდიდესი ადამიანი, რომელთაც შეძლეს მსოფლიოს გამაერთიანებელი მაკროკოსმული იდეების შექმნა. ეს ერთიანობა დაარღვია ჰოჰენშტაუფენების ტრაგედიამ. გაქრა გიბელინური იმპერია, რომლის უკანასკნელი მეხოტბე დანტე იყო. ტრაქტატი „მონარქია“ გამომშვიდობებაა Jmperium sacri-სთან, მისი დაშლისა და დაცემის სავალალო სურათია. ამის შემდეგ მოდის ისტორიული დაღმართი და ცალკეული პერიოდები წინააღმდეგობისა: რეფორმაცია, კლასიკური მუსიკის ეპოქა და რომანტიზმი. იუნგის აზრით, ამაზე იყო და არის დამოკიდებული გერმანული კულტურის ბედი.

— საჭიროა გავიგოთ, — წერს იგი, — რომ ადამიანის სულის უცვლელი ნიშანია მეტაფიზიკური მიდრეკილება. ამაშია ადამიანობის არსი. მასვე ეყრდნობა ღრმა ჭეშმარიტება, რომ ადამიანი ღვთაების სახისმიერია. ზეგრძნობიერისკენ მისწრაფება მარადიულია და საყოველთაო. როცა ეს მისწრაფება დარღვეულია და მიმართული ამქვეყნიურ მიდრეკილებებისა და არაზეგრძნობიერის რელიგიისადმი, ქმნის საშინელ უბედურებას (Unheil) არა მარტო პიროვნულ, არამედ სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში...

აქვეა წყალგამყოფი: იუნგის ქადაგება სულიერ სფეროს ეხებოდა, ჰიტლერისა — „ამქვეყნიურ მოქმედებას“ და სწორედ ამან გამოიწვია ის „საშინელი უბედურება“. იუნგი ფიქრობდა, რომ ეს იდეები უნდა განხორციელებულიყო სულიერ სამყაროში, ანტიკური ფილოსოფიისა და შუა საუკუნეების ქრისტიანიზმის შერწყმით. იგი მიისწრაფოდა სულიერი თავისუფლებისაკენ, ამიტომაც იყო თავისუფლების სამყარო რელიგიის მიზანი, რაც, იუნგის აზრით, მთლიანად არასოდეს არ

მიიღწევა, მით უმეტეს, როცა მის ამქვეყნიურ განხორციელებას ცდილობენ.

— თანამედროვე ლიბერალიზმი, — წერს იგი, — თავისუფლებას უკავშირებს პიროვნების ბუნებრივ მოთხოვნილებას. განურჩევლად მისი ხასიათისა და უნარისა. ეს არის ნამდვილი თავისუფლება — ჩაიდინო ყველაფერი, რაც გინდა (alles zu tun), თვით ბოროტებაც კი. ამიტომ თავისუფლება ყველას სურვილი, ჟინი ან ინსტინქტი კი არ უნდა იყოს, არამედ დიდი ადამიანური სულისა, იმათი, ვინც მოწოდებულია თავისუფლებისა და სიკეთისათვის და უნარიც შესწევს ამისი...

იუნგის აზრით, ეს ეხება თანასწორობის იდეასაც, რაც აგრეთვე წმიდა რელიგიურ-მეტაფიზიკური ხასიათისაა. იგი წერს:

— ღმერთს არ დაუწესებია განსხვავება ადამიანთა შორის. იქ არ არიან მეფეები და მათხოვრები. ეს შემდეგ დადგინდა პირადი მონაცემების მიხედვით. ამიტომ, თანასწორობის სასუფეველი (იუნგი აქაც ხმარობს ტერმინს „რაიხი“) ანუ სასუფეველი ღვთისა (Gottesreich) არის მხოლოდ იდეალური მიზანი. სოციალურსა და პოლიტიკურ მეოცნებეებს კი უნდათ ამის ამქვეყნად დამყარება. ისინი თანასწორობასაც ინდივიდის ბუნებრივ მოთხოვნილებად აცხადებენ, მაშინ როდესაც თანასწორობისა და თავისუფლების იდეა საშიში უტოპიაა, რასაც კატასტროფულ ნგრევამდე მივყევართ. თანამედროვე სული მოითხოვს ღვთაებრივ რაიხს ამქვეყნად, სოციალურ სამოთხეს, როგორც კაცობრიობის განვითარების ან სოციალ-პოლიტიკური რევოლუციის შედეგს — ეს ორი სხვადასხვა სიბრტყეა და მათი ერთმანეთში აღრევა ყოველთვის უამრავ სისხლად ღირდა კაცობრიობას...

იუნგს აქედან გამოაქვს დასკვნა, რომ დასავლეთის განახლება და ღვთის სასუფევლის ანუ მესამე იმპერიის დაარსება არის მხოლოდ რელიგიური სფერო...

იუნგი დარწმუნებულია, რომ გერმანელები გამოიყენებენ იმ შესაძლებლობებს, რაც მოცემულია მათში და მათ გარშემო.

— ღმერთი ახლაც ისეთივეა, — წერს იგი, — როგორც შუა საუკუნეებში, მაგრამ უბერავს ახალი სიო, იფურჩქნება

ახალი ყვავილები, ჩნდება ახალი ფიქრი, აზროვნების ახალი ფორმა, იწყება იდეების ახლებური ძვრა. ჩანს, სულიერმა სეკულარიზმმა და ინდივიდუალიზმმა ამოსწურა თავისი თავი...

იუნგი ფიქრობს, რომ ფიზიკურმა მატერიალიზმმა მოძებნა თავისი სფერო. ეს არის მეცნიერება, ტექნიკა, ბუნებისმეტყველება. ამასთანავე იწყება სულიერი მეტაფიზიკის აღორძინება, რასაც, მისი აზრით, ანვითარებენ ჰარტმანი, ჰუსერლი და ჰაიდეგერი...

... იუნგის მეტაფიზიკურმა თეორიებმა სულ სხვა მიმართულება მიიღო გერმანიაში. გაჩნდა ახალი თეზა: „სოციალური იგივე ღვთაებრივია" (das Sozialе ist das Heilige) — აზრი, რომ ხალხი, ერი, პიროვნებათა ჯამი კი არ არის, არამედ ახალი ხარისხობრივი მოვლენა, რასაც თავისი საკუთარი კანონზომიერება გააჩნია, სრულიად განსხვავებული პიროვნების ფსიქოლოგიისაგან. ამტკიცებენ, რომ სულიერი რევოლუცია სოციოლოგიითა და ფილოსოფიით არ შემოიფარგლება. იგი თავს იჩენს არქიტექტურაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში და ცდილობს ახალი სტილი შექმნას, მაგალითად, რილკესთან, უფრო კი გეორგესთან. ნამდვილი ღვთისმსახურება იჭრება „რელიგიურ უდაბნოში", იწყება ბრძოლა ადამიანის ახლებური ინტეგრაციისათვის, ლტოლვა ახალი ტიპის ადამიანისაკენ, რასაც ქადაგებდნენ როზენბერგი და სხვები, რომელნიც მოითხოვდნენ სოციალური ცხოვრების რელიგიაზე დაფუძნებას. რაციონალიზმსა და „გამოფიტულ ქრისტიანიზმს" უპირისპირებდნენ ნეოწარმართობას, პანთეიზმს, ბუნებისა და სისხლისადმი რწმენას.

რაღაცით გაღიზიანებულმა გერმანელმა პოეტმა რიუკერტმა წამოიძახა:

— გააჭირეთ საქმე ამ თქვენი ჯვარცმის ნიშნითა და წამების კულტით! მე სიხარულის ადამიანი ვარ და, მაშასადამე, წარმართიო...

იუნგი კი იმედოვნებდა, რომ ყოველივე ეს მოხდებოდა

ქრისტიანიზმის ფარგლებში, რომ იგი გათავისუფლდებოდა დოგმებისაგან და შეიწოვდა ამ ახალ მაცოცხლებელ იდეებს. ამისთვის მოიგონა მან ე. წ. „გრძნობის ქრისტიანობა“ (Gefühlschristen tum). მისი აზრით, ამის მონაცემები კათოლიციზმმა შექმნა, როგორც კულტურის გამოთქმულმა (ausgesprochene) რელიგიამ, რაც ამქვეყნიურ ფორმას აძლევს ღვთაებრივის მეტაფიზიკურ იდეას. მაგრამ იუნგის იმედები არ გაამართლეს იმათ, ვისაც იგი ასე გულმოდგინედ უკაფავდა გზას. მათ ზიიღეს მისწრაფება ადამიანის ინტეგრაციისა — შეგნებისა, რწმენის, რელიგიის და ფილოსოფიის ერთიანობისა, რაც ადამიანთა ყოველდღიურ ჩვეულებრივობად უნდა ქცეულიყო, მაგრამ განაცხადეს, რომ ამისთვის კათოლიკური ეკლესია კი არ არის საჭირო, არამედ ძველი გერმანულ-წარმართული რელიგიის აღდგენა. ხელოვნება და ლიტერატურა მოწოდებულია შექმნას საამისო „გმირული განწყობილება“. უნდა მოხდეს ძალთა ტოტალური მობილიზაცია. მასების წინაშე უნდა დაისახოს გიგანტური, მაგრამ კონკრეტული ამოცანები. ახალი მითოსი მოუხმობს წარსულის გმირებს, იგი ეყრდნობა ძველი ყოფის იდეალიზაციას, გმირული ამბების შეხსენებას, საერთო და საკულტო დღესასწაულებს.

ამ მხრივ იტალიურმა ფაშიზმმაც გამოიჩინა თავი. შავხალათიანების მარში რომისაკენ მოფიქრებული იყო როგორც კეისრის მიერ რუბიკონის გადალახვა. მუსოლინის ყოველი მოძრაობა და ჟესტი აყვანილ იქნა მითის მნიშვნელობამდე. იგი მოუხმობდა ძველ რომს ახალი ფაშისტური იტალიის შესაქმნელად.

სორელს მიაჩნდა, რომ იტალიური ფაშიზმი იყო არა მხოლოდ ეროვნული ფარგლების რევოლუცია, არამედ ევროპული მნიშვნელობის მოვლენა, როგორც 1789 წლის რევოლუცია იყო ნიმუში მთელი კონტინენტისა და მსოფლიოსათვის. იგი მოუხმობდა ირაციონალურ ძალებს, რელიგიურ რწმენას, რათა ადამიანები გამოეყვანა დუხჭირი მდგომარეობიდან და ისევ იმ ბიბლიური აღთქმული ქვეყნისაკენ წარემართა...

ამ იდეას ჯერ კიდევ ნაცისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე დაჟინებით ქადაგებდა როზენბერგი თავის წიგნში „მეოცე საუკუნის მითი“. თვითონ როზენბერგი, მოგეხსენებათ, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის „ოფიციალურ ფილოსოფოსად“ ითვლებოდა. იგი ნიურნბერგის პროცესის საბრალდებო სკამზედაც ცდილობდა ამ „საპატიო ტიტულის“ შენარჩუნებას. ამან ბრალდებისა და დაცვის მხარეთა შორის დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. როზენბერგის დამცველი დოქტორი თომა ცდილობდა ლაპარაკი სულ ფილოსოფიის სიბრტყეზე გადაეტანა; ვითომ ფილოსოფოსს ასამართლებენ თავისი მსოფლმხედველობისათვის და არა სისხლის სამართლის დამნაშავესო. ამიტომაც აძლევდა ასეთ კითხვებს:

— თქვენს გამოსვლებში ხშირად ხმარობდით გამოთქმას „იდეის სახე“ (Gestalt der Jdee). ამ შემთხვევაში გოეთეს ხომ არ მოუხდენია თქვენზე ზეგავლენა?

— ჩემი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, — უპასუხა მას როზენბერგმა, — გავლენა მოახდინეს: გოეთემ, ჰერდერმა, ფიხტემ, დიკენსის სოციალურმა იდეებმა და ამერიკელმა ემერსონმა, შემდეგ კი კანტმა და შოპენჰაუერმა.

აი, როგორ უნდოდა თომას წარემართა თავისი დასაცავის დაკითხვა, მაგრამ ტრიბუნალს ნაკლებად აინტერესებდა როზენბერგის ფილოსოფიური შეხედულებები. თომა კი დაჟინებით ცდილობდა ამ საკითხებზე ლაპარაკს. თან როზენბერგის „თეორიულ ცოდვებს“ წარმოშობით ინგლისელ ჰიუსტონ ჩემბერლენსა და ფრანგ გობინოს აწერდა. მათი აზრით, ჩემბერლენმა დასძლია გობინოს პესიმიზმი და რასის მითოსში დაინახა გერმანელთა მომავალი. ეს მან უწოდა ჰიტლერს „სინათლის სახე“ (Lichtgesicht) და მესამე იმპერიის წინასწარმეტყველი. ჩემბერლენმა აღაფრთოვანა პირველად გერმანელი ნაციონალისტები. კაიზერმა ვილჰელმ II, ნიშნად მადლობისა, თვითონ იკისრა მისი წიგნის, „XIX საუკუნის საფუძვლების“, ბეჭდვის დაფინანსება და გავრცელება. ეს იმიტომ, რომ ჩემ-

ბერლენი, თურმე, უფრო მოერგო გერმანელთა ჯარისკაცურ სულს, ვიდრე ვაგნერი. ამბობდნენ, ვაგნერიც აკავშირებდა ერთმანეთთან ინდურ ფილოსოფიას, ქრისტიანულ ლეგენდებსა და გერმანულ მითოლოგიას, მაგრამ მისი ტევტონომანია მაინც ზედმეტად კათოლიკური იყო. მართალია, არც ჩემბერლენი წყვეტდა კავშირს ქრისტიანიზმთან, მაგრამ რაკი იგი ქადაგებდა, პრუსია გერმანული პროტესტანტიზმის, არისტოკრატობის და ქრისტიანული სულის განსახიერებაა — რომაული ეკლესიის, საფრანგეთის რევოლუციის, სოციალიზმის, დემოკრატიისა და ებრაული სულისკვეთების წინააღმდეგო, სხვას დანარჩენს აპატიებდნენ. მით უმეტეს, რომ ჩემბერლენმა „დაუმტკიცა“ მზამზარეული იდეების მიღებას ჩვეულ გერმანელებს, რომ „ქრისტე ბერძენი მამისა და არიელი დედის შვილი“ იყო.

ბრალმდებლები კი როზენბერგს, როგორც მთავარ სამხედრო დამნაშავეს, ამგვარ „მაღალ მატერიებზე“ კი არ ეკითხებოდნენ, არამედ იმ სისხლიან საქმეებზე, რაც მის სახელთან იყო დაკავშირებული. იგი წარსდგა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე არა როგორც „სულიერი“, არამედ სისხლის სამართლის დამნაშავე. ამიტომ, როცა დამცველი თომა ფილოსოფიურ შტუდიებში იყო გართული, ბრალმდებლებმა მიუთითეს დოკუმენტზე, რომელშიაც როზენბერგი წერდა:

— ესტონეთის, ლიტვის, ლატვიისა და ბელორუსიის სიმპერიო რწმუნებულის მოვალეობაა გერმანიის პროტექტორატის შექმნა, რათა შემდეგში ეს ოლქები იმპერის შემადგენელ ნაწილებად იქცნენ, რასობრივი თვალსაზრისით მისაღები ელემენტების გაგერმანელების, არიული რასის კოლონიზაციისა და არასასურველი ელემენტების მოსპობის გზით...

დიახ, ამ მ ო ს პ ო ბ ა ზ ე ეკითხებოდნენ როზენბერგს და არა ეკჰარტის მისტიკასთან დამოკიდებულებაზე. არც ფილოსოფიურ დავას იწყებდნენ მასთან ჭეშმარიტების ზოგად საკითხებზე. არა. ისინი სრულიად მარტივად იჭერდნენ მას ტყუილის თქმაში. მართალია, ნაცისტი ფიურერებისათვის ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა და ტ ყ უ ი ლ ი სინონიმური ცნებებია, მაგრამ ბრალმდებლები როდი იზიარებდნენ ამ აზრს. ისინი, უწინარეს

ყოვლისა, დოკუმენტების ენით მსჯელობდნენ და როზენბერგ-საც ამიტომ შეახსენეს მისი სიტყვები:

— ეს იქნება ბრძოლა გერმანიისა და მთელი ევროპის ნედლეულითა და სურსათით მოსამარაგებლად.

აღნიშნული დოკუმენტი 1941 წლის 8 მაისსაა შედგენილი, როზენბერგი კი ამტკიცებდა, საბჭოთა კავშირთან ომის მომზადებაზე არაფერი ვიცოდიო.

ეს არის მტკნარი სიცრუე, ან როგორც იტყვიან, „ცარიელი ტყუილი“, თორემ ასე რომ ყოფილიყო, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებამდე, როზენბერგი რატომ შეადგენდა ჩვენი ტერიტორიების ეკონომიური ძარცვის გეგმას.

როზენბერგსა და მის დამცველ თომას ამიტომ შეახსენეს, რომ სწორედ ამ ძარცვაზეა ლაპარაკი და არა კანტის ტრანსცენდენტალიზმზე. სხვა დოკუმენტში ეწერა:

ჰააგის კონვენციის დებულებას სახმელეთო ომების წარმოების წესებისა და ოკუპირებული უცხოური სახელმწიფოს შესახებ არა აქვს ძალა, რადგან, უნდა ჩაითვალოს, რომ საბჭოთა კავშირი უკვე მოსპობილია.

ესეც ყოველგვარი სამხედრო დანაშაულის absolutio იყო, რასაც მილიონობით ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა და არა „ნეორომანტიკული პოეზია“.

ამგვარმა დოკუმენტებმა აიძულეს როზენბერგი ელიარებინა, რომ იგი ასრულებდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიების გერმანიისათვის შეერთების გეგმას, იგონებდა ახალ სახელებს ქალაქებისათვის, გერმანიის საკუთრებად აცხადებდა კავკასიის ნავთობებს, მითითებებს იძლეოდა მძევალთა დახვრეტის შესახებ. პროცესზე დამტკიცდა, რომ უკრაინაში რაიხსკომისარ კოხის საშინელ საქმეებზე პასუხისმგებელი იყო როზენბერგიც, როგორც მისი უშუალო უფროსი. ამას ისიც ერთვოდა, რომ მან ხელი შეუწყო ცუმანის ტყის მასივთან მდებარე სოფლების მოსახლეობის გაჟლეტას, რათა გერმანელ ბატონკაცებს უფრო თავისუფლად ენადირათ.

მე უკვე არაფერს ვამბობ მილიონობით ებრაელისა და სლავის დახოცვაზე, რაც მისი რასობრივი მითოსის პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენდა.

როზენბერგს და მის დამცველ თომას კი, ცხადია, ამ „უსიამოვნო“ ფაქტებზე ლაპარაკს ის ერჩიათ, ფილოსოფიურ თუ მსოფლმხედველობრივ საკითხებზე ედავათ.

მართალია, ისინი რამდენჯერმე გააფრთხილეს, აქ ნეოროომანტიზმსა და ფილოსოფიაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ადამიანთა ხოცვა-ჟლეტაზეო, მაგრამ თომა მაინც თავისას გაიძახოდა. იგი საათობით ლაპარაკობდა ანტისემიტიზმის ფილოსოფიაზე, მოჰყავდა სათანადო ამონაწერები ინგლისური, ამერიკული და ფრანგული წყაროებიდან, ვითომ რასობრივი თეორიაც და ანტისემიტიზმიც ინგლისელების, ამერიკელებისა თუ ფრანგების მოგონილია და არა როზენბერგისო. თომას ისევ შეახსენეს, რომ თ ე ო რ ი ე ბ ს კი არ ასამართლებდნენ, არამედ დ ა ნ ა შ ა უ ლ ებ რ ი ვ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს, მაგრამ მან ისევ იმ ხაზით გაუტია. ამან ჯეკსონს მოთმინება დააკარგვინა. იგი წამოხტა ადგილიდან და იყვირა:

— ვის რად უნდა ეს? ამ საკითხზე ჩვენ უკვე 25 ათასი თაბახი ქაღალდი დავხარჯეთ!..

ლოურენსმა თითქოს „დაამშვიდა“ ჯეკსონი, მაგრამ ამერიკელმა ბრალმდებელმა მაინც ირონიულად ჩაილაპარაკა:

— არავის არ სიამოვნებს დამარხული მესამე იმპერიის პროპაგანდა ისმინოს აქ. ახლა თომა გაცოფდა. იგი შავი მოსასხამის ფართხუნით წამოხტა და ჯეკსონს დაუძახა:

— წაიღეთ თქვენი ბრალდება უკან!..

არავითარი პასუხი. მაშინ თომამ გამყივანი ხმით და თანაც „შენობით“ მიმართა ჯეკსონს:

— წაიღე, თორემ შენი საქციელი შენვე დაგიბრუნდება!

ჯეკსონმა არც ამაზე ამოიღო ხმა, ადგა და სულ გავიდა დარბაზიდან; დოქტორმა თომამ კი ისევ განაგრძო ფილოსოფიურ საკითხებზე მსჯელობა. ეტყობა, ამან ლოურენსიც გამოიყვანა მოთმინებიდან და, ვითომ შეცდომით, „დოქტორო როზენბერგოო“, — მიმართა თომას. მართალია, მან იქვე გასწორა თავისი „შეცდომა“, მაგრამ დარბაზში მყოფნი მაინც მიხვდნენ ამ ირონიას.

თომამ ამჯერად წაყრუება არჩია...

რაკი საშველი არ იყო, როგორც ჩანს, ბოლოს ბრალმდებლებმაც გადაწყვიტეს, თუ საქმე ფილოსოფიაზე მიდგა, იყოს ასეო, და როზენბერგთან ერთად საბრალდებო სკამზე მისი წიგნი „XX საუკუნის მითიც“ „დასვეს“. კაცმა რომ თქვას, საბრალდებო აქტშიაც იყო პარაგრაფი საერთო გეგმის ანუ შეთქმულების „თეორიული დასაბუთების შესახებ“, რომელშიაც ჩამოყალიბებულია ნაციზმის ოთხი მთავარი დოქტრინა:

1. რომ ე. წ. „გერმანული სისხლის“ ადამიანები წარმოადგენენ „უმაღლეს რასას“, რის გამოც მოწოდებული არიან დაიმორჩილონ და მოსპონ სხვა „რასები“ და ხალხები.

2. რომ გერმანელი ხალხის მართვის ფორმა უნდა იყოს „ფიურერობის“ პრინციპი. „ფიურერების“ ძალაუფლება განუსაზღვრელია და ვრცელდება საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრების ყველა სფეროზე.

3. რომ ომი წარმოადგენს გერმანელთა ცხოვრების კეთილშობილურ და აუცილებელ ფორმას.

4. რომ ნაცისტური პარტიის ლიდერები უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ გერმანული სახელმწიფოს სტრუქტურა, პოლიტიკა და პრაქტიკა, რათა მოსპონ ყველა მოწინააღმდეგე.

რაკი ამგვარი „თეორიული საკითხები“ ბრალდების ნაწილად იქცა, საგამომძიებლო ნაწილის უფროსის გ. ალექსანდროვის თხოვნით, მეც მომიხდა როზენბერგის წიგნზე მუშაობა. მთელი კვირა „ჩაკეტილი“ ვიყავი ოთახში და დილიდან გვიან ღამემდე ჩავკირკიტებდი ამ „სატანის ბიბლიას“. თუ რამ დამატებითი მასალა დამჭირდებოდა, ტრიბუნალის ბიბლიოთეკაში გავრბოდი. აქ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ფელდმარშალ რომელის ქალიშვილი მუშაობდა. იგი თავაზიანად მოისმენდა ხოლმე ჩემს თხოვნას, მაგრამ დიდ ვერაფერ დახმარებას მიწევდა, რადგან ამ ბიბლიოთეკაში უმთავრესად „მსუბუქი საკითხავი ლიტერატურა“ იყო წამოდგენილი; ფილოსოფიური განყოფილების თაროზე კი სულ რამდენიმე წიგნი იდო. მათ შორის როზენბერგის „XX საუკუნის მითი“. ჩემი „კვლევის“ მთავარი ობიექტიც ეს იყო და, რაც შემეძლო, ცდა არ დამიკ-

ლია გამეგო, თუ რით ახდენდა ეს წიგნი გავლენას არა მარტო ნაცისტურ იდეოლოგიაზე, არამედ მათ პრაქტიკულ საქმიანობაზეც. მუშაობის პროცესმა დამარწმუნა, რომ როზენბერგის, როგორც აღმოსავლეთის დაპყრობილი ტერიტორიების მინისტრის, ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა გამომდინარეობდა მისივე თ ე ო რ ი უ ლ ი თვალსაზრისიდან, რაც ამ წიგნში იყო გამოთქმული. ამან განაპირობა ჩემი სურვილი, მთავარ ს ა მ ხ ე დ რ ო დამნაშავეებთან ერთად მთავარ ს უ ლ ი ე რ დამნაშავეებზეც ჩამომეგდო ლაპარაკი, უწინარეს ყოვლისა, კი როზენბერგსა და მის ამ „ბრალდებულ“ წიგნზე. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ, ჩემი აზრით, პროცესზე ზოგი აჭარბებდა კიდეც, როცა ამბობდა, როზენბერგის „XX საუკუნის მითმა“ აქცია გერმანელები იმად, რასაც ახლა წარმოადგენენო. ეს რომ ასე არ იყო, ჯილბერტის საინტერესო გამოკითხვიდანაც ჩანს. მან ყველა ბრალდებულს დაუსვა კითხვა, ჰქონდა თუ არა წაკითხული როზენბერგის წიგნი. გამოირკვა, რომ ბოლომდე არც ერთ მათგანს არ წაუკითხავს. მხოლოდ რამდენიმემ თქვა, გადავათვალიერე და ადგილები წავიკითხეო. ჯილბერტს გაუკვირდა: როგორ! ამ წიგნს ხომ „ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ბიბლიას“ უწოდებდითო. კი, მაგრამ განა ყველა ქრისტიანს აქვს ბიბლია წაკითხულიო, — უპასუხა ერთ-ერთმა ბრალდებულმა.

როგორც ჩანს, მათზე უფრო ზეპირი ქადაგება ახდენდა გავლენას, ვიდრე წიგნები. სამაგიეროდ, „XX საუკუნის მითმა“, მართლაც, დიდი გავლენა მოახდინა ნაცისტურ ფილოსოფიასა და მწერლობაზე. თვითონ როზენბერგი კი, როგორც წერს, 15 წლის ასაკიდან ჩემბერლენით იყო გატაცებული, მერე გობინოთი და ლაგარდით. მისი ეს 700-გვერდიანი წიგნი ფართო, მაგრამ რამდენადმე დილეტანტური განათლების შედეგია. მითი მას ესმის როგორც „არა მართალი“, არამედ „უფრო მართალი, ვიდრე სიმართლეა“. მისი მიზანია, კანტის ტრანსცენდენტალიზმის დაკავშირება ინდურ ფილოსოფიასა და ეკჰარტის მისტიკასთან; რასისა და ღირსების კულტის, ტევტონური ეთიკის, სპარსული ზოროასტრიზმისა და ჩრდილოური ქრისტიანობის შეკავშირება. ეს არც არის საკვირველი. იყო დრო, როცა ნაცისტები ნიღბავდნენ თავიანთ სიძულვილს ქრი-

სტიანობისადმი. 1933 წელს ჰიტლერმაც კი განაცხადა, „ჩვენი მორალის საფუძველი ქრისტიანობაა“, და ხელი მოაწერა კონკორდატს ვატიკანთან. რამდენიმე თვის შემდეგ კი რაუშნინგს უთხრა:

— დადგება დრო, როცა ნიღაბს ჩამოვიხსნით და გამოვჩნდებით ისეთები, როგორიც ვართ.

როზენბერგის „მითი“ ამ „ნიღბის ჩამოხსნამდეა“ დაწერილი. ამიტომ ჰიტლერმა გააფრთხილა თავისი მიმდევრები, რომ ეს „კერძო წიგნია და არა ოფიციალური“. ასეთად მას, ცხადია, მხოლოდ „ჩემი ბრძოლა“ მიაჩნდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჰიტლერი უგულვებელყოფდა ამ წიგნის ღირებულებას ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობისათვის. ის კი არა, 1936 წელს პირველი ნაციონალური პრემია მან სწორედ როზენბერგს უბოძა. იგი განსაკუთრებით აფასებდა ისტორიის როზენბერგისეულ რასობრივ ინტერპრეტაციას, ანთროპოლოგიური მონაცემებით მტკიცებას, რომ მხოლოდ ჩრდილოეთის რასაა ცივილიზაცის შემქმნელი. მართალია, მის მსჯელობას არიული რასის განვრცობის შესახებ ეგვიპტეში, ინდოეთში, სპარსეთში, საბერძნეთსა თუ რომში მეცნიერული საბუთიანობა აკლდა, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, ან ვის ჰქონდა უფლება რამე კრიტიკული შენიშვნა გაეკეთებინა მისთვის. ისე კი, თვითონაც უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, როცა სრულიად დაუსაბუთებელ მსჯელობას აწყდებოდა. ნიურნბერგის ციხეში იგი ნანობდა კიდეც, მინდოდა ჩემი წიგნი გადამემუშავებინა, მაგრამ ვერ მოვასწარიო. ამის გამოც ბევრი მისი შეხედულება მართლაც ისეთ მითად დარჩა, რომელსაც სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს...

...წინასწარვე უნდა ითქვას, რომ როზენბერგის წიგნი თავიდან ბოლომდე ანტისემიტური სულისკვეთებითაა გამსჭვალული. იგი ერთმანეთს უპირისპირებს ორ პროტოგონისტულ ძალას — არიულ და ებრაულ მითოსს, ამტკიცებს, რომ ეს დაპირისპირება უძველესი დროიდან მომდინარეობს.

— საბერძნეთს თავისი მითოსი ჰქონდა — მშვენიერი აპოლონის, ოლიმპის, ზევსის, — წერს როზენბერგი, — მის პარა-

ლელურად ვითარდებოდა პარაზიტული [illegible] — ებრაელების მსოფლიო ბატონობის მითოსი. [illegible] მოქმედებდა ეს საშინელი დამანგრეველი ძალა [illegible] და განსახიერდა მეფისტოფელში, აგრეთვე ებრაელ ბანკირებსა და საქმოსნებში, ერთა ლიგის დიპლომატიაში. იქ, სადაც ჩრდილოური სულიერი ძალა ჩნდება, მძიმედ წამოდგება აჰასფერი და სისხლს სწოვს მას. ებრაული დემონი მხოლოდ დაავადებულ სულში ბუდობს. ახლა ჩვენ ამ ორ სრულიად განსხვავებულ ძალთა შორის ვდგავართ. ერთმანეთს უპირისპირდება გერმანული და ებრაული დემონი... ფარისეველნი და ებრაელნი ის სულები არიან, რომელნიც მუდამ უარყოფენ (stets verneint). ისინი ჩამოხრჩობილ უნდა იქნენ, როგორც იუდები. ებრაელებზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ბიოლოგიური თვალსაზრისით — როგორც ცხოველებზე, პარაზიტებზე. ებრაელი, როგორც წურბელა, ისე სწოვს სისხლს ჯანსაღ სხეულს...

როზენბერგი იშველიებს ერთ დროს საქართველოს რაიხსკომისრად გამწესებულ არნო შიკედანცის წიგნს „სოციალური პარაზიტიზმი ხალხთა ცხოვრებაში", რომელშიც თურმე, „წმიდა მეცნიერული მეთოდებითაა დამტკიცებული", რომ ებრაელები დამოუკიდებელი რასა კი არ არის, არამედ პარაზიტული, რომელიც მხოლოდ სხვის სხეულში ცხოვრობს. მას, როგორც პარაზიტს, დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლია, ებრაელმა სხვისი სისხლი უნდა სწოვოს ან სიმყრალეში ეძიოს საკუთარი არსებობა. ამიტომაც დაიღუპნენ მოსეს ებრაელები უდაბნოში, როცა ეგვიპტე დატოვეს...

მიუხედავად ყოველივე ამისა, როზენბერგს მაინც მიაჩნია, რომ „იმ პარაზიტებსაც" აქვთ თავიანთი მითოსი.

—სასწაულიც ის არის, რომ ღმერთმა სწორედ ეს ხალხი აირჩია აღთქმულ ქვეყანაში წასაყვანად, — ქადაგებს იგი, — მაგრამ რაკი ღმერთის სახეს ადამიანები ქმნიან, ებრაელების „ღმერთიც" მარადიული უარყოფის დემონისგანაა წარმოშობილი. ებრაული პარაზიტიზმი, როგორც შეკუმშული სიდიდე, (zusammegeballte Grösse) ქმნის მითს იეღოვასა და მისი მსოფლიო ბატონობის შესახებ. ებრაელობის ამგვარი დამანგ-

რეველი ბუნება უცვლელი დარჩა იოსებ ევვიპტელიდან მოყოლებული როტშილდამდე და რათენაუმდე, ფილონიდან — ლავითისა და სოლომონის გავლით — ჰაინემდე...

... ეს არა მარტო ანტისემიტიზმია, არამედ „მასობრივი მკვლელობის თეორიაც", რაც, ასტორის თქმით, ნამდვილ მკვლელობაზე უარესია. ამიტომ იყო, რომ როზენბერგის ისეთი სენტენციები, როგორიცაა: „ანტისემიტიზმი გერმანიის რეკონსტრუქციის გამაერთიანებელი ფაქტორია", ან „გერმანია ებრაელთა საკითხს გადაწყვეტილად მხოლოდ მაშინ ჩათვლის, როცა არც ერთი მათგანი არ დარჩება გერმანელთა სასიცოცხლო სივრცეზე" ნიურნბერგის პროცესის საბრალდებო აქტშიც კი მოხვდა.

ამავე ასპექტში მიმდინარეობდა დავა „ფილოსოფოს" როზენბერგსა და მის ფრიად განსწავლულ დამცველ თომასთან, მაგრამ რა გამოვიდა — როზენბერგმა ციხეში უარესი ანტისემიტური წიგნი დაწერა, ხოლო ის „ურწმუნო თომა" მაინც „თავის პრინციპულ პოზიციაზე" დარჩა, მაშინაც კი, როცა მისი პაციენტი იმავე განკითხვითა განიკითხეს, რათაც იგი განიკითხავდა „იუდეველთა მოდგმას..."

მარადიული მოგზაური...

რაც შეეხება როზენბერგის „მოძღვრების ფილოსოფიურ საფუძვლებს", აქ ავტორი ისეთ ვრცელ ისტორიულ და გეოგრაფიულ მასშტაბებს ეპოტინება, რომ ძნელიც კია მის წიგნში რამე შინაგანი კანონზომიერების დანახვა. იგი იწყებს ადამის ჟამიდან, აუვლ-ჩაუვლის მსოფლიოს ყველა პარალელსა და მერიდიანს და მოდის თანამედროვეობამდე, როგორც „ახალი მესიის" გამოჩენის მაუწყებელი.

როზენბერგი წიგნის შესავალშივე წერს მზისა და სინათლის ემბლემის შესახებ, რომელიც მისი აზრით, სამი ათასი წლის წინ გაჩნდა, თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელდა, ხოლო შემდეგ სახრჩობელისებური ფორმით შეიცვალა და საბოლოოდ ჯვარცმის ნიშნის გამოხატულება მიიღო. წარმართუ-

ლი მზე კი მაინც შერჩა მათ წმინდანებს ნათელის სახით, როგორც ღვთაებრივობის ნიშანი (Heiligenschein). დარჩა აგრეთვე შუბი, რომლითაც მთელი ქრისტიანული პერიოდი განვლო გერმანელთა ამხედრებულმა ღმერთმა (reitende Gott), უმაღლესმა წარმართულმა ღვთაებამ, მარადიულმა მოგზაურმა, ოდინმა (ვოტანმა).

ეს ცალთვალა ოდინი, ჩრდილოური მითების მიხედვით, ცისა და დედამიწის უზენაესი მბრძანებელია, ომის, უფრო კი— გამარჯვების ღმერთი. იგი განასახიერებს სიბრძნეს, ცოდნას, პოეზიას. მან, როგორც მოგვმა, იცის მისნობა, შელოცვა, რუნების საიდუმლოების ამოცნობა; შეუძლია ყოველგვარი მსხვერპლის გაღება, ყოველგვარი ბოროტების ჩადენა, რომ საბოლოოდ მაინც სიკეთეს მიაღწიოს და სინათლე აზეიმოს ბნელზე. მან ცალი თვალი შესწირა გოლიათ მიმირს, რათა სიბრძნის წყარო შეესვა. ასეთივე ტანჯვით იგემა „პოეზიის თაფლი". ამიტომაცაა, რომ ოდინს მიაწერენ რუნების გამოგონებას, ყოველგვარი მეცნიერების წარმოშობასა და წინასწარმეტყველების უნარს, პოეზიის ჩასახვას, მსხვერპლშეწირვის შემოღებას, კანონების დადგენას, რელიგიური რწმენის შექმნას. ამ რწმენის მიმდევრებს სჯეროდათ, რომ ოდინს ორი მგელი ჰყავდა — გერი და ფრეკი. თვითონ ოდინიც მგლებზე ნადირობდა და დაიღუპა. რაგნაროკის ძველი გერმანული თქმულებების მიხედვით, ღმერთების დასასრული მამებისა და შვილების ბრძოლის შედეგი იყო: 3 წელიწადი განუწყვეტლივ მძვინვარდება ზამთარი. მზე და მთვარე გადაყლაპეს მგლებმა. ვარსკვლავები ჩამოცვივდნენ, წყვდიადმა მოიცვა ყველაფერი, მიწა ინძრეოდა და ხეებს ძირფესვიანად გლეჯდა ქარიშხალი, მთები ინგრეოდა, ნაპირებზე გადმოსული ზღვა ფარავდა ხმელეთს. ამის შემდეგ კლდეზე მიჯაჭვული ლოკი განთავისუფლდა, ცეცხლი ამოაფრქვია და გაემზადა შურის საძიებლად. მის მიერ დანთებული ცეცხლი ცას სწვდება, მერე ზეცის კარი იხსნება და ძირს ჩამოდიან ცეცხლის ღმერთები. მათი საყვირის ხმაზე იღვიძებენ ძველი მიწიერი ღმერთებიც და იკრიბებიან სათათბიროდ ვიგრიდის ველზე. აქეთკენ მოეშურება ცხენზე ამხედრებული ოდინიც და შეებრძოლება მგელს, რომელიც

გადაყლაპავს მას. ბრძოლა გრძელდება. მტრები ცეცხლს ესვრიან დედამიწას და წვავენ ყველაფერს. მერე ფერფლიდან უფრო მშვენიერი დედამიწა იბადება, მცენარეები აღმოცენდებიან თესლის გარეშე, წარმოიშობა განახლებული და გაახალგაზრდავებული ღმერთების თაობა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩნდებიან ადამიანებიც და დგება საყოველთაო მშვიდობის ჟამი...

... ეს არის წარმართული მითი ძველი სამყაროს ცეცხლის სტიქიაში დაღუპვისა და ახლის დაბადების შესახებ. ასეთი იყო ტევტონების წარმართული რწმენა ოდინის შესახებ, რომელსაც ადამიანებსაც სწირავდნენ მსხვერპლად. იგი ვითომ ახლაც ზის თავის სასახლის სარკმელთან და უთვალთვალებს მთელ მსოფლიოს.

შემდეგ ამ მითსაც ჰიტლერი მიეტმასნა ორი სტიქიის — ცეცხლისა და ყინულის თეორიით. მხატვრები მას ხატავდნენ მახვილით ხელში, როგორც ოდინს, რადგან დედამიწის ცეცხლში განახლების ამგვარი ლეგენდა მან თავისი პოლიტიკის პრაქტიკულ ამოცანად დასახა. ეჭვი არ არის, რომ სწორედ ამიტომ ამზადებდა იგი გერმანელ ხალხს მსხვერპლშესაწირად. მის „საუკეთესო ნაწილს“ — ესესელებს ბურგებში დაჟინებით შთაუნერგავდნენ აზრს, რომ მათი უპირველესი ამოცანა სამსხვერპლოდ მზადყოფნაა. ამავე ამოცანას ასრულებდნენ „ჰიტლერული ახალგაზრდობა“ და მრავალრიცხოვანი სამხედრო თუ გასამხედროებული ორგანიზაციები. თვითონ ჰიტლერიც სრულიად გარკვევით ამბობდა:

— აღზრდის მთავარი მიზანია ახალგაზრდობის ფსიქოლოგიური წვრთნა მსხვერპლშესაწირად...

და, აი, ამ წვრთნის მაგალითი: ერთ-ერთი ნაცისტური რომანის გმირი, ლეიტენანტი კრამერი მიმართავს კადეტთა სკოლის სულ რაღაც 12—12 წლის მოწაფეებს:

— ბატონებო, თქვენ ყველაზე კარგი პროფესია აგირჩევიათ, რადგან გათვალისწინებული გაქვთ უმაღლესი მიზანი. ჩვენ გასწავლით ამ მიზნის შესრულებას. თქვენ აქ იმისთვისა ხართ, რომ ისწავლოთ, როგორ მოკვდეთ!..

ვიმეორებ, რომ გებელსების ოჯახის ტრაგიკული დასასრულიც კი ამ „უმაღლეს მიზანს“ ემსახურება. მათთვის ჰიტლერი იგივე იყო, რაც წარმართული ოდინი, სჯეროდათ, რომ ის ცალთვალა ღმერთი დღემდე ცოცხლობს გერმანელ ხალხსა და მის შუბოსან წმინდანებში — ოსვალდში, გიორგიში, მარტინში და... ჰიტლერში (!).

„... ხოლო ვიდრე ხალხი ცოცხლობს, მათი ღმერთებიც უკვდავნი არიან“, — ადასტურებს ამ აზრს როზენბერგი.

— ისტორია არ არის არაფრისაგან რამის შექმნა, — წერს იგი, — ისტორიას გმირები, პოეტები და ღმერთები ქმნიან. მათ შორის უმაღლესია ღმერთთა-ღმერთი ოდინი — ნებისა და სიბრძნის განსახიერება. იგი მოკვდა, მაგრამ მისი სახე დღესაც ისევე ცოცხალია, როგორც ამ ხუთი ათასი წლის წინ, როცა იგი აერთიანებდა ღირსებას და გმირობას, ქმნასა და სიმღერას, ე. ი. ხელოვნებას, სახელმწიფოს დაცვას და ჭეშმარიტების მარადიულ ძიებას. იგი დღესაც დადის მთელ მსოფლიოში, რათა დაადგინოს ბედისწერისა და ყოფიერების არსი. ოდინი ცალთვალს სწირავს მსხვერპლად, რათა ეზიაროს სიბრძნეს. იგი, როგორც მარადიული მოგზაური, ჩრდილოური მაძიებელი სულის სიმბოლოა და აერთიანებს მებრძოლსა და ბრძენს...

ასეთივე სულისკვეთება ვლინდება აღმოსავლეთ გუთების ულფილაში, რაინდებში, შუა საუკუნეების მისტიკოსებსა და უდიდესში მათ შორის — ეკჰარტში. ეს სული ცოცხლობს პრუსიელებში, თომას კანტორსა და გოეთეში. ამიტომ ჩრდილოეთის საგმირო ეპოსი, პრუსიული მარში, ეკჰარტის მოძღვრება, ბახის მუსიკა, ფაუსტის მონოლოგი და სხვა — ერთი და იგივე სულის გამოვლინებაა, რაც ერთიანდება ოდინის სახეში. ვიდრე ეს ძალა ცოცხლობს და ჩრდილოური სისხლი სჩქეფს, წინაპრების სული მისტიკურად ერთვის ახალს. თანამედროვე მითოსი ისევე ჰეროიკულია, როგორც ორი ათასი წლის წინ. ღმერთი, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ, არ იქნებოდა, რომ არ იყოს არიული სული და სისხლი...

— ჩვენ გვჯერა, რომ ღმერთი განსახიერდა გერმანულ სისხლში, — წერს როზენბერგი. მისი ქადაგება თავდება „უზენაესი შეგონებით“ და მოწოდებით:

— ახალი მითოსის განსახიერება, ეს არის ჩვენი სულის მისტერია. ჩვენ შევქმნით წესრიგს შუა საუკუნეების წმიდა მისტიციზმის საფუძველზე...

ღვთაებრივი ვაალჰოლი...

მოხდა კი ისე, რომ, როზენბერგის აზრით, გერმანელებს „ძალით მოახვიეს“ ქრისტიანობა. გერმანიაშიც შემოიჭრა მოყვასის სიყვარულის იდეა და ჰუმანიზმი, რასაც მოჰყვა დაშლისა და დაცემის საშიშროება. ღირსების დაცვის ნაცვლად განმტკიცდა მოყვასისადმი სიყვარულის ცრუ თეზა და ღმერთის მაგიერობის მითოსი შეცვალა ეკლესიურმა „საკრამენტებმა“, რაც მაგიური მატერიალიზმის გამოხატულებაა. ამან გამოიწვია გერმანული თვითშეგნების დეფორმაცია და ზნე-ჩვეულებათა გაყალბება. როზენბერგის აზრით, იმავე „სიყვარულმა“ შეცვალა ღირსების სიმბოლოები და მოიტანა თანასწორობის იდეა, მაგრამ ყოველივე ეს იყო ფარისევლობა, რადგან ცხრა მილიონი ერეტიკოსის სიცოცხლე შეეწირა სიყვარულისა და ჰუმანიზმის ამგვარ ქადაგებას.

ასე ძალადობით განმტკიცდა ქრისტიანიზმი და მისი უზენაესი პრინციპი: ერთი რწმენა, ერთი ენა, ერთი რიტუალი მსოფლიოს ყველა ხალხისათვის, თვით ზანგების, ჩინელებისა და ესკიმოსებისათვისაც კი.

როზენბერგი წერს:

— აგერ, ორი-ათასი წელია, რაც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხები წინააღმდეგობას უწევენ ქრისტიანიზმის უზურპაციას, რადგან რჯულის მოძღვრები სიყვარულს მხოლოდ მდაბიოთაგან მოითხოვენ, თვითონ კი ეს არ სჭირდებათ. მათ უნდათ ბრწყინვალება, ძალაუფლება, ბატონობა ადამიანთა სულსა და სხეულზე, მზადყოფნა მსხვერპლის გასაღებად, რასაც ფარისევლურად caritas-ს უწოდებდნენ.

ამიტომ, როზენბერგის აზრით, იეზუიტიზმი და პრუსიულობა შეუთავსებელია. სხვები, მაგალითად, ჰიმლერი და მისი

ესესელები მშვენივრად ათავსებდნენ მათ. როზენბერგი კი, მხოლოდ ძველი რაინდულ მითოსსა და მისტიკას აღიღებდა. რადგან, მას რომ ჰკითხოთ, მისტიკაა ღირსების ცნების უსატიფესი შინაარსი. მის სათავეში იდგნენ გერმანელი მისტიკოსები, რომელნიც ისწრაფოდნენ მატერიალური სამყაროსაგან გასათავისუფლებლად. როზენბერგი ფიქრობს: რაც უფრო მეტად აღწევს ამას ადამიანი, მით უფრო მდიდრდება სულიერად. მისტიკის ეს შინაგანი ნაპერწკალი პირველად ეკჰარტმა აანთო. იგი ცნებაში არ აქცევს ამ შინაგან მისტიკურ ძალას, რათა შეუზღუდავი და უსასრულო იყოს. როზენბერგი წერს, ახლა ჩვენ შეგვიძლია ეს ნაპერწკალი მოგიზგიზე ცეცხლად ვაქციოთ. იგი იმდენად კადნიერდება, რომ ყოველივე ამას ღირსებისა და თავისუფლების იდეის ერთიანობას უწოდებს. თან იმას ამტკიცებს, რომ ღირსება და თავისუფლება გარეგნული თვისება კი არ არის, არამედ დროისა და სივრცის გარეშე მყოფი იდეაა, საიდანაც წარმოიქმნება გერმანული სულის ნამდვილი ნება და გონიერება! ეს გერმანული სული არც პროტესტანტიზმის საშინელ პერიოდში გამქრალა. იგი ვერც ებრაულმა ბიბლიამ ჩაახშო, რადგან მის სადარაჯოზე იდგა ეკჰარტი, რომელიც ამბობდა:

— ღმერთი არა მარტო სამყაროს იმანენტურია, არამედ უდრის მას...

... ექვსი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, — წერს როზენბერგი. — რაც ჩრდილო-დასავლეთის ამ ქადაგმა გვაჩუქა ახალი რელიგია. მან დაგვაძლევინა ღვთაებრივის დოგმა ჩვენივე გულში და ჩვენშივე გააცოცხლა სასუფეველი ცათა (Himmelsreich). ეკჰარტმა გააფართოვა გერმანულ წარმოდგენათა წრე, რაც განსახიერდა ედას თქმულებებში. აი მას უნდა დავუბრუნდეთ ჩვენ. გადავქექოთ გერმანული რელიგიის საუკუნეთა ნაცარტუტა, რომელშიც ჩაიმარხა ოდინი, აღმოვაჩინოთ ძველი რწმენის ჩაუქრობელი ნაღვერდალი და გავაჩაღოთ ახალი ცეცხლი.

როზენბერგის აზრით, ოდინი ბონიფაციუსს კი არ მოუკ-

ლავს, მოკვდა თავისთავად, რითაც დადგა მითოსისა და ბუნების უდარდელი სიმბოლიკის დაცემის ჟამი, რაც „ღმერთების დასასრულის“ სახელითაა ცნობილი. ამის შემდეგ, ევროპის საუბედუროდ, ღმერთის მომაგიერისა და ეტრუსკულ-რომაული პაპობის სახელით მოვიდა სირიელი იეღოვა.

როზენბერგი ქადაგებს, რომ ღმერთი ოდინი მოკვდა, მაგრამ განგების ძალამ გერმანელებში აღმოაჩინა საკუთარი ძლიერი სულის მისტიკოსები, რომელთაც ღვთაებრივი ვაალჰოლი შორეული ნისლოვანი წარსულიდან ჩვენს დროს დაუბრუნეს. სულის ამ გარდუვალი თავისუფლების აღმოჩენა და გაცოცხლება იყო მხსნელი საქმე (Tat), რამაც გერმანელები სრული განადგურებისაგან დაიფარა. გადარჩა ჩრდილოური სულიც, რომლის ეხო ყოველთვის ძლიერი იყო დასავლეთის სამყაროში. სწორედ გერმანელ მისტიკოსთა შორის გამოჩნდა მკვდრეთით აღმდგარი (wiedergeborene) ადამიანი, მაგრამ არა ე. წ. რენესანსისა და რეფორმაციის ეპოქაში, არა XIII—XIV საუკუნეებში, არამედ უფრო ადრე.

— ჩვენი მთავარი იდეა, თუ კრიტიკული ფილოსოფია მეტად ღრმაა, — წერს როზენბერგი, — მაგრამ რაც უფრო ღრმად ითხრება ჭა, მით უფრო მაღლა ამოდის წყალი. ამიტომ ჩვენი მოწოდებაა, ჩავეშვათ გერმანელთა სულის უღრმეს სიღრმეში (in die tiefste Tiefe), რათა მზის სინათლეზე გამოვაჩინოთ ძველი ფასეულობანი. სამი საუკუნის ბრძოლა დასჭირდა, რათა ქრისტეს სახელს რამე მნიშვნელობა მიეღო ხმელთაშუა ზღვის ხალხებისათვის. სრული ათასი წელი მოუნდა ქრისტიანიზმის გავრცელებას მთელს ევროპაში. კონფუცი ისე მოკვდა, რომ სიცოცხლეში ძალიან ცოტამ გაიზიარა მისი მოძღვრება. იგი მხოლოდ სამი საუკუნის შემდეგ განადიდეს, ხოლო პირველი ტაძარი ხუთი საუკუნის შემდეგ აუგეს. ამჟამად კი ათას ხუთასზე მეტ ტაძარში შეღაღადებენ მას, როგორც სრულყოფილ წმინდანს.

ოსტატ ეკჰარტის საფლავზეც ექვსმა საუკუნემ გადაიარა, ვიდრე გერმანული სული შეიცნობდა მას. ახლა კი დგება ამ უწმინდესი და უნეტარესი ოსტატის მოციქულობის ჟამი...

რა მოეწონა ასე ძლიერ როზენბერგს ეკჰარტში, რომ მისი მოძღვრება ახალი, „ნაციონალ-სოციალისტური სამყაროს“ რელიგიად გამოაცხადა? მე მგონი, იგი თვითონ ქმნის მითს ამ მისტიკოსის შესახებ და ცდილობს, თავისებურად გადმოგვცეს მისი მოძღვრება:

— ყოველ არსებას აქვს აზრი, რაც მის მიზანს შეადგენს. სულსაც აქვს თავისი აზრი: მიაღწიოს საკუთარი თავისა და ღმერთის შეგნების (Gottbewustsein) სიწმინდეს. სული გაბნეულია სამყაროში, დროსა და სივრცეში. მისი ზეგავლენა მაშინაა ურყევი, როცა ამ სულიერი ძალის შეკუმშვა (zusammenballung) ხდება, ამის წინაპირობა კი შიგნიდან გარეთ მოქმედი ძალაა და არა პირიქით. ეს შინაგანი სამყარო ნიშნავს ცათა სასუფევლის მოზიდვას თავისკენ (an sich reissen). ამას ქრისტეც მოითხოვდა სულით ძლიერი ადამიანებისაგან, რისთვისაც აუცილებელია სამყაროს, როგორც წარმოდგენის, გამოთიშვა (Ausschaltung), რათა უფრო ღრმად ჩავწვდეთ ჩვენშივე მოცემულ მეტაფიზიკურ არსს. უწინარეს ყოვლისა კი საჭიროა სულის ყოველგვარი დოგმატიკის, ეკლესიისა და პაპობისაგან გათავისუფლება. ღმერთმა სულის თვითდადგინება (Selbstbestimmung) დააწესა. ამიტომ იგი მხოლოდ თავისუფალი ნების მიხედვით მოქმედებს. ღმერთი არავის არაფერს არ აძალებს ისეთს, რაც თვითონ ადამიანს არ უნდა.

ამით ეკჰარტმა, როზენბერგის აზრით, გააუქმა იძულების რელიგიური წარმოდგენები და გზა გაუხსნა სულიერ კეთილშობილებას. სულს უნდა სწამდეს „საკუთარი მშვენიერება“, ცის სასუფევლის შინაგანი დაუფლება, რაც უმაღლესი თავისუფლებით მიიღწევა და ღმერთს ადამიანთან აახლოვებს ან სულაც ადამიანად აქცევს მას.

ეკჰარტი პირდაპირ სვამს კითხვას:

— რატომ იქცა ღმერთი ადამიანად? — და უპასუხებს: იმიტომ, რომ ღმერთი თვით ადამიანის სულშია დაბადებული. ამის გამო ადამიანმაც მხოლოდ თავისი თავიდან უნდა მიაღ-

წიოს ღმერთს, მის სასუფეველს, რაც არსებითად უფრო ფართოა, ვიდრე სამყარო.

ეკჰარტის შემდეგ ასეთი აზრები სხვებმაც გამოთქვეს:

... ღმერთი სამყაროა, ხოლო ღმერთი და მე ვართ შენ, — თქვა ერთმა.

... ვიდრე ვცოცხლობთ, ღმერთი ჩვენშია, — დაეთანხმა მას მეორე. დანარჩენებმაც ეს აზრი განავითარეს:

... ღმერთი იმაშია, რაც ჩვენ გვიყვარს.

... ღმერთი თუ ჩვენში არ არის, იგი არასოდეს არ არსებულა.

... შეგნება ღმერთისა არის ადამიანის თვითშეგნება.

... როგორც ადამიანი ფიქრობს და აზროვნებს, ისეთია მისი ღმერთი.

... ყოველი კეთილი ადამიანი თანდათან იქცევა ღმერთად.

... იქცე ღმერთად ან იყო ადამიანი, — ეს ერთი და იგივეა.

პოლ ვალერიმაც ამიტომ განაცხადა:

— ადამიანი, რომელსაც ღმერთად ქცევა არ უცდია, უფრო ნაკლებია, ვიდრე მისივე „მე“.

ვალერის აზრით, ეს გამომდინარეობს ყველა ჩვენთაგანის ბუნებრივი მიდრეკილებიდან — იყოს უფრო გონიერი, უფრო ძლიერი და უფრო ბედნიერი, ვიდრე ჩვენივე „მე“-ა.

როზენბერგი ამტკიცებს, რომ სწორედ ეს არის ეკჰარტისა და, საერთოდ, გერმანული მისტიკის მთავარი თეზა. იგი პრინციპულად უპირისპირდება რომაულ ცრურწმენას, რაც ღმერთებსა და ადამიანებს განიხილავს როგორც სრულიად განსხვავებულ არსებათ. მართალია, ეკჰარტის მიხედვითაც ადამიანი მზადაა თვითმსხვერპლშეწირვისათვის (Hingabe), მაგრამ ეს „Hingabe“ იმავე დროს არის უმაღლესი თვითშეგნება. რაკი ადამიანის სული უფრო ფართოა, ვიდრე სამყარო, იგი თავისუფალია ღმერთისაგან. ამით ეკჰარტი მთლიანად ეთიშება ძველი აღთქმისა და შემდეგი დროის მისტიკას. მას სულიერი სამყარო თვით ადამიანში გადააქვს, ხოლო სულის შესაძლებლობათა სამყაროული სიფართოვის შეგნება ერთსა და იმავე დროს მისტიკური განცდაცაა და ფილოსოფიური შემეცნებაც, ანუ დროისა და სივრცის კაუზალური ერთიანობა.

როზენბერგიც ამტკიცებს, რომ ეს ვერ გაიგო სქოლასტიკამ, მაგრამ მისი აზრით, ოთხი საუკუნის შემდეგ, გახსნა კანტმა, რომლის მიხედვითაც, ზეცა სუფთაა, უღრუბლო, სრული სიცხადე. მას არ ეხება არც დრო, არც სივრცე. არავითარ სხეულებრივს არა აქვს მასში ადგილი და არც გაიგება დროის თვალსაზრისით. მისი მობრუნება ხდება წარმოუდგენლად სწრაფად, თვით მისი სრბოლაც დროის გარეშეა, მაგრამ დროც ამ სრბოლისაგან იქმნება. ამასთან, არაფერი ისე არ უშლის ხელს სულს საკუთარი თავის ღმერთად შეცნობაში, როგორც დრო და სივრცე, რისი დაძლევაც შეიძლება მხოლოდ მათ გარეშე ან მათ მიღმა. თუ თვალს სურს იხილოს ფერი, თვითონ უნდა იყოს ყოველგვარი ფერისაგან გაშიშვლებული (enkleidet). ასევე, თუ სულს სურს იხილოს ღმერთი, მას სხვა არაფერთან არ უნდა ჰქონდეს რამე საერთო. ეკჰარტი წერს:

— არაფერს, რაც დროსა და სივრცეში არსებობს, საერთო არა აქვს ღმერთთან. სული მთლიანია და განუყოფელი. აქ დროისა და სივრცის მანძილი არ არსებობს. ღმერთმა რომ ადამიანი შექმნა, ეს ოდესღაც კი არ მოხდა, არამედ ახლა ხდება, როცა მე ვარსებობ, ვმოქმედებ, ვლაპარაკობ. ამის გამო, მარადიულობის თვალსაზრისით, დღე პირველი ისევე ახლოა ჩემთან, როგორც დღე გუშინდელი.

აქედან გამომდინარე, ეკჰარტი უარყოფს საეკლესიო დოგმებს სიკვდილის შიშის შესახებ. მისი აზრით, სიკვდილი ჩადენილი ცოდვის გამო სასჯელი ან საზღაური კი არ არის, არამედ სრულიად ბუნებრივი და საფუძველშივე უმნიშვნელო მოვლენა, რაც ჩვენს მარადისობაში იყო წინათ და იქნება ყოველთვის. ეკჰარტი ამბობს:

— მე ვარ მიზეზი ჩემივე მეობის (Selbstheit), თანახმად ჩემივე მარადიული და დროული არსობისა. მხოლოდ ამისთვის ვარ მე დაბადებული. ჩემი მარადიული დაბადებიდან ვარ მე ჩემსავე მარადისობაში შესული და იქვე ვრჩები მარადიულად. მხოლოდ ის კვდება და იქცევა არარაობად, რაც ჩემს დროულ არსს შეადგენს, რადგან იგი ეკუთვნის დღევანდელს დღეს და გაქრება დროსთან ერთად. ჩემს დაბადებაშივე იბადება ყველა საგანი, ასე რომ, მე ვარ როგორც ჩემი

თავის, ისე ყველა საგნის მიზეზი. მე რომ არ გავჩენილიყავი, აღარც ღმერთი იქნებოდა.

როზენბერგი შენიშნავს, რომ არასოდეს და არსად, ინდოეთშიც კი არ ყოფილა სულის ამგვარი „არისტოკრატიული თვითშეცნობა (Selbstbekenntnis),“ ეკჰარტის ყოველი სიტყვა „სილის გაწვნაა რომის ეკლესისათვის“.

ამიტომ მიაჩნდა როზენბერგს იგი „გერმანიის ქადაგად“ (Prädiger Deutschlands) და ეკლესიამაც სწორედ ამიტომ მისცა მისი სახელი ანათემას...

... ეკჰარტი, როგორც „სულის არისტოკრატი“, — როზენბერგის აზრით, — გზას უკაფავს ყველა მაძიებელს. იგი სულს კი არ იმონებს, არამედ ეძიებს მასში მთვლემარე მშვენიერებას, რითაც უარყოფს ღმერთის მომაგიერობას და ადამიანს საკუთარი ყოფის ბატონ-პატრონად აცხადებს. ამით ერთიანდება თავისივე თავთან, თავისუფლდება ყოველგვარი უცხო ზეგავლენისაგან, ყოველგვარი ცოდვისა და მონანიებისაგან.

ამით როზენბერგს ეკჰარტი კანტის წინამორბედად მიაჩნია და ამტკიცებს, რომ ყოველგვარ საგანს შესაძლებლად ხდის ნება, ხოლო ღმერთს არ ძალუძს მისი იძულება. ვისაც მეტი ნება აქვს, მეტი სიყვარულიც შეუძლია. ნების მოძრაობა იწვევს გამარჯვების ღირსებას (die Ehre des Siegcs). ამაში ხედავს იგი სულის ღვთაებრივობის (Gottheit der Seele) არიულ იდეას...

...ი. ბომეც თავისებურად განმარტავდა წმინდა სამებას. მისი აზრით, მამა სუბსტანციაა, შვილი — ენერგია, სული წმიდა — ცხოვრება და ცნობიერება. ეს, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ქრისტიანულ დოგმატიკას. ამიტომ ეძახდნენ მას ანტიქრისტეს და დევნიდნენ. ბომე კი მაინც თავისას ამტკიცებდა.

— წმიდა სამება საწყისია, რაც ქმნის ბუნებას. ღმერთი თვით ბუნებაშია. სამყაროს შეცნობა არ შეიძლება რელიგიით ან მეცნიერებით, რაც მხოლოდ გარეგნულს, მატერიალურს გამოხატავს და არა სულიერ საწყისებს.

ბომე ღვთაებრივის თვით ბუნებაში შეცნობას ცდილობდა: თვითშთაგონებით, საკუთარ „მე“-ში ჩაღრმავებით, ბუნებაში ჩაწვდომით. ამიტომ უწოდეს მას „უღმერთო ნატურალისტი“. ჯერ წვდომა, ხილვა, ექსტაზი, მერე ყოველივე ამის რაციონალური დამუშავება. იგი გვარწმუნებდა, რომ თვითონ ჰქონდა ასეთი ხილვები, რაც სახეებს სიმბოლურ მნიშვნელობას აძლევდა. მას ეგონა, რომ ამგვარი ხილვებით განახორციელებდა ხალხის ოცნებას და ამტკიცებდა:

— ბუნება კი არ უნდა აიხსნას ღმერთით, არამედ ღმერთი — ბუნებით...

„ჭეშმარიტება ადამიანის შინაგან სამყაროშია“. ჰიტლერი თავის „სუფრულ საუბრებში“ ხშირად ახსენებს ნეტარ ავგუსტინეს, როზენბერგი კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ჰიმლერის ბურგებშიც დიდი ადგილი ჰქონდა მას დათმობილი. საკვირველია, რატომ? ნეტარ ავგუსტინეს, ეკჰარტის თუ ბომეს მოძღვრება ს უ ლ ი ე რ ფენომენთა განვითარების გზით ზეგრძნობადის წვდომას მოითხოვს; ჰიტლერელები კი კატეგორიულად უარყოფდნენ და თრგუნავდნენ ყოველგვარ „სულიერ ფენომენებს“, ზეგრძნობადობის კატეგორიებს. ამიტომაც წერენ, ჰიტლერი ეზოტერული ქრისტიანიზმის პრინციპებს კი იყენებდა, მაგრამ არა თ ე თ რ ი, არამედ შ ა ვ ი მაგიის გზითო.

მართლაც, ეზოტერული საიდუმლოებანი ორთოდოქსულ რელიგიათა საფუძველს შეადგენდა, ჰიტლერი კი საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდა მის წარმომადგენლებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნაციონალ-სოციალისტური რწმენა ეზოტერული ქრისტიანიზმის „შემაძრწუნებულად სხვაა“. რაც შეეხება ეზოტერული ხილვისა და სულიერი მხედველობის მისტერიას, ესეც თეთრი ძაფებითაა მიბლანდული ნაციზმთან. მართალია, ჰიტლერიც უმტკიცებდა მახლობლებს: ვხედავო, ვიხილეო, განგებამ შთამაგონაო და სხვა, მაგრამ ამ გარეგნული ნიშნების იქით არც ეს „მსგავსება“ მიდის. როზენბერგმა კი ისე „გადაუბრუნა სარჩული“ ეკჰარტისა და ბომეს მოძღვრებას, რომ, მისი აზრით, ვითომ მეოცე საუკუნის ნაციონალ-სოციალისტური მითოსი შექმნა, თუმცა, გადაჭრით უნდა ითქვას. რომ ბომესებური ეზოტერული ქრისტიანიზმი თავისი შინაარ-

სით პრინციპულად უცხოა ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიისათვის. ქრისტიანიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი ისევე შეუთავსებელია ერთმანეთთან, როგორც ღმერთისა და სატანის ცნება. ეს აშკარაა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჰიტლერელებმა თავიანთი „ახალი რწმენის“ სქემად, მის გ ა რ ე გ ნ უ ლ ფ ო რ მ ა დ, მაინც ეზოტერული ქრისტიანიზმი მიიღეს. ამიტომაც ვერ მოიშორეს ქრისტიანული სიმბოლიკა, ვერც მისტიკურ მოძღვრებაზე აიღეს ხელი, მხოლოდ სიტყვის მისტერია საქმის მისტერიით შეცვალეს და ქვეყანა შეაწრიალეს თავიანთი ბარბაროსული საქმიანობით...

... ასევე უსაფუძვლოა როზენბერგის მსჯელობა გოეთეს შესახებ, რომელმაც, თურმე, „ბევრი რამ ისწავლა ეკჰარტისა და ბომესაგან“. მაგალითად, მოძღვრება ორი სამყაროს შესახებ, რომელიც აკვანივით ირწევა და რიტმულად გადადის ერთიდან მეორეში. ეს ორი სამყარო ეკჰარტისათვის იყო განმარტება (Abschiedenheit) და საქმიანობა (Tätigkeit), ხოლო გოეთესთვის — აზრი (Sinn) და მოქმედება (Tat). როზენბერგი წერს, რომ ეკჰარტის მსგავსად, გოეთეც მოითხოვდა მათ რიტმულ ცვალებადობას, — არა მოწყვეტას სამყაროდან და თვითხილვას (Selbstschau), არამედ მოქმედებას. „ადამიანს შეუძლია თავისი თავი (seiner Selbst) მხოლოდ მოქმედებაში (Tätigkeit) დაინახოს და მოისმინოს“ (erlauschen). საქმე აზრით უნდა განისაჯოს, ხოლო აზრი — საქმით. ადამიანი საკუთარ თავს იმდენად იცნობს, რამდენადაც იცნობს სამყაროს, რადგან სამყარო მასშია, ხოლო თვითონ — სამყაროში. სულიერ ტკივილს გონება კი ვერ შველის, არამედ ბეჯითი საქმიანობა. ფაუსტია ადამიანური მოქმედების უდიდესი ჰიმნი. მან გაიარა მეცნიერების, ცოდნის, ტანჯვის, სიყვარულის გზა და მხოლოდ საქმიანობაში პოვა თავისუფლება. აქედან როზენბერგს გამოაქვს დასკვნა, რომ საქმის არისტოკრატიულობის მწვერვალია ხელოვნების ნაწარმოები. ჭეშმარიტი ხელოვანის შედეგი კი საქმეში ჩნდება. გოეთეც ასე ფიქრობდაო, — წერს როზენბერგი. გოეთეს მიხედვით, ჭვრეტით ვერაფერს შეიცნობ, ეს მხოლოდ მოქმედებით მიიღწევა. შეასრულე შენი მოვალე-

ობა და გაიგებ, რა ყოფილა შენში. მოვალეობა კი ყოველდღიურობის მოთხოვნილებაა. ადამიანისთვის დიდი უბედურებაა, როცა ისეთი იდეა შეიპყრობს, რასაც ვერ ახორციელებს. ყოველგვარ მისწრაფებას თან უნდა ახლდეს თვითდასაქმება (Selbsttätigkeit). ფიქრსა და ხედვას შრომა და მოქმედება უნდა მოჰყვეს. არ კმარა იცოდე, უნდა გამოიყენო; არ კმარა გინდოდეს, უნდა გააკეთო, — ამბობდა გოეთე. ეს, როზენბერგის აზრით, ჩრდილოელი ადამიანის სულისკვეთებაა. მას რომ ჰკითხოთ, გოეთეც ასე ფიქრობდა. ეს კი როზენბერგს აძლევს უფლებას თქვას, გზა გოეთედან ჰიტლერამდე — ეს ყველა ჩვენთაგანის გზაა...

ნაოცნებარი ოცნება...

აქედან გამომდინარე, ჩრდილოური არიული რასის ერთი ძირითადი თვისებათაგანი, როზენბერგის აზრით, არის ოცნება, იდეალი, ერთსა და იმავე დროს იყოს მეოცნებეც და საქმიანიც. იგი წერს, რომ ერთხელაც იქნება, ხალხი თავის მეოცნებეებს ისევე აუგებს ძეგლებს, როგორც საქმის დიდ ადამიანებს. ჩრდილოური სული ოდესღაც ოცნებობდა მზესთან სიახლოვესა და ადამიანის ჰაერშიაგაფრენაზე, რამაც იკაროსის დრამა შექმნა. ვალკირიები მაღლდებოდნენ თავიანთ თავზე (über sich hinwegjagen), მაგრამ მათთვის ყველაფერი ძლიერ ადრე იყო... საუკუნეების შემდეგ კი ამგვარი ოცნება სინამდვილედ იქცეოდა. არიელი ადამიანები ოცნებობდნენ ყველაფრის ხედვასა და მოსმენაზე, ამან შექმნა მითი ზევსსა და არგუსზე. იყო ოცნება სამოთხეზე, მაგიურ ძალაზე, ზღაპრულ ქალაქებზე, რაც ცეცხლმა შთანთქა, მაგრამ ნანგრევებიდან ოცნებამ კვლავ შექმნა ახალი გერმანული სამოთხე. ეს შეეძლო რასას, რომელსაც ძლიერი ოცნების უნარი შესწევდა. რასები, რომელნიც ოცნების გარეშე იყვნენ — გაქრნენ. ოცნებობდნენ ინდიელები, ელინები, გერმანელები. იყო ოცნება ალმერიხისა ღირსებასა და მოვალეობაზე. სინაის მთაზე კი ოცნებობდნენ

ოქროზე, სიცრუესა და სიძულვილზე. ამ ოცნებამ მოფანტა ებრაელები მთელ მსოფლიოში..

როზენბერგი აცხადებს:

— ახლა ჩვენ ვიწყებთ ოცნებას, უკეთ რომ თქვათ, ვანახლებთ ოცნებას. ეს ჩვენი უკვე ნაოცნებარი ოცნებაა, ძველი და ახალი ოცნება ოსტატ ეკჰარტისა, ფრიდრიხისა და ლაგარდის. იგი დღესაც ისეთია, როგორც მაშინ იყო. ერთ დროს ჩრდილოელი ვიკინგები დათარეშობდნენ მსოფლიოში, ყაჩაღობდნენ და ოცნებობდნენ ღირსებაზე, ძლიერ სახელმწიფოზე, სრულ ბატონობასა და მაღალ შემოქმედებაზე. სადაც კი ისინი მივიდნენ, საფუძველი ჩაეყარა კულტურას: კიევში, პალერმოში, ბრეტანში, ინგლისში. ყველგან გაქრა უოცნებო სინამდვილე და შეიქმნა ოცნების სინამდვილე...

წმიდა რაიხზე ოცნებამ აღებინა ხელში მახვილი კაიზერებსა და რაინდებს. მათ შორეულ რომსა და აღმოსავლეთში წაიღეს თავიანთი ოცნება. სისხლი ნიაღვრად მოედინებოდა რომის ნანგრევებზე... ეს ოცნება სიშმაგისა და დანაშაულის გზით (in Jrrtum und Schuld) მიერეკებოდა ათასი წლის წინ ტევტონელ რაინდებს მაღალი იდეალებისაკენ. შემდეგში ის ჩაქრა, ჩაიფერფლა, დავიწყებას მიეცა, მაგრამ ჩვენს შორის გაჩნდა მეოცნებე და ნათელმხილველი პაულ ლაგარდი. იგი იყო პირველი, ვინც ოსტატ ეკჰარტის შემდეგ, განაახლა გერმანელთა მარადიული ოცნება, რაც იწვევდა წინსვლას, მაგრამ, ამასთანავე, სიშმაგესა და დანაშაულსაც.

ახლა კი, ეკჰარტისა და ლაგარდის შემდეგ, ისევ იწყება ოცნებისა და სინამდვილის შერწყმა. იკაროსი და ცეპელინი სხვადასხვაა, მაგრამ მათი იდეა, მისწრაფება ერთი და იგივეა, რითაც საფუძველი ეყრება ჩვენი დროის მითოსს...

... როზენბერგი მარტო არ იყო. ფრანგი ჟორჟ სორელიც იკვლევდა საკითხს — „სოციალური მითოსი და მისი როლი ისტორიაში". სორელი, როგორც ბერგსონის მოწაფე, რამდენადაც შეეძლო, იყენებდა თავისი მასწავლებლის მოძღვრებას „ადამიანის თავისუფალი მოქმედების შესახებ", რაც, თურმე, მაშინაა შესაძლებელი, როცა ჩვევებით შეზღუდული არ არის

და ავტომატურად კი არ უპასუხებს გარეშეს, არამედ „ჩადის თავისივე თავში“ (in sich selbst hinabsteigen) და საკუთარი ფსიქიკური და მორალური ძალებიდან იწვევს მოქმედებას. ბერგსონის აზრით, თავისუფალი მოქმედება თავის თავიდან ყველაფრის მიღწევას ეწოდება.

ბერგსონის ეს „მოქმედების ფილოსოფია“ სორელმა ისტორიას მიუყენა.

— როცა მასებს შეიპყრობს მოქმედების ვნება, — წერს იგი, — მაშინ ჩნდება სოციალური მითოსის საერთო სურათი. მითოსი ის ძალაა, რასაც მოქმედებისაკენ მივყევართ. იგია მასების მამოძრავებელი რწმენა.

სორელის აზრით, მითოსი უძველესი პრიმიტული ადამიანების აზროვნების ფორმა კი არ არის, არამედ ყოველგვარი სოციალური მოძრაობის თანამგზავრი და გეზის მიმცემი. ქრისტიანობამაც იცოდა ამგვარი აპოკალიფსური და სოციალური ხილვები (Vision). პროტესტანტები რეფორმაციის პერიოდში ბიბლიური თქმულებით იარაღდებოდნენ და აღთქმულ ქვეყნისკენ მოუწოდებდნენ მასებს, რათა ამქვეყნადვე დაემკვიდრებინათ ცათა სასუფეველი.

სორელის აზრით, ამგვარი მითოსი ამოძრავებს ყოველგვარ რევოლუციას, რასაც იგი „რევოლუციურ მითოსს“ უწოდებს. ასე იყო, მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. ეს მითოსი რომ არ ყოფილიყო, მაშინ ყოველივე ის, რაც მოხდა, მხოლოდ სასაკლაო იქნებოდა.

— მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე მოქმედებდა თავისუფლებისა და თანასწორობის მითოსი, რაც მასებში რელიგიის სიმაღლემდე იყო აყვანილი.

სორელი წერს აგრეთვე „მსოფლიო რევოლუციის მითოსის“ შესახებ, რამაც მოძრაობაში უნდა მოიყვანოს ყველა ქვეყნის ხალხი. „მსოფლიო რევოლუციის მითოსი“ არ ეგუება სორელის მრწამსს. ამიტომ „გერმანიის მისია მსოფლიოს წინაშე“ არის ამ მითოსის მამოძრავებელი ძალა. ამასვე დაუქვემდებარდა ინტეგრალური დოქტრინა: ყველაფერი ემორჩილება ერის ინტერესებს. ეს იდეა შეიჭრა ყველა ფენაში. ნაციონა-

ლიზმმა მოიცვა რელიგიაც და გერმანელი ერის მისია იქცა მისტიკურ-მითიურ სინამდვილედ, რაც „რაიხის“ (Reich) ცნებაში განსახიერდა. იგი პირველად მოელერ ვან დენ ბრუკმა იხმარა პოლიტიკური თვალსაზრისით, ისე კი, „რაიხი“ ბიბლიაშიც გვხვდება და ხალხის ზეპირმეტყველებაშიც, მაგრამ მხოლოდ XX საუკუნეში მიიღო მან საკრალურ-რელიგიური ელერადობა და მაგიური ძალა, რაც გამომჟღავნდა ოცნებაში ანუ მითოსში მ ე ს ა მ ე ი მ პ ე რ ი ი ს შესახებ...

სამი ისარი...

ვიდრე ყოველივე ეს მითებისა და ოცნების სფეროს მიეკუთვნებოდა, იურიდიული თვალსაზრისით არც ჰქონდა დანაშაულებრივი ფორმა მიღებული. მაგრამ სიტყვას რომ საქმე მოჰყვა და ჰიტლერელები იმ „ნაოცნებარი ოცნების“ პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგნენ, მსოფლიოს თითქოს სუნთქვა შეეკრა. ყველამ დაინახა, რომ მითური ბურუსიდან სრულიად რეალურად ისახებოდა ახალი მსოფლიო ომის საფრთხე. ამას არც ჰიტლერი მალავდა. ჯერ კიდევ 1934 წელს ეუბნებოდა იგი რაუშნინგს:

— გერმანიას სჭირდება ფართო სივრცეები! ჩვენ უნდა ვიქცეთ კოლონიურ სახელმწიფოდ. გასაგებია თუ არა თქვენთვის, რომ მე ამის გამო არ ვადგენ გარკვეულ საზღვრებს არც დასავლეთით და არც აღმოსავლეთით...

ან „მსოფლიო იმპერიას“ საზღვრები რად უნდოდა! ამას ხომ „ხალხთა ინტეგრაციის“ შენიღბული თეზა ცვლიდა, ხოლო ჰიტლერს საზღვრების შემოფარგვლაზე უფრო რუქებზე ისრების ხაზვა და თავისი დივიზიებისათვის შორეული გეზის მიცემა უყვარდა. ამჟამად გამოქვეყნებულია რუკა, რომელზედაც ერთი ამგვარი ხაზი ნოვოროსიისკიდან გამოდის, შავი ზღვის სანაპიროს მოჰყვება, საქართველოს გადაჰკვეთს და ბაქოდან წამოსულ მეორე ხაზს უახლოვდება, მერე კი ორივე ირანის ტერიტორიას გადასერავს, ინდოეთის დედაქალაქ დელიში ერთიანდება და უფრო დიდ ისარს ქმნის. მეორე ისარიც ასევე

ორხაზოვანია: ერთი რუმინეთის ტერიტორიიდან მოდის, მეორე — ბულგარეთიდან, ორივე გადაკვეთს თურქეთს, სირიას და ერაყში ერთიანდება, ბაღდადთან. მესამე ისრის ერთი ხაზი ელ-ალამეინში იწყება, მეორე — ეგვიპტეში და ისიც ბაღდადისაკენ მიემართება. ყოველივე ეს უკვე როზენბერგისეული „მითი“ ან „ოცნება“ კი არა, ჰიტლერის სამხედრო პოლიტიკა და გერმანიის გენერალური შტაბის ოპერატიული გეგმა იყო. ისიც დამახასიათებელია, რომ მას „როზენბერგის გეგმა“ ეწოდა...

... ამრიგად, როზენბერგი ჯერ მითს თხზავდა არიული რასის მეოცნებეობის შესახებ, ხოლო შემდეგ ამ მითის სინამდვილეში განხორციელებას მოითხოვდა. ასე რომ, „XX საუკუნის მითში“ ნაოცნებარი, გერმანული არმიის გენერალური შტაბის უფროსის ჰალდერის დღიურებში უკვე ასე გამოიყურებოდა:

— არის ჰიტლერის დირექტივა, რათა შედგეს მთელ დედამიწაზე სამხედრო ოპერაციების გეგმა, სასწრაფოდ მომზადდეს აზიაში საომარი მოქმედების დოკუმენტები, მომავალი ბრძოლებისათვის — ავღანისტანში, ირანში, ერაყში, სირიაში, ინდოეთში, ბირმაში, ტიბეტში, ნეპალში, ცეილონში, სამხრეთ ჩინეთში...

და, ვინ იცის, კიდევ საითკენ არ მიიწევდა „მეოცნებე“ ჰიტლერი!

გენერალურ შტაბში შედგა კიდეც ეს დოკუმენტები და დაიწყო მათი განხორციელება: ელ-ალამეინიდან და ეგვიპტიდან ფელდმარშალ ერვინ რომელის ცნობილი საექსპედიციო კორპუსი მიიწევდა მდინარე განგის ნაპირებისაკენ, ხოლო როსტოვიდან კავკასიისაკენ რამდენიმე არმია უნდა გაჭრილიყო. ერთ-ერთი მათგანი, სახელდობრ, მე-17 არმია, როზენბერგივით „მეოცნებე“ გენერალ-პოლკოვნიკ რუოფის მეთაურობით იბრძოდა კიდეც ნოვოროსიისკის მიდამოებში, რათა შავი ზღვის სანაპიროების გავლით შემოსულიყო საქართველოში, ხოლო აქედან „კავკასიის დამპყრობ“ სხვა არმიებთან ერთად დადგომოდა „გზასა ინდოეთისასა“...

„ფილოსოფოსმა“ როზენბერგმა ამ გზას ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში მიაპყრო თვალი. მან „დაადგინა“, რომ უძველეს დროში ინდოეთს მართავდნენ ჩრდილოეთის რასის ქერათმიანი არიელები. ინდოეთი, მისი აზრით, მაშინ იყო დიადი სახელმწიფო, შემდეგ კი დაკნინდა და ამჟამად დაბალი რასის წარმომადგენლებით, „გადაგვარებული დეგენერატებითაა“ დასახლებული. ამიტომაც შეიქმნა გერმანელების მიერ ინდოეთის „ხელახალი არიული აღორძინების“ მითი...

... როგორც ამბობენ, ყოველგვარ მითს რამე რეალური საფუძველი აქვს. ეს არც ამ შემთხვევაშია გამორიცხული. ამ მხრივ ჰიტლერსაც ჰყავს თავისი პროტოტიპები. ისტორიას ახსოვს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა ეგვიპტიდან ინდოეთისაკენ. შემდეგ ნაპოლეონ ბონაპარტმაც სცადა ეს. ჩვენს დროში ჰიტლერი აგრძელებდა იმავე ხაზს. როზენბერგიც ამის მიხედვით ქმნიდა მითს, რაც ჰიტლერის ბრძანებით იოდლმა ოპერატიულ გეგმად აქცია და ტევტონელთა ლეგიონები დაიძრნენ აღმოსავლეთისაკენ, რათა სინამდვილედ ექციათ ალექსანდრე მაკედონელის, ნაპოლეონისა და ჰიტლერის ოცნება. მათი აზრით, ნაპოლეონისა და ჰიტლერის მისია ერთნაირად იყო ბედისწერის მიერ განსაზღვრული. ამას, თურმე, „ამტკიცებს“ ის „საოცარი თანადამთხვევა“, რაც კარის ასტროლოგებმა და მისტიკოს-მოგვებმა „აღმოაჩინეს“:

ნაპოლეონი დაიბადა 1760 წელს, ჰიტლერი — 1889 წელს, ე. ი. 129 წლის შემდეგ. ნაპოლეონმა აიღო ხელისუფლება 1804 წელს, ჰიტლერმა —1933 წელს, — ისევ 129 წლის შემდეგ. ნაპოლეონი თავს დაესხა რუსეთს 1812 წელს, ჰიტლერი — 1941 წელს, — ზუსტად 129 წლის შემდეგ. ნაპოლეონმა ომი წააგო 1816 წელს, ჰიტლერმა — 1945 წელს. მათ შორის ისევ ის 1 2 9 წელია. გარდა ამისა, ორივე 44 წლისა მოექცა ხელისუფლების სათავეში, 52 წლისა დაესხა რუსეთს და 56 წლისამ წააგო ომი!..

მოდით და, ამის შემდეგ ნუ „დაიჯერებთ“, რომ ნაპოლეონის სული არ განსახიერდა ჰიტლერში, მაგრამ ერთი განსხვავებით: გერმანელი გენერლების ღრმა რწმენით, ჰიტლერი აუცი-

ლებლად მიაღწევდა იმას, რაც ოცნებად დარჩათ მის წინამორბედებს.

ერთ ასეთ ეპიზოდსაც ჰყვებიან:

როსტოვთან დონზე გადებულ უზარმაზარ ფოლადისთაღოვან ხიდის ნანგრევებთან, 1942 წლის 24 ივლისს, შეჩერდა ავტომანქანა, რომელშიც ორი გენერალი იჯდა — მე-17 არმიის, ჩვენს მიერ ზემოხსენებული სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი რუოფი და იაპონიის ელჩი ბერლინში გენერალი ოშიმა. ისინი გადმოვიდნენ მანქანიდან, აძვრნენ აფეთქებული ხიდის მაღალ თაღზე და მზერა სამხრეთის ვრცელ ტერიტორიას მიაპყრეს. როსტოვის აღებით აღტაცებულმა რუოფმა ხელი წინ გაიშვირა და ამაყად თქვა:

— კავკასიის კარები გახსნილია. ახლოვდება საათი, როცა ჩვენი ფიურერისა და თქვენი იმპერატორის ჯარები ერთმანეთს შეხვდებიან ინდოეთში...

... კარგად მოგეხსენებათ, რომ ყოველივე ეს ისევ იმ „ნაოცნებარ ოცნებად“ დარჩათ გერმანელ ნაცისტებს. აბა, რა იქნებოდა! ზღვა ბადით ვის დაუჭერია! ვერც ჰიტლერი შესძლებდა ამას და თავისი ღმერთის, ოდინის ბედი გაიზიარა იმ განსხვავებით, რომ სიკვდილის შემდეგ მას ვაალჰოლი აუგეს კი არა, საფლავიც არავინ გაუჭრა სადმე...

ყოველივე ეს იმ „სულიერი სუბსტანციის“ შედეგი იყო, რამაც ტვინი გადაუბრუნა გერმანელ ხალხს და მისი უმრავლესობა საფლავამდე აღფრთოვანებული ყიჟინით მიჰყვა თავის ავანტიურისტ ფიურერს.

ცივი სითბო...

ამგვარ „სუბსტანციას“ კი არა მარტო ფილოსოფია ქმნიდა, არამედ ნაცისტური ლიტერატურა და ხელოვნებაც. თუმცა ეს „ორი იპოსტასიც“ ისევე შეუთავსებელია ერთმანეთთან, როგორც ცეცხლი და წყალი. ისედაც მიკვირდა, რას უნდა ნიშნავდეს: „ნაცისტური ლიტერატურა“, „ნაცისტური ხელოვ-

ნება“, „ნაცისტური კულტურა“ ან „ნაცისტური ესთეტიკა?“. არის ორი ისეთი ცნება, რომელთა შეერთება უაზრობაა. ეს ისეა, როგორც „ხის რკინა“, „ცივი სითბო“, „კეთილი ბოროტება“ ან სხვა რამ ასეთი. განა შეიძლება ითქვას „ნაცისტური ესთეტიკა?“ ან ვაგნერის მიერ ნასროლი ფრაზა — „ბოროტების ესთეტიკა“ გამოდგება ამის დასტურად? არა მგონია! მე კი არა, თვით ნაციზმის ხელმძღვანელებსაც ეხამუშებოდათ ეთქვათ „ნაციონალ-სოციალისტური ესთეტიკა“ და... საერთოდ ყოველგვარი „ესთეტიკის“ წინააღმდეგნიც იყვნენ. ამბობდნენ კიდეც: ორი სიტყვის, „ნაციონალ-სოციალიზმისა“ და „ესთეტიკის“ შეერთება უხერხულობას იწვევსო. რატომო, რომ გეკითხათ, არც ამის განმარტებაზე იტყოდნენ უარს.

— ჩვენი აზრით, — წერდა ერთი მათგანი, — „ესთეტიკური“ რაღაც დამასუსტებელს, ავადმყოფურს ნიშნავს, რაც არსებითად უპირისპირდება „მებრძოლურს“, „მამაკაცურს“, „მტკიცეს“. „ესთეტიკური“ იმავე დროს განმაიარაღებელია და არ შეიძლება ჩვენი მიზანი იყოს, მიზანი ჩვენთვის გარკვეულია. იგი ესთეტიკური წარმოდგენა ან ფილოსოფიური თეზა კი არ არის, არამედ ლეგიონების გასვლა საბრძოლველად, მაღლა აწეული თავებითა და სიმღერებით...

ეს არის, თურმე, უმაღლესი მიზანი, ესთეტიკა კი „კულტურის დასნეულებაა“ (Kulturkrankheit). არც ესთეტიკური აღზრდა ყოფილა საჭირო იმისთვის, რომ „მთელი თაობა იქნეს მომზადებული მსხვერპლშესაწირად“.

ამიტომაც ებრძოდნენ ან უგულებელყოფდნენ ისინი ყოველგვარ ესთეტიკურს, როგორც „პათოლოგიურ მოვლენას“. არც ესთეტიკის საკითხების კვლევისათვის იწუხებდნენ თავს. ჰიტლერის, როზენბერგის, გიუნთერის და დარეს გამონათქვამები „სრულიად საკმარისად“ იყო მიჩნეული. ძლიერი, მშვენიერი, ჯანსაღი სხეულის კულტი — აი მთელი ესთეტიკა და კიდევ: ჰეროიკული საქმიანობა, ფოლადის მუზარადის რომანტიკა, ჯარისკაცური შემართება, სისხლისა და მიწის კულტი. კი მაგრამ, ლესინგის და ვინდელბანდის, ჰეგელისა და კანტის ესთეტიკა? ან თუნდაც გოეთესი და შილერისა? „ამის შესახებ არსებობს ოფიციალური ვერსიაო“, — ამბობდნენ ისინი. გარ-

და ამისა, თურმე, „ჰიმლერსა და ჰაიდრიხს საკუთარი შეხედულება ჰქონდათ გოეთეზე(!).

„საცოდავი“ გოეთე! აკი როზენბერგიც არ წყალობდა მას. მისი აზრით, გოეთე, თურმე, „ყოველთვის არ არის საჭირო“. იგი ვერ მოახდენს ახალ მოძრაობაზე გავლენას, რადგან, „სძულს ძალადობა“, რითაც იქმნება „ახალი ადამიანების ტიპი“. გოეთე არც პოეზიაში და არც ცხოვრებაში არ ცნობდა ერთი აზრის დიქტატურას, ურომლისოდაც მასა ვერასოდეს ვერ იქცევა ხალხად და ვერც ნამდვილ სახელმწიფოს შექმნის. ამიტომ, — წერს როზენბერგი, — უახლეს ათეულ წლებში გოეთე შორს იქნება ჩვენგან; მერე კი, როცა ბრძოლები დამთავრდება, იგი შეიძლება ისევ დაგვიბრუნდესო, მაგრამ ეს არ მომხდარა. ან როგორ შეიძლება მომხდარიყო, როცა ბატონმა ჰიტლერმა ბრძანა, მე არ მიყვარს გოეთეო...

საბოლოოდ არც შილერს ერგო მათი „წყალობა“. ჯერ იყო და, ქვეყანა გადააყრუეს — შილერი ჩვენი სულიერი წინაპარიაო: ვინმე ჰანს ფაბრიციუსმა წიგნიც გამოსცა „შილერი, როგორც ჰიტლერის მებრძოლი ამხანაგი“ (Kampfgenosse). დიდი ხმაურით დადგეს მისი „დონ-კარლოსი“, მაგრამ... სცენიდან რომ გაისმა:

— მოგვეცით აზრის თავისუფლება!..

— ტირანების ძალაუფლებასაც აქვს საზღვარი!..

დარბაზში ტაშისცემა ატყდა...

რამდენიმე დღის შემდეგ სპექტაკლი მოხსნეს და საერთოდ აკრძალეს შილერის ნაწარმოებების დადგმა...

...ასეთ ვითარებაში შეიძლება მართლაც უხერხული იყოს ნაცისტურ ესთეტიკაზე ან ხელოვნებასა და ლიტერატურაზე ლაპარაკი? ითქვა კიდეც, იქნებ ისა სჯობდეს, ყოველივე ამას ხაზი გადავუსვათ და დავიწყებას მივცეთო.

არა მგონია! რაკი ამბობენ, ლიტერატურა და ხელოვნება ცხოვრების სარკეაო, უნდა ჩვენც ჩავიხედოთ იმ სარკეში, რომ უფრო ნათლად დავინახოთ ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის მახინჯი სახე...

ეს სიმახინჯე ჯერ კიდევ ჰიტლერის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე გამოჩნდა. მას ისეთივე 24 წლის ისტორია აქვს, როგორც ნაცისტურ პარტიას და... ეშმაკთან ხელშეკრულებას. იმ დროიდანვე დაარსდა „გერმანული კულტურისათვის მებრძოლი კავშირი“ ალფრედ როზენბერგის მეთაურობით (Kampfbund für deutsche Kultur). „ნაციონალ-სოციალისტურიო“ ოფიციალურად არ წერდნენ მაშინ, რათა კულტურის მოღვაწეთა უფრო ფართო წრე ჩაებათ თავიანთ ორგანიზაციაში. ამ „კავშირის“ ფილიალები მთელ გერმანიას მოედო. შეიქმნა ე. წ. „საოლქო (Gau) ორგანიზაციები“, რომელთაც „გამოჩენილი“ ჰიტლერელები ხელმძღვანელობდნენ: როზენბერგი, ჰიმლერი, გრეგორ შტრასერი, დიტრიხი, ფრიკი, ლოზე, ჰირლი, რუსტი და სხვები. ორგანიზაციაში იღებდნენ კულტურის სფეროში ასე თუ ისე სახელმოხვეჭილ პირებს, ადგენდნენ მათ შესახებ სპეციალურ ბარათებს, რასაც საიდუმლოდ ინახავდნენ, რათა დროზე ადრე არ გაემჟღავნებინათ იმათი ვინაობა, ვისაც ეს ჯერ კიდევ საჩოთიროდ მიაჩნდა. სამაგიეროდ, იყვნენ ამ ორგანიზაციის აქტიური პროპაგანდისტები და ფუნქციონერები. მათი წრიდან, ნაცისტური პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით, დაინიშნენ კავშირის „გაუფიურერები“. ისინი აქვეყნებდნენ მანიფესტებს, მოწოდებებს; ბეჭდავდნენ ე. წ. „მფრინავ ფურცლებს“, მოითხოვდნენ კულტურის მოღვაწეთა ერთიანობას „ჰაერისა და სივრცის“ (Luft und Raum) მოსაპოვებლად...

ასე შედგა კულტურის დარგში მოღვაწეებისა და უნივერსიტეტების პროფესორების საკმაოდ დიდი სია. სწავლულები აქვეყნებდნენ ბროშურებს, სადაც უაღრესად მუქ ფერებში ხატავდნენ „გერმანული კულტურის დაცემის“ სურათებს და ეძებდნენ „აღორძინების გზებს“. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა როზენბერგის სტატია: „კულტურის დაცემა და სულიერი აღორძინება“.

გარდა ბეჭდვითი სიტყვისა, დიდი ადგილი ეთმობოდა ზე-

პირ პროპაგანდას. გამოდიოდნენ „ყავისფერი ორატორები“ და მუშტის ქნევით მოითხოვდნენ „რასობრივად წმიდა სტილს“, ებრძოდნენ „ებრაულ შხამს“ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, აგრეთვე „უცხოურ ზეგავლენას“, ლიბერალებს, ე. წ. „სიახლის მაძიებლებს“, მოდერნისტებს და, რა თქმა უნდა, „ბოლშევიკურ იდეოლოგიას“.

კატეგორიულად უარყვეს:

1. რომანები — ნეგატიური, ავადმყოფური, სუსტი ხასიათის გმირებით.

2. პოეზია, როგორც ენობრივი ხელოვნება და ფორმის ექსპერიმენტული ძიება.

3. ფსიქოლოგიური ანალიზი; საზოგადოებისა და გმირების ირონიულ-კრიტიკული დახასიათება.

4. პოლიტიკური სატირა.

5. ისტორიული წინამძღვრების თვითნებური გაგება.

6. პრობლემის გადაწყვეტის თავისუფალი არჩევანი.

7. ომის საწინააღმდეგო განწყობილების ჩანერგვა.

8. ქრისტიანული სულისკვეთება.

მერე არქიტექტურასაც გადასწვდნენ, შეუტიეს დესაჟერისა და კორბუზიეს სტილს, ვითომ „ბოლშევიკურიაო“. ასევე უარყვეს ვინმე როიტერის ატონალური მუსიკა, რომელსაც თავის კონცერტში ვიოლინოსა და ჩელოსათვის გამოუყენებია საეკლესიო მოტივები „Massa bravis“, „Kirie eleison“ და „Agnus Dei“. თუმცა რა გასაკვირია, თუ ჰიტლერმა თქვა, წმიდა პავლე ბოლშევიკი იყოო, რატომ სხვებს არ შეეძლოთ იგივე ეთქვათ კორბუზიესა და როიტერის შესახებ. ამავე „ლოგიკით“ ჰიტლერელებმა „კულტურტრეგერებმა“ მოდერნიზმი „ბოლშევიზმის საშიშ ინფექციად“ გამოაცხადეს, ხოლო რილკე, ჰოფმანსტალი, ლიბერმანი და სხვები — „ინტერნაციონალისტებად“. მერე ექსპრესიონიზმსაც შეუტიეს, ტერმინოლოგია აქაც „მაგარი“ ჰქონდათ. მერე ყველამ ერთ ხმაზე დაიწყო გაცოფებული პროპაგანდა კულტურის დარგში „მსოფლიო ბოლშევიკური საფრთხის“ წინააღმდეგ. მათ „მოძღვრებებში“

თანდათან მოიკიდა ფეხი რასიზმმა, ანტისემიტიზმმა, წერდნენ რაღაც „კულტურიმპერიალიზმისა“ და „პანსლავისტური კულტურის“ შესახებ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ პაულ დე ლეგარდი, სტიუარტ ჩემბერლენი, ლუდვიგ ვოლტმანი, ოთმარ შპანი და სხვები. რაც დრო გადიოდა, ბრძოლა მით უფრო მწვავდებოდა. მათი ლოზუნგებიც ჯარისკაცურად კატეგორიული ტონისა იყო:

— ცეცხლი ფუტურისტებს, კუბისტებს, ახალ მუსიკას!...

— ცეცხლი თეატრების ჰიპერმოდერნისტულ სპექტაკლებს!..

— ძირს გერმანული კულტურის მტრები: თომას მანი, ერიხ კესტნერი, კურტ ტუხოლსკი, ბერტოლდ ბრეხტი, იაკობ ვასერმანი, ლიონ ფოიხტვანგერი, არნოლდ ცვაიგი, ერნსტ ტოლერი, ლეონარდ ფრანკი!..

— განვდევნოთ მხატვრობიდან კლეე, კანდინსკი, ბაუჰაუზერი, გროსი!..

— ცეცხლში შევყაროთ კოკოშკას, კოლტვიცის, შაგალის ნათხაპნები!..

ნაცისტები თავიანთი ტალახიანი ჩექმებით შეიჭრნენ ლიტერატურისა და ხელოვნების წმიდა ტაძრებში, დაარბიეს მუზეუმები და სამხატვრო გალერეები. ეს იყო ბარბაროსობის პირველი ტალღა კულტურის სფეროში. ხელისუფლება ვერ უმკლავდებოდა მათ შემოტევას, ისევე როგორც ვაიმარის რესპუბლიკა ვერ უძლებდა ნაციზმის მოძალებას...

... 1930 წელს, პირველი ნაცისტი მინისტრის ფრიკის კურთხევით, გოეთესა და შილერის წმიდა ქალაქში — ვაიმარში გაიმართა მათი კავშირის პირველი კონფერენცია. კულტურის დარგის მოიერიშეთა ამ კავშირში უკვე ორას ათასამდე წევრი იყო. ყველა მათგანს არ ჰქონდა პროფესიული ურთიერთობა კულტურასთან, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა ისინი გატაცებული იყვნენ თავიანთი მოძრაობის გრანდიოზულობით და სხვა რამ არც აინტერესებდათ.

ვაიმარის კონფერენცია წარმომადგენლობითი იყო. აირ-

ჩიეს დელეგატები ოლქებიდან. კონფერენციის გახსნას დაესწრნენ გერინგი, გებელსი, შირახი, დარე, ზაუკელი. თავმჯდომარეობდა ჰანს ციგლერი. იგი მიესალმა „საპატიო სტუმრებს“. გაისმა დაფდაფების ხმა. კულტურის ეს „პატივცემული“ მოღვაწენი ისევე ღრიალებდნენ „ზიგ ჰაილსა“ და „ჰაილ ჰიტლერს“, როგორც რემის მოიერიშენი ლუდხანებში. ორატორები ფიზიკური მოსპობით ემუქრებოდნენ თავიანთ „მტრებს“, რომელთა სიას ზემოაღნიშნულ „არაადამიანებს“ გარდა დაუმატეს: ერვინ პისკატორი, მაქს რაინჰარტი, ერიხ მარია რემარკი, შონბერგი, ვებერნი და სხვები.

შინაგან საქმეთა ნაცისტმა მინისტრმა ამ ბრძოლაში საიდუმლო პოლიციაც ჩააბა. ხელოვნების მუშაკების ვინაობასაც პოლიციის მოხელენი ამოწმებდნენ. მთავარი იყო რასობრივი სიწმინდის დადგენა. არაარიელებს ბოიკოტს უცხადებდნენ და აუტანელ მდგომარეობას უქმნიდნენ. სამაგიეროდ, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ლიტერატურის ისტორიკოსი ადოლფ ბარტელსი, რომელმაც „მეცნიერულად დაასაბუთა“, რომ გერმანელი ხალხის „ყოველგვარი უბედურების მიზეზი ებრაელობაა“. მთელი კულტურა მან, უწინარეს ყოვლისა, ორ ჯგუფად გაჰყო: ებრაული და არაებრაული. ამ „დამსახურებისათვის“ ბარტელსმა თვით ფიურერის მადლობა დაიმსახურა. 1925 წელს მას სტუმრად ეწვია ჰიტლერი, ხოლო ჩემბერლენმა თავისი წიგნი უძღვნა გულისამაჩუყებელი წარწერით.

ნაცისტურ წრეებში დიდი მოწონება ხვდა წილად გიუნთერის წიგნს „რასა და სტილი“. ნაცისტი „მეცნიერები“ ისე გათამამდნენ, რომ ერთ-ერთ უნივერსიტეტში „სოციალური ანთროპოლოგიის“ კათედრა დააარსეს რასობრივი იდეების საქადაგებლად. კულტურის ნამდვილ მოღვაწეთა კატეგორიული პროტესტის შედეგად ეს კათედრა დახურეს 1930 წელს. სამაგიეროდ, ნაცისტმა „კულტურტრეგერებმა“ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ტიურინგიაში, სადაც შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრად სწორედ ის ნაცისტი ფრიკი (ერთ-ერთი მთავარი სამხედრო დამნაშავე ნიურნბერგის პროცესზე) მუშაობდა. აქ ისინი სრულიად თავისუფლად დათარეშობდნენ:

მათთვის მიუღებელ ფრესკებს კირით თხუპნიდნენ, გამოფენებიდან ყრიდნენ დიქსის, კანდინსკის, მარკის, კოკოშკას, კლეესა და სხვათა სურათებს. ფრიკის ბრძანებით, „გაწმინდეს“ ვაიმარის ბიბლიოთეკები და მუზეუმები. პროტესტი აქაც ბევრმა განაცხადა, მაგრამ უშედეგოდ. შერისხული მხატვრები იხვეწებოდნენ, სურათებს ნუ ანადგურებთ, თუ თქვენ არ გინდათ, დაგვიბრუნეთო, მაგრამ ვინ უსმენდა!

მაშინ რა იცოდნენ, რომ ფრიკის ტიურინგიის ამბები მხოლოდ ბავშური თამაში იყო იმასთან შედარებით, რასაც ჰიტლერელები ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ აპირებდნენ...

წიგნი და მახვილი...

გოეთეს უთქვამს, რევოლუციამდე ყველაფერი მისწრაფებაა, შემდეგ კი მოთხოვნაო. 1933 წელს, როცა ეს საბედისწერო დღე დადგა და ე. წ. „ნაციონალ-სოციალისტური რევოლუცია“ მოხდა, კულტურის დარგის მოღვაწე ნაცისტები მაშინვე კატეგორიულ მოთხოვნებზე გადავიდნენ. მათი შეგონებით ხელისუფლებამ იმავე წელს გამოსცა კანონი „გერმანული სისხლისა და ღირსების შესახებ“, სადაც კულტურის მოღვაწეთა უპირველეს ამოცანად რასობრივი სიწმინდის დაცვა და ე. წ. „სისხლის მანიფესტაცია“ გამოცხადდა.

— მთავარი ის კი არ არის, ვინმე კარგი ხელოვანია თუ ცუდი, არამედ — გერმანელი ხელოვანია იგი თუ არა, — აცხადებდნენ ისინი. გაჩნდა უცნაური კომპოზიტი Blutroman (სისხლის რომანი). მწერლებს უნდა შეექმნათ სისხლის სიწმინდის კულტი, ედიდებინათ მეომრის სახე, ფიურერის ღმერთკაცობა, მოეცათ პოლიტიკური და სამხედრო გმირების სახეები. მათი მოქმედების დევიზი იყო „წიგნი და მახვილი“. ეს დევიზი მუსოლინის არსენალიდანაა ნასესხები. როცა მან ძალაუფლება ჩაიგდო და პალაცო ვენეციის აივნიდან სიტყვით მიმართა მიტინგს, ერთ ხელში წიგნი ეჭირა, მეორეში — თოფი.

გერმანულ „სისხლის მანიფესტშიც“ გატარებული იყო აზრი, რომ წიგნი იარაღია, რომელიც მებრძოლს უჭირავს ხელში; ნამდვილი მებრძოლი კი ნაციონალ-სოციალისტური სულისკვეთებით უნდა იყოს გამსჭვალული. ამიტომ წიგნებიც მათთან ერთად ჯარისკაცებივით უნდა მიდიოდნენ ფრონტზე. ასე გაჩნდა „ლიტერატურული ჯარისკაცების“ ცნება. ჯარისკაცებს კი, რა თქმა უნდა, მხედართმთავრებიც ჰყავდათ. ესენი „ფიურერის მედაფდაფეებსა და ჰეროლდებს“ უწოდებდნენ, ხოლო რიგითებს — რაინდებსა და აბჯროსნებს, ყველას ერთად კი — გერმანიის სულიერ არისტოკრატიას, რომელსაც გერმანელები „ფიურერის, ხალხისა და სამშობლოსათვის წმიდა სიკვდილისათვის უნდა მოემზადებინა“ (zum heiligen sterben für Führer, Volk und Vaterland).

ადრე, თურმე, ასე იყო: ერთ მხარეს იდგნენ პოლიტიკოსები და ჯარისკაცები, მეორეზე — პოეტები და მოაზროვნენი, ახლა ვითომ ეს ცნებები გაერთიანდა „იდეალური გერმანელის“ სახეში.

კარის მწერლები: იოსტი, დვინგერი, ჰაუსტი, შაფნერი, ზანდერი და სხვები მაშინვე აჰყვნენ ამ ხმაურს, „ჩვენი ლექსების კრებულები გაგრძელებაა ჩვენივე ჯარისკაცური მოწოდებისა“, — აცხადებდნენ ისინი. ჩვენ გვინდა სიზმარი, ჩვენ გვინდა თრობა, თავდავიწყება, ჩვენ ვუხმობთ დიონისოს და ითაკას, — წერდა ნაცისტი პოეტი რონე, რომელმაც ისე წაბილწა პარნასი, რომ თვით ბავშვთა მასობრივი ჟლეტის „პოეტური“ გამართლება სცადა:

— ბავშვების ხოცვა და ყოველგვარი სიგიჟე (Verrecken) ისევე ეკუთვნის ჩვენს არსებობას, როგორც ზამთარი წელიწადის ოთხ დროს...

ლიტერატურათმცოდნენი აქებდნენ და ადიდებდნენ ამგვარ „ჯარისკაცურ პოეტებს“. ძველებიდან — აიჰენდორფს, უფრო გვიანდელებიდან — ლილიენკრონს, თანამედროვეებიდან კი — ჰანს იოსტსა და ნაცისტი პოეტების მთელ პლეადას.

— თუ გერმანელი ხარ და გერმანულ ენაზე წერ, უნდა გერმანულად იაზროვნო, — ნათქვამია მათ მანიფესტში. აზრო-

ვნება იგივე პოლიტიკაა, ჩვენ პოეტებისა და მოაზროვნეების ქვეყანა ვართ, ამიტომ პოეზია და აზროვნება „ტოტალური პოლიტიკის“ ნაწილად უნდა იქცეს. ამაშია პოეტების „ფანატიკური მისია“, მათ უნდა ადიდონ გერმანელი ხალხის მარადისობა, ათასწლოვანი იმპერია, ტრაგიკულ-ჰეროიკული თანამედროვეობა და სიმბოლურ-ზედროული სინამდვილე...

ჰიტლერი ამტკიცებდა:

— ნაციონალ-სოციალისტური რევოლუცია იმითაა დიადი, რომ გერმანელი ხალხი დაუბრუნა თავის პირველ საფუძველს და თანამედროვეობაში გააცოცხლა ყველა მისი ადრინდელი მიღწევა...

- ჰიტლერის სულიერი ჰეროლდებიც აცხადებდნენ, რომ ლიტერატურამ პატივი უნდა სცეს ტრადიციას: ვიტენბერგს, პოტსდამს, ვაიმარს, ლანგემარკს, ლუთერანულ მითოსს, პრუსიულ მოტივებს, რომანტიკას, „გერმანულ ირრაციონალიზმს“, „მოუსვენარ ფაუსტურ ტიპს“. ამისათვის საჭიროა „ბიოლოგიურად აუცილებელი ოპტიმიზმი“, სადღესასწაულო განწყობილება, ცხოვრების ჰეროიკული აღქმა, „მარადიული იმპერიის“ წარმოდგენა, „გმირული სიკვდილისა“ და „თავგანწირვის“ გრძნობა, ჯარისკაცების, მეზღვაურებისა და ქვრივების ბედ-იღბალი, მთავარზე უმთავრესი კი — ისევ ის „ფიურერის მითოსი“ (Führer-Mythos)...

... ნაცისტების მოთხოვნით, მწერლებსაც ყავისფერი უნიფორმა უნდა ჩაეცვათ და საბრძოლო კოლონებში ჩამდგარიყვნენ. ამგვარი გაერთიანების ორგანიზაციული ფორმა იყო „იმპერიის მწერალთა პალატა“ (Reichsschriftstellerkammer), რომელიც ჯერ სამი ათას წევრს აერთიანებდა, შემდეგ, 1936 წელს — 11 ათასს, 1941 წელს კი — 35 ათასს. მათ შორის ხუთი ათასი (!) მწერალი იყო, ხოლო ათასი — გამომცემლობის მუშაკი, შვიდი ათასი — წიგნის გამყიდველი და სხვა და სხვა. ეს ორგანიზაცია (RSK) შედიოდა იმპერიის კულტურის პალატაში (Reichskulturkammer), რომლის პრეზიდენტად დაინიშნა გებელსი, ვიცე-პრეზიდენტად — ვალტერ ფუნკი. პარტიულ კონტროლს კულტურის დარგში ანხორციელებდა „ალ-

ფრედ როზენბერგი, რომელსაც გაუთავებელი დავა ჰქონდა გებელსთან.

პალატის წევრებს აიძულებდნენ, ხელი მოეწერათ ჰიტლერისადმი ერთგულების დეკლარაციაზე. მათი ნაწარმოებები მკაცრ ცენზურას გადიოდა. იმათი ნაწერები კი, ვინც ამ პალატის წევრად არ იყო, პოლიციას უნდა გაესინჯა. ოდესღაც ნაპოლეონი ამბობდა, პოლიცია არაფერია, თუ არა დიპლომატიაა ძონძებშიო. ცრუნაპოლეონმა ჰიტლერმა პოლიციას, დიპლომატიის გარდა, ხელოვნებისა და ლიტერატურის „ძონძებიც“ ჩააცვა. საერთოდ, პოლიციას დიდი უფლებები ჰქონდა ამ დარგში მინიჭებული. ასეთი საოცარი ცნებაც გაჩნდა: „ლიტერატურული პოლიციელები“ (Literaturpolizisten). ლიტერატურის რასობრივ-იდეოლოგიური წმენდის დროსაც მნიშვნელოვანი როლი პოლიციას ეკისრებოდა. საქმეში ზოგჯერ ჰიმლერიც ერეოდა. ეს კი მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავდა.

ყველა მწერალს უნდა გაევლო „რასობრივი შემოწმება“, რათა დაედგინათ, ხომ არ იყო მათ ახლო თუ შორეულ წინაპრებში ვინმე ებრაელი. ამისთვის უზუსტესი ნუსხა ჰქონდათ შედგენილი: ებრაელი, ნახევრად ებრაელი, მეოთხედად ებრაელი, მერვედად ებრაელი და ასე შემდეგ. მერე რასობრივი შემოწმება დიდი ხნით ადრე გარდაცვლილ მწერლებსაც შეეხო. დევნიდნენ არა მარტო „წარმოშობით ებრაელებს“, არამედ „სულიერად გაებრაელებულებსაც“ (verjudete), რისთვისაც ჰიტლერმა სპეციალური კომისიაც კი შექმნა რაიხსმინისტრ ბულეს თავმჯდომარეობით. ბრძანებაში ეწერა:

— ნაციონალ-სოციალისტური პარტია ზრუნავს იდეურ სიწმინდეზე, ამიტომ ვნიშნავ შემმოწმებელ კომისიას (Prüfungskomission), რომელიც კონტროლს გაუწევს ყველაფერს.

ასეთი „კონტროლის“ შედეგი კი შიშველი ტერორი იყო...

დარბეული პარნასი...

ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის დამყარებისთანავე დაიწყო მწერლობის დარბევა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნე-

ლობით. ბრუნო აპიცი, კარლ ოსეცკი, ვილი ბრედელი და ლუი ფიურნბერგი მაშინვე დააპატიმრეს: ერიხ მიუზამი და ფრანც ბრენი გესტაპოში მოკლეს; ოსეცკი ისე მიასიკვდილეს ციხეში, რომ ჩქარა გარდაიცვალა; მიუზამს საკონცენტრაციო ბანაკში ამოხადეს სული.

ბევრი მწერალი არალეგარულ მდგომარეობაში გადავიდა. ბერლინსა და პრაღაში ისინი ერთხანს კიდევ ახერხებდნენ გაზეთებისა და წიგნების გამოცემას, მაგრამ შემდეგ მათ კვალსაც მიაგნეს და დაარბიეს.

სხვების მიმართ „უფრო თავშეკავებული“ ზომები მიიღეს.

პრუსიის აკადემიის პოეზიის სექციიდან („გერმანული პარნასიდან“) „გააძევეს“ ჰენრიხ მანი, კეთე კოლვიცი, ალფრედ დობლინი, ლეონარდ ფრანკი, ლუდვიგ ფულდა, გეორგ კაიზერი, ბერნარდ კელერმანი, თომას მანი, ალფედ მომბერტი, რენე შიკელე, ფრანც ფონ უნრუ, იაკობ ვასერმანი, ფრანც ვერფელი და სხვ. რამდენიმე ხნის შემდეგ თითქმის ყველა მათგანი ემიგრაციაში წავიდა. ასევე მოიქცნენ სახელგანთქმული მეცნიერები: აინშტაინი, ფრანკი, ბერგი და სხვ. როგორც ამბობენ, სულ ათასზე მეტმა გამოჩენილმა პროფესორმა დატოვა გერმანია. მათ შიჰყვნენ რეჟისორები, მუსიკოსები, მხატვრები, დირიჟორები — ალბერტ ვასერმანი, ელისაბედ ბერგერი, ბერტოლდ ბრეხტი, ოსკარ კოკოშკა, ერნსტ ბუში, ჰანს აისლერი, ჰინდემიტი, მაქს რაინჰარტი, ერვინ პისკატორი და სხვ. ნაწილი ანტიფაშისტი მწერლებისა (ბეხერი, ბრედელი, კურელა, შარერი, ვაინერტი, ვოლფი და სხვ.) მოსკოვში ჩამოვიდა. სხვებმა ჯერ პარიზსა და პრაღას მიაშურეს, მერე ამერიკას (ბრეხტი, ძმები მანები, ფოიხტვანგერი, ფრანკი, გრაფი, მარხვიცა, ვაისკოპფი); ზოგმაც მექსიკაში ამოჰყო თავი (აბუში, რენი, ზეგერსი, უზე და სხვ.).

გებელსი შეშფოთებული იყო, რომ გერმანია დაიცალა მხატვრული ინტელიგენციიდან. მისი შეგონებით „ხელქვეითი“ მოღვაწენი წერილებს წერდნენ „გაქცეულთ“, დაბრუნდითო, მაგრამ ერთი-ორი რენეგატის გარდა, უკან არავის მოუხედავს. პირადად გებელსი დაჟინებით სთხოვდა შტ. გეორგეს, დაბრუნებულიყო გერმანიაში, სადაც მას აქებდნენ და ადიდე-

ბდნენ, როგორც „მეოცე საუკუნის ჰოლდერლინს“ და „მესამე იმპერიის პროფეტს“. თხოვნით რომ არაფერი გამოვიდა, ემიგრაციაში წასულ მწერლებს ლანძღვა-გინება დაუწყეს. თომას მანზე თუ წერდნენ, „გერმანელი მწერალიაო“, ამ სიტყვებს ბრჭყალებში სვამდნენ. ამტკიცებდნენ, რომ იგი „მეორეხარისხოვანი რომანისტია“. მართალია, თვითონ ებრაელი არ არის, მაგრამ მისი შვილები ნახევრადებრაელები არიანო. მანმა გერმანული ენაც არ იცის კარგადო. როშელიღაც დაქირავებულმა რეცენზენტმა მის ერთ-ერთ რომანში 51 გრამატიკული შეცდომაც კი „აღმოაჩინა“ და განაცხადა, კარგია, რომ აქაურობას მოშორდაო.

ასეთივე ბედი ეწია თომას მანის ძმას — ჰაინრიხს. იგი პრუსიის ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი იყო. ნაცისტური ტერორის დაწყებისთანავე მან, კეტე კოლვიცთან ერთად, ხელი მოაწერა საპროტესტო წერილს. ამის გამო განათლების მინისტრი დაემუქრა, სულ დავხურავ თქვენს აკადემიასო. აკადემია, ცხადია, არ დაუხურავთ, მაგრამ ჰაინრიხ მანს წინადადება მისცეს, გადამდგარიყო. თუმცა ამ წინადადებას რა აზრი ჰქონდა, როცა მანი თვითონაც მოითხოვდა გადადგომას. ასეთ შემთხვევაში, მიღებული ფორმალობის დასაცავად, აკადემიის საერთო კრება მოიწვიეს. ალფრედ დობლინმა პროტესტი განაცხადა: თვითონ ბატონი მანი გამოვიდეს სხდომაზეო...

საქმე იმით დამთავრდა, რომ მანმა დატოვა აკადემიაც და გერმანიაც. ალფრედ დობლინიც მის კვალს მიჰყვა...

...დიდი მოქალაქეობრივი სიმტკიცე გამოიჩინა 70 წლის მოხუცმა მწერალმა ქალმა რიკარდა ხუჰმა, რომელიც ერთ დროს წერდა, „სიცოცხლე ხანმოკლე სიზმარიაო“. იმ კოშმარულ წლებში იგი დარწმუნდა, რომ სიცოცხლე ხანმოკლე სიზმარი კი არა, ხანგრძლივი სინამდვილეა, და რამდენიმე წერილი მისწერა აკადემიის პრეზიდენტს, სადაც პროტესტს გამოთქვამდა მთავრობის „ბრუტალური პოლიტიკის“ წინააღმდეგ. ერთ-ერთი წერილში იგი აცხადებდა:

— ამ მთავრობას არაფერი სცხია გერმანულობის. ებრაელების დევნაც უცხოა ჩემთვის. თქვენ მპირდებით, აზრის გა-

მოთქმის თავისუფლება გექნებათო. ტყუილია! არ მექნება! არც ერთი გაზეთი არ დაბეჭდავს ჩემს ოპოზიციურ გამოსვლებს, ამიტომ ვერ დავრჩები აკადემიის წევრად, რადგან ეს ჩემგან მოითხოვს ლოიალურ დამოკიდებულებას მთავრობასთან...

ყოველივე ამას ტერორის გაძლიერება მოჰყვა. ემიგრაციაში წასულ მწერლებს მოღალატეებს უწოდებდნენ. განსაკუთრებით ის აცოფებდათ, რომ ემიგრანტებმა თან „წაიღეს" ნამდვილი გერმანული კულტურა და უცხოეთში განაგრძობდნენ ნაყოფიერ მოღვაწეობას. ამან ადოლფ ბარტელსი განარისხა. მან წერილით მიმართა ემიგრანტ მწერლებს, ვინც გერმანია დატოვა, უფლება არა აქვს, გერმანულად ლაპარაკობდეს და წერდესო. ამას კი ბატონ ბარტელსს უკვე არავინ ეკითხებოდა, „გაქცეულებმა" მისი ნებართვის გარეშე დააარსეს „ემიგრანტი გერმანელი მწერლების დაცვის საზოგადოება". ისინი აწყობდნენ ანტიფაშისტურ კონგრესებს, სცემდნენ ჟურნალებს, ბეჭდავდნენ წიგნებს. ყველა ქვეყანამ სიამოვნებით გაუღო მათ კარი.

თომას მანი რომ ამერიკაში ჩავიდა, პრესაში განაცხადეს: „ამ დიდ პატივს ჩვენ ბატონ ჰიტლერს უნდა ვუმადლოდეთო".

ეშმაკის ბორბალი...

ნაცისტებმა სცადეს გერმანული კულტურის გაპარტახებული ფრონტის „წესრიგში მოყვანა". აკადემიიდან გარიცხული მწერლების ნაცვლად აირჩიეს ახალი წევრები. ეს სამარცხვინო პატივი წილად ხვდათ ჰანს იოსტს, ჰანს კაროსას, ჰანს გრიმს, ვერნერ ბოიმელბერგს, ფრიდრიხ ბლუნკს, ემილ შტრაუსს და სხვებს.

კაროსამ იმდენი მოქალაქეობრივი სიმტკიცე გამოიჩინა, რომ უარი თქვა ამ „პატივზე". მოულოდნელი იყო ერნსტ იუნგერის გადაწყვეტილება, მან ჯერ კიდევ 1926 წელს მიართვა ჰიტლერს თავისი წიგნი „ცეცხლი და სისხლი" წარწერით: „ეროვნულ ფიურერს". შემდეგშიც ბევრი რამ გააკეთა ნაციონალ-სოციალისტური იდეების გასავრცელებლად, მაგრამ ახლა

მაინც განზე გადგომა არჩია. შეიარაღებასა და კულტურას შორის კავშირი არ მესმისო, დიდი მადლობელი ვარო, მაგრამ... ერთი სიტყვით, არ მინდაო.

მერე, კავკასიაში გაზვაგენების გამოყენება რომ გაიგო, აღშფოთდა, რაც ადრე მიტაცებდა, ახლა მეზიზღებაო და...

შედეგი ის იყო, რომ გებელსმა საერთოდ აკრძალა მისი სახელის ხსენებაც კი პრესაში...

...გერმანული ანდაზაა, ბრმა ღორმა რკო იპოვაო. ახლად გამომცხვარმა აკადემიკოსებმა მოირგეს ნაცისტური აკადემიის ყავისფერი მოსასხამი. მართალია, ზოგიერთი თავს უხერხულად გრძნობდა, მაგრამ რიკარდა ხუჰის, ერნსტ იუნგერისა და ჰანს კაროსას გამბედაობა მაინც ვერ გამოიჩინეს. ასეთი იყო, უწინარეს ყოვლისა, გოტფრიდ ბენი, რომელსაც ორაზროვანი და ორჭოფული პოზიცია ეჭირა. იმ მძიმე დღეებში იგი, ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც ნავთს ასხამდა ცეცხლზე: თუ ჰიტლერი ამბობდა, „შემთხვევითი არ არის, რომ პირველი კულტურა იქ ჩაისახა, სადაც არიელებმა დაიპყრეს და დაიმონეს დაბალი რასებიო“, ბენი ბანს აძლევდა მას:

— დემოკრატიას კი არ შეუქმნია დიდი ხელოვნება, არამედ მონობას. ამის მაგალითია ძველი ეგვიპტე, ანტიკური სამყარო, რომი, პირამიდები, კოლონები, ტრაგედიები...

ბენის ირაციონალიზმიც ადვილად შეეგუა ნაცისტურ იდეოლოგიას. ამან გამოიწვია კლაუს მანის აღშფოთებული წერილი ბენისადმი. არც ბენი დარჩა მას ვალში და მკვახე პასუხი გასცა „უცხოეთში გახიზნულ თანამემამულეს“. მიუხედავად ამისა, ომის შემდეგ მან მაინც აღიარა, კლაუს მანი ჩემზე შორსმჭვრეტელი და მართალი აღმოჩნდაო...

მაშინ კი, როცა აკადემიაში არჩევნების შესახებ უამბეს, ჩვეულებრივი ორჭოფობით წამოიძახა:

— ო, ეს არჩევნები, ო, ეს ადამიანები!...

...ეშმაკის ბორბალი კი ისევ ტრიალებდა. აკადემიების შემდეგ ხელოვნების დაწესებულებებს დაერივნენ და დახ-

სნეს მათი ხელმძღვანელები. „შინაურ მტრებს ჩვენ ძვლებს დავუმტვრევთო“, — იმუქრებოდა ვილი ვესპერი.

იმათ კი დაუმტვრიეს ძვლები, მაგრამ ახლის შექმნა გაუჭირდათ. რაც არ უნდა ექოთ და ედიდებინათ უნიჭო, მაგრამ ერთგული მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები თუ ხელოვნების სხვა მოღვაწენი, ამით ნაციონალ-სოციალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის „გრანდიოზული აღორძინების“ შთაბეჭდილებას მაინც ვერ შექმნიდნენ. ამას სხვა კი არა, მგონი, გერინგიც მიხვდა. მართალია, სამსახურებრივად მას კულტურის საქმეები არ ეხებოდა, მაგრამ თავი ხელოვნების დიდ მცოდნედ მოჰქონდა და ზოგჯერ მეცენატის როლსაც კისრულობდა. როცა გერინგმა დაინახა, როგორ გაჩანაგდა გერმანული კულტურა, თქვა:

— უფრო ადვილია დიდი ხელოვანისაგან თანდათან ნაციონალ-სოციალისტის მიღება, ვიდრე რიგითი ნაციონალ-სოციალისტისაგან დიდი ხელოვანისა...

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს არ ესმოდა გებელსს, რომელსაც ჰიტლერმა სპეციალური ბრძანებით „მასების სულიერი აღზრდის“ ხელმძღვანელობა დააკისრა, რითაც ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა დარგმა გებელსის უწყებაში მოიყარა თავი. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ გებელსი ოდნავ მაინც შეანელებდა საშინელ რეპრესიებს კულტურის ფრონტზე, მაგრამ მოხდა პირიქით. „შავი სიების“ შედგენა ისევ გაგრძელდა. არკვევდნენ, ვინ „მტერია და ვინ მოყვარე“, ან ვის წინააღმდეგ „გახსნან ცეცხლი“. ეს ეხებოდა როგორც მწერლებს, ისე მათ წიგნებს. გებელსის უწყებაში ასაკრძალავი ავტორებისა და მოსასპობი წიგნების უზარმაზარი სია შედგა. მითითება ასეთი იყო:

უნდა ამოიძირკვოს: 1. პაციფისტური სულისკვეთება (ე. მ. რემარკი, ლ. რენი, ა. ცვაიგი და სხვ.); 2. სოციალური კრიტიციზმი (ჰ. მანი, ე. ტოლერი. ჯ. ლონდონი და სხვ.); 3. სოციალურ-რევოლუციური მიმართულება (ბ. ბრეხტი, კ. ტუხოლსკი და სხვ.); „ებრაული შხამი“ და 5. „ბოლშევიკური იდეოლოგია“.

ამას ემატებოდა ე. წ. „არაგერმანული განწყობილების“ ლიტერატურა, რაც მწერლობის ფართო ფენას მოიცავდა. ზოგჯერ ამგვარი „შავი სიები“ პრესაშიც ქვეყნდებოდა...

ვალპურგის ღამე...

სიტყვას აქაც საქმე მოჰყვა. დაიწყო იმპერიის წიგნთსაცავებისა და კერძო ბიბლიოთეკების „გრანდიოზული წმენდა“, რის შედეგიც იყო სამარცხვინო აუტოდაფე ბერლინის ოპერის მოედანზე 1933 წლის 10 მაისს.

ოთხი დღე ეზიდებოდნენ საბარგო მანქანები „ნაციონალ-სოციალიზმის სულისკვეთებისათვის შეუფერებელ“ წიგნებს და მოედნის შუაგულში ყრიდნენ. საქმეში ჩაბმული იყვნენ მოიერიშენი და პოლიციელები. შეშინებული მოქალაქეები ფანჯრებიდან ისროდნენ აკრძალულ წიგნებს, რასაც პოლიციელები აგროვებდნენ ქუჩებში და სატვირთო მანქანებით მიჰქონდათ ოპერის მოედანზე. ასე მოგროვდა ათი ათასი ცენტნერი (!) ლიტერატურა. გარდა ამისა, გესტაპოელები, კუთხე-კუთხე დაეძებდნენ გადამალულ წიგნებს. გაჩხრიკეს ბინები, სარდაფები, მანსარდები...

მერე, ის იყო, შავსიელი წიგნების „ცეცხლში შთანთქმის“ საკულტო-რელიგიური რიტუალი რომ მოეწყო. ოპერაციას თვითონ გებელსი ხელმძღვანელობდა. ჯერ შეშა მოზიდეს და მოედანზე დაყარეს. გარშემო, სახლის სახურავებზე უზარმაზარი პროჟექტორები და ხმის გამაძლიერებელი რეპროდუქტორები დადგეს. ესესელებმა, მოიერიშეებმა და სტუდენტებმა მოედნის გარშემო წრე შეკრეს. იმის იქით კი ზღვა ხალხი იდგა. დაფდაფების გამაყრუებელი ზრიალის შემდეგ მოედანზე გამოჩნდა ყავისფერხალათიან სწავლულთა პირველი კოლონა ანთებული ჩირაღდნებით. კოლონას წინ მიუძღოდა „პოლიტიკური პედაგოგიკის“ პროფესორი ალფრედ ბოიმლერი. ბერენშტრასედან პროჟექტორები ანათებდნენ მოედანს და აი, ბოიმლერი ჩირაღდნით აჩაღებს ცეეცხლს. ალი

და კვამლი ზეცას სწვდება. კოცონი თანდათან ძლიერდება. იწყება „გერმანული სულის“ ცეცხლში გაწმენდის წარმართული რიტუალი. ქუჩიდან მოედნის ცენტრისაკენ წიგნები ხელიდან ხელში გადადის. 11 საათსა და 20 წუთზე პირველი „ერეტიკული“ წიგნი აღწევს კოცონამდე. ესესისა და მოიერიშეთა გაერთიანებული ორკესტრი უკრავს რაღაც ჰიმნს. მას უერთდება კაპელა. იწყება ხორალი და სრულდება „სიმბოლური აქტი“: მაღალ კვარცხლბეკზე დგანან „ფრიად განსწავლული ქადაგი-ქურუმები“, რომლებიც იძახიან:

— ჩვენი საყვარელი ფიურერისათვის! თავისუფლებისათვის! სამუშაოსა და პურისათვის! გაიღვიძე, გერმანიავ, გაიღვიძე!.

მერე წინ ერთ-ერთი ქადაგი ქურუმთაგანი წამოიწევს და ღაღადებს:

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა დ ა გ ი: კლასთა ბრძოლისა და მატერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა ერთიანობისა და ცხოვრების იდეალისტური გაგების სადიდებლად, მე ცეცხლს ვაძლევ კარლ მარქსისა და კარლ კაუცკის წიგნებს...

ბრბო ღრიალებს, ორკესტრი უკრავს, წიგნებს ცეცხლში ისვრიან...

მ ე ო რ ე ქ ა დ ა გ ი: დეკადანსისა და ზნეობრივი დაცემის წინააღმდეგ, ოჯახისა და სახელმწიფოს, გვარისა და წესრიგის დასაცავად, მე ცეცხლს ვაძლევ ჰაინრიხ მანის, ერნსტ გლეზერისა და ერიხ კესტნერის წიგნებს...

ისევ ბრბოს ღრიალი, ისევ ორკესტრი და ისევ წიგნების ანათემა ცეცხლში.

რიტუალი გრძელდება.

მ ე ს ა მ ე ქ ა დ ა გ ი: მსოფლმხედველობითი მაწანწალობისა და პოლიტიკური ღალატისათვის, ხალხისა და სახელმწიფოსთვის თავდადების სადიდებლად, მე ცეცხლს ვაძლევ ვილჰელმ ფორსტერის წიგნებს...

კოცონი კიდევ უფრო ჩაღდება... წიგნებს ნთქავს მოგიზგიზე ცეცხლის ალი...

მ ე ო თ ხ ე ქ ა დ ა გ ი: ხორციელი მიდრეკილებისა და სულის დამთრგუნველი გადაჭარბების წინააღმდეგ, ადამია-

ნური კეთილშობილების სადიდებლად, მე ცეცხლს ვაძლევ ზიგმუნდ ფროიდის წიგნებს...

მ ე ხ უ თ ე ქ ა დ ა გ ი: მსოფლიო ომის ჯარისკაცების ლიტერატურული ღალატისათვის, ხალხის ჰეშმარიტების პრინციპებზე აღზრდის სადიდებლად, მე ცეცხლს ვაძლევ ერიხ მარია რემარკის წიგნებს.

ქადაგ-ქურუმთა ქორო ღრიალებს:

შთანთქე, ცეცხლო, წიგნები ტუხოლსკისა და ოსეცკისა.

...ნაშუაღამევს თავისი უზარმაზარი მერსედესით მობრძანდა თვით გებელსი და მანქანიდანვე მიმართა ხალხს:

— ჩემო ძვირფასო მეგობრებო, გერმანელო ქალებო და კაცებო! დამთავრდა ებრაული ინტელექტუალიზმის ეპოქა. ნაციონალ-სოციალისტურმა გენიამ გზა გაუხსნა გერმანულ სულისკვეთებას. რა დიდებულია, რომ ამ ისტორიულ ღამეს ცეცხლს აძლევთ არაგერმანულ სულს. ეს ისეთი ძლიერი, დიადი და სიმბოლური აქტია, რომ მთელ მსოფლიოს უჩვენებს, როგორ იმარხება ნოემბრის რესპუბლიკის განწყობილება. მომავალში ამ ფერფლიდან ფენიქსივით აღდგება გერმანელობის განწმენდილი სული...

ძველი ცეცხლშია გახვეული, ახალი იბადება ჩვენივე გულში დანთებული ცეცხლის ალიდან და ამ დიადი კოცონით განათებულებმა ფიცი უნდა დავდოთ და შევძახოთ:

— ჩვენს ფიურერს, ადოლფ ჰიტლერს, ჰაილ!.. ჰაილ!.. ჰაილ!..

ორკესტრმა დასცხო მარში: „ხალხო, ხელი მოჰკიდე თოფს!“ მას აჰყვა ათასი კაცისაგან შემდგარი ქორო, მოედანი კი ერთხმად გუგუნებდა:

— ჰაილ!.. ჰაილ!.. ჰაილ!..

ცეცხლის თაყვანისმცემელთა რიტუალმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია. სიამოვნებისაგან ატაცებული გებელსი ქადაგივით წამოდგა მანქანაში, ხელი წინ გაიშვირა და დაიძახა:

— ო, საუკუნევ! ო, მშვენიერებავ, რა სიხარულია სიცოცხლე!...

...ასეთი აუტოდაფე მოეწყო გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში. ზოგან ინიციატივა „ულტრებმა“ აიღეს და ცეცხლს მისცეს ლესინგის, გოეთეს, შილერისა და გერმანული ლიტერატურის სხვა კლასიკოსების თხზულებები. შემდეგ სტუდენტებიც შეუდგნენ თავიანთი ბიბლიოთეკების წმენდას. ყველა უმაღლესი სასწავლებლის ეზოში აგიზგიზდა კოცონი. იყო ჩირაღდნებით სვლა და ოსანას ძახილი: მიუნჰენში, დრეზდენში, ფრანკფურტში... ყველგან!..

ამგვარმა რიტუალმა ზოგან მთლიანად რელიგიურ-წარმართული ხასიათი მიიღო. ფრანკფურტში წიგნების კოცონთან ორი წითელი ხარი მიიყვანეს და მსხვრეპლად შესწირეს გერმანელთა ღმერთს ოდინს...

...მთელი მსოფლიო შეაძრწუნა მაშინ ამ ბარბაროსულმა აქტმა. გაიხსენეს, რომ სულ პირველად უძველეს ჩინეთში მოეწყო წიგნების ამგვარი აუტოდაფე,. შემდეგ ინკვიზიციამ „ისახელა თავი“ „ერეტიკული ლიტერატურის“ დაწვით. არც ვატიკანი დარჩენილა განზე. იქ, აკრძალული წიგნების სიაში ექვსი ათასზე მეტი ავტორი იყო მოხსენებული, მათ შორის: დ. ანუციო, ბალზაკი, ბერგსონი, ბრუნო, კროჩე, დეფო, ერაზმ როტერდამელი, დიუმა-მამა და შვილი, დარვინი, დეკარტე, ფრანსი, გალილეი, ჟიდი, ჰაინე, ჰობსი, იუმი, ჰიუგო, პრუდონი, კანტი, ლენაუ, ლესინგი, მორასი, რენანი, რუსო, სარტრი, სავონაროლა, სპინოზა, ზოლა. რომელი ერთი ჩამოთვალოს კაცმა! ნაცისტებმა კი იეზუიტებსაც გადააჭარბეს, ვატიკანსაც და ცეცხლს მისცეს დიდი ჰუმანისტი მწერლების ნაწარმოებები. ამის საპასუხოდ ლონდონში შეიქმნა „დამწვარი წიგნების დაცვის კომიტეტი“ ჰერბერტ უელსის მეთაურობით. პარიზში დაარსდა „თავისუფლების ბიბლიოთეკა“. რომენ როლანმა საქვეყნო პროტესტი განაცხადა, მსოფლიო პრესა აივსო ანეგდოტებითა და კარიკატურებით, მაგრამ რა... ცერცვი კედელს! გერმანიაში ისევ არბევდნენ თავისუფალ აზრს, ანადგურებდნენ ხელოვნების ძეგლებს, აპატიმრებდნენ და საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს. ხელმოცარულმა მხა-

ტვარმა-ეფრეიტორმა შურისძიების კვერთხი აღმართა. ისტორიის დასაცინად, მლიქვნელებმა იგი „გერმანიის პირველ ხელოვნად“ გამოაცხადეს. ხელოვნებისა და ლიტერატურის ნამდვილი წარმომადგენლები კი ისევ ემიგრაციაში გარბოდნენ. უნივერსიტეტებიც დაიცალა პროფესორებისაგან. ვისაც სად შეეძლო, იქ შეაფარა თავი: პრაღაში, ვენაში, ციურიხში, პარიზში, ლონდონში, სტოკჰოლმში, მოსკოვში, პალესტინაში...

ხელები ზევით...

გერმანიაში კი ისევ გაუთავებელი „წმენდა“ მიმდინარეობდა. ადგენდნენ ახალ-ახალ „შავ სიებს“. აკრძალულ წიგნებზე მეთვალყურეობა ისევ პოლიციას დაევალა. „მოსპობის ენთუზიაზმი“ ისე გაფართოვდა, რომ ადრე „შერისხულ“ გერმანელ მწერლებს სხვა ქვეყნების კლასიკოსებიც მიაყოლეს: ბოკაჩიო, ბალზაკი, ჰიუგო, ზოლა, შოუ და სხვები. 1935 წელს გაგამოქვეყნებულ „შავ სიაში“ უკვე 13 ათასი სახელწოდების წიგნი იყო შეტანილი... ნეტავ რას მოელოდნენ სამაგიეროს! მართალია, იმედს გამოთქვამდნენ, ჩვენი ბობოქარი ცხოვრება ისევე გამოისვრის გენიოსებს, როგორც ზღვის ტალღები მარგალიტებსო, მაგრამ ამგვარი „მარგალიტები“ არსად ჩანდა. ისე კი დიდი ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარეს ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის განსამტკიცებლად. 1933 წლის ნოემბერში დიდა ზეიმით გაიხსნა „კულტურის საიმპერიო პალატა“ (Reichskulturkammer). საზეიმო სხდომას ჰიტლერიც დაესწრო. სიტყვა წარმოთქვა გებელსმა. მან ჯერ „რეაქციონერებს“ შეუტია, მერე მოდერნისტი „არაფრის მაქნისები“ (Nichtskönner) გაკიცხა და, ყველაფერს გარდავქმნითო, განაცხადა...

შემდეგ უამრავი ასოციაციები თუ კავშირები შეიქმნა. „შრომის ფრონტის“ ხელმძღვანელმა დოქტორმა ლეიმაც მო-

ინდომა, თავის სისტემაში „გამრთობ ხელოვანთა“ დიდი რაოდენობა ჰყოლოდა. ამან გამოიწვია მისი კონფლიქტი გებელსთან. არც „პარტიული ზედამხედველი“ როზენბერგი იყო კმაყოფილი. იგი ასმენდა გებელსს ჰიტლერთან, მტკიცე პოლიტიკას არ იცავსო, მაგრამ იმ „მიკი-მაუსს“ მაინც ვერ მოერია. ამის პასუხად „კულტურის საიმპერიო პალატის“ პრეზიდენტობა თვითონ გებელსმა იკისრა და ამით უფრო გაიმაგრა პოზიცია. პალატის ხელმძღვანელ პოსტებზე მან პარტიული მოხელეების ნაცვლად „საქმის მცოდნე“ სპეციალისტები დანიშნა: რიჰარდ შტრაუსი, ოტო ლაუბინგერი, ჰანს გრიმი და სხვ. მისი პრინციპი იყო: „ხელოვნებას ხელოვნების მცოდნენი უნდა ხელმძღვანელობდნენ“.

გებელსი უფრო ძველ ტრადიციებს ემხრობოდა. ამბობდა: გერმანელი ხალხი და გერმანული მუსიკა ისე უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს, როგორც ეს XVI საუკუნეში იყო. მან სახვით ხელოვნებაშიც „ძველი სტილის“ აღდგენა მოინდომა, ეგვიპტის, საბერძნეთისა და რომის ხელოვნება სანიმუშოდ გამოაცხადა. ეს არ მოეწონა „პარტიულ ზედამხედველ“ როზენბერგს. კონფლიქტი გამწვავდა. ჰიტლერმა როზენბერგს დაუჭირა მხარი და გებელსს ხელოვნების უწყებათა ხელმძღვანელებად ისევ პარტიული მოხელეები დაანიშვნინა. ამით ხელოვნების ე. წ. „თვითმმართველობის“ პერიოდი დასრულდა. ხელოვნება და ლიტერატურა საბოლოოდ ჩაერთო ნაციონალურ-სოციალისტური აპარატის საერთო სისტემაში. საჯაროდ გამოაცხადეს, რომ ეს იყო აქტიურ „კულტურპოლიტიკაზე“ გადასვლა. გამომცემლობებში, თეატრებსა და კინოებში სასტიკი ცენზურა დაწესდა. „საეჭვო ხელნაწერებს“ პოლიციის განკარგულებაში გზავნიდნენ. ტერორი გაძლიერდა. „სხვაგვარად მოაზროვნენი“ სრულიად გამოთიშეს შემოქმედებითი ცხოვრებიდან. ხელისუფლება მხოლოდ იმათ უჭერდა მხარს, ვინც მის მოჯამაგირედ დგებოდა.

ყოველივე ამას ისინი „ნაციონალური ცხოვრების ინტეგრაციას“ უწოდებდნენ, სინამდვილეში კი ხელოვნება და ლიტერატურა ტოტალური სახელმწიფოს ერთ-ერთ სფეროდ იქცა. ეს „როზენბერგის ხაზის“ გამარჯვება იყო. მისი მითი-

თებით შეწყდა ყოველგვარი დისკუსია, გაუქმდა ლიტერატურული კრიტიკა, როგორც ჟანრი. ჰიტლერმა აკრძალა ხელოვნებასა და ლიტერატურაში იმ ნაწარმოებების კრიტიკა, რაც ნაციონალ-სოციალისტური თვალსაზრისით სასარგებლოდ მიაჩნდა. ვინც ამგვარ ნაწარმოებს აკრიტიკებდა, მას „ებრაული სულისკვეთების“ გამომხატველად თვლიდნენ. ასე გაჩნდა უცნაური გამოთქმა: „ებრაული კრიტიკა“. ამტკიცებდნენ: თვითონ ებრაელებს შემოქმედებითი სული არა აქვთ და სხვის ნაწარმოებებს აკრიტიკებენო.

— ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ კრიტიკა არ არის საპატიო მოვალეობა, — განაცხადა ჰიტლერმა, — იგი უნდა შეცვალოს შემოქმედებამ და ნების ერთიანობამ...

მერე სხვებმაც განავითარეს ეს აზრი და დაასკვნეს:

— ნაციონალურ-სოციალისტური სახელმწიფო კრიტიკას ვერ მოითმენს. იგი ვნებს ჩვენს კულტურას. ვინც სხვის ნაწარმოებს აკრიტიკებს, მან თვითონ უმჯობესი უნდა შექმნას, თორემ ისე ვერ იქნება. „უკეთესი მცოდნე“ (Besserwisser). ისეთი კრიტიკოსი კი ვის რად უნდა, ვინც თვითონ არაფერს ქმნის, გარდა იმისა, რომ სხვებს აკრიტიკებს. და, საერთოდ, თუ ნაწარმოები ნაციონალ-სოციალისტურია, რაღაა გასაკრიტიკებელი, თუ ნაციონალ-სოციალისტური არ არის, არც უნდა დაიბეჭდოსო, — აცხადებდნენ ისინი. იმათთვის კი ვინც მათი აზრით, ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგი იყო, საკონცენტრაციო ბანაკები ჰქონდათ.

ყოველივე ამის შედეგი ის იყო, რომ გებელსმა სპეციალური ბრძანებით აკრძალა კრიტიკა და ამის ნაცვლად ე. წ. „სარეკლამო ცნობარები“ შემოიღო.

ამის შემდეგ ჰანს იოსტმა საჯაროდაც განაცხადა:

— მე ვიცნობ ლიტერატურული კრიტიკის მხოლოდ ერთ სახეს:

— ხელები ზევით, თორემ გესვრი!..

..ბევრი ისედაც ხელებაწეული დადიოდა. სხვები ერთხანს ცდილობდნენ ოპოზიციაში ყოფნას, მაგრამ მათ წინააღმდეგ „ლიტერატურული პოლიციელები“ ამოქმედდნენ.

აქაოდა, ექსპრესიონისტულ ხელოვნებას იცავენო, სასტიკად ჩაახშეს სტუდენტთა წრეში ჩასახული „ოპოზიცია“. ბერლინის უნივერსიტეტში საერთო კრებაც მოიწვიეს „ხელოვნების რეგლამენტაციის“ საკითხებზე, სადაც „სტუდენტთა ოპოზიციური მოძრაობა“ ოტო შტრასერის „ოპორტუნიზმს“ დაუკავშირეს. მიუხედავად ამისა, რამდენიმე სტუდენტი მაინც გამოვიდა და გაილაშქრა „ვილჰელმის დროის აკადემიზმის“ აღორძინების წინააღმდეგ. ისინი უარყოფდნენ დოგმატიზმსა და ნატურალიზმს, იცავდნენ ე. წ. „თანამედროვე ხელოვნებას“ და მოითხოვდნენ აზრის თავისუფლებას.

ამ კრებას სხვა უნივერსიტეტებისა და სამხატვრო აკადემიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ისინი აღშფოთებული იყვნენ ხელოვნების საქმეში მოიერიშეებისა და პოლიციის ჩარევით. ვიღაცამ დაიძახა კიდეც დარბაზიდან:

— მოიერიშეების საქმე ქუჩაა და არა ხელოვნების ტაძრები!..

— გაუმარჯოს ნამდვილ ნაციონალურ-სოციალისტურ რევოლუციას! — გამოეხმაურნენ მას იარუსებზე.

ეს უკვე, ოტო შტრასერის კი არა, რემის „მეორე რევოლუციას“ ჰგავდა. ამან როზენბერგი გააცოფა. იგი დარწმუნებული იყო, რომ გებელსი მხარს უჭერდა ოპოზიციონერებს. მის ბინაში ბარლახის და ნოლდეს სურათები ჰკიდიაო, — თქვა მან.

შესაძლებელია, ეს სიმართლესთან ახლოს იყოს. გებელსი არ ეთანხმებოდა „როზენბერგის ხაზს“. მისი ნებართვით, ჰანს ვაიდემანი და სხვები „თანამედროვე ხელოვნების“ გამოფენას ამზადებდნენ, მაგრამ ამასობაში „რემის პუტჩი“ ჩააქრეს და ჰიტლერმა გამოაცხადა, „ნაციონალ-სოციალისტური რევოლუცია დამთავრდაო“. ამით „ოპოზიციას“ ნიადაგი გამოეცალა. გახშირდა როზენბერგის გამოსვლები „ფოლკიშერ ბეობახტერში“. სტატიაში „რევოლუცია სახვით ხელოვნებაში“ მან აშკარად უკიჟინა „ოპოზიციონერებს“ — ოტო შტრასერის მიმდევრები ხართო. ამის შემდეგ მისმა მომხრეებმაც აუწიეს ხმას: ჰიტლერს და როზენბერგს ებრძვიანო, პარტიის პოლიტიკას არ სცნობენო და სხვ.

„ოპოზიცია“ შედრკა, მაგრამ „ახალი ხელოვნების“ კიდევ ერთი გამოფენა მაინც მოეწყო. „30 გერმანელი მხატვარი“ — ასე ეწოდებოდა ამ გამოფენას, რომელშიც ექსპრესიონისტებიც იღებდნენ მონაწილეობას. სამი დღის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის ფრიკის ბრძანებით გამოფენა დაიხურა. სამხატვრო გალერეის შესასვლელთან პოლიციელები დადგნენ. გამოფენის ინიციატორები — ჰიპლერი და შრაიბერი გარიცხეს სტუდენტთა ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციიდან. მერე პროფ. შარდტმაც მოაწყო მოდერნისტული გამოფენა, მაგრამ მას უარესი დღე დაადგა, — გესტაპოში ამოყო თავი. საქმე ისე გამწვავდა, რომ საჭირო გახდა ჰიტლერის ჩარევა. მან შექმნა „ნაციონალ-სოციალისტური პარტიის იდეური წვრთნის სამსახური“ და მის სათავეში როზენბერგი დააყენა. ამით გებელსის პოზიცია შესუსტდა. მერე ისევ ლეიმ წამოყო თავი და გებელსის დახმარებით „შრომის ფრონტთან“ მრავალრიცხოვანი ორგანიზაცია „ძალა სიხარულშია“ (Kraftim Freude) ჩამოაყალიბა. ისევ გაიხსნა ექსპრესიონისტების თითო-ოროლა „ოპოზიციური გამოფენა“ — ნოლდესი, ბარლახის, ფაინინგერის... ამ საქმეს მხარი დაუჭირა გოტფრიდ ბენმა. აქა-იქ დისკუსიებიც გაიმართა, მერე ეშმაკურ ხერხსაც მიმართეს...

აერო მხატვრობა...

1934 წლის ზაფხულში იტალიელი ფუტურისტები მოიწვიეს გერმანიაში და მათი გამოფენაც მოაწყვეს. გამოფენას ჩამოჰყვა როჯერ ვაზარი და ე. წ. „აერო მხატვრობის“ (Aero pittura) ჯგუფი: პრამპოლინი, ფილია, ორიანი, ამბროზი, ჯიტიო და სხვები. დიდი არაფერი, მაგრამ ეს მაინც „მეგობრული იტალიის“ მხატვრობა იყო და შეურაცხყოფას ვერ მიაყენებდნენ. არც გერინგი და გებელსი შეხვედრიან მტრულად ამ გამოფენას, როზენბერგი კი ისევ „თავის ხაზს“ იცავდა. მან „ფოლკიშერ ბეობახტერში“ მოათავსა სტატია ამ გამოფენის შესახებ და განაცხადა:

— უცხოეთის ზეგავლენა შემოიჭრა ჩვენში. მათ უნდათ, ეჭვის ქვეშ დააყენონ ჩვენი ხელოვნება. ფუტურიზმი იტალიაშიც სუსტი მოვლენაა. უკვე დიდი ხანია, რაც მთავრობა აღარ უჭერს მას მხარს...

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ როზენბერგმა ამგვარ მხატვრობას „კულტურული ბოლშევიზმი" (Kulturbolschewismus) უწოდა.

დიდი ხმაური ატყდა მაშინ ამის გარშემო. ვაზარიმ როზენბერგის საწინააღმდეგოდ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია: „აერომხატვრობა, თანამედროვე ხელოვნება და რეაქცია". უწინარეს ყოვლისა, მან უარყო, რომ ფუტურიზმი „ბოლშევიკური ხელოვნებაა". მერე გოგენის სიტყვებიც დაიმოწმა: „ხელოვნებაში ან რევოლუციონერები არიან, ან პლაგიატები", ბოლოს კი მუსოლინის ციტატიც მოიმარჯვა: „ახალი სახელმწიფო, ახალი ხალხი, ახალ რევოლუციურ ხელოვნებას მოითხოვს".

კამათში იტალიელი ფუტურისტების მეთაური მარინეტიც ჩაება და განაცხადა, „ეს ხელოვნება ეროვნულ-გმირული სულისკვეთებისა და რასის უმაღლესი გამოხატულებაა". „მფრინავი ძალა", „ეპოქის რიტმი", „გემოეტრიული ფორმები", — გაისმოდა პრესაში.

ამის შემდეგ გერმანელმა ექსპრესიონისტებმაც ამოიდგეს ენა. დადაისტებიც მათ მიემხრნენ. „აბსტრაქტული ხელოვნება ეპოქის მაჯისცემას გამოხატავსო", — განაცხადა ჰამბურგის გაზეთში რუდოლფ ბლიუმერმა. მერე სხვებმაც დაწერეს „ექსპრესიონიზმი ჩვენთვის ისეთივე გერმანულ-ჩრდილოური ხელოვნებაა, როგორიც იტალიისათვის ფუტურიზმია რომანულიო".

ყოველივე ამით „როზენბერგის დოგმატიზმი" შეურაცხყოფილი დარჩა. იგი აშკარად ვეღარ იცავდა თავის პოზიციას, რადგან ამტკიცებდნენ, მუსოლინიმ ფუტურიზმი „სახელმწიფო ხელოვნებად" გამოაცხადაო. იმასაც ამბობდნენ, „მუსოლინი პოლიტიკური ფუტურისტიაო". ამიტომ ეშინოდათ, ჰიტლერის „პირადი მეგობრის" — დუჩეს წინააღმდეგ გამოს-

ვლას შეიძლება „პოლიტიკური სკანდალი“ მოჰყვესო. ეს ამაო შიში იყო, რადგან ჰიტლერი არცთუ ისე მაღალი აზრისა იყო იტალიის თანამედროვე ხელოვნებაზე. ერთხელ თქვა კიდეც, ფრანგული მხატვრობა არ მომწონს, ვერც ვარჩევ, რა არის იქ კარგი და რა — ცუდი. იტალიური მხატვრობა ვარგისია მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნის. მეცხრამეტეში ძველი მხატვრობა დაეცა, ახლანდელი კი, რაც არის, სულ დეგენერატულია.

ჰიტლერის აზრი მაშინ არ იცოდნენ და ეშინოდათ, ვაითუ მიზანში ვერ მოვახვედრეთო. ამიტომ იყო, რომ როზენბერგმაც უკვე პრესაში კი არა, საკუთარ დღიურში ჩაწერა:

— სრული დაბნეულობაა, არავითარი გარკვეული ხაზი. გებელსმა სულ არია ყველაფერი...

იმისათვის, რომ შექმნილ სიტუაციაში უკეთ გარკვეულიყვნენ, როზენბერგსა და გებელსს შორის დიდი მიწერ-მოწერა გაიმართა. როზენბერგს უფრო აგრესიული ტონი ჰქონდა, გებელსი კი გვერდს უვლიდა მის შემოტევას. მტრებს უნდათ, ერთმანეთს წაგვკიდონ, მე კი საამისოდ არც დრო მაქვს და არც სურვილიო, — მისწერა მან როზენბერგს.

გებელსი საჯაროდ იცავდა თავის პოზიციას: „ხელოვნება დამოკიდებულია უნარზე“ (Kunst kommt von können), — ამბობდა იგი, — მაგრამ ვისაც რამე უნარი ჰქონდა, საზღვარგარეთ გაიქცა. ამიტომაც უნდოდა ემიგრაციაში წასული გამოჩენილი მწერლების, მხატვრებისა და კომპოზიტორების დაბრუნება, თუმცა აქაც „პარტიული ზედამხედველის“ კატეგორიულ წინააღმდეგობას წააწყდა. ბოლოს მათ დავაში თვით „იმპერიის პირველი ხელოვანი“ ჰიტლერი ჩაერია. მან 1933 წლის ბოლოს წარმოთქვა „საპროგრამო-დირექტივული“ სიტყვა, რამაც ერთბაშად მოუღო ბოლო ამ დავას...

ცოდვის ტრიალი...

ჰიტლერის სიტყვის თემა იყო: „გერმანული ხელოვნება, როგორც გერმანელი ხალხის ინტერესების ყველაზე ამაყი (stolzeste) დამცველი“.

— ყველა ხალხს ჩამოყალიბებული აქვს თავისი რასობრივი მსოფლმხედველობა, რაც განსაზღვრულია ბიოლოგიურად, — ქადაგებდა იგი. მერე გამოაცხადა, რომ ხელოვნებაში არის „გახრწნისა და გადაგვარების“ ტენდენციები, ლიბერალიზმისა და ინტერნაციონალიზმის სენი, რაც, თურმე, „ასუსტებს ხალხის ბიოლოგიურ სუბსტანციას“.

ჰიტლერმა გამოთქვა სურვილი, რომ გერმანული ხელოვნება დაუბრუნდეს თვითმყოფობის ადრინდელ ეტაპს, დაიცვას სისხლისა და რასის თვისება, იბრძოლოს პაციფიზმის წინააღმდეგ, ხელი შეუწყოს არიელი ადამიანის ახალ რენესანსს.

— ხელოვნებას აკისრია ამაღლებული და ფანატიზმამდე მისული მოვალეობის გრძნობის გამოსახვის მისია, — განაცხადა მან, — ვისაც ღვთისაგან მომადლებული ნიჭი აქვს, ბგერებსა და ქვებში უნდა აამეტყველოს ჩვენი დრო. იგი ამას გააკეთებს კიდეც, თუნდაც თანამედროვეობამ უარყოს იგი ან ვერ გაუგოს მას. ჭეშმარიტი ხელოვანი ის არის, ვინც ხალხის სულს გაუხსნის თანამედროვეობას. ვინც ამისთვისაა მოწოდებული, ერის შემოქმედებითი ძალის უმაღლესი გამოხატულებაა. ამის შემდეგ მან ჩამოაყალიბა თავისი „უაღრესად ავტორიტეტული“ პრინციპები:

ხელოვნების დარგებს შორის მთავარზე უმთავრესი არქიტექტურაა. პოლიტიკას რომ არ გავყოლოდი, ყველაზე დიდი არქიტექტორი ვიქნებოდიო.

მერე როგორღაც ეს ორი ცნება — „პოლიტიკა“ და „არქიტექტურა“ გააერთიანა და თავი „პოლიტიკური არქიტექტურის“ უდიდეს ქურუმად გამოაცხადა. მიზნად კი გერმანელთა ათასწლოვანი იმპერიის, როგორც ერთი მთლიანი არქიტექტურული ნაგებობის, შექმნა დაისახა. ეს უნდა ყოფილიყო ტოტალური წესრიგის ნიმუში. ახალი ნაციონალ-სოციალისტური რელიგიის ტაძარი, ანუ „ქვადქცეული რწმენის განსახიერება“ (Steirgewordene Verkörperurg des Glaubens), „ყველაფრის ერთში (aller in Eirem) მისტიკურად ამაღლებული ერთიანობა“. ამას უცნაური თქმებიც მოჰყვა: „მშენებლობის ნება“ (Bauwille), „პოლიტიკურ-საკრალური შენობები“,

„რწმენის ნაგებობანი“ და სხვ. მისი იდეალი იყო: ბერძნულ-რომაული სტილი, პართენონი, ვერსალი. ბელვედერი, პრინც ევგენის სასახლე, როგორც ძალაუფლებისა და მარადიულობის სიმბოლოები. გოთიკა არ მოსწონდა. ბაროკოს არ უარყოფდა, მაგრამ არც სანიმუშოდ თვლიდა. უყვარდა მონუმენტური შენობები უზარმაზარი კოლონებით, მძიმე ფრონტონები და პილიასტრები, „სიდიადისა და ფერადოვნების“ ზეიმი. სანიმუშოდ მას რაიხსკანცელარიის შენობა მიაჩნდა. უფრო კი მისი ზედამხედველობით აგებული „პარტიული ყრილობების“ ადგილი, ნიურნბერგის გრანდიოზული სტადიონი, 30 კვადრატული კილომეტრი მოედანი, 100 მეტრის სიფართე გზა, 80 მეტრის სიგანეზე ფრთაგაშლილი არწივი. გრძელი ისარი, რომელიც იმ სავარძელზე მიუთითებდა, სადაც ჯდებოდა ჰიტლერი. უკან გაშლილი უღრანი ტყე, „გერმანული მუხები“ და გოლგოთის მსგავსი სამსხვერპლო ფერდობი. აქ იმართებოდა ხალხმრავალი დღესასწაულები, ტანკებისა და თვითმფრინავების მონაწილეობით. იყო ერთი ზეიმი და ღაღადისი ფიურერისადმი. ზეცაში ატყორცნილი პროჟექტორები ერთ უზარმაზარ სინათლის გუმბათს ქმნიდა, რაც ვითომ ნათელივით ადგა თავზე ხალხს და მის ფიურერს.

ასევე სახვით ხელოვნებაში: „ჰეროიკული ბუნება“, ძლიერი სხეული, მებრძოლი რაინდული პორტრეტები, შრომის პროცესების ასახვა და სხვ.

ჰიტლერი ვერ იტანდა მოდერნიზმს. ამბობდნენ, ის, რითაც გატაცებული იყო მეოცე საუკუნის ევროპა, უცხო დარჩა ჰიტლერისთვისო. ამიტომ იყო, რომ თავის „საპროგრამო“ სიტყვაში, უწინარეს ყოვლისა, ე. წ. „სიახლის მაძიებელთ“ შეუტია:

— ჯერ არნახული არ ნიშნავს კარგს, პირიქით, ეს ხელოვნების გაუფასურების ნიშანია, — ამტკიცებდა იგი, — ვინც ამ გზით წავა, გაუგებარი დარჩება ხალხისათვის და კისერს მოიტეხს, რადგან ეს შარლატანობაა მხატვრობაში, მოქანდაკეობაში, მუსიკაში. იგი ერის სულიერი დეკადანსის ნიშანია...

ჰიტლერმა განაცხადა:

— თუ სხვადასხვაგვარი მიმართულება იქნება ხელოვნებაში და მათ შორის დისკუსია გაიშლება, ეს ავადმყოფურ დეკადანსს წააქეზებს და გვაიძულებს დავადგინოთ, თუ რა საფუძვლებს ეყრდნობა იგი, ვინაიდან გერმანელობა ბუნებრივად სიჯანსაღეს ნიშნავს და ამგვარი ავადმყოფობა უცხოა მისთვის...

მერე მუქარაზე გადავიდა და იყვირა:

— ნაციონალ-სოციალიზმი იზრუნებს იმაზე, რომ ასეთი ელემენტები გაქრნენ. ამისათვის ჯერ დიაგნოზი უნდა დაისვას: ვინც ახალს ეძებს სიახლისათვის — გიჟია. უწინ ასეთებს საგიჟეთში გზავნიდნენ. არც ნაციონალ-სოციალიზმი მოითმენს კულტურის ფრონტზე ამგვარ ჯამბაზობასა და უქნარობას.

ბოლოს განაჩენიც გამოიტანა: ისინი თავიანთი სტილის გარდაქმნას ვეღარ შესძლებენ, ვერ იქცევიან მომავლის ხელოვნების მედროშეებად და ამიტომ უნდა განდევნილ იქნენ ხელოვნების სფეროდანო...

...ნაგაზი რომ დაიყეფებს, ფინიები წკავწკავს მორთავენო. ჰიტლერმა რომ ასეთი კურსი აიღო, მის მიერ „ხელდასხმულებმაც“ იგივე „ხაზი“ განავითარეს:

— თუ გინდათ, მიიღეთ ეს პირობები, არადა, წაეთრიეთ აქედან! — ასეთი იყო მათი პოლიტიკა.

იმ დღიდან დაიწყო ნამდვილი ცოდვის ტრიალი, გაუგონარი თარეში ხელოვნების სფეროში. საქმეში ისევ ფრიკი და მისი პოლიცია ჩაერია. იგი უკვე „სრულიად გერმანიის იმპერიის“ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და უფრო უფლებამოსილიც. მისი განკარგულებით სამინისტროებში, თეატრებში, მუზეუმებსა და კინოსტუდიებში დაინიშნენ ე. წ. „ხელოვნების კომისრები“ (Kunstkomissaren) — ისევ ის ციგლერი, ჰინკელი და სხვები. ხელმძღვანელ თანამდებობებზეც „ნამდვილი ნაცისტები“ დანიშნეს, რომელთაც ხელოვნებისა და ლიტერატურისა არაფერი გაეგებოდათ. ბევრი ბუზღუნებდა: თანამდებობა კი არ ამშვენებს ადამიანს, არამედ ადამიანი თანამ-

დებობასო, მაგრამ ამას ვინ უყურებდა. მთავარი ცოდნა კი არა, ბრძოლა იყო. გეგონებოდათ, მტრის ლაშქრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომისათვის ემზადებიანო, „ღმერთების სასაცილოდ“, ბიბლიური ლოზუნგიც გადმოისროლეს:

— თვალი — თვალის წილ, კბილი — კბილის წილ!..

„ხელოვნების მოიერიშეებმა“ მთავრობას მიმართეს წერილით, რათა გამოეყარათ მუზეუმებიდან არასაურველი ნაწარმოებები, გაეწმინდათ ხელოვნების დაწესებულებანი „არაადამიანებისაგან“. საქმეც ისე წარმოადგინეს, თითქოს ეს ხალხის მოთხოვნა იყო. ხალხს კი ნაკლებ აინტერესებდა ყოველივე ეს, მაგრამ ასეთი ხმაური რომ ატყდა, ყველამ ყურები ცქვიტა, ეს რა ხდებაო. ხელისუფლების განკარგულებით, ჯერ კარლსრუეში, ნიურნბერგში, დრეზდენსა და ჰემნიცში, ხოლო შემდეგ სხვა ქალაქებშიც გაიხსნა „საშინელებათა გალერეები“ (Schreckenskammer), სადაც „არაგერმანული სულის თხუპნიების“ ნაწარმოები გამოფინეს, ვითომ, მოდით, ნახეთ, ეს რა საზიზღრობაა. პრესაში ამ გამოფენებს უწოდებდნენ: „ხელოვნების კონტრევოლუციას“, „მტერ-მოყვარის გათიშვას“ (Freund-Feind-Scheidung), „ნაგავსა და ტალახს“ (Schmutz und Schmud).

ამას პირდაპირი ტერორი და რბევა მოჰყვა. იმ საშინელი ამბების მოწმე როზე ვალანდი გადმოგვცემს:

— მოიერიშეები დანებით იყვნენ შეიარაღებულნი. ისინი ჭრიდნენ, ხევდნენ და წვავდნენ სურათებს. მუზეუმების ეზოებში დანთებული კოცონის კვამლის სვეტები ცას წვდებოდა: იწვოდა მასონის, მიროს, პიკაბიას, ვალადონის, კლეეს, ერნსტის, ლეჟეს, პიკასოს, კირლინგისა და სხვათა სურათები. ვინც შეძლო, თავს უშველა, ვინც არა — საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა და ცნობილი მხატვრის კეტე კოლვიცის ტრაგიკული ბედი გაიზიარა. იყვნენ ისეთებიც, რომელნიც გერმანიაში დარჩნენ და ნეიტრალური პოზიცია დაიჭირეს. ისინი ხიფათს ერიდებოდნენ, არავის არაფერში არ ეწინააღმდეგებოდნენ, იყვნენ თავისთვის და ითმენდნენ ყველაფერს. ომის

შემდეგ მათ ესეც „გმირობად“ ჩაეთვალათ და „შინაგანი ემიგრანტების“ საპატიო ტიტულიც მიიღეს.

იმ მძიმე დღეებში ტუჰოლსკი წერდა არნოლდ ცვაიგს:

— ქვეყანა მარტო ის კი არ არის, რასაც აკეთებს, არამედ ისიც, რასაც იტანს და ითმენს....

„შინაგანი ემიგრანტებიც“ იტანდნენ და ითმენდნენ. პირველ დღეებში მათ ჯერ კიდევ ჰქონდათ პიროვნების თავისუფლების ილუზია, ხოლო როცა ყველაფერი გაშიშვლდა და აშკარა გახდა, თავიანთთვის თხზავდნენ რაღაცეებს, რაც ხელნაწერის სახით ხელიდან ხელში გადადიოდა. ზოგიერთი მათგანი (ვერნერ ბერგენგრუერი, რაინოლდ შნაიდერი, ალბრეჰტ ჰაუსჰოფერი) მსხვერპლადაც შეეწირა ამ გაბედულებას, სხვებს ისე ეპყრობოდნენ, როგორც „არასასურველთ“, „არასაიმედოთ“, მაგრამ... ითმენდნენ და იტანდნენ.

„აბორიგენი მწერლები“ ამას სულიერ წინააღმდეგობას (Geistige Wiederstand) უწოდებენ, თუმცა არავის წინააღმდეგ არ გამოდიოდნენ. გარეგნულად ისინი ლოიალურად იყვნენ განწყობილნი ჰიტლერული რეჟიმისადმი, საჭიროების შემთხვევაში ტაშსაც უკრავდნენ საჯარო ადგილებში, მაგრამ შინ, სახლში, საკუთარი „მეს“ წინაშე, თითქოს წინააღმდეგნი იყვნენ იმისი, რაც ნაცისტურ გერმანიაში ხდებოდა. მართალია, ეს ჩვენებურ „ამირან გულში მღეროდაოს“ ჰგავს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მათი წიგნები არ იყო ნაციონალ-სოციალისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი. ზოგიერთ მათგანში კი შეფარვით, ვითომ შორეული წარსულის ამბების მოყოლით, ნაცისტური რეჟიმის საწინააღმდეგო აზრებიც იყო გატარებული. ასე, მაგალითად, რაინოლდ შნაიდერის რომანში „კონკვისტადორები“ დომინიკანელი პასტორი ეუბნება კაიზერს:

— ცუდი საშუალებებით კარგს ვერას მივაღწევთ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენი საშუალებანი კი ცუდია. მე რომ შემეძლოს, სიმართლის სარკე მოგიტანოთ თვალებთან, იგი წინ დაგიყენებდათ ათასჯერ უფრო ცუდ საშუალებებს და ყველა სირცხვილით დაიწვებოდა, ვინც ამ სარკეში ჩაიხედავდა...

ვალტერ მოლო და ფრანკ თისი ამიტომაც წერდნენ თ. მანს, გერმანიაშიც იყვნენ ღირსეული მწერლებიო. ვის გულისხმობდნენ ისინი ამ „ღირსეულებში?“ შეიძლება ჰაუპტმანს, კელერმანს, ფალადას, ბენს, ხუჰს, მოლოს, იუნგერს, კაროსას ან ბერგენგრუენს, ბრიტინგს, ვიჰერტს, ედშმიდს, ლემანს, პეტცოლდსა და „დახვეწილი ბუნდოვანების“ თუ „ესთეტიკური ესკეპიზმის“ წარმომადგენლებს, რომელნიც თვითონ ქმნიდნენ თავიანთ „ხელოვნურ არკადიას“, გარბოდნენ წარსულში, იდილიურ ფანტასტიკაში, სილამაზის მარადიულობაში და პასტორალურ სანტიმენტალიზმში. ისე, კაცმა რომ თქვას, არავინ არსად არ გაქცეულა. ისინი შეეგუენ „ორნაირ ცხოვრებას“ და იმ სატანის სამოთხეში არცთუ ისე ცუდად გრძნობდნენ თავს. იყვნენ, რა თქმა უნდა, ბორჰერტის მსგავსი გამონაკლისებიც, რომლებმაც ტრაგიკულად განიცადეს და აღიქვეს ის საშინელი ამბები. ის კი არა, 24 წლის ნიჰიერმა მწერალმა ეუგენ გოტლიბ ვინკლერმა ვეღარ აიტანა ნაციზმის მოძალება და 1936 წელს თავი მოიკლა. ეს უკვე არა „ესთეტიკური“, არამედ ნამდვილი „ესკეპიზმი“ იყო. ასევე მოიქცა იოჰან კლეპერი. მან იმდენი დევნა განიცადა გერმანიაში, რომ ვერ გაუძლო, ჯერ „გაიღუნა“, — ნაცისტების მოსაწონი რომანი „მამა“ დაწერა, მაგრამ გულს მაინც ვერ მოერია, და... 1942 წელს ცოლთან ერთად მოიკლა თავი. ხოლო ვინც არ „გაიღუნა“ და არ „გატყდა“, მათი ნაწარმოებები დაწვეს, სურათები კი მუზეუმებიდან გამოყარეს და გაანადგურეს. თანამედროვე მხატვრობის ყველა გამოფენა დაიხურა. დაიწყო მუზეუმების და სამხატვრო გალერეების ტოტალური წმენდა, რასაც „გამწმენდ ომს“ (Säuberungskrieg) უწოდებდნენ. მერე ისევ „შემაძრწუნებელი გამოფენა“ (Schauderausstellung) მოაწყვეს. კანდინსკის, გროსის, დიქსის, კლეეს კოლტვიცის, ნოლდესა და სხვათა სურათებს საჯარო „ლინჩი“ მოუწყვეს. ათასზე მეტი „შემაძრწუნებელი“ სურათი მიიტანეს მიუნჰენის არქეოლოგიის ინსტიტუტის შენობაში და დერეფნის შავად შეღებილ კედლებზე მიაჭედეს ან მიაყარეს ექსპოზიციის ყოველგვარი წესის დაცვის გარეშე. მხატვრების სახელები კი შავ ბოძებზე გააკრეს.

— ამ სურათების ავტორები თვითონაც უნდა გააკრან ამ ბოძებზე, რომ ყოველ გერმანელს მიეცეს საშუალება, სახეში შეაფურთხოს მათ, — გაჰყვიროდა მიკროფონში მხატვართა პალატის პრეზიდენტი ციგლერი.

მერე თვით ჰიტლერმაც ინება გამოსვლა. მან მოუწოდა ხალხს — მოდით და ნახეთ, ეს რა შემაძრწუნებელი რამეაო.

გამოფენას მართლაც უამრავი ხალხი მიაწყდა. დღეში 20 ათასი კაცი მიდიოდა, კვირა დღეს 36 ათასი დამთვალიერებელი იყო. ზოგი აღშფოთებას გამოთქვამდა, სხვები საყვარელ მხატვართა ნაწარმოებებს ემშვიდობებოდნენ.

შემდეგ ჰიტლერმა ბრძანა, ამიერიდან ეს საშინელება არავინ არ უნდა ნახოსო და პოლიციელებიც მაშინვე დატრიალდნენ. იმავე დღეს 5 ათასი სურათი და 12 ათასი გრაფიკული ნაწარმოები ნავსადგურის საწყობებში ჩაყარეს. ზერე ის საწყობები ხორბლის შესანახად რომ დასჭირდათ, სურათების მოსპობა გადაწყვიტეს. დოქტორმა ჰოფმანმა განაცხადა: ეს სურათები დავწვათ და პანაშვიდზე სულის მოსახსენებელ სიტყვას (Leichenrede) მე წარმოვთქვამო.

გებელსი ჯერ შეყოყმანდა. გერინგმა რამდენიმე სურათი შინ წაიღო, ზოგი უცხოელებმა იყიდეს, დანარჩენი კი დაწვეს...

... ამის შემდეგ გამოფენების ორგანიზაციას თვით ჰიტლერი ჩაუდგა სათავეში. მისი მთავარი კონსულტანტი ამ საქმეში ფოტოგრაფი ჰოფმანი იყო. ჯერ იგი გაცხრილავდა ექსპოზიციას თავისი გემოვნების მიხედვით, შემდეგ ჰიტლერი ამალასთან ერთად ჩამოუთოხარიკებდა გამოფენას, თან მათრახით ანიშნებდა სურათებზე და იძახდა:

— ეს კარგია..

— ეს დატოვეთ!..

— ეს ჩამოხსენით!..

— ეს დაწვით!..

ზოგჯერ ისე გახელდებოდა ხოლმე, თვითონ მივარდებოდა სურათს, ძირს დაანარცხებდა, ზედ ფეხებით შედგებოდა და ყვიროდა:

— ამის დამხატავი საგიჟეთში გაგზავნეთ!..
— ამის დამხატავი — საკონცენტრაციო ბანაკში!..
ეს განკარგულებები მაშინვე სრულდებოდა.

ᲒᲠᲫᲔᲚᲢᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲕᲖᲘ...

ასეთი საავალალო ბედი ეწია გერმანული კულტურის ყველა დარგს. დაიღუპა კარგი ტრადიციები, შეწყდა ახლის შექმნის იმპულსი. მთელს იმპერიაში გამეფდა ტოტალური რეჟიმი, რამაც კარის პოეტები, მუსიკოსები და მხატვრები მოითხოვა — უმთავრესად მეხოტბენი და მადიდებელნი, ისინი, ვინც უყოყმანოდ შეასრულებდნენ ნაცისტური ხელისუფლების მითითებებს. რა თქმა უნდა, ასეთებიც აღმოჩნდნენ, და ისიც, არა ერთი ან ორი, არამედ მთელი პლეადა ნაციონალ-სოციალისტურად გაწვრთნილი ხელოსნებისა, რომელთაც შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის ნაკლებობა ხელისუფლების მიერ ნაბოძები მოწყალებით უნდოდათ შეევსოთ...

გერმანული ანდაზაა: „ვისაც ეშმაკის ჯამიდან ჭამა უნდა, გრძელტარიანი კოვზი უნდა ჰქონდესო“. ასეთი კოვზი ბევრმა მოიმარჯვა. ზოგმა ხელებიც წაიგრძელა, კისერიც და, როგორც იქნა, მისწვდა იმ ჯამს. ეშმაკმაც აღარ დააყოვნა. იგი მაშინვე დაეუფლა მათ სულს და თავის ლაშქარში ჩარიცხა. ზოგმა გაძალიანებაც სცადა, პირჯვარი გადაიწერა და „ფუი ეშმაკსო“, დაიძახა, მაგრამ ბოროტი სული მაინც არ შედრკა, ძალა იხმარა, ვისაც მეტად შემოსწყრა — გაანადგურა, ვისაც ნაკლებად — შეიპყრო და ჯოჯოხეთის სატანჯველი აგემებინა. მერე „ის შხამიანი ნექტარიც“ გამოიყენა და „სიმართლისათვის დევნულთ“ 30 ვერცხლის ფასად წინ აბრაამის ტაბლა გაუშალა.

ვაჟას ეშმაკიც იმუქრებოდა, რომ მოისყიდიდა „სიმართლისათვის დევნულთ“ და აიძულებდა მათ, ღირსება მდგომარეობაზე გაეცვალათ. იგი ასე მიმართავდა ქრისტეს:

— მე შევამცირებ რიცხვს დევნულთა სიმართლისათვის,

რათა დაკარგონ მათ სასუფეველი ცათა, ჩაირიცხნენ ჩემს ლაშქარში და ემსახურონ უსამართლობას, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს სასუფეველი ცისა და ქვეყნისა. მივცემ დიდ პალატთა საცხოვრებლად, შევმოსავ ძვირფასის სამოსლით, მივუჩენ კეკლუცთა ბანოვანთა, დავატკბობ ყოვლის ქვეყნიურის სიკეთით და ვნახოთ მაშინ, იქნებიანღა ისინი დევნულნი სიმართლისათვის?! ჰნახეთ მაშინ, უკმევდნენ რა გუნდრუკს უსამართლობას, სცემდნენ მას თაყვანს. ეძიე, ნაზარეველო, მაშინ დევნული სიმართლისათვის და, უკეთუ ჰპოვო, დაუთმე სასუფეველი ცათა!

ბევრი გერმანელი წვრილფეხა მწერალი მიჰყვა ეშმაკის ამ მცნებას და მის ჯამში ჩაჰყო ხელი. ხელისუფლებაც ყოველმხრივ უწყობდა მათ ხელს. ნაცისტური „კულტურის“ მოღვაწეები აავსეს ჯილდოებითა და პრემიებით. პარტიული ხელმძღვანელები ზრუნავდნენ მათ კეთილდღეობაზე. მიუნჰენის ოპერის დირექტორმა ბორმანს მისწერა, ახლამოწვეული მსახიობებისათვის ბინები არ მყოფნისო. ბორმანმა ამის შესახებ ჰიტლერს მოახსენა, ამ უკანასკნელმა კი გაულაიტერს დაავალა, ნახეთ, ხომ არ შეიძლება კიდევ ებრაელების ბინების გათავისუფლებაო.

ჩვენ უკვე ვიცით, რას ნიშნავს ამგვარი „გათავისუფლება“. იმათ კი არც სხვისი ბინები ეთაკილებოდათ და არც დაუმსახურებლად მიღებული ხოტბა-დიდება. თვითონაც „გეორგესებურ ჰიმნოგრაფებად“ თვლიდნენ თავს და გუნდრუკს უკმევდნენ ნაცისტური ჯოჯოხეთის მეუფეებს. ესეც თავხედობა იყო. მართალია, გეორგეც ჰიმნოგრაფია, მაგრამ ბრწყინვალე პოეტი. გერმანელ ნაცისტ მეხოტბეებსაც სურდათ შეენარჩუნებინათ გეორგეს ჰიმნების პათოსი, მაგრამ უნიჭო პანეგირიკებს ვერ გასცდნენ. სამაგიეროდ, საინტერესო აღმოჩენა გააკეთეს თავის გასამართლებლად: „ბოდიში, მაგრამ უნიჭობა მორალური დეფექტი არ გახლავთო“.

— შეიძლება ჩვენს შორის გენიოსები არ იყვნენ, — ამტკიცებდა ერთი მათგანი, — მაგრამ სამარადისო საქმეს ვაკეთებთ: ვახდენთ პოეზიის პოლიტიზაციას (!), სახელმწიფოს და-

ვუმზადებთ (!) იმდენ ლექსს, რამდენიც მას დასჭირდება ნაციონალ-სოციალისტური იდეების გასატარებლად.

ხმამაღალი სიცარიელე...

ამგვარად „დამზადებულ“ ნაწარმოებებს თვითონ „უტილიტარულ“ ანუ „მოსახმარ პოეზიას“ (Gebrauchspoesie) უწოდებდნენ. მეორე მსოფლიო ომის მოახლოვებამ წინა პლანზე სწორედ ამგვარი „პოეზია“ წამოსწია. ეკარტის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი: „გაიღვიძე, გერმანიავ!“ ნაციონალურ მოწოდებად იქცა. იგი აიტაცა „ჯარისკაცულმა პოეზიამ“ და ნაცისტურ პარნასზე გაისმა დაფდაფების ხმაური. წამოვიდა ზღვა მყვირალა, მაგრამ ცარიელი ლექსებისა. მათი პათოსია ცეცხლოვანი რაშები, გრიგალი და ქარიშხალი, მუშტი და მუზა, ლექსიკა: მეხი, გრიგალი, ქარიშხალი, ცეცხლი, ჭექა-ქუხილი, გერმანული გაზაფხული, ჯოჯოხეთის ცეცხლი, ხანძარი, ისევ გერმანული მზე, გერმანული ცა, ჩირაღდნები, გრანიტის სიმტკიცე, დაფდაფები, ბუკი და ნაღარა. მახვილი და მუშტი, სულ მუშტი... მუშტი... მუშტი... დროშები, ალმები. დროშებზე მიმაგრებული ემბლემები: ბარაბანი, როგორც ამ წმიდა რელიკვიის აუცილებელი ნაწილი და ჰიტლერის მედაფდაფეობის ნიშანი. ძველი გერმანული რუნები და სვასტიკა, საკულტო რეკვიზიტები, სიმღერები SS-ის, SA-სა და SD-სათვის, მისწრაფება: დავიპყროთ, გავანადგუროთ, დანა გავუყაროთ კისერში. ავტორები: შირახი, შუმანი, ანაკერი, ბაუმანი. მოწოდება: აიღეთ თოფი, ჩადექით მწკრივში, დაჰკარით ნაღარას... გვიხმობს ოდინი... მშვიდობით, მეგობარო, მივდივარ ომში: ბუკი და ნაღარა და ისევ... დროშები, სისხლი, გამარჯვება...

დიდი საკულტო რიტუალები იმართებოდა ქუჩებში. მოიერიშეთა კოლონებს მოჰყვებოდა ხალხი, ყველას მათთვის უნდა აეწყო ფეხი, გამოეხატა აღფრთოვანება და თვითონაც ექსტაზში შესულიყო. ეს იყო საკულტო სპექტაკლები ქუჩებში, წინასწარ შექმნილი სცენარების მიხედვით...

...ნაცისტური დრამატურგიაც ამ გეზს მიჰყვებოდა, რის გამოც თეატრმა დაკარგა ხელოვნების სახეობა და ლიტერატურულ დღესასწაულად იქცა. აქაც გაბატონდა მითოსი, მსხვერპლშეწირვის რიტუალი, შუა საუკუნეების მისტერიები, იეზუიტური დრამები და პიესები, მასობრივი თეატრალური სანახაობანი — სტადიონებზე, ღია ცის ქვეშ, ასეული ათასი მაყურებლით და ათასობით მონაწილით. მთავარია არა ხელოვნება, არამედ მასშტაბი, გრანდიოზულობა, ექსტაზი!

ასეთი „სპექტაკლი" გაიმართა გრიუნვალდის სტადიონზე 60 ათასი მაყურებლისათვის. სპექტაკლში მონაწილეობდა 17 ათასი უნიფორმიანი „მსახიობი". დადგეს პიესა „პური და რკინა". იგი დაიწყო აღლუმით, რომელშიც მონაწილეობდნენ: მოიერიშენი, რაიხსვერი, პოლიცია. გერმანელი ხალხისა და ფიურერის მადიდებელ დივერტისმენტს ცვლიდა ათასი კაცისაგან შემდგარი ქოროს გალობა.

ასე დაიბადა ე. წ. „თინგ-თეატრი" (Thing-Theater). ეს „თინგ" (შემდეგში „დინგ") ჩრდილოგერმანულად ნიშნავდა უმაღლეს მსაჯულთა საკრებულოს. ისინი თავს იყრიდნენ სადმე ტაფობში, გამოჰქონდათ განაჩენი და ათასობით მაყურებლის წინაშე მსხვერპლს სწირავდნენ გერმანელ ღმერთებს. სხვაგვარად ამ ტაფობს „სამსხვერპლო მოედანს" (Opferplatz) უწოდებდნენ.

მე რამდენჯერმე მოგახსენეთ, რომ ნაცისტები სამსხვერპლოდ ამზადებდნენ გერმანელ ხალხს. ეს თეატრალური წარმოდგენებიც ამ მიზანს ემსახურებოდა. მთელი იმპერიის ტერიტორია უნდა დაეფარათ „თინგ-თეატრებით", სადაც გაიმართებოდა მსხვერპლშეწირვის გრანდიოზული რიტუალები. პირველ რიგში ოთხასი ამგვარი თეატრი უნდა აშენებულიყო. სამოცდაექვსის გეგმა უკვე შეადგინეს და ოთხი ააშენეს კიდეც. ყოველ მათგანში სამოციდან ასი ათასამდე მაყურებელი ეტეოდა. მომავალში მთელი იმპერია ასეთ „თინგ-თეატრად" უნდა ქცეულიყო, ერთ გრანდიოზულ ტაძრად ღია ცის ქვეშ, სადაც იღაღადებდნენ ნაციონალ-სოციალისტურ დოქტრინებს. ეს იყო ახალი ნაცისტური რელიგიის ფორმა, რაზედაც ჰიტლერი ოცნებობდა...

...„თინგ-თეატრების“ რეპერტუარს „იმპერიის დრამატურგთა“ ნაწარმოებები შეადგენდა. მიზანი აქაც „ტრაგიკულ-ჰეროიკული მითოსის“ შექმნა იყო. ამგვარ „სპექტაკლებში“ ინდივიდს ცვლის ტიპი, მარტოხელას — საზოგადოება, პიროვნებას — ხალხი, შინაგანს — რასა, სათნოებას — კულტი. ნაჩვენებია ადამიანები, რომელნიც საკუთარ თავს ებრძვიან, გმირები, რომელნიც სძლევენ. ფსიქოლოგიური კონფლიქტის ნაცვლად წარმოდგენილია — ბრძოლა, დიალოგის ნაცვლად — ქორო, სახის ნაცვლად — რიტმი, ჰარმონია-დისჰარმონიის ნაცვლად — პოლიფონია...

„თინგ-თეატრებში“, ცხადია, ფარდა არ არის. მას ცვლის სიგნალი. „მხატვრულის“ ნაცვლად ამბობენ „პლასტიკურს“. კულისების როლს ასრულებს სიმბოლოები, კოსტუმებისას — შეიარაღება და უნიფორმა. „სცენაზე“ გამოდიან ქერა, ცისფერთვალება არიელები და განასახიერებენ პოლიტიკურ მოღვაწეებს. თვით თეატრი ღია ცის ქვეშაა, მინდორში, ფერდობებზე, სადაც ყველაფერი წმიდაა: მიწაც და ზეცაც. წმიდაა ხე, „რომლის ფესვებიც უძველეს გერმანიაშია გადგმული“. წმიდაა ქვა, — რუნებითა და ლურსმული წარწერებით დაფარული. წარმოდგენილია გერმანული მსხვერპლშეწირვის რიტუალები, ეროვნულ-საკულტო და ჰეროიკული თავგადასავლები.

„სცენა“ და მაყურებელთა „დარბაზი“ გაერთიანებულია, „პარტერისა“ და „იარუსების“ ფორმა — მრგვალი, როგორც წარმართული სამსხვერპლო მინდვრები. ჟანრი — დრამა ან ტრაგედია, ფორმა — „გერმანული ბედისწერის“ პლასტიკა...

ეფრეიტორი ქრისტე...

პირველი ასეთი „თეატრი“ ბერლინში დაარსდა და მას დიტრიჰ ეკარტის სახელი ეწოდა. ამბობდნენ, ეს ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი „თინგ-თეატრი“, მაგრამ დასაწყისისათვის არა უშავს რაო.

ყველაფერი არენაზე ჰქონდათ გამოტანილი, არავითარი „კულისების საიდუმლოება!“ „სცენაზე“ შესასვლელი — „დარბაზიდან“, თვით „სცენა“ —სამ სიბრტყეზე გაშლილი, როგორც „რომაულ-ქრისტიანული სივრცის“ სიმბოლო. ყველაფერი საკულტო დღესასწაულის შესაფერისია, მაგრამ თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი. თინგ-მოედანს ორ მაღალ კოშკზე დადგმული 39 პროჟექტორი ანათებს. მესამე კოშკზე ზარებია ჩამოკიდებული. მოედნის გარშემო დროშების, შტანდარტებისა და ალმების მთელი ტყეა გაშლილი. ადგილი ისეა შერჩეული, რომ უკან მთა ან მაღლობი იყოს, სადაც ნაციონალ-სოციალიზმის საკრალური სიმბოლოებია განლაგებული.

სპექტაკლი, როგორც წესი, დაფდაფებისა და ბუკ-ნაღარების ზრიალით იწყება...

...უფრო თანამიმდევრული ნამდვილი „თინგ-თეატრი“ ჰალეში გაიხსნა 1934 წლის 5 ივნისს. შესავალი სიტყვა წარმოთქვა გებელსმა. დოქტორი შრამი ამის შესახებ წერდა:

— ეს თარიღი ყველამ უნდა დაიმახსოვროს, როგორც ერის პირველი გამოსვლა სახალხო და სოციალურ საზეიმო სპექტაკლზე, გარეთ, ღია ცის ქვეშ, მზის სინათლეზე ან ღამის ვარსკვლავიან თაღებში, რათა დრამატულის სფეროში განასახიეროს თავისი ერთიანობა...

ამგვარი „თინგ-თეატრების“ რეპერტუარის ძირითადი მოტივი იყო ხალხის ხსნა (Erlösung), მისი წაყვანა აღთქმული ქვეყნისაკენ. როგორც წესი, ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი ძალა: სინათლე და წყვდიადი. სინათლეს, რა თქმა უნდა, ნაციონალ-სოციალიზმი წარმოადგენდა, წყვდიადს — ვაიმარის რესპუბლიკა. მათ შორის ალეგორიული ბრძოლა იმართებოდა. ათასობით ხალხი იღებდა ამ „ბრძოლაში“ მონაწილეობას. ბოლოს, სინათლე სძლევდა წყვდიადს.

პრესა დიდ ხმაურს ტეხდა ამგვარ „მონუმენტურ სპექტაკლებზე“. გამარჯვებას ულოცავდნენ დრამატურგებს — ბირინგერს, მიოლერს, ჰაინეკეს და მათი „თინგ-პიესების“ დამდ-

გმელ რეჟისორებს. განსაკუთრებით ადიდებდნენ რიჰარდ ოირინგერს, რომლის „თინგ-დრამა“ დაიდგა ჰაიდელბერგში. ეს იყო შუასაუკუნეობრივი მისტერია „გერმანელი ხალხის ტანჯვის, ბრძოლის, დაცემისა და კვლავ აღორძინების“ შესახებ. აღნიშნავდნენ, რომ ამ პიესაში ქრისტიანული სული შეესისხლხორცა გერმანულ სხეულს და „ზეციური მსხვერპლი“ (Himmelopfer) წარმოადგინა, როგორც „გმირული საქმე“ (Heldetat).

სპექტაკლი იწყება ომში დაღუპულთა სულების ქოროთი, რომელსაც ცვლის „ახალგაზრდა გერმანიის“ გუნდი. მკვდრები სახიერდებიან ცოცხლებში. მათ წინ წარუძღვება ერთი უცნობი ჯარისკაცი, რომელიც ისევე მიიღებს ხალხის ტანჯვას, როგორც ქრისტე-ღმერთი და, მსგავსად მოსესი, წაიყვანს მათ აღთქმული ქვეყნისაკენ.

ათიათასობით მაყურებელი, ცხადია, ცნობს, ვინ არის ეს „უცნობი ჯარისკაცი“ და ღრიალებს:

— ჰაილ ჰიტლერ!..

...ამგვარ აჟიოტაჟში, ცხადია, ნაციზმის ოფიციალური მეხოტბე ჰანს იოსტიც ჩაერთო თავისი პიესით:

მძიმედ დაჭრილი ახალგაზრდა ჯარისკაცი ჰოსპიტალში წევს. „წვერებიანი პროფესორები“ ამბობენ, რომ მისი მდგომარეობა უნუგეშოა. მხოლოდ ერთი ასისტენტთაგანი დაიჩემებს, რომ იგი განკურნავს ავადმყოფს ახალი მეთოდით. რა მეთოდია ეს? ასისტენტი ჩააგონებს ახალგაზრდას, რომ მასთან მოვა ფიურერი. ეს ძალას მატებს ავადმყოფს, იგი სიზმარშიც ხედავს ფიურერს. შემდეგ ჰიტლერს შეატყობინებენ ამის შესახებ. ჰიტლერი მართლაც მოდის ჰოსპიტალში და მომაკვდავი, ცხადია, განიკურნება.

რითია ეს ქრისტეს სასწაულმოქმედებაზე ნაკლები?! ან თუნდაც „თინგ-სპექტაკლ“ „ქუჩის შვილებში“ აღწერილი ამბები, სადაც დაპირისპირებულია ორი სამყარო: 1) ქუჩის ვიგინდარები, მაწანწალები, მწიგნობრები, ინტელექტუალები, 2) სტუდენტობა, საქმის ხალხი, გლეხები, ხელოვნების მუშაკები.

ორივე სამყაროს სული მიუძღვის: ბოროტი და კეთილი. ისინი ებრძვიან ერთმანეთს მერყეევი დედების, უმუშევარი ქალებისა და პროლეტარების გადასაბირებლად. სპექტაკლის დასაწყისში „ქუჩის ვიგინდარები“ ამაოდ ცდილობენ ხელთ იგდონ „კეთილი სული“. ბრძოლაში ერევა ხალხის განწყობილება. „კეთილი სულის“ მიმდევრები ახორციელებენ ფიურერის პროგრამას, რაც მოითხოვს იარაღითა და შრომით მზად ყოფნას. კეთილ სულს გარს ერტყმიან კურთხეული მეომრები (selige Krieger). მათი გმირობით „ბოროტი სული“ შთაინთქმება უფსკრულში, რითაც მსოფლიო ომში დაღუპული გმირები მოიპოვებენ სიმშვიდეს.

„ბოროტი სული“ განასახიერებს ნგრევის ძალას, შეწყალების მორალს, სოციალურ რევოლუციას. იგი, უწინარეს ყოვლისა, „ნოემბრის სახელმწიფოს“ წარმოადგენს. მის სამფლობელოში სრული არეულობაა — სოდომი და გომორა. მთელი ევროპა საროსკიპოდაა (Freundchaus) ქცეული. ამ ქაოსში ისევ უცნობი ჯარისკაცი — „მსოფლიო ომის ეფრეიტორი“ ჩნდება. იგი წამოდგება, როგორც ქრისტე და თავზე ეკლის გვირგვინით მოევლინება ხალხს. მას უახლოვდება მაცდური ბოროტი სული და ემუქრება, ოთხში ამოგიყვანო. ამ დროს გაისმის კივილი დედისა, რომელიც იცნობს შვილს. სახიერდება მარიამ ღვთისმშობლისა და ქრისტეს მისტერია. აბობოქრებული ხალხი ემხრობა „ნაზარეველ ეფრეიტორს“. ისმის შეძახილი:

—შეუხვიეთ ჭრილობები!..

მერე ის ჯარისკაცი წამოიმართება და მოდის, როგორც სიყვარულისა და ხსნის სიმბოლო. იგი მოუწოდებს ხალხს მახვილისა და შრომისაკენ... — ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენი! — ამბობს იგი და ახდენს სასწაულს: ჭრილობები იქცევა სინათლედ, რაც თანდათან ძლიერდება და ბოლოს ათეულ ათასობით მაყურებელს ეფინება. „ნაზარეველი ეფრეიტორი“ კი მაღლდება... მაღლდება და ადის ზეცაში...

ხალხი, როგორც ერთი კაცი, მიაპყრობს მას თვალებს და იძახის:

—აღსრულდა!..

ამასთან, ზეციდან მოისმის ორღანის ღვთაებრივი ხმები, ქვემოდან კი მას ოსანასავით უერთდება საბრძოლო მარშები, როგორც ზეციური და მიწიერი იმპერიის ერთიანობის ნიშნები...

მაყურებელთა ბრბო კი ისევ ღრიალებს:

— ჰაილ ჰიტლერ!..

ამ პიესის მიზანია ჰიტლერის გაიგივება ქრისტესთან, როგორც რწმენის სიმბოლოსთან. აქ სინათლე სახიერდება არა ქრისტეში, არამედ ადოლფ ჰიტლერში. თვით „სინათლის მისტერია“ ძველი ვედური რწმენიდანაა აღებული. ვედებს სწამდათ, რომ სიცოცხლე ღვთაებრივი სინათლისაგანაა შექმნილი. გერმანელთა ღვთაებაც სინათლის სახით ცხადდება. იგი განფენილია ყველა გერმანელში, როგორც მარადიულობის განკაცება...

...გერმანულმა ნაცისტურმა ლიტერატურამ და ხელოვნებამაც შეუწყო ხელი ჰიტლერის, როგორც სახალხო მესიის, კულტის ამგვარ განმტკიცებას, კარის თითქმის ყველა პოეტმა „მოიხადა თავისი უწმინდესი ვალი“ და აღფრთოვანებული ლექსები უძღვნა მას. კარის მხატვრებმა შექმნეს მისი პორტრეტები. მერედა, როგორი! შუა საუკუნეებისებურ რკინის აბჯარსა და ჩაჩქანში, რაინდთა ორდენის დროშით ხელში, წმ. გიორგის ცხენზე ამხედრებული ან ქრისტესავით ნათელმოსილი...

ფიურერი ჩნდება ღრუბლებში, როგორც ღმერთი ცაში, და პოეტი ლოცულობს:

— ღმერთო, მიეც წყალობა ჰერცოგს რაიხისას!..

ან კიდევ: ფიურერი — კარიატიდი, რომლის მხრებს აწევს მთელი მსოფლიოს სიმძიმე, ფიურერი — წმ. გრალის მფლობელი, გერმანელი ხალხისა და მსოფლიოს მხსნელი!..

— მადლობა, მადლობა, მადლობა! — იძახის კოლბენჰაიერი.

— დიდება, დიდება, დიდება! — ბანს აძლევენ მას ნაციზმის ლიტერატურული მოჯამაგირეები.

ჰაინრიხ კლაუდიუსი სულ ქადაგად ეცემა და ღაღადებს:

— ღმერთო მაღალო, ამოუდექი მხარში ჩვენს ფიურერს!..

ეშმაკმა უწყის, რამდენი რამ იწერებოდა ამ ერთ კაცზე! ყველა პოეტობდა, მართლაც პოეტი იყო თუ დიასახლისი, რათა ხოტბა შეესხა მისთვის. ახლაც ვიგონებ, რამდენი ლექსი ეყარა კარლსჰორსტის ეკლესიაში ფიურერის დაბადების დღის მისალოცად გაგზავნილი. სადამდე არ მიდიოდა მათი აღტყინება:

— ფიურერი — ყველა ბავშვის მამა, ყველა მშობლის შვილი, ყველა ქალის ქმარი, ცისა და დედამიწის გული, გერმანელი ხალხის ღმერთი და იმედი!..

ამგვარი ლიტერატურული ღაღადისი იქცა ნაცისტური ჰიმნოგრაფიის ქვაკუთხედად, რამეთუ:

— თაყუანის-სცეს ვეშაპსა მას, რომელმანცა მისცა ხელმწიფებაჲ იგი მხეცსა მას; და თაყუანის-სცეს და იტყოდეს: ვინ არს მსგავს მხეცისა მის? ვინ შემძლებელ არს ბრძოლად მისა?

და მიეცა მას ხელმწიფებაჲ ყოველსა ზედა ტომსა და ერსა და ენასა და ნათესავსა...

სიბრძნის ქვა...

ახლა კი მოვიდა ჟამი სასჯელისა მისისაჲ და „ხელშეკრულების“ ვადის გასვლის შემდეგ ისევ გამოჩნდა ის „შემაძრწუნებლად სხვა“, რომელიც ერთხელ უკვე „შემხვდა“ მატარებელში, როცა ამ „ბუნაგში“ მოვემგზავრებოდი. იგი იმ „ჯოჯოხეთის ბიბლიოთეკაშიც“ უხილავად დამყვებოდა და „სიბრძნის ქვასთან“ ერთად „ეშმაკის დროსაც“ მთავაზობდა იმ საშინელი ამბების მიზეზთა-მიზეზისა და საფუძველთა-საფუძვლის გასარკვევად, რაც ასე აწვალებდა ჩემს გონებას. ვფიქრობდი: ნუთუ ასე შეიძლება დაეცეს ადამიანთა აზროვნება. ან ყოველივე იმას, რაც ახლა გიამბეთ, რა კავშირი აქვს ლიტერატურასა და ხელოვნებასთან! ვამბობდით, „სიტყვაკაზმული

მწერლობაო“, „ნატიფი ხელოვნებაო“, მუხლს ვიყრიდით სილამაზისა და მშვენიერების საკურთხეველთან, შევღაღადებდით სიკეთესა და სათნოებას...

მერედა, როგორ შეიმუსრა ყველაფერი! როგორ გაჩნდნენ ეს ყავისფერი ბარბაროსები ევროპის შუაგულში? ვინ შეუძახა მათ: „გადაჰქელე მათი სამოთხე, ატილლა!“ ან ეს ხალხი რატომ აზვავდა ასე, საკუთარი ღირსების შესამუსრავად!..

„ჯოჯოხეთის ბიბლიოთეკაში“ მუშაობისას მეგონა კიდეც, რომ უკვე მივწვდი ამ საიდუმლოებას, მაგრამ...

... აი, სწორედ ეს „მაგრამაა“, რომ მაიძულებს, ისევ გოეთეს „ფაუსტი“ გადმოვიღო თაროდან, გადავფურცლო და, იმის მიუხედავად, რომ ძილისაგან თვალები მელულება, წავიკითხო:

ფილოსოფია, სამართლის ცნება...
და მედიცინა ღრმად შევისწავლე,
და, სამწუხაროდ, ღვთის მეტყველებაც
მთლად შევითვისე, თუმც კი ვეწვალე...

მერე, ისევ იმ ძველებურ მაგიურ იგავებს გავყევი და მომეჩვენა, თითქოს ამის გაგრძელებას უკვე მე კი არა, ის „ვიღაც სხვა“ კითხულობდა:

მაგრამ კვლავ დავრჩი საცოდავი, ჭკუით ღარიბი,
წინანდებურად არას მცოდნე, ბრძენი ყარიბი...

გავიხედ-გამოვიხედე, მაგრამ იქ არავინ იყო! ისე კი ვგრძნობდი, რომ წიგნის თაროებს ვიღაც სხვა ათვალიერებდა და თითქოს მატარებელში დაწყებულ საუბარს აგრძელებდა:

— ყველაფერი ეს ისეა, კოლეგა, როგორც სიზიფის იგავი გადმოგვცემს. ის მძიმე ლოდიც, რომელსაც თქვენისთანა Homo sapiens-ები მიაგორებენ მთის მწვერვალისკენ, სიბრძნის ქვაა, მაგრამ...

აქ ერთი წუთით ის ხმა შეწყდა, შემდეგ კი ისევ გაისმა:

— ეს ისეთივე „მაგრამია“, თქვენ რომ ენა დაგიბათ და გოეთეს მიმართეთ რჩევისათვის. თუმცა რა პასუხი მიიღეთ?

სანუგეშო არაფერი, კოლეგა, არაფერი, ან არაფრისთანა არაფერი; შესაძლებელია უარესიც: არაფერში გაარაფრებული არაფერი. თუმცა გოეთეს რა უნდა ექნა, მისმა ფაუსტმაც ხომ თითქმის მწვერვალამდე ააგორა ის ქვა, მაგრამ...

აი, ხომ ხედავთ, მეც იმ „მაგრამს“ წავაწყდი, თუმცა რჩევისთვის სხვას კი არ მივმართავ, მე თვითონ გეტყვით: იმ „თითქმის მწვერვალამდე“ რომ ააგორა სიბრძნის ქვა, წინ უფრო შორი მანძილი გამოჩნდა გასავლელი. უნდოდა, იქამდეც მიეღწია, მაგრამ... მისთვის ამ ქვეყნად განკუთვნილი ცხოვრების მეორე დროც ამოიწურა, საათში ქვიშის დენა შეწყდა... ქვა დაგორდა და... მიხვდა, რომ იმ „მაგრამ“-იდან ამ „მაგრამ“-ამდე დროის უნაყოფო ხანგრძლივობაა მხოლოდ — მძიმე შრომა, ოფლის ღვრა, ოხვრა, ქშენა, ტანჯვა, უძილო ღამეები და ბოლოს: ისევ ის არაფერი. ეგონა, ქვეყნის სიბრძნე შევითვისეო და, ხომ ხედავთ, ისევ „ჭკუით ღარიბი, წინანდებურად არას მცოდნე, ბრძენი ყარიბი“ დარჩა...

ვერ მოვითმინე და, ვითომ მართლაც სხვა ყოფილიყოს, ისე შევეხმიანე:

— მისი შრომა მაინც არ ყოფილა „დროის უნაყოფო ხანგრძლივობა“. შეიძლება იმასთან შედარებით, რაც „თითქმის მწვერვალიდან“ დაინახა, მართლაც „არას მცოდნე“ გამოჩნდა, მაგრამ თავის თავში ხომ მაინც ამაღლდა. არც ის ქვა დაგორებულა ბოლომდე. იგი ფაუსტის დონეზე შეჩერდა და სიბრძნის ახალ საფეხურად დარჩა ისტორიაში.

— ყარიბი სიბრძნისა, — შემაწყვეტინა მან. უნდოდა, კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ მე თვითონ განვაგრძე:

— თუნდაც ყარიბისა, ეს არაფერია. ფაუსტის გაკვალულ გზას ახალი თაობა გაჰყვება და იმ ახალ „თითქმის მწვერვალამდე“ მიაღწევს.

ისევ ყრუ ხითხითი და კითხვა:

— მერე? იმ „თითქმის მწვერვალის“ იქით რა იქნება?

— ახალი „თითქმის მწვერვალი“, რომელზეც სხვა თაობა ააგორებს სიბრძნის ქვას...

— მერედა, სანამ უნდა აგოროთ ეს ქვა, თუ წინ სულ „თითქმის“ იქნება და არა...

— სანამ აღთქმულ ქვეყანს არ მივაღწევთ. — [illegible] დაუფიქრებლად და მე თვითონ შემეშინდა ჩემი სიტყვების...

ეს უკვე ყრუ ხითხითი კი არა, ჯოჯოხეთური ხარხარი იყო. მე ვერც ახლა ვხედავდი მას, მაგრამ სიტყვები მაინც ძველებურად მესმოდა:

— ეს ხომ მარადიული გზად ყოფნაა, „თითქმისიდან თითქმისამდე“. ის გზა კი გოლგოთის გზაა — მანძილი ტანჯვას, წვალებასა და გაარაფრებულ არაფერს შორის.

— რაც არ უნდა იყოს, ის მაინც გზაა, რომელიც სულ ზევით მიდის.

— რას ნიშნავს სულ „ზევით?“ განა არ შეიძლება, სულ „ზევით“ იგივე იყოს, რაც სულ „ქვევით?“ ხომ იცით, რაც უფრო „ზევით“ მიაგორებს სიზიფი იმ ქვას, მით უფრო „ქვევით“ ვარდება ის. გერმანელმა ფილოსოფოსმა ამას „ზევით ვარდნა“ (hinauffallen) უწოდა. ამიტომაა, რომ ის ქვა თანდათან მძიმდება, საშიში ხდება...

— ვიცი, მაგრამ ერთისა და ორის მაგივრად მომავალში იმას ათი შეეჭიდება, მერე ასი... ათასი... მილიონი ან, თუ გნებავთ, ისევ ის №, ვიდრე ისეთი სწრაფვა არ იქნება, რაც წინ გაუსწრებს წინააღმდეგობებს, ამიტომ, რაც არ უნდა სახიფათო იყოს ის გზა, თაობები იმ „ქვას“ მაინც წინ წაიღებენ, უფრო შორს და უფრო მაღლა. სხვაგვარად არც შეიძლება. გოეთე ამბობს, ვინც წინ არ მიდის, უკან იხევსო.

მერე ისევ ი მ ი ს ხმა მომესმა:

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ წინ თუ მარადიულობის უფსკრულია, „წინსვლა“ რითი სჯობია „უკანდახევას?!“ თქვენ რა გგონიათ, მართლაც „სულ წინ“ და „სულ მაღლა“ ივლით, თუ ბოლოს მაინც ჩემთან მობრძანდებით „სულ ქვევით“ და „სულ დაბლა“, სადაც უკვე აღარც მაღლაა რამე და აღარც დაბლა, გარდა არსებობის სიცარიელისა...

ამის თქმა და... დავინახე კიდეც: ისევ ი ს იყო, თუმცა გარეგნულად სულაც არ ჰგავდა ი მ ა ს. მე უფრო გოეთეს ვაგნერს მივამსგავსე, ტანისამოსიც ალქიმიკოსისა ეცვა. თანაც, უფრო თავაზიანი ჩანდა. ამიტომაც ვკითხე:

მ ე: თქვენ ისევ ის ხართ თუ სხვა ვინმე?

ი ს: ვინ ისევ ის?

მ ე: ვინც ახლა მელაპარაკებოდა.

ი ს: მე მუდამ ახლა ვარ, მაგრამ არა ის. თუმცა შეიძლება ისიც ვიყო. თუ თქვენ გგონიათ, რომ იგი სხვაა, რატომ მე არ შემიძლია მისი სხვა ვიყო? განა ეს სულერთი არ არის? ის თუ თქვენი სხვაა, მე იმისი სხვა ვიქნები, ხოლო თქვენ — ჩემი სხვა, ეს სწორედ ის კვადრატული სამკუთხედია, რაც ასე აწვალებს თქვენს გონებას.

მ ე: რატომ კვადრატული?

ი ს: იმიტომ, რომ არის სრულიად უხილავი მეოთხე სხვა, რომელიც ყველა სხვის სხვაა. გარდა ამისა, ჩვენც ხომ იმ კვადრატულ წრეში ვტრიალებთ.

მ ე: ვინ, ჩვენ?

ი ს: მე, თქვენ, ის, სხვა, იმ სხვის სხვა და ასე შემდეგ... №-მდე.

მ ე: განა თქვენ ყოველ მათგანში ხართ?

ი ს: რა თქმა უნდა, უჩემოდ არც სიბრძნის ქვა იქნება. მთელი ქვეყნის სიბრძნეს მე ერთ ქვაბში ვაგროვებ, ვადუღებ, ვაკრისტალებ, ვადნობ, ისევ ვადუღებ, ისევ ვაკრისტალებ და ბოლოს სიბრძნის ქვას ვიღებ, რომელსაც თქვენ და თქვენი კოლეგები მიაგორებთ „ჯერარნახულ მწვერვალისაკენ“.

მ ე: დიახ, ასეა და ასეც იქნება, რადგან ეს არის ჭეშმარიტების ძიების ერთადერთი გზა...

აქ ისევ ის საშინელი ხარხარი გაისმა. ვიღაცამ თითქოს მხარზეც დამკრა ხელი და მითხრა:

ი ს: ნუ გავიწყდებათ, კოლეგა, რომ „ჭეშმარიტების ძიება ყოველთვის როდი ნიშნავს სასურველის ძიებას“. არც ყო-

ველგვარი ჭეშმარიტებაა სასურველი. კოლეგა გოეთემ კი ბრძანა, ჩვენ მხოლოდ ისეთი ჭეშმარიტება უნდა ვთქვათ, რაც სასარგებლო იქნება კაცობრიობისთვისო, მაგრამ ყველას როდი ძალუძს ეს:

... რამეთუ შემცირდა ჭეშმარიტებანი ძეთა კაცთაგან...

მე ესეც ამ წიგნებში ამოვიკითხე.

მ ე: როგორ? თქვენ ხომ ამბობთ, წერა-კითხვა არ ვიციო.

ი ს: სამაგიეროდ, მე ვიცი ყველაფერი, რაც ამ წიგნებში სწერია. ფრიად განათლებული ადამიანები ამიტომ მეძახიან გონებისა და სიბრძნის დიდ ბატონს.

მ ე: განა ეს შესაძლებელია?

ი ს: არამცთუ შესაძლებელი, აუცილებელიც. გენია ხომ დემონის გარეშე შეუძლებელია. გოეთემ ისიც ბრძანა, რაც უფრო მაღლა დგას ადამიანი, მით უფრო განიცდის დემონების გავლენასო. ასეა. უჩვენოდ დიდი არაფერი იქმნება, არც არავინ ხდება გენიალური. თქვენ კი იმდენ გულისამრევ გენიოსებს ქმნით, რომ თვითონაც იბნევით ამ სიმრავლეში და მთავარზე უმთავრესი გავიწყდებათ.

მ ე: მაინც ვინ?

ი ს: თუნდაც იგივე ბატონი გოეთე, რომელმაც აღიარა, ჩემს ბუნებაში ეს არ არის, მაგრამ მე მაინც ვემორჩილები მასო. გესმით?! ვემორჩილებიო, ეს კარგად ჟღერს გერმანულად: unterworfen, რაც ფეხქვეშ გართხმას ნიშნავს. წარმოგიდგენიათ, რა დიდი პატივია ეს? ეშმაკის წინაშე გართხმული გოეთე, ან თუნდაც მისი იოჰან ფაუსტი, რომელსაც მთელი ოცდაოთხი წელი ვემსახურე, სიბრძნის ქვაც თითქმის მწვერვალამდე ავატანინე და განვადიდე. აბა, რა იქნებოდა იგი უჩემოდ? „ჭკუით ღარიბი, არას მცოდნე, ბრძენი ყარიბი“, თვითონ იმას ხომ დიდებისაკენ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, არც ის ქვა უგორებია უჩემოდ. ბოლოსაც ერთად დავეშვით ძირს, რათა თავიდან დაგვეწყო ყველაფერი. ბატონ ვალერის ფაუსტს კი ეგონა, უჩემოდ შეეძლო არსებობა, ამიტომ სულ მაღლა მიიწევდა, მაღლა და მაღლა — უსივრცო მხარეში, აბსოლუტური მარტოობის სფეროში და უფრო შორსაც, სადაც არსებო-

ხის გარეშეც არსებობენ. უსდოდა, თავიდან ძოვეშორებინე და ჩემს გარეშე გასულიყო იმ აბსოლუტური მარტოობის მხარეში. ის კი დაავიწყდა, იქაც რომ მე ვარ. ამიტომაც მივყევი მანამ, სანამ შემეძლო. მერე გამიჭირდა, ძალიან გამიჭირდა და ისევ დაბლა დავეშვი, სულ დაბლა, არსებობისა და მტვრის სამყაროში. იმას გაეხარდა, ეგონა, მართლა მომიშორა და მომაძახა: წადი დაბლა, სულ დაბლაო, მაგრამ რა გამოვიდა. იმ მარტოობამ წიხლი ჰკრა უჩემოდ დარჩენილ ფაუსტს და მისი სანუკვარი „სულ მაღლა“ ისევ ჩემს „სულ დაბლას“ შეუერთდა. ამით მე არსებობას დავუბრუნდი, ის კი დავიწყების სფეროს. ბატონმა ვალერიმაც ამიტომ ინება დაესკვნა: ყველაფრის საბოლოო ჯამი ნულიაო. ესეც თქვენ იკითხეთ, თორემ მე იმ ნულშიც მშვენივრად ვგრძნობ თავს...

მ ე: სამაგიეროდ იმან ხომ მაინც დაგძლიათ და მოგიშორათ?..

აქ, მართლაც, ისეთი ჯოჯოხეთური ხარხარი გაისმა, გეგონებოდათ, ქვესკნელმა პირი დააღოო. მერე უცებ გაჩერდა და ზიზღით გადმოანთხია:

— დამძლია? მომიშორა? რა სისულელეა. თქვენ იმასაც ამბობთ, უჩემოდ დაბრმავებული ფაუსტი გერმანიის ბედნიერ მომავალს ხედავდაო. ა, ბატონო, ეს „ბედნიერი მომავალი“. შეხედეთ მისი ქვეყნის ნანგრევებს, ხალხის უბედურებას და მერე თქვით, შეძლო თუ არა მან ჩემი მოშორება.

თ. მანი წერს: თვით გერმანიის ტრაგიკულმა სინამდვილემ შექმნა ჯოჯოხეთური ხარხარის ეს მეფისტოფელური იპოსტასიო, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ფაუსტს სულაც არ მიუძღვის ამაში ბრალი. ამიტომაც ვთქვი:

— იგი უფრო შორს იხედებოდა, ვიდრე თქვენ.

ი ს: ჩემთვის არ არსებობს არც „უფრო შორს“ და არც „უფრო ახლოს“. მოგეხსენებათ, მე უფრო სწრაფი ვარ, ვიდრე ადამიანის აზრი ან სიკეთის გადასვლა ბოროტებაში. საკმარისია ერთი შეეჭვება სიკეთეში, ერთი ნაბიჯი ბოროტებისაკენ, რომ მე მაშინვე იქა ვარ. ხომ გაგიგონიათ, ჯოჯოხეთი და ეჭვი ყოველთვის მაძღარიაო. ჰო... და ის ეჭვი ჩემი მოციქულია. თქვენ რა გგონიათ, ეშმაკსაც ისევე ჰყავს მოციქულები,

როგორც ქრისტეს. განსხვავება ის არის, რომ მოციქულები ქრისტეს ემსახურებიან, ჩვენ კი ჩვენივე მოციქულებს, რომლებიც თქვენში ჩნდებიან. მოგვიხმობენ თუ არა ისინი, მაშინვე იქა ვართ. სივრცე ჩვენთვის დაბრკოლება არ არის. შეგვიძლია რამდენიმე მილიონი კილომეტრი ერთ წამში გავიაროთ, წარსულში, აწყმოსა თუ მომავალში, ესეც სულერთია. ჩვენ ვიცით, „რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს“, რადგან ყველგან ვართ და... ყველაფერი!..

მ ე: იმასაც იტყვით, რომ ყველა გერმანელთან ხელშეკრულება გაქვთ დადებული?

ი ს: არა. ყველასთან არა, ან რა საჭიროა! განა ყველა იგივე არ არის, რაც ე რ თ ი? ისიც შესაძლებელია — ე რ თ ი ც ყველა იყოს, როგორც უავგუსტოესი სინთეზი. აკი ამბობენ, ფაუსტი კაცობრიობის სიმბოლური სახე და ყველა ადამიანის ბედის პარადიგმაა. თუ ასეა, მეც შემიძლია იმ ერთითაც ყველა ვიყო. სხვა არც მჭირდება. იმანაც ხომ ერთმა მოაწერა ხელი ყველა გერმანელის სახელით: როცა ერთი ყველას სულისკვეთებას გამოხატავს ან ამბობს, რომ გამოხატავს, ჯოჯოხეთის დემოკრატიაც ეს არის.

ამიტომაა, რომ ზოგჯერ ის ერთიც გვყოფნის. თუ თქვენ გგონიათ, ჯოჯოხეთში ყველა ვიგინდარას ვუშვებთ? არა. მხოლოდ რჩეულებს: მათ უდიდებულესობებს და მაღალკეთილშობილებებს, ფუჭი გენიოსობისა და სიბრძნის მოყვარულთ, მაღალი რანგის Homo sapiens-ებს, რომელნიც თვითონვე ქმნიან საკუთარ ჯოჯოხეთს. გარდა ამისა, დიდთა-დიდ ბატონებს, დესპოტებსა და მათ მეხოტბეთ, იმათ, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქვეყნის წაბილწვაში. თქვენი თხოვნით ჩვენ შურს ვიძიებთ მათზე. ერთი იქნებიან ისინი თუ ყველა, ამას რა მნიშვნელობა აქვს? თქვენც ხომ ამბობთ, ღმერთი ერთია და ყველაფერიო?!

მ ე: მერედა, თქვენ ღმერთი ხართ?

ი ს: არა, ღმერთმა დამიფაროს, რომ ღმერთი ვიყო. მე გონება ვარ, უმაღლესი გონება! ღმერთი ის არის, რაც უნდათ, მაგრამ არ არის. მე კი სინამდვილე ვარ, ცხოვრების ყოველ-

დღიური სინამდვილე. მე წარვმართავ კაცობრიობის ფიქრებსა და სურვილებს. ქვეყნის საჭეც ჩემს ხელთაა და, in gloriam Dei, უკვე მე ვბრძანებ:

...წარვედით და დასთხიენით შუიდნი ეგე ლანკანნი გულის წყრომისა ღმრთისანი ქუეყანასა ზედა.

... და იტანჯოს ცეცხლითა და წუმწუმებითა... და კუამლი ტანჯვისა მისისაჲ უკუნითი უკუნისამდე აღვიდოდეს, და არა აქუნდეს განსუენებაჲ დღე და ღამე, რომელთაცა თაყუანისცეს მხეცსა მას და ხატსა მასსა, ანუ მიიღონ ბეჭედი სახელისა მისისაჲ...

ნემეზიდას მახვილი...

ეს დროც დადგა და შურისძიების ქალღმერთმა ნემეზიდამაც აღმართა მახვილი. დაიწყო მთავარ სამხედრო დამნაშავეთა დასჯის პროცედურის საორგანიზაციო და იურიდიული მომზადება. ბერლინის კონფერენციაზე გამოცხადდა, მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სია პირველ სექტემბერს გამოქვეყნდებაო. ამის შესაბამისად 1945 წლის 8 აგვისტოს ლონდონში ხელი მოაწერეს შეთანხმებას მთავარ სამხედრო დამნაშავეთა მიმართ სასამართლო ძიებისა და მათი დასჯის შესახებ, რისთვისაც გადაწყდა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის დაარსება. შეთანხმებაში ნათქვამია:

დაარსდეს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი ომის იმ დამნაშავეების საქმეთა განსასჯელად, რომელთა დანაშაულებანი დაკავშირებული არ არის განსაზღვრულ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასთან...

ამ ტრიბუნალის ორგანიზაცია, იურისდიქცია და ფუნქცია განისაზღვრა სპეციალური წესდებით, რასაც კანონის ძალა ჰქონდა...

... ვიდრე ეს შეთანხმება იქნებოდა მიღწეული, მოკავშირეთა შორის აზრთა სხვადასხვაობამაც იჩინა თავი. საკითხი ასეც დაისვა: საჭიროა თუ არა საერთოდ პროცესი? ამ კითხ-

ვაზე ამერიკელებმა თავადპირველად უპასუხეს, რომ საჭიროა, შემდეგ კი, როგორც ამბობენ, ოსვენციმის შთაბეჭდილებით, რუზველტმა შეცვალა თავისი აზრი და პროცესის წინააღმდეგ წავიდა. ინგლისელებმა და ფრანგებმაც განაცხადეს, არა, არ გვინდა პროცესიო. ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰელმა პირდაპირ მოჭრა, ყველანი ჩამოვახრჩოთო. მორგენტაუმ თქვა, დავაპატიმროთ, დავადასტუროთ მათი პიროვნება და დავხვრიტოთო. რუზველტი დაეთანხმა მათ. მან კვებეკში ჩერჩილთან შეხვედრის დროსაც დასვა ეს საკითხი. ცნობა ამის შესახებ პრესაშიც მოხვდა და დიდი აურზაური ატყდა. გასამართლების გარეშე სიკვდილით დასჯა როგორ შეიძლებაო. ამან რუზველტიც შეაეჭვა და იალტაში წამოჭრა ეს საკითხი. აქ იგი მოელოდა სტალინის მხარდაჭერას, იგი უფრო მკაცრ სასჯელს მოითხოვსო, მაგრამ კონფერენციის შემდეგ გაოცებულმა პრეზიდენტმა გამოაცხადა, „ძია ჯომ“ (uncle Joe) ულტრაპატიოსანი წინადადება წამოაყენაო.

— სასამართლოს გარეშე დასჯა არ შეიძლება, რადგან იტყვიან, თითქოს ჩვენ შეგვეშინდა დამნაშავეების სამსჯავროს წინაშე დაყენება, — უთქვამს სტალინს.

ჩერჩილი მაინც პროცესის მოწყობის წინააღმდეგი იყო. მან მოითხოვა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სიის დამტკიცება და დაუყოვნებლივ დახვრეტა. ნიურნბერგის პროცესზე კი ინგლისელი მთავარი ბრალმდებელი ჰარტლი შოუკროსი რატომღაც უმისამართოდ ისროდა კენჭებს და ამბობდა:

— არიან ადამიანები, რომელთაც შეიძლება თქვან, ამ უბადრუკ დამნაშავეებს მაშინვე უნდა გასწორებოდნენ, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, რადგან პირადად მათ უკვე წართმეული აქვთ ბოროტების ჩადენის შესაძლებლობა, თუმცა ასეთი როდია ბრიტანეთის იმპერიისა და ბრიტანეთის მთავრობის თვალსაზრისი.

ამას ჰარტლი შოუკროსი ისე წარბშეუხრელად ამბობდა, თითქოს ამ თვალსაზრისის თავგამოდებული დამცველი მისი ქვეყნის პრემიერი არ ყოფილიყო. თუმცა რუზველტმაც უკვე აღარ დაუჭირა მხარი ჩერჩილის წინადადებას. პრეზიდენტმა

თავისი სპეციალური თანაშემწე როზენმანიც გაგზავნა ლონდონში, რათა დაეთანხმებინა ინგლისის პრემიერი პროცესის მოწყობაზე. ჩერჩილი, იდენი და საიმონი ისევ წინააღმდეგი იყვნენ: ექვსი ან მეტი მთავარი ნაცისტი (top Nazis) დავხვრიტოთ და ამით მოვრჩეთ საქმესო. გვარებიც დაასახელეს მათი: ჰიტლერი, გერინგი, გებელსი, რიბენტროპი, ჰიმლერი და შტრაიხერი.

ამის შემდეგ როზენმანი ერთხელ კიდევ შეხვდა ჩაკერსში ჩერჩილს, მაგრამ ვერ დაითანხმა. მხოლოდ ის იყო, რომ იდენმა ახალი წინადადება შეიტანა: მთავარი სამხედრო დამნაშავენი სადმე უდაბურ კუნძულზე გავასახლოთ ნაპოლეონივითო. ლონდონის კონფერენციაზე ისიც თქვეს, ადრე სხვებიც აწარმოებდნენ აგრესიულ ომებს, მაგრამ ამის გამო მთავრობის წევრთა გასამართლების პრეცედენტი არ ყოფილაო. თან დაუმატეს, საერთაშორისო სამართალიც არ ითვალისწინებს ამასო. როგორც ჩანს, ინგლისელებს ის აწუხებდათ, ვაითუ, პროცესზე დამცველებმა განაცხადონ, თქვენც გიწარმოებიათ აგრესიული ომები, და ბურების მაგალითი მოიყვანონო. იმ ომის ერთ-ერთი „გმირი“ კი თვითონ ჩერჩილიც იყო. ამ მხრივ არც სხვები იყვნენ დაზღვეულნი. როზენბერგის დამცველმა თომამ რამდენიმე დღე იკითხა ამონაწერები ამერიკელების მიერ დაწერილი ანტისემიტური წიგნებიდან. ხოლო როცა ფრანსუა დე მენტონი ჰიტლერელთა რასობრივი პოლიტიკის შესახებ ლაპარაკობდა, ფრანკმა რეპლიკა ესროლა, რამდენადაც ვიცი, ეს თეორია ფრანგი დე გობინოს მოგონილიაო. გარდა ამისა, აქაც საერთაშორისო სამართალი მოიმიზეზეს: სახელმწიფოს მეთაურები როგორ გავასამართლოთ, თუ პირადად არა აქვს სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილიო. ამ, ისედაც გაჭიანურებულმა დისკუსიამ, ახლა სან-ფრანცისკოში გადაინაცვლა, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსების საკითხი ირჩეოდა. სან-ფრანცისკოს კონფერენციის დამთავრებიდან სამი დღის შემდეგ რუზველტი გარდაიცვალა. ახალმა პრეზიდენტმა ტრუმენმა პროცესის მოწყობას დაუჭირა მხარი და გადაწყდა ორსაფეხურიანი გასამართლების მოწყობა: ერთი, საერთაშორისო ტრიბუნალზე მთავარი სამხე-

დრო დამნაშავეებისა, ხოლო მეორე, დანარჩენ დამნაშავეთათვის, რასაც საოკუპაციო ხელისუფლებანი გამართავდნენ თავიანთ ზონებში ან დაზარალებულ ქვეყნებში, სადაც ბრალდებულთ დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. ამიტომ იყო, რომ ამერიკელმა ბრალმდებელმა თავის შესავალ სიტყვაშივე განაცხადა:

— ის, რომ გამარჯვებით გალაღებულმა და მიყენებული ზარალით ტანჯულმა ოთხმა დიდმა სახელმწიფომ შეაჩერა შურისსაძიებლად აღმართული ხელი და თავიანთი დატყვევებული მტრები სამართლიანობის სამსჯავროს გადასცა, წარმოადგენს ყველაზე დიდ მაგალითს იმ ხარკისას, რასაც ძალაუფლება უხდის გონებას...

... ამგვარი პროცესების უპრეცედენტობის გამო საჭირო გახდა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის სპეციალური წესდების გამომუშავება, რაც შემდეგ დაცვის მხარემ გააპროტესტა — კანონს უკუქმედების ძალა არა აქვსო, მაგრამ წესდება მაინც მიიღეს და აღნიშნეს, რომ ამან განავითარა და გაამდიდრა საერთაშორისო სამართალი.

ჯექსონმა აღნიშნა:

— მიუხედავად იმისა, რომ ეს ტრიბუნალი წარმოადგენს ახალ მოვლენას და ექსპერიმენტს, იგი აბსტრაქტული განსჯის შედეგი როდია. იგი არც იმისთვის შექმნილა, რომ გამართლებულ იქნეს სამართლის თეორიები. ეს სასამართლო განხილვა ასახავს ოთხი დიდი სახელმწიფოსა და 15 სხვა მხარდამჭერი ქვეყნის პრაქტიკულ მისწრაფებას, გამოიყენონ საერთაშორისო სამართალი ჩვენი დროის უდიდესი საშიშროების — აგრესიული ომების წინააღმდეგ. საღი გონება მოითხოვს, რომ კანონი არ დაკმაყოფილდეს პატარა ადამიანების მიერ ჩადენილ დანაშაულებათა დასჯით. იგი უნდა მისწვდეს იმათაც, ვინც ფლობს უდიდეს ძალაუფლებას და წინასწარი განზრახვით იყენებს იმისთვის, რომ ჩაიდინოს ისეთი ბოროტება, რომელიც არ ინდობს მსოფლიოს არც ერთ ოჯახურ კერას. აი, ბატონო მოსამართლენო, რა მასშტაბის საქმეს ადგენენ თქვენს წინაშე განსახილველად გაერთიანებული ერები.

წესდების მიღების შემდეგ ის იკითხეს: ვინ უნდა გაასამართლოს სამხედრო დამნაშავენიო. გაჩნდა სამი ვარიანტი: 1. გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა, 2. ნეიტრალურმა ქვეყნებმა, 3. თვით გერმანელებმა.

მესამე ვარიანტი მაშინვე მოიხსნა, რადგან ამის სავალალო მაგალითი უკვე იყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ვერსალის ხელშეკრულებაშიც ეწერა, დამნაშავენი საერთაშორისო სამსჯავროს წინაშე უნდა დააყენონო, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ეს არ გამოვიდა. ამიტომ, გადაწყდა, მთავარი დამნაშავენი მოკავშირეთა მთავრობის მიერ სპეციალურად დანიშნულ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალზე გაესამართლებინათ.

ახლა შესათანხმებელი დარჩა, თუ სად უნდა მოწყობილიყო ეს პროცესი. საბჭოთა მხარემ წამოაყენა წინადადება, ლონდონში ან ბერლინშიო, ინგლისელებმა თქვეს, მიუნჰენშიო, ამერიკის წარმომადგენელი ჯეკსონი ამ საკითხის შესათანხმებლად ფრანკფურტში ჩაფრინდა გენერალ კლეისთან სათათბიროდ და იქიდან დაბრუნების შემდეგ შეიტანა წინადადება — ნიურნბერგშიო. მოტივი ასეთი იყო: ნიურნბერგი ტრადიციული სამსჯავრო ქალაქია, თანაც, იუსტიციის სასახლე შედარებით დაუზიანებელიაო.

ამ წინადადებას სხვებიც დაეთანხმნენ და გადაწყვიტეს პროცესის ნიურნბერგში მოწყობა. ეს, მოგეხსენებათ, მთავარ სამხედრო დამნაშავეებს ეხებოდა. საერთოდ კი, იანგარიშეს და გამოირკვა, რომ ყველა დამნაშავის, თუნდაც ჯგუფურ გასამართლებას ორასი ათასი პროცესის მოწყობა დასჭირდებოდა...

შეხვედრა აგნეტენდორფში...

კაცმა რომ თქვას, სასჯელი არც „სულიერ დამნაშავეებს“ უნდა ასცდენოდათ. ნაცისტური აჟიოტაჟის მეხოტბე მწერლებსაც ხომ გააგდებინეს გრძელტარიანი კოვზები ხელიდან. მათი უმრავლესობა დასავლეთის ზონებში გაიქცა და სოროებ-

ში მიიმალა. ასეთები იყვნენ: ბოიმელბერგი, კოლბენჰაიერი, იოსტი, ბინდინგი, დვინგერი, ბურტი, ბარტელსი, ბლუნკი, ბრეემი, შტრაუსი, შტეერი, ფალკე, ბერტრანი და სხვ. ამიტომ, როცა გერმანიის საბჭოთა ზონაში დემოკრატიული კულტურის კერების აღორძინებაზე დავიწყეთ ზრუნვა, თითქმის ცარიელი ადგილი დაგვხვდა. ეს გასაგებიცაა. როგორც ომის დამთავრებისას ცნება „გერმანია“ დაიცალა შინაარსისაგან, ასევე „გერმანული კულტურაც“, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ემიგრანტულ ლიტერატურას. ასეთი კი ნამდვილად არსებობდა, და თუ რამ კარგი შეიქმნა იმ წლებში, მხოლოდ ემიგრაციაში.

შტ. გეორგე შვეიცარიაში რომ გადაიხვეწა, მაშივე ის თქვა, სადაც მე ვარ, გერმანული ლიტერატურაც იქ არისო. ეს შემდეგ თ. მანმაც გაიმეორა. თვით გერმანიაში კი მართლაც არაფერი დარჩა: აღარც მწერლობა, აღარც თეატრი, აღარც კინემატოგრაფია, აღარც მხატვრობა და მუსიკა... არაფერი, გარდა შემოქმედებითი ინტელიგენციის უფორმო, დაქსაქსული მასისა. ამიტომ, ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები, უწინარეს ყოვლისა კი, გერმანული კულტურის სულიერი დენაციფიკაცია და დემოკრატიულ მოღვაწეთა გამოვლინება. ამ მხრივ უდიდესი მუშაობა გასწიეს ემიგრაციიდან დაბრუნებულმა მოღვაწეებმა. თითო-ოროლა კაცი „შინაგან ემიგრაციაშიც“ აღმოჩნდა, ისინი, რომლებიც ნაცისტური რეჟიმის დროს გერმანიაში დარჩნენ, მაგრამ „შესაძლებლობის ფარგლებში არც გონიერება დაუკარგავთ და არც პატიოსნება“. ომის შემდეგ ერნსტ იუნგერი გამოესარჩილა მათ და საკმაოდ ეშმაკურადაც „მოხადა ნამუსი“.

— ისინი სეისმოგრაფები იყვნენ, — წერდა იგი, — მათი ნაწარმოებები ბარომეტრებივით აღნიშნავდნენ ტაიფუნის მოახლოვებას, თავისთავად ტაიფუნი საშინელია, მაგრამ ამის გამო სეისმური აპარატები კი არ უნდა დავამსხვრიოთ. ბარომეტრს არ შეუძლია ტაიფუნის დანაშაული იტვირთოს...

...„ბარომეტრების“ მსხვრევას არც არავინ აპირებდა, პირიქით, მათთან კონტაქტის დამყარებას ვცდილობდით. ეს კი

საიტერესოც იყო და სასიამოვნოც. ჩემს თვალწინ სწრაფად იზრდებოდა „სხვა გერმანია“, რაც მნიშვნელოვნად ანელებდა სიტყვა „გერმანელის“ ავბედით მნიშვნელობას. ადრე რომ მეგონა, ყველა გერმანელი ჰიტლერული ნარკოზით იყო შეპყრობილი, ახლა სულ სხვა გამოირკვა. ჩვენ გარშემო სულ უფრო მეტი „საღად მოაზროვნე“ გერმანელი იკრიბებოდა. თურმე ყველას როდი მიუყიდია სული ეშმაკისათვის. ეს, მე კი არა, მარკოვმაც იგრძნო. საკვირველი ის იყო, რომ იმასაც გაუჩნდნენ „მეგობარი ფრიცები“. ჯერ იმრიზებოდა, არ სჯეროდა „ფრიცი“ და „კარგი კაცი“ თუ ერთმანეთს დაუკავშირდებოდა. მერე ოდნავ მოიბრუნა გული — „ფრიც, შენი ესა და ისო“... შეუკურთხებდა ვინმეს, მაგრამ მაინც მეგობრულად გაუღიმებდა.

— აი, ხომ ხედავ, — ვუთხარი ერთხელ, — რომ ამბობდი, ყველა გერმანელი ასეთი და ისეთიაო, ვერ უყურებ, რამდენი სიმპათიური „ფრიცი“ ყოფილა?

— დამარცხდნენ ეს ძაღლიშვილები და ჭკუაზე მოვიდნენ, თორემ, რომ გაემარჯვათ, ფრიცი მაინც ფრიცი იქნებოდაო, — მიპასუხა.

— არა, ძმაო, ისინი კი არ დამარცხდნენ, არამედ ჩვენთან ერთად გაიმარჯვეს ჰიტლერელებზე, — განვუმარტე მე.

მარკოვი უკვე აღარ ჯიუტობდა.

— ჰო, შეიძლება ამ შობელძაღლებშიც იყვნენ კარგი ადამიანებიო.

შემდეგ ეს „შობელძაღლიც“ თანდათან მოშორდა მის ლექსიკონს და, უნდა გენახათ, რა გულმოდგინედ ტრიალებდა იგი „გერმანელ კოლეგებს“ შორის... როგორც ჩანს, ცრემლის მდინარემ მართლაც მოიტანა ხიდი და უფსკრულზე გადო. ეს სასიამოვნო პროცესი იყო. ჩემშიც აღდგა ძველი სიმპათიები გერმანული კულტურისადმი. ის, რაც მისწავლია და განმიცდია, ახალი ინტერესით შეივსო. უშუალო კონტაქტებმაც თანდათან გააქრო ადრიდანვე აკვიატებული იდუმალი შიში „ყოველგვარი გერმანულის“ მიმართ... ასე იყვნენ სხვებიც. მე გაოცებული ვიყავი იმ გულწრფელი დამოკიდებულებით, რაც გერმანელებსა და ჩვენი არმიის წარმომადგენლებს შორის

დამყარდა. სად გაქრა ის გახელება, რომლითაც მოიწევდნენ ისინი „ფაშიზმის ბუნაგისკენ“, როგორ აორთქლდა ყველა გზაჯვარედინზე გაკრული მოწოდება „მოჰკალი გერმანელი!“ საველე სამზარეულოები უხვად ურიგებდნენ კერძებს დამშეულ მოსახლეობას, ჯარისკაცები უკანასკნელ კვნიწ თამბაქოს უყოფდნენ თავიანთ „კამერადებს“. არც გერმანელ „ხფრაუბთან“ ბეგისებური „კოლოსალური კონტაქტი“ იყო იშვიათი შემთხვევა...

ვუყურებდი ამას და ვგრძნობდი: რა დიდი განსხვავებაა ორ ცნებას — „დაპყრობასა“ და „გათავისუფლებას“ შორის. თურმე, გერმანელებსაც ისევე სჭირდებოდათ ჰიტლერელებისაგან გათავისუფლება, როგორც სხვა ხალხებს... თითქოს ჯიჯოხეთის დაგმანული კარები გაიხსნა და მზის სინათლეზე გამოვიდნენ დატანჯული, გაწამებული, მაგრამ სულიერად განმტკიცებული გერმანელები. ისინი შეძრწუნებული იყვნენ ყოველივე იმით, რაც მოხდა, მაგრამ თვალებში იმედის სხივი მაინც ჰქონდათ, სხივი კი არა... იქნებ, ცრემლი... ის ცრემლი, რომელზედაც თომას მანი წერდა: „ვიდრე გერმანელებს სიტყვა „თავისუფლების“ გაგონებაზე თვალზე ცრემლი არ მოერევათ, მათი საშველი არ იქნებაო...“ მე ვნახე ეს „ცრემლი“ გერმანელების თვალში და ისევ იმ „ჩატეხილი ხიდის“ ამბავი გამახსენდა, რამეთუ „სანთელი გუამისაჲ არს თუალი“, როგორც მათეს სახარებაში სწერია. ჩვენც ჩვენი თვალსაზრისით ვმუშაობდით იმ „ჩატეხილი ხიდის“ გამრთელებაზე, რაც უფრო მეტად სულიერ სამყაროს ეხებოდა, ვიდრე მატერიულს. მე, რატომღაც, მგონია, რომ სწორედ ეს იყო მაშინ მთავარი. თუმცა, მე კი არა, ჯერ კიდევ ვირგილიუსი წერდა: „სული ამოძრავებს მატერიასო“. თუ ეს ასეა, ცხადია, სულიერი სამყარო უფრო მნიშვნელოვანი სფეროა მოქმედებისა, ვიდრე სხვა რამ. შეიძლება ეს რამდენადმე მოულოდნელი იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ თვით ნაპოლეონსაც კი უთქვამს: „ქვეყნად ორი ძალა დადის — სული და მახვილი, მაგრამ სული მაინც უფრო ძლიერია, ვიდრე მახვილიო...“

მართლაც, მახვილით ტერიტორიების დაპყრობა შეიძლე-

ბა, სულისა კი არა. ის კი არა, სულის შექმნაც არ შეიძლება. ეს გენიოსებსაც არ ძალუძთ.

— შენ არ შეგიძლია, შექმნა სული, შენ უნდა შეხვდე მას, — წერდა ბეტინა გოეთეს...

მაგრამ რომ შეხვდე... უნდა იყოს... არის კიდეც, თუ ვინმე მასთან მისვლას მოისურვებს. ამისთვის კი ჯერ მახვილი უნდა ჩააგოს ქარქაშში, რადგან, ეკჰარტისა არ იყოს, სული — მშვიდობა, სიხარული და სიყვარულია. იგი ჩვილი ბავშვივითაა და სათუთ მოპყრობას ითხოვს... დღეს ყველა იმეორებს: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო“. ეს შეიძლება მართლაც ასეა, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, იუვენალმა რომ თქვა: „ჯანსაღ სულში ჯანსაღი სხეულიაო“, თორემ სხეულის სიჯანსაღეს ზოგჯერ სულიერი სიღატაკეც სდევს თან. ჰიტლერელები, მოგეხსენებათ, სულის ცეცხლში წრთობასაც კი ქადაგებდნენ. თითქმის მთელი ევროპა გადაბუგეს კიდეც, მაგრამ ბოლოს თვითვე შთაინთქნენ ცეცხლსა და გეჰენიაში...

... იმ „ჯოჯოხეთს“ კი „განსაწმენდელი“ მოჰყვა, გერმანიის სულიერი აღორძინების პროცესი, რასაც მაშინ „დენაციფიკაციას“ უწოდებდნენ. ჩვენც ამ სფეროში ვმოღვაწეობდით, ყველას გარკვეული დავალება გვქონდა. ვეძებდით „თვალებზე ცრემლმორეულ“ გერმანულ ინტელიგენციას, რათა ისევ ჩაგვეყენებინა ისინი თავიანთი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში. ამისათვის ერთხელ, იოჰანეს ბეხერთან ერთად, სილეზიაში გავემგზავრე „შინაური ემიგრაციის“ ყველაზე დიდი წარმომადგენელ გერჰარტ ჰაუპტმანის სანახავად. მე არ მინდა ჩავუღრმავდე საკითხს, თუ როგორ იქცეოდა ჰაუპტმანი ნაცისტური დიქტატურის დროს. ეს თვით გერმანელების საქმეა. მე ის ვიცი, რომ ერთხანს მერყეევი პოზიცია ეჭირა. როცა მას 80 წლის იუბილე გადაუხადეს, ბევრი რევერანსი აკეთა მარჯვნივ და მარცხნივ. ერთხელ „უდიდესი ბედნიერებაც“ ხვდა წილად — პირადად შეხვდა ადოლფ ჰიტლერს. ეგონა, ეს შეხვედრა გაიმეორებდა გოეთეს ისტორიულ საუბარს ნაპოლეონთან, მაგრამ...

... მიღებაზე, ჰაუპტმანის გარდა, აუარებელი ხალხი იყო, უმთავრესად სამხედროები. ჰიტლერი რომ შემოვიდა, სტუმრე-

ბი ადგილზე გაშეშდნენ. ფიურერმა ჩამოუარა მათ, ხელი ჩამოართვა და სამხედროებთან ისე გააბა საუბარი, რომ ჰაუპტმანისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მიუხედავად ამისა, სახელგანთქმულმა მწერალმა განაცხადა, ეს ყველაზე ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაშიო.

შემდეგ, როგორც ჩანს, გერჰარტ ჰაუპტმანს, ისევე როგორც ბევრ სხვას, აღარ იტაცებდა ამგვარი „ბედნიერება“, იმედი გაუცრუვდა, საერთოდ განზე გადგომა არჩია, „სულიერი ესკეპიზმის“ გზას დაადგა და ანტიკური თემატიკის დამუშავებას მიჰყო ხელი. მან შექმნა ტეტრალოგია ატრიდების შესახებ („იფიგენია დელფიში“, „იფიგენია ავლისში“, „აგამემნონის სიკვდილი“, „ელექტრა“), მერე „ოქროს არფით“ გაახარა თაყვანისმცემლები და, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი „სულიერი ავტონომიაც“ შეინარჩუნა.

მართალი გითხრათ, მე არც ვიცოდი, „რა ენაზე“ შეიძლებოდა მასთან ლაპარაკი, მაგრამ მაინც გავყევი ბეხერს. ჰაუპტმანი თავის მამულში ცხოვრობდა აგნეტენდორფში. მე იმიტომაც მაინტერესებდა მისი ნახვა, რომ წლების მანძილზე მიხდებოდა ჰაუპტმანის შემოქმედების შესწავლა და შემდეგ ლექციების კითხვა ჩვენს უნივერსიტეტში. ახლა, რაკი ასეთი შემთხვევა მომეცა, სიამოვნებით ვესტუმრე მას.

შესანიშნავ პარკში შევედი. აქ მწვანეში ჩაფლული ძველებური გერმანული ვილა იდგა. მის წინ გაშლილი სუფთა, გაკრიალებული გაზონები, კარგად მოვლილი ყვავილები და თეთრი ქანდაკებები განსაკუთრებულ, საზეიმო სახეს აძლევდა ბაღს. როცა აქ საბჭოთა არმიის ნაწილებმა გაიარეს ბრძოლით და გაიგეს, რომ ეს მამული დიდ გერმანელ მწერალს ეკუთვნოდა, საგანგებო ზომები მიიღეს მის დასაცავად. ალაყაფის კარებთან ჩვენი მისვლის დროსაც იყო გაკრული სარდლობის განკარგულება ამ შენობის დაცვის შესახებ და მოხუცი მწერლის მყუდროება, მართლაც, არავის დაურღვევია.

ჰაუპტმანის პორტრეტები ბევრი მენახა. უმთავრესად კი ასეთი მახსოვდა: მაღალი, წარმოსადეგი მოხუცი ნაცრისფერ კოსტუმში, „გოფრე“ შარვლითა და ჭრელი წინდებით; მაღა-

ლი შუბლი, კეფამდე გადასული სიშიშვლე და გარს შემოყოლილი სრულიად ჭაღარა, აწეწილი თმები, პატარა, მუდამ მოჭუტული თვალები და საკმაოდ უფერული სახე.

შეხვედრისთანავე ვიცანი. იგი თავისი მეუღლის თანხლებით ვერანდაზე შეგვხვდა, მოგვესალმა და შინ მიგვიწვია. ძალიან უგუნებოდ ჩანდა.

მე უხერხულად ვიგრძენი თავი, რადგან მთელი ეს ცერემონია ისე ჩაატარა, რომ მის სახეზე უბრალო ღიმილიც არ შემინიშნავს. ასევე მოდუნებულად შეგვიძღვა სასტუმრო ოთახში და მძიმედ ჩაჯდა სავარძელში. მეტისმეტად დაღლილი სახე ჰქონდა და მოგუდული, ოდნავ ხრინწიანი ხმით ლაპარაკობდა. როცა ბეხერმა მისი ჯანმრთელობა მოიკითხა, რატომღაც გაკვირებული სახე მიიღო:

— ეხ, ჩემო ბატონო, ამ საშინელი კატასტროფის დროს საკუთარ ჯანმრთელობაზე ვინღა ფიქრობს, — თქვა მან.

— რატომ? — თქვენი ჯანმრთელობის დაცვით ჩვენი ერია დაინტერესებული, — გაამხნევა ბეხერმა.

— განა ჩვენს ერს კიდევ შერჩა რამე ინტერესი? — იკითხა ჰაუპტმანმა და თვალები ისე მილულა, რომ ვიფიქრე, არ ჩაეძინოს-მეთქი. ბეხერმა ვერც მოასწრო პასუხი გაეცა ამ, არცთუ ისე სასიამოვნო, კითხვაზე, რომ ჰაუპტმანის მეუღლემ და მსახურმა ქალმა თითო ფინჯანი ყავა მოგვართვეს.

მწერალმა თქვა, მე არ მინდა, ნერვები ისედაც ზედმეტად მაქვს აღგზნებულიო. ჩვენც მხოლოდ ზრდილობისათვის მოვსვით თითო ყლუპი და თავი დავანებეთ.

— ჩემი ქმარი, ალბათ, სულ თავის მოგზაურობაზე წუწუნებს, — თქვა მეუღლემ, — მაშინაც მე მაბრალებდა და ახლაც...

ჩვენ ვერ მივხვდით, რა მოგზაურობაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ რაკი ჰაუპტმანის მძიმე განწყობილება ამასთან დაკავშირებული ჩანდა, დავინტერესდით.

— სადმე ბრძანდებოდით? — ჰკითხა ბეხერმა.

— ორიოდე დღის წინ დავბრუნდი დრეზდენიდან, — თქვა მან და ხელი ჩაიქნია.

შემდეგ გავიგეთ, დრეზდენში ჰაუპტმანის მეუღლეს სახლი ჰქონია. უფრო ადრე ისინი ჩასულან იქ სწორედ იმ დღეს, როცა ამერიკის ავიაციამ მასობრივი თავდასხმა მოაწყო ამ ქალაქზე. ეს იყო 1945 წლის 14—15 თებერვალს, ღამით. როგორც აღნიშნავენ, 220 ათასი საცხოვრებელი სახლიდან ერთ ღამეში სრულიად დანგრეულა 80 ათასი, 75 ათასი კი ძლიერ დაზიანებულა. ბერლინი გადმოსცემდა, რომ იმ ღამეს 350—400 ათასი კაცი დაიღუპა, ნეიტრალური პრესა კი წერდა — „სულ რაღაც ასი ათასიო.“ ცხადია, გერმანიაში უკვე იცოდნენ, რა კატასტროფული იყო ეს თავდასხმა.

თვითონ ამერიკელები და ინგლისელები ამას ვანდალიზმის ნიმუშს უწოდებდნენ. 1500 მძიმე ყუმბარმშენი ბომბავდა ქალაქს. ჰაუპტმანს და მის მეუღლეს პირადად განუცდიათ ეს საშინელება და იმავე ღამეს გამოქცეულან აგენტენდორფში. ახლა კი, მეუღლესთან ერთად, ჰაუპტმანი ისევ ჩასულა დრეზდენს და უნახავთ მიწასთან გასწორებული ქალაქი და თავიანთი სახლიც. ამას ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ორივეზე, რომ ჯერაც არ იყვნენ იმ საშინელი განწყობილებიდან გამოსული.

— თქვენ ყოფილხართ ამ ბოლო დროს დრეზდენში? — იკითხა ჰაუპტმანმა ნელი ხმით.

— მე არა, — თქვა ბეხერმა.

— მე ვიყავი, — მივუგე და შემდეგი კითხვისათვის მოვემზადე.

— დანგრევამდე თუ დანგრევის შემდეგ?

— ორი თვის წინ.

— როგორ გგონიათ, დრეზდენი უფრო დანგრეულია თუ ბერლინი?

— რა თქმა უნდა, ბერლინი! — ვუთხარი პირდაპირ, რადგან ტყუილს ვერ ვეტყოდი.

ერთხანს არაფერი უთქვამს. იჯდა და ფიქრობდა. მერე თითქოს თავისთვის თქვა:

—ძველი გერმანელები ამბობდნენ: „Was vom Himmel fallet, schadet nicht“—რაც ციდან ვარდება, ზიანს არავის

მოუტანსო. ზიანი არ მოგვიტანა კი არა, ხომ ხედავთ, ცა და დედამიწა თავზე დაგვაქციეს...

უცებ გაჩერდა, თვალები დახუჭა და ისე დაუმატა:

— რატომ სჩადის ამას ადამიანი?

ამ კითხვაზე ასე ადვილად ვინ უპასუხებდა! ჩვენც თავი ავარიდეთ პირდაპირ პასუხს, მაგრამ რაკი არც ერთმა არ ამოვიღეთ ხმა, ისევე მან განაგრძო:

— ამ ოცდახუთი წლის წინათ მე მივწერე მაქსიმ გორკის: ადამიანისათვის სიკეთე ისევე დამახასიათებლია, როგორც ხისათვის მწვანე ყლორტების გამოსხმა; იმ დროსაც კი, როცა ხე შიშველი დგას და ტოტები თოვლით აქვს დაფარული...

ახლა მე მიმძიმს ამ სიტყვების გამეორება, — დაუმატა მან და ტანში გააჟრჟოლა, მაგრამ მაინც განაგრძო:

— ზოგჯერ ისეთი კოშმარები მიპყრობს, რომ ვფიქრობ — იქნებ სიმართლე ნიცშეს შემაძრწუნებელ სიტყვებში უფრო იყოს, „ადამიანი რომ ბუნებით ბოროტია, ამაშია ჩემი ნუგეში, რადგან იგი ძალას შეიცავსო“.

ისევ პაუზა. მერე კი მოულოდნელი კითხვა:

— თუ ასეა, ღმერთი სადღაა?

თან ისე მოგვაჩერდა, რომ თავი უხერხულად ვიგრძენით, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თვითონ გამოგვიყვანა უხერხული მდგომარეობიდან:

— თუკი არის სადმე, რატომ აღვიძებს იგი ჩვენში მთვლემარე დემონებს?

ესეც ისეთი კითხვა იყო, რაზედაც პასუხის გაცემა ძნელია. საბედნიეროდ, არც თვითონ უცდიდა ჩვენს პასუხს, ისე განაგრძობდა:

— ადამიანი ბოროტებას მაშინ ირჩევს, როცა სიკეთის იმედს ჰკარგავს, ან რისი იმედი უნდა ჰქონდეს კაცს, აპოკალიფსის ამ ჯოჯოხეთურ გარემოცვაში!..

... შემდეგ საუბარი სხვა საკითხებს შეეხო. მწერალი თითქოს გახალისდა. ისიც ესიამოვნა, ბეხერმა „კულტურბუნდის“ საპატიო პრეზიდენტობა რომ შესთავაზა და ბერლინში ჩასვ-

ლა სთხოვა. ერთხანს გაჩერებული იყო, შემდეგ ოდნავ შესამჩნევი კმაყოფილების იერიც წაეშალა სახეზე და გაბზარული ხმით თქვა:

— არა, ვერ ჩამოვალ, ჩემი მოხუცი თვალები ვერ გაუძლებენ დანგრეული ბერლინის ყურებას.

მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა:

— თუმცა ეს შესაძლებლობა გამორიცხული არ არის, ჯერ მაინც არ შემიძლია პასუხის მოცემა.

— თქვენ ეხლა სჭირდებით გერმანიას, — უთხრა ბეხერმა.

— ვეჭვობ, — თქვა ჰაუპტმანმა, — ჩემთვის ასე ხშირად უთქვამთ ეს ამ 12 წლის განმავლობაში და ვერ გამიგია, ნუთუ მხოლოდ ეროვნული სიგიჟის ან კატასტროფის დროს ვჭირდები ჩემს ქვეყანას?

— აღორძინების დროსაც! — მოხერხებულად ჩაურთო ბეხერმა.

ჰაუპტმანი ისევ ჩაფიქრდა. მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა:

— მე მაშინებს ამაზე ფიქრი!

მეტი კითხვა არ მიგვიცია. ისევ განყენებულ საკითხებზე დაიწყო ლაპარაკი. შემდეგ მისი მეუღლეც ჩაერია საუბარში და მწერალი გახალისდა. სიტყვამ მოიტანა და ვუთხარი, — თქვენს წიგნებს დიდი ინტერესით სწავლობენ საქართველოში-მეთქი და დავუმატე:

— მეც მქონდა პატივი თქვენ შესახებ ლექციები მეკითხა საქართველოს უნივერსიტეტში.

დაინტერესდა, ჩემს რომელ წიგნებს კითხულობენ უფრო თქვენს ქვეყანაშიო, მკითხა. მაშინვე დავუსახელე: „მზის ამოსვლის წინ“, „ფეიქრები“, „ჩაძირული ზარი“. შევატყვე, რაღაც არ ესიამოვნა. ღრმად ჩაფიქრდა და თქვა:

— მეც მიყვარს ჩემი ახალგაზრდობის ეს ნაწარმოებები, მაგრამ როცა ასე მეუბნებიან, უსიამოვნო გრძნობა მიჩნდება, თითქოს მე ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მოვკვდი, როგორც მწერალი.

— არა, რატომ?..

მინდოდა, სხვა, უფრო ახალი პერიოდის ნაწარმოებები დამესახელებინა, მაგრამ ხელის ოდნავი მოძრაობით შეეჩერა:

— თქვენ კი არა, ასე მეუბნება ყველა, ვინც უცხო ქვეყნიდან მოდის ჩემთან.

მერე ცნობისმოყვარეობის გამო ვკითხე, მართალია თუ არა, რომ მან „ფლორიან გაიერი“ მხოლოდ იმიტომ დაწერა, რომ პრესამ უსაყვედურა, ჩვენი ხალხის ისტორია არ იცის და ამიტომაც ისტორიულ დრამებს ვერ წერსო.

— ჩვენ ასე ვიცით, რომ თქვენ თვითონ განაცხადეთ, თითქოს „ფლორიან გაიერი“ ასეთი საყვედურების გასაბათილებლად დაწერეთ, — დავუმატე მე.

ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაჰკრა სახეზე და ისევ ისე მოგუდული ხმით მიპასუხა:

— ერთი რამეს გირჩევთ, მეგობარო... არასოდეს არ დაუჯეროთ მწერალს, რომელიც თავის ნაწარმოებებზე გამოთქვამს აზრს! ასეა, არა? — მიმართა მან ბეხერს.

— მე, საერთოდ, არასოდეს არავითარი აზრი არ გამომითქვამს ჩემს ნაწარმოებებზე, — მიუგო ბეხერმა.

შემდეგ მასთან „საქმიანი საუბარი“ გვქონდა ბერლინში გადმოსვლის თაობაზე. თუ ჰაუპტმანი ამას მოისურვებდა, საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაცია ყოველმხრივ შეუწყობდა ხელს და შეასრულებდა მის ყოველგვარ მოთხოვნას.

ძალიან ესიამოვნა. ბოდიში მოიხადა, დროებით დაგტოვებთ, წერილს დავწერ და გაგატანთო. ძლივს წამოდგა. ცოტათი ცოლიც შეეშველა და სამუშაო კაბინეტში გაიყვანა. ჩვენ ეზოში გამოვედით და ბაღი დავათვალიერეთ. შემდეგ ისევ მიგვიხმეს და ჰაუპტმანმა წერილები გადმოგვცა საბჭოთა სამხედრო პრესაში გამოსაქვეყნებლად. ჯერ იკითხა, რა გაზეთი გამოდისო. „Täglich Rundschau“ („ყოველდღიური მიმოხილვა“)-მეთქი, ვუპასუხე. ერთი წერილი მას ორი დღით ადრე მოემზადებინა. ეს იყო მიმართვა გერმანელი ხალხისადმი, დაწერილი დრეზდენიდან დაბრუნებისთანავე, მეორე წერილი კი ჩვენი გაზეთის რედაქციისადმი.

აი ეს წერილები:

გერჰარტ ჰაუპტმანის მიმართვა გერმანელი ხალხისადმი!

არ არის ისეთი წუთი, მე რომ გერმანიაზე არ ვფიქრობდე, თუმცა უკვე აღარა მაქვს ძალა ვიმოქმედო ისე, როგორც შეიძლება მსურდეს. დღისით და ღამით, სიზმარში თუ ცხადში, მე ვხედავ გერმანიას. მე არ ვიცი სხვა აზრი, გარდა ამისა. თუკი საჭიროა, ამას რამე მიემატოს, მხოლოდ ის, რომ მტკიცედ მწამს გერმანიის აღორძინება და არასოდეს არ ვუღალატებ ამ რწმენას. არ არის აზრი, რომელიც შეთანხმებული არ იყოს ამასთან. მე ვიცი, რომ ყველა მოწინავე ძალა, მინდა ვთქვა, მთელ მსოფლიო, გამსჭვალულია ერთი ნებით და იმედი მაქვს შევძლო, მონაწილეობა მივიღო ქვეყნის აღორძინების საერთო საქმეში.

გერჰარტ ჰ ა უ პ ტ მ ა ნ ი.

მეორე:

„ყოველდღიური მიმოხილვის“ რედაქციას.

ჩემი ლიტერატურული ფესვები დაკავშირებულია ტოლსტოისთან. მე ამას არ უარვყოფ. დრამა „მზის ამოსვლის წინ“ განაყოფიერებულია მისი „წყვდიადის სამეფოთი“. იქიდანაა ნასესხები გაბედული ტრაგიზმის განსაკუთრებული სახე. მთელი ჩვენი ახალგაზრდა ეპოქა სარგებლობს რუსულიდან გერმანულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურის საგანძურით. მარცვლები, რომლებიც აღმოცენდნენ ჩვენში, უმთავრესად რუსული ნიადაგიდანაა შემოტანილი. ამ წუთებში, როცა მე ვწერ ამ სტრიქონებს, ვფიქრობ პირველ ვიზიტზე, რომელიც ასეთის მოწიწებით გაუკეთა ჩემს მარტოობას ახალმა რუსეთმა და მეც, რასაკვირველია, სულით და გულით ვეხმაურები ამ მისალმებას.

გერჰარტ ჰ ა უ პ ტ მ ა ნ ი.

ეს წერილები მაშინვე გამოქვეყნდა საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის ორგანო „ყოველდღიურ მიმოხილვაში“.

თვითონ ჰაუპტმანს ამის შემდეგ ბერლინი არ უნახავს. 1946 წლის აპრილს მან გადაწყვიტა დედაქალაქში გადმოსახლება და მზადებას შეუდგა. საბჭოთა სარდლობამ მას სპეციალური მატარებელი გაუგზავნა. ეს მატარებელი დიდი ხანი იყო ჰაუპტმანის განკარგულებაში, მაგრამ იგი ამ დროს გაცივდა, ავადმყოფობა გაურთულდა და გარდაიცვალა.

იმავე მატარებლით უკვე გერჰარტ ჰაუპტმანის ცხედარი გადმოასვენეს ბერლინში.

ხმა კალიფორნიიდან...

ჰაუპტმანთან ერთად, ცოცხალ გერმანელ მწერალთა შორის უდიდესი თომას მანი იყო. იგი მაშინ კალიფორნიაში ცხოვრობდა. ჩვენ გვინდოდა თ. მანი გერმანიაში დაბრუნებულიყო. ეს მთელი გერმანელი ხალხის სურვილიც იყო. ამიტომ ბერლინის რადიომ რამდენჯერმე გადასცა მიმართვა მანისადმი, რათა იგი დაბრუნებოდა თავის სამშობლოს. მწერალმა ვალტერ ფონ მოლომ ასეთივე შინაარსის ღია წერილიც გამოაქვეყნა და კერძო ბარათიც გაუგზავნა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, თ. მანი არ აპირებდა გერმანიაში დაბრუნებას.

— ერთგულებამ მაიძულა, შეძრწუნებული გავქცეოდი ჩემი სამშობლოს დანაშაულს, — წერდა იგი მაშინ, როცა თავის ქვეყანას სტოვებდა. ახლა კი უკანვე მოუხმობდნენ, მაგრამ...

ვალტერ ფონ მოლომ ოფიციალური პასუხი მიიღო მისგან. მოლომ ეს წერილი მაშინვე მაჩვენა. მე ასლი გადავიღე და თარგმანის ერთი ცალი ახლაც თან მაქვს.

თ. მანი მადლობას უხდის მოლოს, რომელმაც გერმანული საზოგადოებრიობის სახელით მოიწვია იგი გერმანიაში „რჩევისა და საქმეებისათვის". გარდა ამისა, მანს მრავალი სხვა მოწვევა ჰქონია მიღებული გერმანიის ახლად აღორძინებული დემოკრატიული ორგანიზაციებიდან, რაზედაც წერს:

— ცხადია, მე უნდა მიხაროდეს, რომ გერმანიას კვლავ

ვუნდივარ, არა მარტო ჩემი წიგნები, არ[illegible]ედ თვითონ მე, მაგრამ ამ მოწვევებში არის ჩემთვის [illegible] [illegible]ფოთებელი, არალოგიკური, არასამართლიანი და [illegible]

რატომ? ამაზე პასუხს თვითონ მანი იძლევ[illegible]

— ალბათ, არ ითვალისწინებენ ტექნიკურ, მოქალაქეობრივ და სულიერ სიძნელეებს, რაც წინ ეღობება ჩემს დაბრუნებას. განა შეიძლება მოვიქცეთ ისე, თითქოს ყოველივე ეს სულაც არ ყოფილა?

თომას მანი „არასოლიდარობაში“ სდებს ბრალს ინტელიგენციას, ვინც ნაცისტური რეჟიმის დროს გერმანიაში დარჩა:

— მაშინ რომ გერმანელი ინტელიგენტები, — წერს იგი, — ყველა, ვისაც ჰქონდა სახელი, და მსოფლიო სახელიც — ექიმები, მუსიკოსები, მასწავლებლები, მწერლები, მხატვრები ამდგარიყვნენ, როგორც ერთი კაცი, იმ სირცხვილის წინააღმდეგ, გამოეცხადებინათ საერთო გაფიცვა და დაეტოვებინათ მშობლიური ქვეყანა, ეს მოახდენდა შთაბეჭდილებას როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე მის გარეთ და ბევრი რამ სხვაგვარად მოხდებოდა, ვიდრე ეს მოხდა. მაგრამ ცალკეული ინტელიგენტი, თუ იგი შემთხვევით ებრაელი არ იყო, ეკითხებოდა თავის თავს: კაცმა რომ თქვას, რატომ? სხვები ხომ მონაწილეობენ ყოველივე ამაში? ეს არ შეიძლება საშიში იყოს...

შემდეგ თომას მანს მოჰყავს გერმანელი მწერლის ჰერმან ჰესეს სიტყვები:

გერმანელები დიადი, მდიდარი და მნიშვნელოვანი ხალხია, ამის უარყოფა ვის შეუძლია... მაგრამ, როგორც პოლიტიკური ერი, — ის აუტანელია! ამგვარ პოლიტიკურ ერთან მე ერთხელ და სამუდამოდ არ მინდა რამე საქმე მქონდეს...

როგორც ჩანს, მანი ეთანხმება თავის მეგობარს. მართალია, იგი წერს, გერმანელები „საოცარი“ და „ტრაგიკულად საინტერესო“ ხალხიაო, მაგრამ მერე მაინც უმატებს:

— დიახ, ამ წლების განმავლობაში გერმანია ჩემთვის უცხო ქვეყნად იქცა. თქვენ უნდა დამეთანხმოთ, რომ ეს შემაძრწუნებელი ქვეყანაა. ვაღიარებ, რომ მე მეშინია გერმანიის

ნანგრევებისა. შეუძლებელია ერთმანეთს გაუგონ ადამიანმა, რომელიც შორიდან უყურებდა ყოველივე ამას და თქვენ, ვინც მონაწილეობას იღებდით იმ ჯოჯოხეთურ ორომტრიალში და ემსახურებოდით ბატონ ურიანს. მე არ შემიძლია გულგრილად შევხვდე იმ წერილებს, რომელთაც ძველი ნაცნობები მიგზავნიან გერმანიიდან, ჩემთვის ეს დიდი მოვლენაა, რაც ესალბუნება ჩემს გულს; თუმცა ამ სიხარულს ანელებს აზრი, რომ ჰიტლერის გამარჯვების შემთხვევაში არც ერთი ეს წერილი არ დაიწერებოდა. მე წიგნებსაც მიგზავნიან, მაგრამ ჩემთვის იმ წიგნებს, რომელთა დაბეჭდვა შეიძლებოდა გერმანიაში 1933 წლიდან 1945 წლამდე, არამცთუ არავითარი ღირებულება არა აქვს, არამედ მათი ხელში აღებაც მეზიზღება, რადგან სისხლისა და სირცხვილის სუნი ასდით. ერთადერთი, რისთვისაც შეიძლება ამ წიგნების გამოყენება, ისაა, რომ გადაამუშაო ისინი, როგორც მაკულატურა ახალი ქაღალდის დასამზადებლად...

ეს ძალიან მკაცრი განაჩენია, მაგრამ თომას მანი არც ამაზე ჩერდება. იგი წერს:

— გერმანიაში აკრძალული იყო და არც შეიძლებოდა კულტურისადმი სამსახური, როცა გარშემო ხდებოდა ის, რაც ყველა ჩვენთაგანმა კარგად ვიცით. ასეთ პირობებში მოღვაწეობა, დანაშაულის შეფერადებას ნიშნავს. იმ ტანჯვას, რასაც ჩვენ განვიცდით, თან ერთვოდა საშინელი სანახაობა, თუ გერმანული სული, გერმანული ხელოვნება როგორ აძლევდა ნებას სრულიად შემაძრწუნებელი საქმეების ფარდად გამოეყენებინათ ის. გერმანიაში, როგორც ჩანს, არ გრძნობდნენ, რომ შესაძლებელია ხელი მოჰკიდო უფრო ღირსეულ საქმეს, ვიდრე თხუპნო ვაგნერის დეკორაციები ჰიტლერის ბაირეითისათვის, გებელსის ნებართვით წახვიდე უნგრეთში ან რომელიმე გერმანულ-ევროპულ ქვეყანაში და იქ ეწეოდე მესამე იმპერიის კულტურის პროპაგანდას... მე არ ვამბობ, რომ ეს სამარცხვინო იყო, მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ეს არ ესმით და მეშინია, რომ მათ შორის ჩემს ნაცნობებსაც შევხვდები...

თომას მანი თანდათან აზუსტებს თავის აზრს:

— დირიჟორს, რომელიც ჰიტლერის ნებართვით დირი-

ჟორობდა ციურიხში, პარიზში ან ბუდაპეშტში სიმფონიურ ორკესტრს და ასრულებდა ბეთჰოვენის ნაწარმოებებს, ბრალად ადევს უმსგავსო სიცრუე. იგი ტყუოდა, თუკი ამბობდა, რომ მხოლოდ მუსიკოსია, ემსახურება მუსიკას და სხვა არაფერს, რადგან უკვე თვით ეს მუსიკა იყო სიცრუე გერმანიაში. რა უფლება ჰქონდა ჰიტლერს, არ აეკრძალა ბეთჰოვენის „ფიდელიო“, — ეს გერმანული თვითგათავისუფლების საზეიმო ოპერა? აღმაშფოთებელი უკვე ის იყო, რომ ეს ოპერა არ აკრძალეს და აღმოჩნდნენ მომღერლები, რომელნიც მღეროდნენ; მუსიკოსები, რომელნიც უკრავდნენ; მსმენელები, რომელნიც უსმენდნენ ამას. ნუთუ გონების ასეთი სიჩლუნგე იყო საჭირო, რომ ჰიტლერის გერმანიაში მოესმინათ „ფიდელიო“ ისე, რომ სირცხვილისაგან სახეზე ხელები არ აეფარებინათ და არ გაქცეულიყვნენ დარბაზიდან?!

ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს თ. მანი ასე მარტივად სვამდეს კითხვას: აპოლოგია ან უარყოფა. არა! იგი აცხადებს, რომ მისი ფესვები ღრმადაა გადგმული გერმანიაში და იგი ყოველთვის დარჩება გერმანელ მწერლად. თ. მანი იმედოვნებს, რომ ცუდისაგან შეიძლება წარმოიშვას კარგი, რაც მას სიკეთედ მიაჩნია, თუმცა არც იმ „სატანურ ფაქტზე“ ხუჭავს თვალს, რომ კარგისაგანაც შეიძლება წარმოიშვას ცუდი. ამიტომ უცხადებს სოლიდარობას გერმანიას. ცხადია, „არა ნაციონალ-სოციალისტურს, არამედ იმ გერმანიას, რომელიც მოექცა მის გავლენაში და ხელშეკრულება დადო ეშმაკთან“.

თ. მანიც აღიარებს, რომ „ეშმაკთან ხელშეკრულება გერმანელების ძველთაძველი ცდუნებაა“ და გერმანულ რომანს (მანს აქ მხედველობაში აქვს თავისი „დოქტორი ფაუსტუსი“), რომელიც ინსპირირებული იყო უკანასკნელი წლების ტანჯვით, სიუჟეტად უნდა ჰქონოდა სწორედ „ეს საშინელი ურთიერთობა ეშმაკთან...“

უნდა ითქვას, რომ არც ეს დრამატული ხაზი მიჰყავს თომას მანს ტრაგიკულ დასასრულამდე. იგი უარყოფს აზრს, თითქოს „ეშმაკი საბოლოოდ დაეუფლა გერმანელთა სულს“. მას სწამს, რომ „კეთილისმყოფობა უფრო ძლიერია, ვიდრე სის-

ხლით ხელმოწერილი ხელშეკრულება“. თომას მანს სჯერა გერმანიის მომავლის, რაც უნდა უნუგეშო მდგომარეობაში იყოს ის, და აცხადებს:

— უნდა შეწყდეს ლაპარაკი გერმანიის ისტორიის დასასრულზე. არ შეიძლება გერმანიის გაიგივება იმ შავბნელ ეპიზოდთან, რაც ჰიტლერის სახელთანაა დაკავშირებული, არც ბისმარკის პრუსიულ-გერმანულ იმპერიასთან და არც იმ ორას წელთან, რომელსაც ფრიდრიხ დიდის ეპოქა უწოდეს. განა მსოფლიო ისტორია წყდება? პირიქით, იგი უფრო გაცხოველებით ვითარდება და გერმანიის ისტორიაც მისი შემადგენელი ნაწილია... რაც არ უნდა იყოს, გერმანია მაინც რჩება დიად ღირებულებათა ქვეყნად, რომელსაც შეიძლება თავისი ხალხისადმი სხვათა სიყვარულის იმედი ჰქონდეს.

თომას მანი მოუწოდებს გერმანელ ხალხს:

— ამოიგდოს გულიდან ქედმაღლობა, სიძულვილი და მოიპოვოს სიყვარული, თუ უნდა, რომ კვლავ შეიყვარონ ის...

კეკლუცი ნომერი...

სწორედ ამ მიმართებით მიმდინარეობდა მუშაობა გერმანიაში. ყველას თავის გარკვეული უბანი ჰქონდა მიჩნეული. მე ისევ „კულტურბუნდის“ საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად მიხდებოდა გერმანული ინტელიგენციის ნაშთების შეკოწიწება. ხშირად ვხვდებოდი ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს. ზოგიერთი მათგანი იმდენად გულგატეხილი იყო, რომ სკეპტიკურად უყურებდა ყველაფერს, სხვები საკმაო ენთუზიაზმს იჩენდნენ. რამდენიმე თეატრი აღდგა, ზოგან ფილმებსაც უჩვენებდნენ. გამოვიდა ლიტერატურული ჟურნალი, უმაღლესი სასწავლებლებიც რაღაცას ჩალიჩობდნენ და, საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებში, ლოდებს შორის აქა-იქ ამოსულ მწვანე ყლორტებს ვუყურებდი. ერთი ასეთი „ყლორტთაგანი“ რაინჰარტის სახელგანთქმული თეატრი იყო, რომლის სათავეში

ცნობილი მსახიობი და რეჟისორი ვანგენჰაიმი იდგა. მეც ვიყავი ამ თეატრში. ვიღაც უნგრელი ავტორის ანტიფაშისტურ პიესას დგამდნენ. მონაწილეთა შორის მთავარი მსახიობი ქალი იყო, რომლის გვარი არ დამამახსოვრდა. ჩინებულად თამაშობდა და მაყურებლების დიდი მოწონებაც დაიმსახურა. სპექტაკლის შემდეგ ვანგენჰაიმმა დაბეჯითებით მთხოვა, ერთხელ კიდევ მენახა ის, რათა ამჯერად სპეციალურად იმ მსახიობი ქალის ხელების მოძრაობას დავკვირვებოდი. ეს ჩემთვის უჩვეულო და რამდენადმე გაუგებარიც იყო. იმდენი დრო სად მქონდა, რომ ერთი სპექტაკლი ორჯერ მენახა. ეტყობა, გაკვირვება შემამჩნია და მითხრა:

— მსახიობის ხელების გამოსახულებას განსაკუთრებულ ყურადღებას ვსევოლოდ მეიერჰოლდი აქცევდა. ბატონი რაინჰარტი და მეც გატაცებული ვიყავით მეიერჰოლდის შემოქმედებით. მოგეხსენებათ, რომ ელეონორა დუზეს დიდი სახელი გაუთქვა მისმა მშვენიერმა ხელებმა. იგი ისე ოსტატურად ათამაშებდა ხელებს სპექტაკლში, რომ საერთო აღტაცებას იწვევდა. ყველგან ელეონორა დუზეს თეთრ ხელებზე იყო ლაპარაკი. მახსოვს, ბატონი მეიერჰოლდიც დიდი სიყვარულით ლაპარაკობდა ამ თემაზე. ერთხელ მითხრა კიდეც:

— ხელებს გამოსახვის დიდი ძალა აქვთ. აბა, დააკვირდით, ლეონარდოს „საიდუმლო სერობაში“ ყველას მაგიდაზე უწყვია ხელები და ყველა მათგანი დიდი გამომსახველობით აქვს მხატვარს შესრულებული. ასეთია მეტყველი ხელების ძალა. ჩვენს თეატრშიც დიდ ყურადღებას ვაქცევთ ამას და, თუ მეორედ მობრძანდებით, დარწმუნდებით კიდეც...

რაკი ასე დაბეჯითებით მთხოვა, მეორეჯერ მარკოვთან ერთად მივედი თეატრში და მართლაც დავრწმუნდი ვანგენჰაიმის ნათქვამის სისწორეში...

...მერე რამდენჯერმე კარლჰორსტის ვარიეტეშიც ვიყავი, სადაც ბაბუა გოტფრიდი „ჯოხით აკაკუნებდა სტრადივარიუსის მომღერალი ვიოლინოს სიმებზე“. ჩვენი მთარგმნელი გოგოები, ვინც ბერლინში დატოვეს სამუშაოდ, ამ ვარიეტეს

ხშირი სტუმრები იყვნენ. მათ გამაცნეს ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც უცხოური აქცენტით, მაგრამ მაინც კარგად ლაპარაკობდა რუსულად.

— ადა ჩეხოვა, — მითხრა მან და, ალბათ, იმისათვის, რომ უფრო გავრკვეულიყავი, დაუმატა:

— ოლღა ჩეხოვას ქალიშვილი...

მე ზოგი რამ ვიცოდი ოლღა ჩეხოვას შესახებ, თუმცა ძალიან ბუნდოვნად. გერმანულ ჟურნალში რამდენჯერმე შემხვდა მისი სურათი. ახლაც მახსოვს შუა ხნის საოცრად ლამაზი მაღალი ქალი, შავი კაბით და თეთრი ბეწვის ძვირფასი მოსასხამით. მე ძალიან მაინტერესებდა, რას აკეთებდა იგი გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის დროს, მაგრამ მეუხერხულა ადასთვის რამე მეკითხა ამის თაობაზე. ის კი ვიცოდი, რომ დედამისის სახელი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჰიტლერთან. ამბობდნენ, რომ... თუმცა რა ჩემი საქმეა, რას ჭორაობდნენ ამის თაობაზე. ფაქტი ის არის, რომ ოლღა ჩეხოვა ხშირად ახლდა ჰიტლერს ოფიციალურ მიღებებსა თუ თეატრებში. ეს ისე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომ ჰიტლერის ბიოგრაფებიც წერენ, საკვირველია, ევა ბრაუნი რატომ არ ეჭვიანობდაო...

ვინ იცის, იქნებ ეჭვიანობდა კიდეც, მაგრამ ასეთ რამეს იგი მხოლოდ თავის დღიურებს ანდობდა...

... — ხვალ ჩემი გამოსვლაა ვარიეტეში, — გვითხრა ადამ, რაც იმას ნიშნავდა, რომ გვთხოვა, გვენახა მისი ნომრები. ეს „ნომრები“, მართლაც, ჩვეულებრივი ნომრები აღმოჩნდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იგი „ქალიშვილ ნომერს“ თამაშობდა იმ ვარიეტეში, და, მგონი, საერთოდ გერმანულ ვარიეტეებში, ასე იყო მიღებული: მაყურებლები წინასწარ იძენდნენ საკონცერტო პროგრამას, სადაც რიგრიგობით იყო აღნიშნული, რა იქნებოდა შესრულებული და ვის მიერ. კონფერანსიე არ ჰყავდათ. მის მაგივრობას ეს „ქალიშვილი ნომერი“ სწევდა. ეს ასე ხდება: იხსნება ფარდა, ორკესტრი უკრავს მარშს, გამოდის შესანიშნავი გარეგნობის სრულიად ახალგა-

ზრდა და თითქმის მთლიანად შიშველი ქალიშვილი, რომელსაც დიდი დაკვირვების შემდეგ შენიშნავთ, რომ რაღაც აცვია, ხელში უჭირავს მუყაოსაგან ლამაზად გამოჭრილი უზარმაზარი ნომერი 1...., 2..., 5..., 7... ან სხვა, რიგრიგობით, და ტანის გრაციული რხევით, მომხიბლავი ღიმილითა და რევერანსებით გაივლის სცენაზე, როგორც ცოცხალი მანეკენი კაბის ახალი მოდის ჩვენების დროს. ამის შემდეგ მაყურებელი პროგრამის მიხედვით ეცნობოდა მორიგ ნომერს. ისე კი, როგორც ჩანდა, „ქალიშვილი ნომერი" თვითონ იყო ვარიეტეს პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, რომელიც დიდძალ მაყურებელს იზიდავდა.

როცა ადა გამოვიდა სცენაზე, დარბაზში ისეთი მქუხარე ოვაციები ატყდა, რომ იგი იძულებული გახდა, რამდენჯერმე გაემეორებინა თავისი „გავლა ნომრით". ამის შემდეგაც, ყოველი გამოსვლის დროს, ადა უფრო მეტ აღტაცებას და ტაშს იმსახურებდა, ვიდრე ის ნომრები, რომელსაც იგი აცხადებდა...

... იმ ვარიეტეს უამრავი ხალხი ეტანებოდა. უწინ ამბობდნენ, „პური და სანახაობაო", ნაციზმის დროს დოქტორმა ლეიმ ახალი ლოზუნგი — „შრომა და მხიარულება" გადმოისროლა. ახლა ბერლინელებს არც პური ჰქონდათ, არც სამუშაო და იქნებ ამიტომაც ეტანებოდნენ სანახაობას...

უენო საუბარი...

ჩემი ამგვარი „კულტურტრეგერული" მოღვაწეობა მოულოდნელად შეწყდა. ბერლინში გერმანული ენის მცოდნე ოფიცრების „ტოტალური მობილიზაცია" გამოცხადდა. ჩვენს ზონაში მიწის რეფორმა ტარდებოდა და ყველანი ამ „ფრონტზე გადაგვისროლეს". მე ჩემს სუვენირებში ახლაც ვინახავ მანდატს, რომელიც მაშინ მომცეს:

მოწმობა. ამის წარმომდგენი მაიორი (ესა და ეს) არის გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის მთავარსარდლის პოლიტიკური მრჩევლის აპარატის პასუხისმგებელი თა-

ნამშრომელი და ასრულებს პოლიტიკური მრჩევლისა და გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის პოლიტიკური განყოფილების დავალებას.

ოკუპაციის საბჭოთა ზონის სამხედრო ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელსა და კომენდანტს ევალება ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს მაიორ (ამას და ამას) მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში.

მანდატს ხელს აწერს გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბოკოვი.

ასეთი მოწმობა, როგორც იტყვიან, ქვას გახეთქავდა, მაგრამ ყოველივე ეს ჩემთვის მაინც სრულიად მოულოდნელი და უცნობი სფერო იყო მოღვაწეობისა, თუმცა სამხედროში ყველაფერს ეჩვევა ადამიანი. განაწილების დროს მე ბრანდენბურგის პროვინცია შემხვდა. „პროვინციას“ რომ ვამბობ, იქნებ სწორედ არ გაიგოთ. ეს უზარმაზარი ტერიტორიაა. მოგეხსენებათ, რომ გერმანიის მთელი ტერიტორია მაშინ, და უფრო ადრეც, პროვინციებად იყო დაყოფილი. ბრანდენბურგის პროვინცია უწინ ბერლინსაც იერთებდა, მაგრამ მე-19 საუკუნის დასაწყისში ბერლინი ცალკე გამოეყო. მე შორს წასვლა არ მიხდებოდა, რადგან ეს პროვინცია ძალიან ახლოა ბერლინთან. გამგზავრების წინ მითხრეს, ქ. ვერდერის კომენდანტი ქვეყანას აქცევს, მთარგმნელი სხვა ქალაქში გათხოვდა და ვინმე გამომიგზავნეთო. მე მთხოვეს, რომელიმე მთარგმნელი ჩამეყვანა იქ. რაკი ვიცოდი, რომ ბერლინიდან წასვლა არც ერთს არ უნდოდა, ვუთხარი, თვითონ შეარჩიეთ-მეთქი. მეორე დილით ვერდერში გასაგზავნად გალინა მოიყვანეს. შევატყვე, ნამტირალევი იყო, მაგრამ დაკისრებული მოვალეობის შესრულების საჭიროება კარგად ესმოდა და, ცხადია, წასვლაზეც „სიამოვნებით დათანხმდა“. სხვა დარჩენილმა გოგოებმა გამოაცილეს „საცოდავი გალინა“. შევპირდი, რომ მისამართს ჩამოვუტანდი. თვითონ გალინა კი დავამშვიდე, ვერდერი „თითქმის ბერლინია“-მეთქი. იგი მხოლოდ მაშინ გახალისდა, როცა გზად მიმავლებმა პოტსდამი დავათვალიერეთ და სანსუ-

სის სასახლეც ვნახეთ. ყველაფერი მოეწონა, განსაკუთრებით კი ტბები პოტსდამის პარკში. მერე ვერდერში ჩავედით. მორიგემ მითხრა, კომენდანტი თათბირს ატარებსო და რატომღაც ეშმაკურად ჩაიცინა. რომ ვკითხე, რა გაცინებთ-მეთქი, მიპასუხა:

— შედით ერთი და ნახეთ, რა დღეშია ჩვენი პოდპოლკოვნიკი. ერთი ღერი გერმანული არ იცის და გერმანელებს კი თათბირს უტარებს!

შევედი. დარბაზში ოციოდე გერმანელი ბურგომისტრი იჯდა. ყველას სოლიდური, მაგრამ რაღაც გაოგნებული, დაბნეული, შეწუხებული სახე ჰქონდა. პოდპოლკოვნიკი უარეს დღეში იყო. შუბლზე ხვითქი გადასდიოდა. იჯდა მაგიდის თავში და რაღაცას ყვიროდა. შევედი თუ არა, გაჩერდნენ. შეკრებილთ გერმანულად მივესალმე, მერე კომენდანტს ჩემი რწმუნების შესახებ მოვახსენე და ის „ყოვლისშემძლე“ მანდატიც დავუდე წინ. არაფერს ყურადღება არ მიაქცია, შუბლზე ჭირის ოფლი მოიწმინდა და ისე ხმამაღლა იყვირა, თითქოს მდინარის მიღმა ვმდგარიყავი და არა მის წინ:

— ამ შობელძაღლების ენა თუ იცით ან მთარგმნელი თუ ჩამოიყვანეთ ვინმე?

გავახარე, — ამათი ენაც ვიცი და მთარგმნელიც აგერ მანქანაში ზის-მეთქი. ცას ეწია სიხარულით. სულ დაავიწყდა ყველაფერი, გადამეხვია, გადამკოცნა, გადამარჩინე კაციო...

...ბურგომისტრებთან „თათბირს“ მიწის რეფორმის შესახებ ატარებდა. მას უნდა აეხსნა, რომ კანონის თანახმად, იუნკრებს, რომლებსაც ას ჰექტარზე მეტი ფართობი ჰქონდათ, მიწები მთლიანად ჩამოერთმეოდათ, ხოლო რომლებსაც ას ჰექტარზე ნაკლები — მხოლოდ ნაწილობრივ. ეს მიწები მცირემიწიან და სრულიად უმიწო გლეხობას ურიგდებოდა. ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა უზრუნველეყო მოსავლის დროულად აღება და სხვ.

ყოველივე ეს იცოდა კომენდანტმა, მაგრამ გერმანელებისათვის როგორ უნდა გაეგებინებინა!

— გესმით? — თქვა მან აღელვებით, — აგერ ორი საათია ველაპარაკები ამ... (რაღაც მითხრა ხმადაბლა), და მაინც ასე ლენჩებივით სხედან და მომჩერებიან, ვითომ ვერაფერი გავიგეთო.

— თქვენ რუსულად ელაპარაკებით, იმათ გერმანულის მეტი არაფერი იციან, როგორ გაუგებთ ერთმანეთს?

— არა, გერმანულადაც ვეუბნები: ხუნდერტ გა, დალოი! კაპუტ! ალლეს კაპუტ! ნიხტ ხუნდერტ გა, იავოლ, გუტ. რა არის აქ გაუგებარი, მაგრამ ამ იდიოტებს ვითომ არ ესმით. მოსავლის აღებაზეც ასე ვეუბნები, გერმანულად, ცხადია: ხუნდერტ პროცენტ გუტ, ოჩენ გუტ... ვოჰ კაკ გუტ, — წამოიძახა მან და ცერი თითი გაჭიმა. ეს ხომ გასაგებია, არა? — ცხადია, გასაგებია, — დაასკვნა თვითონ, ანდა ვეუბნები, თუ ამას არ გააკეთებთ, — აქ მან მუშტი მოუღერა „მოთათბირეებს“, — მაშინ ნიხტ გუტ, და ფრიც გოლოვა დალოი, კაპუტ! თან კისერზე გამოისვა ხელი და იკითხა: ესეც გასაგებია, არა! ცხადია, გასაგებია! — დაადასტურა მან და ფრიცებს უყვირა:

— პანიმაი?

შეშინებული „ფრინცები“ შეიშმუშნენ და ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ მაინც ვერ მიხვდნენ ამ მუშტის მოღერებით ან კისერზე ხელის გამოსმით რის თქმა უნდოდა ბატონ კომენდანტს. მერე ვიღაცამ გაბედა:

— ნე პანიმაი!..

— ნე პანიმაი და შენი... გაულექსა კომენდანტმა. მისი ფიქრით, იგი „უხსნიდა“, რომ მოსავლის აღების გეგმა ასი პროცენტით უნდა შეესრულებინათ, და ასე ეგონა, ამისათვის საკმარისი იყო „ხუნდერტ პროცენტი“ ეთქვა და მუშტი მოექნია. ამასთან, ისეთი საოცარი გამომეტყველება ჰქონდა, რომ სიტუაციის კომიკურობას უფრო მეტად უსვამდა ხაზს.

... თათბირი, როგორც იქნა, ჩავატარეთ. ბურგომისტრებს ავუხსენი, რა როგორ უნდა გაეკეთებინათ. ისინი, დასტურის ნიშნად, ყველაფერზე თავს მიქნევდნენ. ეს კომენდანტს მოეწონა და თათბირი „შეაჯამა“:

— ახლა პანიმაი, თქვენი...

— პანიმაი, პანიმაი, — ერთხმად იყვირეს მათ. კომენდანტიც გახალისდა და „იმ ძაღლიშვილებს“ რომ შერიგებოდა, ადგა, მათთან ახლოს მივიდა, ზოგს მხარზე მეგობრულად მოუტყაპუნა ხელი და ისევ თავისებურად „ჩაუგერმანულა“:

— სიჩას კამარად, გუტ კამარად!..

მერე, სრულიად მოულოდნელად, ენა გამოყო და თქვა:

— მოი იაზაკ ნიხტ გუტ, მე მაგისი... სავსემ ნიხტ გუტ!..

გერმანელები თითქოს მიუხვდნენ, რაც უნდა ეთქვა და ახლა იმათ „წაუპადხალიმეს“ გერმანულ-რუსულად:

— ნაინ, ნაინ, ზერ გუტ, ოჩენ გუტ, ოჩენ კოროში... და სიამოვნებისაგან სახე გაებადრათ...

საიქიოს დამცდარი...

დარბაზიდან გამოვედით თუ არა, კომენდანტი ისევ ჩამეკითხა:

— სად არის მთარგმნელი?

ქვევით ჩავიყვანე. გალინა ისევ მანქანაში იჯდა. ჩვენ რომ დაგვინახა, გადმოვიდა და უხერხულად გაიღიმა. აქამდე გაბადრულ კომენდანტს სახე უცებ მოეღრუბლა, გალინას ცალყბად გაუღიმა და ხელი ჩამოართვა. მერე გვერდზე გამიყვანა და ბრაზისაგან გაგუდულმა მომმართა:

— რა არის, კაცო, ეს?

მე ვერ მივხვდი, რა არ მოეწონა მას და გაოცებულმა ვუთხარი:

— რა უნდა იყოს, ვერ უყურებ, მთარგმნელია, მშვენივრად იცის გერმანული ენა.

— მერე, მე აქ სამუშაო მაქვს თუ გასათხოვართა პუნქტი?

— გათხოვება რა შუაშია, — გავიკვირვე მე.

— შე კაცო, გათხოვდება, აბა, რა იქნება, ასეთ ლამაზ ქალს მე ვინ დამიტოვებს კომენდანტურაში?!

გალინას სილამაზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბეგის გე-

მოვნებისა კი იყო — „კოლოსალური დელფინი“. ეტყობოდა, იმ კომენდანტსაც ბეგისებურად ესმოდა სილამაზე და ამიტომაც ეშინოდა, ესეც მალე გათხოვდება და მე ისევ „უენოდ“ დავრჩებიო. ძლივს დავაწყნარე კომენდანტი. ისედაც უხერხული სიტუაცია შეიქმნა. გალინა იდგა მარტო და გაკვირვებული გვიყურებდა. რომ მივედით, ისევ გაგვიღიმა, მაგრამ ეტყობოდა, ნაწყენი იყო. ამასობაში კომენდანტიც მიხვდა თავის უტაქტობას და უცებ ვითომ გამოასწორა ყველაფერი:

— ა, ბატონო, მთელი ქალაქი თქვენს განკარგულებაშია, — უთხრა მან გაოცებულ გალინას, — გინდათ, ცალკე სახლს მოგცემთ, გინდათ ბინას, რაც გინდათ, სულ ხელისგულზე გატარებთ, ოღონდ ამ...

აქ უცებ მოიკვნიტა ენა. მიხვდა, რომ ქალიშვილთან სხვაგვარი სიტყვების შერჩევა იყო საჭირო.

— მე კი ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ ერთი პირობით. გათხოვება არ იყოს! — თქვა მან.

გალინას გაეცინა.

— მე სულაც არ ვაპირებ გათხოვებას!

— ვიცი თქვენი ამბავი, — დაუწია ხმას კომენდანტმა, — ჩემი ნორაც ასე ამბობდა, მაგრამ, ვნახოთ, პოტსდამიდან ვიღაც კაპიტანმა უხშირა სიარულს. საღამოობით სულ აქ ტრიალებდა. მერე, ვითომ არაფერი, მეუბნება:

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, გთხოვთ მაპატიოთ, თქვენი მთარგმნელი შევირთე და პოტსდამში მიმყავს. რა უნდა მექნა, ხომ არ ჩავუშლიდი საქმეს, გავატანე და დავრჩი უენოდ. — ასეთი რამეები არ იყოს, აი, — გაეხუმრა კომენდანტი გალინას, — ადგილობრივი თუ იქნა ვინმე, სიამოვნებით, თუნდაც მე თვითონ დაგწერთ ჯვარს, მაგრამ სხვა ქალაქიდან მოსული არ ვნახო, თორემ... და ისევ შეიკავა თავი... ეტყობოდა, ახლაც რაღაც „მამაპაპური“ უნდოდა ეთქვა, მაგრამ დროზე შეცვალა გეზი და წყნარად დაუმატა:

— რას იზამ, ჩემო კარგო, სამსახური სამსახურია...

თანაშემწეს დაუძახა, განკარგულებები მისცა და გალინა გაატანა. წასვლამდე გნახავ-მეთქი, დავამშვიდე და გავუშვი.

წასვლამდე კი არა, ერთი-ორი საათის შემდეგ შევხვდებით, ერთად ვისადილებთ, — გაასწორა კომენდანტმა...

...მერე ქალაქის დასათვალიერებლად წამიყვანა. ვთხოვე, ფეხით გავიაროთ-მეთქი. ერთი საათი თუ მეტი ვიხეტიალეთ ქალაქში. აქ ომი ნაკლებად იგრძნობოდა. მხოლოდ აქა-იქ ჩანდა ჩამონგრეული სახლები. მაღაზიები გახსნილი იყო და ქუჩაში აუარებელი ხალხი ირეოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ გრძელ შოსეზე გავედით, ორივე მხარეს მდიდრული ვილები იყო ჩამწკრივებული. ეს პრუსიელი იუნკრების ყოფილი ბუნაგებიაო, — ამიხსნა კომენდანტმა.

თითქმის ყველა გაქცეულია და ეს სახლები ისეა მიტოვებული, — განაგრძო მან, — აი, აგერ რომ ვილას ხედავთ, ვიღაც მდიდარ მემამულეს ეკუთვნოდა თურმე. არც იმის გზაკვალი ჩანს. მეც ავიღე და ერთ სიმპათიურ ბებერს მივეცი. ცნობილი მწერალიაო, ამბობენ, და ქალაქში დიდი პატივისცემით ეპყრობიან. მეც რა მენაღვლება, მამაჩემის ქონებაა თუ რა! ის საცოდავი ჰიტლერის დროს სულ სარდაფში იმალებოდა თურმე. აქედანაც ჩანს, კარგი კაცი რომ უნდა იყოს. ახლა დიდი მადლობელია ჩემი, მაგრამ რა გინდა, იმის ენა მე არ ვიცი და იმან — ჩემი. ჭკუა სად იყო, თორემ მესწავლა თავის დროზე ამ ძაღლიშვილების ენა. სკოლაში სწორედ გერმანულის მასწავლებელი გვყავდა, შემდეგ ინსტიტუტშიც, მაგრამ ვინ ოხერმა მოჰკიდა ხელი. რომ მცოდნოდა, ასეთ დღეში ჩავვარდებოდი, ვისწავლიდი კი არა, სულ თავს დავაკლავდი...

დავინტერესდი, ვინ მწერალი უნდა ყოფილიყო ასეთი და კომენდანტს ვკითხე.

— რა გვარია, თუ იცით, ის მწერალი?

ეშმაკმა იცის მაგათი თავი და ტანი, მაგათ გვარებს დაიმახსოვრებ თუ? რაღაც გრძელი სახელი და გვარი აქვს, ვიცი, მაგრამ რა, არ მახსოვს.

— თუ შეიძლება, შევიდეთ მასთან?

— სიამოვნებით, რატომ არ შეიძლება, გაეხარდება კი-

დეც, იმათ ენაზე მოლაპარაკე ოფიცერს რომ შეხვდება. მეც უკეთ გავიგებ იმის ავან-ჩავანს.

ალაყაფის კარი შევაღეთ და მშვენივრად მოვლილ ეზოში შევედით. არავინ ჩანდა.

— კამარად! — დაიძახა კომენდანტმა. მერე კიბე აირბინა და ზარი დარეკა. არავითარი პასუხი. იქვე, ეზოს კუთხეში, მწვანე მოლზე ხის მრგვალი მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა.

ქალაქში ხეტიალით დაღლილები ვიყავით და ჩამოვჯექით. შესანიშნავი ვილა იყო. ბაღის შუაში მარმარილოთი მოპირკეთებული აუზიც ჰქონდათ, მაგრამ შადრევანი არ მუშაობდა. წინ კვიპაროსის ხეები იყო ჩამწკრივებული, უკან კი ხეხილის ბაღი გაეშენებინათ. გამიკვირდა, ძველებური ჭაც რომ ვნახე. ეს, ალბათ, „ეგზოტიკისათვის“ უნდოდათ სახლის მეპატრონეებს. წამოსვლას ვაპირებდით, რომ ეზოში ვიღაც მოხუცი შემოფრატუნდა. თავჩაქინდრული მოდიოდა და ისე მოგვიახლოვდა, რომ ვერც შეგვნიშნა. სიარულის დროს რატომღაც სულ საკუთარ ფეხებს დასცქეროდა, თითქოს ამოწმებდა, ნაბიჯებს სწორედ ვადგამ თუ არაო.

შეგვხედა და... ელდა ეცა: შეეშინდა, ორ საბჭოთა ოფიცერს რომ წააწყდა, მაშინვე შებრუნდა და ისევ ჭიშკრისაკენ გაემართა.

— კამარად! კამარად! — დაუძახა კომენდანტმა, მაგრამ იმან უფრო მოუჩქარა ნაბიჯს. კომენდანტს უნდოდა, როგორმე გაეჩერებინა და რაღაც ეკითხა. წამოხტა კიდეც და გაეკიდა, მაგრამ მოხუცი ახლა სულ სასაცილოდ მიჩიკჩიკებდა. ალაყაფის კარებს რომ მიაღწია, კომენდანტმა თავისი გერმანული სიტყვების უკანასკნელი მარაგი ამოყარა და მჭექარე ხმით მიაძახა:

— კამარად, აინ მომენტ! ხენდე ხოხ... ბიტტე... მაგრამ მაინც რომ ვერაფერი გააწყო, რუსულად უყვირა:

— სად ეშმაკებში მიეთრევი, შენი...

მე სიცილი წამსკდა. ეს „ამხანაგო“, „ხელები ზევით“ და „გთხოვთ“ რა ლოგიკით ეხამებოდა ერთმანეთს, ან ეს რუსულად წარმოთქმული „დესერტი“ რა იყო, მართლაც, ეშმაკიც

ვერ გაიგებდა, მაგრამ კომენდანტის „ლოგიკამ“ მაინც გაჭრა. მოხუცი გაჩერდა, შემობრუნდა და შეშინებული თვალებით მიაშტერდა მას. პოდპოლკოვნიკმა ხელი მოჰკიდა და ჩემსკენ წამოიყვანა. რომ მომიახლოვდნენ, იმ საცოდავს ხელები უკანკალებდა.

გამოველაპარაკე, მაგიდასთან მივიწვიე, დაბრძანდითმეთქი, ვთხოვე, და ოდნავ დამშვიდებული მოხუცი სკამზე დავსვი.

— ჰკითხე ერთი, ვინ ოხერია! — მოლბა კომენდანტი და შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

მე მწერალ ბერნარდ კელერმანის მკითხველი და მეგობარი გახლავართ, ბატონო, — მიპასუხა მან, — კომენდანტისათვის საინტერესო კითხვა რომ მივეცი.

ამით გავიგე, რომ აქ გამოჩენილი გერმანელი მწერალი ბერნარდ კელერმანი ცხოვრობდა. კელერმანი საქართველოშიც კარგად იყო ცნობილი. მისი რომანი „გვირაბი“ ქართულად ითარგმნა და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა. მე ისიც ვიცოდი, რომ ჰიტლერის დიქტატურის პერიოდში იგი გერმანიაში იყო დარჩენილი, მაგრამ მის საქმიანობაზე არავითარი ცნობა არ მქონდა. ის კი ცხადი იყო, რომ ნაცისტურ რეჟიმს არ თანაუგრძნობდა, თორემ მის სახელს ჰიტლერელები გააღმერთებდნენ.

მოხუცი ძლივს დავამშვიდე. ეგონა, რამეში ვადანაშაულებდით და შეშინებული ლუღლუღებდა:

— ბატონო, მე ცუდი არაფერი ჩამიდენია. ჩემს მეგობარ კელერმანთან მოვედი, მინდოდა, ეს გადამეცა, მეტი არაფერი.

ვინ რაში ადანაშაულებდა ან ვის რაში სჭირდებოდა ეს მოხუცი, მაგრამ ისე იყო შეშინებული კომენდანტის „ხენდე ჩოხ“-ით, რომ მერე ვერც „კამარადმა“ უშველა და ვერც ჩემმა ახსნა-განმარტებამ. პორტფელი გახსნა და ქაღალდში სათუთად გახვეული ორასიოდე გრამი შავი პური დადო მაგიდაზე:

— აი, ამის გადაცემა მინდოდა, ბატონო, მეტი არაფერი. მოგეხსენებათ, ახლა პროდუქტების გაჭირვებაა და გვინდა, მოვუაროთ ჩვენს სახელოვან მწერალს...

— კი, ბატონო, — ვეუბნები, — თქვენი ნებაა, რაც გინდათ, ის გადაეცით. ჩვენც კელერმანს ვუცდით. გვინდა, რომ ვნახოთ.

როგორც იქნა, დამშვიდდა. მერე ენაც ამოიდგა და გვიამბო:

— 12 წელიწადია ვინახავთ მას, ბატონო, ხან სად ვმალავდით, ხან — სად. ახლა კი აგერ, თქვენი წყალობით, სასახლეში ცხოვრობს....

ეს რომ თქვა, რატომღაც ნერწყვი გადაყლაპა და ისე განაგრძო:

— ეხ, ბატონო, ასეთ სასახლეს ვინ დაეძებს, ნეტავ უბრალო თავშესაფარი მქონდეს სადმე.

— განა თქვენ ბინა არა გაქვთ?

— არა, ბატონო, ჩვენი სახლი დაინგრა საჰაერო თავდასხმის დროს, მეზობლებთან ვარ შეფარებული.

მისი ნათქვამი კომენდანტს გადავეცი. გაეცინა:

— ამ საიქიოს დამცდარს ცალი ფეხი სამარეში უდგას და კიდევ ამ ქვეყნად ეძებს ბინას? კარგი, უთხარით, რომ მივცემ, მოვიდეს ჩემთან და მოვუხერხებ რამეს.

ეს რომ იმ „საიქიოს დამცდარ“ მოხუცს გადავეცი, კინაღამ გაგიჟდა სიხარულით. ისე იყო აღგზნებული, რომ კომენდანტს ხელში სწვდა დ უნდა ეკოცნა, მაგრამ იმან უკან დაიხია:

— არა, ჩემო ძმაო, ეს ჩვენში მიღებული არ არის, — უთხრა მან რუსულად და მაშინვე „გერმანულზე“ გადავიდა.

— მე როცა გიძახი, შენ ბეგაი, ბეგაი, ეს ნიხტ გუტ. მაგრამ ბინა მაინც იავოლ, გაიგე?

იმ უბედურმა, რა თქმა უნდა, ვერაფერი გაიგო, მაგრამ მაინც უთხრა:

—იავოლ, ჰერ კომენდანტ, პანიმაი, პანიმაი, და თან გაურკვევლად გაუღიმა...

...ალაყაფის კარი ისევ გაიღო და ეზოში ახლა მაღალი, გამხდარი, სრულიად ჭაღარა მოხუცი და შედარებით ახალგაზრდა ქალი შემოვიდნენ.

— აი ისიც, — წამოიძახა კომენდანტმა.

წამოვდექით და მივეგებეთ. კელერმანმაც მაშინვე იცნო „მისი მწყალობელი“ კომენდანტი და მხიარულად მიესალმენ ერთმანეთს. მერე მეც გავეცანი. კელერმანის მეუღლემ შინ შეგვიპატიჟა, მაგრამ ჩვენ ეზოში დარჩენა ვარჩიეთ და საუბარი გავაბით.

უკვე ბინდდებოდა. კელერმანი ძალიან მოტეხილი ჩანდა. მეგობრები რომ არ დამხმარებოდნენ, ამდენ ხანსაც ვერ გავძლებდით, — თქვა მან და სიყვარულით გადახედა თავის მოხუც მეგობარს. გრძელი, ოვალური სახე სულ ნაოჭებით ჰქონდა დაფარული, მხრებშიც მოხრილი იყო, მაგრამ საოცრად ახალგაზრდული თვალები ჰქონდა. მისი მეუღლე უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა.

მე ჩემი ძირითადი სამუშაო გავიხსენე და „კულტურბუნდის“ შესახებ ჩამოვუგდე ლაპარაკი. ძალიან დაინტერესდა და მაშინვე გამოთქვა სურვილი, რითაც შეეძლო მონაწილეობა მიეღო ამ „გამამხნევებელ საქმიანობაში“.

მერე ცოტა ხანი ლიტერატურაზე ვისაუბრეთ. 12 წლის განმავლობაში მთელი ჩემი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი მიწაში მქონდა ჩამარხულიო, თქვა.

— ტოლსტოისა და დოსტოევსკის ნაწარმოებები ასე გადავარჩინე განადგურებას, — განაგრძო მან, — სხვაც ბევრი მაქვს რუსი ავტორების წიგნები გერმანულ ენაზე, ყველაფერი გადავმალე. სინესტემ, მართალია, ცოტათი დააზიანა, მაგრამ არა უშავს რა. წამობრძანდით, ჩემს ბიბლიოთეკას გაჩვენებთ.

ეს ისეთი თხოვნით გვითხრა, რომ არ ვაწყენინეთ და შევყევით. მთელი პირველი სართული მართლაც წიგნების თაროებით იყო სავსე. მე, სხვათა შორის, ვუთხარი, რომ ქართველი ვარ და მისი „გვირაბი“ ჩემი ქვეყნის ენაზეა თარგმნილი.

— მართლა? — იკითხა მან, — თუ ასეა, აუცილებლად ჩემს კატალოგებშიც იქნება აღნიშნული.

ეს რომ თქვა, წიგნის თაროებს შორის გაძვრა და სადღაც მიიმალა, მერე უცებ გამოყო თავი და იკითხა:

— ომამდეა თარგმნილი, ხომ?

— დიახ, ომამდე, — მივუგე მე.

კატალოგი გადაქექა და მართლაც ნახა რომანი „გვირაბი", თარგმნილი ქართულად.

— აი, ხომ ხედავთ? მე სრული კატალოგი მაქვს შედგენილი ჩემი წიგნებისა, სად რა ენაზე ითარგმნა და როდის გამოიცა.

მერე საქართველოც მოიგონა. იგი ერთხელ გავლით ყოფილა საქართველოში, როცა ირანის აზერბაიჯანში მიდიოდა ახალი რომანის დასაწერად. ბერლინში ერთ ქართველ მწერალს ვხვდებოდიო ზოგჯერ, და მოიგონა, რომ ის მწერალი მისმა მეგობარმა და ქართული ენის მცოდნე პროფესორმა მეკელაინმა გააცნო...

...ერთხანს კიდევ ვისაუბრეთ და წამოვედით. მე ის 200 გრამი შავი პური გამახსენდა და კომენდანტს ვთხოვე, ვიდრე ბერლინში გადავიყვანდეთ, პროდუქტებით დაეხმარე-მეთქი ამ მოხუცს. ყველაფერი რიგზე იქნებაო, შემპირდა. მართლაც, სიტყვის პატრონი აღმოჩნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბერლინში, „კულტურბუნდის" შენობაში, უკვე ამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს, კელერმანს რომ შევხვდი, გაიცინა და მითხრა:

— რაც თქვენ იყავით ვერდერში, იმის შემდეგ ჩემი სახლი პროდუქტების საწყობად გადაიქცა, იმდენ რამეს მიგზავნიდნენო.

ქალაქ ვერდერსა და, საერთოდ, ბრანდერბურგის პროვინციაში, ერთი კვირა ვიმუშავე, ამასობაში გალინაც შეეგუა ახალ სიტუაციას. ერთ საღამოს „ჭიქა ჩაიზეც მიგვიწვია" შინ მე და კომენდანტი. კელერმანიც გაიცნო და საერთოდ კმაყოფილი ჩანდა.

მერე რომ არ დამავიწყდეს, აქვე გეტყვით: როგორც გავიგე, გალინა თურმე, იმ კომენდანტს გაჰყვა ცოლად და ამით „უენოდ დარჩენის" ყოველგვარი საშიშროება მოისპო...

მე კი ერთი კვირის შემდეგ ბერლინში დავბრუნდი...

...საღამოთი ისევ იმ ჯოჯოხეთის ბიბლიოთეკაში ავედი. მარკოვი და ბერლინში დარჩენილი გოგონებიც აქ იყვნენ. მარკოვი ძველებურად იღრინებოდა. ლენა, რატომღაც, სულ ნიცშეს ჩაჰკირკიტებდა. გენადი ისევ ისე ქურდულად აპარებდა მისკენ თვალებს. თვითონ წიგნების კითხვა ეზარებოდა, ამბობდა, ეს თქვენი „სულიერი საზრდო" კისერში ამომივიდაო, და სხვებსაც ხელს უშლიდა.

მე, ვითომ სხვათა შორის, ვკითხე მას:

— რას შვრები, გენადი, ისევ ნადირობ?

— ჰო, სულ მწევარივით მივდევ, მაგრამ მაინც ვერ მივეწიე, — მიპასუხა მან.

ნაშუაღამევმა რომ გადაიარა, მარკოვმა გამოაცხადა, წავიდეთ, უკვე გვიანაა.

— ჰო, წავიდეთ, — მაშინვე დაეთანხმა სათვალიანი სუზანა და წამოდგა. სხვებიც წამოიშალნენ. ლენას წიგნისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე თქვა...

— მე მოვიცდი ჯერ, საინტერესო რამეა, მინდა ბოლომდე ჩავიკითხო...

მარკოვმა თვალები გადმოქაჩა:

— მარტო დარჩები? — ისე გაოცებით იკითხა მან, თითქოს მე იქ სულაც არ ვყოფილიყავი.

— ჰო, რა მიჭირს! — ჩაილაპარაკა ლენამ.

წამსვლელები კარამდე მივაცილე, დავემშვიდობე და უკან გამოვბრუნდი, მაგრამ მარკოვი ისევ მომიბრუნდა და ეშმაკური ღიმილით ჩამჩურჩულა: შენგან გამიგონია, მწევრისაგან დაღლილი კურდღელი მეძებარმა დაიჭირაო, ასეა არა?

— კურდღლის დაჭერისა რა მოგახსენო და, ანდაზა კი მართლაც ასეა, — ვუპასუხე მე...

ეშმაკის ყელი...

არც ამის შემდეგ მომიხდა „ძირითად სამუშაოზე" დაბრუნება. ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ისევ სობოლევმა მიმიხმო თავისთან და გამომიცხადა, პოლკოვნიკ №-თან და მის

მთარგმნელთან ერთად, ოცი დღით კასელში მოგიხდებათ წასვლა სპეციალური დავალებითო. ამ მივლინების მიზანიც მისივე ნაამბობიდან გავიგე: ნიურნბერგის პროცესის მზადებასთან დაკავშირებით, საჭირო იყო ნადავლი დოკუმენტების დამუშავების წესების დადგენა. ოთხი სასელმწიფოს წარმომადგენლებს წინასწარ თათბირი გაემართათ, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს. ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებს განუცხადებიათ, რომ ისინი ყველა დოკუმენტს აგროვებენ კასელში შექმნილ სპეციალურ ცენტრში და წინადადებას იძლეოდნენ, საბჭოთა კავშირიც შეერთებოდა მათ. როგორც ჩანს, ჩვენებმა წინასწარ შეიტყვეს, რომ მოკავშირეები კასელში თავიანთი დოკუმენტების მხოლოდ ნაწილს აგროვებდნენ, დანარჩენს კი, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უმაღლესი მთავარსარდლობის დოკუმენტებს, სხვაგან ინახავდნენ, სახელდობრ, მარბურგსა და ფლესბურგში. ეს ართულებდა საკითხის გადაწყვეტას. თუ ჩვენი მოკავშირეები ასე მოიქცეოდნენ, ცხადია, საბჭოთა მხარე უარს იტყოდა კასელის „ცენტრთან“ შეერთებაზე. ამის გამოსარკვევად და მდგომარეობის ადგილობრივ შესასწავლად, ჩვენმა მხარემ მოითხოვა საბჭოთა წარმომადგენლების დაშვება კასელში, რაზედაც თანხმობა მიიღეს და შეუდგნენ კიდეც კანდიდატურების შერჩევას. შესაძლებელია იმიტომ, რომ საქმე უმთავრესად გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტებს ეხებოდა, ხოლო მე ბერლინში ჩვენი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში ვმუშაობდი, ეს დავალება მეც მივიღე...

... ამერიკელები რატომღაც აყოვნებდნენ ჩვენს გაგზავნას. სამჯერ გავედით ტემპელჰოფის აეროდრომზე და სამჯერვე უკან დავბრუნდით. სულ იმას ამბობდნენ, ცუდი დარია და კასელის აეროდრომი თვითმფრინავებს არ იღებსო. ეს რაღაც ფანდი იყო, თორემ, ეტყობოდა, დარი სრულიადაც არ იყო ამის მიზეზი. მეოთხე დღეს საბჭოთა მხარემ პროტესტი განაცხადა. თუ ჩვენი წარმომადგენლები დაუყოვნებლივ არ იქნებიან

გაგზავნილი, თვითონ გავუშვებთ თვითმფრინავს ან მანქანებით გავგზავნითო. მართლაც, მანქანებით მოგვისდა წასვლა. ამერიკელების მხრივ გამყოლები იყვნენ პოლკოვნიკი ნიუტონი და პოლკოვნიკი დაშერი. ვთქვათ, პოლკოვნიკ ნიუტონის თანამგზავრობა გასაგები იყო, მაგრამ დაშერის ფუნქციებში მაშინვე ეჭვი შემეპარა, რადგან ერთი შეხედვითაც ეტყობოდა, რომ სულაც არ იყო ამერიკელი. ჩინებულად ლაპარაკობდა რუსულად, თან რაღაცას ეშმაკობდა. ტემპელჰოფის აეროდრომიდან მესამეჯერ რომ დავბრუნდით, მან გვითხრა:

— უკან გაბრუნება ცუდი ნიშანია. თუ გინდათ, ამ თვითმფრინავით ლონდონში ჩავიდეთ, ღამე იქ გავათენოთ და დილით ჩავფრინდეთ კასელში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, უარი ვთქვით. თუ კასელის აეროდრომი არ იღებდა თვითმფრინავს, განა სულერთი არ იყო, ბერლინიდან ჩავფრინდებოდით თუ ლონდონიდან?!.

... პოლკოვნიკი დაშერი ჩემთან იჯდა მანქანაში, სხვები — პოლკოვნიკ ნიუტონთან. გზადაგზა ბევრი ვისაუბრეთ. მე ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო და არ მოვეშვი:

— თქვენი მშობლიური ენა რუსული უნდა იყოს, ისე კარგად ლაპარაკობთ. უცხოელი ასე ვერასოდეს ვერ ისწავლის სხვის ენას.

— რატომ, არც თქვენ ხართ რუსი, მაგრამ კარგად ლაპარაკობთ?

— მე რუსეთში მიცხოვრია და იმიტომ.

— თქვენ რა გვონიათ, მეც მიცხოვრია.

— სად, რომელ ქალაქში?

— ოდესაში.

შემდეგ ისე დაწვრილებით და გატაცებით ყვებოდა ოდესაში თევზაობის ამბებს, რომ ცხადად ჩანდა, ამ ქალაქში იყო გაზრდილი. მე, ვითომ არაფერი, ისე ვკითხე:

— კასელში რა საქმეზე მობრძანდებით?

ჭროღა თვალებით დამაშტერდა, მერე გამიცინა და მითხრა:

— მე თქვენი მხლებელი ვარ!

— მე მგონი, ჩემთვის ზედმეტი პატივია, მხლებლად პოლკოვნიკი მყავდეს.

— რატომ? რაკი რუსული ვიცი, გემსახურებით, მე ამაყი კაცი არა ვარ. გარდა ამისა, თქვენგანაც ხომ პოლკოვნიკი მოდის!

ვამჯობინე, ამ საკითხში არ ჩავღრმავებულიყავი და საუბარი სხვა თემაზე გადავიტანე...

... პოლკოვნიკი ნიუტონი უფრო სიმპათიური კაცი ჩანდა. მას უკვე სიბერეში ჰქონდა ფეხი შედგმული და, ეტყობოდა, მანქანით ხანგრძლივ მოგზაურობას ვერ იტანდა. ამიტომ გზადაგზა აჩერებდა თავის „ხორხს“, რომ შეესვენა. პირველი შესვენების დროს გზის პირას ჩამოვჯექით.

— გავიარეთ „ეშმაკის ყელი“, დასწყევლოს ღმერთმა, — თქვა მან.

„ეშმაკის ყელს“ იმ ვიწრო „დერეფანს“ უწოდებდა, ბერლინს რომ აერთებს დასავლეთის ზონასთან. ეს ფაქტიურად ერთი შოსეა, რომლის ორივე მხარეს საბჭოთა ზონაა, თვითონ შოსე კი „ინტერნაციონალურია“.

— რას არ მოიგონებენ ეს პოლიტიკოსები, — თქვა უკმაყოფილოდ ნიუტონმა, — ამისთანა რამეს პირველად ვხედავ: გზის ორივე მხარე ერთი სახელმწიფოსი იყოს, გზა კი მეორესი. რამე რომ დაგჭირდეთ ახლა და ორიოდე ნაბიჯით შოსედან მარჯვნივ ან მარცხნივ გადაუხვიოთ, ბუჩქებში, სახელმწიფო საზღვრების დარღვევად ჩაგვეთვლებათ! ეს საქმეა? — ჩაიცინა მან და ფოტოაპარატი გააჩხაკუნა, გზადაგზა სულ სურათებს გვიღებდა. კასელში დავბეჭდავ და მოგცემთო, გვპირდებოდა.

დიდი ცნობისმოყვარე ვინმე იყო. სულ იმაზე ოცნებობდა, საბჭოთა კავშირში როდის მოვხვდები, რომ სტალინგრადი ვინახულოო. თვითონ სულ „პოლიტიკოსების“ ლანძღვაში იყო. რაღაცაზე განაწყენებული ჩანდა, რაც არ უნდა პატიოსნად იმსახურო ჯარში, ბოლოს მაინც პოლიტიკოსები ჩაერევიან საქმეში და ყველაფერს გააფუჭებენო.

„ეშმაკის ყელი“ რომ გავ..არეთ და ამერიკულ ზონაში შევედით, ჩვენდამი ინტერესი ერთბაშად გაიზარდა, რადგან აქ პირველად ხედავდნენ საბჭოთა ოფიცრებს. შესვენების დროს ყოველგვარი მორიდების გარეშე მოდიოდნენ და ხელით გვისინჯავდნენ მუნდირს, ეპოლეტებს, ორდენებს. თან ათას რამეს გვეკითხებოდნენ. ჩვენც ან ვუპასუხებდით, ან თავს ვარიდებდით, ვჯდებოდით მანქანაში და მივდიოდით. ასე გავიარეთ პოტსდამი, ვერდერი, მაგდებურგი, გეტინგენი და კასელში შევედით, უფრო სწორედ, კასელის გარეუბანში. აქ სადღაც გადავუხვიეთ და ერთხანს ტყე-ტყე ვიარეთ, მერე ამ ტყეში არაჩვეულებრივად დაბალი სახლები გამოჩნდა, 2—3 მეტრი სიმაღლისა, შენობის დანარჩენი ნაწილი სულ მიწის ქვეშ იყო. ამიტომაც უწოდებდნენ მიწისქვეშა ქალაქს. სახურავებზეც მიწა ჰქონდათ დაყრილი და ზედ ბუჩქები დაერგოთ. რაც არ უნდა ეცადა მტრის ავიაციას, ჰაერიდან აქ ტყის გარდა ვერაფერს შენიშნავდა. მიწის ქვეშ კი უზარმაზარი კორპუსები იყო მოწყობილი. ჩვენ ერთ-ერთ ასეთ სახლთან შევჩერდით. წინ ამერიკელი ოფიცრები შემოგვეგებნენ. ნიუტონსა და დაშერს მეგობრულად მიესალმნენ, ეტყობოდათ, ისინი აქ შინაურები იყვნენ. მერე ერთ პატარა კოტეჯში შეგვიყვანეს და ცალ-ცალკე ბინებში მოგვაწყვეს. დაშერმა გამოაცხადა:

— ერთი საათი წესრიგში მოყვანა, მომზადება და პროგრამა დაიწყება!

ასეც მოვიქეცით, სამგზავრო ტანისამოსი გამოვიცვალეთ და დანიშნულ დროს ვესტიბიულში შევიკრიბეთ. მალე დაშერიც მოვიდა და სადღაც წაგვიყვანა. უკვე შებინდებული იყო, შორიდან რომ მიყრუებული ტყე ჩანდა, ახლა დავაკვირდი და ვნახე, რომ ხეებქვეშ ხალხი ჭიანჭველასავით ირეოდა. იყვნენ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქონი — ქალები, კაცები; ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, უმრავლესობა ქალები...

— აქ ფრთხილად უნდა იყოთ, თორემ ღამე მარტო გავლა საშიშია, — გაგვაფრთხილა დაშერმა.

— რატომ, საშიში რა არის? — ვკითხე მე.

— მერე ნახავთ! — მითხრა მან და ეშმაკურად ჩაიცინა.

ფიქვნარში ჯერ მარჯვნივ შევუხვიეთ, მერე მარცხნივ დ
ერთ, სანახევროდ მიწაში ჩამარხულ სახლს მივადექით. აქა
ამერიკელი ოფიცრები შეგვხდნენ და სახლში შეგვიყვანეს, მე
რე უცებ საკმაოდ დიდ და მდიდრულად მოწყობილ დარბაზ
ში აღმოვჩნდით, სადაც უკვე ოციოდე ოფიცერი იყო თავ
მოყრილი ასევე მდიდრულად გაშლილი მაგიდის გარშემო
პირველად მაღალი, მხარბეჭიანი ჭაღარა გენერალი გაგვაცნეს.

— გენერალი ტიმბერლეიკი, გარნიზონის უფროსი და
ჩვენი შეფი, — თქვა დაშერმა. მერე ინგლისელ გენერალთან
წარგვადგინეს, ბოლოს კი პატარა, სათვალიან ფრანგთან, რო-
მელიც ძველებურ კანტორის მუშაკს უფრო ჰგავდა, ვიდრე
გენერალს. დანარჩენ ოფიცრებსაც გავეცანით და მაშინვე ჩა-
ვებით მეგობრულ საუბარში...

... მთელ ამ შეკრებილობას გენერალი ტიმბერლეიკი მე-
თაურობდა. მხიარული კაცი ჩანდა და ყოველ უმნიშვნელო
ხუმრობაზე ისე როხროხებდა, რომ შემდეგ გაჩერება უჭირდა.
თავი სრულიად თავისუფლად ეჭირა და არავითარ „საეთი-
კეტო შეზღუდულობას“ არ გრძნობდა სტუმრების წინაშე. ინ-
გლისელი გენერალი უფრო თავშეკავებულად იქცეოდა. ვინ-
მეს ხუმრობას იგი მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი ღიმილით უპა-
სუხებდა და ცდილობდა, კუშტი გამომეტყველების მიუხედა-
ვად, ყველასთან თავაზიანი ყოფილიყო. ფრანგი ერთ ადგილას
ვერ ისვენებდა, ხან აქ იყო, ხან იქ. წამდაუწუმ სათვალეს იხ-
სნიდა და ისევ იკეთებდა, ბევრს ლაპარაკობდა და იცინოდა.

— ჩვენი შეკრება მიძღვნილია რუსი მოკავშირეებისად-
მი, — გამოაცხადა ტიმბერლეიკმა და მაგიდასთან მიგვიწვია.

— დღეს მოკავშირენი პირველად ვართ სრული შემადგენ-
ლობით, — განაგრძო მან უკვე მაგიდაზე: რუსები, ამერიკე-
ლები, ინგლისელები... მერე რატომღაც ჩახველა, ჩაიცინა და
დაუმატა: ფრანგებიც, რა თქმა უნდა...

— რა თქმა უნდა კი არა, ფრანგებიც, — შეუსწორა სა-
თვალიანმა გენერალმა.

დიახ, წარმოიდგინეთ, რომ მე მხედველობაში მყავს ფრანგებიც, — ისევ იხუმრა ტიმბერლეიკმა, — თუკი ამას ისტორიაც მიიღებს მხედველობაში.

— უსათუოდ მიიღებს! — არ ცხრებოდა ფრანგი.

— ღმერთმა ქნას, — დაუდასტურა ამერიკელმა, — პირადად მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუნდაც ამის ხათრით, — თქვა მან და ხელში ფრანგული ღვინის ბოთლი შეათამაშა.

— დაჯსხით, ბატონებო! ვისაც რა გესიამოვნებათ. მსოფლიოში არსებული ყველაზე საუკეთესო ღვინოებია ამ მაგიდაზე. რაც აქ არ არის, საკმარისია ისურვოთ და ისიც დაუყოვნებლივ გაჩნდება. ეს არის დღეს ჩემი სამხედრო ძალა და მინდა, თქვენც დარწმუნდეთ ამაში. აბა, ვის რა ღვინო გნებავთ!..

ამას უმთავრესად ჩვენს საყურადღებოდ ამბობდა. ამიტომ ვუთხარი:

— აქ ისეთი დიდი არჩევანია, რომ დავიბენით. ყოველ შემთხვევაში, რაც არის, ჩვენთვის ისიც საკმარისია.

მაგიდაზე, მართლაც, სულ სხვადასხვა მარკის ღვინოები ეწყო: თეთრი და წითელი, ფრანგული ბორდო, მედოკი, სენ-ემილიონი, წმინდა ბურგუნდიული, ალიგოტე და მერსო, გერმანული რისლინგი, იტალიური კიანტი და ასტი. სხვა რაღა გვინდოდა, მაგრამ გენერალი ტიმბერლეიკი მაინც ჩაგვაცივდა:

— ისურვეთ და გამომცადეთ, თუ უმალვე არ გავაჩინო!

მე „წინანდალს“ ან „ხვანჭკარას“ ხომ არ მოვითხოვდი, ამიტომ ჯერ მაგიდა შევათვალიერე, მერე უცებ უნგრული ღვინო გამახსენდა და ვთქვი:

— მე მსურს ტოკაი!..

ტიმბერლეიკმა მაგიდას თვალი გადაავლო, მაგრამ ტოკაი ვერ ნახა და სიცილი დაიწყო:

— ასეც ვიცოდი, რუსებს უყვართ მოწინააღმდეგის სუსტი მხარის აღმოჩენა. ეს მათი ტაქტიკაა. თუმცა იარაღს მაინც არ დავყრი. კაპიტან დევიდსონ, ტოკაი, ათ წუთში!..

ახალგაზრდა ოფიცერი ადგა და სწრაფად გავიდა...

... ფაუსტური ლეგენდის მიხედვით, მეფისტოფელი ხომ

ისე სწრაფი იყო, როგორც „აზრი ადამიანის“, ამიტომ, რასაც ფაუსტი ისურვებდა, იმავე წამს ხორციელდებოდა. ეს კაპიტანი დევიდსონი კი რას იზამდა, საინტერესო იყო.

მე ტოკაი ისე ვთქვი, თორემ განა არ ვიცოდი, ამ ღვინოებთან ვერ მოვიდოდა.

ტიმბერლეიკმა ჯერ კონიაკი დაგვასხმევინა და გამოაცხადა:

— ეს ნაპოლეონის დროის კონიაკია!

ჩვენ ყველაფერი ეს ხუმრობა გვეგონა, მაგრამ თანდათან დავრწმუნდით, რომ ასე არ იყო. გენერალმა გვითხრა:

— რუსებს მე ხვალ გავუმჟღავნებ ჩემს საიდუმლოებას, თუ ამაღამ ჩემმა ინგლისელმა ან ფრანგმა კოლეგებმა არ გამცეს...

პირადად მე სრულიადაც ვერ ვერკვეოდი სასმელების ხანდაზმულობის საკითხში, ასე რომ, ტიმბერლეიკს შეეძლო თავისი კონიაკი ნაპოლეონის კი არა, თუნდაც, ალექსანდრე მაკედონელის დროისათვის მიეწერა. ეს ჩემთვის სულერთი იყო.

მერე ტიმბერლეიკმა ხელში ისევ ფრანგული ღვინის ბოთლი შეათამაშა და გამოაცხადა:

— პირველად მაინც ბორდო დავლიოთ. ეს ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელო იყოს. მართალია, ფრანგებს არცთუ ისე დიდი წვლილი მიუძღვით ამ გამარჯვებაში, მაგრამ, რაკი ღვინო კარგი აქვთ, ხათრი გავუწიოთ და ისინიც ვადღეგრძელოთ!

მე მიკვირდა, როგორ მოურიდებლად დასცინოდა ტიმბერლეიკი თავის ინგლისელ და ფრანგ კოლეგებს. ვფიქრობდი, ნუთუ არ სწყინთ-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანდა, ისინი მიჩვეული იყვნენ მის ხუმრობას, ალბათ, ამიტომ იყო, რომ ფრანგმა გენერალმა ტიმბერლეიკის ამ მწარე სიტყვებს სიცილით უპასუხა:

— ყოველ შემთხვევაში, ფრანგებს ამერიკელებივით არასოდეს ტურისტული ომები არ უწარმოებიათ!

არც ვიცი, ამ „ტურისტულ ომში“ რას გულისხმობდა, ალ-

ბათ, იმას, რომ ამერიკელები ყოველთვის სხვის ტერიტორიაზე ომობენ.

ინგლისელი გენერალი უსმენდა მათ კინკლაობას და დინჯად ეღიმებოდა.

ამ დროს დევიდსონმა დარბაზში სამი ბოთლი ტოკაი შემოიტანა. ტიმბერლეიკი ისეთი ზეიმით შეხვდა ამას, თითქოს დიდი ბრძოლა მოეგოს.

— აი, ხომ ხედავთ, — როხროხებდა იგი, — არის ტოკაი! აქ ჩემი დამარცხება არ შეიძლება. ხვალ თქვენც დარწმუნდებით ამაში!

რას გვემუქრებოდა ამ „ხვალინდელი დღით," მაშინ ჩვენთვის გაუგებარი იყო. ეს მერე გავიგეთ და მეც მერე მოგიყვებით.

ტიმბერლეიკმა ახლა ტოკაი დაასხა და ინგლისელი გენერალი ადღეგრძელა. თანაც თავისებურად დაგესლა: ინგლისელებს უნგრეთი ყელში აქვთ გაჩხერილი და იქნებ უნგრულმა ღვინომ ჩაუწმინდოსო.

ინგლისელმა ისევ მედიდურად გაიღიმა, მაგრამ ტიმბერლეიკი არ მოეშვა.

— ხვალ ხომ კვირაა, დილით გამოგივლით, — მოგვმართა მან, — და კასელს დაგათვალიერებინებთ. ნახეთ, როგორ გადავუხადეთ ნაცისტებს ინგლისური ქალაქის — კოვენტრის დანგრევა! აბა, ამას ხომ თვითონ ინგლისელები ვერასოდეს მოახერხებდნენ. ისინი ისე იბრძვიან, რომ არ უნდათ თეთრი ხელთათმანები დაისვარონ.

ინგლისელმა მედიდური ღიმილი მაინც არ მოიშორა. ტყუილად კი არ ამბობენ, ხარი რქებით კლავს, ცხენი — წიხლებით, ინგლისელი კი ღიმილითო.

ფრანგი გენერალი ინგლისელ კოლეგას მიეშველა:

— ტიმბერლეიკი მართალია, ხომ ნახეთ, ამერიკელები პირლ-ჰარბორში საპარადო ხელთათმანების კი არა, შარვლების დასვრასაც არ მორიდებიანო.

მასპინძელი მიხვდა, საით ურტყამდა ფრანგი გენერლის იუმორი და, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ეს უთხრა:

— ჩემს ფრანგ კოლეგას ენა მაჟინოს ხაზივით აქვს გამაგრებულიო...

ტიმბერლეიკმა დაპირება შეასრულა და დილით ორი ვილისით მოგვადგა. ჩვენთან ერთად წამოვიდა ფრანგი გენერალიც. ინგლისელი არ ჩანდა. ალბათ, არცთუ ისე მოსწონდა, ამერიკელი გენერალი რომ „კოვენტრირებული“ კასელით ამაყობდა. მე უკვე გიამბეთ იმის შესახებ, თუ როგორ „დააკოვენტრეს ამერიკელებმა ქ. კასელი. ახლა კი, შემთხვევამ მოიტანა და თვითონ ვხედავდი დიდი სამრეწველო ქალაქის ამგვარი „ტოტალური დაბომბვის“ შედეგს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა კოშმარული იყო ის ღამე კასელის მოსახლეობისათვის. ჩვენ ახლა გენერალ ტიმბერლეიკს იმიტომ მივყავდით იქ, რომ ამერიკული ავიაციის ძალა ეჩვენებინა. იგი ამტკიცებდა, რომ კასელში არც ერთი სახლი არ დარჩა დაუნგრეველი. მგონი, ასეც იყო. ჩვენს თვალწინ საშინელი სანახაობა გადაიშალა. ყველგან სახლების ჩონჩხები ჩანდა. ქუჩებიც ნანგრევებით იყო სავსე. ვილისები მოხერხებულად დაძვრებოდნენ ამ ნანგრევებს შორის. ცოცხლად გადარჩენილი მოსახლეობა სარდაფებში ცხოვრობდა. ბავშვები ნანგრევში იქექებოდნენ და რაღაცეებს ეძებდნენ. ისინი მონუსხული თვალებით უყურებდნენ ჩვენს მანქანებს.

მე არ დამავიწყდება ამ ბავშვების შეშინებული, მაგრამ მაინც ცნობისმოყვარე თვალები. მათ არ შეეძლოთ გარკვეულიყვნენ, რატომ ხდება ეს ყველაფერი! დიდების თვალებში კი არც ბავშვური ცნობისმოყვარეობა იყო, არც ხალისი, ისინი ნაღვლიანად, ოდნავ დაცინვით თუ ზიზღით მოგვჩერებოდნენ. ზოგიერთები ნანგრევებიდან გამოჰყოფდნენ ხოლმე თავს და ისევ იმალებოდნენ. ვილისები კი თაგვებივით დაძვრებოდნენ ამ ანგრეულ-დანგრეულ ქუჩებში. ჯერ კელნის ქუჩას გამოვყევით, ვიქტორიას შოსე გადავსერეთ და ბანკის უზარმაზარი შენობის ნანგრევებს ჩავუარეთ. მერე მარცხნივ გადავუხვიეთ და ლუთერის ქუჩაზე გავედით. აქ ერთ პატარა ეკლესიასთან შევჩერდით. გვითხრეს, რომ ეს ეკლესია ცნობილი გერმანელი მხატვრის —ტიშბაინის ფრესკებით იყო სახელგანთქმული, მაგრამ ჩვენ ისე მილეწილ-

მოლეწილი დაგვხვდა, რომ იმ ფრესკების რამე ნიშანსაც კი ვერ მოვკარით თვალი. შემდეგ ისევ უკან დავბრუნდით და სამეფო მოედანზე გავედით. ძე ლიტერატურიდან მახსოვდა ამ მოედნის უცნაური აგებულების შესახებ. შენობები ისე იყო განლაგებული, რომ თუ ვინმე მოედნის ცენტრში დადგებოდა და დაიყვირებდა, ექვსმაგი ექო უპასუხებდა. ეს რომ ტიმბერლეიკს ვუამბე, დაინტერესდა. მანქანები მოედნის ცენტრში დაყენა და საყვირები მიუშვა. არავითარი ექო. ირგვლივ უზარმაზარი შენობების ჩონჩხები შემოგვცქეროდნენ დუმილით. ტყუილი ყოფილაო, დაასკვნა ტიმბერლეიკმა.

ცხადია, ეს ტყუილი არ იყო, მაგრამ, აბა, დანგრეული სახლების ჩონჩხები რა ექოს გამოსცემდნენ!

ამის შემდეგ მდინარე ფულდას სანაპიროზე გამოვედით და ქალაქის ულამაზეს ნაწილში, კარლის ველზე, მოვხვდით. აქ აკაციების ხეივანს გავყევით და მწვანეში ჩაფლული ბალები გავიარეთ. უზარმაზარი ხეების ტოტები ჩამოლეწილი იყო ყუმბარების ნამსხვრევებისაგან, აქვე ვნახე კასელის ცნობილი სამხატვრო გალერეიის ნანგრევები. დრეზდენისა და მიუნხენის გალერეებთან ერთად კასელის ეს გალერეა ცნობილი იყო თავისი მდიდრული ექსპოზიციით, განსაკუთრებით, ჰოლანდიელი ოსტატების ნამუშევრებით. აქ ჰქონდათ რემბრანდტის, რუბენსის, ვან დეიკის, იორდანსის, აგრეთვე, დიურერის, ტიციანის, გვიდო რენისა და სხვების სურათები...

ყოველივე ეს იყო... ახლა არაფერი. მხოლოდ ნანგრევები. და აქეთ-იქით მიყრილ-მოყრილი სკულპტურული ფიგურების ნამსხვრევები.

კიდევ ერთხანს ვიხეტიალეთ ქალაქის ნანგრევებს შორის. მერე პლატოზე ავედით, რომელიც ისე დაჰყურებდა ქალაქს, როგორც მთაწმინდა თბილისს. აი, სწორედ აქ ვნახეთ ერთადერთი დაუნგრეველი ძეგლი — ჰერკულესის უზარმაზარი ქანდაკება, გლიკონის ანტიკური ორიგინალის მიხედვით შესრულებული.

ესეც ირონია სინამდვილისა!..

...ბერძნული მითოლოგიის გმირთა გმირი ჰერაკლე, ანუ რომაულად ჰერკულესი, ადრე მზის ღმერთი იყო, რომელიც ელვის ისრებით სპობდა სიბნელესა და ბოროტებას. შემდეგ მეცნიერებმა ერთ-ერთ თანავარსკვლავედს ჰერკულესი უწოდეს, მის ახლო მეორეს კი ჰიდრა, რომელიც მან დაამარცხა. გლიკონის ქანდაკება გამოხატავს ჰერკულესს, როგორც შიშველი ძალის გამოხატულებას, უძლიერესი მამაკაცის კუნთებად ქცეულ სხეულს, რომელიც ოდნავ გადახრილი დაჰყურდნობია რაღაცას და მორცხვად დაჰყურებს დანგრეულსა და დალეწილ კასელს.

ეს მართლაც საშინელი სანახაობა იყო. მე მესმის, ომი რომ ომია. ქალაქების დაბომბვაც ბუნებრივია, მაგრამ სამხედრო ობიექტების განურჩევლად მთელი ქალაქის ასე მთლიანად მოსპობა ერთ ღამეს... ყოველ შემთხვევაში, სიხარულის გრძნობას არ უნდა იწვევდეს. ტიმბერლეიკი კი ზეიმობდა:

— ხომ ხედავთ, ჩვენ, ამერიკელები, ჰერკულესივით დავყურებთ ახლა ამ ნაცარტუტად ქცეულ კართაგენს. ეს გაფრთხილებაა!

მე არ ვიცი, ვის გასაფრთხილებლად წარმოთქვა მან ეს სიტყვები, მაგრამ ტონი მაინც არ მომეწონა და ქ. ბოხუმი ვახსენე. ეს არცთუ ისე დიდი ქალაქია სამხრეთ გერმანიაში. ომი დასასრულს ისე უახლოვდებოდა, რომ აქ ერთი ყუმბარაც არ ჩამოვარდნილა. ამას არც ჰქონდა აზრი, რადგან ამ საკურორტო ქალაქში სამხედრო ობიექტები არ იყო. ამის გამო უამრავი ლტოლვილი მიაწყდა ბოხუმს. ამბობდნენ, მარტო იატაკზე დასაწოლი ადგილი უამრავი ფული ღირდაო. თითო ოთახში, თურმე, 20—30 კაცი ათევდა ღამეს.

ერთ დღეს ათასზე მეტი თვითმფრინავი დაესხა თავს ამ ქალაქს და ნაცარტუტად აქცია ყველაფერი.

ტიმბერლეიკი მიხვდა, რატომ ვახსენე ბოხუმი და ღიმილით მითხრა, ავიაცია მარტო ქალაქების წინააღმდეგ კი არ მოქმედებს, არამედ ცოცხალი ძალის წინააღმდეგაცო.

ასეა. ადამიანი ხომ „ცოცხალ ძალას“ ნიშნავს მეომართა

ენაზე, მაგრამ სამხედროსა და სამოქალაქო მოსახლეობას შორის მაინც არის განსხვავება...

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დავბრუნდით ჩვენს მიწისქვეშა ქალაქში. ტიმბერლეიკმა შეგვახსენა, საღამოთი ჩემი ოფიციალური სტუმრები იქნებითო, და წავიდა...

ამორძალების ბუნაგი...

კვირა დღე იყო და სამუშაო არაფერი გვქონდა. ამიტომ დაშერის თანხლებით ტყეში გამოვედით მიწისქვეშა ქალაქის დასათვალიერებლად. ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. „ადგილობრივი მოსახლეობა“ გარეთ იყო გამოფენილი — უმთავრესად ქალები: მთარგმნელები, მემანქანეები, მდივნები; აქაიქ — ოფიცრებიც. ღამით მარტო არ გამოხვიდეთ ამ ამორძალების ბუნაგში, თორემ თქვენს დაცვაზე პასუხს არ ვაგებ, — ისევ გაგვაფრთხილა დაშერმა.

ეს არც დღისით იყო უხიფათო. საბჭოთა ოფიცრები აქაც ისეთი უცხო „ფრინველები“ აღმოვჩნდით, რომ ყველა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ჩვენდამი. გასაგებიცაა, რადგან ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ ოფიცრებს მიჩვეულნი იყვნენ, ჩვენიანებს კი პირველად ხედავდნენ. ამიტომ ჯერ შორიდან დაგვიწყეს თვალიერება, მერე ახლოს მოვიდნენ და, ბოლოს, შეტევაზეც გადმოვიდნენ. უამრავ კითხვებს გვაძლევდნენ. სამხედრო ფორმას, ეპოლეტებს, განსაკუთრებით ორდენებსა და მედლებს, ხელით სინჯავდნენ. ქუდზე ხუთქიმიანი ვარსკვლავები მაშინვე აგვხსნეს და სუვენირებად წაიღეს. მერე ჩვენი პოლკოვნიკის მთარგმნელს ვიღაცამ მედალი „სტალინგრადის დაცვისათვის“ აღმოუჩინა. ეს სიტყვა „სტალინგრადი“ ისე მაგიასავით მოქმედებდა ყველაზე, რომ ერთბაშად ხუთიოდე ქალიშვილი მიესია მთარგმნელს და მედალი ააგლიჯეს. დაშერმა სხვა ამერიკელ ოფიცრებსაც მოუხმო და ლეიტენანტს ძლივს დაუბრუნეს თავისი საამაყო ჯილდო...

...ვერც მე გადავურჩი ამგვარ შემოტევას. უცებ ვიღაც ნახევრადშიშველი, გველივით დაკლაკნილი ქალი გამოხტა და ჩემს წითელი ვარსკვლავის ორდენს ეცა. მე გავიბრძოლე, მაგრამ ის „ამორძალი“ ფოცხვერივით ჩამეჭიდა და ძლივს მომგლიჯეს. ბრინჯაოსფერი იყო, თმაგაწეწილი და ისეთი ველური გამოხედვა ჰქონდა, რომ, მართალი გითხრათ, გული გადამიქანდა, კიდევ არ მეცეს-მეთქი. მის გვერდით ხალგაზრდა, სიმპათიური ყმაწვილი იდგა და ეხვეწებოდა, თავი დაანებეო.

— ლიზელოტა, რა ამბავში ხარ! — მომესმა ვიღაცის ხმა. გავიხედე, კარებში სანდომიანი სახის მოხუცი იდგა...

— ნუ გეშინიათ, კოლეგა, ლიზი იკბინება, მაგრამ ცოფიანი არ არის! — „დამამშვიდა“ მოხუცმა და გაიცინა...

ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრა იმ „წმიდა სამებასთან“, რომელზეც ადრეც გიამბეთ...

ამის შემდეგ, რამდენიმე ამერიკელი ოფიცრის თანხლებით, ოთახებში დავბრუნდით. მე ქუდზე მისამაგრებელი წითელი ვარსკვლავების ისეთი მარაგი მქონდა წამოღებული, რომ დანაკლისი უცებ ავინაზღაურე. ორდენები და მედლები კი ჩამოვიხსენით და მხოლოდ ოფიციალურ მიღებებზე ვიკეთებდით...

აუერბახის სარდაფი...

ჯერ კიდევ შებინდებული არ იყო, რომ გენერალ ტიმბერლეიკის რეზიდენციაში წაგვიყვანეს. ერთი შეხედვით ვერც გავიგეთ, რა შენობაში მოვხვდით. საცხოვრებელ ბინას სრულიად არ ჰგავდა. გარშემო შესანიშნავი ვილები იდგა, ეს კი ყველაზე უარესი იყო, რაღაც კანტორის მსგავსი. ვერ მივხვდი, რატომ მაინცადამაინც ეს შენობა აირჩია მან თავის საცხოვრებელ ადგილად!

შესვლისთანავე წინ თვითონ გენერალი მოგვეგე-

ბა. მაღალი, მხარბეჭიანი, წითური, სრულიად თეთრი თმებით. ისე კი ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. მუქი მწვანე ფერის მუნდირი ეცვა, რომელსაც მარტო ოქროსფერი ასოები ეკერა ეპოლეტებზე. იქვე იყვნენ მისი ინგლისელი და ფრანგი კოლეგები, აგრეთვე უფროსი ოფიცრები, დაახლოებით 30 კაცი. მათ შორის 2 ქალი, მთარგმნელები, რომელთაგანაც ერთი ინგლისურად ლაპარაკობდა, მეორე — ფრანგულად.

ეს ოფიციალური წვეულება ჩვენი დელეგაციის ჩასვლასთან დაკავშირებით მოაწყო ტიმბერლეიკმა, ამიტომ მთავარ ყურადღებას აქაც ჩვენ გვითმობდნენ. ერთხანს მისაღებ დარბაზში ვისაუბრეთ. მერე ტიმბერლეიკმა გამოაცხადა:

— ახლა რუს კოლეგებს უნდა გავუხსნა ჩემი სასახლის საიდუმლოება, დანარჩენებმა ეს უკვე იცით...

— გთხოვთ, წამობრძანდეთ, — მოგვმართა ჩვენ და წინ გაგვიძღვა. რამდენიმე ოთახის გავლის შემდეგ სარდაფში ჩავედით. აქ სულ სხვა სანახაობა გადაიშალა ჩვენს თვალწინ. უზარმაზარი მარმარილოს დარბაზი, შესანიშნავი ავეჯი, გაშლილი სუფრა, რომლის გარშემო შავლივრეიანი ოფიციანტები დაფუსფუსებდნენ. ცისფერი მარმარილოს კედლები და კოლონები, უფრო მოლურჯო ფერის პატარა ესტრადა და ძვირფასი სურათები კედლებზე. ბროლის უზარმაზარი ჭაღები და მდიდრული კანდელაბრები რაღაც საზეიმო იერს აძლევდა ყველაფერს. მერე ერთი სართულით კიდევ ძირს ჩავიწიეთ, აქ, თურმე, უძველესი ღვინოების ერთ-ერთი ცნობილი სარდაფი ყოფილა. მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან ჰქონდათ მოტანილი და სათუთად შენახული სხვადასხვა მარკის ღვინოები. ძირს კიდევ სამი სართული იყო, სადაც უძველესი მაგარი სასმელების საუკეთესო კოლექცია ინახებოდა.

აი, თურმე, რატომ მოეწყო გენერალი ამ „აუერბახის სარდაფში". მართალია, ზევით კანტორის შენობას გავდა, მაგრამ სამაგიეროდ ისეთ სიმდიდრეს ფლობდა, სხვა რა. სასახლე შეედრებოდა ამას!

— In vino veritas! — წარმოთქვა საზეიმოდ გენერალმა და ზევით აგვიყვანა. გზაში კი გვითხრა:

— ახლა ხომ მიხვდით ჩემს საიდუმლოებას, საიდან მოდის ღვინოები ან ის ტოკაი საიდან გაჩნდა! ადრე რომ მცოდნოდა ასეთ სასახლეში მომიხდებოდა ცხოვრება, მეორე ფრონტს უფრო ადრე გავხსნიდით.

მერე ყველანი „ცისფერ დარბაზში" მიგვიწვიეს, წინასწარ განაწილებულ ადგილებზე დაგვსვეს და... აქედან მოკიდებული სულ შხამად ამომხდა იმდღევანდელი ტოკაის ნატვრა...

სუფრაზე შესანიშნავი ღვინოები მოჰქონდათ, მე კი მხოლოდ იმ „ნანატრ ტოკაის" მისხამდნენ...

...აბა, სუფრული საუბრის მოყოლა რა საინტერესოა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ტიმბერლეიკი სულ ბახუსის მდიდარი კოლექციის დემონსტრაციას ახდენდა. ინგლისელი და ფრანგი კოლეგების მიმართ კი ისევ ენაგესლიანობდა.

— კიდევ კარგი, — თქვა მან, — ჩვენმა მოკავშირეებმა არ იციან ამ „ბახუსის სასახლის" ამბავი, თორემ ამასაც გერმანიასავით ოთხ ზონად გაყოფდნენ და წილში შემოვიდოდნენ.

შემდეგ, როცა ჩემი სადღეგრძელო დალია, მოვიდა, გადამეხვია და თან ასეთი რამ მითხრა:

— რუსი და ამერიკელი ოფიცრები ასე მეგობრულად რომ ვეხვევით, ისეთი განწყობილება მაქვს, თითქოს კუნთებს ვუსინჯავდეთ ერთმანეთს.

მაშინ მოკავშირეთა ჯარების წარმომადგენლები გარეგნულად მაინც თავაზიანად ვხვდებოდით ერთმანეთს. ასეთი სიტყვები კი პირველად ტიმბერლეიკისაგან გავიგონე, მაგრამ არაფერი მითქვამს. ახლა იმ სიტყვებს რომ ვიგონებ, ვხვდები, „კუნთების მოსინჯვა", მართლაც, მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი და დასავლეთელი მოკავშირეების არმიები პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს.

მუსიკა ჩართეს და დარბაზში რომელიღაც ნაცნობი საზეიმო მარშის ჰანგები გაისმა...

მერე, გარდა ესტრადისა, სინათლე ყველგან ჩაქრა და მუსიკის რიტმზე ნარნარი მოძრაობით 30 თითქმის შიშველი ქალიშვილი ავიდა სცენაზე. მე ადრეც მქონდა გაგონილი ამერიკაში ძალიან პოპულარულ ანსამბლ „30 girls"-ის შესახებ, ახლა კი საკუთარი თვალით ვხედავდი მას.

ეს ნამდვილი სიურპრიზი იყო! მაგიდაზე ტაშისცემა და მოწონების ყიჟინი ატყდა. ანსამბლი რაღაც რიტმულ ცეკვას ასრულებდა. გამიკვირდა, როგორ არჩევდნენ ყველას ასე ერთნაირს: სიმაღლით, თმის ფერითა და ვარცხნილობით, გარეგნობით. მათი მთავარი ღირსება ტანისა და სახის სილამაზე და გრაციულობაა, სხვა დანარჩენი მდარე ხარისხისაა. ცეკვები ვულგარულია და უფრო „შიშველი სხეულის გამოფენის" სურვილს ემსახურება, ვიდრე ქორეოგრაფიის ინტერესებს.

რამდენიმე ნომერი ამერიკელი ოფიცრების საერთო მოწონების ყიჟინით ჩაატარეს. მერე ტიმბერლეიკმა დაიძახა:

— აბა, ფერიებო, ახლა ყველანი მაგიდასთან, მაგრამ არც ერთი ახალი სკამი! თვითონ მოეწყვეთ სხვის სკამებზე, როგორ? ეს თქვენი მოხერხების საქმეა!..

მოცეკვავე გოგოები სიცილ-კისკისით გამოიქცნენ მაგიდისაკენ. ჩვენ, სამივენი, ავდექით, დაღლილობა მოვიმიზეზეთ და, ტიმბერლეიკის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, დაუყოვნებლივ დავტოვეთ მისი „ბახუსის სასახლე". ჩვენთან ერთად წამოვიდა ინგლისელი გენერალიც, ფრანგი დარჩა. ის ორი მთარგმნელი ქალიშვილიც ჩვენ შემოგვიერთდა.

დარბაზიდან რომ გამოვდიოდით, ამერიკელმა ოფიცრებმა სიცილი მოგვაყოლეს.

წამოსვლისას ჩვენმა ლეიტენანტმა უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა:

— ყველაზე საინტერესო დროს კი წამოვედით!

— გაუშვი, გაფუჭებული ხალხია, — უთხრა პოლკოვნიკმა.

— ორივენი მართალი ბრძანდებით, — ვთქვი მე, —

თუმცა თვითონაც არ მესმოდა, რა აზრი ჰქონდა ჩემს ნათქვამს.

ინგლისელი გენერალი წამოგვეწია, თავის მანქანაში ჩაგვსვა და წამოგვიყვანა. უკვე გვიან იყო, მაგრამ მაინც სახლში შეგვიპატიჟა.

საკვირველი ხალხია ეს ამერიკელები, — თქვა მან, — ომის დროსაც სულ ასე ტურისტებივით იქცევიან...

სიტყვა „ტურისტს“ ესეც ისეთი ზიზღით ამბობდა, რომ ეტყობოდა, რაღაც დამამცირებელს გულისხმობდა.

— ის ნაპოლეონის ნაბუშარიც რომ დარჩა! — გაიკვირვა გენერალმა, — ოღონდ ფრანგს ასეთ თავგადასავლებს ნუ მოაკლებ, და ვისაც გინდათ, იმას მიჰყიდის თავს.

მერე რაღაც სასმელები გახსნა და თითო ჭიქა დაგვალევინა.

ესეც, ალბათ, იმ „ბახუსის სასახლიდან“ იქნებოდა მოტანილი. ცოტა ხნის შემდეგ მასპინძელს დავემშვიდობეთ და წამოვედით. ჩვენი სახლიც იქვე იყო. ოთახში რომ შევდიოდით, ლეიტენანტმა ერთხელ კიდევ გამოთქვა თავისი უკმაყოფილება:

— რომ დავრჩენილიყავით, ვითომ რა იქნებოდა?

— დაწექი და დაიძინე, ბევრს ნუ ლაპარაკობ! — დატუქსა პოლკოვნიკმა.

— არის ძილი და ტკბილი სიზმრები! — მიუგო ლეიტენანტმა და კარი მიიხურა...

თეთრი ნიალვარი...

მეორე დღეს დილიდანვე შევუდექით მუშაობას. პოლკოვნიკს რაღაც სხვა საქმე ჰქონდა და თავის მთარგმნელიანად ისე გაქრა, რომ მთელი დღე არ მინახავს. სამაგიეროდ, დაშერი არ მშორდებოდა. ჯერ დავათვალიერეთ ყველაფერი, მოვიარეთ უზარმაზარი მიწისქვეშა ანგარები. პირველად ერთ-ერთ ასეთ ნაგებობაში რომ შევედით, შორიდანვე რაღაც ყრუ გუგუნი მოგვესმა, რაც უფრო ვუახლოვდებოდით

იმ შენობას, გუგუნი უფრო ძლიერდებოდა. შემდეგ ჩვენს თვალწინ ასეთი სანახაობა გადაიშალა: უზარმაზარ საამქროში ოთხმწკრივად იდგა საბეჭდი მანქანები, სულ, როგორც დაშერი ამბობდა, სამი ათასამდე. სამი ათასი მუქ ლურჯ ხალათებში ჩაცმული მემანქანე ბეჭდავდა გერმანულ დოკუმენტებს. სამ ათას მანქანას ერთად გაჰქონდა გუგუნი. მართლაც, ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს საბეჭდი მანქანები კი არა, სამი ათასი ტყვიამფრქვევი დაეყენებინათ და ტყვიებს უშენდნენ გერმანელ ნაცისტებს. ერთ დარბაზში ასლებს იღებდნენ დოკუმენტებიდან. მეორე დარბაზშიც ასიოდე მემანქანე იჯდა და უკვე ინგლისურად თარგმნილ დოკუმენტებს ბეჭდავდნენ. მესამეში — როტოპრინტზე ამრავლებდნენ უკვე გამზადებულ საბუთებს.

მერე მიწისქვეშა გვირაბით სხვა საამქროში გადავედით. აქ სრული სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ქაღალდების ისეთი ყრუ შრიალი ისმოდა, გეგონებოდათ, სადღაც ახლო მდინარე მიედინებაო. აქ ორასამდე თანამშრომელი ქალი და კაცი თარგმნიდნენ დოკუმენტებს ინგლისურ და ფრანგულ ენაზე...

სხვა დარბაზებში ისევ დოკუმენტები... ზღვა დოკუმენტებისა! აქაც ისხდნენ, არჩევდნენ, ახარისხებდნენ, მუყაოს ყავისფერ საქაღალდეებში ალაგებდნენ და სადღაც აგზავნიდნენ ისე, რომ ქაღალდების ამ ნიაღვარს საზღვარი არ უჩანდა.

— სულ რამდენი დოკუმენტი იქნება შეგროვილი? — ვკითხე დაშერს...

— ეშმაკმა იცის! — ჩაიქნია მან ხელი, — ჩვენ ჯერ წონით ვიღებთ მათ. დღემდე, რამდენადაც ვიცი, სამი ათას ხუთასი ტონა დოკუმენტია აქ შეგროვილი. ახლა ყოველდღე აუარებელი მოაქვთ.

— იცით, როგორ აგროვებდნენ მათ?

— როგორ არა, ამერიკელი და ინგლისელი არმიების ყოველ შენაერთთან იყო გერმანული ენის საუკეთესო მცოდნეთა სპეციალური სამხედრო საველე რაზმები, რომელთაც ეს ევალებოდათ. მათ მუშაობას ხელმძღვანელობდა

პოლკოვნიკი რ. საორი. მეც მის განყოფილებაში ვმუშაობდი. გერმანელებმა, უნდა გითხრათ, ამ მხრივ მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს. ჩვენ უამრავ დოკუმენტს ვპოულობდით განადგურებული გერმანული არმიების შტაბებში, მთავრობისა და სხვადასხვა ორგანიზაციების შენობებში, უმთავრესად კი გამოქვაბულებსა და კატაკომბებში გადამალულს, ან მიწაში ჩამარხულს... ასე, მაგალითად, როზენბერგის მთელი პირადი თუ სამსახურებრივი მიმოწერა ბავარიის ერთ-ერთ სასახლეში აღმოჩნდა ყალბ კედლებს შორის შენახული. სამხედრო-საჰაერო ფლოტისა და ავიაციის სამინისტროს მთელი არქივი ბავარიის ალპებში ვიპოვეთ. ჩვენ იგი ბერჰტესგადენში გადავიტანეთ და იქ დავამუშავეთ. ადრე ყველა არმიას თავისი ზონა ჰქონდა მიჩენილი, სადაც ეს დოკუმენტები გროვდებოდა. მერე, რაც პროცესის მზადება დაიწყო, ეს ცენტრი შეიქმნა—Ministerial collecting searviece. აქ გროვდება და მუშავდება ყველაფერი.

— ვითომ, ყველაფერი?

— რა თქმა უნდა, რაკი ეს ცენტრალური პუნქტია...

— საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტებიც?

— რაც ხელთ ვიგდეთ, ცხადია...

— მე ვიცი, რომ ეს დოკუმენტები მთლიანად თქვენს ხელშია...

— თუ ასეა... აქ იქნება...

— მე მინდა, ვნახო...

— ვნახავთ... ჯერ წესრიგში მოვიყვანთ...

— არა, მე შემიძლია ისეც ვნახო...

— ყოველ შემთხვევაში დღეს არ შეიძლება. ცალკე თუ არის გამოყოფილი, არც ვიცი, გავიგებ და ხვალ გეტყვით...

— კარგი, ხვალ იყოს. უმაღლესი სარდლობის დოკუმენტებიც, თუ შეიძლება...

— ის დოკუმენტები სხვა უწყების ხელთაა...

— უწყება სულერთია, ოღონდ ვნახო...

— კარგი, ამასაც გავიგებ...

ვიცოდი, რასაც „გაიგებდა". ეს სწორედ ის დოკუმენ-

ტები იყო, მარბურგსა და ფლესბურგში რომ ჰქონდათ შენახული... ისე, კი უნდოდათ შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ყველა დოკუმენტი აქ იყო. როგორც ჩანდა, დაშერი არ მოელოდა, ასე დაჟინებით რომ მოვითხოვდი იმ დოკუმენტებს, ამიტომ დამატარებდა ასე თავისუფლად ამ პალატებში, აქაოდა, ხომ ხედავთ, რამდენი დოკუმენტები გვაქვს შეგროვილიო.

— არც მეორე. და მესამე დღეს გაირკვა რამე. ჩემს დაჟინებულ კითხვაზე, თუ სად იყო საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უმაღლესი სარდლობის დოკუმენტები, ერთსა და იმავე პასუხს მაძლევდნენ: დოკუმენტები ჯერ მთლიანად დახარისხებული არ არის, ყველაფერი ერთადაა და ეძებეთ, რაც გაინტერესებთო. მაგრამ, აბა, ეძებეთ სამი ათას ხუთას ტონა დოკუმენტებში ის, რაც თქვენ გინდათ! მერე ვთხოვე, საშუალება მომეცით, საღამოთიც ვიმუშაო-მეთქი, მაგრამ უარი მითხრეს. საღამოობით ყველა ოთახი ილუქება და წესს ვერ დავარღვევთო. ისე კი, რა უნდა მომესწრო! რაც შემეძლო, ვცდილობდი დრო არ დამეკარგა, მაგრამ წუთებსა და საათებს ძალით ხომ ვერ გაწელავ!..

... მთელი ამ ხნის განმავლობაში დაშერი ერთი წუთითაც არ მშორდებოდა და სულ იმას მიჩიჩინებდა, ხედავთ, რამდენი დოკუმენტი გვაქვსო. ერთი ისიც ეკითხა, ჩვენებს რამდენი ჰქონდათ! გერმანიისა და მისი სატელიტების ყველა დედაქალაქი ჩვენებმა აიღეს: ბერლინი, ბუქარესტი, სოფია, ბუდაპეშტი, აგრეთვე ვარშავა, ვენა, პრაღა... 5 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ გროვდებოდა ნადავლი დოკუმენტები. ეს დოკუმენტები, გარდა სადაზვერვო განყოფილებისა, ჩვენც მოგვდიოდა და დაახლოვებით მაინც მქონდა წარმოდგენილი მათი რაოდენობა და მნიშვნელობა.

ამ დოკუმენტებს, მართლაც, უდიდესი როლი უნდა ეთამაშათ ნაცისტების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოკვლევაში. თუ ჰიტლერმა ნამდვილი ას ერგასის „წყლით რღუნა“ ვერ გამოიწვია, ქაღალდების ასეთი ნიაღვარი მაინც წალეკავდა მისი იმპერიის ნაშთებს. როცა ისინი საშინელ დოკუმენ-

ტებს ადგენდნენ და მაღალფარდოვან სიტყვებს წარმოთქვამდნენ, არც ფიქრობდნენ, რომ ყოველივე ამას საშინელი სამსჯავრო და მარადიული შეჩვენება მოჰყვებოდა; პირიქით, თავს ისტორიის უდიდეს ადამიანებად თვლიდნენ და ციინიკურ გულახდილობამდე მიჰყავდათ იმ „სულიერი სუბსტანციის“ არსი, რამაც მათი მოძღვრების საფუძვლები შექმნა...

— ისტორიის ყველა დიდი საქმე სისხლით იწერებაო,— ამბობდნენ ისინი და გულმოდგინედ ამზადებდნენ ახალ სისხლიან წარღვნას. იმის ნაცვლად, რომ ერის ხასიათის კარგი თვისებები განვითარებინათ, ომებისა და მტაცებლობისაკენ მოუწოდებდნენ მას. შემდეგ სამხედრო-ოპერატიულ გეგმებსაც ადგენდნენ სხვათა მიწა-წყლის დასაპყრობად. სალოცავ ხატადაც ისინი ჰყავდათ, ვინც ამგვარი თარეშით ისახელა თავი: ალექსანდრე მაკედონელი, ჩინგის ხანი, თემურ ლენგი, ფრიდრიხ დიდი, ნაპოლეონი და სხვები. ის, რომ დიდების შარავანდითაც მოსავდნენ მათ სახელებს, გასაგებია, მაგრამ მე-ის მიკვირს, ისტორიაც რომ თავს იწონებს იმ ნადირ-კაცებით და მტაცებლებით! ძეგლებსაც იმათ უდგამენ, მემორიალურ მუზეუმებსაც უხსნიან და სქელტანიან მონოგრაფიებსაც უძღვნიან მათ „გმირულ სახელებს“.

სახელმწიფო დოკუმენტების მთელი ეს ნიაღვარი ამ მტაცებლობის გამართლებას ან შენიღბვას ცდილობს. ის, რისი გამხელაც სირცხვილია, თავს სირაქლემასავით მალავს სილაში. ზედაც ამიტომ აწერია: „საიდუმლო“, „სრულიად საიდუმლო“, „სახელმწიფო საიდუმლო საქმე“ და ა. შ. საბოლოო ანგარიშში კი საიდუმლოდ არაფერი რჩება და მთელი ეს სიბილწე შემაძრწუნებელი დოკუმენტების მღვრიე ნაკადად მიედინება კაცობრიობის წინაშე...

მერე მათ გადაბეჭდავენ, დასტამბავენ, მაგარ მუყაოს ყდებს გაუკეთებენ, ოქროთიც მოავარაყებენ და ვაზნებივით ჩაალაგებენ წიგნების თაროებზე. ამით მთელ ამ სისაძაგლეს ისტორია დაერქმევა და დაუსრულებლივ იხანგრძლივებს დროში, რათა ისევ იმ შხამიანი ნესტარით მოსწამლოს კაცთა გონება...

ამ უსიამო ფიქრებს ასევე უსიამოვნო ატმოსფერო დაემთხვა. იმ დღეს სადილად ინგლისელი გენერლის სტუმრები ვიყავით. აქ სულ სხვა წესრიგი იყო: ოფიციალური, სერიოზული, აწონილ-დაწონილი, ყველაფერი წინასწარ გათვალისწინებული და ზუსტად განსაზღვრული. ეს ყველას გადმოგვედო და ჩვენც ჩურჩულით დავიწყეთ საუბარი. ტიმბერლეიკი დაიტანჯა ასეთი გამოზომილი წესრიგით. განზე გამიხმო და მითხრა:

— არ მიყვარს ინგლისელ კოლეგასთან დროს ტარება. ყველაფერს დიპლომატიური წესით აკეთებს. მე ჯარისკაცი ვარ და ამას ვერ ვიტან. მოვრჩეთ როგორმე ამ წვალებას და ჩემთან წავიდეთ.

მადლობა მოვახსენე და, გარემოების მიხედვით, მეც ზედმეტად სერიოზული გამომეტყველება მივიღე. არასოდეს არ მიყვარდა ანდაზა, სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო, მაგრამ, თურმე, ესეც საჭირო ყოფილა...

მხოლოდ ფრანგ გენერალს ეხურა თავისი ქუდი. ხან ერთთან მივიდოდა, ხან მეორესთან, ხმამაღლა ლაპარაკობდა და თავისუფლად იცინოდა. სხვები მაინც ჩურჩულით უპასუხებდნენ. ეს სენი, მართლაც, გადამდები ყოფილა და ჩქარა იმანაც დაუწია ხმას.

მაგიდასთან რომ მიგვიწვიეს, ყველამ წინასწარ განსაზღვრულ ადგილს მივაშურეთ. ცარიელ სუფრაზე ყოველი სკამის წინ მხოლოდ თითო ცარიელი თეფში, ჭიქა და დანა-ჩანგალი იდო, შუაში — ღვინის ბოთლები და ყვავილები. დავჯექი თუ არა, მაშინვე თვალში მეცა, რომ წინ ისევ ის დასაქცევი „ტოკაი“ მედგა. ჩემს გვერდით ტიმბერლეიკი დაჯდა, მეორე მხარეს — რუსი ლეიტენანტი.

— ასეთ სიტუაციაში არც იცი, თვითონ უნდა აიღო ინიციატივა, თუ ბრძანებას უცადო, — მიჩურჩულა ტიმბერლეიკმა.

— როგორც ჩანს, უნდა დაველოდოთ, რა მოხდება, — ვუპასუხე მე.

— ჰო, მართალია, ორიენტაცია ბრძოლის ველზე! — წარმოთქვა მან და დემონსტრაციულად გულხელი დაიკრიფა. ეს ფრანგმა გენერალმა შენიშნა და მაშინვე ესროლა:

— კოლეგა, ფრანგი ნაპოლეონის პოზა არ უხდება ამერიკელ გენერალს!

ტიმბერლეიკმა ხელები ჩამოუშვა. ინგლისელი გენერალი ქანდაკებასავით იჯდა და ტუჩებზე გაბზარული ღიმილი უთამაშებდა. ეს ღიმილი რომ არა, ვიფიქრებდი, ლოცულობს-მეთქი.

— იქნებ ჩვენ თვითონ უნდა დავისხათ ღვინო, — მიჩურჩულა ლეიტენანტმა.

— რა დროს ღვინოა, ჯერ არაფერი მოუტანიათ.

მერე ლივრეებში გამოწყობილმა მსახურებმა რაღაც წვნიანი საჭმელი შემოიტანეს. ტიმბერლეიკი უფრო მოიღუშა, მაგრამ ზრდილობისათვის მაინც „სიამოვნებით“ მიირთვა. ხუთი წუთის საქმეს რატომღაც ნახევარ საათზე მეტს მოვუნდი. ყველა ჩუმად იჯდა და შეექცეოდა თავის წილ კერძს. მხოლოდ ფრანგი თუ გადაულაპარაკებდა მეზობლებს რამეს. მერე თეფშები გამოცვალეს, კიდევ რაღაც მოიტანეს და ახლა ამაზე გადავედით. ისევ სიჩუმე და აქაიქ მოგუდული ჩურჩული.

— ეს ღვინოები ტყუილად დგას? — წამჩურჩულა მოუთმენელმა ლეიტენანტმა.

— მოიცა, ალბათ, ამის დროც მოვა!

— ჩინებულია, ჩინებული! — აქებდა კერძს ფრანგი.

— დიახ, საუცხოო რამეა, — დაუდასტურა ტიმბერლეიკმა. ეს ერთადერთი რეპლიკა იყო ჯერჯერობით, რაც მთელი საათის განმავლობაში წარმოთქვა მან. მერე ისევ რაღაც მოიტანეს და სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა. მსახურები ახლა უფრო ჩქარ-ჩქარა შემოდიოდნენ და ცვლიდნენ თეფშებს, ბოთლები კი ისევ ხელუხლებლად ეწყო. ბოლოს რაღაც უგემური დესერტიც მოაყოლეს.

— მორჩა, ღვინო ვის რაღად უნდა, — ვადაიწყვიტა იმედი ლეიტენანტმა.

უკანასკნელად ნაყინიც დაგვიდგეს წინ და ჩემმა მეზობელმა უნუგეშოდ ამოიოხრა.

ამასაც რომ მოვრჩით, ინგლისელმა გენერალმა სიგარას მოუკიდა და გააბოლა. იმავე წუთს მსახურებმა ჩამოიარეს და ვერცხლის ლანგარზე დაწყობილი სიგარები მოგვაწოდეს. ჩვენც გავაბოლეთ. ვიღაცას ხველება აუტყდა. მერე ტიმბერლეიკს რაღაც უჩურჩულეს. ტიმბერლეიკმა თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა გაიცინა. მერე ჩემსკენ გადმოიხარა და მითხრა:

— პოლკოვნიკ ტომპსონს თამბაქო არასოდეს მოუწევია, მაგრამ ახლა ისე მექანიკურად დაემორჩილა საერთო მოქმედებას, რომ კინაღამ დაახრჩო ბოლმა.

ინგლისელი გენერალი ისევ დუმდა და სიგარას აბოლებდა. ნამწვავი საფერფლეზე დადო თუ არა, მსახური მაშინვე ეცა და გაიტანა. ჩვენც დავდეთ სიგარის ნარჩენები და ისინიც გააქრეს მაგიდიდან.

ამის შემდეგ მასპინძელმა, როგორც იქნა, მის წინ დადგმულ ბოთლს ხელი წაავლო და ბროლის ჭიქაში სისხლივით წითელი ღვინო ჩაასხა. სხვებთანაც მაშინვე გაჩნდნენ მსახურები და ჭიქები აავსეს. მე, რა თქმა უნდა, ისევ „ტოკაი“ მერგო.

ინგლისელი ფეხზე წამოდგა და ყალბი, პათეტიკური ხმით შესძახა: — The King! — მეფე!..

ყველანი ფეხზე წამოვდექით და დავლიეთ.

ინგლისელმა მეორედ შეავსო ჭიქა და კალინინის სადღეგრძელო დალია. ამას მოჰყვა ტრუმენის სადღეგრძელო. ფრანგები არც ინგლისელს „გახსენებია“...

ნაყინის შემდეგ ეს მაგარი „ტოკაი“ არცთუ ისე სასიამოვნო იყო. მაგრამ ახლა ამას ვინ დაეძებდა. მავიდა უცებ ახმაურდა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ენაზე ბოქლომები აგვხსნეს. მერე ტიმბერლეიკი ადგა, მასპინძელს მადლობა გადაუხადა და ავიშალენით. ერთხანს კიდევ ვიდექით ჯგუფ-ჯგუფად და წამოვედით. ტიმბერლეიკი ჩაგვაცივდა, ახლა ჩემთან წამოდითო, მაგრამ არ გავყევით. მაშინ საღამოთი გამოვივლიო, გვითხრა და წავიდა ნიუტონთან ერთად...

საღამოთი მართლაც მომადგა ტიმბერლეიკის მანქანა და ვიღაც ამერიკელმა ლეიტენანტმა წამიყვანა მასთან. „ჰოლში“ შემიპატიჟეს. აქ უკვე რამდენიმე ამერიკელი ოფიცერი იყო, მათ შორის ნიუტონიც. ერთნი ბილიარდს თამაშობდნენ მეზობელ ოთახში, მეორენი ჭადრაკს მოსხდომოდნენ, სხვები იდგნენ დახლთან და ვისკის სვამდნენ. ტიმბერლეიკი, ნიუტონი და მე ერთ მყუდრო ადგილას მოვთავსდით. წინ აქაც ვისკი დაგვიდგეს. თუ მიჩვეული არა ხარ კაცი, ეს ისეთი საძაგელი სასმელია, რომ ერთ ჭიქასაც კი დიდი გაჭირვებით მოერევი. ტიმბერლეიკმა შენიშნა, როგორ ვიტანჯებოდი და, სხვა რამეს ხომ არ დალევთო, შემეკითხა. ჩემი საყვარელი ანანასის წვენი ვთხოვე. ირონიულად შემომხედა, ეს რა ჯარისკაცის საქმეაო. მე ვისკის დალევაზე უკეთ მის ირონიას ვიტანდი და მთელი საღამო ანანასის წვენის მეტს არაფერს გავკარებივარ.

იქნებ „ტოკაი“ მოვატანინოთ, — მკითხა ტიმბერლეიკმა. მე სიცილი წამსკდა. ახლა კი ვუამბე, ტოკაიზე სრულიადაც არ ვგიჟდები, მაგრამ ერთხელ შემთხვევით რომ ვთქვი, ივის შემდეგ შემაკალით-მეთქი ამ სასმელს. ამაზე თვითონაც ბევრი იცინა.

— მე თქვენთან საუბარი მინდა, — თქვა ტიმბერლეიკმა, — პირველად ვხვდები საბჭოთა ოფიცერს. ვინ იცის, შემდეგ როდის მომეცემა ასეთი შემთხვევა, ბევრი რამ მაინტერესებს.

— თუკი შევძლებ თქვენი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას, სიამოვნებით, — ვუპასუხე მე.

— ოო, თუ ასეა, იმდენ კითხვას მოგცემთ, იქნებ სანანებელიც გაგიხდეთ ეს თავაზიანობა!

— არა უშავს, გავუძლებ...

ჯერ თვითონ მოყვა, როგორ იყო აღტაცებული საბჭოთა არმიის წარმატებით. როცა გერმანელებმა ვოლგას და კავკასიას მიაღწიეს, უკვე აღარც მეგონა, გარდატეხას თუ მოახდენდითო, — თქვა მან და განაგრძო:

— სტალინგრადმა განმაცვიფრა. სიმაგრის ასეთი დაცვის სხვა მაგალითის დასახელება გამიძნელდება კიდეც. ეს საოცრებაა!

— სასწაულია პირდაპირ, სასწაული, — ჩაურთო ნიუტონმა და ვისკის ჭიქა ბოლომდე დაცალა.

— დიდი ამტანი ხალხი ხართ, — ჩამოართვა სიტყვა ტიმბერლეიკმა, — გერმანელები მოტყუვდნენ თქვენი ძალების შეფასებაში. ჩვენც, უნდა პირდაპირ გითხრათ, ჩვენც მოვტყუვდით, ამერიკელები და ინგლისელები.

— თქვენ რატომ, განა იმთავითვე არ იცოდით, როგორ მოკავშირეებთან გქონდათ საქმე?

— როგორც ჩანს, არა, თორემ ომის შედეგები ასეთი არ იქნებოდა.

— არ მოელოდით, რომ ომი მოკავშირეთა გამარჯვებით დამთავრდებოდა?

— როგორ არა, მაგრამ ჩვენ შეგვეძლო ორმაგი გამარჯვება მოგვეპოვებინა.

მე ჯერ ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ეს „ორმაგი გამარჯვება“. შემდეგ კი ტიმბერლეიკის ნათქვამიდან ყველაფერი გავიგე.

— იცით, — თქვა მან, — მე ჯარისკაცი ვარ და პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს. ჭირივით მეჯავრება პოლიტიკოსები და დიპლომატები. მოყვებიან რაღაცას მიკიბულ-მოკიბულად, ხლართავენ ინტრიგების ქსელს, მერე საქმე რომ ცუდად წაუვათ და თვითონვე გაეხვევიან ამ ქსელში, ყველაფერს სამხედროებს გადააბრალებენ. მე მწამს, რომ ომის დროს სახელმწიფოს სამხედრო პირები უნდა მართავდნენ და არა პოლიტიკოსები. დიპლომატები მაშინვე ფრონტზე უნდა გაგზავნონ რიგით ჯარისკაცებად, რომ ნახონ, რას ნიშნავს ბრძოლა.

— მაინც რას ნიშნავს ეს „ორმაგი გამარჯვება“, თქვენ რომ ბრძანეთ, — შეეკითხე ტიმბერლეიკს.

— უბრალო რამეს, ორივეს დამარცხებას — როგორც გერმანელების, ისე თქვენი.

— ჩვენი? რატომ! აკი მოკავშირეები ვიყავით?

— დროებით, ჩემო მეგობარო, დროებით. გარემოების გამო და არა პრინციპებისა. პოლიტიკოსებმა ამას თავი ვერ გაართვეს და ისე გამოვიდა, რომ ერთი მოწინააღმდეგე დავამარცხეთ, მაგრამ უფრო ძლიერი გავიჩინეთ; ახლა კი თითქმის მთელი ევროპა წითლების გავლენის ქვეშ მოექცა. თქვენ დღეს უფრო ძლიერნი ხართ, ვიდრე ომის დაწყების დროს, ასე თუ გაგრძელდა, ვინ იცის, სადამდე მივა საქმე...

— ომი თქვენ მოიგეთ, აბა, ჩვენ რა? — ისევ ჩაურთო ნიუტონმა, რომელსაც ვისკი ისე მოეკიდა, რომ უკვე ძილს ებრძოდა.

— ასეა, — დაუკრა კვერი ტიმბერლეიკმა, — წარღვნა რომ დამთავრდა, მდინარის ერთ ნაპირზე თქვენ გამოხვედით, მეორეზე ინგლისელები, ჩვენ კი მესამე ნაპირი დაგვიტოვეთ, სხვათა შორის, ფრანგებსაც, — დაუმატა მან.

ახლა მეც მივხვდი, რატომ მითხრა ტიმბერლეიკმა იმ დღეს, კუნთებს ვუსინჯავთ ერთმანეთსო. ამიტომაც ვკითხე:

— თქვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, როგორ მოიქცეოდით?

— გაბედულად, რა თქმა უნდა, უფრო გაბედულად. როცა თქვენ ვოლგისაკენ უკან იხევდით, ჩვენ მაშინ უნდა გაგვეხსნა მეორე ფრონტი. გერმანია ვერ გაგვიძლებდა ევროპაში, ან არც იბრძოლებდა ჩვენს წინააღმდეგ ისე მონდომებით, როგორც აღმოსავლეთში. ამიტომ წინ სწრაფად წავიდოდით და თქვენებს ელბასთან კი არ შეგხვდებოდით, არამედ სადმე, მოსკოვთან ახლოს...

— დარწმუნებული ხართ, რომ ამას შესძლებდით?

— რა თქმა უნდა!

— მაშინ თქვენმა ინგლისელმა კოლეგებმა რატომ მოახდინეს დიუნკერკის ევაკუაცია?

— ეს პოლიტიკოსების ბრალი იყო. ისინი შეცდნენ. ჩვენ რომ მთელი ძალებით დაგხმარებოდით ფრანგებს მაჟინოს ხაზზე, გერმანელები ლამანშზე ვერ გამოვიდოდნენ.

პრეზიდენტის მთავრობამ არ მოახდინა ძალების სწრაფი მობილიზაცია, — გაახილა თვალი ნიუტონმა, — ამერი-

კელმა პოლიტიკოსებმა საერთოდ ასე იციან. თუ ზურგი არ ეწვით, ფიქრობენ, რომ შეიძლება არ იჩქარონ. ზურგი რომ აეწვებათ, მერე ეშინიათ, ვაითუ, უარესი მოგვივიდესო. ამასობაში მოწინააღმდეგეს არ სძინავს. ის უფრო სწრაფად მოქმედებს. ჩვენ კი მერე ვიგებთ, რომ დავაგვიანეთ! ასეა. ამერიკელები ყოველთვის აგვიანებენ.

— ინგლისელები? ინგლისელები უარესები არიან, — განაგრძო ისევ ტიმბერლეიკმა, — სანამ ლონდონს ყუმბარები არ დააყარეს, ბრიტანეთის ლომმა არ გაიღვიძა. მერე კი მორთო ღრიალი, მაგრამ დიუნკერკში მაინც მოჰკვეთეს კუდი. ასეა, ჩემო კარგო, პოლიტიკოსებმა დიპლომატობა დაიწყეს, დიპლომატებმა — პოლიტიკოსობა, მერე სამხედროებიც გაპოლიტიკოსდნენ და... ესეც შედეგი!

სამხედროების „გაპოლიტიკოსებაზე“ რომ ამბობდა, თავისი გრძელი ხელებით ისეთი მსხვილი წრე შემოხაზა ჰაერში, რომ მაშინვე მივხვდი, ჩერჩილს გულისხმობდა. ამაზე ნიუტონმაც ეშმაკურად ჩაიცინა და ნამძინარევი ხმით ჩაურთო:

— როცა პოლიტიკა კოჭლობს, სამხედროებმა რა უნდა ქნან! — არც ეს მინიშნება იწვევდა ორგვარ აზრს, ისედაც ცხადი იყო, ვის ეხებოდა ეს სიტყვა „კოჭლობს“.

— ამიტომაც ვაგვიანებთ ყოველთვის, — დაასკვნა ტიმბერლეიკმა.

სიტყვას „ყოველთვის“ ისე ხშირად ხმარობდა, რომ მისი დაზუსტების სურვილი აღმეძრა.

— როდის ყოველთვის? — შევეკითხე.

— ჯერ 1933 წლიდან 1939 წლამდე. გერმანია ჩვენს თვალწინ იარაღდებოდა, ჩვენ კი მხოლოდ სიტყვებს წარმოვთქვამდით. მერე 39 წლიდან 41 წლამდე. გერმანიისათვის ისე უნდა ჩაგვემტვრია კბილები დასავლეთში, რომ აღმოსავლეთისაკენ ებრუნებინა პირი. 1941 წლიდან 1944 წლამდე კი, ვიდრე თქვენ ევროპაში არ შემოხვედით, ჩვენ ხელი არ გავანძრიეთ. მერე გადავსხით კონტინენტზე დესანტები, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— არც მერე იყო გვიან, თუ გადამწყვეტ ნაბიჯს გადავდგამდით, — ისევ ჩაერთო ლაპარაკში ნიუტონი. ყოველი

რეპლიკის შემდეგ იგი ისევ თითო ჭიქა ვისკს იმატებდა და ძილი თანდათან ეკიდებოდა. ამ „გულახდილი საუბრისათვის“ მინდოდა გვერდი ამევლო, თანაც დაღლილი ვიყავი, ბოდიში მოვიხადე და წამოვედი.

ისევ იმ კაპიტანმა გამომაცილა...

მეტყველი ეკრანი...

მეორე დღეს ისევ დოკუმენტების ჩხრეკას შევუდექი. დაშერი რატომღაც განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდა. მიმართულებასაც ის მიკარნახებდა, საით წავსულიყავი. იმდენი მოახერხა, რომ ერთ ძველებურ კარადასთან მიმიყვანა. ვითომ შემთხვევით.

— აი, აქ ვნახოთ, მე მგონი, საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტები უნდა იყოს, — მითხრა მან და კარადა გამოაღო.

მართლაც ასე იყო. დავიწყე დოკუმენტების დათვალიერება. 12 საათის საუზმემდე ისე ვათვალიერე ეს ქაღალდები, რომ დაშერი არ მომშორებია. საუზმის შემდეგ ისევ დავბრუნდი და ორიოდე საათი ვიმუშავე. მნიშვნელოვანი არაფერი შემხვედრია.

— არ დაიღალეთ? — მკითხა დაშერმა.

— არა, დრო ისედაც ცოტა მაქვს.

— აკი ამბობდით, საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტები აქ არ არისო, აი, ხომ ხედავთ?

— ჯერჯერობით ბევრს ვერაფერს ვხედავ. აქ უმთავრესად შინასაკანცელარიო მიმოწერაა...

— რაც არის, ეს არის, — აიჩეჩა მხრები მან.

მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს დოკუმენტები მარბურგიდან გადმოიტანეს თვალის ასახვევად. უმნიშვნელო რამ გაიმეტეს, ოღონდ დაემტკიცებინათ, რომ ყველა დოკუმენტს აქ, კასელში უყრიან თავს. ერთ რამეში მოტყუვდნენ მხოლოდ, რამაც მაშინვე მიმახვედრა, რომ ეს მასალები ჩამოტანილია და არა აქ დამუშავებული. კასელში დამუშავებულ დოკუმენ-

ტებს შიფრი ასეთი ჰქონდა „MCC“, ხოლო იმ კარადაში მოთავსებულ დოკუმენტებს — მხოლოდ „M“ (Marburg).

— დაიღლებოდით, წავიდეთ, — ისევ შემომიჩნდა დაშერი.

— არა, არ დავღლილვარ.

— იქნებ მუშაობის ხასიათი გამოიცვალოთ, ეს დოკუმენტები ხვალაც აქ იქნება. ახლა კი ფილმების სექტორში წავიდეთ.

რაკი შევატყვე, ძალიან უნდოდა, რომ ამ კარადას მოვშორებოდი, არ ვაწყენინე.

ისევ გავიარეთ დერეფნების ნახევრად ჩაბნელებული ლაბირინთები და ერთ-ერთ ოთახთან შევჩერდით. დაშერმა დააკაკუნა.

— მობრძანდით! — გაისმა ხმა შიგნიდან.

ჩაბნელებულ დარბაზში შევედით. სამხედრო მარშების ხმა ისმოდა ეკრანზე, გერმანელი ჯარისკაცები მიაბიჯებდნენ. მრგვალ მაგიდასთან ამერიკელი ოფიცერი და ორი სამხედროში გამოწყობილი ქალიშვილი იჯდა. დაშერმა წარმადგინა თუ არა, დარბაზში სინათლე აანთეს.

— სასიამოვნოა, მობრძანდით, რას ინებებთ, — მომმართა თავაზიანად ოფიცერმა.

— არაფერს, თუ შეიძლება, თქვენთან ერთად ვუყურებთ, — უპასუხა ჩემს მაგივრად დაშერმა.

— სიამოვნებით, დაბრძანდით...

დარბაზში სინათლე ისევ ჩაქრა და სურათის ჩვენება განაგრძეს. ისევ გერმანელი ჯარისკაცები მიაბიჯებდნენ. მერე ესესელებიც წამოვიდნენ რკინის მუზარადებით. უცებ მაღალი ტრიბუნა გამოჩნდა და დარბაზი აივსო ისტერიული კივილით: ჰიტლერი მიმართავდა არმიას. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ეკრანზე კაცთან, ვისზედაც ამდენი ლაპარაკი იყო მსოფლიოში. მანამდე მე იგი მხოლოდ ფოტოსურათებზე მენახა. ახლა კი იდგა ცოცხალივით და რაღაცას გაჰკიოდა გერმანული იარაღის უძლეველობაზე. მე ყურადღება დავძაბე. იგი, მართლაც, თავისი გარეგნობით, ჟესტებითა და გამყინა-

ვიხმით უფრო იქცევდა ყურადღებას, ვიდრე წარმოთქმული სიტყვების შინაარსით. სპინოზას უთქვამს, არაფერს ისე არ ემონება კაცი, როგორც თავის ენასო. ეკრანზე რომ ჰიტლერს ვუყურებდი და ვუსმენდი, მე მასში ვგრძნობდი სიტყვების მაგიური ძალის ექსტაზით შეპყრობილ ქადაგს, ისეთ დემონურ ტიპს, რომელიც შეხედვისთანავე შეგაძრწუნებს ან აღგაფრთოვანებს. მთელი ნახევარი საათი მხოლოდ ჰიტლერის ლაპარაკი ისმოდა, ხანდახან მის გამოსახულებას ზღვა ხალხი ცვლიდა, რომელიც დროდადრო ღრიალებდა:

— ჰაილ ჰიტლერ! ჰაილ ჰიტლერ!

ამასთან, ხელები ყველას მისკენ ჰქონდა გაშვერილი. ის კი ზეცას მისჩერებოდა და ისტერიულად გაჰკიოდა, თან მუშტებს იქნევდა, ვიღაცას ემუქრებოდა.

— ჩვენ დავამსხვრევთ ყველაფერს, რაც წინ დაგვიდგება, მოვსპობთ, ვინც წინააღმდეგობას გაგვიწევს... გავანადგურებთ... ნანგრევებად ვაქცევთ... ეს სიტყვები ისმოდა წამდაუწუმ, ხალხი კი ღრიალებდა:

— ჰაილ ჰიტლერ! ჰაილ ჰიტლერ!

— მე იმისათვის არ მოვსულვარ ამ ქვეყნად, რომ მშვიდობა ვიქადაგო. მე მოვედი, რომ მთელ მსოფლიოს ვაჩვენო გერმანული იარაღის ძალა, — დაიკივლა ჰიტლერმა.

ხალხი ისევ აღრიალდა:

— ჰაილ ჰიტლერ! ჰაილ ჰიტლერ!

მერე ჰორსტ ვესელის სიმღერა გაისმა და ეკრანზე ისევ ესესელთა კოლონები გამოჩნდნენ.

დარბაზში სინათლე აინთო.

— წავიდეთ? — მკითხა დაშერმა.

ახლა აქედან რაღა გამიყვანდა, ისე დამაინტერესა ნანახმა.

— არა, თუ კიდევ იქნება ჩვენება, დავრჩები.

— დიახ, ახლავე ვიწყებთ შემდეგს, — თქვა ამერიკელმა ოფიცერმა.

— მაშინ მე წავალ და ერთ საათში მოგაკითხავთ, — მითხრა დაშერმა და დაუმატა: დღეს ძალიან ნუ დაიღლებით, სა-

დილად ფრანგების სტუმრები ვართ. იქ ისე კი არ იქნება, ინგლისელებთან რომ იყო.

დაშერის წასვლის შემდეგ ერთ-ერთმა ქალიშვილმა მითხრა:

— თუ რამე სპეციალურად გაინტერესებთ, ბრძანეთ და მოვძებნი...

— არა, ჩემთვის სულერთია. თქვენ განაგრძეთ, მე მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო ვუყურებ.

სინათლე ისევ ჩაქრა და ეკრანზე ნიურნბერგის პარტიულ ყრილობათა უზარმაზარი დარბაზი გამოჩნდა... ხალხი ბუზივით ირეოდა, უმთავრესად არმიის, ესესის ან პარტიის ფორმებში. აპარატმა დარბაზის პირველ რიგს ჩაუარა. მაშინვე ვიცანი უზარმაზარი გერინგი, მაღალი და კისერწაწვრილებული ჰესი, პატარა, დაგრეხილი გებელსი. შემდეგ სხვები, ფელდმარშლები, გენერლები, სამოქალაქო პირები... ესენი ჩემთვის სრულიად უცნობნი იყვნენ. მაშინ მე არც ვფიქრობდი, რომ ბევრი მათგანის ნახვა მომიხდებოდა ნიურნბერგში, მაგრამ უკვე პარტიულ ყრილობაზე კი არა... საბრალდებო სკამზე...

...კინოდარბაზში ისევ საშინელი ღრიალი ატყდა. ეკრანზე დროშების ტყე შეირხა, უკანა კარებში გამოჩნდა ჰიტლერი ჩექმებით, გალიფე შარვლით, შიგ ჩატანებული ყავისფერი ხალათით, შავი საყელოთი და მკლავზე უზარმაზარი სვასტიკით. მთელი დარბაზი ერთხმად ღრიალებდა. ჰიტლერმა წინ გაიშვირა ხელი და სამხედრო ნაბიჯებით წამოვიდა ტრიბუნისაკენ. ღრიალმა იმატა. ტრიბუნას რომ მიუახლოვდა, უკან ჰესი მიჰყვა და შესავალი სიტყვით სხდომა გახსნა. შემდეგ ჰიტლერი ავიდა ტრიბუნაზე. საერთო ღრიალი რაღაც პაროქსისტულ ექსტაზში გადავიდა. დარბაზი მხოლოდ მაშინ დაცხრა, როცა ჰიტლერმა მარჯვენა ხელი ასწია და ნიშანი მისცა, გაჩერებულიყვნენ.

კვლავ მისი გამყინავი ხმა მოისმა ეკრანიდან. ისევ ვიღაცას ემუქრებოდა. ძალაზე და მოსპობაზე ლაპარაკობდა. ხან

ინგლისს უქნევდა მუშტს, ხან — საფრანგეთს. მერე პოლონეთს გადასწვდა, ყველას მოსპობით დაემუქრა...

ილიას უთქვამს, სიკეთის სურვილი ამშვენიერებს კაცის სიტყვებსო.

აქ კი, რის სიკეთის სურვილი! მხოლოდ ნგრევა და ქაოსი. ქვეყნის აოხრება და აკლება, მიწასთან გასწორება, ნაცარტუტად ქცევა, სისხლში ბანაობა, „სიბრძნის უღლიდან გამოშვებული სიცრუე“, „უვიცობის გალაღებული გამბედაობა“. ცუდმედიდობა და, ვინ იცის, კიდევ რა... ბოლოს კი ფეხქვეშ გათელილი დარბაისლური თავმდაბლობა და თავხედური ამპარტავნობა.

— ჩვენი ეპოქის უდიდესი სასწაული ის არის, რომ მე მოგვევლინეთ, — გაჰკიოდა ჰიტლერი ეკრანიდან.

დარბაზში ისევ Ovis-ოვაცია, და დაუსრულებელი ოსანა, ხელების ისტერიული ქნევა და მოწოდება:

— ზიგ ჰაილ, ზიგ ჰაილ!..

დამხობილი დიდება...

მე ეს ფილმი კიდევ ორჯერ ვნახე ნიურნბერგში. როცა საერთაშორისო სამედიცინო კომისია ჰესის შერაცხადობის საკითხს ამოწმებდა, ბრალმდებელმა ამანმა მას სწორედ ეს ფილმი აჩვენა.

როგორც კი ეკრანზე ჰიტლერი გამოჩნდა, საერთოდ აპათიური ჰესი უცებ გამოცოცხლდა, ფეხზე წამოხტა და დაიყვირა:

— ჩვენი ფიურერი! ადოლფ ჰიტლერი!.. ზიგ ჰაილ!.. ზიგ ჰაილ!..

ორმა სამხედრო პოლიციელმა ძალით დასვა ის სკამზე.

— გაგონდებათ ეს ამბავი? — ჰკითხა მას ამანმა.

ჰესმა თვალები მოიფშვნიტა და ისევ დუნედ თქვა:

— მე ვიცანი ჰიტლერი და გერინგი, მაგრამ იმის მიხედვით, რომ დიქტორმა მათი გვარები ახსენა.

— არ გაგონდებათ, რომ თქვენც იქ იყავით? — ჩაეკითხა ამანი.

ჰესი ისევ სიმულაციის ძველ კალაპოტში ჩადგა და არეულად უპასუხა ბრალმდებლის კითხვას:

— მე ეს არ მაგონდება, მაგრამ, ალბათ, უნდა ვყოფილიყავი, რადგან, დავინახე, რომ მეც იქ ვიყავი...

... როცა იგივე ფილმი მესამედ ვნახე ნიურნბერგის ტრიბუნალის დარბაზში, იქ სულ სხვა სიტუაცია იყო. ერთი და იგივე ხალხი: ძალაუფლების თუ დიდების ზენიტში და საბრალდებო სკამზე, ანუ, როგორც ნიცშე წერდა: სიმაღლე და უფსკრული ერთად.

ჯექსონმა თქვა:

— ახლა ძნელია დაინახო ამ უბადრუკ პატიმრებში ნიშანწყალი იმ ძალაუფლებისა, რითაც ნაცისტი ლიდერები ოდესღაც ბატონობდნენ დედამიწის მნიშვნელოვან ნაწილზე და შიშის ზარს სცემდნენ მოსახლეობას. ახლა კი მათ პირად ბედს უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს კაცობრიობისათვის.

ეს ბრალდებულებმაც იცოდნენ და ამიტომ იყო, ასეთი სინანულით რომ შესცქეროდნენ თავიანთ წარსულ დიდებას.

დანტეს უთქვამს:

> მოგონება გარდასული ბედნიერების
> უბედობის ჟამს უდიდესი სატკივარია...

ექიმი-ფსიქოლოგები ყურადღებით აკვირდებოდნენ მათ სახეებს და ინიშნავდნენ მნიშვნელოვან დეტალებს. როცა ეკრანზე ჰიტლერი გამოჩნდებოდა, ყველას სახე უბრწყინდებოდა, ზოგი სიხარულით ტიროდა კიდეც. თავის საკანში დაბრუნებულმა რიბენტროპმა ჯილბერტს უთხრა:

— ჰიტლერი რომ გამოჩნდა, ჩვენ ყველა ისე ვტიროდით, თითქოს გარდაცვლილი მამა დაგვბრუნებოდეს. მაგრამ, განა თქვენ შეგიძლიათ იგრძნოთ მისი პიროვნების სა-

ოცარი ზეგავლენის ძალა? ახლა რომ აქ, საკანში, ფიურერი შემოვიდეს და მითხრას: „გააკეთე ასე!“ მიუხედავად ყველაფრისა, რაც ახლა ცხადია ჩემთვის, მაინც გავაკეთებდი. განა ეს საოცარი არ არის?

ზოგი ისე გაიტაცა ამ „დიდებულმა საქმიანობამ“, სულ დაავიწყდა საბრალდებო სკამზე რომ იჯდა და აღტაცებული სიამაყით მისჩერებოდა ეკრანს. ასე გასინჯეთ, თვით შახტიც კი, რომელიც სულ იმის ცდაში იყო, დაემტკიცებინა, მე იმათთან საერთო არაფერი მქონდაო.

როცა გერმანული „იუნკერსებისა“ და „მესერშმიტების“ ესკადრილია გამოჩნდა, ყოფილი რაიხსმარშალი გერინგი ბავშვივით აცმუკდა. მის უკან მჯდომმა დენიცმა გადაულაპარაკა გერინგს:

— ოჰო, თვითმფრინავები!..

— სსს... გააჩერე ენა! — შეუღრინა გერინგმა და ისევ ეკრანს მიაჩერდა, არაფერი გამომრჩესო.

თვითმფრინავები რომ მიიმალნენ, გერინგი მიუბრუნდა დენიცს:

— ჩვენი ავიაცია საუკეთესო იყო მთელ მსოფლიოში...

— შესაძლებელია, შესაძლებელია, — რაღაც ორჭოფულად დაუმოწმა მას დენიცმა.

მერე საზღვაო აღლუმი დაიწყო. ახლა ყოფილმა გროსადმირალმა „გაიხარა“, სკამზე წინ გადმოიწია და გერინგს უთხრა:

— ყველას შეუძლია დარწმუნდეს, რომ ჩვენი ფლოტი საუკეთესო იყო მსოფლიოში.

— არა უშავს, არა უშავს! — სამაგიერო გადაუხადა გერინგმა.

სხვებიც თავიანთ თავს ეძებდნენ ეკრანზე და ამოწმებდნენ, კარგად იყვნენ თუ არა ნაჩვენებნი. დიდების ზენიტი და უფსკრულის პირი, აქ, ამ დარბაზში, ორმაგ ექსპოზიციად ეფინებოდა ერთმანეთს. ის, რასაც ეკრანზე უჩვენებდნენ, რაღაც წარმტაცი ზმანება იყო მათთვის. მართლაცდა, რისგან რა დარჩა... არაფერი ან ისევ ის „გაარაფრებული არაფერი“, რაზედაც მათივე ფილოსოფოსები წერენ...

როცა სხდომა დამთავრდა, ხელკეტებიანმა სამხედრო პოლიციელებმა ოცნებაში შესული ბრალდებულები ტკბილი ზმანებიდან გამოიყვანეს. და თავიანთ საკნებში დააბრუნეს, ჯილბერტი მაშინვე მიჰყვა მათ და გამოესაუბრა. გერინგმა უკმაყოფილება გამოთქვა, იმ ფილმში გერმანული ავიაცია არ იყო შესაფერისად ნაჩვენებიო.

საერთოდ კი ნასიამოვნები ჩანდა. კარგია, ეს ფილმი რომ აჩვენეს პროცესზეო. ამით ის უნდოდა ეთქვა, ვითომ ნახონ „ჩვენი ძველი, კარგი დრო, რა ბიჭები (Kerl) ვიყავითო“. მერე იხუმრა კიდეც, ეს ისეთი აღმაფრთოვანებელი ფილმია, ჯეკსონს რომ ადრე ენახა, თვითონაც ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი გახდებოდაო...

მე შემდეგშიც ხშირად მქონია შემთხვევა, მენახა თვით გერმანელების მიერ გადაღებული ამგვარი დოკუმენტური ფილმები. გარდა რიფენშტალის, ბერტრამისა და სხვათა სურათებისა, ჰიტლერელებს ათეული და ასეული ათასი მეტრი ფირი დარჩათ, სადაც ნაცისტური გერმანიის ცხოვრებისა და მეორე მსოფლიო ომის სურათებია აღბეჭდილი, უწინარეს ყოვლისა კი ადოლფ ჰიტლერის ცხოვრება, პარტიული ყრილობები, „გამარჯვების აღლუმები“ ვენაში, პრაღაში, პარიზში, საზეიმო-სამგლოვიარო პროცესები, დროშების კურთხევა და მიტინგები... გაუთავებელი მიტინგები სტადიონებზე, მოედნებზე, ქარხნებში.. ტრიბუნაზე სულ ჰიტლერი... მერე გებელსი... ლეი... მოწოდებები, ლოზუნგები...

გერმანიაში პერიოდულად გამოდიოდა კინოჟურნალი „კვირეული მიმოხილვა“ (Wochenschau). როცა ფრონტებზე საქმე კარგად მიუდიოდათ, ეს ჟურნალი ერთ აურზაურს ტეხდა „გერმანული იარაღის გაუგონარი გამარჯვებების შესახებ“. მოსკოვთან და სტალინგრადთან კატასტროფული მარცხის დროს კი მისი გამოშვება სულ შეწყდა, ვითომდა, ისეთი ყინვაა, ოპერატორები ვერ მუშაობენო...

საკვირველი ის არის, რომ ნაცისტი კინემატოგრაფისტები არც საკონცენტრაციო ბანაკებისა და მასობრივი ეგზე-

კუციების ფირზე აღბეჭდვას ერიდებოდნენ. ამ მასალებმა შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა პროცესზე. როცა საკონცენტრაციო ბანაკების მასალებს უჩვენებდნენ, დარბაზში წარმოუდგენელი ამბავი ტრიალებდა. სინათლე რომ აანთეს, ბევრი ტიროდა. ბრალდებულთა უკან მდგომ გოლიათ პოლიციელსაც კი ცრემლი ჩამოსდიოდა, მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ თვით სამი მილიონი ადამიანის მკვლელი ფრანკიც კი ქვითინებდა...

იმ დღეს ტრიბუნალის თავმჯდომარე ლოურენსი ისე გაიძურწა დარბაზიდან, რომ შესვენების გამოცხადებაც კი დაავიწყდა...

...ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ზონების კომენდანტებმა ბრძანება გამოსცეს, რომ ეს ფილმი გერმანიის მთელი მოსახლეობისათვის ეჩვენებინათ. ცხადია, ამის დიდი სურვილი არავის ჰქონდა, მაგრამ რა უნდა ექნათ: თუ ფილმს ნახავდნენ, კინოთეატრიდან გამოსვლის დროს სასურსათო ბარათზე სპეციალურ ბეჭედს ურტყამდნენ, თუ არ ნახავდნენ, არაფერს არ აძლევდნენ... სხვა გზა რომ არ ჰქონდათ, ისხდნენ შეძრწუნებული გერმანელები დარბაზში და უყურებდნენ მათი შვილების, ქმრების, ძმებისა თუ ნათესავების ნახელავს... ვამბობთ, „უყურებდნენო“, თორემ უმრავლესობას თავი ჰქონდა ჩაქინდრული და სახეზე ხელები აფარებული. გასაგებიცაა: ეს ფილმი სასურსათო ბარათზე კი არა, შიგ სულში ურტყამდა ყველას, დამნაშავესა თუ უდანაშაულოს, სამარცხვინო ბეჭედს, რადგან, ისევ იასპერსისა არ იყოს, ყოველი მათგანი გრძნობდა თავის კრიმინალურ, იურიდიულ, მორალურ თუ მეტაფიზიკურ დანაშაულს...

კასელში მე მოწმე ვიყავი, როგორ უმძიმდათ ამ ფილმების ყურება იმათაც, ვისთვისაც ეს სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა. არც ჩემთვის იყო სასიამოვნო დანტეს ჯოჯოხეთში ამგვარი მოგზაურობა, მაგრამ ცნობისმოყვარეობას მაინც ვერ მოვერიე...

მორიგი ფილმის ჩვენება რომ დამთავრდა, დაშერი ისევ ასასივით დამადგა თავზე და კიდევ ერთხელ შემახსენა ის „სულ სხვა ბანკეტი“, რომელიც გველოდა. უკვე სადილობის დროც იყო და წამოვედით...

ამერიკელმა ოფიცრებმა შენიშნეს, რომ მე ძალიან დავინტერესდი იმ ფილმებით და, ხვალ კიდევ მობრძანდითო, მითხრეს.

მე სიამოვნებით მივიღე მათი მიწვევა...

ყალბი ეტიკეტი...

ფრანგი გენერლის წვეულება, მართლაც, სხვა იყო!.. აქ სრული თავისუფლება სუფევდა. სტუმრებიც მეტი ჰყავდა. ქალებსაც და კაცებსაც დიდი გემოვნებით ეცვათ, ზედმიწევნით თავაზიანად იქცეოდნენ, თუმცა ზოგიერთები აქაც ზედმეტ ცნობისმოყვარეობას იჩენდნენ ჩვენდამი, მაგრამ რამე ექსტრავაგანტურ გამოხდომას ადგილი არ ჰქონია. ჩვენც ხან ერთ ჯგუფში გავჩერდებოდით, ხან —მეორეში. სადღაც კუთხეში იმ „წმიდა სამებასაც“ მოვკარი თვალი, მაგრამ გავერიდე. ოდნავ შემოსილ ლიზელოტასთან მაინც იმდენი ვინმე ირეოდა, რომ ჩვენ არც შევუმჩნევივართ.

ის, რაც ინგლისელებთან სადილის შემდეგ დაიწყო, აქ სადილამდე გაჩაღდა. მსახურებს დაჰქონდათ სხვადასხვა სასმელები და გვიმასპინძლდებოდნენ.

— დღეს მხოლოდ ფრანგული სასმელები! — გამოაცხადა მასპინძელმა.

— მე შვებით ამოვისუნთქე. მეგონა, „ტოკაის“ თავი დავაღწიე-მეთქი, მაგრამ... მასპინძელმა ხელი მომხვია, განზე გამიყვანა და საიდუმლოდ მითხრა:

— თქვენთვის გამონაკლისს ვაკეთებთ, მხოლოდ არ გამცეთ. ეს რომ თქვა, თვალებით ვიღაცას დაუწყო ძებნა და დაუძახა:

— გარსონ!

მსახური მაშინვე მოვარდა. ლანგარზე ორი ბოთლი იდგა, ორივე ფრანგული იარლიყით.

— შეხედეთ, ნამდვილი ფრანგული ღვინოა, არა?

— დიახ...

— აბა, დალიეთ!

ჭიქა ავიღე და მოვსვი... დასწყეველოს ღმერთმა! ისევ „ტოკაი!“ ფრანგს სიცილი წასკდა:

— ხომ ხედავთ, ბოთლი და იარლიყი ფრანგულია, ღვინო— უნგრული, არც საერთო წესის დარღვევაა, არც არჩევანის თავისუფლების შელახვა. თქვენ თქვენს საყვარელ ღვინოს მი-ირთმევთ, ჩვენ კი საერთო პრინციპს არ ვუღალატებთ და ისევ ვიტყვით: დღეს მხოლოდ ფრანგული სასმელები!

მე ისღა დამრჩენოდა, რომ მადლობა გადამეხადა და ისევ იმ „ტოკაის“ დავჯერებოდი.

მერე მაგიდაზე მიგვიწვიეს. მოპირდაპირე მხარეს ის „წმი-და სამება“ დაჯდა. ეტიენი და შარლი მომესალმნენ, მეც სალ-მით ვუპასუხე. ლიზელოტამ რატომღაც ისე დამცინავად შე-მომხედა, რომ უხერხულად შევიშმუშნე და თვალი ავარიდე.

მერე ისევ საოცრება მოხდა. ჩემს წინ „ფრანგული“ მა-რკის ღვინო დადგეს, მაგრამ, დაასხეს თუ არა... ისევ „ტოკაი“. ფრანგმა გენერალმა შემომხედა, თვალი ჩამიკრა და გაიცინა. მეც გავუცინე, დიდად ნასიამოვნები გახლავართ-მეთქი და „ფრიად კმაყოფილი“ სახე მივიღე.

მაგიდაზე ყველა ხმაურობდა. მხოლოდ ერთი ინგლისელი გენერალი იჯდა გაშეშებული. ტიმბერლეიკი აქ თავის სტიქია-ში იყო. სანამ სხვები „სულს მოითქვამდნენ“, იმან უკვე ორი-ოდე ბოთლი ბორდო გამოცალა. თქვენ რა გენაღვლებათ, ეს ღვინოებიც ხომ ჩემი „ბახუსის სასახლიდანაა“ გამოტანილიო, თქვა და მაინც წაუკვიმატა:

— რატომაა, რომ ამ ღვინოებს ჩემთან კარგი გემო აქვს, ფრანგთან როგორღაც მწარდება, ხოლო ინგლისელ კოლეგა-სთან ნამდვილ ძმრად იქცევა?

ამის თქმაზე ისე ხმამაღლა გაიცინა, რომ დარბაზმა ზანზა-რი დაიწყო. ფრანგი არ დაიბნა.

— იმიტომ, კოლეგა, რომ ღვინის კეთილშობილი ღმერთი ბახუსი აქ შურს იძიებს თქვენზე, რაღა ასეთი უღირსი ინტენდანტის ხელში ჩაგვაგდეთო.

— იმ „უღირს ინდენდატს“ შეუძლია თავისი სარდაფი სულაც დაგიხუროთ, ბატონებო, მაშინ რას იზამთ! — გამაგრდა ტიმბერლეიკი.

— სხვა სარდაფს მოვძებნით, — უპასუხა ფრანგმა.

— სად არის ასეთი სარდაფი?

— აღმოჩნდება სადმე, ეს ძნელი არ არის!

— რამდენადაც ვიცი, იმ თქვენს „სასახლეში“ ამერიკული არაფერია,— ჩაერია ინგლისელი.

— არც ინგლისური, — მოუჭრა ტიმბერლეიკმა.

— დღეს მხოლოდ ფრანგული ღვინოები, ბატონებო,—გაანეიტრალა მდგომარეობა ფრანგმა.

მე არ მინდოდა მათ კენწლაობაში ჩარევა. ამიტომ, როცა ისინი მოურიდებლად ქირდავდნენ ერთმანეთს, მე გულმოდგინედ „ვსწავლობდი“ ფრანგული სამზარეულოს საოცრებას.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა უცებ ინგლისელმა გენერალმა, — ჩვენ რომ ერთმანეთში ვდავობთ, რუსი კოლეგები თავიანთ საქმეს აკეთებენ.

— იმათ რაიხსტაგის გუმბათზე დროშის ატანით მოითავეს თავიანთი საქმე,—ჩაურთო ტიმბერლეიკმა.

— ჩვენ პატივს ვცემთ მასპინძლის მიერ თავიდანვე გამოცხადებულ პრინციპს: დღეს მხოლოდ ფრანგული სასმელები! — ვთქვი მე და... ისევ ის დასაქცევი უნგრული „ტოკაი“ დავისხი...

ჰეროდეს ასული...

რამდენიმე ხნის შემდეგ შესვენება ან, როგორც მასპინძელმა თქვა, მოქმედების „სრული ფრანგული თავისუფლება“ გამოცხადდა. მუსიკა ჩართეს და ყველამ ცეკვა დაიწყო. ლიზელოტა და შარლი ერთად ცეკვავდნენ. ისინი ნაღვლიანი თვა-

ლებით მისჩერებოდნენ ერთმანეთს და ლამაზად დასცურავდნენ მოუხეშავ ოფიცრებსა და მუნდირებიან მანდილოსნებს შორის. მე თვალს ვადევნებდი მათ ცეკვას, უფრო კი გამომეტყველებას. ქალის სახეზე დაცინვისა და სიბრალულის ხაზები ებრძოდა ერთმანეთს. ვაჟის სახეზე კი —შიშისა და აღტაცების. ორივე გარინდებული, გაქვავებული იყო. ვერც იტყოდით, რა იყო ეს მოძრაობა ერთ წერტილზე, ადგილის უძრავი გადანაცვლება, თუ სფინქსის იდუმალების ქორეოგრაფიული სურათი. ამ დროს, ალბათ, არც სისხლი მოძრაობდა მათ ძარღვებში... არც გული ფეთქავდა... არაფერი... გარდა ვარსკვლავების ჩუმი მოძრაობისა ან მთვარის შეუმჩნეველი სვლისა უღრუბლო ცაზე...

მერე რაღაც ჯაზური საცეკვაო დაუკრეს. დარბაზი უცებ ახმაურდა. ყველამ ველური როკვა დაიწყო. ლიზი და შარლი კი ისევ უძრავად იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, დარბაზის შუაში. გარშემო ყველანი ტრიალებდნენ. ჯაზის ხმა აყრუებდა იქაურობას... ისინი კი იდგნენ უძრავად და უყურებდნენ ერთმანეთს... მერე ქალს მხრები აუტოკდა... ფეხები რიტმულად აუმოძრავდა, წელში უცნაურად გადაიზნიქა... და რაღაც ველური ჟინი გამოეხატა სახეზე... ვაჟმა შეხედა მას და შიში ჩაუდგა თვალებში. მერე უკან-უკან დაიხია, კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა... ქალი მარტო დარჩა, მაგრამ მისი ტანი მაინც აჰყვა მუსიკის რიტმს. მერე ფეხსაცმელები წაიგდო და ე... ჰე... ჰეი... ბაო, შესძახა. ორკესტრი სულ გახელდა... ლიზი კი გველივით დაიკლაკნა დარბაზის ცენტრში. სხვები ნელ-ნელა შეჩერდნენ და განზე გაიწიეს. ბოლოს ყველა დადგა და დარბაზსშუა მარტო ფეხშიშველი ლიზოლეტა დარჩა. ორკესტრის ხმას სტუმრებმა ჯერ ტაშისცემა ააყოლეს... მერე ფეხებიც ააბრახუნეს, ვიღაც კოვზს არახუნებდა თეფშზე. ლიზოლეტა კი ცეკვავდა. იგი საოცრად იკლაკნებოდა, თვალები დახუჭული ჰქონდა... ტუჩები — ღია და თეთრ კბილებს აელვებდა... თმები აეწეწა, ბრინჯაოსფერი გულმკერდი სანახევროდ გაუშიშვლდა, თუმცა იგი არაფერს არ გრძნობდა, არც არაფერს ხედავდა, რადგან თვალები დახუჭული ჰქონდა და...

ვითარცა შობისა დღენი იყვნეს ჰეროდესნი, როკვიდა ასული ჰეროდიადისი შორის და სთნდა ჰეროდეს როკვაჲ იგი მისი.

როდენს უთქვამს, ცეკვა სულდგმული არქიტექტურაა. ეს, ალბათ, ასეა და, ვინ იცის, იქნებ სალომეაც ასე ცეკვავდა შვიდი მოსასხამის ცეკვას ჰეროდეს წინაშე...

შარლი კედელთან იდგა და თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა... მერე სახეზე ხელებიც აიფარა...

ლიზელოტა სულ გახელდა. მასში მძვინვარებდა ვნების ველური ისტერია, პაროქსისტული ექსტაზი, მისი სხეული საოცარი რიტმულობითა და მოქნილობით მიჰყვებოდა მუსიკის ტეხილ ხაზებს. თვითონაც იმტვრეოდა და იგრიხებოდა. კისერი ისე ჰქონდა უკან გადაგდებული, რომ თავის შიშველ ქუსლებს დასჩერებოდა... მთელი დარბაზი ხმაურობდა. ხანდახან თვითონ ლიზელოტასაც აღმოხდებოდა მისებური „ე, ჰე, ჰეი... ბააა!“ და...

მუსიკა უცებ შეწყდა. ლიზი იმავე პოზაში ვაიყინა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა... შარლი შუბლიდან ოფლს იწმენდდა. ლიზელოტამ შეხედა მას და, მე მომეჩვენა, რომ ერთი წამით სიამაყის სხივმა გადაურბინა სახეზე.

— სალომეა, იოქანაანის მოჭრილი თავით! — გამიელვა თავში ისევ იმ შედარებამ...

...გაჭიანურებული პაუზა რომ შეეწყვიტა, ტიმბერლეიკმა ჭიქა აავსო და დაიქუხა:

— ახლა ისევ ფრანგული ღვინოები!

იმავე წუთს შეავსეს სასმისები.

— გაუმარჯოს საფრანგეთს! — გაისმა ტიმბერლეიკის მქუხარე ხმა.

ყველამ დაცალა. მე თვალი ისევ იმ „სამებისაკენ“ გავაპარე და გავოცდი: ლიზელოტამაც ბოლომდე გამოსწურა მოზრდილი სასმისი, მერე თვითონვე დაისხა და ისიც გამოცალა. იქნებ მესამედაც შეევსო ჭიქა, მაგრამ თვალი მოჰკრა ჩემს გაოცებულ სახეს და ბოთლი ძირს დადგა. ეტიენის სახეს მთელი ამ ხნის განმავლობაში ღიმილი არ გაჰკარებია. თვალცრე-

მლიანი შარლი კი ისევ ისე შესციცინებდა „თავის მადონას“.

ტიმბერლეიკი ჩემსკენ გადმოიხარა და ჩამჩურჩულა:

— იტალიელები რომ ამბობენ, ქალი თვალის სამოთხეა, ჯიბის განსაწმენდელი და სულის ჯოჯოხეთიო, ალბათ, ასეთი მაგდალინები ჰყავთ მხედველობაში.

— ყოველ შემთხვევაში, დანტე ასე არ ფიქრობდა თავის ბეატრიჩეზე, — მივუგე მე.

— ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს და ვსვამ ფრანგული სილამაზის სადღეგრძელოს, —უკვე ხმამაღლა წამოიძახა ტიმბერლეიკმა, თუმცა ვერავინ გაიგებდა, რა სიტყვები მიჰქონდა მას უკან.

— ეს სადღეგრძელო პირველმა თვითონ სილამაზის ქალღმერთმა შესვას, —დაიძახა რომელიღაც შეზარხოშებულმა ოფიცერმა.

ყველანი ახმაურდნენ და მხარი დაუჭირეს მას. ფრანგი გენერალი ლიზელოტასთან მივიდა, თითქმის ძალით შეაყენა სკამზე, ხელში ღვინით სავსე ჭიქა მისცა და შესძახა: დავლოთ ორივე ჰემისფეროს ქალბატონების სადღეგრძელო!..

სტუმრები ღრიალებდნენ, ყვიროდნენ, მაგიდაზე აბრახუნებდნენ. გაუმარჯოს საფრანგეთს, გაუმარჯოს მოკავშირეებს, — ისმოდა ამ ალიაქოთში ტიმბერლეიკის ხმა.

ლიზიმ ნელ-ნელა დაცალა ჭიქა და მოწყვეტილად დაეცა სკამზე. ჩვენც მოვიქანცეთ, მაგრამ მასპინძელი არ გვიშვებდა. უკვე არავითარი წესრიგი არ იყო. ვისაც როგორ უნდოდა, ისე ერთობოდა, მერე წამოვიშალეთ და ჯგუფ-ჯგუფად ვსაუბრობდით. ჩემთან ეტიენი მოვიდა.

— პროფესორი ეტიენ ლ..., — გამომეცნაურა იგი.

ერთხანს ვისაუბრეთ. ძალიან სიმპათიური მოხუცი ჩანდა. ჩემთვის ისიც სასიამოვნო იყო, რომ პროფესიით ლიტერატორი აღმოჩნდა. რუსოს სპეციალისტი, როგორც თვითონ ამბობდა, ავტორი საკმაოდ პოპულარული მონოგრაფიისა რუსოს შესახებ.

— ლიზი! — დაუძახა მან სკამზე უღონოდ მისვენებულ „სალომეას“.

ლიზი და შარლი ერთად მოვიდნენ. ეტიენმა გამაცნო ორივე. ბატონი ოფიცერი ჩვენი პროფესიის ყოფილა, ლიტერატორი. ჩამომიტანე ჩემი წიგნი... მინდა ვაჩუქო.

— ო, ბატონო, თუ ეტიენმა ხელთ გიგდოთ, რუსოს მეტს არაფერს გაიხსენებს, —მითხრა მან და დავალების შესასრულებლად წავიდა. შარლიც გაჰყვა. ჩვენ ისევ საუბარი გავაგრძელეთ.

— მთელი ჩემი სიცოცხლე ადამიანის ბუნებას, მის ხასიათს ვსწავლობ, ბატონო, —მითხრა ეტიენმა,—მინდა გავიგო, რატომ ხდება, რომ ადამიანს ასეთი მიდრეკილება აქვს სისასტიკისადმი. წიგნიც მინდა დავწერო, მაგრამ არ გაგიკვირდეთ, ასეთ თემაზე: „სისასტიკის ეტიმოლოგია“, ამიტომაც ვსწავლობ გერმანულ დოკუმენტებს. ლიზი მეხმარება, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, მას სრულიად სხვა შეხედულებები აქვს. ახლანდელ ახალგაზრდობასთან საერთო ენას ვერ მოძებნის კაცი... ეს ცეტი შარლიც მას ემხრობა. ლიზი იტყვის, შარლი კვერს უკრავს, იმას სიყვარული ალაპარაკებს და არა პრინციპი...

მე არ ვიცოდი, რა მეთქვა, რაზე მელაპარაკა, ამიტომ გაჩუმება ვარჩიე და ისევ იმან განაგრძო.

— მე ძლიერ მაინტერესებს თქვენი აზრი ჩემს წიგნზე. იცით, რატომ? ძალიან უცხო ხართ ჩემთვის და იმიტომ. ფრანგები ისე მივეჩვიეთ ერთმანეთის აზრებს, რომ უკვე ანგარიშსაც არ ვუწევთ ამას. თქვენ კი სრულიად უცხო ბრძანდებით და ძალიან მაინტერესებს, რას იტყვით...

ლიზელოტა დაბრუნდა და მშვენივრად გამოცემული წიგნი მოიტანა —„რუსო—ჩვენი თანამედროვე“. უკვე სათაურმა დამაინტერესა, ეტიენმა წარწერა გაუკეთა და გადმომცა. მე მადლობა გადავუხადე.

— წაიკითხეთ, ოღონდ გააკეთეთ საწინააღმდეგო დასკვნები, — მითხრა ლიზელოტამ.

შარლმაც ლექსების პატარა კრებული მაჩუქა და... საოცრება! ადრე ნაფიქრი სიზმარივით ამიხდა: სუპერზე სალომეა ეხატა იოქანაანის მოჭრილი თავით...

— ეს ჩემი ტანჯული სულის გოდებაა, — მომესმა შარლის ხავერდოვანი ხმა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა რატომღაც ლიზელოტამ.

— დიახ, გოდება, რა ვუყოთ, ლიზის არ მოსწონს ჩემი ლექსები, ზოგჯერ დამცინის კიდეც, მაგრამ...

— შარლ, რა საჭიროა ამდენი სანტიმენტალობა! — ისევ შეაწყვეტინა ლიზიმ.

— ბავშვებო, ნუ ჩხუბობთ, სულერთია, თქვენს აზრებს არავისთვის არა აქვს მნიშვნელობა.

— აბა, რისი გოდება, რა გოდება! — გაკაპასდა ლიზელოტა.

მინდოდა, იმ საცოდავ შარლს გამოვსარჩლებოდი, მაგრამ ლიზის გაალმასებულ სახეს რომ შევხედე, მართალი გითხრათ, გული გადამიქანდა და დუმილი ვარჩიე.

როგორც ჩანს, ეტიენმაც იგრძნო შექმნილი გარემოების უხერხულობა და ორივე დატუქსა:

— აბა, ახლა წადით, ხელს ნუ გვიშლით, სალაპარაკო გვაქვს.

ლიზელოტას რომ ხელი ჩამოვართვი, გესლიანი გამომეტყველება მიიღო და ჩამილაპარაკა:

— განა ვერ შეგნიშნეთ, ჩემთვის რომ ერთხელაც არ დაგიკრავთ ტაში!

— მართლა? არ ვიცი... ალბათ, ისე ვიყავი მოხიბლული...

— ეგ ზღაპრები ბრიყვებს მოუყევით, — მომიგდო მან და მაშინვე ზურგი შემაქცია...

იეზიკიელის გოდება...

შინ რომ მივედი, 9 საათი იყო. ისე ძალაგამოლეული ვიყავი, მაშინვე დავიძინებდი, მაგრამ მეუხერხულა, ვაითუ, ვინმემ მომაკითხოს-მეთქი და ნაჩუქარი წიგნების თვალიერება დავიწყე. აბა, რუსოზე მონოგრაფიას რა წამაკითხებდა და შარლის წიგნი გადავფურცლე. მერე დავინტერესდი კიდეც და თხუთმეტიოდე ლექსი წავიკითხე. რაღაც ნაცნობი პოეტური ინტონაციები შევიგრძენი. მერე მივხვდი, ყველაფერი ეს რომ

გულუბრყვილო მიბაძვა იყო რაინერ მარია რილკეს „საგალობელთა წიგნისადმი“. გულუბრყვილო, მაგრამ ნიჭიერი. რილკეს ფილოსოფიურ ლირიკას აქ უფრო სანტიმენტალური ინტონაციები ცვლიდა. თითქმის ყველა ლექსი მარიამ ღვთისმშობლისადმი იყო მიძღვნილი. პოეტის დიდი მოწიწება და მოკრძალება ღვთისმშობლისადმი, რაღაც რელიგიურ ექსტაზში გადადიოდა და საკუთარი ცხოვრების დრამას უკავშირდებოდა. იგი აღწერდა ღვთისმშობლის სათნო სილამაზეს, მის ღვთაებრივ გარეგნობას, მაგრამ საოცრება ის იყო, რომ ამ აღწერაში ლიზელოტას სახეს წარმოიდგენდით. იმდენი ფაქიზი გრძნობა იყო ამ ლექსებში, იმდენი ხოტბა ქალწულებრივი სიწმინდისა და იმავე დროს ისეთი პორტრეტული მსგავსება ლიზელოტასთან, რომ გავოცდი: სად უდაბნოების ის ბნელი ნაშიერი და სად ღვთისმშობელი მარიამი!!! რა შეიძლებოდა მათ შორის საერთო ყოფილიყო, მაგრამ პოეტებისას რას გაიგებს კაცი! შარლი შეღაღადებდა ღვთისმშობელს, გაეგო მისი გულისთქმა და ეცა ნუგეში, რადგან უყვარდა იგი უზეშთაესი სიყვარულით, ისე როგორც უყვართ დილის ჟამი სიყმაწვილისა, უყვართ ცა, დედამიწა, ზღვა, ტყე და მინდვრები, მდინარეები, ყვავილები და ცხოველები, როგორც მშვიდი და დიადი ბუნება, არსებობა და სუნთქვა, ან ფიქრისა და ოცნების სილამაზე.

ეს ჩემი სულის გოდებაა, რომ ამბობდა, ვგრძნობდი ნამდვილ გულწრფელობას. მართლაც, გოდება იყო, ოღონდ გოდება ცარიელი სულისა. ეს უკარგავდა მის ლექსებს, და იქნებ მის პიროვნებასაც, ემოციური ზეგავლენის ძალას. ისიც წარმომიდგა, ხან რა სიყვარულით შეჰყურებდა ლიზელოტა ამ ახალგაზრდა მეოცნებე პოეტს და ხანაც როგორი ზიზღი იხატებოდა მის თვალებში. საიდან მოდიოდა ამგვარი კონტრასტული განწყობილება?!.

შარლის ლექსებს რომ ვკითხულობდი, ვფიქრობდი, ალბათ, არც ერთი მათგანი არ დაიწერებოდა, ლიზელოტა რომ არ ყოფილიყო ამ ქვეყნად. რა დიდი მადლიერება იგრძნობოდა მის ლექსებში ლიზელოტასადმი ისე, რომ ერთხელაც არ

ახსენებდა მის სახელს. ლიზელოტა და ღვთისმშობელი მისთვის რატომღაც სინონიმები იყვნენ. იქნებ იმიტომაც, რომ მათ არაფერი ჰქონდათ საერთო. შარლს ისედაც უყვარდა ლაპარაკი წინააღმდეგობათა იგივეობის შესახებ. ორ უკიდურესობას ისე შეადუღებდა ერთმანეთთან, როგორც დანტე ექვსფეხა ურჩხულ კიანფა დონატოსა და აგნელოს, რომელთაგან აღარც ერთი რჩებოდა და აღარც ორი...

...შენ ზოგჯერ სხვა ხარ, მე კი მინდა, მუდამ იგივე იყო,— შეღაღადებდა შარლი. მე მეშინია იმ სხვის, იმ უცნობის, რომელიც უცებ ჩნდება შენში... მე მეშინია კენტავრების მოლოდინისა შენს ფიქრებში. მე მეშინია შენი თვალების სიღრმის, შენი ტუჩების სიწითლის, მეშინია შენი ტანის სილამაზის, ნაკვთების გარკვეულობის; იმის სურვილის, რაც არ შეიძლება მოხდეს, მეწამული ვნების, რაც ამსხვრევს უბიწოებას. საშინელია ძალა, რომელიც შენში იმალება, ცეცხლი, რომელიც შენს ძარღვებს ედება. მე მეშინია შენი სისხლის სიწითლის, მე მეშინია ყველაფრის, მეშინია... ო, ღვთისმშობელო მარიამ, მეცი ნუგეში... ნუ დამტოვებ ამ საშინელი შიშის ამარა... მომეცი სიმშვიდე... დააცხრე მხურვალება ცხელი ქვიშისა, გაანელე ეს სისხლის დუღილი, წაშალე მეწამული ფერები, შეივედრე ჩემი ტანჯული სული...

და ისევ შიში, სულ შიში, შიში გიშრისფერი თვალებისა, რომელიც უნაპიროა და უძირო; შიში ხშირი წამწამებისა, რომლებიც შუბებივით არიან მომართული და ვიღაცას განგმირვით ემუქრებიან; შიში კბილთა თვალის დამაბრმავებელი ელვარებისა...

... ღმერთო, რატომ აკლია შენს ოცნებას სრულყოფა!..

... რად უნდა სულს ასეთი მაცდური ფორმა! ო, ღვთისმშობელო, რომელმაც შთასახე ღვთაება შეცოდების გარეშე, რატომ უგებ ცდუნების ამდენ მახეს ადამიანებს; რატომ აღვიძებ ნდომას შეცოდებისა, რატომ აგრძნობინებ ტკივილის სიტკბოებას, რატომ აძლევ სილამაზეს ცდუნების ასეთ ძალას...

იგი წერდა იმის შესახებ, თუ პლანეტაზე დანაიდივით

ნებიერად გაწოლილ ღამეს როგორ ანაყოფიერებს იუპიტერი, ან მრუში დედამიწა ზღვის ლურჯი თვალებით როგორ მისჩერებია ზეცას, რომ ჰიპოპოტამივით მიიზიდოს იგი თავისკენ. იმაზეც, გაზაფხულზე დემონი როგორ ილვიძებს ბუნებაში და ავხორცი დედამიწა იწყებს ვნებიან სუნთქვას... არაფერი არ ეტევა თავის ფარგლებში, ყველაფერი იშლება, იფურჩქნება, ვარდის კოკორი სკდება და წითელი სისხლის სილამაზე იფეთქებს მისგან. ყველაფერს სილამაზის სურვილი იპყრობს— ველებს, მინდვრებს, მწერებიც კი ლამაზდებიან, ირთვებიან და ყოველივე ეს იმისათვის, რომ უფრო მომხიბვლელი იყოს ცდუნება, რომ ლამაზმა ქათიბებმა დაფაროს ბუნების მრუშობა. იგი უხეში ნაყოფიერებაა, სილამაზე კი მისი ნიღაბი. გაზაფხულზე გველიც კი იცვლის კანს, რომ ჭრელი ქათიბით მოიწონოს თავი.

... დედაო ღვთისა, ღვთისმშობელო მარიამ! დააცხრე ბუნების ვნება, მიეც სიმშვიდე ადამიანებს, წაშალე ამდენი სიცხადე და სიჭრელე ფერებისა...

ამინ უნივერსუმისა...

დილით რომ გამეღვიძა, შარლის ლექსების წიგნი ლოგინში ეგდო. ელექტრონათურა ძლივს ბჟუტავდა დღის სინათლეზე. კვირა დღე იყო და არსად არ მეჩქარებოდა, მაგრამ არც შარლის ლექსების კითხვის თავი მქონდა, მით უმეტეს, ეტიენის წიგნისა. ეპიგრაფს დავხედე მხოლოდ. ეწერა:

— ჩემი დაბადება იყო ჩემი პირველი უბედურება. რუსო.

მინდოდა, წიგნი დამეხურა, მაგრამ სუპერსა და პირველ გვერდს შუა ჩადებული ვიწროდ გადაკეცილი ბარათი შევნიშნე. პრიალა ქაღალდის ზემოთა კუთხეში ეტიენის მედალიონი იყო გამოსახული, ქვევით კი ეწერა: „აღსარება“.

— ცხოვრების ხანგრძლივი გამოცდილების შედეგად მე გამოვიმუშავე არსებობის საკუთარი პრინციპები...

დავინტერესდი და ბარათის კითხვას შევუდექი. ეწერა:

მ ი ზ ა ნ ი: სამყაროს, მსოფლიოსა და კაცობრიობის საკუთარი პიროვნებით შემოფარგვლა, რკინის გალავნის შემოვლება, რკინის ურდულების გაყრა, სულის ჯავშნით შემოსვა და ყოველგვარი ღირებულების საკუთარი მეობის პროექციით შექმნა.

დ ე ვ ი ზ ი: მე ნუ შემეხები (no me tangéré), როგორც ნეტარხსენებული ქრისტე ამბობდა.

ამ „ნეტარხსენებულზე" კი გამეცინა, მაგრამ რაკი ვიცოდი, საქმე სხვისი აზრების კოლექციონერთან მქონდა, ის ბარათი ბოლომდე ჩავიკითხე:

პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი:

... მე ვდგევარ ჩემივე მეობის სიმაღლეზე, ამიტომ არც უფრო მაღლა მივისწრაფვი და არც უფრო დაბლა.

... მე ვარ ის, რაც ვარ და არც არავითარი სურვილი მაქვს, ვიყო სხვა...

... მე მიყვარს ჩემი ფიქრები და მისწრაფებები. თუ სინამდვილე მეზიზღება, საკუთარ სინამდვილეს ვქმნი.

... მე ვიცი, რომ თავისუფლება სუბიექტურობის სინონიმია. იგი ქრება აუცილებლობაში, ამიტომაც ვიცავ ჩემს საკუთარ თავისუფლებას გარეშე სამყაროსაგან.

...მე მიყვარს ჩემი იდუმალება. ამიტომ ფანჯრების დახურვა უფრო მსიამოვნებს, ვიდრე გაღება.

...მე არ მსურს თავის გამოჩენა, მაგრამ არა მოკრძალების, არამედ სიამაყის გამო.

...მე ვიცი, რასაც ნიშნავს: „დიდებას ნურც გაექცევი და ნურც გამოეკიდები". მე ვერც გამოვეკიდები რამეს და ვერც გავექცევი, რადგან მთელი ჩემი მიზანი მხოლოდ მე ვარ და სხვა არაფერი.

... მე არ მივისწრაფი აღთქმული ქვეყნებისაკენ. ვიცი, ქრისტე რომ ჩემი სიმავრი არ იქნება. ამიტომ არც იკაროსის ბედი მშურს და არც ფაუსტისა.

... მე მყავს ჩემი საკუთარი კერპები, რომელთა აზრებს ვცემ თაყვანს. სხვას ნურც მთავაზობთ და ნურც მაძალებთ. სულერთია, არაფერი გამოვა. თუ მაიძულებთ, შესაძლოა დაგეთანხმოთ, მაგრამ ეს სიცრუე იქნება.

... მე შემიძლია, მონა ვიყო, მაგრამ ვერავინ დამიმონებს. მე ჩემთვის უძლეველი ვარ, თუმცა თავგანწირვა არ მიტაცებს. არც მესმის ამის აზრი.

... მე სიყალბედ მიმაჩნია დაყოფა: „აქ“ და „იქ“. ჩემთვის ყველაფერი არის „აქ“. „იქ“ მხოლოდ არყოფნაა. იმისათვის ვიბადებით, რომ ჩონჩხად ვიქცეთ. ამ აზრს ვეგუები და არც ილუზიებით ვირთობ თავს.

...მე მჯერა, რომ ყველაფერს დასასრული აქვს. ამიტომ ჩემს იქით არაფერს არ ვეძებ: არც ვიცი, რა არის ჩემი ცნობიერების მიღმა. არც ის მესმის, რას ნიშნავს მარადიულობა დროისა და სივრცის გარეშე.

... მე რასაც გონებით ვერ ვწვდები, ვხვდები ინტუიციით. ჩემთვის ესეც საკმარისია, რადგან ინტუიცია არა მარტო ინტელექტუალური, არამედ ემოციურიცაა.

... მე ვიცი, რომ სრულყოფა მხოლოდ უსასრულობაში მიიღწევა. ამიტომაც არ ვცნობ ღმერთს, რომელიც ჩემში არ იბადება.

... ჩემი ღმერთი თავისუფლებაა. ჭეშმარიტება მხოლოდ თავისუფლებაში იბადება. იგი მძიმე ტვირთია. ამიტომაც თმობენ მას ადამიანები ასე ადვილად. ნამდვილი ტრაგედია მხოლოდ თავისუფლების ტრაგედიაა. საუბედუროდ, ჩვენ ამის მოწმენი ვართ.

ერთხანს ისე მეჩვენებოდა, თითქოს ეს „წმიდა სამება“ სრულიად განსხვავებულ აზრებს იცავდა, მაგრამ შემდეგ რომ დავუკვირდი, მივხვდი, რომ მიუხედავად გარეგნული წინააღმდეგობისა, ეს მაინც ერთი და იგივე იყო: შარლის პესიმიზმი, ლიზის ეპიკურეიზმი და ეტიენის მოჩვენებითი ესკეპიზმი, როგორც „სამსახეობა ერთისა...“

... მე ყოველთვის მაღიზიანებს ამგვარი ფარისევლური განდგომა ცხოვრებისაგან, არც ეტიენის წიგნის ეპიგრაფი მომწონს. არ მესმის ადამიანების, რომელნიც სწყევლიან თავიანთ დაბადების დღეს, მაგრამ, რას იზამ, აქ რუსოსავით ისეთ ავტორიტეტებს მოიშველიებენ, რომ ძალაუნებურად უნდა გაჩუმდე:

... არ დაიბადო, ეს სჯობია ყველაფერს. სოფოკლე.

... ჩვენი ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ ვიბადებით. კალდერონი.

...ადამიანი როცა იბადება, მაშინ უნდა დაიტირო და არა, როცა კვდება. მონტესკიე.

... დაიბადო — იმას ნიშნავს, რომ კვდომა იწყო. გოეთე.

ჩვენი ქართველი პოეტიც ამბობდა:

დედაო ღვთისა, რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია...

ზოგი სულ memento mori-ს (გახსოვდეს სიკვდილი) გაიძახის. თურქულ ეკლოგშიც წერია თურმე:

— ნუ დაივიწყებ სიკვდილს, რამეთუ იგი არ დაგივიწყებს შენ.

ასეთ რჩევასაც იძლევიან: იცხოვრეთ ისე, თითქოს ყოველდღე კვდებოდეთო. ზოგი, მართლაც, ყოველდღე კვდება, მაგრამ დილით ისევ ახელს თვალს და ჩივის, ცხოვრება ბეწვის ხიდია, რომლის თავი სიკვდილზეა გამობმულიო. ასეთები, მართლაც, სიცოცხლეშივე კვდებიან. მეტიც: სენეკას სიტყვებისა არ იყოს, ზოგი მანამ ამთავრებს სიცოცხლეს, ვიდრე დაიწყებდეს. დანტე ისეთ „უბედურებზეც" წერდა, რომელნიც „არასოდეს არ ყოფილან ცოცხალნი".

ასეა. ზოგი სიცოცხლეს სიკვდილში პოულობს, ზოგიც სიკვდილს —სიცოცხლეში. არც კაცი ვარგაო... ბარათაშვილი რომ ბრძანებს, ესეც იმის პასუხია, თუმცა ამგვარ აზრებს რომ გაჰყვეს კაცი, ვინ იცის, ცხოვრების რა ლაბირინთში შეჰყოფს თავს. იქ კი ისეთებიც არიან, ვეშაპის მადა რომ აქვთ და ცხოვრების ტალახში გართხმულნი საკუთარ „ლეშს ანელებენ". სწორედ ამგვარ „ცოცხალ ლეშებზე" ამბობდა სოკრატე, ისინი იმისთვის კი არ ჭამენ, რომ იცხოვრონ, არამედ იმისთვის ცხოვრობენ, რომ ჭამონო. მათი სული და ხორცი ქონში ცურავს, მაგრამ მაინც „ცხოვრების ამაოებას" მისტირიან, რადგან ენანებათ, ამქვეყნად რომ კიდევ რაღაც რჩებათ შეუჭმელი.

ახლა კი იმათ ჰკითხეთ, „სიმართლისათვის დევნულთა"

და შეჩვენებულთ, რომელნიც ქუჩა-ქუჩა დაწანწალებენ მშიერნი, მაგრამ მშვენიერების საკურთხეველთან მაინც იყრიან მუხლს. აკი მოგახსენეთ: ტანჯული და გაუბედურებული, მაგრამ ცხოვრების დიდი ტრფიალი პოეტი ჟერმენ ნუვო ქვაფენილს ჰკოცნიდა და იძახდა, ღმერთი სილამაზეაო. ვინც ასე ფიქრობს, რაც არ უნდა მძიმე ცხოვრება ჰქონდეს, მის დამათრობელ მომხიბვლელობას მაინც ვერ შეელევა და ალბერ კამიუს სიტყვებს გაიმეორებს:

—მივესალმები ცხოვრებას, თუნდაც ტანჯვით აღსავსეს, რამეთუ ჩვენი არსებობის შუაგულში, რა ბნელიც არ უნდა იყოს იგი, მაინც ანათებს დაუშრეტელი მზე...

ისე, მე თუ მკითხავთ, „მემენტო მორისტების“ ამდენ ფრთამოტეხილ სიბრძნეს, ჩვენი საყვარელი ლადოს ორი ფრთიანი სტრიქონი მირჩევნია:

...და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე...

...ეზოში რომ გამოვედი, ლიზი და შარლი ხის ქვეშ იდგნენ და, ჩვეულებისამებრ, რაღაცაზე ჩხუბობდნენ.

— ხელს ხომ არ შეგიშლით? — ვკითხე მათ და მივუახლოვდი.

— არა, რასა ბრძანებთ, პირიქით, თქვენ ჩვენი მსაჯული იქნებით, —სხაპასხუპით მომაყარა შარლმა და ისევ ლიზის შეხუტია.

რა ვიცი, რაზე არ დაობდნენ. შარლი თვალებს ნაბავდა, ოხრავდა, თითებს იმტვრევდა და ისე უმტკიცებდა ლიზის, რომ კაცობრიობის უმაღლესი მიზანი ანუ „ამინ უნივერსუმისა“ არის სიყვარული. ის კი დამცინავად უპასუხებდა, სიყვარული ჩვენს დროში ისევე აუტანელია, როგორც შენი ლექსებიო...

ამაზე შარლი ბრაზდებოდა, მაგრამ ლიზი უფრო უკიდებდა ცეცხლს:

— და თუ იგია „ამინ უნივერსუმისა“, განუსვენე მას უფალო აწ და მარადის!

ლიზი იმითაც აგიჟებდა შარლს, რომ ამბობდა:

— თუ მაინცდამაინც სიყვარულზე გინდათ ლაპარაკი, იცოდეთ, რომ იგი ცნობისმოყვარეობაა, შეცოდების მომხიბვლელობა, შხამიანი ნექტარით სავსე ფიალა ან მახრჩობელა გველის სრიალი შიშველ მკერდზე.

— ეგ სიძულვილია და არა სიყვარული, — ამოიკვნესა შარლმა, მაგრამ ლიზიმ ამაზეც დამცინავად უპასუხა, ჩვენი სიძულვილი უფრო ხანგრძლივია, ვიდრე სიყვარულიო და შიგ სახეში მიახალა:

— მე ისეთი სიყვარული მინდა, რომელიც გამანადგურებს, მაგრამ არ დამამცირებსო...

უფალი უფლებაა...

მათი დავა მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა სასაუზმეში შევედით. ლიზიმ არც აქ მიაქცია ყურადღება შარლის მუდარას და ვისკი დაისხა. რამდენჯერაც ვთხოვდით, მეტს ნუ დალევო, იგი იმდენჯერვე ივსებდა ჭიქას. მერე უცებ წამოდგა და გვითხრა:

— გინდათ, ტყეში წავიდეთ სასეირნოდ?

— თუ ჩვენი სტუმარიც მოისურვებს! — უპასუხა შარლმა.

— მოისურვებს, რატომაც არა, — მიუგო ჩემს მაგივრად ლიზამ.

— მაშინ ბატონ ეტიენსაც ვთხოვოთ, იქნება ისიც წამოვიდეს, — ვთქვი მე.

— ოხ, არ გვინდა, — წამოიძახა ლიზიმ, — ისევ თავისი რუსოთი შეგვიწუხებს გულს...

სხვა რა გზა იყო, დავეთანხმე და ტყის სიღრმეს შევყევით. ერთხანს ხეტიალის შემდეგ პატარა მდინარეს მივადექით, წყლით სახე გავიგრილეთ და ჩამოვჯექით.

— ჩემი ლექსები თუ გადაათვალიერეთ? — მკითხა შარლმა.

— დიახ, და ძალიან მომეწონა, ნამდვილად მომეწონა...

— მადლობელი ვარ, — თქვა და ყურებამდე გაწითლდა.

— ხომ არ წაგვიკითხავთ რომელიმე ლექსს?

— სიამოვნებით, — წამოიძახა მან, მაგრამ ლიზიმ გაუფუჭა ხასიათი:

— ეხ, მოყვება ახლა სისულელეებს...

— რატომ სისულელეებს? — გავიკვირვე მე.

— იმიტომ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ ჩვენს დროში ლექსების თხზვას ისიც ვერ გაამართლებს, ათ მცნებაში რომ ეწეროს „ლექსები წერეო", — ირონიულად მომიგო ლიზიმ.

— არ გინდა, ლიზი, ძვირფასო, არ გინდა, მე უკვე ვიცი, კიდევ რას იტყვი, — შეეეედრა შარლი.

— ვიცი, ჩემო ქერობინო, მაგრამ მაინც გაგიმეორებ მოლიერის სიტყვებს: „შეიძლება იმდენად სულელი იყო, რომ ლექსებს წერდე, მაგრამ ეს სხვას კი არ უნდა გაუმხილო".

შარლმა ეს იწყინა, მაგრამ მაინც წაიკითხა რამდენიმე ლექსი... წაიკითხა გატაცებით, მაგრამ ყოველგვარი ისტერიული თეატრალობის გარეშე. ისეთი სასიამოვნო ხმა ჰქონდა და ისე მელოდიურად კითხულობდა, რომ შთაბეჭდილებას ერთიორად აძლიერებდა.

ლიზი დემონსტრაციულად ადგა და მდინარის ნაპირს ჩაყვა. შარლმა ლექსების კითხვა განაგრძო.

ეტყობოდა, ლიზი ისე გააცოფა ამგვარმა უყურადღებობამ, რომ ისევ თავზე წამოგვადგა, უსირცხვილო კი არა, სულ ნამუსგარეცხილი პოზა მიიღო და ერთბაშად შემოგვიტია:

— გინდათ აბუჩად ამიგდოთ? არ გამოგივათ!

...რამეთუ მე ვარ დედაკაცი, მჯდომარე მხეცსა ზედა წითელსა, სავსესა სახელებითა გმობისაჲთა და შუბლსა ჩემსა ზედა სახელი დაწერილი: საიდუმლოჲ ბაბილონი დიდი, დედაჲ მეძავთაჲ და საძაგელებათა ქუეყანისათაჲ...

ამას რომ ამბობდა, ისე გამომწვევად იდგა, რომ ჩვენ კი არა, მგონია, ბუღა ხარად ქცეულ ზევსსაც წამოაჩოქებდა.

შეძრწუნებული შარლი მართლაც მუხლებზე დაეცა:

— ნუ, ლიზი, ნუ გინდა ეს საშინელება! — შეევედრა შარლი და აპოკალიფსის ენითვე სცადა მისი დაცხრომა:

ის დედაკაცი იყო მთვრალი სისხლითა წმიდაჲთა და სისხლითა მით მოწამეთა იესოჲსთაჲთა და იგი შიშველ ჰყვეს, ხოლო ხორცნი მისნი შეჭამნენ და დაწუან ცეცხლითა...

— ჰოდა, მე ვარ ის დედაკაცი, რომელსა ედგნეს შვიდნი თავნი და ათნი რქანი... და აქუნდა ხელთა მისთა ბარძიმი ოქროსაჲ, სავსე საძაგლებითა და არაწმიდებითა სიძვისა ქუეყანისაჲთა...

გახელებულმა „ღვთისმშობელმა“ საშხრეები ჩამოიგდო და წელამდე ისე ჩაშიშვლდა... ვითარმედ: მეუფე მეუფეთაჲ და უფალი უფლებათაჲ...

შეძრწუნებულმა შარლმა თვალი დახუჭა. ლიზიმ განაგრძო:

— ესა ვარ მე, და ამიტომაც დაგადრეკინებთ თავს, ფეხთა წინაშე ჩემთა...

— ეს მეც შემეხება? — ისე გავიკვირვე, თითქოს ეჭვი მეპარებოდა ამაში.

— თქვენ კი არა, მხოლოდ თქვენ, ნარაბოტო, — მითხრა მან და ისე აფთარივით წამოვიდა ჩემსკენ, რომ ზურგუკუღმა მომიხდა დახევა. იმას კი სიცილი აუტყდა: საშინელი და გაუთავებელი სიცილი. თან ცეკვავდა და სულს რომ მოითქვამდა, ე... ჰე... ჰეი... ბაარ, — შეჰკივლებდა.

თვალცრემლიანი შარლი გაოგნებული მისჩერებოდა მას. მეც გამეცინა. ლიზი კი უცებ გაჩერდა, სრულიად ნორმალური სახე მიიღო და მოულოდნელად გვკითხა:

— გინდათ, ნადირობა ვითამაშოთ?

— არა, არ გვინდა, — აღმოხდა შეშინებულ შარლს.

— მაშინ სახლში წავალ, მომწყინდა, — უკვე მშვიდად თქვა ლიზიმ.

ჩვენც ავდექით და ისევ ტყის სიღრმეში შევედით.

— რატომ არ გინდათ ნადირობის თამაში? — სულ დაიტკბილა ხმა ლიზიმ.

— ბავშვები ხომ არა ვართ, რომ ვითამაშოთ? — უთხრა შარლმა, მაგრამ იმ „სატანის სულმა“ მაინც დაიჩემა:

— ნადირობას ბავშვები კი არა, დიდები თამაშობენ.

მე არ ვიცოდი, რა თამაში იყო ეს „ნადირობა“, ამიტომაც ვიკითხე:

— კი ბაგრამ, რაზე უნდა ვინადიროთ?

— ეს მონადირეზეა დამოკიდებული, — გაიცინა ლიზიმ.

მერე რომ ამიხსნეს, შივხვდი, რომ ეს „ნადირობა“ ჩვენებურ „დამალობანას“ ჰგავს, მაგრამ აქ ერთი „ნადირი“ იმალება, დანარჩენები კი „ნადირობენ“, ზოგჯერ ცხენებითაც. დაყოფენ ტყეს ზონებად, დანაწილდებიან და იწყება „ნადირის“ ძებნა. ვინც „მოინადირებს“, ნანადირევიც იმისი იქნებაო, —თქვა შარლმა.

ამ შემთხვევაში ინიციატივა თვითონ ლიზიმ აიღო, ზონებიც მან გაყო: მარჯვნივ — მე, მარცხნივ — შარლი; ერთი საათის შემდეგ ისევ აქ უნდა შევიკრიბოთო, გამოგვიცხადა და დასამალად გაემზადა. ჩვენ თვალი დავხუჭეთ. შარლიმ ორმოცდაათამდე დათვალა და წავედით...

რამდენიმე წუთიც არ იყო გასული, რომ ლიზის ჩუმ შეძახილს „ე, ჰე, ჰეი, ბაა-ს“ მოვკარი ყური და ფერდობზე გაქცეულ „ნადირსაც“ შევავლე თვალი...

...ერთი საათის შემდეგ მე და შარლი ისევ დანიშნულ ადგილას შევხვდით ერთმანეთს.

— ვერ ვიპოვე! — ჩაილაპარაკა მან ნაღვლიანად და ქვაზე ჩამოჯდა.

— ვერც მე, — ვიცრუე რატომღაც და გვერდზე მივუჯექი.

— დაველოდოთ და თვითონ მოვა, — თქვა მან.

— სანამ ლიზი მოვიდოდეს, ლექსები ვიკითხოთ. მე ძალიან მიყვარს თქვენი ლექსების მოსმენა, — შევაგულიანე შარლი.

იგი ერთხანს დუმდა, მერე უცებ დაიწყო. კაცმა რომ თქვას, ეს ლექსი კი არა, რიტმული პროზა იყო. გარინდებუ-

ლი იჯდა და თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა. თვალებიც დახუჭული ჰქონდა. ზოგჯერ დაფიქრდებოდა და მერე ისევ განაგრძობდა. მაშინვე მივხვდი, რომ იქვე თხზავდა რაღაც ნაწარმოებს...

ჯერ უღრანი ტყე აღწერა, დაბურული და ადამიანის ფიქრებივით გაუგებარი. მერე თეთრი კენტავრი გაჩნდა მის სტრიქონებში — ძუ კენტავრი ვერცხლისფერი თმებითა და ლურჯი წინწკლებით ზურგზე. მიდიოდა ტყეში ის კენტავრი და წუხდა თავის სიმარტოვეს, წუხდა და ფიქრობდა ხვადი კენტავრების ალისფერ ჯოგზე, რომელნიც ტყეში შეეფეთებოდნენ და გაშეშდებოდნენ მისი სილამაზის ხილვით. აქ შარლი ისევ გაჩერდა, სული მოითქვა და განაგრძო:

მერე იმ ვერცხლისფერმა კენტავრმა ერთი ვნებიანად გადიკისკისა და გავარდა. ალისფერი კენტავრები დაედევნენ მას. თითქოს ცეცხლის ტალღები მისდევდა ვერცხლისფერი კენტავრის ქარივით ქროლვას... ტყეს აყრუებდა მათი ფლოქვების თქარათქური და ვნებიანი ჭიხვინი... მერე ერთი ძალაგამოლეული კენტავრი დაეცა და მოკვდა, კიდევ ცოტა ხანი და დაეცა მეორე... მესამე... მეოთხე... მეათე... ტყე მოიფინა დახოცილი კენტავრების გვამებით... მაგრამ ერთი, ყველაზე ძლიერი, მაინც მისდევდა იმ ვერცხლისფერ კენტავრს, რომელიც მსუბუქად მინავარდობდა ტყის სიღრმეში. იგი ხანდახან მოხედავდა ალისფერ კენტავრს, გაუღიმებდა და ისევ გავარდებოდა წინ. ალისფერი მაინც არ ეშვებოდა, ბრაზი ახრჩობდა, ხელდებოდა, იცოდა, თუ მიეწეოდა იმ ვერცხლისფერ ცდუნებას, ფლოქვებით ჩაუმსხვრევდა თავის ქალას ან კბილებით დაგლეჯდა მის მშვენიერ სხეულს. ვერცხლისფერი კენტავრიც გრძნობდა ამას და ამიტომაც მიფრინავდა ასე ლაღად და მსუბუქად...

ბოლოს იმ ალისფერმა კენტავრმაც შეჰკივლა, შეტორტმანდა, კიდევ ერთხელ შედგა ყალყზე და დაეცა...

ვერცხლისფერი კენტავრი გამოერკვა ფიქრებიდან... იგი ისევ მარტო იყო ტყეში, მაგრამ მაცდური ღიმილი მაინც ისე უთამაშებდა ტუჩებზე, თითქოს ის ტყე მართლაც ალისფერი კენტავრების გვამებით ყოფილიყო მოფენილი...

...შარლმა თვალი გაახილა და წყნარად იკითხა:

— ლიზი არ მოსულა?

— არა, არ მოსულა, — მივუგე მე.

მაშინვე წამოვარდა. ხან მარჯვნივ გაიქცა, ხან მარცხნივ და ყვიროდა:

— ლიზიი!.. ჰეი, ლიზიი!..

...ლიზი ამ დროს თავის სახლის წინ, ხის ქვეშ იდგა და იცდიდა, როდის დავბრუნდებოდით ტყიდან...

ოფლში გაღვარული შარლი შინ რომ მივაცილე, ჯერ სიცილი მოგვესმა, მერე მისი დამცინავი ძახილიც გავიგონეთ:

— სალუტ, მონადირეებო!..

...იმ საღამოს გენერალმა ტიმბერლეიკმა გამოსათხოვარი წვეულება გამართა. ლიზელოტა ამ წვეულებას არ დასწრებია, არც „30 girls" ჰყოლიათ მოწვეული...

მეორე დილით მასპინძლებმა გამოგვაცილეს, ეტიენი და შარლი სულ ჩვენთან ტრიალებდნენ. ლიზი კი, რაღაც უცნაურად აგრეხილი იდგა კართან და გვიყურებდა. მანქანებში რომ ვსხდებოდით, იმას ერთი ნაბიჯიც არ გადმოუდგამს ჩვენსკენ, არც ხელი დაუქნევია გამოსამშვიდობებლად. მე ეს არც გამკვირვებია, რადგან ვიცოდი, მისთვის საერთოდ არ არსებობდა, რაც მოხდა ან რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. ერთხელ მითხრა კიდეც:

— სულაც არ მაინტერესებს, გუშინ რა იყო ან ხვალ რა იქნება. საზრუნავად მე დღევანდელი დღეც მეყოფა...

ის დღე კი უკვე ჩვენ აღარ გვეკუთვნოდა.

ბოთლების მტვრევა...

ბერლინში მოხსენებითი ბარათი დავწერე სობოლევის სახელზე და მეგონა, ამით მოვრჩი იმ დავალებას, მაგრამ არა. სობოლევმა ერთი-ორი შენიშვნა მომცა, რაღაც თვითო-

ნაც შეასწორა და ის ბარათი მოსკოვში გაიგზავნა საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილის — ვიშინსკის სახელზე.

მე ერთხანს ისევ „კულტურტრეგერულ“ სამუშაოებს დავუბრუნდი, კინოსტუდია „დეფა“ უნდა აღგვედგინა. ვეძებდით რეჟისორებსა და მსახიობებს, მათ შორის მარიკა როკს, რომელიც ძალიან პოპულარული იყო გერმანიაში. მე ვნახე მისი ფილმი „ჩემი ოცნების ასული“. ამბობდნენ, ეს ფილმი გებელსის განკარგულებით გადაიღეს „მძიმე წლებში“, რომ საჰაერო თავდასხმებით თავზარდაცემული მოსახლეობა გაერთოთო.

იყო სხვა უფრო საინტერესო სამუშაოებიც. მაგრამ, მართალი გითხრათ, უკვე არცთუ დიდი ხალისი მქონდა ამისი. ვიცოდი, ნიურნბერგში რომ დიდი მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობდა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პროცესის მოსაწყობად. გული იქითკენ მიმიწევდა მეც და სხვებსაც. ყველა ვოცნებობდით, როგორმე მოვხვედრილიყავით ამ პროცესზე და ერთხელ მაინც მოგვეკრა თვალი მთავარ სამხედრო დამნაშავეთათვის. ეს ინტერესი უფრო მეტად გაიზარდა, როცა ხმა დაირხა, შესაძლებელია ბერლინის სამხედრო ადმინისტრაციის ერთი წარმომადგენელი გაიგზავნოს ნიურნბერგშიო. ყველას უნდოდა ეს „ერთი“ ყოფილიყო, მაგრამ „ათასში ერთის“ იმედი თითქმის ყველასათვის უიმედო ჩანდა. ის კი გავიგე, რომ ბერლინში ჩემი არყოფნის დროს მარკოვი უკვე გაეგზავნათ იქ. მეც მინდოდა წასვლა, მაგრამ როგორ? 1941 წლიდანვე ვმსახურობდი მოქმედ არმიაში და ბუნებრივია, რომ დიდი სამამულო ომის ეს ეპილოგიც მინდოდა მენახა. მაგრამ ასეთი „უფლება“ თუ სურვილი სხვებსაც ჰქონდათ. ყველა ამ პროცესით იყო დაინტერესებული, ცხადია, გერმანელებიც. მათ უკვე იცოდნენ, „ფიურერებისაგან“ ვინ დაიღუპა და ვინ ჩაბარდა მოწინააღმდეგეს. გერინგის, რიბენტროპის, კაიტელის, როზენბერგის, დენიცის, რედერისა და სხვების ინტერნირების ამბავი ადგილობრივ პრესაშიც გამოცხადდა. ამ საკითხებისადმი მოსახლეობის ინტერესს მე ისევ ლილი მარლენის საშუალებით ვიგებდი. შემოირბენდა ჩემთან თუ არა, მომაყ-

რიდა კითხვებს: რას უზამენ, თუ იცით? ნუთუ სიკვდილით დასჯიან ყველას?

ასეთ შემთხვევაში მე ყოველთვის ნეიტრალურ პასუხს ვაძლევდი:

— რა ვიცი, მე ხომ არა ვარ მოსამართლე!

ლილი მარლენი მაინც თავისებურ კომენტარს უკეთებდა ყველაფერს:

— ახი კია იმათზე, ციხეში ჯდომას და დამცირებას არ ერჩიათ, თავი გაეწირათ ფიურერისათვის?

მე მინდოდა, მისი ამგვარი ჯიუტი რწმენისათვისაც „შემომეხსნა ქამარი“ და ვუთხარი:

— ეჰ, ფროილაინ ბრუნჰილდე, ხომ ხედავ, რომ თავი არავის გაუწირავს იმ „მატყუარა გებელსის“ გარდა, ახლა ციხეში სხედან გერინგი, რიბენტროპი, როზენბერგი და სხვები ყველანი: ახალგაზრდობის „ფიურერი“ ბალდურ ფონ შირახიც იქ არის.

ლილის ყველაზე უფრო შირახის ამბავი აკვირვებდა. ვერაფრით ვერ წარმოედგინა, რომ „მათი ბელადი“ თავს არ გასწირავდა ფიურერისათვის. უფრო ის აგიჟებდა, ხმა რომ იყო დარხეული, შირახი თვითონ ჩაბარდა მოწინააღმდეგესო..

— შეუძლებელია! — იძახდა იგი, — როგორ შეიძლება შირახის ღალატი! ჩვენ ისე გვჯეროდა მისი!

ამას ისევ ძველებურად გაიძახოდა, მაგრამ თუ აქამდე შზამზარეული ფონოგრამა უტრიალებდა თავში, ახლა ზოგჯერ, საკუთარ აზრებსაც გამოურევდა ხოლმე.

— ამბობდნენ, წითლები ყველა გერმანელს, პაჰ... პაჰ... დახვრეტენო, მაგრამ მე ხომ ვხედავ, რომ არავის არ ხვრეტენ. თუ ასე იყო, ჩვენ რაღას გვატყუებდნენ? ისედაც ხომ ვენდობოდით და ვაკეთებდით, რასაც გვეუბნებოდნენ?

ამ აზრს მეც მივყევი და ვცადე გონზე მომეყვანა:

— რატომ იჯერებდით მერე, ვისი ბრალია?

არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა:

— რა ვიცოდი, რომ ყველაფერი ეს ტყუილია!

მეც მაშინვე ვკითხე:

— ახლა ხომ იცი?

ამის თქმა იყო და, ფაცერთან მიდენილი კალმახივით შეტრიალდა:

— არც ახლა ვიცი, არაფერი არ ვიცი, არც მინდა ვიცოდე! — მერე დაწყნარდა და დაუმატა:

— ყველა არამზადაა ფიურერის გარდა, მარტო იმან გასწირა თავი ჩვენთვის.

„ფიურერზე“ ცუდს მაინც ვერაფერს წამოაცდენინებდით. სამაგიეროდ, ბაბუას ლანძღავდა, სულ გამოსულელდა, ლამის წითლებს მიემხროსო.

— ოო, ესეც ახალი ამბავი, — ვითომ დავინტერესდი მე, — შენ რას ეუბნები?

— მე სულაც არ ველაპარაკები!

— რატომ?

— რატომ და, ხმას არ მცემს. გამებუტა. ალბომი რომ ვიჩვენეთ, გაიგო და გული მოუვიდა, რომ დავეჭირე, მცემდა კიდეც, მაგრამ გავექეცი. თქვენ რაც აქ არ იყავით, მე სულ ზემოთ მეძინა, ბიბლიოთეკაში. მერე ადელაიდამ წამიყვანა თავისთან.

— ბაბუამ როგორ გაიგო ალბომის ამბავი, ვინ უთხრა?

— მე თვითონ ვუთხარი.

— რატომ უთხარი მერე?

— ტუტუცი ვარ და იმიტომ. მინდოდა გამებრაზებინა, აბა, რატომ ლანძღავს ფიურერს... უწინ ხომ აქებდა, ახლა კი ლანძღავს... სულ გამოსულელდა...

ეს თქვა და ტირილიც წასკდა.

— მე არ ვიცი, არაფერი არ ვიცი... ეშმაკს წაუღია ყველა... მამა მე არ მყავს, დედა არ ვიცი სად არის, ბაბუა სახლიდან მაგდებს... მე რა უნდა ვქნა... ვის რა დავუშავე... რასაც მეუბნებოდნენ, იმას ვაკეთებდი, ახლა არავის არ ვუნდივარ... არც მე არ მინდა არავინ, — უმატა მან ტირილს, — ჯანდაბას გერმანიაც, ფიურერიც, ბაბუაც... ყველა, მე არავინაც არ მინდა...

შემეცოდა. დავუყვავე და შევპირდი, ბაბუასთან შეგარიგებ-მეთქი. არ მინდაო, წამოიძახა. მერე თანდათან დამშვიდდა, მაგრამ ცრემლები ჯერ კიდევ ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე.

— მაპატიეთ, — თქვა მან, — წუთიერი სისუსტის ამბავია, თორემ მწუხარების ატანაც შემიძლია... მე ყველაფერს ავიტან...

მერე ვითომ გაიცინა და ცრემლები მოიწმინდა.

— გუშინ სად გეძინა? — ვკითხე მე.

ადელაიდასთან, ახლა მარტო ისაა ჩემი ამხანაგი. ისეთი კეთილია, ისეთი კარგი. დედა გერმანელი ჰყავს თურმე, —მაინც თავისი გზით გაუხვია მან. მეც ამიტომ ვუთხარი:

— ადელაიდა როგორაა შენი ამხანაგი, ის ხომ „წითელია?"

ეჭვის თვალით შემომხედა:

— „წითელი" როგორ იქნება, თუ დედა გერმანელი ჰყავს?!

— ვთქვათ, ნახევრად „წითელი!".

— მერე რა, ჩვენი დროშაც ხომ ნახევრად წითელი იყო. მე ფერის კი არ მეშინია, მაგრამ ადელაიდა თუ კარგი გოგოა, „წითელი" რატომ იქნება?

მე მაშინ მივხვდი, რომ ნაცისტური პროპაგანდით გაბრუებული ლილი მარლენისათვის ისეთი ცნებები, როგორიცაა, „წითლები", „ებრაელები," კონკრეტულად ადამიანებს კი არ უკავშირდებოდა, არამედ რაღაც საერთო საშიშროებას, თორემ შესაძლებელი იყო „კარგი წითელი" და „კარგი ებრაელი" არც „წითლებად" ჩაეთვალა და არც „ებრაელებად".

— მე ხომ ვარ „წითელი?" — ვკითხე ამის დასადასტურებლად. ახლა უფრო გაოცებული სახე მიიღო:

— თქვენ როგორ ხართ „წითელი!"

— ვითომ რატომ არა ვარ?

— იმიტომ, რომ გერმანულად ლაპარაკობთ!..

— გერმანულად ებრაელებიც ლაპარაკობდნენ, მაგრამ დახოცეს, ძუძუმწოვარა ბავშვებიც კი არ დაინდეს, აქაო და, ებრაელები არიანო.

— ბავშვები როგორ იქნებიან ებრაელები! — კიდევ უფრო გაიკვირვა მან.

— ებრაელების ბავშვები ებრაელები იქნებიან აბა, რა?!

— ებრაელები ფიურერის მტრები არიან, პატარა ბავშვები როგორ იქნებიან ფიურერის მტრები?

ამ ხლართიდან ლილის გამოყვანა შეუძლებელი იყო. მეც ხელი ჩავიქნიე და ჩემს საქმეს მივხედე.

მერე ადელაიდაც მოვიდა და ლილი თავისთან წაიყვანა. მე ფანჯარაში გავიხედე და დავინახე, ბაბუა იოჰანი როგორ მოჰფარებოდა ხეს და უყურებდა, ადელაიდა და ლილი ხელიხელჩაკიდებული რომ მიდიოდნენ. ერთხანს უკან გაჰყვა, მაგრამ მერე ისევ გამობრუნდა. ფანჯარა გამოვაღე და დავუძახე. დამინახა თუ არა, დამდუღრულივით გაიქცა.

ბაბუა იოჰანს ჩემთან შესახვედრი პირი არ ჰქონდა იმ ალბომის შემდეგ. შვილიშვილზე კი, ალბათ, მაინც გული შესტკიოდა. ამიტომ არც ადელაიდას გასჭირვებია მათი შერიგება...

... იმ დღეს აუარებელი სამუშაო მქონდა და შინ გვიან ღამით დავბრუნდი. ნახევარი საათის შემდეგ სამსახურიდან მორიგემ დამირეკა, სობოლევი გიბარებსო. მისაღებში რომ შევედი, ღამის ორი საათი იყო. სობოლევი კეთილი ღიმილით შემხვდა.

— ახალი დავალება მოგელით,—მითხრა მან შესვლისთანავე.

ვიფიქრე, ისევ სადმე მგზავნიან-მეთქი და, როგორც ჩანს, არავითარი სიხარული არ აღიბეჭდა ჩემს სახეზე.

— ამჯერად, ალბათ, კმაყოფილი იქნებით, — მითხრა მან და წინ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის დეპეშა დამიდო.

დეპეშას სწრაფად გადავავლე თვალი. სამი თვით ნიურნბერგში მგზავნიდნენ მივლინებით. სიხარულისაგან გული ისე ამიძგერდა, რომ მადლობაც არ მითქვამს.

— თანახმა ხართ? — მითხრა მან, თითქოს აქ მართლაც

ჩემი თანხმობა იყო საჭირო. თანახმა კი არა, აღფრთოვანებული ვარ-მეთქი, — ვუთხარი.

— ამ საქმეში მე წილი არ მიდევს, როგორც ჩანს, თქვენი მოხსენებითი ბარათის შედეგია, — მითხრა მან, — დილით მოდით და დავალებებს მოგცემთ. წასასვლელად კი დღესვე მოემზადეთ, იქნებ ხვალ მოგიხდეთ ნიურნბერგში გაფრენა...

...ის ღამე თეთრად გავათენე. ყველაფერი გავამზადე და მხოლოდ გარიჟრაჟისას ჩავთვლიმე.

ლილიმ გამაღვიძა, სამსახურში არ დაგაგვიანდეთო. მართლაც, კარგა ხანი გასულიყო. ერთი საათის შემდეგ ადგილზე ვიყავი. მეგობრები შემომეხვივნენ და მილოცავდნენ. თუ დღეს აქ დარჩი, საღამოთი უნდა ბოთლები ვამტვრიოთო. „ბოთლების მტვრევა“ მათ ენაზე „უღმერთო ქეიფს“ ნიშნავდა.

სობოლევმა დაწვრილებითი ინსტრუქცია მომცა, რა უნდა მეკეთებინა ნიურნბერგში. მერე მისმა მოადგილემ — სემიონოვმა სულ „ბეჭედში გამიტარა“ ყველაფერი. მისგანვე გავიგე, რომ ნიურნბერგში მეორე დღეს გავფრინდებოდი.

— დღეს ჩამოვლენ მოსკოვიდან ექიმები, პროფესორები,— მითხრა მან, — საერთაშორისო სამედიცინო კომისიის წევრები, რომლებიც ნიურნბერგში იგზავნებიან სპეციალური დავალებით. თქვენც იმათთან ერთად გაემგზავრებით. საღამოთი შემოიარეთ და გაგაცნობთ თქვენს თანამგზავრებს...

გავიცანი კიდეც. სამი პროფესორი იყო: სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი კრასნუშკინი, სამედიცინო აკადემიის წევრი სეპპი და სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი კურჩატოვი... მე ამ ექიმებთან არავითარი საქმე არ მქონდა, გარდა იმისა, რომ ერთად უნდა გვემგზავრა. შევთანხმდით, რომ დილით იქვე შევიკრიბებოდით...

იმ ღამეს მართლაც „ვამტვრიეთ ბოთლები“, დილითაც გამოგმაცილეს მეგობრებმა. „ჩემი“ ბიბლიოთეკა ისევ ლილის და ადელაიდას დავუტოვე.

მაშინ რა ვიცოდი, თუ სამი თვის მაგივრად ათ თვეზე მეტიც მომიხდებოდა ნიურნბერგში ყოფნა...

ტემპელჰოფის აეროდრომზე კიდევ რამდენიმე ამერიკელი მგზავრი შემოგვიერთდა. ამჯერად მშვენიერი საფრენოსნო დარი იდგა და მაშინვე გაგვამგზავრეს.

მე სულ თვითმფრინავის სარკმელთან ვიყავი მიმჯდარი და ძირს ვიყურებოდი. ამ სიმაღლიდან ყველა ქვეყანა თითქმის ერთნაირი ჩანს. განსხვავებული, რაც აქ თვალში გეცემათ, ქალაქებისა და სოფლების სიმჭიდროვეა. ერთი ქალაქი რომ გათავდება, თითქმის მაშინვე მეორე იწყება. მათ შორის მხოლოდ კარგად დამუშავებული მინდვრები ან მეჩხერი ტყეებია.

კარგი საუბარი გზას ამოკლებსო, ნათქვამია. ის გზაც მალე დაილია.

რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე ნიურნბერგის ზევით ვტრიალებდით. ქვევით საკმაოდ დიდი ქალაქის პანორამა გადაიშალა. როცა დაბლა დავეშვით, კარგად გავარჩიეთ ნანგრევები. თვითმფრინავი ერთ ხანს ქალაქის თავზე ტრიალებდა. ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს აეროდრომი არ გვიღებდა. ათიოდე წრე დავარტყით და მხოლოდ მერე გავგორდით დასაშვებ ბილიკზე. კიბეზე რომ ჩამოვდიოდით, რუსული შეძახილები გავიგონეთ:

— სალამი ახალჩამოსულებს!

— სალამი თანამემამულეებს!

ყველაზე მეტს მარკოვი ყვიროდა.

ამ შეძახილებში უცებ ქართული სიტყვებიც გავარჩიე!

— გამარჯობა, კაცო!

— როგორა ხარ, სულიკო!

— ეს, ნიურნბერგში ჩვენზე ადრე ჩასული ამხანაგები გვესალმებოდნენ: იუსტიციის გენერალი ალექსანდროვი, იუსტიციის პოლკოვნიკი პირადოვი, იუსტიციის მაიორი პოლტორაკი და სხვები. ალექსანდროვსა და პირადოვს, თურმე, კარგა ხანს თბილისში უცხოვრიათ და ქართული სიტყვებიც სცოდნიათ. იმათ მარკოვისაგან გაეგოთ, ქართველი მოდისო და ასეთი სიურპრიზით შემხვდნენ.

აეროდრომზე სათანადო ფორმალობის გავლის შემდეგ,

მანქანებით გავემგზავრეთ ქალაქში. ექიმები [illegible] ყვანეს, მე კი საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის [illegible] მძიებლო ნაწილის ვილაში. გზაში ჩემთან ერთად ის „თბილისელები“ იჯდნენ მანქანაში და სიამოვნებით იგონებდნენ ჩვენთან გატარებულ დროს. რა თქმა უნდა, არც ქართულ მწვადებსა და „წინანდალს“ ივიწყებდნენ. ყველაზე ხშირად კი სიტყვა „ალავერდს“ იმეორებდნენ.

— დღეს ახლების პატივსაცემად ალავერდი შევძახოთ, — თქვა ალექსანდროვმა. შემდეგ სიტყვა „ალავერდი“ ისე დამკვიდრდა, რომ თითქმის ყოველდღიურად გვესმოდა. სამუშაო რომ თავდებოდა, აბა, ახლა ალავერდიო, დაიძახებდა ვინმე, და შინ ვბრუნდებოდით. შემდეგ ჩვენს საცხოვრებელ სახლს „ალავერდიც“ კი შევარქვით. ამის გამო ამერიკელთა ოფიციალურ ცნობებშიც გაჩნდა სახელი: ვილა „ალავერდი“.

— სად ცხოვრობს საბჭოთა დელეგაციაო, — რომ იკითხავდნენ, ვილა „ალავერდშიო“, უპასუხებდნენ. ეს იყო რკინის ღობით შემორაგული სამსართულიანი შენობა. უკან ბაღი ეკრა, რომელიც ტყეს უფრო ჰგავდა. ვილა კარგად იყო მოწყობილი. მე ერთი ოთახი მომცეს მეორე სართულზე. სხვებიც ამ სართულზე ცხოვრობდნენ. მოსამსახურე პერსონალი სულ ახალგაზრდა ქალიშვილები იყვნენ, გერმანელები, რომლებიც ჩინებულად ფლობდნენ ინგლისურ ენასაც. ამბობდნენ, ესენი მიუნჰენის უნივერსიტეტის სტუდენტები არიანო...

ᲓᲘᲣᲠᲔᲠᲘᲡ ᲒᲝᲓᲔᲑᲐ...

საღამოთი ნიურნბერგი დავათვალიერე. რამდენი ღირსშესანიშნავი ამბები ახსოვს მის დახავსებულ კედლებს. უძველეს წყაროებში ნიურნბერგი, როგორც ქალაქი, პირველად 1062 წელსაა მოხსენებული. ამის შემდეგ, იგი მრავალჯერ დაანგრიეს და კვლავ აღადგინეს. XIV საუკუნიდან ნიურნბერგი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო ევროპაში. მას გარშემოვლებული ჰქონდა 10 მეტრი სიღრმისა და

30 მეტრი სიგანის ორმოები, ციხე-კოშკები და მაღალი კედლები. ქალაქი ცნობილია არა მარტო თავისი უძველესი ნაგებობებით, ეკლესიებითა და ხიდებით, არამედ მწერლებით, მხატვრებით, მოქანდაკეებითა და გამომგონებლებით. ეს არის ჰანს საქსის და ალბრეხტ დიურერის, აგრეთვე ცომპასებისა და ჯიბის საათების გამომგონებლების სამშობლო.

ნიურნბერგის სახელი ყოველთვის მტაცებლურ ომებთან იყო დაკავშირებული და კიდევ — პირველი გერმანული იმპერიისა და მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე ფრიდრიხ ბარბაროსას სახელთან, რომელიც სადღაც პალესტინაში დაიღუპა ჯვაროსნული ომების დროს.

XIV საუკუნეში კარლ მეოთხეს ე. წ. „ოქროს ბულის“ ძალით, გერმანიის ყოველი ახალი იმპერატორი აქ იწვევდა სეიმის პირველ სხდომას, ხოლო ჰიტლერი მას „ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის აკვანს“ უწოდებდა. ამიტომ აირჩია მან ეს ქალაქი პარტიული ყრილობების, აღლუმებისა და დემონსტრაციების ადგილად. აქ, ნიურნბერგის უზარმაზარ სტადიონზე, უყვარდა მას გამოსვლა სამ-სამსაათიანი სიტყვებით. აქ იმართებოდა ყავისფერხალათიანთა სვლები ჩირაღდნებით, აქვე, იუსტიციის სასახლის შესასვლელთან, იდგა ფეხშიშველი, თვალებაბვეული თემიდა სასწორით ხელში და სწონიდა ადამიანთა ცოდვა-მადლის სიმძიმეს. ყოველივე ეს რაღაც სიმბოლურ მნიშვნელობას აძლევდა ამ ცოდვით სავსე ქალაქს. იქნებ თომას მანის ადრიან ლევერკიუნიც ამან აიძულა, ნიურნბერგი თავის კაიზერსაშერნისთვის შეედარებინა. შესაძლოა ეს თვით ჯოჯოხეთის ინკარნაციაც იყო: ჯოჯოხეთი — ნიურნბერგი — კაიზერსაშერნი: ქალაქი, რომელიც ყველგანაა და არსად არის.

თუ იკითხავთ, რა საფუძველი აქვს ამგვარ ასოციაციებსო, გარკვევით ვერაფერს გიპასუხებთ, მაგრამ... მჯერა კი, რომ ასე უნდა იყოს. გუმანით კაცი ზოგჯერ უფრო მეტს მიხვდება, ვიდრე საბუთების ქექვით, თუმცა არც უამისობაა. სერენუს ციაიტბლომი გადმოგვცემს თავისი მეგობრის ადრიან ლევერკიუნის შესახებ:

— თავს როგორ ვგრძნობ? — მითხრა მაშინ ადრიანმა, — დაახლოებით ისე, როგორც წამებული იოანე ადუღებული კუპრით სავსე ქვაბში, რომელსაც ქვევიდან ცეცხლი აქვს შენთებული. იქვე მდგომი იმპერატორი ნერონი კათხით იღებს მდუღარე კუპრს და პირდაპირ კეფაზე მასხამს. ამ საინტერესო სურათს უამრავი ცნობისმოყვარე უყურებს. ჯოჯოხეთის ცეცხლის გარშემო პირდაპირ ტევა არ არის, ნერონის ძაღლიც მათთანაა, რომ არც ერთი ადგილი არ დარჩეს ცარიელი. უკანა ფონზე ჩანს კ ა ი ზ ე რ ს ა შ ე რ ნ ი ს კოშკები, გუმბათები, მახვილკუთხოვანი ფრონტონები...

იქვე სწერია: „ცხადია, აქ მას უნდა ეთქვა: „ნიურნბერგი“.

თუ საბუთზე მიდგა საქმე, განა კიდევ რამეა საჭირო, რომ ვიფიქროთ — ჯოჯოხეთი, ნიურნბერგი და კაიზერსაშერნი ერთი და იგივეა? დიურერმაც ხომ აქ შექმნა თავისი ცნობილი გრავიურები აპოკალიფსის თემაზე „საშინელი სამსჯავროც“ ამ ცოდვით სავსე ქალაქში შედგა. ის თემიდა ახლაც აქ დგას და უცდის მართლმსაჯულებას. მისი სასწორია გამოსახული ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის სხდომათა დარბაზში და თეთრზოლებიანი ლურჯი მუყაოს ქაღალდის საშვზე, რომელიც იმავე დღესვე გადმომცა ამერიკელმა ოფიცერმა და რომელსაც აქამდე ვინახავ სახსოვრად...

...მეორე დღეს ამ საშვით მივადექი სასახლის შესასვლელს. გარშემო სახლები სულ დანგრეულია, ეს სასახლე კი რაღაც სასწაულით გადარჩენილა. ოდნავ დაზიანებული ადგილები ამერიკელებს შეუკეთებიათ პროცესის ჩასატარებლად.

შესასვლელთან ოთხი გამარჯვებული ქვეყნის ალმებია გამოკიდული. ოთხი სახელმწიფოს არმიათა წარმომადგენლები იცავენ წესრიგს. ვაჩვენე თუ არა საშვი, ამერიკელმა ოფიცერმა თქვა: „ო კეი!“ და გავიარე. შესვლისთანავე დერეფნების ისეთ ლაბირინთში მოვხვდი, რომ შემდეგაც კარგა ხანს ვიბნეოდი. რამდენჯერმე ისე ჩავიკარგე ამ ლაბირინთებში, რომ ჩემს სამუშაო ადგილს ველარ მივაგენი.

ჩემი ოთახის ფანჯრები პირდაპირ ქუჩაში გადიოდა. ვხედავდი, როგორ დადიოდნენ მოპირდაპირე მხარეს სამხედრო და სამოქალაქო პირები — სულ უცხოელები, თორემ გერმანელებს იქ სიარული აკრძალული ჰქონდათ.

სამუშაოს განრიგი ერთი და იგივეა ყველასათვის. პირველ დღეს ვეცნობი სამუშაოს, ამხანაგებს, რომლებთანაც ურთიერთობა მომიწევს. 12 საათზე მივდივართ „ლენჩ"-ის მისაღებად. უზარმაზარ დარბაზში თვითმომსახურებაა, ვდგებით რიგში, ვიღებთ თუნუქის დიდ ლანგარს, ვაწყობთ თეფშებს, საუზმეს. შემდეგ მზარეულები გვაძლევენ ხორციან კერძს და გავდივართ მეორე დარბაზში. აქ მომწესრიგებელი გვიჩვენებს, საითაა თავისუფალი ადგილები და ეს უამრავი ხალხი სულ რაღაც ნახევარ საათში ვამთავრებთ საუზმეს. ვისაც უნდა, იმავე შენობაშია: ლუდის ბარი, კაფეტერია, კაზინო, ვხვდები წარწერას: „გერმანელთათვის შესვლა აკრძალულია". აქა-იქ უკრავს მუსიკა...

ღმერთო ჩემო! პროცესი მუსიკის თანხლებით?! ეს ცუდ ასოციაციებს იწვევს ჩემში. სხვებიც ბუზღუნებენ, სამსჯავროკი არა, ცირკიაო. მე ყველაზე უცნაურად ის მეჩვენება, რომ დერეფნებში თავისუფლად დადიოდნენ ტყვე გერმანელები, რომელთაც ფიზიკურად ამუშავებდნენ ან ჭურჭელს არეცხინებდნენ სამზარეულოში...

საუზმის შემდეგ ისევ გრძელდება მუშაობა, ხუთ საათზე კი ერთმანეთს ტელეფონით ვაძლევთ სიგნალებს: „აბა, „ალაცერდი!"—და შინ მივდივართ. აქ გამზადებული სადილი გვიცდის. ნასადილევს ერთ საათს ვისვენებთ და უკანვე ვბრუნდებით თითქმის დაცარიელებულ სასახლეში. საღამოობით მხოლოდ საბჭოთა დელეგაცია მუშაობს, სხვები ისვენებენ, რესტორნებში დადიან ან კონცერტებს ესწრებიან. ჩვენ დღე არ გაგვაჩნია და ღამე. ნაშუაღამევს დაღლილ-დაქანცულები ისევ შინ ვბრუნდებით. თუ ვინმეს უნდა, ვახშმობს, რადიოს უსმენს, საუბრობს ან პირდაპირ მიდის და იძინებს.

ასეთი იყო ჩვენი განრიგი. „სულის მოსათქმელად" მხოლოდ კვირა საღამო გვქონდა, რასაც მე და მარკოვი, ჩვეუ-

ლებრივად, „გრანდ-ოტელის“ რესტორანში ვატარებდით. ოდესღაც აქ პარტიულ ყრილობებზე ჩამოსული ნაცისტები სადილობდნენ, ახლა კი საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის თანამშრომლები. ბევრი მათგანი იმავე სასტუმროში ცხოვრობდა...

მეხუთე ბორბალი...

ზოგჯერ ხუმრობით ვამბობ, ყვარყვარე თუთაბერის ბიოგრაფია მაქვს-მეთქი. ცხოვრების რაღაც პარადოქსული ლოგიკის მეოხებით უცებ სრულიად უჩვეულო სიტუაციაში მოვხვდები ხოლმე და მერე მე თვითონ მიკვირს, როგორ ხდება ეს ასე!..

ამ შემთხვევაშიც ასეთივე მოულოდნელ სიტუაციაში აღმოვჩნდი და, ჩემთვის სრულიად უცხო საქმის გამო, მეხუთე ბორბალივით დავიწყე ტრიალი. იმ დღეს მთავარმა ბრალმდებელმა რ. რუდენკომ გამომიძახა და განმიცხადა:

— თქვენ შეყვანილი ხართ საერთაშორისო სამედიცინო კომისიის შემადგენლობაში.

— ?!.

მე ისეთი სახე მივიღე, რომ რუდენკოს გაეცინა.

— რა, გაგიკვირდათ?

ვიფიქრე, მეხუმრება-მეთქი და გაოცებული შევეკითხე:

— რა კავშირი მაქვს მედიცინასთან! და ისიც, საერთაშორისო სამედიცინო კომისიასთან?

—არაფერი, მაგრამ ასეა საჭირო, — მიპასუხა მან, — ამერიკელებს, ინგლისელებსა და ფრანგებს კომისიაში სამხედრო ადმინისტრაციის თითო წარმომადგენელიც შეუყვანიათ. თქვენ სწორედ გერმანიის საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციიდან ხართ მოვლინებული და ამიტომაც შეგიყვანეთ ამ კომისიაში. ხვალ დელეგაცია ზალცბურგს გაემგზავრება, მოემზადეთ წასასვლელად, მგზავრობა — მანქანებით.

მე არ ვიყავი საერთაშორისო ტრიბუნალის აპარატის მუ-

შაკი, მაგრამ ასეთ დავალებაზე უარს როგორ ვიტყოდი, მით უმეტეს, რომ ეს ჩემთვის შესანიშნავი მარშრუტი იქნებოდა: ნიურნბერგი-მიუნჰენი-ზალცბურგი-ბერჰტესგადენი და ზევით —ავსტრიის ალპები. დამეთანხმებით, რომ ოქროს შემოდგომაზე ეს არცთუ ისე ცუდი „ტურისტული მარშრუტია“...

...დილით ადრე გავედით ნიურნბერგიდან. ჩვენთან ერთად ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი ექიმები მოდიოდნენ. იყვნენ სამხედრო პირებიც, განსაკუთრებით ამერიკელები. ჩვენი მარშრუტი მთლიანად გერმანიის ამერიკულ ზონაში გადიოდა და ამიტომ გამყოლებად ისინი გვახლდნენ. ინგლისელებისაგან, ექიმების გარდა, მოდიოდა ბრიგადის გენერალი, ისეთივე ცივი და ამპარტავანი, როგორც კასელში. ჩვენებიდან—სამივე პროფესორი და მე. მივდიოდით კრუპის ჯანმრთელობის შესამოწმებლად. კრუპის ოთხი თაობა ფლობდა გერმანიის უმთავრეს სამხედრო ქარხნებს. 130 წელზე მეტ ხანს ეჭირათ მათ მძიმე მრეწველობის მონოპოლია. ნაცისტური რეჟიმის დროს ამ დინასტიას გუსტავ კრუპ ფონ ბოლენ უნდ ჰოლბახი შეთაურობდა. ძირითადი აქციების მფლობელი იყო მისი მეუღლე ბერტა კრუპი, ხოლო მემკვიდრე — ალფრედი. კრუპი თავიდანვე მხარს უჭერდა ნაცისტურ მოძრაობას. ე. წ. „ჰიტლერის ფონდს“ გერმანელ მრეწველთაგან პირველმა მან გადასცა დაახლოებით ხუთი მილიონი მარკა. იგი ერთი პირველთაგანი გახდა ნაცისტური პარტიის წევრი, სიტყვებითაც ხშირად გამოდიოდა ჰიტლერულთა მხარის დასაჭერად. კრუპი საჯაროდ მიესალმა ავსტრიის ანექსიას, სუდეტის ოლქის ოკუპაციას. იგი აქტიურად უჭერდა მხარს პოლონეთის წინააღმდეგ ომს და საერთოდ ზურგს უმაგრებდა ნაცისტების თარეშს ევროპაში. ომის დროს იგი თავის ქარხნებში 50 ათასამდე უცხოელ მუშას და 19 ათას სამხედრო ტყვეს ამუშავებდა იძულებით. ნიურნბერგის პროცესზე მოწმეებმა დაადასტურეს, თუ რა აუტანელი პირობები იყო შექმნილი კრუპის საწარმოებში ამ „იაფი მუშახელისათვის“. პროცესზე ითქვა, „ისინი ზამთარშიც ფეხშიშველნი

დადიოდნენ და ბუზებივით იხოცებოდნენო“. ამიტომაც შედგა ნიურნბერგში ე. წ. „კრუპის საქმე“, რაც შემდეგ სპეციალური ტრიბუნალის განსჯის საგნად იქცა. გამოირკვა, რომ კრუპმა და მისმა კონცერნმა უშუალო კავშირი დაამყარეს საკონცენტრაციო ბანაკებთან. შეტიც: მას საკუთარი ბანაკები ჰქონდა მსხვილ საწარმოო ობიექტებთან, ზოგიერთი საწარმო კი თვით ამ ბანაკებში იყო მოწყობილი. ზედამხედველებად აქაც ესესელები და გესტაპოელები „მუშაობდნენ“. თუ ვინმე გაბედავდა და საყვედურს გამოთქვამდა ცხოვრების აუტანელ პირობებზე, ესესელები ირონიულად უპასუხებდნენ, ეს ბანაკი ბატონ კრუპს ეკუთვნის და იმას მიმართეთო. მართალიც იყვნენ. ბანაკის ინვენტარს ასეთი იარლიყი ჰქონდა: „კრუპი“. ზედამხედველების სამკლაურებზეც ეს გვარი ეწერა. პროცესზე დადგინდა, რომ ტუსაღების წინააღმდეგ რეპრესიებში კრუპის სამოქალაქო მოხელეებიც იღებდნენ მონაწილეობას. შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ე. წ. „კრუპის კარადები“. მოწმეებმა აჩვენეს, რომ ეს იყო ფოლადის ყუთები თაროებით. დამნაშავეებს ამ კარადა-კარცერის თაროებზე შესტენიდნენ და კარს მაგრად მიუკეტავდნენ. ყოველ კარადას სამი ხვრელი ჰქონდა: ორი წინ — ჰაერის შესასვლელად, ხოლო ერთი — ზემოთ, საიდანაც, „საჭიროების შემთხვევაში“, წყალს ასხამდნენ ტუსაღების საწამებლად.

ზედამხედველები და კრუპის მოხელეები სპეციალური მათრახებით იყვნენ „შეიარაღებულნი“. ისინი უმოწყალოდ სცემდნენ ტუსაღებს. „უმთავრესად სახეში ვურტყამდითო“, — თქვა დაკითხვაზე ვერდეს ქალთა საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტის მოადგილემ ერნსტ ვირცმა.

— ამას კრუპის მოხელეები მოითხოვდნენ ჩემგან, თორემ მე სულაც არ მეხალისებოდა მათი ცემაო, — დაუმატა მან. მეორე ისიც აღწერა, ბანაკში დაბადებული სრულიად ჩვილი ან ერთი-ორი წლის ბავშვები როგორ ეყარნენ შიშველ ნარებზე.

— მიკვირდა, რა საოცრად გამხდრები იყვნენ ისინი. არც ერთი მათგანის ხელი და ფეხი აი, ამ ჩემ ცერზე უფრო მსხვილი არ იყოო, — თქვა მან და გაჭიმული თითი უჩვენა ტრიბუნალს.

უკეთეს დღეში არც „კრუპის მონები“ იყვნენ. მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. კონცერნის მხოლოდ ერთი მოხელე — ზელინგი, რომელიც ორთქლმავლების გამოშვების საკითხს განაგებდა, აღმოჩნდა იმდენად „შეუგნებელი“, რომ პროტესტი განაცხადა, ასეთი კვებით ტუსაღები ვერავითარ ძძიმე სამუშაოს ვერ შეასრულებენ და წარმოება ჩამეშლებაო. ჯერ გაუკვირდათ, ამას გერმანელი როგორ ამბობსო, და განუმარტეს: ეს არაფერია, ათასი რომ დაიხოცება, სხვა ათასს მოგიყვანთო. პასუხმა ზელინგი არ დააკმაყოფილა, მუშახელის ამგვარი დენადობა ცუდად იმოქმედებს ორთქლმავლების გამოშვებაზეო. მაშინ იმ „თავხედს“ მუქარით გააგებინეს, რომ „ორთქლმავლების გამოშვება ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანი საქმეა“.

პირველი? ზაუკელისა და ესესისათვის — „შრომით მისიკვდილება“, კრუპისათვის კი მოგება. ბოლოს ეს ორი იპოსტასი ადვილად შეეგუა ერთმანეთს: დახოცვითაც ბევრი დაიხოცა და მოგებაც საკმარისი დარჩა. ოფიციალური ცნობით, 1935 წლიდან 1945 წლამდე კრუპმა 111.555.215 მარკა წმნიდა მოგება მიიღო. ჰიტლერი თვითონ უწყობდა მას ხელს. როცა გერმანიის ნაცისტურმა მთავრობამ მსხვილი სამრეწველო ქარხნების ნაციონალიზაცია მოახდინა, გამოცემულ იქნა ე. წ. „კრუპის კანონი“, რაც მის ხელშეუხებლობას იცავდა. მეტიც: იგი დაინიშნა გერმანელ მრეწველთა ასოციაციის მეთაურად და დაევალა „ეკონომიური ღონისძიებების კოორდინაცია პოლიტიკურ აუცილებლობასთან“.

არც სხვა მრეწველებს უნახავთ რამე ზარალი. ამიტომ ყველა ჰიტლერელთა ფეხის ხმას აჰყვა. პროცესზე გამოაქვეყნეს ადგილები იმავე კრუპის მოხსენებიდან, რომელიც მას უნდა წაეკითხა 1944 წელს ბერლინის უნივერსიტეტში. მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერული გერმანია მაშინ უკვე უფსკრულისაკენ მიექანებოდა, კრუპი მაინც ამაყობდა თავისი მონაწილეობით ნაცისტურ ორომტრიალში:

— მე შემიძლია აქ განვაცხადო, რომ გერმანელი მრეწველები ენთუზიაზმით მიჰყვებოდნენ ფიურერის მიერ ნაჩვენებ

ახალ გზას და მისი დიადი მიზნები ყოველთვის საკუთარ მიზნებად მიაჩნდათ.

ჰიტლერის ერთგულ მრეწველთა შორის უპირველესი, ცხადია, თვითონ კრუპი იყო. კრუპებისა და მისი მსგავსი მილიონერების დახმარების გარეშე ჰიტლერი ვერასოდეს ვერ იგდებდა ხელთ ძალაუფლებას და ვერც ომისთვის მოემზადებოდა. ყოველივე ამის გამო, გასაგებია, რომ სამრეწველო მაგნატების ეს უგვირგვინო მეფეც მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სიაში იქნა შეტანილი...

იმ დროს კრუპი სადღაც ავსტრიის ალპებში იწვა თავის სანადირო სასახლეში. ჩვენც იქ მივდიოდით, რათა ექიმებს ადგილზევე შეემოწმებინათ მისი ჯანმრთელობა და დაედგინათ, შეეძლო თუ არა სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარდგომა...

...ჩვენი მანქანები 120—140 კილომეტრის სისწრაფით მიჰქროდნენ ნიურნბერგ-მიუნჰენის ავტოსტრადაზე. ასეთი სამხედრო მნიშვნელობის ავტოსტრადების მშენებლობას დიდი ყურადღება ექცეოდა გერმანიაში. ერთი მიმართულებით— 20—25 მეტრის სიგანის ბეტონირებული შოსე, შუაში — სკვერი, მერე ისევ 20—25-მეტრიანი შოსე, გვერდებზე — პატარა ბილიკები ველოსიპედისტებისათვის. მოძრაობას ხელს არაფერი უშლის, გარდა... ყვავებისა... დიახ, ყვავებისა... ისინი გუნდ-გუნდად სხდებიან შოსეზე და, როცა მანქანა მთელი სისწრაფით მიექანება, ვერ ასწრებენ აფრენას ან აფრინდებიან, მაგრამ მანქანის მინას მიეხლებიან ხოლმე. ამიტომ მინებზე მანქანებს სპეციალური რკინის ბადეები აქვთ მიმაგრებული. ჩვენი მანქანის ბადესაც რამდენჯერმე მიეხალა ყვავი და ნაფლეთებად იქცა.

— სიკეთის ნიშანია! — ყოველი ასეთი შემთხვევის გამო ამბობდა მძღოლი, რომელსაც სჯეროდა, თუ წინ ყვავი აუფრინდებოდა და ცოცხალი გადარჩებოდა, ისეთივე ცუდის მომასწავებელი იყო, როგორც შავი კატის წინ გადარბენა...

...წისასწარი გეგმის მიხედვით, დღის პირველი საათისათვის მიუნჰენში უნდა შევსულიყავით. აქ, ქალაქის ალაყაფის კარებთან, შეგვხვდებოდა ბურგომისტრი თავისი თანამშრომლებით. ცოტას დავისვენებდით, ვისადილებდით და ისევ გავუდგებოდით გზას. ისიც ვიცოდით, რომ დაინტერესებულთათვის ქალაქის დათვალიერებაც იყო განზრახული.

— ყველა ინგლისელი ცალკე კუნძულიაო, — უთქვამს ნოვალისს. ალბათ, იმ ინგლისელმა გენერალმაც ამიტომ აგვირია ყველაფერი: 12 საათს თხუთმეტი წუთი რომ აკლდა, მოულოდნელად გამოგვიცხადა, 15 წუთის შემდეგ აუცილებლად უნდა ვისაუზმოო. ჩვენი ავტოკოლონის უფროსი ამერიკელი პოლკოვნიკი უმტკიცებდა, ერთი საათის შემდეგ მიუნჰენში დიდი დარბაზობა გველისო, მაგრამ ამაოდ. ინგლისელმა განაცხადა, რომ იგი ყოველთვის ზუსტად 12 საათზე საუზმობს და წლების განმავლობაში არ ჰქონია არც ერთი შემთხვევა, რომ ეს რეჟიმი დაერღვიოს, თან ისიც გვაგრძნობინა, არც ახლა ვაპირებ ამასო.

სამხედრო წოდებით იგი ყველაზე უფროსი იყო და პოლკოვნიკი დიდხანს ვერ გაუძალიანდა. ამის გამო ჩვენ იძულებულნი გავხდით სადღაც შეგვეხვია, რომელიღაც სამხედრო ნაწილის საველე სამზარეულო მოგვეძებნა და ჯარისკაცების ულუფა მიგვეღო. ამ მეორე საუზმეს ინგლისელები და ამერიკელები „ლენჩს“ უწოდებდნენ.

იმ დღეს ეს სახელი იმ გენერლისთვის უფრო იყო შესაფერისი.

ვიდრე ვისაუზმეთ და ინგლისელმა გენერალმა, წესის მიხედვით, სიგარა მოსწია, ორი საათი დაიწყო. მიუნჰენში მხოლოდ სამის ნახევარზე შევედით. ბურგომისტრი და მისი თანმხლები პირები, თურმე, საათნახევარი გვიცდიდნენ შოსეზე. შეხვედრა მაინც „საზეიმო ვითარებაში“ ჩატარდა, თუმცა გეგმა ჩაიშალა. აქ სადილობა უკვე არავის შეეძლო. თანაც გვისდოდა, ზალცბურგში დროზე მივსულიყავით, რადგან იქ უკვე ამერიკული არმიის მაღალი თანამდებობის პირების სტუმრები ვიყავით და ღამეც იქ უნდა გაგვეთენებინა.

გერმანელებმა გაოცებით შემოგვხედეს, როცა გაიგეს, რომ მიუნჰენში ვერ შევჩერდებოდით. როგორც ჩანს, ეს შეურაცხყოფადაც მიიღეს, რადგან ბურგომისტრმა მხოლოდ ეს ჩაილაპარაკა, თქვენი ნებაა, და წავიდა. ერთხანს ვიტრიალეთ მანქანებით მიუნჰენის ქუჩებში და ისევ ავტოსტრადაზე გავედით. ეს გზა უფრო მომქანცველი იყო — მთაგორიანი და მიხვეულ-მოხვეული. სადღაც რამდენიმე წუთით შევისვენეთ და მე პირველად მოვკარი ყური ტიროლურ სიმღერებს.

ეს რაღაც თქვენებურიაო, მითხრა პროფესორმა კრასნიუშკინმა. ერთხანს უსმინა და ისევ მომიბრუნდა:

— მე მომისმენია ასეთი სიმღერა, როცა თბილისში ვიყავი.

კრასნიუშკინის ახსნა რად მინდოდა, როცა მე თვითონაც ადვილად მივხვდი, როგორ ჰგავდა ეს ტიროლური სიმღერა ვურულ „კრიმანჭულს“...

...ზალცბურგში რომ შევდიოდით, წვიმა დაიწყო. მანქანამ სიჩქარეს უკლო. მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩებით მივადექით მდიდრულ ვილას. წინ ამერიკელი ოფიცრები შემოგვეგებნენ, მიგვიწვიეს და დაგვაბინავეს, ვიდრე სადილზე დაგვიძახებდნენ, ქუჩაში გავედი. წვიმა ცრიდა. გარემო ნისლს დაებურა, მაგრამ თავი მაინც საქართველოში მეგონა. ფერდობზე შეფენილი ქალაქი და გარშემო შემორაგული მაღალი მთები კავკასიურ პეიზაჟს მაგონებდა. მე დიდხანს ვტკბებოდი ამ მშვენიერი ხედით. კარპატებში ყოფნის შემდეგ მონატრებული ვიყავი მთის პეიზაჟს. აქედანაც სულ ალპებში უნდა გვევლო. ახლა კი ჩემს წინ ზალცბურგის ცნობილი კაპუცინების გორა იყო თავისი ისტორიული სასახლით. ნისლის საბურველშიც ნათლად მოჩანდა ამ სასახლის თეთრი კორპუსი. გამეგონა, რომ აქ გაატარა ერთი ხანი გერმანელმა მწერალმა შტეფან ცვაიგმა, სადღაც ახლოს მოცარტის სახლიც იყო, მაგრამ ბნელდებოდა და უკან დავბრუნდი. ჩვენები უკვე სასადილოში იყვნენ. აქ კი მოგვეენატრებოდა ტიმბერლეიკის „ბახუსის სასახლის“ წყალობა. არც „ტოკაიზე“ ვიტყოდი უარს,

რადგან ამერიკულ ვისკის ვერაფრით ვერ შევეგუე. სადილის დროს ამერიკელები და ფრანგები იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ, ინგლისელი გენერალი კი აქაც დიდი ბრიტანელის „კეთილშობილურ სიდინჯეს“ ანსახიერებდა.

დაღლილები ვიყავით და ადრე დავიძინეთ. დილით, საუზმეზე, ერთი ამერიკელი ოფიცერი ჩაგვაცივდა.

— როგორ გეძინათ?

— კარგად!

— ხომ არაფერს შეუშფოთებიხართ?

— არაფერს!

— ცუდი სიზმრები ხომ არ გქონიათ?

— არავითარი.

— რაიმე ხომ არ მოგჩვენებიათ?

— არაფერი.

— კოშმარები თუ ჰქონდა ვინმეს?

— არა.

გვიკვირდა, რატომ გვაძლევდა იგი ასეთ უცნაურ კითხვებს. ბოლოს იმავე ოფიცერმა გვითხრა:

—ო, კეი, ბედი გქონიათ, რომ იცოდეთ, სად გეძინათ წუხელ, ასეთი უსიამოვნება არ აგცდებოდათ!

— სად გვეძინა ასეთ ადგილას? — იკითხა ვიღაცამ.

— ჰაინრიხ ჰიმლერის სახლში!

მართლაც, ჰიმლერის სახლი ყოფილა. აქ ხშირად შეკრებილან მისი თანამშრომლები. ჰიტლერიც ხშირი სტუმარი იყო აქ. როცა იგი ბერჰტესგადენში მიდიოდა, აქაც შემოივლიდა ხოლმე. აქვე ტარდებოდა გესტაპოს საიდუმლო თათბირები, ისახებოდა მილიონობით ხალხის გაჟლეტის გეგმები...

ზარბაზანი „ბერტა“...

ზალცბურგიდან ერთხანს ისევ ავტოსტრადით მივდიოდით. მე ძალიან მინდოდა მენახა ბერჰტესგადენი. აქ იყო ჰიტლერის მთავარი რეზიდენცია. ომის დროსაც უმთავრესად აქ

ატარებდა, აქედან ხელმძღვანელობდა იგი საომარ ოპერაციებს. ჰიტლერის რეზიდენციას ოციოდე კილომეტრით რომ მივუახლოვდით, მანქანებმა ოდნავ მარჯვნივ შეუხვიეს და აღმართს შეუდგნენ. მგზავრებმა ვთხოვეთ ამერიკელ პოლკოვნიკს, რომ ბერჰტესგადენში შეგვევლო, მაგრამ ცივი უარი გვითხრა. მერე ზოგიერთმა დაჟინებით მოითხოვა, სულ ერთი საათი დაგვეკარგება და მაინც ყველაფერს მოვასწრებთო, მაგრამ პოლკოვნიკი გაჯიუტდა.

მე მერე გავიგე ამ „სიჯიუტის“ მიზეზი: ბერჰტესგადენში, თურმე, სრულიად საიდუმლო დოკუმენტების ნაწილს ამუშავებდნენ და იქ „უცხოელების“ მიყვანა არ შეიძლებოდა.

რას ვიზამდით, გზა განვაგრძეთ. ირგვლივ, მართლაც, ჩინებული სანახაობა იყო. დარიც შესანიშნავი იდგა და ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ბუნების ამ გასაოცარი სილამაზის შეგრძნებას. სამაგიეროდ, რაც უფრო მაღლა მივიწევდით, ალპებისაკენ, გზა უარესდებოდა. ავტოსტრადებს ნაჩვევი მანქანები ახლა ხტუნვით მიუყვებოდნენ აღმართს. მერე თითქოს გავივაკეთ, ერთხანს ტყე-ტყეც ვიარეთ და ბოლოს გაშლილ ადგილას გამოვედით. ჩვენს წინ მაშინვე უზარმაზარი ოთხსართულიანი შენობა აღიმართა. ცოტა მოშორებით ორსართულიანი კოტეჯი და რაღაც სათავსები იდგა, მეტი არაფერი. ამას არც ეთქმის დასახლებული პუნქტი, თუმცა სახელწოდება მაინც აქვს — ბლიუნბახი. აქაც ამერიკელი ოფიცრები შეგვხვდნენ. როგორც ჩანდა, წინასწარ გაფრთხილებულები იყვნენ და განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებდნენ. მერე იმ პატარა კოტეჯისაკენ გაგვიძღვნენ და გვითხრეს, რომ ავადმყოფი „ფულის ტომარა“ იქ წევს. მის ოთხსართულიან სასახლეში ამერიკელი ოფიცრები დაბინავებულან, ხოლო კრუპისათვის ის პატარა შენობა დაუთმიათ, სადაც უწინ მსახურები ცხოვრობდნენ. აქ, კიბეებთან, სანდომიანი სახის, ფაქიზად ჩაცმული მოხუცებული ქალი შეგვხვდა. გაოცება და შიში იყო აღბეჭდილი მის თვალებში. როცა გაიგო, ექიმები მოვიდნენო, ხელი ჩაიქნია, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ბერტა კრუპი, — გამოგვეცნაურა მხოლოდ. ამან საერთო

ინტერესი გამოიწვია. ვის არ გაუგონია ეს სახელი, უფრო სწორად, ზარბაზანი „ბერტა!“ აქაც, ამ ოთხსართულიან სასახლის წინ, მაღალ პიედესტალზე უზარმაზარი ზარბაზანი იდგა წარწერით „ბერტა“. თვითონ ბერტა ახლა არც ისე „დიდი ყალიბისა“ ჩანდა, როგორიც ერთ დროს იყო. პატარა, გამხდარი, მოხუცი ქალი, უბრალო ტანსაცმელში, შეშინებული თვალებით. ამერიკელი პოლკოვნიკი უხსნის, რომ ნიურნბერგიდან მოვიდა საერთაშორისო სამედიცინო კომისია მისი ქმრის ჯანმრთელობის შესამოწმებლად. ბერტა ღელავს, არ იცის, რა ქნას, მერე ყველას მეორე სართულზე გვეპატიჟება. შევდივართ პატარა ოთახში. მაღალ საწოლზე უძრავად წევს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მრეწველი და მილიტარისტი, 72 წლის გუსტავ კრუპ ფონ ბოლენ უნდ ჰოლბახი. სააქაო პირი რომ აღარ უჩანს, ეტყობა. თვალები დახუჭული აქვს, ხელები უცახცახებს და სულსაც ძლივს იბრუნებს. ექიმები რომ შევიდნენ, თვალები გაახილა და ოდნავ გასაგონად თქვა:

— გუტენ ტაგ!

მერე ხელი გამოსწია. რომელიღაც ექიმმა ჩამოართვა და ჰკითხა:

— როგორ ხართ?

— კარგად! — მიუგო მისუსტებული ხმით კრუპმა და ამის შემდეგ არც ერთ კითხვაზე პასუხი არ გაუცია. ამ რამდენიმე ხნის წინ მსოფლიოში უმდიდრესი ქალი ბერტა აწურული იდგა კუთხეში და უცდიდა, რა მოხდებოდა. მე ერთხელ კიდევ შევავლე თვალი კრუპის უძრავ სახეს და გამოვედი. დრო რომ ტყუილად არ დამეკარგა, ერთ-ერთ ამერიკელ ოფიცერთან ერთად სანადირო სასახლის დასათვალიერებლად წავედი. ზარბაზან „ბერტას“ გვერდი ავუარეთ და მარმარილოს თეთრ კიბეებს ავყევით. უზარმაზარი დარბაზები ზოოლოგიურ მუზეუმს წააგავდა. რაც კრუპებს საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ნადირი უხოციათ ალპებში, ყველას ფიტული დგას აქ. კედლები მოფენილია ირმების რქებით, ღორების ეშვებით და სხვა „სამუზეუმო ექსპონატებით“, ასეა ყველა სართული, ყველა ოთახი. ყველგან დათვების, გარეული ღორების, მგლებისა თუ მე-

ლიეპის კბილებდაკრეჭილი ფიტულებია. ამ ერთფეროვანმა სანახაობამ უცებ მომღალა და უკანვე დავბრუნდი. ბერტა ეზოში იდგა. ეტყობოდა, გასინჯვის დროს კომისიამ დაითხოვა ავადმყოფის ოთახიდან. ცნობისმოყვარეობამ წამძლია და გამოველაპარაკე.

—ჩემი ქმარი ერთ-ორ თვეს ყოველწლიურად აქ ატარებდა, ამ სასახლეში,—თქვა მან. —ჩვენი ოჯახის წევრებიც ხშირად ახლდნენ მას ნადირობის დროს. რასაც მოკლავდნენ, აუცილებლად ფიტულს გააკეთებდნენ და ინახავდნენ. ასეთი იყო ტრადიცია, სახელოსნოებიც აქვე გვქონდა...

მე არ ვიცოდი, რაზე მელაპარაკა მასთან, ამიტომ გავჩუმდი. ვერც იმან გაბედა კითხვის მოცემა. უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

— ეჰ, ჩემი ქმრის დღეები დათვლილია, — თქვა ისევ მან, — ისედაც ავად იყო და ახლა დამბლაც დაეცა. მე ვიცი, პასუხისგებაში რომ უნდა მისცენ, მაგრამ ამიერიდან მისთვის სულერთია. ჩემთვისაც. ამის შემდეგ მხოლოდ ღმერთი იქნება ჩვენი მსაჯული...

ეს რომ თქვა, ცრემლები გადმოყარა.

—ნეტავი ადრე მომკვდარიყო და არ მოსწრებოდა ამ კატასტროფას, — დაიწყო ისევ ბერტამ, — ან მე რად მოვესწარი ამ უბედურებას. ახლა ღმერთს შევთხოვ, რაც შეიძლება მალე მიიბაროს ჩვენი ტანჯული სული...

დიდი მწუხარება და სიკვდილი აიძულებს ადამიანებს, დაუბრუნდნენ თავიანთ ბუნებრივ განზომილებებს. ყოველგვარი ქედმაღლობა შორდება საფლავის კართან დაჩოქებულთ. რა სათნო და ღვთისნიერი ქალი ჩანდა ბერტა ფონ კრუპი, სწორედ ის ბერტა, რომელიც სამი ათეული წლის განმავლობაში მოითხოვდა, რომ ყოველ ზარბაზანს მისი სახელი რქმეოდა, ყოველ ყუმბარაში, რომელიც ხოცავდა და ასახიჩრებდა ასეულ ათას ადამიანს, მისი ძალა ყოფილიყო.

ახლა ისიც მაგონდება, სადღაც, დოკუმენტებში რომ ამოვიკითხე, მარკშტადთან არსებულ უზარმაზარ სამხედრო ქარხანას სახელად „ბერტა“ ერქვა, ამ ქარხანასთან მოწყობილ

საკონცენტრაციო ბანაკში მისი ქმრის 5 ათასი მონა ქალი იყო. მე უკვე მოგახსენეთ, თუ რა პირობებში ცხოვრობდნენ ისინი. ამიტომ, როცა ამ მოვლენებს ერთად აღვიქვამ, ძალაუნებურად ასეთი ფსიქოლოგიური დილემის წინაშე ვდგები: თითქოს ეს გაუბედურებული მოხუცი ქალიც მეცოდება და მართლმსაჯულების გონივრულობასაც ვუხდი ხარკს. ამგვარი განწყობილება აძლევს მთელ ამ ამბებს კონტრასტულ ხასიათს და როცა უკვე დამჭკნარ, უწყინარ დედაბერს ვუყურებ, ყურში მაინც ზარბაზნების ქუხილი მესმის...

ბერტამ სინანული გამოთქვა, რომ ვერაფრით გაუმასპინძლდებოდა სტუმრებს:

— ახლა ჩვენ სულს აქეთ არაფერი გვაბადია, ბატონო, — თქვა მან. — ას ორმოცდაათი წლის ნაგროვები სიმდიდრე რამდენიმე თვეში განადგურდა. ბედმა ასე ინება, რომ ჩვენ უკანასკნელი ვყოფილიყავით. ყველაფერი დამთავრდა. კრუპები აღარ არიან, აღარც ჰოლბახები.

— თქვენი ვაჟი რას აკეთებს? — ვკითხე მე.

— ეს თქვენთვის უნდა მეკითხა, მაგრამ ვერ გავბედე, ვინ იცის, სად არის...

მერე მივხვდი, რომ უადგილო კითხვა მივეცი. ამასობაში კომისიის წევრებიც გამოვიდნენ და მიდამოს დაუწყეს თვალიერება. ბერტა ხან ერთს მისდევდა უკან, ხან მეორეს, იქნებ რამე მითხრან სანუგეშოო. რა უნდა ეთქვათ! საბოლოო გადაწყვეტილებას საერთაშორისო სამედიცინო კომისია კი არ იღებდა, არამედ სამხედრო ტრიბუნალი, რომელმაც სათანადო წარდგინებებისა და დამცველის შუამდგომლობის შემდეგ დაადგინა:

— მოისმინა რა, ბრალდებულ გუსტავ კრუპ ფონ ბოლენის დამცველის შუამდგომლობა სასამართლო პროცესის გადადების შესახებ, ტრიბუნალმა გადაწყვიტა, რომ გუსტავ კრუპ ფონ ბოლენისადმი საბრალდებო აქტში წარდგენილი ბრალდებები ძალაში რჩება და განხილულ იქნება შემდეგში, თუკი ბრალდებულის ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობა შესაძლებელს გახდის ამას.

ბრალმდებელთა კომიტეტის შუამდგომლობა, გუსტავ კრუპის ნაცვლად მისი შვილის, ალფრედის გასამართლების შესახებ, უარყოფილ იქნა ტრიბუნალის მიერ.

ამრიგად, მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სიას კიდევ ერთი წევრი გამოაკლდა.

ნიურნბერგში პროცესი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, რომ კრუპი გარდაიცვალა...

მონსდორფელი მოაგბარაკენი...

დანარჩენები, „ხოხბებზე ნადირობა“ რომ დამთავრდა, გარდა ოთხისა, ერთად შეაგროვეს ნიურნბერგში გასაგზავნად. რედერი და ფრიჩე ჩვენებს ჰყავდათ ტყვედ. შპეერი და პაპენი რატომღაც კრენცბერგში იყვნენ ინტერნირებულნი, ხოლო გერინგი, რიბენტროპი, კაიტელი და ყველა დანარჩენი — სხვაგან. მათ ადგილსამყოფელს საიდუმლოდ ინახავდნენ ამერიკელები. როცა კორესპონდენტები კითხულობდნენ, სად არიანო, „სადღაც ევროპაშიო“, უპასუხებდნენ. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს „სადღაც ევროპა“ ლუქსემბურგის კურორტი მონსდორფი იყო. ვიდრე საბრალდებულო აქტი შედგებოდა, ისინი „საპატიო“ სამხედრო ტყვეებად ითვლებოდნენ და არა სისხლის სამართლის დამნაშავეებად. ამიტომ მოპყრობაც შესაფერისი იყო: ცხოვრობდნენ „გრანდ-ოტელის“ მშვენიერ ოთახებში, სეირნობდნენ უზარმაზარ პარკში და მარჩიელობდნენ თავიანთ მომავალზე. გერინგი წმ. ელენეს კუნძულზე ოცნებობდა. ნაპოლეონი სასამართლოს წინაშე კი არ დაუყენებიათ, კუნძულზე გაასახლეს, რაც სასჯელი კი არ იყო, არამედ უშიშროების ღონისძიებაო, ამბობდა იგი და თავსაც ინუგეშებდა, სახელმწიფოთა მეთაურები ხელშეუხლებელნი არიანო.

წმ. ელენეს კუნძულზე რა მოგახსენოთ და, მონსდორფში მათ დაცვას კავალერიის პოლკოვნიკი ბურტონ ენდრიუსი ხელმძღვანელობდა. მას გევრი საზრუნავი ჰქონდა: „ხოხბე-

ბის“ კვების ორგანიზაცია, მომარაგება, ყარაულების გამოცვლა და, რაც მთავარია, ზომების მიღება, რომ ჰიმლერივით თავი არავის მოეკლა. ამიტომ, ყოველ შემთხვევისათვის, ოტელის ფანჯრებს შუშები მოხსნა და რკინის ბადეები გაუკეთა.

რაც დრო გადიოდა და „მოაგარაკეთა“ ბნელი საქმეები სააშკარაოზე გამოჰქონდათ, მათი სატუსაღო რეჟიმი თანდათან ძლიერდებოდა. ენდრიუსის განკარგულებით, ოტელს მავთულხლართები შემოავლეს, ტყვეებს სამკითხველოსა და ტერასაზე დიდხანს ყოფნის ნებას არ აძლევდნენ, არც ჭადრაკის თამაშის უფლება ჰქონდათ. მერე „თვითმმართველობაზედაც“ გადაიყვანეს, ოთახებსა და ფეხსაცმელებს თვითონ აწმენდინებდნენ და სხვ.

„ხოხბებს“ არ უყვარდათ ენდრიუსი, უკადრისობდნენ მის შენიშვნებს, ზედმეტად მკაცრიაო, ჩიოდნენ. გერინგი ენდრიუსს „მეხანძრეს“ უძახდა, რადგან ლითონის პრიალა მუზარადი ეხურა. შახტი ამბობდა, „არასასიამოვნო ტიპიაო“, სხვებიც ამრეზით უყურებდნენ მას. არც ენდრიუსი რჩებოდა ვალში. განსაკუთრებით ის „მსხვილი ჰერმანი“ ჰყავდა მიზანში ამოღებული. როცა გერინგი მონსდორფში მოიყვანეს, თან ორი დიდი ჩემოდანი ჩამოიტანა. ეს იყო მისი უკანასკნელი ქონება. ენდრიუსმა დიდის ვაი-ვაგლახით ჩამოართვა ეს „განძი“, გახსნა და აღმოაჩინა, რომ ორივე ჩემოდანი მორფით იყო სავსე. რა თქმა უნდა, მაშინვე ჩამოართვა, რაზედაც გერინგი გაბრაზდა, აყვირდა, გააპროტესტა, მაგრამ არაფერი გაუვიდა. გერმანელი ექიმი პფლიუკნერი ანუგეშებდა მას, თქვენისთანა ძლიერი ნებისყოფის ადამიანი ამას ადვილად აიტანსო. ენდრიუსი კი ხუმრობდა, გამოუსწორებელი მორფინისტი მე განვკურნეო...

...მონსდორფელ ტუსაღებს ზოგჯერ წინასწარ დაკითხვებზედაც იძახებდნენ — უფრო ცნობისმოყვარეობის, ვიდრე საქმისათვის. კითხვებსაც არეულ-დარეულად აძლევდნენ, იმისდა მიხედვით, თუ ვის რა აინტერესებდა. ასე, მაგალითად, გერინგს ჰკითხეს:

—როგორ გადარჩით ცოცხალი?

— შემთხვევის საქმეა.

— შახტზე რას იტყვით?

— ის თვითონ იტყვის თავის თავზე.

—სულ თქვენს თავზე ლაპარაკობთ, თქვით რამე შახტზე!

— შახტი ჭკვიანი კაცია.

—უფრო ჭკვიანი, ვიდრე თქვენ. იგი დროზე გამოვიდა ნაცისტური მთავრობიდან.

— ყველას ერთნაირი ნებისყოფა არა აქვს.

—თქვენ მოაწერეთ ხელი, რომ ებრაელებს ერთი მილიარდი მარკა გადაეხადათ?

—ეს ჰიტლერის ბრძანება იყო.

—არა გრცხვენოდათ ამის გამო?

— მე არ მიმაჩნია ეს ბრძანება სწორად.

— მაშ, თქვენ გრცხვენიათ, ამ დოკუმენტს ხელი რომ მოაწერეთ, თუ გერმანელ ფელდმარშალს არაფრის არა რცხვენია?

— ჟენევის კონვენციის თანასმად, მე შემიძლია პასუხი არ გავცე ამგვარ კითხვებს, — გაბრაზდა გერინგი.

მერე გერინგის შემოსავლითაც დაინტერესდნენ:

—მე თვეში 25 ათასი მარკა მქონდა ჯამაგირი, — მიუგო გერინგმა, — გარდა ამისა, წელიწადში მილიონ მარკამდე ვიღებდი წიგნების ჰონორარს. ჩემი ბინის ხარჯებს კარინჰოლსა და ბერლინში სახელმწიფო იხდიდა...

მერე ამაყად დაუმატა:

— მე ორი პირადი მატარებელი მქონდა: ერთი — ოჯახისათვის, მეორე — სამსახურისათვის...

სხვებსაც ამგვარ კითხვებს აძლევდნენ. ისინი ზოგჯერ ბრაზდებოდნენ კიდეც, სულ ერთსა და იმავეს გვეკითხებითო...

...„მონსდორფელი მოაგარაკენი“, როგორც მოგახსენეთ, თავს არცთუ ისე ცუდად გრძნობდნენ. ისინი ჯერაც ისე იყვნენ წარსული დიდებით გაბრუებულნი, რომ რამე „დიდ უსიამოვნებას“ არც ელოდნენ. ფიქრობდნენ: ადრეც უცდიათ

„ისტორიული პირების“ სამსჯავროს წინაში დაყენება, მაგრამ რა! ვენის კონგრესის შემდეგ ნაპოლეონს მოწყალების თვალით გადმოხედეს და ევროპის აწიოკებისათვის წმ. ელენეს კუნძული აჩუქეს. არც კაიზერ ვილჰელმ მეორეს მოჰკლებია ფუფუნება ემიგრაციაში. „მონსდორფელი მოაგარაკეებიც“ ამიტომ გრძნობდნენ თავს არხეინად. მხოლოდ ფრანკი უჩიოდა თვითმკვლელობის ცდის დროს მიღებულ ჭრილობებს, დენიცს რევმატიზმები აწუხებდა, სხვებს კი ძველებური პატივმოყვარეობა. ისინი პრეტენზიებსაც უყენებდნენ ენდრიუსს. მათ პირველხარისხოვანი მზარეული ემსახურებოდა, მაგრამ გერინგი მაინც იღრინებოდა:

— ასეთ საჭმელებს მე ჩემს ძაღლებსაც არ ვკადრებდიო.

ეს გასაგებიცაა. როცა გერინგი დიდების ზენიტში იყო, არა მარტო ჩაცმულობით ბაძავდა რომაელებს, არამედ უჩვეულო კერძების მოთხოვნითაც. ამბობენ, ნერონმა ერთი ვახშმის მოწყობაზე ასი მილიონი სესტერცი დახარჯაო. ასევე კალიგულამაც. მდიდარი რომაელები თითქმის მთელ თავიანთ შემოსავალს ჭამა-სმაზე ფლანგავდნენ. კლაუდიუს ეზოპე ბულბულების ენისაგან დამზადებულ კერძს მიირთმევდა. მისმა ვაჟმა ერთი მილიონი სესტერცის თვალ-მარგალიტი დააფქვევინა, კერძში გაურია და შეჭამა.

გერინგი ვისზე ნაკლები იყო! აკი მოგასხენეთ, რომ ადრე მისთვის კერძებს სპეციალური საკვლევი ინსტიტუტები ამზადებდნენ. ახლა კი... ტუსაღების ულუფა! ამიტომაც ლანძღავდნენ ენდრიუსს და მის წესრიგს. ზოგჯერ ერთმანეთსაც უტევდნენ: შახტი აღშფოთებული იყო, გერინგთან ერთად რატომ მამყოფებთო. სხვები კალტენბრუნერის „მეზობლობას“ უკადრისობდნენ. დენიცმა და რიბენტროპმა შტრაიხერის სხვაგან გადაყვანა ითხოვეს; გერინგიც ამრეზილად უყურებდა მას:

— კარგი ვქენით, რომ ის... (უცენზურო სიტყვა) გადავაყენეთ მაშინ, თორემ...

ეს „მაშინ“ შტრაიხერის გაულაიტერობის დროს იყო. ხმა გავრცელდა — შტრაიხერი მცირეწლოვან ბავშვებს ხრწნი-

სო. ჰიტლერმა ამის გამოსარკვევად სპეციალური კომისია დანიშნა გერინგის მეთაურობით. ყველაფერი დადასტურდა და შტრაიხერი გადააყენეს თანამდებობიდან, თუმცა „ხელმძღვანელობაში“ მაინც შეინარჩუნეს...

...აგვისტოს დასაწყისში მონსდორფელთა ყურამდეც მიაღწია ხმებმა, ნიურნბერგში პროცესი მზადდებაო. ამან საერთო შეშფოთება გამოიწვია. გერინგი მაშინვე თადარიგს შეუდგა და, როგორც ხუმრობდნენ, „რეპეტიციებიც ჩაატარა“. იგი ეუბნებოდა ექიმ პფლიუკნერს:

— მე რომ დარბაზში შევალ, პროექტორებს აანთებენ ფილმის გადასაღებად. მერე მე თვითონ დავდებ მათ ბრალს ჩვენი ქალაქების დაბომბვასა და სისასტიკეშიო.

ამბობდნენ, გერინგი ყოველდღე „პარაკოდინს“ იღებდა და ამიტომაც უყურებდა ყველაფერს ასე, ვარდისფერი სათვალითო. თუმცა ამგვარ „სათვალეს“ ამა ქვეყნის ზოგიერთი ახალი მეუფეც იყენებდა. ვიდრე ყოფილი რაიხსმარშალი და მისი კოლეგები მონსდორფში „ისვენებდნენ“, სამი დიდი სახელმწიფოს მეთაური — სტალინი, ტრუმენი და ჩერჩილი პოტსდამის სესილიენჰოფში ისხდნენ მრგვალ მაგიდასთან და ბჭობდნენ ომის შემდეგი პერიოდის ურთიერთობათა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მართალია, შორეულ აღმოსავლეთში ჯერ კიდევ ისმოდა ქვემეხების გრიალი, მაგრამ საქმე იქაც თითქმის მოთავებული იყო. ევროპაში კი „წყლით რღუნა“, ის-ის იყო, დამთავრდა და სახელმწიფოები ნელ-ნელა უბრუნდებოდნენ მშვიდობიან ცხოვრებას, რომ ისევ „ახდა“ ბიბლიური წინასწარმეტყველება: შემდგომად ამისა იყოს ცეცხლიო და „იქმნ სასწაულთა დიდთა, და რაჲთა ცეცხლი გარდამოხდეს ზეცით წინაშე კაცთა“...

რამდენიმე დღეში, მართლაც. ჯოჯოხეთის ისეთი ცეცხლი „გარდამოხდა ციდან“, რომ მგონი, იმაზე მეტად შეაძრწუნა კაცობრიობა, ვიდრე იმ ომის მთელმა საშინელებამ...

22 ივლისს ამერიკიდან პოტსდამში სპეციალური თვითმფრინავით, დედექტივების გაძლიერებული რაზმის თანხლებით, ჩამოიტანეს საიდუმლო ბარათი და გადასცეს ტრუმენს. იმ დღეს, სამთა სხდომაზე, პრეზიდენტი, თითქოს გამოიცვალაო, სულ სხვა ტონით ლაპარაკობდა, მოითხოვდა, უარყოფდა, ერთი სიტყვით, თავი მდგომარეობის ბატონ-პატრონად მიაჩნდა. მეორე დღეს ის საიდუმლო ბარათი მან ჩერჩილს გააცნო.

— ახლა კი მივხვდი, — წამოიძახა პრემიერმა, — რატომ იქცეოდა ასე გამომწვევად გუშინ პრეზიდენტი ტრუმენი.

საიდუმლო ბარათში ეწერა, რომ ამერიკაში 16 ივლისს წარმატებით გამოსცადეს პირველი ატომური ყუმბარა...

ტრუმენი ამის შესახებ არაფერს ეუბნებოდა სტალინს, მაგრამ თვითონ ამერიკელები წერენ:

— როგორც ხუთი წლის შემდეგ გამოირკვა, სტალინმა ამის შესახებ ტრუმენზე ადრე იცოდა ყველაფერიო. ამჟამად კი ყველა საიდუმლოება გახსნილია. ვიცით, რომ ეს მოხდა 1945 წლის 16 ივლისს, 5 საათსა და 30 წუთზე, ნიუ-მექსიკოს შტატში, ალამგორდოდან 80 კილომეტრის დაშორებით.

პირველი ატომური ყუმბარის გამოცდის დამსწრენი წერენ:

— ეს ისეთი განთიადი იყო, რომელიც მსოფლიოს არასოდეს ენახა, — უზარმაზარი მწვანე მზე წამზე უსწრაფესად ორი ათას ხუთას მეტრზე ავიდა და სულ უფრო მაღლა მიიწევდა, ვიდრე ღრუბლები არ გაარღვია თავისი წვერით და თორმეტ ათას ხუთას მეტრ სიმაღლეს არ მიაღწია. აქ კი თითქოს ათასი ძლიერი ფუგასური ყუმბარა ერთდროულად აფეთქდა და ფეხთა ქვეშ მიწა შეინძრა...

ეს დიდებული სანახაობა იყო! ადამიანთა მცირე ჯგუფები, რომელნიც ამდენხანს უძრავად იდგნენ, აცეკვდნენ და ხმამაღალი ყვირილით გააყრუეს იქაურობა. მათი ცეკვა მოგაგონებდათ პირველყოფილ ადამიანთა ცეცხლისადმი მიძღვ-

ნილ ცეკვას გაზაფხულის დღესასწაულებზე... ასე გამოხატავ-
და მიწიერი ადამიანი ახალი ძალით დაბადებულ სიხარულს,
რაც მას საშუალებას აძლევდა დედამიწის მიზიდულობის
ბორკილებისაგან გათავისუფლებულიყო.

ისე, კაცმა რომ თქვას, ყველა როდი იზიარებდა ამ სი-
ხარულს. ოპენჰაიმერი, რომელსაც, უ. ლოურენსის თქმით,
ბედმა არგუნა კაცობრიობის ინტელექტის თვალსაჩინო მიღ-
წევათა სიკვდილის ეტლში შებმა, დაღვრემილი ჩანდა.

— რას ფიქრობდით აფეთქების მომენტში? — ჰკითხა
მას შემდეგ ლოურენსმა.

—იმ წამს თავში გამიელვა ნაწყვეტმა ინდური პოემი-
დან „ბხაგავად-გიტი“: „მე შევიქმენი სიკვდილად სამყაროთა
შემმუსვრელად!“ — უპასუხა ოპენჰაიმერმა. სხვებიც სხვადა-
სხვაგვარად გამოეხმაურნენ „ატომის ეპოქის დაბადებას“. რა
არ თქვეს:

... ეს არის მსოფლიოს მერვე საოცრება.

... ეს არის ქრისტეს მეორედ მოსვლა.

... ეს არის ახალშობილი სამყაროს პირველი ყვირილი.

... შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ დაახლოებით ასეთი
იქნება განკითხვის დღე, სამყაროს აღსასრული, რომელსაც
ნახავს უკანასკნელი ადამიანი.

... პირველი ადამიანი რომ ყოფილიყო სამყაროს შექმნის
მოწმე, როცა ღმერთმა თქვა, „დე, იყოს სინათლე!“ ალბათ,
ამას ნახავდა, რაც ჩვენ ვნახეთ.

... ეს იყო ბუნების ძლიერი სიმფონიის დიდებული ფი-
ნალის მსგავსი რამ, მომაჯადოვებელი და შემაშინებელი,
ალმაფრთოვანებელი და დამთრგუნველი, ავის მომასწავებე-
ლი, შემმუსვრელი, დიდი იმედებითა და დიდი საშიშროებით
აღსავსე, რომელსაც შეეძლო მოეტანა როგორც სიკეთე, ისე
პოროტება...

... ყოველივე ეს ჯერ მხოლოდ „რეპეტიცია“ იყო. ნამ-
დვილი ტრაგედია კი სამი კვირის შემდეგ გათამაშდა. 6 აგვის-
ტოს, ღამით, წყნარი ოკეანის ერთ პატარა კუნძულ ტინიანის
აეროდრომზე გაფაციცებით ამზადებდნენ ამერიკულ თვითმ-

ფრინავ „ციხე-სიმაგრეს“ შორეული რეისისათვის. მე მგონი
პარადოქსული კურიოზია, ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა ტი
ბეტს-უმცროსმა ამ თვითმფრინავს თავისი დედის სახელი დ
გვარი რომ მიანიჭა: „ენოლა გეი“. როცა ყველაფერი მოაწეს
რიგეს, მოვიდა ლუთერანელი კაპელანი უილიამ დაუდი დ
დაიწყო ღვთისმსახურება (!): „ეშმაკის მსახურნი“ ღმერთ
შესთხოვდნენ, რათა თვითმფრინავსა და მის „ტვირთს“ მშვი
დობით მიეღწია დანიშნულების ადგილამდე.

რიტუალი რომ დამთავრდა, ეკიპაჟის წევრებმა თავიანთ
ადგილები დაიკავეს. ზუსტად 2 საათსა და 45 წუთზე თვით
მფრინავმა სტარტი აღმოსავლეთისაკენ აიღო, გაიარა კუნძუ
ლი ივოძიმო, 11 ათასი მეტრის სიმაღლეზე გადაუფრინა იაპო
ნიის ქალაქ ხიროსიმას და 9 საათსა და 15,5 წუთზე ჩამოაგდ
პირველი ატომური ყუმბარა, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ „პა
წაწინას“ უწოდებდნენ. ეს იყო და ეს. შედეგი? —80 ათას
კაცი ერთ წამში დაიღუპა, 14 ათასი უგზო-უკვლოდ გაქრა, 3
ათასი მძიმედ დაშავდა, 235 ათასმა გამოსხივებისა და რადი
აციისაგან ტრავმა მიიღო.

სამი დღის შემდეგ ამერიკელებმა მეორე ყუმბარა ჩამო
აგდეს ნაგასაკში. დაიღუპა 250 ათასი კაცი.

— დიახ, ჩვენ სამსახური გავუწიეთ ეშმაკს, — თქვა ამი
გამო „ატომის ყუმბარის მამამ“ ოპენჰაიმერმა.

ნამდვილად! ამ ორი ყუმბარის აფეთქებას სამხედრ
თვალსაზრისით უკვე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ე
იყო პოლიტიკური აქტი, „სხვა ხალხების“ დასაშინებლად
ტრუმენიც ამიტომ დადიოდა ასე გაფხორილი სესილიენჰოფ
ში. ისე, კაცმა რომ თქვას, მისი ადგილი სხვაგან იყო: ჯე
მონსდორფში, შემდეგ კი ნიურნბერგის ციხეში! ასეც ამბობ
დნენ. როცა ჯილბერტი დატუსაღებულ გერინგს „მოძღვრა
და“ — ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს მაინც როგორ ხ
ცავდითო, გერინგმა ჯერ ცინიკურად ჩაიცინა, შემდეგ
კითხვა შეუბრუნა ამერიკელ ექიმს:

— თქვენ როგორ გგონიათ, ატომურმა ყუმბარებმა ხირ
სიმასა და ნაგასაკში გაარჩიეს სად ქალი იყო, სად ბავშვი
სად მოხუცებული?

ის კი არა, იმ დღეებში ინგლისელმა მწერალმა ბერნარდ შოუმ კატეგორიულად განაცხადა:

— მას შემდეგ, რაც ეს ყუმბარა ჩამოაგდეს ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე და გაიმეორეს კიდეც, ჩვენ არავითარი მორალური უფლება არა გვაქვს, ვინმე ჩაბოვახრჩოთ ნიურნბერგში...

შესაძლებელია, ეს ასე არ იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ხიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიამ მძიმე მდგომარეობა შეუქმნა ამერიკელ ბრალმდებლებს. თუ ბრალდებულები და მათი დამცველები მანამ სულ ინგლისელებს ჩრიდნენ პირში ბურების ომისა და ჯერ კიდევ მაშინ გახსნილ საკონცენტრაციო ბანაკების ამბავს, ვითომ არც თქვენ ხართ უცოდველი კრავებიო, ახლა წამდაუწუმ ხიროსიმასა და ნაგასაკს ახსენებდნენ.

მართალია, პარადოქსების მოყვარული ამერიკელები ამას ირონიული ღიმილით უპასუხებდნენ. როცა ორი ერთსა და იგივეს აკეთებს, ეს ერთი და იგივე არ არისო, მაგრამ ბრალდებულები მაინც თავისას გაიძახოდნენ, რაც არ უნდა თქვათ, ჩვენ ასეთი საშინელი რამ არ ჩაგვიდენიაო. არ ჰქონდათ ატომის ყუმბარა და იმიტომ, თორემ განა ერთი წამით შეყოყმანდებოდნენ? ის კი არა, სამხედროები ამბობდნენ, მთელი ჩვენი რესურსები ამისთვის უნდა მოგვეხმარა, ატომის ყუმბარა შეგვექმნა და ომი მერე დაგვეწყოო. გერინგი კი სულ მუშტებს იცემდა მკერდზე და ამბობდა, ახ, ჩვენ რომ ასეთი ყუმბარები გვქონოდა, მაშინ ნახავდით, ვინ ვის გაასამართლებდაო...

...ვინ ვის? სწორედ ეს „უბრალო" კითხვა იყო იმ ტრაგიკული ამბების მამოძრავებელი ძალა. ვინ ვის დაასწრებდა: ამერიკელები გერმანელებს თუ პირიქით. ატომური ყუმბარის ჯამოცდის შემდეგ, კმაყოფილმა ტრუმენმა განაცხადა:

— ისტორიის ამ ყველაზე აზარტულ სამეცნიერო თამაშში ჩვენ ორი მილიარდი დოლარი დავდეთ და მოვიგეთ...

დიახ, „სამეცნიერო თამაშშიო" —ასე თქვა პრეზიდენტმა. ამით ომმა გონების სფეროშიც გადაინაცვლა. მეცნიერები ჯარისკაცებად იქცნენ. მათ თავიანთი ოფიცრები ჰყავდათ,

სარდლები, მთავარსარდლებიც. მერე და როგორი? მთელ
მსოფლიოში სახელგანთქმული ფიზიკოსები და მათემატიკო
სები, ფრიად პატივცემული ადამიანები: აინშტაინი, ოპენჰაი
მერი, ფერმი, ვინერი, ჟოლიო-კიური და, ვინ იცის, კიდევ ვინ
ყველამ იცოდა, ამ „სამეცნიერო თამაშს“ რომ კატასტროფუ
ლი შედეგი მოჰყვებოდა, მაგრამ ისევ ის საბედისწერო კითხ
ვა იქცა გადამწყვეტ ფაქტორად: ვინ—ვის? მეცნიერება დიდ
გამოცდის წინაშე დადგა. ადრე თუ Homo sapiens-ს უსმობ
დნენ სინდისის სამსჯავროს წინაშე, ახლა Homo scientificus
ის საქმეები დადეს მართლმსაჯულების ქალღმერთი თემიდას
სასწორზე, რომლის ერთ თასზე მომავლის ბრწყინვალე პერს
პექტივა იდო: ატომური ენერგიით მოპოვებული „ალ
თქმული ქვეყანა“, მეორეზე კი — „პაწაწინა“ ყუმბარა
რომლითაც მთელი ქალაქის მოსპობა შეიძლებოდა
ერთი სიკეთეს მოასწავებდა, მეორე — ბოროტებას
არჩევანი მეცნიერებს უნდა გაეკეთებინათ. ამან ზნეობის სა-
კითხიც დასვა. მერე აუცილებლობის ფაქტორიც დააწვა ი
მეორე თასს და „გამოვიდა ეშმაკი პირისაგან უფლისა“. ჯო-
ჯოხეთმაც ერთბაშად დააღო ხახა... მეცნიერებამ მას, მართლ
დიდი სამსახური გაუწია. ამან სინდისი შეაშფოთა, ითქვა კი-
დეც: ნუთუ ახლა ჩვენ გავხსენით პანდორას ყუთიო. ზოგმა ი
„ფატალურ აუცილებლობას“ შეაფარა თავი: ჩვენ რომ არ გა-
გვეკეთებინა, სხვები გააკეთებდნენო. შეიძლება ეს სამართლი-
ანიც იყოს. ოპენჰაიმერს რომ უარი ეთქვა თავის საქმეზე, ტე-
ლერი გააკეთებდა. თუმცა, რაღა ტელერი! განა აინშტაინმ
ვინერმა ან ჟოლიო-კიურიმ უარი თქვეს „ჯოჯოხეთისთვის
სამსახურის გაწევაზე?“

— მე რომ მომესპო ყოველი სიტყვა, რომელთაც შეეძ-
ლოთ იმის გამჟღავნება, რასაც ვაკეთებდი, ის სიტყვები მაინ
გაჩნდებოდნენ სხვათა შრომებში, — იმართლა თავი ვინერმა.

ჟოლიო-კიურის ურჩიეს, არ გამოექვეყნებინა თავისი
შრომა ატომგულის გახლეჩის შესახებ, მაგრამ არ დაიჯერ
სულერთია, სხვები გამოაქვეყნებენო.

— ატომის ჯაჭვისებური რეაქციის აღმოჩენა იმაზე მეტ

საშიშროებას არ უქმნის კაცობრიობას, ვიდრე თავის დროზე ასანთის გაკეთება იყოო, — ინუგეშებდა თავს აინშტაინი. ნობელის პრემიის ლაურეატი მაქს დელბრიუკი წერს:

— როცა 1905 წელს აინშტაინმა აღმოაჩინა მასისა და ენერგიის ეკვივალენტობა, მას არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ აქედან რომ ატომური იარაღი მიიღებოდა.

თვით აინშტაინსაც ეგონა, „ღმერთები ზარს არ თამაშობენო", მაგრამ მოტყუვდა: ღმერთები კი არა, თურმე ამა ქვეყნის მეუფენიც აგორებენ კამათლებს. მერე თვითონ აინშტაინიც მიხვდა ამას, მაგრამ... უკვე არა ჩვეულებრივი, არამედ „კოსმოსური ასანთი" იყო ანთებული.

ოპენჰაიმერის უარის თქმაც ნაგვიანევი აღმოჩნდა. იმ „კოსმოსური ასანთის" ერთ-ერთმა მთავარმა შემქმნელმა ენრიკო ფერმიმ კი ატომის ყუმბარის გამოცდის შემდეგაც თქვა:

— უწინარეს ყოვლისა, ეს არის საინტერესო ფიზიკა.

ამ „საინტერესო ფიზიკამ" ხიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედია გამოიწვია...

დრაკონის კბილები...

ხომ შემაძრწუნებელია ეს ფაქტი, მაგრამ ის სულიერი დეპრესია და დაბნეულობა, რაც ამ მართლაც ბარბაროსულმა აქტმა გამოიწვია, უარესია. მე ეს ჯერ კიდევ ნიურნბერგში ყოფნის დროს ვიგრძენი. „თანამედროვე მეცნიერების სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ"... იწყებდნენ თავიანთ სიტყვას ორატორები და ისევ იმ ტრაგიკულ ამბებზე მიუთითებდნენ. სხვებიც ამბობდნენ:

— პრომეთეოსმაც მოსტაცა ცეცხლი ღმერთებს, მაგრამ ქვეყანა არ გადაუწვავსო...

— ესეც თქვენი ხე ცნობადისა, ვაშლი ვიგემეთ, მაგრამ ვიდრე კეთილს გავარჩევდით ბოროტისაგან, მეცნიერება საქმედ იქცა, ცნობადის ხის ნაყოფი კი ატომის ყუმბარად...

იმის შემდეგ, რაც ის ტრაგედია დატრიალდა, იმდენი ითქვა და დაიწერა „ატომური ეპოქის“ შესახებ, ის „პაწაწინა“ ყუმბარაც იმგვარ გოლიათად იქცა, რომ ახლა შეიძლება რამდენადმე გაუგებარიც იყოს ჩვენი იმდროინდელი განწყობილება, ისიც ნიურნბერგში, მაგრამ, აბა წარმოიდგინეთ: იმ დროს, როცა განსასჯელთა სკამზე ჯერ კიდევ სხედან მთავარი სამხედრო დამნაშავენი, რომელთაც ბრალად ედებათ შეთქმულება ადამიანურობის წინააღმდეგ, თვით ის ქვეყანა, რომლის წარმომადგენელიც პროცესზე მსაჯულის ტოგით ზის, ისეთ არაადამიანურ ბოროტებას სჩადის, თვით ნაცისტების მიერ დატრიალებული საშინელებანიც კი ფერმკრთალდება, როგორ გგონიათ, რა შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს?! ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ იმ ამბებით გამოწვეული დაბნეულობა დღემდე გრძელდება. კეთილი ნების უბრალო ადამიანები პირდაპირ სვამენ კითხვას, ვინ არის აქაში დამნაშავე? პოლიტიკური მოღვაწენი, სამხედრო ხელმძღვანელები, თუ?.. მეცნიერები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, რომელთაც გონების შესაძლებლობანი მასობრივი ყლეტის იარაღის შესაქმნელად გამოიყენეს.

— დრაკონის კბილებს სწავლულები თესავენო, — მითხრა ნიურნბერგში ერთმა მოფილოსოფოსო იურისტმა. იგი საიცრად ჰგავდა იმ „შემაძრწუნებელ მეორეს“, ბერლინის მატარებლიდანვე რომ აეკიდა ჩემს წარმოსახვას. ვინ იცის, იქნებ მართლაც ის იყო. ან ჩემი წარმოსახვა ისევ იმ ძველებურ ჰალუცინაციებს მიჰყვა. ყოველ შემთხვევაში, როგორც კი იმ ატომური ყუმბარის ჩამოგდების შემდეგ თქვეს: „ჩვენ ამით სამსახური გავუწიეთ ეშმაკსო“, მე თითქოს ი მ ი ს ი ხ მ ა გავიგონე:

— ცდებით, ბატონებო, ცდებით! ჯოჯოხეთს სულაც არ სჭირდება ამგვარი სამსახური.

— ამბობენ, რომ თქვენ დაეუფლეთ იმათ გონებას, ვინც ის ჯოჯოხეთის მანქანა შექმნა, — გავიფიქრე გუნებაში.

— ცრუობენ, მე გეუბნებით, რომ უსირცხვილოდ ცრუობენ! — მიპასუხა მან, — ეს მათი ამპარტავნული გონების შე-

ფეგია, ახლა კი უნდათ, სხვას გადააბრალონ: ჩვენ რომ არ ვაგვეკეთებინა, სხვები გააკეთებდნენო. თითქოს ეს „სხვები“ თვითონ არ იყვნენ.

— იმათ სიკეთე უნდოდათ კაცობრიობისათვის, — ამ დავუთმე მე, მაგრამ არც ის მომეშვა:

შესაძლებელია სიკეთე უნდოდათ, მაგრამ ბოროტება გამოუვიდათ; მე კი, მოგეხსენებათ, ბოროტება მინდოდა და სიკეთე გამომდიოდა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ამ ორიდან რომელი სჯობს?

მე, მართალი გითხრათ, არაფერსაც არ ვფიქრობდი. არც მათი „საქმისა“ მესმოდა რამე, ამიტომ იმ „მეორესაც“ ადვილად დავაღწიე თავი და ისევ ჩემს საქმეებს დავუბრუნდი, მაგრამ სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ვისთანაც არ უნდა მელაპარაკა, სულ ეს ხიროსიმა და ნაგასაკი მესმოდა. ისიც შეენიშნე, რომ ამერიკელები ამ სიტყვებს დაუფარავი სიამაყით წარმოთქვამდნენ. სხვები შეძრწუნებული იყვნენ. ერთიანს მარკოვმაც შეუცვალა თავის ბილწსიტყვაობას მისამართი და „ფრიცებზე“ უფრო „იანკებს“ „ნათლავდა“. სკეპტიკოსებმა ხომ სულ გადაიწურეს იმედი.

— ბოროტება ურჩხულივითაა, —მითხრა ერთმა მათგანმა,—რამდენ თავსაც მოჰკვეთ, ორი იმდენი ამოვა. რომ გგონია, დავთრგუნეო, უფრო ძლიერი წამოდგება. სიკეთე კი ვერ უძლებს ბოროტების ამგვარ მოძალებას. მართალია, ზოგიერმა Homo scientificus-მა სცადა წინ აღდგომოდა ატომურ აფეთქებას, მაგრამ დამარცხდა, რადგან ცხოვრების საქმე უფრო ძლიერების ხელთ აღმოჩნდა. იმათ კი ერთსულოვნება აკლდათ. ერთი თუ არას ამბობდა, მეორე განაგრძობდა. ეწმენა, რომ ყველამ შეიძლება ერთად თქვას „არა“, ილუზია ეფილა. როგორც ჩანს, არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს სიკეთის მსახურიც იყო და ბოროტებისაც...

ალბათ, ასეცაა, ჰაიზენბერგმა და ნილსბორმაც კი მოინდომეს სწავლულთა ისეთი საერთაშორისო ორდენის დაარსება, რაც გამორიცხავდა მეცნიერების მიღწევების ბოროტად გამოყენებას პოლიტიკოსების მიერ, მაგრამ რა გამოვიდა? არა-

ფერი! ტელერი და მისთანები ამ შემთხვევაშიც უფრო ძლ
ერნი აღმოჩნდნენ. ოპენჰაიმერის პროცესის შემდეგ მისი კ
ლეგები ისევე არ ართმევდნენ მას ხელს, როგორც ნიურ
ბერგელი ბრალდებულები კალტენბრუნერს, მაგრამ ს ა ქ ა
რომ მოითხოვდა, მაინც ერთად მუშაობდნენ. ამით ატომ
ყუმბარას წყალბადის ყუმბარა მოჰყვა და სიტყვა „ხიროს
მამ“ ტოტალური საშიშროების ხასიათი მიიღო. ეს „ატომ
რი შიში“ რადიაციის სხივებივით გავრცელდა მთელ მსო
ლიოში და მრავალ ღირებულებათა გადაფასება გამოიწვ
ამჟამად კი ამგვარი „ინტელექტუალური სიგიჟე“ იქამდე მ
ვიდა, რომ ვიღაცის გამოანგარიშებით, ერთი ადამიანის მოკ
ლა თანამედროვე ომში მილიონ დოლარზე მეტი ჯდება.

მილიონი დოლარი ერთი ადამიანის მოკვლისათვის!!!

...ეს, უწინარეს ყოვლისა, Homo scientificus-ის მოღვ
წეობისა და, საერთოდ, მეცნიერების მოღვაწეებისადმი პეს
ბისტურ დამოკიდებულებაში გადაიზარდა. მართალია, მაგ
ლელბრიუკი ამას „ცხოველმყოფელ პესიმიზმს“ უწოდებ
მაგრამ კითხვაზე, საერთო ჯამში მოაქვს თუ არა მეცნიერ
ბას რამე სარგებლობა კაცობრიობისათვის, უპასუხებს: საე
ვოაო. იგი ასე მსჯელობს:

— ადამიანმა ევოლუციისაგან მიიღო იმაზე მეტი, ვიდრ
ითხოვდა. ამან გამოგვიყვანა გამოქვაბულებიდან კოსმოსშ
რაც შეიძლება ჩვენი დაღუპვის მიზეზადაც იქცეს...

როგორც ჩანს, ხიროსიმასა და ნაგასაკის რადიოაქტიურ
გამოსხივებამ ტვინის უჯრედებზეც იმოქმედა.

ნიურნბერგის პროცესის წინაშე ჰიტლერელთა დანაშაუ
ლების შემაძრწუნებელი სურათი რომ გადაიშალა და ი
ატომური აფეთქებაც მოხდა, ფრანგმა ბრალმდებელმა მენ
ტონმა განაცხადა, „ეს უწინარეს ყოვლისა, გ ო ნ ე ბ ი ს დ
ნ ა შ ა უ ლ ი ა ო“. კაცმა რომ თქვას, ეს არც ისე მოულოდ
ნელი იყო. გონება ადრეც დაუყენებიათ სამსჯავროს წინაშ
ამის მაგალითად მარტო ინკვიზიციის გახსენებაც კმარა. ნ
ურნბერგში კი თვით ინკვიზიტორების პროცესი იწყებოდ

12 აგვისტოს ყველა „მონსდორფელი“ მოაგარაკე სპეციალური თვითმფრინავებით ჩაიყვანეს ნიურნბერგში. ისინი ოავიანთ „მეხანძრეს“ ვერც აქ ასცდნენ. ენდრიუსი ახლა ნიურნბერგის ციხის უფროსად დაინიშნა. ეს ციხე ზედ იუსტიციის სასახლეს აკრავს და მიწისქვეშა გვირაბითაა მასთან შეერთებული. ჰაერიდან რომ დახედოს კაცმა მთელ კომპლექსს, ვარსკვლავისებური ფორმა აქვს. შიგნით კი ისეა მოწყობილი, როგორც ტრადიციული გერმანული ციხეები...

...მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სია ოფიციალურად 29 აგვისტოს გამოცხადდა. სიაში 24 კაცი იყო შეტანილი: გერინგი, ჰესი, რიბენტროპი, ლეი, კაიტელი, კალტენბრუნერი, როზენბერგი, ფრანკი, ფრიკი, შტრაიხერი, ფუნკი, შახტი, კრუპი, დენიცი, რედერი, შირახი. ზაუკელი, იოდლი, ბორმანი, პაპენი, ზეის-ინკვარტი, შპეერი, ნოირატი, ფრიჩე. ეს სია, როგორც ვხედავთ, ალფავიტის მიხედვით კი არ არის დალაგებული, არამედ რანგის მიხედვით. ამიტომ გერინგი, როგორც იქნა, ციხეში მაინც გახდა „პირველი კაცი“. ამიტომაც იკისრა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა „ოცეულის“ მეთაურობა.

ენდრიუსმა ყველა მათგანი ცალკე საკანში მოათავსა და გესლიც მიაყოლა:

— იყო დრო, როცა ესენი ევროპაშიც ვერ ეტეოდნენ, ახლა კი მათ „სასიცოცხლო არეს“ ორიოდ მეტრი სიგრძე და სიგანე აქვსო...

ენდრიუსის ზოოპარკი...

ერთხელ, სრულიად შემთხვევით, მეც მომეცა საშუალება, მთავარ სამხედრო დამნაშავეთა ეს უკანასკნელი რეზიდენცია დამეთვალიერებინა. საღამოობით ჩვენი დელეგაციის რომელიმე ოფიცერთაგანი „ალავერდში“ რჩებოდა სამორიგეოდ. ხშირად შემოდიოდნენ სტუმრები სხვა დელეგაციებიდან და საჭირო იყო გამასპინძლება. საამისოდ ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონდათ. სასადილოში ერთი მაგიდა

„მუდამ მზადყოფნაში“ იყო. თუ ვინმე შემოვიდოდა, მზარეულები იმწამსვე დატრიალდებოდნენ ხოლმე და ადგილობრივი რესურსების გარდა, „რუსული არაყითაც“ ისახელებდნენ თავს. ეს „რუსული ეგზოტიკა“ სხვაზე უფრო მეტად ნიურნბერგის ციხის უფროსს, პოლკოვნიკ ენდრიუსს იზიდავდა და ამიტომაც იგი „ალავერდის“ ხშირი სტუმარი იყო. იმ დღესაც, როცა მე ვმორიგეობდი, ორი ოფიცრის თანხლებით შემოვარდა, ზომაზე მეტი დალია, იხუმრა, „ძმობა“ შემომფიცა და ენის ბორძიკით ასეთი ტრიადა წარმოთქვა:

—ვინ ვარ მე? ა, ვინ ვარ? ამერიკელი? ვარ ამერიკელი. პოლკოვნიკი? პოლკოვნიკიც ვარ, ციხის უფროსი? — არა, ციხის უფროსი არა ვარ... აბა, ვინ ვარ? მე ვარ ერთადერთი... ჰო, ერთადერთი, — აქ ენა დაება და ისევ კითხვა დასვა — რა ერთადერთი? ჰო... დიახ... მე ვარ მსოფლიოში... სად? მსოფლიოში, დიახ, მსოფლიოში ერთადერთი, —შეჩერდა და ისევ იკითხა: რა ერთადერთი?.. ჰო, ერთადერთი პოლიტიკური ზოოპარკის უფროსი, დიახ, პოლიტიკური ზოოპარკისა... ისინი ჩემთან არიან... ის ნაცისტი ღორები, რკინის გალიაში მყავს გამომწყვდეულნი... გინდათ ნახოთ? გინდათ?— გამიმეორა კითხვა, მაგრამ მე არ ვიცოდი, სიმთვრალის გამო ამბობდა ამას თუ მართლა უნდოდა თავისი „ზოოპარკი“ ეჩვენებინა.

— რა ვიცი, — ვუპასუხე მე, — განა ეს შესაძლებელია?

— შესაძლებელია? რა არის შესაძლებელი? — აბურტყუნდა იგი,—ჰო, დიახ, შესაძლებელია, როგორ არ არის შესაძლებელი. ვარ მე პოლკოვნიკი ენდრიუსი? ვარ. ზოოპარკის უფროსი ვარ? ვარ. მაშასადამე, შესაძლებელია... დაასკვნა მან. შემდეგ ამღვრეული თვალებით ჩამაცქერდა და დაუმატა:

— ჩვენ ხომ ძმები ვართ, მოკავშირეები... სტალინგრადი! მაშასადამე, შეიძლება. ხვალ დილით მოდით, მუშაობის დაწყებამდე ერთი საათით ადრე და გაჩვენებთ...

მე მაინც არ მჯეროდა და შევეკითხე:

— მართალს ამბობთ?

— პოლკოვნიკი ენდრიუსი ყოველთვის მართალს ამბობს, როცა უნდა, ხოლო როცა არ უნდა, არაფერსაც არ ამბობს, გასაგებია?

— მაშ, მოვალ, მაგრამ დაგამახსოვრდებათ, რასაც შემპირდით?

— ალმაცერად შემომხედა და გაღიმება სცადა:

— ენდრიუსი დალევს, ენდრიუსი დათვრება, მაგრამ ენდრიუსს ყველაფერი ახსოვს, რასაც პოლკოვნიკი ენდრიუსი ამბობს.

— კეთილი, მაშ მოვალ!..

— ო, კეი! ძმები ვართ, სტალინგრადი... გაუმარჯოს მოკავშირეებს! — და კიდევ ერთი ჭიქა არაყი გადააპირქვავა... მერე ოფიცრებმა ხელი მოჰკიდეს და წაიყვანეს. წასვლისას ერთმა მათგანმა მითხრა, ხვალ დილით მე შეგხვდებით კარებთანო. მადლობა გადავუხადე...

... მეორე დღეს, დილაადრიანად, ორი „მოხალისის“ თანხლებით მივადექი ციხის კარებს. ის ოფიცერი მართლაც შეგვხვდა. ეზოში შეგვიძღვა. ენდრიუსი უკვე იქ იდგა. ჯერ მომესალმა, მერე გაიცინა და თქვა:

— პოლკოვნიკ ენდრიუსს კარგად ახსოვს, გუშინ ერთს რომ შეჰპირდა და არა სამს.

— მე ვიფიქრე, პოლკოვნიკ ენდრიუსს მაშინ ერთი სამად ეჩვენებოდა-მეთქი, — ვიხუმრე.

როგორც ჩანს, ეს ხუმრობა მოეწონა, მხარზე ხელი დამკრა და თქვა:

— ო, კეი, ამ დღეებში ისევ მოვალ და ეცადეთ, ერთი ხუთად მომაჩვენოთ!

— სამაგიერო რა იქნება? — ვკითხე მაშინვე.

— სამაგიეროდ ერთ-ერთ კვირა დღეს ლანდსბერგში წაგიყვანთ ჩემი ზოოპარკის ფილიალის დასათვალიერებლად.

ესეც კარგი პერსპექტივა იყო. ლანდსბერგის ციხეზე ბევრი რამ გამეგონა. როგორც უკვე გიამბეთ, 1923 წლის „პუტჩის“ შემდეგ ჰიტლერი ამ ციხეში ჩასვეს და აქ დაწერა მან, ჰესთან ერთად, „ჩემი ბრძოლა“. ომის შემდეგ ამერიკელებმა

გერმანიის ინტერნირებული უმაღლესი ოფიცრების ბანაკი მოაწყეს. თითქმის ყველა ტყვე გენერალი და ფელდმარშალი აქ ჰყავდათ „გალიაში“ გამომწყვდეული და, ცხადია, ჩემი ჭირვეული ცნობისმოყვარეობა არც ამ „სიამოვნებაზე“ იტყოდა უარს.

ახლა კი „ზოოპარკის“ ძირითადი კორპუსის დათვალიერება მოგველოდა...

...უზარმაზარი ეზო გავიარეთ და მრავალსართულიანი მძიმე შენობის რკინის კიბეებს ავყევით. მერე ერთ გრძელ დერეფანში შევუხვიეთ და შევჩერდით. ციხე ყველგან ციხეა და მისი საკნებიც ყველგან ერთნაირადაა მოწყობილი: ვიწრო ოთახი, ვიწრო ფანჯარა, ასეთივე კარები, სათვალთვალო ხვრელი და რკინის ბადეები. საერთოდ მიღებული არ არის და არც ნიურნბერგშია „ლუქს-კამერები“ მაღალი თანამდებობის პირებისათვის. ვინც აქ მოხვდება, ყველა თანაბარია, ყველას ერთი სახელი აქვს— პატიმარი— და ერთი ბრალდება — დამნაშავე. რაიხსმარშალი თუ უბრალო მოხელე აქ ერთგვარ რეჟიმში ხვდება და ერთნაირ წესს ემორჩილება. ციხის შიდა მოწყობილობაც ერთნაირია, მაგრამ ამ საგანგებო შემთხვევაში ზოგი რამ შეიცვალა, რომ თვითმკვლელობის ყოველგვარი საშუალება მოესპოთ პატიმრებისათვის: ელექტროგაყვანილობა ისე გააკეთეს, რომ სინათლე გარედან შემოდიოდა, რკინის სკამები იატაკზე დაამაგრეს, მაგიდები კიდევ უფრო დაადაბლეს, რომ იქიდან გადმოხტომით, საბოტაჟის მიზნით, თავი არ დაეზიანებინათ. სასაცილო შესახედავი კი იყო უზარმაზარი გერინგი, კაიტელი თუ კალტენბრუნერი დაბალ საბავშვო მაგიდებთან რომ ისხდნენ. წინ ფანქრები, საოჯახო ფოტოები, საპონი, კბილის ფუნჯი და სხვა ამგვარი ნივთები ეწყოთ. ყოველ დილით, ამერიკელი სამხედრო პოლიციელის ზედამხედველობით, მათ წვერს პარსავდა გერმანელი პარიკმახერი. კვირაში ერთხელ დანიშნული ჰქონდათ აბაზანა, რაც აგრეთვე რთული პროცედურით სრულდებოდა. საკანს ყველა თვითონ გვიდა და ტუალეტსაც თვითონ ასუფ-

ავებდა. ამის გამო იყო, რომ ნიურნბერგის ციხეში მყოფმა ფელდმარშლებმა და გენერლებმა — გერინგმა, კაიტელმა, იოდლმა, რუნდშტედტმა, გუდერიანმა და სხვებმა ოფიციალური პროტესტიც განაცხადეს ამის გამო. სამხედრო ტყვეების მოპყრობის შესახებ ჟენევის კონვენციაც გაახსენდათ გაჭირვების დროს, მაგრამ ენდრიუსმა ამაზე უპასუხა:

— ეს იმას ჰგავს, ეშმაკს რომ ციტატები მოჰყავდეს წმიდა წიგნებიდანო.

მან არაერთხელ აუხსნა თავის „მრევლს“, რომ ისინი უკვე სამხედრო ტ ყ ვ ე ე ბ ი კი არ არიან, არამედ სამხედრო დ ა ნ ა შ ა ვ ე ნ ი, რომელთაც სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით ასამართლებენ და არა საერთაშორისო კონვენციებით.

გერინგი ისევ ჩხუბობდა, ენდრიუსმა ნარკოტიკები რატომ ჩამომართვაო, მაგრამ „მეხანძრე“ ყურსაც არ უგდებდა მას. უკვირდა კიდეც, ის „სქელი ჰერმანი“ ნარკომანისაგან რატომ ნვკურნე და მადლობის მაგივრად აქეთ მიჩივისო!

—მსოფლიოში არც ერთი ჰოსპიტალი არ ზრუნავს ისე ავისი პაციენტების ჯამრთელობასა და უშიშროებაზე, როგორც შე,—ხუმრობდა ენდრიუსი. მართლაც, ყოველგვარი ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად, სათვალეებს მხოლოდ მცირე დროით აძლევდნენ და ისიც მეთვალყურეობის ქვეშ.

—მტერს ფხიზლად უნდა უთვალთვალო, რადგან მასზე ნებეთ ვერავინ ამჩნევს შეცდომებსო, —ამბობდა ენდრიუსი. ბიმრები კი ვერა და ვერ შეეგუენ დიდების ზენიტიდან სიმაღლის სამართლის უბრალო დამნაშავის დონემდე დასვლას. გერინგი შეტევაზეც გადადიოდა, ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ ბელმწიფო მოღვაწეები ვართო. იგი ციხეშიც ნაპოლეონის ბიდილს ეთამაშებოდა და ენდრიუსს „აშინებდა“:

— ხომ იცით, ნაპოლეონის მეცხოვნეს დიდ იმპერატორთან უდიერად მოქცევისათვის რა მოუვიდა? თავის გასართლებლად მას ორი ტომი მემუარის დაწერა მოუხდა...

ამაზე ენდრიუსს მხოლოდ ეცინებოდა. იგი არც სხვებს

აძლევდა რამე „შეღავათს“. შახტი თხოვდა, სხვა განგსტერ
თან საქმე არა მაქვს და „ჯენტლმენებთან“ — ნოირატ
და პაპენთან შეხვედრის ნება მომეცითო.

—თუ თქვენს შორის რამე განსხვავებაა, ტრიბუნალი
არკვევს, ეს მე არ მეხებაო, — უპასუხა ენდრიუსმა. ტუსაღ
იგი ერთმანეთთან საუბრის უფლებას მხოლოდ ციხის ეზო
სეირნობის დროსა და სასადილოში აძლევდა. მათ შეეძლ
სურვილისამებრ მოეთხოვათ წიგნები ციხის ბიბლიოთეკიდ
სარგებლობდნენ კიდეც ამ უფლებით: ჰესი სულ ბულვარ
რომანებს კითხულობდა, რიბენტროპი —ჟიულ ვერნს, შტრ
ხერი — გერმანელ პოეტებს (!), შირახი — ტენისონს, პაპენ
რელიგიურ ლიტერატურას. „მორწმუნეთათვის“ ციხ
რაღაც სამლოცველოს მსგავსიც მოაწყვეს, რისთვისაც სამი
ყანი გააერთიანეს, ამერიკელი მღვდელიც მოიწვიეს და... ე
რიუსი ისევ სიცილით კვდებოდა, ეშმაკები ღმერთს ევედ
ბიან, ამ ჯოჯოხეთისაგან დაგვიხსენიო. ზოგი მართლაც ე
კობდა: ღმერთი და ლოცვა სულაც არ ეპიტნავებოდათ, მაგ
ერთმანეთთან შეხვედრის შესაძლებლობას არ უშვებდნენ
ლიდან...

...ტუსაღები აქაც კვებას უჩიოდნენ. ჰესი სულ იმის ზრ
ვაში იყო, მარგარინის ნაჭერი კარაქით შეეცვალა. მარგარ
მარილიანია და მწყენსო. რომ არ უცვლიდნენ, წყალში დებ
და მარილს აცლიდა ან გერინგს უგზავნიდა თავის ულუფ
მას ნიურნბერგშიც პანიკური შიში ჰქონდა, მომწამლავ
და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ყველაფერს. ერ
ხელ ასეთი „ექსპერიმენტიც“ ჩაატარა: თავისი ულუფა სხვ
გაუგზავნა, აბა, თუ მოწამლავსო. იგი რატომღაც იატა
დაწოლილი ჭამდა. რომ ჰკითხეს, რატომო, ასე უფრო მო
ხერხებელიაო,—უპასუხა. სულ იმის ცდაში იყო, იმაზე მ
და უკეთესი ულუფა მიეღო, ვიდრე ეკუთვნოდა. ზედამხედ
ლი პურს, ყავას და შაქარს რომ ჩამოარიგებდა, ჰესი კა
სარკმლიდან გრძელ ხელს ჰყოფდა და ერთის მაგივრად
ნაჭერ შაქარს „იტაცებდა“. პურს რომ გაუწვდიდნენ, არ იღ
და, ახლოს მოიტანეთ სარკმელთან და მე თვითონ ამოვირ

ვო. ამბობენ, კუჭის წყლულს იმიტომ იგონებდა, რომ უკეთესი საჭმელი მიეღოო. სხვა მხრივაც უცნაურად იქცეოდა. საკნის ოთხივე კედელზე გაკეთებული ჰქონდა წარწერა: „დაიცავით სიჩუმე!“ თვითონ იჯდა და თავისი ახალი ვილის პროექტს ხაზავდა. მერე ესეც მიატოვა და ნიურნბერგის პროცესზე სიკვდილით დასასჯელთა მომავალ საფლავებზე დასადგმელი ძეგლის პროექტი შეადგინა...

გერინგი გულმოსული უფრო იმიტომ იყო, რომ ნარკოტიკებს არ აძლევდნენ; გენერლები.— კაიტელი და იოდლი უკადრისობდნენ ცოცხისთვის ხელის მოკიდებას და საკნის გამოგვას; შახტი მარტოობას უჩიოდა და ისევ ნოირატთან თუ პაპენთან შეხვედრას ცდილობდა; სხვებს ან სადილი არ მოსწონდათ, ან მაგარი საწოლი აწუხებდათ...

ენდრიუსი მშვიდად იტანდა პატიმრების, ანუ ვიპ-ების პრეტენზიებს. WP — Wichtige Personen — მნიშვნელოვან პირებს ნიშნავს და ასევე ეძახდა იგი თავის ცოცხალ „ექსპონატებს“. აუღელვებლად უარყოფდა მათ ქედმაღლობას და ირონიული ღიმილით მოაგონებდა, რომ პატიმრები არიან და არა ჯენტლმენები. თანაც უხსნიდა, მე თქვენს უშიშროებასა და ჯანმრთელობაზე ვზრუნავ, რისთვისაც მადლობას ვიმსახურებ და არა საყვედურსო...

...პირველად გერინგის კამერაში შევიხედე: პარიკმახერი წვერს პარსავდა. კალტენბრუნერს გარდა ისინი ყოველდღიურად იპარსავდნენ წვერს. კალტენბრუნერი კი თითით წრეს შემოიხაზავდა ხოლმე კისერზე, ვითომ მარყუჟიაო და პარიკმახერს ეუბნებოდა, ამისთვის სულერთია, წვერიანი იქნები თუ უწვეროო...

შემდეგ სხვების კამერებშიც შევიხედე: რიბენტროპი ბოლთას სცემდა, ჰესი კითხულობდა, როზენბერგი იწვა და ჭერს მისჩერებოდა, კაიტელი — ფანჯარას, შირახი გულხელდაკრეფილი იდგა და რაღაცაზე ფიქრობდა. პაპენი და ნოირატი სქელტანიან წიგნებს კითხულობდნენ. ცნობისმოყვარეობამ უცებ გამიარა. მერე მეუხერხულა კიდეც ასე ჭუჭრუტანიდან

ყურება და თავს ვარიდებდი, სხვები კი იდგნენ და კარგა ხანს აკვირდებოდნენ მათ. ნიურნბერგის ციხეში, გარდა სამხედრო დამნაშავეებისა, სხვაც ბევრი იყო: სახელმწიფო მოღვაწეები, ფელდმარშლები, გენერლები. ენდრიუსს ვთხოვე, რუნდშტედტისა და მანშტაინის საკნებიც ეჩვენებინა. სიამოვნებითო, მითხრა ჩვენ კიდევ ერთხანს ვიტრიალეთ ენდრიუსის „ზოოპარკში“. მერე გვირაბს გამოვყევით და პირდაპირ იუსტიციის სასახლეში გამოვედით.

საყდარი დასაწყისისაკ...

აქ ხალხი ფუტკარივით ირეოდა. სამუშაო ოთახში რომ შევედი, გამომიძახეს და ისევ მოულოდნელი დავალება მომცეს. მე, როგორც მივლინებაში მყოფს და არა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის აპარატის წევრს, შემეძლო ზოგ რამეზე უარი მეთქვა, მაგრამ მიოხრეს, საკითხი შეთანხმებულია თქვენს უფროსებთან, ბერლინშიო. აქაც ერთ თოკს მეორე გამოება. ფრანკის დღიურებზე რომ მოგახსენეთ, იმისი დამუშავება იყო საჭირო, თან, მეტად საჩქაროდო, მითხრეს. შემდეგ ალექსანდროვმა შემატყობინა, რომ ჩემთან ერთად იმ დღიურებზე იმუშავებდა პოლონეთიდან სპეციალურად მოვლინებული იურისტი პიოტროვსკი...

ამბობენ, ადამიანს თავისი ბიოგრაფია სახეზე აწერიაო. ეს პიოტროვსკიზეც ითქმოდა: ერთი საცოდავი გარეგნობის კაცი იყო, დაახლოებით 50 წლისა; ჩია, გამხდარი, სათვალიანი, საოცრად მოკრძალებული და მუდამ რაღაცით შეშინებული. რუმინელი პარუმბაკუს შემდეგ ასე მოსიარულე კაცი არ მინახავს. სიარულის დროს სულ უკან-უკან იხედებოდა, ყველას ქუდს პირველი უხდიდა და ისე უცნაურად მიხტუნაობდა, თითქოს ძაღლები მიესივნენ და იგერიებსო. ერთხელ ვკითხე კიდეც:

—პანე, თქვენ ისე დადიხართ და შეშინებული იყურებით აქეთ-იქით, თითქოს ვიღაცები მოგდევენ!

პიოტროვსკიმ ჩინებულად იცოდა გერმანული ენა, მაგრამ ისე ეზიზღებოდა, რომ ჩემთან მხოლოდ თავისი უცნაური რუსულით ლაპარაკობდა, ეტყობოდა, სიტყვების მარაგს გვარიანად ფლობდა, მაგრამ გრამატიკაზე წარმოდგენა არა ჰქონდა. ახლაც შეშინებულმა შემომხედა და ჩუმად მითხრა:

—კარგი შენიშვნაა, ჩემი ბატონი, ნამდვილი ასეა, მე კოშმარები აქვს, სულ ეშინია, სულ ეშინია, ვითომ ისევ გესტაპო ხარ. გამოგეკიდა ძაღლები, მე გარბიხარ, ძაღლები დაგიჭირე, დაგკბინე, მერე გაიღვიძე, ისევ ხედავ ძაღლები, კბილებით ღრრ... ღრრ... მე გარბიხარ, ვერ გაექეცი, კოშმარია, ჩემი ბატონი, კოშმარი...

—რამდენი ხანი იყავით საკონცენტრაციო ბანაკში?

—სამი წელი, პანე, სამი წელი და ორი თვე.

მე არ მინდოდა მისთვის ეს კოშმარული წლები შემეხსენებინა, მაგრამ თვითონ მოყვა...

— სამი წელი იძახე: „მე პოლონელი ღორი ხარ“, სამი წელი რაბოტაი, ქვები ათრიე, სულ ცემა და სულ რაბოტაი, თუ გაჩერდი, ისევ გცემე. თუ არ რაბოტაი, პაჰ!.. პაჰ!.. და მოგკალი, მერე კრემატორიუმში დაგწვი და კვამლი გაგატანე. მე იფიქრე, რა ბედნიერი ხარ ის კვამლი... ცაში თავისუფლად წახვედი. ეხ, როგორ გინდა, მეც თავისუფალი წახვედი, მაგრამ ისევ მცემე, ისევ რაბოტაი... მარტო კვამლი წახვედი თავისუფალი, კაცი არა...

—მანამდე სად მუშაობდით?

—კრაკოვის უნივერსიტეტი, სამართლის პროფესორი, — მიპასუხა მან.

ლაპარაკის დროს მთელი ტანი უცახცახებდა, სახეს ნერვულად კრუნჩხავდა, ცალ თვალს ჩქარ-ჩქარა ახამხამებდა.

—რვა წიგნი დაგწერე სამართალში, მაგრამ ვის გინდა სამართალი, გერმანელი არ გიყვარს სამართალი. პოლონელი კი სულ არ გინდა არაფერი, დაგიჭირე, მოგკალი, დაგწვი, სამართალი რად გინდა, შენ არ დაგსაჯე, პასუხი არ მოგთხოვე...

ისე გამტანჯა იმისმა რუსულმა, რომ გერმანულად ვკითხე:

—ცოლ-შვილი თუ გყავთ, პან პიოტროვსკი?

უხალისოდ, მაგრამ მაინც გერმანულად მიპასუხა:

— მყავდა ცოლი, ორი შვილი, ყველა დამეტუპა, ახლა არავინაც არა მყავს, მარტო ვარ და, არ გაგიკვირდეთ, მაინც მინდა ვიცხოვრო, იქნებ მოვესწრო სამართალს.

— ნუ გეშინიათ, მოესწრებით! — ვითომ ვანუგეშე, მაგრამ მაშინვე გამაჩერა.

—ჩემზე კი არ მოგახსენებთ, ბატონო, ჩემთვის სამართალს რაღა აზრი აქვს... ხალხისათვის მინდა, ადამიანებისათვის, ყველა უუფლებო და დაჩაგრულისათვის, ეჰ, ბატონო, რა დიდებული რამეა სამართალი! კაცობრიობას ამაზე უკეთესი არაფერი მოუფიქრებია. არისტოტელემ ბრძანა, სახელმწიფოს უმაღლესი სიკეთე სამართლიანობაა. სრული ჭეშმარიტებაა, სამართალია ყველაფრის სათავე, „რამეთუ სიმართლით განემზადების საყდარი დასაწყისისაჲ“. იგი ანიჭებს ადამიანებს თავისუფლებას, უზრუნველყოფს მათ კეთილმყოფობას, საშუალებას აძლევს ყველას იცხოვროს, იშრომოს და იხალისოს. მშვიდობა სამართლიანობის ნაყოფია. სადაც სამართალი არ არის, იქ არც მშვიდობაა, არც თავისუფლება, არც სიკეთე და არც სიხალისე. იქ არაფერი არ არის, ძალისა და ჩაგვრის მეტი.

—განა ადვილია ასეთი საყოველთაო სამართლის დამყარება?

ადვილი კი არა, ახლა იმას ვფიქრობ, რომ შეუძლებელია. როგორც ჩანს, სამართალი გონების ფიქციაა, ფარისევლობა. ადამიანებს სამართლისაკენ მიდრეკილება უფრო აქვთ, ვიდრე მისი აღსრულების უნარი. ისინი სასამართლოს იმიტომ იგონებენ, რომ უსამართლობა დააკანონონ. აბა, როდის ყოფილა ამ ქვეყნად სამართალი? ძველი აღმოსავლეთიც ადგენდა სამართლის კოდექსებს, მაგრამ, რაკი ძალა წინ უსწრებდა უფლებას, ეს ხელს არ უშლიდა დესპოტიზმის განვითარებას. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. სადაც ძალას აქვს უფლება, იქ უფლებას არა აქვს ძალა. საქვეყნოდ ცნობილია რომის სამართალი, მაგრამ ეს ხომ მონათმფლობელობის სამართალი იყო. მერეც, სამართალს არასოდეს არ დაუთრგუნავს უსამართლობა, არც კანონებს მოუსპია უკანონობა... მაშ, რისთვის დგება

ამდენი კოდექსები და პარაგრაფები, რისთვის იღვწიან მთელი მსოფლიოს იურისტები? ვითომ სამართლიანობისათვის? არა, ჩემო ბატონო, ისინი საკუთარი კეთილდღეობისათვის იბრძვიან. ვისაც უფლებას ანიჭებენ, კანონებიც იმათ ინტერესებს იცავს, სხვები კი არავის ენაღვლება. მათთვის უფლება და კანონი არ არსებობს. ამბობენ, სამართლიანი ის არის, ვისაც ბევრი ხელები და იარაღი აქვსო. ასეცაა, ხომ ხედავთ, როგორი სახელმწიფოს შექმნა უნდოდა ფრანკს პოლონეთში, —სახელმწიფოსი, რომელიც თავისუფალი იქნებოდა სამოქალაქო კანონმდებლობისა და უფლებისაგან. ეს ხომ ველურობის აღორძინებაა, უარესი, ვიდრე მონათმფლობელობა. იურისპრუდენციის მთელ ისტორიას არ ახსოვს ფრანკისებური ამორალური პიროვნება და ის იყო ჩემი ქვეყნის საოკუპაციო მთავრობის მეთაური. ღმერთო ჩემო, რამდენი უბედურება გადაიტანა ჩემმა ხალხმა! ჩვენს ისტორიაზე რომ ვფიქრობ, მრცხვენია კიდეც წარმოვთქვა სიტყვა „სამართალი“...

...პიოტროვსკის გვერდით მუშაობა არც ისე ადვილი იყო. წაიკითხავდა თუ არა რამე საშინელებას ფრანკის დღიურებში, მთელი ტანი აუკანკალდებოდა ხოლმე, ზოგჯერ ისტერიაც მოსდიოდა და მის დაწყნარებას ვუნდებოდი...

საქმე კი რატომღაც გვაჩქარებდა. ფრანკის დანაშაული ისედაც ნათელი იყო, ყველამ იცოდა, რა საშინელი ტრაგედია დატრიალდა პოლონეთში მისი გუბერნატორობის დროს, როგორ დახოცეს მილიონობით უდანაშაულო ადამიანი. აბა, ერთ კაცს ბრალდებად მარტო ოსვენციმისა და მაიდანეკის ხსენებაც არ ეყოფოდა? მაგრამ წესი წესია, ყოველივე ამის დასამტკიცებლად ტრიბუნალის წინაშე საბუთები იყო საჭირო. ეს საბუთები კი მაშინ, წინასწარი დაკითხვების დროს, დამუშავებული არ გვქონდა. ეს შენიშნა ფრანკმა და, როგორც სასამართლო საქმეებში გამობრძმედილი კაცი, ეშმაკურად მოიქცა. მე მარტო სამოქალაქო ხელისუფლება მემორჩილებოდა, არმია და, განსაკუთრებით, გესტაპო რას აკეთებდა, ეს ჩემთვის უცნობიაო, —ამბობდა იგი. ფრანკი იმასაც უარყოფდა, რამე დამო-

კიდებულება თუ ჰქონდა საკონცენტრაციო ბანაკებთან. ცხადია, ყველამ იცოდა ამ ზღაპრების ფასი. ყველაფერი იმთავითვე იყო გარკვეული. პროცესზე წაიკითხეს ჰიტლერის სახელმძღვანელო დებულება:

ამ ომის მიზანი განსაზღვრულ საზღვრებამდე მიღწევა კი არ არის, მოწინააღმდეგის ფიზიკური მოსპობაა. პოლონეთი განხალხებული იქნება და დასახლებული გერმანელებით...

ჩვენ უკვე ვიცით, რასაც ნიშნავს დაპყრობილი ტერიტორიების „განხალხება", სხვაგვარად—„დენაციონალიზაცია", მაგრამ ეს სხვა ხალხებსაც შეეხებოდა, პოლონელებისათვის კი ზოგადი ცნება „Entvölkerung" (განხალხება) და „Denationalisation" („დენაციონალიზაცია") ასე დააკონკრეტეს: „Depolonisierung" (განპოლონურება). ფრანკიც ამას ასრულებდა, მაგრამ წინასწარ დაკითხვებზე უარყოფდა, რომ ეს „განხალხება" მოსპობას ნიშნავდა. არა, ჩვენ მათი სხვაგან გადასახლება გვინდოდაო. ფრანკის დამცველი ზაიდლიც მხარს უჭერდა ამ ზღაპარს. რაღაც საბუთებსაც იშველიებდა, რომ ჰიტლერის გეგმის მიხედვით პოლონეთიდან უნდა გაესახლებინათ მთელი მოსახლეობის 85 პროცენტი, დაახლოებით 24 მილიონი კაცი. მერედა, სად უნდა წაეყვანათ ეს ამოდენა ხალხი?

აბა, ზღაპრები თქვენ ახლა ნახეთ: დასავლეთ ციმბირში, სამხრეთ ამერიკაში ან აფრიკის კოლონიებში! უფრო მეტი მომხრე ციმბირის ვარიანტს ჰყავდა, ვითომ, მონღოლების შემოსევამდე, იქ ევროპის კოლონიები იყოო.

თქვენ გგონიათ, ამგვარ ზღაპრებს ვინმე დაუჯერებდა?! ან თვითონ ჰიტლერელებს სჯეროდათ მისი? არა. ყველაფერი ეს საზოგადოებრივი აზრის თვალის ასახვევად იყო მოგონილი, თორემ ყველამ ვიცით, რა „ჯოჯოხეთური საქმე" იმალებოდა ამ „გადასახლების" ცნების ქვეშ: მოსპობა, სხვა არაფერი! ფრანკი კი ამას უარყოფდა, ამიტომაც იყო საჭირო მტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტები. ისე, თანახმად ტრიბუნალის წესდებისა, ყოველგვარი, თუნდაც „თავისთავად ცხადი" მტკიცება არ შეიძლებოდა მიღებული ყოფილიყო, როგორც ბრალდება. სამაგიეროდ, ფრანკის დღიურებმა ყვე-

ლაფერს ნათელი მოჰფინა და ტრიბუნალს თვალწინ გადაუშალა დანაშაულებათა ისეთი შემაძრწუნებელი სურათი, რომ ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა განაცხადა:

— სირცხვილის გრძნობის გარეშე არ შემიძლია ვთქვა, რომ ჰანს ფრანკი იურისტი იყოო.

ორსახოვანი იანუსი...

თვითონ ფრანკს კი წინასწარი დაკითხვების დროს არ ეტყობოდა, სირცხვილის გრძნობა ან სინდისის ქენჯნა თუ აწუხებდა. მართალია, იგი თითქმის მთელი ამ ხნის განმავლობაში შავ სათვალეს ეფარებოდა, მაგრამ მართლმსაჯულებამ მაინც მოჰფინა ნათელი სამხედრო დამნაშავეთაგან ამ ერთ-ერთ ყველაზე შემაძრწუნებელ ფიგურას. გარეგნულად იგი სრულიად არ ჰგავდა ბოროტმოქმედს, პირიქით, ინტელიგენტური გამომეტყველების, ლამაზი მამაკაცი იყო, იურიდიული აკადემიის პრეზიდენტის სავარძელში, ალბათ, სიმპათიურ შთაბეჭდილებასაც ახდენდა, მაგრამ რაც მე მის დღიურებში წავიკითხე, ყველაფერი ეს ამ შთაბეჭდილებას აქრობდა და დანაშაულებათა შემზარავ სურათს ქმნიდა.

ფრანკსაც პატივმოყვარეობის ჭია ღრღნიდა. მას უნდოდა, ისტორიისათვის დაეტოვებინა თავისი ცხოვრებისა და მოქმედების მატიანე. ამიტომ დღიდან პოლონეთის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნისა, შემოიღო დღიურების სისტემა. ამ დღიურებს მისი სპეციალური თანაშემწეები ადგენდნენ. მათ ევალებოდათ, აეწერათ ყველაფერი, რაც მის პერსონას შეეხებოდა: რას აკეთებდა, რას ლაპარაკობდა, რა განკარგულებებს იძლეოდა და სხვ. დღიურები ჩვეულებრივად ასე იწყებოდა: „დილის 9 საათია, ბატონი გენერალ-გუბერნატორი მობრძანდება თავის რეზიდენციაში... იგი შედის სამუშაო კაბინეტში და იხმობს ამას და ამას, აძლევს ამა და ამ განკარგულებას. შემდეგ აღრიცხულია, რას აკეთებს მთელი დღის განმავლობაში, რა თათბირს იწ-

ვევს, რას ამბობს ამ თათბირზე... ყველაფერი სტენოგრაფიული სიზუსტითაა ფიქსირებული, გადაბეჭდილი და დღიურებად აკინძული. ზოგჯერ ფრანკის პირადი ცხოვრების მემატიანენი იმასაც ცდილობენ, რომ ისტორიას შეუნახონ ასეთი ცნობები: ნაშუადღევის 5 საათია. ბატონი გენერალ-გუბერნატორი თავისი მანქანით მსახიობ ქალ №...-თან ერთად მიემგზავრება დასასვენებლად. დღიურები გვამცნობენ, როდის საუზმობდა იგი, როდის სადილობდა და ვახშმობდა, რა „ბრძნულ" სიტყვებს ამბობდა ამ დროს და სხვ. ამიტომაც ეს დღიურები მისი, როგორც ადამიანისა და მოღვაწის, მართლაც, ზუსტი ფოტოპორტრეტია...

...ახლა ჩვენს წინაშე ორსახოვანი იანუსის — ჰანს ფრანკის ორი ასეთი „ფოტოპორტრეტი" დევს: ვერავინ ვერ მიხვდება, რომ ეს ორი პორტრეტი ერთი და იგივე ადამიანისაა. პირველი პორტრეტის (ე. ი. საკუთარი ჩვენებების) მიხედვით, ფრანკი თითქოს ღვთისნიერი კაცია, მორწმუნე, ჰუმანური, ყოველგვარი სისასტიკის მოწინააღმდეგე და კანონიერების დამცველი. მის სახეზე აღბეჭდილია გონიერება, სამართლიანობა, კაცთმოყვარეობა. ესაა მხოლოდ, რომ იგი, თურმე, „პატარა კაცია" და ამიტომ არც ყოფილა ჰიტლერის ახლო თანამშრომელთა რიცხვში. არც ცდილობდა ამას, რადგან არ იყო პატივმოყვარე და ძალაუფლების მოტრფიალე. ფაქტიურად იგი კი არ განაგებდა დაპყრობილი პოლონეთის საქმეებს, არამედ სხვები. ვინ სხვებიო, რომ ჰკითხავდნენ, ამბობდა: არმიის სარდლობა, ესესელები და გესტაპოელებიო. კითხვაზე, თქვენ თუ გქონდათ მათთან რამე კავშირიო, ხელებს გაასავსავებდა და ამბობდა, არავითარიო. ზოგჯერ აღშფოთებასაც გამოთქვამდა, ასეთ საზიზღარ საქმეში როგორ მრევთო.

— კი მაგრამ, ოსვენციმი, მაიდანეკი, ტრემბლინკა, ბირკენაუ, რომელთა მარტო ხსენებითაც კი შეძრწუნებულია მთელი კაცობრიობა, თქვენს ტერიტორიაზე არ იყო? — შეეკითხნენ მას.

— ყოფილა, — ასწორებს იგი, — მჯერა, რომ ყოფილა, მაგრამ მე თვითონ არაფერი ვიცოდი ამის შესახებ.

— თქვენ თუ იცით, რამდენი კაცი დახოცეს ოსვენციმში ან მაიდანეკში?

— წარმოდგენაც არა მაქვს, — ამბობს იგი.

— რამდენი ებრაელი მოსპეს პოლონეთში? — აძლევენ ისევ მისთვის არასასიამოვნო კითხვას.

— დახოცვით არა, მაგრამ ვიცი, რომ ებრაელებს გეტოში ათავსებდნენ, — ვიცი კი არა, გაგონილი მაქვს, — ასწორებს იგი და უმატებს: გეტოები გესტაპოს განკარგულებაში იყო და ჩვენ მათ საქმეში არ ვერეოდით, არც გვქონდა ამის უფლება.

— აბა, რა შეადგენდა თქვენს უფლებას? — აზუსტებს გამომძიებელი.

— ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევა, რომ მათ შესძლებოდათ თავიანთი მოვალეობის უკეთესად შესრულება...

ასეთია ამ ორსახოვანი იანუსის ერთი სახე, რომელსაც წინასწარ დაკითხვებზე აჩვენებს გამომძიებლებს. ამასთან, თავი ისე მოაქვს, თითქოს გაუგებრობის შედეგია, თორემ რა აქვს მას ისეთი ჩადენილი, რომ პასუხისგებაში მისცენ ნაცისტ ხელმძღვანელებთან ერთად!..

ახლა კი მის მეორე პორტრეტს გავეცნოთ, გამომძიებელთათვის ისედაც კარგად ცნობილს, მაგრამ დოკუმენტურად მაინც ამ დღიურებში წარმოდგენილს. მე ახლაც ჟრუანტელი მივლის, როცა იმ დღიურებს ვიხსენებ. პიოტროვსკი ხომ სულ შეიშალა. იმან კარგად იცოდა, თუ რა უყვეს ნაცისტებმა მის ხალხსა და სამშობლოს, მაგრამ ამგვარმა ცინიკურმა გულახდილობამ სულ შეზარა. ჩვენ დღე და ღამ ერთად ვიყავით და ვარჩევდით ფრანკის სქელ ფოლიანტებს. საჭირო ადგილები მოვინიშნეთ, შემდეგ ამოვაბეჭდინეთ, ცალკე ავკინძეთ, ვთარგმნეთ და, როგორც საბრალდებო მასალა, გადავეცით დანიშნულებისამებრ. ასლი ამ დოკუმენტისა ახლაც ჩემს წინ დევს...

1939 წლის 12 ოქტომბერს, ჰიტლერის ბრძანებით, ოკუპირებული პოლონეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა იმპერიის მინისტრი ჰანს ფრანკი. ამავე ბრძანებით, ფრანკს მიეცა ერთმმართველის სრული რწმუნება და პასუხისმგებლობა დაეკისრა მხოლოდ ჰიტლერის წინაშე. ბრძანებაში ნათქვამია, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე მოქმედი ესესისა და საიდუმლო პოლიციის ორგანოები დაექვემდებაროს უშუალოდ ფრანკს. ფრანკი ამაყობდა კიდეც ამით.

—აქ, გუბერნიაში, არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც თავისი ავტორიტეტით უფრო მაღლა იდგეს ან გავლენით უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე გენერალ-გუბერნატორი, — ამბობდა იგი. კრაკოვში ფრანკი განუმარტავდა თავისი აპარატის მუშაკებს:

— იმპერიაში არ არის არც ერთი დაწესებულება, რომელსაც უფლება ჰქონდეს ჩაერიოს გუბერნიის საქმეებში. ბრძანებებს იძლევა მხოლოდ გენერალ-გუბერნატორი, რომელიც ფიურერის უშუალო წარმომადგენელია...

— არც შეიარაღებული ძალების სარდლობას გააჩნია აქ რამე სახელისუფლებო და საუწყებო ფუნქცია, — განაგრძო მან, — მათ არა აქვთ არავითარი პოლიტიკური ძალაუფლება. ეს ეხება ესესსა და პოლიციასაც.

ფრანკმა გამოუცხადა თავის თანამშრომლებს, რომ გერინგის განკარგულებით, არავის არ შეუძლია ჩაერიოს მის საქმეებში, რომ „მისი ავტორიტეტი" ყველაზე მაღალია და არც აპირებს „გაუყოს ის ვინმეს". წინასწარ დაკითხვაზე კი იგივე ფრანკი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მას ესესსა და გესტაპოსთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა.

ახლა ნახეთ 1942 წლის 18 მარტის დღიური, სადაც ჩაწერილია ფრანკის გამოსვლა ესესელთა წინაშე:

— როგორც თქვენ იცით, — ამბობდა იგი, — მე ფანატიკური მომხრე ვარ ერთიანი მმართველობისა. ამიტომ გასაგებია, რომ მე მემორჩილება ესესელთა და პოლიციელთა უმაღ-

ლესი ჩინები, რომ პოლიცია ნაწილია მთავრობის, რომ ოლქების ესესელთა და პოლიციელთა უფროსები ექვემდებარებიან გუბერნატორს. მასვე აქვს უფლება, განკარგულება მისცეს ყანდარმერიას. ეს აღიარა თვით ესესის რაიხსფიურერმა და სპეციალურ პარაგრაფებადაა ჩაწერილი შეთანხმებაში...

ბოლოს, ფრანკმა ისე შეტოპა, რომ რაიხსფიურერ ჰიმლერის ფუნქციებიც მიისაკუთრა. ფრანკს მოადგილედ ჰყავდა უშიშროების უფროსი, რომელზეც ამბობდა, რომ „შეუძლია მითითებების მიღება გენერალ-გუბერნატორისაგან და არა ესესის რაიხსფიურერისაგან“.

პროცესზე წაიკითხეს ამონაწერი ჰიტლერის ბრძანებიდან, სადაც ეწერა: „გენერალ-გუბერნატორი - ასრულებს მოვალეობას, რაც ესესის რაიხსფიურერის კომპეტენციაში შედის“.

ამით ბოლო მოეღო ლეგენდას, თითქოს ფრანკი არ ერეოდა დამსჯელი ორგანოების საქმიანობაში...

... პროცესზე გამოაქვეყნეს აგრეთვე ჰიტლერის 1940 წლის 30 იანვრის ბრძანება, რომ გენერალ-გუბერნატორს, ე. ი. ფრანკს, ეძლეოდა სიკვდილმისჯილთა შეწყალების უფლება. ამით იგი მილიონობით ადამიანის მოსპობის პირადი პასუხისმგებელიც გახდა. ფრანკს მინიჭებული ჰქონდა აგრეთვე ესესის ობერგრუპენფიურერის წოდება. ასე რომ, ჰანს ფრანკი იყო პოლონეთის სრული ბატონ-პატრონი და პასუხისმგებელი ყველაფერზე, რაც იქ ხდებოდა. თავისი პასუხისმგებლობა მას კარგად ჰქონდა შეგნებული და დიდადაც ამაყობდა ამით. ამ თანამდებობაზე დანიშვნის მესამე დღეს, 1939 წლის 15 სექტემბერს, დღიურში ჩაწერილია მისი „სეფე სიტყვა“:

— ამიერიდან პოლონელი ხალხის პოლიტიკური როლი დასრულებულია. იგი ცხადდება მუშახელად, სხვა არაფრად...

„მუშახელი“, ეს კიდევ არაფერი! ერთხელ ჰიმლერმა პოლონელებს „ნედლეული“ უწოდა. ამაზე ენა მეორედ როგორ მოუბრუნდება კაცს, მაგრამ მაინც შეგახსენებთ ამ „ნედლე-

ულის“ გამოყენების გერმანულ წესს: თმები — ლეიბებისთვის, კანი — აბაჟურების დასამზადებლად, რბილი ნაწილები — საპნის მოსახარშად, ძვლები — დასაფქვავად და მიწის გასანოყიერებლად...

გარდა ეკონომიური სარგებლიანობისა, ამას პოლიტიკური მიზანიც ჰქონდა:

— ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ისტორიიდან ამოიშალოს თვით ცნება „პოლონეთი“, — განაცხადა ფრანკმა. თვითონ მანვე ინება, ზემოაღნიშნულისთვის „ჯოჯოხეთური სამუშაო“ ეწოდებინა, მაგრამ მაინც დიდი სიამოვნებით იკისრა ეშმაკის როლი. იმავე „სეფე სიტყვაში“ მან განაცხადა:

—მე მივიღე დავალება, ვიკისრო დაპყრობილი პოლონეთის ტერიტორიების მართვა, და საგანგებო ბრძანება, შეუბრალებლად გავანადგურო ეს ოლქი, როგორც საომარი ტერიტორია და ქვეყანა, რომელიც წარმოადგენს ნადავლს, გადავაქციო ეკონომიური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური სტრუქტურის ნანგრევებად. ამ მიზნის მისაღწევად მე არ შევჩერდები არავითარი დრაკონული ღონისძიების წინაშე...

ფრანკმა იქვე განაცხადა, ფიურერმა მომიწონა აზრი, რომ ვარშავა არ იქნეს აღდგენილიო.

ო, რა მონდომებით შეუდგა იგი ამ ბარბაროსული ბრძანების შესრულებას. განა იმას დასჯერდა, რომ ევროპის ეს ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალაქი ნანგრევებად აქცია! მერე არც ეს ნანგრევები დაინდო. ათასობით უფასო მუშახელი მორეკა იმ ნანგრევების „პირისაგან მიწისა აღსაგველად“, გამოგზავნა სატრანსპორტო საშუალებანი, რათა ქალაქის უკანასკნელი ნაშთებიც გაეტანა იმ ტერიტორიიდან. თან იმაზე ფიქრობდა, რას იტყვის ჩემი ფიურერი, როცა მომავალი ვიზიტის დროს აქ ყოფილი ქალაქის ნიშანწყალიც არ დახვდებაო...

ცხადია, ვარშავის ნანგრევების მთლიანად გაზიდვა მან ვერ მოხერხა, მაგრამ ფიურერის მადლობა მაინც დაიმსახურა. შემდეგში ფრანკი ტრაბახობდა კიდეც იმით, რომ ჰიტ-

ლერმა მას შეარქვა „აღმოსავლეთის დიდი რეალური პოლიტიკოსი“.

რით დაიმსახურა ფრანკმა ეს „მაღალი ტიტული?“—ჯალათობით. ეს ფუნქცია მისთვის იმთავითვე გარკვეული იყო. დღიურებში არის დოქტორ ფრანკის სიტყვა:

— როგორ იქნება ეს ტერიტორიები მომავალში გერმანელებით დასახლებული, ეს ყველასათვის ცხადია. მე ისიც ვიცი, რომ პოლონელები აქ არ დარჩებიან.

საიდუმლო დოკუმენტებში დაზუსტებულია გამოთქმები, რაც ნათელს ჰფენს ამ, მართლაც, „ჯოჯოხეთურ საქმეს“:

1. პოლონელი ხალხის მიმართ: „ხალხი სასიცოცხლო სივრცის გარეშე“.

2. პოლონეთის მიმართ: „სასიცოცხლო სივრცე ხალხის გარეშე“.

რა საშუალებით? ამასაც ფრანკი განმარტავს:

— როცა ჩვენ გავიმარჯვებთ, პოლონელებს და უკრაინელებს, რომლებიც აქ დაეხეტებიან, დაკეპილ ხორცად ვაქცევთ...

ასეთი იყო ამ „რეალური პოლიტიკოსის“ გეგმა. პოლონეთის ტერიტორიაზე არ უნდა დარჩენილიყო არც ერთი პოლონელი: ამას განხორციელება უნდოდა და დღიურებში ხშირად ვხვდებით ადგილებს, სადაც ფრანკი ჩივის, რომ „ამის ერთბაშად მიღწევა არ შეიძლება“, ამიტომ დაიწყო „მთავარით“: ებრაელების გაჟლეტით. წინასწარ დაკითხვაზე იგი ამბობდა, რომ ებრაელებს, მგონი, გეტოებში ათავსებდნენ, კარგად არ ვიცი. მის დღიურებში კი აი რა წერია:

— ებრაელობა — ეს რასაა, რომელიც უნდა მოისპოს. სადაც არ უნდა დაიჭიროთ, თუნდაც ერთი ებრაელი, იგი მაშინვე უნდა მოსპოთ.

ეს დირექტივაც სრულიად გარკვეულია. ამის შემდეგ მოსაფიქრებელი იყო ებრაელების მოსპობის მეთოდები და საშუალებები. ყველაზე უფრო ეფექტური, თურმე, შიმშილით სიკვდილია: არც ტყვია იხარჯება, არც საწამლავი. თანაც, დაზოგილია გერმანული რასის ენერგია. ფრანკი ამბობს:

— ჩვენ არ შეგვიძლია, სამ ნახევარი მილიონი ებრაელი ერთბაშად დავხვრიტოთ ან მოვწამლოთ, მაგრამ ჩვენ მოვიგონებთ ისეთ საშუალებებს, რომლითაც ამ მიზანს მივაღწევთ...

ასეთი საშუალებაც მაშინვე მოიგონეს: შიმშილით სიკვდილი! ფრანკი ამბობს:

— ის, რომ ჩვენ სამ მილიონ ნახევარ კაცს ვუსჯით შიმშილით სიკვდილს, უნდა გავიგოთ, როგორც უკიდურესი მოქმედება. ვინც გაუძლებს შიმშილს, იმათ მიმართ მოგვიხდება ღონისძიებათა გააქტიურება.

ამ მცირე ამონაწერიდანაც ნათლად ჩანს, თუ რას ნიშნავს „ღონისძიებათა გააქტიურება". ამგვარი „აქტიურობის" შედეგი იყო ფრანკის ანგარიში, რომლითაც იგი ამაყად წარსდგა „თავისი ფიურერის" წინაშე და მოახსენა, რომ „უკვე მოსპობილია ორი მილიონი ებრაელი". ფრანკმა ამის გამო ჰიტლერის მადლობა დაიმსახურა. აღფრთოვანებული ჯალათი დაბრუნდა პოლონეთში და თავის თანამშრომლებს ასეთი მოხსენება წაუკითხა:

— თუ დღეს კიდევ არის ვინმე ჩვენს შორის, რომელსაც ეცოდება ებრაელები და ამბობს: განა საშინელება არ არის ის, რაც ებრაელებს ვუყავით? მას უნდა ვკითხოთ, ახლაც ასეთი აზრისაა თუ არა? დღეს რომ ჩვენ გვყოლოდა ერთ მხარეს ეს ორი მილიონი ებრაელი თავიანთი ჩვეული აქტიურობით, ხოლო მეორე მხარეს მცირედი რიცხვი გერმანელებისა, ჩვენ ხომ არ ვიქნებოდით მდგომარეობის ბატონ-პატრონი?

გადაწყვეტილი საკითხი...

ასე ეთანხმება ერთმანეთს გესტაპოს უფროს კალტენბრუნერისა და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ჰანს ფრანკის შეხედულებები. ორივეს ერთი გეგმა ჰქონდა: არაგერმანული რასების ისე ამოწყვეტა, რომ უზრუნველეყოთ გერმანელების გაბატონებული მდგომარეობა. ამ ამოცანას ფრანკი გარკვევით სახავს თავის დღიურებში. იგი ამბობს, რომ პოლონეთი „ნადავლია გერმანიისა", რომ ეს

არის „ახალი გერმანული დასაწყლების ტერიტორია“ და აქ ჯერ არ მოქმედებს არავითარი [illegible] ფიურერისა და ჩემი განკარგულებებისაო. შემდეგ მან ამაც აცხადა, რომ ფიურერთან მიღწეული შეთანხმებით, პოლონეთი უკვე აღარ ითვლება დაპყრობილ ქვეყნად, იგი გერმანიის იმპერიის ნაწილია და გენერალ-გუბერნატორის სამმართველოს ამიერიდან ეწოდება „გენერალ-გუბერნატორის მთავრობა“. მართალია, ფრანკი ასრულებდა ჰიტლერის მითითებას: „როცა ომს ვიწყებთ, გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ და არა უფლებებზე“, მაგრამ იგი მაინც იურისტი იყო და ამიტომ მის სინდისს უფრო მძიმედ აწევს იმის განცხადება, რომ მის სამფლობელოში „არ იქნება არავითარი უფლებრივი ნორმა პოლონელებისათვის“.

— მე არ ვაპირებ აქ შევქმნა იურიდიულ ნორმებსა და უფლებებზე დამყარებული სახელმწიფო, — თქვა მან.

ამას, ჩვეულებრივად, „სახელმწიფოს ადამიანურობაზე მაღლა დაყენებას“ უწოდებენ. ფრანკის პრინციპიც ასეთი იყო. რაც გინდათ, აკეთეთ, კანონი არ დაგსჯით, პოლონელი თავის უფლებას ვერ დაიცავს, ხოლო გერმანელთა პასუხისმგებლობას მე ვკისრულობო. თავის ჯალათებს კი აფრთხილებდა, მართალია, დასჯილთა შორის უფრო მეტი უდანაშაულოა, ვიდრე დამნაშავე, მაგრამ ამაზე ნუ ვილაპარაკებთო.

მე არ ვიცი, სად ამოიკითხა „აკადემიკოსმა“ ფრანკმა ასეთი სახელმწიფოებრივი სამართალი ან ვინ შთააგონა ეთქვა: „სულერთია, რაც არ უნდა მოხდეს, ყველაფრის პასუხისმგებელი მე ვარო“. ადამიანთა ყოველგვარი მოქმედების თავისუფლებას ღმერთიც ვერ იძლეოდა. როგორც ჩანს, ეს ფუნქცია პოლონეთში ფრანკმა იკისრა. არც თავის გერმანელ თანამშრომლებს აწყენინა და ჩაუნერგა აზრი, რომ „მის ტერიტორიაზე ყველაზე პატარა გერმანელი მაღლა დგას ყველაზე დიდ პოლონელზე“.

ფრანკი „ზრუნავდა“ თავის ხალხზე, არ უნდოდა, რომ მათ ნათესავებს გერმანიაში ენერვიულათ და ასეთი გულისამაჩუყებელი სიტყვით მიმართა თანამშრომლებს 1940 წლის 19 დეკემბერს:

თქვენ გყავთ შინ მშობლები, დები, ძმები, ცოლი, დანიშნული, ბავშვები, ისინი ფიქრობენ: ო, ღმერთო ჩემო, ის ახლა პოლონეთშია, ქვეყანაში, სადაც ასე ბევრი ტილები და ებრაელებია. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ შეგეძლოთ თქვენს საყვარელ ადამიანებს გაუგზავნოთ ფოტოსურათები და მისწეროთ: ახლა აქ მდგომარეობა გაუმჯობესდა. ცხადია, მე არ შემეძლო, ამ ერთ წელიწადში მთლიანად მომესპო ტილები და ებრაელები (გამოცოცხლება დარბაზში), მაგრამ დადგება დრო და თქვენის დახმარებით მე ამას მივაღწევ...

იგივე გაიმეორა ფრანკმა კრაკოვში. მან პოლიციელები სასულიერო სემინარიის შენობაში შეკრიბა და ასეთი სიტყვით მიმართა:

— პოლიციელო მეგობრებო, როცა თქვენ სტოვებდით სამშობლოს, ალბათ, შეშფოთებული მშობლები და მზრუნველი ცოლები გეკითხებოდნენ: რაზე მიდიხარ პოლონეთში, რა არის იქ ტილებისა და ებრაელების გარდა? ცხადია, არ შეიძლება ერთ წელიწადში მთლიანად მოვსპოთ ტილები და ებრაელები. ეს უნდა გავაკეთოთ თანდათან...

ეს იმ კაცის სიტყვებია, რომელიც ახლა დაკითხვაზე ამბობს, არ ვიცი ებრაელებს რა უქნეს, მგონი, გეტოებში მოათავსესო. დღიურები სავსეა ჩანაწერებით, მოხსენებებით, რომლებსაც ფრანკს უდგენდნენ ესესისა და გესტაპოს ხელმძღვანელები. აქ ამდენი მოვსპეთ, ამდენი საკონცენტრაციო ბანაკში მოვათავსეთ. იგი ისმენს წინადადებებს, გაძლიერდეს საკონცენტრაციო ბანაკების „გამტარუნარიანობა“. ზოგი ამაყად იჭიმება ბატონი გენერალ-გუბერნატორის წინაშე და დიდი კმაყოფილებით მოახსენებს, ჩემს უბანში უკვე არც ერთი ებრაელი არ არისო. ფრანკი აქებს ასეთი ჯალათის გულმოდგინეობას და დამსახურებას ფიურერისა და სამშობლოს წინაშე. სხვებს ჯერ კიდევ ბევრი ებრაელი რჩება გეტოში და ილანძღება, ნელ-ნელა იხოცებიანო. ვიღაცამ უთხრა, ზოგი გარბის გეტოდანო.

—ვინც გარბის, ადგილზევე დახვრიტეთ, — გასცა განკარგულება ფრანკმა და დაუმატა: ეს მითითება აუცილებლად უნდა შესრულდეს! ამასთან, უფლებას აძლევს, „ესროლოს

ებრაელებს პირდაპირ ქუჩაში“. „ებრაელებს, გეუბნებით თქვენ, ასე თუ ისე, ბოლო უნდა მოვუღოთ“, — მიუთითა ფრანკმა პოლიციის წარმომადგენლებს.

აკი მოგახსენეთ, რომ იგი განათლებული კაცია, დოქტორი, აკადემიკოსი, იცის, რასაც ლაპარაკობს, ამიტომ მოითხოვს, დაუჯერონ მის „ფორმულებს“.

—მე მინდა, გთხოვოთ თქვენ, — მიმართავს იგი თავის ჯალათებს, — ვიდრე ლაპარაკს განვაგრძობდე, წინასწარ მიიღოთ ჩემი ფორმულა: ჩვენ უნდა გვებრალებოდეს მხოლოდ გერმანელი, სხვა არავინ ამქვეყნად...

მერედა, არ „ებრალებოდათ?“ ის კი არა, თავიანთ „მზრუნველ მშობლებს“, ცოლებსა და შვილებს „შესანიშნავ საჩუქრებს“ უგზავნიდნენ. პროცესზე წაიკითხეს ასეთი მშრალი, მაგრამ შემზარავი ციფრები: 1944 წლის პირველი დეკემბრიდან 1945 წლის თხუთმეტ იანვრამდე, ე. ი. თვენახევრის განმავლობაში, ესესის ობერშარფიურერმა რაიხენბახმა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკიდან გერმანიაში გაგზავნა: 99, 222 კომპლექტი დახოცილი ბავშვების ტანისამოსი და თეთრეული, 192.652 — ქალის ტანისამოსი და თეთრეული, 222.269 — მამაკაცის ტანისამოსი და თეთრეული.

მე არ მინდა, ამ ციფრებით თავი შეგაწყინოთ, თორემ სხვა ოფიციალურ ცნობებში უფრო დაზუსტებულია, რამდენი პალტო, რამდენი შარვალი, რამდენი ნიფხავ-პერანგი, რამდენი ტრიკო და ა. შ. კაცების, ქალების, ბავშვების ცალ-ცალკე გერმანული სიზუსტით აღრიცხული... აღწერილი... გაანგარიშებული...

განა ეს საკმაო საფუძველი არ იყო იმისათვის, რომ ნიურნბერგში ეხმარათ გამოთქმა: „მორალური პროსტრაცია?!“ აბა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს ამას? არაფერი! მერედა, ვისი საქმე იყო ეს? ფრანკისა და მისი უწყებების. თვითონ ფრანკი გაჰკიოდა ტრიბუნიდან:

— მე მხოლოდ ერთ რამეს მოვითხოვ ებრაელებისაგან, რომ ისინი მოისპონ, გაქრნენ, დალპნენ...

დოკუმენტებიდან ჩანს, თუ როგორ ეჩქარება ბატონ ფრანკს. ამდენი მილიონი კაცის მოსპობას კი დრო უნდა.

მას ეჩვენება, რომ ერთ წელიწადში ორი მილიონი ებრაელის მოსპობა ცოტაა, ამიტომ ავალებს პოლიციელებს, დააჩქარონ ეს პროცესი:

— ნუღარ დაათრევთ მათ აქეთ-იქით, საკონცენტრაციო ბანაკებში, საჭიროა მათი ლიკვიდაცია ადგილობრივ, — ურჩევს იგი ჟანდარმერიას,

ბოლოს, როგორც იქნა, დაწყნარდა „პატივცემული" ფრანკი. დაცხრა მისი მკვლელობის ჟინი და კმაყოფილმა განაცხადა:

— ებრაელობის საკითხის შესახებ მე შემიძლია ვთქვა ერთი რამ: ეს პრობლემა ჩვენ გადავწყვიტეთ...

სატანის მოძღვარი

ამის შემდეგ ჯერი პოლონელებზე მიდგა. არც ამ პრობლემის გადაწყვეტა იყო ადვილი. ასე უცებ ყველა პოლონელს რა მოსპობდა, ამიტომ „საქმე" ინტელიგენციიდან დაიწყო.

თათბირზე, რომელსაც ფრანკიც ესწრებოდა, ჰიტლერმა პირდაპირ მოჭრა:

— პოლონეთის ინტელიგენციის ყველა წარმომადგენელი უნდა მოისპოს. მართალია, ეს ძლიერ მკაცრად ჟღერს, მაგრამ რას იზამ, ასეთია ცხოვრების კანონი...

ამ თათბირიდან დაბრუნებულმა ფრანკმა კრაკოვში შეკრიბა თავისი აპარატი და გამოუცხადა:

— ჩვენ უნდა გავწმინდოთ პოლონეთი იმათგან, ვინც აზროვნებს. პოლონელმა უნდა იმუშაოს. ამისთვის მას ხელები სჭირდება და არა თავი...

ეს „სიბრძნე" მან ამგვარი „ჰუმანისტური" მოსაზრებითაც „განამტკიცა":

— თავი შეიძლება დაბრკოლებაც იყოს მათთვის.

ასეა! ჰიტლერმა ხომ თქვა, „მე ვათავისუფლებ კაცობრიობას გონების ძალადობისაგანო". მისი ჯალათიც ამას ასრულებდა: იგი თავებისაგან „ათავისუფლებდა" პოლონელებს...

...ესეც პარადოქსული მოვლენა იყო. როგორც ჩანს, ამერიკელები მაინც და მაინც არ ცდილობდნენ საიდუმლოდ შეენახათ, თუ სად რა ხდებოდა. ეტყობა, არც ის დაუფარავთ, სად მუშავდებოდა ფრანკის დღიურები. ერთ დღეს მე და პიოტროვსკი ჩვენს ოთახში რომ ვიჯექით და ვმუშაობდით, კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ავდექი, გავაღე და სახტად დავრჩი: ვიღაც მღვდელი იდგა ჩემს წინ. შემოვიპატიჟე, შემოვიდა და გაგვეცნო. მე ბატონი ფრანკის სულის მოძღვარი ვარო. გამიკვირდა, ჩვენთან რა საქმე აქვს-მეთქი. ვკითხე კიდეც, მაგრამ შორიდან დაიწყო:

— მე მინდა იცოდეთ, რომ ბატონი ფრანკი ღრმად რელიგიური ადამიანია, მორწმუნე, ქრისტეს მოძღვრებისა და ეკლესიის ერთგული მსახური. იგი ყოველ დილით კითხულობს ფსალმუნებს, მიხმობს მე და ლოცულობს. მას სწამს განგებისა და აქვს იმედი...

— ჩვენ რითი შეგვიძლია გემსახუროთ, — ვკითხე მე.

— ამერიკელებმა დამცინეს, ერთი მაგის დღიურები ნახეთ და გაიგებთ, რა მორწმუნეცაა თქვენი „ღვთისმმოსავი" პაციენტიო.

მე პიოტროვსკიზე მივუთითე და ვუთხარი, იმას ელაპარაკეთ-მეთქი. პიოტროვსკიმ ერთი კი შეუბღვირა, მაგრამ მაინც ჰკითხა:

— თქვენ რა იცით, რომ ფრანკი მორწმუნეა?..

— ვიცი, მე ხომ მისი სულის მოძღვარი ვარ.

— სულის კი არა, სატანის მოძღვარი ხართ თქვენ! — იფეთქა პიოტროვსკიმ.

— რასა ბრძანებთ, შვილო, რატომ შეურაცხყოფთ ეკლესიის მსახურს? — იწყინა მოძღვარმა.

— ეშმაკის ნაბუშარია ის თქვენი ფრანკი და იმიტომ, — განუმარტა პიოტროვსკიმ, — ანტიქრისტეა, ჯოჯოხეთის მოციქული, ბელზებელი, თვითონ სატანა!..

— ასეც რომ იყოს, შვილო ჩემო, მორწმუნე ქრისტიანი მაინც ვალდებულია, მტრის შეწყნარებაზე იფიქროს და არა სასჯელზე. ამას გვასწავლის უფალი ჩვენი:

...იყვენით თქუენ მოწყალე, ვითარცა მამაჲ თქუენი მოწყალე არს.

... ნუ განიკითხავთ და არა განიკითხეთ; ნუ დასჯით და არა დაისაჯნეთ; მიუტევეთ და მოგეტევნენ...

— ვინ შევიწყნაროთ?! ვის მივუტევოთ? იუდას? ისკარიოტელს?! — შეაწყვეტინა მას პიოტროვსკიმ.

— დიახაც, შვილო ჩემო, მტერს უნდა მიუტევო, თორემ მოყვასს ისედაც მიეტევება, — თქვა მან და ისევ მოჰყვა ქადაგებას:

...და უკუეთუ გიყვარდენ თქუენ მოყუარენი თქუენნი, რაჲ არს მადლი თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა მოყუარეთა მათთა ჰყვარობენ.

...და უკუეთუ კეთილის მყოფელთა თქუენთა კეთილსა უყოფდეთ, რომელი მადლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ამას ჰყოფენ.

აქ იგი შეჩერდა, სული მოითქვა, ცალი ხელი ზევით აღმართა და უფრო საზეიმოდ წარმოთქვა:

— უკეთუ შიოდეს მტერსა შენსა, პური ეც მას და უკეთუ სწყურდის, ასუ მას...

— ეგ სახარება თქვენს სატანას წაუკითხეთ... თვითონ სატანავ, თან ასეთი შეგონებაც შეახსენეთ სამი მილიონი კაცის მკვლელს:

— და რომელმან დასთხიოს სისხლი კაცისა, ნაცულად სისხლისა მისისა, დაითხიოს სისხლი მისი...

აქ პიოტროვსკიმ თვითონ აღაპყრო ხელები ზეცისკენ და დაუმატა:

— მიეც მათ, უფალო, საქმეთა მათთაებრ და უკეთურებისაებრ საქმეთა მათთაჲსა... მიაგე მისაგებელი მათი მათვე...

ის „სატანის მოძღვარი“ სულ დაიბნა. მერე ადგა და წასვლა დააპირა.

— არა, დაბრძანდით! — უთხრა პიოტროვსკიმ, — ნათქვამია, რეგვენს ღმერთი გაჭირვებაში მოაგონდებაო. ახლა მე გაჩვენებთ, როგორი მორწმუნეა ის თქვენი ფრანკი.

მას უკვე ცალკე ჰქონდა ამოკრეფილი მასალები ფრან-

კის ეკლესიასთან დამოკიდებულების შესახებ. ჯერ დღიურები გააცნო მღვდელს, მერე წაუკითხა ფრანკის სიტყვები:

— მე სულ უფრო და უფრო ვატყობ, რომ მძულს ეკლესია. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ განზრახული მაქვს, ყველა საშუალებით ვებრძოლო სამღვდელოებას, მე არაფერს არ მოვერიდები და ოდნავი საბაბისთანავე ვუბრძანებ, დააპატიმრონ თვით ეპისკოპოსიც კი...

ფრანკმა აუკრძალა მის მოხელეებს ეკლესიაში სიარული. პოლიციას კი განკარგულება მისცა, როგორც კი შეამჩნევთ, რომ მღვდელი გარეულია პოლიტიკაში, არ დაინდოთო.

ფრანკის მოძღვარი პირდაღებული უსმენდა პიოტროვსკის და ხანდახან პირჯვარს იწერდა.

— ჩვენ არ უნდა ვზრუნავდეთ ეკლესიაზე, — განაგრძობდა იგი ფრანკის დღიურების კითხვას, — მე საერთოდ არ მაქვს განზრახვა დავუშვა ეკლესიის მუშაობა. ჩვენ არ გვაინტერესებს საეკლესიო საკითხი...

სხვა ადგილას ფრანკი უჯავრდება პოლიციას, ცოტა მღვდლები გყავთ დახოცილიო. აქ ფრანკის სულის მოძღვარი ისევ წამოდგა და წასვლა დააპირა:

— არა, დაჯექით! უბრძანა ისევ პიოტროვსკიმ, — უნდა იცოდეთ, რომ თქვენმა „ღვთიმოსავმა“ ფრანკმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა პოლონეთის არქიეპისკოპოსს და ეპისკოპოსს, რომ ვარშავაში შესვლის პირველ დღესვე დააპატიმრეს 330 სასულიერო პირი. 75 წლის კანონიკი ჩეპლიცკი იმ დღესვე დახვრიტეს, დანარჩენები — შემდეგ.

— მე ბოდიშს ვიხდი, — წაიბურტყუნა მოძღვარმა და ისევ წამოდგომა დააპირა, მაგრამ პიოტროვსკიმ ძალით დასვა.

— მოითმინეთ, — ჯერ კიდევ არ მითქვამს ყველაფერი, ფრანკი თქვენს შესახებაც წერს დღიურებში...

— ჩემს შესახებ?! — წამოხტა მღვდელი, — როგორ შეიძლება ჩემს შესახებ წერდეს! მე იგი მხოლოდ აქ ვნახე პირველად, ციხეში. არც ის მიცნობდა მე, რასა ბრძანებთ, როგორ შეიძლება ის ღვთისგან შეჩვენებული ჩემზე წერდეს რამეს!

პიოტროვსკის ესიამოვნა, „სულის მოძღვარმა“ რომ

„ღვთისგან შეჩვენებული“ უწოდა თავის პაციენტს და სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— დიახ, თქვენზე, — უთხრა ისევ პიოტროვსკიმ, — აი, თქვენ ახლა დადიხართ მასთან, რათა აკურთხოთ და ლოცვებით დაამშვიდოთ მისი სინდისი. ფრანკი კი ასეთ მომენტსაც წინასწარმეტყველებს თავის დღიურში. მოდით და თქვენი თვალებით ნახეთ, რას წერს იგი.

ეს რომ თქვა, მოძღვარს ხელი მოჰკიდა, მაგიდასთან მიიყვანა, დღიურში ჩაახედა და დოქტორ ფრანკის სიტყვები წააკითხა:

— თუ რომელიმე მოძღვარი მოვა და მოინდომებს უკანასკნელი კურთხევა მოგვცეს, ჩვენ მას ვეტყვით: ძვირფასო მეგობარო, მოეშვი ერთი ამ ზღაპრებს ქრისტეს შესახებ. ჩვენ უშუალოდ ვიცნობთ იმას, ვისიც გვწამს...

— ვითომ, ჰიტლერსო. ქრისტეს მაგივრად ჰიტლერს!— განუმარტა პიოტროვსკიმ. ეს არის სიმართლე, nuda veritas— შიშველი სიმართლე! ახლა კი წადით და უკანასკნელი კურთხევა მიეცით იმ თქვენს ანტიქრისტეს, ალბათ, ფულსაც გადაგიხდიან, 30 ვერცხლს.

აქ პიოტროვსკის რაღაც საშინელი დაემართა, სახე მოეღრიცა, ბრაზისაგან გამწვანდა, თვალები გადმოქაჩა და დაიღრიალა:

— იუდა!... იუდა!.. აკურთხე სატანა და მიიღე შენი 30 ვერცხლი!..

მოძღვარი დამდუღრულივით გავარდა ოთახიდან. პიოტროვსკი ძლივს დავამშვიდე. ამის შემდეგ ის მოძღვარი რაღას გაეკარებოდა იმ „ქრისტეს ძვლების მღრღნელ“ ფრანკს?

თვითმოსახურება...

პიოტროვსკი, როგორც იქნა, დაცხრა, სათვალე გაისწორა, ცხვირი ისევ დოკუმენტებში ჩაყო და კითხვას შეუდგა, თან იძახდა:

— გასაგიჟებელია!... გასაოცარია!... ოჰ, არამზადა!... ღმერთო ჩემო... აქ შეიძლება შეიშალოს კაცი!..

თურმე, რაღაც დოკუმენტს კითხულობდა საქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში ე. წ. „სიკვდილით თვითმომსახურების“ შესახებ. ესესელი შუბერტი (ღმერთო, რა გვარის პატრონი! — წამოიძახა პიოტროვსკიმ) ჰყვებოდა დაკითხვაზე:

— როცა დახვრეტის ხასიათზე არ ვიყავი ან ვინმეს ჩამოხრჩობა მეზარებოდა, თვითმომსახურების მეთოდს მივმართავდი...

— რას ნიშნავს ეს? — ჰკითხეს შუბერტს.

— იძულებით თვითმკვლელობას, —მიუგო მან. — ასე, მაგალითად, ერთხელ გამოვიძახე პოლონელი ტუსაღი, მივეცი თოკი, ჩაქუჩი, ლურსმანი და ვუთხარი: თუ თვითონ არ ჩამოიხრჩობ თავს, ისე საშინლად გაწამებ, რომ მერე ინანებ ამას.

აქ გამომძიებელი ეკითხება:

— რა ქნა მერე, შეასრულა თქვენი ბრძანება?

— დიახ, — ამბობს შუბერტი, — მე იგი პატარა საკანში შევაგდე და მოვუცადე. ნახევარი საათის შემდეგ შევიხედე და... მართლაც ჩამოეხრჩო თავი...

როგორც პროცესზე გამოირკვა, ამგვარ „თვითმომსახურებას“ სხვაგანაც მიმართავდნენ. პოლონელ ტუსაღებს კლდის ნაპირას მიიყვანდნენ და უბრძანებდნენ, თვალუწვდენ ხრამში გადამხტარიყვნენ, არადა, მხეცურად აწამებდნენ. სასიკვდილოდ განწირულები ხრამში ცვივოდნენ, ესესელები კი სიცილით კვდებოდნენ.

ერთობოდნენ!..

მოწმეებმა აჩვენეს, რომ ამგვარ გართობას სპეციალურად უწყობდნენ კალტენბრუნერს.

ეს რომ გაიგო, პიოტროვსკი ისევ აყვირდა, ერთხანს იბობოქრა, მაგრამ უცებ მოტყდა და ბოდიში მოიხადა:

— მგონი, ხელს გიშლით, არა, ბატონო?

მე მეათეჯერ ვუთხარი, რომ მართლაც ხელს მიშლიდა, მაგრამ ისიც მეათეჯერ მიხდიდა ბოდიშს და თავისას განაგრძობდა. წინ ისევ ფრანკის ფოლიანტები ეწყო და კითხულობდა ასეთ რამეებს:

ვიღაც ესესელი შემოვიდა და მოახსენა ფრანკს, — ამდენი და ამდენი ურჩი პოლონელი დავაპატიმრეთო.

—დახვრიტეთ! — გასცა მოკლე განკარგულება ფრანკმა.

— ლუბლინში 700 ახალგაზრდა შევიპყარით, რომლებმაც თავი აარიდეს გერმანიაში სამუშაოდ წასვლას...

— გაიყვანეთ და დახვრიტეთ ქალაქის ცენტრში, მოსახლეობის თვალწინ, — ბრძანა მან.

— დახვრიტეთ, ჩამოახრჩეთ, მოსპეთ! — ასეთი იყო ფრანკის სტანდარტული განკარგულებები.

— ისეთი ჩაგვრა, როგორსაც ახლა პოლონელები განიცდიან, მსოფლიოს არც ერთ ხალხს არ განუცდია, — გაახარა ფრანკი ესესის გენერალ-ლეიტენანტმა მონჰარტმა.

ფრანკმა ურჩია მას, ასეც რომ იყოს, საჯაროდ ნუ იტყვით ამასო. გერმანელები მაშინ ჯერ კიდევ უწევდნენ ანგარიშს საზოგადოებრივ აზრს საზღვარგარეთ. მერე კი თვითონ ფრანკმა განაცხადა, ფიურერისა და ჩემი განკარგულებები პოლონეთის შესახებ უყოყმანოდ უნდა შესრულდეს, ხოლო საზღვარგარეთ რას ილაყბებენ, ეს სულაც არ მენაღვლებაო...

...იმ დღეს პიოტროვსკის ერთხელ კიდევ მოუვიდა ისტერია. მან ჯერ დაჭრილი მხეცივით ღმუილი დაიწყო, მერე ხელები დაიკბინა სიმწრისაგან და თვალებიდან ცრემლი გადმოყარა. შემეშინდა, რამე არ მოუვიდეს-მეთქი, ხელები დავუჭირე და ცრემლით სავსე თვალებში ჩავხედე:

— რა იყო, რამ აგაღელვათ ასე, პან პიოტროვსკი-მეთქი, ვკითხე.

პიოტროვსკიმ ფრანკის დღიურების რომელიღაც ტომზე მიმითითა, გადაშლილ ადგილს ხელი დაადო და მითხრა:

— წაიკითხეთ!..

ეს უკვე წაკითხული მქონდა, და, მგონი, თქვენც გიამბეთ ამის შესახებ, მაგრამ ხათრი ვერ გავუტეხე და ისევ გადავიკითხე: მთავრობის სხდომა კრაკოვში, 16.XII.1939 წ. ესწრებიან ფრანკი და სხვები.

— გვ. 175. „დახვრეტის ღონისძიებებმა კარგი შედეგი

გამოიღო: გერმანელ ბატონობას სხვა საშუალება არა აქვს, გარდა ასეთი მკაცრი ზომების მიღებისა".

— გვ. 176. განხილულ იქნა საკითხი: ხომ არ იქნება მიზანშეწონილი, მოვაწყოთ სპეციალური ადგილები დახვრეტებისათვის, რადგან შემჩნეულია, რომ პოლონელები მასობრივად მიდიან მათი თანამემამულეების სიკვდილით დასჯის ადგილზე, ავსებენ ჭურჭლებს დახვრეტილების სისხლით გაჟღენთილი მიწით და ეკლესიებში მიაქვთ დახოცილთა სულის მოსახსენებლად.

ამან, მართალი გითხრათ, ჩემზედაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. გულზე რაღაც ბურუსი შემომაწვა და მინდოდა, შუბლზე მეკოცნა ამ გაწამებული ერის ტანჯული წარმომადგენლისათვის.

მერე დღიურის კითხვა განვაგრძე:

ესესის ობერგრუპენფიუერერი კოპე მოახსენებს ფრანკს, რომ მან დახვრიტა 200 პოლონელი რკინიგზაზე რაღაც საბოტაჟისათვის. ფრანკი უკმაყოფილოა, ცოტა დაგიხვრეტიათო. კოპე თავს იმართლებს:

— მართალია, დახვრეტილი ორასია, მაგრამ მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ ორასი კაცის დახვრეტით ისჯება არანაკლებ სამი ათასი კაცისა — მათი ახლო ნათესავები.

დღიურებიდან არ ჩანს, „მიიღო თუ არა ფრანკმა მხედველობაში" კოპეს განმარტება, მაგრამ ეს კი ფაქტია, რომ შემდეგ სხდომაზე დიდი კმაყოფილება გამოთქვა, როცა აცნობეს, შვიდი ათასი პოლონელი დავხვრიტეთ ერთბაშადო. დახვრეტის წინ, თურმე, პირს თაბაშირით უქოლავდნენ, რომ არ ეყვირათ: „ძირს ჰიტლერი, გაუმარჯოს პოლონეთსო".

მიუხედავად ამგვარი ველური რეპრესიებისა, გერმანელებმა მაინც ვერ გატეხეს პოლონელთა წინააღმდეგობა. ამბობდნენ, მკვდრები და ცოცხლები ერთად ებრძოდნენ ჰიტლერელ დამპყრობლებსო. ვარშავაში იმ იან კალინსკის ძეგლი იდგა, რომელიც 1793 წელს სათავეში ჩაუდგა ვარშაველთა აჯანყებას. გერმანელებმა ღამით ჭურდულად მოხსნეს ეს ძეგ-

ლი და მუზეუმის სარდაფში ჩააგდეს. მეორე დღეს მუზეუმის შენობაზე ასეთი წარწერა გაჩნდა:

— ვარშაველებო, მე აქა ვარ! იან კალინსკი...

უკანასკნელი კაცისაკ...

დრო გავიდა და გერმანელებმა პირი ისევ დასავლეთისაკენ იბრუნეს. დაიწყო პოლონეთის ტერიტორიების გათავისუფლება. რომელიღაც შეძრწუნებული მოხელე მოახსენებს ფრანკს, რომ იმ დასახლებულ პუნქტებში, საიდანაც გერმანელები იხევენ, საშინელება ხდება. ჯარის ნაწილები ანგრევენ და სწვავენ ყველაფერს, ხოცავენ მოსახლეობას.

ფრანკი ცოფდება. იგი მოუწოდებს იმ „თავხედ“ მოხელეს, რომ არავითარ ჰუმანიზმს არ ჰქონდეს ადგილი, არმიამ უნდა შეასრულოს ფიურერის ბრძანება, რუსებს დაუტოვონ მხოლოდ გადამწვარ-გადაბუგული ქალაქები და სოფლები.

ისე, კაცმა რომ თქვას, გაუგებარიც კია, რატომ „გადაწყვიტა ფრანკმა, ეს დღიურები თავისი ხელით ჩაებარებინა ამერიკელებისათვის! ნუთუ არ იცოდა, რომ „რიტუალურ მკვლელობათა“ ეს შემაძრწუნებელი დოკუმენტები საფლავის ლოდად დაედებოდა მის ამაზრზენ ცხოვრებას? იცოდა, როგორ არ იცოდა. ნიურნბერგის ციხის საკანში იგი ეუბნებოდა ექიმ ჯილბერტს:

— ჰო... ჰო... ჰო, რა მასალები მოგეცით სამსჯავროსათვის! ჰა, ჰა, ჰა!.. — იცინოდა იგი, დიახ, იცინოდა!..

გაოცებული ჯილბერტი უყურებდა მას და ვერ გარკვეულიყო, სიგიჟე იყო ეს, „მაზოხისტური მიდრეკილება“, თუ ფრანკი რაღაც როლს თამაშობდა ისტორიისათვის. ყოველ შემთხვევაში, როცა მისმა „პაციენტმა“ ისტერიული სიცილი შეწყვიტა, ჰკითხა:

— ახლა არ ნანობთ, რომ ეს დღიურები ჩაგვაბარეთ?

— არა, სრულიადაც არა! — მიუგო მან, — მხოლოდ ღმერთმა იცოდა, რაც მე გავაკეთე, დეე, ახლა მთელმა მსოფლიომ გაიგოს ეს სიმართლე — სრული სიმართლე: კარგიცა

და ცუდიც. მე უკვე აღარა მაქვს ილუზიები საკუთარ ბედზე და ეს სიმართლე მაინც რომ დარჩეს, ის მირჩევნია... მერე ისეთი საოცარი რამ თქვა, ჯილბერტი შეეჭვდა, მართლაც შეშლილობის ნიშნები ხომ არა აქვსო:

— მეუბნებოდნენ, მეხვეწებოდნენ კიდეც, დაწვი ეს დღიურებიო, მაგრამ არ დავწვი. ჯერ ბახის სიმფონია მოვისმინე წმიდა მათეს ცხოვრებაზე და უცებ ქრისტეს სიტყვები გავიგონე: როგორ, მტრის წინაშე ყალბი სახით უნდა წარსდგე? შენ არ შეგიძლია დაფარო სიმართლე, არა, სიმართლე უნდა გამოვლინდეს ერთხელ და სამუდამოდ... მეც მივხვდი და სხვებმაც უნდა შეიგნონ, რომ ახლა სიმართლის თქმის მეტი არაფერი დაგვრჩა. ეს არ ესმით ჩემს კოლეგებს, მაგრამ სირცხვილის გრძნობა მაინც აქვთ. მე თვალებში ჩავხედე მათ და მივხვდი, რომ რცხვენიათ. იქ, ჩვენს წინ, ისეთი კარგი ადამიანები სხედან, როგორიც მოსამართლეებია. მე კი აქ უნდა ვიჯდე ისეთ ხალხთან, როგორიც შტრაიხერი, გერინგი და რიბენტროპია, მაგრამ რა გაეწყობა...

იმ დღიურების გამოქვეყნების შემდეგ ფრანკს აღარ შეეძლო უწყინარი ანგელოზის როლი ეთამაშა, მაგრამ თავისმართლებაზე მაინც არ აუღია ხელი, თუმცა ეს ისე შეუძლებელი იყო, რომ, ჯილბერტის კითხვაზე, როგორ ამბობდა იგი ასეთ რამეებს, დაბნეულად უპასუხა:

— არ ვიცი, ვერ გამიგია, რაღაც ეშმაკი უნდა იყოს ჩასახლებული ჩემში, — ალბათ, ყველა ადამიანშიც. დრო უნდა გავიდეს, რომ გაიგოს კაცმა... მოითმინეთ, მერე მე დავწერ თქვენთვის რაღაცას, რომ გაარკვიოთ ეს. მასობრივი ჰიპნოზი! — ეს თუ ახსნის ამას. პატივმოყვარეობა! — შეიძლება ესეც. წარმოიდგინეთ, რომ ოცდაათი წლისა მე უკვე მინისტრი ვიყავი, დავდიოდი ლიმუზინით, მყავდა მსახურები. ვფიქრობდი, რომ შევეწყობოდი ესესის მეთაურებს. ჰიტლერი ნერგავდა ამგვარ ეშმაკს ადამიანებში. იგი მართლაც ფენომენალური იყო. ახლა რომ ეკრანზე ვნახე, თუ როგორ ქმნიდა იგი პარტიას, წარმოიდგინეთ, ჩემდა უნებურად, ისევ გამიტაცა ამან. მე ისეთი უცნაური პიროვნება ვარ, რომ ადვილად ვეხმაურები ყველაფერს. აი, ახლაც, საბრალდებო

სკამზე ვზივარ მძიმე დანაშაულითა და სირცხვილით დამძიმებული... ამ დროს ჰიტლერი ჩნდება ეკრანზე და ძალაუნებურად ხელს წინ ვიშვერ, რომ მივესალმო მას...

აქ ფრანკი წამოხტა, გაიჭიმა, ხელი, მართლაც, წინ გაიშვირა და თვალები დახუჭა...

ამ დროს, ალბათ, ისიც სასურველს წარმოიდგენდა სინამდვილედ ან მექანიკურად აკეთებდა იმას, რაც წლების მანძილზე უკეთებია... ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამბობს:

— ერთი წამით ასე ხარ აღგზნებული და ფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია... მერე გამოერკვევი და ხელს ძირს ჩამოუშვებ, რადგან ხედავ, რომ წინ სიცარიელეა. სირცხვილისა და დანაშაულის რეალობა მთასავით აღიმართება შენს წინაშე და დღითიდღე ისევ ის სამსჯავრო, სამსჯავრო, სამსჯავრო... ღმერთო, რა გულუბრყვილონი ვიყავით ყველანი. ახლა ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ, რა არტისტული იყო ჩვენი პირველი გატაცება გონებისა და მსოფლიოს მორალური სტანდარტების ფონზე. ჩვენ არ შეგვეძლო ამაში ცუდის დანახვა, ვიდრე იმ გატაცების წყარო ჯერ კიდევ ჩქეფდა... შემდეგ უცხო ძალამ, სხვის გამარჯვებამ დაძლია ეს ილუზია... ახ, თუმცა ეს უკვე გვიანაა. ჩვენ ახლა ნასესხები დროით ვცხოვრობთ. ვის შეუძლია თქვას, რას ვიზამდი მომავალში, თუკი სიკვდილს არ მომისჯიან? მე მათ ვეტყოდი... მაგრამ ვინ მათქმევინებს. თქვენ კი გეტყვით: მე თვითონ მოვუღებდი ბოლოს ჩემს სიცოცხლეს... 1931 წელს მე ვთქვი, რომ 50 წლამდე ვერ მივაღწევ, საყურადღებოა, არა?..

— თუ ასეა, რატომ არ მოიკალით თავი, ვიდრე დაგაპატიმრებდნენ?

—ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი, — მიუგო ფრანკმა, — რამდენიმე ადგილას გადავიჭერი ძარღვები, მაგრამ მაინც ვერ შევძელი...

სხვა დროს რომ ჰკითხეს, როგორ ამბობდით ასეთ საშინელ ამბებსო, ფრანკმა ისევ მსახიობობა დაიწყო:

— მე ამას ვამბობდი წუთიერი ემოციური აღგზნების დროს. ასე, აი, ასე! — თამაშობდა იგი ჯილბერტის წინაშე, — ეს იყო შიში და აღტაცება!.. ახლა მეც გაოცებული ვარ, რო-

გორ ვამბობდი იმას, რასაც ვამბობდი ან როგორ ვაკეთებდი იმას, რასაც ვაკეთებდი! ალბათ, ზედმეტად ვიყავი აღგზნებული...

მერე, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ისევ ფაუსტური გაორების ზღაპარს შეაფარა თავი:

— ასე მგონია, მე ორი სხვადასხვა პიროვნება ვარ: ტუსაღი ფრანკი და ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ის დღიურებიც ჩემს მეორეს ეკუთვნის და არა მე. განა ეს მომაჯადოვებელი არ არის? თუმცა ამისას რას გაიგებს კაცი?!.

ფრანკი ამის შემდეგ სულ „მეორე ფრანკის დღიურებს" უწოდებდა იმ შემაძრწუნებელ დოკუმენტს. ჯილბერტი ფსიქოლოგი იყო, მაგრამ მაინც ვერაფერს მიხვდა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს და თავის დღიურში ჩაიწერა, იქნებ ეს „შიზოფრენიის" ნიშანი იყოსო...

არა, ასე არ არის! ფრანკი სრულიად შეგნებულად ლაპარაკობდა მასში „ჩასახლებული ეშმაკისა" და „მეორე ფრანკის" ცოდვების შესახებ. „მომნანიებელი სატანა" იქცა ფაუსტ-მეფისტოფელის დუალისტური პროტოგონიზმისაგან გათავისუფლებულ პიროვნებად ისე, როგორც „წერილ არს" ლუკას სახარებაში:

...რაჟამს სული არაწმიდაჲ განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებენ განსუენებასა და არა პოვის, თქუს: მოვიქცე სახლსავე ჩემსა, ვინაჲცა გამოვედ.

... და მოვიდის და ჰპოვის იგი განშუენებული და შემკული.

ამით ფრანკს უნდა „სთქუას", რომ „სული არაწმიდაჲ"— ჰიტლერი გასულია მისგან, ანუ „სახლსა მისთაგან", როგორც მეფისტოფელი ფაუსტისაგან, ხოლო მისი უკვდავი ნაწილი „განშუენებულია და სპეტაკი".

მაგრამ განა ის „სული არაწმინდაჲ" მართლა საბოლოოდ გავიდა მისგან! იქვე არ წერია?!

...მაშინ წარვიდის და მოიყვანნის შუიდნი სულნი უბოროტესნი მისა, და შევიდის, დაიმკუდრის მას შინა და ქმნის უკანაჲსკნელი კაცისაჲ მის უძურეს პირველსა...

ასე რომ, „განშუენებელი და სპეტაკი“ ფრანკი კი არა, სამსჯავროს წინაშე ისევ ის „უკადნაადსკნელი კაცისაა“ წარსდგა..

კარმენსიტა...

მე და პიოტროვსკი დღესა და ღამეს ვასწორებდით ფრანკის დღიურების სქელი ფოლიანტების ფურცვლაში და, შედარებით მოკლე დროში, იმდენი მასალა ამოვკრიფეთ, რომ უკვე საჭირო იყო მანქანაზე გადაგვებეჭდა. ვიცოდი, სადაც იყო მემანქანეთა ბიურო და პიოტროვსკისთან ერთად იქითკენ გავემართე. პოლონელი ისევ ისე ხტუნვით მოდიოდა და, ჩვეულებრისამებრ, უკან-უკან იხედებოდა. გრძელი დერეფანი უნდა გაგვევლო, ბიურო სადღაც იმ დერეფნის ბოლოში იყო. დანიშნულ ადგილს რომ მივუახლოვდით, წინ „ოფოფი აგვიფრინდა“. მართლაც, ოფოფივით ჭრელი კაბა ეცვა, თავზეც ზოლებიანი რაღაც ეხურა, შავი იყო, შახიანი, ესპანელს ჰგავდა, უზარმაზარ შავ თვალებს აბრიალებდა და ისე ლაღად მოდიოდა, რომ ხელში მარაო აკლდა, თორემ ნამდვილი კარმენი გეგონებოდათ. ხტუნვა-ხტუნვით მომავალ პიოტროვსკის რომ შეხედა, გაეცინა და ისე ჩაგვიარა. პიოტროვსკიმ, როგორც წესი, უკან მიიხედა, იმანაც მოიხედა, გაიცინა და უნდოდა გზა განეგრძო, რომ დავუძახე:

— ეი, კარმენსიტა, ერთი წუთით!..

გაჩერდა და რატომღაც შეშინებულმა წამოიძახა:

— თქვენ რა იცით, რომ მე ესპანელი ვარ?

— ეს მე სულაც არ ვიცი, მაგრამ ისე შავგვრემანი ხართ, რომ ესპანელს მიგამსგავსეთ.

— დედით მართლაც ესპანელი ვარ, მაგრამ კარმენსიტა მაინც არ მქვია! — თქვა დაბნეულმა. მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მისი ცხოვრების რაღაც ტრაგიკულ საიდუმლოებას შევეხე.

— აბა, რა გქვიათ? — ვკითხე უხერხულობის გასაფანტავად.

— სილვია!..

— სად მუშაობთ?

— მემანქანეთა ბიუროში.

— ოო, ჩვენც იქ მივდივართ, თქვენი უფროსი სად იქნება ახლა?

— წამობრძანდით, გაჩვენებთ.

მობრუნდა და გამოგვყვა. პიოტროვსკიმ ისევ დაიწყო ხტუნვა, მაგრამ სილვიამ სიცილისაგან თავი შეიკავა.

— რად გინდათ ჩვენი უფროსი? — დაინტერესდა იგი.

— მემანქანე გვინდა, რაღაც მასალები გვაქვს გადასაბეჭდი.

— მე დაგიბეჭდავთ, — თქვა მაშინვე.

— არა, დასაბეჭდი ბევრია, ათიოდე დღე მაინცაა საჭირო, შეიძლება მეტიც.

— ეს სულ ერთია, მე შემიძლია ვბეჭდო.

— ჩვენთან მუშაობა თქვენთვის ხელსაყრელი არ არის, ჩვენ საღამოთიც ვმუშაობთ, გვიან ღამეც.

— მერე რა, განა მე არ შემიძლია საღამოთი მუშაობა! აქ ყოფნას ყველაფერი მირჩევნია.

— რატომ, განა აქ ცუდია?

— არა, ცუდი არ არის, მაგრამ ერთ ოთახში 50 მემანქანე ვზივართ, გასკდა თავი ხმაურით.

— კარგი, ვეტყვი თქვენს უფროსს...

დერეფნის ბოლოდან უკვე საბეჭდი მანქანების გუგუნი ისმოდა. ასეთი გუგუნი მე კასელში გავიგონე. მართალია, აქ სამი ათასი მემანქანე არ იჯდა ერთად, მაგრამ მაინც ბევრი იყო. ბიუროს უფროსმა სიამოვნებით შეასრულა ჩვენი თხოვნა და სილვიამ მეორე დღიდან დაიწყო მუშაობა. ძალიან კმაყოფილი იყო, რადგან ცალკე ოთახში იჯდა და თან ორმაგ ხელფასს მიიღებდა. იგი სრულიად არა ჰგავდა ლილი მარლენს. არც მისი გარეგნობა გამოხატავდა მის ხასიათს. წყნარი და ჭკვიანი ქალიშვილი ჩანდა, ოდნავ სანტიმენტალური და მეოცნებე, მუსიკით და პოეზიით გატაცებული; მემანქანეთა ბიუ-

როში, ალბათ, ბევრ საშინელ დოკუმენტს ბეჭდავდა, მაგრამ ფრანკის დღიურებმა მაინც შეზარა.

— ღმერთო ჩემო, ეს რა საშინელებაა!.. — წამოიძახებდა ხოლმე ხანდახან. პიოტროვსკი მაშინვე აუბამდა მხარს:

— საშინელება კი არა, ჯოჯოხეთია, ჩემო კარგო, ჯოჯოხეთი, თუმცა ჯერ სადა ხართ, თქვენ შემდეგ ნახეთ!

რაც უფრო მეტს ბეჭდავდა სილვია, მით უფრო ნერვიულობდა. მერე ისიც მითხრა, ღამე ცუდ სიზმრებს ეხედავო. ამასობაში პიოტროვსკიმ მთელი თავისი თავგადასავალი გადაუშალა და სულ გადარია ის საცოდავი. ადრე, თურმე, მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა. ჩემი ყველაზე მეტი სიამოვნება ბაირეითი იყო და ვაგნერის არც ერთი ფესტივალი არ გამომიტოვებიაო. მამაც მუსიკით ყოფილა გატაცებული, დედა კი ოდესღაც საკმაოდ ცნობილი მომღერალი იყო თურმე.

ესპანეთში თუ გიცხოვრიათ-მეთქი, — ვკითხე ერთხელ.

— როგორ არა, — თქვა მან, —დედა ასტურიელია. ჩვენ ყოველ ზაფხულს ესპანეთში ვატარებდით. გარდა ამისა, მამა-ჩემი 5 წელიწადი მადრიდში მუშაობდა.

— ტორეადორების ბრძოლისთვის თუ გიყურებიათ, — ვკითხე რატომღაც.

— მხოლოდ ერთხელ, მერე არ გავკარებივარ.

— რატომ, არ მოგეწონათ?

— ვერ ვიტან სისხლით გახელებულ ბრბოს ღრიალს, მეშინია კიდეც. ასე მგონია, ტორეადორი რომ ხარს მოკლავს, მაყურებლები ერთმანეთს დაერევიან და კისერს გამოღადრავენ, ისე არიან აღგზნებულნი.

— არც მამას უყვარდა ტორეადორების ბრძოლა?

— მამას არც ისე, მაგრამ დედა წამოვიდა იმ დღეს, როცა მეც ვიყავი. გახელებული ხარისა და ტორეადორის ბრძოლის ყურებამ იგი ისტერიამდე მიიყვანა და შეშლილივით ყვიროდა... ღმერთო ჩემო, რამდენს ყვიროდა. რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს ისროდა, ძვირფასი მარაოც გადააგდო არენაზე და, როცა განთქმული ტორეადორი მახვილით ეძგე-

რა გახელებულ ხარს, დედამ ჯერ იკივლა, მერე სკამზე შეხტა და დაიძახა:

— მოკალი!.. მოკალი!.. მე შემეშინდა, ხომ არ გაგიჟდა-მეთქი... მერე უცებ სიმღერა წამოიწყო. მთელი ხალხი აჰყვა ამ სიმღერას. სხვებმა ტორეადორი ხელში აიტაცეს და ისე გაიყვანეს არენიდან. ყველა ღრიალებდა. დედაც იმათ აჰყვა. მე სულ დავავიწყდი, ისე იყო აღგზნებული. განა ეს საშინელი არ არის? — მკითხა მერე მოულოდნელად.

— რა ვიცი, საშინელი რატომ არის?

— იმიტომ, რომ ასე მზადდება ადამიანთა მკვლელობაც. ასეთი გაღიზიანება იწვევს იმას, რაც ამ დღიურებში წერია. ადამიანს სისხლი ახელებს. გახელებული ადამიანი კი მუდამ საშიშია...

— სწორია, ჩემო კარგო, — დაუდასტურა პიოტროვსკიმ, — ადამიანებს ისედაც აქვთ თანდაყოლილი მიდრეკილება ძალადობისადმი. მათ კი წლების განმავლობაში ერთმანეთისადმი სიძულვილის გრძნობით ზრდიან, ყველაზე მდაბალსა და უხეშ ინსტინქტებს უვითარებენ, აქეზებენ, მერე კი უკვირთ, რატომ ხდება ასეთი საშინელებაო. მოხდება, აბა, რა იქნება, თუ ასე გაახელებენ ხალხს!

სილვიამ უცებ მოიწყინა და ცრემლები გადმოყარა.

— დედაჩემს სულაც არ უყვარდა ტორეადორების ბრძოლა, — თქვა მან წყნარად.

— არ უყვარდა? — გავიკვირვე მე.

— არა, არ უყვარდა, — გაიმეორა სილვიამ და ტირილს უმატა, — აქ სხვა საშინელებაა, საშინელება, დედას ისტერიამ მოუარა მისი უბედურების გამო.

ახლა პიოტროვსკი დაინტერესდა, მაგრამ გულჩათხრობილმა სილვიამ მეტი არაფერი თქვა... შეიძლება როდისმე გიამბოთ ამის შესახებო და, რაკი ცრემლი ვერ შეიკავა, ბოდიში მოიხადა და მეორე ოთახში გავარდა.

პიოტროვსკი მე უკვე აღარ მიშლიდა ხელს თავისი აღშფოთებით. როცა რამე საშინელს ამოიკითხავდა დღიურებში, სილვიასთან შევარდებოდა ხოლმე ოთახში და იმასთან ლაპარაკით იოხებდა გულს.

სილვია შეშინებული უსმენდა მას. კი არ ეხალისებოდა ასეთი ამბების მოსმენა, მაგრამ ისეთი თავაზიანი იყო, რომ პიოტროვსკის ამას არ აგრძნობინებდა.

რაღაც საიდუმლო...

ექვს ნოემბერს, საღამოს, ჩვენი დელეგაცია არ მუშაობდა. მეორე დღეს ოქტომბრის დღესასწაული იყო და ყველა დიდი ამბით ემზადებოდა ამ დღისათვის. იქნებოდა მიღებები, ბანკეტები, ოფიციალური შეხვედრები და, რაც ყველას ახარებდა, — ნამდვილი რუსული სამზარეულო. ლეგენდასავით დადიოდა ხმა: „სელიოტკებიც" ჩამოუტანიათ მოსკოვიდანო. მარკოვი ხელებს იფშვნეტდა: „სელიოდოჩკა", „ლუჩოკ", „ვოდოჩკა"... და მეტი ჩვენს ძმას რა უნდაო, იძახდა.

მოსკოვიდან მართლაც პროდუქტებითა და საჩუქრებით დატვირთული თვითმფრინავი გამოეგზავნათ. მართალია, ნიურნბერგში არაფერი გვაკლდა, მაგრამ რუსები ვერ ეწყობოდნენ ამერიკულ სამზარეულოს. ახლა ისინი „ნამდვილ რუსულს" ელოდებოდნენ, მე კი „ნამდვილ ქართულს" ვინ მაღირსებდა....

...საღამოთი მე და პიოტროვსკი „გრანდ-ოტელის" რესტორანში წავედით. სილვიაც დავპატიჟეთ. ჯერ დაიმორცხვა, მაგრამ სიხარული ვერ დამალა და მაშინვე დაგვეთანხმა. ჩემი მუდმივი თანამგზავრი მარკოვი აღარ გამომყვა. გიჟი ხომ არა ხარ, სულ სამზარეულოსთან ვტრიალებ, ბიჭებს უნდა გავუგო, ხვალ რითი გვიმასპინძლდებიანო.

რესტორანში ცოტა ხალხი იყო. ორკესტრი რაღაცას უკრავდა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა.

— ჩვენ მხოლოდ შორიდან ვუვლიდით ამ დარბაზებს, — თქვა სილვიამ, — აქ სულ დიდი ვინმეები სადილობდნენ. ბანკეტებიც აქ იმართებოდა. როცა ჰიტლერი ნიურნბერგში ჩამოდიოდა, მთელი ქალაქი აწრიალებული იყო. საღამოთი ყველა აქ იყრიდა თავს. პოლიციელებს ახლომახლო ქუჩები სულ გადაკეტილი ჰქონდათ.

ამჯერად უბრალო მემანქანეს მაინც არაფერი უკვირდა. იგი დიდგვაროვანი ოფიცრის შვილი იყო. 1937 წლამდე, სანამ 15 წლის გახდებოდა, კარგადაც ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგ, როგორც თვითონ ამბობდა, ჰიტლერელები „რატომღაც“ გაუჯავრდნენ მამამისს და ესპანეთში გაგზავნეს.

— ომის დროს სულ იქ ვიყავით, — თქვა სილვიამ. მამამ სამხედრო სამსახურს თავი დაანება და საელჩოში მუშაობდა, დედა საკონცერტო დარბაზებში მღეროდა ერთხანს, მერე თავი მიანება, რადგან არ შეეძლო სიმღერა. ყოველი კონცერტის შემდეგ სამი დღე მაინც იწვა ლოგინში. ისეთი ნერვული ავადმყოფობა ჰქონდა, ზოგჯერ ტირილსა და სიმღერას ერთმანეთში ურევდა. მამა ეხვეწებოდა, სულ დაანებე სიმღერას თავიო, მაგრამ არც ეს შეეძლო. დიდი მწუხარება რომ მოაწვებოდა, სწორედ მაშინ მღეროდა...

სილვიამ არც ამ შემთხვევაში გაგვიმხილა დედამისის ცხოვრების საიდუმლოება. არც ჩვენ ჩავეკითხეთ, რადგან, ამის შესახებ როცა ყვებოდა რამეს, თვითონაც ცახცახს იწყებდა.

ცეკვები რომ დაიწყო, ორკესტრს ხალისი მოემატა, ყველა გამხიარულდა, გარდა პიოტროვსკისა. მისი გამხიარულება უკვე არავითარ ძალას არ შეეძლო. იჯდა დაღვრემილი და ერთ წერტილს მისჩერებოდა. გარშემო რა ხდებოდა, სულაც არ აინტერესებდა. ალბათ, ხათრისთვის გამომყვა, თორემ არც წამოვიდოდა. მე კი, ამ დღესასწაულის წინა დღეს, მინდოდა, რითიმე მესიამოვნებინა მისთვის, სილვიასთვისაც, რომელიც გულმოდგინედ მუშაობდა და ზოგჯერ ღამის ორ საათამდეც ბეჭდავდა ჩვენს მასალებს...

...დარბაზი თანდათან აივსო საზეიმოდ მორთული სამხედრო და სამოქალაქო პირებით. ოფიცრები თავიანთი მუნდირებისა და ორდენების, ხოლო მანდილოსნები მოდებისა და სამკაულების დემონსტრაციას ახდენდნენ. აქ იყვნენ ინგლისელები, ამერიკელები, ფრანგები, კორესპონდენტები სხვადასხვა ქვეყნებიდან და, აქა-იქ ჩვენებიც. ესტრადაზე განუწყვეტლივ უკრავდა ორკესტრი ან რაღაც ნომრებს უჩვენებდნენ. პროგ-

რამაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი შიშველი სხეულის სილამაზესა და უხეშ იუმორს.

— თანამედროვე ადამიანის თვალებს უსირცხვილო სილამაზე უფრო იზიდავს, ვიდრე მშვენიერება. — შენიშნა პიოტროვსკიმ.

მერე „ინდოელი ფაკირი“ გამოვიდა თავისი ულამაზესი ასისტენტებით. იგი, რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს „ყლაპავდა“. ხალხი არც თუ ისე დიდ ინტერესს იჩენდა ამგვარი „სასწაულმოქმედისადმი“, სამაგიეროდ, მისი ორი ასისტენტი სჭრიდა თვალს ყველას.

— აი, ეს ნამდვილი აღმოსავლური სილამაზეა, — თქვა პიოტროვსკიმ, — თან ისე გრაციულად მოძრაობენ და ისეთი მოქნილები არინ, ვერც იფიქრებთ, ძვლები თუ აქვთ.

„ფაკირი“, როგორც მოისურვებდა, ისე კეცავდა მათ. მერე ყუთში ჩააწყო და ხანჯლებით „დაცხრილა“. ზოგს მოსწონდა ეს, ზოგს უკვირდა, სხვები კი უსიამოვნოდ იბრუნებდნენ თავს ან დემონსტრაციულად აქცევდნენ ზურგს. მერე ისევ საცეკვაო დაუკრეს და მაგიდები აიშალა. თითქმის ყველა დარბაზის შუა მოედნისკენ გაემართა...

შაოსანი ვენერა...

მეზობელ მაგიდაზე ჩვენი, საბჭოთა დელეგაციის, წარმომადგენლები დასხდნენ. ერთმანეთს მივესალმეთ და მოახლოებული დღესასწაული მივულოცეთ. ამასობაში მუსიკა შეწყდა და ყველანი თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ, მაგრამ ესტრადის მაგივრად შემოსასვლელს მიაჩერდნენ. მეც იქით მივიხედე და თვალები დავაჭყიტე: ეტიენი, შარლი და ლიზელოტა — „წმინდა სამეულის“ წევრები — შემოსასვლელთან იდგნენ და ცარიელ მაგიდას ეძებდნენ. მე ლამის მაგიდის ქვეშ შევძვერი. კასელში ეტიენს შევპირდი, წერილს მოგწერთ-მეთქი და არაფერიც არ მიმიწერია. არც მისი მონოგრაფია წამიკითხავს. ახლა კი არ ვიცოდი, როგორ გამოვსულიყავი უხერხული მდგომარეობიდან. პიოტროვსკის ადგილი გავუცვალე და

ზურგი შევაქციე იმათ, მაგრამ აქაც მოვტყუვდი: ის ვერ შევნიშნე, რომ წინ უზარმაზარი სარკე იყო და იმ „წმინდა სამეულთან“ პირდაპირ აღმოვჩნდებოდი. ეტიენმა ხელი გაშალა და ჩემსკენ წამოვიდა. სხვებმაც შემნიშნეს. რაკი საშველი არ იყო, მეც მივეგებე. თურმე კასელიდან აქ გადმოუყვანიათ ფრანგულ დელეგაციაში სამუშაოდ.

არასოდეს არ მინახავს ასე ჩაცმული ლიზელოტა. უწინ თითქმის შიშველი დადიოდა, ახლა კი მეორე უკიდურესობა! სულ ერთიანად დაფარული იყო შავი ხავერდის გრძელი, მაგრამ ტანზე ვიწროდ შემოსხეპილი კაბით. გრძელი სახელოები ხელის მტევნებსაც უფარავდა. შავი ხავერდის სოროდან მხოლოდ იისფრად შეღებილი ფრჩხილები მოუჩანდა. კაბის ვიწრო კალთები იატაკამდე წვდებოდა. არა მარტო კისერი, ნიკაპიც შავ ხავერდში ჰქონდა ჩამალული, შავი თმებიც ძირს ჩამოეშალა და მთელი ამ შავი სილუეტიდან მხოლოდ იისფერი ფრჩხილები, ფართოდ გახელილი თვალები და სისხლივით წითელი ტუჩები უჩანდა. თმებში და ქამარზე ძვირფასი ქვები კიაფობდა. ყელზეც ძვირფასი ყელსაბამი ეკეთა. მე შევნიშნე, როგორ მოჯადოებული უყურებდა სილვია ამ შავ აჩრდილს. ლიზელოტამ ქედმაღლურად გადახედა მას და მაშინვე დარწმუნდა, მისი სილამაზის მეტოქედ რომ არ გამოდგებოდა. აშკარად ჩანდა, რომ ამან კმაყოფილება განაცდევინა. საერთოდ, რასაც ფიქრობდა და განიცდიდა ლიზელოტა, ისე ნათლად ესახებოდა თვალებში, რომ არაფრის დამალვა არ შეეძლო. ეს ამპარტავნული გრძნობაც ისე აშკარად გამოჩნდა, რომ სილვია მაშინვე მიხვდა და გაინაბა. უდაბნოს იმ მახრჩობელმა გველმა კი მაინც არ დაინდო, თავზე ხელი გადაუსვა და გესლნარევი ირონიით იკითხა:

— ეს მომხიბლავი არსება ვინ არის?

— ჩვენი მემანქანე გახლავთ, გერმანელია, — მივუგე მე.

ლიზიმ ისე უცებ მოაშორა ხელი სილვიას, თითქოს ცხელ უთოს შეეხოო და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— სხვათაშორის, აქ რომ შემოვდიოდი, სადარბაზოზე გაკრული განცხადება წავიკითხე, გერმანელებისათვის შესვლა აკრძალულიაო...

მე უხერხულად შევიშმუშნე. სილვიამ წამოდგომა დააპირა, მაგრამ ხელით შევაჩერე და ლიზის მივუბრუნდი:

—რამდენადაც ვიცი, ელზასელებიც ნახევრად გერმანელები არიან.

ვითომ გაეცინა, მერე კი ისევ ისე მოშხამულად თქვა:

— გესმით, ბატონო ეტიენ, ეს თქვენ გეხებათ, მე კი, „ალჟირელ ქაჯს“, შემიძლია ამგვარ თავხედობას ყურადღება არ მივაქციო.

მართლაც უხერხული მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ ეტიენის „ფარულმა დიპლომატიამ“ გვიხსნა. მას თითქოს ყურიც არ მოუკრავს ამ უსიამოვნო ლაპარაკისათვის, ისე მომმართა:

— არ იქნა და ერთხელაც ვერ მოვახერხეთ სალაპარაკოდ შეევხვდეთ ერთმანეთს.

— ამას რა სჯობია, — განზე გაუხვია ლიზელოტამაც, — ნაკლები ფილოსოფია, მეტი ცხოვრება! ასეა, არა, შარლ? — მიუბრუნდა იგი თავის კავალერს და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: — ძვირფასო!..

— ფილოსოფიაც კარგია და ცხოვრებაც, გეთაყვა! — მიუგო შარლმა.

— ეჰ, შენ ხომ არ შეგიძლია, რამე გარკვეული თქვა, — დატუქსა მან შარლი.

ესტრადაზე ვიღაც რვაფუთიანი მადონა ღუღუნებდა სიყვარულზე.

— ო, ღმერთო ჩემო, — წამოიძახა ლიზიმ და სახის ის მცირედ გამოჩენილი ნაწილიც ხავერდის საყელოში ჩამალა. კიდევ კარგი, ორკესტრმა საცეკვაო დაუკრა, თორემ ეტიენი მართლაც ფილოსოფოსობას დაიწყებდა. შარლი და ლიზი მაშინვე საცეკვაოდ გაემართნენ. ეტიენმა მკითხა—„შეიძლებაო?“ და სილვია წაიყვანა. დავრჩით მე და პიოტროვსკი. თითო ჭიქა გერმანული „ეშენდორფი“ დავლიეთ, მაგრამ იგი მაინც უხალისოდ ჩანდა.

— გერმანელები ხომ მძულს, — თქვა მან ბოლოს, — მაგრამ ფრანგები და ინგლისელები უფრო მეტად.

— რატომ? — გავიკვირვე მე, — ფრანგებს და ინგლისელებს რაღას ერჩით, ისინი ხომ ჩვენი მოკავშირეები არიან!..

— მოკავშირეები კი არა, მოღალატეები არიან. ჩვენი უბედურება სულ მაგათი ბრალია. გერმანია რომ გვემუქრებოდა, ისინი გვეფიცებოდნენ, ნუ გეშინიათ, ჩვენც თქვენთან ვართო. გული მოგვეცა. გვეგონა, მართლაც დაგვეხმარებოდნენ, თორემ იქნებ დანციგიც მიგვეცა და კორიდორიც, რომ თავი გადაგვერჩინა. იმათი იმედით ჩვენი უფლებებისა და ღირსებების დაცვა დავიწყეთ, თორემ გერმანიას რას გავუმკლავდებოდით!

ვიდრე სხვები ცეკვავდნენ, პიოტროვსკი მომიყვა ისედაც ცნობილ ფაქტს, თუ თავზეხელაღებული პოლონელი კავალერისტები ცხენდაცხენ როგორ ეკვეთნენ გუდერიანის ტანკებს.

— ინგლისელებმა და ფრანგებმა ჩაგვაგდეს ასეთ დღეში, — განაგრძო პიოტროვსკიმ, — იმათ გააძლიერეს ჰიტლერის გერმანია: დაარღვევინეს ვერსალის ხელშეკრულება, შეუერთეს ავსტრია, შესწირეს ჩეხოსლოვაკია და როცა ის გერმანელი სატანა ისე გაძლიერდა, რომ მათ მიუნჰენელ ნწყალობლებსაც დაუწყო დამუქრება, ინგლისელებმა და ფრანგებმა სხვისი ხელით მოინდომეს მისი შეჩერება. ნუ გეშინიათ, წინააღმდეგობა გაუწიეთ და დაგეხმარებითო, — მოგვმართეს ჩვენ. მერე სად იყო ეს დახმარება? გერმანია თავს დაგვესხა, იმათ კი ხელიც არ გაუნძრევიათ, ომი კი გამოუცხადეს გერმანიას, მაგრამ რა!.. არც ერთი ინგლისელი ან ფრანგი ჯარისკაცი არ გამოჩენილა ჩვენს ტერიტორიაზე, არც ერთი მათი თვითმფრინავი ან ტანკი არ გვინახავს. არც გერმანიისთვის დაუწყიათ ბრძოლა... არაფერი, მხოლოდ ცარიელი სიტყვები!..

ჩინებული ხასიათი...

ორკესტრი გაჩერდა და მოცეკვავეები მაგიდას დაუბრუნდნენ.

— სილვია ჩინებულად ცეკვავს, — შეაქო ლიზელოტამ,— მე სულ იმას ვუყურებდი, რა მომხიბლავი ვინმეა! გერმანელი და ასე მომხიბლავი? საოცარია! — მაინც გაურია გესლი.

— რატომ, განა გერმანიაში მომხიბლავი ქალები არ არიან, ლიზი? — ჰკითხა შარლმა.

— არა, ეს შეუძლებელია, გერმანელი ქალები ტლანქები არიან, უხეშები, თანაც ბოროტები, გაუტანელნი. ამას რომ ამბობდა, სულ სილვიას მისჩერებოდა. სილვია უფრო მოიბუზა და აქეთ-იქით დაიწყო უმწეოდ ცქერა. ალბათ, ნანობდა რომ წამოვიდა, მაგრამ რა უნდა ექნა, მარტო ის მოახერხა ეთქვა, დედაჩემი ესპანელიაო.

— ეს მეტისები ძალიან სახიფათონი არიან, — არ გაჩერდა ლიზელოტა, — ვერასოდეს ვერ მიხვდები მათ ხასიათს.

— სილვიას ჩინებული ხასიათი აქვს, — ვთქვი მე.

— მართლა? — ვითომ გაიკვირვა ლიზელოტამ, — მაშ, დავლიოთ ჩინებული ხასიათის სადღეგრძელო!..

აიღო და მთელი ჭიქა გამოცალა.

თქვენც ხომ ჩინებული ხასიათი გაქვთ, მაიორო? — ეშმაკურად მკითხა მან და გაიღიმა.

— რა თქმა უნდა, — მივუგე მე გამომწვევად.

—აბა, ორ ჩინებულ ხასიათს გაუმარჯოს, —თქვა ლიზიმ და ისევ დალია. სიტყვას „ჩინებული“ ყოველთვის ხაზგასმული ირონიით წარმოთქვამდა. ამას სხვებიც გრძნობდნენ, თავი უხერხულად იგრძნეს და ამჯერად ჭიქებისათვის ხელი არ უხლიათ.

— ეჰ, შარლ, ძვირფასო, ამოიოხრა ლიზელოტამ, — ჩვენ რა ვქნათ, ვისაც არცთუ ისე ჩინებული ხასიათი გვაქვს?..

... ისევ საცეკვაო დაუკრეს. სილვია ახლა უხალისოდ გაჰყვა ეტიენს. ლიზელოტამ რაღაც ხაზგასმული თავაზიანობით უთხრა შარლს:

— არ ვიცეკვოთ, ჩემო ბიჭო?..

—რატომ არა, გეთაყვა, ვიცეკვოთ, —დაეთანხმა შარლი.

—როცა ამ ქალს ვუყურებ, რაღაც შიში მიპყრობს, —მითხრა მაშინვე პიოტროვსკიმ, შარლის ლექსები გამახსენდა და გამეცინა.

— ზედმეტი სილამაზე მხოლოდ ვნებებს ბადებს და ისევე შემზარავია, როგორც სიმახინჯე, — თქვა ისევ პიოტროვსკიმ.

—თუ არც სილამაზე და არც სიმახინჯეა, მაშ, რაღაა მიმზიდველი, პანე? — ვკითხე მე.

— სათნოება და Sancta simplicitas, მეგობარო, სათნოება და წმინდა გულუბრყვილობა! —გაიმეორა მან. ასეთი ვეღური სილამაზე კი სათნოებას ვერ იტანს. ხომ უყურებთ, ამ ჭაობის ქალღმერთის (Diana lamnitis) სხეულიდან ვნება როგორ ძაღლივით იღრინება? ეს სექსუალური პანთეიზმია, კოლეგა, სხეულის ბატონობა სულზე. ის საცოდავი სელადონი კი სანთელივით დნება მის წინაშე...

—პოეტია, ეპატიება,—ვუთხარი მე, რადგან მივხვდი, რომ შარლზე ლაპარაკობდა...

— საცოდავი, ჩვენს დროში ვის სჭირდება პოეტი! — თქვა პიოტროვსკიმ და გაჩუმდა. მერე თითქოს რაღაც მოაგონდა და მკითხა: გახსოვთ ბოდლერის სიტყვები?

—პოეტმა სახელმწიფოს რომ სთხოვოს უფლება, იყოლიოს საჯინობოში რამდენიმე ბურჟუა, ძალიან გაუკვირდებათ, მაშინ, როდესაც ბურჟუამ რომ მოითხოვოს შემწვარი პოეტი, ამას სრულიად ბუნებრივად მიიჩნევენ...

მაშინ რა იყო, არ ვიცი, დღეს კი ნამდვილად ასეა,—მოითავა თავისი სათქმელი პიოტროვსკიმ და თვალები უცნაურად ააპარპალა...

მუსიკა ისევ შეწყდა და მოცეკვავეები დაბრუნდნენ. ლიზი არც დამჯდარა, ისე თქვა:

— წავიდეთ, არ მინდა აქ ყოფნა...

—რატომ, ჯერ ადრეა! —უთხრა ეტიენმა.

—მაშინ მე წავალ და თქვენ დარჩით, —გადაწყვიტა მან.

—არა, წავიდეთ, მეც წამოვალ, — დაეთანხმა ეტიენი.

შარლისათვის არც უკითხავთ აზრი... იგი ისედაც გაჰყვა მათ. ეტყობოდა, სილვიასაც აღარ უნდოდა დარჩენა. ჩვენც ხომ არ წავიდეთო,—მითხრა ჩუმად. მე ჯერ სულაც არ მინდოდა წასვლა, მაგრამ შექმნილმა მდგომარეობამ მაიძულა ავმდგარიყავი.

— წავიდეთ, — ვთქვი მე, — მხოლოდ ჩვენი ხვალინდელი დღესასწაულის სადღეგრძელო დავლიოთ. ჭიქები მივაჯახეთ

და წამოვედით. რესტორნიდან რომ გამოვდიოდით, ლიზელოტამ ერთხელ კიდევ მოიტანა კბილქვეშ ის საცოდავი სილვია:

— აუფ ვიდერ ზეენ, ჩინებული ხასიათის გოგონავ! — უთხრა მან ირონიულად და ვითომ მიუალერსა: სახელოს შავი ხვრელიდან ლურჯად შეღებილი ფრჩხილები გამოაძვრინა და ისე მაგრად ამოჰკრა ნიკაპზე, რომ სილვიამ კინაღამ შეჰკივლა.

რაღაცით გაღიზიანებულმა და შურისძიებისათვის ალესილმა ლიზელოტამ ამჯერად არ ისრუვა სახლამდე ჩვენი მიყვანა...

ერთი მუჭა სამოთხე...

რამდენი რამ წამიკითხავს პატრიოტულ გრძნობაზე, სამშობლოზე, თავდადებაზე, რასაც საკუთარ ქვეყანას მოშორებული ადამიანი განიცდის უცხოეთში. მერე ყოველივე ეს თვითონ გამოვცადე. 5 წელიწადი დავხეტიალობდი ომის გზებზე და, ვინ იცის, რამდენჯერ შემკუმშვია გული თბილისზე ფიქრით. ხანდახან სევდა ისე შემომაწვებოდა, რომ თვალებში ცრემლი გამოყონავდა ხოლმე. ასეთ დროს ყველაფერი ძვირფასი იყო ჩემთვის, რაც ჩვენს ქვეყანას მომაგონებდა, ჩვენებურს განმაცდევინებდა და მშობლიური მხარის ინტიმურ განწყობილებაში შემიყვანდა...

შინ რომ მივედი, ისეთი სურათი დამხვდა, მოსაყოლადაც ძნელია, დასაჯერებლად, მით უმეტეს: ცხრა პატივცემული პიროვნება შემოხვეოდა მაგიდას ,და თათბირობდნენ, როგორ გაენაწილებინათ ერთი პატარა „სელიოტკა“, რომელიც მარკოვს „აეცოცებინა“ სამზარეულოში. მე რომ შევედი, სწორედ მან დაიძახა:

—აჰ, ისიც მოვიდა! —ხომ გითხარით, ათად უნდა გავანაწილო-მეთქი!.. მე გამეცინა.

—ნუ სწუხდებით, მე სულაც არ მინდა თქვენი „სელიოტკა“.

ცხრა წყვილი თვალი გაოცებული მომაჩერდა.

—გაგიჟდი?— წამოიძახა მარკოვმა,— ასეთ რამეზე კაცი უარს როგორ იტყვის.

მე მართლაც არ მინდოდა ეს „სელიოტკა“, მაგრამ არ დამიჯერეს და მაინც ათად დაუწყეს გაყოფა.

— გეტყობა, მართლაც არ იცი ამის გემო, თორემ უარს როგორ იტყვი! — თქვა მწერალმა შეინინმა, რომელიც ერთ-ერთ ბრალმდებლად მუშაობდა პროცესზე, —ვერ უყურებ, სამი თავი ხახვიც გვაქვს და ორი ბოთლი თეთრი!..

— ამ უბედურებმა არც იციან, კიდევ რა მაქვს ჯიბეში, თორემ სულ გადაირეოდნენ. —მითხრა მარკოვმა.

— რა გაქვს? — დაინტერესდა შეინინი.

—დახუჭეთ თვალები! —გამოაცხადა მარკოვმა.

— თვალები კი არა, გვითხარი რა გაქვს? — დაიძახა ვილაცამ.

—ხომ გითხარით, თვალები დახუჭეთ-მეთქი.

— ე, კაცო, ნუ მოგვკალი, თუ ამბობ, თქვი, რა გაქვს? — ვერ მოითმინა მწერალმა ლეონოვმა.

— „სელიოტკაზე“ უკეთესია? — იკითხა ისევ შეინინმა.

—უკეთესია! —უპასუხა მარკოვმა.

—გაგიჟდები კაცი, რა არის ასეთი! —დაიძახა უზარმაზარი ტანის იურისტმა.

— მხოლოდ პროფესორი ორლოვი იჩენდა ერთხანს მოთმინებას, მაგრამ ბოლოს ისიც გატყდა:

—მეგობრებო, დავხუჭოთ თვალები, რა მოხდა მერე?

პროფესორის ავტორიტეტმა გაჭრა, ყველამ თვალები დავხუჭეთ.

— აბა, ახლა გაახილეთ, —მოგვესმა მარკოვის ხმა.

10 წყვილი თვალი ერთად ეძგერა მაგიდას და ორი თავი ნიორი აღმოაჩინა. ისეთი ყიჟინა ატყდა, თითქოს ერთი ტომარა თვალ-მარგალიტი ენახოთ.

—ურაააა!.. დაიძახა ვილაცამ და იმავე წუთს მარკოვი ჰაერში აისროლეს. „სელიოტკა“, შავი პური, ხახვი და ნიორი,— ეს იყო იმ საღამოს ჩვენი „მეფური სუფრა“. თითოს თითო ნამცეცი „სელიოტკის“ ნაჭერი შეგვხვდა, თითო ნაჭერი ხახვი

და თითო კბილი ნიორი, შავი პურის ნაჭერზე ნიორი დავასრისეთ და ჭიქები შევავსეთ რუსული არაყით.

„წმინდა რიტუალი“ დაიწყო!.. ჯერ ნივრიანი პურის სუნით დავტკბით, მერე „სელიოტკის“ ნაჭერი მოვწუწნეთ. შეკმა ვერავინ გაბედა, რათა სიამოვნება გაეგრძელებინა. მერე ხახვის ნაჭერი მივაყოლეთ და ნივრიანი პური მოვკბიჩეთ. ზოგმა სიამოვნებისაგან თვალები დახუჭა. მარკოვმა ამოიგმინა და... უჰ, მაგის დედაო, შეუთვალა ვიღაცას. ის არაყიც დავლიეთ და ისევ შევუდექით ყნოსვას, წუწნას და ღეჭვას. ასე, ერთი წუთის გადასაყლაპი ერთი თხუთმეტიოდე წუთი მაინც გავაგრძელეთ და „რჯულზე ვისიამოვნეთ“.

—ცხოვრება კი არა, სამოთხეა, —დაასკვნა ორლოვმა.

მეც მარაქაში გავერიე, თორემ, მართალი გითხრათ, დიდი არაფერი სიამოვნება მიმიღია, მარტო ნივრის სუნი მესიამოვნა.

—აბა, კაცო, გენაცვალე, კარგია, არა? —მკითხა მარკოვმა.

თავი ბრიყვად რომ არ მოვეჩვენებინა, ჩინებულია-მეთქი, ვუთხარი...

—ა, თუ ასეა, ალავერდი! —თქვა მან და დარჩენილი არაყიც გადაყლაპა. ჩვენც მის მაგალითს მივბაძეთ და „სელიოტკა“ დავაყოლეთ. ახლა უკვე არ გვიწუწნია, დავღეჭეთ და გადავყლაპეთ.

—ეჰ, რა ცოტა რამე უნდა, თურმე, ადამიანის ბედნიერებას. უნდა გენახათ, რა კმაყოფილი სახე ჰქონდა ყველას.

—თბილისური მწვადები სჯობია თუ ეს? —მკითხა რომელიღაც ზედმეტად გაბედნიერებულმა და თითები გაატკაცუნა.

—ახლა ნამეტანს ნუ გაიქაჩებით ამ თქვენი აყროლებული „სელიოტკით“, — ვთქვი მე, — წავიდეთ, ხელი დავიბანოთ და ვივახშმოთ, თორემ ამ არაყმა გულ-ღვიძლი გადამიბრუნა.

—ხომ არ გაგიჟდი, —წამოიძახა მარკოვმა, —ასეთ დელიკატესს ამერიკულ მარმელადს დავაყოლებ?

სხვებმაც იგივე აზრი გამოთქვეს და სასადილოში მარტო მე და პროფესორი ორლოვი ჩავედით. მოსამსახურე ქალიშვილს, ჰილდას მაგიდა უკვე გაწყობილი ჰქონდა. სუფრაზე

ნაირ-ნაირი საჭმელები ელაგა. რუსულმა „სელიოტკამ“ მადა გაგვიხსნა და სიამოვნებით შევექეცით. ცოტა ხნის შემდეგ მარკოვი ჩამოვიდა, მერე მეორე, ბოლოს ყველამ „გატეხა პრინციპი“ და გვიან ღამემდე ვისხედით მაგიდასთან. მე შევნიშნე, რომ ჩვენს შორის ერთი საინტენდანტო სამსახურის კაპიტანიც იყო, უცნობი, აქ პირველად ვხედავდი. მარკოვს ვკითხე, ვინ არის-მეთქი.

— ბერლინიდანაა, კინო ჩამოიტანა, — მითხრა მან. სანამ შენ რესტორანში დახეტიალობდი, ჩვენ აქ „უდანაშაულო დანაშავენი“ ვნახეთ ოსტროვსკის მიხედვით, კარგი სურათია, სატირალი!

—მე ვიცოდი, რომ მარკოვისათვის ყოველგვარი ფილმი ორ ჟანრად იყოფოდა: „სასაცილო“ და „სატირალი“. მას „სასაცილო“ უყვარდა, მაგრამ ზოგჯერ „სატირალზედაც“ ამბობდა, კარგიაო.

ღამის 12 საათზე ავიშალეთ. ყველას ძილი მოერია.

— ეჰ, თქვენ რა გიჭირთ, — თქვა მარკოვმა, — მე კიდევ ორი საათი უნდა ვიყარაულო, —მორიგე ვარ.

—შენ წადი, მე ვიმორიგეევებ, სულერთია, არ მეძინება,— ვუთხარი მე.

ვითომ იუარა, მაგრამ მერე „დათანხმდა“ და მადლობა მითხრა.

—დღეს იმდენი ვისიამოვნეთ, თავი მართლაც სამოთხეში მგონიაო, თქვა და წავიდა...

მიცვალებული მზე...

გარეთ ცივი წვიმა ცრიდა, შიგნით კი სასიამოვნო სითბო იდგა. მე რადიოს მივუჯექი, დიდხანს ვიწვალე, მაგრამ თბილისი ვერ დავიჭირე. ან რას დავიჭერდი, როცა ამ დროს თბილისიდან არავითარი გადმოცემა არ იქნებოდა. მერე უცბად ნაცნობ მელოდიას მოვკარი ყური. სმენად ვიქეცი, —ანა ვარდიაშვილის ხმა მოეფინა იქაურობას. არ ვიცი, საიდან გადმოსცემდნენ, მაგრამ ეს უკვე მეორეჯერ ვისმენდი ვარდიაშვილის

სიმღერებს უცხოეთში: პირველად —ბუდაპეშტში, ახლა აქ— ნიურნბერგში. სანტიმენტალობაში არ ჩამომართვათ და, მარკოვივით მეც სამოთხეში ვიგრძენი თავი. ეს სიამოვნება კალმით აუწერელია. ორი სიმღერა მოვისმინე, ორივე დუდუკების თანხლებით. სუნთქვა შემეკრა და გავინაბე. ასე რომ ვიჯექი, სასადილოდან ჰილდა გამოვიდა და კედელს მიეყრდნო. ისედაც ფართო თვალები კიდევ უფრო გაგანიერებოდა და გაოგნებული უსმენდა ვარდიაშვილის სიმღერას.

გადმოცემა რომ დამთავრდა, მომიახლოვდა და გაუბედავად მკითხა:

— სადაურია ეს სიმღერა?

— ჩვენებურია, ქართული, კავკასიური, —ვუთხარი მე. „ქართული“ უკვე იცოდა, რას ნიშნავდა. რადგან ჩვენს ვილას „ალავერდი“ ერქვა, უკითხავს და აუხსნიათ ამის მიზეზი.

—ეს ისეთი სიმღერაა, კაცს სიამოვნებისაგან ტირილი მოგინდება,— თქვა მან წყნარად.

იმ საზეიმო დღეს, რატომღაც, სულ ეს „სატირალი“ მესმოდა. „სატირალი კინო“, „სატირალი სიმღერა“, მეც რაღაც სევდა შემომაწვა გულზე. ისევ სამშობლო მომენატრა, თბილისი, ჩვენები, ნაცნობ-მეგობრები...

ჰილდა სულ ჩემს გარშემო წრიალებდა. ხომ არაფერი გნებავთ-მეთქი, ვკითხე, როცა ერთი მეათეჯერ მაინც ჩამიარა.

—ჰო, რაღაც მინდა გკითხოთ,—თქვა მორიდებულად.

—დაბრძანდით, ვუთხარი მე, მოპირდაპირე სავარძელზე მივუთითე და რადიოს ჩავუწიე. დაჯდა თუ არა, მკითხა:

—რატომ არ ბრძანდებოდით, კინო რომ უჩვენეს?

—სხვაგან ვიყავი, თქვენ ხომ ნახეთ?

—დიახ, ვნახე!..

—მოგეწონათ?

— რა ვიცი, ძალიან კი დამაინტერესა...

მერე ისევ ფართოდ გახელილი თვალებით მომაჩერდა და თითქოს ჭიანჭველები დამესივნენ ტანზე. მიკვირდა, ერთი შეხედვით მოხდენილი ქალიშვილი ჩანდა, ისიც ეთქმოდა — ლამაზიაო. მართალია, ასაკთან შედარებით ზედმეტად ტანსრული იყო, მაგრამ სინატიფე მაინც არ აკლდა. მიუხედავად ამი-

სა, რომ მომაჩერდებოდა, ტანში ცივი ჟრუანტელი მივლიდა. ჯერ ვერ მივხვდი, რატომ. მერე რომ დავაკვირდი, გავიგე: როცა მიყურებდა, თვალებს სრულიად არ ახამხამებდა. ასე გაშტერებული მომაჩერდებოდა ერთხანს, მერე ხედვა ნელ-ნელა უცივდებოდა, თვალები სრულიად უშეშდებოდა —„მიცვალებული მზის“ ღიად დარჩენილი თვალები. ამ დროს კი მთელი მისი სილამაზე იკარგებოდა. მინდოდა, როგორმე მომეშორებინა ეს მკვდარი თვალები, მაგრამ ამაოდ. იგი მაინც მიყურებდა, როგორც მითიური გორგონა, ერთი შეხედვით ქვად რომ აქცევს ადამიანს. საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი. ის იყო, უნდა ავმდგარიყავი, მაგრამ ამ დროს თვალები დაახამხამა და მკითხა:

—რასაც ამ კინოში უჩვენებენ, მართალია?..

ვერ გავიგე, ამას რატომ მეკითხებოდა, მაგრამ მაინც ვუთხარი: მართალია, აბა რა? თან ვცდილობდი თვალებისათვის არ შემეხედა. ის კი ისევ ისე მომჩერებოდა.

— განა რუსეთში ორსართულიანი სახლი არის? — იკითხა მან.

— როგორ არ არის!... რატომ მეკითხებით?!

— კინოში ვნახე, ფილმის გმირები ორსართულიან სახლში ცხოვრობენ.

—მერე რა?

—მე დღემდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთი სახლები არ არის რუსეთში.

— აბა, როგორი?

— მიწურები. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რუსები სულ მიწურებში ცხოვრობენო.

მეც მინახავს ომის დროს გერმანული ჟურნალები ჯარისკაცებისათვის. სულ მიწურები და ბანჯგვლიანი, წვერებიანი რუსები იყო ნაჩვენები.

რა არ შეუძლია პროპაგანდას!..

—ალბათ, ისიც გიკვირთ, წვერგაპარსულ რუსებს რომ ხედავთ? —ვკითხე მე.

— არა, ამას მივეჩვიე, ხომ ვხედავ, რომ აქ ყველანი წვერ-გაპარსულები და ნორმალურები არიან.

ლილი მარლენი ხომ გასულელებული იყო პროპაგანდით, მაგრამ ეს სულ გამოყეყეჩებულია-მეთქი, ვიფიქრე.

—თუ ორსართულიანი სახლები არის რუსეთში, ჩვენს ჟურნალებში რატომ ხატავდნენ მარტო მიწურებს?—მკითხა მან და ისე მომაშტერა თვალები, რომ გვერდზე გავიხედე.

— რა ვიცი, ალბათ. უნდოდათ თქვენთვის ჩაენერგათ აზრი, რომ რუსეთი ჩამორჩენილი ქვეყანაა.

თვალები ისევ გაშეშებული ჰქონდა, რომ მითხრა:

—ჩამორჩენილი როგორ იქნება, თუ ჩვენ დაგვამარცხა. არც ხალხია ისეთი, როგორც მეგონა. აქ ამდენ რუსს ვხედავ და ყველა ჩვეულებრივია...

— აბა, თქვენ როგორ წარმოგედგინათ?

—როგორც ველურები! ბანჯგვლიანი ველურები!..

მე ვიცოდი, რომ ჩვენს ვილას მიუნჰენის უნივერსიტეტის სტუდენტი ქალები ემსახურებოდნენ. ამას კი სტუდენტობის არაფერი ეტყობოდა. ამიტომ ვკითხე:

—თქვენ სად სწავლობდით?

—არსად არ ვსწავლობდი,—თქვა მან ისე, რომ თვალები არ დაუხამხამებია, პირდაპირ მიყურებდა... მე ვატყობდი, რომ თვალები ისევ უცივდებოდა... ამან ისე ამიშალა ნერვები, ვიფიქრე, ხელს ავუკრავ და თვალს დავახამხამებინებ-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე.

—სკოლაში სულ არ ყოფილხართ? —ვკითხე ისევ.

—ვიყავი სტენოგრაფისტების კურსებზე.

—სად მუშაობდით?

ეს უბრალო კითხვა რაღაც ტრაგიკული შინაარსით შეივსო მისთვის. ტანში ისევ ცივად გააჟრჟოლა, პასუხი არ მომცა. ისევ ისე მედუზასავით მომჩერებოდა. მე სავარძლით უკან გადავიწიე და თვალი დავხუჭე. უცებ მისი სიცილის ხმა მომესმა და თვალი გავახილე, მომხიბლავი და მაინც შემზარავი სიცილი ჰქონდა. თეთრი, სწორი კბილები უხდებოდა, მაგრამ რაღაც ხრინწიანი ხმით იცინოდა, თვალები კი ისევ ისე ჰქონდა გაშეშებული, სიცილი სულაც არ უცვლიდა გამომეტ-

ყველებას. სახის ერთი ნაწილი უცინოდა, მეორე კი უძრავად იყო. ზოგჯერ მის მსხვილ, ქვიშისფერ ტუჩებს სარკასტული ღიმილი ბზარავდა, რაც მკვდრის ღიმილს ჰგავდა. თან ეს ფართოდ გახელილი თვალები!... საშინელი ყოფილა შიში მკვდრის ღიად დარჩენილი თვალებისადმი, ამდენი ხანი დაუხამხამებლად რომ მოგჩერებია.

— რა გაცინებთ-მეთქი, ვკითხე და ისევ უნებურად დავხუჭე თვალი.

— სად მუშაობდითო, რომ მკითხეთ, გამეცინა, — თქვა მან, — რომ გითხრათ, უფრო შეგეშინდებათ.

—საიდან მოიტანეთ, თითქოს მეშინია! —გავიკვირვე მე და მართლაც ასე რომ არ გამოსულიყო, თვალი გავახილე. იგი ისევ ისე მომჩერებოდა. ახლა მთელი ტანი უთრთოდა. სახეს კონვულსიური კრუნჩხვა უმახინჯებდა. თვალები სულ გაუდიდდა, მერე შუშისებური იერი მთელ სახეზე მოედო და გაიყინა.

— იცით, სად ვმუშაობდი? — მკითხა მან და, ჩემდა სავალალოდ, ოდნავ ჩემსკენ გადმოიხარა. მერე სახე მომიახლოვა... შემზარავმა ღიმილმა გადაურბინა, თვალები უფრო გაუფართოვდა. ახლა მარტო ამ ორ გაყინულ თვალს ვხედავდი, რომელიც სითბოს კი არა, გამთოშავ სიცივეს მაგრძნობინებდა. სისხლი გამეყინა ძარღვებში, ენა ძლივს მოვიბრუნე:

— არა, მე საიდან ვიცი, — ვუპასუხე და სავარძლის ზურგს უფრო მივაწექი.

—სად ვმუშაობდი და გესტაპოში! —თქვა მან ხრინწიანი ხმით და ისევ შემზარავად გაიცინა.

—გესტაპოში რას აკეთებდით, —ვკითხე მე.

—ტუსაღების დაკითხვის ოქმებს ვწერდი...

—რამდენი ხანი მუშაობდით გესტაპოში?

—ოთხი წელი, ორმოცდასამამდე...

—მერე რას აკეთებდით?

მე სულაც არ მაინტერესებდა, რას აკეთებდა ეს ჰეტერა, მაგრამ რომ გავჩუმებულიყავი, იმ გაშეშებული თვალების უფრო შემეშინდებოდა. ასეთ დროს ლაპარაკი სჯობია, თუნდაც

უაზრო ლაპარაკი... ამიტომ კითხვაზე პასუხი რომ დააგვიანა, ისევ შევეკითხე:

— ამის შემდეგ არ გიმუშავიათ?

—არა, ვმკურნალობდი...

ერთხანს გაჩერდა, მერე ტანში გააკრეჭილა და აკანკალებული ხმით დაუმატა:

—ფსიქიატრიულში...

ზურგზე ისევ ჭიანჭველების გუნდმა გადამირბინა. თვალები ჩემდაუნებურად დავხუჭე... ეს მერამდენჯერ!.. მისი ხრინწიანი ხმა კი მაინც მესმოდა...

—ერთი წელი ვიმკურნალე... უძილობა მქონდა, კოშმარებიც მაწუხებდა... აქ თითქოს სიმი გაწყდა და მისმა ხმამ ისევ ისე შემაძრწუნებლად გაიკლრიალა:

—მთელი ღამე თვალებგახელილი ვიწექი და საშინელ სიზმრებს ვხედავდი.

— თუ არ გეძინათ, სიზმრებს როგორღა ხედავდით?— შევეკითხე, რომ მეგრძნობინებინა, გისმენთ-მეთქი.

—რა ვიცი როგორ, მე კი ვხედავდი, ყველაფერს კარგად ვხედავდი: როგორ შემოჰყავდათ ტუსაღი, როგორ დაკითხავდნენ, როგორ ურტყამდნენ, ფრჩხილებში ნემსებს უყრიდნენ, ფეხის ქუსლებს გახურებული შანთით უდაღავდნენ. ყველაფერს ისე ვხედავდი, როგორც იქ, სამუშაოზე... გესტაპოში... მთელი ღამე თვალები გახელილი მქონდა და ვხედავდი, როგორ შემოჰყავდათ ტუსაღი, როგორ დაჰკითხავდნენ, როგორ ურტყამდნენ, ფრჩხილებში ნემსებს უყრიდნენ, ფეხის ქუსლებს გახურებული შანთით უდაღავდნენ... მერე, როგორც იქნებოდა, თვალს დავხუჭავდი, მაგრამ მაინც ვხედავდი: როგორ შემოჰყავდათ ტუსაღები... როგორ დაჰკითხავდნენ... როგორ უყრიდნენ ფრჩხილებში ნემსებს, როგორ უდაღავდნენ ქუსლებს გახურებული შანთით, ყველაფერს ვხედავდი სიზმარში... მერე ვითომ მე შევყავდი დაკითხვის ოთახში, მაწამებდნენ, ფრჩხილებში ნემსებს მიყრიდნენ, ქუსლებს გახურებული შანთით მიდაღავდნენ, თმებით კედელზე მკიდებდნენ, მირტყამდნენ... მირტყამდნენ... მირტყამდნენ... მე კი ღია თვა-

ლებით მეძინა... მეძინა და ვხედავდი, როგორ შევყავდი ნახევრად ბნელ ოთახში, როგორ მაწამებდნენ, ფრჩხილებში ნემსებს მიყრიდნენ, ქუსლებს გახურებული შანთით მიდაღავდნენ. მერე ვიღაც ღიად დარჩენილ თვალის გუგაზე სამართებელს გადამისვამდა და ვკიოდი... ჩაბნელებულ ოთახის ჭერს მივაჩერდებოდი და მაინც ვხედავდი, როგორ შემოჰყავდათ ტუსაღი, როგორ უყრიდნენ ფრჩხილებში ნემსებს... როგორ...

—კარგი, გეყოფათ! —ვეღარ მოვითმინე მე, —რას მიყვებით ამ საზიზღრობას...

ისტერიული, მაგრამ საოცრად გაგუდული სიცილი აუტყდა. შემეშინდა, არავინ შემოვიდეს-მეთქი, წამოვდექი და მინდოდა წავსულიყავი, რომ სიცილი უცებ შეწყდა და ისევ სევდიანი ხმა გავიგონე:

—ეს ხომ სიზმარია და სულერთი არ არის, საზიზღრობაა თუ არა?!

— სულერთი როგორაა! სიზმარიც სასიამოვნო უნდა ადამიანს. თავში ყველაფერი ამერია: უძილო სიზმარი... ღია თვალების ზმანება... გაშეშებული, მკვდარი გამოხედვა... დამტვრეული სიცილი...

ასე მეგონა, თვით ჯოჯოხეთის თვალები ვომჩერებია-მეთქი.

„ღიად დარჩენილი თვალები მარადისობისაო“, წერს ბატონი კონსტანტინე...

ერთხანს თვალებდახუჭული და სულგანაბული ვიჯექი. არც ჰილდას ამოუღია ხმა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი, თვალი რომ გავახილე, ღმერთო ჩემო!.. იგი ისევ მეღუზასავით მომჩერებოდა და ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა...

სატურნიული ღამე...

მერე ყველაფერი ეს მოშორდა, თითქოს „სიზმრისგანაც“ გამოფხიზლდა და წამწამები ააბამხამა. ახლა ჩემს წინაშე სრულიად ნორმალური ქალიშვილი იჯდა, მაგრამ შიშის გრძნობა

მაინც ვერ მოვიშორე. რადიო ჩავრთე. რაღაც სიმფონიას უკრავდნენ. ჰილდა თითქოს ახლა მიხვდა, რომ ჩემს წინ იჯდა, დაირცხვინა, წამოხტა და თქვა:

—ბოდიში, მგონი მოგაცდინეთ, ბოდიში, რატომ არ გამაჩერეთ და არ მითხარით წავსულიყავი... ბოდიში, —თქვა მესაბედ და წავიდა.

ერთხანს კიდევ მესმოდა მისი ფეხის ხმა სასადილოში. მე კი ისევ თვალებდახუჭული ვიჯექი და ვუსმენდი, როგორ მიედინებოდა ბგერების უნაპირო მღინარე უსასრულობის ბნელით მოსილი კალთებისაკენ. უნდა გითხრათ: არასოდეს ისე არ მიგრძვნია მუსიკის პირდაპირ ფიზიკური გავლენა, როგორც მაშინ. თითქოს მეც მის ტალღებს მივყვებოდი და ვნებივროზდი. ნერვები ნელ-ნელა დამიმშვიდდა. მერე სასადილოში შევედი და ჰილდას ვკითხე:

—ახლა როგორ ხართ?

—კარგად, გმადლობთ, —თქვა მან და თავი ჩაღუნა.

—წადით, დაიძინეთ!..

— არა, ვიქნები ცოტა ხანს!..

თავს იკავებდა, ცრემლს მალავდა, მაგრამ მაინც ტიროდა. ვიფიქრე, იქნებ ეს ქალიშვილი იყოს-მეთქი ამ სასტიკი წლების ყველაზე შემზარავი მსხვერპლი. როგორ ასახიჩრებს ადამიანებს სისასტიკე და სიძულვილი! რა უგუნურებაა ეს, რა ძალადობა ბუნებაზე!..

ერთხანს კიდევ ვისაუბრეთ. იგი თავის ფიქრებს გაურბოდა, მე —მის თვალებს, თუმცა ახლა სულ სხვა იყო. ფართედ გახელილი ცრემლიანი თვალები სათნოდ და სევდიანად გამოიყურებოდა. მე ამ კონტრასტმაც გამაოცა. გამიგონია, თვალი სხეულის სარკმელიაო, ჰილდას ამ „სარკმელიდან“ ადრე თვით სატანა იყურებოდა, ახლა კი მომნანიებელი მაგდალინელი...

ეჰ, მართლაც გასაოცარია კაცის ბუნება. მას ასეთი აბსურდული კონტრასტი უფრო იზიდავს თურმე...

...ჰილდას „ძილი ნებისა“ ვუსურვე და ზევით ავედი. ერთი საათი მაინც ვიწრიალე ლოგინში, ვიდრე ჩამეძინებოდა, თუმცა ეს რა ძილი იყო! სიზმარში ისევ ორი გაყინული თვალი

მომჩერებოდა. იმ თვალებიდან პატიმარი გამოჰყავდათ და ურტყამდნენ, აწამებდნენ. იგი არ ყვიროდა, არა, არაფერს არ ამბობდა, მხოლოდ კვნესოდა და იღიმებოდა. მინდოდა, იმ ვიღაცას თვალები დაეხამხამებინა ან სულ დაეხუჭა, რომ არ მეყურებინა ამ საშინელებისათვის, მაგრამ „ღიად დარჩენილი თვალები“ ისევ გაშეშებული მომჩერებოდა და... ისევ გამოჰყავდათ იქიდან პატიმარი... ისევ ურტყამდნენ... აწამებდნენ... ფრჩხილებში ნემსებს უყრიდნენ... ფეხის ქუსლს გახურებული შანთით უდაღავდნენ... სახეს სამართებლით უსერავდნენ... მერე თვალები უფრო გადიდდა... ბადურები გაგანიერდა... თითქოს ახლოსაც მოვიდა და... ვიცანი: ჰილდას თვალები! იმ პატიმარსაც დავაკვირდი და ასე მომეჩვენა, პან პიოტროვსკის ვუყურებ-მეთქი.

მერე თვითონ ჰილდას მიუტანეს სამართებელი თვალებთან, ქუთუთოები უცებ ამოძრავდა და, არ ვიცი, ვინ იყო; მე, იგი, თუ სხვა ვინმე, გულშემზარავად რომ იკივლა:

— მოკალით!.. მოკალით ის უბედური!..

...წლების მანძილზე, რაც იმ ომისა და პროცესის ამბებს ვყვები, მეც სულ ამგვარი კოშმარები მაწუხებენ. რამე შემაძრწუნებელ ამბის მოყოლას რომ დავასრულებ და მინდა დავიძინო, „ღამის დაფლეთილი თვალები“ მომაჩერდება და საშინელებაც მაშინ იწყება. ის საშინელი ამბები ისევ ცოცხლდებიან და ძილშიც არ მაძლევენ მოსვენებას. მაგრამ ეს კიდევ არაფერი! მე თუ უმეტესად იმას გიყვებით, რაც სხვას გადახდა, ღამით, სიზმარში ყველაფერი ეს საკუთარ თავგადასავლად იქცევა და ვარ სულ იმ მკვდრებსა თუ ცოცხლებში. ვითომ მე სხვებთან ერთად მივყევარ საკონცენტრაციო ბანაკში, მაწამებენ, მტანჯავენ, გაზ-კამერაში მახრჩობენ. ზოგჯერ მე თვითონ ვარ პირაღმა გაწოლილი, რომ გერინგის ინსტრუქციის თანახმად, მოქნეულ ნაჯახს შევავლო თვალი ან კიდევ იმ რაბინებივით მმარხავენ მიწაში და ვუყურებ, როგორ მოდის ჩემსკენ ბულდოზერი, რომ... ვითომ ვიყვირებ, გამომეღვიძება და... ტვინში თითქოს ჭიანჭველები დაფუსფუსებენ. ვცდილობ დავწყნარდე, ნერვები დავიმშვიდო, ჩავიძინო, მაგრამ

კოშმარული ხილვები ისევ გრძელდება, დროსაც განზომილებები ეკარგება და ის ჰილდაც ისე მომჩერებია თავისი გაშეშებული თვალებით, თითქოს ეს გუშინ იყო და არა ამ მეოთხედი საუკუნის წინ...

...დილით, ქვემოთა დარბაზში რომ ჩავედი, ჩვენები ისევ დიდ ფაციფუცში იყვნენ. დაიწყო ახალი დღე და ახალი ამბები. ასეა. ყოველ დილით ახალ ცხოვრებას იწყებს ადამიანი. ზოგჯერ ისეთი გრძნობაც გაქვს, თითქოს იმდენჯერ იბადები, რამდენ გარიჟრაჟსაც ხვდები. წინა ღამის კოშმარებიდან მხოლოდ უსიამოვნო მოგონება შემრჩა. დილამ, მზემ და რაღაც ახლის მოლოდინმა კი ის მოგონებაც ისე გაფანტა, რომ არც იმ სატურნიული ღამის გახსენება მინდოდა და არც ჰილდას გაყინული თვალებისა...

შეხვედრა ვაგონ-სალონში...

შემდეგ, ის იყო, ერთმა მოულოდნელმა ცნობამ მთელი ჩვენი „გარნიზონი" ააფორიაქა. რუდენკომ დარეკა, ნიურნბერგის რკინიგზის სადგურზე ცნობილი ამერიკელი გენერლის ვაგონ-სალონი ჩამოდგაო. გენერალს გაუგია, რომ დღეს ჩვენი დღესასწაულია და მოუსურვებია საბჭოთა ოფიცრებთან ერთად სადილობა. საჭიროა ორი თქვენთაგანი მოემზადოს წასასვლელად, დანიშნულ დროზე მოგაკითხავენო.

ერთი ამბავი შეიქნა:

— რაღა დღეს ჩამოეთრია ის ოჯახქორი, — წამოიძახა მარკოვმა. აბა, რომელი სულელი მიატოვებს დღეს ჩვენებურ სადილს და იმ ამერიკელისათვის გასწირავს თავს. არა, ძმაო, რომ მომკლათ, მე იქ წამსვლელი არა ვარ.

— არც მე, — თქვა მეორემ.

დავალება მაინც დავალება იყო და შესრულება უნდოდა.

— მოდით, წილი ვყაროთ, ვისაც შეხვდეს, ის წავიდეს, — თქვა ვიღაცამ.

—წილიც რომ შემხვდეს, მაინც არ წავალ, —აურია მარკოვმა.

— არც მე, — დასცა დასტური მეორემ.

— თუ ორია წასასვლელი, რატომ ორივე ჩვენგან, — მოიფიქრა ვიღაცამ, — ერთიც სხვა განყოფილებიდან წავიდეს.

საქმე ის არის, რომ ჩვენი დელეგაცია ორ ჯგუფად იყო გაყოფილი და ორ სხვადასხვა ვილაში ვცხოვრობდით. ერთს, ტრიბუნალის აპარატს, უბრალოდ „ნიკიტჩენკოს ხალხს“ ვეძახდით, ხოლო მთავარი ბრალმდებლისას — „რუდენკოს ხალხს“. მართლაც, თუ ორი კაცი იყო „განწირული“, ერთი იქიდან უნდა წასულიყო. ასეც გადაწყდა, მაგრამ ერთი კაცი მაინც იყო „გასაწირი“. ბოლოს ისე გამოვიდა, რომ „ის ერთი“ მე აღმოვჩნდი. რა არგუმენტი არ მოიყვანეს ამის დასამტკიცებლად. ჯერ თქვეს, რომ მე ქართველი ვარ და მაინცდამაინც არ „ვგიჟდები“ რუსულ საქმელებზე.

— ეს მართალია, — მაშინვე დაუკრა კვერი მეორემ.

— გუშინ კინაღამ „სელიოტკაზე“ თქვა უარი, — შეეშველა ვიღაცა.

მეორე „არგუმენტი“ ის იყო, რომ მე ინგლისურიც ვიცოდი. ამ საბუთსაც აღმოუჩნდა ბეჭდის დამსმელი.

— ესეც სწორია, აბა, ახლა მთარგმნელი კიდევ სად ვიშოვოთ იქ გასაგზავნად...

მესამე „არგუმენტი“ სულ ყურით მოთრეული იყო, მაგრამ, რატომღაც, უფრო ამას ჩაეჭიდნენ. საერთოდ, რომელიმე დელეგაცია რომ ჩამოდიოდა, შესახვედრად ან მათთან სამუშაოდ მე მაგზავნიდნენ იმავე უცნაური მოტივით — „შენ არ თვრებიო“. გარდა ამისა, ხუმრობით „ნარკომინდელს“ მეძახდნენ, რადგან საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემიდან ვიყავი ბივლინებული ნიურნბერგში.

— შენ ხომ ჩვენი „ნარკომინდელი“ ხარ!.. ჩაეჭიდა ამ „არგუმენტს“ ერთი ყველაზე უფრო შეშინებულთაგანი, მე არ მომიწიოს წასვლამო.

— თანაც, ნამდვილი სამხედრო! ჩვენ რა, თითქმის ყველანი სამოქალაქო ვართ, იურისტები, — მოისაწყლა თავი ორლოვმაც.

ოღონდ იქ წასვლაზე უარი არ მეთქვა და „ნარკომინდელის“ კი არა, პრეზიდენტის თანამდებობას ან მარშლის წოდებასაც არ დაიშურებდნენ ჩემთვის.

— ჰო, კარგი, გეყოფათ, წავალ! — ვთქვი ბოლოს და „მკვახე იყო ის ყურძენიო“, იმისი არ იყოს, მივუმატე,—მე სულაც არ მინდა თქვენს ბორშჩში ცურაობა!..

— ურაა! — აღმოხდა სიხარულისაგან ვიღაცას. მარკოვმა მაინც დაირცხვინა.

— სამაგიეროდ, საღამოს ქართულ „ალავერდს“ გავმართავთ, — მანუგეშა მან, — იმ გაბერილ მზარეულს მანამდე არ მოვეშვები, სანამ რამე ქართულს არ გავაკეთებინებ.

— აუცილებლად, აუცილებლად! — დაუდასტურეს სხვებმა და განაჩენიც ერთხმად გამომიტანეს...

...ზუსტად 4 საათზე ამერიკელი ოფიცერი მოვიდა და წავყევი. გამოირკვა, რომ „ნიკიტჩენკოს ხალხმა“ გვიღალატა და „განწირული“ მარტო მე აღმოვჩნდი.

ვაგონ-სალონში იმაზე დიდი ვინმე დამხვდა, ვიდრე მოველოდი. მასთან კიდევ ხუთიოდე მაღალი რანგის გენერალი იყო. მათ შორის ჩემი ნაცნობი ტიმბერლეიკი. ორი კაცი ნიურნბერგის გარნიზონიდან მოეწვიათ, დანარჩენები იმ გენერალს ახლდნენ. ტიმბერლეიკი ძველი მეგობარივით მომესალმა, მერე ვაგონ-სალონში მიმიწვიეს და თავისუფალი საუბარი გავმართეთ. ყველაზე უფრო პროცესის ამბავი აინტერესებდათ. ათასნაირ კითხვებს მაძლევდნენ, როგორ იქცევიან, რას ამბობენო და სხვ. მერე „სასადილოში“ შეგვიყვანეს და საუბარი იქ გაგრძელდა. მასპინძელმა რამდენიმე ოფიციალური სადღეგრძელო წარმოთქვა, მეც ტრადიციული სიტყვებით მივმართე და, ამ მოვალეობის მოხდის შემდეგ, ისევ სხვადასხვა თემაზე დავიწყეთ საუბარი.

ეს ის დრო იყო, როცა მთელი მსოფლიო ხიროსიმასა და ნაგასაკის ამბებზე ლაპარაკობდა. ატომის ყუმბარამ ხომ პირველად აქ აჩვენა თავისი დამანგრეველი ძალა. კასელის მოსპობით აღფრთოვანებული ტიმბერლეიკი, ცხადია, ახალ პერს-

პექტივებს ხედავდა ამაში. მის თვალწინ ახლა უფრო ფართო ჰორიზონტი იშლებოდა და ნანობდა, ძალიან ნანობდა, რომ სახელმწიფო პოლიტიკა სამხედროთა კარნახს არ მიჰყვებოდა. ეტყობოდა, მაშინაც ამაზე ფიქრობდა, მაგრამ არ უნდოდა პირველს წარმოეთქვა ეს საშინელი სიტყვა: „ხიროსმა“, ამიტომ მეც შორიდან მოვუარე.

— ისე, ომი საშინელი რამეა. აი, კასელმა ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მეტიც, შემაძრწუნა კიდეც ამ ნანგრევებმა. მე მესმის, რომ ომი სისასტიკის გარეშე არ არის, ისიც ვიცი, მტერი რომ უნდა გძულდეს. ჰიტლერელების სიძულვილის ყველაზე მეტი საფუძველი სწორედ ჩვენ გვაქვს, მაგრამ მაინც არ შეიძლება გიხაროდეს, როცა ამ საშინელებას უყურებ. განა შემაძრწუნებელი არ არის, მარტო ჰერკულესის ძეგლი რომ დასცქერის ამ დანგრეულ ქალაქს?

— ომს სხვა საშუალებები არ გააჩნია, მეგობარო, — თქვა ოდნავ უკმაყოფილო ტონით ტიმბერლეიკმა, —რაც შეეხება სიხარულს... იცით, რა გითხრათ? გამარჯვებას არა აქვს აზრი, თუ მისი შედეგი არ გახარებს.

— მაშინაც, როცა ეს შედეგი შემაძრწუნებელია? — არ მოვეშვი მე.

— შემაძრწუნებელი ვისთვის? მტრისთვის თუ მოყვრისთვის?

—საერთოდ ადამიანისათვის!

—ეს არაფერს ნიშნავს. ადამიანი ან მტერია, ან მოყვარე, ორში ერთი. თუ მოყვარეა, შენ მას არ ებრძვი, თუ მტერია— მისთვის შემაძრწუნებელიც უნდა იყოს!

მე ისევ იმ ჰერკულესის ქანდაკება დამიდგა თვალწინ. მერე ამ გოლიათ ტიმბერლეიკის მინოტავრივით სქელ კისერს შევავლე თვალი და თითქოს რაღაც საერთოც აღმოვაჩინე მათ შორის, მაგრამ სახეს რომ დავაკვირდი, ეს მსგავსება მაშინვე გაქრა. ჰერკულესს მორცხვად ჰქონდა თავი დახრილი, ტიმბერლეიკს კი თვალები სიამაყით და სიხარულით უბრწყინავდა.

მერე თითქოს ჩემი ფიქრები გადაედოო, უცებ თქვა:

კასელში ყველაზე უფრო მე სწორედ ჰერკულესის ძეგლი მომეწონა...

— საინტერესოა, ვინმემ რომ გკითხოთ, ხიროსიმაში როგორი ძეგლი დავდგათო, რას უპასუხებდით?

ეს სიტყვა მაინც მე ვახსენე პირველად. მეგონა, არ ესიამოვნებოდა, მაგრამ, პირიქით, თითქოს შვებით ამოისუნთქა. სხვებმაც ჩვენზე გადმოიტანეს ყურადღება.

—ხიროსიმაში, ჩემთვის რომ ეკითხათ, სამასი მეტრის სიმაღლის „ატომური სოკოს“ ქანდაკებას დავდგამდი, როგორც ახალი ეპოქის ნიშანსვეტს, — მიპასუხა ტიმბერლეიკმა. — წარწერასაც ასეთს გავუკეთებდი:

—უყურეთ და იფიქრეთ მომავალზე...

მასპინძელს გაეცინა. უნდოდა, ლაპარაკი ხუმრობაში გადაეტანა და ამიტომაც უთხრა:

— ტიმ, შენ ამას სიზმარში ხედავ, თუ ცხადად ამბობ?

—სამწუხაროდ, სიზმარში, მინდოდა კი ცხადად მენახა.

ახლა ვითომ მეც ვიხუმრე და ტიმბერლეიკს მივმართე:

—ნაგასაკში? იქ როგორ ძეგლს ისურვებდით?

— ნაგასაკში არც ღირს ძეგლის აგება, — ისევ თქვა ტიმბერლეიკმა.

—რატომ, იქაც ხომ აფეთქდა ატომის ყუმბარა?

— მაინც არ ღირს, ერთ ქვეყანაში ორი ძეგლი რა საჭიროა. უმჯობესი იქნებოდა, ის ძეგლი სხვაგან დაედგათ.

—მაინც სად?

აქ მასპინძელმა იგრძნო, ტიმბერლეიკი რაღაც უადგილოს წამოროშავსო, და მაშინვე ჩაერია:

— ტიმ, გეტყობა, ვისკი მოგერია.

— შესაძლებელია, სიმართლესაც ამიტომ ვამბობ. როცა ვისკი მომერევა, გონება მაშინ მინათდება, თორემ ფხიზელი რომ ვარ, ჩემთვის სულ ერთია, ისე კი, თუ სადმე სამართალია, მეორე ძეგლი ჩვენი მოკავშირეებისათვის უნდა დაედგათ... მოსკოვში...

მასპინძელს უნდოდა შეეჩერებინა იგი, მაგრამ ტიმბერლეიკმა აქაც „ჯარისკაცური პირდაპირობა“ გამოიჩინა:

—რა თქმა უნდა, მე მესმის ასეთი პირდაპირობის უხერხულობა, მაგრამ ჯარისკაცისათვის ფარისევლობა შეუფერებელია, —თქვა მან.

შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ მისი ამგვარი „პირდაპირობა“ მაინც უხერხულობას იწვევდა. მით უმეტეს, მაშინ, როცა ამგვარი „ნოტები“ არც ისე პოპულარული იყო. პირიქით, დასავლეთის სახელმწიფო თუ სამხედრო ხელმძღვანელები სულ სხვაგვარ ტონს ირჩევდნენ:

—წითელ არმიასა და საბჭოთა ხალხს ეკუთვნის მარადიული დიდება,—წერდა რუზველტი. სწორედ იმათ ჩაწერეს უკვდავი გვერდები ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში. მათი მაგალითი და თავგანწირვა აღაფრთოვანებს გამარჯვებისათვის გაერთიანებულ ყველა ძალას...

—სწორედ რუსეთის არმია იყო ის მთავარი ძალა, რომელმაც გატეხა გერმანელთა ჯარების სულისკვეთება, —ამბობდა ჩერჩილი.

დე გოლი ხომ სულ აღტაცებული იყო „მილიონობით საბჭოთა ქალებისა და კაცების გმირული შრომითა და ბრძოლით, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში“.

ასეთივე აღფრთოვანებულ სიტყვებს წარმოთქვამდნენ მაშინ ეიზენჰაუერი, მონტგომერი და ჟორჟ კატრუ. ტიმბერლეიკი კი სულ სხვა ჰანგზე მღეროდა. ნათქვამია, ისტორია მეხსიერებას კი არ უნდა ამძიმებდეს, გონებას უნდა ანათებდესო. ეს კი მართალია, მაგრამ ამ გენერალს „გონების განათებისა“ არაფერი ეტყობოდა. ამიტომაც ვუთხარი:

— მე არ მეგონა, რომ ასე გძულდათ თქვენი მოკავშირეები, აღტაცებული ვარ მათი გმირობითო, ამბობდით, ახლა კი...

არც დამამთავრებინა:

—ახლაც აღტაცებული ვარ, მეგობარო. თქვენ ვერ გამიგეთ. რომ მკითხოთ, ვინ არის ამ ომის მთავარი გმირი, უყოყმანოდ გეტყვით —თქვენ! ვინ მოიგო ომი?—თქვენ! ვინ მოიქცა ყველაზე ღირსეულად? —თქვენ! ვის უნდა უმადლოდეს ისტორია ჰიტლერისაგან განთავისუფლებას? —თქვენ! ვის ეკუთვნის გამარჯვების დაფნის გვირგვინი? —თქვენ! ყველაფერი თქვენ. ამას გულწრფელად ვამბობ, ამიტომაც ვნანობ, ყველაფერი რომ „თქვენ“ და არა „ჩვენ“.

—განა ჩვენი გამარჯვება საერთო არ არის?

—არა, გეთაყვა, ეს უკვე დიპლომატიაა, ჩვენი გამარჯვება არ შეიძლება საერთო იყოს!

—რატომ?

—იმიტომ, რომ ჩვენ მოკავშირეები ვიყავით იარაღით და არა იდეებით...

ქართული სადღეგრძელო...

მასპინძელმა მორიგი სადღეგრძელოთი შეწყვიტა, მართლაც, უადგილო საუბარი და დღესასწაული მოგვილოცა. მერე ეს „ინცინდენტი" ყველას დაავიწყდა და ისევ გავაბით საუბარი. როგორღაც სიტყვამ მოიტანა და ვთქვი, ქართველი ვარ–მეთქი. ამის გაგონებაზე მასპინძელს რატომღაც სიცილი აუტყდა. მე თავი უხერხულად ვიგრძენი. სხვებიც გაკვირვებით მისჩერებოდნენ მას. ის კი გულიანად იცინოდა. მერე ჭიქები შეავსო და ფეხზე ამდგარმა საზეიმოდ წარმოთქვა:

— გიმარჯიბა, გინაცვალი!..

ჯერ ვერ მივხვდი, რას ამბობდა. იმანაც შემატყო ეს და ისევ იმავე ტონით გაიმეორა:

— გიმარჯიბა, გინაცვალი!..

მერე შუბლი მოისრისა, ერთხანს იფიქრა და ბოლოს თითების ტკაცუნით გაიხსენა:

—დალიი!..

ისევ სიცილი აუტყდა..ახლა სხვებიც აჰყვნენ, არ ვიცი, ხათრით თუ მართლა მოეჩვენათ რამე სასაცილოდ.

მე ძლივს მივხვდი, რომ ქართული სიტყვები წარმოთქვა: „გამარჯობა", „გენაცვალე" და „დალიე". ამ დროს მასპინძელმა ვითომ სიმღერაც წამოიწყო:

—დალიი და დალიი,

სულ დალიი, დალიი...

ცხადია, არავითარი სიმღერა არ გამოვიდა. იმან კი ჭიქა აავსო და მომაძახა:

—დალიი!..

დავლიე და ვუთხარი:

— როგორც მივხვდი, ეს ქართული სიტყვებია.

—განა ამას მიხვედრა უნდა! სწორედ არ ვამბობ თუ?— გაიკვირვა მან და ერთხელ კიდევ გაიმეორა:

—გიმარჯიბა, დალიი, სულ დალიი, დალიი...

—სად ისწავლეთ ეს სიტყვები? —ვკითხე და ცნობისმოყვარეობამ ამიტანა, —საქართველოში ყოფილხართ ოდესმე თუ ქართველს იცნობდით ვინმეს?

—მე სიძე მყავს ქართველი, —თქვა მან და ისევ საზეიმოდ წარმოთქვა:

—ნაქაშიდე!..

მივხვდი, რომ ნაკაშიძე უნდოდა ეთქვა.

—თუ ქართველები ასეთი ლამაზი ხალხია, როგორიც ჩემი სიძეა, —თქვა მან, —თქვენი თაყვანისმცემელი ვარ. მახსოვს, პირველად რომ შემოვიდა ჩვენს სახლში, ჩემს დას მაშინვე გული წაუვიდა. ერთ კვირაში უკვე ნათესავები ვიყავით. მეც ისე შემიყვარდა ჩემი სიძე, რომ უიმისოდ ყოფნა მიძნელდებოდა. ამხანაგებიც ჰყავდა, ქართველები. ჩინებულად მღეროდნენ და ცეკვავდნენ. აი ასე, თქვა მან და ორი დანა გაირჭო კბილებში, თან ხელები ისე გაშალა, რომ ძლივს მიამსგავსა ქართულ ცეკვას.

ეს მეორედ ვხედავდი საზღვარგარეთ ქართული ცეკვებით მოხიბლულ უცხოელს.

—რას აკეთებს ამერიკაში თქვენი სიძე? —ვკითხე მე.

ისევ სიცილი.

—არაფერს, —თქვა ბოლოს, —ცხოვრობს. არ მსახურობს, ბიზნესს არ მისდევს, მაგრამ მაინც ჩემზე უკეთ ცხოვრობს. მე, როგორც სამხედრო, ხან აქ ვარ, ხან იქ. ის თავისუფალი კაცია. მომძებნის, გადამეხვევა და მეტყვის „გიმარჯიბა, პატ!..“ მაგიდაზე სულ ამ სიტყვას იძახის: დალიი. დალევა უყვარს. მაგრამ ისე ღვინოს არ გაეკარება, ვინმე თუ არ აქო. გრძელ სიტყვას წარმოთქვამს და მერე ბოლომდე გამოცლის. ყველასგან ამას მოითხოვს. ვინც არ დალევს, შეუჩნდება— „დალიი“, „დალიი“ და, ვიდრე ჭიქას არ დააცლევინებს, არ მოეშვება. როცა ჩვენთანაა, სულ ეს „გიმარჯიბა“ და „დალიი“

მესმის. ჩემი და სულ გააქართველა. თქვენებური ქცევები ასწავლა. სახელიც გამოუცვალა, ნისტანს უძახის, მე კი ტარიილი ვარო, ამბობს. სულ ერთი რაინდის ამბებს ყვება თქვენებური წწერლის ნაწარმოებიდან, სახელი არ მახსოვს...

—ალბათ, რუსთაველი, —შევეშველე მე.

—დიახ, მგონი ასეა. ახლა ჩემი სიძე ჰოლივუდში ცხოვრობს. ამას წინათ მომწერა, შეიძლება ევროპაში გინახულოო. თუ ჩამოვიდა, ვუამბობ, როგორ შეგხვდით აქ ქართველს. უსათუოდ მოგძებნით, ისე უყვარს თავისი თანამემამულეები.

ამას ისე გატაცებით ჰყვებოდა, რომ ეტყობოდა, მართლაც ძალიან უყვარდა თავისი სიძე. მერე გაიხსენა, რომ მეორე ქართველსაც შეხვედრია, თავისი სიძის ნაცნობს, — სავაჭრო წარმომადგენლობაში მუშაობდაო.

—გვარი ხომ არ გახსოვთ, —ვკითხე მე...

—როგორ არა, ჰო, ეხლავე, დიახ, მიქადე, —მითხრა მან.

—მიქაძე, —გავუსწორე მე. „ძ"-ს ვერ გამოთქვამდა და ინგლისური „th"-თი ცვლიდა. დანარჩენი სიტყვების გასწორებაც ვცადე, მაგრამ რამდენჯერაც შემომთავაზებდა ღვინოს, მაინც „დალიის" დაეყოლებდა თავისებურად. მეც ბევრს აღარ ვახვეწინებდი და ნელ-ნელა შევქეიფიანდით...

... ჩვენს ვილაში რომ დავბრუნდი, ზოგიერთები ჯერ კიდევ მაგიდასთან ისხდნენ. „ალავერდის" ძახილით შემეგებნენ და სცადეს „დანაკლისი" შეევსოთ.

—აბა, დაზარალებულო დიპლომატო, ახლა ჩვენებური გასინჯე, რუსული, — მომაძახა მარკოვმა და არაყის ბოთლი ჩაატირქვავა ჩაის ჭიქაში. სანამ „რუსულად არ მომნათლეს" არ მომეშვნენ. თვითონაც საკმაოდ „მონათლულნი" იყვნენ და ისე დაიშალნენ, რომ შეპირებული „რამე ქართული" არავის გახსენებია. სამაგიეროდ, ორლოვმა „მასიამოვნა" თავისი იგავით:

—პრინცი ადალბერტ პრუსიელი ინდოეთში იყო, როცა დედამისი დაასაფლავეს. სამგლოვიარო ცნობის შემდგენმა ვერ გაბედა პირდაპირ გამოეცხადებინა, რომ შვილი არ ესწრებოდა დედის დასაფლავებას და ასეთი რამ დაწერა:

— პრინცი ბრწყინავდა თავისი იქ არყოფნითო...
ვითომ მეც ასე „ვბრწყინავდი“ ჩემი იქ არყოფნით.
— Ты блистал своим отсутствием, друг мой!.. — პათეტიკურად წარმოთქვა ორლოვმა და მადლობის ნიშნად მხრებზე მომხვია ხელი...

მოგონილი სინამდვილე...

ფრანკის დღიურების დამუშავება დავამთავრეთ. სილვია ისე სწრაფად ბეჭდავდა, რომ არამცთუ წამოგვეწია, გაგვისწრო კიდეც და გვიცდიდა, როდის მივცემდით მასალას. ასეთი მემანქანე პირველად ვნახე. ტყვიამფრქვევით აყრიდა ასოებს ქაღალდს. ხელები ისე ჰქონდა გაწაფული, რომ კლავიშებს სულ არ უყურებდა. მეტიც, შეეძლო ვინმესთან ემუსაიფა და ებეჭდა კიდეც. თავს მოაბრუნებდა, გელაპარაკებოდათ, თითებს კი ერთი წუთითაც არ აჩერებდა; მთელ ფრაზებს იმახსოვრებდა ერთი დახედვით. გასაოცარი მხედველობითი მეხსიერება ჰქონდა. ფურცელს რამდენჯერმე დახედავდა და „გარეკავდა“. როცა გაგვისწრებდა და სამუშაო არ ჰქონდა, ბუფეტში გარბოდა. იქ, თურმე, მისი უმცროსი და მოეწყო. სამუშაოს შემდეგ ისიც ჩვენთან მოდიოდა და, რაკი გვიან ღამემდე გვიხდებოდა მუშაობა, გვიცდიდა. მერე მე და პიოტროვსკის ორივე სახლში მიგვყავდა. სილვიას დას ტერეზია ერქვა, მაგრამ ტიკას ეძახდნენ. პატარაობისას საათს დაარქვა თურმე ტიკა. ისე არავითარი სათამაშო არ ართობდა, როგორც კედელზე დაკიდებული უზარმაზარი საათი. ყველაზე უფრო ამ საათის რეკვა უყვარდა. თუ დარეკვამდე დიდი ხანი იყო, ყველას ეხვეწებოდა— ტიკა, ტიკაო. მანამ არ მოეშვებოდა, სანამ საათს არ დაარეკვინებდნენ. ამის შემდეგ ტიკა შეარქვეს თურმე. დინჯსა და მუდამ ჩაფიქრებულ დას არ ჰგავდა. რომ იტყვიან, ეშმაკის ფეხიო, ის იყო. პიოტროვსკიმ მაშინვე დასვა დიაგნოზი. თუ მოინდომა, გაქცეულ კურდღელს დააკრავს ნალებსო. თვითონაც შეშინებულ ციყვს ჰგავდა, სულ თვალებდაცეცებული და გასაქცევად გამზადებული იყო.

გალაკტიონი მიმართავს ვიღაცას, ნეტავი შენი რითმა მაპოვნინაო. ეს რომ, მართლაც, შესაძლებელი იყოს, ტიკა იმ „ტყის ფერიის“ რითმად გამოდგებოდა. სულ სიცილი უნდოდა და ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, ხუმრობდა, რამეს ეშმაკობდა ან პიოტროვსკის აწვალებდა. პიოტროვსკიც მიეჩვია მის ონავრობას და ოდნავ გახალისდა. მეც ორი ასეთი ქალიშვილი მყავდაო, მითხრა ერთხელ და ცრემლი მოიწმინდა. მერე ტიკას მიუბრუნდა, გინდა, შენი მამა ვიქნებიო. ტიკამ თვალები დაწკურა, ვითომ სასოწარკვეთილი სახე მიიღო და უხალისოდ უპასუხა, — უჰ, რამდენი მამა უნდა მყავდეს მე უბედურს...

ამის გაგონებაზე სილვია გაფითრდა და ისტერიულად წამოიკივლა:

—ტიკა, გაჩუმდი, სისულელეს ნუ როშავ!..

მაშინვე მივხვდი, რომ შეეშინდა, რაღაც კიდევ არ ეთქვა იმ ჩიტირეკიას, მაგრამ ტიკამ თვალი ჩაუკრა და თქვა:

— არა, ძია პეტრუ, მე ერთი მამა უკვე მყავს და იმანაც ნომაბეზრა თავი.

პიოტროვსკიმ იგი მეორე ოთახში გაიყვანა და ფრანკის დღიურები მისცა წასაკითხად. სილვიას ისევ მკვდრის ფერი ედო და ტუჩები უთრთოდა. ვხედავდი, რა დღეშიც იყო და არაფერი მიკითხავს. ერთხანს თავი საბეჭდი მანქანის კლავიშებზე ჰქონდა დადებული და ხმას არ იღებდა. მეორე ოთახში კი ტიკა ფრანკის დღიურებს კითხულობდა და სიცილით კვდებოდა. პიოტროვსკი გაბრაზდა, რა აცინებს ამ ქარაფშუტასო. მერე დატუქსა კიდეც:

—ტიკა, როგორ არა გრცხვენია, ასეთ საშინელ ამბებს კითხულობ და მაინც გეცინება!..

ტიკამ გაოცებით შეხედა და უთხრა:

—საშინელი რა არის, ძია პეტრუ, სასაცილოა!

— სასაცილო როგორ არის, როცა ამდენ ხალხს ხოცავდნენ.

ტიკამ მაინც გაიცინა.

—მერე რა, მე ხომ იმათ არ ვიცნობ?

— თუნდაც არ იცნობდე, არ გეცოდება?

ტიკას გულწრფელად გაუკვირდა:

—თუ არ ვიცნობ, როგორ შემეცოდება?

—ისე, ისინიც ხომ ადამიანები არიან?

—მოგონილი ადამიანები, —გაუსწორა ტიკამ.

—როგორ მოგონილი?

—რაც დაწერილია, ყველაფერი მოგონილია. წიგნებშიც სულ მოგონილი ადამიანები არიან, სიკვდილიც მოგონილია. განა კინოში არ მინახავს? იმდენ ხალხს დახოცავენ ხოლმე, მაგრამ არავის არ ეცოდება, ყველა იცინის იმიტომ, რომ მართლა კი არ ხოცავენ, თამაშობენ.

—ტიკა, რა სულელი ხარ, ეს მოგონილი კი არ არის, ნამდვილია,— უთხრა სილვიამ.

—სულელი შენ ხარ, აბა, ნამდვილ ადამიანებს როგორ დახოცავენ, გიჟები კი არ არიან! მე ხომ ვიცი, როგორ ხდება ეს. იმ დღეს თეატრში ერთად არ ვიყავით? რამდენი კაცი მოკლეს, მაგრამ ბოლოს ყველა გამოვიდა სცენაზე და თავი დაგვიკრა.

—ისინი თამაშობდნენ პიესაში.

—ჰოდა, ესენიც-თამაშობენ.

— ხომ გეუბნები, ჩერჩეტი ხარ-მეთქი, — დატუქსა ისევ სილვიამ.

—თუ ასეა, სულაც არ წავიკითხავ ამას,—გაბრაზდა ტიკა. მე არ მიყვარს ასეთი წიგნები. მე სასაცილო ამბები მიყვარს და ისეთი, ვინმეს რომ დასდევენ დასაჭერად და ვერ იჭერენ.

ტიკა მართლა გაიბუტა, პიოტროვსკის უკან დაუბრუნა „საზიზღარი წიგნი“ და მეორე ოთახში გავიდა.

—რა ბედნიერია,—თქვა პიოტროვსკიმ,—ცხოვრება თამაში ჰგონია. უკეთესი რა შეიძლება იყოს ამ უბედურ დროში!..

უკვე დამშვიდებულ სილვიას შერცხვა, მისი და რომ ასეთ სისულელეებს ამბობდა და „გაამართლა“:

—ტიკას რამდენიმე წლის მეტი არ უსწავლია სკოლაში. ომი რომ დაიწყო, მამამ ესპანეთში წაიყვანა. იმან ესპანური არ იცოდა და სკოლაში ვერ მიაბარეს. ცეკვების მეტი არაფერი იცის.

—რატომაც არ მისწავლია, —შემოვიდა ისევ ტიკა, —ცურვა ვიცი, ცხენზე ჯდომა, სიმღერა და წინდების კემსვა, ეჰ,

ზამთარი რომ არ მოვიდოდეს, წინდები სულ არ იქნებოდა საჭირო. იცით, რა მოსაწყენია წინდების კემსვა? თვალი ჩაგიწყალდებათ.

—ტიკა, სისულელეებს ნუ როშავ,—დატუქსა ისევ სილვიამ.

—არაფერსაც არ ვროშავ, აბა რა, არ არის ძნელი თუ?—რომ არავინ დაუდასტურა აზრი, ისევ თვითონ გამოიყვანა დასკვნა:

— შენ რა იცი, ყველას წინდებს მე ვკემსავ.

— ტიკა, ესპანეთში რას აკეთებდი? — გააშველა დები პიოტროვსკიმ.

— კალიებს ვიჭერდი! — მიუგო ტიკამ.

მუდამ დაღვრემილ პიოტროვსკისაც კი გაეცინა.

—კალიები რად გინდოდა, შე კოდალა, შენა? —ჰკითხა ნან.

—არაფრად, —მიუგო უდარდელად ტიკამ, —ფრთებს ვაცლეჯდი და ისევ ვუშვებდი.

პიოტროვსკი ისევ მოიღუშა. ტიკა ბუფეტში წავიდა, სილვიამ თავისი „ტყვიამფრქვევი“ აამუშავა, მე კი დოკუმენტებში ჩავრგე თავი.

გვარდიელი გენერალი...

ეს მივლინებაც ისევე მოულოდნელი იყო, როგორც დანარჩენი. ლაიფციგში უნდა წავსულიყავი და ფრანკის დღიურების ნაწყვეტები დამებეჭდვინებინა სტამბაში. ნიურნბერგში მყოფთათვის ლაიფციგი უკვე „საზღვარგარეთი“ იყო. ამიტომ სათანადო დოკუმენტების გაფორმებაც დამჭირდა. მეორე დღეს, დილით ადრე „ხორხი“ ნიურნბერგ — ლაიფციგის შოსეზე მიჰქროდა. ამ მხარეს ცუდად ვიცნობდი და არც ვიცოდი, რა ქალაქები უნდა გამევლო ლაიფციგამდე. ტრასა წინასწარ არც რუქაზე მქონდა გასინჯული, ამიტომ შემთხვევითობას მივენდე და ვუცდიდი, წინ რა მოულოდნელობა შემხვდებოდა.

ერთხანს ისე ვიმგზავრეთ, რომ ღირსშესანიშნავი არაფერი შემხვედრია. მერე გზის მაჩვენებელს მოვკარი თვალი. ისარი შოსედან გადასახვევს უჩვენებდა. მერე წარწერაც გავარჩიე: „ბაირეითი“—4. სულმა წამძლია და იმ ქალაქში შევუხვიეთ. ვინ იცის, კიდევ როდის მომეცემოდა ასეთი შემთხვევა. რამდენი რამ წამიკითხავს ამ ბაირეითზე. რა ბედნიერებაა ასეთი პატარა ქალაქისათვის მომავალი გენიოსის დაბადება. იგი ზრდის ვიღაცას და მერე „ის ვიღაცა“ თავისი მსოფლიო სახელით განადიდებს მშობლიურ ქალაქს.

ბაირეითში სულ სამოციოდე ათასი მცხოვრებია. იგი მდინარე წითელი მაინის ორივე მხარეს არის გაშენებული. ერთ მხარეს ფიჭვნარი აკრავს, მეორე მხარეს —ტრიალი მინდვრები. თვითონ ქალაქში ღირსშესანიშნავი ბევრი არაფერია, მაგრამ რაც არის, ღირს სანახავად. აქ ცხოვრობდა რიჰარდ ვაგნერი. 1876 წელს აქ გახსნა მან შემდეგ მისივე სახელობის საკონცერტო დარბაზი, სადაც პერიოდულად ეწყობოდა სახელგანთქმული მუსიკალური ფესტივალები. ომის დროს ქალაქი ძლიერ დაზიანდა. ქუჩები ნანგრევებისაგან არც იყო გაწმენდილი, მანქანიდანაც ვერ გადმოვდიოდი, რადგან ცნობისმოყვარეებს თავს ვეღარ დავაღწევდი, —საბჭოთა ოფიცერი აქ ჯერ არავის ენახა. მაინც დავათვალიერე ჩემთვის საინტერესო ადგილები და ისევ ლაიფციგისაკენ გავწიე. ამის შემდეგ გზაში არსად შევჩერებულვართ, ისე გავიარეთ ორას კილომეტრზე მეტი, ამერიკის ზონიდან საბჭოთა ზონაში შევედით და ჩქარა ლაიფციგში აღმოვჩნდით. მაშინვე ქალაქის კომენდატურაში გამოვცხადდი. კომენდანტი 50 წლის კაცი იქნებოდა, პოლკოვნიკი, ომამდე რომელიღაც ქალაქკომის მდივნად ემუშავნა. ზრდილობიანი და განათლებული კაცი ჩანდა. მაშინვე წამომყვა სტამბაში და სამუშაო ჩავაბარეთ. სხვა საქმე ლაიფციგში არაფერი მქონდა და ვფიქრობდი, ამ სამ დღეს კარგად დავისვენებ-მეთქი, მაგრამ გაგიგონია! აქაოდა, ნიურნბერგიდან ჩამოვიდაო, ყველას ცნობისმოყვარეობის საღერღელი აეშალა.

სადმე საცხოვრებელი ადგილი მიმიჩინეთ და წავალ, დავისვენებ-მეთქი, რომ ვუთხარი კომენდანტს, ქვა ააგდო, ეს სა-

მი დღე ჩემი ტყვე ხართო. კომენდატურაში დავბრუნდი. თადარიგი წინასწარ დაეჭირა. სულ რაღაცეებზე ფაციფუცობდა. ამასობაში მისი თანამშრომელი ოფიცრები მწეწავდნენ კითხვებით: გერინგი ნახეთ? ელაპარაკეთ? რას ამბობს? როგორ იქცევიან? და სხვა და სხვა. მერე კომენდანტმა ხელიდან გამომგლიჯა ცნობისმოყვარეებს და მითხრა, ჩემთან წამოხვალთო.

მე ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს „ჩემთან წამოხვალთ", მაგრამ რას ვიზამდი.

— თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, ჩვენი გარნიზონის უფროსს, გვარდიის გენერალ კ-საც დავუძახებ,—მითხრა მან.

—თქვენი ნებაა,—მივუგე მე და დასვენებაზე ფიქრს გამოვეთხოვე.

ტელეფონი აიღო, გენერალს დაურეკა და აუხსნა საქმის ვითარება. მე მარტო კომენდანტის ლაპარაკი მესმოდა, მაგრამ მაინც ვხვდებოდი საუბრის შინაარსს:

—დიახ, ნიურნბერგიდან... ორი საათის წინ... ჩემთან... ახლავე... ყველაფერი მზად მაქვს... სათქვენოც... რატომ გგონიათ?!. არა, ეს შეუძლებელია... დაღლილი ვარო... დღეს არა, ხვალ... ძალიან გთხოვთ, ხვალ... ნახევარი საათი... კარგი, გიცდით...

ტელეფონი დადო და მითხრა:

—გინდათ თუ არა, ჩემთან წამოდითო, ხომ ხედავდით — უარზე ვიდექი, მაგრამ იმას რამეს შეასმენ? რასაც დაიჩემებს, მორჩა... ახლავე მოვა აქ. მე უკვე მინდობილი ვიყავი ბედს. თუ დასვენება არ მეწერა, სხვა ყველაფერი სულ ერთი იყო. ცივი წყლით გავგრილდი, როგორც არმიაში იტყვიან, „წესრიგში მოვიყვანე თავი" და გენერალიც მოვიდა.

ტანმორჩილი კაცი იყო, მაგრამ ხმა ჰქონდა უზარმაზარი. პირს რომ დააღებდა, თითქოს მთებში ექო გუგუნებსო, ისე ლაპარაკობდა. მკერდი სულ ორდენებითა და მედლებით ჰქონდა მოჭედილი. საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი და გვარდიის ნიშანი ეცვა, ოთხი წითელი ზოლიც ჰქონდა დაკერებული, ომში ოთხჯერ მიღებული ჭრილობების აღმნიშვნელი.

—აბა, წავიდეთ, მანქანა იცდის!..

— სად უნდა წავიდეთ, კაცო, ჩემთან მივდივართ!..

გენერალმა ხელი ჩაავლო პოლკოვნიკს და გაიმეორა;

—წავიდეთ, წავიდეთ, აქ მე ვარ უფროსი!..

—მე მხოლოდ ახლა მომიბრუნდა:

—სალამი, სულ დამავიწყდა, კიდევ სალამი, მოხარული ვარ, დღეს ჩემი სტუმარი იქნებით.

ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ უკვე მანქანაში ვისხედით. გენერალმა მძღოლს შეუქახა:

— აბა, ჩიჟიკ, გაუტიე, ჩემთან, სახლში!..

მანქანამ ერთხანს ქალაქში იტრიალა და შოსეზე გავიდა. მერე მარჯვნივ შეუხვია და ერთი მოზრდილი ვილის წინ გაჩერდა.

— ბასტა, მოვედით! — დაიძახა გენერალმა, მერე კი მძღოლს მიუბრუნდა:

—ჩიჟიკ, დააყენე და შემოდი! ამბავი იქნება!.. რიაზანული!..

ალაყაფის კარებში შევედით თუ არა, გენერალმა დაიქუხა:

— კლავკა!.. მიიღე სტუმრები!..

ეზოში ერთი გამხდარი გოგო გამოვარდა, გაგვიღიმა და, მობრძანდითო, შეგვიპატიჟა.

—დემიდოვ! —დაიძახა ისევ გენერალმა.

—ვარ! —გამოეჭიმა წინ გვარდიის კაპიტანი.

—წესრიგია?..

— სრული წესრიგი, ამხანაგო გვარდიის გენერალო!..

ყველაფერი ეს ისე სწრაფად და ისეთ ტემპში ხდება, თითქოს შეტევაზე მივყავდეთ სადმე. ეტყობოდათ, ჯერ კიდევ არ ყოფილნენ ომის რიტმიდან გამოსული, თორემ ასე საჩქარო რა იყო?!

სასადილოში რომ შევედით, ათიოდე ოფიცერი დაგვხვდა.

— მაშ, ასე, — აღარ გვაცალა მისალმება გენერალმა, — ახლა ვისადილებთ, ორი საათის შემდეგ გარნიზონის კლუბში წავალთ, იქ ოფიცრები და ჯარისკაცები შეიკრიბებიან და მაიორი წაგვიკითხავს მოხსენებას, რა ხდება ნიურნბერგში. მორჩა. ახლა საქმეს შევუდგეთ.

— ესეც ახალი ამბავი!.. მე არაფერს მეკითხება: თვითონ ჭრის და კერავს ყველაფერს!

— ეს უკვე დადგენილია? — ჰკითხა ჩემს მაგივრად პოლკოვნიკმა.

—გვარდიული წესით, — მოუჭრა გენერალმა.

ამასობაში კიდევ რამდენიმე ოფიცერი და მძღოლი „ჩიუიკი“ შემოვიდნენ. კლავკა ციბრუტივით ტრიალებდა. ხანდახან მზარეულიც შემოირბენდა ხოლმე და ყველაფერს პირდაპირ მაგიდაზე ყრიდა.

— თქვენ ისევ არ ეშვებით საველე პირობებს? — ჰკითხა პოლკოვნიკმა, როცა შეხედა, რომ მაგიდაზე სულ თუნუქის ჭურჭელი ეწყო: „ჩარკები“, ჯარისკაცური მათარები, პატარა ქვაბურები, კოვზები და სხვა ამისთანები.

— ჩვეულებაა, ძმაო, ჩვეულება, თორემ კულტურა — რამდენიც გინდა, აი, მთელი კარადა კულტურა მაქვს, აგერ, ნახე!

გენერალმა კარადა გამოაღო და უძვირფასესი ბროლისა და საქსონური ფაიფურის ვარაყიანი ჭურჭელი დაგვანახა...

— აი, კულტურა რამდენია, მაგისი დედა... მაგრამ რა გინდა, ფრიცებისაა და მეზიზღება, ჩვენებური მირჩევნია, რიაზანული.

მერე ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა:

— კლავკა!..

— მოვდივარ, — შემოვარდა ისევ ის გოგო.

— ყველაფერი დაყარე?

კლავკამ ცოტა დაიმორცხვა და გენერალს უთხრა ხმადაბლა:

— სირცხვილია, ამხანაგო გენერალო, უცხო სტუმრებია, რა იქნება, კარგი ჭურჭლით მოვიტანო ყველაფერი...

— აჰ, არ გამაგონო, კულტურა მერე, შინ რომ დავბრუნდებით, ახლა დაყარე ყველაფერი, რაც გაქვს, ჩვენებურად, გვარდიულად. კლავკა ისევ გავიდა. ამასობაში მე ოფიცრების ერთმა ჯგუფმა ჩამიგდო და პირდაპირ დამსეტყვეს კითხვებით:

— ნახეთ? რას შვრებიან? რას ამბობენ? თავი როგორ უჭირავთ?

— აბა, აბა, შეკითხვები არ იყოს, — ჩაერია გენერალი,— ასეთი რამეები კლუბში. მე მინდა, ყველაფერი ჩემს ბიჭებთან ერთად მოვისმინო, თორემ რა გამოვა! ჩვენ აქ დავჯდებით, ვილაპარაკებთ, ისინი? ისინი რა, ჩვენები არ არიან?! მე ასეთი წესი მაქვს. აბა, პოლკოვნიკს ხომ ხედავთ, წამოვიდა და თავისი თანაშემწეც დაავიწყდა, კაპიტანი ლოგინოვი. ხომ იცით, რა ბიჭია!

— ისე ქორივით დაგვაცხრით თავზე, რომ თანაშემწე კი არა, სტუმარი მყავს ბერლინიდან, მაიორი, ისიც მივატოვე, — თქვა პოლკოვნიკმა.

— მაშ, როგორ გგონიათ, გვარდიელების თავდასხმა ყოველთვის მოულოდნელია, — გაიცინა გენერალმა და დაიძახა:

— დემიდოვ!

— ვარ! — ისევ გაიჭიმა კაპიტანი.

— ახლავე წახვალ და ორივეს, ცოცხალს ან მკვდარს, აქ მოიყვან.

— არის, ამხანაგო გენერალო! — შესძახა კაპიტანმა და თვალის დახამხამებაზე გავარდა ოთახიდან.

— აბა, ახლა მაგიდასთან, — გასცა განკარგულება მასპინძელმა.

მართლაც, „გვარდიული სუფრა“ იყო. უამრავი ხორაგი დაეყარათ, ყველაფერი „საფრონტო“, ანუ, გენერლის ენაზე, „რიაზანული“. თვითონ რიაზანელი იყო და ყველაფერს, რაც ნოეწონებოდა, რიაზანულს ეძახდა, თუნდაც ამერიკული ყოფილიყო.

— აბა, შეუდექით! — დაიძახა ისევ გენერალმა და ყველა ერთად ეძგერა მაგიდას. მერე მათარები გახსნეს და თუნუქის უზარმაზარი „ჩარკები“ გააკსეს.

— გამარჯვებისა!.. — დაიძახა მასპინძელმა.

— გამარჯვებისა! — გაიმეორა ყველამ თავისთვის და ეს უზარმაზარი „ჩარკები“ უმალვე ძირამდე დაიყვანეს.

— იმათ რას აჭმევენ, თუ იცით, იმ ღორიშვილებს? — იკითხა ვიღაცამ.

— აბა, ხომ გითხარით, კითხვები არ იყოს-მეთქი,—შეაჩერა გენერალმა. მერე ჩემს „ჩარკას“ გადმოხედა და თვალი ჩამიკრა.

— ბოლომდე, ასეთია გვარდიული წესი!..

მე ერთხელ კიდევ შიშით შევავლე თვალი ამ უზარმაზარ სასმისს და ვთქვი:

— ეს რომ დავლიო, მერე რაღა მოხსენებას წაგიკითხავთ?

— არა უშავს, არ გაწყენთ, რიაზანულია, — გამამხნევა გენერალმა.

— ეს შეიძლება მართლაც რიაზანულია, მაგრამ მე არ ვარ რიაზანელი, — ვთქვი მე.

— აბა, თქვენ საიდან ხართ? — ისე გაკვირვებით იკითხა გენერალმა, თითქოს ყველა ვალდებული იყო, რიაზანიდან ყოფილიყო.

— საქართველოდან!..

ქართველი ხართ?

— დიახ.

— კლავკა, მოიტა ბურახი!..

შემდეგ ისევ მე მომიბრუნდა:

— ეს ერთი, მაიორო, შემდეგ კი თქვენებურ ღვინოს დაგისხამთ.

იმ „ერთს“, როგორც იქნა, გავუძელი. მერე კლავკამ ორი ბოთლი ღვინო დადგა ჩემს წინ. სხვებმა ისევ არაყით გაავსეს „ჩარკები“. მუდამ მხიარული გენერალი უცებ გამოიცვალა. სერიოზული, ოდნავ სევდიანი სახე მიიღო, მძიმედ ადგა და სრულიად დინჯი ხმით თქვა:

— ეჰ, მაიორო, ბატალიონის მეთაური მყავდა ქართველი. აი, ბიჭი ვინ იყო! შევარდენი! ომი, ჰა და ჰა, მთავრდებოდა, რომ მომიკლეს...

ეს რომ თქვა, სახე მიიბრუნა, ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი მოიწმინდა. მერე ისევ მოგვიბრუნდა და გაბზარული ხმით თქვა:

— ეს იმათ გაუმარჯოს, ვინც ჩვენს გამარჯვებას ვერ მოესწრო, ბრძოლის ველზე დაეცა და გვასახელა.

ყველანი ავდექით და ჩუმად დავლიეთ.

მერე დემიდოვმა ორი ოფიცერი შემოიყვანა — კომენდანტის თანაშემწე კაპიტანი და ბერლინელი მაიორი, ჩემი კარგი ნაცნობი. მეგობრულად მივესალმეთ ერთმანეთს და დავსხედით.

გენერალმა ახალმოსულებს მაშინვე დაატაკა „რიაზანული". მერე ერთხელ კიდევ ჩამოატარეს არაყით სავსე „ჩარკები" და ისევ ახმაურდნენ.

რაც მაგიდაზე ეწყო, ათ წუთში შეიმუსრა ყველაფერი. კლავკა და მზარეული განუწყვეტლივ ავსებდნენ დანაკლისს.

— მიუშვით ბრძოლაში რეზერვები, —ბრძანებდა გენერალი და იმათაც მოჰქონდათ ყველაფერი, რაც საჭირო იყო. მორიგი „ჩარკების" შემდეგ დადებული პირობა ყველას დააავიწყდა და ისევ წამოვიდა შეკითხვები. ამჯერად თვითონ გენერალმა დაიწყო:

— მაინც რას ამბობენ ის ძაღლიშვილები, ისინი?

— ვინ — რას, — ვითომ ვუპასუხე მე, — ასეთ კითხვაზე დღემდე ვიბნევი. აბა, როგორ უნდა უპასუხო, რას ამბობდა 21 კაცი თვეების განმავლობაში?

— არ აღიარებენ დანაშაულს? — ისევ მკითხა გენერალმა.

— ზოგი აღიარებს, ზოგიც თავს იმართლებს.

— რითი ის შობელ...

აქ გენერალმა მიიხედ-მოიხედა, კლავკა ხომ არ არისო, და განაგრძო:

— რითი იმართლებენ? რა აქვთ თავის გასამართლებელი?

ახლა ეს სულ სხვა გენერალი იყო. თვალები რისხვით უელავდა. შეკუმშული მუშტები მაგიდაზე ედო და ლაპარაკის დროს ზოგჯერ კბილებსაც აკრაჭუნებდა. მე რაღაცეები მოვუყევი, რაც უფრო საინტერესოდ მიმაჩნდა. როცა ისა ვთქვი, გერინგმა რომ პირადმა დაწოლილი ტუსაღებისათვის ნაჯახით თავის მოკვეთა ბრძანა, გენერალი წამოვარდა და თავისი ბოხი ხმით დაიჭექა:

— უუ!.. მე მაგისი... და ისეთი „გრანდიოზული გინება“ მიაყოლა, რომ კლავკა ტყვიასავით გავარდა გარეთ.

—ღმერთო ჩემო, ვბერდები კაცი და ასეთი გინება პირველად მესმის, — თქვა პოლკოვნიკმა. გენერალმა მუშტი მუშტს მიარტყა, კბილები გააკრაჭუნა, მაგრამ ხმას დაუწია:

— ბოდიში, მეტს აღარ შევულოცავ, მე მაგათი... და ისევ „შეულოცა“, მხოლოდ არა ისე „გრანდიოზულად“, როგორც მაშინ. მერე მე მომიბრუნდა:

— მოყევი, მაიორო, მოყევი, მეტს აღარ შევიგინები... თან აქეთ-იქით მიიხედა და, კლავკა რომ ვერ ნახა, დაიძახა:

— კლავკა, შემოდი!.. მეტი გინება აღარ იქნება!..

დარცხვენილი კლავკა ისევ შემოვიდა და მაგიდის კუთხეში დაჯდა. მე განვაგრძე მოყოლა. გენერალი ისევ მუშტებსა და კბილებზე იყრიდა ჯავრს. ხანდახან წამოიძახებდა კიდეც, ვაჰ, მე მაგისიო, მაგრამ ენაზე მომდგარ სიტყვას დროზე წყვეტდა და შეშინებული კომენდანტს გადახედავდა ზოლმე.

სასიამოვნო იყო, რა მოწიწებით ექცეოდა გვარდიის გენერალი ასაკით მასზე უფროს პოლკოვნიკს. ამას უსაყვედურებდა მხოლოდ:

სამხედრო კომენდანტია და თავი ქალაქკომის მდივანი ჰგონია, ისე ზრუნავს მოსახლეობაზე. ნორმალური ცხოვრება უნდა აღვადგინოო, წარმოგიდგენიათ? რაც გერმანელებმა უბედურება დაატეხეს ჩვენს ხალხს, მაგათ ნორმალურ ცხოვრებაზე უნდა ვიზრუნოთ? იმათ ვემსახუროთ? მერე და, სად იყო ჩვენი ნორმალური ცხოვრება. ისინი როდის ზრუნავდნენ ჩვენზე? ხვრეტდნენ, აბრჩობდნენ, სწვავდნენ... უუ, მე მაგათი...

ისევ გაჩნდა „შელოცვის“ საშიშროება, მაგრამ პოლკოვნიკმა დროზე შეაჩერა. კლავკა „ყოველი შემთხვევისათვის“ მაინც გავიდა სამზარეულოში.

— ასეა, ჩემო კარგო... ომი ომია, მშვიდობა კიდევ — მშვიდობა. სამხედრო კომენდანტად რომ დაგნიშნონ, შენც მოსახლეობაზე ზრუნვა მოგიხდება...

— მამა უცხონდათ, მოვემსახურები, შენ კი რას იზამ, ძმაო, პოლიტმუშაკი ხარ და ხაზს მიყვები. მეც მყავს დივიზიაში ხაზის მომცემი აგერ, აი... დაადო ხელი თავის გვერდით მჯდომ კომისარს, ესეც ასეთ ხაზს მაძლევს. მეც რა უნდა ვქნა, ძალიანაც რომ არ მინდოდეს, მაინც უნდა გავყვე... და ხელით ჰაერში სწორი ხაზი გაავლო. მერე მე მკითხა: თქვენც ასეთ ხაზს მიჰყვებით ნიურნბერგში?

მე უკვე მარკოვისაგან ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს „ხაზი“ და ვუპასუხე:

— აბა, როგორ!

— გაგიჟდება კაცი, — დაასკვნა გენერალმა.

— მთავარ სამხედრო დამნაშავეებს როგორ ეპყრობიან? — იკითხა ვიღაცამ.

— როგორც მართლმსაჯულებას შეეფერება!..

— მერედა, ისინი იცავდნენ მართლმსაჯულების წესებს?

— რა ვუყოთ, რომ არ იცავდნენ, ჩვენც იმათ ხომ არ მივბაძავთ?

— აბა, ძმაო, აიღეთ და ისევ მინისტრებად დანიშნეთ! — თქვა ერთმა.

— გამოდის, რომ ჩვენ ტყუილად გვიბრძოლია, — დაასკვნა მეორემ.

— ერთი მე, ჩამვარდნოდნენ ხელში, მაგათ ვაჩვენებდი მართლმსაჯულებას, — თქვა გენერალმა და მუშტი მოკუმშა.

— ვითომ რას უზამდით? — ჰკითხა კომენდანტმა.

— რას ვუზამდი? —დაფიქრდა გენერალი — რას ვუზამდი და, ყველას წავიყვანდი რიაზანში. ზამთარში მაგარი ყინვის დროს გამოვიყვანდი მოედანზე, ჩავხდიდი შარვლებს და ისე დავსვამდი ყინულზე, ცოტა წყალსაც შემოვუსხამდი გარშემო, რომ კარგად მიკრულიყვნენ. მერე ჩემი დივიზიით ჩამოვუვლიდი მათ მუსიკითა და სიმღერით. მოსახლეობასაც ჩამოვატარებდი იმათ წინ და ვეტყოდი:

— აი ისინი!.. ვინც თქვენ ამდენი მწუხარება და ტანჯვა მოგაყენათ!

— თქვენ მდიდარი ფანტაზია გაქვთ, გენერალო, — უთხრა დაცინვით პოლკოვნიკმა.

— აბა, ამათ რომ ჰკითხოთ, — გადმომხედა მე, — სულ კანონების მიხედვით გაასამართლებენ.

—მაშ, როგორ? — შევეკითხე მე — უკანონოდ?

— რად უნდა, კაცო, იმათ კანონი, — გაცხარდა გენერალი, — თვითონ იცავდნენ კანონებს თუ? გაგიჟდება კაცი! სხვედან ალბათ იურისტები და იქექებიან კანონებში, დოკუმენტებში.

— მე ავუხსენი, რომ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მიხედვით ბრალდებად ითვლება მხოლოდ ის, რაც პროცესზე დადასტურდება. ჯერ კი, ვიდრე საწინააღმდეგო დამტკიცდებოდეს, ყველა უდანაშაულოა.

— ეს რას ნიშნავს? — ვერ გაიგო გენერალმა.

— პროცესი რომ დაიწყება და, ვთქვათ, გერინგს დაუწყებენ დაკითხვას, ტრიბუნალის წევრებმა თითქოს მის შესახებ არაფერი იციან. ვინ არის, რა ჩაუდენია, რატომაა პასუხისგებაში მიცემული, ყველაფერი ეს უნდა დადგინდეს პროცესზე, მათი ვინაობაც კი. ამიტომ დაკითხვა ასე იწყება:

— თქვენი გვარი?.. და სხვა.

— ახლა კი მართლა გავგიჟდები, — წამოხტა ისევ გენერალი და „ჩიჟიკს“ მიაძახა:

— ერთი გაიხედე, კლავკა ხომ არ მოდის, ვერა ხედავ, კაცური სიტყვა ვერ მითქვამს თავისუფლად!

„ჩიჟიკი“ წამოხტა და კართან „ზექსზე“ დადგა: გენერალმა გული მოიფხანა „კაცური სიტყვებით“, მერე ჩიჟიკს უთხრა, დაჯექიო და უფრო დამშვიდებულად მოგვმართა:

— კაცო, მთელმა ხალხმა ამდენი ხანია იცის, ვინ არიან ისინი, რა გაუკეთებიათ, თქვენ კი ახლა იწყებთ ამის გამოკვლევას?

— წესია ასეთი!..

— მიმიფურთხებია მაგისთანა წესისათვის, — გამოიტანა მოკლე განაჩენი გენერალმა, მაგრამ პოლკოვნიკის დამცინავ ღიმილს რომ მოჰკრა თვალი, დაჯდა და თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა:

— თუ ხაზი ასეთია, რას იზამ, ძმაო, ალბათ, ასეა საჭირო.

მერე ის იკითხა:

— ნუთუ არ მოხერხდება, კაცი ერთი [illegible] ვიდეს იმ ნიურნბერგში და დაესწროს პროცესს?

— არა, ეს აკრძალულია.

— რატომაა აკრძალული?

— რა ვიცი, ასე დაადგინეს ოთხივე სახელმწიფოს წარმომადგენლებმა.

— იმათაც დაუდგენიათ რა! — ჩაიბურტყუნა მან. ხუთი წელია იბრძვი იმათ წინააღმდეგ, ახლა აგერ ხარ, სულ რაღაც 200 კილომეტრზე, და შეახედე მაინც კაცს, ვინ არიან, როგორ გამოიყურებიან ან რატომ ასამართლებენ ნიურნბერგში — ამერიკელების ზონაში. რა, მარტო ამერიკელებმა იბრძოლეს? ბერლინში უნდა მოეწყოთ და ნახვის საშუალებაც მოეცათ. შენ რას იტყვი ამაზე, — მიმართა მან თავის კომისარს.

—მეც ასე ვფიქრობ, — დაუდასტურა კომისარმა, — თუმცა ეს ჩვენი ჭკუის საქმე არ არის, უფროსებმა უკეთ იციან.

„ჩარკები" კიდევ ერთხელ დაცალეს და გენერალმა ახლა „ბერლინელს" ჰკითხა, თქვენ რა საქმეზე ხართ ლაიფციგში ჩამოსული?

ხვალ უნივერსიტეტი იხსნება აქ და საზეიმო ცერემონიას უნდა დავესწრო, — უპასუხა მან.

გენერალი სულ გალურჯდა ბრაზისაგან:

— კაცო, ასე უცბად როგორ დაგავიწყდათ ყველაფერი, ახლა მიდით და უნივერსიტეტებიც გაუხსენით, მერე აკადემია, მერე ისევ თავზე დაისვით... იმათ ჩვენთან საკონცენტრაციო ბანაკები გახსნეს, თქვენ უნივერსიტეტს უხსნით? კარგი საქმეა! არა, ძმაო, მე არც მაგ ხაზისა მჯერა და არც თქვენი დიპლომატობისა...

ადგა და წავიდა, კლუბში შევივლი, ვნახავ, როგორ მოემზადდნენ და 15 წუთის შემდეგ თქვენც წამოდითო...

...ოფიცერთა კლუბი გაჭედილი იყო ხალხით. ისეთი აჟიოტაჟი იყო, გეგონებოდათ, ის სამხედრო დამნაშავეები

აქ მყავდა ჩამოყვანილი და ცირკივით სარბიელზე უნდა მეჩვენებინა. ეს ჩემი პირველი ლექცია იყო ნიურნბერგის ამბებზე. გამოცდილი მაქვს, როცა კათედრაზე ვდგები, ყოველგვარი დაღლილობა მავიწყდება. საათნახევარი ვილაპარაკე, მერე მთელი ორი საათი შეკითხვებს მაძლევდნენ. მეც, როგორც შემეძლო, ვაკმაყოფილებდი მათ ცნობისმოყვარეობას. კრება რომ დამთავრდა, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი დაღლილობა. „ბერლინელმა" დაიჩემა, ჩემთან წამოდიო. მეც მასთან მერჩივნა, ვიდრე გენერალთან ან პოლკოვნიკთან. მით უმეტეს, მითხრა — ერთი ცნობილი პროფესორის სახლში ვცხოვრობო. ასეთ პირებთან შეხვედრა ყოველთვის მაინტერესებდა. გენერალი და კომენდანტი მომყვნენ „ბერლინელის" ბინამდე. წვერებიანი მოხუცი შემოგვეგება, — ლაიფციგის უნივერსიტეტის ანატომიის კათედრის პროფესორი. გაეხარდა, გენერალი და სამხედრო კომენდანტი რომ ესტუმრნენ და სიამოვნებით მიმიღო მდგმურად.

უკვე ღამის 11 საათი იყო. მაშინვე ჩავწექი და დილამდე მკვდარივით მეძინა...

ცოცხალი ჩონჩხი...

მეორე დილით გვიან ავდექი. მაიორი შემოგვიჩნდა, უნივერსიტეტში ჩემს მაგივრად შენ წადიო. რატომ? — ვეუბნები, — ეს დავალება მე არა მაქვს, არც მოვმზადებულვარ და არც ვიცი, რა უნდა გავაკეთო-მეთქი. ასე სჯობიაო, დაიჩემა. რომ არაფერი გაუვიდა, „მთავარი არგუმენტი" მოიშველია: რაღა ებრაელმა მიულოცოს მაგ ღორიშვილებს უნივერსიტეტის გახსნაო. ვერც ამით დამიყოლია. მერე გერმანულის სუსტი ცოდნა მოიშველია. ბოლოს იმაზე შევთანხმდით, რომ ორივენი წავიდოდით და სიტყვით მე მივმართავდი. ცერემონია 12 საათზე იყო დანიშნული. ქალაქის კომენდანტიც წამოვიდა და უნივერსიტეტისაკენ გავემართეთ. გავიარეთ რამდენიმე კვარტალი, გავყევით გრაციის ქუჩას და ავგუსტის

მოედანზე გამოვედით. აქ დგას უნივერსიტეტის მთავარი შენობის უზარმაზარი კორპუსი, აგებული 1834—1836 წლებში. ასევე ძველია ბიბლიოთეკის სპეციალური შენობა, დანარჩენი კორპუსები უფრო გვიან, გასული საუკუნის დასასრულსაა აგებული. საერთოდ, უნივერსიტეტს მთელი კვარტალი უჭირავს, იქვეა დამხმარე სათავსები და სხვა ნაგებობანი.

ვესტიბიულში რამდენიმე პროფესორი შემოგვეგება. დაცარიელებულ დერეფნებში თითო-ოროლა შავმანტიამოსხმული ბერიკაცი დაფრატუნობდა. ახალგაზრდობა სულ არ ჩანდა. ეს იყო უსტუდენტებოდ დარჩენილი უნივერსიტეტი, რომლის ხელახლა გახსნას ჯერ უფრო სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკული. შემდეგ თანდათან შეიკრიბებოდნენ, ალბათ, მაგრამ ახლა ასე საცოდავად გამოიყურებოდა ყველაფერი. გახსნის ცერემონიალი ახალი რექტორის არჩევასაც უკავშირდებოდა. სამეცნიერო საბჭოს სხდომაში ჩვენ მონაწილეობა არ მიგვიღია, რომ არ ეფიქრათ, რექტორს სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები ნიშნავენო. ვიდრე საბჭო რექტორის კანდიდატურაზე მსჯელობდა, ჩვენ უნივერსიტეტს ვათვალიერებდით. განსაკუთრებით ბიბლიოთეკის ნახვამ გაგვიტაცა. ლაიფციგში გამოცემული წიგნები მთელს მსოფლიოშია სახელგანთქმული. ეს ამ ბიბლიოთეკასაც ეტყობოდა. გამგემ გვირჩია, დაგვეთვალიერებინა წიგნის პალატა, სადაც ლაიფციგის სტამბების საუკეთესო გამოცემები ინახებოდა. როცა ბიბლიოთეკიდან ვბრუნდებოდით, თვალი მოვკარი წარწერას „ანატომიის კაბინეტი“. ჩვენი მასპინძელი, ვისთანაც ღამე გავათენე, სწორედ ამ კაბინეტის პროფესორი იყო. შევიდეთ-მეთქი, რომ ვთქვი, გამყოლი რატომღაც შეყოყმანდა. მე სადღაც ნიურნბერგის მასალებში შემხვდა ამ კაბინეტის დასახელება, ამიტომ საბაბად ჩვენი მასპინძლის ნახვის სურვილი გამოვიყენე და შევედით. გერჰარდი საბჭოს სხდომაზე ყოფილა. კომენდანტს და მაიორს გაუკვირდათ, რატომ გამოვიჩინე ასეთი ინტერესი ამ „ჩონჩხების საწყობისადმი“. მე კი გულმოდგინედ ვათვალიერებდი ექსპონატებს და ეკი-

თხულობდი წარწერებს. ვიცოდი, ჰიმლერის მიერ დაარსებულ საზოგადოება „Ahnenerbe"-ს 50 ფილიალი ჰქონდა. ეს ფილიალები ხელმძღვანელობდნენ ანთროპოლოგიური ცდების ჩატარებას სპეციალურ კვლევით ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყ. წ. ენტომოლოგიური ინსტიტუტი და სტრასბურგის ანატომიური ინსტიტუტი პროფესორ ჰირტის მეთაურობით. ცნობილი იყო აგრეთვე კილის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ანატომიური კაბინეტი პროფ. ჰოლცნერის მეთაურობით. ასეთი კაბინეტები ყველა უნივერსიტეტთან იყო. ნიურნბერგის მასალებში გვქონდა სია ასამდე პროფესორ-დოქტორისა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ „ანენერბეს" მუშაობაში. მათ მოსამარაგებლად სპეციალური ლაბორატორიები გაიხსნა საკონცენტრაციო ბანაკებთან, სადაც სხვადასხვა რასის წარმომადგენელთა ჩონჩხებს და თავის ქალებს ამზადებდნენ. ყველაზე უფრო ამაზრზენი დოკუმენტები ამ ლაბორატორიების მუშაობასთან იყო დაკავშირებული. კასელში წავიკითხე ჰიმლერის ინსტრუქციული წერილი: „საჩონჩხე მასალის შერჩევის დროს ყურადღება მიექციათ..." და სხვ. ეს „მასალა" ცოცხალი ადამიანი იყო, რომელსაც წინასწარ არჩევდნენ საჭირო ჩონჩხების „დასამზადებლად". ჰიმლერი თავის წერილებში ყურადღებას აქცევდა „დამზადების" უფრო ფრთხილად ჩატარების აუცილებლობას. იგი მითითებას აძლევდა ლაბორატორიების უფროსებს, გამოენახათ სხვა უფრო „საიმედო" საშუალება ჩონჩხების დაუზიანებლად დასამზადებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა თავის ქალას. ჰიმლერი რჩევას იძლეოდა, თავი ფრთხილად მოეკვეთათ ცოცხალი მასალისათვის და ისე გაეგზავნათ ლაბორატორიაში დასამუშავებლად. მერე, ოსვენციმის ლაბორატორიის ერთმა ექიმმა, რომელსაც სამარცხვინოდ პროფესორის ტიტული ჰქონდა, ჰიმლერზე უფრო „ბრძნული" წინადადება შეიტანა: „მასალა" პირდაპირ ცოცხლად ჩაეგდოთ მდუღარეში და „რბილი ნაწილები" ისე მოეცილებინათ, რომ ჩონჩხი აბსოლუტურად

დაუზიანებელი დარჩენილიყო. ამას ხუმრობით „ცოცხალი ჩონჩხის“ დამზადებას უწოდებდნენ...

...ადამიანი — „საჩონჩხე მასალა!“... ხუმრობა „ცოცხალ ჩონჩხზე...“ რა შეიძლება ეწოდოს ამას, თუ არა „გონების მრუშობა?!“

ეს გამოთქმა ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის და აქ უფრო ზუსტს ვერაფერს მოიგონებს კაცი.

ახლა მე ვდგევარ ამ ჩონჩხებს შორის და ლამის კოშმარები ისევ დამეწყოს. ვინ იცის, ვისია ეს „დაუზიანებელი ძვლები“, სად დაამზადეს? ვინ იყო ამის „მასალა?“ წარწერები უჩვენებდნენ, რომ ეს ჩონჩხები რასობრივი პოლიტიკის საილუსტრაციოდ იქნა ომის დროს დამზადებული. აზიელის ჩონჩხი — გვამცნობდა ერთი წარწერა. ებრაელის თავის ქალა — ეწერა მეორეს. მე ვიცოდი, რომ სტრასბურგის უნივერსიტეტის ანატომიურ კაბინეტში უზარმაზარი კოლექცია იყო საბჭოთა არმიის პოლიტიკური კომისრების თავის ქალებისა. აქაც წავაწყდი რამდენიმე ასეთ წარწერას. ცალკე იყო ბავშვების თავის ქალებისა და ჩონჩხების კოლექცია, დალაგებული ჯერ ასაკის, ხოლო შემდეგ რასის მიხედვით. ექსპოზიციის გარდასაქმნელად არაფერი გაეკეთებინათ და ჯერაც მთელი ტყე იყო ჩონჩხებისა: ძვლები, თავის ქალები, დაკრეჭილი კბილები ერთი, ათი, ასი, მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია, სისხლი საფეთქელს მოაწვა, ყურში რაღაც წუილი გაისმა და მე ძაღლნაკბენივით გამოვვარდი კაბინეტიდან. გაოცებული პოლკოვნიკი და მაიორი გამომყვნენ. გამყოლი ახლა უფრო შეშფოთებული ჩანს. არავინ იცის, რატომ დავინტერესდი ამ კაბინეტით ან რამ ამაღელვა ასე.

მერე არაფრის დასათვალიერებლად არ წავსულვარ. მოავარი კორპუსის ბაღში დავჯექი და გონება მოვიკრიბე.

— ცუდად ხომ არა ხართ? — მკითხა პოლკოვნიკმა.

— არა, თავბრუ დამეხვა რაღაც, ახლა კარგად ვარ-მეთქი, ვუპასუხე, მაგრამ ვერ დავაჯერე. რომ არ მომეშვა, ყველაფერი ვუამბე. გაფითრდა, ხმა არ ამოუღია, ისე ისმენ-

და ჩემს ნაამბობს იმის შესახებ, რომ ყველა უნივერსიტეტი ჩაბმული იყო ამ „ცოცხალი ექსპერიმენტების“ ჩატარებაში. მათი პროფესორები მუშაობდნენ საკონცენტრაციო ბანაკების სპეციალურ ლაბორატორიებში. მერე ისიც მოვუყევი, ასეთ ლაბორატორიებში როგორ ცდებს ატარებდნენ. მაიორმა ველარ აიტანა და წავიდა, აღარც ამათი უნივერსიტეტის გახსნა მინდა და აღარც არაფერიო. კომენდანტი ჯერ სტოიკურად იტანდა ყველაფერს. მერე მოვუყევი, როგორ ატარებდნენ „ცოცხალ ექსპერიმენტებს“ დაბალი და მაღალი წნევის კამერებში. ნიურნბერგის ციხეში იჯდა საზოგადოება „ანენერბეს“ დირექტორი დოქტორი ზივერსი. იგი ჰიმლერთან ერთად ესწრებოდა ამ ექსპერიმენტებს.

გაკვირვებული კომენდანტი ისმენდა ყოველივე ამას, შემდეგ ისიც ვუამბე, როგორ აშიშვლებდნენ „საცდელ მასალას“ და აგდებდნენ სპეციალურ კამერაში, სადაც ტემპერატურა მინუს 60—70 გრადუსამდე დაჰყავდათ...

ახლა კი ველარც კომენდანტმა მოითმინა, წამოდგა და მთხოვა:

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ, სულ ნუ გამაგიჟე, გეყოფა, ხომ ხედავ, აღარ შემიძლია მეტი!..

ესეც არ გამექცეს-მეთქი და, მოყოლა შევწყვიტე. ავდექით და უნივერსიტეტის ბაღში გავიარეთ. მერე შეგვატყობინეს, საბჭოს სხდომა დამთავრდა და დარბაზში გთხოვენო.

კიბეებზე რომ ავდიოდით, კომენდანტმა მიჩურჩულა, თუ კაცი ხარ, რაც დღეს მოყევი, გენერალს არ უთხრა, თორემ თუ გული მოუვიდა, ვინ გაუძღებს მის ლანძღვა-გინებასო.

უნივერსიტეტის უზარმაზარ საქტო დარბაზში მხოლოდ რამდენიმე რიგი იყო შევსებული. სხვაგან აქა-იქ ისხდნენ თანამშრომლები. აქ იყვნენ ქალაქის ბურგომისტრი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. საბჭოს ღია სხდომა ახლად არჩეულმა რექტორმა გახსნა. შესავალი სიტყვის დასასრულს გამოაცხადა, რომ ამ საზეიმო სხდომას ესწრებიან საბჭოთა არმიის წარმომადგენლები და დაასახელა ჩვენი გვარები. დარბაზში კანტიკუნტად გაისმა ტაში. მერე რექტორ-

მა თქვა, რომ სტუმართაგან ერთი, „თიბილუსის უნივერსიტეტის“ დოცენტია და რომ საბჭო მას მიესალმება, როგორც საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტების წარმომადგენელს.

ეხლა უფრო ერთსულოვანი ტაში გაისმა. ავდექი თუ არა თავის დასაკრავად, ვიღაც მომვარდა, მხრებზე შავი ტოგა წამომასხა, თავზე კი ექვსკუთხოვანი ჩაჩი დამახურა. ტაშმა და სიცილმა იმატა.

მერე რექტორმა სიტყვა დაამთავრა და მისასალმებლად ბურგომისტრი წამოდგა. კიდევ კიღაცეები გამოვიდნენ, მეც მივესალმე და ამით დამთავრდა ცერემონიალი...

ცხელრის კვირტები...

სადილად ბურგომისტრი, რექტორატი და სამეცნიერო საბჭოს წევრები კომენდანტს ჰყავდა მიწვეული. გენერალი ცხადია, არ მოვიდა, არც ჩვენი მაიორი. მაგიდასთან აქაც კლავკა ტრიალებდა. სხვები მას ეხმარებოდნენ. სტუმრები ისე გამოცხადდნენ, როგორც დიპლომატიურ წვეულებაზეა მიღებული. გიმნაზისტებივით მოკრძალებულნი ჩანდნენ, არ ლაპარაკობდნენ, იდგნენ ცალ-ცალკე და უცდიდნენ, სხვები რას იტყოდნენ. მხოლოდ ჩვენი მასპინძელი იქცეოდა თავისუფლად. ხან ერთთან მიდიოდა, ხან მეორესთან, ტრიალებდა, მუსაიფობდა, მაგრამ არცთუ ისე გულითადად ხვდებოდნენ მას. მერე მაგიდასთან მიიწვიეს ყველანი და უხერხულობა ცოტათი გაიფანტა. იტყოდა თუ არა კომენდანტი რამეს, სახეზე ყველას ღიმილის ნიღაბი აეფარებოდა ხოლმე და მაშინვე ეთანხმებოდნენ მის ნათქვამს: დიახ, დიახ, ჭეშმარიტად, სწორედ ასეა, ჩინებულია, რა თქმა უნდა... ეს იყო და ეს მთელი მათი საუბარი. არც კომენდანტს ჰქონდა ბევრი სალაპარაკო და პატიჟზე გადავიდა...

— მიირთვით, მოილხინეთ, — ამხნევებდა იგი საგანგებოდ გამოჭიმულ გერმანელ პროფესორებს, მაგრამ ისინი მაინც მორცხვად იქცეოდნენ. მათ შორის რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი იყო, სხვებიც თავიანთი საქმის ჩინებულ

სპეციალისტებად ითვლებოდნენ, მაგრამ ყველა მათგანი გრძნობდა თავის „მეტაფიზიკურ“ თუ „მორალურ შეცოდებას“, ადრე ნაცისტური რეჟიმის აქტიური ან ლოიალური თანამშრომლები რომ იყვნენ. ერთი, მხოლოდ რექტორი იყო დაბრუნებული ემიგრაციიდან, მაგრამ ძალიან თავდაჭერილად იქცეოდა და არავის არ აგრძნობინებდა თავის ამ უპირატესობას.

როცა კომენდანტმა გერმანელი ხალხისა და მისი დემოკრატიული მომავლის სადღეგრძელო წარმოთქვა, ბევრი ირონიული ღიმილით შეხვდა ამას. სამაგიეროდ, სადღეგრძელო რომ დამთავრდა, ყველამ „ერთსულოვანი აღტაცება“ გამოამჟღავნა ამ „დიდებული პერსპექტივების“ გამო, შემდეგ კი ისევ მოიხსნეს ღიმილაღბეჭდილი ნიღბები და თავიანთ გაქვავებულ პოზებს დაუბრუნდნენ. ხანდახან ისევ კომენდანტი თუ შეუძახებდა: მიირთვით, მიირთვითო, მაგრამ გერჰარტის გარდა ყველა ოდნავ მოწიწკნიდა რამეს და ისევ გაიშიმებოდა. მერე კლავკამაც წამოიძახა, პანაშვიდზე ხომ არა ხართო და უადგილო, მაგრამ საჭირო სიხალისე შემოიტანა სუფრაზე. მეც ვცადე, საუბარი გამება მეზობლებთან, მაგრამ მიცემულ კითხვებზე ისეთი მოკლე და უხალისო პასუხები მივიღე, რომ გაჩუმება ვარჩიე. მაშინ კომენდანტი სასმელებს მიეძალა, მაგრამ მხოლოდ გერჰარტი აიყოლია, რომელმაც ნორმაზე მეტიც დალია და ახმაურდა. ბოლო თასი რომ გამოცალა, ღრმად ამოიოხრა და დააყოლა:

— სულ ერთია, ჩვენი ხალხის საქმე წასულია!..

ძალით შეკოწიწებული „პერსპექტივა“ უცებ დაირღვა. სტუმრებმაც უკმაყოფილოდ გადმოხედეს გათამამებულ პროფესორს. რექტორმა უხერხულობის აცდენა იმით სცადა, რომ გამანეიტრალებელი სიტყვები ჩაურთო:

— ვინ იცის, რა მოხდება მომავალში! გერმანიას ბევრჯერ გადაუტანია ასეთი განსაცდელი.

— განსაცდელი შესაძლებელია, მაგრამ ამგვარი კატასტროფა არა, — შეუნთო ისევ გერჰარტმა. მთარგმნელმა ეს ყველაფერი გადასცა კომენდანტს, რომელიც მაშინვე ჩაერია წამოწყებულ საუბარში:

— ეს თვით გერმანელ ხალხზეა დამოკიდებული, — თქვა მან. ისინი გადაწყვეტენ, როგორი მომავალი ექნებათ.

— არავითარი მომავალი! — გამოიტანა განაჩენი გერჰარტმა.

— რატომ გგონიათ? — შეშფოთდა რექტორი.

— მე, ბატონო, როგორც მოგეხსენებათ, ანატომი გახლავართ, დაიწყო ისევ გერჰარტმა ენის ბორძიკით, — და, როგორც ანატომმა, სხვებზე უკეთ ვიცი, რომ ადამიანის სხეულსა და გულს როცა ოთხ ნაწილად დაჭრიან, იმის მომავალზე ლაპარაკი ოხუნჯობაა...

— ეს ისე მოულოდნელი იყო სტუმრებისათვის, რომ არ იცოდნენ, რა ეთქვათ.

— მართალი არა ბრძანდებით, კოლეგა, — აიღო სიტყვა ბურგომისტრმა, — გერმანია მრავალჯერ ყოფილა ოთხზე მეტად გაკვეთილი, მაგრამ მაინც არ მომკვდარა.

— ის სხვა დრო იყო!.. — არ დაცხრა გერჰარტი, — თანაც, მაშინ მხოლოდ სხეული იყო გაკვეთილი და არა გული...

ადვილი მისახვედრია: გერჰარტი რომ ამბობდა „გულზე“, ბერლინს გულისხმობდა.

— ევრიპიდეს უბრძანებია, ბნელია გზა ბედისწერისაო, —ჩაერია კამათში ერთი საოცრად ჩია ბერიკაცი და სიგარეტი ისე მაგრად მოქაჩა, რომ ყველას ყურადღება მიიქცია. მე გაოცებით ვუყურებდი, — სად წაიღო ამდენი კვამლი, რომ მაშინვე არ ამოისუნთქა. მერე შევნიშნე, რომ კვამლმა ნელ-ნელა იწყო დენა ნესტოებიდან, თითქოს ენანებოდა, ეს ძვირფასი განძი ასე ადვილად არ გაეშვა და, რაც შეიძლებოდა, მეტხანს შეენახა.

— ბევრი რამ თვით თქვენზე, გერმანელ ინტელიგენციაზეა დამოკიდებული, — ჩაერია ისევ კომენდანტი.

— ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ? — იკითხა გერჰარტმა.

— ხალხი უნდა გამსჭვალოთ დემოკრატიული სულისკვეთებით, — აუხსნა კომენდანტმა. გერჰარტი გაფიცხდა:

— რამდენჯერ შეიძლება ამ უბედური ხალხის გამსჭვალვა?

სტუმრებში შეშფოთებამ იმატა. პროფესორებმა ერთმა-

ნეთს გადახედეს და მაშინვე გასწორდნენ. ის ჩია ბერიკაცი ისევ თავისთვის ბოლავდა. მხოლოდ რექტორი ცდილობდა საქმის მოგვარებას:

— რას გულისხმობთ, კოლეგა? — შეეკითხა იგი გერჰარტს, რომელიც არ დაიბნა და სხაპასხუპით მიაყარა.

— რას ვგულისხმობ და... ჯერ, ბატონო, ჰუმანიზმით განმსჭვალეთ ხალხი, მერე — მილიტარიზმით, 1918-ში — რევოლუციით, შემდეგ 15 წელიწადი ვერსალით მსჭვალავდით, თორმეტი წელიწადი — ბერჰტესგადენით, ახლა — პოტსდამით. მერე? მერე რითი ინებებთ კიდევ ამ საცოდავი გერმანელების გამსჭვალვას? ვერ ხედავთ, რომ ამდენი „გამსჭვალვის“ შემდეგ წინ ცხედარი გისვენიათ?!

— იმედი უნდა ვიქონიოთ, კოლეგა, — თქვა გრძელწვერა პროფესორმა, უსაშველო არაფერია. ერთხელ ქრისტე-ღმერთიც ჩავიდა ჯოჯოხეთში და გახსნა მისი კარები.

— Es ist unanständig heut' Christ zu sein! — ქრისტედ ყოფნა დღეს სამარცხვინოა! — მოუჭრა მას ნიცშეს სიტყვებით გერჰარტმა.

— რას იზამ, ბატონო, ამბობენ, ბედისწერას თვით ღმერთებიც ვერ გაექცევიანო, — გაარღვია დაძაბულობა იმ ჩია ბერიკაცმა და ერთხელ კიდევ აბოლდა.

— ვაი, სირცხვილო, როგორ დავეცით! — ისეთი ყალბი პათოსით ამოიგმინა ჩემმა მეზობელმა, რომ ის ბერიკაცი მაშინვე შეეხმიანა:

— Man kann auch hinauffallen, — ვითომ „ზევით დაცემაც“ შეიძლებაო. ესეც ნიცშეს სიტყვები იყო.

— დაცემა კი არ არის სამარცხვინო, კოლეგა, არამედ დიდხანს წოლა... შეეშველა მას ბურგომისტრი, — მაგრამ ხომ ხედავთ, ასე თუ ისე, მაინც ვცხოვრობთ და ვმოქმედებთ.

გერჰარტმა ისევ ცინიკურად ჩაიცინა:

— ხე რომ გახმება, ბატონო ბურგომისტრო, მოგეხსენებათ, ფითრი კიდევ ცოცხლობს. ასეა. ვინმე რომ მოკვდება, დაასაფლავებენ, მაგრამ თმები და ფრჩხილები ერთხანს მაინც იზრდება. ასე ვართ ახლა, ჩვენ, გერმანელები...

— როცა სხვა გზა არ არის, უნდა ვიცადოთ, — წამოიძახა ვილაცამ.

— იცადეთ, ბატონო, იცადეთ, ვიდრე ის ცხედარი კვირტებს არ გამოისხამს, — დაასრულა თავისი გაწყვეტილი აზრი გერჰარტმა.

ეს „ცხედრის კვირტები“ თომას ელიოტის გამოთქმაა, მაგრამ, როგორ მოხვდა იგი გერჰარტის „არსენალში“ — წარმოდგენა არა მაქვს!.. ის კი ისევ იმ „ცხედარს“ ჩააცივდა და გამომწვევად იკითხა:

— რითი ინებებთ იმ ცხედრის გამსჭვალვას, რომ კვირტები გამოისხას, ა, ბატონებო, რითი? აბა, ვინ იტყვის ამას?...

— რაინული ღვინოთი, — ვიხუმრე მე და ხელში ბოთლი შევათამაშე.

— სწორია, — აიტაცა რექტორმა და თვითონაც დაასხა. მერე, ეს უსიამოვნო საუბარი რომ შეეწყვიტა და „საქმეც დროზე მოეთავებინა“, დღეგრძელობა უსურვა ყველას და მადლობა გადაუხადა კომენდანტს „ესოდენ გამამხნევებელი“ მიღებისათვის.

ავიშალეთ და ერთმანეთს დავემშვიდობეთ...

ავიგეას ვიწრო კაბა...

მე და გერჰარტი შინ დავბრუნდით. კარი ახალგაზრდა ქალმა გაგვიღო. ტრაური ეცვა, მაგრამ თეთრი წინსაფარი გაეკეთებინა და მაინც ხალისიანად გამოიყურებოდა. ფეხებში პატარა გოგონა ებლანდებოდა და რაღაცას სთხოვდა.

— ჩემი ლიზჰენი, ჩემი პატარა, — გაიხარა გერჰარტმა და გოგონა ხელში აიტაცა.

— ჩემი სიხარული, ჩემი გული, ჩემი სიცოცხლე! — სულ დადნა სიყვარულით ანატომი. ბერლინელი მაიორიც შინ დაგვხვდა.

— ხომ არაფერს ინებებთ? — იკითხა ქალმა.

— არა, გმადლობთ, არაფერს, — ვუთხარი მე. მაიორმა ფამილიარულად მოხვია მკლავი წელზე და ყურში რაღაც

უჩურჩულა, ქალმა გადაიკისკისა, მერე პატარა ლიზჰენს წამოავლო ხელი და გავიდა. ეტყობოდა, აქ „რასობრივი ზღუდეები“ გადალახული იყო.

— ვინ არის ეს შავი მადონა? — ვკითხე მაიორს რუსულად.

—ჩვენი მასპინძლის ქალიშვილია. ქმრის დაღუპვის ცნობა მიუღია რამდენიმე თვის წინ. თურმე, ერთი წელიწადია რაც დაღუპულა, მაგრამ გვიან გაუგიათ.

— მაინცადამაინც არ ეტყობა, გლოვით რომ იწუხებდეს თავს. ისე, კარგი ვინმე ჩანს, — ვუთხარი მე და თვალი ჩავუკარი.

მაიორი ვითომ ვერ მიხვდა, რომელ კარზე ვაკაკუნებდი და მიპასუხა:

— ჰო, არა უშავს, ეს ტომარასავით ტრაური რომ არ ეცვას, უკეთესი გამოჩნდებოდა.

მთვრალმა გერჰარტმა ეჭვით შეათვალიერა გრეტა და მაიორი. ეტყობოდა, მიხვედრილი იყო ყველაფერს.

— სად წახვედი, რომ გაგვეპარე? — უკვე გერმანულად ვკითხე მაიორს.

—დავისვენე ცოტა, — თქვა მან და უხერხულად გაიღიმა.

— შენ როგორ დაისვენე, შვილო? — მიმართა გერჰარტმა გრეტას და ეშმაკურად ჩაიცინა. გრეტამ თავი უხერხულად იგრძნო და სამზარეულოში გავიდა. მაიორიც მაშინვე მიჰყვა მას.

გერჰარტს მარტო მე შევრჩი და, სხვა გამოსავალი არ იყო, უნდა მივყოლოდი მის ნება-სურვილს, ის კი თვითონ ირჩევდა თემას და თვითონვე იძლეოდა საუბრის გეზს. ღვინოც ძლიერ მოერია, მაგრამ მაინც ისხამდა და სვამდა.

— მე, ჩემო ბატონო, მოგეხსენებათ, ანატომიის სპეციალისტი გახლავართ, მაგრამ ისიც ვიცი, რასაც ფილოსოფოსები და მწერლები ამბობენ ადამიანზე. პირდაპირ რომ გითხრათ, ყველაფერი ეს სისულელეა — პოეზია. ადამიანი მხოლოდ ანატომიურ-ფიზიოლოგიური არსებაა და ასევე უნ-

და იქნეს გაგებული. ისე კი, რას არ გაიგონებს კაცი: ერთნი ამბობენ, ადამიანი ბუნების უმაღლესი მშვენიერებაა, მეორენი ქილიკობენ, ადამიანები ჭიაღუებსა და ქვეწარმავლებს დასცინიან, მაგრამ მოვა დრო და იმასაც გაიგებენ, თვითონ რას წარმოადგენენ. ჩვენმა დიდებულმა მწერალმა ვილანდმა თქვა:

— ცხოველი ეძებს საჭმელს, თხრის გამოქვაბულს ან იკეთებს სოროს, იბრძვის თავისი არსებობისათვის, იძინებს და კვდება. სხვას რას აკეთებს ადამიანი?

მე თუ მკითხავ, „რას აკეთებს“ კი არ უნდა ეთქვა, არამედ „რას წარმოადგენს“. ჯერ ეს უნდა გავიგოთ, მერე ის. ვილაცამ კითხვა ასე დასვა: რა არის ადამიანი, თუ არა კითხვის ნიშანი? და თვითონ უპასუხა, ადამიანი ამ კითხვის პასუხის მოლოდინია. მერედა, ვინ უნდა გასცეს ამ კითხვას პასუხი? არა ფილოსოფოსებმა და მწერლებმა, არამედ ანატომებმა, ფიზიოლოგებმა, რადგან ეს ჩვენი სპეციალობაა. ადამიანებს დაეკარგათ მთლიანობის გრძნობა. მას შემდეგ, რაც უფალმა ღმერთმა მიგვატოვა, ყველაფერი დაქუცმაცდა. ჯერ კაცობრიობის ცნება მოისპო, შემდეგ საზოგადოებისა, ბოლოს ამ საცოდავ ადამიანს მიადგნენ და სულ დაანაწევრეს ან, როგორც ჩვენი პროფესიის ხალხი ამბობს, „ანატომიურად დაშალეს“. ახლა სხეულის ყველა ნაწილს თავისი დამოუკიდებელი ფუნქცია აქვს: თავი ცალკეა, გული ცალკე, კიდურები თავიანთ საქმეს აკეთებენ, სტომაქი თავის ინტერესების მეტს არაფერს ცნობს, ხელს არ ეშალება, ფეხი რას აკეთებს; ფეხმა არ იცის, რომელ გზას დაადგეს. ადამიანი ერთია, გზა — ათასი. ხელიც დაბნეულია, იგი ხან მუშტად იკუმშება და ვილაცას ემუქრება, ხან კიდევ ზეცისკენაა აპყრობილი და ღმერთს შეღაღადებს...

უცბად სამზარეულოში რაღაც ხმაური გაისმა. მე მომეჩვენა, რომ გრეტამ შეჰკივლა... გერჰარტმა ყური ცქვიტა, მაგრამ, ვითომ არაფერიო, ისევ განაგრძო:

— თუ არადა, ქალს ეალერსება ან ბავშვს ეფერება. ასეა თვალებიც, ყურები: ერთი ხედავს, მეორე ისმენს. ყველა

თავისთვისაა. ადამიანი? ადამიანი სადღაა? არსად, ანატომიური ნაწილებია და მეტი არაფერი. არის, რა თქმა უნდა, თავი, კისერი, ხელები, მკერდი, კუჭ-ნაწლავი, გული, ფილტვები, ფეხები, მაგრამ ადამიანი აღარ არის! იმიტომ არ არის, რომ გონება უკვე აღარ აერთიანებს მათ, პირიქით, თვითონვე შლის და არღვევს ამ ერთიანობას.

— ეს ვიწრო, ანატომიური თვალსაზრისია, — შევედავე მე.

— შესაძლებელია, — დამეთანხმა იგი, მაგრამ მაშინვე გადგა განზე:

— მერე რა? ვიწრო თვალსაზრისი, ანატომმა მაინც უკეთ იცის, რომ ადამიანი სისხლის, ხორცის და ძვლების გულისამრევი მასაა.

— სხვა არაფერი?

— სხვა იყო და აღარ არის. რწმენა და გონიერება გაქრა, დარჩა ხორცისა და სისხლის ინსტინქტები...

— ეს ისეა, ვენერა მილოსელის ქანდაკებას ცინმე კუჭ-ნაწლავისა და ნერვული სისტემის მიხედვით აფასებდეს, — ვუთხარი მე.

ამ დროს „ვილაცამ" ისევ გააცინა გრეტა სამზარეულოში...

გერჰარტს თითქოს ჩემი ნათქვამი არც გაუგონია, ისე მიჰყვა თავის ფიქრებს:

— დიახ, ხორცისა და სისხლის ინსტინქტები, ბატონო, — ასეთი ინსტინქტები მართავს ადამიანებს, საზოგადოებასაც. საერთოდ კი, არაფერი ისე მოჩვენებითი არ არის ჩვენს საუკუნეში, როგორც საზოგადოება. ადამიანები შეიკრიბებიან ერთად თუ არა, პიროვნებები მაშინვე ბრბოდ იქცევიან. ისინი ეჯიბრებიან ერთმანეთს, ვინ უფრო ბრძნულ რამეს იტყვის. ყველა აწვალებს გონებას, ადიდებს საზოგადოებრივ აზრს, პრინციპებს, იდეებს. არის სიტყვებისა და გონებამახვილობის კორიანტელი, სათნოებისა და კაცთმოყვარეობის, სილამაზისა და სიწმინდის ქადაგება, დეკლარაციები, მონოლოგები... თან ყველა საათზე იხედება და ფიქრობს, როდის

დამთავრდება ეს ლაყბობაო... დამთავრდება თუ არა, მოგეცა ლხენა, ყველა თავისი გზით გარბის, ბრბო ისევ იშლება და რჩებიან პიროვნებები, რომელნიც შინისაკენ მიიჩქარიან, რათა დაიკმაყოფილონ თავიანთი ინსტინქტები. ესაა მათი ნამდვილი ცხოვრება. დანარჩენი ცარიელი ლაყბობა იყო, აუცილებელი, მაგრამ მაინც ლაყბობა. საკუთარი ინსტინქტები კი უფრო ხელშესახები და გასაგებია, თანაც, სასიამოვნო. აქ თავდება საზოგადოებრივი აზრი და მისწრაფებები, უკვე აღარც პრინციპები და იდეები ახსოვთ. ყოველივე ამას ისევე იშორებენ დერეფანში, როგორც პალტოსა და კალოშებს. შემდეგ კი, როცა ისევ საზოგადოებაში გამოვლენ, კვლავ ჩაიცვამენ პალტოს, ფეხს ჩაყოფენ კალოშებში, ხელთათმანებსაც გაიკეთებენ და ქოლგასავით გაშლიან საზოგადოებრივ აზრს, რათა ისევ იმ იდეებსა და პრინციპებს შეაფარონ თავი.

სამზარეულოდან ისევ მოისმა გრეტას გაგუდული სიცილი. პროფესორი ერთი წუთით შეჩერდა და ყური მიუგდო. სიცილი განმეორდა. მიხდოდა, უხერხული მდგომარეობა გამეფანტა და, ვითომ მისი ქადაგება მაინტერესებდა, სრულიად უადგილო კითხვა დავსვი:

— გრძნობა?

—გრძნობა? — დაფიქრდა პროფესორი, მაგრამ ვიდრე პასუხს გამცემდა, სახეზე ალმურმოდებული გრეტა შემოვიდა.

— გრძნობა, აგერ გრეტას ვკითხოთ, — თქვა გერჰარტმა და ეშმაკურად ჩაიცინა, — განა გრძნობაც ხორცისა და სისხლის ინსტინქტი არ არის?

— რა, მამა? — ვითომ ვერ გაიგო გრეტამ.

— არაფერი, შვილო, აგერ ლაპარაკს შევყევით. ის მაიორი სადაა?

— არ ვიცი, — დაიბნა გრეტა და კიდევ უფრო გაწითლდა, — აქ არ იყო? ალბათ, თავისთან წავიდოდა. დავუძახო?

— დაუძახე, დაუძახე, — ჩაიცინა გერჰარტმა, მაგრამ ამასობაში მაიორიც შემოვიდა და ჩუმად დაჯდა მაგიდასთან.

გერჰარტი ისე იყო გალეშილი, რომ უკვე ანგარიშს არ უწევდა, რას ბოდავდა.

—ქალები ან არაფერზე არ ფიქრობენ, ან სხვა რამეზე, — ჩაილუღლუღა მან.

მე ვერაფერი გავიგე, რას ნიშნავდა ეს „სხვა რამე“, გერჰარტი კი მაიორს მიაჩერდა და... მიუმღერა კიდეც:

— ებრაელთა მეფემ დავითმა თქვა...

აქ კი ყველანი მივხვდით, რას გულისხმობდა მთვრალი გერჰარტი.

— მამა, არ მოგწყინდა ამდენი ლაპარაკი? — შეაწყვეტინა უცებ გრეტამ, რადგან თავი უხერხულად იგრძნო.

მერე მეც ჩავერიე, თორემ გერჰარტი რაღაც საშინელს იტყოდა...

— სწორია, გავათავოთ ამდენი მსჯელობა, ახლა დროა დავისვენოთ, — დავადასტურე მეც.

— ასე სჯობია, — ჩაილაპარაკა თავისთვის ოდნავ დაბნეულმა მაიორმა. რა თქმა უნდა, ისიც მიხვდა, თუ რატომ ახსენეს „ებრაელთა მეფე დავითი“. გერჰარტი მაინც არ დაცხრა, ეტყობოდა, ღვინო ისე მოეკიდა, რომ კონტროლის უნარი დაკარგა..

— ებრაელთა მეფემ დავითმა თქვა... — დაიწყო ისევ, მაგრამ ახლა მაიორმა შეაწყვეტინა:

— მე არ ვიცი, რა თქვა ებრაელთა მეფე დავითმა, ის კი შემიძლია შეგახსენოთ, თუ როგორ დაამარცხა მან ფილისტინელთა გოლიათი ფალავანი და თქვენც გაგაფრთხილოთ, რომ ჩვენს წმიდა წიგნში წერია:

— ამად იტყვის ადონაჲ უფალი: აჰა, აღსასრული მოიწიოს და შეიმუსროს სიმტკიცე უშჯულოთა...

— ეს უმჯობესი იყო, ბატონ ადონაის თავის დროზე ჰიტლერისათვის ჩაეგონებინა, ჩემო კარგო, — ძლივს ამოღერღა გერჰარტმა.

— ჰიტლერს, რაც საჭირო იყო, ჩვენ ჩავაგონეთ, ძვირფასო პროფესორო, და, როგორც ჩანს, მოგვიხდება, ასევე მოვექცეთ სხვებსაც, ვისაც ეს არ ესმის.

მაიორმა ეს ოდნავ ხმაწეული ტონით თქვა, მაგრამ გერჰარტი უკვე ტონს კი არა, სიტყვებსაც ვერ არჩევდა. ის თავისთვის ბუტბუტებდა.

— ბრძენი იყო დავითი, მეფე ურიასტანისა...

მერე კიდევ რაღაც წაიბურტყუნა ნავალის ქვრივის ავიგეას სილამაზის შესახებ, მაგრამ გრეტა მხრებში შეუდგა მთვრალ ანატომს და ისე გაიტანა ოთახიდან.

— მეფე ურიასტანისა... — იძახდა იგი გზადაგზა...

...ჩვენთან რომ შეევედით, მაიორს ვეუბნები:

— ცოტა ფრთხილად მაინც იყავი იმ შენს ავიგეასთან, ხომ ხედავ, მოხუცი ყველაფერს ხვდება.

— მიხვდეს მერე, მე უფლება მაქვს, ამას ყურადღება არ მივაქციო, მე ხომ ურიასტანის მეფის შთამომავალი ვარ, — შიპასუხა მან, ვითომ ხუმრობით.

ვინ იცის, გერმანელებმა ისეთი სისასტიკე გამოიჩინეს ებრაელობისადმი, რომ იქნებ მართლაც ჰქონდა უფლება, ანგარიში არ გაეწია ასეთი „ფორმალობისათვის". ისე კი, ეტყობოდა, ჩემი შენიშვნა გულზე რომ მოხვდა. ძილის წინ თითქოს თავისთვის, მაგრამ მაინც ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა:

— შესაძლებელია, ეს ჩვენი მასპინძელი ერთი იმ ანატომთაგანია, რომელიც „ცოცხალ ექსპერიმენტებს" ახდენდა ჩემისთანებზე...

— რატომ გგონია?

— ხომ ხედავ, ყოველ სიტყვაზე ქუთუთოები უცახცახებს. თანაც ეშინია, ვინმეს პირდაპირ შეხედოს და თვალები სულ განზე გაურბის...

... ღამით გამეღვიძა. ფანჯარას სავსე მთვარის შუქი მოსდგომოდა და რბილი, მოყვითალო შუქით გაენათებინა ჩვენი ოთახი. მოპირდაპირე საწოლი ცარიელი იყო. მაიორი, ალბათ, ისევ „რასობრივი საკითხის მოსაგვარებლად" იყო წასული...

... დილით რომ გავიღვიძე, ოთახში ლიზჰენი დაფათურობდა. თავი მოვიქექინარე, რაც აკეთებს-მეთქი. მაგიდიდან ქუდი აიღო და ვარსკვლავს დაუწყო მოძრობა. ბევრი აწვალა, მაგრამ ვერაფერს გახდა. განგებ ჩავახველე. ქუდი მაშინვე ადგილზე დადო. და ოთახიდან გაცუნცულდა. მაიორი

ძლივს გავაღვიძე. ბუზღუნით ამიკლო, რა ამბავია ასე უთენია ადგომაო.

მერე ისევ ლიზჰენი შემოვიდა და თან წამოღებული საათადარიგო ვარსკვლავი ვაჩუქე. სიხარულისაგან წამოწითლებული გაიქცა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გრეტამ ძალით შემოიყვანა ატირებული. ალბათ, ეგონა ვარსკვლავი თავისი ნებით წაიღო და უჯავრდებოდა. ლიზჰენს მაგრად ჩაებღუჯა ხელში ნადავლი და წიოდა, თვითონ მომცაო. მეც, რა თქმა უნდა, დავუდასტურე და თვალცრემლიანმა გოგონამ მადლობის ნიშნად შემომცინა. ეს არაფერი. გრეტამ გაგვაოცა ორივე. არ ვიცი, როდის მოასწრო, რომ ის ანაფორასავით დაკიდებული ტრაური მოდურად შემოსხეპილ ვიწრო. კაბად გადაეკეთებინა და მისი ლამაზი ტანის მთელი სიუხვე გამოეჩინა. პირველმა მაიორმა შეუქო ეს სიახლე. გრეტას ესიამოვნა მისი ქათინაური. საუზმეზე რომ გავედით, გერჰარტი გაოცებული მიაჩერდა თავის ქალიშვილს. არაფერი უთქვამს, მაგრამ ირონიული ღიმილი მაინც არ მოსცილებია მის სახეს. როცა გრეტა ტანის მოხდენილი რხევით გავიდა ოთახიდან, გერჰარტმა თვალი გააყოლა მას და ვოლტერის სიტყვებს ეცა:

— ქალი ადამიანური არსებაა, რომელიც ლაყბობს, იცვამს და იხდის...

მერე მე შემომხედა და, ვითომ თავისთვის, ჩაილაპარაკა:

— სიმპტომატურია, სიმპტომატური.

— რა არის სიმპტომატური? — ჩავეკითხე მე.

— ამ დედაკაცის დავიწროებული კაბა!..

„გრეტასიო“ კი არა თქვა, „დედაკაცისაო“, და რაღაც ზიზღნარევი გესლიც მიაყოლა ამ სიტყვას.

— რითია სიმპტომატური? — არ მოვეშვი მე.

გერჰარტმა ჯერ ჩაიცინა, მერე მაიორს გადახედა და თქვა:

— მთელ გერმანიას ასეთი ვიწროდ შემოსხეპილი და ალაგ-ალაგ ჩაჭრილი კაბა აცვია ახლა, ჩემო ბატონო.

იმის შიშით, ისევ ძველებურად არ, დაიწყოს ქადაგება-

მეთქი, არაფერი მითქვამს. არც მაიორს ამოუღია ხმა, მაგრამ იმან მაინც თავისი გზით გაუხვია.

— 15 წელიწადი ატარა გერმანიამ ასეთი ვერსალური მოდის ვიწრო კაბა. მერე ცოტა რომ მოსუქდა, ის კაბა ტანზე შემოასკდა და შიშველი სხეული გამოუჩნდა. სხვათა შორის, არც ისე მშვენიერი, როგორც ეგონათ. ჩვენ სირცხვილით დავიწვით, ის კი ამაყობდა თავისი სიშიშვლით, ვიდრე გლოვის ზარი არ დაეცა და ეს ტრაური არ ჩააცვეს. ახლა კი, ხომ ხედავთ, კაბა ისევ დაუვიწროვეს პოტსდამის მოდაზე... ეს საცოდავი გრეტა ძლივს ეტევა ამ კაბაში, მაგრამ რა უნდა ქნას? ან დიეტაზე უნდა გადავიდეს და გახდეს ან ისევ კაბა უნდა გააგანიეროს...

— თავის კანში დაეტიოს! — მიარტყა მაიორმა, რადგან მიხვდა, რომელ „გრეტაზე“ იყო ლაპარაკი.

— კი, ბატონო, დაეტიოს! მაგრამ სანამდე?

— სანამ ჭკუაზე არ მოვა!..

წინაპრები და შთამომავლები...

კიდევ კარგი, რომ კომენდანტმა გამოგვიარა და სტამბაში წამიყვანა. უკანასკნელი კორექტურა გაეკეთებინათ და ბეჭდვას იწყებდნენ. კვირა დღე იყო, მაგრამ სტამბა მაინც მუშაობდა ჩვენთვის. ამის საპასუხოდ კომენდანტს მთელი მანქანა გაევსო პროდუქტებით და, სანამ მე დღიურებს „სვეტებში“ ვკითხულობდი, კარგადაც მოილხინეს. სტამბის მუშები გაოგნებული იყვნენ ამ დოკუმენტებით. ასეთი საშინელი რამ ჩვენს სტამბაში არასოდეს დაბეჭდილაო.

— განა აქამდე არ იცოდით, რომ ასეთი რამე ხდებოდა? — ვკითხე მე.

— ვიცოდით, მკაცრი რეპრესიები რომ ტარდებოდა, მაგრამ თუ ასეთი რამე ხდებოდა, არა, — თქვა ერთმა.

— ებრაელების გასახლების შესახებაც ვიცოდით, მაგრამ არ გვეგონა, თუ ყველას ხოცავდნენ, დიდს და პატარას, — დაუდასტურა მეორემ.

— ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ ხმის ამოღების გვეშინოდა, — ჩაურთო უხალისოდ მოხუცმა ასოთამწყობმა.

— მერე, ჩვენ რა უნდა გვექნა, — შეეკამათა ახალგაზრდა მუშა.

— არაფერი, თუ არაფრის თავი გქონდათ, — მიუგო მას მოხუცმა.

— ვისაც თავი ჰქონდა, აღარ შერჩა, ხომ ნახეთ, მარტო ჩვენს ქალაქში რამდენი დახოცეს? — გაცხარდა ახალგაზრდა.

— იმათ სინდისი მაინც შერჩათ სუფთა, — არ დაუთმო მოხუცმა.

— დიდი საქონელია სინდისი საფლავში!.. — ჩაიცინა მისმა მოწინააღმდეგემ.

— შენ რა გააკეთე, ბებერო, ისეთი, რომ სხვებს ტუქსავ, — უსაყვედურა მოხუცს საოცრად გამხდარმა მუშამ.

— „ჰაილ ჰიტლერი“ მაინც არ მიბღავლია ქუჩებში, — ჩაიბურტყუნა მან.

— არც მე, — განაცხადა გამხდარმა.

— ეს დიდი ვაჟკაცობაა! — დასცინა ახალგაზრდამ უფროს ამხანაგს.

— შენი ვაჟკაცობა რაში გამოჩნდა? — ჰკითხა მას ვიღაცამ.

— გულწრფელობაში. მე მჯეროდა ჰიტლერის და კიდეც ვიძახდი „ჰაილს!“ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი და გავჩუმდი. ვაჟკაცობაზე კი არ ვდებ თავს, უბრალოდ გავჩუმდი, მორჩა და გათავდა...

... კიდევ ერთხანს იდავეს ერთმანეთთან. მე „სვეტების“ ერთი ეგზემპლარი წამოვიღე და ქალაქის დასათვალიერებლად წამოვედი. კომენდანტს უკვე ხუთი თითივით ჰქონდა შესწავლილი აქაურობა. პირველად წიგნის პალატა დავათვალიერე. რამდენიმე დარბაზის ძველებურ კარადებში ჩალაგებული ჰქონდათ ლაიფციგის სტამბების საუკეთესო გამოცემები. აქ იყო ყველაფერი — პირველი ნაბეჭდი წიგნიდან უკანასკნელ გამოცემამდე. მოხუცი ბიბლიოთეკარი თვალებ-

გაბრწყინებული გვაჩვენებდა და გვიხსნიდა. ისეთი სიყვარულით შეჰყურებდა ამ ოქროკაზმულ წიგნებს, თითქოს პირველად ხედავდა მათ.

— 50 წელია, ბატონო, აქ ვმუშაობ, — გვითხრა ბოლოს, ყოველდღე ამ წიგნებს ვუყურებ და ვერ გავმძღარვარ მათი ცქერით. ერთი დღეც არ შემიძლია სხვაგან გაძლება. კვირაობითაც აქ ვზივარ, ამ წიგნებთან...

— ომის დროს ხომ არ დაზიანდა კოლექცია? — ვკითხე მოხუცს, რადგან შევამჩნიე, რომ პალატის ერთი ფლიგელი ჩამონგრეული იყო.

— არა, ბატონო, გადავრჩით, ღმერთმა ინება და გადავრჩით!.. — თქვა მან და პირჯვარი გადაიწერა.

ისე იყო ამ წიგნებთან შეზრდილი, რომ „გადავრჩითო“, ამბობდა, თითქოს თვითონაც ერთ-ერთი მათგანი ყოფილიყო.

— როცა თვითმფრინავები მოფრინდებოდნენ, — გვიამბო მოხუცმა, — მე აქ ვიჩოქებდი და ვლოცულობდი, გადაერჩინა ჩვენი სიამაყე. ერთხელაც არ მიმიტოვებია განსაცდელის დროს, ერთხელაც არ ჩავსულვარ თავშესაფარში. სულ ასე დაჩოქილი ვხვდებოდი საჰაერო თავდასხმებს. ღმერთმა ისმინა ჩემი ვედრება, რამდენიმე ყუმბარა მოხვდა შენობას, მაგრამ წიგნები არ დაზიანებულა... აბა, ყუმბარას რომ ეს დარბაზები დაენგრია, მე რისთვის უნდა მეცოცხლა? მაგრამ ღმერთი მოწყალეა და გადავრჩით.

— გადავრჩით, ბატონო, გადავრჩით, — იძახდა იგი ამის შემდეგაც და ყოველ წუთს თვალებიდან ცრემლს იწმენდდა.

მადლობა მოვახსენე ამ ფანატიკოს მწიგნობარს და წამოვედით. ქალაქში კიდევ რამდენიმე ღირსშესანიშნავი ადგილი დავათვალიერეთ, მერე ქალაქგარეთ გავედით და ვნახეთ უზარმაზარი, 90 მეტრის სიმაღლის ძეგლი, აგებული გერმანიის მთავრობის მიერ 1913 წელს, ნაპოლეონზე გამარჯვების 100 წლისთავის აღსანიშნავად. ძეგლს ეწოდა „ხალხთა ბრძოლები“. იგი წარმოადგენს ქვის უზარმაზარ კოშკს, რომელსაც ამშვენებს ოთხი დიდი ქანდაკება, — სიმბოლო „გერმანული სულის მისწრაფებისა“.

პირველი ქანდაკება გამოხატავს ქალს, რომელსაც მკერდზე ტყუპები ჰყავს მიკრული; მეორე — ფილოსოფოსს, რომლის ფერხთით ზის გერმანელი ახალგაზრდა; მესამე — ომის ღმერთს, ხოლო მეოთხე — ფილანტროპს, მოყვასისადმი გაშვერილი ხელით.

ასე აღნიშნეს გერმანელებმა თავიანთი გამარჯვება ნაპოლეონზე. ამ გრანდიოზულ ბრძოლაში მონაწილეობდნენ აგრეთვე რუსებიც. ორივე მხარემ ბრძოლის ველზე 80 ათასი გვამი დატოვა. რუსეთის არმიის მამაცური ბრძოლის აღსანიშნავად აქ ერთ-ერთ მთავარ ქუჩას „რუსეთის ქუჩა" ეწოდა. იქვე აგებულ იქნა ტაძარი, სადაც ინახება იმდროინდელი ბრძოლების წმინდა რელიკვიები, მათ შორის რუსეთის არმიის სამფეროვანი საბრძოლო დროშა. 132 წლის შემდეგ ისევ მოვიდნენ აქ საბჭოთა მებრძოლები და ის ისტორიული ტაძარი შეამკეს გვირგვინით, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა გაკეთებული:

— გამარჯვებულ წინაპრებს, გამარჯვებული შთამომავლებისაგან...

იმ საღამოს ერთხელ კიდევ გამოგვიჭირა გენერალმა და დაიძახა:

— კლავკა!.. დემიდოვ!.. მოიტა!.. მე მაგისი...

მე ფრანკის დღიურების თითო ეგზემპლარი დავუტოვე მას და კომენდანტს.

წარმოდგენილი მაქვს, ის გენერალი რომ წაიკითხავდა ამ დღიურებს, როგორი „კაცური" სიტყვებით მოიხსენიებდა ფრანკის რჯულს..

სხვისი სხვა...

ნიურნბერგში რომ დავბრუნდი, ერთი ალიაქოთი დამხვდა. ამბობდნენ, დოქტორმა ლეიმ თავი მოიკლაო. ენდრიუსი ისე იყო ამ ამბით შეწუხებული, თითქოს ის ლეი მისი მკვიდრი ძმა ყოფილიყო. სამაგიეროდ, გერინგმა რომ გაიგო ეს, წამო-

იძახა: მადლობა ღმერთს, თორემ პროცესზე თავს მრგვჭრიდაო.

ისე, საკვირველი კია, თუ სახელმწიფოს ერთ-ერთი მეთაურის როლში არ სჭრიდა ლეი გერინგს თავს, რაღა ნიურნბერგის ციხეში იყო „ეს საშინელება“ მოსალოდნელი?! ადრეც ხომ იცოდნენ, რა „ფრინველიც“ იყო იგი. აკი დიდი და პატარა „ლოთ ლეის“ ეძახდა მას. გერინგმა შემდეგ ჯილბერტსაც უთხრა:

— კარგია, რომ ლეი მკვდარია, იგი ყოველთვის რაღაც ფანტასტიკურად გაბღენძილ სიტყვებს წარმოთქვამდა ხოლმე. დარწმუნებული ვარ, რომ აქაც რამე სპექტაკლს მოაწყობდა. მე არც ვწუხვარ მის საქციელზე. სულ ერთია, ადრე თუ გვიან მაინც ლოთობა მოუღებდა ბოლოს...

ნიურნბერგის ციხის გარდა, ლეი, მართლაც, ძალიან იშვიათად თუ უნახავს ვინმეს ფხიზელი. იგი დილიდან საღამომდე გალეშილი იყო. მის თანაშემწეებს გული ჰქონდათ შეწუხებული, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჰიტლერი ავალებდა ლეის „შრომის ფრონტის“ რომელიმე მიტინგზე გამოსვლას, ის კი ამ დროს მეცხრე ძილში იყო წასული. აღვიძებდნენ, წყალს ასხამდნენ თავზე, მაგრამ... გაგიგონია! ლეი რაღაცას ბურტყუნებდა, ბრდღვინავდა და ისევ „განსასვენებლად“ მიიწევდა. ხალხი კი შეკრებილი იყო და ელოდა მის გამოსვლას.

ამან რამდენჯერმე მეტად უხერხული მდგომარეობა შექმნა. მერე ლეის ერთ-ერთმა თანაშემწემ „მშვენიერი გამოსავალი“ იპოვნა. მან აღმოაჩინა, რომ ვინმე ფაბრიკანტი ნასი გასაოცრად ჰგავდა მის შეფს. ამით თვითონ ლეიც დაინტერესდა და, როცა მისივე „ორეული“ წარუდგინეს, აღტაცებით წამოიძახა, ჩვენ ნამდვილად ერთი მამის შვილები ვართო.

საქმეც ადვილად მოგვარდა. როცა მთვრალ ლეის მიტინგზე უხმობდნენ, ნასს მის ტანისამოსს აცმევდნენ, მერსედესში სვამდნენ და თანაშემწეების თანხლებით უშვებდნენ სიტყვის წარმოსათქმელად. ნასს სუფთად გადაბეჭდილი სიტყვა ედო პორტფელში, რომელშიც აღნიშნული იყო,

სად აემაღლებინა ხმა, სად დაეწია, პაუზა როდის გაეკეთებინა ან მუშტი როდის დაეკრა კათედრაზე, ისე, როგორც ნამდვილ ლეის ჰქონდა ჩვეულება. გზადაგზა თანაშემწე იმასაც უჩურჩულებდა, ხელი როდის გაეშვირა წინ და როგორ მისალმებოდა ხალხს ან რა ლოზუნგი გადმოესროლა.

ნასმა ყველაფერი ეს ადვილად შეითვისა და ძალიან კმაყოფილიც იყო, ასეთი „დიდი კაცის“ როლში რომ უხდებოდა გამოსვლა.

ეს საიდუმლოება მხოლოდ მაშინ გაიხსნა, როცა, ომის შემდეგ, ნასმა გამოაქვეყნა წიგნი: „მე ვიყავი დოქტორი ლეი“...

... თუ შემთხვევით ფხიზელი იყო, ლეი თვითონ ასრულებდა თავის მოვალეობას. იგი ჰიტლერის ყველაზე ფანატიკურ თაყვანისმცემლად ითვლებოდა. ჰიტლერსაც მოსწონდა „ის ექსტრავაგანტური ლეი“, ბევრსაც იცინოდა, როცა ეს ჩაკუპატებული, სქელკისერა საოცრება გაიჭიმებოდა მის წინაშე და საზეიმოდ წარმოთქვამდა:

— მაქვს პატივი, მოგახსენოთ, ჩემო ფიურერ, რომ დადგა მაისი... და სხვა.

ცხოვრებაში ლეის, როგორც მოგახსენეთ, ერთი უცილობელი დევიზი ჰქონდა: ფიურერი ყველაფერში მართალია! სხვა ჭეშმარიტება მისთვის არ არსებობდა. ამიტომ სულ „თავის საყვარელ ფიურერს“ ბაძავდა (ცხადია, ლოთობის გარდა) ან იმას აკეთებდა, რაც ჰიტლერს ესიამოვნებოდა. არც იმას თაკილობდა, თავისი უკანასკნელი ცოლი ინგა როგორმე დაეახლოვებინა სანუკვარ ფიურერთან. ამაზე ბევრსაც ჭორაობდნენ მაშინ. ამბობდნენ, ინგა ლეი და მაგდა გებელსი ერთმანეთზე ეჭვიანობენო.

ასეა თუ ისე, რაღაცაზე განაწყენებულმა ინგამ 1943 წელს თავი მოიკლა...

... თვითონ დოქტორი ლეი ტყავიდან ძვრებოდა, რომ გაჭირვების ჟამს დახმარებოდა თავის ფიურერს და „უმკაცრესი მომჭირნეობისაკენ“ მოუწოდებდა მოსახლეობას. „ბევრი უნდა იშოვო და ცოტა გასცე“, — ასეთი იყო მისი

უმაღლესი ეკონომიური პრინციპი. ამ მხრივ ზოგჯერ პირდაპირ სასაცილო უკიდურესობამდე მიდიოდა. ეს მან გასცა განკარგულება — პური გამოცხობიდან მხოლოდ ოცდაოთხი საათის შემდეგ გაყიდეთ, რომ ამასობაში გახმეს, გაუგემურდეს და ცოტა ჭამონო. შემდეგ ტანისამოსის მოდებშიც ჩაერია, შლეიფებიანი და დაპლისული კაბები აკრძალა, ვითომ ზედმეტი ქსოვილი იხარჯებაო. მისი ბრძანებით, მამაკაცის კოსტიუმებსა და შარვლებზე შეამცირეს ჯიბეების რაოდენობა, ქალებს აუკრძალეს თმების დახუჭუჭება და ყოველგვარი კოსმეტიკა.

ლეიმ, ცხადია, იცოდა ჰიტლერის სათაყვანებელი პიროვნება რომ ფრიდრიხ მეორე იყო და, ალბათ, ამიტომაც ცდილობდა, თვითონაც იმ „დიდი ფრიცისათვის“ მიებაძა. როგორც ისტორიკოსები წერენ, ომის დროს ფრიდრიხი ზოგჯერ ქუჩაში გამოდიოდა და, თუ სადმე გრძელკაბიან შანდილოსანს ან ბევრჯიბეებიან მამაკაცს წააწყდებოდა, ხელჯოხს ურტყამდა თავში...

ლეის დიდი დამსახურება მიუძღოდა ფრონტისათვის თბილი ტანისამოსის შეგროვებაში. ეს ერთგვარი შეუსაბამობაც იყო. მაშინ, როცა გებელსი ცას და დედამიწას აერთიანებდა „გაუგონარი გამარჯვებების“ შესახებ, ლეის ემისრები კარდაკარ დაძრწოდნენ და ძველმანებს აგროვებდნენ. მოსახლეობა დაბნეული იყო ამით. ერთმა მოხუცმა დედაკაცმა კი სულ კინწის კვრით გამოაგდო ლეის ემისარი. ასეთი დიდი გამარჯვებები თუ გაქვთ, დაგლეჯილი ნიფხავ-პერანგების შესაგროვებლად რაღას დაწანწალებთო.

დოქტორი ლეი კი მაინც განაგრძობდა თავის „პატრიოტულ საქმეს“...

... ამგვარი ერთგულების მიუხედავად, ლეი საფლავში მაინც არ ჩაჰყოლია თავის საყვარელ ფიურერს, ომის შემდეგ მიმალვა სცადა, მაგრამ დაიჭირეს და, როგორც ერთ-ერთ მთავარ სამხედრო დამნაშავეს, ნიურნბერგის ციხეში ამოაყოფინეს თავი. ლეი აქაც „ექსტრავაგანტური პატიმარი“ იყო. მან ჯერ პროტესტი განუცხადა ენდრიუსს, უდანაშაუ-

ლო ვარ და ცალკე საკანში რატომ მომათავსეთო? მერე „რამე მაგარი სასმელი“ სთხოვა, მაგრამ „იმ მეხანძრემ“ მხოლოდ ჩაიცინა და თითი დაუქნია.

მერე ლეი წერის ხასიათზე დადგა და უზარმაზარი არზა მიართვა ამერიკელებს „დასავლეთის სამყაროს ბოლშევიკების შემოსევისაგან გადარჩენის შესახებ“.

— გერმანია ყოველთვის ძლიერი ჯებირი იყო წითელი ნიაღვრის შესანარჩუნებლად ევროპაში, — წერდა იგი და მოუწოდებდა: გერმანელებთან კავშირით კვლავ აღადგინეთ ეს ჯებირი, თორემ ბოლშევიზმი წალეკავს მთელ ევროპასო. თავის მხრივ, ლეი პირდებოდა მათ „ნაციონალ-სოციალიზმის შელამაზებას“, „გონივრული დემოკრატიის შემოღებას“ და „ანტისემიტიზმის აღმოფხვრას“. „ჭკუაზე მოსული“ ლეი ასეთ რამესაც წერდა თავის ანდერძში:

— ანტისემიტიზმმა დაამახინჯა ჩვენი პერსპექტივები. რა თქმა უნდა, ძნელია საკუთარი შეცდომების აღიარება, მაგრამ რაკი მთელი გერმანელი ხალხის არსებობის საკითხი დგას, ჩვენი, ნაციონალ-სოციალისტების მოვალეობაა, უკუვაგდოთ ანტისემიტიზმი და გამოვუცხადოთ ახალგაზრდობას, რომ ეს იყო შეცდომა... ისინი, ვინც ყველაზე უფრო გაჟღენთილი არიან ანტისემიტიზმით, თვითონ უნდა იქცნენ ახალი იდეებისათვის მებრძოლებად; თავისშივე იპოვნონ ძალა, რათა დაძლიონ საკუთარი თავი და გზა უჩვენონ ხალხს...

ხედავთ? ლეი ისევ ნაციონალ-სოციალისტებს მოუხმობს გერმანელი ხალხისათვის „ახალი გზების“ საჩვენებლად. იგი არც თავის მკვდარ ფიურერს ივიწყებს და ჭკუას ასწავლის ამერიკელებს: „იმოქმედეთ ჰიტლერთან ერთად და არა ჰიტლერის წინააღმდეგო“. ამისთვის კი, მისი აზრით, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ძველი აპარატის დანგრევა კი არა, გამოყენებაა საჭირო. იგი თავის სამსახურსაც სთავაზობს ამერიკელებს და ასეთ „ბრძნულ“ მითითებებს იძლევა:

1. გერმანია უნდა იქცეს შეერთებული შტატების ნაწილად.

2. ამერიკამ უნდა შემოიღოს ანტისემიტიზმისაგან გაწმენდილი ნაციონალ-სოციალისტური წყობილება.

3. ეს დავალება მიეცეს დოქტორ ლეის, შეექმნას მას თანამშრომელთა შტატი, რომელსაც თუნდაც ნიურნბერგის ციხიდან უხელმძღვანელებს...

...ლეის „მემორანდუმმა", ცხადია, მხოლოდ სიცილი გამოიწვია, მაგრამ ლეი მაინც არ დაცხრა და ახლა ფორდს მისწერა, დიდი გამოცდილება მაქვს „ფოლკსვაგენ"-ების გამოშვებაში და თქვენს სამსახურში მიმიღეთო...

აბა, იმ ლოთბაზარა ლეის სამსახური ფორდს რად უნდოდა! ან ვინ მისცემდა ამის ნებას! მერე, მოგეცათ ლხენა, ლეისაც გააგებინეს, რომ მხოლოდ ბრალდებულია და სხვა არაფერი. ამან და საბრალდებო აქტის გაცნობამ იგი სრულ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ჯილბერტი რომ შეევიდა მასთან, აღელვებულმა ლეიმ შესჩივლა:

— როგორ უნდა დავიცვა თავი ბრალდებისაგან, რის შესახებაც არაფერი ვიცოდი, მაგრამ ამდენი სისხლისღვრის შემდეგ, შურის საძიებლად თუ კიდევ გინდათ რამდენიმე კაცის სისხლი, კეთილი და პატიოსანი...

აქ ლეი წამოხტა, კედელთან დადგა, ხელები ჯვარცმულივით გაშალა და განაგრძო:

— დაგვაყენეთ ასე კედელთან და დაგვხვრიტეთ! გორჩა და გათავდა! რა საჭიროა ამისთვის სამსჯავროს წინაშე დაყენება, როგორც კრი... კრი... კრი...

ლეის ენა ებმოდა და ჯილბერტი შეეშველა!

— კრიმინალისტისა.

— დიახ, დიახ, კრიმინალისტისა, როგორც იქნა, ჩაათავა მან ამ, არცთუ ისე სასიამოვნო სიტყვის წარმოთქმა...

... იქნებ დოქტორმა ლეიმ მართლა არ იცოდა, თუ რა დანაშაული ჰქონდა ჩადენილი? როგორ არა. აკი საბრალდებო აქტშიც იყო მოყვანილი მისი საზეიმოდ წარმოთქმული სიტყვები:

— ფიცსა ვდებთ, რომ არ შევწყვეტთ ბრძოლას, ვიდრე უკანასკნელ ებრაელს არ ჩავაძაღლებთ. საკმარისი როდია ებრაელი მტრების იზოლაცია დანარჩენი კაცობრიობისაგან, ებრაელობა უნდა მოვსპოთ!

მოსპეს კიდეც რამდენიმე მილიონი ქალი, კაცი, დიდი თუ პატარა, ისინიც, ჯერ დაბადებულიც რომ არ იყვნენ, მაგრამ აპირებდნენ ამგვარი „დანაშაულის“ ჩადენას...

... იმ საღამოს ლეი თავისი ვიწრო საკნის მაგარ ნარზე იწვა და საკუთარ კოშმარებს ებრძოდა. ღამით ზედამხედველმა შეიხედა მასთან და ჰკითხა:

— რატომ არ გძინავთ?

ლეი წამოჯდა და შეშლილივით დაიწყო ყვირილი:

— ძილი... ძილი... მილიონობით უცხოელი მუშები... მილიონობით დახოცილი ებრაელები... ყველა მოკლული... ყველა დახოცილი... როგორ უნდა დავიძინო, როგორ?!.

ზედამხედველმა მხრები აიჩეჩა და წავიდა, ლეი კი პოლიტიკური ანდერძის წერას შეუდგა:

— ღმერთი ხელმძღვანელობდა ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი. ღმერთმა ამამაღლა და ღმერთმავე გამაგდო ხელიდან... მე ადოლფ ჰიტლერის ერთგული ვრჩები. ძნელია დაშვებული შეცდომების აღიარება, მაგრამ ანტისემიტიზმს ამიერიდან მაინც უნდა დავანებოთ თავი. უნდა ვუთხრათ ახალგაზრდებს, რომ ეს შეცდომა იყო. ყველაზე ჯიუტმა ანტისემიტებმაც უნდა დაძლიონ ეს ცოდვა... ამის ძალა უნდა ვიპოვოთ ჩვენში და გზა ვუჩვენოთ ხალხს...

...ნაშუაღამევს ისევ გაიჩხაკუნა კარის სარკმელმა.

— დოქტორ ლეი! — დაუძახა მორიგემ.

არავითარი პასუხი. ისევ ძახილი. ისევ სიჩუმე. განგაშზე სამხედრო პოლიციელები შეცვივდნენ მასთან...

ლეის შარვალი, პერანგი და ზეწარი დაეხია, თოკად დაეგრიხა; პირი, ცხვირის ნესტოები ჩვრებით ამოეტენა, რომ დაყვირება არავის გაეგონა და საპირფარეშოს მილზე ჩამოეხრჩო თავი...

მისი, ჯერაც თბილი, გვამი სასწრაფოდ ეზომოხსნეს. ექიმმა პფლიუკნერმა ყველა ზომა მიიღო, ხელოვნური სუნთქვა გამოიყენა, მაგრამ უშედეგოდ.

მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სიას კიდევ ერთი „ხოხობი“ გამოაკლდა.

გონების კოეფიციენტი...

ამის შემდეგ ენდრიუსმა უფრო გააძლიერა ციხის რეჟიმი. მან ყოველი საკნის კართან დააყენა სამხედრო პოლიციელები, რომელთაც სპეციალური ხვრელიდან 24 საათის განმავლობაში რიგრიგობით უნდა ეთვალთვალებინათ პატიმრებისათვის. თვითონ პატიმრებს კი ძილის დროს ხელები აუცილებლად საბნის ზემოთ უნდა ჰქონოდათ დაწყობილი. თუ ვვერდზე გადაბრუნდებოდნენ, მხოლოდ მარჯვნივ, რომ პირით კედლისკენ არ ყოფილიყვნენ და ზედამხედველებს სახეში ყურების საშუალება ჰქონოდათ.

ბევრი სხვა საგანგებო ზომაც იქნა მიღებული, რის გამოც პატიმრებმა არცთუ ისე კეთილად მოსახსენებელი სიტყვები დაადევნეს „იმ ცალტვინა ლეის“ საიქიოში...

... ციხის ფსიქიატრებს — ჯილბერტსა და კელის ახალი საზრუნავი გაუჩნდათ. ლეის თავის ქალას ტრეპანაციამ ტვინის სრული დეფორმაცია აჩვენა, რაც, ექიმების აზრით, სისტემატური ლოთობის შედეგი იყო.

შემდეგ სხვების „გონებრივი დონის“ შემოწმებასაც შეუდგნენ. წინასწარ სპეციალური კითხვარები და გამოცანები შეადგინეს. ყველა ბრალდებულმა გაიარა ეს გამოცდა. განსაკუთრებულ მონდომებას გერინგი იჩენდა. მას უნდოდა, გონებრივი დონის სხვაზე მაღალი კოეფიციენტი ეჩვენებინა. ესეც პატივმოყვარეობის საქმე იყო. იგი მოწაფესავით იჯდა დაბალ სკამზე, ასევე დაბალ მაგიდასთან და გულმოდგინედ ასრულებდა დავალებას. თუ რთული გამოცანა შეხვდებოდა, ჯილბერტს ეხვეწებოდა, შემიცვალეო. ამგვარ შეღავათს რომ

არ მისცემდნენ, ერთხანს ბოლთას სცემდა, ფიქრობდა და, თუ გამოიცნობდა, ბავშვივით უხაროდა.

— პოლიტიკისათვის ხელი რომ არ მოგეკიდათ, შეიძლება ახლა აკადემიკოსი ყოფილიყავითო, — ირონიულად შენიშნა ჯილბერტმა.

გერინგმა ეს ირონიად არ მიიღო და დაიტრაბახა:

— შესაძლებელია, სხვაზე უკეთესად მეცნიერებაშიც გავაკეთებდი რამესო.

მერე იმასაც მოჰყვა, როგორ შემთხვევით გახდა პოლიტიკური მოღვაწე:

— მე მასონობას ვაპირებდი და მეგობრებთან ერთად გადავწყვიტე ორდენში შესვლა. შევთანხმდით კიდეც, სად და როდის შევხვედროდით ერთმანეთს, რომ მასონების ორგანიზაციაში წავსულიყავით. მე ადრე მივედი დანიშნულ ადგილას და სხვებს დაველოდე. ამ დროს ერთმა, მეტად ლამაზმა ქერა გოგონამ ჩამოიარა და იმას ავედევნე. მერე აღარც დავბრუნებივარ ამ საქმეს.

მაშინ რომ გოგონას არ ჩამოევლო, როგორც მასონების ორდენის წევრი, ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში ვეღარ შევიდოდი და არც აქ ვიქნებოდი ახლა...

... გერინგისაგან რა აკადემიკოსი გამოვიდოდა, ეს კაცმა არ იცის, მაგრამ ის გამოცდები მაინც კარგად ჩააბარა. შედეგები რომ შეაჯამეს, აღმოჩნდა: ქულათა ყველაზე მაღალი რაოდენობა მიიღო შახტმა — 143, მეორე ადგილზე გამოვიდა ზეის-ინკვარტი —141, მესამეზე — გერინგი —138... სულ ბოლო ადგილზე გამოვიდა შტრაიხერი —106. ჰესმა მეთვრამეტე ადგილი დაიკავა, მაგრამ თავს იმართლებდა: გამომცდელები გავასულელე, თორემ, რომ მომენდომებინა, იმ გამოცანებს უკეთ გამოვიცნობდიო. გერინგი იმით იყო უკმაყოფილო, რომ პირველი ადგილი ვერ მოიპოვა. ნომერ პირველ სამხედრო დამნაშავეს ყველაფერში პირველობა უნდოდა...

შინაგანაწესის მიხედვით, ბრალდებულებს ყოველდღე 15—15 წუთით ციხის ეზოში სეირნობის უფლება ჰქონდათ. ისინი ჩამოჰყავდათ ძირს, გაამწკრივებდნენ, შეამოწმებდნენ, ყველანი არიან თუ არაო, და ეზოს გარშემო ატარებდნენ. იმის მიხედვით, თუ ამ წრეში ვინ ვისთან მოხვდებოდა, საუბრობდნენ კიდეც ერთმანეთთან. გერინგს მილტიადეს დაფნის გვირგვინი ციხეშიც არ ასვენებდა. იგი ყოველთვის პირველი დგებოდა მწკრივში, სხვები ისე, როგორც შეხვდებოდათ. წრიული სიარულის დროს კი, რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ პირველი იყო და ვინ — უკანასკნელი.

საუბრის უფრო კარგი საშუალება მათ ციხის სასადილოში ჰქონდათ. აქაც ყველანი ერთად იყრიდნენ თავს. მართალია, ჯილბერტიც იქვე ტრიალებდა, მაგრამ ისინი მაინც თავისუფლად გამოთქვამდნენ აზრს. ისე, თუ რამე საიდუმლო ჰქონდათ სათქმელი, ვინმე აფრთხილებდა, ჩუმად, ის ამერიკელი მოდისო. ყველამ კარგად იცოდა, თუ „რატომ დაძვრებოდა“ ჯილბერტი მათთან, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არც აწუხებდათ. პირიქით, ერთხელ გერინგმა უთხრა, ალბათ, ჩვენს საუბრებს იწერთ, რომ გამოაქვეყნოთ, კარგია, ისტორიაში დარჩებაო...

ამაზე სხვებიც ზრუნავდნენ.

...ვიდრე საბრალდებო აქტს დაურიგებდნენ, ისინი ათასგვარ ილუზიებს ეძლეოდნენ. გერინგი ფიქრობდა, უარეს შემთხვევაში ნაპოლეონის ბედს გავიზიარებ და სადმე კუნძულზე გამასახლებენო. ჰესი ისევ მესამე იმპერიის აღორძინების გეგმას ადგენდა. „ავადმყოფობის“ გამო, იგი უფრო გვიან გამოჩნდა ციხის სასადილოში, ხელი წინ გაიშვირა და, „ჰაილ ჰიტლერო“, მიაძახა თავის კოლეგებს.

ინგლისში გაფრენის შემდეგ, ისინი ხომ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს.

ჰესი ისე იქცეოდა, თითქოს შემთხვევით იჯდა ციხეში.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ წელსვე გაგვათავისუფლებენ ყველას, — უთხრა მან ექიმს.

— როგორ? — გაიკვირვა მან, — დღეს 31 დეკემბერია და სულ რაღაც ორი საათია დარჩენილი მომავალ წლამდე.

მე მინდოდა მეთქვა, „მომავალ წელს“, — გაასწორა ჰესმა.

ერთხელ, დამცველმა ჰესთან მისი ყოფილი მდივნები მიიყვანა. ტუსაღმა „შეფმა“ ყურადღება არ მიაქცია მათ.

— ბატონო ჰეს, ესენი ხომ თქვენი პირადი მდივნები არიან, ვერ იცანით? — ჰკითხა დამცველმა.

ჰესი ჯერ ჩაფიქრდა, მერე ხელი ჩამოართვა ორივეს და უთხრა:

— მე რომ დიდი კაცი გავხდები, ისევ თქვენ აგიყვანთ მდივნებად...

...როზენბერგი ახალ წიგნს წერდა, შირახი ტენისონის ლექსებს თარგმნიდა, პაპენი სულ მხრებს იჩეჩდა და გაიძახოდა, ნეტავი გამაგებინა, რატომ ვარ დაპატიმრებულიო. შახტი ბრალდებულებს ორ ჯგუფად ჰყოფდა: „განგსტერები“ და „ჯენტლმენები“. პირველ ჯგუფს იგი მიაკუთვნებდა გერინგს, ჰესს, რიბენტროპს, კალტენბრუნერს, შტრაიხერს და სხვებს; მეორეს — თავის თავს, პაპენსა და ნოირატს.

ადრინდელი ერთსულოვნება აქ დარღვეული იყო. სამოქალაქოები სამხედროებს უღრენდნენ, ორივენი კი „იმ ლორდებს“ — კალტენბრუნერსა და შტრაიხერს. შახტი როზენბერგს მივარდა, რა ეშმაკად მოიგონეთ ეს რასობრივი თეორიაო. მერე ვიღაცას უამბო:

— დღეს, ციხის ეზოში სეირნობის დროს, რამდენიმე წუთით როზენბერგის გვერდით მოვხვდი. ჩვეულებრივად, მე მას ხმასაც არ ვცემ, მაგრამ, რაკი შემთხვევამ მოიტანა, გამოველაპარაკე. „ვერ წარმომიდგენია, როგორ ჩაიდინეს გერმანელებმა ეს?“ — მითხრა მან უდანაშაულოსავით. მე ვუპასუხე:

— ამის წარმოდგენა სრულიად ადვილად შემიძლია. თქვენ და თქვენმა ფილოსოფიამ, ეკლესიაზე თავდასხმამ და

რწმენის მოსპობამ დაარღვია ყოველგვარი ზნეობრივი ნორმა, რასაც ბუნებრივად მოჰყვა ამგვარი ბარბაროსობა.

პაპენს, რა თქმა უნდა, არც ამ შემთხვევაში წამოსცდენია, რომ თავის დროზე თვითონაც უკაფავდა გზას ამ ბარბაროსობის მოძალებას.

„ბატონი დიპლომატებიც“ ცდილობდნენ, შორს დაეჭირათ თავი „იმ შემაძრწუნებელი საქმეებისაგან“. ისინი რიბენტროპს დასცინოდნენ, საიდან მოვიდა ეს ღვინის ვაჭარიო. ფრიკი სულ დუმდა. ფრიჩეც, როგორც ყველაზე „პატარა კაცი“, განზე იყო გამდგარი. დენიცი უფრო ხშირად რედერს ელაპარაკებოდა, კაიტელი — იოდლს. ამპარტავანი ბარონი ფონ შირახი შავ სათვალეს არ იშორებდა, ჰესი — ბულვარულ რომანებს კითხულობდა, ფუნკი ხან ერთ ჯგუფს მიეკედლებოდა, ხან მეორეს. კალტენბრუნერი სულ გარიყული იყო, რადგან არც ერთ ბრალდებულს არ სურდა მასთან საუბარი.

— წარმოიდგინეთ, ეს ჭუჭყიანი ღორები, თურმე, ცოცხალ ადამიანებზე ახდენდნენ ცდებს, — ამბობდნენ ისინი კალტენბრუნერსა და მის კოლეგებზე...

... ყველაზე მეტს ისევ გერინგი აქტიურობდა. მას უნდოდა, ეს „სიმპოზიუმები სასადილოში“ თავისი „შინაგანი ფრონტის“ განსამტკიცებლად გამოეყენებინა და ძველებური ერთსულოვნება აღედგინა ბრალდებულთა შორის. იგი ციხეშიც მათ უფროსად თვლიდა თავს. ამიტომ იყო, რომ ხუმრობით „ბრალდებულთა ოცეულის მეთაური“ ანუ „კაპრალი“ შეარქვეს. უმაღლესზე უმაღლესი წოდების — რაიხსმარშალისათვის ეს უდაბლესი წოდება, დიდი არაფერი წარმატება იყო, მაგრამ მაინც სიამოვნებით ასრულებდა ამ მოვალეობას.

— რაკი ეს პროცესი შედგა, კიდევაც უნდა მოვემზადოთ შედეგებისათვის, — თქვა მან, — ვშიშობ, რომ პრესა დიდ გავლენას მოახდენს მოსამართლეებზე. მე არ შემიძლია, პასუხი ვაგო დანაშაულზე, რაც არ ჩამიდენია, მაგრამ რა

გაეწყობა. მოსამართლეები გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენლები არიან და ვიცი კიდეც, რა მომელის. მე უკვე ვწერ გამოსამშვიდობებელ წერილებს.

საბრალდებო აქტის მიღების შემდეგ გერინგი სხვებსაც მოუწოდებდა, სულ ერთია, სიკვდილით დასჯა არ აგვცდება და ღირსეულად მაინც გვეჭიროს თავიო.

— გერმანელი ხალხი კვლავ აღსდგება, ჰანს, —უთხრა მან ფრანკს, — დეე, ეს იყოს თუნდაც ორმოცდაათი წლის შემდეგ, მაგრამ იგი მაინც გამოგვაცხადებს თავის გმირებად და ჩვენს დაფერფლილ სხეულებს მარმარილოს ურნებით გადაიტანს ეროვნულ ტაძარში.

ფრანკმა ეპვით შეხედა მას და უთხრა, ორმოცდაათი წლის შემდეგ ჩვენი ფერფლიც აღარ იქნება სადმეო...

— ეგ არაფერი, — გაამხნევა იგი გერინგმა, — ქრისტეხის ერთ ჯვარზე გააკრეს, მაგრამ შემდეგ გაჩნდა მილიონობით ჯვრები. ყოველ მათგანს ადამიანები ისე უკრავენ თავს და ეამბორებიან, თითქოს სწორედ ამაზე ამოხდომოდეს სული მაცხოვარს...

გერინგს უნდოდა, განსაცდელშიც ყველა ისევე ერთსულოვანი ყოფილიყო, როგორც „დიადი ბრძოლების დროს“ (Kampfzeit). მართალია, უკვე იმედი აღარ ჰქონდა - ამისი, მაგრამ „რამე ზეგავლენის მოხდენას“ მაინც ცდილობდა, თვით რიბენტროპზედაც კი, რომელიც ჭირის დღესავით სძულდა...

— იმედი მაქვს, რიბენტროპი არ მოტყდება, — ეუბნებოდა იგი ჯილბერტს, — ჯარისკაცებიც კარგად მოიქცევიან. ეს ჰესი კი, მართლაც, სულით ავადმყოფია. იგი ყოველთვის ასეთი იყო.

გერინგმა რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა, რამდენიმე უკან, რადგან ხუთ კვადრატულ მეტრზე მეტი „სასიცოცხლო სივრცე“ უკვე აღარ ჰქონდა და ისევ იმ ჯილბერტს ჰკითხა:

— თქვენ როგორ გგონიათ, ჰიტლერი ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე გაგზავნიდა მას ასეთი საპატიო მისიით ლონდონში?

ჯილბერტმა ამაზე არაფერი უპასუხა და გერინგმა განაგრძო:

— განა ჩვენთვის ადვილი იყო გამოგვეცხადებინა, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი მეთაური — გიჟია? თუ ინგლისელებთან კონტაქტის დამყარება იყო საჭირო, მე ამას 48 საათში მოვახერხებდი...

ამ შეცდომას გერინგი უმთავრესად რიბენტროპს აბრალებდა.

— პირადად მე არაფერი მაქვს მისი საწინააღმდეგო, მაგრამ იგი ცუდი მინისტრი იყო, — უთხრა მან ჯილბერტს, — რიბენტროპს საქმოსნობა, ღვინით ვაჭრობა უფრო ეხერხებოდა, ვიდრე დიპლომატია. მეფეს რომ, „ჰაილ ჰიტლერო", მიახალა ცხვირში, ეს, ალბათ, იწყინეს ინგლისელებმა. ვთქვათ, თქვენ რუსებმა გამოგიგზავნეს ელჩი, რომელიც პირველივე ოფიციალურ მიღებაზე წამოიძახებს:

— გაუმარჯოს კომუნისტურ რევოლუციას!.. პაჰ, პაჰ, პაჰ, რა ამბავს ატეხდით მაშინ! — იცინოდა გერინგი და თან „კომუნისტურ სალამს" აძლევდა ჯილბერტს...

საქმე კი უბრალო მეტოქეობას ეხებოდა.

— როცა იტალიასთან და იაპონიასთან ურთიერთდახმარების პაქტს ვაწერდით ხელს, — ყვებოდა გერინგი, — რიბენტროპს უნდოდა, მე, იმპერიის მეორე კაცი, მის უკან გავჩერებულიყავი. წარმოგიდგენიათ ასეთი თავხედობა! სამაგიეროდ, ჩემგანაც საკადრისი პასუხი მიიღო: მე წინ დავჯდები, შენ კი ჩემს უკან ფეხზე უნდა იდგე-მეთქი, ვუთხარი მას. რიბენტროპი მაშინ მამლაყინწობდა, თორემ ახლა... მონსდორფში რომ ვიყავით, 85-გვერდიანი მემორანდუმი დაწერა და გვეხვეწებოდა — წაიკითხეთო. მე ვუთხარი: ჩვენი რჩევა თუ გინდოდა, დროზე უნდა გეკითხა. ახლა კი ეს შენი ქალალდები...

მოგეხსენებათ, გერინგი ასეთ შემთხვევაში უცენზურო გამოთქმებს არ ერიდებოდა...

... იმ „ღვინის ვაჭარს" კი საჯარო პროცესზე გამოსვლა ეუხერხულებოდა. ეს პროცესი ნამდვილად დიდი შეცდო-

მა�ო, — ამბობდა იგი. რატომო, რომ ჰკითხავდნენ, უპასუხებდა:

— სულ ერთია, ეს მხოლოდ დამარცხებულ გერმანიასთან ანგარიშის გასწორება იქნებაო.

მერე მოდგებოდა და არჩევდა, რა შეცდომები იქნა „თავის დროზე“ დაშვებული, თუმცა მის აზრებს ყურადღებას არავინ აქცევდა. აჰ, ის ყეყეჩი რიბენტროპიო, — იტყოდნენ ხოლმე და ხელს ჩაიქნევდნენ. ყველაზე უფრო შახტი გესლავდა მას.

— იმაზე საშინელი დანაშაული არაფერია, ვიდრე სიბრიყვე, —ამბობდა იგი. არც სხვებს ინდობდა: აქ ვინც არის, ყველას ჩამოახრჩობენ, მე კი შინ გამიშვებენო, — ეუბნებოდა იგი ჯილბერტს. თან იმას წუწუნებდა: ჯერ ჰიტლერმა მტანჯა საკონცენტრაციო ბანაკში, ახლა კი იმის ბნელ საქმეებზე მე მასამართლებენო. შახტი დარწმუნებული იყო, რომ ნახევარი საათიც ეყოფოდა თავის გასამართლებლად.

— არ მესმის, რაში უნდა დამდონ ბრალი, — ამბობდა იგი, — ომი მე არ მინდოდა და, საერთოდ, ჰიტლერის პოლიტიკის წინააღმდეგი ვიყავი. თუ მეტყვიან, გერმანიის შეიარაღებას უწყობდი ხელს, რითაც ვერსალის ხელშეკრულებას არღვევდიო, მაშინ მოსამართლეებმაც უნდა გაიზიარონ ეს დანაშაული. ინგლისმა არა მარტო რემილიტარიზაციის ნება მოგვცა, არამედ სათანადო ხელშეკრულებაც დადო ჩვენთან. პირადად ჩემი სისულელე ის იყო, რომ პირველ წლებში ჰიტლერის სამშვიდობო პოლიტიკისა მჯეროდა. მერე დავრწმუნდი, რომ ეს ასე არ იყო, გადავდექი და საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებაც განვიცადე. ახლა რაღა უნდათ ჩემგან?!..

...ფრანკი, მისივე აღიარებით, „ორჯერ მოვიდა ჭკუაზე“: პირველად —1942 წელს, როცა გამარჯვებაში ეჭვი შეეპარა, ხოლო მეორედ — ნიურნბერგის ციხეში.

— აქ ბევრი რამ ცხადი გახდა ჩემთვის, — თქვა მან, — ჰიტლერი ეშმაკის მოციქული იყო და ამქვეყნად არავის ძალას არ ცნობდა, გარდა საკუთარი თავისა. გერინგის მდგო-

მარეობა ხომ სულ საასაცილოა. განა ღვთის რისხვა და ბედის დაცინვა არ არის, წარსულში ესოდენ ძლევამოსილი და სრულ ბრწყინვალებაში მყოფი კაცი ციხის ეზოში თხუთმეტი წუთის განმავლობაში წრეს რომ უვლის, ან ოთხ ვიწრო კედელს შორისაა გამომწყვდეული და საპირფარეშოსაც თვითონ წმენდს? ამით ხომ ღმერთიც დასცინის ადამიანთა ძლევამოსილებას! თუმცა, ვინ იცის, შეიგნებენ თუ არა ისინი, რომ ეშმაკების ინკარნაციას წარმოადგენენ? ან ორთავ მუხლზე თუ დაეცემიან და შეწყალებას სთხოვენ მამაზეცი-ერს! არა მგონია. ის კი არა, ვერც მიხვდებიან, ყოველივე ეს რომ მსოფლიოს უდიდესი ტრაგედიაა, ჩვენ კი ღვთის მიერ შერისხულ ეშმაკთა განსახიერება ვართ...

ფრანკმა გაიხსენა, 1934 წელს ფილოსოფოსმა ოსვალდ შპენგლერმა რომ უთხრა, ათი წლის შემდეგ მთელი დასავლეთი თქვენი ბრალმდებელი იქნებაო. მაშინ ეს გაფრთხილება ყურად არ იღო, ახლა კი თვითონ მოისურვა თავისივე მსაჯულად ყოფნა და სინანულით თქვა:

— მე მხოლოდ 1942 წელს მივხვდი ყველაფერს და დავრწმუნდი, რომ ჰიტლერში ეშმაკი განსახიერდა. მე კი იმ ეშმაკთან ვიყავი ხელშეკრული. ახლა გავთავისუფლდი მისგან და გავიგე, რომ ჰიტლერი ცივსისხლიანი ფსიქოპატი იყო, ბოროტი სული...

„კაპრალი" გერინგი ყველას უბღვერდა, ჰიტლერზე ცუდს ნურაფერს ამბობთ, ნუ გავიწყდებათ, რომ იგი ჩვენი სახელმწიფოს მეთაური იყო.

ზოგი უჯერებდა, ზოგი — არა. მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა თავი მოიკლა, ფიცი ახსნილი ჰქონდათ და უფრო თავისუფლად შეეძლოთ ლაპარაკი თავიანთ ძველ კერპზე. ადრე თუ ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, ახლა ხელს არავინ უშლიდათ, მაგრამ აქ მაინც ორი განზომილება შეხვდა ერთმანეთს. ვთქვათ, ჰიტლერს გაემარჯვა, განა რომელიმე მათგანი იტყოდა იმას, რასაც ამ კატასტროფული მარცხის შემდეგ ამბობდნენ? ის კი არა, ოქროს კვარცხლბეკზე აიყვანდნენ. ახლა კი, იქნებ იმაზე მეტსაც აბრალებდნენ, ვიდრე მათი ფიურერი იმსახურებდა, იმათგან, თორემ სხვებისგან მეტიც ეკუთვნოდა.

ასეა თუ ისე, პროცესზე მომხდარი ამბების გასაგებად ამ ახალი „განზომილების“ ობიექტურ შეფასებას მაინც აქვს მნიშვნელობა. მეც ისე მოგიყვებით ყველაფერს, როგორც ოფიციალურ დოკუმენტებსა და მემუარულ ლიტერატურაშია აღწერილი.

მარადისობის გზა...

წინასწარ უნდა აღვნიშნო, რომ თვალსაზრისი ამ შემთხვევაშიც პოლარული ხასიათისა‘ იქნება: გ ე ნ ი ა ლ ო ბ ა თუ შ ე შ ლ ი ლ ო ბ ა. ჰიტლერის გენიალობის შესახებ, როგორც მოგახსენეთ, იმდენს ყვიროდნენ, რომ ბოლოს თვითონაც დაიჯერეს, ფიურერის სახით განგებამ ახალი მესია მოგვივლინაო. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, ეს იყო რელიგიურ ფანატიზმამდე აყვანილი რწმენა. ამის გამოხატვის საშუალებაც რელიგიური იყო, რასაც შემდეგ რწმენის ენა (Glaubenssprache) უწოდეს და ისევ იმ Lingua Tercii Imperii-ის ძირითად ნიშნებს მიამსგავსეს. ვ. კლემპერერის აზრით, ეს ნიშნები მართლაც ჰგავს ქრისტიანული კათოლიციზმის საეკლესიო ტერმინოლოგიას, იმის მიუხედავად, რომ ნაციონალ-სოციალისტები აშკარად თუ ფარულად, თეორიულად თუ პრაქტიკულად ყოველთვის ებრძოდნენ ქრისტიანობას, კერძოდ, კათოლიკურ ეკლესიას. როგორც ერთხელ უკვე მოგახსენეთ, კათოლიკური ეკლესიის სიმტკიცე და დისციპლინა მაინც საანიმუშოდ მიაჩნდათ. ამიტომაც ბაძავდნენ ბევრ რამეში. მიუნჰენის პუტჩის დროს, ფელდჰერნჰალესთან შეტაკებისას მოკლულ თექვსმეტ ნაციონალ-სოციალისტს ისინი ქრისტიანულ წამებულებად (christliche Märtyrer) თვლიდნენ, ხოლო ჰიტლერი, ვითომ მართლაც ქრისტე ყოფილიყოს, მათ „ჩემს მოციქულებს“ (Meine Apostel) უწოდებდა და ისევ იმ ქრისტიანული ლეგენდის მიხედვით აცხადებდა, „ისინი აღდგნენ მესამე იმპერიაშიო“... ყოველწლიურად გამართული რელიგიური რიტუალი — „გმირთა მოსაგონებელი დღეც“ (Heldengedanktag) ქრისტი-

ანული აღდგომის ნაციონალ-სოციალისტურ მეტაფორას წარმოადგენდა. იმ ბრძოლების დროს სისხლში ამოსვრილი დროშებიც — Blutfahne მათ თავიანთ უწმინდეს რელიკვიად მიაჩნდათ. ამ დროშებს ისე ეამბორებოდნენ ნაციონალ-სოციალისტები, როგორც მორწმუნე ქრისტიანები ჯვარცმის ნიშანს. ესესელთა „ჩრდილოური სისხლის ორდენიც", მოგეხსენებათ, ამავე ფორმით იქნა დაარსებული, მეტიც, თვით „მესამე იმპერია", როგორც „ღვთაებრივი რაიხი" (Himmelsreich) მ ა რ ა დ ი უ ლ ობ ი ს შარავანდით იქნა მოსილი. იყო პირველი იმპერია, მაგრამ დაიშალა. ასეთივე ბედი ეწია მეორე იმპერიასაც, მესამე კი, მათი აზრით, მ ა რ ა დ ი უ ლ ი უნდა ყოფილიყო. საერთოდ, ცნობილია, რომ „მარადიული" ღ ვ თ ა ე ბ რ ი ვ ი ს ატრიბუტია, ეს კი ისევ რელიგიის სფეროა.

— ჩვენ აღმოვაჩინეთ მარადისობის გზაო, — განაცხადა ლეომ. სკოლებში მოწაფეებს ამგვარ კითხვას უსვამდნენ:

— რა იქნება მესამე იმპერიის შემდეგ?

ვინც იტყოდა, „მეოთხეო", ბრიყვად თვლიდნენ და ასწავლიდნენ:

— ამის შემდეგ არაფერი არ იქნება, რადგან მესამე იმპერია გერმანელთა მარადიული იმპერიაა...

ჰიტლერი დაჟინებით უნერგავდა გერმანელებს აზრს, მათი ღვთაებრივი იმპერია განგების (Vorsehung) კარნახით არის შექმნილი და მას ყოვლისშემძლე (allmächtig) ძალა იცავს. თვითონ კი, რა თქმა უნდა, იმავე განგების მიერ მოვლენილი მესიაა, რომელსაც დავალებული აქვს, მიიყვანოს გერმანელი ხალხი მსოფლიო ბატონობამდე. კაცმა რომ თქვას, გერმანელებმაც ადვილად შეაჩვიეს ყური ჰიტლერის ამგვარ თვითგაღმერთებას (Selbstvergötterung) და მიიღეს იგი, როგორც გ ა მ ო ც ხ ა დ ებ ა. მას ოფიციალურად უწოდებდნენ „განგების იარაღს" (das Werkzeug der Vorsehung), აცხადებდნენ, „განგების გამოგზავნილიაო" (von der Vorschung). „ჩემი ბრძოლა"—ნაციონალ-სოციალიზმის სახარება თუ „გერმანელთა ბიბლიააო" (Germanenbibel) და ა. შ. გაჩნდა უცნაური გამოთქმაც: „ჰიტლერული რელიგია" (Hitlerreligion). შე-

საძლებელია, მათ ნამდვილად სწამდათ, რომ ყველაფერი ეს მართლაც ასე იყო. გებელსი ჰიტლერის ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის შესახებ წერდა დღიურში:

— დასასრულ მან მიაღწია რაღაც საოცარ, დაუჯერებელ ორატორულ პათოსს და თავისი გამოსვლა დაამთავრა სიტყვით: ამინ! ეს ისე ბუნებრივი იყო, რომ უაღრესად აღაგზნო მსმენელები...

გებელსს საეკლესიო ქადაგების ეს ფორმა სრულიად „ბუნებრივად" მიაჩნია „განგების მიერ მოვლენილი" ჰიტლერისათვის. ამგვარი კერპთაყვანისცემის შედეგი მონური მორჩილება და ბრმა მიმდევრობა იყო. 1941 წლის აპრილში, როცა გერმანია, ის-ის იყო, საბჭოთა კავშირზე თავდასხმას აპირებდა, იგივე გებელსი ამბობდა:

— ჩვენ სულაც არ გვჭირდება ვიცოდეთ, რა სურს ფიურერს, ჩვენ გვწამს მისი...

ეს ბრმა რწმენა გადაედო ხალხს, ჯარისკაცებს — დიდსა და პატარას. თვით 1945 წლის გაზაფხულზეც კი, როცა ჰიტლერის მესამე იმპერიის კატასტროფა ასე თვალსაჩინო იყო, ბევრს სწამდა, რომ „განგება არ გასწირავდა გერმანელ ხალხსა და მის ფიურერს". ჩაწერილია გერმანელი ჯარისკაცების ასეთი საუბარი:

— როგორმე უნდა გავძლოთ კიდევ თოთხმეტი დღე... მხოლოდ თოთხმეტი დღე...

კითხვაზე, რატომ თოთხმეტი? — ჯარისკაცმა უპასუხა:

— თოთხმეტი დღის შემდეგ, 20 აპრილს, ფიურერის დაბადების დღეა და ეს მოგვიტანს გამარჯვებას (!!!)...

თუმცა იმ უბირ ჯარისკაცს რა გაემტყუნება, როცა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა უმრავლესობა ნიურნბერგის ციხეშიც აქებდა და ადიდებდა თავის ყოფილ ფიურერს.

— ჰიტლერი გიგანტი იყო, ჩვენ კი, ყველანი მის ჩრდილში ვიმყოფებოდით, — თქვა რიბენტროპმა.

— ჰიტლერს ფეხსაცმლის ლანჩებამდეც ვერ ვწვდებოდით, — სულ დაიმდაბლა თავი გერინგმა.

— სახრჩობელაზეც რომ ამიყვანონ, იქაც „ჰაილ ჰიტლერს“ დავიძახებ, — იქადდა შტრაიხერი.

ნაბუქოდონოსორი...

შემდეგ მდგომარეობა თანდათან შეიცვალა. რაკი ჰიტლერი მკვდარი იყო, შიში არაფრის ჰქონდათ და მისმა „მოციქულებმაც“ უფრო თავისუფლად ამოიდგეს ენა:

— ომის ბოლო პერიოდში ჰიტლერი შეშლილობის აშკარა ნიშნებს ამჟღავნებდაო, — აღიარა კაიტელმა, —1945 წლის 24 თებერვალს, როცა კატასტროფა გარდუვალი იყო, მან საზეიმოდ გამოაცხადა, დარწმუნებული ვარ გამარჯვებაშიო. 20 მარტს 12 წლის ბიუს, ალფრედს რომ რკინის ჯვარი დაჰკიდა, უთხრა: მე მჯერა, რომ გავიმარჯვებთ და თქვენი იმედი მაქვსო...

სხვებმაც გაიხსენეს, პირად ექიმს, მორელს რომ უყვირა, ისეთ წამლებს მასმევ, მართლა გიჟი გგონივარო და, რაკი სიშმაგის დროს სულ ხალიჩაზე კოტრიალობდა, „ბალახისმძოველი ნაბუქოდონოსორი“ შეარქვეს.

საერთოდ, ბევრს დაობდნენ მის „წინამორბედებზე“, ამბობდნენ, ალექსანდრე მაკედონელსა და ნაპოლეონ ბონაპარტესაც ამგვარი სენი სჭირდათო. მათი აზრით, სამივენი ერთნაირი უტეხი და ჯიუტი ხასიათის იყვნენ.

ნაპოლეონი ამტკიცებდა კიდეც, ომს მხოლოდ ჯიუტები იგებენო. როცა მოკავშირეთა არმიები პარიზს მიუახლოვდნენ, მან თქვა:

— ჩემს მტრებს ავიწყდებათ, რომ მე მიუნჰენსა და ვენასთან უფრო ახლოს ვარ, ვიდრე ისინი პარიზთან!..

მერე, პარიზიც რომ დაკარგა, განაცხადა, ჩემი არმია არასოდეს ისე ძლიერი არ ყოფილა, როგორც ახლაო.

ორი-სამი დღის წინ, ვიდრე თავს მოიკლავდა, ჰიტლერიც „უეჭველ გამარჯვებას“ ჰპირდებოდა თავის ხალხს.

მანშტაინის აზრით:

— იგი ზედმეტად აფასებდა საკუთარი ნების ფაქტორს,

მაგრამ სტალინგრადის შემდეგ ეს უკვე ნებისყოფის სიმტკიცე კი არა, სიკერპე (Starrheit) იყო. ჰიტლერს მთელი გულით უნდოდა ამ ქალაქის აღება. ამბობდა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მაინც უნდა გამოვტაცოთ რუსეთს მათთვის ეს წმინდა ადგილიო, მაგრამ... არ გამოვიდა. რუსეთთან ომის ორმა მძიმე ზამთარმა ფიზიკურად გაანადგურა იგი და ამის შემდეგ სულ ავად იყო.

იოდლი უცნაურ რამესაც ამბობდა:

— სჯობდა, ჯანმრთელი ყოფილიყო, მაშინ ადრე მოიკლავდა თავს და იხსნიდა გერმანიას ამ განსაცდელისაგან. თავის მოკვლის წინ მითხრა, ეს გადაწყვეტილება 1944 წლის ნოემბერში მივიღეო, მაგრამ...

— ფრიდრიხ დიდის მაგალითმა შეაჩერა და ისიც მოულოდნელ სასწაულს ელოდა, — თქვა მან.

ზოგიერთთა აზრით, აქ ისევ მაგიური რიცხვების რწმენამ იჩინა თავი. ვიღაცამ თქვა:

— ფრიდრიხი ომის მე შვიდე წელს გადაურჩა კატასტროფას, ჰიტლერიც ომის მე შვიდე წელში იყო და ეს უნერგავდა რაღაც იმედსო.

გერმანიაში სხვაც ბევრი მარჩიელობდა ასე. ნაცისტი მწერალი ემილ შტრაუსი გერმანიის ისტორიისა და საკუთარი ბედისწერის გადამწყვეტ მომენტებს ისევ იმ მაგიურ შვიდთან აკავშირებდა. იგონებდა:

— იენის ამბებიდან (1806) 1813 წლამდე გავიდა შვიდი წელი; 1848 წლის ახალ ბიძგამდე —35 წელი, ე. ი. ხუთჯერ შვიდი; 1870 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომამდე — 21 წელი, ე. ი. სამჯერ შვიდი; 1914 წლის მსოფლიო ომამდე —49 წელი, ე. ი. შვიდჯერ შვიდი.

შტრაუსს შეეძლო, შვიდის ლოგიკა ბოლომდე მიეყვანა და ეთქვა: მეორე მსოფლიო ომიდან გერმანიის სრულ კატასტროფამდე შვიდი წელი გავიდაო, მაგრამ გვერდს უვლის შვიდი ცოდვით დამძიმებული თავისი ქვეყნის ამგვარ რეკვიემს, და საკუთარ თავზე წერს:

— მე 70 წლისა ვარ, ე. ი. ათჯერ შვიდი და, რაკი ომში წასვლა არ შემიძლია, სოფელში გადავსახლდი...

მიუხედავად იმისა, რომ გენერლები, მთავრობის წევრები, მინისტრები სთხოვდნენ, ჩქარა დაემთავრებინა ომი, „ფატალური შვიდის მაგიით“ შეპყრობილი ჰიტლერი მაინც განაგრძობდა ჯიუტ წინააღმდეგობას. თუ მაშინ ფრიდრიხის ნებისყოფამ იხსნა გერმანია, ახლაც ასე მოხდებაო...

... ყოველივე ეს რაღაც მითურ ბურუსში ხვევდა ჰიტლერის სახელს. მანშტაინი წერს:

— რამდენიმე თაობა მოუნდება იმის გარკვევას, თუ რას წარმოადგენდა „das Faktum Hitler“ (ჰიტლერის ფაქტი); ისიც ვინ იცის, როდისმე მაინც თუ გაიგებენ ამ უსაშინელესი ადამიანის შემაძრწუნებელ ბედს...

იოდლმაც ასე თქვა:

— მე თითქმის სულ ჰიტლერის გვერდით ვიყავი, მაგრამ მისი პიროვნება მაინც შვიდი ბეჭდით დაბეჭდილ საიდუმლოებად რჩება ჩემთვისო.

მერე ისიც დაუმატა:

— ჰიტლერის ფენომენის რუბიკონს ვერც მომავალში გადალახავს ვინმეო.

გუდერიანი იხსენებს:

— ომის თითო წელიწადში 4—5 წლით ბერდებოდა, ფანატიკური სიჯიუტით ებღაუჭებოდა ჩალის ყოველ ღერს, რათა ეხსნა საკუთარი თავი. არაფრის დათმობა, არავითარი კაპიტულაცია, სულ ამას გაიძახოდაო.

„გონს მოსული“ შახტი და შირახი ამგვარ სიჯიუტეს ჰიტლერის „ამორალური ხასიათით“ ხსნიდნენ. როზენბერგს კი მაინც თავისი „განსაკუთრებული აზრი“ ჰქონდა ამ საკითხზე:

— არიან ადამიანები, რომელთა საქმეები არ განიხილება მორალის კანონებით, მით უმეტეს, ისეთი ექსცენტრული გენიოსებისა, როგორიც იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი და ჰიტლერი. სულიერ ავადმყოფობას სულაც არ შეუზღუდავს მათი მოქმედების უნარი...

სხვები უფრო კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი. ყოველ შემთხვევაში, ამბობდნენ: ანდერძში რომ გერმანიის დამარცხებას მუსოლინს აბრალებდა, ეს პარადოქსიაო. არც იმის სჯეროდათ, ჰიტლერი რომ აცხადებდა: მტრების სიმამაცე კი არა, მეგობრების ორგულობა იყო ჩემი დამარცხების მიზეზიო. ვითომ მორწმუნენი ამტკიცებდნენ, ურწმუნო იყო და ღვთის რისხვაც ამიტომ დაატყდაო. ეს სხვებმაც დაადასტურეს, დაღუპულ გმირთა სულის მოსახსენებელ დღეს გვირგვინს მის მაგივრად გერინგი სდებდა, თვითონ კი თავს არიდებდა ამ ქრისტიანულ რიტუალსო. ისიც გაიხსენეს, ჰიტლერი არც შობის დღესასწაულს სცემდა პატივს, იმალებოდა ან იმ ოთახში განმარტოვდებოდა, სადაც გელინ მოიკლა თავი.

— თვითონ ცოდვილი იყო და ჩვენც თავისი ცოდვების მოზიარედ გვაქცია, — დაასკვნა ვითომ უცოდველმა ფრანკმა...

იყო ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებებიც. უფრო „ერთგულები“ ჰიტლერის ანტისემიტიზმს გებელსისა და ჰიმლერის ზეგავლენას მიაწერდნენ. სხვები ამბობდნენ, დადებითი მხარეც ჰქონდა და უარყოფითიცო. „დადებითად“ მიაჩნდათ: საფრთხის წინასწარი შეგრძნების „მეექვსე გრძნობა“, ირაციონალური მომენტების პოლიტიკაში წარმატებით გამოყენება, მოწინააღმდეგების სუსტი მხარეების აღმოჩენის უნარი, მომენტის სწორი შერჩევის გრძნობა, ზეადამიანური ძალა და არაჩვეულებრივი გამბედაობა. უარყოფითად: საშინელი ეგოიზმი, პირუმტკიცობა, მდაბალი ვნებები, შურისძიებისა და ძალადობის ჟინი, სისასტიკე, უსაფუძვლო ოპტიმიზმი და სხვა.

— იგი იმ როლს თამაშობდა, რასაც მისივე წარმოდგენა ჰქმნიდა, — თქა ფრანკმა.

— ბედის ნებიერი იყო და ყველაფერს ადვილად აღწევდაო, — დაეთანხმა კაიტელი.

სამხედროები იმას უსაყვედურებდნენ, რომ გენერალური შტაბი დაშალა, სარდლებს უნდობლად ეპყრობოდა და მათ გონივრულ რჩევას არ იღებდა.

— ჰიტლერმა მითხრა, „გუდერიანის მოხსენებით ბარათებს ისე ვყრი კალათაში, არც ვკითხულობო“, — თქვა იოდლმა. თავის დროზე ამგვარი საყვედურის თქმა არავის გაუბედავს, ახლა კი აშკარად სდებდნენ ბრალს იმის გამო, რომ „შეცდომები იქნა დაშვებული“.

ამბობდნენ: ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ყოველივე ეს მისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობდა და ჯერ ლოგიკურ მაქსიმებად, ხოლო შემდეგ შემაძრწუნებელ ფაქტებად იქცეოდა. სულ რაღაც დიდი და საშინელი უნდოდა, მსოფლიო მასშტაბით, პლანეტარული გაქანებით, ყველაფერი ან არაფერი, ყველაზე დიდი, ყველაზე მაღალი, ყველაზე სწრაფი. 4 მეტრი სიგანის რკინიგზა. 11—11 მეტრი სამმაგი ავტოსტრადა. მანქანა —200 საათის სისწრაფით საათში. სიჩქარე, სიმაღლე... სივრცე. იმასაც ამბობდნენ, ჟიულ ვერნის ფანტაზიას აჭარბებდაო. უყვარდა სიტყვები „ფანტასტიკური“ და „სასწაულებრივი“, ბედი სწყალობდა და ყველაფერს ადვილად აღწევდა, ვიდრე კისერი არ მოიტეხა. ეს იყო პოლიტიკური აზარტი, კამათლების ნერონისებური გორება, ტევტონელი რაინდების ძველი დევიზი:

— სიკვდილი ან გამარჯვება...

დაკარგული სამოთხე...

ბოლოს ყველაფერი ეს მის მიერვე გამოწვეულმა „წყლით რღუნამ“ შთანთქა. ოცნებათა ცადაწვდილი კოშკები დაიმსხვრა. მესამე იმპერია განადგურდა, თვითონ ჰიტლერიც ნანგრევებად იქცა და ლუციფერივით ჩაიჩეხა უფსკრულში, მისი ყურებჩამოყრილი პალადინები კი საბრალდებო სკამზე დასხდნენ. მათ უკან, თემიდას გვერდით, დადგა შურისძიების ქალღმერთი ნემეზიდა და მართლმსაჯულებამ აღმართა თავისი მახვილი...

ახლა სხედან „დამხობილი ღმერთები“ და ფიქრობენ: რატომ მოხდა ასე? რა ძალამ აამაღლა ისინი ან რამ დასცა

ასე უმოწყალოდ. სურთ გაერკვნენ ამ კოშმარულ სინამდვილეში, თუმცა ყველა თავისებურად ფიქრობს, თავის საკუთარ აზრს გამოთქვამს. კერპთაყვანისმცემლობა დამთავრდა და ეპვებმა იჩინა თავი. მხოლოდ ის არის, რომ ერთმანეთისა ერიდებათ: რამე ცუდს თუ იტყვიან ჰიტლერზე, — გერინგი შეულრენს, კარგს და... „ჯენტლმენები“ აღშფოთდებიან. ზოგს არც არაფრის თქმა შეუძლია, მაგრამ არა შიშის ან მორიდების, არამედ უცოდინაროობის გამო. რამდენიმე მათგანი ნაგვიანევად იქნევს თავის დროზე ქარქაშიდან ამოუღებელ ხმალს. შახტი და შპეერი აცხადებენ, ჰიტლერის მოკვლა გვინდოდაო. შირახი „ნანობს“, თავის დროზე რომ არ მოკლა იგი...

გაჭირვება ალაპარაკებდათ, თორემ, მოკლავდნენ კი არა, ცხვრის ფარასავით მიჰყვებოდნენ მის ნება-სურვილს.

დანტე წერს:

„როგორც ბაკიდან გამორეკილ ცხვრების არვედან
„გამოვა ერთი, შემდეგ ორი, სამი და სხვები,
„დაშინებულნი თავმოდრეკით თავს ჩაქინდრავენ,
„რასაც ჩაიდენს მეწინავე, სხვებიც ჰბაძავენ,
„მოჯარდებიან მის ზურგს უკან, თუ შედგა იგი,
„მორცხვნი, მორჩილნი არ დასდევენ შედგომის მიზეზს.

მაშინაც ასე იყო და, შემთხვევა რომ მისცემოდათ, ისევ ისე ცხვრის ფარასავით გაჰყვებოდნენ თავიანთ „მეწინავე“ ფიურერს.

... ამაში ბევრი მაშინაც დარწმუნდა, როცა პროცესზე უჩვენეს მათი დიდების დღეებში გადაღებული დოკუმენტური ფილმები: აღლუმები, მიტინგები, რაიხსტაგის სხდომები და სხვა საზეიმო თუ საქმიანი ამბები.

ეს თითქოს სიზმარი იყო, საშინელი სინამდვილიდან სასურველ წარსულში გადასვლა... დაკარგული სამოთხე... ისეთი ნეტარება, რომ შახტს ცრემლიც კი გადმოუგორდა.

ჟან პოლ სარტრის უთქვამს: მოგონება ერთადერთი სამოთხეა, საიდანაც ადამიანებს ვერვინ განდევნისო, მაგრამ „დაკარგული სამოთხის“ გახსენება არც ისე ადვილი გამოდგა.

ო, რა სიამოვნებით გაიმეორებდნენ ისინი ყველაფერს, რაც მოხდა და რამაც ასე შეაძრწუნა კაცობრიობა...

...იმ დღეს ჯილბერტმა რომ ჩამოუარა პატიმრებს, ჯერაც აღგზნებულმა რიბენტროპმა უთხრა:

— ჰიტლერი რომ გამოჩნდა, ჩვენ ყველანი ისე ვტიროდით, თითქოს გარდაცვლილი მამა დაგვბრუნებოდა. შეგიძლიათ იგრძნოთ მისი პიროვნების ზეგავლენის გასაოცარი ძალა? ხომ ნახეთ, როცა იგი გამოჩნდებოდა, როგორ ესალმებოდა ხალხი? თქვენთვის არ ვიცი და ჩემთვის ეს ძალიან ამაღელვებელი იყო.

— ახლა ბევრი რამ შეიცვალა, ასეა, არა? — ჰკითხა მას ჯილბერტმა.

— ო, ეს გარდამავალი პერიოდია, — მიუგო მას რიბენტროპმა, — დაიცადეთ ერთი ოცი წელი და მერე ნახავთ...

პირველი ზარი...

ნიურნბერგელი პატიმრები ასე „უდარდელად“ იმიტომ იქცეოდნენ, რომ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, პერსონალურად ვის რაში ედებოდა ბრალი. პირველი სიგნალები მათ ე. წ. „წინასწარი დაკითხვების“ დროს მიიღეს. ეს ტრიბუნალის სპეციალური დადგენილების შედეგი იყო. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა, ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობათა ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, 1945 წლის 8 აგვისტოს დაადგინა „წინასწარი გამოძიების“ ჩატარება, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ-ამერიკული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ამგვარ წესს. ოთხივე სახელმწიფოს წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ წინასწარი ძიების ჩატარება აუცილებელია.

ამას გამოძიების ძლიერი აპარატის შექმნა მოჰყვა. ამ აპარატმა მართლაც კოლოსალური სამუშაო ჩაატარა: იმ ათასი ფუთი დოკუმენტის დამუშავება, ბრალდებულებისა და მოწმეების წინასწარი დაკითხვა, მტკიცებულებათა კლასიფიკაცია და მრავალი სხვა, რაც პროცესის ნორმალურად ჩატარებას სჭირდებოდა.

შესავალ სიტყვაში ჯექსონმა განაცხადა ამის შესახებ:

— არასოდეს სამართლის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, ასე, ერთი პროცესის ფარგლებში მოექციათ ათეული წლების საქმეები, რაც მთელ კონტინენტზე მოხდა და სახელმწიფოების, ადამიანებისა და შემთხვევების ურიცხვ რაოდენობას შეეხო. მიუხედავად ამისა, მთელმა მსოფლიომ მოითხოვა დაუყოვნებლივი მოქმედება და საჭირო გახდა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება თვით პროფესიული ოსტატობის საზიანოდაც კი... სულ რაღაც რვა თვის წინ ეს დარბაზი, სადაც ახლა სხდომები ტარდება, მტრის ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. რვა თვის წინ მთელი ეს დოკუმენტები ჯერ კიდევ მტერს ჰქონდა. არც კანონი იყო კოდიფიცირებული, არც სამართალწარმოება დადგენილი, არც ტრიბუნალი დაარსებული, არც გამოსადეგი სასამართლო შენობა შერჩეული, არც ასეულ ტონობით ოფიციალური გერმანული დოკუმენტები გასინჯული და არც ბრალმდებელთა შტატი შედგენილი. მაშინ თითქმის ყველა ბრალდებული თავისუფალი იყო და ოთხი სახელმწიფო, რომელთაც აღძრეს სასამართლო დევნა, ჯერაც არ იყვნენ გაერთიანებული ბრალდებულთა გასასამართლებლად...

ყოველივე ეს წინა, საგამომძიებლო პერიოდში მოხდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ყველაზე საინტერესო სამუშაო ეს იყო და მოხარული ვარ, რომ მეც მომიხდა ამაში მონაწილეობის მიღება. ცხადია, ყველაფერი მაინტერესებდა — დოკუმენტების გაცნობა ან თარგმნა, წინასწარ დაკითხვებში მონაწილეობა და სხვ.

... დაკითხვები ჩვეულებრივად ფიცის დადებით იწყებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლიდათ, მაშინვე განზე

გაეხვიათ: არ ვიცი; არა; უარვყოფ; კატეგორიულად უარს ვამბობ, — აცხადებდნენ ისინი. მერე წამოვიდოდა დოკუმენტები — ერთი, მეორე, მესამე, მეათე, მეასე... ბრალდებულები იძულებული ხდებოდნენ, ლაპარაკის ტონი შეეცვალათ: არ მახსოვს; მგონი, იყო; ვთქვი, მაგრამ არა ისეთი აზრით, როგორც თქვენ ფიქრობთ; შესაძლებელია, იძულებული ვიყავი და სხვა...

მერე ისევ მოდიოდა დოკუმენტების ტალღა, რასაც ნივთიერი საბუთებიც მოჰყვებოდა და ბრალდებულები იწყებდნენ აღიარებას — ზოგი მორცხვად, თავჩაქინდრული, ზოგიც უტიფრად, გამომწვევადაც. როგორც ჩანს, ისინი ჯერ კიდევ ფიქრობდნენ, უარეს შემთხვევაში, ხანგრძლივ პატიმრობას მოგვისჯიან და მერე, ვინ იცის, რა მოხდებაო. ამიტომ უფრთხილდებოდნენ თავს. ყველა ცდილობდა, როგორმე „არ გასვრილიყო“ საქმეში, რაც შემდეგ საბრალმდებო აქტში ფორმულირებულ იქნა, როგორც „დანაშაული ადამიანურობის მიმართ“. ამ ფორმულის უკან კი, როგორც ახლა ამბობენ, თხუთმეტ მილიონამდე კაცის სიცოცხლის მოსპობა იმალებოდა, თანაც, ისეთი „არტისტული სისასტიკით“, რომ ადამიანს გონება ემღვრევა მათი გაცნობის დროს.

ყოველივე ეს აღნუსხული იყო, გაფორმებული, დოკუმენტურად დამოწმებული. წინასწარ დაკითხვებზე, უმთავრესად, ეს დოკუმენტები მოქმედებდნენ.

საბჭოთა საგამომძიებლო აპარატმაც დაკითხა ყველა ბრალდებული, დაწყებული გერინგით და დამთავრებული ფრიჩეთი. დაკითხეს მთავარი მოწმეებიც — სახმელეთო ჯარების ყოფილი მთავარსარდალი ბრაუხიჩი, გენერალური შტაბის უფროსი ჰალდერი, გენერლები: გუდერიანი, ვერლიმონტი, ფალკენჰორსტი, ლახუზენი და სხვები. დაკითხვები ზიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის პროცესუალური კანონმდებლობის მიხედვით. როგორც წესი, დგებოდა დაკითხვების სტენოგრაფიული ანგარიში და ოქმები, რაც სასამართლო მტკიცებულებად ითვლებოდა... ფრიჩე წერს:

— ჩვენ გვესმოდა, როგორ იღებოდა საკნის კარი და რომელიმე ბრალდებულთაგანი მიჰყავდათ დაკითხვაზე. ვცდი-

ლობდით კიდეც, ფეხის ხმით გამოგვეცნო, ვინ მიჰყავდათ და მოჰყავდათ. მე პირდაპირ „ფეხის ხმის მკითხველი“ გავხდი. შეუცდომლად ვცნობდი: ეს რედერია... ზეის-ინკვარტი... შტრაიხერი... ყველამ თავისებური სიარული იცოდა, მაგრამ ყველაზე ადვილად მაინც გერინგის ფეხის ხმას ვარჩევდი...

... პირველად მეც გერინგის დაკითხვაში მომიხდა მონაწილეობის მიღება. შემატყობინეს თუ არა ამის შესახებ, მაშინვე ავკრიფე მაგიდიდან დოკუმენტები, მეორე სართულის კიბეები ავირბინე და იმ უსაშველოდ გრძელ დერეფანში რომ შევუხვიე, დავინახე, გერინგი უკვე მიჰყავდათ დაკითხვაზე. იგი დოკუმენტურ ფილმებში იმდენჯერ მყავდა ნანახი, რომ პირველ შეხედვისთანავე ვიცანი. მართალია, ყოფილი რაიხსმარშალი უკვე გაძარცვული იყო ყოველგვარი „ჩინ-მედლებისაგან“, მაგრამ მისი იმპოზანტური ფიგურა მაინც ადვილად საცნობი იყო.

იქვე, დერეფანში შევესწარი ასეთ კურიოზულ სურათს. რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცი იატაკს ჰგვიდა. გერინგი რომ მიუახლოვდა, მაშინვე იცნეს, გრძელტარიანი ჯოხები შაშხანებივით მოიმარჯვეს, „ყარაულზე დადგნენ“ და ასე გაჭიმული მიესალმნენ თავიანთ ყოფილ რაიხსმარშალს. გერინგმა შეხედა მათ, ხელი ჩაიქნია და ჩაიარა.

ეს, ალბათ, უკანასკნელი „აღლუმი“ იყო, რომელიც მან მიიღო...

...დაკითხვის პატარა ოთახში უკვე ყველაფერი გამზადებული ჰქონდათ. აქ იყვნენ გამომძიებელი, მისი მთარგმნელი და სტენოგრაფისტი ქალი. ამ შემოხვევაში მე უკვე მეხუთე კი არა, მეოთხე ბორბლის როლს ვასრულებდი, რადგან ადრე გერინგისათვის გამზადებული კითხვარების შედგენასა და დოკუმენტების შერჩევაში ვმონაწილეობდი. წესი ასეთი იყო: კითხვები წინასწარ დგებოდა. ამასთან, არც ერთი ისეთი კითხვა არ იყო დასმული, უარყოფითი პასუხის შემთხვევა-

ში დანაშაულის დამადასტურებელი დოკუმენტი რომ არ გვქონოდა. თუ დამნაშავე უარყოფდა წაყენებულ ბრალდებას, წინ მამხილებელი დოკუმენტების ასლებს ან, საჭიროების შემთხვევაში, ორიგინალებს დავუდებდით ხოლმე.

ეს უსიამოვნება გერინგსაც არ ასცდა. მას იმდენი მამხილებელი დოკუმენტი წარვუდგინეთ, რომ დაიბნა. როცა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დანაშაულზე დაკითხავდნენ, ქედმაღლურ პოზას არ ეშვებოდა, მაგრამ, როგორც კი მისი პიროვნების შეურაცხმყოფელ „წვრილმან ფაქტებს" შეეხებოდნენ, ნერვიულობდა, ბრაზობდა. კითხვებზე უკმეხ პასუხებს იძლეოდა, მაგრამ ამით თავის ნამდვილ სახეს მაინც ვერ მალავდა. ჯერ გამომძიებელმა, ხოლო შემდეგ ბრალმდებლებმა, გერინგი ისე გააშიშვლეს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე, რომ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის არც ერთი კუნჭული არ დარჩათ გაუშუქებელი. ტრიბუნალის მასალების მიხედვით, იგი, ერთ დროს, შედარებით ნორმალური ადამიანი იყო, კარგი მფრინავი და მეოჯახე. როგორც ამბობდნენ, არც მისი პოპულარობის დასაწყისი იყო უსაფუძვლო. მერე ნაცისტურ მოძრაობაში ჩაება, გახდა მისი ერთადერთი მეთაური და ჰიტლერის შემდეგ მეორე კაცი იმპერიაში. აქედან დაიწყო გერინგის გადაგვარება. ვერ იქნა და ვერ გაძღა მისი ხარბი ბუნება. ის, ალბათ, ყველაზე მდიდარი კაცი იყო გერმანიაში, ყველაზე მსუქანიც, ისე მსუქანი, რომ ჯეკსონმა იგი წარმოადგინა, როგორც „ხორცისა და ძვლების უფორმო მასა, რომელსაც, ბუნების შეცდომით, ადამიანი ეწოდა"...

... გერინგი არა მარტო სიმდიდრეს, არამედ თანამდებობებს, ტიტულებსა და ორდენებს იყო დახარბებული. ყველა მისი თანამდებობა რომ ჩამოთვალოს კაცმა, დიდი დრო უნდა დაკარგოს. ან მის სასახლეებსა და რეზიდენციებს ვინ ჩამოთვლის. იგი მხატვრული შედევრების ყველაზე დიდ კოლექციონერად ითვლებოდა. ამასთან, დიდძალი მამულებისა და ტყეების მფლობელი იყო. კაიზერის ყოფილი ნაკრძალი მან მიისაკუთრა. პოლონეთსა და უკრაინაში ახალ მა-

მულებს უთვალთვალებდა და სოხუმის რაიონში რა ჯიშის თამბაქო დაეთესა, იმაზეც ფიქრობდა. იგი იყო მეთაური კონცერნისა „ჰერმან გერინგი“, მასვე ეკუთვნოდა 117 ქარხანა, 69 სამთო-სამრეწველო და მეტალურგიული წარმოება, 156 სავაჭრო კომპანია, 46 სატრანსპორტო და 15 სააღმშენებლო ფირმა. ბოლოს ისე გალაღდა, რომ ოქროს აბაზანებს იშენებდა და კარ-ფანჯრებსაც ოქროს სახელურებს უკეთებდა...

... მონსდორფელი ცნობისმოყვარენიც ამიტომ იყვნენ ასე ძლიერ დაინტერესებული გერინგის სიმდიდრით. ცნობილია მაშინდელი დაკითხვების რამდენიმე ოქმი.

კ ი თ ხ ვ ა: ვინ განაგებდა თქვენს ფინანსებს?

პ ა ს უ ხ ი: ჩემი მდივანი და მე.

კ ი თ ხ ვ ა: ვინ სწევდა თქვენი სასახლის — „კარინჰოლის“ ხარჯებს?

პ ა ს უ ხ ი: ავიაციისა და სახელმწიფო სამინისტრო.

კ ი თ ხ ვ ა: როგორ იხდიდით სურათების საფასურს?

პ ა ს უ ხ ი: ყოველთვის ნაღდი ანგარიშით.

კ ი თ ხ ვ ა: საიდან იღებდით ამდენ ფულს?

პ ა ს უ ხ ი: მე ვიყავი მეორე კაცი სახელმწიფოში და ფული ყოველთვის ბევრი მქონდა. მე თვითონ ვაწერდი ხელს დაფინანსების დოკუმენტებს.

კ ი თ ხ ვ ა: ასევე იღებდით უცხოურ ვალუტას?

პ ა ს უ ხ ი: დიახ, მე თვითონ ვიყავი სათანადო ნებართვის უმაღლესი ფორუმი.

კ ი თ ხ ვ ა: საჭირო იყო რამე პროცედურა, თუ...

პ ა ს უ ხ ი: საერთოდ, საჭირო იყო ნებართვა, რაც პირადად მე არ მეხებოდა... ჩემს ადიუტანტს ყოველ 3—4 დღეში გამოჰქონდა ბანკიდან იმდენი ფული, რამდენიც საჭირო იყო...

საერთოდ კი, ვინ რას გაიგებდა, საიდან რა შემოსავალი ჰქონდა მსოფლიოში ამ, მართლაც, უმდიდრეს ბობოლას.

მე წავიკითხე გერინგის ქორწილის ცერემონიალის აღწერა. მისი პირველი ცოლი ქმარგაყრილი შვედი ქალი იყო, კა-

რინი. იგი გარდაიცვალა და შვეიცარიაში დაასაფლავეს. როცა გერმანელი ნაცისტების საქმეებმა აღშფოთება გამოიწვია შვეიცარიაში, გერინგი იძულებული გახდა, თავისი მეუღლის ნეშტი გერმანიაში გადმოესვენებინა. აქ მან მარმარილოთი მოპირკეთებული და ოქროთი მოვარაყებული აკლდამა ააგო. იქვე ააშენა სასახლე, რომელსაც „კარინჰოლი“ უწოდა. შემდეგ უკვე გერმანელ, მაგრამ ისევე ქმარგაყრილ ემი ზონენმანზე იქორწინა და ეს ცერემონიალიც შემოსავლის წყაროდ გაიხადა. უამრავი სტუმარი იყო მოწვეული. სადარბაზო ბარათის მისაღებად მნიშვნელოვანი თანხა უნდა გადაეხადათ. საჩუქრების შესარჩევადაც სპეციალური კომისია იყო დანიშნული. კომისიის წევრები წინასწარ არჩევდნენ ნივთებს და, თუ არ მოეწონებოდათ, გაწბილებულ „თაყვანისმცემლებს“ უკანვე უბრუნებდნენ და ურჩევდნენ, სხვა, უფრო „შესაფერისი“ რამე მოეტანათ.

გერმანია აივსო გერინგის ამგვარი სიხარბის შესახებ გამოთქმული ანეგდოტებით. ბრალდებულებიც დასცინოდნენ „იმ სქელი ჰერმანის“ გაუმაძღრობას. ამიტომაც ბრაზობდა, როცა გამომძიებლები არკვევდნენ, თუ რა საშუალებით დააგროვა მან ეს ზღაპრული სიმდიდრე. თან იმდენი მამხილებელი დოკუმენტები დაუდეს წინ, რომ გასაქანი არ მისცეს მის ვრცელ ახსნა-განმარტებას. იგი, ცხადია, ნანობდა, ეს დოკუმენტები რომ თავის დროზე არ მოსპო, მაგრამ უკვე გვიან იყო. ათასი ფუთი ბრალდება სულ უფრო და უფრო მძიმედ აწვებოდა მის მხრებს...

...დაკითხვის ერთგვარი „გამოცდილება“ გერინგს ჯერ კიდევ ლაიფციგის პროცესზე ჰქონდა მიღებული. მაგრამ იქ მოწმე იყო, აქ—ბრალდებული. მაშინ უდიდესი ძალაუფლებით მოსილი გერინგი უფრო ბრალმდებელს ჰგავდა, ვიდრე მოწმეს. საზოგადოების წინაშე თავის მოსაწონებლად მან სპეციალური მუნდირიც კი შეიკერა იმ დღისათვის. ახლა კი სულ სხვა სიტუაციაში მოხვდა. ორი მცველის თანხლებით იგი მძიმე ნაბიჯებით შემოვიდა. ქედმაღლურად მოგვესალმა, მითითებულ სკამზე დაჯდა და, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ამაყი გა-

მომეტყველება მიიღო. დასმულ კითხვებზეც უკმეხ პასუხებს იძლეოდა, რადგან მიაჩნდა, რომ მხოლოდ ისტორიის წინაშე იყო პასუხისმგებელი. აკი თქვა კიდეც, დატყვევებული ნაპოლეონი უდიდეს ადამიანად დარჩა ისტორიაში, ხოლო მისი გამომძიებლისა და მოსამართლეების ვინაობა კაციშვილს არ ახსოვსო... ესეც ისეთი უადგილო ილუზია იყო, რომ ციხის ექიმები მას მორფინის გავლენას მიაწერდნენ. ისიც შესაძლებელია, რომ ჯერაც არ ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რა მძიმე ბრალდებებს წაუყენებდნენ, არა როგორც „ისტორიულ პიროვნებას“, არამედ სისხლის სამართლის დამნაშავეს. ამასთან შეგუება კი მართლაც ძნელი იყო.

ერთია სახელმწიფო, დიპლომატიური თუ ფილოსოფიური საკითხების განსჯა, რასაც გერინგი, რიბენტროპი ან როზენბერგი მოელოდნენ, ხოლო მეორე — დანაშაულებანი, რაც სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯება შეიძლება ამიტომაც იყო, რომ ნიურნბერგელი პატიმრები დიდხანს ვერ გაერკვნენ, რატომ ექცეოდნენ მათ ციხეში არა როგორც სამხედრო ტყვეებს, არამედ როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებს. მე მგონი, ვიდრე საბრალდებო აქტი გამოქვეყნდებოდა, ეს ვერც დასავლეთის პრესამ გაიგო. აქა-იქ პროტესტის ხმაც გაისმა, როგორ შეიძლება ასეთ „გამოჩენილ პიროვნებებს“ ისევე მოექცნენ, როგორც ქურდებსა და მკვლელებსო. არ მოსწონდათ, ამერიკელები ყოფილ რაიხსმარშალს, ფელდმარშლებს, გენერლებსა თუ მინისტრებს ხელში ცოცხსა და ჩვრებს რომ აძლევდნენ თავიანთი საკნის იატაკისა და საპირფარეშოების დასასუფთავებლად. არც ჩვეულებრივი პატიმრის კვების რაციონი მიაჩნდათ საკადრისად „ესოდენ დიდ პიროვნებათათვის“. ფრიჩე წერს, თითქმის ვშიმშილობდითო. არც ასე იყო საქმე, მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ, გერინგი, რომლისთვისაც სპეციალური კვლევითი ინსტიტუტი ადგენდა მენიუს, როგორ შეეგუებოდა რიგითი პატიმრებისათვის დადგენილ ულუფას. ან ფრანკი რა ხასიათზე იქნებოდა, ცოლისგან წერილი რომ მიიღო, ბავშვებს ქუჩაში ვგზავნი სამათხოვ-

როდო... მართალია, ენდრიუსი გულმოდგინედ განუმარტავდა მათ, აქ კანონის არავითარი დარღვევა არ არის და ყველაფერი ისე ხდება, როგორც საჭიროაო, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი ნუგეში იყო ბრალდებულთათვის.

წინასწარმა დაკითხვებმა კი ბოლოს ისინიც მიახვედრა, თუ „რატომ ხდებოდა ასე". ამან ძველი ილუზიები თანდათან გააქრო და „კაპრალი" გერინგი შეუდგა თავისი „ოცეულის" სათანადო მომზადებას...

—დასმულ კითხვებზე პირდაპირ პასუხს ნუ გასცემთ. როცა მამხილებელ საბუთებს წარმოგიდგენენ, თარგმანზე დაუწყეთ დავა ან სხვა რამ მოიგონეთ,— ურჩევდა იგი თავის კოლეგებს, მაგრამ ამაოდ. რიბენტროპი ოფლში გაღვრილი რომ დაბრუნდა წინასწარი დაკითხვიდან, ისევ ძველებურად წამოიძახა:

— იმათ იმდენი დოკუმენტები აქვთ... უჰ, რამდენი დოკუმენტები!..

... ყველა ბრალდებულმა გაიარა ეს „წინასწარი დაკითხვები", ისიც, არა ერთხელ, არამედ მრავალჯერ. დაკითხვას აწარმოებდნენ საბჭოთა, ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი გამომძიებლები. მიუხედავად მათი მუშაობის სათანადო კოორდინაციისა, ზოგჯერ განმეორებების თავიდან აცდენა ვერ ხერხდებოდა და ბრალდებულები ბრაზდებოდნენ, ერთი და იმავე კითხვაზე რამდენჯერ უნდა გაგცეთ პასუხიო.

— რამდენჯერაც საჭირო იქნებაო, — „ამშვიდებდნენ" მათ..

ᲐᲠᲘᲐᲓᲜᲐᲡ ᲫᲐᲤᲘ...

ჩემს განსაკუთრებულ ინტერესს რიბენტროპის დაკითხვა იწვევდა, რადგან ნიურნბერგში მივლინების ერთ-ერთი მიზანი სწორედ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტების გაცნობა იყო.

ის, რაც კასელში ვერ აღმოვაჩინე, აქ ვნახე: სამინისტროს მნიშვნელოვანი დოკუმენტებიცა და მინისტრის —იოახიმ ფონ

რიბენტროპის ე. წ. „პირადი არქივი“. მე ჯერ დოკუმენტებს ჩავუჯექი, მერე კი თვითონ რიბენტროპის დაკითხვას დავესწარი.

მოგეხსენებათ, იგი ჯერ ნაცისტურ პარტიაში განაგებდა საგარეო საქმეებს, მერე ელჩად იყო ლონდონში, ბოლოს კი, 1938 წლის თებერვალს, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ნოირატი შეცვალა. რიბენტროპი დიპლომატიურად ამზადებდა ჰიტლერულ აგრესიას, თუმცა, დაკითხვის დროს არ სიამოვნებდა ამ სიტყვის გაგონება. საერთოდ, თავი ჯენტლმენად მოჰქონდა და „ვერ იტანდა“ ისეთ უხეშ გამოთქმებს, როგორიცაა: „აგრესია“, „დაძალება“, „თავდასხმა“, „ანექსია“ და სხვ. მისთვის რომ გეკითხათ, არც ავსტრიისათვის დაუძალებიათ გერმანიასთან შეერთება.

ამიტომ იყო, რომ დაკითხვის დროს ბრალდებულსა და გამომძიებელს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

—ხომ არ გახსოვთ, როგორ ელაპარაკეთ ჰიტლერის დავალებით ავსტრიის კანცლერს — შუშნიგს ანექსიის შესახებ?

— დიახ, მე ვაცნობე ფიურერის წინადადება ამის თაობაზე.

— ძალადობას არ ჰქონია ადგილი?

— არა!

— არც მუქარას?

— არა!

რიბენტროპს უჩვენებენ დოკუმენტს, სადაც ჩაწერილია ეს საუბარი, იგი ამბობს:

—ან თქვენ მიიღებთ ჩვენს წინადადებას გერმანიასთან შეერთების შესახებ, ან ჩვენი ჯარები შევლენ ავსტრიაში...

— ეს დამუქრება არ არის? — ეკითხებიან რიბენტროპს.

— არა, ეს არჩევანის უფლებაა, — ამბობს იგი.

ასეთივე საუბარი ჰქონდა მას ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ხაჰასთან: ან მიიღებთ ჩვენს წინადადებას, ან დავბომბავთ პრაღას. ამაზედაც ეკითხებიან:

— ეს არ არის დაძალება?

— არა!

— მაშ, რა არის?

— ეს ომია!..

წინასწარ დაკითხვაზე ამან ღიმილი გამოიწვია, შემდეგ. პროცესზე კი სიცილი.

რიბენტროპი ურჩევდა ჰიტლერს, ინგლისთან გარეგნულად კარგი ურთიერთობა ვიქონიოთ, ფარულად კი მის წინააღმდეგ კოალიცია მოვამზადოთო.

—ასეთი რჩევა არ მიგიციათ? —ჰკითხეს მას.

— არა, — უპასუხებს იგი ჩვეულებრივად.

წინ მის მიერვე ხელმოწერილი დოკუმენტი დადეს, სადაც ასეთ რჩევას აძლევს „თავის ფიურერს“.

რიბენტროპი ნელ-ნელა სწევს ქუთუთოებს, გულმოდგინედ სინჯავს დოკუმენტებს და დუმს.

შემდეგ საუბარი „დიდი ომის“ დასაწყისს შეეხო. რიბენტროპი ამბობს, რომ მას არასოდეს არ გაუგონია, თუ ომი მზადდებოდა პოლონეთის წინააღმდეგ, მხოლოდ დანციგის და „კორიდორის“ საკითხი იდგაო.

—არ იცოდით, ომი რომ მზადდებოდა პოლონეთის წინააღმდეგ?

— არა, არ ვიცოდი, — ამბობს იგი.

— არც გქონიათ ამის შესახებ ვინმესთან საუბარი?

— არა!

— არც იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიანოსთან?

— არა! — იმეორებს იგი.

— აბა, გაიხსენეთ ზალცბურგში თქვენი შეხვედრა და საუბარი.

—არ მახსოვს!

მაშინ იყო, რიბენტროპს რომ წინ ჩიანოს დღიურები დაუდეს, სადაც ეწერა:

— ზალცბურგში რიბენტროპს ვკითხე, რა სურს გერმანიას, დანციგი თუ პოლონეთის კორიდორი? ჩვენ გვსურს ომი, — მიპასუხა მან.

რიბენტროპი მაინც „ვერ ივონებს“ ამ საუბარს. მას, მართლაც, „უცნაური“ ჩვეულება აქვს. როგორც ჩანს, მეხსიერე-

ბის ქალღმერთი მნემოზინაც სწყალობს. როცა საკითხი ვერსალის ზავს ეხება, ყველაფერი ახსოვს, ყოველი პუნქტი ამ ხელშეკრულებისა: სამაგიეროდ, „არ ახსოვს“ ავსტრიის კანცლერი შუშნინგი რომ 7 წელიწადს საკონცენტრაციო ბანაკში ჰყავდათ; არც ის, ავსტრიასა და ჩეხოსლოვაკიას ულტიმატუმი რომ წაუყენეს; ევროპის შუაგულში გერმანიამ ორი სახელმწიფო მოსპო, საგარეო საქმეთა მინისტრს კი ამის შესახებ არაფერი ახსოვს. ეკითხებიან:

— მილიონობით ხალხი რომ გაჟლიტეს საკონცენტრაციო ბანაკებში, თქვენ ამის შესახებ არაფერი იცოდით?

— არაფერი!

— არც საკონცენტრაციო ბანაკებზე გაგიგონიათ რამე?

— არა, ეს ჰიმლერის უწყებაში შედიოდა.

— არც ის იცით, რა საკონცენტრაციო ბანაკები არსებობდა?

— ვიცი მხოლოდ ორი: დაჰაუ და ორანიენბურგი.

— მაუთჰაუზენი თუ გაგიგონიათ?

— მხოლოდ აქ, პატიმრობაში.

— მანამდე?

— მანამდე არა.

რიბენტროპს სპეციალურად გადიდებული რუქა დაუდეს. რუქაზე აღნიშნული იყო მისი სასახლე ფუშლში. იქვე „ცხვირწინ“ კი „მაუთჰაუზენია“, სადაც 78 ბანაკი იყო და მილიონობით ხალხი გაჟლიტეს. დღე და ღამ ბოლავდა აქ კრემატორიუმი და გარშემო შემზარავ სუნს აყენებდა. როცა რიბენტროპი თავის სასახლეში მიდიოდა ავტომობილით, სწორედ მაუთჰაუზენთან უნდა გაევლო.

„არ ვიცი“, „არ გამიგონია“, „არ მინახავს“, მაინც ჯიუტად ამბობს იგი და სულ იმაზე მიუთითებს, რომ დიპლომატიასა და „ასეთ საქმეებს“ ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს. მაშინ მას მოაგონეს, რომ გარდა დიპლომატობისა, იგი ესესის გენერალიც იყო.

— ეს მხოლოდ საპატიო წოდებაა. ამ წოდებას მე ვატარებდი როგორც ელჩი და მინისტრი, — ცრუობს იგი, მაგრამ

არ გაუდის. ათასი ფუთი ბრალდება აქაც ზუსტად მოქმედებს და დოკუმენტების მიხედვით გაახსენეს: ესესის გენერლის წოდება მას ელჩობისა და მინისტრობისათვის არ მიუღია. მან ჯერ კიდევ 1933 წლის მაისში შეიტანა განცხადება ესესში მიღებაზე. მიიღეს და შტანდარტენფიუერერის დაბალი წოდება მიაკუთვნეს. 1935 წლის 20 აპრილს იგი ობერფიუერერი გახდა, 1936 წელს — ბრიგადენფიუერერი, იმავე წელს — გრუპენფიუერერი, 1940 წელს — ობერგრუპენფიუერერი...

რიბენტროპი კი „იგონებს" ამას, მაგრამ უარყოფს, რამე კავშირი თუ ჰქონდა ესესელთა სისასტიკესთან. ასე რომ ყოფილიყო, ცხადია, არც მკაცრად დაისჯებოდა. განა ტრიბუნალს არ ესმოდა, რომ დიპლომატი თავისი სახელმწიფოს სამსახურშია და მის პოლიტიკას ასრულებს? რა თქმა უნდა, მაგრამ რიბენტროპს სხვა ცოდვაც ბევრი ჰქონდა ჩადენილი. დაკითხვის მონაწილენი იძულებულნი არიან მოაგონონ, რომ სისასტიკე არც მას აკლდა. ეს მან მოითხოვა, რომ მოკავშირეთა მფრინავები ხელში ჩაგდებისათანავე დაეხვრიტათ. თვით სამხედრო ჯალათებიც კი აფრთხილებდნენ, რომ ასეთი განკარგულების გაცემა არ შეიძლება, მაგრამ მან არა მარტო გაიტანა თავისი, არამედ ვიზა მისცა ბრძანებას უცხოელი მფრინავების „ლინჩის წესით" გასამართლების შესახებ. წინ მას სათანადო დოკუმენტებსაც უდებენ, მაგრამ იგი მაინც მეხსიერებას უჩივის:

—არ მახსოვს, არ მაგონდება.

ასე გასინჯეთ, რიბენტროპმა, თურმე, „ისიც არ იცოდა", რომ ებრაელების ტოტალური გაჟლეტა მიმდინარეობდა. თავი ისე უნდოდა მოეჩვენებინა, რომ ეს მას არ ეხებოდა. სინამდვილეში კი იგი ხელმძღვანელობდა ებრაელთა დეპორტაციას ევროპის ქვეყნებიდან. აი, მის წინ აწყობენ დოკუმენტებს.

რიბენტროპი ამბობს:

— ყველამ უნდა გაიგოს, რომ ეს ჯენტლმენების ომი კი არ არის, არამედ — ომი მოსპობაზე...

იგი მოითხოვს ევროპის ტოტალურ გაწმენდას ებრაელებისაგან, გზავნის მემორანდუმებს, იმუქრება, აძალებს „ოპერაციების დაჩქარებას", გერმანიის სატელიტებიც შეძრწუნებუ-

ლი არიან ამით. რიბენტროპს წინ უდებენ მუსოლინთან მისი საუბრის ოქმს, სადაც იგი განმარტავს გერმანიის „რადიკალურ პოლიტიკას“ ებრაელებისადმი. „მართალია, ეს მკაცრი კანონია, მაგრამ აუცილებელი“, — ამბობს იგი.

მუსოლინი ამის წინააღმდეგი როდი იყო, მაგრამ რიბენტროპი რომელიღაც იტალიელ სარდალს აბეზღებდა, ბრძანება გასცა, ჩემს ზონაში ებრაელების რეპრესია არ ჩატარდესო. მუსოლინი შეჰპირდა, „ამ ინციდენტის“ მოგვარებას...

შემდეგ უნგრეთის რეგენტ ჰორტისთან საუბარი შეახსენეს. ესეც სათანადო დოკუმენტით, ცხადია. რიბენტროპი მოითხოვდა ებრაელების საკითხის „დაუყოვნებლივ გადაწყვეტას“. ამან ჰორტიც კი გააოცა და უთხრა:

— კი მაგრამ, რა ვქნათ, ერთბაშად ხომ არ დავხოცავთ ყველა ებრაელს?

რიბენტროპი უხსნის, „რა უნდა ქნას“ და საუბარს ათავებს სიტყვებით:

— ასე სურს ფიურერს!

მაგრამ საქმე მხოლოდ ებრაელებს როდი ეხებოდა. ჰიტლერელები სპობდნენ ყველას, ვინც მოწინააღმდეგედ მიაჩნდათ: ფრანგებს, ბელგიელებს, დანიელებს... რიბენტროპი აქაც დიდ აქტიურობას იჩენდა. უცხოეთი და უცხოელები მის კომპეტენციაში შედიოდა. ამიტომაც ერეოდა ასე აქტიურად ამ, არცთუ ისე დიპლომატიურ საქმეებში. როგორც ესესის გენერალს, არც ცინიკური სისასტიკე აკლდა, მაგრამ, ცხადია, ამას დიპლომატისათვის შესაფერის „კონფიდენციალურ ფორმებში“ ავლენდა.

პროცესზეც გულმოდგინედ მალავდა თვალებს: ძირს დაშვებული ქუთუთოებით ან უზარმაზარი შავი სათვალეთი. აბა, რა უნდა ექნა, როცა დიპლომატიურ საქმეებში კი არ სდებდნენ ბრალს, არამედ მკვლელობაში, სისასტიკეში, არაადამიანურ ცინიზმში პროცესზე რომ იმ მამხილებელი დოკუმენტებით მის ბრწყინვალე დიპლომატიურ მუნდირს სარჩული გადმოუბრუნეს, სისხლით მოსვრილი აღმოჩნდა...

... აი, რიბენტროპი ისევ შემოჰყავთ [illegible] ოთახში. იგი ძველებურად „ებრძვის“ თავის შესუსტ[illegible] ბუნდოვნად ახსოვს, რომ ესაუბრა იაპონიის საგარეო [illegible] მინისტრს მაცუოკას და მის ბერლინელ ელჩს ოშიმას, მაგრამ რაზე „არ აგონდება“.

— ხომ არ მოგითხოვიათ მათგან, იაპონელებიც ჩაბმულიყვნენ ომში?

— არა. — გაზეპირებული აქვს მას პასუხი.

— განა ამაზე არ გქონიათ ლაპარაკი?

— არა, არ მახსოვს!

ეს შეხვედრა რიბენტროპს 1941 წლის გაზაფხულზე ჰქონია, როცა „ბარბაროსას“ გეგმა მუშავდებოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ ენიჭებოდა ამ საკითხების გარკვევას დიდი მნიშვნელობა. ეს რიბენტროპმაც იცოდა და განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდა საუბარი ისეთ ლაბირინთებში შეეყვანა, რომ იქიდან გამოსასვლელი ვერავის ეპოვა. გამომძიებლები კი ისევ იმ ათასი ფუთი ბრალდების არიადნას ძაფს მივყვებოდით და თავისუფლად დავსეირნობდით ამ ლაბირინთებში. როცა რიბენტროპმა სულ დაიბნელა მეხსიერება და „დაივიწყა“ ყველაფერი, რაც ამ საუბრებს შეეხებოდა, დაკითხვის ოთახში მაგნიტოფონი შემოიტანეს და დადეს ფირი, რომელზეც რიბენტროპს ჩაუწერია ის საუბრები. იჯდა „გულმავიწყი“ ბრალდებული რიბენტროპი და უსმენდა მინისტრ რიბენტროპის სიტყვებს; ჩვენც მასთან ერთად ვისმენდით და, აბა, რომლისთვის დაგვეჯერებინა — იმ რიბენტროპისათვის, რომელიც ამას ამბობდა, თუ იმისთვის, რომელიც გვარწმუნებდა, არ მითქვამსო. თუმცა, არჩევანი არცთუ ისე ძნელი იყო. გარდა ამისა, რიბენტროპს წინ დაუდეს 1941 წლის 23 თებერვლის ოქმი, იმავე ოშიმასთან საუბრის დროს ჩაწერილი, სადაც უფრო დაბეჯითებით მოითხოვს იაპონიის „დროულად ჩაბმას“ ომში, რაც მას „ფაქტიურად უკვე მოგებულად“ მიაჩნია. რიბენტროპმა ოშიმას მუხლობრივად ჩამოუყალიბა, თუ რა სარგებლობას ნახავდა ამით იაპონია. „გახსენით ცეცხლი და, თქვენ გააერთიანებთ ერს“, — უთხრა მან ელჩს. გათამამებულ მინისტრს არც ის მიაჩნდა „სახიფათოდ“

რომ იაპონიის ეს ნაბიჯი გამოიწვევდა ამერიკის დაუყოვნებლივ გამოსვლას მოკავშირეთა მხარეზე.

როგორც ჩანს, ამგვარი „გლობალური ომი“ მას გერმანელთა „მსოფლიო იმპერიის“ შექმნის აუცილებელ პირობად მიაჩნდა. მართალია, რიბენტროპი უარყოფდა „მსოფლიო იმპერიის“ იდეის არსებობას, მაგრამ მას ჰიტლერის სიტყვები შეახსენეს:

— მთელი ნაციონალ-სოციალიზმი გახვრეტილ გროშად არ ეღირება, თუ იგი შემოიფარგლება მხოლოდ გერმანიით და, სულ მცირე, ორი-სამი ათასი წლით არ უზრუნველყოფს უმაღლესი რასის ბატონობას მთელ მსოფლიოში...

პასუხის ნაცვლად რიბენტროპმა ქუთუთოს ხელი უშვა და თავი ძირს დახარა...

... საგარეო საქმეთა მინისტრისათვის არც ის იყო საჩოთირო, ხელოვნების ძეგლების ძარცვაში რომ დასდეს ბრალი. იგი ხომ ვერც ამას უარყოფდა, რადგან სწორედ მის უწყებასთან იყო შექმნილი სპეციალური ბატალიონი — Einsatzgruppe, რომელსაც დავალებული ჰქონდა, დაპყრობილ ქვეყნებში ეძარცვა მუზეუმები, სამხატვრო გალერეები და ყველაფერი გერმანიაში გაეგზავნა. ჰიტლერი, გერინგი და რიბენტროპი მოურიდებლად ამდიდრებდნენ საკუთარ კოლექციებს მსოფლიოს გამოჩენილი მხატვრების შედევრებით. ამ საქმეს კი უშუალოდ რიბენტროპი ხელმძღვანელობდა. მის მიერ ნაძარცვი ძეგლების ფასი ასტრონომიულ ციფრებშიც კი ვერ გამოიხატა...

აი, ამიტომ იკეთებდა იგი შავ სათვალეს პროცესზე, თორემ დარბაზი ისე მსუბუქად იყო განათებული, თვალს სიმართლის მეტი არაფერი სჭრიდა...

დამოკლეს მახვილი...

მართალია, მთავარი სამხედრო დამნაშავეების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი ისედაც ფართოდ იყო ცნობილი, მაგრამ საბრალდებო აქტის გამოქვეყნებამ მაინც შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. რამდენადაც ძნელი არ უნდა

ყოფილიყო იმ ათასი ფუთი ბრალდების ერთ 49-გვერდიან დოკუმენტში ჩატევა, ეს აქტი მაინც სრულიად ნათელ წარმოდგენას იძლეოდა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებათა მასშტაბებზე. თუ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებაში ბრალდების მთავარი არსი სამ ძირითად პარაგრაფში იყო ჩამოყალიბებული, აქ უკვე ოთხი გაჩნდა:

1. საერთო გეგმა ანუ შეთქმულება;
2. დანაშაულებანი მშვიდობის წინააღმდეგ;
3. სამხედრო დანაშაულებანი;
4. დანაშაულებანი ადამიანურობის მიმართ.

თითოეულ მთავარ სამხედრო დამნაშავეს ამ ოთხიდან ბრალი ედებოდა ერთი ან რამდენიმე პარაგრაფის მიხედვით, ზოგიერთ მათგანს კი ოთხივეში ერთად. საბრალდებო აქტის განმარტებით, საერთოდ ყველა ბრალდებული იყო ხელმძღვანელი, ორგანიზატორი, წამქეზებელი თუ თანამონაწილე იმ საერთო გეგმის მომზადებასა და განხორციელებაში, რაც საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებით აღიარებულ იქნა, როგორც დანაშაულებრივი მოქმედება. ამ დოკუმენტში ნაციონალ-სოციალისტური პარტია გამოცხადდა საერთო გეგმის, ანუ შეთქმულების ცენტრად, ჩამოყალიბდა ნაციონალ-სოციალისტების საერთო მიზნები, რაც უნდა განხორციელებულიყო ყოველგვარი კანონიერი თუ უკანონო საშუალებით, დამუქრებითა და ძალის გამოყენებით:

1. ვერსალის ხელშეკრულების უარყოფა და მოსპობა;
2. იმ ტერიტორიების დაბრუნება, რაც გერმანიამ დაკარგა პირველი მსოფლიო ომის დროს;
3. ახალი ტერიტორიების დაპყრობა-როგორც ევროპის ფარგლებში, ისე მის გარეთ.

ისიც აღინიშნა, რომ ეს მოთხოვნები სტატიკური კი არ იყო, არამედ პროგრესულად ვითარდებოდა დროთა განმავლობაში.

ჰიტლერელების აგრესიული პოლიტიკის „თეორიულ საფუძვლებზე“ ჩვენ ადრეც გვქონდა ლაპარაკი. საბრალდებო აქტში კი ასეა ნათქვამი: ნაცისტური დოქტრინების მიხედვით,

1. ე. წ. „გერმანული სისხლის“ ადამიანები წარმოადგენენ „უმაღლეს რასას“ და მოწოდებული არიან დაიპყრონ, დაიმორჩილონ და მოსპონ სხვა რასები და ხალხები;

2. გერმანელი ხალხის მმართველობის სისტემა ფიურერობის პრინციპზე უნდა იქნეს აგებული;

3. აღიარებულ იქნას, რომ ომი წარმოადგენს გერმანელი ხალხის აუცილებელსა და კეთილშობილურ მოვალეობას;

4. ნაცისტური პარტიის ლიდერები უფლებამოსილნი არიან, განსაზღვრონ გერმანული სახელმწიფოს პოლიტიკა, სტრუქტურა, პრაქტიკა და მოსპონ ყველა მოწინააღმდეგე.

ამან გამოიწვია გერმანული სახელმწიფოსა და გერმანელი ხალხის საქმიანობის ტოტალური კონტროლი, ყველა პარტიის აკრძალვა, გარდა ნაცისტურისა, თავისუფალი პროფკავშირებისა და პაციფისტური ორგანიზაციების დაშლა, ეკლესიის გავლენის ლიკვიდაცია, მთელი სახალხო მეურნეობის აგრესიული ომების მომზადებისადმი დამორჩილება.

ტრიბუნალის წესდების მიხედვით, ყველა ბრალდებულს დაეკისრა პ ე რ ს ო ნ ა ლ უ რ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ებ ლ ო ბ ა როგორც საერთო (კოლექტიური) დანაშაულის უშუალო მონაწილეს. მათვე, როგორც ხელმძღვანელებს, პასუხი უნდა ეგოთ იმათ დანაშაულზეც, ვინც ამ გეგმას ანხორციელებდა.

საბრალდებო აქტში ნათქვამია, რომ ნაცისტები ფარულად ამზადებდნენ აგრესიულ ომს, არღვევდნენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებსა და ვალდებულებებს, სჩადიოდნენ სამხედრო დანაშაულს, აწარმოებდნენ არაადამიანურ ომებს სახელმწიფოებისა და ხალხების წინააღმდეგ, არღვევდნენ ომის წარმოების წესებსა და ჩვეულებებს, მიმართავდნენ მკვლელობას, მხეცურ მოპყრობას, სამოქალაქო მოსახლეობის იძულებით, მონურ სამუშაოებზე გაგზავნას, სამხედრო ტყვეებისა და მძევლების დახვრეტას, ქალაქებისა და სოფლების არასამხედრო აუცილებლობით ნგრევას, პოლიტიკურ, რელიგიურ და რასობრივ დევნას.

ყოველივე ამის შედეგი კი თქვენ უკვე მოგეხსენებათ: 50

მილიონზე მეტი დაღუპული ადამიანი, მათ შორის 15 მილიონამდე საომარი ოპერაციების გარეშე, დანგრეული და გაპარტახებული სახელმწიფოები, საიდანაც გერმანიაში გაზიდულ იქნა 1.208. 247. 408.000 მარკის საქონელი და 21. 903 ხელოვნების ნაწარმოები, რომელთა საერთო ღირებულების განსაზღვრა და ციფრებში გამოხატვა შეუძლებლად იქნა მიჩნეული.

მარტო საბჭოთა კავშირიდან გატაცებულ იქნა 679 მილიარდი მანეთის საქონელი (ხელოვნების ნაწარმოებთა ღირებულების გარდა), ოკუპირებულ ტერიტორიებიდან გერმანიაში გაიგზავნა ხუთ მილიონზე მეტი უცხოელი მუშა, რომელთა უდიდესი ნაწილი დაიღუპა აუტანელი შრომითა და შიმშილით.

ნაცისტებმა ებრაული რასის მოსპობა თავიანთი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ნაწილად გამოაცხადეს და ევროპის ქვეყნებში მცხოვრები9.600.000 ებრაელიდან მოსპეს 5.700.000.

საბრალდებო აქტის განსაზღვრით, ჰიტლერელების ამგვარი მოქმედება წარმოადგენს მრავალი ქვეყნის, აგრეთვე გერმანიის, შინაგანი კანონების დარღვევას. ყოველივე ამის დამადასტურებელი ფაქტები და დოკუმენტები ისე ვაზნებივით ჰქონდა ბრალდების მხარეს ჩალაგებული, რომ ყოველ წუთს შეეძლო „ცეცხლის გახსნა“...

... 1945 წლის 18 ოქტომბერს საბრალდებო აქტის თითო ეგზემპლარი გადაეცა ჩვენ მიერ დატყვევებულ ბრალდებულებს —რედერსა და ფრიჩეს, რომელთაც ასეთი ხელწერილი ჩამოართვეს:

— მე (ამან და ამან) 1945 წლის 18 ოქტომბერს (ამა და ამ) საათზე ბერლინის დროით, მივიღე მთვარ ბრალმდებელთა კომიტეტის მიერ შედგენილი საბრალდებო აქტი, თავდაცვის უფლებების განმარტება, გერმანელი დამცველების სია და ტრიბუნალის რეგლამენტი გერმანულ ენაზე. აღნიშნული დოკუმენტები გადმომცა წითელი არმიის ოფიცერმა, რომელიც საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განკარგულებით მოქმედებდა. მან გერმანულ ენაზე ამიხსნა აღნიშნული დოკუმენტების შინაარსი და თავდაცვის უფლებები...

იმავე დღეს ამერიკელმა მაიორმა ნივმა, პოლკოვნიკ ენდრიუსის თანხლებით, ჩამოიარა დანარჩენი ბრალდებულების საკნები და ყველას გადასცა საბრალდებო აქტის თითო ეგზემპლარი. ამ ნივს ომის დროს გერმანული საკონცენტრაციო ბანაკების საშინელება გამოცდილი ჰქონდა; შემდეგ როგორღაც გაიქცა იმ ჯოჯოხეთიდან და ახლა დიდი სიამოვნებით ასრულებდა ამ ცერემონიალს. არც ენდრიუსი ჩანდა უკმაყოფილო თავისი მოვალეობით. როცა ისინი შევიდნენ გერინგის საკანში, ყოფილმა რაიხსმარშალმა გაიღიმა და ირონიულად-ხაზგასმული თავაზიანობით მიმართა მათ:

— ძალიან ვწუხვარ, ბატონებო, რომ არ შემიძლია სავარძელი შემოგთავაზოთ.

ნივმა ჯერ საბრალდებო აქტი გადასცა მას და ხელწერილი ჩამოართვა, მერე წინ ვექილების სია დაუდო დამცველის ამოსარჩევად.

ეს სია დიდი ვაი-ვაგლახით იყო შედგენილი. ზოგიერთი ბრალდებულის მიერ დასახელებული ვექილი თვითონ აღმოჩნდა ინტერნირებული, როგორც დამნაშავე. ზოგმა არ მოისურვა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა დამცველის როლში გამოსვლა. რამდენიმე დასახელებული ვექილის ადგილსამყოფელს საერთოდ ვერ მიაგნეს, მაგრამ საოკუპაციო ხელისუფალთა დახმარებით ბოლოს მაინც მოხერხდა ვექილების ისეთი სიის შედგენა, რაც ორივე მხარისთვის მისაღებიც იყო და მოსახერხებელიც. ყოველ შემთხვევაში, ტრიბუნალს ამ მხრივ დაცვის უფლებები სრულიადაც არ შეუზღუდავს. ის კი არა, დამცველთა შორის ექვსი ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ყოფილი წევრი იყო, მაგრამ ამაზეც „წაყრუება“ არჩიეს.

აღსანიშნავია, რომ ყველასათვის მოულოდნელად, რამდენიმე ინგლისელმა და ამერიკელმა ვექილმაც ისურვა ბრალდებულთა დაცვა, მაგრამ ტრიბუნალმა უარი უთხრა მათ, რადგან ზოგიერთს შეიძლება ეთქვა: დამცველებადაც თავიანთი ხალხი მიუჩინესო...

... მაიორმა ნივმა, ტრიბუნალის წესდების მიხედვით, ჰკითხა ბრალდებულებს, დამცველს აირჩევთ, თუ თვითონ დაიცავთ თავსო.

— მე არასოდეს არ მქონია საქმე ვექილებთან. ისე კი, მირჩევნია თვითონ დავიცვა თავი, რადგან ვერ წარმომიდგენია, გერმანელი ვექილი როგორ გაბედავს მოკავშირეთა ტრიბუნალის წინაშე ობიექტურ გამოსვლას,— მიუგო გერინგმა ნივს, რომელმაც ურჩია, უმჯობესია, დამცველი აიყვანოთო. გერინგი მაინც ყოყმანობდა:

—ჯერ ამ აქტს გავეცნობი, თორემ წარმოდგენა არა მაქვს, რა იურიდიული საფუძველი შეიძლება ჰქონდეს ჩემთვის ბრალდების წაყენებას.

— ამის შესახებ თქვენს ვექილს ელაპარაკეთ, — ცივად მეუგო ნივმა.

— ამ პროცესზე ვექილი უსარგებლოა, — გაჯიუტდა გერინგი, — საჭიროა კარგი მთარგმნელი. მე მინდა, საკუთარი მთარგმნელი მყავდეს.

— ეს ტრიბუნალს უნდა სთხოვოთ, — დაამთავრა მასთან საუბარი ნივმა...

...შემდეგ ჰესთან შევიდნენ. იქაც იგივე სცენა განმეორდა.

— შემიძლია ჩემით დავიცვა თავი? — იკითხა მან.

— დიახ, ტრიბუნალის წესდების მე-16 მუხლის თანახმად, თქვენ გაქვთ ამის უფლება, — მიუგო ნივმა.

როცა იგი საკნიდან გამოდიოდა, ჰესმა მიაძახა:

— გერინგთან და სხვა პარტიულ ამხანაგებთან გამასამართლებენ?

— დიახ.

— მე ხელს არ მაძლევს გერინგთან ერთად გასამართლება,—გაიხსენა ძველი შუღლი ჰესმა, მაგრამ ეს უკვე მასზე არ იყო დამოკიდებული.

არც ნივს უთქვამს რამე ამის თაობაზე. მან დაინახა, რომ

ჰესმა საბრალდებო აქტი კუთხეში მიაგდო, ნარზე გაიშოტა და ინგლისური რომანის კითხვა განაგრძო...

...თუ იცით, რატომ მაყენებენ სამსჯავროს წინაშე? — ჰკითხა დენიცმა მასთან შესულ ნივს.

— წაიკითხეთ ეს საბრალდებო აქტი და თვითონ მიხვდებით ამას, — მიუგო ნივმა...

მე მინდა, ახლავე ველაპარაკო ჩემს ვექილს, — უთხრა ფუნკმა ნივს და ტირილი დაიწყო. მერე აქტი გამოართვა და თქვა:

— ამ პროცესით მე ძალიან დაინტერესებული ვარ.

— თქვენ კი არა, ამით ახლა მთელი მსოფლიოა დაინტერესებული, — დაეთანხმა ნივი „იმ მტირალა ფუნკს“...

მე დამცველად მინდა ანტისემიტი ვექილი, — განაცხადა შტრაიხერმა, — ებრაელი მე არ დამიცავს. თქვენს მიერ შემოთავაზებულ სიაში კი ყველა გვარი ებრაულად ჟღერს. გავიგე, რომ რამდენიმე მოსამართლეც ებრაელია.

მერე ნივს შეხედა და დაუმატა:

— იმედი მაქვს, თქვენ მაინც არ ხართ ებრაელი და დამეხმარებით ვექილის ამორჩევაში...

... როზენბერგმა სულ გადარია მაიორი ნივი. მან თავის დამცველად ბრალდებული ფრანკი დაასახელა.

სხვებმა კიდევ სხვა რაღაც უცნაურობა თქვეს, ბოლოს კი ყველას დაენიშნა დამცველი: გერინგს—დოქტორი შტამერი, ჰესს — დოქტორი რორშაიდი, რიბენტროპს — დოქტორი ზაუტერი, კაიტელს — დოქტორი ნელტე, კალტენბრუნერს — დოქტორი კაუფმანი, როზენბერგს — დოქტორი თომა, ფრანკს — დოქტორი ზაიდლი, ფრიკს — დოქტორი პანენბეკერი, შტრაიხერს — მარკსი, ფუნკს — დოქტორი ზაუტერი, შახტს — დოქტორი დიქსი, დენიცს — დოქტორი კრანცენბიულერი, რედერს — ზიმერსი, შირახს — ფუნკის დამცველი ზაუტერი, ზაუკელს — დოქტორი სერვაციუსი, იოდლს —

ექსნერი, ბორმანს — დოქტორი ბერგოლდი, პაპენს — დოქ-ტორი კუბუშეკი, ზეის-ინკვარტს — დოქტორი შტაინბაუერი, შპეერს — დოქტორი ელუკნერი, ნოირატს—დოქტორი ფონ ლიუდინგჰაუზერი, ფრიჩეს — დოქტორი ფრიცი.

ამათ გარდა, პროცესზე დროდადრო გამოდიოდნენ დამ-ცველების თანაშემწეები, პროფესორები—კრაუსი და იარაისი.

დანაშაულებრივად გამოცხადებულ ორგანიზაციებს იცავ-დნენ: იმპერიის მთავრობას — დოქტორი კუბუშეკი, ნაციო-ნალ-სოციალისტურ პარტიას —დოქტორი სერვაციუსი, ესესსა და უშიშროების სამსახურს—ბაბელი, მოიერიშეთა რაზმებს— დოქტორი ბომი, გესტაპოს — დოქტორი მარკელი, გენერა-ლურ შტაბსა და უმაღლეს სარდლობას —დოქტორი ლეფლე-რი...

დაცვის დაცვა...

ამასობაში ჯილბერტმაც მოაგვარა თავისი საქმე. მან ყვე-ლა ბრალდებულის საკანში ჩამოატარა საბრალდებო აქტის სა-კუთარი ეგზემპლარი და სთხოვა მათ, ორიოდე სიტყვის მინა-წერით გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება ამ დოკუ-მენტთან. რედერის გარდა, ყველამ შეასრულა ჯილბერტის ეს თხოვნა და დააწერა:

გ ე რ ი ნ გ ი: გამარჯვებული ყოველთვის ბრალმდებელია, დამარცხებული კი ბრალდებული.

ჰ ე ს ი: არ მახსოვს.

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: ჩვენ მხოლოდ ჰიტლერის აჩრდილები ვიყავით.

კ ა ი ტ ე ლ ი: ჯარისკაცისათვის ბრძანება არის ბრძანება.

კ ა ლ ტ ე ნ ბ რ უ ნ ე რ ი: არ ვთვლი თავს დამნაშავედ რა-მე სამხედრო ბოროტმოქმედებაში. მე ვასრულებდი მხოლოდ ჩემს მოვალეობას, როგორც სადაზვერვო ორგანოს ხელმძღვა-ნელი. სამართლიანად არ მიმაჩნია, ვიყო აქ ჰიმლერის მაგივ-რად.

რ ო ზ ე ნ ბ ე რ გ ი: უარვყოფ შეთქმულებაში მონაწილეობას. ანტისემიტური მოძრაობა მხოლოდ თავდაცვის ღონისძიება იყო.

ფ რ ა ნ კ ი: მე ვუყურებ ამ პროცესს, როგორც მსოფლიო სამსჯავროს ღვთაებრივ ნებას, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ჰიტლერის საშიშ ეპოქას.

ფ რ ი კ ი: მთელი საბრალდებო აქტი ეყრდნობა ფიქტიურ ეჭვს შეთქმულებაზე.

ზ ა უ კ ე ლ ი: უფსკრულმა ჩემს სოციალური ერთიანობის იდეალსა და საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებათა შორის — ღრმად შემაძრწუნა.

შ ტ რ ა ი ხ ე რ ი: ეს პროცესი მსოფლიო ებრაელობის ტრიუმფია.

დ ე ნ ი ც ი: საბრალდებო აქტი მე არ მეხება. ეს ტიპიური ამერიკული ხუმრობაა.

ი ო დ ლ ი: ვწუხვარ, რომ საფუძვლიანი ბრალდება და პოლიტიკური პროპაგანდა ერთმანეთშია არეული.

შ ი რ ა ხ ი: შეძრწუნებული ვარ. მთელი ეს უბედურება გამოწვეულია რასობრივი პოლიტიკით.

შ პ ე ე რ ი: საჭიროდ მიმაჩნია ამგვარი პროცესის მოწყობა.

ფ რ ი ჩ ე: ეს ყველაზე საშინელი ბრალდებაა ისტორიის მთელ მანძილზე, მაგრამ უფრო საშინელი ის არის, რომ გერმანელ ხალხს ბრალი ედება თავისი იდეალიზმის გამო.

სხვებმა მიაწერეს, ეს ჩვენ არ გვეხებაო, და პილატესავით დაიბანეს ხელი...

... დამცველებს მეტად რთული და, უნდა ითქვას, არცთუ ისე სასახელო მისია ჰქონდათ დაკისრებული. ეს კარგად ესმოდა ტრიბუნალს და, შეძლებისამებრ, არც აკლებდა მორალურ მხარდაჭერას. ეს კი საჭირო იყო, რადგან მათ დასცინოდნენ, შეურაცხყოფდნენ და ზოგჯერ ემუქრებოდნენ კიდეც. და მერე, ვინ? თვითონ გერმანელები! ვექილებს არ შეეძლოთ სხდომის შემდეგ თავისუფლად დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ბინებში.

რამდენიმე არასასიამოვნო ექსცესსაც ჰქონდა ქუჩაში ადგილი ამის გამო, დამცველებმა ითხოვეს, დაცვის საგარანტიო სიგელები მიეცათ მათთვის. ბოლოს საქმე იქამდეც მივიდა, რომ შეიარაღებული ამერიკელი პოლიციელები იცავდნენ მათ. ამანაც რომ ვერ უშველა, ზოგიერთი მათგანი დროებით იუსტიციის სასახლეშივე ჩაასახლეს. ეს მართლაც პარადოქსული იყო: გერმანელი ბრალდებულების დამცველებს ბრალმდებელი ამერიკელები იცავდნენ თვით გერმანელებისაგან.

საერთო აზრით, დამცველთაგან ბევრი „კარგ გერმანიას“ წარმოადგენდა, მაგრამ გარემოებამ დააკავშირა ერთმანეთთან გერინგი და შტამერი, კაიტელი და ნელტე, ზაუკელი და სერვაციუსი, თუმცა, მათ შორის, როგორც მოგახსენეთ, იყვნენ ყოფილი ნაცისტებიც. ერთხელ პრესკონფერენციაც მოეწყო დამცველებთან.

— რამდენია თქვენს შორის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ყოფილი წევრი? — იკითხა ერთმა კორესპონდენტმა, მაგრამ ამ კითხვას არც ერთმა დამცველმა არ უპასუხა. მერე ვიღაცამ დაიძახა:

— ვინც იმ სამხედრო დამნაშავეებს იცავს, თვითონაც დამნაშავეა.

— დამნაშავე ნომერ პირველის დამცველი — ნომერ მეორე დამნაშავეა, — „დააზუსტა“ ბერლინელმა კორესპონდენტმა.

ერთ-ერთ დამცველს ჰკითხეს:

— მართალია თუ არა, რომ ომის დროს თქვენ ქალაქის კომენდანტად მუშაობდით?

— დიახ, მართალია, — უპასუხა მან.

როგორც ჩანს, მოელოდნენ, რომ დამცველები პროცესის ტრიბუნას ნაცისტური იდეების პროპაგანდისთვის გამოიყენებდნენ. იქნებ, ამან აიძულა ყოფილი ნაცისტები, ხოლო პროცესზე შახტის დამცველი დიქსი, განეცხადებინა:

— თავში არავის მოუვა აზრად, შეუდგეს დამარხული, მეხაზს ვუსვამ, უკვე დამარხული „მესამე იმპერიის“ დაცვას. ეს არა მარტო უსამართლობა, არამედ გაუგონარი სისულელე იქნებოდა...

კაცმა რომ თქვას, დამცველებს კი არა, ბრალდებულებსაც არ უცდიათ „მესამე იმპერიისა“ და ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის პირდაპირი დაცვა. ვამბობ, „პირდაპირი“-მეთქი, თორემ ისე, არც ამაზე უთქვამთ უარი. ზოგიერთი მათგანი ბრალდებულთა დანაშაულს „ისტორიული აუცილებლობით“ თუ სხვათა მიერ შექმნილი მდგომარეობით ხსნიდა, რაც, მათი აზრით, „იურიდიულ საფუძველს აცლიდა“ ბრალდებას. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ პროცესის დაწყების წინ, დაცვის მხარემ „ტრიბუნალის არაკომპეტენტურობის“ საკითხი დააყენა და საერთაშორისო სამართლის ექსპერტების მოწვევა მოითხოვა იმის დასადგენად, რამდენად ექვემდებარება ჩადენილი დანაშაული სისხლის სამართლის კანონმდებლობას. ეს შუამდგომლობა უარყოფილ იქნა, რადგან თვით ტრიბუნალის წესდების მესამე მუხლის თანახმად, ამ ორგანოს იურისდიქციის საკითხი არ ექვემდებარებოდა განხილვას. მაშინ დამცველებმა სცადეს, შეძლებისამებრ, გაეჭიანურებინათ პროცესი: წამდაუწუმ შუამდგომლობდნენ სხდომების გადადებას, ვითომ საბუთების შესწავლა ვერ მოვასწარითო, ან ისეთ მოწმეებს იძახებდნენ, რომელთა ნიურნბერგში ჩამოყვანა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ერთმა დამცველმა სახელმწიფოთა მეთაურების, კერძოდ, ჩერჩილის გამოძახებაც კი მოინდომა. ტრიბუნალი თითქმის ყოველდღიურად არჩევდა დაცვის მხარის მიერ შემოტანილ საკითხებს, ზოგს აკმაყოფილებდა, ზოგს — არა, მაგრამ არასოდეს ისეთ რამეს არ ადგენდა, რაც რამეთი შეზღუდავდა დაცვის კანონიერ უფლებებს.

ეს, მართლაც, აჭიანურებდა პროცესს, რითაც, უწინარეს ყოვლისა, თვითონ ბრალდებულები იყვნენ დაინტერესებული. იმათ ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ მოკავშირეთა შორის სერიოზული კონფლიქტი წამოიჭრებოდა და ჩაშლიდა პროცესის მიმდინარეობას. ამგვარი „იმედი“ კიდევ უფრო გააძლიერა ჩერჩილის ცნობილმა გამოსვლამ ფულტონში. ინგლისის ყოფილმა პრემიერმა მოითხოვა, რათა დასავლეთის სახელმწიფოებს „უფრო მტკიცე პოზიცია“ დაეჭირათ საბჭოთა კავშირის მიმართ...

— ო, ის გამოჩერჩეტებული ბებერი, — ბრდღვინავდა ცი-

ხეში გერინგი, — ახლა რომ სხვას ასწავლის ჭკუას, მაშინ სად იყო, როცა მთელი ძალაუფლება ჰქონდა ხელში?!

— დონნერვეტერ... და ისევ დონნერვეტერ! — წამოიძახა პაპენმა, — ბოლოს და ბოლოს, ხომ ამოღერღეს ყველაფერი...

— მეც ეს მივწერე ჩერჩილს, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი, — ჩაერია საუბარში დენიცი, — თუ რუსოფილური პოლიტიკის გატარება გინდათ, კი ბატონო, არადა, ბევრი რამ უნდა შეცვალოთ-მეთქი.

— როცა მაპატიმრებდნენ, წერილი გადავეცი ჩერჩილისა და იდენისათვის, სადაც ამასვე ვწერდი, — თქვა რიბენტროპმა.

ამბობენ, ჩერჩილის სიტყვამ ისე იმოქმედა ლოურენსზე, რომ მან რამდენადმე შეცვალა თავისი ტაქტიკაო. ასეა ეს თუ არა, ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ დამცველებშა კი ნამდვილად აუწიეს ხმას. ამან საერთო აღშფოთება გამოიწვია. ისევ თვით გერმანელებმა მოითხოვეს დამცველების შეზღუდვა, მაგრამ ტრიბუნალს ამ მხრივ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. ის კი არა, ლოურენსმა სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა:

— დამცველები ტრიბუნალის თანამშრომლები არიან. ისინი ასრულებენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას და ხელი არ უნდა შეეშალოთ. ყოველგვარი მუქარა და შეურაცხყოფა აღკვეთილ იქნება. ტრიბუნალი უზრუნველყოფს ამას...

გარდა ამისა, ლოურენსმა ტრიბუნალის ერთ-ერთ სხდომაზე თქვა, ვექილების მუშაობისადმი განსაკუთრებულად ფაქიზი დამოკიდებულებაა საჭირო, რათა არ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ტრიბუნალი ზღუდავს დაცვის უფლებებსო. ალბათ, ამიტომ იყო, პროცესის დროს იგი მაქსიმალურად რომ უზრუნველყოფდა დამცველების უფლებებს, რასაც ზოგიერთი მათგანი არცთუ ისე კეთილსინდისიერად იყენებდა და ზედმეტად ართულებდა პროცესის მუშაობას. ასე, მაგალითად, გერმანიის შეიარაღებული ძალების (OKW) უმაღლესი სარდლობის, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციის, დამცველმა ექსნერმა მოითხოვა, საბრალდებო აქტის ასლები გაეგზავნაო გერმანული არმიის ყოფილი ოფიცრებისათვის, რომელთაც

უმაღლესი საკომანდო თანამდებობა ეჭირათ. ამას მოჰყვა გენერალ გრამერის თხოვნა, რათა პროცესზე დაეშვათ გერმანული გენერალიტეტის წარმომადგენლები, „მეთვალყურეობისა და უმაღლესი სარდლობის ბრალდებული გენერლებისათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად“.

ტრიბუნალმა, რა თქმა უნდა, უარყო ეს შუამდგომლობა, რის გამოც ვექილი ექსნერი გადადგა ამ ორგანიზაციის დამცველის თანამდებობიდან და მისი ადგილი ლატერნზერმა დაიკავა. სამაგიეროდ, ტრიბუნალმა ნება დართო დამცველებს, თვითონ აერჩიათ თავიანთი თანაშემწეები. ეს უფლებაც ბოროტად იქნა გამოყენებული. აღმოჩნდა, რომ მათ მიერ არჩეულ თანაშემწეთა შორის თვით ბრალდებულთა ახლობლებიც იყვნენ: იოდლის მეუღლე, რიბენტროპის სიძე, პაპენის შვილი და ა. შ.

ამგვარი „ოჯახური ალიანსის“ შედეგი ის იყო, რომ იოდლის მეუღლე პირად წერილებს ოფიციალური დოკუმენტების ნომრებს უსვამდა და ისე უგზავნიდა თავის ქმარს...

გერინგის ინტერვიუ...

შემდეგ ტრიბუნალის შინაგანაწესის უფრო მნიშვნელოვანი დარღვევებიც მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი რამ აკრძალული იყო, დამცველმა შტამერმა გერინგს გადასცა „ასოშიეიტედ პრესის“ კორესპონდენტის კითხვები. გერინგმა პასუხები იმავე გზით დააბრუნა უკან. ეს „ინტერვიუ“ მაშინვე გამოქვეყნდა ამერიკელების ზონის გერმანულ გაზეთში „Neue Zeit“-ში („ახალი დრო“).

გერინგი აცხადებდა:

— მე, როგორც ჰიტლერის მიერ შემოღებული მმართველობის სისტემის წარმომადგენელი, მზად ვარ, მსჯავრდებული ვიქნე საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ. მე არ მიმაჩნია სამართლიანად იმ უმაღლეს მოხელეთა საქციელი, რომლებიც ახლა აცხადებენ, რომ არასოდეს არ ყოფილან ნამდვილი ნა-

ციონალისტები. 1942 წლიდან ხელისუფლებისაკენ სულ უფრო და უფრო მიიწევდნენ რადიკალები, რომელთაც ჰიმლერი და ბორმანი ხელმძღვანელობდნენ, მე კი უკანა პლანზე ვრჩებოდი, არა იმიტომ, რომ ვედავებოდი ჰიტლერს, არამედ იმიტომ, რომ დავკარგე ის ადგილი, რაც ადრე მეკავა. მე სრული და უსაზღვრო ნდობით ვარ გამსჭვალული სამხედრო ტრიბუნალის წევრების მიმართ. თავმჯდომარე სხდომებს სანიმუშოდ ატარებს და აჩვენებს, რომ იგი დგას პარტიების ზევით. ეს, რა თქმა უნდა, არ ცვლის ფაქტს, რომ სამსჯავრო ცალმხრივადაა შედგენილი, მასში მხოლოდ გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობენ. მე მოველოდი, რომ ნამდვილი საერთაშორისო ტრიბუნალის შემადგენლობაში იქნებოდნენ ნეიტრალური და დამარცხებული ქვეყნების წარმომადგენლებიც. ეს უფრო სამართლიანი იქნებოდა, მაგრამ რაკი სასამართლომ უკვე გამოთქვა თავისი თვალსაზრისი ამის თაობაზე, მე თავს ვხრი ამ გადაწყვეტილების წინაშე.

არიან მოწმეები, რომელთაც შეუძლიათ დაადასტურონ, რომ მე არასოდეს არ მსურდა შეტევითი ომი და ვცდილობდი, წინ აღვდგომოდი მას. სკოლაში ჩვენ ყველას გვასწავლია ძველი ლათინური ანდაზა: „ვისაც მშვიდობა სურს, ომისათვის უნდა ემზადოს“. პრეზიდენტი ტრუმენიც ამტკიცებდა, რომ ამერიკას თუ მშვიდობა სურს, სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერი უნდა იყოს...

გერინგს ჰკითხეს:

— სასამართლო გამოძიების ზოგიერთ მომენტში თქვენი ასე ხშირი თავის დაქნევა ნიშნავს თუ არა მამტკიცებელი მასალის სიზუსტის აღიარებას?

მან უპასუხა:

— მე თუ თავს ვაქნევ, ეს ნიშნავს, რომ ვეთანხმები მოყვანილი მტკიცების შინაარსს. მაგალითად, ვაღიარებ ჩემს მონაწილეობას შეიარაღების საქმეში, მაგრამ უარვყოფ, თითქოს მე აუცილებლად აგრესიული ომისათვის ვემზადებოდი. მე ვიარაღდებოდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ხალხი მხოლოდ მაშინაა ძლიერი, როცა ძლიერი არმია ჰყავს...

კითხვაზე:

— ახლა რომ საშუალება გქონდეთ, ყველაფერი თავიდან დაიწყოთ, გაატარებდით თუ არა ისევ „ფიურერპრინციპს“? — გერინგმა უპასუხა:

— ზოგიერთ რამეს შევცვლიდი. რაც შეეხება დანარჩენს, მე ვფიქრობ, რომ „ფიურერპრინციპი“ და ნაციონალ-სოციალიზმი ხსნის ერთადერთი გზაა გერმანიისათვის...

მერე, გერინგს არცთუ ისე სასიამოვნო კითხვაც მისცეს საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებებზე შექმნილი ფილმის შესახებ, რაზედაც მან უპასუხა:

— მეც, როგორც ყველა, შეძრწუნებული ვარ. ცხადია, ეს ბანაკები მე ამგვარი მიზნებისათვის არ დამიარსებია. მე ვცდილობდი, ხელახლა აღმეზარდა პოლიტიკურად ჯიუტები და დამეყენებინა ისინი ნაციონალ-სოციალიზმის ნიადაგზე. 1934 წლიდან ბანაკებს ხელმძღვანელობდა ჰიმლერი, რომელიც, სიფრთხილის მიზნით, ჩვენ არ გვაკარებდა ამ საქმეს. ასე-რომ, მე არაფერი ვიცი ამ საშინელებებზე.

ბოლოს ანტისემიტიზმზეც ჰკითხეს, მაგრამ გერინგმა ისევ განზე გადგომა არჩია:

— მე არასოდეს არ ვეთანხმებოდი გერმანიაში გატარებულ ანტისემიტიზმის ფორმებსა და მასშტაბებს. მაგალითისათვის შემიძლია დავასახელო ლეო ბლეხი.

ეს ბლეხი სახელმწიფო ოპერის თეატრის დირიჟორი იყო, რომელსაც, თითქოს, მფარველობდა გერინგი...

... ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, რაც ერთადერთი შემთხვევა არ იყო, ტრიბუნალი იძულებული გახდა სათანადო გადაწყვეტილება მიეღო.

ლოურენსმა განაცხადა:

—ჩვენი ყურადღება მიიპყრო პრესაში გამოქვეყნებულმა ე. წ. ინტერვიუმ ზოგიერთ ბრალდებულთან, რაც გატანილ იქნა მათი დამცველების მიერ. საჭიროდ მიმაჩნია, მაქსიმალური გარკვეულობით განვაცხადო, რომ ამგვარი მოქმედება მომავალში კატეგორიულად იქნება აღკვეთილი...

... ამ განცხადებას პოლკოვნიკ ენდრიუსის „საგანგებო ღონისძიებები“ მოჰყვა. მისი განკარგულებით, დამცველები ბრალდებულებს ხვდებოდნენ მხოლოდ სპეციალურ ოთახში, სადაც მავთულხლართებიანი სარკმლებიდან შეეძლოთ მათთან საუბარი, და ისიც, საზღვრო პოლიციელების ზედამხედველობით. სამსჯავროს დარბაზში კი ასეთი წესი შემოიღეს: თუ დამცველს უნდოდა სხდომის დაწყებამდე ან შესვენების დროს დალაპარაკებოდა ბრალდებულს, საბრალდებო სკამებთან მორიგე —შინაგანი უშიშროების სამსახურის ამერიკელი ოფიცერი — მოუხმობდა ორ მცველს, რომლებიც მარჯვნივ და მარცხნივ ამოუდგებოდნენ ბრალდებულს, წინაც ის ოფიცერი დადგებოდა და ამის შემდეგ ნებას რთავდა დამცველს, მიახლოვებოდა ბრალდებულთა მოაჯირს და დალაპარაკებოდა დამნაშავე პირს. არც ბრალდებულს და არც დამცველს უფლება არ ჰქონდათ, მოაჯირზე გადაეყოთ ხელი და გადაეცათ რამე, გარდა საქმიანი დოკუმენტებისა და დავალებისა, რასაც წინასწარ სინჯავდა მცველი ოფიცერი...

ზემოაღნიშნული ღონისძიების გატარების შედეგად ინტერვიუების მიცემა და კერძო მიმოწერა მართლაც აღიკვეთა, მაგრამ ავტოგრაფებისმოყვარულ აბეზართაგან თავის დაცვა მაინც ვერ მოხერხდა. ასე გასინჯეთ, ამ „მომგებიან საქმეში“ ციხის მომსახურე პერსონალიც ჩაება. ისინი ერთი-ორი სიგარეტის ან შოკოლადის ნატეხის ფასად აგროვებდნენ ბრალდებულთა ავტოგრაფებს და, როგორც ამბობდნენ, „ზღაპრულ ფასებში“ ჰყიდიდნენ ამ „ძვირფას რელიკვიას“...

ფრიჩეც წერს თავის წიგნში:

— ასობით და ათასობით ავტოგრაფი გაჰქონდათ ციხიდან. ამიტომ ჩვენც გავეშმაკდით და სამაგიეროდ სიგარეტებს ვთხოვდით მათ...

... მას შემდეგ, რაც საბრალდებო აქტი გამოქვეყნდა და საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებათა ამბავი გახმაურდა, ეს აჟიოტაჟიც მინელდა. ინტერვიუებისა და ავტოგრაფების მოყვარულთ უკვე ეუხერხულებოდათ კიდეც „იმ განგსტერებ-

თან“ ურთიერთობა, ამერიკელი მცველებიც უფრო მკაცრად ეპყრობოდნენ პატიმრებს. ზოგჯერ პირად შეურაცხყოფასაც აყენებდნენ მათ, რაც პატიმრების ასეთივე რეაქციას იწვევდა. ასე, მაგალითად, რაღაცაზე გაბრაზებულმა შახტმა ცხელი ყავა შეასხა სახეში მცველს, რის გამოც ერთი კვირით ჩამოერთვა ეზოში გასეირნებისა და კუთვნილი სიგარეტების მიღების უფლება.

ყველაზე მეტ ჯარიმებს გერინგი იღებდა. ერთხელ, მოწმე ბახ-ზელევსკის დარბაზიდან გასვლისას, „ძაღლ-ღორო“ (Schweinehund), მიაძახა. ენდრიუსმა მას ოთხი კვირის განმავლობაში არც გასეირნების უფლება მისცა და არც სიგარეტები. მიზანსცენაც შეიცვალა. მოწმეები სხვა კარებიდან შეჰყავდათ, რომ გერინგთან ახლოს არ გაევლოთ.

გერინგი ბრდღვინავდა, იმ „მეხანძრემ“ სულ აიშვა თავი და, როგორც უნდა, ისე გვექცევაო. „ის მეხანძრე“ კი თავის სამფლობელოს უკვე „ზოოპარკს“ კი არა, „სამხეცეს“ უწოდებდა. იგივე ფრიჩე წერს, პირველად რომ ტრიბუნალის დარბაზში შეგვიყვანეს, ისე გვიყურებდნენ, როგორც მხეცებსო. არ ვიცი, ეს შედარება ვისთვის უფრო შეურაცხმყოფელია, ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო პრესა აივსო კარიკატურებით, სადაც მთავარ სამხედრო დამნაშავეებსა ხატავდნენ, როგორც მტაცებელ ცხოველებსა და ფრინველებს...

ფანტასტიკური სიკვდილი...

ეს ბუნებრივი რეაქცია იყო. ის კი არა, თვითონ გერინგმა თქვა კალტენბრუნერსა და, საერთოდ, ესესელებზე:

— წარმოიდგინეთ, რომ ეს ადამიანის მსგავსი ჰიენები, ეს ღორები ცდებს ატარებდნენ ადამიანებზე. ეს რომ ვინმეს ეთქვა ჩემთვის, ამას მოვითმენდი? უცხოეთის რადიომ რომ გადმოსცა ამის შესახებ, მოვისმინე, მაგრამ ისე შევძრწუნდი, რომ არ დავიჯერე, ვთქვი, მტრის პროპაგანდაა-მეთქი...

აბა, როგორ უნდა დაიჯეროს კაცმა ამ სიტყვების სიმართლე, როცა ამგვარ ცდებს თვითონ გერინგის შტაბის უფროსის, ფელდმარშალ მილჰის განკარგულებითაც ატარებდნენ! ამის თაობაზე მთელი მიმოწერა იყო გამართული გერინგისა და ჰიმლერის სამინისტროებს შორის. ასე რომ, გერინგის განსაზღვრა „ადამიანის მსგავსი ჰიენები“ შეიძლება ავტოპორტრეტულიც იყოს...

სხვა ბრალდებულებიც ცდილობდნენ, როგორმე გამიჯნოდნენ „იმ ღორებსა და ჰიენებს“. იგივე კალტენბრუნერი ციხის სასადილოში რომ შევიდა, ფრანკმა უჩურჩულა ფრიჩეს:

— ერთი მაგის თავს შეხედე, საინტერესოა, არა?!

არც ფრანკმა და არც სხვებმა არ იკადრეს იმ „გრძელთავიან“ კალტენბრუნერთან ჯდომა მაგიდასთან.

გერინგმა სულ განზე დაიჭირა თავი.

— რატომ მოიყვანეს ის მხოლოდ დღეს? — ჰკითხა მან ჯილბერტს.

—აქამდე ავად იყო. ახლა გამოკეთდა, —მიუგო მან.

—ექიმებმა შეამოწმეს, რომ იგი ჯანმრთელია?

—იმდენად მაინც, რომ ტრიბუნალის წინაშე წარსდგეს.

— ეგ თუ ჯანმრთელია, მაშინ, მე ვარ, უჰ!...—ასე გამოხატა გერინგმა თავისი უპირატესობა. ისე კი, რა თქმა უნდა, გულისხმობდა, კალტენბრუნერი არ არის ნორმალური ადამიანიო...

... დანარჩენებიც ასე გულმოდგინედ ისროდნენ კენჭებს სხვის ბაღში. უფრო კი შტრაიხერს უტევდნენ. იოდლმა მას „პორნოგრაფიული ყვითელი ჟურნალისტი“ უწოდა. ეს არა მარტო სექსუალური აღვირახსნილობის, არამედ სადიზმის, ე. წ. „რიტუალური მკვლელობებისა“ და ებრაელების „ფანტასტიკური სიკვდილით დასჯის“ გამომსახველი სურათების ბეჭდვას ეხებოდა.

ჯილბერტმა ჰკითხა შტრაიხერს:

— რატომ ბეჭდავდით ამდენ პორნოგრაფიულ სურათებს?

— მერე რა, განა თალმუდი სავსე არ არის ამგვარი ამბებით?

—კარგი ვქენით, რომ ის... (გერინგმა ისევ ჟარგონს მიმართა და საშინელად უცენზურო სიტყვა იხმარა) გადავაყენეთ თანამდებობიდან.

იმაზე კი არაფერი თქვა, რომ ამ გადაყენებისა და გერინგის შტრაიხერისადმი მტრული დამოკიდებულების ერთ-ერთი მიზეზი ფართოდ გავრცელებული ჭორი იყო, ვითომ გერინგის გოგონა შტრაიხერის „ნახელავიაო“...

...მერე ისევ საკონცენტრაციო ბანაკებზე ჩამოვარდა ლაპარაკი. იოდლმა უთხრა კაიტელს:

— მე პირდაპირ გაოგნებული ვარ, ვინ ჩაიდინა ყოველივე ეს?

— ცხადია, გერმანელებმა, — მიუგო კაიტელმა.

—კარგი, ვთქვათ, გერმანელებმა, მაგრამ პერსონალურად ვინ? გეგულებათ თქვენ სადმე ასეთი მხეცი, ნადირი გერმანელი? ეს არ არის გერმანელის ხასიათში. ეს უფრო აზიური მოვლენაა.

აბა, ერთი აზიელებს ჰკითხეთ, რას იტყვიან ამაზე? რას და, ჩვილი ბავშვები ცეცხლშიც ჩაგვიყრია და კალოზედაც გვილეწია, მაგრამ მათი თმებისაგან გაკეთებულ ლეიბებზე მაინც არ ვწოლილვართ და არც ცოცხალი ადამიანის ტყავისაგან გაგვიკეთებია ლამაზი ნივთებიო.

განა ეს იოდლმა არ იცოდა? აკი თვითონ მისწერა ცოლს:

—ეს ფაქტები უსაშინელესი მემკვიდრეობაა, რაც ნაციონალ-სოციალისტურმა რეჟიმმა დაუტოვა გერმანელ ხალხს. ეს უარესია, ვიდრე ჩვენი ქალაქების დანგრევა. ამგვარი ნანგრევები შეიძლება ღირსეული ბრძოლის ჭრილობებად ჩაითვალოს, ეს საზიზღრობა კი ყველაფერს ბილწავს, ყველაფერს — ახალგაზრდობის ენთუზიაზმს, მთელ შეიარაღებულ ძალებს და მის ფიურერს.

ისევ სხვას, თუნდაც ფიურერს, თვითონ კი არაფერი! მერედა, იმ ფიურერს დღედაღამ გვერდში არ ედგა? ის კი არა, აღრიცხავდა კიდეც, რამდენჯერ შეხვდა მას და ამაყად თქვა: ხუთი ათასჯერო...

... ჰესმა რომ საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ ფილმი ნახა, გერინგს გადაულაპარაკა:

—არა მჯერა.

—გაჩუმდი, გაჩუმდი, —შეუღრინა მას გერინგმა. შემდეგ ჯილბერტს უთხრა საკანში:

— მე სულაც არ მაქვს განზრახული, გადაჭარბებით წარმოვადგინო ჩემი სიყვარული ფიურერისადმი, მით უმეტეს, მოგეხსენებათ, თუ როგორ მომეჭცა იგი ბოლოს, მაგრამ არ ვიცი, რა ვთქვა. იქნებ უკანასკნელ წელს ან წელიწადნახევრის წინ მიანდო მან ეს საქმეები ჰიმლერს... არ ვიცი... არ ვიცი... ამდენი მკვლელობა? არ ვიცი... არა, — დაიბნა იგი...

... ალბათ, ომის უკანასკნელ დღეებში მოხდა ეს, —თქვა შტრაიხერმაც.

— მილიონები — მხოლოდ უკანასკნელ დღეებში?! — გაიკვირვა ფრიჩემ...

... —გერმანელებმა სამუდამოდ შეირცხვინეს თავი, — თქვა ფუნკმა, მერე ხელები ზეცისაკენ აღაპყრო და ცრემლმორეულმა დაუმატა:

— ვფიცავ, რომ ასეთი რამეები პირველად მხოლოდ მონსდორფში შევიტყვე...

ზოგჯერ ერთი კაცის მოკვლას ქვეყანა გაიგებს, იმათ კი თხუთმეტი მილონი ისე დახოცეს, რომ თვითონ „არაფერი იცოდნენ!“

— ნუთუ, თქვენ არაფერი იცოდით იმის შესახებ, რაც მთელმა ქვეყანამ გაიგო? —ჰკითხა ჯილბერტმა გერინგს.

— რაღაც ხმები კი დადიოდა, მაგრამ ამისი არავის სჯეროდა, — უპასუხა გერინგმა.

ჯილბერტს გაეცინა. შეცბუნებულმა გერინგმა კი დაუმატა:

— ესესის გენერლებმა, რომლებიც ამას აკეთებდნენ, ალბათ, ყველაფერი იცოდნენ. მე წარმოდგენა არა მაქვს, როგორ უნდა ახსნან მათ ეს!..

... ამის „ახსნა“ კი თვითონაც მოუხდათ, რადგან დანაშაულების ფაქტის უარყოფა შეუძლებელი იყო. მაშინ ბრალდებულებმა და მათმა დამცველებმა სხვა კარების შემტვრევა სცადეს. აქ მათი მთავარი „არგუმენტი“ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის იურისდიქციის უარყოფა იყო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ომამდელი არც ერთი საერთაშორისო კანონი არ ითვალისწინებს სასამართლო დევნას ხელშეკრულებათა დარღვევის ან სხვა ამგვარი დანაშაულის გამო. დაცვის მხარე უარყოფდა აგრეთვე ტრიბუნალის წესდების ძალას, რადგან, მათი აზრით, საერთაშორისო სამართალი არ მოითხოვს აგრესიული ომების მოშზადებისა და წარმოების გამო ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. მათ მიაჩნდათ, რომ ეს პროცესი უგულებელყოფს ცნობილ იურიდიულ პრინციპს: Nulla crimen sine lege — დანაშაულად არ ითვლება ის, რაც კანონით არ არის გათვალისწინებული. ამასთან, წესდების შემმუშავებელმა სახელმწიფოებმა ვითომ დაარღვიეს პრინციპი, რომ კანონს არა აქვს უკუქმედებითი ძალა. დამცველები ამტკიცებდნენ, რომ მთავრობის ან უშუალო უფროსის განკარგულების შემსრულებელი არ შეიძლება ჩაითვალოს დამნაშავედ, მაშინაც, თუ მისი მოქმედება დანაშაულებრივი ხასიათისაა.

ტრიბუნალმა უარყო ეს მტკიცებანი, როგორც უსაფუძვლო.

დამცველები მაინც ბოლომდე ცდილობდნენ, აეცდინათ ბრალდებულთათვის ნემეზიდას მახვილი. ეს ძნელი კი არა, შეუძლებელი იყო, რადგან მათი გაუგონარი დანაშაულებანი უტყუარი ფაქტებითა და საბუთებით დადასტურდა...

ძალლის მძორი...

ისე, კაცმა რომ თქვას, არც თვითონ დამცველები იყვნენ უკეთეს მდგომარეობაში. მათ რომ საბრალდებო აქტი, ჰოსბახის ოქმი და სხვა დოკუმენტები გადასცეს, ერთ-ერთმა ვექილმა — ლიპემ დღიურში ჩაწერა:

— თუ ეს მართლა ასე იყო, ამ თათბირზე დამსწრეებს (ლაპარაკია ჰოსბახის ოქმზე) ჰიტლერი გიჟად უნდა გამოეცხადებინათ, დაცვის მხარეს კი მაშინვე შეეწყვიტა მუშაობა.

გიჟად გამოაცხადეს კი არა, აღფრთოვანებით შეუდგნენ ჰიტლერის მიერ იმ თათბირზე დასახული მსოფლიოს დაპყრობის გეგმის შესრულებას.

დამცველებს ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე უჩვენეს ჰიტლერელების მიერ ჩადენილ საშინელ ბოროტებათა ამსახველი ფილმები. ამან ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. შემდეგ, როცა ფილმები უკვე ტრიბუნალის სხდომაზე აჩვენეს, დამცველი დიქსი გავიდა დარბაზიდან, არა, ამგვარი საშინელების მეორედ ნახვა არ შემიძლიაო...

ამის მიუხედავად, ისინი მაინც გულმოდგინედ იცავდნენ იმათ, ვინც ეს საშინელება ჩაიდინა და ამას, უწინარეს ყოვლისა, თავიანთი პროფესიული მოვალეობით ხსნიდნენ. მართალიც იყვნენ, მაგრამ ყველა დამცველი როდი ეჭცეოდა კეთილსინდისიერად თავის პროფესიას. ისინი ათასგვარ იურიდიულ მაქინაციებს მიმართავდნენ, რომ როგორმე შეემსუბუქებინათ მოსალოდნელი სასჯელი. ტრიბუნალის კულუარებში ამბობდნენ, დამცველთა შორის არიან უფრო სიმპათიური იურისტებიო და დოქტორ დიქსს, პროფ. კრაუსს, პროფ. ექსნერს და პროფ. იარაისს ასახელდებდნენ. სხვებიც კვალიფიციური იურისტები იყვნენ, მაგრამ ზოგიერთი ვექილის მდგომარეობა იმთავითვე უნუგეშო ჩანდა.

— ჩვენ კიდევ არაფერი, მაგრამ ამ უბედურ კაუფმანს რა ეშველება, კალტენბრუნერის დაცვა რომ მოუხდებაო, — ამბობდნენ სხვა ვექილები.

კაუფმანმა თვითონაც იცოდა Advovatus diaboli-ს— ეშმაკის ვექილს რომ ეძახდნენ, მაგრამ რა უნდა ექნა. „პაციენტი“ მისგან „სრულყოფილ დაცვას“ მოითხოვდა. ის კი ათასნაირად იგრიხებოდა და ცდილობდა, თავისი პროფესიული მოვალეობაც შეესრულებინა და სინდისიც სუფთა ჰქონოდა. ზოგჯერ ევედრებოდა კიდეც იმ ჯალათს—რასაც გინდა, გავაკეთებ, მაგრამ სინდისს ნუ გამაყიდვინებო. კალტენბრუნერი კი მაინც

უბღვერდა, ნუ გავიწყდება, რომ შენ დამცველი ხარ და არა ბრალმდებელიო.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, კაუფმანმა სთხოვა კალტენ-ბრუნერს, მეტი აღარ შემიძლია და გამათავისუფლეო. ამაზე კალტენბრუნერმა ერთი ძველებური იგავი შეახსენა:

— ქრისტე და მისი მოციქულები ტრიალ მინდორზე მიდიოდნენ და მკვდარი ძაღლის მძორს წააწყდნენ. მოციქულებმა მაშინვე ზიზღით აუხვიეს გვერდი. ქრისტე კი პირდაპირ მივიდა მძორთან. მას უნდოდა, თავისი ღვთაებრივი სიწმინდით ძაღლის მძორშიც რამე კარგი დაენახა და ასე მიმართა მოციქულებს:

— გვერდს რატომ უქცევთ! ნახეთ, იქნებ გემრიელი ხორცი აქვს მას!..

ეს იგავი ვერაფერი ნუგეში იყო კაუფმანისთვის. იგი სულაც არ აპირებდა ქრისტესებური სულგრძელობის გამოჩენას და ხელსაც არ ართმევდა თავის ბრალდებულს, მაგრამ ვექილის „პროფესიულ მოვალეობას“ მაინც გულმოდგინედ ასრულებდა. ამის გამო, ზოგჯერ ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, რომ თავისი კოლეგები თანაგრძნობას უცხადებდნენ...

მეკობრეები და მზარეულები...

არც სხვა დამცველებს ადგათ უკეთესი დღე. ისინი არ უარყოფდნენ გაუგონარ დანაშაულებათა ფაქტებს, მაგრამ დამნაშავეები მაინც უნდა დაეცვათ. ამ მხრივ, ყველა მათგანს თავისი საზრუნავი ჰქონდა: როგორმე ეხსნათ პასუხისმგებლობისაგან არა ნაცისტური მთავრობა ან სხვა ვინმე, არამედ პირადად ის, ვისი დაცვაც ევალებოდათ. ისინი თვითონ აღიარებდნენ, ჰიტლერის ნაცისტური სახელმწიფო „მეკობრეთა ხომალდს“ წარმოადგენდაო, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, მეკობრეები და მათი მზარეულები ერთნაირად ხომ არ უნდა დაისაჯონო. კაცმა რომ თქვას, ამგვარი გარჩევა, მართლაც, საჭირო იყო. უნდა გარკვეულიყო, ვინ მეკობრე იყო და ვინ მზა-

რეული. ვთქვათ, ჰიტლერი მეკობრე იყო, მისი პალადინები — მზარეულები... თუ ფრანკი ამბობდა, უკრაინელებს და პოლონელებს დაკეპილ ხორცად ვაქცევთო, თვითონაც მეკობრე იყო, ხოლო რუდოლფ ჰოსი, ვინც ამ „ხორცს“ ოსვენციმის კრემატორიუმში წვავდა, —მზარეული? ასე რომ მიჰყვეს კაცი, ვერც გაარჩევს, სად ერთია და სად — მეორე. ისე, მე თუ მკითხავთ, მეკობრეც დამნაშავეა და მისი მზარეულიც, მაგრამ ამგვარ იგავებს რომ თავი დავანებოთ, პერსონალური დანაშაულის დადგენისთვის მაინც ზუტი სამართლებრივი განსჯა იყო საჭირო. უნდა დადგენილიყო როგორც ჩადენილ ბოროტებათა ფაქტები, ისე მათი გამომწვევი ისტორიული და საზოგადოებრივი მიზეზები. მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერელების მიერ ჩადენილი ბოროტების ხასიათი და მასშტაბები ყველაზათვის თვალსაჩინო იყო, მათი მიზეზების გამორკვევა მაინც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ფილოსოფოსი კარლ იასპერსი შორიდან უვლის ამ საკითხს და გერმანული მილიტარიზმისა და ორი მსოფლიო ომის „გეოგრაფიულ“ წინაპირობას არჩევს:

— გერმანიას ყველა მხრიდან ღია საზღვრები აქვს, — წერს იგი, — ამიტომ, თუ მას სურს იარსებოს, მუდამ ძლიერი სამხედრო ძალა უნდა ჰყავდეს. ყოველგვარი შესუსტება ამ მხრივ იწვევს გარეშე ძალების შემოსევას. მას არც არასოდეს ჰქონია მშვიდი ცხოვრება. აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და თვით სამხრეთიდანაც კი ყოველთვის უტევდნენ სხვა სახელმწიფოები, ამან წარმოშვა პანგერმანიზმის იდეა და შექმნა მილიტარისტული სულისკვეთება, რასაც „გარდამავალი სიდიდის“ ოთხი ზმანება ამოძრავებდა: ორი — ზოგადგერმანული და ორიც — სპეციფიკურ-პრუსიული:

1. მითოსი გერმანელი ერის წმინდა რომაული იმპერიის შესახებ;

2. ლეგენდად ქცეული ლიუბეკისა და ჰანზეს საზღვაო ძლიერების ამბავი;

3. ფრიდრიხ დიდის მილიტარისტული სახელმწიფო;

4. პრუსია, როგორც გერმანელ რაინდთა ორდენისა და სლავების საწინააღმდეგო მისიის სულიერი მემკვიდრე.

ეს პანგერმანიზმი წინ უსწრებდა ნაციზმს, რამაც ჯერ პირველი მსოფლიო ომი გამოიწვია, შემდეგ კი — მეორე. ისინი ერთმანეთისაგან მასშტაბებით განსხვავდებიან და არა პრინციპებით. ორივე ახალ იმპერიაზე ოცნებობდა. „ჰანზეს მითოსიც“ კოლონიურ პოლიტიკას გამოხატავდა, იმ განსხვავებით, რომ ზღვის იქითა ტერიტორიების დასაპყრობად ჰიტლერი უფრო შორს მიიწევდა, ვიდრე ვილჰელმ II (ხომ გახსოვთ, ჰიტლერს ბრაზილიაც რომ თავის კოლონიად უნდოდა!). საერთოდ კი, ერთიც ფრიდრიხ დიდზე ლოცულობდა და მეორეც; თუმცა, ფრიდრიხის აგრესიის კომპასი სამხრეთისაკენ უჩვენებდა, ვილჰელმისა და ჰიტლერის კი, ტევტონ რაინდთა ორდენის ტრადიციის მიხედვით, აღმოსავლეთისაკენ. ელბის გადალახვა, ბალტიკის სანაპირო სახელმწიფოები, საქსონია, ჰოლშტაინი, მეკლენბურგი (ისიც გაიხსენეთ, ჰიტლერმა რომ აღმოსავლეთში დროებით დაპყრობილ ტერიტორიებს ასეთი სახელწოდება მისცა: გალიცია, პომერანია, ბრანდენბურგი, სილეზია, ბოჰემია და მორავეთი...). შემდეგ კი იქით, წინააზიისაკენ, სადაც რაინდთა ორდენი ებრძოდა „ქრისტიანიზმის მტრებს“. მაშინ გერმანელი რაინდები დამარცხდნენ ტანენბერგთან. ხუთი საუკუნის შემდეგ კი იმავე ტანენბერგის გმირად ჰინდენბურგი გამოცხადდა. სილეზიაში, დანციგსა და ვარშავაშიც რამდენჯერმე ფრიალებდა პრუსიის დროშა ორთავიანი არწივით. პირველი მსოფლიო ომის დროსაც შევიდნენ გერმანელები პოლონეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და უკრაინაში, სადაც, ბუნებრივია, ადრინდელ ლაშქრობათა ნაშთებსაც ხვდებოდნენ, რასაც გერმანული კულტურის „ბურგებს“ უწოდებდნენ, მაგრამ, თქვენ იცით, რომ ყოველივე ეს ჯერ ვერდენითა და კომპიენით, ხოლო შემდეგ „ვერსალის არტახებით“ დამთავრდა...

... პროცესზეც იმ „ვერსალის საკითხს“ უტრიალებდნენ.

— მართალია, ეს არ გვამართლებს, მაგრამ ბევრ რამეს ხსნისო, — წერდა ამის შესახებ იასპერსი. დამცველებიც ამგვარ აზრს იცავდნენ. მერე „გაღმა შედავების“ ტაქტიკაც იხმარეს და დასავლეთის სახელმწიფოებს უსაყვედურეს, ვერსალის

ხელშეკრულების შემდეგ გერმანიის ბედი მთლიანად თქვენს ხელთ იყო და საქმე აქამდე რატომ მიიყვანეთო. ამის შესახებ უფრო აშკარად ისევ იასპერსი წერს:

— პირველი მსოფლიო ომიდან ინგლისი,საფრანგეთი და ამერიკა გამოვიდნენ გამარჯვებულნი. სწორედ მათზე იყო დამოკიდებული გერმანიის ბედიღბალი. ამიტომ სრული პასუხისმგებლობა ყველაფერზე, რაც 1918 წლის შემდეგ მოხდა, მათ ეკისრებათ. მათ ხელში იყო ძალა, რაც სურვილისამებრ შეეძლოთ გამოეყენებინათ, მაგრამ ამას უმოქმედობა (Nichthandeln) არჩიეს. ინგლისს შემთხვევა ჰქონდა, მუსოლინიც კი აემხედრებინა ჰიტლერის წინააღმდეგ. როცა ჰიტლერმა ავსტრიის ანექსია მოინდომა, მუსოლინიმ საყოველთაო მობილიზაციაც კი გამოაცხადა. მერე მუქარით სავსე სიტყვაც წარმოთქვა, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს. ამას გერმანია-იტალიის შეთანხმება და ე. წ. „ბერლინ-რომის ღერძი“ მოჰყვა.

აქ იასპერსი ბრალს სდებს ინგლისს ჰიტლერის მხარდაჭერაში (dabeistehn). შემდეგ კი, როცა სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ომი გამოუცხადაო.

—1933 წლის ზაფხულს მე ვუთხარი ერთ გერმანელ მწერალს, რომელიც ახლა ამერიკაში ცხოვრობს, — წერს იასპერსი, — თუ ჰიტლერს ახლავე არ მოუღებენ ბოლოს, ერთი წლის შემდეგ გვიან იქნება და გერმანიასთან ერთად ევროპაც დაიღუპება.

ბოლო მოუღეს კი არა, 1933 წელსვე ვატიკანმა, პაპენთან მოლაპარაკების შედეგად, კონკორდატიც კი შეკრა გერმანიასთან. ეს ჰიტლერის რეჟიმის პირველი აღიარება იყო, რამაც შეგვაძრწუნა. შემდეგ ყველა ქვეყანამ ცნო ნაცისტური გერმანია. 1936 წელს ბერლინის ოლიმპიურ თამაშობებზე მთელმა მსოფლიომ მოიყარა თავი. 1938 წელს ჩერჩილმა ღია წერილი გაუგზავნა ჰიტლერს:

— ინგლისს რომ ისეთი ეროვნული უბედურება დასტყდომოდა, როგორც გერმანიას 1918 წელს, მე ღმერთს შევთხოვდი, თქვენსავით ძლიერი სულისა და ნებისყოფის ადამიანი გამოეგზავნა ჩვენთვის...

ინგლისელები ყველაფერს ხედავდნენ, რაც გერმანიაში ხდებოდა, მაგრამ თვალს ხუჭავდნენ. ისე კი, სულ ადვილად შეეძლოთ თავისუფლება დაებრუნებინათ ჩვენთვის. ამას ჩვენ თვითონ ვერ მოვახერხებდით, რადგან იქ, სადაც დესპოტური რეჟიმია, შინაგანი ძალებით განთავისუფლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

იასპერსი ნანობს:

— ომი რომ დაიწყო, იმის ნაცვლად, რომ ყველა სახელმწიფო გაერთიანებულიყო და ჩაექრო ცეცხლი, სულს უბერავდნენ, რათა უფრო გაეჩაღებინათ. ახლა ჩვენ გვადანაშაულებენ, როგორ ითმენდით, რატომ არ მოქმედებდითო. ბატონებო, თქვენ თვითონ ითმენდით კი არა, ხელსაც უწყობდით, ახლა კი დამნაშავეებად მარტო ჩვენ გამოგყავართ?!

მართალია, ეს „გაღმა შედავების...“ იგავსა ჰგავს, მაგრამ უსაფუძვლო მაინც არ არის...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲞᲔᲢᲘᲪᲘᲐ...

პროცესის დაწყების დღე მოახლოვდა. ყველა თავის საქმეზე ღელავდა. ყველას რაღაც საზრუნავი ჰქონდა: მოსამართლეებს, ბრალდებისა და დაცვის მხარეს, დამხმარე თუ ტექნიკურ პერსონალს. ყველამ იცოდა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აწვათ ისტორიის წინაშე. ერთ-ერთმა ბრალმდებელმა თქვა კიდეც:

— ისტორიკოსები ათასი წლის შემდეგაც ისევე მოიგონებენ და შეისწავლიან ამ პროცესს, როგორც ჩვენ ვსწავლობთ დღეს ძველი კართაგენისა და რომის ამბებს...

ამიტომ ყველაფერი გასათვალისწინებელი იყო, ასაწონდასაწონი, ისიც კი, თუ რა უნდა ჩაეცვათ ტრიბუნალის წევრებს, როგორი სავარძლები უნდა დაედგათ მათთვის, ვინ სად უნდა დამჯდარიყო და სხვა ამგვარი...

ტრიბუნალის სპეციალურმა სხდომამ გადაწყვიტა: ინგლისელი, ამერიკელი და ფრანგი მოსამართლეები თუ მა-

თი თანაშემწეები გამოვლენ ტრადიციულ შავ ან მუქ ლურჯ მოსასხამებში, საბჭოთა წარმომადგენლები კი სამხედრო მუნდირებში. რაც შეეხება ტრიბუნალის წევრების სავარძლებს, აქ ერთგვარმა წინააღმდეგობამაც იჩინა თავი. თავდაპირველად განზრახული იყო, რომ მოსამართლეებისათვის უფრო მაღალზურგიანი სავარძლები დაედგათ, ხოლო მათი თანაშემწეებისათვის — შედარებით დაბალი, მაგრამ ამერიკელი მოსამართლის თანაშემწემ — პარკერმა პროტესტი განაცხადა ამაზე, ეს ჩვენი როლის უგულებელყოფა, ანუ დისკრიმინაცია იქნებაო.

— მე ვშიშობ, რომ ამ პროცესზე ისეთივე უსაქმური ვიქნები, როგორც ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც უცდის, როდის გათავისუფლდება პრეზიდენტის სავარძელი, — განაცხადა მან.

აქეს მოჰყვა ხანგრძლივი დისკუსია მოსამართლეთა თანაშემწეების უფლება-მოვალეობის შესახებ. ბოლოს, საქმე იმით დამთავრდა, რომ ყველასათვის ერთნაირი სავარძლების დადგმა გადაწყვიტეს.

საერთოდ, სხდომათა დარბაზში ყველგან რბილი სავარძლები იდგა, ბრალდებულთათვის კი ხის გრძელი სკამები, სადაც ნომრებით იყო აღნიშნული — ვინ სად უნდა დაესვათ...

... დიდი მზადება იყო ენდრიუსის „პოლიტიკურ ზოოპარკშიც“. მან ჯერ ტანსაცმელი გაუსინჯა ყველა ბრალდებულს და „აღმოაჩინა“, რომ ზოგიერთ მათგანს დახეული კოსტიუმი ეცვა. მართალია, იგი ამბობდა, „ჩემი ექსპონატები პროცესზე კარგად უნდა გამოიყურებოდნენო“, მაგრამ რა უნდა ექნა: შინაგანაწესის მიხედვით, გარედან ციხეში ტანსაცმლის შეტანა აკრძალული იყო, არადა, შარვალგამოხეულ ფელდმარშლებსა და მინისტრებს ხომ არ გამოიყვანდა პროცესზე! ამიტომ „ხოხბებზე“ ნადირობის დროს ჩამორთმეული ჩემოდნები გაახსნევინა და, თუ ვინმეს რამე რიგიანი ჩასაცმელი ჰქონდა, დაურიგა. ფრიჩე წერს, მე შპეერმა მათხოვა თავისი შარვალიო. სხვებისთვის მკერავები მოიწვიეს და, როგორც იქნა, შემოსეს ყველანი.

ენდრიუსის განკარგულებით, ამ „სამეჯლისო ტანსაცმელს“ მხოლოდ სხდომის დარბაზში ჩასაცმელად ურიგებდნენ ბრალდებულებს, დანარჩენ დროს ისევ თავიანთი ძველმანები ეცვათ...

განა ესეც ბედის დაცინვა არ იყო? ერთ დროს მთელი ევროპის საუკეთესო სამკერვალოები შეწრიალებული ჰყავდათ გერინგის, რიბენტროპისა და სხვების კოსტიუმების შესაკერად, ახლა კი ასე უბრალოდ მოგვარდა ყველაფერი.

პროცესის მოახლოვების გამო კვებაც გაუმჯობესდა. ამაზე შირახმა „იხუმრა“, ჩამოხრჩობის წინ, ალბათ, კარგად გამოგვაძღებენო. შტრაიხერმა დაუმატა, სწორია, იქნებ ძეხვის ნაჭრებიც დაგვირიგონო.

ენდრიუსს ამგვარი ხუმრობისათვის სად ეცალა. იგი ყოველ წვრილმანს რაღაც სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდა. აქაოდა, სამსჯავროს წინაშე დანაშაულის დადგენამდე ყველა თანასწორიაო, პარიკმახერები იხმო და ბრალდებულებს ყველას ერთ სიგრძეზე დაუყენა თმა...

...„რეპეტიციის“ დღეს ყველა ბრალდებულს „სამეჯლისო“ კოსტიუმები ჩააცვეს და დერეფანში გაამწკრივეს. მერე ამ „ოცეულის“ წინ ამერიკელი ოფიცერი, ხოლო ყოველი ბრალდებულის უკან, საგანგებოდ გამოწყობილი სამხედრო პოლიციელები დააყენეს და ასე გაუდგნენ გზას ტრიბუნალის დარბაზისაკენ.

„აღლუმს“ აქაც პოლკოვნიკი ენდრიუსი ხელმძღვანელობდა, ყველა მოსახვევთან მცველები ჰყავდა დაყენებული. ისინი გზადაგზა ამოწმებდნენ „ოცეულის“ პირად შემადგენლობას, ხომ არავინ აკლიაო. რეპროდუქტორებში გაისმოდა განკარგულებები:

— მარჯვნივ! მარცხნივ! სდექ! იარ! და სხვ.

მერე ყველანი ლიფტით აიყვანეს ზევით და გრძელი დერეფნით განაგრძეს გზა. ფანჯრები, როგორც მოგახსენეთ, ყველგან ამოქოლილი იყო, რათა არც ერთ მათგანს აღარ ეხილა დღის სინათლე...

...დარბაზში ფოტოკორესპონდენტები და კინოოპერატორები ირეოდნენ. ყველა ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მოხერხებული ადგილი შეერჩია და უკეთესი კადრები გადაეღო. ბრალდებულთაგან ზოგმა არ ისურვა ეს და სახეზე ხელი აიფარა. შახტმა დემონსტრაციულად შეაქცია ზურგი „აბეზარ“ კორესპონდენტებს. სხვებმა, პირიქით, საშუალება მისცეს მათ, როგორც უნდოდათ, ისე გადაეღოთ. ისინი ყურადღებით ათვალიერებდნენ სხდომათა დარბაზს და მომსახურე პერსონალს.

— იმდენ ხანს ვიწრო საკანში ყოფნის შემდეგ აქ, ამ ვრცელ დარბაზში, დავიბენითო, — წერს ფრიჩე.

შემდეგ კორესპონდენტები დაითხოვეს და თვითონაც ჩაებნენ „რეპეტიციაში“. ყველაფერი შეამოწმეს, მიზანსცენები დაალაგეს და... ვითომ მართლა სპექტაკლი ყოფილიყო, ისე დაიწყეს „გენერალური რეპეტიცია“. მათ წინასწარ ჰყავდათ შერჩეული „კარგი ხმის პატრონი“ ამერიკელი ოფიცერი ბოუკერი, რომელსაც მოსამართლეების შემოსვლის წინ უნდა გამოეცხადებინა:

— ყურადღება, სასამართლო მობრძანდება!..

ბოუკერმა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენაზე სწორად წარმოთქვა ეს ფრაზა, მაგრამ ჯერი რუსულზე რომ მიდგა, თითქმის ცარიელ დარბაზში „внимание“-ს ნაცვლად დაიქუხა:

Молчат!..

გაუსწორეს და მეორედ უკვე სწორად, მაგრამ გამოკვეთილი ამერიკული აქცენტით წარმოთქვა:

—Внимание, суд идет!..

ყველაფერი რომ მოათავეს, ენდრიუსმა სიტყვით მიმართა ბრალდებულებს, იმედი მაქვს, მთელი პროცესის მანძილზე ჩვენს შორის არავითარი გაუგებრობა არ მოხდებაო. იგი ისე კმაყოფილი იყო ჩატარებული „რეპეტიციით“, რომ ზედ გაბადრულ სახეზე ეწერა:

— ყველაფერი რიგზეა!..

მერე ისევ ერთ მწკრივზე დაწყობა... წინ ოფიცერი...

ყოველ ბრალდებულს უკან — სამხედრო პოლიციელი და... гуси, гуси, домой...

დღე პირველი...

„რეპეტიციის“ შემდეგ, როგორც ყველა, ისე მეც, მოუთმენლად ველოდი „მსოფლიო სამსჯავროს პრემიერას“. მართალია, ადრე თითქმის ყველა ბრლდებული მყავდა ნანახი ეკრანზე, ენდრიუსის „პოლიტიკურ ზოოპარკში“ ან წინასწარ დაკითხვებზე, მაგრამ საბრალდებო სკამზე ასე ერთად შეკრებილი „დამხობილი ღმერთები“ მაინც სხვა სანახაობა იყო.

ეხ, მათ შორის ჰიტლერი, ჰიმლერი და გებელსიც რომ ყოფილიყვნენ, მთავარ სამხედრო დამნაშავეთა ეს „ასამბლეა“ უფრო მაღალ დონეზე იქნებოდა დაკომპლექტებული, მაგრამ რაც იყო, იმასაც არა უშავდა რა. ნამდვილად! ჰიტლერის შემდეგ გერმანიაში არავინ იყო გერინგზე მაღალი თანამდებობის პირი; პარტიაში — ჰესზე; არმიაში — კაიტელსა და იოდლზე; ფლოტში — რედერსა და დენიცზე; საგარეო პოლიტიკაში — რიბენტროპსა, პაპენსა და ნოირატზე. ისინი წარმოადგენდნენ პარტიას, მთავრობას, არმიას, ერთი სიტყვით, მთელი „მესამე იმპერიის“ ხელმძღვანელ ძალას.

„პრემიერა“ დილის 10 საათზე იყო დანიშნული, მაგრამ მზადება უკვე დილის 7 საათიდან დაიწყო. ყველა ბრალდებული გაპარსეს, „საგარეო ტანისამოსი“ ჩააცვეს და 9 საათზე ნაცნობი გზით შეიყვანეს ტრიბუნალის სხდომათა დარბაზში. აქ გერინგი მიესალმა რიბენტროპს, პაპენი — ნოირატს, დენიცი — რედერს, შირახი — ყველას, შახტი —არავის. „რეპეტიციის“ შემდეგ ყველამ იცოდა თავისი ადგილი და არც არაფერი შეშლია ვინმეს. მათი რიგი განაწილებული იყო არა ალფაბეტის, არამედ „დამსახურების“ მიხედვით. პირველი ნომერი, რა თქმა უნდა, გერინგს ერგო, მეორე — ჰესს, მესამე — რიბენტროპს, მეოთხე — კაიტელს და ა. შ. თავისუფალი იყო მხოლოდ ორი ადგილი: კალტენ-

ბრუნერი არ გამოსულა ავადმყოფობის გამო, ბორმანს კი დაუსწრებლად ასამართლებდნენ. პროცესის [illegible] პრესაში თუ რადიოში ოთხი კვირის განმავლობაში ყოველ დღიურად აცხადებდნენ, რომ ბორმანს შეუძლია გამოცხადდეს პროცესზე ან გამოგზავნოს თავისი ვექილი. თუ ეს არ მოხდებოდა 1945 წლის 20 ნოემბრამდე, მას გააკამართლებდნენ დაუსწრებლად. ბორმანი არ გამოცხადებულა და არც ვექილი გამოუგზავნია. მიუხედავად ამისა, ტრიბუნალის დადგენილებით, მას დაენიშნა დამცველი...

დანარჩენები საბრალდებო სკამზე ისხდნენ. მათ უკან ჩამწკრივებული იყვნენ ათლეტური აგებულების სამხედრო პოლიციელები — რკინის თეთრი მუზარადებით, თეთრი ქამრებით, თეთრი ხელთათმანებით და ასევე თეთრი რეზინის ჯოხებით. მათ წინ დაბორიალებდნენ შავ მანტოებში გამოწყობილი დამცველები. ბრალდებულები დარბაზს ათვალიერებდნენ და ერთმანეთთან საუბრობდნენ, იმისდა მიხედვით, თუ ვინ ვისთან იჯდა.

ათს რომ რამდენიმე წუთი აკლდა, დარბაზში შემოვიდნენ და მათთვის განკუთვნილ მაგიდებთან დასხდნენ სახელმწიფო ბრალმდებლები: რ. რუდენკო, რ. ჯექსონი, ჰ. შოუკროსი და ფ. დე მენტონი, მათი მოადგილეები და თანაშემწეები. მდივნებმაც და მთარგმნელებმაც განკუთვნილი ადგილები დაიკავეს. იარუსზე იყვნენ კორესპონდენტები და სტუმრები, რომელნიც სხვადასხვა დროს გამოჩნდებოდნენ ხოლმე თითო დღით; მათ შორის გვხვდებოდნენ ფრიად „გავლენიანი პირები“ — მათი მეუღლეები, ამერიკისა და ინგლისის სამხედრო მინისტრები, ნიუ-იორკის გუბერნატორი, ლორდთა პალატის კანცლერი და...

მთავარმა სამხედრო დამნაშავე ფრიკმა იარუსზე სტუმართა, შორის თავისი მეუღლე შენიშნა და ხელის მსუბუქი მოძრაობით მიესალმა. ქალბატონმა ფრიკმა კი „ჰაეროვანი კოცნით“ უპასუხა მას. ეს კიდევ არაფერი. ნამდვილი სენსაცია მერე მოხდა, როცა ყველასათვის მოულოდნელად იარუსზე გამოჩნდა ცნობილი ამერიკელი კინოვარსკვლავი, იმ დროს მსოფლიოს ულამაზეს ქალად აღიარებული რიტა ჰეიუორთი.

დარბაზში მყოფთაგან ყველას იქითკენ მიეღრიცა კისერი და გაოგნებული მიაჩერდნენ „სილამაზის ქალღმერთს“, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა მათ.

არ ვიცი, რიტა ჰეივორთი რა მოსაზრებით იქნა მოპატიჟებული ნიურნბერგის სამსჯავროზე, ის კი ცნობილია, რომ მისი პორტრეტი „ამშვენებდა“ პირველ ატომურ ყუმბარას, რომელიც ამერიკელებმა ჩამოაგდეს ხიროსიმაში. შესაძლებელია, ესეც „ტიპიური ამერიკული ხუმრობა“ იყო ან ჭირვეული ასოციაციის შედეგი, აქაოდა, რიტა ჰეივორთსაც ხომ „სექს-ყუმბარას“ ეძახიანო. მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქალი და ყველაზე ძლიერი ყუმბარა! ნუთუ წარმოსახვის თუნდაც ჯამბაზურ ნახტომს შეუძლია მათ შორის რამე საერთოს აღმოჩენა?! ან იქნებ ვინმემ იფიქრა, ეს „თეძოებით მოაზროვნე“ ლამაზმანი ცვლის ჩვენს დროში მართლმსაჯულების ქალღმერთ თემიდასო. ყოველ შემთხვევაში, ის ატომური „სექს-ყუმბარა“ ისე დაჰყურებდა სხდომის დარბაზს, რომ არც თვალები ჰქონდა ახვეული და არც სასწორი ეჭირა ხელში. ის კი არა, მკერდი ისე ჰქონდა მოღერილი და კაბა წელამდე ჩაჭრილი, რომ ორიოდე დღის შემდეგ ფრანკის საკანში შესულმა ჯილბერტმა ჰკითხა ბრალდებულს, სექსუალური კოშმარები ხომ არ გაწუხებენო...

... ამ მოულოდნელი „სენსაციის“ შთაბეჭდილება რომ მინელდა, ყველანი ისევ ბრალდებულებს მიაჩერდნენ. ვიღაც ტურისტებივით უხსნიდა მათ, ვინ — ვინ იყო და ხელსაც მოურიდებლად იშვერდა საბრალდებო სკამებისაკენ.

— ისე გვათვალიერებდნენ, თითქოს მხეცები ვყოფილიყავითო, — წერს ფრიჩე. არც ბრალდებულები იკავებდნენ ამისგან თავს. ისინი უფრო ბრალმდებელთა მაგიდებისაკენ იყურებოდნენ და ჟესტების მიხედვით ცდილობდნენ „მათი ხასიათის გამოცნობას“. შტრაიხერი კი აქაც არ ღალატობდა თავის ანტისემიტურ პროფესიას და არკვევდა, რამდენი ებრაელი იყო ბრალმდებელთა შორის. ამის გამო-

ცნობა მე ერთი შეხედვითაც შემიძლიაო, — ტრაბახობდა იგი...

... საათის ისარი მიუახლოვდა ათს. ყველამ თავის სავარძელს მიაშურა. ეს სავარძლები რადიოფიცირებული იყო. მარჯვენა სახელურთან ყველგან მიმაგრებული ჰქონდათ გადამრთველი და ყურმილი. დარბაზში მყოფთ შეეძლოთ ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ ან გერმანულ ენაზე მოესმინათ პროცესის მიმდინარეობა. მე პირველად ვნახე თარგმნის ასეთი რთული პროცედურა. პროფესიულმა ინტერესმა შემიპყრო და კარგად გავეცანი ამას. ყურიც მოვკარი, რომ ასეთ სინქრონულ თარგმანს ჩვენში, თურმე, „კომინტერნულ სისტემას“ უწოდებდნენ. ალბათ, კომინტერნის სხდომებს ატარებდნენ ასე და იმიტომ. ამ წესით თარგმნა მართლაც ძნელია. დარბაზის ტრიბუნაზე, თავმჯდომარის მაგიდაზე და სხვაგანაც დგას მიკროფონები, რომლებიც შეერთებულია მთარგმნელთა ჯიხურებთან, იქიდან კი ყველა სავარძელთან. ვთქვათ, ტრიბუნაზე დგას ორატორი და ლაპარაკობს ინგლისურად. მის სიტყვებს თავიანთ ჯიხურებში ყურმილით ისმენენ გერმანელი, ფრანგი და რუსი მთარგმნელები და უმალვე თარგმნიან ზეპირად. ყოველ მათგანს წინ მიკროფონი უდგას. ამ მიკროფონების საშუალებით ინგლისური სიტყვები, უკვე სამ სხვადასხვა ენაზე თარგმნილი, მოჰყვება სამ არხს სავარძლებისაკენ, სადაც ინგლისურთან ერთად უერთდება მონაწილის ყურმილს. აქ ყველა იმ ენას ირჩევს, რომელიც უკეთ იცის. გადასწევს ნომერ პირველ გადამრთველს — ესმის გერმანულად, გადასწევს მეორეს — ინგლისურად, მესამეს — რუსულად, მეოთხეს — ფრანგულად. ამასთან, უდიდესი ყურადღება ექცევა თარგმნის სიზუსტეს. მთარგმნელთა ჯიხურები უერთდება საკონტროლო სამსახურის ოთახს, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ტრიბუნალის თავმჯდომარესთან. საკმარისია თუნდაც ერთი წინადადება არასწორად ითარგმნოს, რომ საკონტროლო სამსახურიდან მაშინვე მისცემენ სიგნალს. ტრიბუნალის თავმჯდომარის მაგიდასთან აენთება სპეციალური სასიგნალო ელექტრონათურა და... ლოურენსი

მაშინვე ხის ჩაქუჩს დაჰკრავს მაგიდას. პროცესი წყდება, ვიდრე შეცდომა არ გასწორდება.

მთარგმნელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩემი იქ ყოფნის დროს სულ რამდენიმე შემთხვევა თუ იყო, როცა ტრიბუნალის თავმჯდომარეს მოუხდა გამოეყენებინა თავისი „ისტორიული ჩაქუჩი“, რაც ტრადიციის მიხედვით მართლმსაჯულების სიმბოლოს წარმოადგენდა. ეს ჩაქუჩი, თურმე, ადრე რუზველტს ეკუთვნოდა და გამოყენებული ყოფილა მისი პრეზიდენტად არჩევის დროს. შემდეგ რუზველტს ის მოსამართლე ბიდლისათვის უჩუქებია. ბიდლს, როგორც ამბობენ, იმედი ჰქონდა, ტრიბუნალის თავმჯდომარედ ამირჩევენო და თავისი ძვირფასი რელიკვია თან წამოუღია ნიურნბერგში. აქ კი თავმჯდომარედ ლოურენსი აირჩიეს. ბიდლმა თავისი ჩაქუჩი თავაზიანად დაუთმო მას, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ის მაშინვე მოიპარეს სუვენირების მოყვარულებმა. ლოურენსი იძულებული გახდა სხვა ჩაქუჩით „შეიარაღებულიყო“...

... 1945 წლის 20 ნოემბერი პროცესის დაწყების დღეა. ზუსტად 10 საათზე დარბაზში გაისმის ბოუკერის ხმა:

— ყურადღება, სასამართლო მობრძანდება!..

ყველა ფეხზე დგება. დარბაზში „თემიდას ქურუმები“ შემოდიან — ჯერ ფრანგები: დ. დეფაბრი და რ. ფალკო; მერე — ამერიკელები: ფ. ბილი და ჯ. პარკერი; ინგლისელები: ჯ. ლოურენსი და ლორდი ბირკეტი; საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები: ი. ნიკიტჩენკო და ა. ვოლჩკოვი. ისინი მსუბუქად უკრავენ თავს დარბაზში მყოფთ და იკავებენ თავიანთ ადგილებს.

ტრიბუნალის თავმჯდომარეა ლორდი ჯეფრი ლოურენსი — ხანშიშესული, სიმპათიური მამაკაცი, მაღალი შუბლით, წყნარი თაფლისფერი თვალებითა და ტიპიური ბრიტანული ოთხკუთხა ნიკაპით.

იგი წარმოთქვამს შესავალ სიტყვას:

— პროცესი, რომელიც ახლა უნდა დაიწყოს, ერთადერთია მსოფლიო იურისპრუდენციის ისტორიაში და მას

უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე მცხოვრებ მილიონობით ადამიანისათვის. ამიტომ ყველას, ვინც რამე მონაწილეობას იღებს ამ პროცესში, ეკისრება უზარმაზარი პასუხისმგებლობა: პატიოსნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი მოვალეობა, ყოველგვარი დაუდევრობის გარეშე, კანონისა და მართლმსაჯულების წმიდათაწმიდა პრინციპის მიხედვით.

მე უნდა მოვაგონო ყველას, ვინც ამ დარბაზში იმყოფება, რომ ტრიბუნალი მტკიცედ დაიცავს დადგენილ წესებს და მკაცრ ზომებს მიიღებს ამის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, ლოურენსი მადლობას უხდის ტრიბუნალის აპარატს, რომ დამცველებს საშუალება მიეცათ, გასცნობოდნენ ყველა საჭირო დოკუმენტს, რითაც შეექმნათ აუცილებელი პირობა თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად.

ამის შემდეგ ლოურენსმა გამოაცხადა პროცესის მიმდინარეობის წესრიგი:

1. საბრალდებო აქტის წაკითხვა.

2. შეკითხვები ბრალდებულებს: ცნობენ თუ არა ისინი თავს დამნაშავედ.

3. ბრალმდებლები წარმოთქვამენ შესავალ სიტყვას.

4. მოსამართლენი ეკითხებიან ბრალდებისა და დაცვის მხარეს, თუ რა დოკუმენტებს ადგენენ ისინი.

5. ბრალდებისა და დაცვის მოწმეების დაკითხვა.

6. ტრიბუნალს ყოველთვის შეუძლია მისცეს შეკითხვა მოწმეებს ან ბრალდებულებს.

7. ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შეუძლიათ ბრალდებულები, როგორც მოწმეები, გამოიძახონ ჯვარედინ დაკითხვაზე.

8. დამცველების გამოსვლა.

9. ბრალმდებლების გამოსვლა.

10. ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები.

11. განაჩენი და სასჯელი.

ბუნებრივია, რომ ჩემი თხრობაც ამ რიგს მიჰყვება...

იწყება საბრალდებო აქტის კითხვა. ოთხივე ქვეყნის ბრალდების წარმომადგენლები რიგრიგობით კითხულობენ მას თავ-თავიანთ ენაზე. ეს პროცედურა ხუთ საათს გრძელდება. წესი წესია, თორემ დარბაზში მყოფ ოფიციალურ პირთაგან არავინაა ისეთი, ვისაც ერთხელ ან რამდენჯერმე არ ჰქონდეს წაკითხული ეს დოკუმენტი, ბრალდებულებს მით უმეტეს, გარდა ჰესისა, რომელიც ამბობდა, სულაც არ მაინტერესებს, რა წერია იმ აქტშიო. იგი დარბაზში ერთხანს რომანს კითხულობდა, შემდეგ, კუჭი მტკივაო, მოიმიზეზა და მცველებმა დააბრუნეს თავის საკანში. სხვები ხან ისმენენ ხან ყურშილს იძრობენ და მოსამართლეებს აკვირდებიან. ზოგიერთი ძილს ებრძვის, ამთქნარებს ან თვლემს. ფრიჩე წერს, თუ ვინმე ხვრინვას ამოუშვებდა, მუჯლუგუნს წავკრავდით და ვაღვიძებდითო...

... ტრიბუნალის სხდომები იწყებოდა დილის 10 საათზე და გრძელდებოდა 13 საათამდე. შემდეგ ცხადდებოდა ერთი საათის შესვენება და 14 საათიდან 17 საათამდე ისევ განაგრძობდნენ მუშაობას...

შესვენების დროს ბრალდებულებს ხის მოაჯირის კარს უღებდნენ და დამცველებთან საუბრის ნებას აძლევდნენ. ისინი მიდიოდნენ თავ-თავიანთ ვექილებთან და სხდებოდნენ მათ რბილ სავარძლებში. ფრიჩე წერს:

— ჩვენი მაგარი სკამების შემდეგ, ეს შესანიშნავი კომფორტი იყოო.

ყველაზე მეტი „ბედნიერება“ ამ მხრივ გერინგს ერგო. მან, როგორც იქნა, მიაღწია, რომ მისთვის რბილი სავარძელი დაედგათ. ეს სავარძელი დილით შემოჰქონდათ და საღამოთი გაჰქონდათ პოლიციელებს. ვიდრე ამგვარ „კომფორტს“ მოიწყობდა, თავის საბანს დაატარებდა, კეცავდა, სკამზე დებდა და ისე ჯდებოდა.

მეორე საუზმეც დარბაზში შემოჰქონდათ მათთვის. ეჭირათ ხელში თეფში, საუბრობდნენ დამცველებთან და...

— ახ, რა კარგი იყო ეს! — წერდა ფრიჩე.

მართალია, პაპიროსის მოწევის ნებას არ აძლევდნენ, მაგრამ გერინგი ამ შემთხვევაშიც გამონაკლისი იყო. მას ვილაცამ ერთი სიგარეტი შეუთავაზა და იქვე გააბოლა. სხვები პაპიროსის მოსაწევად დარბაზიდან გაჰყავდათ...

... შესვენების შემდეგ სტუმართაგან ბევრი წავიდა. სენსაცია დამთავრდა. დანარჩენი უკვე მოსაწყენი იყო. ის „ცისკრის ვარსკვლავიც“ გაქრა. მხოლოდ კორესპონდენტები ფუსფუსებდნენ და მსოფლიოს ყველა კუთხეში გზავნიდნენ ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო ეს „ისტორიაში არნახული“ პროცესი. ყოველ მათგანს სამკლავურზე ჰქონდა იმის მაუწყებელი წარწერა, თუ რომელ ქვეყანას წარმოადგენდა: „დანია“, „ნორვეგია“, „ავსტრია“, „ეგვიპტე“ და ა. შ. მთელი სამყაროს რუქა იყო აქ წარმოდგენილი. ყველა ქვეყანა ელოდა ახალ ცნობებს ნიურნბერგიდან. კორესპონდენტები ახერხებდნენ კიდეც მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას...

...საბრალდებო აქტის კითხვა დამთავრდა, ლოურენსმა გამოაცხადა:

—ეხლა მე შევეკითხები ბრალდებულებს, სცნობენ თუ არა წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ. ისინი რიგრიგობით უნდა მივიდნენ მიკროფონთან და უპასუხონ ამ კითხვას. ჰერმან გერინგი.

გ ე რ ი ნ გ ი: ვიდრე მაღალი სამსჯავროს მიერ დასმულ კითხვას ვუპასუხებდე, ვცნობ თუ არა თავს დამნაშავედ...

ლ ო უ რ ე ნ ს ი: დადგენილი წესის მიხედვით, ბრალდებულებს პროცესის ამ ეტაპზე განცხადების ნება არ ეძლევათ. თქვენ მხოლოდ ამ კითხვას უნდა უპასუხოთ: სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ.

გ ე რ ი ნ გ ი: მე არ ვცნობ თავს დამნაშავედ იმ აზრით, როგორც ეს წარმოდგენილია საბრალდებო აქტში.

ლ ო უ რ ე ნ ს ი: რუდოლფ ჰესი.

ჰ ე ს ი: არა. თავს ვცნობ დამნაშავედ მხოლოდ ღმერთის წინაშე.

ლ ო უ რ ე ნ ს ი: ეს იმას ნიშნავს, რომ თავს არ ცნობთ დამნაშავედ (სიცილი დარბაზში). პროცესის მიმდინარეობის დროს თუ ოდნავი ხმაური იქნა, წესრიგის დამრღვევს ვაიძულებ, დატოვოს დარბაზი. იოახიმ ფონ რიბენტროპი.

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: თავს არ ვცნობ დამნაშავედ იმ აზრით, როგორც ეს წარმოდგენილია საბრალდებო აქტში.

ლ ო უ რ ე ნ ს ი: ვილჰელმ კაიტელი.

კ ა ი ტ ე ლ ი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ.

ლ ო უ რ ე ნ ს ი: მიუხედავად იმისა, რომ კალტენბრუნერი არ ესწრება ტრიბუნალის სხდომას, მისი საქმის წარმოება გრძელდება. როცა იგი იმდენად გამოჯანმრთელდება, რომ შესაძლებელი გახდება სამსჯავროზე მოყვანა, მიეცემა საშუალება უპასუხოს კითხვას: ცნობს თუ არა თავს დამნაშავედ. ალფრედ როზენბერგი.

რ ო ზ ე ნ ბ ე რ გ ი: მე არ ვცნობ თავს დამნაშავედ იმ აზრით, როგორც ეს წარმოდგენილია საბრალდებო აქტში.

და შემდეგ:

ჰ ა ნ ს ფ რ ა ნ კ ი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ.

ვ ი ლ ჰ ე ლ მ ფ რ ი კ ი: არ ვარ დამნაშავე.

ი უ ლ ი უ ს შ ტ რ ა ი ხ ე რ ი: არ ვარ დამნაშავე.

ვ ა ლ ტ ე რ ფ უ ნ კ ი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ:

შ ა ხ ტ ი: არაფერში არ ვარ დამნაშავე.

კ ა რ ლ დ ე ნ ი ც ი: არ ვარ დამნაშავე.

ე რ ი ხ რ ე დ ე რ ი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ.

ბ ა ლ დ უ რ ფ ო ნ შ ი რ ა ხ ი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ იმ აზრით, როგორც ეს წარმოდგენილია საბრალდებო აქტში.

ფ რ ი ც ზ ა უ კ ე ლ ი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ იმ აზრით, როგორც საბრალდებო აქტშია წარმოდგენილი — არც ღმერთის, არც სამყაროს და არც ჩემი ხალხის წინაშე.

ა ლ ფ რ ე დ ი ო დ ლ ი: არ ვარ დამნაშავე. ყველაფერში, რასაც ვაკეთებდი თუ უნდა გამეკეთებინა, ჩემი სინდისი სუფთაა ღმერთის, ისტორიისა და ხალხის წინაშე.

ფრანც ფონ პაპენი: არავითარ შემთხვევაში არ ვცნობ თავს დამნაშავედ.

არტურ ზეის-ინკვარტი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ.

ალბერტ შპეერი: არ ვარ დამნაშავე.

კონსტანტინ ფონ ნოირატი: თქვენს კითხვაზე მე ვუპასუხებ: არა!

ჰანს ფრიჩე: წარმოდგენილ ბრალდებაში არ ვარ დამნაშავე.

გერინგი დგება და ცდილობს მიმართოს ტრიბუნალს.

ლოურენსი: ახლა, ამ ეტაპზე, თქვენ უფლება გაქვთ მიმართოთ ტრიბუნალს მხოლოდ თქვენი დამცველის მეშვეობით.

გერინგი უკმაყოფილოდ აქნევს თავს და ჯდება.

კალტენბრუნერი მხოლოდ 10 დეკემბერს გამოჩნდა დარბაზში. ამის გამო ლოურენსმა განაცხადა:

— ტრიბუნალმა იცის, რომ ბრალდებული კალტენბრუნერი ესწრება სხდომას. ვთხოვ მას ადგეს (კალტენბრუნერი დგება). წესდების 24-ე მუხლის მიხედვით, თქვენ უნდა უპასუხოთ კითხვას, სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ.

კალტენბრუნერი: მე ვცნობ თავს უდანაშაულოდ (დარბაზში სიცილი)...

ბოლნეგის ხარკი...

ამის შემდეგ შესავალი სიტყვა წარმოთქვა ამერიკელმ-ბრალმდებელმა ჯეკსონმა:

— ბატონო მოსამართლენო, — თქვა მან, — ისტორიაში ეს არნახული პროცესი მძიმე პასუხისმგებლობას გვაკისრებს. დანაშაულობანი, რომელთა დაგმობას და დასჯას მივესწრაფით, იმდენად წინასწარგამიზნულია და ისეთი დამანგრეველი ძალისაა, რომ ცივილიზაციას არ შეუძლია მათი მოთმენა ან უგულებელყოფა, რადგან იგი დაიღუპება, თუკი ყოველივე ეს განმეორდა. ის ფაქტი, რომ გამარჯვებით გალაღე-

ბულმა და გაღებული მსხვერპლით შეძრწუნებულმა ოთხმა დიდმა სახელმწიფომ შეაჩერა შურისძიებისათვის აღმართული ხელი და თავიანთი დატყვევებული მტრები გადასცა სამართლიანობის სამსჯავროს, წარმოადგენს ყველაზე დიად მაგალითს იმ ხარკისას, რასაც ხელისუფლება უხდის გონებას.

სასამართლო გარჩევას იმიტომ ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა, რომ ეს ტუსაღები წარმოადგენენ უბოროტეს ძალებს, რაც კიდევ დიდხანს იქნება მიმალული, მას შემდეგაც, რაც ამათი სხეულები ფერფლად იქცევა. ესენი არიან რასობრივი სიძულვილისა და ტერორის, ძალადობის, ქედმაღლობისა და სისასტიკის ცოცხალი სიმბოლოები. ჩვენ დიდი მოთმინებითა და თავშეკავებით ნათელვყოფთ, თუ რანი არიან ეს ადამიანები, რისთვისაც წარმოგიდგენთ მათ მიერ ჩადენილი გაუგონარი ბოროტების უცილობელ საბუთებს. დანაშაულობათა რიცხვში იქნება ყველაფერი, რისი მოფიქრებაც შეუძლია პათოლოგიურ სიამაყეს, სისასტიკისა და ძალაუფლების წყურვილს. „ფიურერობის“ პრინციპის მიხედვით, ამ ადამიანებმა გერმანიაში ისეთ ნაციონალ-სოციალისტური დესპოტიზმი შექმნეს, რომლის შედარება შეიძლება მხოლოდ უძველეს აღმოსავლურ დინასტიებთან. მათ ახადეს გერმანელ ხალხს ყოველგვარი ღირსება და წაართვეს თავისუფლება, რაც ჩვენ ბუნებრივად და უცილობლად მიგვაჩნია ყველა ადამიანისათვის. თუ ესენი დამარცხებული ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელთაგან არიან პირველნი, რომელთაც ბრალი ედებათ კანონის სახელით, იმავე დროს, ესენი არიან პირველნი, რომელთაც შეუძლიათ კანონის ძალითვე დაიცვან თავიანთი თავი... იმის მიუხედავად, რომ მათი დანაშაულებრივი მოქმედებანი საყოველთაოდ ცნობილია, ჩვენ თანახმა ვართ აქ იმ მოსაზრებიდან გამოვიდეთ, რომ ისინი უდანაშაულონი არიან და ვიკისროთ მათი დანაშაულისა და პასუხისმგებლობის დამტკიცება. ჩვენ არ მოვითხოვთ დანაშაულის აღიარებას მანამ, ვიდრე არ დამტკიცდება, რომ ის ჩადენილია.

ჩვენ არც ისეთ არაკანონიერ მოქმედებას გამოვედავებით, რაც ადამიანური სისუსტითაა გამოწვეული და შეიძ-

ლება ბევრ ჩვენთაგანსაც ჩაედინა, მსგავს სიტუაციაში რომ მოხვედრილიყო... ჩვენ არ მოვითხოვთ ტრიბუნალისაგან, მსჯავრი დაადონ ბრალდებულთ მხოლოდ მათი მტრების ჩვენების მიხედვით. საბრალდებო აქტში არ არის არც ერთი მუხლი, რომლის დამტკიცება არ შეიძლებოდეს მათივე წიგნებითა და დოკუმენტებით.

გვინდა აგრეთვე ყველამ გაიგოს, რომ არ ვაპირებთ ბრალი დავდოთ მთელ გერმანელ ხალხს. ჩვენ ვიცით, რომ ნაცისტურმა პარტიამ მიიღო ძალაუფლება არაუმრავლესობის შეხარის დაჭერით. გერმანელ ხალხს თვითონ რომ სდომებოდა ნაცისტური რეჟიმი, საჭირო არ იქნებოდა მოიერიშეთა რაზმები, საკონცენტრაციო ბანაკები და გესტაპო. გერმანელებმა უნდა იცოდნენ, რომ ამერიკელებს არ სურთ მათი დაშინება და არც განიცდიან სიძულვილს. მართალია, მათ ჩვენ ნამდვილად გვასწავლეს თანამედროვე ომის საშინელება, მაგრამ გერმანული ქალაქებისა და სოფლების ნანგრევები რაინსა და დუნაის შორის ამტკიცებენ, რომ ჩვენ, მოკავშირენი, ნიჭიერი მოწაფეები აღმოვჩნდით. ჩვენ ვერ შეგვაშინა გერმანელების სამხედრო ძლიერებამ და უნარმა. ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ისინი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თვალსაზრისით მომწიფებული ხალხია, მაგრამ პატივს ვცემთ გერმანელების ნიჭს მშვიდობიანი ხელოვნების განვითარებაში, მათ ტექნიკურ განათლებას, თვითდისციპლინას, ნაყოფიერ მუშაობას და სიფხიზლეს...

მიუხედავად ამისა, ჯექსონი იძულებული იყო განეცხადებინა:

— ნაცისტურმა კოშმარმა თვით სიტყვას — „გერმანელი“ მისცა შემაძრწუნებელი მნიშვნელობა, რომელიც ასევე იქნება დაკავშირებული ამ სიტყვასთან მთელი საუკუნის განმავლობაში. გერმანელებს უფლება აქვთ, არანაკლები ანგარიში წარუდგინონ ამის გამო ბრალდებულებს, კიდრე დანარჩენ მსოფლიოს.

ჯექსონმა მოიყვანა დანაშაულებათა შემაძრწუნებელი მაგალითები. ბრალდებულები სულგანაბული უსმენენ მის სიტყვას. დარბაზი დაძაბულია. ეს არის ნერვებისა და ნების-

ყოფის გამოცდა. ზოგი გაფითრებული და გაოგნებულია, ზოგს ნერვული სპაზმები მოსდის და გაჰყავთ დარბაზიდან.

— ჩვენი საუკუნე წარმოადგენს ცივილიზაციის მწვერვალს, — განაგრძობს ჯეკსონი, — რომლის სიმაღლიდანაც შეგვიძლია მფარველის თვალებით გადავხედოთ გასული საუკუნეების შეცდომებს, იმ თვალსაზრისით, რასაც ეწოდება პროგრესი...

ჯეკსონმა კიდევ დიდხანს ილაპარაკა საბრალდებო აქტის პირველი პარაგრაფის („შეთქმულება მშვიდობის წინააღმდეგ") გარშემო და, ბოლოს, გაჯავრებულმა განაცხადა, რომ ამერიკას, ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე, ორჯერ უხდება ოკეანის გაღმა ახალგაზრდობის სისხლის საღვრელად გაგზავნა გერმანიის მიერ ატეხილი ომის გამო.

დასასრულ, მან ასე მიმართა ტრიბუნალს:

— ცივილიზაცია მოითხოვს პასუხს: ნუთუ სამართლის ნორმები ისე ჩამორჩა, რომ უძლურია გაუსწორდეს ასეთი მასშტაბის დანაშაულს, რაც ამგვარი მაღალი თანამდებობის პირებმა ჩაიდინეს. იგი არ მოითხოვს, რომ შეუძლებელი გახადოთ ომები, არამედ ელის, რათა თქვენმა იურიდიულმა მოქმედებამ საერთაშორისო სამართლის ძალები, მისი მცნებები, აკრძალვანი და, უწინარეს ყოვლისა, სანქციები დააყენოს მშვიდობის სამსახურში, რათა ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანებს ჰქონდეთ მშვიდობიანი ცხოვრების უფლება კანონის საფარს ქვეშ...

აქილევსის ჯუსლი...

ინგლისელმა ბრალმდებელმა ჰარტლი შოუკროსმაც აღნიშნა ნიურნბერგის პროცესის ისტორიული მნიშვნელობა:

— ეს პროცესი, — თქვა მან, — იქნება ავტორიტეტული და მიუდგომელი მატიანე, რომელსაც მომავალი ისტორიკოსები ჭეშმარიტების დასადგენად მიმართავენ, პოლიტიკოსები კი გასაფრთხილებლად.

ამიტომაც იყო, რომ ბრიტანელმა ბრალმდებელმა თავისი გამოსვლა უმთავრესად აგრესიული ომების წინააღმდეგ

ბრძოლას მიუძღვნა და, ყოველ მემთხვევისათვის, დასაწყისშივე სცადა, თავიდან აეცდინა მისი ქვეყნის „მაზოლზე ფეხის დადგმის“ საშიშროება:

— ადამიანები, რომელთაც სუფთა სინდისი არა აქვთ, — თქვა მან, — ფიქრობენ, რომ თვითონ კი არა, მოწინააღმდეგენი არიან დამნაშავენი იმაში, რასაც მათ უკიჟინებენ...

ჩერჩილიც ხომ სწორედ ამიტომ იყო ამ პროცესის მოწყობის წინააღმდეგი. დამცველებსაც ეს მიაჩნდათ ბრალდების აქილევსის ქუსლად. ისინი ხომ ეჭვის ქვეშ აყენებდნენ თვით ტრიბუნალის წესდების უფლებამოსილებას, აქაოდა, საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებს აგრესიული ომების გამო პერსონალურ პასუხისმგებლობასო, შოუკროსმაც ამიტომ გაამახვილა ყურადღება ამ საკითხზე:

— ჩვენ მიგვაჩნია, რომ მთლიანად ვერ შევასრულებთ დასახულ ამოცანას როგორც მართლმსაჯულების, ისე მორალის ინტერესების დაცვის საქმეში, — თქვა მან, — თუ არ ვაჩვენეთ, რა ადგილი უჭირავს ამ წესდების დებულებებს საერთაშორისო სამართალში. თუ ამ საკითხს განვიხილავთ განვითარების პროცესში, შესაძლებელია, სწორიცაა, რომ ჯერ არ არის დადგენილი ისეთი საერთაშორისო წესები, რაც შეიძლება უდრიდეს კანონს და, იუსტინიანეს გაგებით, წარმოადგენდეს ნორმას, რასაც სუვერენი ქმნის ქვეშევრდომისთვის, რომელიც უნდა ემორჩილებოდეს მას განსაზღვრული სანქციის შიშით, მაგრამ უკვე 50 თუ კიდევ მეტი წელია, რაც ხალხები მიისწრაფიან შექმნან ნამდვილად მოქმედი მართლმსაჯულების სისტემა საერთაშორისო ურთიერთობათა სტაბილიზაციისა და აგრესიული ომების მოსპობის ან მისი შედეგების შესუსტების მიზნით.

შოუკროსის აზრით, ამ მხრივ, მანამდე დადებულ ყველა შეთანხმებას, ჰააგის ორივე კონვენციას, ვერსალისა და სხვა ხელშეკრულებებს ის ნაკლი ჰქონდათ, რომ უფრო თხოვნას ჰგვანდნენ, ვიდრე კატეგორიულ მოთხოვნას, რის დარღვევაც დანაშაულს უდრის.

შოუკროსის აზრით, საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება ავსებს ამ ხარვეზს. ამიტომაც თქვა მან:

— თუკი ეს სიახლეა და ასეა საჭირო, ცხადია, იგი უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო მიღებული...

იბადება კითხვა: მაინც რა სიახლეა ეს?

— მართალია, აგრესიული ომი მანამდეც იყო აღიარებული უკანონოდ და აკრძალული იყო, მაგრამ ის არ ყოფილა გამოცხადებული, როგორც სისხლის სამართლის დ ა ნ ა შ ა უ ლ ი. ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი, რაც ომების აკრძალვასა და დაგმობას აძლევდა კანონის ძალას, რის დარღვევაც ბუნებრივად იწვევს სასჯელს. ამით ომების დანაშაულებრივად გამოცხადება საერთაშორისო სამართლის ნაწილად იქცა. ასევე უნდა ითქვას, სახელმწიფოს კრიმინალური პასუხისმგებლობის შესახებ, ადრე არც ასეთი რამ არსებობდა. ახლა კი, საერთაშორისო ტრიბუნალის ამ წესდების მიღების შემდეგ, ჩნდება ე. წ. დ ა ნ ა შ ა უ ლ ე ბ რ ი ვ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა და კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი დ ა ს ჯ ი ს ცნება. გარდა ამისა, წესდებაში გარკვევით წერია, რომ დგინდება ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა სახელმწიფოს მიერ ჩადენილ დანაშაულზე. მართლაც, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ხომ აბსტრაქტული ცნება არ არის. მისი უფლებები და მოვალეობები ისევ ადამიანის უფლებები და მოვალეობებია, — თქვა შოუკროსმა...

...აღსანიშნავია, რომ ამის შესახებ არა მარტო საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, არამედ ფილოსოფოსებიც ბევრს მსჯელობენ. ასე, მაგალითად, გერმანელი კ. იასპერსი ერთ-ერთ თავის წიგნში უხსნის ჟურნალ „შტერნის“ რედაქტორს, რუდოლფ აუგშტაინს, რომ არის პრინციპული განსხვავება დ ა ნ ა შ ა უ ლ ე ბ რ ი ვ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელიც დ ა ნ ა შ ა უ ლ ს ს ჩ ა დ ი ს. იასპერსის აზრით, სწორედ ჰიტლერული სახელმწიფო იყო დანაშაულებრივი, რაც უპრეცედენტოა მთელ ისტორიაში. აქ მას აუგშტაინი გამოეკამათა და ვითომ იმის მაგალითიც მოუყვანა, რომ სხვა სახელმწიფოებშიც ჰქონდა ამგვარ დანაშაულს ადგილი: ნაპოლეონმა იაფას დაპყრობის

დროს სამი ათასი ტყვე ჩაიგდო. ტყვეებს თან ახლდნენ ოჯახის წევრები: მშობლები, დები, ძმები, შვილები. ნაპოლეონი ჯერ გათავისუფლებას შეჰპირდა მათ, მერე კი ჯარისკაცებს უბრძანა და დიდიან-პატარიანად ყველანი ხიშტზე ააცმევინა, რათა დახვრეტისათვის საჭირო ტყვია-წამალი დაეზოგა.

ხომ შემაძრწუნებელია ეს ფაქტი, მაგრამ იასპერსი მაინც ხედავდა განსხვავებას იმასთან, რაც გერმანიაში ხდებოდა:

— აქ არის განსხვავება, — უპასუხა მან აუგშტაინს, — სხვა რომ არა იყოს, ის ამბავი წარსულს ეკუთვნის, ამასთან, მაშინ საკითხი ეხებოდა სახელმწიფოს მიერ ჩადენილ დანაშაულს, თვით სახელმწიფო კი არ იყო დანაშაულებრივი, ხოლო ნაცისტური სახელმწიფო დანაშაულებრივია და არა სახელმწიფო, რომელიც დანაშაულს სჩადის.

იასპერსი განმარტავს კიდეც თავის აზრს:

— დანაშაულებრივია ის სახელმწიფო, რომელიც პრინციპში არ ეყრდნობა კანონებს და არ ცნობს იმას, რასაც სამართალი ეწოდება. ამგვარი სახელმწიფოს შექმნა ბრალდებოდათ მთავარ სამხედრო დამნაშავეებს, რომელნიც საკუთარი სურვილებისა და მიზნების გარდა ანგარიშს არ უწევდნენ არავითარ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. იმ მომენტიდან, როცა ჰიტლერი კანცლერი გახდა, პაპენი — ვიცე-კანცლერი, ფონ ნოირატი — საგარეო საქმეთა მინისტრი, თვით ზეცაც კი მოიღრუბლა მსოფლიოს ცაზე. კაცობრიობის იმედებმა თანდათან ჩაქრობა იწყო. ხელშეკრულებებს უკვე აღარ ჰქონდათ საზეიმო ვალდებულებათა ხასიათი. მათ წინასწარგანზრახული ცინიზმით სდებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ შეცდომაში შეეყვანათ სხვა სახელმწიფოები. საერთაშორისო კონფერენციები უკვე ვეღარ ასრულებდნენ სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის ამოცანას.

ჰიტლერმა 1933 წელსვე განუცხადა თავის კაბინეტს, ხელშეკრულებები მხოლოდ მანამ უნდა გამოვიყენოთ, ვიდრე ჩვენს განსაზღვრულ მიზნებს ემსახურებიანო.

შოუკროსმაც ამიტომ თქვა:

— როცა ჰიტლერი თავდაუსხმელობის პაქტს დებდა რომელიმე სახელმწიფოსთან, ეს იმას ნიშნავდა, რომ თავდასხმას ამზადებდა...

მართლაც, 1938 წელს, როცა მას ჩახმახი შემართული ჰქონდა, საჯაროდ განაცხადა:

— ჩვენ მივეცით გარანტიები დასავლეთის სახელმწიფოებს. ჩვენ პირობა დავდეთ უშუალო მეზობლებთან და, რამდენადაც ეს გერმანიას შეეხება, პატივს ვცემთ მათ ტერიტორიულ მთლიანობას. ეს ცარიელი ფრაზა არ არის. ეს ჩვენი წმიდათაწმიდა ნებაა. ჩვენ სრულიადაც არ ვართ მშვიდობის დარღვევაში დაინტერესებული. ჩვენ არაფერი არ გვინდა ამ ხალხებისაგან...

ამ დროს კი კბილებამდე შეიარაღებული მისი დივიზიები „საბრძოლო მზადყოფნაში" იყვნენ და მხოლოდ ნიშანს უცდიდნენ. შემდეგ კი ყველაფერს „ყოვლისშემძლე" სიტყვით, „პოლიტიკით" ამართლებდნენ. პოლიტიკა კი, მათი აზრით, მორალის კანონებს არ ემორჩილება. „პოლიტიკა ბედისწერაა", უთქვამს ნაპოლეონს გოეთესათვის. „რაც უფრო ვებმები პოლიტიკაში, მით უფრო ნაკლებ მჯერა ადამიანურობისა", — განაცხადა ბისმარკმა. ამას შემდეგ ე. წ. „თავისუფალი ხელების პოლიტიკა" მოჰყვა და ვინღა უსმინა უფრო ადამიანურ შეგონებას: „პოლიტიკამ არც ერთი ნაბიჯი არ უნდა გადადგას ისე, რომ ანგარიში არ გაუწიოს მორალის კანონებს". აღარც კანტის ბრძნული სიტყვები გახსენებიათ: „სამართალი კი არ უნდა შეეხამოს პოლიტიკას, არამედ პოლიტიკა — სამართალს. ყველა პოლიტიკოსმა მუხლი უნდა მოიყაროს სამართლის წინაშე"...

პირველშობილი ცოდვა...

ფრანგმა ბრალმდებელმა დე მენტონმაც დიდი მჭევრმეტყველება გამოიჩინა. მან უმთავრესად იდეოლოგიურ საკითხებზე ილაპარაკა, „ძალაუფლებისა და დიქტატურის ბიო-

ლოგიზმზე“, „სისხლის საზოგადოებრივ ფუნქციებზე“, „ვულგარული დარვინიზმის მავნე გავლენაზე“ და განაცხადა:

— ამის შედეგი იყო აზროვნების სისასტიკე გერმანიაში. მათ დაგმეს ჰუმანიზმი, როგორც დეკადანსი. სულიერი ღირებულებანი ავადმყოფობის ნიშნად გამოაცხადეს, იერიში მიიტანეს ქრისტიანიზმის ზნეობრივ პრინციპებზე, რაც ზღუდავდა ადამიანების მხეცურ ინსტინქტებს. გერმანელებმა ასევე დაგმეს დემოკრატიული ლიბერალიზმი და ერთა თანამშრომლობის იდეა.

მენტონის აზრით, ამაში დიდი როლი ითამაშა ნიცშეს ფილოსოფიამ, თუმცა, როგორც მან თქვა, „ზეადამიანურში“ იგი არასოდეს არ გულისხმობდა „არაადამიანურს“.

— მიუხედავად ამისა, ძლიერი პიროვნების კულტი და მაკიაველიზმი აღიარებულ იქნა სახელმწიფოებრივი მართვის უმაღლეს ფორმად, — განაგრძობდა მენტონი, — ყოველივე ამან აღადგინა ბარბაროსობა და შექმნა უცოდველი ხელმძღვანელის ფეტიში.

მართალია, მენტონი ამბობს, რომ ნიცშეს იდეები არ ეგუება ნაციონალ-სოციალისტების უხეშ პრიმიტივიზმს, მაგრამ მაინც მიაჩნია, რომ მან, როგორც ჰუმანიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა და ზეადამიანის კულტის შემქმნელმა, ხელი შეუწყო ნაცისტური იდეოლოგიის ჩამოყალიბებას და რასობრივი ერთიანობის პრინციპის პანგერმანიზმში გადაზრდას.

მენტონის აზრით, პანგერმანისტული იდეები პირველად ფიხტემ წამოაყენა. ომის აპოლოგიაც ფიხტედან და ჰეგელიდან მოდისო, — თქვა მან.

ამრიგად, ნიურნბერგის პროცესის საბრალდებო სიტყვებშიც გაისმა გერმანელი ფილოსოფოსების — ფიხტეს, ჰეგელის და ნიცშეს სახელები. შეიძლება, ამის მოსმენა არც ისე სასიამოვნო იყო, მაგრამ ასე კი მოხდა. შემდეგ რატცელიც ახსენეს, დიკსი და ლამპრეხტიც, რომელთაც „სასიცოცხლო სივრცის“ თეორია შექმნეს. მათვე ეკუთვნის „გერმანული ჰეგემონიის“ იდეა. ამ იდეას ჩაეჭიდა ჰიტლერი და დესპოტური რეჟიმის

ძალით გერმანია უზარმაზარ ყაზარმას დაამსგავსა. მენტონმა თქვა:

— მითი რასობრივი ერთიანობის შესახებ ნაცისტური გერმანიის რელიგიად იქცა. აღორძინდა პირველყოფილი გერმანული ბარბაროსობა. იგი დაუპირისპირდა თანამედროვე ცივილიზებულ ევროპას. სისასტიკისა და ნგრევის პათოსი დაეუფლა გერმანულ აზროვნებასაც. ძალის კულტი და საერთაშორისო კანონების უარყოფა ბუნებრივად მივიდა აგრესიული რომების მომზადებამდე, რითაც გ ო ნ ე ბ ა მ დათმო თავისი პოზიციები ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს წინაშე...

... ნიურნბერგის პროცესზე ამის შესახებ სრულიად უკომპრომისო მოსაზრებები იქნა გამოთქმული. ისევ გაისმა ჰიტლერის შემზარავი სიტყვები: „მე ვათავისუფლებ კაცობრიობას გონების ძალადობისაგან". ფრანსუა დე მენტონმა სწორედ ამას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. მისი გამოსვლის დედაძარღვს წარმოადგენდა მტკიცება, რომ ჰიტლერელების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი არის დანაშაული არა მხოლოდ კაცობრიობის, მშვიდობის ან ადამიანურობის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, „გ ო ნ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ".

— მე უნდა მოვიხსენიო დოქტრინა, — თქვა მან, — რაც უარყოფს ყოველგვარ გონებრივ და მორალურ ღირებულებას, რის საშუალებითაც ადამიანები ათასეული წლების მანძილზე ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ თავიანთი არსებობა. ამ დოქტრინას მიზანია კაცობრიობის შემობრუნება ბარბაროსობისაკენ, მაგრამ არა პირველყოფილი ადამიანების ბუნებრივი და თვითწარმოშობილი ბარბაროსობისაკენ, არამედ შეგნებულისა და დემონურისაკენ, რისთვისაც გამოყენებულ იქნა მატერიალური საშუალებანი, რასაც მეცნიერება სთავაზობს ადამიანს. სწორედ გ ო ნ ე ბ ი ს ა მ წ ა ბ ი ლ წ ვ ა შ ი ი მ ა ლ ე ბ ა ნ ა ც ი ო ნ ა ლ-ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს პ ი რ ვ ე ლ შ ო ბ ი ლ ი ც ო დ ვ ა, რ ი ს გ ა ნ ა ც გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს ყ ვ ე ლ ა დ ა ნ ა შ ა უ ლ ი...

სწორედ ასე იყო ნათქვამი ყ ვ ე ლ ა დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ო,

და გარა ამის გამოც არ არის ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ღირსი?..

... პროცესზე ისიც ითქვა, რომ ამ საზარელი დოქტრინის მთავარი პრინციპი არის რასობრივი თეორია: ამ თეორიის მიხედვით, გერმანულ-არიული რასის არსებობა წარმოადგენს საწყის და ბუნებრივ მდგომარეობას. გერმანელებს, როგორც ინდივიდუმებს, შეუძლიათ იარსებონ მხოლოდ რასობრივ ერთიანობაში და გაიგონ საკუთარი თავი, როგორც ამ ერთიანობის ნაწილი. მათი თავისუფლებაც ამ ფარგლებითაა განსაზღვრული. იგი ეროვნული ორგანიზმის ნაწილია, რომლის მამოძრავებელ ძალას სისხლი წარმოადგენს. ვინც არიელია, იმის ძარღვებში ისეთი სისხლი უნდა ჩქეფდეს, როგორიც ერის ორგანიზმს ამოძრავებს და მის პოლიტიკას განსაზღვრავს. ამას ეწოდება ძალაუფლების ან დიქტატორობის ბიოლოგიზმი.

მენტონის აზრით, ამ შემთხვევაში, სულისა და სხეულის ერთიანობაა მთავარი ფაქტორი. ადრინდელი რწმენა, თითქოს სხეული სახელმწიფოს ეკუთვნის, სული კი ღმერთს, მიუღებელია. ადამიანი სულითაც და სხეულითაც გერმანული ერისა თუ გერმანული სახელმწიფოს საკუთრებაა. მორალური შეგნება ონტოგენეტიკური ევოლუციის შედეგია, უბრალო ფიზიოლოგიური ფუნქცია, რაც ადამიანის მხეცურ ბუნებას ახასიათებს. ამიტომ, მორალური შეგნებაც მემკვიდრეობის კანონებსა და რასის ინტერესებს ემორჩილება. თავისთავად ცალკეულ ინდივიდს არავითარი ღირებულება არა აქვს. იგი მნიშვნელოვანი ხდება, როგორც რასის შემადგენელი ელემენტი. ნაცისტური დოქტრინის მიხედვით, ერი და რასა სინონიმური ცნებებია. ამიტომ ინდივიდს არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ინტერესი ან მიზანი, რაც არ ეთანხმება ეროვნულსა თუ რასობრივ დოქტრინას. თუ ასეთი წარმოიშვა, ის უნდა აღიკვეთოს. ამით ნაციონალ-სოციალიზმმა სრულიად დათრგუნა პიროვნება, უარყო მისი თავისთავადი ღირებულება და აბსოლუტურად დაუმორჩილა სახელმწიფოს. ეს იგივეა, რაც პირველყოფილი ბარბაროსული ტომების ყოფა: გაუქმებულია ცივილიზაციის

მრავალსაუკუნოვანი მონაპოვარი, საერთოდ აღიარებული მორალის, სამართლისა და უფლების ყველა პრინციპი და სხვ. ამასთან, „დადგენილ იქნა“ რასების უთანასწორობისა და შინაარსობრივი გრადაციის ფაქტი. გაჩნდა უფსკრული ე. წ. „მაღალ“ და „დაბალ“ რასებსა და ერებს შორის. ამის შედეგი იყო ხალხთა მეგობრობის ცნების ტოტალური უარყოფა და „დაბალი“ რასების არსებობის უფლების ჯერ ეჭვის ქვეშ დაყენება, ხოლო შემდეგ —სრული მოსპობა. მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, თუ რა ციინიკური პირდაპირობით ქადაგებდნენ ამას გერმანელი ნაცისტები. პროცესზე წაიკითხეს რომელიღაც გერმანულ გაზეთში, ჯერ კიდევ 1935 წლის 13 ივნისს დაბეჭდილი მოწოდება:

— ტოტალური ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდება. „სრულ გამარჯვებაში“ იგულისხმება დამარცხებული ხალხების მთლიანად მოსპობა, მათი ისტორიის არენიდან გაქრობა...

— სხვა სახელმწიფოების მოსპობა! — ეს იყო არა მარტო უ ფ ლ ე ბ ა, არამედ მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ც, — განაცხადა მენტონმა და ჩამოთვალა:

— „საფრანგეთის მოსპობა“, „ინგლისის მოსპობა“, „პეტერბურგის მოსპობა“, „სლავების მოსპობა“, — აი, მათი დოკუმენტების ღაღადი. და არა მარტო დოკუმენტების, საქმეებისაც.

მენტონს ხელები უკანკალებდა და ისე კითხულობდა გერმანელი ოფიცრის ფონ ბრედოვსკის დღიურს:

— ორადურში მცხოვრები ყველა მამაკაცი დავხვრიტეთ. ქალები და ბავშვები დაიმალნენ ეკლესიაში. ეკლესიას ცეცხლი წავუკიდეთ. ყველა დაიღუპა...

— მოკლედ, გარკვეულად, შემზარავად! — წამოიძახა მენტონმა, სათვალე მოიძრო, უზარმაზარი თეთრი ცხვირსახოცით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და დაასკვნა:

— ნაცისტური ომი ეს ფანატიკური რელიგიური ომია: მოსპობა ან თავის რწმენაზე გადმოყვანა. ასეთია მათი მიზანი...

ბოლოს, მენტონი მიუბრუნდა ტრიბუნალის წევრებს და განაცხადა:

— საფრანგეთი, რომელსაც სისტემატურად ძარცავდნენ და ანადგურებდნენ; საფრანგეთი, რომლის შვილები აწამეს და დახოცეს გესტაპოს ჯურღმულებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში; საფრანგეთი, რომელმაც გადაიტანა კიდევ უფრო მეტი საშინელება — გამხრწნელი მორალური ზეგავლენა და ბარბაროსულ მდგომარეობაში დაბრუნების იძულება, რასაც სატანური დაჟინებით ატარებდა ნაცისტური გერმანია; აი, ეს საფრანგეთი მოითხოვს თქვენგან, და მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული ჰეროიზმის ყველაზე ნათელი სახეების სახელით, ვინც თავი შესწირა წინააღმდეგობის ფრონტს:

— დაე, აღსრულდეს მართლმსაჯულება!..

...ტრიბუნაზეა საბჭოთა ბრალმდებელი რ. რუდენკო. როგორც კი იგი იწყებს ლაპარაკს, გერინგი დემონსტრაციულად იხსნის ყურმილს და აგრძნობინებს ყველას, რომ არ უსმენს.

— რატომ მოიხსენით ყურმილი და არ უსმინეთ საბჭოთა ბრალმდებლის გამოსვლას? — ჰკითხა მას სხდომის შემდეგ ჯილბერტმა.

— ეჰ, მე ისედაც ვიცოდი, რას იტყოდა იგი, — მიუგო გერინგმა.

სრული სიმართლეა. რა თქმა უნდა, იცოდა. ან როგორ შეეძლო, არ სცოდნოდა, როცა თვითონ ხელმძღვანელობდა იმ საზარელ დანაშაულებას, რასაც გერმანელები სჩადიოდნენ საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამის შესახებ, ახლა კი ის უნდა დავუმატოთ, რომ, ალბათ, არასოდეს, ისტორიის არც ერთ მონაკვეთში და არც ერთ ქვეყანაში ბრალმდებლის წინაშე არ მდგარა ისეთი რთული ამოცანა, როგორც რუდენკოსი. მას ერთ საბრალმდებლო სიტყვაში უნდა მოექცია დანაშაულებათა ისეთი უსაზღვრო-თუ ურიცხვი რაოდენობა, რაც ჩადენილ იქნა მისი ქვეყნის მიმართ. ჩვეულებრივად ბრალმდებლები სიტყვას

წარმოთქვამენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის შესახებ. აქ კი? აბა, ერთხელ კიდევ წარმოიდგინეთ იმ დანაშაულებათა მასშტაბები და თვითონ ბრალმდებელს მოუსმინეთ:

—კაცობრიობის ისტორიაში მართლმსაჯულება პირველად ხვდება ამგვარი მასშტაბების დანაშაულს, რამაც ესოდენ მძიმე შედეგი გამოიღო... სამსჯავროს წინაშე პირველად დგანან ადამიანები, რომელნიც დაეუფლნენ მთელ სახელმწიფოს და თავიანთ შემზარავ დანაშაულებათა იარაღად გადააქციეს ის. დასასრულ, ბრალდებულთა სახით ჩვენ პირველად ვასამართლებთ არა მარტო თვითონ მათ, არამედ მათ მიერ შექმნილ დანაშაულებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, მათ მიერ გავრცელებულ კაცთმოძულე „თეორიებსა“ და „იდეებს“, რაც წინასწარ განზრახულ დანაშაულებათა განსახორციელებლად იქნა გამოყენებული მსოფლიოსა და კაცობრიობის წინააღმდეგ.

ხმა ცნობიერი...

ამ „თეორიებსა“ და „იდეებზე“ იმდენი ლაპარაკი იყო პროცესზე, რომ ვერც ჩვენ ავუვლით მათ გვერდს. ან რა საჭიროა, როცა ჩვენს თვალწინ თვით გონება წარსდგა სინდისის სამსჯავროს წინაშე. მართებულია ეს თუ არა, ამას არც აქვს მნიშვნელობა, რადგან ფაქტია, რომ ასე მოხდა. ამით ნიურნბერგის პროცესის განზომილებანი ისე გაფართოვდა, რომ კაცობრიობის მთელი ისტორია მოიცვა. ესეც გასაგებია. სინდისი სამსჯავრო უმაღლესი და უზენაესია. იგი ისეთ დანაშაულსაც გულისხმობს, რასაც იასპერსმა მორალური და მეტაფიზიკური უწოდა. ამიტომ მისი საზღვრები უფრო ვრცელია. ამის დასტურად შეგვიძლია თუნდაც ვაჟას პოემა „სვინდისი“ გავიხსენოთ:

როცა პირველი მკვლელობა მოხდა, აბელის სისხლის ორთქლი ზეცას ამაღლდა, ნისლს შეერია, ღრუბლებად იქცა და სისხლის წვიმად მოევლინა მთელ ქვეყანას. მართალია, ძმის მკვლელმა კაინმა ცოდვა მოინანია, მაგრამ ღვთის რისხვა მაინც

ვერ აიცდინა. ამის შემდეგ კაცობრიობა ორ ნაწილად გაიყო: აბელისა და კაინის მოდგმად. ერთი მოყვასის სიყვარულს გულისხმობდა, მეორე — კაცთმოძულეობასა და მკვლელობას. მათ ბრძოლაში კაინის მოდგმამ ისე იძალა, რომ მთელი ხმელეთი სისხლის ზღვად იქცა. ამით შეშფოთებულმა სვინდისმა ღმერთს შესჩივლა, ადამიანთა შორის ბინა ვერ დავიდე, არავის ვუნდივარ და შენთან დამაბრუნეო.

ღმერთმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა. მან უბრძანა სვინდისს, კვლავ ქვეყნად დარჩეს, რათა განასპეტაკოს ადამიანები და აშოწვდილი ხმლით დადგეს ცნობიერის ხმის დარაჯად...

ნიურნბერგის პროცესზეც ამიტომ უხმეს სინდისს მსაჯულად. ამდენნაირი „არტისტული სისასტიკის“ შემდეგ ადამიანი ისე გამოეთიშა ადამიანურობის ცნებას, რომ თვით ადამიანებს დასდეს ბრალი ადამიანობის წინააღმდეგ შეთქმულებაში. ამან კაცთა მოდგმის ანუ საზოგადოების ტრადიციული გაგებაც შეარყია. თქვეს: მთელი უბედურება იმაშია, რომ საზოგადოება ადამიანების გაერთიანებაა და არა ადამიანობისაო. ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ თუ თვით ადამიანობაა დაავადებული ამ საშინელი სენით? მაშინ, ბარათაშვილისა არ იყოს, ვინ გაარკვევს „სად ვინლა იყოს!“ არადა, თავი რომ სირაქლემასავით სულ ქვიშაში გქონდეს კაცს ჩაფლული, ამგვარ კითხვებს მაინც ვერ გაექცევი, ვერც საკუთარ თავს. ადამიანებს შეიძლება განერიდო, მაგრამ ადამიანობას სადღა დაემალები! ქვეყნის იქითაც რომ გადაიკარგო, მაინც აჩრდილივით აგედევნება და შეგახსენებს თავის უფლებამოსილებას. გოეთეს უთქვამს:

ყველაზე ცუდ საზოგადოებაში ყოფნაც გამცნობს, რომ შენ ხარ ადამიანი ადამიანთა შორისო.

აქ კი, ამ კუპრით სავსე ქვაბში, ისევ ის ალისფერ ცხენზე შემჯდარი ქაჯი ლიზელოტა შეგინთებს ცეცხლს და მერე იძახე, ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო, მაგრამ რას გიშველის! ის თოკით დასაბმელი მაინც დოინჯს შემოიყრის, მომ-

ნუსხველი თვალებით მოგაჩერდება და გველივით წაისისინებს:

— თქვე საცოდავებო! რაზე ხარჯავთ ამდენ დროს და ენერგიას?! ათასი თუ ათი ათასი წიგნიც რომ წაიკითხოთ ან ათასჯერ მეტი დოკუმენტი გადაქექოთ, იმაზე მეტ ჭეშმარიტებას მაინც ვერ აღმოაჩენთ, რაც ამ ორი ათასი წლის წინ ითქვა და ისიც ერთი მოკლე წინადადებით: „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“. სულ ერთია, პირველყოფილი ველურია იგი თუ თანამედროვე ცივილიზაციის ! წარმომადგენელი — გერმანელი, ფრანგი, რუსი, ინგლისელი, ამერიკელი თუ სხვა ვინმე...

მართალია, ჩვენ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ მას: ვაქოთ და ვადიდოთ „ლამაზი არსი ჩვენი კაცობისა“, მაგრამ ახლა „ის მეორე“ შემოგვიჩნდება და გვეტყვის, რომ ეს სწორედ ადამიანობის დანაშაულია. მეტიც. თომას მანი თვითონ ამ დანაშაულს მიიჩნევს „საერთო-საკაცობრიო ბუნების შავბნელ მხარედ“. მერე, ხომ გახსოვთ, ნიურნბერგში ზოგიერთებმა მთლიანად ცივილიზაციას რომ დასდეს ბრალი და თქვეს:

— ნუთუ ცივილიზაცია არ აგებს ამაზე პასუხს?

მე შემიძლია ვთქვა, რომ არა, მაგრამ „ის მეორე“ მაინც ერუანტელის მომგვრელი ღიმილით მომაჩერდება და თავისას იტყვის:

—ყველა ადამიანი ასეა, კოლეგა, რადგან უარყოფა უფრო ადვილია, ვიდრე დასტურის მიცემა. არავის არ სურს სხვისი დანაშაულის თავისად აღიარება, თუნდაც ის „სხვაც“ თვითონ იყოს. დანაშაული კი ყველას ხვედრია. განსვენებულმა ღმერთმა რომ პირველი ადამიანები შექმნა, აკრძალული ხის ნაყოფიც იმათ მოაწყვეტინა. მერე ძმას მოაკვლევინა ძმა. ის სისხლი მირონივით მოეცხო კაცობრიობას და ახლა რატომ გიკვირთ, რაც ამ ცოდვილ დედამიწაზე ხდება? თუ პირველმა ადამიანმა ცნობადის ხის ნაყოფი იგემა, თქვენმა თანამედროვეებმა ატომის უუმბარა შექმნეს. ესეც ხომ იმ ხის ნაყოფია. შესაძლოა, აქ ფორმა სხვა იყოს, მაგრამ არსი იგივეა: შეცოდება მაინც შეცოდებაა. მერედა, რა შეხმატკბილებულად ეღერს ეს გამოთქმა: ხე ცნობადისა, ხე კეთილისა დ ბოროტისა...

ეს მართლაც ისეა, თომას მანის რომანის გმირი, დოქტორ შლეპფუსის სახით მოვლენილი ეშმაკი, რომ ქალაგებს ჰალეს უნივერსიტეტში. შლეპფუსი თეოლოგია (ლაპარაკობენ, თეოლოგი ეშმაკი?!). მისი ლექციების თემაა: „კვაშილსა და ბოროტის დიალექტიკური კავშირი“.

—ბოროტება ყოველთვის თან ახლდა სამყაროს სრულყოფას, —ამბობს იგი, —ბოროტების გარეშე სამყარო ვერც იქნებოდა სრულყოფილი. ღმერთმა ბოროტება იმიტომ დაუშვა, რომ თვითონაც სრულყოფილი გამხდარიყო. იგი ამ სრულყოფას ესწრაფოდა, არა სრული სიკეთის გზით, არამედ ყოველმხრივი სისავსით, არსებობის მრავალნაირი სიუხვით. ბოროტება უფრო ბოროტი ხდება, თუკი არსებობს სიკეთე, ხოლო სიკეთე — უფრო მშვენიერი, თუკი არსებობს ბოროტება. ისიც შესაძლებელია, თუმცა ეს სადავოა, რომ ბოროტი სულაც არ იქნეს ბოროტი, რომ არ იყოს კეთილი და კეთილი არ იქნეს კეთილი, რომ არ იყოს ბოროტი.

შლეპფუსი ნეტარ ავგუსტინესაც იმოწმებს, რომლის აზრით, ბოროტების ფუნქცია სიკეთის უფრო მკაფიოდ გამოვლენაა. იგი ამბობს, რომ სიკეთე უკეთესია და ქების ღირსიც მხოლოდ ბოროტებასთან შეფარდებაში.

მართალია, ჯერ კიდევ თომა აქვინელი აფრთხილებდა მორწმუნეთ, რომ ეს საშიში აზრია, მაგრამ ყური ვინ უგდო. ბოროტება სულ უფრო და უფრო ჩადგა „სიკეთის სამსახურში“. ამას კი იმდენი უბედურება მოჰყვა, რომ მის გარჩევას ასი თუ ათასი ნიურნბერგის პროცესიც ვერ აუთავდება. ვერც მსჯავრს დასდებენ ვინმეს. ეტყვიან, ბოროტება ჩაიდინეო, უპასუხებენ: დიახ, მაგრამ სიკეთისთვისო. ერთმა ნაცისტმა ექიმმა სასამართლოში თქვა:

—თუ ცოცხალ ადამიანებზე ექსპერიმენტებს ვახდენდით და რამდენიმე ათას კაცს ვკლავდით, ამით ასეულ ათასობით ადამიანებს ვუნარჩუნებდით სიცოცხლესო.

შლეპფუსი იმას გაამართლებდა კიდეც, რადგან, მისი აზრით, დანაშაული ან ცოდვა არ მოითხოვს მსჯავრდებას. აქ სრული თავისუფლებაა. მართალია, მას თავისუფლება თავისებუ-

რად ესმის, მაგრამ მაინც. ჰალეს უნივერსიტეტში იგი ქადაგებს:

— თავისუფლება ნიშნავს, რომ სურვილისამებრ შეგიძლია ღმერთის ერთგული დარჩე ან ეშმაკს ემსახურო; იყო ცოდვილი ან უცოდველი; კეთილი ან ბოროტი, ეს შენი ნებაა... შეგიძლია საკუთარ სურვილებს თუ ინსტინქტებს მიჰყვე — დანარჩენი სულერთია. შენ არც შეჩვენება მოგელის და არც მსჯავრდება, რადგან ბოროტებაც ისაა, რაც სიკეთე...

მახსოვს, შარლიც რომ ასეთ აზრებს ქადაგებდა.

— მთელი უბედურება ის არის, — ამბობდა იგი, — რომ ადამიანებს არ სურთ აღიარონ ბოროტებისა და სიკეთის იგივეობა, თორემ... ეს თუ აღიარეს, იმასაც მიხვდებიან, რომ ჯოჯოხეთიც იქ არის, სადაც სამოთხეა და მოისვენებენ; არა მარტო „მოისვენებენ“, არამედ ნამდვილ ჯოჯოხეთურ ნეტარებაში იქნებიან, რადგან არ ექნებათ იმედი, მისწრაფება, უკეთესის სურვილი; არც სამოთხის, ედემის ბაღისა თუ აღთქმული ქვეყნის ძიება მოუხდებათ. ყველა მშვიდად იცხოვრებს თავის ჯოჯოხეთში და ეს იქნება მათი სამოთხე...

მაშინ არც ის გამკვირვებია, რომ ის სალომეაც თავის ოქანაანივით გვმოძღვრავდა:

— ბატონებო და ქალბატონებო! თუ მართლაც აღთქმული ქვეყანა გნებავთ, მიუბრუნდით ჯოჯოხეთს. ირწმუნეთ, რომ თქვენი უზენაესი ღმერთი არის სატანა და განთავისუფლდით სამოთხის გულისამრევი ილუზიისაგან. თავი ანებეთ ბედნიერების ძიებას აღთქმულ ქვეყანაში. თქვენ რომ პირდაპირ ჯოჯოხეთში იბადებოდეთ, ნამდვილად ბედნიერი მაშინ იქნებით, რადგან სხვა არაფერი გეცოდინებათ. არც იმას იტყვით, „ჯოჯოხეთი ეს სხვებიაო“. ყველანი ერთად ადგებით, ხელს სატანისკენ გაიშვერთ და ამაყად შესძახებთ:

—ჯოჯოხეთი —ეს ჩვენა ვართ!..

ბონეგის დანაშაული...

აკი მოგახსენეთ, შარლისა და ლიზის ამგვარი ქადაგება არც გამკვირვებია, მაგრამ ის რუსოს ნაშიერი ეტიენიც რომ

მათ აჰყვა! ყველაფერი იმ Homo sapiens-ის ბრალიაო, ამბობდა. მერე ფაუსტსაც გადასწვდა და მთელი უბედურება მას გადააბრალა:

— ეს მან მოუხმო ბოროტ სულს თავისი ადამიანური შეზღუდულობის დასაძლევად. იმას კი ვერ მიხვდა, რომ ბოროტებით სიკეთე არ მიიღწევა. ან შეიძლება მიხვდა კიდეც, მაგრამ აუცილებლობის რაღაც ფატალური ძალა ვერ დასძლია. ასეა დღესაც. ვინც ატომური ყუმბარა შექმნა, ისიც იცოდა, რომ ამით „ჯოჯოხეთს გაუწია სამსახური", მაგრამ მაინც შექმნა, რადგან ვერც ის მოერია იმ მეტაფიზიკურ ძალას: ბე თუ არ შევქმენი, სულერთია, ვიღაც სხვა შექმნისო. ეს კი სულერთი არ არის, კოლეგა, გოეთემ თუ ჭეშმარიტების მაძიებელი კაცობრიობის სიმბოლური სახე შექმნა, ისიც თქვა:

— ყველაზე უკეთეს ჭეშმარიტებათა შორის ჩვენ უფლება გვაქვს, ვთქვათ მხოლოდ ის, რაც ხელს უწყობს კაცობრიობის კეთილდღეობასო...

—განა ფაუსტი კაცობრიობის კეთილდღეობას არ ემსახურებოდა? —ვკითხე მორიდებულად.

გაჩერდა, სათვალე შეისწორა, ერთხანს იფიქრა, მაგრამ დასმულ კითხვაზე პირდაპირ პასუხს მაინც გვერდი აუარა:

— ვინც ატომის ყუმბარა შექმნა, ისიც ამბობს, რომ კაცობრიობის ინტერესებს ემსახურება...

— ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ფაუსტს რამე კავშირი აქვს ატომურ ყუმბარასთან?

— რა თქმა უნდა, — მომიგო მან უფრო დაბეჯითებით, — ესეც ფაუსტური ძიების შედეგია. განსხვავება დროსა და მასშტაბებშია. დოქტორ ფაუსტის პრიმიტიული ლაბორატორია ატომური რეაქტორითაა შეცვლილი. სხვა არაფერი. პრინციპში ეს ერთი და იგივეა. Elementa zu spekulieren! ასე იყო უძველეს ფაუსტთან და ასეა ახლაც. ჩვენი შეფიც ასე ფიქრობს. თქვა კიდეც, ეს, უწინარეს ყოვლისა, გონების დანაშაულიაო, დიახ, ეს სწორედ „გონების დანაშაულია", ბატონ მენტონს ჩემთვის რომ ეკითხა, შეიძლებოდა უფრო ზუსტად გვეთქვა: „ფ ა უ ს ტ უ რ ი გონებისა", რადგან ეს წმიდა გერმანული მოვლენაა. რატომ-მეთქი, რომ ვკითხე, მაშინვე მიპასუხა:

— იმიტომ, კოლეგა, რომ ფაუსტი არა მარტო წარმოშობითაა გერმანელი, არამედ სულითაც. ჩვენ, ფრანგებს, არავითარი ინტერესი არ გამოგვიჩენია ეშმაკთან წილნაყარ დოქტორ ფაუსტის შესახებ არსებული მაგიური თქმულებებისადმი. მარტო ჰუნომ დაწერა ოპერა ამ თემაზე. ეს არის და ეს. გერმანელებმა კი ასზე მეტი ფაუსტური ნაწარმოები შექმნეს.

— თქვენ როგორ გგონიათ, რატომ? — ჩავურთე მის მონოლოგში.

ერთხანს იფიქრა, მერე ვისკი მოსვა. სავარძლის ზურგს მიეყრდნო, თვალები მოხუჭა და ისე მიპასუხა, თითქოს ვიღაც სხვას ელაპარაკებაო:

—იმიტომ, რომ მხოლოდ გერმანელები ამტკიცებენ ასე დაბეჯითებით, უმაღლეს სიკეთეს ისე ვერ მიაღწევ, უმაღლესი ბორტების გზა თუ არ გაიარეო. ყოველგვარ დიდსა და ამაღლებულს ისინი დემონურს უწოდებენ. ფაუსტიც ასეა. სწორედ მან უხმო პირველად ეშმაკს, რომ იმაზე მეტი შესძლებოდა, რისი უნარიც ღმერთმა უბოძა. ეს კი ეშმაკის გზაა.

— განა ის გზა ბუნების საიდუმლოებათა ახსნის გზა არ არის? —ვკითხე მე, თუმცა „ბუნების“ ხსენებაზე, ცოტა არ იყოს, შემეშინდა. ვიცოდი, ის გამოუსწორებელი რუსოისტი რომ იფეთქებდა. ასეც მოხდა!

— არა, ბატონო, ბუნების საიდუმლოებათა ამოცნობას ბოროტი სულის დახმარება არ სჭირდება. ბუნება თვითონ გვიხსნის თავის საიდუმლოებას. ვისაც ეს არ აკმაყოფილებს, ზებუნებრივს ეპოტინება და ეშმაკთან დებს ხელშეკრულებას. ასე მოიქცა ფაუსტიც. მან ჯერ ბუნების ახსნა მოინდომა, მერე ბუნების ძალებთან ბრძოლა, მისი დამორჩილება, ეს კი იმაზე მეტ ძალაუფლებას მოითხოვს, ვიდრე ადამიანს გააჩნია. ამიტომ აიღო ხელი გონებაზე, მაგიას მიმართა და ეშმაკს უხმო, თუმცა ესეც განგების მიერ იყო წინასწარ განწესებული. ღმერთი და ეშმაკი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ბრძოლის ველად ფაუსტი აირჩიეს. გახსოვთ, მეფისტოფელი ეუბნება ღმერთს, ადამიანის ცხოვრება უკეთ მოეწყობოდა, „ციური

სხივის ნაპერწკალი რომ არ ჰქონოდაო“. ეს „ციური სხივის ნაპერწკალი“ რასაც ნიშნავს, იქვეა განმარტებული:

„იგი უწოდებს მას გონებას და მით ამაყობს
და ლამის მხეცებს მხეცობაში გადააჭარბოს“.

სწორედ ეს არის „გონების დანაშაული“. ფაუსტისაც. ის ვერ მიხვდა, რომ ღმერთი და ეშმაკი ერთ გულში ვერ მოთავსდება, ვერც იმას — ბოროტების გზით სიკეთეს რომ ვერ მიაღწევ და ეშმაკის ნაკვალევს გაჰყვა. მართალია, ფაუსტის „უკვდავი ნაწილი“ სულ იბრძოდა ბოროტი სულის მოძალების წინააღმდეგ, მაგრამ მის ს ა ქ მ ე ე ბ ს ჩინც მეფისტოფელი განაგებდა. წინასწარაც ასეთი პირობა იყო დადებული. ეშმაკმა უთხრა ღმერთს:

„მაშ, დავნაძლევდეთ! თქვენ დაჰკარგავთ უთუოდ იმას,
იმ შემთხვევაში, თუ დათანხმდით ჩემს პირობაზე,
რომ გავატარო ჩუმად ჩემს გზაზე“.

ღმერთმა ამისი ნება მისცა და ასეც მოხდა: ამის შემდეგ ფაუსტი სულ „მისივე მეორესთან“ ერთად მოქმედებდა. ის საცოდავი გრეთჰენიც ორივემ დაღუპეს, ვალენტინს რომ კლავდნენ, დაშნაზე მაშინაც ორივეს ეკიდა ხელი. ცდუნებებს აყოლილ ფაუსტს ეგონა, თავისუფალ ქალაქს ვაშენებო. ის კი არ იცოდა, რომ ეს ეშმაკის საქმე იყო, რომელიც ძარცვით, მეკობრეობით, ადამიანთა უბედურებით, ტანჯვა-წვალებითა და სისხლით აკეთებდა ამას. იგი ბოროტების გზით ცდილობდა „მიწიერი სამოთხის“ შექმნას. ბავკიდემ და ლინკეოსმა კი იცოდნენ ფაუსტის სამოთხე რომ ჯოჯოხეთი იყო და არა „კეთილი საქმე“, მაგრამ ეშმაკთან ხელშეკრული ფაუსტი ადამიანებს, კანონებს, უფლებებს, სინდისს, ყველაფერს სწირავდა „თავისუფალი ქალაქის“ მშენებლობის „მაღალ იდეას“.

ასეა, ჩემო ბატონო, ვინ იცის, რამდენი ბოროტება ხდება ამ ქვეყნად თავისუფლების სახელით! სხვისი მიწა-წყლის მიტაცება გმირული ბრძოლისა და მაღალი იდეების შარავანდითაა მოსილი. ასე იყო ყოველთვის. ბიბლიურ ნაბუთეს

თუ ვენახი მოსტაცეს, ბავკიდესა და ფილემონს სახლ-კარი გადაუწვეს ფაუსტის ბრძანებით...

— ფაუსტის ბრძანებით?! როგორ გეკადრებათ, ფაუსტს ხომ ეს არ უნდოდა! მან სხვა, უკეთესი ადგილი შესთავაზა იმ მოხუცებს. ისინი კი გაჯიუტდნენ, არ წავიდნენ, რითაც ხელს უშლიდნენ ფაუსტის დიად საქმეს...

ეტიენს გაეცინა.

— მერედა, სად იყო ეს „დიადი საქმე!" მოხუცმა ბავკიდემაც კი იცოდა, ფაუსტის ქალაქი რომ სამოთხე კი არა, „მრუდე გზებით" შექმნილი ჯოჯოხეთი იყო, თვითონ ფაუსტი კი „უღვთო კაცი".

„და უნდა ვთქვა მე, ბავკიდემ,
ბატონია უღვთო კაცი...
სადაც კი ფეხს მოიკიდებს,
დამონება სურს ყველასი".

მონების მიერ აშენებული დანტესებური „ჯოჯოხეთის ქალაქი" (Teufelsstadt) ეშმაკთან წილნაყარ ფაუსტის ცდუნება იყო. იგი შთანთქა კიდეც ჯოჯოხეთის ცეცხლმა...

— კი მაგრამ, თვითონ ფაუსტი ხომ დარწმუნებული იყო, რომ დიად საქმეს ემსახურებოდა? — ვკითხე მე.

—რა თქმა უნდა, მაგრამ ცდუნება მაინც ცდუნებაა, ეშმაკის მიერ დაგებული მახე. გარდა ამისა, ფაუსტში ხომ „მეორე სულიც" არის, მისი „უკვდავი ნაწილი", რომელიც იბრძვის ამგვარ ცდუნებათა დასაძლევად. ღმერთსაც ამიტომ სჯეროდა, რომ იგი „მართალ გზებს" გაიკვლევდა. ასეც მოხდა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფაუსტმა ბოროტი სული მოიშორა და თავის ადამიანურ არსს დაუბრუნდა. მანამ კი ეშმაკის კვალს მიჰყვებოდა, უსაზღვრო ძალაუფლებისა და „სრული მფლობელობისაკენ" ისწრაფვოდა, „მთელი დოვლათის ფლობა" უნდოდა. ამბობდა კიდეც:

„ის გვტანჯავს ხოლმე ყველაზე მწარედ,
რომ სიმდიდრეში გვაკლია რამე".

ან კიდევ:

„ამ ზარის ხმაზე ვიგონებ ოხვრით —
სრული მფლობელი არ ვარ ამ კუთხის,
რომ არც ის ცაცხვი და არც ის ქოხი,
არც სამლოცველო მე არ მეკუთვნის“.

მეფისტოფელიც უსაყვედურებს მას, „ვერა ძღებოდა ვერავითარი სიამოვნებითო“. თვითონ ფაუსტსაც რცხვენოდა, მაგრამ მან კარგად იცოდა, ბავკიდე და ფილემონი რომ ნებით არ დაუთმობდნენ თავიანთ კარ-მიდამოს. ამიტომაც ახმობინა „სამი ძლიერი“: „თავს დაესხი“, „წაართვი“ და „მაგრად ჩასჭიდე ხელი“, ეშმაკსაც მან უბრძანა, წადი და დაუყოვნებლივ მოაშორე იქაურობასო. ისიც წავიდა და... აღასრულა ფაუსტის ნება: ის საცოდავი მოხუცები დახოცა, მათი სახლ-კარი გადაწვა და ფაუსტის სამფლობელი გააფართოვა...

— კი მაგრამ, ფაუსტმა რომ შეიტყო ეს, ხომ შერცხვა, აღშფოთდა კიდეც, მათი დახოცვა კი არა, სხვაგან გადასახლება მინდოდაო...

ეტიენს გაეცინა:

— ხომ ხედავთ, კოლეგა, აქ, ნიურნბერგის საბრალდებო სკამზე, რამდენი „აღშფოთებული“ ზის. ისინიც ამბობენ, ეს რა უქნიათ, მილიონები დაუხოციათ, ჩვენ ეს არ გვინდოდაო. ებრაელებს სხვა ქვეყანაში ვასახლებდით, ახლა რომ გავიგეთ, გაუჟლეტიათ, სირცხვილით ვიწვითო.

მაშინ, თურმე, მეფისტოფელმა გადააჭარბა, ახლა ჰიმლერმა. თვითონ კი ვითომ პატიოსანი ხალხია! არა, კოლეგა, ასე არ არის. ის ტრაგედია ეშმაკთან წილნაყარმა ფაუსტმა გამოიწვია, ეს კი ჰიტლერმა, გერინგმა, როზენბერგმა, შტრაიხერმა— ყველა ბრალდებულმა, ვინც აქ განსასჯელთა სკამზე ზის. სწორი ბრძანებაა, ფაუსტი წყევლიდა „ველურ ძალას“, ნიურნბერგელი ბრალდებულები კი „იმ ღორ ესესელებს“, მაგრამ ერთიც და მეორეც მათი პირმშოა. ამიტომ პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ. რაც შეეხება „თავისუფალ ქალაქს“ და „მსოფლიო იმპერიას“, ესეც ცარიელი ილუზიაა, რასაც ხალხის ამაო წამება და სისხლისღვრა მოჰყვა. ყოველივე ეს კი სწორედ ამათ უნდოდათ, მკვლელობის ამ თეორეტიკოსებს, თორემ ოსვენციმის ჯალათ ჰოსს თავისი ცხენების მოვლა ერჩია

ადამიანების ხოცვა-ჟლეტას. არც ეშმაკს სჭირდებოდა ბავკიდესა და ფილემონის კარ-მიდამო. ეს ფაუსტის საქმეა. იმას უნდოდა, ეს ერთი მტკაველი მიწაც მისი ყოფილიყო. ბრაზობდა, ის „ჩერჩეტი მოხუცები“ რომ არ ემორჩილებოდნენ. „მე ბატონი ვარო“, ეს „ჩემი სამფლობელოაო“ და, ნებით თუ არ გამოვიდა, ძალით დაიპყრო მათი სახლ-კარი. როგორ მოხდა ყველაფერი ეს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. თუ ფაუსტი ასე მოიქცა, მაშასადამე, ის მართალია: „მიზანი ამართლებს საშუალებას!“

მერე მასშტაბები გაიზარდა და თუ ეშმაკთან წილნაყარი ფაუსტი ბავკიდესა და ფილემონის კარ-მიდამოს იერთებდა და ფონების ხელით ჯოჯოხეთის ქალაქს აშენებდა, ჰიტლერმა ხალხების დამონება და მსოფლიო იმპერიის შექმნა მოინდომა. ამიტომ ბავკიდესა და ფილემონის იმ „ერთი მტკაველი მიწის“ ნაცვლად სახელმწიფოებს წაეპოტინა. ჯერ ერთს შეუძახა, მერე მეორეს, მესამეს, მომეცი, ნაბუთე, შენი ვენახიო, მაგრამ როცა ეს ნებით არ მოხდა, იმანაც უხმო „სამ ძლიერს“ — არმიას, ავიაციას, ფლოტს და მთელ ევროპას ისე მოედო ცეცხლი, როგორც იმ საცოდავი ბავკიდესა და ფილემონის ქოხს...

ლეღვის ფოთოლი...

დანიშნულ დროს მე და მარკოვმა „გრანდ-ოტელში“ შევიარეთ და იმ „წმიდა სამების“ მოსვლას დაველოდეთ. გენადი კარგ ხასიათზე იყო. „მამაპაპური საფუძველი“ შინ ჩაეყარა, ახლა კი, „ზედნაშენზე“ ფიქრობდა და მისთვის სულერთი იყო, რითი გააგრძელებდა —ამერიკული ვისკით თუ რაინული ღვინოთი.

დარბაზი თითქოს ცარიელი დაგვხვდა. მერე საიდანღაც ენდრიუსი გაჩნდა. დაგვინახა თუ არა, მოვიდა და ჩვენს მაგიდას მოუჯდა. კარგა ხანი იყო, რაც არ გვენახა. არც „ალავერდში“ შემოვარდნილა „რუსული ნათლობის“ მისაღებად. ჩვენ ვიცოდით ამის მიზეზი. ძალიან დაკავებული იყო. პრესაში სენსაციური ამბები ვრცელდებოდა. მე ყოველდღე ვკითხულობდი ამ-

ერიკულ გაზეთს—„Stars and stripes“. აქ იმდენნაირ ინფორმაციას წააწყდებოდით, მეასედიც რომ ყოფილიყო მართალი, ვინ იცის, საქმე როგორ წავიდოდა. საკმარისი იყო, ბუზი გაფრენილიყო, რომ ამ გაზეთის ფურცლებზე მეორე დღესვე მფრინავ სპილოს დაინახავდით. იმ დღეებში ძალიან ბევრს წერდნენ ესესელების შესახებ, რომლებიც ბანაკიდან გაიქცნენ, გაიტაცეს იარაღი და ახლა ვითომ ბრძოლით მოიწევდნენ ნიურნბერგისაკენ, რათა გაეთავისუფლებინათ თავიანთი მეთაურები. ჩვენები, ცხადია, იმთავითვე ირონიულად უყურებდნენ ამ ცნობებს. აბა, ესესელების რა სერიოზულ შეტევაზე შეიძლებოდა ლაპარაკი იმ დროს, მაგრამ ფანტაზია საკვებს მოითხოვს და სენსაციაც გაჩაღდა. ენდრიუსმა საქმე იშოვა. ესესელები გააქრეს იუსტიციის სასახლის შენობიდან. ქუჩები ტანკებით გადაკეტეს, დერეფნებსა და სარდაფებში „დოტები“ გამართეს და ტყვიამფრქვევები დააყენეს; სახურავზე საზენიტო ზარბაზნები დადგეს და დაცვა გააძლიერეს. ბოლოს, ცხადია, ეს ყველაფერი ზედმეტი აღმოჩნდა და ამ ოპერაციების ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი ენდრიუსი ოდნავ დარცხვენილი გამოიყურებოდა...

... ამასობაში დარბაზი ნელ-ნელა შეივსო. ბოლოს ის „წმიდა სამებაც“ გამოჩნდა. სასწრაფოდ ვივახშმეთ და წავედით. ნიურნბერგის თეატრის შენობაში გარნიზონის კლუბი ჰქონდათ მოწყობილი. დარბაზი საკმაოდ დიდი იყო: პარტერი, ამფითეატრი, ბენუარის ლოჟები და ორი იარუსი. პარტერსა და ლოჟებში ოფიცრები ისხდნენ, იარუსებზე —ჯარისკაცები. თეატრი ბრძოლის ველს ჰგავდა. ჯარისკაცები ჭინკებივით დარბოდნენ, ხმაურობდნენ, ერთმანეთს რაღაცეებს ესროდნენ, ყვიროდნენ, სადაც მოეხასიათებოდათ, იქ სწევდნენ თამბაქოს. ოფიცრები ბუფეტში ირეოდნენ და იმათაც ერთი აურზაური ჰქონდათ ატეხილი.

როგორც კი მესამე ზარი მისცეს, ბენუარის ლოჟაში შევედით. დარბაზი ხალხით იყო სავსე. ისეთი ღრიანცელი იდგა, ერთმანეთს ვერც დაველაპარაკებოდით. მერე ფარდა აიხადა და ვალპურგის ღამის ზმანებაც დაიწყო. იარუსები სიხა-

რულის ყიჟინით შეხვდნენ ზანგების ჯაზის ორკესტრანტებს. პირველივე ნომრის შესრულების დროს მთელი დარბაზი ახმაურდა. ყველა მუსიკის ტაქტს აჰყვა. ზოგი ფეხებს აბრახუნებდა, ზოგი ტაშს უკრავდა, ზოგიც სტვენით მიჰყვებოდა მელოდიას.

ოფიცრები უკმაყოფილოდ იხედებოდნენ იარუსებისაკენ, მაგრამ იმათი გაჩერება შეუძლებელი იყო. მერე ორი ზანგი მოცეკვავე გამოვიდა და ისეთი ექსცენტრული ნომერი შეასრულეს, რომ იარუსებს თანდათან პარტერიც აჰყვა. ისეთი ღრიანცელი ატყდა, რომ ლიზის ყურებში თითი დაიცო. რამდენიმე ნომრის შემდეგ ყველაზე პოპულარული ატრაქციონი გამოცხადდა. კონფერანსიე გამოვიდა და განსაკუთრებული საზეიმო ტონით დაიძახა: 30 girls და სოლისტი ბეტტი... ისევ ის „30 girls", პირველად რომ კასელის „ბახუსის სასახლეში" ვნახე. დარბაზი დაინგრა ტაშისცემით. 30 თითქმის შიშველი ქალის რიტმული მანჭვა-გრეხა დიდხანს გაგრძელდა. ბეტტი ჯერ არ ჩანდა. ეტყობოდა, სწორედ მის გამოსვლას მოელოდნენ მოუთმენლად. იარუსებზე გაისმა შეძახილები. ბეტტი! ბეტტი!.. მერე მთელი დარბაზი აჰყვა ამ ხმაურს. ბროკენის შიშველი ქაჯები თავბრუდამხვევად ტრიალებდნენ სცენაზე, დარბაზი კი ცოფდებოდა.

—ბეტტი!.. ბეტტი!

მერე მოცეკვავეები პლასტიკურ პოზაში გაქვავდნენ და საყვირების გნიასში სცენაზე სრულიად შიშველი ქალი ბეტტი გამოვარდა და ელვის სისწრაფით დატრიალდა სცენაზე. ორკესტრი სულ გაგიჟდა, დარბაზი ღრიალებდა.

—ბეტტი, გააჩერე ხელები!.. ბეტტი! გაჩერდი, ბეტტი, სტოპ!

— სტოპ, სტოპ, სტოპ! — ყვიროდა უკვე პარტერიც. მთელი ამ ნომრის აზრი ის იყო, რომ ბეტტის სწრაფი მოძრაობით, ერთ ადგილზე ტრიალით და ხელებზე გაკეთებული ორი „ლეღვის ფოთლით" ისე მოხერხებულად ემოქმედა, რომ დაეფარა თავისი სხეულის „ყველაზე უცენზურო ნაწილები". ამას ის მართლაც ოსტატურად აკეთებდა, რითაც კიდევ უფრო ახელებდა დარბაზს.

ბეტტი, გააჩერე ხელები! — ყვიროდა იარუსი...

— სტოპ, სტოპ, სტოპ. — აყოლებდა მუსიკის ხმას პარტერი. ბეტტი კი ისევ ციბრუტივით ტრიალებდა და ცეცხლს უკიდებდა მაყურებელს, მაგრამ არ იქნა და არ გააჩერა ხელები, არც თვითონ გაჩერდა და ბზრიალ-ტრიალით გავარდა სცენიდან. დარბაზში გამაყრუებელი სტვენა ატყდა.

რაკი გვერდით ლოჟაში ვისხედით, თვალი მოვკარი, კულისებში ჯერ კიდევ ბზრიალასავით მოტრიალე ბეტტის როგორ მოახურეს ხალათი.

— ბეტტი, ბრავო!.. — ღრიალებდნენ იარუსებიდან.

— ბეტტი!.. ბეტტი!.. — ყვიროდა პარტერიც.

ორკესტრი ისევ ახმაურდა და ისევ ბზრიალ-ბზრიალით გამოვარდა ბეტტი. ისევ ყვირილი, ისევ ტრიალი და ბოლოს ფარდაც დახურეს... ხალხი მაინც არ დაწყნარდა. მთელი დარბაზი დაჟინებით მოითხოვდა ბეტტის გამოსვლას. ფარდა ისევ ასწიეს. ორკესტრმა ისევ დაუკრა და სცენაზე ხალათმოხურული ბეტტი გამოვიდა. დარბაზში ერთსულოვანი სტვენა გაისმა. არ მოეწონათ, ბეტტი რომ ჩაცმული იყო. ფარდა ისევ დახურეს, მაგრამ იარუსები მაინც არ დაწყნარდა. დიდხანს უკრავდნენ ტაშს და ყვიროდნენ:

—ბეტტი!.. ბეტტი!..

ფარდა ერთხელ კიდევ გაიხსნა, მაგრამ ბეტტი მაინც ხალათმოხურული გამოვიდა. დარბაზი ისევ გამაყრუებელი სტვენით შეხვდა მას. ორკესტრმა დაუკრა, მაგრამ სტვენა არ შემწყდარა. ჩაცმული ბეტტი არავის არ აინტერესებდა. ორკესტრმა კი თანდათან უმატა ტემპს. ბოლოს ქარბუქივით დატრიალდა და ბეტტიმ ცეკვა-ცეკვით იწყო სცენაზევე გახდა. თან ტრიალებდა, თან იხდიდა. დარბაზში ხმაურმა იმატა. რაც უფრო შიშვლდებოდა იგი, მით უფრო უმატებდა ცეკვის ტემპს. მერე ხალათს აფრიალებდა ლეღვის ფოთლების მაგივრად და ისეთივე ეფექტს აღწევდა.

დარბაზში მაინც ყვიროდნენ:

— ბეტტი, გადააგდე ხალათი! ბეტტი, სტოპ! სტოპ! სტოპ!

ბეტტი კი ტრიალებდა და ისევ თანდათან იცვამდა ტანისამოსს. ბოლოს ორკესტრი უცებ გაქვავდა და ჩაცმულმა ბეტტიმ ისევ თავი დაუკრა მაყურებლებს.

დარბაზმა ამჯერადაც ერთსულოვანი ყიჟინითა და სტვენით უპასუხა მის რევერანსებს...

... ამით დამთავრდა პირველი ნაწილი. მეორე ნაწილი აღარც გვინახავს, ისე დავტოვეთ „ოცნებისა და ჯადოქრების“ ის სამეფო. ეტიენმა თავისთან დაგვპატიჟა ყავაზე. ლიზელოტამ უცებ გააწყო ყველაფერი. ეტიენი უგუნებოდ იყო.

— გუშინ ფაუსტურ ცოდვებზე იმდენი ვილაპარაკეთ, — მითხრა მან, — რომ ლიზიმ დარდის გასაქარვებლად, ვალპურგის ღამის დღესასწაულზე წაგვიყვანა. მართლაც ინფერნალური მხიარულება იყო, მე ნერვები ისედაც აწეწილი მქონდა და უსირცხვილობის იმ დემონსტრაციამ სულ მომიღო ბოლო...

ლიზელოტამ დაუყვავა და ვითომ ნერვების დასაწყნარებლად უთხრა:

— რა მათი ბრალია, ბატონო, თუკი ბუნებამ ასეთებად გააჩინა!.. ამის თქმა იყო და, ეტიენმა ისე მოულოდნელად იფეთქა, რომ ყველანი სახტად დავრჩით.

— ბუნებისა რა ბრალია! — იყვირა მან, — ბუნებას თავი დაანებეთ!.. — ისღა გვაკლია, ბუნებაც ჩარიოთ ამ საზიზღრობაში!...

ლიზის სიცილი აუტყდა:

—ხედავთ, როგორ გაბრაზდა ჩემი ჟან-ჟაკი! კეთილი, ბატონო, ბუნებას თავს დავანებებთ, თუკი ისიც ასე მოიქცევა.

— ბუნებას ამ საზიზღრობასთან რა საქმე აქვს! ეს სულ ადამიანების გარყვნილი გონების შედეგია, — მაინც ცხარობდა ეტიენი.

— ვითომ რატომ, განა ჩვენც ბუნების შვილები არა ვართ? — ჩაერია მარკოვი...

ეტიენმა ისეთი თვალებით შეხედა მას, მარკოვი რომ მთვრალი არ ყოფილიყო, არ ვიცი, რა მოხდებოდა.

— შვილები კი არა, ბუშები, ბატონო, ბუშები! — ისე შეჰკივლა ეტიენმა, რომ ყველამ გაჩერება ვარჩიეთ. მერე კი ისევ თვითონ დაიწყო აღგზნებით ლაპარაკი:

ქვეყანა გაგიჟდა... ბეტტი, გააჩერე ხელები, ბეტტი, სტოპ,

სტოპ, სტოპ... ბუნებამ რა ქნას, როცა ბეტტი შეუჩერებლად ტრიალებს! გაჩერდი, ბეტტი!.. ბეტტი!.. გაჩერდი, სტოპ... ბეტტი კი ისევ ბრუნავს... თქვენ ღრიალებთ, იცინით... სტოპ, სტოპ, სტოპ, ხომ ხედავთ, არ ჩერდება... რომ გაჩერდეს... სირცხვილი უფრო თვალსაჩინო გახდება. ქვეყანა უფსკრულისაკენ მიექანება და ბუნებამ რა ქნას! იგი ბრძენია, მშვიდი და გულგრილი!.. ვინ იცის, როცა ესესელები საკონცენტრაციო ბანაკებში ბულდოზერით თავს უჭეჭყავდნენ მიწაში ჩამარხულ ადამიანებს, რა მშვენიერი დარი იდგა, როგორ კიაფობდა მზე ცაზე, ან ტყეში რომ ადამიანებს ხვრეტდნენ, რა ღვთაებრივი სიჩუმე იდგა მანამ და შემდეგ... ჩიტებიც გალობდნენ, ალბათ... მწერები დაფუსფუსებდნენ, ყვავილები იშლებოდნენ... ხეები ბრძნულად ჩაფიქრებულნი იდგნენ და რაღაცაზე მუსაიფობდნენ. ბუნებაში არავინ არ ტრიალებს და არ გიჟდება. ეს ბეტტი ბრუნავს, თქვენ კი იმედით ცხოვრობთ, რომ ის ერთი წუთით მაინც შეჩერდება და დატკბებით მისი უხარბობით... ეს არის ეხლა თქვენი „შეჩერდი, წამო...“ Verweile doch... მაშ იძახეთ: ბეტტი, გააჩერე ხელები, ბეტტი, სტოპ, სტოპ, სტოპ, და ელოდეთ ამ მშვენიერ წამს...

— ასეა, ბიძია, დედამიწაც ასე ტრიალებს, — ისევ ჩაიბურდღუნა მარკოვმა. ეტიენი უფრო გაბრაზდა.

—თუ ტრიალებს, დაჯექით და უძახეთ დედამიწასაც: გააჩერე ხელები, დედამიწავ, სტოპ, სტოპ, სტოპ... კარგი იქნება, არა? ხომ კარგი იქნება? —ჩაეკითხა იგი მარკოვს და ხელები ჩასჭიდა მკლავში.

— ბეტტი, გააჩერე თათები, — ჩაიბურდღუნა პასუხად მარკოვმა და ეტიენის ხელი მოიშორა.

— თქვენც ასე ხართ, ბატონებო, — ისევ ჩაერია ლიზი, — განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ლეღვის ფოთლების მაგივრად იურიდიული ნორმებითა და კანონებით ფარავთ საკუთარ სიშიშვლეს. აბა, ერთი წამით თქვენც გააჩერეთ ხელები, ბატონო მსაჯულნო, ის მოსასხამებიც გადააგდეთ და მაშინ ნახავთ, ვინცა ბრძანდებით.

ვიდრე ეტიენი ისევ აყვირდებოდა, ავდექი, მარკოვიც ავაყენე და მასპინძლებს დავემშვიდობეთ...

—მე მიგიყვანთ სახლამდე, —თქვა ლიზელოტამ.

— არა, რატომ, ნუ შეწუხდებით, — ვიუარე მე.

— რა შემაწუხებს, სასიამოვნოცაა სუფთა ჰაერზე გასეირნება, — თქვა მან და, ჩვენს პასუხს არც დაელოდა, ისე გამოგვყვა.

ფრთხილად, — მოგვაძახა ეტიენმა.

... ის ღამეც იმ სპექტაკლის გაგრძელება იყო. ჩვენი მანქანა ბეტტივით ტრიალებდა ნიურნბერგის ქუჩებსა და გარეუბნებში... მარკოვი უგრძნობლად იყო სავარძელზე მისვენებული. იგი მეოლოდ დროდადრო ახელდა თვალს და ბურტყუნებდა:

— ბეტტი, გააჩერე მანქანა!.. ბეტტი, გააჩერე მანქანა! ბეტტი... ბეტტი... ბე...ტტ...ი...

და ისევ გაუხვევდა ძილისპირეთში...

ლიზი კი რაღაცაზე ჯავრს იყრიდა. მე ხმას არ ვიღებდი, მაგრამ ქალაქგარეთ რომ გავედით, მაინც გავუბედე:

— ბეტტი, გააჩერე მანქანა!

ლიზიმ მანქანაც გააჩერა და ხელებიც...

...სად ჯანდაბაში დამათრევდი წუხელ, — მკითხა მეორე დღეს მარკოვმა.

— არსად, გაგასეირნე, — ვუპასუხე მე.

— ეშმაკებში ისეირნე, ამის შემდეგ მე შენთან წამომსვლელი არა ვარ, — მითხრა გულმოსულმა.

—რატომ? ცუდი რა იყო!

—ცუდი კი არა, საზიზღრობაა, შინ 200 გრამი ჩვენებური დავლიე, მერე რესტორანში ვისკი გადავყლაპე, თეატრში, პუნშია თუ რაღაც ოხრობა, დავაყოლე, მერე იქ ქარაფშუტა ფრანგებთან სულ საზიზღარი რაღაც დავუმატე და მომწყდა კისერი, ამდენი სხვადასხვანაირი სასმელის არევა ერთმანეთში როგორ იქნება, მთელი დღეღამ რომ ვსვა არაყი, ასე არ დავთვრები...

— ვინ გაძალებდა, რატომ დალიე, თუ არ მოგწონდა?

— როგორ გეტყობა, რომ სმაში მიამიტი ხარ, მაგიდაზე როცა სასმელი დგას, რა კაცი ხარ, თუ არ დალიე, ცეცხლიც

რომ იყოს, მაინც უნდა დალიო. მეც დავლიე. მერე სად ვიყავი, სად დამათრევდით, სად ვიდექით ან სად მეძინა, არაფერი არ მახსოვს, ვიცი მხოლოდ, რომ დიდხანს მივდიოდით მანქანით და ძალიან ვინჯღრეოდით...

— ეგ არაფერი, — ვიხუმრე მე, — სამაგიეროდ ბეტტის ტრიალი ხომ ნახე?

გაახსენდა და უცებ გამოცოცხლდა.

—ო!.. ეგ კარგი იყო, მაგრამ ერთი წუთითაც რომ არ გაჩერდა ის ძაღლიშვილი!..

შიში უფლისაგ...

20 დეკემბრიდან 2 იანვრამდე საშობაო არდადეგები გამოცხადდა. მოკავშირე ქვეყნების მოსამართლეებისა და ბრალმდებლების დიდი ნაწილი სამშობლოში გაემგზავრა. ჩვენ ჯერ არავითარი მითითება არ გვქონდა. ცხადია, მე სამშობლოში იმ სიშორიდან მაინც ვერ დავბრუნდებოდი, მაგრამ ერთი საინტერესო მიპატიჟება მაინც მივიღე. ეტიენმა მითხრა, ჩვენთან წავიდეთ პარიზში, შობის დღესასწაულს იქ შევხვდეთ, შემდეგ კი მანქანით მთელ საფრანგეთს მოგატარებთო. იმდენად დარწმუნებული იყო, ეს ასე მოხდებოდა, რომ უკვე მარშრუტიც შეედგინა: ნიურნბერგი — მიუნჰენი —შტუტგარტი — ნანსი — პარიზი; იქიდან: ანკე — ნანტი — სანაპირო ბისკაის უბის გასწვრივ ბორდომდე; მერე უკან: ლიონი — შვეიცარია; ჟენევა — ბერნი — ციურიხი — ფრაიბურგი — მიუნჰენი — ნიურნბერგი. აბა, ამის საწინააღმდეგო რა მექნებოდა! მართალია, მთელი არდადეგები „ბორბლებზე უნდა გაგვეტარებინა", მაგრამ ასეთ სასიამოვნო დაქანცვას ადვილად აიტანს კაცი, თუმცა...

ეს მარშრუტი ჩემთვის ყინულზე დახატული აღმოჩნდა: მოსკოვიდან განკარგულება მოვიდა, საბჭოთა დელეგაციამ არდადეგების დროსაც უნდა განაგრძოს მუშაობაო... ეტიენმა სინანული გამოთქვა ამის გამო, შარლმაც; ლიზელოტამ კი ცალყბად გაიღიმა და, ამ შემთხვევაშიც, არ დაიშურა რამდენიმე გესლიანი სიტყვა...

...მუშაობის ხასიათი მაინც შეიცვალა. ტრიბუნალის სხდომები არ მიმდინარეობდა, საღამოობით თითქმის თავისუფალი ვიყავით და, ასე თუ ისე, მაინც მოვითქვით სული... სამაგიეროდ, ენდრიუსს გაუჩნდა „ფანტასტიკური საზრუნავი“: ციხეში საშობაო დღესასწაულის მოწყობა ბრალდებულთათვის, ორღანოთი, ლოცვით, როგორც წესი და რიგია, მაგრამ „მეხანძრე“ მაინც გაგიჟებული იყო, რა უნდა ამ ანტიქრისტეებს ტაძარშიო. მან თავისი უფლებით აუკრძალა ბრალდებულებს ნათესავების ნახვა, ამანათების მიღება. ციხის ეკლესიაში ლოცვის უფლება კი მისცა, მაგარამ აქაც გარკვეულ სიძნელეებს წააწყდა: ზოგი (კალტენბრუნერი, პაპენი, ზეის-ინკვარტი, ფრანკი) კათოლიკე იყო, ზოგიც (გერინგი, რიბენტროპი, კაიტელი, ფრიკი, ფუნკი, შირახი, შახტი, დენიცი, რედერი, ზაუკელი, შპეერი, ნოირატი, ფრიჩე) — პროტესტანტი, იოდლი და შტრაიხერიც კათოლიკურად იყვნენ მონათლულნი, მაგრამ უარი თქვეს ამ „საშობაო კომედიაში“ მონაწილეობის მიღებაზე. ეს ისე, ფორმალურად, თორემ, არც ერთ მათგანს არც ქრისტე სწამდა და არც მის დაბადების დღეს სცემდა პატივს. როცა გერინგს უთხრეს საკანში, გამოდით, ლოცვის დროაო, ყოფილმა რაიხსმარშალმა იყვირა:

— ლოცვა! ეშმაკსაც წაუღია!..

მერე უცებ ხმას დაუწია და ირონიული ღიმილით დაუმატა:

— თუმცა, რა მენაღვლება, ეს საშუალებას მომცემს, ნახევარი საათით მაინც დავაღწიო თავი ამ დაწყეველილი საკნის კედლებს, ცათა სასუფეველი კი ისედაც ყოველდღიურად გვიახლოვდება...

ასევე მოიქცა ზაუკელი. მან თქვა:

— ჩვენ იმის სურვილი არასოდეს გვქონია, ქრისტიანული წესით აღგვენიშნა შობის დღესასწული. ახლა კი ამის არავითარი მატერიალური საფუძველი არ არსებობს, არც ნათესავებია ჩვენთან, მაგრამ... და ისიც წავიდა „სალოცავად“. არც სხვებს უთქვამთ „ამ კომედიაზე“ უარი. ესესელმა ოფიცერმა ორღანო დააგუგუნა და ის „სატანის ნა-

შიერები“ შევიდნენ რამდენიმე გაერთიანებულ საკნისაგან მოწყობილ „ტაძარში“. ვისაც ლოცვა არ აინტერესებდა, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, ლაპარაკობდნენ და ხმაურობდნენ. ნიუ-იორკიდან სპეციალურად ჩამოყვანილი კათოლიკური მოძღვარი პატერ სიქსტუს ო'კონორი, პროტესტანტული სულის მოძღვარი ლუი მისურელი და ნიუიორკელი პასტორი გერეკე იძულებული იყვნენ, წესრიგისაკენ მოეწოდებინათ მათთვის, მაგრამ ლოცვა მაინც არ გამოვიდა: ნაციზმის ლიდერები ასეთ „კომედიას“ მიჩვეულნი არ იყვნენ. მხოლოდ რამდენიმე ბრალდებულმა ააყოლა ხმა ქოროს გალობას, სხვები ისევ თავიანთთვის ზუზუნებდნენ... მიუხედავად ამისა, ტუსაღები ისე მიეჩვივნენ პასტორ გერეკესთან გულახდილ საუბარს, რომ ხმა გავრცელდა თუ არა, იგი ნიუიორკში ბრუნდებაო, შეშფოთდნენ..

გერეკე მთელი ომის განმავლობაში შინ არ ყოფილა. ცოლი უხმობდა მას, დაბრუნდიო, მაგრამ ბრალდებულებმა მოახერხეს წერილი გაეგზავნათ ქალბატონ გერეკესათვის:

— მართალია, თქვენი მეუღლე წლების განმავლობაში არ ყოფილა ოჯახში; ჩვენც გვყავს ცოლ-შვილი და ვიცით, რა მძიმეა ეს, მაგრამ მაინც გთხოვთ, კიდევ მოითმინოთ ცოტა. თქვენი მეუღლის გარდა არავის შეუძლია გაარღვიოს ის სულიერი კარჩაკეტილობის კედლები, რაც ჩვენ გარს გვარტყია, დიდად მადლიერი ვიქნებით...

გერეკე დარჩა. იგი უმთავრესად ლოცვანებს უკითხავდა თავის „მრევლს“, მაგრამ, ვერ წარმომიდგენია, ის ჯოჯოხეთის მოციქულები როგორ მოისმენდნენ ამგვარ სიტყვებს:

...ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა.

... წარსწყმინდე შენ ყოველნი, რომელნი იტყუან სიცრუესა; კაცი მოსისხლე და მზაკუვარი სძაგს უფალსა.

...საჯენ იგინი, ღმერთო; დაეცნედ იგინი ზრახვათა მათთაგან; სიმრავლისაებრ უღმრთოებათა მათთაჲსა

... არა ესრე უღმრთონი, არა ესრე, არამედ ვითარცა მტუერი, რომელ აგავის ქარმან პირისაგან ქუეყანისა.

...ამისთვის არა აღდგენ უღმრთონი სასჯელსა, არცა ცოდვილნი ზრახვასა მართალთასა. რამეთუ უწყის უფალმან გზაჲ მართალთაჲ და გზათაჲ უღმრთოთაჲ წარწყმდეს...

რა ექნათ? ხელი ზეცისკენ აღეპყროთ და, ნიშნად დასტურისა, ეძახათ: ამინ, ამინო?! ეს შეუძლებელი იყო. არადა, გერეკე ღაღადებდა:

...ჰმონეთ უფალსა შიშით და უგალობდეთ მას ძრწოლით.

...შიში უფლისაჲ წმიდა არს და ჰგიეს იგი უკუნითი უკუნისამდე.

იქნებ არცა ჰქონდათ შიში უფლისა, რადგან თავი წარმართებად მიაჩნდათ, ფსალმუნში კი ასეა ნათქვამი:

...მიიქცნენ ცოდვილნი ჯოჯოხეთს და ყოველნი წარმართნი, რომელთა დაჰვიწყებიეს ღმერთსაჲ.

...შეჰრისხენ შენ წარმართთა და წარწყმდა უღმრთოჲ; სახელები მათი აჰხოცე უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე...

ამიტომაც არ უსმენდნენ გერეკეს ღაღადებას სულის იმქვეყნიური ნეტარების შესახებ; იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად და თავიანთ გასაჭირზე თათბირობდნენ... არც ერთ მათგანს ფიქრადაც არ მოსვლია, მუხლი მოეყარა ჯვარცმის ნიშნის წინაშე და იმავე ფსალმუნის სიტყვებით მიემართა მაცხოვრისათვის:

— ცოდვაჲ ჩემი გაუწყე შენ და უშჯულოებაჲ ჩემი არა დავფარე შენგან; ვთქუ: აღუვარო ბრალი ჩემი უფალსა, და შენ მომიტევე მე უღმერთოებაჲ სულისა ჩემისაჲ...

სველი ენა...

— დღეს საღამოთი სად წავიდეთ? — ვკითხე მარკოვს.

— აკი გითხარი, შეთან არ წამოვალ-მეთქი.

— პიოტროვსკისთან წავიდეთ „გრანდ ოტელში“, ეწყინებოდა, გუშინ რომ კლუბში არ წავიყვანეთ, —შევთავაზე მე.

— პიოტროვსკისთან? შეიძლება, ის ჭკვიანი კაცია!..

წავედით, მაგრამ ვინანეთ. შინ სათარგმნელად რაღაც დოკუმენტები წამოეღოთ და იმაზე მუშაობდა. სილვიაც მასთან

იყო და ეხმარებოდა. ჩვენი მისვლა გაეხარდათ, მაგრამ ისევ საქმიანი ლაპარაკი დაიწყო. პიოტროვსკის პოლონელების მეტი არაფერი ახსოვდა. ყველამ თავის თავს მოუაროსო, ამბობდა იგი.

— პოლონელი სულ იმის ნატვრაშია, რომ თავი დაანებონ, არ გვინდა, ბატონო, არც მოყვრები და არც მტრები, არავინ არ გვინდა, კეთილი მეზობლების გარდა.

ჩვენ სულ არ ვიყავით ასეთ სერიოზულ საკითხებზე საუბრის ხასიათზე. კიდევ კარგი, რომ ტიკა შემოვიდა და გასართობი მაშინვე ვიშოვეთ. მარკოვიც კარგად იცნობდა მას და ყოველთვის ხალისით ელაპარაკებოდა.

— როცა ტიკას ელაპარაკები, რწმუნდები, რომ ჭკუა სულ ზედმეტი ბარგია ადამიანისათვისო, —მითხრა ერთხელ.

პიოტროვსკის სახე გაებადრებოდა ხოლმე, როცა ტიკას ნახავდა. ეს გატანჯული ბერიკაცი მხოლოდ მასთან ხალისდებოდა. ტიკაც ძალიან მიეჩვია და „პაპოს“ ეძახდა.

— სად იყავი, ტიკა? — ჰკითხა პიოტროვსკიმ.

— რა ვიცი, საითაც ქარი დამიბერავდა, იქით გავუხვევდი ხოლმე.

— ხომ წამოხვალ ჩემთან, პოლონეთში? — ვინ იცის, მერამდენედ ჰკითხა მან.

— თუ გამათხოვებ, წამოვალ! — ეს იყო ტიკას ჩვეულებრივი პასუხი.

— გაგათხოვებ, თუ კალიებს ფრთებს აღარ დააგლეჯ, — გაუხსენა ძველი ცოდვა პიოტროვსკიმ.

— თუ გავთხოვდი, კალიების სადევნი დრო სად მექნება? — გაიკვირვა ტიკამ, — მე მაშინ ქალბატონი ვიქნები...

— ვის გინდა მისთხოვდე? — ჰკითხა მარკოვმა.

— რა ვიცი, სულერთია, ვინც ჩემსავით უჭკუო იქნება...

— შენ ვინ გითხრა, რომ უჭკუო ხარ?

— სილვიამ, სულ იმას მეუბნება, ჭკუა არ გაქვსო.

— ტიკა, იცი, რა არის ჭკუა? — ვკითხე მე.

— რა ვიცი, რაღაც სისულელე კი უნდა იყოს!

— რატომ გგონია, რომ სისულელეა?

— აბა რა, ვინც ჭკვიანია, ყველა სულელია!..

— მაგალითად, ვინ?

ტიკამ აქეთ-იქით გაიხედა და უცებ მოჭრა:

—სილვია! ისე ჭკვიანია, ისე ჭკვიანი, რომ ყველა ამბობს, რა სულელიაო!

— ტიკა, ნუ მოყვები ახლა შენებურს, — დატუქსა სილვიამ.

— რა ჩემებურს! ჭკვიანია-მეთქი, სხვა რა ვთქვი!

— რა სულელიაო, ესეც ხომ თქვი, — წავაქეზე ტიკა.

— სულელია, აბა, რა, აიღებს წიგნს, კითხულობს, კითხულობს და თან ტირის. ვიღაცამ ვიღაცა არ შეიყვარაო, ვიღაცამ ვიღაცა მოკლაო, ამაზე ტირის, სულელია, აბა, რა?!

— შენ არ კითხულობ წიგნებს? — ჰკითხა მარკოვმა.

— უჰ, არა, მეზარება, ვერასოდეს ვერ გაიგებ, სად არის საინტერესო და სად არა... მე მიყვარს, სხვები რომ წაიკითხავენ და მომიყვებიან, რაც საინტერესო არ არის, გამოტოვებენ. აბა, გულს კი არ გაგიწყალებენ რაღაცეებით, რაც არ გაინტერესებს.

— ტიკა, რამდენი წლის ხარ? — ჰკითხა ისევ მარკოვმა.

— ჩვიდმეტის... — მერე დაფიქრდა და დაუმატა, კიდევ სამი თვისა და 9 დღის.

—შეყვარებული არა ხარ?

ტიკამ გადაიკისკისა და სკამზე შესკუპდა:

—გიჟი კი არა ვარ!..

— რატომ, არ გინდა, ვინმე შეგიყვარდეს?

— არა, მე გათხოვება მინდა, შეყვარება კი არა. შეყვარებულები გიჟები არიან. აი, სილვია რომ წიგნს წაიკითხავს, მე მომიყვება ხოლმე. ხან გოგოს უყვარს ბიჭი, მაგრამ ბიჭს არ უყვარს გოგო; ხან კიდევ ბიჭს უყვარს გოგო, მაგრამ გოგოს არ უყვარს ბიჭი; ხან გოგოსაც უყვარს და ბიჭსაც, მაგრამ სხვები უშლიან ხელს. წვალობენ, წვალობენ და სანამ გათხოვდებიან, ან ბიჭი მოკვდება ან გოგო. ზოგჯერ გოგო სხვაზე გათხოვდება ან ბიჭი სხვას ითხოვს. ამიტომ ან ბიჭი იკლავს თავს, ან გოგო, სილვია კი მოდგება და ტირის. სულ ასეთი წვალებაა. ამისთანა სიყვარული ვის რად უნდა. ესპანეთში ასე კი არ იციან.

— აბა, როგორ? — ვითომ დაინტერესდა მარკოვი.

— როგორ და, რამე დღესასწაული რომ იქნება, იცეკვებენ, იცეკვებენ და გათხოვდებიან.

— უსიყვარულოდ როგორ გათხოვდებიან? — ისევ განგებ გაიკვირვა მარკოვმა.

— სიყვარული რად უნდათ, ისე ვერ გათხოვდებიან?

— ტიკა, ან ხელები გააჩერე, ან ფეხები, ან ენა, — ისევ დატუქსა სილვიამ და წერა განაგრძო.

—სულ წავალ, თუ გინდა, —იწყინა ტიკამ და სკამიდან წამოხტა.

— მოიცა, სად წახვალ, დაჯექი, — დაუძახა სილვიამ.

— უჰ! — ამოიოხრა ტიკამ, — ასე გატანჯული ვარ მთელი ჩემი სიცოცხლე. არ ადგე, არ დაჯდე, არ წახვიდე, არ მოხვიდე...

— პირდაპირ გადასარევია,— „დაეთანხმა" მარკოვი, — რატომ გჩაგრავენ ასე, თუ იცი?

— უჭკუო ხარ და რამე სისულელეს ჩაიდენო!..

— აი, აი, აი! რა ეშველება მერე ამ საქმეს?

— რა ეშველება და, გავთხოვდები!..

— ტიკა, ენა გააჩერე, — შეუტია სილვიამ.

—კარგი, გავაჩერებ,—თქვა ტიკამ და ენაზე ხელი მოიკიდა, მერე უცებ გაუშვა და დაიძახა:

—ფუჰ, სველია!..

— ამდენს რომ ლაპარაკობ, იმიტომაა სველი, —უთხრა პიოტროვსკიმ.

— აბა, სილვია რომ სულ გაჩუმებულია, მშრალი ენა აქვს?

— აბა, რა!..

— არაფერიც!..

— თუ არ გჯერა, ნახე!..

ტიკა სილვიას მივარდა.

— აბა, მაჩვენე!..

ახლა სილვიასაც გაეცინა.

— ტიკა, პატარა კი აღარა ხარ, ჭკუა არ უნდა ისწავლო?

— სკოლაში თუ არ დავდივარ, ჭკუა როგორ ვისწავლო?!.

იმ დღეს სილვიამ პიოტროვსკი, მე და მარკოვი საშობაო დღესასწაულზე დაგვპატიჟა.

— ჩემს დედას და ჩემს მამას ძალიან უნდათ თქვენი გაცნობაო,— ჩაერია მაშინვე ტიკა.

საწინააღმდეგო რა გვქონდა, დავთანხმდით.

— უი, რა კარგია! — წამოიძახა ტიკამ, — მე ჩემს ნაძვის ხეს გაჩვენებთ, დედა კიდევ — თავის თეფშებს.

— ტიკა, გაჩუმდი, — დატუქსა მაშინვე სილვიამ, — მე ვერც მივხვდი, რა თეფშებზე იყო ლაპარაკი.

— ჰო, გავჩერდები, — დაეთანხმა მაშინვე ტიკა, მაგრამ ერთი სული ჰქონდა, კიდევ ეთქვა რამე...

—ეჰ, კაცს ენას არ ამოგაღებინებენ, —თქვა მან და ისევ გაიბა განუწყვეტელი ლაპარაკი.

— შენ თუ ლაპარაკი გაკლია! — უთხრა სილვიამ.

—ეს რა ლაპარაკია... სულ იმაზე უნდა იფიქრო, როგორ თქვა, რომ არ დაგიყვირონ: ტიკა, გაჩუმდი, ტიკა, სისულელეს ნუ როშავ, ტიკა, გაილახები...

— შენც ნუ ლაპარაკობ სისულელეებს და არ გაილახები!..

— თუ არ მათქმევინებთ, საიდან მივხვდე, რომ სისულელეა, სანამ არ ვიტყვი, ხომ ვერ შევატყობ, სისულელე გამოვა თუ არა; ვიტყვი და... ტიკა, სისულელეს ნუ როშავ, ტიკა, მოგხვდება... ეჰ...

ერთი წუთით გაჩერდა, მხოლოდ ერთი წუთით. მერე ისევ სილვიას მიუბრუნდა და ჰკითხა:

—რომ ვთქვა, დედას ბევრი თეფშები აქვსო, სისულელე იქნება?

სილვიას ისევ გული მოუვიდა.

— რას ჩააცივდი ამ თეფშებს? ვერ გაჩერდები?

—ჰო, გავჩერდები, —მისცა ისევ პირობა ტიკამ, მაგრამ მაშინვე დააყოლა:

— არც ისა ვთქვა, როგორი ნაძვის ხე გვექნება?

— როცა მოვლენ, თვითონ ნახავენ...

— ჰო, კარგი, არ ვიტყვი, — მერე გაკვირვებით შეხედა დას და ჰკითხა:

—აბა, რაზე ვილაპარაკო?!.

... პიოტროვსკი დნებოდა ტიკას სიყვარულით, სულ სახეში შესცი ცინებდა. თავის დაღუპულ გოგონებზე ფიქრს ეს უქარვებდა.

საოცარი ძალა აქვს ასეთ სიყვარულს! გერმანელებისაგან გაუბედურებულ პიოტროვსკის საკუთარი შვილივით რამ შეაყვარა ეს გერმანელი გოგონა! რა საგუბარი იჭერს ასეთ სიყვარულს, რომელსაც ერთბაშად შეუძლია გადალახოს ყოველივე, მოსპოს ეროვნული შუღლი, ერთმანეთის სიძულვილი, მამაშვილური სიყვარულით შეკრას მოსისხლე მტრების წარმომადგენლები. პიოტროვსკის ოდნავადაც არ ეხამუშებოდა, ეს ენარაკრაკა გოგონა რომ გერმანელი იყო, ამიტომ მისი იქ ყოფნის დროს არავის არ შეეძლო ტიკას გაჯავრება. სილვიას კი ისედაც არავინ აჯავრებდა. ეხლაც გამოესარჩლა და უთხრა:

—რაკი აქ ხმას არ გაღებინებენ, მოდი, ჩვენს ბუფეტში წავიდეთ და იქ ვიმუსაიფოთ.

—ჰო, კარგი, წავიდეთ, მაგათ უნდათ, თავიდან მოგვიშორონ...

წამოწითლებულმა სილვიამ უმწეოდ ჩაიქნია ხელი, მაგრამ არაფერი უთქვამს. მარტო რომ დავრჩით, ვთქვი:

— ტიკამ იმდენჯერ ახსენა ეს თეფშები, რომ მეც დამაინტერესა.

სილვიას გაეცინა.

—თუ გაუგო დედაჩემმა, რომ ტიკა ამაზე ლაპარაკობს, აჩვენებს სეირს.

— განა აქ რამე საიდუმლოა? — ისევ დავინტერესდი მე.

— არა, საიდუმლო არ არის! დედა სერვიზების მოყვარულია. საქსონური ფაიფურის დიდი კოლექცია აქვს. რაკი ეს არის მისი ერთადერთი გატაცება, უნდა ყველას აჩვენოს. საჭიროა თუ არა, სულ მაგიდაზე ალაგებს ხოლმე. ტიკას ამაზე

ეცინება. დედა, დღეს რა თეფშები უნდა ვჭამოთ? — ეკითხება ხოლმე და აჯავრებს, ვითომ საჭმელი არაფერი გვაქვს, თეფშები კი ბევრია. გაჭირვების გამო ყველაფერი გავყიდეთ, სახლში ეს ერთი თეფშებიღა შეგვრჩა ძვირფასი... დედა ვერ ელევა მათ, ისე უყვარს. არც მამაჩემი ივიწყებს და ყოველდღე, თუნდაც შავი პურისა და ძეხვის ნაჭრის მეტი არაფერი გვქონდეს, ორივენი გულმოდგინედ გააწყობენ ხოლმე სუფრას... ტიკა რომ სიცილს დაიწყებს, უჯავრდებიან... მაშინ ტიკა იბუტება და ერთხელ რომ მოკბეჩს პურის და ძეხვის ნაჭერს, თეფშს იცვლის და დანარჩენს სხვაზე სდებს, მერე ისევ მოკბეჩს, და ისევ იცვლის თეფშს, ასეა, ყოველი ლუკმის შემდეგ, სხვადასხვა თეფშს ხმარობს... ბოლოს დედასაც ეცინება და ტიკას ირიგებენ...

...სილვიას სახლში რომ შევედით, სულ იმაზე ვფიქრობდით, არ გაგვცინებოდა, როცა მაგიდას საქსონური ფაიფურით აავსებდნენ. მასპინძლები კარებთან შემოგვხვდნენ, ინიციატივა მაშინვე ტიკამ აიღო:

—ეს ჩემი დედაა, ეს ჩემი პაპიკო, ეს კიდევ ჩემი ნაძვის ხე, — არც გვაცალა კარგად მივსალმებოდით ერთმანეთს, რომ თავის გაქუცულ ნაძვის ხესთან მიგვიყვანა.

—ნახეთ, რა კარგი სათამაშოებია! —მოგვაწონა მან თავი და ნაძვის ტოტზე ჩამოკონწიალებულ ციყვსა და დათვს შეავლო ხელი.

— ტიკა, დაიცადე, ხალხმა სული მოითქვას, — უსაყვედურა დედამ და სასტუმროში მიგვიწვია. უზარმაზარი ოთახები, თითქმის დაცარიალებული, აქა-იქ გახუნებული ავეჯი, კედლები უცნაურად აჭრელებული. ეტყობოდა, ერთ დროს აქ სურათები ეკიდა და ახლა მხოლოდ მუქი ლაქებიღა იყო. დიასახლისიც ასეთ ფერგადასული ავეჯს ჰგავდა, ისე იყო მოტეხილი. ეტყობოდა, რაღაც დიდი გასაჭირი ჰქონდა გადატანილი, ისეთი სევდა ჰქონდა თვალებში ჩამდგარი, შეხედავდით თუ არა, რატომღაც შეგეცოდებოდათ. როგორც ყოველ მსახიობ ქალს, მასაც უცდია სილამაზის გახანგრძლივება, მაგრამ ახლა ისევ იმ შეკეთებული ავეჯივით გახუნებული გამოიყურებოდა. ოჯახის

მეთაური ებერჰარდი ხომ სულ პატრიარქალური ყოფის განსახიერება იყო. რაღაც უცნაური მუნდირი ეცვა და რამდენიმე ორდენი უბრწყინავდა მკერდზე. ძველი არისტოკრატული გვარის შთამომავალს, უნდოდა ამ მძიმე პირობებშიც შეენარჩუნებინა თავისი „წარმოშობითი უპირატესობა“, მაგრამ სურვილის მეტი არაფერი გააჩნდა. გამომეტყველება კი ჰქონდა ძველებური, მაგრამ ეს გაქექილი მუნდირი მაინც ხაზს უსვამდა ყოველივე ამის ამაოებას.

წარმავალი ყოფა და ადამიანები, გახუნებული ბრწყინვალება და ნაცრისფერი სინამდვილე გამოსჭვივოდა ყველაფერში. სილვიას სევდიანი თვალებიც როგორღაც ეხამებოდა საერთო კომპლექსს, ერთი მხოლოდ ტიკას შეჰქონდა დისონანსი ამ დაობებულ გარემოში. იგი ვერცხლისწყალივით ტრიალებდა ოთახში და სულ იმას ცდილობდა, ზედმეტი ლაპარაკითა და ანცობით არ ეწყენინებინა მშობლებისათვის, მაგრამ ეტყობოდა, ეს დიდი ტანჯვა იყო მისთვის. ოთახში ციოდა და ყველა თბილად იყო ჩაცმული, ტიკა კი საგაზაფხულოდ გამოწყობილიყო და სიცივისაგან ოდნავ გალურჯებული ჩანდა.

— ტიკა, მოიხურე რამე, არ გაცივდე, — უთხრა პიოტროვსკიმ.

— არა, ძია პეტრო, მე მიჩვეული ვარ, ჩვენთან სულ ასე ცივა, ზაფხულშიც კი, როცა გარეთ სიცხეა, აქ რატომღაც მაინც ცივა. მზე გაბრაზებულია და ჩვენს სახლში არ შემოდის...

შეშფოთებულმა დედამ საყვედურით გადახედა შვილს. ტიკამ ისეთი სახე მიიღო, რომ უხმოდ ანიშნა, ნუ გეშინია, ზედმეტს არაფერს ვიტყვიო, მერე ისევ პიოტროვსკის წაავლო ხელი და დარბაზში გაიყვანა ნაძვის ხესთან. დიასახლისი, რომელსაც ძველი პრეტენზიული სახელი — ფელიციტა შემორჩენოდა, და სილვია სამზარეულოში გავიდნენ. ბატონი ებერჰარდი მძიმედ ჩაეშვა სავარძელში და ჩვენც გვანიშნა, დაბრძანდითო. სავარძლებმა უსიამოვნო ჭრიალი იწყეს, მერე განძრევისაც გვეშინოდა, რომ ისევ არ აჭრიალებულიყვნენ.

— ავეჯი მოგვიძველდა, — იმართლა თავი მასპინძელმა, გაზაფხულისთვის მოგვიხდება გამოცვლა.

ამაზე გაღატაკებული ფრანგი არისტოკრატი პოეტი ბარ-ბიე დ'ორვილი გამახსენდა. იმ უბედურს სულზე არაფერი ებადა, მაგრამ არისტოკრატობას მაინც არ ეშვებოდა. ძველებურად წითელსარჩულიან შავ მანტოს იცვამდა, სირაქლემის ფრთებით გაწყობილ შავ ქუდს იხურავდა და მაღალყელიან წითელ წაღებს ატარებდა. თან დეზებს იკეთებდა და განგებ დაბოხებული ხმით ლაპარაკობდა. პარიზის გარეუბანში ერთ გაფხეკილ მანსარდში ცხოვრობდა და, როცა სტუმრები ეწვე-ოდნენ, სერიოზული ხმით იტყოდა ხოლმე:

— ბატონებო, მოეწყვეთ, ვის როგორც შეგიძლიათ, ხა-ლიჩები და ავეჯი მამულში მაქვს გაგზავნილი... — ისეთი ტონით ამბობდა, თითქოს თვითონ სჯეროდა ამისი. სხვებმა კი იცოდნენ, რა მამულებიც ჰქონდა მას, მაგრამ არ იმჩნევდნენ, რომ მეგობარს გული არ სტკენოდა.

ბატონი ებერჰარდიც ასეთ დღეში იყო. ხედავდა, როგორ გაშეშებული ვიჯექით, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა. ჩვენ არც ვიცოდით, რაზე გველაპარაკა. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. მერე მარკოვმა წარმოთქვა:

— ხომ კარგად ბრძანდებით, ბატონო ებერჰარდ?

— დიდებულად, ჩემო ბატონო, დიდებულად... ღვთის მადლით, გადავრჩით ამ წარღვნას და ახლა რა გვიჭირს!

— ამიერიდან მაინც იქნება სიმშვიდე, — ვითომ აუბა მხარი ლაპარაკს მარკოვმა.

— დიახ, როგორც სასაფლაოზე, ჩემო ბატონო, — უთხრა ებერჰარდმა და სავარძელი ააჭრაჭუნა. მერე ისევ უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

— წარღვნის შემდეგ ყოველთვის სიმშვიდეა, ბატონო, ან ვინმეს რომ დამარხავენ და ჭირისუფლები შინ დაბრუნდე-ბიან, ყველანი ჩურჩულით ლაპარაკობენ, თითქოს მკვდრის გაღვიძების ეშინიათო, — წამოიწყო ებერჰარდმა. ისე ზლაზ-ვნით ლაპარაკობდა, თითო წინადადების ჩათავებას კარგახანი უნდებოდა.

მე „ჩესტერფილდი" ამოვიღე და მივაწოდე.

— არ ვეწევი, ბატონო, — თქვა მან, — კარგი თამბაქო ახლა ისე ძნელი საშოვია, რომ ძალაუნებურად მივატოვე,

უწინ ჰავაის სიგარებს ან სამსუნის თამბაქოს ვწევდი, ახლა კი ყოველგვარ სიმყრალეს გვჩრიან...

ამას რომ ამბობდა, ერთი სიგარეტი მაინც ამოაძრო კოლოფიდან. მე ასანთს მოვუკიდე. ებერჰარდმაც სიამოვნებით გააბოლა და თქვა:

— უწინ ნამდვილი თამბაქო იყიდებოდა ჩვენთან, ახლა სადღა ნახავთ, ბატონო, ასეთ რამეებს. არისტოკრატული გერმანია დიდი ხანია, რაც მოკვდა, გათავდა... vixit, როგორც რომაელები ამბობენ. ჩვენც, რა უნდა ვქნათ, ვეგუებით. როცა სამართლის სასწორზე გამარჯვებულის ხმალია დადებული, მართლმსაჯულებას ვინღა მოუხმობს.

— ჩვენ სულ უბრალო საკითხებზე ვიწყებდით საუბარს, იმას კი ისარი აუცილებლად პოლიტიკურ რელსებზე გადაჰყავდა...

— რას იზამ, ბატონო, ჩვენი ბედისწერის წიგნში, ალბათ, ასე სწერია, — ამოიოხრა მან.

— წიგნში, რასაც ჩაწერ, ის იწერება, — მოუჭრა ენაკვიმატა მარკოვმა.

— ჩვენ ვინ გვაწერინებს, თორემ კი, ბატონო... წიგნს თვითონ წერენ, ჩვენ კი მარტო განაჩენს გვიკითხავენ...

— ვინ თვითონ?! — შევეკითხე მე.

— სინედრიონი, ბატონო ჩემო, სინედრიონი, — წარმოთქვა მან, — გავლენიანი პირები, პოლიტიკოსები...

— რამდენადაც ვიცი, ერთ დროს თქვენც ამ სინედრიონს ეკუთვნოდით, უთხრა მარკოვმა...

— რას იზამ, ბატონო, ამდენ მგლებში რომ მოხვდები, ძალაუნებურად შენც ყმუილს იწყებ.

აქ პიოტროვსკი შემოგვიერთდა... სიცივით გალურჯებული ტიკა სასადილოში გაიქცა...

— დიდებული ქალიშვილები გყავთ, — უთხრა პიოტროვსკიმ ებერჰარდს...

— ისეთი, როგორიც დროს შეეფერება, — მაინც წაიბუზღუნა მან.

— O, tompora, O, mores! — რატომღაც პათეტიკურად წარმოთქვა პიოტროვსკიმ და დაუმატა:

— ტიკა ყველა დროს დაამშვენებდა, ჩემო ბატონო!..

— ასეთი უდარდელები ყოველთვის კარგად ცხოვრობენ, — გაუსწორა მას ებერჰარდმა.

— ამ დროს ტიკა დაბარებულივით შემოვარდა და გამოაცხადა:

— უკვე ალაგებენ თეფშებს!..

ყველას გაგვეცინა. ებერჰარდმა წარბები შეკრა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ტიკა სასადილოში გავარდა. უხერხული დუმილი ისევ მარკოვმა დაარღვია:

— თქვენ, მგონი, ესპანეთში მსახურობდით ერთხანს, — ჰკითხა მან მასპინძელს.

— დიახ, ჯერ ოფიცერი გახლდით, შემდეგ საელჩოს მრჩეველი, — თქვა ებერჰარდმა, წამოდგა და რატომღაც მუნდირი გაისწორა. სავარძელი ისევ უსიამოვნოდ აჭრიალდა. ნადიპლომატარი ერთხანს გაჩერებული იყო, მერე ისევ დაჯდა და თქვა:

— ესპანეთი დიდებული ქვეყანაა, ბატონო!.. იქ იციან ცხოვრების ფასი!

— რითია დიდებული? — ჰკითხა პიოტროვსკიმ, — ფრანკოთი?

— თუნდაც, ფრანკოთი. კაუდილიო ფიუერერზე გონიერი გამოდგა, იმან არამცთუ შეინარჩუნა არისტოკრატია, არამედ გამოიყენა კიდეც მისი გამოცდილება, — თქვა ებერჰარდმა და დაუმატა:

— ამიტომაც ამბობენ, გამოცდილება გონების სათვალეაო...

ებერჰარდის აღსარება...

ებერჰარდი დიდად კმაყოფილი იყო ფრანკოს გამარჯვებით. იგი არც მალავდა ამას. ასეთი ანდაზაც მოიშველია:

— გერმანელი იმაზე ფიქრობს, რა იყო; ფრანგი — რა არის; ესპანელი — რა იქნება...

— დიქტატორების მოყვარული ბრძანებულხართ, — უთხრა პიოტროვსკიმ.

ებერჰარდმა, რაკი პოლიტიკური მოპაექრე იპოვა, მაშინვე ჩაება ბრძოლაში:

— კანტს დემოკრატიაც დესპოტიზმის ფორმად მიაჩნდა, ჩემო ბატონო. მე კი ძლიერი მონარქისტული ხელისუფლების მომხრე გახლავართ. უამისოდ სახელმწიფო ვერ იარსებებს. ეს იტალიელებმაც კი გაიგეს. აკი მოგახსენეთ: დუჩემ გაიმარჯვა, მაგრამ არისტოკრატია კი არ გაანადგურა, პირიქით, სამეფო ტახტი გაამაგრა და ბოლომდე შეინარჩუნა მონარქისტული წყობილება.

— მიტომაც დაადგა კარგი დღე, — ჩაურთო მარკოვმა.

— ეს უკვე ჰიტლერის ბრალია, ბატონო, ფიურერმა მოსპო საგვარეულო არისტოკრატიის ძალაუფლება, თუ სადმე მეფეები და უფლისწულები იყვნენ ევროპაში, საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაყარა, თავისი მაწანწალები კი პრივილეგიურ კასტად აქცია, რადგან თვითონაც მაწანწალა იყო...

— არც ფრანკოსა და მუსოლინის წინაპრები იყვნენ ბრწყინვალე გვაროვნული არისტოკრატიის შთამომავლები, — შეედავა პიოტროვსკი.

— სამაგიეროდ სულიერი არისტოკრატები იყვნენ, — ამაყად წარმოთქვა ებერჰარდმა და ისევ ააჭრიალა დანჯღრეული სავარძელი.

— ბისმარკის, კაიზერისა და ჰინდენბურგის შემდეგ ეფრეიტორი შიკლგრუბერი განა ბედის დაცინვა არ იყო? — განაგრძო მან, — და, აი, ხომ ხედავთ, როგორ დაგვცინა ბედმა. პრუსიული იუნკრობა და გერმანელი არისტოკრატია აღარ არის, აღარც იმპერია. კეთილშობილება დამცირებულია. უწინ ასე იტყოდნენ, ებერჰარდ ფონ... ეს რამეს ნიშნავდა, ახლა ამას ყურადღებას არავინ აქცევს; სამაგიეროდ, გრუპენფიურერისა და ობერგრუპენფიურერის ტიტულებს ეხმაურებიან. სადღა არიან გერმანელი ბარონები და დიდგვაროვანი თავადები ან თვით გერმანია სადღაა. აჩრდილიღა დარჩა იმისი, რაც იყო. ახლა ამ აჩრდილსაც, ერთი ანტიკური იგავისა არ იყოს, მოკავშირეები იყოფენ. სასაცილოა, ვის რად უნდა ამ აჩრდილის გაყოფა? თქვენ არ გეწყინოთ, ბატონებო, და ეს მართლაც იმ იგავსა ჰგავს, ხომ გახსოვთ...

— ბრძანეთ! — გაათამამა პიოტროვსკიმ.

— ჰოდა, ჩემო ბატონო, — დაიწყო ებერჰარდმა, — ერთმა ათენელმა ვირი იყიდა. ძალიან რომ დაცხა, ვირი მზეზე გაიჩერა და თვითონ მის ჩრდილს შეაფარა თავი. ვირის წინანდელმა პატრონმა ჩხუბი დაუწყო. მე ვირი მოგყიდე და არა ჩრდილიო. იმდენი იდავეს, რომ მერე სასამართლოს მიმართეს. მოსამართლემ მომჩივრებს დაუდგინა, ხარჯების დასაფარავად ვირი სასამართლოს გადაეცეს, ჩრდილი კი თქვენ გაიყავითო. ბატონებო, აგერ სასამართლო და აგერ ვირის ჩრდილი გასაყოფად, ვნახოთ, რას დაადგენენ ისინი.

— ვირს წყალთან ისე ვერ მიიყვან, თუ არ მოსწყურდაო, — თქვა მარკოვმა. შევატყვე, უფრო მწარე რაღაცის თქმასაც აპირებდა, მაგრამ თვალი ჩავუკარი, გაჩერდი-მეთქი.

კიდევ კარგი, რომ ისევ ტიკა შემოვიდა და, სასადილოში მობრძანდითო, მიგვიწვია. დარბაზში ისე დიდი მაგიდა იყო გაშლილი, რომ 50 კაცს დაიტევდა. ირგვლივ მასიური კარადები და სერვანტები იდგა, სულ ფაიფურის ჭურჭლით გაჭედილი. კედელზე ერთადერთი ნატურმორტი ეკიდა, ვარაყგადაცლილ უზარმაზარ ჩარჩოში ჩასმული. იქვე მიეკრათ ქაშანურის რამდენიმე ლანგარი, ვენერასა და ამურების გამოსახულებით. მაგიდაზე, მართლაც, უხვად ელაგა ფაიფურის ჭურჭელი. რაკი ტიკასაგან გაფრთხილებული ვიყავით, ჩვენც ამ ჭურჭელს დავუწყეთ თვალიერება. დიასახლისი და სილვია მაგიდაზე რაღაცეებს ალაგებდნენ, ტიკა ჩვენ დაგვდევდა და ეშმაკურად იცინოდა.

— ლამაზია, არა? — თქვა მან, როცა ფაიფურის ლარნაკებს დავუწყეთ თვალიერება.

— შესანიშნავია, — დაეთანხმა მაშინვე პიოტროვსკი და დიდი მცოდნის თვალით დაუწყო ყურება. ებერჰარდიც ისეთ ინტერესს იჩენდა, თითქოს პირველად ხედავდა ყველაფერს. მის კოლექციაში საქსონური ფაიფური ჭარბობდა, მაისენში დამზადებული. ერთხელ მეც ვიყავი მაისენის ფაიფურის ქარხანაში და იქაური გამყოლის ნაამბობი გავიხსენე:

ფაიფურის წარმოების სამშობლო, მოგეხსენებათ, ჩინეთია. ჩინელი ოსტატები უკვე მეექვსე საუკუნეში ამზადებ-

დნენ ფაიფურის ჭურჭელს. სხვადასხვაფერად [illegible]ული ფაიფურის ნაწარმი მთელ მსოფლიოში იყო განთქმული. [illegible] პელები დიდხანს ცდილობდნენ ფაიფურის წარმოების „ჩინური საიდუმლოების“ გახსნას, მაგრამ ეს მათ მე-18 საუკუნის დასაწყისამდე ვერ მოახერხეს. ფაიფურის პირველი ქარხანა სწორედ საქსონიის ქალაქ მაისენში გაიხსნა. ეს ქარხანა ჯერ კიდევ 1710 წელს დაარსდა. იგი პირველი იყო ევროპაში და ამიტომ სწრაფად გაითქვა სახელი. აქ მუშაობდნენ სახელგანთქმული ოსტატები და მოქანდაკენი — ჰეროლდი, კენდლერი, ებერლაინი; უფრო გვიან — მაიერი, ასეი და ს

ური ფაიფურის მუზეუმის ეს მრავალრიცხოვანი ექსპონატები მართლაც სასაცილო იყო. მე ვცდილობდი, ტიკასთვის არ შემეხედა, რომ უადგილოდ არ გამცინებოდა. ის კი სრულიად სერიოზული სახით დაყვებოდა პიოტროვსკის და უხსნიდა — ეს ჩინური ვაზაა, ეს იაპონური, ეს ეგვიპტური, ესეც ესპანური, დანარჩენი ჩვენებურია, საქსონური, საჭმელები კი ამერიკული გვექნება, ბუფეტიდან მოტანილი, — მაინც თავისებურად წაუკვიმატა მან.

მაგიდას რომ შემოვუსხედით, მართლაც, ვიგრძენი ტიკას იუმორის სიმართლე. ყველანი ამ უზარმაზარი მაგიდის ერთ კუნჭულში მოვეწყეთ. წინ კი, მართლაც, იუსტიციის სასახლის ბუფეტიდან მოტანილი საჭმელები დაგვიდეს და, მარკოვის ენით რომ ვთქვათ, რაღაც „მყრალი სასმელიც“ დაგვისხეს.

— ხომ გემრიელი თეფშებია, — ჩაურტყა ისევ ტიკამ და ჩაიცინა.

— ტიკა, მოიხვიე რამე, თორემ შეგცივა, — სიტყვა ბანზე აუგდო დედამ.

ტიკა მიხვდა, რატომ უთხრეს ეს და ანიშნა, „ჰო, გავჩუმდებიო“, მაგრამ ენა მაინც წინ უსწრებდა:

— ყველა თეფში რომ საჭმლით აავსონ, ნეტავი რამდენ კაცს ეყოფა? — იკითხა ისევ მან. სილვიამ კაბაზე დაქაჩა, მაგრამ თვითონაც გაეცინა. ჩვენ, ვითომ ტიკას შეკითხვა არ გაგვიგია, ისე განვაგრძეთ დაწყებული საქმე. ებერჰარდმა კი ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

— ტიკა, შენ ენაზე მუწუკი ხომ არა გაქვს?

— ღმერთო ჩემო, რამდენი ლაპარაკი იციან ამ ბავშვებმა, — თქვა ფელიციტამ ისე, რომ ტიკას არც აცალა პასუხი.

— ჰო, კარგი, გავჩუმდები, — თქვა ტიკამ და თეფშები ყველას გამოგვიცვალა. მინდოდა, უხერხულობა გამეფანტა და ებერჰარდს ვკითხე:

— დიპლომატიურ სამუშაოს რატომ დაანებეთ თავი?

— დამანებებინეს, ბატონო, და იმიტომ, — ამოიხვნეშა მან, — ეჭვი მიიტანეს ჰერცოგ ალბასთან მეგობრობაში. იმას კი ინგლისელებთან ჰქონდა კავშირი და ჰიტლერის სა-

წინააღმდეგო შეთქმულებაში იყო ჩაბმული. მე ერთი-ორჯერ შევხვდი ალბას, მაგრამ არავითარი პოლიტიკური კავშირი არ მქონია მასთან. ან როგორ გავბედავდი. მე, ბატონო, პირდაპირ უნდა გითხრათ, არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებსაც რაღაც იდეების გამო შეუძლიათ თავი გასწირონ, სხვის მიერ მოგონილ იდეებს მე საკუთარი სიცოცხლე მირჩევნია.

— საზოგადო მოღვაწეები ასე არ მსჯელობენ, — თქვა პიოტროვსკიმ.

— უწინ არც მე ვმსჯელობდი ასე, ბატონო, მეგონა, რომ საზოგადოებრივ მოღვაწეობას აზრი აქვს, — განაგრძო ებერჰარდმა, — მერე კი დავრწმუნდი, რომ ეს სისულელეა, ან რა საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ შენს აზრს არავინ უწევს ანგარიშს, არც არაფრად აგდებს. სხვა კი არა, შენც არ შეგიძლია საკუთარი შეხედულებების მიხედვით იმოქმედო. სულ სხვისი აზრი და დავალება უნდა ასრულო. მოგწონს თუ არა, ეთანხმები თუ ეწინააღმდეგები, ამას მნიშვნელობა არა აქვს, რასაც გეუბნებიან, ისე უნდა აკეთო. კი, ბატონო, მე შევეგუე ამას და, რასაც მეუბნებოდნენ, იმას ვაკეთებდი, მაგრამ მერე მომთხოვეს, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, შენც ისე იფიქრეო. ესეც ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა. თავში მაინც საკუთარი ფიქრები მიტრიალებდა. მე დიდხანს ვებრძოლე საკუთარ თავს, მაგრამ ვერ მოვერიე...

— ვერც მე ვერევი, მამიკო, ჩემს ფიქრებს, — ჩაეკვეხა ტიკა ჩვენს ლაპარაკში, — გავიფიქრებ რამეს თავში და სანამ გადავწყვეტდე, შეიძლება ამის თქმა თუ არა, ენა უკვე ლაპარაკობს...

—ჯერ უნდა მოიფიქრო, შვილო, და მერე ილაპარაკო, — დაარიგა მამამ.

— ეჰ, მე კი ჯერ ვამბობ და მერე ვფიქრობ, — თქვა ტიკამ.

— შენ არც მერე ფიქრობ, — შენიშნა დედამ.

— გააჭირეთ საქმე ამდენი ფიქრით, თავი არ გტკივათ? — გაბრაზდა ტიკა, მაგრამ სილვიამ დააშოშმინა:

— ტიკა, უფროსები როცა ლაპარაკობენ, შენ უნდა გაჩუმდე.

— ჰო, გავჩუმდები, — თქვა მან და მოულოდნელად ისევ გამოგვიცვალა თეფშები.

მარკოვს რაღაც გემრიელი ნაჭერი ედო თეფშზე და ტიკამ რომ ხელი წაავლო წასაღებად, არ დაიბნა, თავისი საჭმელი ახალმოტანილ თეფშზე გადადო და ცარიელი გაატანა. თან ყურში უჩურჩულა: არ დამაცდი? ხომ ხედავ, არ გამითავებია!

— მალე შეჭამეთ, თორემ ისევ გამოვცვლი თეფშებს, — გაგვაფრთხილა ტიკამ.

ამის შემდეგ საუბარმა უფრო დაძაბული სახე მიიღო. პიოტროვსკიმ თავისი არ მოიშალა და, როგორც ყოველთვის, გერმანელების მიერ დახოცილ პოლონელებზე ჩამოაგდო სიტყვა...

— გერმანელების რა ბრალია, ისინი იმას აკეთებდნენ, რასაც უბრძანებდნენ, — რატომღაც ნერვულად მიუგო ებერჰარდმა.

— კი მაგრამ, რომ უბრძანონ, საძაგლობა ჩაიდინეთო, უნდა ჩაიდინონ? — ვერ მოითმინა პიოტროვსკიმ.

— უნდა ჩაიდინონ, რატომაც არ უნდა ჩაიდინონ?! — მიუგო ებერჰარდმა. — მაგრამ ეს მათი საძაგლობა კი არ იქნება, არამედ იმისი, ვინც ეს უბრძანა.

— იქნებ ისიც უბრძანონ, კაცი მოკალითო, — არ მოეშვა პიოტროვსკი.

— თუ უბრძანებენ, უნდა მოკლან კიდეც, აბა, რა უნდა ქნან! ასე რომ არ მოიქცნენ, თვითონ მათ მოკლავენ, — აუწია ხმას მასპინძელმა და სახეზე ჭარხლის ფერი დაედო.

— ვაი, რომ მოკლავენ, — ამოიგმინა ფელიციტამ, სახეზე ოფლმა დაასხა, მერე ხელსახოცით შუბლი შეიმშრალა და დაუმატა, მოგკლავენ კი არა, სიკვდილსაც მოგანატრებენ.

— სანამ მოგკლავენ, უნდა დაასწრო, — ჩამოართვა სიტყვა ებერჰარდმა, — სხვა შესაძლებლობა გამორიცხულია.

— არსებობა შესაძლებლობაა, ჩემო ბატონო, — მიუგო

დინჯად პიოტროვსკიმ, — თვით ადამიანზეა დამოკიდებული, რა გზას აირჩევს ცხოვრებაში. მთავარია, სინდისი იყოს მისი მსაჯული...

—ადვილი სათქმელია, სინდისი!.. — კიდევ უფრო აუწია ხმას ებერჰარდმა, — შუბლს რომ ტყვიით გაგიხვრეტენ, მერე ნახეთ სინდისი!

— ათი ათასჯერ რომ მოგკლან, ისა სჯობია სინდისის გაყიდვას!..

— განა აუცილებელია, სინდისი და სიკვდილი ერთმანეთის პირისპირ დავაყენოთ? ნუთუ სინდისი აუცილებლად სიკვდილს მოითხოვს? — ჩააცივდა პიოტროვსკის ბრაზმორეული ებერჰარდი. პიოტროვსკიმ ამ კითხვებზე პირდაპირ პასუხს სიტყვების მოშველიება არჩია:

— ვისაც კარგი სიკვდილი არ შეუძლია, ცუდად უცხოვრია...

აქ კი იფეთქა ებერჰარდმა:

— ასეთი რამ თქვენ წიგნში წაგიკითხავთ, მე კი...

— გაჩუმდი, ებერჰარდ, — იკივლა ფელიციტამ და სახეალეწილი გავარდა სამზარეულოში. სილვიაც მას მიჰყვა. მე ვერ მივხვდი, რა მოხდა ასეთი! ან ჩვენი დიასახლისი რამ ააღელვა ასე?! ტიკაც გაკვირვებით გვიყურებდა, ხომ არ ჩხუბობენო, და სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ისევ თეფშები გამოცვალა. ცოტახნის შემდეგ ფელიციტა სილვიასთან ერთად დაბრუნდა. ორივეს ნამტირალევი თვალები ჰქონდათ.

— ავდგეთ და წავიდეთ, — მიჩურჩულა მარკოვმა რუსულად.

— მოიცა ცოტა, სირცხვილია, — გავაჩერე მე. მერე კი ებერჰარდს მივუბრუნდი:

— დღეს ქრისტეს შობის დღეა, ჩემო ბატონო, და უმჯობესია მოყვასის სიყვარულს ვცეთ პატივი.

პიოტროვსკიმ ირონია გაიგო და გააგრძელა:

— მოდით, პოლიტიკას თავი დავანებოთ და ჩვენს თავს მივხედოთ. ხომ მართალია, ტიკა?

— რასაკვირველია! — იმწამსვე წამოიძახა ტიკამ, მაგრამ კი ვერ გაიგო, რას დაეთანხმა და კითხვა შეუბრუნა:

— რა არის მართალი, ძია პეტრო?

...მეორე დღეს სილვია სულ ცრემლებს ღვრიდა. რომ მცოდნოდა, ასე ცუდად გამოვიდოდა, სულაც არ მოგიწვევდით სახლშიო. ბევრი ვუმტკიცე, რომ არაფერი ცუდად არ გამოსულა, მაგრამ მაინც ვერ დავაჯერე. კარგი გულის იყო, ჭკვიანიც. ეუხერხულა, მამამ რომ „სულელური აზრები“ გამოთქვა.

მერე ტიკა მოვიდა და საუბარი შევწყვიტეთ.

— აკი ვთქვი, ყველა სულელია-მეთქი, — გამოთქვა თავისი აზრი ტიკამ.

— ვინ ყველა? — შევეკითხე მე.

— ვინც ჭკვიანია და წინასწარ ფიქრობს, რა უნდა თქვას. მერედა, რა მნიშვნელობა აქვს, შენ რას იტყვი, თუ ყურადღებას მაინც არავინ გაქცევს?

—მაშინ სულ ნუ ილაპარაკებ, — უთხრა სილვიამ.

— სულელი!.. — გაიკვირვა ტიკამ, — თუ საქმე არაფერი გაქვს, აბა, რა უნდა ქნა, თუ არ ილაპარაკებ?

— საქმე აკეთე...

— რა ვაკეთო?..

— წიგნები იკითხე...

— უჰ, გააჭირე საქმე ამ შენი წიგნებით. თუ არ მაინტერესებს, მაინც ვიკითხო?

— აბა რა, ხომ უნდა ისწავლო რამე?

— რატომ უნდა ვისწავლო. ვერ უყურებ, მამამ რამდენი ისწავლა და მაინც სისულელეებს ამბობს.

— შენ რა იცი, რომ სისულელეებს ამბობს?

— ვიცი, განა ვერ მივხვდი, ის რომ ლაპარაკობდა, შენ სატირლად გახვედი გარეთ? მე ხომ ვიცი, ცუდ რამეს რომ იტყვიან, მაშინ ტირიხარ, აბა, კარგზე რატომ იტირებ? მე რომ კარგ რამეს მეტყვიან, ისეთ ხასიათზე ვდგები, სულ სიცილი მინდა, ცუდ რამეზე კი მაშინვე ტირილი მინდება.

— ტიკა, გეყოფა, სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, — გაუწყრა სილვია.

— ჰო, კარგი, გავჩუმდები, — ერთხელ კიდევ დაეთანხმა ტიკა და კითხვაც მიაყოლა:

— ძია პეტროსთან რომ სისულელეები ვილაპარაკო, შეიძლება?

— ჰო, შეიძლება, თავი ნუ მომაბეზრე, — ისევ გაუჯავრდა სილვია.

— კარგი, არ მოგაბეზრებ, არც არაფერს ვიტყვი, — თქვა გაბუტულმა ტიკამ, — თუ გინდათ, სულაც წავალ და ისევ მარტო დაგტოვებთ!

ეს თქვა და... ისე სწრაფად გაიხურა კარი, რომ სილვიამ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო...

...დადგა გულახდილობის ჟამი. სილვიამ კარი შიგნიდან ჩაკეტა და მოწყვეტით ჩაეშვა საკარძელში. სახეზე მკვდრის ფერი ედო. გაფითრებული ტუჩები უთრთოდა და ხელები უკანკალებდა. მე ისედაც ვხვდებოდი, სულ იმის შიშში იყო, ტიკას რაღაც არ ეთქვა, მაგრამ რას ნიშნავდა ეს „რაღაც“, ამაზე წარმოდგენაც არ მქონდა. არც ახლა ვიცი, რამ აიძულა იმ დღეს სილვია თავისი ოჯახის ტრაგიკული საიდუმლო გაეგზილა. მართალია, სული ჩამატანა, არავისთვის მეთქვა ეს, არც „ძია პეტრუსთვის“, მაგრამ ამ ოცდაათი წლის შემდეგ ამას რა მნიშვნელობა აქვს. უკვე აღარც ებერჰარდი იქნება ცოცხალი და არც მისი ფელიციტა.

— ჩვენ მაშინ სულ პატარები ვყოფილვართ, — დაიწყო სილვიამ, — მონარქისტებსა და რესპუბლიკელებს შორის დიდი შეტაკება მომხდარა ასტურიაში. ჩვენი სახლი გაუჩხრეკიათ და იარაღი უპოვიათ. ბაბუა, მამა და დედა დაუპატიმრებიათ კიდეც და სხვა ვიღაცეებთან ერთად ტყეში გაუყვანიათ დასახვრეტად... ჟანდარმერიის ოფიცერი გალეშილი მთვრალი ყოფილა. მას, თურმე, გერმანელი ოფიცერიც ახლდა. იგი განზე გამდგარი უყურებდა ამ სცენას, ესპანელი ოფიცერი კი ჩქარობდა, მაგრამ უცებ სიმთვრალეს წამოუვლია და გართო-

ბის ხასიათზე დამდგარა. მან იცნო, დედაჩემი რომ მთელ ესპანეთში ცნობილი მომღერალი იყო, მივიდა მასთან და, როცა ჟანდარმებს უკვე იარაღი ჰქონდათ მომართული, უთხრა:

— თუ ახლა იმღერებ, ლამაზო, შენ არ გესვრიან!

დედამ ზიზღით შეხედა მას.

ოფიცერმა გაიმეორა:

— თუ იმღერებ, ტყვია აგცდება...

დედამ მაინც არაფერი უპასუხა...

— ერთი წუთი მოსაფიქრებლად! — თქვა ოფიცერმა და გერმანელს გამოელაპარაკა. გერმანელმა ზურგი შეაქცია მას. დედაჩემი კი მაინც არ იღებდა ხმას.

— იმღერე, შვილო, იქნებ შენ მაინც დარჩე ცოცხალი! — უთხრა მას ბაბუამ, დედამ თვალები დახუჭა.

— იმღერე, თავს ძალა დაატანე და იმღერე! — შეეხვეწა მამა, — ბავშვებს ხომ უნდა დარჩეს ვინმე მომვლელი!..

ისევ დუმილი!

— იმღერე, შენ გეუბნებიან, იმღერე!.. — იყვირა მოთმინებადაკარგულმა ბაბუამ.

დედას ტირილი წასკდა.

— ბავშვებს სულ უპატრონოდ ნუ დასტოვებ, ძვირფასო, — ისევ შეეხვეწა მამა.

ის ოფიცერი კი უყურებდა მათ და იღიმებოდა.

— ჰა, იქნება თუ არა სიმღერა, — თქვა მან ბოლოს.

... და დედამ სცადა ემღერა... ღმერთი ჩემო, აბა, რა ემღერებოდა ან როგორ შეეძლო! მხოლოდ ხრიალი ამოხდა ყელიდან და დაეცა...

— ცეცხლი! — გაისმა ოფიცრის ბრძანება.

ჟანდარმებმა თავიანთი საქმე გააკეთეს, მაშინვე შებრუნდნენ და წავიდნენ. გერმანელი ოფიცერი იქვე დარჩა. იგი მივიდა დედასთან და უნდოდა წამოეყენებინა, მაგრამ...

სილვიამ სული მოითქვა. ცხვირსახოცით ცრემლი მოიწმინდა და განაგრძო:

— დედა თვითონ წამოდგა, ერთხანს უყურა იმ ოფიცერს და... შიგ სახეში შეაფურთხა.

— ძაღლიშვილო, ახლა შეგიძლია მეც მესროლო, — მიაძახა მან.

ოფიცერი წაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიკავა. მერე რევოლვერი ამოიღო და... დედას რომ ეგონა, ახლა მესვრისო, თვითონ იკრა ტყვია გულში...

... კარზე ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა. ალბათ, ტიკა იყო. არც ერთი არ გავნძრეულვართ. კაკუნი განმეორდა. ისევ დუმილი.

— ის ოფიცერი მოკვდა? — ჩუმად ვკითხე სილვიას.

— არა, დედას შეეცოდა დაჭრილი, მოუარა, მერე ჰოსპიტალში დააწვინეს და გადარჩა. ის რომ არ გადარჩენილიყო და არ დახმარებოდა, დედასაც დახვრეტდნენ... რამდენიმე თვე დაპატიმრებულიც ჰყავდათ, მაგრამ...

ო, ღმერთო, რას არ გაიგონებს ადამიანი ამ ქვეყანაზე!..

— ის ახლა მამაჩემია, — წყნარად წარმოთქვა სილვიამ და თავი ჩაღუნა.

— ებერჰარდი?!

— დიახ, — თითქმის ჩურჩულით თქვა მან და დაუმატა:

— ყველაფერი ეს დედამ მიამბო, გამაფრთხილა კიდეც, ტიკასთვის არაფერი მეთქვა, მაგრამ ასე მგონია, რომ იგი ხვდება რაღაცას...

მე ენა დამბა და რატომღაც თვალი დავხუჭე. სილვიამ ისე გააღო კარი და გავიდა, რომ არც შემიხედავს მისთვის...

მეცხრე ტალღა...

არდადეგები რომ დამთავრდა და მთავარმა ბრალმდებლებმა შესავალი სიტყვები წარმოთქვეს, დაიწყო მტკიცებულებათა წარდგენა. საამისო წესი ზოგადად განმარტებულია ტრიბუნალის წესდებაში, ხოლო უფრო კონკრეტულად — მის დადგენილებებში. ამ წესის მიხედვით, ბრალმდებლებს წარედგინათ განსასჯელთა მიმართ წაყენებული ბრალ-

დების დამამტკიცებელი საბუთები. ამასთან, მტკიცედ იყო დაცული ბრალდებულთა პროცესუალური გარანტიები. მათ უფლება ჰქონდათ, ისეთი ახსნა-განმარტება მიეცათ ტრიბუნალისათვის, რასაც საჭიროდ მიიჩნევდნენ. ყოველი მათგანი უფლებამოსილი იყო, პირადად ან დამცველის საშუალებით წარედგინა დაცვის საბუთები, მოეთხოვა ბრალდების მიერ გამოძახებული მოწმის ჯვარედინი დაკითხვა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ მოწმეების დაკითხვასა და წერილობით ჩვენებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭეშმარიტების დასადგენად, მთავარი მაინც ის დოკუმენტები იყო, მოსკოვიდან და კასელიდან რომ ჩამოიტანეს. მათი დამუშავება ნიურნბერგშიც გრძელდებოდა. ამ საქმეს ამერიკელი პოლკოვნიკი სტორი ხელმძღვანელობდა. იგი პროცესზეც გამოვიდა და განმარტა, თუ როგორ ხდებოდა ეს. ჩვენც მაშინ გავიგეთ, რომ კასელის დოკუმენტების დახარისხებასა და მტკიცებულებად მომზადებაზე მუშაობდნენ ამერიკელთა აპარატის მუშაკები, რომლებიც დამუშავებულ მასალებს ინგლისურ ენაზე შედგენილი ანოტაციებით, შეერთებული შტატების ბრალმდებელთა კოლეგიის დოკუმენტურ ცენტრში გზავნიდნენ. ყოველ დოკუმენტს ან ამონაწერს საკუთარი ნომერი ჰქონდა. ჩვეულებრივ, იყენებდნენ ასლებს, დედნები კი სპეციალურ სეიფებში ინახებოდა. ასლებს თარგმნიდნენ და ამრავლებდნენ ოთხივე ოფიციალურ ენაზე. დამცველებს შეეძლოთ ყველა დოკუმენტის ასლის მიღება, საჭიროების შემთხვევაში კი — დედნების ნახვაც. ასლებს პრესის მუშაკებიც იღებდნენ და, საერთოდ, ყველა, ვინც ამის სურვილს გამოთქვამდა...

...დოკუმენტების წარდგენის წესიც ტრიბუნალმა დაამტკიცა. ლოურენსმა განაცხადა:

— ტრიბუნალს ამ წესის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. მე ვფიქრობ, დაცვის მხარის დუმილიც ამის ნიშანია. რაკი ასეა, წესი მიღებულად მიმაჩნია. გმადლობთ, ჯენტლმენებო!..

მეორე დღეს დოკუმენტურ მტკიცებულებათა წარდგენა

პროცესზე ამერიკელმა ბრალმდებელმა უოლისმა დაიწყო. მან დასაწყისშივე განაცხადა:

— მტკიცებულებათ, რასაც მე ახლა წარმოვადგენ, უნდა დაადასტურონ:

1. რომ ნაცისტურ პარტიას დასახული ჰქონდა განსაზღვრული ამოცანები და მიზნები, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა სხვისი ტერიტორიების დაპყრობაში, წმიდა რასის გერმანელთათვის სასიცოცხლო სივრცის მოსაპოვებლად;

2. რომ ამ მიზნის მისაღწევად მათ დასაშვებად მიაჩნდათ ყოველგვარი — კანონიერი თუ უკანონო — მეთოდები;

3. რომ გამოყენებულ იქნა პროპაგანდის სხვადასხვა ხერხი ხელისუფლების უკანონოდ მისათვისებლად;

4. რომ პარტიამ მთლიანად მიისაკუთრა მთავრობის ძალაუფლება;

5. რომ ეს ძალაუფლება გამოიყენა ოპოზიციის მოსასპობად და აგრესიული ომებისათვის ერის ფსიქოლოგიურ მოსამზადებლად.

ამ ხუთი დებულების დასადასტურებლად იმდენი საბუთი იქნა წარდგენილი, რომ ყველა ელოდა, როდის დაჰკრავდა ლოურენსი მაგიდაზე ხის ჩაქუჩს და იტყოდა:

— საკმარისია!..

...უოლისის შემდეგ ისევ ამერიკელი ბრალმდებელი ელვინ ჯონსი გამოვიდა და განაგრძო დოკუმენტების წარდგენა საბრალდებო აქტების ცალკეული მუხლების მიხედვით. ისიც ისე „ცურავდა“ დოკუმენტების ზღვაში, რომ თვითონვე განაცხადა:

— შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს თავჯდომარე, აწ განსვენებული ოლივერ უენდელ ჰოლმსი საკუთარი გამოცდილების მიხედვით ამბობდა; რომ „ისტორიის ერთი გვერდი ლოგიკის მრავალ ტომს უდრის“. მანვე დაწერა, „კანონი ემყარება არა ლოგიკას, არამედ გამოცდილებასო“. მე ვამტკიცებ, რომ ამ შემთხვევაში ისტორიის

ერთი გვერდი უდრის დოკუმენტურ მტკიცებულებათ მრავალ ტომს...

ჯონსი დიდხანს ადგენდა უტყუარ დოკუმენტებს, რაც უცილობლად ადასტურებდა ბრალდებულთა პერსონალურ მონაწილეობას ჩადენილ დანაშაულში...

...ამერიკელი ჯონსი ინგლისელმა ოლდერმანმა შეცვალა და ბრალდების საბუთად ჰიტლერის წიგნი „ჩემი ბრძოლა“ გამოიტანა.

— ბატონო მოსამართლენო, — თქვა მან, — ჩემი ვალია, ტრიბუნალის ყურადღება მივაპყრო დოკუმენტს, რომლის იდეები ბრალდებულთა რწმენის სიმბოლოდ იქცა. მე მხედველობაში მაქვს ჰიტლერის წიგნი „ჩემი ბრძოლა“, რომელმაც თავიდანვე გააცნო ბრალდებულებს ნაცისტი ხელმძღვანელების დანაშაულებრივი მიზნები. ამ წიგნს შეიძლება ნაცისტური აგრესიის ძირითადი გეგმა ეწოდოს...

„ჩემი ბრძოლა“ ნათლად გვიჩვენებს, რომ აგრესიული ომის გამოყენება დასახული მიზნების მისაღწევად ნაცისტური იდეოლოგიის ნაწილი იყო. დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა თქვა, „იდეებს ხელები და ფეხები აქვთო“. აი, ამ ბრალდებულთა მიზანი სწორედ ის იყო, რომ „ჩემი ბრძოლის“ იდეები თავიანთი საქმიანობისა და პოლიტიკის სახელმძღვანელოდ ექციათ. ამ იდეებით და დოქტრინებით უტენიდნენ ისინი თავს გერმანელებს. ამას ასწავლიდნენ სკოლებში, უნივერსიტეტებში, ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობა იყო. ამ წიგნს საქორწინო საჩუქრად აძლევდნენ ახალგაზრდებს...

ბრალმდებელმა ტრიბუნალს გადასცა „ჩემი ბრძოლის“ ერთი ეგზემპლარი წარწერით:

— ახალდაქორწინებულთ, ფრიდრიხ როზბროკსა და ელზა ბეკს, ბედნიერი ქორწინების საუკეთესო სურვილებით.

გადაცემულია რაიონის ადმინისტრაციის მიერ, მათი დაქორწინების გამო, 1940 წლის 14 ნოემბერს. ქალაქის მერის მაგივრად — რეგისტრატორი.

ამ წიგნმა მოშხამა მთელი თაობის შეგნება და გახრწნა მთელი ხალხის მსოფლმხედველობა, — განაგრძო მან და ჯალათ ბახ-ზელევსკის მიერ ნიურნბერგის პროცესზე თქმული სიტყვები გაიმეორა:

— „ჩემი ბრძოლიდან“ ოსვენციმის ღუმელებსა და მაიდანეკის გაზკამერებამდე პირდაპირი გზაა...

ბრალმდებელმა მოიყვანა ციტატები ამ წიგნიდან, რაც სრულიად აშკარად გამოხატავდა ნაცისტური პარტიის აგრესიულ ზრახვებს:

...რომ გერმანიამ ახალი ტერიტორიები იარაღით უნდა დაიპყროს;

...რომ ომის დროს მთავარია სწრაფი გადაწყვეტილების მიღება;

...რომ ბრძოლის ყველაზე უმოწყალო მეთოდები, იმავე დროს, ყველაზე ადამიანურია;

...რომ გერმანელებს, როგორც უმაღლესი რასის წარმომადგენლებს, უფლება აქვთ, იბატონონ სხვა რასებზე და გამოიყენონ ისინი საკუთარი მიზნებისათვის;

...რომ მშვიდობის პოლიტიკა სისუსტის გამომხატველია და დამღუპველი;

...რომ საჭიროების შემთხვევაში სახნისი უნდა შევცვალოთ მახვილით და ომით გამოწვეული ცრემლებით მოვიპოვოთ მომავალ თაობათათვის პური ჩვენი არსობისა;

...რომ ამ მიზნისთვის სრულიად არ არის საკმარისი 1914 წლის საზღვრების აღდგენა;

...რომ საჭიროა ახალი ტერიტორიების დაპყრობა;

...რომ ეს ტერიტორიები თვით ევროპაშივე უნდა იქნეს მოპოვებული, უწინარეს ყოვლისა კი, რუსეთსა და მის მოსაზღვრე სახელმწიფოებში;

...რომ გერმანიის იმპერია ისევ უნდა დაადგეს ტევტონელი რაინდების გზას, რათა მახვილით დაიპყროს მიწა სახნისისათვის;

...რომ გერმანიის იმპერიის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მთელი თავისი მონდომება ამ მიზნისკენ უნდა მიმართოს;

...რომ გერმანიამ მტკიცედ შეიგნოს: მიზნის მიღწევა მხოლოდ ომით შეიძლება;

...რომ ამ თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ დადებული ხელშეკრულებები;

...რომ Drang nach Osten-ისათვის საჭიროა პოზიციების გამაგრება და იტალიის ჩამოშორება ინგლის-საფრანგეთის კავშირისაგან;

...რომ საფრანგეთის მიმართ თავდაცვითი პოლიტიკიდან უნდა გადავიდეთ შეტევით პოლიტიკაზე...

დასასრულ, ოლდერმანმა განაცხადა:

— განა იმის შემდეგ, რაც ეს წიგნი თავიანთ ბიბლიად გამოაცხადეს გერმანელმა ნაცისტებმა, სასაცილო არ არის გერინგის, რიბენტროპის, კაიტელისა და სხვა სანხედრო დამნაშავეთა მტკიცება — ჩვენ არაფერი ვიცოდით ომი თუ მზადდებოდაო? ან რა ფასი აქვს მათ განცხადებას, თავდაცვისათვის ვიარაღდებოდითო. ლოგიკის რა ჯამბაზობით შეიძლება ეს შეუთავსდეს „მთელ დედამიწაზე საომარი მოქმედების სამხედრო გეგმის“ შედგენას?

ღია კარების გასაღები...

ჩვენ ომი არ გვინდოდაო, მაინც ჯიუტად აცხადებდნენ მთავარი სამხედრო დამნაშავენი. დოკუმენტები კი მათ წინააღმდეგ მეტყველებდნენ. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტზე, ე. წ. ჰოსბახის ოქმზე მე უკვე გელაპარაკეთ. ამ მხრივ უფრო მრავალმეტყველი აღმოჩნდა შმუნდტის ჩანაწერები. ოლდერმანმა ამ ჩანაწერებს „გასაღები დოკუმენტი“ (Schlüsseldokument) უწოდა. მართალია, იმ „საიდუმლოებას“ უკვე ღია კარები ჰქონდა, მაგრამ ეს „გასაღები“ მაინც კარგად მოერგო საქმეს.

— ეს ცნობა ისტორიული მნიშვნელობისაა, — საზეიმოდ განაცხადა ოლდერმანმა და მოსამართლეებს წინ დაუდო შმუნდტის მიერ სუფთად გადაწერილი ოქმი თათბირისა,

რომელიც ესპანეთის ამბების დასასრულიდან 2 თვის შემდეგ, 1939 წლის 23 მაისს გაიმართა რაიხსკანცელარიის შენობაში, ჰიტლერის კაბინეტში. ბრალდებულთაგან ამ თათბირს ესწრებოდნენ გერინგი, რეღერი და კაიტელი. ჰიტლერმა თათბირზე განაცხადა, რომ საკითხი ეხება უცხო სახელმწიფოთა საზღვრებში შეჭრას და გერმანიისთვის სასიცოცხლო სივრცის მოპოვებას. ომის გარეშე ეს არ მოხდებაო, — დაუმატა მან. — ჩვენ მივაღწიეთ გერმანიის ეროვნულ-პოლიტიკურ გაერთიანებას, დანარჩენი კი, უეჭველად, სისხლის ღვრას გამოიწვევს...

ამის შემდეგ ჰიტლერი უფრო კონკრეტულ გეგმაზე გადავიდა.

— დანციგი არ არის მთავარი ობიექტი, — თქვა მან, — საქმე ეხება სასიცოცხლო ფართობის მოპოვებას აღმოსავლეთში. ამასთან, გამორიცხული არ არის კონფლიქტი დასავლეთის სახელმწიფოებთან, პირველ რიგში, ინგლისთან და საფრანგეთთან. ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება, თუ შევძლებთ მათ გამოთიშვას თამაშიდან (!). ეს იქნება სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. უკან დასახევი ყველა ხიდი აფეთქებულ უნდა იქნეს, რადგან საქმე არა სამართლიანობასა და უსამართლობას, არამედ 80 მილიონი გერმანელის ყოფნა-არყოფნას ეხება.

ამის შემდეგ ჰიტლერი ომის ხანგრძლივობის საკითხს შეეხო:

— ყველა მეომარი სახელმწიფო მიისწრაფვის, ომი რაც შეიძლება ხანმოკლე იყოს, — განაცხადა მან, — მაგრამ ამასთან, სახელმწიფოს მეთაურს არ შეუძლია ხანგრძლივი ომის თადარიგი არ დაიჭიროს. ჩვენც უნდა ვემზადოთ ხანგრძლივი, ათ-თხუთმეტწლიანი ომისათვის. საჭიროა დავიპყროთ ჰოლანდია, ბელგია და გავანადგუროთ საფრანგეთი. ამით ჩვენ შევქმნით ხელსაყრელ პირობებს ინგლისის დასაპყრობად, რადგან დრო მათ წინააღმდეგ იმუშავებს. რაც შეეხება ხელშეკრულებებს, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს...

...ამის შემდეგ მართლაც, სასაცილოა გერინგის, კაიტე-

ლის, რედერისა და სხვა სამხედრო ხელმძღვანელების განცხადება, აგრესიული ომის მომზადების შესახებ არაფერი ვიცოდითო. ან იოდლის მტკიცება ჰიტლერის ომის პრევენტიული ხასიათის შესახებ, ვითომ ჩვენ დავასწარით, თორემ საბჭოთა კავშირი აპირებდა თავდასხმასო...

ყველასათვის ცხადი გახდა ამგვარი მტკიცების უმწეობა, მაგრამ სასამართლო პროცესს თავისი წესები აქვს და დოკუმენტების წარდგენა მაინც გრძელდება. დღე დღეს მისდევს, თვე — თვეს, დოკუმენტები კი მაინც ამოუწურავია. უკვე ტრიბუნალსაც ეკარგება მოთმინება. ლოურენსი უფრო ხშირად გაიძახის:

— მე მგონი, საკმარისია... ეს საკითხი ისედაც ნათელია...

ამის შემდეგ დოკუმენტებს მთლიანად კი არ კითხულობენ, არამედ მხოლოდ ცალკეულ ადგილებს. დრო კი მაინც მიდის... ნასესხები დრო! ბრალდება ცდილობს მის შემცირებას, დაცვა — პირიქით... ყველაზე მეტად ჯეკსონი ნერვიულობს. ტრიბუნალის წევრები ამთქნარებენ...

თავმჯდომარე ლოურენსიც კი ვერ უსმენს, თვალს მის პირდაპირ მჯდომი ლამაზი ამერიკელი სტენოგრაფისტი ქალისკენ აპარებს. მერე ბარათიც გააცოცა მისკენ. ეს მოსამართლე ბიდლმა შენიშნა და გაიგო კიდეც, რა ეწერა იმ ბარათში: „რას აკეთებთ? თქვენც ისე მოწყენილი ხართ, როგორც ჩვენ?“ შემდეგ ყოველივე ეს ბიდლის მემუარებში მოხვდა და საქვეყნოდ ცნობილი გახდა...

პროცესზე კი ისევ დოკუმენტები... მოწმეები... ბრალმდებლები ბრალს სდებენ, დამცველები იცავენ, რაღაცას ამტკიცებენ, რაღაცას უარყოფენ... საკითხი კი გარკვეულია... ყველაფერი ცხადია... მაგრამ მაინც საბუთები... საბუთები... საიდუმლო ბრძანებები... ოქმები... დღიურები... ჩანაწერები... ბრალდების ყოველ მუხლს უამრავი საბუთი ერთვის. ეს მართლმსაჯულების უზარმაზარი საათის მონოტონურ დარტყმებს ჰგავს. იციან: ყოველი დარტყმა ჭრილობას აყენებს, უკანასკნელი კი ჰკლავს, მაგრამ ის „უკანასკნელი“ არსად ჩანს და ისევ გაისმის დოკუმენტების ღაღადი: აქ ამდე-

ნი მოკლეს, იქ — იმდენი... ამ საკონცენტრაციო ბანაკში ამდენი დაიღუპა... იქ — იმდენი... სულ ციფრები... იმდენი ციფრები, რომ უკვე ყური ეჩვევა, გონება ჩლუნგდება... ინტერესი იკარგება... არც არავის უკვირს რამე — არც ძუძუმწოვარა ბავშვების ჟლეტა, არც კანის გაძრობა, არც ცოცხლად მიწაში ჩამარხვა... არც სიკვდილის ხანგრძლივობა... არაფერი... მხოლოდ ციფრები... აქ ამდენი ათასი მოკლეს, იქ— ამდენი მილიონი... ამდენი ათასი ტონა ქალისა და ბავშვის თმები ლეიბების გასაკეთებლად, ამდენი ტონა საპონი ადამიანის ცხიმისაგან... ამდენი ტონა ფერფლი მიწის გასანოყიერებლად... ამდენი ათასი ოქროს კბილი, ბეჭედი... ყველაფერი აღრიცხული, გაანგარიშებული, შეფასებული... ტრიბუნაზე კი ამერიკელ ბრალმდებელს ინგლისელი ცვლის, ინგლისელს—რუსი, რუსს — ფრანგი. წინ ყველას მუყაოს უზარმაზარი ჩანთა უდევს და... ისევ დოკუმენტები... დოკუმენტები... დილის სხდომას საღამოს სხდომა მოჰყვება, ერთ დღეს — მეორე, მეორეს — მესამე... გადის რამდენიმე კვირა... თვე... დოკუმენტები... ისევ დოკუმენტები... ადამიანობისა და ისტორიის შემარცხვენელი დოკუმენტები და...

— საკმარისია, საკმარისი!.. მეტი ველარ აიტანა ლოურენსმა და ისე მაგრა დაჰკრა ჩაქუჩი მაგიდას, რომ დარბაზში თითქოს ის „უკანასკნელი დარტყმა“ გაისმა, „რომელიც კლავს“...

ეს იმ ზღვა დოკუმენტების მეცხრე ტალღა იყო...

ჩიკიტელოს ტრაგედია...

დოკუმენტების წარდგენა რომ დამთავრდა, ბრალდებისა და დაცვის მხარე მოწმეების დაკითხვას შეუდგა. სპეციალურ პულტთან მოუხმობდნენ ყოფილ ფელდმარშლებს, გენერლებს, მინისტრებს, ესესისა და სხვა დამსჯელი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საკონცენტრაციო ბანაკების კომენდანტებს, ზედამხედველებსა და მათ ტუსაღებს. ამ მხრივ უფრო მეტ გულმოდგინებას დამცველები იჩენდნენ.

მოწმეებიდან 33 ბრალდების მიერ იყო გამოძახებული, 61 — დაცვისა.

ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ დაცვის მიერ გამოძახებული მოწმე ჯვარედინ დაკითხვაზე ისეთ ჩვენებას იძლეოდა, ფაქტიურად ბრალდების მოწმედ იქცეოდა ხოლმე. დაკითხვის წინ ყოველი მათგანი დებდა ფიცს ისე, როგორც მის ქვეყანაში იყო მიღებული:

— ვფიცავ ყოველისმხილველსა და ყოველისმმოსავ ღმერთს, რომ ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და სხვას არაფერს, გარდა სიმართლისა. ღმერთი იყოს ჩემი მფარველი...

ამგვარი ფიცი, რა თქმა უნდა, შეუფერებელი იყო საბჭოთა მოწმეებისათვის, ამიტომ მათთვის ასეთი ტექსტი იქნა შემუშავებული:

— მე, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, გამოძახებული მოწმედ ამ საქმის გამო, საზეიმოდ ვდებ პირობას და ვფიცავ მაღალი სამსჯავროს წინაშე, ვთქვა ყველაფერი, რაც ვიცი, ისე, რომ არაფერი არ მოვუმატო და არაფერი არ დავფარო...

... მოწმეთა შორისაც იყვნენ „რესპექტაბელური" და „განგსტერული" რეპუტაციის მქონე პირები. ტრიბუნალისათვის ერთიც საინტერესო იყო და მეორეც, თუმცა ის „რესპექტაბელური" ჯენტლმენები" დაკითხვის შემდეგ არცთუ ისე განირჩეოდნენ „განგსტერებისაგან". პირიქით, უფრო დიდნი და მასშტაბურნი ჩანდნენ ბოროტებაში. აი, თუნდაც ამაკი, ხანში შესული, მაგრამ მხედრულად გამართული ფელდმარშალი ალბერტ კესელრინგი. იგი ისე შემოვიდა დარბაზში, გეგონებოდათ, თავისი შტაბის გენერლების თათბირი უნდა ჩაატაროსო. იქ მყოფთაგან არავინ იყო ისეთი, რომ მშვენივრად არ სცოდნოდა კესელრინგის საავიაციო შენაერთების ბარბაროსული მოქმედება: პოლონეთის უმოწყალო დაბომბვა, ვარშავის მოსპობა, ჩვენი მოკავშირეების მშვიდობიანი ქალაქების დანგრევა, წინასწარ გაუფრთხილებელი თავდასხმები საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებზე ომის პირველ დღეს და... ე. წ. „როტერდამის ტრაგედია", რამაც მთე-

ლი კულტურული კაცობრიობა შეაძრწუნა. ის კი, ვითომ არაფერი, თავზე მონოკლს ისწორებს და წარბშეუხრელად იმეორებს წინასწარ დაკითხვაზე ნათქვამ სიტყვებს:

— მე ვთქვი, რომ მკაცრ ზომებს მივყევართ მიზნის მიღწევისაკენ...

შემდეგ ინგლისელი ბრალმდებელი მაქსუელ-ფაიფი შეუდგა იმის დაზუსტებას, თუ რას ნიშნავს ეს „მკაცრი ზომები". კესელრინგი, რა თქმა უნდა, ყველაფერს ტაქტიკური მოსაზრებით ამართლებდა, მაგრამ ბრალმდებელი არ მოეშვა და საკითხი ისევ როტერდამის დაბომბვას დაუკავშირა. მან კესელრინგს ჯერ „აუხსნა", ხოლო შემდეგ თვითონაც აღიარებინა, როგორ მოხდა ეს:

დილით, თერთმეტის ნახევარზე, დაიწყო მოლაპარაკება ჰოლანდიის კაპიტულაციაზე. 12 საათსა და 15 წუთზე ჰოლანდიელი ოფიცერი ბეკერი გაემართა გერმანელების ფრონტის ხაზზე, შეხვდა გენერლებს შმიდტსა და შტუდენტს, რომელთაც გააცნეს კაპიტულაციის პირობები. პასუხისათვის დროც მისცეს 16 საათსა და 20 წუთამდე, მაგრამ გერმანელებმა არ მოუცადეს ამას და 55 წუთის შემდეგ ბარბაროსულად დაბომბეს როტერდამი. ეს იმდენად საზარელი ფაქტი იყო, რომ გენერალმა შტუდენტმა ჯერ უარი განაცხადა ამ ბრძანების შესრულებაზე, მერე, ეს შემზარავი ფაქტი რომ მაინც მოხდა, ბოდიში მოიხადა ჰოლანდიელი სარდლის წინაშე. კესელრინგი კი გაჯგიმული იდგა მოწმის პულტთან, ოფლს იწმენდდა და იმის ნაცვლად, რომ გერინგის ავიაციის პირატული მოქმედება რითიმე გაემართლებინა, ბრაზობდა, „რატომ არაფერს მიჯერებენო".

— ჩემი თუ არც ფიცის გჯერათ და არც პატიოსნების, რაღას მეკითხებით?! — თქვა მან.

თავის მხრივ გერინგიც ღელავდა, რა ეშმაკად უნდოდა დამცველ შტამერს ამ „ყეყეჩი ფელდმარშლის" გამოძახება მოწმედო.

მერე პოლონეთის საკითხზე „აბურთავეს" ამაყი ფელდმარშალი. პოლიტიკური ტერორისა და არასამხედრო ტაქტი-

კური მოსაზრებით რომ დაბომბეს დილის ხუთ საათზე ქალაქები, სადაც არავითარი სამხედრო ობიექტები არ ეგულებოდათ. მიზანი აქაც იგივე იყო: წინააღმდეგობის სულისკვეთების გატეხვა...

...კესელრინგს მეხსიერება სწორედ მაშინ „ღალატობდა", როცა ეს ხელსაყრელად მიაჩნდა. იგი ფრონტის სარდალი იყო, კაიტელის ბრძანება რომ მიიღო პარტიზანების წინააღმდეგ „უსასტიკესი ზომების მიღების" შესახებ. ბრძანებაში ეწერა, რომ ამ ბრძოლას არავითარი კავშირი არა აქვს ჯარისკაცის ღირსებასა და ჟენევის კონვენციასთან და რომ რეპრესიები უნდა გავრცელდეს ქ ა ლ ე ბ ს ა დ ა ბ ა ვ შ ვ ე ბ ზ ე ც.

კესელრინგს „არ ახსოვს", ასეთი ბრძანება თუ იყო, თუმცა დოკუმენტი მის შტაბში იქნა აღმოჩენილი. კარგი, ბატონო, ეუბნება მას მაქსუელ-ფაიფი, ვთქვათ, ეს „არ გახსოვთ", მაშინ, იქნებ, თქვენს მიერ გამოცემული ბრძანება გაიხსენოთ, და წინ დაუდო დოკუმენტი, სადაც ეწერა, რომ იგი მოითხოვს უმკაცრესი ზომების მიღებას პარტიზანების წინააღმდეგ, რის შესახებაც დეტალურად უნდა აცნობონ პ ი რ ა დ ა დ მ ა ს. კესელრინგს ეს კი ახსოვდა, მაგრამ თავი იმით „იმართლა", თითქოს პარტიზანების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. მას უხსნიან, რომ ბრალად იმას კი არ სდებენ, ასე სასტიკად რატომ უსწორდებოდნენ თვითონ პარტიზანებს, არამედ იმას, ასობით უდანაშაულო მძევლებს რომ ხვრეტდნენ, რაც საერთაშორისო ხელშეკრულებებით სასტიკადაა აკრძალული.

ფელდმარშალს გაახსენეს, თუ რა მოხდა სოფელ ჩივიტელოში მისი ზემოხსენებული ბრძანების შესასრულებლად. აქ, პარტიზანებთან შეტაკების დროს, მოკლეს ორი გერმანელი ჯარისკაცი და ერთი დაჭრეს. ამის პასუხად, კესელრინგის ჯარისკაცებმა მოუსვეს ხელი 212 კაცს — ქალსა თუ ბავშვს და ყველანი დახვრიტეს. „დახვრეტილთა ასაკი — ერთი წლიდან 84 წლამდე", — ეწერა შემსრულებლის მოხსენებით ბარათში.

ერთი წლის ბავშვი და 84 წლის დედაბერი — პარტიზანი?!

— თქვენ ნამდვილად ფიქრობთ, რომ ეს სამხედრო აუცილებლობით იყო გამოწვეული? — ეკითხება მას მაქსუელ-ფაიფი.

— არა, მე არ ვფიქრობ ამას, — ძლივს გამოსცრა კბილებიდან ქედმაღალმა, მაგრამ სულმდაბალმა ფელდმარშალმა.

მერე კესელრინგს ისიც ჩამოუმარცვლეს, ჩივიტელოს გარდა სად რამდენი ქალი და ბავშვი დახვრიტეს მისი ბრძანებით. ისევ ძუძუმწოვარა ბავშვები და ღრმად მოხუცი ქალები!..

...თითქოს ყველაფერი გაირკვა, მაგრამ მაქსუელ-ფაიფი მაინც არ მოეშვა კესელრინგს: ბრალდებულებიც ღელავდნენ, განსაკუთრებით სამხედროები. გერინგი ამბობდა, მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდიო; რედერი — მე ადმირალი ვიყავი და ამგვარ საქმეებთან რა კავშირი მქონდაო; კესელრინგიც ცას აბჯენდა ცხვირს: მფრინავი ვარ და სახმელეთო ჯარებში რა ხდებოდა, საიდან უნდა მცოდნოდაო. მერე ყველა მათგანს დაუდეს წინ მათ მიერვე შედგენილი ბრძანებები და „გაახსენეს", რომ ყოველივე ეს მათი ხელმძღვანელობით ხდებოდა. ფაქტები კი, მოგეხსენებათ, ჯიუტია და ყველაფრის უარყოფა არც ბრალდებულებს შეეძლოთ. ამიტომ იყო, რომ ზოგიერთმა მათგანმა ამჯობინა, თავისი სისხლიანი ხელები ისევ იმ მკვდარი ფიურერისათვის შეეხოცა, მაგრამ არც ეს გამოვიდა. მაქსუელ-ფაიფი ისევ კბილის მატლივით შეუჩნდა კესელრინგს. ჯერ „გაახსენა" რაღაც „ინციდენტი" იტალიელ პარტიზანებთან, რომლებმაც სადღაც ყუმბარა ააფეთქეს. ეს მოახსენეს კესელრინგს; კესელრინგმა დაურეკა იოდლს; იოდლმა აცნობა კაიტელს; კაიტელმა—ჰიტლერს და... მოვიდა განკარგულება: დახვრიტეთ ათი ან ოცი იტალიელი მძევალიო.

ამის შემდეგ დაიწყო დავა, ათი იყო თუ ოცი. იდავეს,

იდავიდარაბეს და „შეთანხმდნენ“: საქმე ის კი არ არის, მართლა ათი კაცის დახვრეტის განკარგულება გასცა ჰიტლერმა თუ ოცის, სინამდვილეში კესელრინგის ქვეშევრდომებმა ეს „გეგმა“, თავიანთი ინიციატივით, დიდი გადაჭარბებით შეასრულეს და 382 კაცი დახვრიტეს...

— ასეა, არა? — ჰკითხეს კესელრინგს.

— დიახ, ეს მართალია, თუ მხედველობაში მივიღებთ და სხვა ასეთი... მაგრამ, რაც არ უნდა მიიღო მხედველობაში, ფაქტია: ათის თუ ოცის ნაცვლად დახვრიტეს 382!.. ვთქვათ, ჰიტლერის სინდისზე 20 კაცია, დანარჩენი?

კესელრინგი რომ დარბაზიდან გაჰყავდათ, „მხედრული გამართულობა“ კი არა, ფეხს ძლივს მიათრევდა იატაკზე...

შემდეგში ამერიკულმა ტრიბუნალმა კესელრინგს სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ ჯერ შეიწყნარეს და მერე სულაც გაათავისუფლეს...

...თურმე ნუ იკითხავთ, მარტო კესელრინგს კი არა, სხვა ფელდმარშლებსა და გენერლებსაც არ სცოდნიათ, ჰიტლერი თუ აგრესიულ ომს ამზადებდა. არც ის, როგორ წარმოებდა ომი. ეს ბრალდებულთა თავდაცვის საერთო ტაქტიკა იყო და მათი დამცველების მიერ წინასწარ მომზადებული მოწმეებიც ასეთივე „ხაზს“ მიჰყვებოდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო იყო ფელდმარშალ მილჰის ჩვენება.

ვიდრე გერმანელები იუგოსლავიას შეესეოდნენ, ჰიტლერმა ბრძანება გასცა, ბომბდამშენების ტალღისებური თავდასხმებით, ყოველგვარი წინასწარი ულტიმატუმის, დიპლომატიური დემარშებისა და მოლაპარაკების გარეშე დაენგრიათ ქალაქი ბელგრადი. გარდა გერინგისა, ვის უნდა მიეღო, დაემუშავებინა და განეხორციელებინა ეს ბრძანება, თუ არა გერმანიის სამხედრო საჰაერო ძალების შტაბის უფროსს ფელდმარშალ გერჰარტ მილჰს. ეს ისე ნათელი და ბუნებრივი იყო, რომ მტკიცებასაც არ საჭიროებდა, მაგრამ „ყალბი კარტების ოსტატმა“ მილჰმა მაინც შესაძლებლად ცნო, მიხვეულ-მოხვეული პასუხი გაეცა ინგლისელი ბრალმდებლის — რობერტსის კითხვებისათვის:

რ ო ბ ე რ ტ ს ი: თქვენ იცით, რომ ბელგრადი დაბომბილ იქნა, რამდენადაც მახსოვს, 1941 წლის აპრილში?

მილჰმა, რა თქმა უნდა, მაშინვე იგრძნო, ეს კარგს რომ არაფერს უქადდა და სულ განზე გადგა.

მ ი ლ ჰ ი: მე ეს გერმანიის შეიარაღებული ძალების ოფიციალური ცნობის მიხედვით გავიგე თავის დროზე.

რ ო ბ ე რ ტ ს ი: ომის ყოველგვარი გამოცხადებისა და სამოქალაქო მოსახლეობის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, თქვენ იცოდით ეს?

მ ი ლ ჰ ი: ეს მე არ ვიცოდი.

რ ო ბ ე რ ტ ს ი: ნუთუ ეს საკითხი არ გაგხილავთ გერინგთან?

ბრალდების ხელში ამ განხილვის ოქმიც იყო, მაგრამ მილჰმა მაინც გაოცებული სახე მიიღო.

მ ი ლ ჰ ი: ბელგრადზე თავდასხმა? არა, ეს მე არ მახსოვს.

რ ო ბ ე რ ტ ს ი: (ირონიულად) ნუთუ, არც გერინგმა გამოთქვა მწუხარება დედაქალაქის სამოქალაქო მოსახლეობის თუნდაც ერთი საათით ადრე გაფრთხილების გარეშე დაბომბვის გამო?

მ ი ლ ჰ ი: ეს მე არ ვიცი და არც მახსოვს, ასეთი საუბარი თუ იყო.

რ ო ბ ე რ ტ ს ი: ეს ხომ მკვლელობაა, ასეა, არა?

მ ი ლ ჰ ი: (დუმილი).

რ ო ბ ე რ ტ ს ი: თქვენ გირჩევნიათ, პასუხი არ გასცეთ ჩემს ამ კითხვას?

მ ი ლ ჰ ი: მე არ შემიძლია გიპასუხოთ „ჰო" ან „არა", რადგან მე არაფერი ვიცი დაწვრილებით ამ თავდასხმის შესახებ. მე არ ვიცი, იყო თუ არა გამოცხადებული ომი. მე არ ვიცი, წინასწარ გაფრთხილებულ იქნა თუ არა მოსახლეობა. მე არც ის ვიცი, ბელგრადი წარმოადგენდა თუ არა ციხესიმაგრეს. მე არ ვიცი, რა ობიექტებზე იქნა მიტანილი იერიში. მე არ ვიცი, საჰაერო თავდასხმების რაოდენობის შესახებ და სხვა...

ძველი ლათინური ანდაზაა, არცოდნა საბუთი არ არისო. ეს უბრალო ჭეშმარიტება ყველას კარგად ესმოდა, მაგრამ:

... მოწმე ცრუ არა უტანჯველ იყოს, და რომელმაც აღატ-
ყინოს ბოროტი, წარწყმდეს მისგანო, — უთქვამს სოლომონ
ბრძენს...

მოულოდნელი გამოცხადება...

თუმცა, ყველა კესელრინგისა და მილჰის მსგავსად „წარ-
საწყმედი“ როდი იყო. პროცესის ერთ-ერთ დღეს საბჭოთა
ბრალმდებელმა ფელდმარშალ პაულუსის რომელიღაც განცხა-
დება ახსენა. დამცველმა ნელტემ გააპროტესტა ეს: ამ განცხა-
დებას მტკიცების ძალა არა აქვს, თუ თვითონ . პაულუსი არ
იქნა მოწმედ გამოძახებულიო.

დამცველს ეს საქმის გასაჭიანურებლად უნდოდა. იგი დარ-
წმუნებული იყო, რომ პაულუსის ნიურნბერგში ჩამოყვანას
დიდი დრო დასჭირდებოდა. როგორც ჩანს, ასე ფიქრობდა
ლოურენსიც, მაგრამ იგი მაინც დაეთანხმა დამცველს და საბ-
ჭოთა ბრალმდებელს ჰკითხა: რამდენი ხანი დასჭირდება ფელ-
დმარშალ პაულუსის ნიურნბერგში ჩამოყვანასო.

—ხუთი წუთი, მილორდ, — უპასუხა ყველასათვის მოუ-
ლოდნელად რუდენკომ. საქმე ის არის, რომ ჩვენებს პაულუსი
იქვე ჰყავდათ, ნიურნბერგში...

...პაულუსის გამოჩენამ დიდი სენსაცია გამოიწვია. დამცვე-
ლები დაიბნენ. ასე უცებ, მზად არ ვართ დაკითხვის ჩასატა-
რებლადო. ისინი ელოდნენ, რომ პაულუსი იტყოდა ყველაფერს,
როგორ დაიწყო ჰიტლერმა ომი საბჭოთა კავშირთან. ის ხომ
გეგმა „ბარბაროსას“ ერთ-ერთი ავტორთაგანი იყო. თქვა
კიდეც, მიუხედავად თავდაუსხმელობის პაქტისა, ჩვენ ვადგენ-
დით ამ გეგმასო. მერე ისიც დაუმატა, ჰიტლერმა თვითონ
გაგზავნა ჰესი ინგლისში, რათა რუსეთზე თავდასხმამდე ზავი-
სათვის მიეღწიაო.

— ტყუილია! — იყვირა იოდლმა, — მე ვნახე, როგორ გა-
აცოფა ჰიტლერი ამ ცნობამ.

არა, ეს ტყუილი არ იყო. ნიურნბერგში თვითონ ჰესმაც აღიარა, ინგლისში ჰიტლერის დავალებით გავფრინდიო.

შემდეგ პაულუსმა განაცხადა, ამ პაქტის დარღვევა და რუსეთზე თავდასხმა ჰიტლერის უპასუხისმგებლო სამხედრო პოლიტიკის შედეგი იყოო...

რუდენკომ ჰკითხა მას:

—ვის თვლით ამ თავდასხმაში დამნაშავედ?

ამაზე დამცველი ლატერნზერი წამოხტა. ლოურენსი მაშინვე მიხვდა, რა უნდა ეთქვა მას და სიტყვა ჩამოართვა:

—გენერალო რუდენკო, ეს ის მთავარი საკითხია, რაც სამსჯავრომ უნდა დაადგინოს, ამიტომ მოწმის აზრის გამოთქმა საჭირო არ არის.

შემდეგ ლატერნზერს მიუბრუნდა:

— ეს გინდოდათ გეთქვათ, არა?

ლატერნზერმა უპასუხა:

— დიახ!

რუდენკომ მაშინვე შეცვალა კითხვა:

— ბრალდებულთაგან ვის თვლით თავდასხმის მომზადების აქტიურ მონაწილედ?

—ჰიტლერის უახლოეს სამხედრო მრჩეველთ: კაიტელს, იოდლს, გერინგს...

გერინგი გაცოფდა და დამცველს მოსთხოვა:

—ჰკითხეთ მაგ ჭუჭყიან ღორს, იცის თუ არა, რომ მოღალატეა. ისიც ჰკითხეთ, რუსეთის ქვეშევრდომობა ხომ არ მიუღია. ჩვენ ხახვივით უნდა გავფცქვნათ ეს გამყიდველი...

დამცველმა თავი შეიკავა საქმის გამწვავებისაგან, ვაითუ, პაულუსმა უარესი თქვასო...

...სამხედროები „მოღალატესა“ და „ფიცის გამტეხს“ უწოდებდნენ პაულუსს, ნოირატი, ზეის-ინკვარტი და შახტი კი თანაგრძნობას უცხადებდნენ მას.

— რა ქნას, იგი თავის ტყავს უფრთხილდებაო, — თქვა ბოლოს იოდლმაც.

—მისი გეგმა რომ არ ჩაშლილიყო, იოდლის თანამდებო-

ბას დაიკავებდა და ახლა ჩვენთან იქნებოდა საბრალდებო სკამზეო, —დაგესლა კაიტელმა.

თვით რიბენტროპიც კი გაემიჯნა პაულუსს: მან დაასამარა თავისი თავიო. მერე ისე შეტოპა, რომ გასაოცარი რამ თქვა, მე მინდოდა, საბჭოთა კავშირი სამთა ანტიკომინტერნულ პაქტში შემეყვანაო(!!!)...

—საბჭოთა კავშირი ანტიკომინტერნულ პაქტში!..—გაოცდა ჯილბერტი.

—დიახ, დიახ, ჰო, არა, —დაიბნა რიბენტროპი, —ეს იქნებოდა კონტრბალანსი ინგლისის წინააღმდეგ. ის ერთი ნაჭერი მიწა (დანციგი) რომ მოეცათ, ომი არც დაიწყებოდა.

ჯილბერტმა ახლა მიუნჰენი ახსენა და ჰკითხა, ეს ხელშეკრულება მაინც რატომ დაარღვიეთო.

—ჰიტლერს არ დაურღვევია მიუნჰენის ხელშეკრულება,— წარბშეუხრელად უპასუხა მას კაიტელმა.

—როგორ?! —კიდევ უფრო გაოცდა ჯილბერტი, განა სუდეტის ნაცვლად მთელი ჩეხოსლოვაკია არ გადაყლაპეთ?

—კი, მაგრამ ჩეხოსლოვაკია ვერსალის ხელშეკრულების ნიადაგზე წარმოშობილი სახელმწიფო იყო, — არ შედრკა შუბლმაგარი კაიტელი...

ლაქები მუნდირზე...

ყოველივე ამის მიუხედავად, პაულუსის ჩვენებას ისე არ შეუშფოთებია ბრალდებულები, როგორც გენერალ ლახუზენის გამოჩენას მოწმის პულტთან. მან, როგორც დაზვერვის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ცხადია, ყველაფერი იცოდა, რაც გერმანიაში ხდებოდა. გარდა ამისა, იგი 20 ივლისის შეთქმულების მონაწილე იყო, ე. წ. „შინაგანი ოპოზიციის“ წარმომადგენელი და არც არაფერს ფარავდა.

— ახ, ის მოღალატე, გამყიდველი, — აღრიალდა საკანში გერინგი,— როგორ დაგვავიწყდა იგი და არ მოვსპეთ 20 ივლისს! მე ახლა მივხვდი, თუ რატომ წავაგეთ ომი. აბა, რა იქ-

ნებოდა, როცა სამხედრო დაზვერვის უფროსები მტერზე გვყიდდნენ.

გერინგს უნდოდა, როგორმე გაენელებინა ლახუზენის ჩვენების შთაბეჭდილება.

— იგი მოღალატეა და რა ფასი აქვს მის ჩვენებას! — უთხრა მან ჯილბერტს.

— მას ოფიცრის ღირსება დაკარგული აქვს, — დაუდასტურა კაიტელმა. იოდლიც თავის შეფს მიემხრო, ჯილბერტმა კი ყოველივე ეს ლახუზენს ჩაუმარცვლა.

—ახლა ლაპარაკობენ ღირსებაზე, როცა მილიონები დახოცეს?! —იწყინა მან.

ყველაზე უფრო „რატომღაც" რიბენტროპი ღელავდა. იგი ეხვეწებოდა ჯილბერტს:

—ნუ დაუჯერებთ ლახუზენს. მართალია, ყველაფერს ფიცის ქვეშ ამბობს, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ლომბროზოს ექსპერიმენტებზე ფიცის არასაიმედოობის შესახებ? მან ერთი შემთხვევის გამო 12 სხვადასხვა ვერსია მიიღო 12 პიროვნებისაგან...

რიბენტროპს ამან ვერ უშველა, ლახუზენმა გაიხსენა:

—1939 წლის 12 სექტემბერს ჰიტლერის სალონ-ვაგონში შედგა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ: რიბენტროპი, კაიტელი, იოდლი, კანარისი და მე. თათბირის შემდეგ რიბენტროპმა უთხრა კანარისს:

—უნდა მომზადდეს ფიქტიური აჯანყება ან რამე მოძრაობა, რომ ამ საბაბით ყოველი პოლონელის სახლ-კარი გახვეულ იქნეს ცეცხლის ალში და მოისპოს ყველა ებრაელი.

ეიმენმა, რომელიც დაკითხავდა ლახუზენს, თითქოს საკუთარ ყურებს არ დაუჯერა და ჰკითხა:

—ვინა თქვა ეს?

—ეს თქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა. მე იქვე ვიდექი, —მიუგო ლახუზენმა.

—თქვენ სრულიად არ გეპარებათ ეჭვი, სულ ცოტათი მაინც, რომ ეს სწორედ ასე ითქვა? —ჩაეკითხა ისევ ეიმენი.

— არა. მე არავითარი ეჭვი არ მეპარება ამ მხრივ. განსაკუთრებით კარგად მახსოვს ფრაზა: „ცეცხლის ალი უნდა მოედოს ყველა პოლონელის სახლ-კარს".

რიბენტროპმა ნელ-ნელა ასწია ქუთუთოები და ზიზღით შეხედა ლახუზენს...

ოლენდორფისა და ბახ-ზელევსკის ცინიკურმა გულახდილობამ სულ გააცოფა გერინგი. „ძაღლები", „ღორები", „ძაღლ-ღორები" და, ვინ იცის, კიდევ რა არ უწოდა მათ. არმიის წარმომადგენლები ამ შემთხვევაშიც ცდილობდნენ, ესესელებისათვის გადაებრალებინათ ყველაფერი. ამის პასუხად ოლენდორფმა განაცხადა, მე სულ ფელდმარშალ მანშტაინის მითითებებს ვასრულებდიო. ბახ-ზელევსკიმ კი დაუმატა, ყველა ორდენი მე სწორედ არმიის სარდლობისაგან მაქვს მიღებულიო. როცა იგი დაკითხვის შემდეგ გაჰყავდათ დარბაზიდან და გერინგის საბრალდებო სკამთან ჩაატარეს, ყოფილმა რაიხსმარშალმა უღრიალა:

—შე ძაღლო, შე ღორო, გამყიდველო!

ბახ-ზელევსკი შეტორტმანდა. მცველებმა ხელი მოჰკიდეს მას და გაიყვანეს.

ამის გამო გერინგმა მორიგი სასჯელი მიიღო ენდრიუსისაგან...

...უფრო დიდი მორალური სასჯელი ბრალდებულებს შახტის მიერ მოწმედ გამოძახებულმა გიზევიუსმა მიაყენა. ლახუზენის მსგავსად, გიზევიუსმაც „ყველაფერი იცოდა" და, როცა იგი დარბაზში შემოიყვანეს, ბრალდებულთა შორის უსიამოვნო ჩოჩქოლი ატყდა. გიზევიუსი კი ჯერ რაიხსტაგის დაწვისა და ამის შედეგად გამართულ ხოცვა-ჟლეტის საკითხს შეეხო. მან, როგორც ამ საქმის მონაწილემ, პირდაპირ განაცხადა, რომ ყოველივე ეს გერინგის უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო. მის ნათქვამს კი „ფასი ჰქონდა", რადგან ამ „გრანდიოზული პროვოკაციის" მონაწილეთაგან იგი ერთადერთი იყო, ვინც ცოცხალი გადარჩა. დანარჩენი თანამონაწილენი „კვალის დასაფარავად" დახოცეს.

გიზევიუსის გამოსვლის შემდეგ ამ საკითხს არავინ დაბრუნებია. ისედაც აშკარა იყო, რომ რაიხსტაგის დაწვის პროვოკაცია მოაწყვეს ჰიტლერმა, გერინგმა და გებელსმა, რათა ფიზიკურად გასწორებოდნენ ოპოზიციური პარტიის წევრებს...

გარდა ამისა, გიზევიუსმა სრულიად ნათლად აჩვენა, რომ

ე. წ. „რემის პუტჩისა“ თუ „მეორე რევოლუციის“ ამბებიც, რასაც ამდენი მსხვერპლი მოჰყვა, ასევე „წინასწარ ჩაწყობილი“ პროვოკაცია იყო. ეს იმდენად ცხადი გახდა, რომ თვით ბრალდებულმა ფრიკმაც კი თქვა:

— როგორც ჩანს, არავითარი პუტჩი არ ყოფილა. ეს, უბრალოდ, არასასურველი პირების მოსასპობად იქნა მოგონილი.

გერინგი ახლაც ნანობდა, ლახუზენის მსგავსად ეს გიზევიუსიც რომ „გაუძვრა ხელიდან“, მაგრამ უკვე გვიან იყო. წინაც უფრო არასასიამოვნო „სიურპრიზები“ ელოდა. რაც ამდენ ხანს ითქვა, ასე თუ ისე, მაინც „სახელმწიფოებრივი დანაშაული“ იყო და, როგორც ჩანდა, გერინგს ეს არ მიაჩნდა თავისი ღირსების შელახვად. მას უფრო იმის ეშინოდა, გიზევიუსს მისი ნამდვილად „ჭუჭყიანი საქმეები“ არ ემხილებინა. ამისთვის წინასწარი ზომებიც მიიღო. გერინგის დავალებით შტამერი მივიდა შახტის დამცველთან და, რაკი გიზევიუსი მის მიერ იყო მოწმედ გამოძახებული, სთხოვა, არ ეხსენებინათ „ბლომბერგის საქმე“. ამან გიზევიუსზე არ იმოქმედა და ბლომბერგის კი არა, ფრიჩის საქმეც „გამოათრია“. გერინგმა მაშინ კი იგრძნო, როგორ გაჩნდა „შავი ლაქები“ მის ცისფერ მუნდირზე. ამან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა „ჯარისკაცური ღირსების“ დამცველ ბრალდებულებზეც. იოდლი ისე გაცეცხლდა, რომ სიბრაზისაგან ცრემლები ღვარა. მერე კაიტელს მოუარა ისტერიამ, რადგან „იმ ჭუჭყიან საქმეებში“ მისი სახელიც ახსენეს. ეს მას სასადილოშიც შეახსენეს უფრო „რესპექტაბელურმა ბრალდებულებმა“. კაიტელმა ვერ მოითმინა და უყვირა:

—ჩემს სახელს ნუ შეურაცხყოფთ. ორმოცდაოთხი წელია, რაც ჯარისკაცი ვარ და ახლა ნუ ცდილობთ ჩემს გამაიმუნებას!..

დაშლილი ოცეული...

მერე ყველანი გერინგს მიესივნენ.

—აჰა, ხომ დამთავრდა ჰეროიზმის ლეგენდა, —ზეიმობდა შახტი. მე ბედნიერი ვარ, რომ ის განგსტერი გამოააშკარავეს.

მადლობა ღმერთს! ისე, დიდი სისულელე კია, ამერიკელები რომ მე მასამართლებენ. მე ხომ საუკეთესო მოწმე ვიქნებოდი მათთვის. გერინგის დამცველის სკანდალური ამბავი რომ გამოაშკარავდა, ესეც კარგია. ახლა მაინც ხომ ხედავენ, რა ჩიტიცაა იგი.

უკვე აღარც გერინგი იდგა „აგრესიული ცინიზმის“ ძველებურ პოზიციაზე, მაგრამ თავს მაინც იცავდა, მე ჰუმანისტი ვარ, რომელსაც ვერ გამიგესო. ამაზე რომ გაეცინათ და პროცესზე ნაჩვენები „საშინელი ფილმიც“ შეახსენეს, გერინგმა ოდნავ შეცვალა ტონი:

—მართლა! თქვენ უნდა გაიგოთ, რომ მე არ ვარ საშინელი ურჩხული. ისე კი არ არის, თითქოს იმ ფილმში ნაჩვენები საშინელებანი არ მოქმედებდეს ჩემზე, მეც ძლიერ ბევრი განვიცადე: ვნახე ჩვენი დანგრეული ქალაქები დამწვარი ბავშვები... ამისთვის მე ფილმის ნახვა არ მჭირდება. მე ომი არ მინდოდა, არც ჰიტლერი დაიწყებდა ომს, ყველაფერი რომ მიეღო, რაც უნდოდა.

აი ლოგიკაც ეს არის! „ყველაფერი რომ მიეღო, რაც უნდოდაო“. მერედა, რატომ უნდა მიეღო? რომ გახსოვთ, ჰიტლერი რომ ამ „ყველაფერს“ განზომილებებს არ უდგენდა? „მარადიულ მშვიდობაზე“ კი იმიტომ ლაპარაკობდა, რომ ძვლებიანად დაეხრა ევროპის სახელმწიფოები. ალბათ, ამაზეა ნათქვამი, ვიდრე ძაღლი შენს უკანასკნელ ძვალს გამოხრავდეს, მარადიულ მშვიდობაზეც თანახმაოო...

ეს ნიურნბერგელ ბრალდებულებსაც ესმოდათ და ამიტომაც უსაყვედურეს გერინგს, რად გინდათ ეს ჰეროიკული აქტიორობაო. ამაზე გერინგი გაბრაზდა და ისევ ძველებური პოზა მიიღო:

—აა, ჩემო კარგო, ადრე თუ გვიან ყველა უნდა მოკვდეს, მაგრამ მე თუ მომეცემა საშუალება, მოვკვდე როგორც წამებული, განა ეს უკეთესი არ არის? თქვენ გგონიათ, ყველას აქვს ამის შანსი? თუ ჩემი ძვლები მარმარილოს ურნაში მოხვდება, ეს უფრო დიდი ბედნიერება იქნება, ვიდრე სხვებს შეუძლიათ მოიპოვონ. ეს ისეა, როგორც ფრიდრიჰ დიდი და ნაპოლეონი,

რომელთა ნეშტი თორმეტჯერ მოიბარეს ან „წმიდა ხე“, რომლისგან შემდეგ ჯვარცმის ნიშნის მთელი ტყე გაჩნდა!

გერინგი ისე გამოვიდა მოთმინებიდან, რომ თავის კოლეგებს მიმართა სასადილოში:

—სიმტკიცე უნდა გამოვიჩინოთ და თავის დასაცავად გავიმეოროთ ის, რაც უკვე თქვა სასამართლოში გოეთეს გოც ფონ ბერლინჰინგენმა...

იმ გოცმა კი ისეთი უცენზურო რაღაც თქვა, რომ, მიუხედავად გოეთესადმი ღრმა პატივისცემისა, აქ ვერც ვბედავ მის განმეორებას.

გერინგმა კი მთელი სცენა გაითამაშა, თუ როგორ იტყოდა ამას გოც ფონ ბერლინჰინგენი, ან თვითონ როგორ გაიმეორებდა პროცესზე და რა სიცილი ატყდებოდა დარბაზში!

— მე უკვე ყელში ამომივიდა ეს გერმანელი მოღალატეები, — თქვა მან ბოლოს, —თვითონ ამდენი ხალხი დაუხოცია და ახლა ჩვენ გვაბრალებენ ყველაფერს... ო, ეს ღორები, გამყიდველები! ნეტავ, რას მოელიან ამგვარი ღალატის ფასად! სულერთია, იმითაც ჩამოახრჩობენ!..—ბრდღვინავდა იგი... მერე წერილი მისწერა თავის დამცველს — შტამერს: ასეთი და ასეთი კითხვები მიეცი მაგ ჭუჭყიან ღორებსო...

— არ გვინდა, თორემ უარეს ამბებს მოგვახლიან სახეშიო, — შემოუთვალა მან...

...მიუხედავად ამისა, გერინგმა მაინც სცადა თავისი „ოცეულის“ ერთ ხაზზე დაყენება; „ურჩებს“ კი დაემუქრა, ზედმეტს ნუ ლაყბობთ, თორემ მეც ბევრი რამ შემიძლია ვთქვა თქვენს შესახებო. გერინგი ზოგჯერ ისე გაცეცხლდებოდა ხოლმე, რომ ხელკეტმომარჯვებული პოლიციელები ერეოდნენ საქმეში. ამან ისე დააშინა სხვები, რომ გაურბოდნენ მასთან ლაპარაკს. როცა ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და გერინგი გამოჩნდებოდა, რომელიმე მათგანი დაიძახებდა ხოლმე: ჩუმად, „სქელი ჰერმანი“ მოდისო. ყოველივე ამას ენდრიუსის ახალი რეპრესიები მოჰყვა. სასადილოს „სიმპოზიუმები“ დამთავრდა. ბრალდებულებს მოესპოთ ერთმანეთთან საუბრის საშუალება. გერინგი ცალკე გადატიხრულ ოთახში მოათავსეს. სხვები საერთო-

ში დატოვეს, მაგრამ ისე უნდა მჯდარიყვნენ მაგიდებთან, რომ ყრუ კედლისთვის ეყურებინათ და არა ერთმანეთისთვის. გერინგს ესეც სანატრელი გაუხდა. იგი ისევ იმ „მეხანძრე ენდრიუსს“ ესხმოდა თავს, თვითნებობს, რასაც უნდა იმას გვიშვრებაო, მაგრამ მის პროტესტს ყურს არავინ უგდებდა.

ყველაზე უფრო გაშმაგებული შახტი იყო. როცა ჯილბერტი შევიდა მის საკანში, ასეთი გრძელი მონოლოგის მოსმენა მოუხდა:

— რას გვიშვრებიან! ასე რატომ განგვაცალკევეს. იმ პოლკოვნიკს რაც სურს, იმას აკეთებს. აქედანაც ჩანს, ისეთი ხალხის წარმომადგენელი რომ არის, რომელსაც არც ტრადიციები გაჩნია და არც კულტურა. მე არც მინდა მაგ განგსტერებთან — გერინგთან, როზენბერგთან, რიბენტროპთან, კაიტელთან, შტრაიხერთან, ფრანკთან ლაპარაკი, მაგრამ ჯენტლმენებიც ხომ არიან. მაგალითად, პაპენი, ნოირატი. მე მსიამოვნებს მათთან საუბარი. ამერიკელებს რატომ ავიწყდებათ, რომ ჩვენ კულტურული ხალხი ვიყავით! რაც ჰიტლერმა გააკეთა, ეს კულტურის წინააღმდეგ იყო.

აქ ჯილბერტმა შეაწყვეტინა და ისევ ის გაცვეთილი კითხვა ჩაურთო:

—კი მაგრამ, ასეთი „კულტურული ხალხი“ როგორ აჰყვა ჰიტლერის დემაგოგიას?

ამ კითხვაზე შახტმა მეტად საყურადღებო პასუხი გასცა:

—ჰიტლერამდე ჩვენ მშვიდობიანი გზით გვინდოდა საარსებო წყაროების მიღება, მაგრამ მოკავშირეებმა ყველაფერზე უარი გვითხრეს: ბაზარი ვითხოვეთ, — არაო; ავსტრია — არაო; ჩეხოსლოვაკია —არაო. მერე მოვიდა ისეთი განგსტერი, როგორიც ჰიტლერია, და, კი ბატონოო, უთხრეს. წაიღეთ, რაც გინდათო. რაინის რემილიტარიზაცია მოახდინეთო, ავსტრია შეიერთეთო; სუდეტები და მთელი ჩეხოსლოვაკია მიირთვითო. მიუნჰენამდე ჰიტლერი არც ოცნებობდა სუდეტის შემოერთებაზე. მას მხოლოდ ავტონომია უნდოდა, მაგრამ... ო, ის ჩერჩეტი დალადიე და ჩემბერლენი! ყველაფერი ხელში ჩაუყარეს, გზა გაუხსნეს, მადა გაუღვიძეს. მე გეკითხებით თქვენ, რატომ არ მისცეს ეს ვაიმარის რესპუბლიკას?! რატომ მაშინ

არ მოგვათქმევინეს სული? მე ვცადე, ვერსალის ფარგლებში მომეწესრიგებინა გერმანული ეკონომიკა, ახლა კი მეუბნებიან, ომს ამზადებდიო. მე იმ მანიაკის მოკვლა მინდოდა და... ციხეში ჩამაგდეთ, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე!

აქ შახტსაც ისეთმა ისტერიამ მოუარა და ისე ყვიროდა, რომ მთელ ციხეს ესმოდა:

—სირცხვილი თქვენ! მე საკონცენტრაციო ბანაკშიც კი არ ვყოფილვარ ცალკე ოთახში გამოკეტილი. იქ არ მეპყრობოდნენ ასე. ძილი მაინც შემეძლო. აქ კი!..

შახტს ცახცახი აუტყდა, მერე, როგორც იქნა, დაწყნარდა და ძლივს გასაგონად თქვა:

—კეთილი, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თუ თქვენ გინდათ გაიგოთ ჩემი რეაქცია.. აი, ეს არის. მეტი რა შემიძლია გავაწყო ამერიკის ხელისუფლებასთან! დღეის შემდეგ კრინტსაც არ დავძრავ!..

...ზოგიერთებს უხაროდათ კიდეც, ასე რომ გააცალკევეს. ისინი ვერ იტანდნენ გერინგის დარიგებასა და მუქარას. ამის შედეგი იყო, რომ ბრალდებულთა ერთი ჯგუფი გამოეყო გერინგის მსგავს „ნაციზმის ლიდერებს“. ზოგმა მათი მხილებაც სცადა: ვინ იცის, გერინგის ნათქვამისა არ იყოს, მართლაც „თავიანთი ტყავის გადასარჩენად“ თუ შიშნარევი სინანულის გამო; ყოველ შემთხვევაში, ამ ორ ჯგუფს შორის ბზარი გაჩნდა. როცა შმაგლევსკა უსაშინელეს ამბებს ყვებოდა, შახტმა ყურმილი ჩამოიგლიჯა და თქვა:

— მე ხომ ვეუბნებოდი მაგ ღორებს, ეს ცუდ დღეში ჩაგვაგდებს–მეთქი.

ამით თავისი თავიც გასცა: თურმე სცოდნია, რასაც „ის ღორები“ აკეთებდნენ.

იმ დღეს სასადილოში დენიცი ამბობდა:

—ჯერ ვფიქრობდი, რომ უმჯობესი იყო, გერმანულ სასამართლოს გაერჩია ეს საქმე. ახლა დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. უწინ აღშფოთებული ვიყავი ამ ტრიბუნალით, ახლა, პირიქით. სჯობს ძირამდე ჩავყვეთ ამ საქმეს. გერინგმა საბრალდე-

ბო აქტზე რომ თქვა, ეს ტიპიური ამერიკული ხუმრობაა, ახლა რას იტყვის?!

—გერმანელმა ხალხმა უნდა დაინახოს, როგორ ატყუებდნენ. ეს დაეხმარება მას ნაციზმის ამოძირკვაში, — თქვა შირახმა.

— ჩვენ ეს უნდა ვთქვათ პროცესზე, — შეეხმიანა მას შახტი.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ყოფილი იუგენდფიუერერი, — გერმანელების მსჯავრი უფრო მკაცრი და სამართლიანი იქნება...

ჯოჯოხეთის აჩრდილები...

„მაღალი რანგის“ ფელდმარშლებისა და გენერლების დაკითხვა რომ დაამთავრეს, მოწმის პულტთან „ის გოჟი, ვისლიცენი“ დააყენეს. იგი ებრაელთმულტი აიხმანის მარჯვენა ხელი იყო. ამიტომ წინ ჰიმლერის ბრძანება დაუდეს ებრაელთა საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის (Endlösung) შესახებ და პირდაპირ ჰკითხეს:

—რას ნიშნავს ეს?

ვ ი ს ლ ი ც ე ნ ი: აიხმანმა ამიხსნა, ეს ებრაელების ბიოლოგიურ მოსპობას ნიშნავსო. ისიც თქვა, რომ სწორედ მას დაეკისრა ამ ბრძანების შესრულების პასუხისმგებლობა. მე ვუთხარი, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენს მტრებს ოდესმე მიეცეთ საშუალება, იგივე გაუკეთონ გერმანელ ხალხს. ამაზე აიხმანმა მიპასუხა, ნუ ხარ სანტიმენტალური, ეს ფიურერის ბრძანებაა და უნდა შესრულდესო.

ეს ბრძანება ძალაში იყო 1944 წლის ოქტომბრამდე. შემდეგ თვითონ ჰიმლერმა შეაჩერა მისი ბოლომდე მიყვანა.

კ ი თ ხ ვ ა: ვინ იყო მაშინ უშიშროების სამსახურის უფროსი, როცა ეს ბრძანება გამოიცა?

ვ ი ს ლ ი ც ე ნ ი: ჰაიდრიხი.

კ ი თ ხ ვ ა: კალტენბრუნერის დროსაც ძალაში იყო თუ არა ეს ბრძანება?

ვ ი ს ლ ი ც ე ნ ი: დიახ, არავითარი შესუსტება ან გადახვევა.

კ ი თ ხ ვ ა: რამდენი ებრაელი დახოცეთ ამ ბრძანების მიხედვით?

ვ ი ს ლ ი ც ე ნ ი: მე მგონი, ოთხი მილიონი, თუმცა აიხმანი ამბობდა, ხუთი მილიონიო...

მერე დადგინდა, რომ დახოცეს ექვსი მილიონი...

...ბავშვობიდან მახსოვს: ერთხელ, 20-იან წლებში, ფულის კურსი ისე დაეცა, რომ რამდენიმე მილიონ მანეთად ნაყინს ვყიდულობდით მუშტაიდის ბაღში. მაშინ ამ ფულებს „ბონებს“ უწოდებდნენ. იგავიც დადიოდა ასეთი:

— ამბობენ, ინდოეთში შიმშილით ორი მილიონი ხალხი დაიხოცაო, —ამბობს ვიღაც.

—დიდი ამბავი! —მიუგებს მეორე, —ორი მილიონი რა არის ამ ბონობის დროში!..

მე მგონი, ადამიანების სიცოცხლე ჰიტლერელებისათვისაც ამგვარ „ბონებად“ იქცა. ხომ გახსოვთ, კაიტელმა რომ თქვა, გროშია ადამიანის ფასიო. ამას სხვებზე ამბობდნენ, თორემ საკუთარ თავს უფრო ძვირად აფასებდნენ. გამოირკვა, რომ ნაციზმის მეთაურებს თავიანთი სიცოცხლე უცხოეთის ბანკებში ჰქონდათ დაზღვეული: გერინგს —4.000.000 დოლარად; რიბენტროპს —5.665.000 დოლარად; გებელსს— 2.490.000 დოლარად. თვით ჰიმლერსაც კი, რომელზეც ამბობდნენ, ისე ხელმოკლედ ცხოვრობდა, კაპიკს კაპიკზე აწებებდაო, უამრავი ვალუტა აღმოუჩინეს გადამალული. ხალხებს კი „ბონებად“ თვლიდნენ და გაშმაგებით ჟლეტდნენ „რასობრივად არასრულფასოვან“ ადამიანებს.

...როგორ ხდებოდა ეს, საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილმა ტუსაღებმა აჩვენეს პროცესზე. როცა ისინი შემოიყვანეს დარბაზში, „მეზობელმა“ გადმომილაპარაკა:

—ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს ჯოჯოხეთის აჩრდილებს ვხედავდეო...

პირველი ასეთი „აჩრდილი“ მორის ლამპი იყო.

ლ ო უ რ ე ნ ს ი: თქვენი სახელი და გვარი?

ლ ა მ პ ი: მორის ლამპი.

ლ ო უ რ ე ნ ს ი: გაიმეორეთ ჩემთან ერთად ფიცის სიტყვები: ვფიცავ, ვილაპარაკო ყოველგვარი შიშის გარეშე...

ლ ა მ პ ი: ვფიცავ, ვილაპარაკო ყოველგვარი შიშის გარეშე...

ლ ო უ რ ე ნ ს ი: ვილაპარაკო სიმართლე...

ლ ა მ პ ი: ვილაპარაკო სიმართლე...

ლ ო უ რ ე ნ ს ი: სრული სიმართლე, მხოლოდ სიმართლე...

ლ ა მ პ ი: სრული სიმართლე, მხოლოდ სიმართლე...

ლ ო უ რ ე ნ ს ი: ასწიეთ მარჯვენა ხელი და გაიმეორეთ: მე ვფიცავ!

ლ ა მ პ ი: მე ვფიცავ!

და დაიწყო საშინელებათა მოყოლა: 12 გრადუსი ყინვა, საქონლის გადასაყვანი ვაგონები. 1200 სრულიად შიშველი ფრანგი სამხედრო ტყვე. მაუთჰაუზენი. კომენდანტის მიმართვა:

—მე წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ უკვე არასოდეს არ დაუბრუნდებით თქვენს ოჯახს. ვინც ამ ბანაკში ხვდება, აქედან მხოლოდ კრემატორიუმის საკვამლე მილით გადის...

თვითონ ლამპმა თქვა:

—ეს იყო დანტეს ჯოჯოხეთის სურათები! 1944 წლის სექტემბერს მობრძანდა ჰიმლერი. ბანაკის კომენდატურამ მას წარმოდგენა გაუმართა: 50 ოფიცრის დახვრეტა.

სხვა დროს: ეშელონი საკსენჰაუზენის ბანაკიდან. 2500 ტყვე. გზაში მოკვდა 800. 1700 მოიყვანეს მაუთჰაუზენში. მათგან 400 მოხუცი და ავადმყოფი გადაარჩიეს „ლაზარეთში გადასაყვანად“. მერე 10 გრადუს ყინვაში გახადეს და ისე დააყენეს ეზოში. ზოგი მაშინვე გაიყინა. სხვები ცივი შხაპის ქვეშ გაატარეს და ისევ ეზოში გამოიყვანეს, ვიდრე ისინიც გაიყინებოდნენ. ეს პროცედურა 18 საათი გრძელდებოდა. ვინც კიდევ ფეთქავდა, ნაჯახის დარტყმით უღებდნენ ბოლოს...

ფრანგმა ბრალმდებელმა, რომელიც მორის ლამპს დაკითხავდა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ენის ბორძიკით ჰკითხა:

—თქვენ პირადად უყურებდით ამას?

— დიახ, — მიუგო ლამპმა და მეორე შესაძლებელი მოწმეც დაასახელა: ფრანგული კავალერიის კაპიტანი დოდიონი, რომელიც იმ ოთხასთან იყო და სასწაულით გადარჩა. იგი დაიმალა გვამებს შორის და აიცდინა ნაჯახის დარტყმა. ესესელებს „ძალიან სასაცილოდ" ეჩვენათ, რომ მკვდრების გვამებიდან ცოცხალი კაცი წამოდგა და გაიქცა... ესროლეს, ტყვია მხარში მოხვდა, მაგრამ... გადარჩა... ის დოდიონი ახლა საფრანგეთის სამხედრო სამინისტროში მუშაობსო, — თქვა ლამპმა.

მერე ის მოყვა, ჰაიდრიხის მოკვლის ამბავი რომ მოვიდა მაუთჰაუზენში, როგორ დახვრიტეს 3 ათასი სამხედრო ტყვე.

ლოურენსი შეეკითხა დაცვის მხარეს, ხომ არ სურს რომელიმე თქვენგანს, ჰკითხოს რამე მოწმესო.

ამის მსურველი, რა თქმა უნდა, არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა. სხვა დროს კი ზოგჯერ დამცველიც ჩაერეოდა ხოლმე ამგვარ დაკითხვაში. ერთხელ ყოფილ საბჭოთა სამხედრო ტყვე ექიმს დაკითხავდნენ. ის მოყვა:

— ყოველდღე ბანაკში ან ერთი ბანაკიდან მეორეში გადაყვანის დროს, შიმშილისაგან იხოცებოდა 700, 800, 900 ტყვე. აქ გერმანიის უმაღლესი სარდლობისა და გენშტაბის დამცველი ლატერნზერი წამოდგა და რამდენიმე კითხვის შემდეგ ასეთი რამ უთხრა მოწმეს:

—თქვენ სამხედრო ექიმი ბრძანდებით და უნდა იცოდეთ, რომ არმიის მომარაგება სურსათით ადვილი საქმე არ არის...

მოწმე დაეთანხმა, ადვილი არ არისო, მაგრამ ისიც იკითხა: მოსახლეობას რატომ არ აძლევდნენ უფლებას, პროდუქტები გადაეცათ მათთვის?

ან:

—ლ ა ტ ე რ ნ ზ ე რ ი: თქვენ თქვით, რომ ტყვეები შეყარეს ბოსელში. მე გეკითხებით, იმ ბოსელს ჰქონდა თუ არა სახურავი?

მ ო წ მ ე: ბოსელში მხოლოდ მცირე ნაწილი ეტეოდა, დანარჩენები ეზოში იყვნენ, ღია ცის ქვეშ.

ლ ა ტ ე რ ნ ზ ე რ ი: თუ იცით, სადმე ახლოს იყო უკეთესი შენობა?

ეს იმიტომ ჰკითხა, ვითომ, სხვა საშუალება თუ არ იყო, რა უნდა ექნათო.

ვექილის ასეთი საუბარი აღშფოთების მეტს რას გამოიწვევდა!.. სხვაც ბევრი დაკითხეს ასე, მაგრამ ამის მოყოლა არ ღირს, სულ ერთი და იგივე სურათი: დამცირება, დახოცვა, თანაც გართობა და გამახალისებელი მუსიკა...

ყოველივე ეს იმის შედეგი იყო, რომ ჰიტლერელებს არმიის წინაშე დასახული ჰქონდათ არა მხოლოდ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ი ს, არამედ მოწინააღმდეგის ს რ უ ლ ი მ ო ს პ ო ბ ი ს ამოცანა. ამასთან, „მოწინააღმდეგის“ ცნებაში იგულისხმებოდა მშვიდობიანი მოსახლეობაც. ამას მოითხოვდნენ ჰიტლერი, ჰიმლერი, გერინგი, კაიტელი და სხვებიც, ე. ი. პოლიტიკოსები, არმიის სარდლები და ესესელები. პროცესზე წაიკითხეს ფელდმარშალ ჰერტ რუნდშტედტის სიტყვები, წარმოთქმული ბერლინის სამხედრო აკადემიების კურსანტთა წინაშე:

—1918 წლის სერიოზულ შეცდომათა შორის ერთი პირველთაგანი ის იყო, რომ ჩვენ დავინდეთ მოწინააღმდეგე ქვეყნების სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლე, მაშინ როდესაც აუცილებელია, გერმანელები ორჯერ მეტი იყვნენ, ვიდრე დაპყრობილ ქვეყნებში მცხოვრებნი. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ, გავულიტოთ მათი მოსახლეობის სულ მცირე მესამედი მაინც...

ხომ ხედავთ, რა „მოკრძალებითაა“ ნათქვამი: „სულ მცირე მესამედი მაინცო“. მართალია, ჰიტლერი, ჰიმლერი და სხვები მეტს მოითხოვდნენ, მაგრამ დავანებოთ ახლა ამას თავი და რუნდშტედტის „სულ მცირე“ ციფრებს ჩავუკვირდეთ. აბა, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რამდენი მოსახლეობა იყო გერმანელების მიერ დასავლეთსა და აღმოსავლეთში დაპყრობილ ტერიტორიებზე და გაყავით სამზე, „სულ მცირე“ ასი მილიონი მაინც ხომ გამოდის? ხედავთ, რას მოითხოვს „მოკრძალებული“ ფელდმარშალი? ვიმეორებ, არა ჰიტლერი ან ჰიმლერი, არამედ რუნდშტედტი, რომელიც თვითონ იყო ხან

აღმოსავლეთის და ხან დასავლეთის არმიათა ჯგუფების სარდალი. როგორც გგონიათ, ის გაიმეორებდა იმ „შეცდომებს“, რაც მისივე სიტყვებით, 1918 წელს იქნა დაშვებული? რა თქმა უნდა, არა. მაშ, ახლა რატომ უკვირთ, როცა პროცესზე იმავე რუნდშტედტის ოფიცრის, უფროს ლეიტენანტ მიულერის ასეთ შემაძრწუნებელ მოხსენებით ბარათს კითხულობენ:

— 1942 წლის 21 სექტემბერს ჩემმა ასეულმა მიიღო ბრძანება სოფ. ბორკის მოსპობის შესახებ... გაცნობებთ ამ ოპერაციის რიცხობრივ შედეგს. დახვრეტილია: მამაკაცი — 203, ქალი — 372, ბავშვი — 130.

ეს ერთ სოფელში! სხვაგან? ვინ მოთვლის, სად რამდენი დახოცეს. მერე თვითონაც გაუჭირდათ ეს და იმაზე იზრუნეს, თუ როგორ გაფრთხილებოდნენ მკვლელების ნერვებს. ამიტომ იყო, რომ ჰიმლერმა უბრძანა დამსჯელი ჯგუფების ხელმძღვანელებს, ამიერიდან ქალები და ბავშვები „ბეკერის სისტემით“ დახოცეთო. საქმე ის არის, რომ დამსჯელი რაზმების „სამუშაოს“ ფსიქოლოგიურად შესამსუბუქებლად „ფრიად განათლებულმა ინჟინერმა“ ბეკერმა გამოიგონა ის ჯოჯოხეთის მანქანა, რომელსაც შემდეგ „გაზვაგენი“ ანუ „დუშეგუბკა“ დაერქვა. ეს მანქანა პირველად გამოიყენა ოლენდორფმა, რომელსაც თავისი დამსჯელი რაზმი მოჰყავდა კავკასიისკენ. პროცესზე მან თქვა, რომ მიუხედავად დიდი იმედებისა, „ბეკერის სისტემის“ გამოყენებამ მაინც ვერ შეამსუბუქა დამსჯელი რაზმების „ფსიქოლოგიური დაძაბულობა“ ქალებისა და ბავშვების დახოცვის დროს.

და აი, ახლა ეს ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა გენერალი დგას მოწმის ტრიბუნაზე და საბჭოთა ბრალმდებლის მოადგილე პოკროვსკი არკვევს, რატომ მოხდა ეს ასე:

პ ო კ რ ო ვ ს კ ი: თქვენ თქვით, რომ ამ მანქანებში უმთავრესად ხოცავდნენ ქალებსა და ბავშვებს, რა მოსაზრებით?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: ჰიმლერის კატეგორიული ბრძანება იყო, ამიერიდან ქალები და ბავშვები დაგვეხოცა მხოლოდ „გაზვაგენების“ საშუალებით, რათა თავიდან აგვეცდინა ზედმეტი სულიერი მღელვარება. ეს საშუალებას აძლევდა მამაკაცებს,

რომელთაც ცოლ-შვილი ჰყავდათ, არ ესროლათ ქალებისა და ბავშვებისათვის.

პ ო კ რ ო ვ ს კ ი: ვინმე თუ ადევნებდა თვალყურს მათ მოწამვლას „გაზვაგენის“ ძარაში?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: დიახ, ექიმი.

პ ო კ რ ო ვ ს კ ი: იცით თუ არა თქვენ იმის შესახებ, რომ ბეკერის მოხსენების მიხედვით, ამგვარი სიკვდილი განსაკუთრებით მტანჯველი იყო?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: არა. ბეკერის მოხსენების შესახებ მე მხოლოდ აქ შევიტყვე, როცა გამაცნეს მისი წერილი რაუფისადმი...

პ ო კ რ ო ვ ს კ ი: თქვენ თუ მოგდიოდათ ცნობები, რომ დამსჯელი რაზმები, არცთუ ისე ხალისით იყენებდნენ ამ მანქანებს?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: მე ვიცოდი, რომ ოპერატიული ჯგუფები იყენებდნენ ამ მანქანებს.

ჰ ო კ რ ო ვ ს კ ი: არა, მე სხვა რამე მაქვს მხედველობაში, გაცნობებდნენ თუ არა თქვენ, რომ ოპერატიული ჯგუფები ბეკერის სისტემის მანქანის გამოყენებას სხვა სახით სიკვდილით დასჯას ამჯობინებდნენ?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: ე. ი. თქვენ გინდათ თქვათ, რომ ისინი ბეკერის მანქანას ამჯობინებდნენ სხვა სახით დახოცვას?

პ ო კ რ ო ვ ს კ ი: პირიქით, რომ მათ ერჩიათ დაეხვრიტათ ისინი, ვიდრე მოეწამლათ გაზვაგენებში.

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: დიახ, მე ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ...

პ ო კ რ ო ვ ს კ ი: რა მოსაზრებით ხდებოდა ეს ასე?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: რამდენადაც მახსოვს, იმიტომ, რომ ორგანიზმის მოწამვლის შედეგები ეტყობოდა გვამებს. ეს ძალიან ცუდი სანახაობა იყო. გარდა ამისა, მანქანის ძარის დაცლა იყო ძნელი, რადგან გვამები მოსვრილი იყო განავლით...

პ ო კ რ ო ვ ს კ ი: თქვენ გინდათ თქვათ, რომ გვამებს ეტყობოდათ ტანჯვა, რასაც დასჯილები განიცდიდნენ სიკვდილის დროს? ასეა, არა?

ოლენდორფი: მხედველობაში გაქვთ „გაზვაგენში" მოწამვლა?

პოკროვსკი: დიახ!..

ოლენდორფი: მე შემიძლია გავიმეორო, რაც უკვე მოგახსენეთ. ექიმმა მითხრა, ასეთი სიკვდილის დროს ისინი არ იტანჯებოდნენო...

პოკროვსკი: მაშინ სრულიად გაუგებარია, თქვენი ნათქვამი, რომ ოპერატიული ჯგუფები ირჩევდნენ დახვრეტას და არა ამ მანქანის გამოყენებას.

ოლენდორფი: დიახ, მე უკვე მოგახსენეთ გვამების მდგომარეობის გამო. ისინი ამოგანგლული იყვნენ...

ის ოჯახაშენებული პოკროვსკიც რომ არ მოეშვა ამ კითხვას! იგი ჩააცივდა ოლენდორფს და ერთხელ კიდევ ათქმევინა, რომ „გაზვაგენის" ძარა მოსკრილი იყო...

როგორც ჩანს, ამან ნიკიტჩენკოს ჩვეული „ოლიმპური სიმშვიდეც" დაარღვია და თვითონ ჩაერია დაკითხვაში, რომ საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა, მაგრამ დარბაზში ისევ ის ისმოდა: ხოცვა-ჟლეტა, ძალადობა, გაუპატიურება, ძარცვა. მერე ისეთი შემაძრწუნებელი მასალები იქნა წარდგენილი, რომ ამის მოსმენა, მართლაც, აღარ შეიძლებოდა... ბევრმა ყურმილი მოიხსნა... კორესპონდენტების ნაწილი გავიდა დარბაზიდან. ეს იყო თოთხმეტიდან ცხრამეტ თებერვლამდე... საბჭოთა ბრალმდებელმა აღნიშნა, ამგვარი დანაშაულებრივი მოქმედების 54. 784 აქტია შედგენილიო, მაგრამ ამას ვინ ჩამოთვლიდა ან რა გული აიტანდა ამის მოსმენას!

ტრიბუნაზე კი ახლა საბჭოთა ბრალმდებელი სმირნოვი იდგა და ისიც იმას ყვებოდა — სად, ვინ და რამდენი დახვრიტეს, რამდენი კაცი, ქალი, ბავშვი, მოხუცი; რამდენი გააუპატიურეს და მოკლეს...

ბავშვების წარმოება...

შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა პროცესზე დახაუსა და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკების „სამე-

დიცინო ლაბორატორიებში“ ჩატარებული ცდების შესახებ წარდგენილმა საბრალდებო მასალებმა. ამ ლაბორატორიებში გამოჩენილი გერმანელი ექიმები სრულიად ჯანსაღ ადამიანებზე — კაცებზე, ქალებსა და ბავშვებზე ახდენდნენ ცდებს. აქ წარმოებდა მამაკაცების კასტრაცია, ქალების სტერილიზაცია, სხვადასხვა ავადმყოფობით ხელოვნური დაავადება, შხამიანი ნივთიერებების გამოცდა ბავშვებზე და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კასტრაციისა და სტერილიზაციის ჩატარებას რენტგენის სხივებით. ამისთვის მხოლოდ ერთ „ბლოკში“ 400 ქალი და ამდენივე კაცი ჰყავდათ ერთდროულად შერჩეული. „ცდის ობიექტების“ უდიდესი ნაწილი იხოცებოდა. მათ ადგილს კი ახალმოყვანილებით ავსებდნენ — უმთავრესად 16—18 წლის ქალიშვილებით. მერე ამგვარმა ცდებმა მასობრივი ხასიათი მიიღო.

როგორც მოგეხსენებათ, ადრე მხოლოდ აღმოსავლეთის დესპოტურ სახელმწიფოებში მიმართავდნენ დასაჭურისებას, და ისიც, უმთავრესად ჰარამხანების საჭიროებისათვის. ახლა კი ჰიტლერელებმა ეს საზიზღრობა თავიანთი გეოპოლიტიკის ნაწილად აქციეს. პროცესზე გაოცებით უსმენდნენ საბჭოთა ბრალმდებელ სმირნოვს, რომელიც მამაკაცების მასობრივი დასაჭურისების მასალებს უდგენდა ტრიბუნალს. ჰიმლერი დაჟინებით მოითხოვდა ამ „საქმის“ კიდევ უფრო მასობრივად გაშლას. არკვევდა, თუ რამდენი კაცისა და ქალის კასტრაცია შეიძლებოდა ყოველდღიურად. რატომ? რისთვის? კითხულობდა გაოგნებული ხალხი. პასუხი კი ნათელი იყო: დაპყრობილ ტერიტორიებზე არაგერმანელი მოსახლეობის მკვეთრად შესამცირებლად, რაზედაც ჯერ კიდევ 1934 წელს ესაუბრებოდა ჰიტლერი რაუშნინგს:

— ცნება „მოსპობაში“ მე არ ვგულისხმობ იმ ხალხის აუცილებელ გაჟლეტას... მე, უბრალოდ, მივიღებ ზომებს მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის შესაწყვეტად... არსებობს მრავალი საშუალება, რითაც შესაძლებელია შედარებით უმტკივნეულოდ, ყოველ შემთხვევაში, ყოველგვარი სისხლის-

ღვრის გარეშე, მივაღწიოთ არასასურველი ხალხების თანდათან გაქრობას.

პროცესზე ფრანგი ბრალმდებელი დიუბოსტი შეეკითხა მოწმედ გამოძახებულ კლოდ მარი ვაიან-კუტიურიეს, რომელმაც ოსვენციმში ნახა ქალების სტერილიზაცია:

— რა მიზნით აწარმოებდნენ ესესელები ქალების სტერილიზაციას?

— ამას არც მალავდნენ, — უპასუხა კლოდ მარიმ, — ამბობდნენ, რომ ეძებდნენ სტერილიზაციის საუკეთესო საშუალებას, რათა ოკუპირებული რაიონების მოსახლეობა თანდათან შეეცვალათ გერმანელებით...

...პროცესზე წარმოადგინეს აგრეთვე გერმანელი პოლიციის მიერ გამოცემული დოკუმენტები, სადაც ეწერა: ამას და ამას უფლება აქვს იცხოვროს ამა და ამ ქალაქში, მხოლოდ იმ პირობით, თუკი მას დაასაჭურისებენ...

დამახასიათებელია, რომ ექიმები, რომელთაც სურდათ საკუთარ კლინიკებში ჩაეტარებინათ ამგვარი ცდები, საკონცენტრაციო ბანაკებში ყიდულობდნენ „ცდების ჩასატარებელ მასალებს“ — ქალებსა და კაცებს...

თუ ამით ჰიმლერს, ერთი მხრივ, უნდოდა განეხორციელებინა ჰიტლერის მითითება „ნაციონალური ერთეულების ლიკვიდაციის“ შესახებ, მეორე მხრივ, იგი გერმანელი ხალხის ინტენსიურ გამრავლებაზეც ზრუნავდა. მისი მოთხოვნით, ოსვენციმშივე წარმოებდა ცდები „ხელოვნური განაყოფიერებით“ ფრიცებისა და ჰანსების, გრეტჰენებისა და ჰერტრუდების მოსამრავლებლად...

აქ მე ისევ შეგახსენებთ ჰაქსლის ლიტერატურულ პაროდიას მომავლის საინკუბაციო ცენტრის შესახებ, სადაც სურვილისამებრ ამზადებდნენ ადამიანებს, და ისიც, ერთი სპერმიდან — ათეულ ათასებს. წარმოგიდგენიათ, ერთი სპერმიდან — 90 ათასი და-ძმა! ნერწყვს ყლაპავდა, ალბათ, ჰიმლერი. მისი იდეალი იყო: სტანდარტული ადამიანები, სტანდარტული ბასიათით. დაამზადე, რამდენიც გინდა და... ჩვენს პლანეტას კი არა, მთელ კოსმოსს მოანაშენებ არიელი ფრიცებით.

ჰიმლერის მარჯვენა ხელმა — კალტენბრუნერმა. იცოდა, რომ მისი შეფი ფანტაზიებს იყო აყოლილი და თვითონ უფრო რეალურ გეგმებს სახავდა. ეს მან გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც გერმანელ ქალებს, 35 წლის ასაკამდე თუ ოთხი შვილი არ ჰყავდათ, უნდა შეევსოთ ეს დანაკლისი, იმის მიუხედავად, ქმრიანები იყვნენ თუ უქმროები. გარდა ამისა, იმ ქალებს, რომელთაც ოთხი შვილი ჰყავდათ, თავიანთი ქმრები „უნდა გამოენთავისუფლებინათ“ სხვა ქალებთან „ბავშვების საწარმოებლად“.

ასე აპირებდნენ ისინი არიელი ფრიცების მოშენებას. დანარჩენებს კი, ჰიტლერის რეცეპტების მიხედვით, თანდათან მოსპობდა ჰიმლერი, რომლის ოცნება იყო: სტერილიზებული ქალები, რომელნიც ახალგაზრდობაშივე მოხუცებს გვანან, საჭურისი ვაჟკაცები, რომელთაც წვერ-ულვაში არა აქვთ; არავითარი მემკვიდრეობა... შვილები... შვილიშვილები.

ამრიგად, ერთი თაობა, მეორე... ჰა... თუნდაც მესამე და, ჩვენს პლანეტაზე აღარ იქნებიან სხვა ერები, გარდა გერმანელებისა... ან, თუ იქნებიან, მხოლოდ იპსილონები, ანუ მონები მძიმე ფიზიკური შრომისათვის, რომლებიც ისევე გულგრილად მიაჩერდებიან ამა ქვეყნის სიამეთ, როგორც საჭურისები ვნებით გახელებულ ოდალისკებს ჰარამხანებში...

ჰიპოკრატეს ცრემლები...

ექიმი იმის ექიმია, რომ ავადმყოფს კურნავს ან ტანჯვას მაინც უმსუბუქებს. გერმანელმა ნაცისტმა ექიმებმა, პროფესორებმა და დოცენტებმა კი პირიქით, ავადმყოფთა მოსპობა აქციეს თავიანთ პროფესიად. ჯერ ხომ „სულით ავადმყოფებს“ დაერივნენ და გაჟლიტეს, მერე იმათაც, ვინც „არასასურველად“ მიაჩნდათ. შეშლილიაო! — გამოაცხადებდნენ და სპობდნენ, როგორც „მუქთამჭამლებს“. ამისთვის ბორმანმა სპეციალური კატეხიზმი — „შენ უნდა მოჰკლა“ — შეთხზა, ქრისტიანული „არა კაც ჰკლას“ მაგივრად.

— შენ უნდა მოჰკლა სუსტები, ავადმყოფები, მოხუცები, დაკრდომილები, შრომის უნარმოკლებულები და არასასურველი პირები. შენ უნდა მოჰკლა მუქთამჭამლები, — ეწერა ბორმანის „ათ ცნებაში“.

ეს საკითხი ნიურნბერგის პროცესზეც ამოტივტივდა. დარბაზში მოწმედ შემოიყვანეს იმპერიის კანცელარიის უფროსი ლამერსი. კაიტელის დამცველმა ნელტემ ჰკითხა მას:

— იცით თუ არა თქვენ რამე ჰიტლერის განკარგულებაზე სულით ავადმყოფების უმტკივნეულოდ დახოცვის შესახებ?

— დიახ, — უპასუხა ლამერსმა, — მოსამზადებელი სამუშაოები 1939 წლის შემოდგომაზე ჩატარდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატსმდივანმა, იმპერიის ექიმთა ფიურერმა (Reichsarztführer) დოქტორმა კონტიმ მიიღო დავალება — შეესწავლა ეს საკითხი. შემდეგ ჰიტლერმა დაგვავალა, შეგვექმნა სათანადო კანონი. პროექტი მე დავწერე, კონტმა კი ის რაიხსლაიტერ ბულეს წარუდგინა ჰიტლერისათვის გადასაცემად. ჰიტლერმა კანონს ხელი არ მოაწერა, მაგრამ ბულესა და ექიმ ბრანდტს დაავალა მისი შესრულება.

პროცესზე ბრალდების მხარემ წარმოადგინა ჰიტლერის სამსახურებრივ ბლანკზე დაწერილი განკარგულება ამის შესახებ. ბორმანმა ეს დოკუმენტი გააცნო გაულაიტერებს და დაავალა, თუ საჭირო იქნა, კრაისლაიტერებსაც გააცნითო. ჯერ ლაპარაკი იყო „ასპროცენტიანი“ ავადმყოფებისათვის „სამოწყალი ტყვიის ბოძების“ შესახებ. სპეციალურად დგებოდა „ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი“ (Lebensufähige) პირების სიები. ამას ე. წ. „არასასურველი ელემენტებიც“ ემატებოდა და, რაკი საიდუმლო მითითება იყო, ისინი „გიჟებად გამოაცხადეთ და მოსპეთო“, ეუთანაზიის პრობლემამ სულ სხვა ხასიათი მიიღო. ბორმანის დოკუმენტების მიხედვით, ეს ეხებოდა დაახლოებით 30 ათას კაცს. შემდეგ „საქმე“ გაფართოვდა და 100—120 ათასამდე ავიდა, ბოლოს კი, მგონი, ნახევარ მილიონსაც მიაღწია...

ოპერაციის შესრულება დაიწყო 1940 წელს. საავადმყოფოებში დააგზავნეს სამედიცინო კომისიები, რომლებშიც

სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. ეს კომისიები ადგენდნენ იმ ავადმყოფების სიებს, ვინც „სხვაგან უნდა გადაეყვანათ“. ნაწილი გზაში იხოცებოდა, დანარჩენებს დანიშნულების ადგილას სპობდნენ. თან ავალებდნენ, ტანისამოსი უკანვე გამოეგზავნათ ნათესავებისათვის დასაბრუნებლად. ყოველივე ამის ზუსტი აღრიცხვა წარმოებდა. პროცესზე წაიკითხეს დოკუმენტი, რაც ადასტურებდა 370 ათასი კაცის „სხვაგან გაგზავნას“, რაც მხოლოდ ნაწილი იყო ამ „დიდი ოპერაციისა“. ეს ჭირისუფლებმა გაიგეს, მოსახლეობის ფართო ფენებმაც. აქა-იქ პროტესტიც განაცხადეს, — ქრისტიანიზმის საწინააღმდეგო მოქმედებაა. საქმეში ეკლესიაც ჩაერია. ლიმბურგის ეპისკოპოსმა მთავრობას მისწერა:

— აქ, ლიმბურგიდან 8 კილომეტრის დაშორებით, ჰადამარში ავტობუსებით მოჰყავთ ავადმყოფები. ამ ავტობუსებს მოწაფეები „სასიკვდილო ყუთებს“ (Todkisten) უწოდებენ. ჰადამარის კრემატორიუმის საკვამლე მილი განუწყვეტლივ ბოლავს. ყველამ იცის, რაც იქ ხდება. ბავშვებიც კი აშინებენ ერთმანეთს, შენ უჭკუო ხარ, ამიტომ ჰადამარში გაგაგზავნიან და ღუმელში დაგწვავენო. მოხუცები ღელავენ. შეშინებული ქალიშვილები ამბობენ, ბავშვებს არ გავაჩენთო...

აქ შეძრწუნებული ლოურენსი ჩაერია დაკითხვაში:

—გასცა ვინმემ პასუხი ამ წერილს?

ამაზე ბრალდების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა კემპერმა უპასუხა:

— პასუხის შესახებ არაფერი ვიცით, სამაგიეროდ, გვაქვს დოკუმენტი, რომელშიც წერია, „არ უპასუხოთო“.

— არ უპასუხოთო?! — აღელდა ლოურენსი.

— დიახ, — მიუგო კემპერმა, — შემდეგ ღრმად მოხუცებისა და ომის ინვალიდების დახოცვაც დაიწყეს. ამის შესახებ მრავალი წერილი შედიოდა რაიხსკანცელარიაში. ეპისკოპოსმა გალენმაც დაწერა პროტესტი, მაგრამ არაფერი... ბოლოს, კარდინალიც ჩაერია საქმეში, თუმცა ესეც უშედეგო გამოდგა. პირიქით, ოპერაცია გაფართოვდა და გაზკამერებიც აამუშავეს.

როცა პროცესზე ესესის საკითხი ირჩეოდა, დარბაზში

მოწმედ შემოიყვანეს „ეუთანაზიის სპეციალისტი“ ექიმი ჰერმან ნიტშე, რომელმაც განაცხადა:

— ამისთვის მწვანეზოლიანი სპეციალური ავტობუსები გვყავდა. ავადმყოფები მოგვყავდა დანიშნულების ადგილას, გავატარებდით გრძელ დერეფანს; თვითონ თუ არ შეეძლო, ტანისამოსს სხვა ხდიდა, შემდეგ ჩაგვყავდა სარდაფში, ვითომ აბაზანის მისაღებად. იქ სანიტრები მათ ესესელებს გადასცემდნენ, ისინი კი გაზკამერებში შერეკავდნენ. ჩემი მონაწილეობით ასე 10—15 ათასი კაცი მოვსპეთ, — დაასრულა ჩვენება „ჰატივცემულმა ექიმმა“.

„საქმეს რომ მორჩებოდნენ“, თან ასეთ სტანდარტულ მოხსენებით ბარათებს უდგენდნენ უფროსებს:

— ამით ვადასტურებ, რომ თანდართულ სიაში ჩამოთვლილი 368 სულით ავადმყოფი გარდაიცვალა 1942 წლის 29 იანვარს.

ესესის შტურმბანფიურერი კირსტე.

ან კიდევ:

— ამით ვადასტურებ, რომ თანდართულ სიაში ჩამოთვლილი 243 სულით ავადმყოფი გარდაიცვალა 1942 წლის 14 აპრილს.

ესესის შტურმბანფიურერი კირსტე.

— ამით ვადასტურებ, რომ თანდართულ სიაში ჩამოთვლილი 98 სულით ავადმყოფი გარდაიცვალა 1942 წლის 22 ოქტომბერს.

ესესის შტურმბანფიურერი კირსტე.

თუ როგორ ხდებოდა ეს ერთდროული „გარდაცვალება“, ამის შესახებაც მრავალი დოკუმენტი წარმოადგინეს პროცესზე.

14 ოქტომბერს, 1941 წელს, ესესელები, გარნიზონის გერმანელი ექიმის მეთაურობით, შეცვივდნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, გამოიყვანეს 300 ავადმყოფი და იქვე ხევში ჩახოცეს...

ვინ გაიგებს, გიჟები ის ავადმყოფები იყვნენ, თუ ეს „სრულიად ნორმალური“ ესესელები!..

პროცესზე წარადგინეს საბჭოთა ექიმების წერილობითი ჩვენება, რომელშიც ეწერა:

— საავადმყოფოში მოვიდნენ გესტაპოელები და ყველგან ყარაულები დააყენეს. შენობიდან გასვლა ან შემოსვლა სასტიკად აკრძალეს. გესტაპოელთა უფროსმა მოითხოვა, გადაერჩიათ „ქრონიკულად დაავადებული“ ავადმყოფები. შემდეგ მოიყვანეს მანქანები, შეყარეს 60—70 კაცი, გაიყვანეს იქვე ახლო ხევში, დახოცეს და ისევ მობრუნდნენ ახალი კონტინგენტის წასაყვანად.

ბევრი ავადმყოფი მიხვდა, რაც მოელოდა. ერთი ახალგაზრდა გოგონა გამოვარდა პალატიდან, მივიდა ექიმთან, ხელი მოხვია მხრებზე და ჩუმად ჰკითხა: ეს დასასრულია? მერე ხმა არ გაუღია, ისე მილასლასდა მანქანასთან, უარი თქვა ხელის შეშველებაზე და მშვიდად შევიდა ძარაში. 800 კაცი მოკლეს ასე და არც ერთს ხმა არ ამოუღია. ეს იყო სწორედ ქრისტეს შობის დღეს, როცა გერმანელ ჯარისკაცებს ნაძვის ხეები დაურიგეს, ხოლო გესტაპოელებს, ავადმყოფების დახვრეტის წინ, სამკლავეები გაუკეთეს წარწერით: „ღმერთი ჩვენთანაა“.

კითხვა: რატომ ხოცავდით ავადმყოფებს?

პასუხი: რა ვიცი, ასეთი იყო ბრძანება...

კითხვა: ვინ გიბრძანათ?

პასუხი: ჩვენმა ოცეულის მეთაურმა.

კითხვა: იმას ვინ უბრძანა, თუ იცით?

პასუხი: არა, ეს მე არ ვიცი...

კითხვა. არ გებრალებოდათ ავადმყოფები?..

პასუხი: რატომ?! ისინი ხომ მაინც უნდა მომკვდარიყვნენ...

კითხვა: ერთ დროს ყველა მოვკვდებით, მაგრამ ამიტომ უნდა დაგვხვრიტონ?

პასუხი: ჩვენ ხომ ვმუშაობთ. ეს იმათ ხვრეტდნენ, ვისაც მუშაობა არ შეეძლო...

კითხვა: რატომ მაინცდამაინც შობის ღამეს ჩაიდინეთ ეს?

პ ა ს უ ხ ი: ჩვენმა უფროსმა თქვა: მათი სული ქრისტე-ღმერთს უნდა მივართვათ საჩუქრადო.

კ ი თ ხ ვ ა: ეს სამკლავეები ვინ გაგიკეთათ?

პ ა ს უ ხ ი: უფროსმა.

კ ი თ ხ ვ ა: რატომ?

პ ა ს უ ხ ი: ერთმა ჩვენმა ამხანაგმა თქვა, ნუ ვიზამთ ამას, თორემ ღმერთი გვიწყენსო. ის ლაჩარი დასაჯეს, ჩვენ კი გასამხნევებლად სამკლავეები გაგვიკეთეს წარწერით: „ღმერთი ჩვენთანაა!“

კ ი თ ხ ვ ა: დარწმუნებული იყავით ამაში, რომ ეს მართლაც ასეა?

პ ა ს უ ხ ი: რა თქმა უნდა, რაკი უფროსმა ასე თქვა...

დაბადებამდე დახვრეტილი...

ფრანგმა ბრალმდებელმა დიუბოსტმა მოახსენა ტრიბუნალს მძევლების დახვრეტის ამბავი. ჰააგის კონვენცია საერთოდ კრძალავს მძევლების აყვანასა და მათ რეპრესიას. გერმანელები კი ფართოდ იყენებდნენ ამ „აკრძალულ ილეთს“.

დიუბოსტი ამბობდა:

— მართალია, ომი ომია და მძევლებს მაშინ ხვრეტდნენ, როცა თვით გერმანელების მიმართ იყო რამე აქცია ჩადენილი, მაგრამ... აქ დიუბოსტმა გაიხსენა ჰიტლერის მიერ ჯერ კიდევ 1927 წლის 16 მაისს წარმოთქმული სიტყვა:

— გერმანიას აქვს მხოლოდ ერთი შესაძლებლობა, რათა თავიდან აიცდინოს ბლოკადა. ეს შესაძლებლობაა იმ სახელმწიფოს მოსპობა, რომელიც, თავისი ბუნებით, ყოველთვის გერმანიის მოსისხლე მტერი იქნება. ეს არის — საფრანგეთი!

ამაზე დიუბოსტმა თქვა:

— როცა ხალხი ხედავს, რომ მის არსებობას ემუქრება ვინმე, მაშინ მას ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს: თვითონ მოსპოს თავისი მტერი.

ამის შემდეგ დიუბოსტმა ილაპარაკა დაპყრობილი ხალხების გაჟლეტის შესახებ, რათა მომავალში 250 მილიონი

გერმანელისთვის უზრუნველეყოთ „სასიცოცხლო სივრცე“ ევროპაში.

— გაჟლეტის გეგმა წინასწარ მოფიქრებული და გაანგარიშებული იყო, — თქვა მან. იგი ეყრდნობოდა ტერორს. მძევლების დახვრეტის შესახებ წითელ და შავარშიაშემოვლებულ აფიშებს აკრავდნენ ქუჩებში. მთელი საფრანგეთი, პარიზიდან დაწყებული უმცირეს სოფლებამდე, მოფენილი იყო ამგვარი აფიშებით. ამას გერმანული არმიის უმაღლესი სარდლობა ხელმძღვანელობდა. კაიტელმა თვითნებურად გააუქმა ჰააგის კონვენცია და ბრძანა: მძევლების აყვანა გამართლებულიაო. იგი ინსტრუქციას ინსტრუქციაზე გზავნიდა არმიებში ამის შესახებ. ამას მოჰყვა მძევლების მასობრივი დახვრეტა დროებით ოკუპირებულ ყველა ქვეყანაში...

ამ შემზარავი ბოროტების კვალიც კაიტელისკენ მიდიოდა. მართალია, განკარგულებებს იგი ფიურერის სახელით აწერდა ხელს, მაგრამ თვითონაც დაჟინებით მოითხოვდა ამას. ადგილობრივი სარდლებიც იძლეოდნენ განკარგულებებს მძევლების დახვრეტის შესახებ, თუმცა ზოგიერთი მათგანი არ იწონებდა ამგვარ ღონისძიებას. ასე, მაგალითად, გენერალი ფალკენჰაუზენი საიდუმლო წერილში აცხადებდა:

— მძევლების დახვრეტა არ აღწევს დასახულ მიზანს, პირიქით, აღაშფოთებს მოსახლეობას და ხელს უწყობს კომუნისტურ პროპაგანდას. ეს სახიფათოა სამხედრო თვალსაზრისით.

ეს გაფრთხილება არავინ არ მიიღო მხედველობაში, პირიქით, ტერორი უფრო გააძლიერეს.

რას არ მოიგონებს ბოროტებაში ჩაფლული ადამიანების გარყვნილი გონება! გერმანელებს ჰყავდათ ე. წ. „ფიზიონისტების ბრიგადები“, რომელნიც „ერთი შეხედვითაც ცნობდნენ“, ვინ რას წარმოადგენდა. ამ ბრიგადის შეიარაღებული წევრები დაძრწოდნენ ქუჩებში, პარკებში, რკინიგზის სადგურებზე, უტიფრად აჩერდებოდნენ სახეში გამვლელ-გამომვლელთ და, ვინც „თვალში არ მოუვიდოდათ“, სტაცებდნენ ხელს, რათა გესტაპოს ჯურღმულებში მოეღოთ მათთვის ბოლო, დიუბოსტმა ჩამოთვალა, თუ ვის იყვანდნენ გერმანელე-

ბი მძევლებად. გავლენიან და სახელოვან პირებსო, — თქვა მან. აქ ლოურენსმა ჰკითხა:

— ხომ არ გვეტყოდით რამდენიმე მათგანის გვარს?

— სიამოვნებით, მილორდ,—მიუგო დიუბოსტმა და რამდენიმე ჰოლანდიელი დაასახელა: რიო-ვილენი—გენერალური დირექტორი; გრაფი ლიმბურგშტირუმი, ვალდე რობერტი—იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ბარონი ა. შიმელპენიკი და სხვ.

შემდეგ მან წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მარტო საფრანგეთში მოკლეს 29.660 მძევალი... სხვაგან? საერთოდ? განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში?

ტრიბუნალი კი ამდენ დროს ხარჯავს, რათა ბრალდებულებს დაუმტკიცოს, უდანაშაულო ადამიანებს ხოცავდითო. აბა, იმ მძევლებს რა დანაშაული ჰქონდათ ?ადენილი! სადღაც, ვიღაცამ გერმანელი ჯარისკაცი მოკლაო, სტაცებდნენ ხელს და კედელთან დააყენებდნენ... ვიდრე დახვრეტდნენ, ყოველგვარი უფლება აყრილი ჰქონდათ: ნათესავების ნახვა, წერილების მიწერა ან სხვა რამე. მათი საკნების კარებზე დამახასიათებელი წარწერა იყო: „ყველაფერი აკრძალულია“.

ზოგჯერ მთელი ოჯახი ჰყავდათ მძევლებად აყვანილი, — დიდპატარიანად. თუ ორსული ქალები შეხვდებოდათ — უხაროდათ, ეს „ორმაგი სიკვდილიაო“. ერთი გესტაპოელი ჯალათი მაინცადამაინც იმას ცდილობდა, ტყვია სხეულის სწორედ იმ ნაწილში მიერტყა, სადაც, მისი ანგარიშით, ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი იყო, მერე მუცელს უფატრავდა და ამოწშებდა, ნიშანში მოვარტყი თუ არაო. თან ანგარიშს უწერდა უფროსებს — ესა და ეს მძევლები დავხვრიტეთო. ამისთვის წინასწარ ანკეტას ავსებდა:

— თქვენი სახელი და გვარი? — შეეკითხა იგი ორსულ მძევალს, რომელიც სრულიად შიშველი იდგა მის წინაშე.

— ჟანეტა მარესიე, — მიუგო ქალმა.

— თქვენი შვილის სახელი?

ქალი გაოგნებული მიაჩერდა მას. მათრახის დარტყმა და კითხვის განმეორება:

— თქვენი შვილის სახელი? — ქალი ისევ დუმს, აბა, ჯე-

რაც დაუბადებელ ბავშვს რა სახელი უნდა ჰქონდეს! ის ჯალათი კი არ ცხრება, მათრახს ურტყამს შიშველ ქალს და უყვირის, გინდა თუ არა, მითხარი შვილის სახელიო. ბოლოს, როგორც იქნა, „გამოტეხა“ და...

— შარლ,—ამოიგმინა ქალმა.

ის ორსული ქალი დახვრიტეს. გესტაპოელმა კი მოხსენებით ბარათში ჩაწერა:

— დახვრეტილია მძევალი ჟანეტა მარესიე და მისი ვაჟი შარლი...

ესთეტიკური წამება...

დიუბოსტმა ნერვები დააწყვიტა ხალხს, როცა ყვებოდა, თუ წამების რა მეთოდებს მიმართავდნენ გესტაპოელები საფრანგეთში, განსაკუთრებით ე. წ. „ესთეტიკურ წამებაზე“ შეჩერდა: ძალიან ლამაზ ქალიშვილებს ერთად შეყრიდნენ, გააშიშვლებდნენ და სხეულის სწორედ იმ ნაწილს უსახიჩრებდნენ, რასაც ყველაზე მომხიბვლელად მიიჩნევდნენ. მერე ერთი „ნაწილიდან“ მეორეზე გადადიოდნენ და ასე გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე იმ სილამაზიდან მხოლოდ სიმახინჯე არ დარჩებოდა...

მე არ ვიცი, რა პათოლოგიური ჟინია ეს: სილამაზის დამახინჯების ჟინი. ერთხელ ლიზის რომ ვკითხე ამის შესახებ, ეს ჩვენი ეპოქის სულისკვეთებაოო, — თქვა მან. მე რომ გაკვირვებული სახე მივიღე, ვითომ განმიმარტა:

— ამ ჯალათებს რას ერჩით, ვერა ხედავთ, მთელი თანამედროვე ხელოვნება სამყაროს როგორ დასახიჩრებულად წარმოგვიდგენს? ეს იმიტომ, რომ სიმახინჯე უფრო გამოხატავს დღევანდელ სულისკვეთებას, ვიდრე სილამაზე. ეს ბუნებრივიცაა. როცა ასეთ საშინელებებს ხედავთ და ისმენთ, განა არ გეუხერხულებათ სილამაზეზე ფიქრი?

გუნებაში კი გავიფიქრე, იქნებ ლიზიც ამიტომ იღებს ასე ხშირად უსირცხვილო პოზებს-მეთქი, მაგრამ ამის თქმას როგორ გავბედავდი...

...ის დიუბოსტი კი ისევ „ნერვებს გვიხერხავდა“, თან ეს გოლიათური აღნაგობის კაცი ისე წვრილი ხმით წრიპინებდა, რომ ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა. ბევრი არც უსმენდა. დარბაზი სანახევროდ დაცარიელდა. ის კი მაინც არ მოეშვა ამ ბავშვებისა და ქალების სიკვდილით დასჯას, არა მარტო საფრანგეთში, არამედ ბელგიაში, ჰოლანდიაში, ნორვეგიაში და სხვაგან. დახვრეტას რომ მორჩა, ჩამოხრჩობაზე გადავიდა, მერე გილიოტინით ან, უბრალოდ, ნაჯახით თავის მოკვეთაზე. ბოლოს ამასაც დაანება თავი და იმაზე ილაპარაკა, თუ როგორ გადაჰყავდათ პატიმრები სხვა ქვეყნებიდან პოლონეთის სიკვდილის ბანაკებში. დიდი ნაწილი გზაში იხოცებოდა, ზოგი ჭკუაზე იშლებოდა. ასე წაიყვანეს ასეულ ათასობით ხალხი, მათ შორის ცნობილი პიროვნებანი. დიუბოსტმა ჩამოთვალა: პრეფექტები, გენერლები, მეცნიერები, პროფესორები, გამოჩენილი ინჟინრები, მარკიზები, ბარონები, ვინ იცის, ვინ სად მოკლეს, ვინ სად მოკვდა, მამა — დახაუში, ცოლი — რავენსბრუკში, შვილი — ოსვენციმში.

— ასე გარეკეს საფრანგეთიდან 250 ათასი კაცი, ჰოლანდიიდან—110 ათასი, ბელგიიდან—250 ათასი, ლუქსემბურგიდან — 7 ათასი... მათი მხოლოდ მცირე ნაწილი დაბრუნდა უკან. დიუბოსტი ყველაფერს დოკუმენტებით ამტკიცებს, აჩვენებს, თუ როგორ ერეკებიან ხალხს ბანაკებში. ახასიათებს ამ ბანაკებს. განმარტავს, რას ნიშნავს „სიკვდილის ბანაკი“. აქ ყველას ხოცავდნენო, ამბობს იგი. არსებობდა ისეთი ბანაკები, სადაც „იაფ მუშახელს“ ათავსებდნენ. დასჭირდებოდა ზაუკელს მონები და, იგზავნებოდა დეპეშები: ამა და ამ საკონცენტრაციო ბანაკს, გამოგზავნეთ ამდენი და ამდენი მუშახელიო. გზავნიდნენ. გარდა ამისა, პირდაპირ ქუჩებში სტაცებდნენ ხალხს ხელს და გერმანიისკენ მიერეკებოდნენ. რატომ? რისთვის? რა დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი? არავითარი! არც რამე იურიდიული საფუძველი არსებობდა ამისი. სამაგიეროდ, იაფი ან სრულიად უფასო მუშახელი მიუდიოდა ზაუკელს. ის კი უმთავრესად სამხედრო ქარხნებს უნაწილებდა მათ. განა მარტო ზაუკელი სჩადიოდა ამას, გერინგი წერდა ჰიმლერს:

— ძვირფასო ჰიმლერ! გთხოვ, საავიაციო მრეწველობისათვის ჩემს განკარგულებაში გამომიგზავნო პატიმრების საჭირო რაოდენობა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მათი გამოყენება მიწისქვეშა სამუშაოებზე მეტად სასარგებლოა...

— ასეულ ათასობით ხალხი დაიხოცა ამგვარ კატორღებში, — ამბობს დიუბოსტი და ხელს იშვერს ბრალდებულთა სკამებისაკენ, — აი ესენი, გერინგი და ზაუკელი არიან ამაზე პასუხისმგებელნი. ეს მათ მოიგონეს ტერმინი „შრომით მისიკვდილება“ (bis zum Tod arbeiten).

ზაუკელი ისე ტანმორჩილია, რომ იმალება საბრალდებო სკამზე. გერინგი კი უხერხულად იშმუშნება ერთ ადგილზე...

იაფი სიკვდილი...

ამის შემდეგ დიუბოსტი „მასობრივი მოსპობის სისტემის“ დახასიათებაზე გადავიდა. იგი ამტკიცებდა, რომ შიმშილით სიკვდილი, „შრომით მისიკვდილება“ თუ პირდაპირი მკვლელობა ერთ მიზანს ემსახურებოდა: მთელი ეროვნული ერთეულების მოსპობას. ჰიტლერიც ამას უმეორებდა რაუშნინგს:

— არა მარტო სიკვდილით დასჯით, დახვრეტებითა და ჩამოხრჩობით მოვსპობთ არასასურველ ხალხებს, არამედ უმტკივნეულოდ, უსისხლოდ — შიმშილის საშუალებით...

გარდა ყველაფრისა, ეს ხომ მეტად იაფი სიკვდილი იყო... მერე ისევ დოკუმენტები... დოკუმენტები...

ბოლოს ლოურენსმაც კი ვერ გაუძლო ამას და დიუბოსტს მიმართა:

— ბატონო დიუბოსტ, თქვენ იმდენი მასალა წარმოადგინეთ საკონცენტრაციო ბანაკებზე, რომ ტრიბუნალი ფიქრობს, პროცესის ამ სტადიაზე აღარ არის საჭირო მეტი. თუ ბრალდებულები უარყოფენ წარდგენილ ბრალდებას, წესდების თანახმად, თქვენ მოგეცემათ საშუალება, წარმოადგინოთ დამატებითი მასალები...

ბრალდებულთაგან არავის არაფერი არ უარუყვია...

...მერე იმის მოხსენება დაიწყო, თუ როგორ გაძარცვეს

დაპყრობილი ქვეყნები. „ყველაფერი გერმანელებისთვის!“— ასეთი იყო ლოზუნგი. ადგილობრივი მოსახლეობის მომარაგება მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული, ბრძანებდა როზენბერგი.

— მართალია, ჩვენ ვიცით, რომ ეს სისასტიკეა, ამბობდა იგი, მაგრამ გრძნობებზე ლაპარაკი აქ უადგილოა. არც ჟენევის კონვენცია უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ვინმეს რომ ეკითხა, რატომ, პასუხიც მზად ჰქონდა:

— ეს არის ომი ბოლშევიზმისა და რუსეთის იმპერიის მოსასპობად, კოლონიური ტერიტორიების დასაპყრობად და ეკონომიური ექსპლოატაციისათვის...

ბრალმდებლებმა დაასურათეს, თუ როგორ გაძარცვეს გერმანელებმა დასავლეთ ევროპის ტერიტორიები. საშინელი ამბები დაატრიალეს ბალკანეთში, სკანდინავიაში, საფრანგეთში, მერე პოლონეთსა და ბალტიისპირეთში, უფრო კი საბჭოთა კავშირში. ძარცვის ორი ფორმა არსებობდა: ოფიციალური და არაოფიციალური. ერთიც უაღრესად ცინიკურ ფორმებში ტარდებოდა და მეორეც. გერმანელები ჯერ დაიპყრობდნენ რომელიმე ქვეყანას, მერე, ვითომ ჩვენ თქვენთვისაც ვომობდითო, ზღაპრულ კონტრიბუციებს ადებდნენ. ეს იმას ჰგავს, თურქ იანიჩარებს ბულგარეთში ე. წ. „თუქჩი ბეშის“ კანონი რომ ჰქონდათ შემოღებული. შევიდოდა თურქი დამპყრობელი ბულგარელის ოთახში, ჭამდა, სვამდა და თან „კბილების გაცვეთის“ ჯარიმას ახდევინებდა. ეს კიდევ არაფერი: ოჯახის რომელიმე წევრს თუ გააუპატიურებდა, „გაწეული შრომის“ საფასურსაც მოითხოვდა...

განსხვავება დიდი არაფერია: ჰიტლერელები დაიპყრობდნენ რომელიმე ქვეყანას, ააოხრებდნენ, გაძარცვავდნენ და თან უზარმაზარ კონტრიბუციას ადებდნენ „გაწეული შრომისათვის“; ეს ოფიციალურად. არაოფიციალურად კი ასეთი პრინციპი მოქმედებდა: „წაიღე, რაც გინდა“, „ყველაფერი ნებადართულია“. იმათაც მიჰქონდათ ყველაფერი, რაც უნდოდათ. სურსათსა და ძვირფას ნივთებზე რომ არაფერი ვთქვათ, გერმანელმა ოკუპანტებმა ხელოვნების უთვალავი ძეგლი გაზიდეს. ამ „საქმეს“ ხელმძღვანელობდა ე. წ. „როზენბერგის

შტაბი“, რაც გერინგის განკარგულებით იყო შექმნილი. მისი ყოვლისშემძლე მითითებებით იგზავნებოდა ყუთები ევროპის ყველა ქვეყნიდან. ამ ყუთებს ხშირად ასეთი წარწერა „ამშვენებდა“: „ჰიტლერისათვის“, „გერინგისათვის“, „რიბენტროპისათვის“ და ა. შ. ნაციზმის ხელმძღვანელებმა, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა, საკუთარი სამხატვრო გალერეები შეიქმნეს. საყოველთაოდ ცნობილი იყო ჰიტლერისა და გერინგის მდიდრული „კოლექცია“. მართალია, ჰიტლერი ანდერძში წერდა, ეს სურათები ჩემს პირად საკუთრებას არ შეადგენსო, მაგრამ ამას მაშინ „ბრძანებდა“, როცა სურათები კი არა, თავისი სიცოცხლეც არ შეადგენდა მის საკუთრებას...

...მერე დიუბოსტის კოლეგა ჟერტოფერი ადგა და ტრიბუნალს წარუდგინა მასალები, თუ როგორ ეკონომიურ კატასტროფამდე მიიყვანეს გერმანელებმა ოკუპირებული საფრანგეთი. გერმანელებს იქ უდიდესი სიმდიდრე დახვდათ. „ყველაფერი გერმანიას“ — გაჩნდა ისევ ეს ლოზუნგი და დაიწყო გაზიდვა, ძარცვა, ხაზინების დაცარიელება, პროდუქტების ჩამორთმევა, წარმოებების ხელში ჩაგდება. სახელმძღვანელო დებულება — ისევ ფიურერის აზრი:

— ჩვენ არ გვენაღვლება, საფრანგეთის ეკონომიკის აღდგენა თუ შეუძლებელი გახდება. ფრანგებმა ომი წააგეს და უნდა ზღონ ყველაფერი. თუ წინააღმდეგი წავლენ, მივმართავ იარაღს. ყოველგვარი ეკონომიური თანამშრომლობა უარყოფილ უნდა იქნეს...

ან რა „თანამშრომლობაზე“ შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა გერმანია ძალით დაეპატრონა საფრანგეთის მთელ ეკონომიკას და დაუწესა კონტრიბუცია: 400 მილიონი ფრანკი დღეში. თან დაუმატეს, ამაში არ შედის ეს, ეს და ეს, რაც დამატებით უნდა იქნეს გადახდილიო. საფრანგეთის ეკონომიური დელეგაციის მეთაურმა გენერალმა უინციგერმა ამის შესახებ მოახსენა თავის მთავრობას:

— ეს დიდი გადასახადები გერმანიას მისცემს საშუალებას, მთლიანად იყიდოს საფრანგეთი საზღვარგარეთის ანაბრე-

ბისა და შემოსავლის ჩათვლით, რაც ჩვენი ქვეყნის დაღუპვა იქნება.

1940 წლის 26 აგვისტოს „გაუპატიურებული საფრანგეთის“ მთავრობამ ასეთი მიგრეხილ-მოგრეხილი და თანაც მოკრძალებული ნოტა მიართვა იმ მაჯლაჯუნა გერმანიას:

— ფრანგ ერს არ ეშინია არც შრომისა და არც ტანჯვის, ოღონდ ისე, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს. აი, რატომ არ შეუძლია საფრანგეთის მთავრობას, განაგრძოს სვლა იმავე გზით, რომლითაც მიდიოდა, თუ რაიხის მთავრობის მოთხოვნილებათა მასშტაბების ზრდა არ მისცემს მას არსებობის საშუალებას.

გერმანელებმა არც კი უპასუხეს მათ, კონტრიბუცია კი თანდათან გაადიდეს... შედეგი? სხვას რომ თავი დავანებოთ, ოფიციალური ცნობით, ოკუპაციის პერიოდში, სულ მცირე, 160 ათასი ფრანგი მოკვდა შიმშილით, ასეულ ათასობით კი დაავადდა, რადგან კალორიების ნორმა, რასაც ფრანგი იღებდა, თვით გერმანელების აღიარებით, „იწვევდა თანდათანობით სიკვდილს“.

ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ დასავლეთის სხვა სახელმწიფოებიც. მე არაფერს ვამბობ საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სადაც ბატონი გერინგის, ჰიმლერისა და როზენბერგის აზრით, მოსახლეობის კვების საკითხზე ზრუნვა კი არა, ფიქრიც „ზედმეტი ჰუმანურობა“ იყო...

მკვლელობის ფანტაზია...

არც არავინ დებდა თავს ამაზე. ან რომელ „ჰუმანურობაზე“ შეიძლება ლაპარაკი, როცა გერინგის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო დახოცილი ადამიანების პირადი საკუთრება იყო. ამიტომაც „ჰკადრეს“ მას ასეთი კითხვა:

— იცოდით თუ არა თქვენ, საიდან მოდიოდა მილიონობით ნახმარი ტანისამოსი, ფეხსაცმელი, 20.952 ცალი საქორწინო ბეჭედი, 35 ვაგონი ძვირფასი ბეწვეული. არ კითხულობ-

დით, საიდან? თქვენ ხომ მეურნეობას განაგებდით. ყველაფერი ეს თქვენს უწყებებში შედიოდა და თქვენს გამგებლობაში იყო. ვთქვათ, ცალკეულ ქალაქებს არ კითხულობდით, არც საჩივრებს, თუნდაც ასეთს, თქვენი ხელქვეითები რომ ჩიოდნენ, ერთი ქალის „სასიკვდილოდ დამუშავებას“ ხუთი წუთი მიაქვს, რადგან წინასწარ თმები უნდა გადავპარსოთ ლეიბების გასაკეთებლად, რაც აბრკოლებს საქმესო...

აქ გერინგი აღელდა და ნიშნის მოგებით შეუბრუნა ბრალმდებელ მაქსუელ-ფაიფს:

— აბა, თქვენ როგორ გგონიათ, მე თუ მეურნეობის მთავარ მიმართულებებს განვაგებდი, ლეიბებისა და ტანისამოსის საქმეებშიც ვერეოდი?

— თქვენი მეგობარი ჰიმლერი არასოდეს დაგლაპარაკებიათ ამაზე?

გერინგს სულ ცეცხლი წაეკიდა და პროტესტი განაცხადა:

— ნუ ამბობთ, რომ ჰიმლერი ჩემი მეგობარია!

ამის საპასუხოდ მაქსუელ-ფაიფმა მსუბუქი ინგლისური ირონია მოიშველია:

— კარგი, მე ვიტყვი: „თქვენი მტერი ჰიმლერი“, ან, ჯერალოდ, „ჰიმლერი“. ხომ მიხვდებით, ვისაც ვგულისხმობ?

— დიახ, მიუგო გერინგმა.

ჰიმლერისაგან თავის ამგვარი შორს დაჭერა გერინგს რას უშველიდა, როცა ყველა ანტისემიტური კანონი მის მიერ იყო ხელმოწერილი. გარდა ამისა, მას ჰაიდრიხის მიერ ვანზეში ჩატარებული საგანგებო თათბირის უზარმაზარი ოქმი წაუკითხეს. ამ თათბირს ესწრებოდნენ: გესტაპოს უფროსი მიულერი, ანტიებრაულ ღონისძიებათა სპეციალისტი აიხმანი და დაინტერესებული სამინისტროების მეთაურები: როზენბერგის, ფრიკის, გერინგის, რიბენტროპის და სხვათა წარმომადგენლები. დღის წესრიგში აღნიშნულია ერთი საკითხი: „რაიხსმარშალ გერინგის დავალება ებრაელთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტის (Endlösung) შესახებ“.

ჰაიდრიხმა განმარტა, რას ნიშნავს ეს „საბოლოო გადაწყვეტა“. ეს ნიშნავს თერთმეტი მილიონი კაცის მოსპობას, — მოკლედ მოჭრა.მან. შემდეგ კი განაცხადა, რომ ამ ისტორი-

ული ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა „არაჩვეულებრივი ფანტაზია“ (seltsame Phantasie) და რომ ამ საკითხის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული გერმანელთა საბოლოო გამარჯვება (Endsieg). აქ ჰაიდრიხმა ისეთი საოცარი გამოთქმა იხმარა, რომ სიტყვის ძალას შეაძულებს კაცს: „mörderische Schwermen“, ანუ „მკვლელობითი ოცნება“.

ხომ ხედავთ, როზენბერგის ფილოსოფია „გერმანელთა მეოცნებეობის“ შესახებ როგორ სახეს იღებს პრაქტიკაში. ამიტომ იყო, ამ მოფილოსოფოსო „ებრაელთმჭლეტს“ (Judenfresser) მეათეჯერ. რომ განუმარტეს, საქმე ანტისემიტიზმის ფილოსოფიურ მხარეს კი არ ეხება, არამედ კრიმინალურსო...

...ამის შემდეგ მოთათბირენი შეუდგნენ იმის გაანგარიშებას, თუ, პირველ რიგში, რამდენის მოსპობას გასწვდებოდა მათი „არაჩვეულებრივი ფანტაზია“ და ექვს მილიონზე შეთანხმდნენ...

როგორ გგონიათ, ამ თათბირიდან დაბრუნებულმა წარმომადგენლებმა თავიანთ უფროსებს არ მოახსენეს ამ შეთანხმების შესახებ? ვინ დაიჯერებდა ამას? ან აქ მარჩიელობა რა საჭიროა, როცა დოკუმენტები ღაღადებდნენ, რომ ყოველმა მათგანმა თავის სამინისტროშიც მოაწყო თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეესრულებინათ ეს „ისტორიული“ დავალება. რაკი მთავარი სასაკლაოები პოლონეთის ტერიტორიაზე იყო, ფრანკმა განაცხადა:

— ებრაელები ჩვენთვის მუქთამჭამელები (schädliche Fresser) არიან. აქ სულ 3,5 მილიონი ებრაელი გვყავს. ცხადია, ყველას ერთბაშად დახვრეტა ან მოწამვლა გაგვიძნელდება, მაგრამ ისეთ ღონისძიებებს გავატარებთ, რომ არც ერთი მათგანი არ დარჩეს ცოცხალი და საგენერალგუბერნატორო გაიწმინდოს ებრაელებისაგან (Judenfrei).

პროცესზე ამის თაობაზე მოწმეებად ოლენდორფსა და ჰოსს გამოუძახეს. მათ დაკითხვაში რატომღაც დამცველებიც ჩაებნენ. ოლენდორფი დაწვრილებით მოყვა, თუ როგორ დახოცეს ერთი ოჯახის ცხრა წევრი. მერე ჰოსმა სულ გააგიჟა ყველა თავისი ცინიკური გულახდილობით. დამცველი კაუფ-

მანი თვითონ ისე შეაძრწუნა ამ საშინელმა ამბებმა, რომ გაოგ-ნებულმა ჰკითხა ჰოსს:

— მართალია ყველაფერი, რასაც თქვენ ყვებით?

— დიახ, მართალია! — მიუგო ჰოსმა.

კაუფმანმა ხელი ჩაიქნია და დაჯდა...

გვამების კუბატურა...

მერე საკონცენტრაციო ბანაკების მაქსიმალურ გამტარუნა-რიანობაზე (Höchsleistung) რომ დაიწყეს ლაპარაკი, გამოირ-კვა, რომ ბელზენში დღეში 15 ათას კაცს ხოცავდნენ, ტრებ-ლინკაში კი 25 ათასს. ამ „მძიმე სამუშაოებს“ უშუალოდ ას-რულებდა გრუპენფიურერი გლობოჩნიკი. იგი პირადად მი-იღო ჰიტლერმა, რომელიც ამ საკითხით იყო დაინტერესებუ-ლი. გლობოჩნიკი „აღფრთოვანებული“ რომ დაბრუნდა იქი-დან, ჰკითხეს:

— რა თქვა ამაზე ფიურერმა?

— ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა ჩაატარეთ ეს ოპერაციაო.

ფიურერის ერთმა მხლებელმა იკითხა თურმე:

— გლობოჩნიკ, როგორ გგონიათ, გვამების დამარხვას დაწვა არ სჯობია? თორემ ჩვენს შემდეგ მოვლენ თაობები და ვერ გაიგებენ ამას.

ამაზე გლობოჩნიკს უპასუხია:

— თუ ჩვენს შემდეგ მოვლენ ისეთი გაოხრებული და სუსტძვლებიანი (Knochenweich) თაობები, რომლებიც ამას ვერ გაიგებენ, ნაციონალ-სოციალიზმი დაიღუპება. მე კი მგო-ნია, ისინი იამაყებენ ამით და იტყვიან, რომ ჩვენ, ვინც ეს გავა-კეთეთ, მამაცური თაობა ვიყავით...

ფიურერი აღტაცებაში მოუყვანია გლობოჩნიკის სიტ-ყვებს და უთქვამს:

— ყოჩაღ, გლობოჩნიკ! ჩემი შეხედულებაც ასეთია!..

მერე იმაზე უსაუბრიათ, თუ ერთმანეთზე დაწყობილი რამდენი გვამი დაიკავებს კუბიკურ მეტრს...

ყველაფერი ეს გაფორმებულია ოქმში. ბრალმდებლები კითხულობენ ამ ოქმებს, აქვეყნებენ ჯალათების დღიურებს, ისმენენ დამსწრეთა ჩვენებებს. ბრალდებულები წრიალებენ, შუბლიდან ოფლს იწმენდენ. ბრალმდებლები და დამცველები კი ციფრებზე დაობენ — 6 მილიონი დახოცეს თუ ნაკლები, ვითომ ამას რამე შემამსუბუქებელი მნიშვნელობა ჰქონდეს! ის კი არა, უფრო გვიან გერმანელი მწერალი დირკსი წერდა:

— შეურაცხმყოფელია, რომ ქვეყნად არის გერმანელი, რომელიც ამ ექვსი მილიონის თუნდაც ორ მილიონამდე შემცირებაში რამე შეღავათს ხედავს.

ისე, კაცმა რომ თქვას, სადაო აქ, მართლაც, არაფერი იყო. პოლონეთის მთავრობის ოფიციალური ცნობის მიხედვით, ჰიტლერული ოკუპაციის პერიოდში, რაც 2.078 დღე გრძელდებოდა, ე. წ. „საგენერალგუბერნატოროში“ დახოცეს 6 მილიონ 28 ათასი კაცი. ყოველდღე იღუპებოდა 2.900 კაცი. მოკლეს 2.250 ათასი ბავშვი და ჭაბუკი 18 წლის ასაკამდე, დასახიჩრდა ნახევარი მილიონი პოლონელი, მილიონზე მეტი დაავადდა ტუბერკულოზით, ათასობით ადამიანი იტანჯებოდა ფსიქიკური დაავადებით...

...ყველაზე შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მაინც ვარშავის გეტოს ლიკვიდაციამ მოახდინა. ცხადია, ბრალდებულთაგან არავის არ უნდოდა გაემხილა, თითქოს რამე სმენია ამის შესახებ. ასე წარმოიდგინეთ, არც კალტენბრუნერს, რომელიც ამბობდა, მე ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო. არ მიუღია კი არა, თვითონ ხელმძღვანელობდა ყველაფერს. ამის გამო ბრალმდებელ ამანსა და კალტენბრუნერს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

ა მ ა ნ ი: გენერალი შტრუპი თქვენი კარგი მეგობარი იყო, არა?

კ ა ლ ტ ე ნ ბ რ უ ნ ე რ ი: მე იგი სულ ორ-სამჯერ თუ მინახავს ჰიმლერთან.

ამანმა მას წაუკითხა შტრუპის ჩვენება, რომ ვარშავის გეტოს ლიკვიდაციის შესახებ გაცემულ ბრძანებებს ხელს აწერდა კალტენბრუნერი.

ა მ ა ნ ი: მართალია ეს?

კ ა ლ ტ ე ნ ბ რ უ ნ ე რ ი: არა, ეს ტყუილია.

მაშინ ამანმა მოსამართლეებს წინ დაუდო გასაოცარი დოკუმენტი: გერმანელი ოსტატების მიერ ოქროთი მოჭედილ-მოვარაყებული და მოხატული, თანაც საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი, შტრუპის 75-გვერდიანი მოხსენებითი ბარათი ვარშავის გეტოს ლიკვიდაციის შესახებ, სადაც 56.065 კაცი დაიღუპა. როგორც გამოირკვა, შტრუპს ეს დოკუმენტი შეუქმნია ისტორიისათვის. მას, თურმე, შემოუნახავს იმათი სახელებიცა და გვარებიც, ვინც ამ „დიდ საქმეში თავი ისახელა". ჩამოთვლილთა შორის პირველ ნომრად აღნიშნულია კალტენბრუნერი.

რაკი შტრუპი გენერალი იყო, იოდლმა ეს არმიის ღირსების შელახვად მიიღო და ესესელებს შეუტია:

— ეს ჭუჭყიანი ღორები — ესესელები! წარმოგიდგენიათ?! ვიღაც ღორი 75 გვერდს ავსებს ერთი პატარა დამსჯელი ექსპედიციის შესახებ...

ხედავთ, როგორ უნებლიეთ ამჟღავნებს ადამიანი თავის თავს?! 56.065 კაცის დახოცვას იოდლი „ერთ პატარა ექსპედიციას" უწოდებს!..

მერე დარბაზში მოწმედ სწორედ ის შტრუპი შემოიყვანეს. იგი ისე აღტაცებული აღწერდა, თუ როგორ ჩაატარეს ეს „ისტორიული ოპერაცია", გეგონებოდათ, ვერდენის ან ვატერლოოს ბრძოლებზე ჰყვებაო.

ბრალმდებლებმა მისი მოხსენებითი ბარათის დასასრულიც წაიკითხეს:

— ვარშავის ყოფილი ებრაული რაიონი აღარ არსებობს. დახოცილთა საერთო რიცხვია 56. 065 კაცი...

ვარშავის გეტოს ლიკვიდაციის საკითხმა ასე დიდი ყურადღება იმიტომ მიიქცია ნიურნბერგში, რომ ეს ჰიტლერელთა, მართლაც, ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაული იყო. ამიტომ თვითონ „შეშფოთებულმა“ ბრალდებულებმა იკითხეს:

— ვინ გასცა ეს ბრძანება?

პასუხი:

— ჰიტლერმა!..

ეს მართლაც ასეა, მაგრამ ერთ კითხვას მეორეც მოჰყვა:

— ვინ შეასრულა?

სამხედროებმა თქვეს, „იმ ესესელმა ღორებმაო“. პროცესზე კი, როგორც აღვნიშნეთ, დადასტურდა, რომ ამ „შემაძრწუნებელ საქმეში“ მთავარი როლი არმიის ნაწილებმა შეასრულეს. ეს ხომ გენერალმა შტრუპმაც აღიარა და, ბოლოს, კაიტელიც იძულებული გახდა, ასეთი აღსარება წარმოეთქვა:

— მე ვკვდები სირცხვილით. ეს საშინელებაა. ამდენხანს არმიის ღირსებისა მაინც მჯეროდა. ახლა ეს რწმენაც შემერყა... ვარშავის გეტოს განადგურებაში, თურმე, არმიის ნაწილებიც იღებდნენ მონაწილეობას!..

— ახლა რას ფიქრობთ ჰიტლერზე? — შეაპარა ჯილბერტმა მისთვის საინტერესო კითხვა და პასუხიც ასეთი მიიღო.

— ეს მისი გაკეთებულია. ამაში ეჭვი არ არის. ახლა ჩემთვისაც ცხადია, თუ რატომ მეუბნებოდა, ხელი დამეფარებინა პოლიციის საქმეებზე. მე რომ ეს მაშინ მცოდნოდა, ვეტყოდი: ჩემო ფიურერ, აქ იყრება ჩვენი გზები. მე ამის გამართლება არ შემიძლია, გთხოვთ გადამაყენოთ, არადა, ხვალ თქვენ უკვე ცოცხალს ვეღარ მიხილავთ.

აქ კაიტელს გააჟრჟოლა:

— ახლა ყველაფერი აშკარაა, მაგრამ უკვე გვიანაა...

...გერინგს არ მოეწონა კაიტელის ამგვარი აღიარება და უკანასკნელი სიტყვებით ლანძღა იგი. თუმცა არც თვითონ

დაადგა კარგი დღე, როცა ამაზე შემაძრწუნებელი დანაშაულებანი ისევ იმ „ჭუჭყიან ღორებს“ კი არა, მის ცისფერ მუნდირს შეეხო. დაკითხვის დროს ამერიკელმა ბრალმდებელმა რობერტსმა მის შტაბის უფროსს მილჰს „შეახსენა“, გერინგთან ერთად რომ მოითხოვდა ჰიმლერის „სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისაგან“, ცოცხალ ადამიანებზე ცდების ჩატარებით გამოერკვიათ, საჰაერო ძალებისათვის საინტერესო საკითხები დიდ სიმაღლეებზე წნევის ზეგავლენის შესახებ. ბრალმდებელმა განაცხადა, რომ მილჰს მიმოწერა ჰქონდა ამ ორგანიზაციებთან.

არაფერი ისე შემაძრწუნებელი არ არის, როგორც ამ მიმოწერის „მეცნიერული ტონი“. ორგანიზაცია „აანენერბე“, რომელიც ამ ექსპერიმენტებს ახდენდა, ჰიმლერის განსაზღვრითაც მეცნიერული ორგანიზაცია იყო, რომელსაც 50 ფილიალი ჰქონდა. აქ უამრავი „მეცნიერი“ მუშაობდა — პროფესორები, დოქტორები. არც მათი გამოთქმების ტონს აკლდა „მეცნიერული ინტონაცია“. ყოველგვარი უსიამოვნების თავიდან ასაცდენად, ისინი წერენ არა უბრალოდ „მოკვლის“, არამედ „საჩონჩხე მასალის დამზადების“ ან „სხეულის ჩონჩხად გადაქცევის“ შესახებ. როცა პროფესორ ჰირტს სურს, ბოლშევიკი კომისრების მოკვეთილი თავები გამოუგზავნონ, ასეთ გალიმატიას მიმართავს: „ებრაელი ბოლშევიკი კომისრების თავის ქალას გამოგზავნით, რაც წარმოადგენს შემზარავ, მაგრამ არაადამიანის დამახასიათებელ პროტოტიპს, ჩვენ საშუალება გვეძლევა მივიღოთ სამეცნიერო ექსპონატი“. თუ ვიღაცისათვის კომისრის მოჭრილი თავი იყო „სამეცნიერო ექსპონატი“, მილჰისთვის ცოცხალი კომისრები წარმოადგენდა ასეთ მასალას და ჰიმლერს თხოვდა მათ გამოგზავნას. პროცესზე ბრალმდებელმა მილჰს წინ დაუდო მის მიერ ამის თაობაზე ჰიმლერისათვის გაგზავნილი წერილები. მერე ჰიმლერის საპასუხო წერილიც უჩვენა. რაიხსფიურერი პირდებოდა მას „ცოცხალი ექსპონატების“ გაგზავნას ცდების ჩასატარებლად, მაგრამ მილჰი მაინც თავის უჯიათ ცხენზე იჯდა:

— არა, ამის შესახებ მე არაფერი არ ვიცი, — უპასუხა მან გაოცებულ რობერტსს. ლოურენსმა, როგორც იქნა, დარბაზი დააწყნარა და დაკითხვა გაგრძელდა:

რ ო ბ ე რ ტ ს ი: აი, თქვენი მიმართვა, 1942 წლის 20 მაისის თარიღით, გაგზავნილი ობერგრუპენფიურერ ვოლფისადმი. ეს მიმართვა თქვენს მიერაა ხელმოწერილი. ასეა, არა?

მ ი ლ ჰ ი: დიახ, მე მოვაწერე ხელი ამ მიმართვას, მაგრამ ის არ არის ჩემს ბიუროში შედგენილი.

მერე მილჰის ყურადღება იმასაც მიაქციეს, რომ მიმართვა სწორედ მის პირად ბლანკზეა დაბეჭდილი, მაგრამ ვერ იქნა და მაინც ვერ გატეხეს.

მ ი ლ ჰ ი: მე არაფერი არ მქონდა საერთო დიდ სიმაღლეზე ფრენისათვის საჭირო ცდებთან და არც რამე ცდებთან, რასაც ესესი ან სანიტარული ინსპექცია ატარებდა...

რ ო ბ ე რ ტ ს ი: იცოდით თუ არა თქვენ, რომ მაღალი წნევის კამერებში ახდენდნენ ცდებს ცოცხალ ადამიანებზე, ცოცხალ არსებებზე, რომელნიც მოჰყავდათ დახაუდან?

მ ი ლ ჰ ი: ვისზედაც ახდენდნენ ამ ცდებს, ჩანს წერილიდან, რომელიც მე გამომიგზავნა სანიტარულმა ინსპექციამ.

ბრალმდებელი მაინც არ მოეშვა ჯიუტ ფელდმარშალს.

რ ო ბ ე რ ტ ს ი: განა ჰიმლერმა 1942 წლის ნოემბერს არ გამოგიგზავნათ წერილი, რომელშიაც წერს: „ძვირფასო მილჰ! ტარდება ექსპერიმენტები მაღალი წნევის ზეგავლენის გამოსარკვევად, რისთვისაც გიგზავნით სოციალურად საშიშ პირებსა და დამნაშავეებს საკონცენტრაციო ბანაკებიდან“. გახსოვთ თუ არა თქვენ ეს წერილი?

მ ი ლ ჰ ი: ეს წერილი მე მაჩვენეს, მაგრამ მე ის არ მახსოვს(!). მე არც ის ვიცი, საერთოდ რის შესახებ მწერდა ჰიმლერი...

დარბაზი ისევ ახმაურდა და რობერტსს ისღა დარჩა, მხრები აეჩეჩა და ტრიბუნიდან ჩამოსვლის წინ ეთქვა:

— თუ თქვენ ამბობთ, რომ არაფერი იცით თვით იმ წერილების შესახებაც, რომელთაც თვითონ მოაწერეთ ხელი, მაშინ არა მგონია, რამე აზრი ჰქონდეს ამ დაკითხვის გაგრძელებას...

აღარც სხვებს გაახსენდათ, რა ეწერა მათ მიერ შედგენილ დოკუმენტებში, მაგრამ ბოლოს ყველაფერი გაირკვა. ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ყველას ეხებოდა, როგორც სამოქალაქოებს, ისე სამხედროებს, იმის მიუხედავად, თუ რა ფერის მუნდირი ეცვათ მათ... ამიტომ, უნდა გენახათ, რა საცოდავად გამოიყურებოდნენ მათი ვექილები, მაგრამ რა უნდა ექნათ! პროფესიული მოვალეობა აკისრებდათ, ისეთი ადამიანების დამცველები ყოფილიყვნენ, რომელთა დანაშაული გამორიცხავდა ამის შესაძლებლობას. მე უფრო ის მიკვირდა, სწორედ დამცველებმა რომ გამოიძახეს მოწმეებად ნამდვილი ჯალათები, რომლებიც პრაქტიკულად ანხორციელებდნენ „მთელი რასობრივი ერთეულების“ მოსპობის პოლიტიკას. ალბათ, ამით ის უნდოდათ დაემტკიცებინათ, ვითომ ყველაფერი ეს ჰიმლერისა და მისი ესესის საქმეა, სხვები კი უდანაშაულონი არიანო. მაგრამ „უბედურება“ ის იყო, იმ ესესსაც რომ თავისი დამცველები ჰყავდა. ისე გამოდიოდა, ერთი დამცველი რომ გერინგს იცავდა, იმავე დროს, მისივე კოლეგის დასაცავ ესესს სდებდა ბრალს. სამაგიეროდ, ესესის დამცველი კაიტელსა და სხვა სამხედროებს უტევდა. მოწმეები კი მაინცა და მაინც არც ერთის დაცვაზე იწუხებდნენ თავს და არც მეორესი. ამიტომ, ასე ადვილად ვერც გაარჩევდით, რომელი იყო ბრალდების მოწმე და რომელი დაცვისა. მით უმეტეს, ე. წ. ჯვარედინი დაკითხვის დროს, როდესაც ორივე მხარე სვამდა კითხვებს. მაგალითად, ასეთი კურიოზი იყო: ჩვენთვის უკვე ცნობილ რუდოლფ ჰოსს — ოსვენციმის კომენდანტს კალტენბრუნერის დამცველი კაუმფანი დაჰკითხავდა, თუმცა კალტენბრუნერს ჰოსზე ნაკლები ბრალი როდი ედო ოსვენციმის ტრაგედიაში! ჰოსი ხომ კალტენბრუნერის ქვეშევრდომი იყო. კაუფმანს კი, როგორც ჩანს, თავისი ანგარიში ჰქონდა. მას უნდოდა ჰოსისათვის ეთქმევინებინა, რომ ჰიმლერის ყველა ბრძანება, რაც ოსვენციმში მოდიოდა, საიდუმლო იყო და კალტენბრუნერს

შეიძლებოდა ამის შესახებ არაფერი სცოდნოდა. ამიტომაც ჰკითხა:

— მართალია თუ არა, რომ თქვენ 1941 წელს ჰიმლერმა გამოგიძახათ ბერლინში?

— დიახ, პირადად რაიხსფიურერმა,—მიუგო ჰოსმა, —მან მითხრა, ფიურერმა ბრძანა, საჭიროა საბოლოოდ გადავწყვიტოთ ებრაელების საკითხი, რადგან, თუ ჩვენ ახლა არ გავაკეთებთ ამას, მომავალში თვითონ ისინი მოსპობენ გერმანელ ხალხსო. რაიხსფიურერმა თქვა აგრეთვე, რომ ამის შესრულება ჩვენ, ე. ი. ესესს, გვევალებაო.

— გითხრათ თუ არა თქვენ ჰიმლერმა იმ თათბირზე, რომ ეს „სახელმწიფო საიდუმლო საქმეა?" — შეაპარა კითხვა კაუფმანმა.

— დიახ, — მიუგო ისევ ჰოსმა და დაუმატა:

— ამის შესახებ მე არავისთვის არაფერი მითქვამს, გარდა მეუღლისა.

კაუფმანს ეგონა, რომ ამით „დაამტკიცა", ოსვენციმის ამბები მხოლოდ ჰიმლერმა იცოდა და კალტენბრუნერი არაფერ შუაშიაო, მაგრამ აქ ჯვარედინ დაკითხვაში ჩაება ამერიკელი ბრალმდებელი ეიმენი და ჰოსს გაამეორებინა ის, რაც წერილობით ჩვენებაში ჰქონდა ნათქვამი, სახელდობრ: ოსვენციმში ჩატარებული მუშაობის შესახებ იგი ვრცელ ანგარიშს უდგენდა კალტენბრუნერს..

ამით კაუფმანის მთელი მონდომება წყალში ჩაიყარა...

ახლა, მოდით და გაარჩიეთ, ვისი მოწმე იყო ჰოსი, დაცვის თუ ბრალდების?

მგონი, შახტმა თქვა: ნახავთ, დაცვის მოწმეები თუ ბრალდების მოწმეებად არ იქცევიანო.

ასეც მოხდა...

სამაგიეროდ, სულ ადვილად გაარჩევდით, მოწმეთაგან ვინ დამნაშავე იყო და ვინ დაზარალებული. ყოფილი ფელდმარშლები და გენერლები: კესელრინგი, ბრაუხიჩი, მილჰი, გუდერიანი, ბოდენშაცი, ლახუზენი, პაულუსი თუ სხვები თვითონ იყვნენ საშინელი ცოდვებით დამძიმებულნი, ხოლო სა-

კონცენტრაციო ბანაკების ყოფილი ტუსაღები — ამ საშინელებათა ცოცხალი მოწმეები...

— იცით თუ არა თქვენ რამე იმის შესახებ, რომ საკონცენტრაციო ბანაკის ტუსაღებს ცხელი შანთით ასვამდნენ დაღს? — ჰკითხეს ვაიან კუტიურიეს.

— დიახ, — მიუგო მან, ხელი ასწია და ტრიბუნალს უჩვენა ასეთი ამოშანთული დაღი.

გასაოცარ ამბებს ყვებოდა იგი:

— ტუსაღების ფეხსაცმლები მალე ცვდებოდა და ისინი ფეხშიშველნი რჩებოდნენ. ზამთარში მათი ასე წაყვანა სამუშაოზე არ შეიძლებოდა, რადგან ფეხი მაშინვე ეყინებოდათ. ამიტომ, ვინც დილის ამოძახებაზე ფეხშიშველი გამოდიოდა, მაშინვე 25-ე ბლოკში აგზავნიდნენ, იქიდან კი გაზკამერასა და კრემატორიუმში...

ასეა. ტუსაღის სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ ჰქონდა ორიოდე გროშის ფასი, თუ მუშახელად გამოდგებოდა, არადა... არავითარი!.. მაშინაც კი, როცა ის ტუსაღები საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებები იყვნენ. იგივე ვაიან კუტიურიე ყვებოდა:

— სანტეს ბანაკში, ჩემს გვერდით საკანში იყო ცნობილი ფილოსოფოსი ჟორჟ პოლიცერი და ფიზიკოსი ჟაკ სოლომონი,— პროფ. ლანჟევენის სიძე. პოლიცერს ნაციონალ-სოციალიზმის იდეების დასაცავი ბროშურების დაწერა დაავალეს. მან უარი თქვა ასეთ „საპატიო“ დავალებაზე. აწამეს, ტანჯეს, სიკვდილითაც დაემუქრნენ, მაგრამ ის მაინც არ გატყდა. ამის გამო ისე მიასიკვდილეს საკონცენტრაციო ბანაკში, რომ განძრევაც არ შეეძლო. მერე დახვრეტა მიუსაჯეს, ხოლო მის მეუღლეს — ლანჟევენის ქალიშვილს, დამშვიდობების ნება მისცეს. როცა იგი ეზოში შევიდა და მოეხვია ქმარს, სოლომონმა უთხრა:

— მე ვეღარ მოგეხვევი, ძვირფასო, რადგან მკლავები დამტვრეული მაქვს...

მერე დიუბოსტმა მოწმე ექიმი ალფრედ ბალახოვსკი დაკითხა, რომელმაც ტრიბუნალს უამბო, თუ როგორ აძრობდნენ

ტუსაღებს ტატუირებულ ტყავს, როგორ „ამუშავებდნენ“ და საჩუქრებად არიგებდნენ ლამაზი ყდებისა და აბაჟურების გასაკეთებლად. იქვე აწარმოებდნენ არა მარტო მოხატულ, არამედ მოთრიმლულ ტყავსაც.

მაშასადამე, ტყავს ცოცხალს აძრობდნენ? — იკითხა ისევ დიუბოსტმა.

— დიახ, ჯერ აძრობდნენ და მერე თრიმლავდნენ, — მიუგო მან.

კენჭების წუწნა...

პროცესზე გამომჟღავნებულმა ამგვარმა საშინელმა ამბებმაც თითქოს ემოციური ზეგავლენის ძალა დაკარგა. ჯერ ხომ შეძრწუნებული ვიყავით ნანახითა და გაგონილით, შემდეგ — გაოგნებულები, ბოლოს კი, მგონი, იმდენად დაჩლუნგებულნი, რომ ყველაზე ამაზრზენ ამბებსაც ყოველგვარი აღშფოთების გარეშე ვისმენდით. ახლა იმასაც ვფიქრობ, იქნებ დასახვრეტად გაყვანილი ადამიანების სიმშვიდე, ორმოში ჩასვლა, მკვდრებზე დაწოლა და ხვედრი ტყვიის მორჩილად ლოდინიც ამგვარი სიჩლუნგის ნიშანი იყო. გახსოვთ? ჰოსი რომ ყვებოდა, მკვდრებს შორის იჯდა კაცი, გვერდით ცოლის გვამი ედო და პურის ნატეხს ლოღნიდაო. როგორც ჩანს, ზედმეტი ემოციური დაძაბულობა საწინააღმდეგო მდგომარეობაშიც გადადის და სრულ განურჩევლობას იწვევს. მერე თითქოს დანაშაულებათა აღქმის უნარიც იკარგება და საკუთარი ადამიანური არსისადმი პატივისცემაც. ნიურნბერგის დარბაზშიც თითქოს ასეთი რამ მოხდა: ბრალმდებლები იდგნენ ტრიბუნაზე და ისეთ ამაზრზენ ამბებს ყვებოდნენ, პროცესის პირველ დღეებში ზოგჯერ ისტერიასაც კი იწვევდა, ახლა კი, ვითომ არაფერი: გეგონებათ, დანტე ალიგიერი დგას ტრიბუნაზე და თავისი „ჯოჯოხეთის“ უსაშინლეს ეპიზოდებს კითხულობს; ბრალდებულები კი ამთქნარებენ, ძილი ერევათ და ერთმანეთს მუჯლუგუნის წაკვრით აღვიძებენ. სხვებიც. ყო-

ველგვარი ემოციური დაძაბულობის გარეშე მოგზაურობენ დანტეს ჯოჯოხეთის ცხრავე გარსში. ლოურენსსაც ისე მობეზრდა ყველაფერი, რომ ყვინთავს. ზოგჯერ ნერვიულობს კიდეც, აღარ გვინდა მეტი საბუთებიო. მაგრამ ყველაფერი ისევ გრძელდება. რამე დანაშაულის დასადასტურებლად წარდგენილ ათას დოკუმენტს მეათასერთე ემატება. მერე კიდევ რაღაც საბუთებს პოულობენ და კენჭებივით ისვრიან ათას ერთი ფუთი ბრალდების ზღვაში. ზღვა კი უკვე აღარ ღელავს. ტალღები ზანტად მიგორავენ ნაპირისაკენ, მერე უკანვე ბრუნდებიან და თვითონვე შლიან თავიანთ ნაკვალევს. ყველაფერი მოდუნებულია, მონოტონური. ერთს ემატება მეორე, მეორეს—მესამე, მეოთხე... მეასე, მეათასე და მაინც ერთდაიგივეობის ბურუსი ფარავს ყველაფერს. უკვე არავის არაფერი არ უკვირს, არ აოცებს, არ აღელვებს. თითქოს ყველანი ჯოჯოხეთში დაბადებულები ვიყოთ და ამ საშინელების მეტი არაფერი გვენახოს ან გაგვეგონოს. ამის გამო, ღმერთო, შეგცოდე და, ყველაფერი ჩვეულებრივად გვეჩვენება, ბუნებრივადაც.

შავით შავზე წერა კი ისევ გრძელდება. არის ახალ-ახალი ბრალდებების წარდგენა, მჭევრმეტყველება, მტკიცებულებათა ღაღადი და ისევ იმ ათასი ფუთი დოკუმენტის გადალაგებ-გადმოლაგება...

თუ ზღვიდან გამორიყული კენჭების წუწნა, ეიაჯ, კენჭებისა...

ამგვარი განწყობილება რომ გავიგოთ და ემოციურადაც განვიცადოთ, მე ისევ ლიტერატურული ალეგორიის ხერხს მივმართავ. თუ ეს ბევრ ვერაფერს გაგვაგებინებს, ჩაგვაფიქრებს მაინც...

...ამ ათიოდე წლის წინათ ბათუმში ვისვენებდი. ჩვეულებისამებრ, დილის ექვს საათზე გამოვდიოდი ზღვის ნაპირას, წამოვწვებოდი სილაზე და ვტკბებოდი იმით, რომ არაფერს არ ვაკეთებდი. სწორედ ამ დროს გამოჩნდებოდა ხოლმე ვიღაც წელში მოხრილი მოხუცი, ფეხების თრევით ჩამო-

უყვებოდა სანაპიროს და ეძებდა რაღაცას. ჩემთან ახლოს რომ ჩაივლიდა, ერთი უკმაყოფილოდ შემომხედავდა და ისევ თავის გზას განაგრძობდა. რომ დავაკვირდი, მივხვდი, რაღაც კენჭებს იღებდა, ყუთში დებდა და ისევ განაგრძობდა ძებნას. ორი-სამი საათის შემდეგ, ყუთი რომ აივსებოდა, ერთხელ კიდევ აღმაცერად შემომხედავდა, იმ კენჭებს ზღვაში გადაყრიდა და მიდიოდა...

ასე იყო ერთი დღე, ორი, სამი... მთელი კვირა. როგორც ჩანს, ჩემი იქ ყოფნა არ მოსწონდა. რომ დამინახავდა, სულ უფრო და უფრო ბრაზიანი თვალებით მაცქერდებოდა, თავს უკმაყოფილოდ იქნევდა და უსიტყვოდ მშორდებოდა. ერთხელ კი ვეღარ მოითმინა და მომაძახა:

— ემანდ რომ წამოწოლილხარ, სხვა ადგილი ვერა ნახე?..

— რატომ, მე რას გიშლი?

— ალბათ, მიშლი, თუ გეუბნები, კიდეც მიშლი, რომ არ მიშლიდე, არც გეტყოდი, მაგრამ რაკი გეუბნები, ე. ი. მიშლი, გაიგე? მიშლი... თუ არ მიშლი, არც არაფერს გეტყვი... გიჟი კი არა ვარ, არ მიშლიდე და ისე ვთქვა, მიშლი-მეთქი...

ეს თქვა და წავიდა.

შემდეგ დილას რომ აიარ-ჩაიარა, არაფერი-უთქვამს. მერე კენჭებს შორის ტარმოტეხილი ვერცხლის კოვზი იპოვა, გადმომიგდო და თან მოაყოლა:

— აიღე, ეს პატრონგასაწყვეტი ვერცხლისაა. მაგის გულისთვის არ იყო, ქრისტე რომ ჯვარს აცვეს?

გამეცინა.

— რა გეცინება?!

—ქრისტე ოცდაათი ვერცხლისთვის აცვეს ჯვარს და არა ერთი გატეხილი კოვზისთვის.

— ახლა ოცდაათი ვერცხლის კოვზი სად გიშოვო?

— რად მინდა, რომ მიშოვო!

— მა ასე ჯვარს რომ მაცმევ, საფასური არ გინდა?

— მე რითი გაცმევ ჯვარს?

— აგრე რო მომჩერებიხარ.

— მაინტერესებს, რას ეძებ, იმიტომ გიყურებ ხოლმე.

—რას ვეძებ და, კენჭებს.

— რა კენჭებს?

— მანათობელა კენჭებს, აი შიგნიდან რომ ანათებენ. იმათ ადამიანის სული აქვთ.

— რად გინდა?

— არაფრად.

— აბა, რატომ ეძებ?

— რომ ვიპოვო.

— რად გინდა, რომ იპოვო?

— მიხარია და იმიტომ. რომ ვიპოვი, ის მიხარია. სხვა რა უნდა მინდოდეს... რომ ვერ ვიპოვო, ხომ არ გამეხარდება! ჰოდა, იმიტომ მიხარია, რომ ვპოულობ. ვეძებ და კიდეც ვპოულობ, მა შენ რა გგონია!..

ეტყობა იფიქრა, ეს რა გაუგებარი ვინმეაო, ხელი ჩაიქნია და წავიდა... რამდენიმე დღის შემდეგ მეც წამოვედი ბათუმიდან, მაგრამ ის მოხუცი დღემდე არ დამვიწყებია. ის კი არა, იმის შემდეგ ერთი უცნაური ჩვეულება დამჩემდა: ასანთის ნამწვავს აუცილებლად უკანვე ვდებ კოლოფში: ასანთი თანდათან ილევა, ნამწვავები კი იზრდება. მერე ვეძებ... ვეძებ და ამდენ ნამწვავში უკანასკნელ ასანთს რომ ვიპოვი, იმ მოხუცივით მიხარია ხოლმე...

ამას წინათ უფრო გაოცებული დავრჩი, როცა ისეთივე მოხუცს შევხვდი, მაგრამ უკვე ცხოვრებაში კი არა — ლიტერატურაში. ეს გახლავთ ნობელის პრემიის ლაურეატის სემ. ბეკეტის სრულიად დაჩაჩანაკებული მოხუცი მეცნიერი მოლოი, ამავე სახელწოდების რომანიდან. ის მოლოი თვითონ გადმოგვცემს თავის თავგადასავალს. თუ თქვენ იმდენ მოთმინებას გამოიჩენთ, რომ ბოლომდე ჩაიკითხავთ ამ ეპიზოდს, იმასაც მიხვდებით, რატომ ვყვები აქ ამ ამბავს...

...მოვხვდი თუ არა ზღვის ნაპირზე, ვისარგებლე შემთხვევით და მოვიმარაგე კენჭების საკმარისი რაოდენობა, რათა მეწუწნა ისინი. კაცმა რომ თქვას, ეს ჭკები იყო, მაგრამ მე მათ კენჭებს ვუწოდებ. დიახ, მე მოვაგროვე საკმაოდ დიდი მარაგი კენჭებისა, გავანაწილე ისინი თანაბრად ოთხ ჯიბე-

ში და ვწუწნიდი რიგრიგობით. აქვე წარმოიშვა პრობლემა, რაც მე ასე გადავწყვიტე. ვთქვათ, მე მქონდა 16 კენჭი, ოთხ-ოთხი ყოველ ჯიბეში (ორი ჯიბე შარვალზე, ორი—მოსასხამზე). მე ვიღებდი ერთ კენჭს მოსასხამის მარჯვენა ჯიბიდან, ვიდებდი პირში და მის მაგივრად მოსასხამის მარცხენა ჯიბეში ვდებდი კენჭს შარვლის მარჯვენა ჯიბიდან, იქ კი კენჭს შარვლის მარცხენა ჯიბიდან, რომლის მაგივრად ვდებდი კენჭს მოსასხამის მარცხენა ჯიბიდან, რასაც ვიღებდი პირიდან, როცა მის წუწნას ვამთავრებდი. გამოდიოდა, რომ ჩემს ოთხივე ჯიბეში რჩებოდა ოთხ-ოთხი კენჭი, მაგრამ ეს უკვე არ იყო მთლიანად ერთი და იგივე კენჭები. ხოლო როცა ისევ მომინდებოდა კენჭების წუწნა, მე ისევ ვყოფდი ხელს მოსასხამის მარჯვენა ჯიბეში, იმ რწმენით, რომ ისევ იმ კენჭს არ ამოვიღებდი. როცა ამ კენჭს ვწუწნიდი, თან ერთი ჯიბიდან მეორეში გადამქონდა კენჭები ისე, როგორც ახლა აგიწერეთ, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ მთლიანად ვერ დამაკმაყოფილა. ჩემს ყურადღებას არ გამოპარვია ის გარემოება, რომ მოვლენათა განსაკუთრებული დამთხვევის გამო, გამორიცხული არ იყო, ის კენჭები, რომელნიც ასე მოგზაურობდნენ ჯიბიდან ჯიბეში, ყოფილიყვნენ ერთი და იგივე. ასეთ შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ მე ვწუწნიდი რიგრიგობით არა თექვსმეტ კენჭს, არამედ ოთხს — სულ ერთსა და იგივეს. მართალია, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა კენჭს თანაბრად ემოგზაურა ჯიბიდან ჯიბეში, მე წინასწარ კარგად ავურევდი ხოლმე მათ, ვიდრე ამოვიღებდი და წუწნას შევუდგებოდი ან ერთი ჯიბიდან მეორეში გადავიტანდი. მაგრამ ესეც მხოლოდ სუროგატი იყო, რაც დიდხანს ვერ დააკმაყოფილებდა ისეთ კაცს, როგორიც მე ვარ. ამიტომ მე შევუდექი სხვა რამის გამოგონებასაც. ჯერ მომივიდა აზრი, რომ ერთი ჯიბიდან მეორეში გადავაწყო არა თითო-თითო კენჭი, არამედ ოთხ-ოთხი, ე. ი. ვიდრე მე ვწუწნი კენჭს, ამოვიღო მოსასხამის მარჯვენა ჯიბიდან დარჩენილი სამი კენჭი და მათ მაგივრად ჩავდო ოთხივე კენჭი შარვლის მარჯვენა ჯიბიდან, იქ კი ოთხივე კენჭი მოსასახამის მარცხენა ჯიბიდან,

რომლის ადგილას ჩავდო სამივე კენჭი მოსასხამის მარჯვენა ჯიბიდან და მივუმატო ის ერთი კენჭიც, რომელიც პირში მაქვს, როცა მის წუწნას დავამთავრებ. დიახ, ჯერ მომეჩვენა, რომ ამგვარად უკეთეს შედეგს მივაღწევ, მაგრამ შემდგომი განსჯის შედეგად მაინც შევცვალე ჩემი აზრი და ვაღიარე, რომ კენჭების ამგვარი ოთხ-ოთხად გადალაგება იგივე იქნება, რადგან იმის მიუხედავად, რომ მე კარგად ვიცოდი, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოსასხამის მარჯვენა ჯიბეში ვიპოვიდი ოთხ სრულიად ახალ კენჭს, მაინც რჩებოდა შესაძლებლობა, ოთხივე ჯიბიდან შემთხვევით ოთხივეჯერ ამომეღო ერთი და იგივე კენჭები, რის გამოც მეწუწნა არა 16 კენჭი რიგრიგობით, როგორც მე მინდოდა, არამედ მხოლოდ ოთხი მათგანი — სულ ერთი და იგივე. აქედან გამომდინარე, სწორი გადაწყვეტილება კენჭების გადალაგების ხერხში არ უნდა მეძებნა, რადგან როგორადაც არ უნდა გადამელაგებინა კენჭები, ეს რისკი მაინც რჩებოდა. ცხადია, მე რომ გამეზარდა ჯიბეების რაოდენობა, ეს გაზრდიდა შესაძლებლობას — სწორედ ისე დავმტკბარიყავი კენჭების წუწნით, როგორც მე მინდოდა, ე. ი. თითო-თითოდ, ვიდრე ყველა არ გათავდებოდა. ამ მხრივ რომ სრულიად დამშვიდებული ვყოფილიყავი, მე უნდა მქონოდა თექვსმეტი ჯიბე. დიდი ხნის განმავლობაში მე ვერც ვხედავდი სხვა გამოსავალს: ვიდრე არ მექნება 16 ჯიბე, ე. ი. თითო ჯიბე თითოეული კენჭისათვის, ვერასოდეს ვერ მივაღწევ მიზანს, რაც დავისახე, თუ მხედველობაში არ მივიღებ ბედნიერ შემთხვევას. თუ მე, ასე თუ ისე, შემეძლო გამეორმაგებინა ჩემი ჯიბეები, რამდენიმე ქინძისთავის საშუალებით მათი გაოთხმაგება არაფრით არ მოხერხდებოდა. ხოლო საკითხის ასე სანახევროდ გადაწყვეტაზე ძალის დახარჯვა სულაც არ მეპიტნავებოდა. ამდენი თავისტეხისა და დავიდარაბის შემდეგ მე ვკარგავდი ზომიერების ყოველგვარ გრძნობას და ვამბობდი: „ყველაფერი ან არაფერი“. იყო მომენტები, როცა მე განვიცდიდი ცდუნებას — ისე შემემცირებინა კენჭების რაოდენობა, რომ უფრო მეტად შემეფარდებინა ჯიბეების რაოდენობისათვის, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდე-

ბოდა: ეს ხომ იმის აღიარება იქნებოდა, რომ დავმარცხდი. და აი, ვზივარ ზღვის ნაპირას, წინ 16 კენჭი მაქვს დაწყობილი და ვუყურებ მათ აღშფოთებული და დაბნეული...

ასე გრძელდებოდა დიდხანს, ვიდრე არ გამიჩნდა ბუნდოვანი აზრი, რომ მე შემიძლია ისე მივაღწიო მიზანს, რომ არც ჯიბეების რაოდენობა გავადიდო და არც კენჭების რაოდენობა შევამცირო, არამედ, უბრალოდ, ხელი ავიღო „სამობის" პრინციპზე. გონების ამ მოულოდნელი გასხივოსნების აზრს, რამაც ისე მომხიბლა, როგორც ისაიასა და იერემიას ლექსებმა, მე მაშინვე კი არ მივმხვდარვარ, თვით ეს ცნება „სამობა", რაც ადრე არასოდეს გამიგონია, დიდხანს გაუგებარი იყო ჩემთვის. მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, მივხვდი, რომ ამ ცნებას არ შეიძლება სხვა ან უკეთესი შინაარსი ჰქონდეს, ვიდრე 16 კენჭის განაწილება ოთხ ჯგუფად ისე, რომ თითო ჯგუფში იყო 4 კენჭი, ე. ი. თითო ჯგუფი თითო ჯიბეში, ხოლო ჩემი არნდომა — მეფიქრა რამე სხვაგვარ განაწილებაზე—აქარწყლებდა ყველა მანამდელ მოსაზრებას და სრულიად შეუძლებელს ხდიდა ამ პრობლემის გადაწყვეტას. ამ გაგებაზე დაყრდნობით, სულერთია, სწორი იყო იგი თუ მცდარი, მე მივაგენი სწორ გადაწყვეტას, მართალია, არც თუ ისე ელეგანტურს, მაგრამ მაინც სწორს, დიახ, სწორს! მე მინდოდა მერწმუნა, და მტკიცედაც მწამს, რომ შესაძლებელია მოძებნილიყო ან შეიძლება კიდეც მოიძებნოს ამ პრობლემის სხვა გადაწყვეტა, რაც უფრო სწორი და უფრო ელეგანტური იქნება, ვიდრე ის, რასაც მე თქვენ ახლა აგიწერთ — თუ შევძელი. რა თქმა უნდა. მე მწამს აგრეთვე, უფრო მტკიცე, უფრო ჯიუტი რომ ვყოფილიყავი, თვითონვე მოვძებნიდი ამას, მაგრამ დავიღალე დიახ, დავიღალე და უღირსად (ჩემდა სამარცხვინოდ) დავკმაყოფილდი პრობლემის ისეთი პირვანდელი გადაწყვეტით, რასაც შეიძლებოდა მართლაც გადაწყვეტა რქმეოდა. რომ ისევ თავიდან არ ავწერო ის მტანჯავი საფეხურები, რამაც მიმიყვანა ამ გადაწყვეტილებამდე, აი იგი მთელი თავისი უარყოფითი ნიშნებით: გამოირკვა, რომ ამისთვის საჭიროა მხოლოდ (მხოლოდ!) ჩავდოთ, ვთქვათ, ჯერ ექვსი კენჭი მოსას-

ხამის მარჯვენა ჯიბეში, ხუთი—შარვლის მარჯვენა ჯიბეში და ხუთი—შარვლის მარცხენა ჯიბეში. ეს არის და ეს: ორჯერ ხუთი — ათი, მიუმატეთ ექვსი — თექვსმეტი (და ნული, რადგან მოსასხამის მარცხენა ჯიბის წილად რჩება ნული, რადგან ის ჯიბე ჯერჯერობით ცარიელია, ე. ი. მასში არ არის კენჭები, თუმცა სხვა, ჩვეულებრივი საგნები მაინც არის. აბა, თქვენ რა გგონიათ, სად უნდა შემენახა ჯიბის დანა, ვერცხლის ფული, ველოსიპედის ზარი და სხვა ნივთები, რაც მე ჯერ კიდევ არ მიხსენებია და შეიძლება არც არასოდეს ვახსენო? კეთილი. ახლა მე შემიძლია დავიწყო წუწნა. კარგად დააკვირდით: მე ვიღებ კენჭს ჩემი მოსასხამის მარჯვენა ჯიბიდან, ვწუწნი, ვწყვეტ წუწნას და ვდებ მოსასხამის იმ მარცხენა ჯიბეში, სადაც კენჭები არ არის. მერე მე ვიღებ მეორე კენჭს მოსასხამის მარჯვენა ჯიბიდან, ვწუწნი და ვდებ მოსასხამის მარცხენა ჯიბეში და ასე შემდეგ, ვიდრე მოსასხამის მარჯვენა ჯიბე არ დაცარიელდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ, მასში დარჩენილ, სხვა ჩვეულებრივ ნივთებს) და 6 კენჭი, რომელთაც, ეს-ეს არის, ვწუწნიდი ერთიმეორის მიყოლებით, არ აღმოჩნდება მოსასხამის მარცხენა ჯიბეში. ამის შემდეგ, ვჩერდები და ვფიქრობ, ყველაფერი რომ არ გავაფუჭო, მე გადამაქვს მოსასხამის მარჯვენა ჯიბეში, სადაც არც ერთი კენჭი არ დარჩა, ხუთი კენჭი შარვლის მარჯვენა ჯიბიდან, რომლის ნაცვლად მე ვდებ ექვს კენჭს მოსასხამის მარცხენა ჯიბიდან. მაშასადამე, ამ მომენტში მოსასხამის მარცხენა ჯიბე ისევ ცარიელია, ხოლო მარჯვენა ჯიბეში ისევ დევს კენჭების ისეთი მარაგი, როგორიც საჭიროა, ე. ი. არა ისინი, მე რომ, ეს-ეს არის, ვწუწნიდი. საჭიროა გავაგრძელო? არა, რადგან ცხადია: კიდევ სამგზის წუწნისა და გადაწყობის შემდეგ, მე დავუბრუნდები იმას, რისგანაც დავიწყე, ე. ი. პირველი ექვსი კენჭი ისევ აღმოჩნდება მოსასხამის მარჯვენა ჯიბეში, შემდეგი ხუთი — ჩემი ძველი, დახეული შარვლის მარჯვენა ჯიბეში და ბოლოს, უკანასკნელი ხუთი — იმავე შარვლის მარცხენა ჯიბეში. ამით ჩემს თექვსმეტივე კენჭს მე ვწუწნი იდეალური თანმიმდევრობით — არც ერთი არ რჩება მოუწუწნავი და არც ერთს არ ვწუწნი ორჯერ. მართალია, იმ-

ედი არ მაქვს, სხვა დროსაც რომ იმავე რიგის მიხედვით მოვწუწნი კენჭებს, როგორც პირველად; მაგალითად, პირველი, მეშვიდე და მეთორმეტე კენჭი პირველი ციკლისა არ აღმოჩნდება მეექვსე, მეთერთმეტე და მეთექვსმეტე, მაგრამ ეს ნაკლი მე ვერ ავიცდინე თავიდან. და თუ ყველა, ერთად აღებულ ციკლში, ამგვარი სრული. არევ-დარევა აუცილებელია, ყოველ შემთხვევაში თითოეული ციკლის მანძილზე, ცალკეულად აღებული, მე შემიძლია დამშვიდებული ვიყო, რამდენადაც შესაძლებელია ასეთ საქმეში დამშვიდებული იყოს ადამიანი. და რაც არ უნდა არასრულყოფილი იყოს ჩემი გადაწყვეტილება, მაინც კმაყოფილი ვარ, რომ მე ერთმა აღმოვაჩინე იგი; დიახ, კმაყოფილი, მაგრამ თუ ჩემი აღმოჩენა შესაძლოა, არცთუ ისე სწორი აღმოჩნდა, როგორც პირველი გატაცების დროს მეგონა, იგი ძველებურად რჩება არასაკმარისად ელეგანტური. ჩემი თვალსაზრისით, ეს არაელეგანტურობა, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ კენჭების არათანაბარი განაწილება ჯიბეებში სხეულებრივ უხერხულობას მიქმნის. მე ვგრძნობ, თუ მათი სიმძიმე როგორ მექაჩება ხან ერთ და ხან მეორე მხარეს. ასე რომ, თანაბარ განაწილებაზე ხელის აღებით, მე ხელი ავიღე აგრეთვე როგორც პრინციპზე, ისე სხეულებრივ მოხერხებულობაზე. მეორეს მხრივ, კენჭების ისეთი წესით წუწნა, როგორიც მე თქვენ ახლა აგიწერეთ არა შემთხვევით, არამედ მეთოდურად, მოითხოვს სხვის მოხერხებულ მდგომარეობაში ყოფნას. ასე რომ, აქ არის ორი, ერთმანეთთან შეუთავსებელი სხეულებრივი მოთხოვნილება. ასეც ხდება. მაგრამ სულის სიღრმეში მე მიმიფურთხებია წონასწორობის უქონლობისთვის, იმისთვის, რომ მე რაღაც ხან მარჯვნივ მექაჩება, ხან მარცხნივ, ხან უკან და ხან წინ. ჩემთვის ისიც სულერთია, სხვადასხვა კენჭს ვწუწნი თუ ერთსა და იგივეს, ერთსა და იგივეს აწ და მარადის. გემო ხომ მათ ყველას ერთნაირი აქვთ და თუ მე მოვაგროვე თექვსმეტი ცალი კენჭი, არა იმიტომ, რომ ასე და არა ისე თანაბრად გამეყო ისინი და აუცილებლად რიგრიგობით მეწუწნა, არამედ მქონდა რაღაც მარაგი, რათა სულ უკენჭებოდ არ დავრჩენილიყავი. სულის სიღრმეში კი მე, ალბათ, იმისთვისაც

მიმიფურთხებია, სულაც უკენჭებოდ თუ დავრჩები, რაც არ არის — არ არის, ეს ჩემთვის უარესი არ იქნება ან თითქმის არ იქნება, და, ბოლოს და ბოლოს, იცით რა გადაწყვეტილება მივიღე? გადავყარე ყველა კენჭი, გარდა ერთისა, რომელიც ხან ერთ ჯიბეში მედო, ხან მეორეში და ჩქარა, ცხადია, ისიც დავკარგე, თუ გადავაგდე, თუ სხვას მივეცი, თუ გადავყლაპე...

...მოგბეზრდათ? კიდევაც რომ მითხრათ, არაო, მაინც არ დავიჯერებ. ალბათ, მოგბეზრდათ, მაგრამ აკი მოგახსენეთ, ჩვენც ასე მოგვბეზრდა იმ ათასი ფუთი დოკუმენტების დაუსრულებელი გადალაგებ-გადმოლაგება, რის გამოც...

მაგრამ ამაზე თქვენ თვითონ იფიქრეთ. მე კი ისიც მაინტერესებს, ნეტავი ყოველი ჩვენგანი რამდენ დროს ჰკარგავს თავისი დღეების ასე კენჭებივით გადალაგებაში? თუმცა დროს დაკარგვა რა სათქმელია, როცა ყოველი ჭეშმარიტება თურმე ამ გზით მიიკვლევა. მაქს დელბროკმაც, ბეკეტის ეს მაგალითი რომ მოიტანა, თან დაუმატა, აინშტაინმაც, ალბათ, ასე აღმოაჩინა მასისა და ენერგიის ეკვივალენტობის კანონიო...

შესაძლებელია, ეს ასეც იყოს, ამიტომ ამ ლიტერატურული ინტერმედიის შემდეგ, ისევ გოლგოთის გზას უნდა დავადგეთ და ზღვის კენჭებივით ვწუწნოთ ის დოკუმენტები, რასაც პროცესზე ადგენდნენ როგორც ბრალმდებლები, ისე დამცველები...

ედემის ბაღი...

ჰოდა, როგორც მოგახსენეთ, ყველას ისე მობეზრდა ამგვარი საშინელი ამბების მოსმენა, რომ თვით ლოურენსმაც ჩათვლიმა. ამ დროს ბუჰენვალდის საკონცენტრაციო ბანაკზე იყო ლაპარაკი. უნდა გითხრათ, რომ ბუჰენვალდში ერთხანს რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობა იყო. აქ ხშირად მოჰყავდათ სტუმრები, მათ შორის უცხოელებიც, რომ ეჩვენებინათ „სანიმუშო გამასწორებელი ბანაკი“, რომელსაც ხუმრობით „ედემის ბაღს“ უწოდებდნენ. მოწმე გეორგ მორგენი ყვებოდა:

— ბანაკში ჰქონდათ საფოსტო განყოფილება, იყო სამკითხველო, კინო, ვარიეტე, იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები. აქვე იყო გახსნილი ბორდელი...

სიტყვა „ბორდელი“ ლოურენსსაც ჩაესმა, მაშინვე ყური ცქვიტა და ბიდლს ჰკითხა:

— რა, რაო? რა ჰქონდათო?!

ბიდლმა უჩურჩულა:

— ედემის ბაღიო...

— რაო?! — მაინც ვერ გაიგო ლოურენსმა.

— ბორდელიო, გაიგე, ბორდელიო,— დაუზუსტა ბიდლმა.

ამ დროს მიკროფონი ჩართული იყო და ეს საუბარი მთელმა დარბაზმა გაიგონა...

...ერთხელ ამ „ედემის ბაღზე“ საპროპაგანდო ფილმის გადაღებაც განიზრახეს და ეს სამარცხვინო საქმე ჰიტლერის ფავორიტ კინორეჟისორს, ლენი რიფენშტალს დაავალეს. გადაღების დღისთვის დადგეს მაკეტები: სამზარეულო, სასადილო, კლუბი, საბავშვო ბაგა. მოიყვანეს ჯერ კიდევ კარგი შესახედაობის ტუსაღი კაცები და ქალები, დაბანეს, გაკრიჭეს, სადღესასწაულოდ გამოაწყვეს და უბრძანეს, ფრენბურთი ეთამაშათ, ესეირნათ ან ბანაკის სიმფონიური ორკესტრისათვის მოესმინათ. გაოგნებული პატიმრები სიამოვნებით ასრულებდნენ ამ „მსახიობურ დავალებას“, ოპერატორები კი იღებდნენ მათ „ხალისიან ცხოვრებას ედემის ბაღში“...

გადაღება რომ დამთავრდა, „მსახიობები“ გაზკამერებში შერეკეს, კრემატორიუმებში დაწვეს და კვამლს გაატანეს... იმ ფილმს კი დიდხანს ატრიალებდნენ უცხოელების წინაშე. ისიც დამახასიათებელია, რომ ომის მიწურულში რეჟისორმა რიფენშტალმა სთხოვა აიხმანს, დამარცხების შემთხვევაში, მოესპო ამ ფილმის ყველა ეგზემპლარი, არა იმ ფილმებისა, სადაც მის მიერვე საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებები იყო გადაღებული, არამედ ეს „სამოთხის იდილია“. როგორც ჩანს, რიფენშტალს იმდენი სინდისი მაინც შერჩა, რომ ეს „მომხიბვლელი ტყუილი“ უფრო სამარცხვინოდ მიეჩნია, ვიდრე ის საშინელი სიმართლე...

პროცესზე კი ისევ გრძელდებოდა „ქენეების“ გადალაგ-გადმოლაგება. დანაშაულის ფაქტობრივი დადასტურების შემდეგ პერსონალური პასუხისმგებლობის მტკიცება დაიწყო. ტრიბუნალს უნდა დაერღვია ბრალდებულთა დაცვის მთავარი არგუმენტი: დანაშაული ჩადენილია, მაგრამ პირადად ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდითო. დოკუმენტების ახალმა ტალღამ და მოწმეთა ჩვენებამ ეს ზღაპარიც ნელ-ნელა გაფანტა. დარბაზში შემოიყვანეს ფოტოგრაფი ფრანსუა ბუა, რომელიც სურათებს იღებდა მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში, „ზემოთ“ გასაგზავნად. ჩვენთან ფოტოგანყოფილებაც იყო, — თქვა მან.

დარბაზში სინათლე ჩააქრეს და ეს სურათები უჩვენეს დიაპოზიტივებით. მოწმე ბუა გზადაგზა კომენტარებსაც აკეთებდა.

— ეს არის „მასკარადი“, რაც ბანაკში მოაწყვეს, — ამბობდა იგი, — ერთი ავსტრიელი ტუსაღი დურგლად მუშაობდა. მან გააკეთა ყუთები, რითაც გვამები გაჰქონდათ ბანაკიდან. ის და მისი მეგობრები ფიქრობდნენ, ამ ყუთებში ჩაწოლილიყვნენ და ისე გაპარულიყვნენ. დაიჭირეს და „მასკარადი“ მოუწყვეს: დასვეს გვამების გასატან ურიკაზე, რასაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „ყველა ბელურა დაბრუნდა“. ასე ჩაატარეს ისინი ათი ათასი ტუსაღის წინაშე და ჩამოახრჩეს.

საკონცენტრაციო ბანაკის ორკესტრი უკრავდა ცნობილ პოლკას „ბეერ-ბარელს“...

...ეკრანზე სწორედ ეს „ბელურების დაბრუნება“ უჩვენეს. შემდეგ უამრავი სხვაც. ყველაფერი საშინელება იყო, გარყვნილი სადისტური გონების ისეთი ამაზრზენი ნაყოფი, რომ შეძრწუნებულმა მოსამართლეებმაც ვერ გაუძლეს ამის ყურებას. ლოურენსმა თავი ჩაქინდრა, ბიდლმა ხელი აიფარა თვალებზე, „რესპექტაბელურმა“ ბრალდებულებმა ისევ ზურგი შეაქციეს ეკრანს.

— ვინ გადაიღო ეს სურათები? — ეკითხება ბუას დიუ-ბოსტი.

— ესესის ობერშარფიურერმა, პროფესორმა (!) პაულ რიკერმა, — უპასუხებს მოწმე.

შემდეგ აჩვენეს ისევ რიკერის მიერ გადაღებული სურათი: ვიღაც ტუსაღი თავს იხრჩობს. ჩაბნელებულ დარბაზში ვაისმა მოწმის ხმა:

— ეს ტუსაღია, რომელიც ჯერ სასტიკად აწამეს, შემდეგ კი ათი წუთი მისცეს თავის ჩამოსახრჩობად, წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო საშინელ წამებას დაემუქრნენ. ტუსაღმა საკუთარი ქამრით ჩამოიხრჩო თავი...

მერე ისევ სურათები:

...ესესელები ულოცავენ კომენდანტ ცირაისს დაბადების დღეს...

...ბანაკს ათვალიერებს ჰიმლერი...

კაუფმანმა გაიხარა: ისევ ჰიმლერი!..

მაგრამ... აი სხვა ფოტო! ეკრანიდან იყურება ჰიმლერი და... ობერგრუპენფიურერი კალტენბრუნერი. იქვეა კომენდანტი ცირაისი...

 დ ი უ ბ ო ს ტ ი: ეს სურათიც ბანაკშია გადაღებული? ვინ გადაიღო ის?

ბ უ ა: ისევ იმ ობერშარფიურერმა პაულ რიკერმა. ეს იყო 1941 წელს. მაშინ ეს ვაჟბატონი (მოწმემ კალტენბრუნერზე მიუთითა) ხშირად მოდიოდა ბანაკში.

დ ი უ ბ ო ს ტ ი: თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს კალტენბრუნერია? (თითით უჩვენებს ფოტოზე).

ბ უ ა: დიახ, ვამტკიცებ!

დ ი უ ბ ო ს ტ ი: თქვენ ადასტურებთ აგრეთვე, რომ ეს ფოტო საკონცენტრაციო ბანაკშია გადაღებული?

ბ უ ა: დიახ, მე ვადასტურებ ამას.

დ ი უ ბ ო ს ტ ი: იცნობთ თუ არა თქვენ ბრალდებულთა შორის კიდევ ვინმეს, ვინც მოდიოდა მაუთჰაუზენის ბანაკში?

ბ უ ა: შპეერს!

დარბაზი მოულოდნელობისაგან გაქვავდა: კალტენბრუნერი — ჰო, მაგრამ შპეერი?!

— როდის ნახეთ იგი? — ეკითხება გაოცებული დიუბოსტი მოწმეს.

ბ უ ა: იგი მოვიდა მაუთჰაუზენში 1943 წელს, ახალი კორპუსების მშენებლობის საკითხებზე. იყო მაუთჰაუზენის ქვასატეხში. პირადად მე ეს არ მინახავს, მაგრამ რიკერმა გადაიღო მთელი კოჭი ფირისა ამის შესახებ, რაც მე გავამყღავნე ლაბორატორიაში. ამ ფირზე ვიცანი შპეერი და სხვა ესესელები, რომლებიც მას ახლდნენ. შპეერს ღია ფერის კოსტიუმი ეცვა...

დ ი უ ბ ო ს ტ ი: ფოტოფირზე, რომელიც თქვენ გამყღვანეთ, იცანით შპეერი?

ბ უ ა: — დიახ. მე ვიცანი შპეერი 36 სურათზე, რაც ობერშარფიუერერმა პაულ რიკერმა გადაიღო 1943 წელს მაუთჰაუზენის ქვასატეხებში. ფოტოებზე მას ძალიან კმაყოფილი სახე ჰქონდა. იყო ისეთი ფოტოებიც, სადაც ხელს ართმევდა და რაღაცას ულოცავდა ობერშტურმბანფიუერერ ფრანც ცირაისს. ცირაისი მაშინ მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის უფროსად მუშაობდა...

შპეერი საბრალდებო სკამზე ისე დაპატარავდა, რომ ერთ მუჭში ჩაეტეოდა. სამაგიეროდ, კალტენბრუნერს დასთამაშებდა სახეზე კმაყოფილების ღიმილი. შპეერს ხომ „ჯენტლმენ“ ბრალდებულად თვლიან კოლეგები, აქ კი... ჰიმლერისა და კალტენბრუნერის კომპანიაში!..

ის ცირაისი, რომელსაც იგი მეგობრულად ართმევდა ხელს, თვითონ აწამებდა ტუსაღებს და ისე სასტიკად, რომ ჰოსიც კი ვერ შეედრებოდა მას...

...ჯვარედინ დაკითხვაში ახლა საბჭოთა ბრალმდებელი რუდენკო ჩაერია:

— გთხოვთ, გვიამბოთ საბჭოთა სამხედრო ტყვეების შესახებ მაუთჰაუზენში...

— პირველი საბჭოთა სამხედრო ტყვეები მოიყვანეს 1941 წელს, — დაიწყო ბუამ, — სულ 2 ათასი კაცი. ისინი ისე იყვნენ დასუსტებულნი, რომ ძლივს ინძრეოდნენ. მიუხედავად ამისა, იმ დღეს ბანაკში ყველგან დადგეს ტყვიამფრქვევები, რადგან რამე ექსცესებს მოელოდნენ მათგან. ზამთარი იყო, 10 გრადუსი ყინვა, მაგრამ პერანგისა და შარვლის გარდა სხვა ტანსაცმელი ჩამოართვეს და ისე შეყარეს ფარდულებში. საჭმელს თითქმის არ აძლევდნენ, აწამებდნენ და, ვისაც ჯერ კიდევ შეეძლო რამის გაკეთება, უმძიმეს სამუშაოს არსულებინებდნენ. ჩქარა იმ ორი ათასი კაციდან დარჩა 30 კაცი. მე მაქვს გადაღებული მათი ფოტოსურათები.

რ უ დ ე ნ კ ო: თქვენ გაქვთ ეს ფოტო?

ბ უ ა: დიახ, მე ის გადავეცი ბატონ დიუბოსტს...

...შემოიყვანეს მოწმე ალოიზ ჰელრიგელი, ესეც მაუთჰაუზენიდან, მაგრამ არა ყოფილი ტუსაღი, არამედ ესესის უნტერშარფიურერი, რომელიც ბანაკის დაცვაში მსახურობდა.

ე ი მ ე ნ ი: თქვენ მიეცით ჩვენება, რომ ბანაკში ნახეთ კალტენბრუნერი. ასეა ეს, თუ არა?

ჰ ე ლ რ ი გ ე ლ ი: დიახ!

ე ი მ ე ნ ი: რომ იგი პირადად გაეცნო გაზკამერის მუშაობას?

ჰ ე ლ რ ი გ ე ლ ი: დიახ!

ე ი მ ე ნ ი: ხომ არ გქონდათ შემთხვევა, გენახათ საკონცენტრაციო ბანაკში სხვა მნიშვნელოვანი პირები?

ჰ ე ლ რ ი გ ე ლ ი: მახსოვს, რომ იყვნენ პოლი, გლიუკსი, კალტენბრუნერი, ფონ შირახი და შტირიის გაულაიტერი.

ე ი მ ე ნ ი: თქვენ პირადად ნახეთ მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში შირახი?

ჰ ე ლ რ ი გ ე ლ ი: დიახ, ვნახე.

ე ი მ ე ნ ი: დაგამახსოვრდათ მისი გარეგნობა ისე, რომ შეგიძლიათ იცნოთ?

ჰ ე ლ რ ი გ ე ლ ი: მე მგონი, ბოლო დროს იგი შეიცვლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც ვიცნობ.

ე ი მ ე ნ ი: როდის ნახეთ თქვენ იგი?

ჰ ე ლ რ ი გ ე ლ ი: ეს იყო 1942 წლის შემოდგომით. შემდეგ მე იგი არ მინახავს.

ე ი მ ე ნ ი: მიიხედეთ საბრალდებო სკამებისაკენ და თქვით, ცნობთ თუ არა შირახს?

ჰ ე ლ რ ი გ ე ლ ი: დიახ!

ე ი მ ე ნ ი: სად არის იგი?

ჰ ე ლ რ ი გ ე ლ ი: იგი ზის მეორე რიგში, მარცხნიდან მესამე.

აქ დაკითხვაში შირახის დამცველი ზაუტერი ჩაერია.

ზ ა უ ტ ე რ ი: თქვენ ნახეთ ბრალდებული შირახი მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში? და თუ ნახეთ, რამდენჯერ?

ჰ ე ლ რ ი გ ე ლ ი: მე კარგად მახსოვს, რომ ეს იყო ერთხელ.

ზ ა უ ტ ე რ ი: ერთხელ?

ჰ ე ლ რ ი გ ე ლ ი: დიახ!

ზ ა უ ტ ე რ ი: მაშინ შირახი მარტო იყო, თუ კიდევ ახლდა ვინმე?

ჰ ე ლ რ ი გ ე ლ ი: შირახს ახლდნენ სხვებიც. დაახლოებით 10 კაცი. მათ შორის მე ვიცანი გაულაიტერი ნიბერნაიტერი.

რ ა უ ტ ე რ ი: მგონი, იქ იყო არა ათი, არამედ 20 კაცი.

ჰ ე ლ რ ი გ ე ლ ი: იცით რა, მე მაშინ არ დამითვლია, რადგან არ ვიცოდი, თუ ეს დამჭირდებოდა.

დარბაზში ერთსულოვანი სიცილი გაისმა...

...შემდეგ ჰელრიგელს წინ მაუთჰაუზენში გადაღებული კიდევ ერთი ფოტო დაუდეს.

ე ი მ ე ნ ი: შეგიძლიათ თუ არა გამოიცნოთ, ვინ არის ამ სურათზე გადაღებული?

ჰ ე ლ რ ი გ ე ლ ი: ამ ფოტოზე მე, უწინარეს ყოვლისა, ვცნობ ესესის რაიხსფიურერ ჰიმლერს, მის გვერდით დგას

მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტი ცირაისი, მარჯვნივ — კალტენბრუნერი...

...შემდეგ ჩეხი ექიმი ფრანც ბლახა დაკითხეს. იგი ხუთიოდე წელი იყო დახაუში.

 დ ო დ ი: დოქტორო ბლახა, თქვენი პატიმრობის დროს ბანაკი ნახა ვინმემ?

ბ ლ ა ხ ა: ჩვენს ბანაკში ისე ბევრი მნახველი მოდიოდა, რომ ტუსაღები ამბობდნენ, გამოფენაზე ვართ ზოოპარკშიო. იყვნენ ექსკურსანტებიც სამხედრო უწყებებიდან, სამედიცინო დაწესებულებებისა და სკოლებიდანაც კი. გარდა ამისა, ბანაკში ხშირად მოდიოდნენ პოლიციიდან და ესესიდან, ბორმანის კანცელარიიდან და სახელმწიფო მოღვაწეებიც. ჩვენთან ყოველთვიურად ტარდებოდა ინსპექცია. ასეთ ინსპექციას უმთავრესად ატარებდა საკონცენტრაციო ბანაკების გენერალ-ინსპექტორი ობერგრუპენფიუერერი პოლი, შემდეგ — პროფესორი (!) გრავიცი, შტანდარტენფიუერერი დოქტორი ლოლინგი და სხვები.

დ ო დ ი: მოდიოდნენ თუ არა ბანაკში მთავრობის მსხვილი მოხელეები და თქვენ თვითონ თუ გინახავთ რომელიმე მათგანი?

ბ ლ ა ხ ა: როცა იქ ვიყავი, დახაუში, ბევრი ასეთი პიროვნება მოდიოდა. უფრო ხშირად — რაიხსფიუერერი ჰიმლერი... მე ვნახე სხვაც — სამი მინისტრი, ორჯერ — იტალიელი ოფიცრები, ერთხელ — იაპონელი.

დ ო დ ი: არ გახსოვთ სახელები მთავრობის იმ მსხვილი მოხელეებისა?

ბ ლ ა ხ ა: ჰიმლერის გარდა, ბანაკში იყვნენ ბორმანი, გაულაიტერები — ვაგნერი და ჰისლერი, შემდეგ მინისტრი ფრანკი, როზენბერგი, ფრიკი, ფუნკი, ზაუკელი, კალტენბრუნერი, გენერალი დალიუგე და სხვები. ისინი ათვალიერებდნენ ბანაკს, რაშერის ლაბორატორიას, სადაც ცოცხალ ადამიანებზე ახდენდნენ ცდებს. მათ აჩვენებდნენ აგრეთვე ადრე ცნობილ პიროვნებებს: ვენის ბურგომისტრს დოქტორ

შმიდტს, უმაღლეს ჩეხ ოფიცერს, კათოლიკურ ეპისკოპოსს, უნივერსიტეტის პროფესორს და სხვებს...

...დამცველები აწრიალდნენ, ასეთი ჩვენებები მთელ მათ გეგმებს ფუშავდა. ცუდ დღეში იყვნენ ბრალდებულებიც, არასოდეს არაფერი გაგვიგონია საკონცენტრაციო ბანაკებზეო, რომ ამბობდნენ. ბლახას ჯერ ფუნკის დამცველმა ზაუტერმა მისცა შეკითხვა, მერე როზენბერგის დამცველმა თომამ, ფრიკის დამცველმა პანენბეკერმა და სხვებმაც. ისინი ეკითხებოდნენ მოწმეს, რა მანძილიდან ნახეთო, რა ფორმა ეცვათო, ადრე ფოტოებზე თუ გინახავთო და სხვ. მოწმე არ დაიბნა და ყველას სათანადო პასუხი გასცა. ასე, მაგალითად, როზენბერგის დამცველმა თომამ ჰკითხა:

— რა მანძილიდან ნახეთ როზენბერგი?

— იგი მოდიოდა 30—40 ნაბიჯის დაშორებით.

თომამ შეატრიალა:

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ეს იყო 30—40 მეტრის დაშორებით?

— არა, მე მინდა ვთქვა, 30—40 ნაბიჯისა...

ბრალდებულები, რა თქმა უნდა, უარყოფდნენ ამას, მაგრამ რა! ვთქვათ, როზენბერგი მართლა არ ყოფილიყო. მისი „სამფლობელო" — საბჭოთა კავშირის დროებით დაპყრობილი ტერიტორიები სულ საკონცენტრაციო ბანაკებით არ იყო დაფარული? ან რა ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლო პროცესისათვის, პირადად ჰქონდათ დათვალიერებული საკონცენტრაციო ბანაკები თუ არა. ისედაც ხომ ცხადი იყო, რომ მთელი ეს საშინელება მათი ხელმძღვანელობით ხდებოდა! ამიტომ იყო, თავმჯდომარე ლოურენსიც რომ ჩაერია დაკითხვაში და დამცველ თომას უთხრა:

— გთხოვთ მაპატიოთ, თუ შენიშვნას მოგცემთ... განა საჭიროა, ტრიბუნალს ამდენი დრო წაართვათ ასე უმნიშვნელო კითხვებით?..

...უფრო კურიოზული ის იყო, რომ ამ დაკითხვაში ესესისა და ესდეს დამცველი ბაბელიც ჩაერია... დიახ, იყო ასე-

თი ოდიოზური ფიგურაც: ესესის დამცველი! იგი ვითომ ცდილობდა დაედგინა, ესესელი მცველები ნამღვილად „უდიერად“ ეპყრობოდნენ ტუსაღებს თუ არა. ბლახამ დააკმაყოფილა მისი „სურვილი“ და ამ „უდიერი მოპყრობის“ ისეთ შემაძრწუნებელ ფაქტზე მიუთითა, რომ ბაბელმა უცებ შეწყვიტა მისი დაკითხვა.

საპნის კულტურა...

მერე უფრო „მსხვილფეხა ჯალათები“ გამოჩნდნენ მოწმის მაგიდასთან. ჯერ „ანენერბეს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ვოლფრამ ზივერსი, რომელიც ცნობილი იყო როგორც „ჩონჩხების დამამზადებელი“. მას ისე უჭირდა კითხვებზე პასუხის გაცემა და ისეთ გრძელ პაუზებს აკეთებდა, რომ ბრალმდებელმა მიმართა:

— მე მესმის, რომ თქვენთვის ძალიან მძიმეა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ...

ახლა იყო ეს მძიმე, თორემ თავის დროზე ძალიან ამაყადაც გასცემდა პასუხს. თუმცა მარტო ზივერსი კი არა, საზოგადოება „ანენერბე'ში“ უამრავი გამოჩენილი პროფესორი იყო ჩაბმული. ისინიც ესესის ორგანიზაციაში ითვლებოდნენ და სიამოვნებით ადგენდნენ ადამიანთა ჩონჩხების კოლექციებს ან ცოცხალ ადამიანებზე ახდენდნენ ცდებს. მერედა, რა თანამდებობები ჰქონდათ! პროფესორი ბრანდტი იყო საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებათა გენერალური კომისარი, პროფესორი შპანერი — დანციგის ანატომიური ინსტიტუტის ადამიანთა ჩონჩხების დამზადების ლაბორატორიის გამგე. იყო აგრეთვე გვამების დამზადების განყოფილების გამგე. ჯერ კენინგსბერგში, ხოლო შემდეგ დანციგში დადგმული ჰქონდათ გილიოტინა. „გვამების დამამზადებლები“ ტუსაღს თავს აჭრიდნენ და ისე ინახავდნენ ლაბორატორიის საწყობში. ამის შემდეგ მაზური, ადამიანის ქონისაგან საპნის ხარშვის სპეციალისტი, რეცეპტის მიხედვით

უშვებდა საქონელს, რასაც დიდი გასავალი ჰქონდა. მაზურიც აქებდა თავის პროდუქციას, შესანიშნავი ხარისხის საპონი გამოდის ადამიანის ცხიმისაგანო...

აქ ერთხელ კიდევ უნდა შეგახსენოთ ბისმარკის სიტყვები:

— ერის კულტურა იმით გაიზომება, თუ რამდენ საპონს ხმარობს იგი.

ნეტავი იმას, ვინც მაზურის საპონის ხმარებით ამჟღავნებდა თავის კულტურას!.. მაზურისას, რომელიც ახლა მოწმის მაგიდასთან დგას და დაწვრილებით ყვება, თუ „როგორ ხდებოდა ეს". მერე ისიც თქვა, თვითონ როგორ ხმარობდა ოჯახში ამ საპონს, როგორც ხელის დასაბანად, ისე სარეცხად. ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებსაც მიჰქონდათ საპონიო, თქვა მან და თავიც მოიწონა: ამ საქმით, რამდენადაც ვიცი, მთავრობაც იყო დაინტერესებულიო და დაასახელა განათლების მინისტრი რუსტი, ჯანმრთელობის მინისტრი კონტი, დანციგის გაულაიტერი ფოსტერი და სხვები, რომლებიც გაეცვნენ ინსტიტუტში ადამიანის ქონისაგან საპნის ხარშვის ტექნიკას...

...მას შემდეგ, რაც ბრალდების მხარემ ასეთი საშინელი მასალები წარმოადგინა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ, ჯილბერტი დაინტერესდა, მოხდა თუ არა გარდატეხა მათ ფსიქიკაში ან თუ რამე შეიცვალა ჰიტლერთან დამოკიდებულებაში. ამ მიზნით მან ერთხელ კიდევ ჩამოიარა მათი „რეზიდენციები". რიბენტროპთან რომ შევიდა, უთხრა, ახლა ხომ დაინახეთ, ვინ იყო თქვენი ფიურერი?

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: თქვენ არ შეგიძლიათ გაიგოთ ჩემი ერთგულება ჰიტლერისადმი...

ჯ ი ლ ბ ე რ ტ ი: ამგვარმა ბრმა ერთგულებამ ჩაგაგდოთ ისეთ მდგომარეობაში, საიდანაც გამოსავალი ვერ გიპოვიათ. არ მესმის, ახლა მაინც რატომ არ გინდათ, გაწყვიტოთ კავშირი მასთან, როცა მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ ის მკვლელია?!

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: არა, ამერიკელებს არ გესმით ეს. გერმანელები მორჩილი ხალხია. ჩვენ ერთგულები ვართ. სხვები ვერ გაიგებენ ამას. მე რა უნდა მექნა.

ჯ ი ლ ბ ე რ ტ ი: მე მოვკლავდი მას!

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: აჰ, არა, მე ამას აზრადაც ვერ გავივლებდი. არც ვიზამდი!

ჯ ი ლ ბ ე რ ტ ი: რატომ, ეს ისე ხომ არ იქნებოდა, რომ „საკუთარი მამა“ მოგეკლათ?

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: დიახ, რაღაც ამის მსგავსი, რადგან იგი გერმანიის სიმბოლოდ იქცა...

რიბენტროპისათვის ჰიტლერი ისევ ის განგების მიერ მოვლენილი ღმერთ-კაცი იყო, რომელსაც პლასტიკური ფორმა უნდა მიეცა გერმანელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნებისათვის და ეხსნა ერი გაჭირვებისაგან.

აქ მას ვოლტერის სიტყვები შეახსენეს:

— ერი, რომლის ხსნა ერთ კაცს შეუძლია, მათრახის ღირსია!..

მათრახის ხსენება რიბენტროპს, რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა, მაგრამ არც ჭკუისთვის დაუტანებია ძალა, რომ ეს შეგონება გაეგო. იგი ისევ მუხლმოდრეკილი იყო თავისი ფიურერის წინაშე...

...ჯილბერტი ხშირად ეკითხებოდა მათ, ასე მონურად რატომ ასრულებდით ჰიტლერის დანაშაულებრივ განკარგულებებსო. ამაზე რიბენტროპმა უპასუხა:

— 1940 წელს რაღაც საკითხში წინააღმდეგობა რომ გავუწიე, მაშინვე ისტერიამ მოუარა, მერე კი სკამზე უღონოდ დავარდა და მითხრა: ხომ ხედავთ, რა მიქენით! გინდათ მომკლათ? მე ავადმყოფი კაცი ვარ, თქვენ კი უნდა დაღუპოთ გერმანია. მე ხომ ერთადერთი კაცი ვარ, რომელსაც შეუძლია ამ საშინელ დროს წინ გაუძღვეს ერს?!

ამის შემდეგ მე შევპირდი, რომ არასოდეს წინააღმდეგობას არ გავუწევდი მას...

პაპენიც ცდილობდა აეხსნა ჯილბერტისათვის, თუ დროზე რატომ არ ჩამოშორდა ჰიტლერს:

— რატომ? — თქვა მან, — რა მექნა! რას გავხდებოდი! უცხოეთში გაქცევა არ მინდოდა, ისე კი დამხვრეტდა. მერე

თურქეთში წავედი, მინდოდა, იმ კუთხეში მაინც შემენარჩუნებინა მშვიდობა.

ის კი არა, სულ იმას ცდილობდა, თურქეთი როგორმე ჩაება ომში და გერმანიის მოკავშირედ გაეხადა.

მარტო „პატარა ფუნკი“ ატირდა:

— შევცდი, თორემ 1938 წელს უნდა გადავმდგარიყავი. შევცდი... შევცდი... ახლა კი გვიანაა...

გერინგი კი ოდნავადაც არ იცვლიდა იერს. მართალია, დანაშაულის ფაქტებს აღიარებდა, მაგრამ ჰიტლერს მაინც არ ლანძღავდა. არც ის მოსწონდა, ჯილბერტი რომ სულ საკონცენტრაციო ბანაკებსა და ხოცვა-ჟლეტას ახსენებდა. ერთხელ სასადილოში ვიღაცამ თქვა, ხვალ პროცესზე რუსები ისევ საბრალდებო ფილმს უჩვენებენო. გერინგმა ხელი ჩაიქნია და წამოიძახა:

— ოჰ, ეს რუსები!..

რიბენტროპმა ნიშნის მოგებით მიმართა ჯილბერტს:

— არ გაგიგონიათ, ამერიკელებმა როგორ გაჟლიტეს ინდიელები? ისინიც ხომ დაბალი რასები იყვნენ? ან საკონცენტრაციო ბანაკები ვინ გახსნა პირველად? — ბრიტანელებმა, ბურებისათვის.

— მე ვნახე დახაუ, — წამოიწყო ჯილბერტმა. უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ გერინგმა შეაწყვეტინა:

— ეხ, ნუ გაგვიჭირე საქმე ამ რამდენიმე ათასი კაცის დახოცვით.

— აგრეთვე... — ისევ სცადა ჯილბერტმა საუბარში ჩარევა, მაგრამ გერინგმა მაინც არ ათქმევინა:

— ჰო, კარგი, კიდევ ერთი მატარებელი...

არც ჯილბერტი მოეშვა:

— კრემატორიუმები, საყასბოები, 6 მილიონი დახოცილი, როგორ არ შეძრწუნდებით!

არა, სულაც არ შეძრწუნებულან!.. ან რა შეაძრწუნებდათ „ნაწლევთა მჭამელთ კაცობრივთა ხორცთა... რამეთუ არა მისცა მათ უფალმან სინანული ცოდვათათვის...“

კვირას ისევ „წმინდა სამეულს“ უნდა შევხვედროდი, მაგრამ ლანდსბერგში ვიყავი მიწვეული და ეტიენს დავურეკე ამის შესახებ. თურმე, იმასაც მიუღია მიწვევა. მერე გამოირკვა, რომ ნამდვილი ექსკურსია ეწყობოდა ენდრიუსის „ზოოპარკის ფილიალში“. ჩვენს გარდა, ოცდაათამდე მსურველი აღმოჩენილა, მათ შორის ხუთი საბჭოთა დელეგაციიდან, მარკოვის ჩათვლით. ყველა დანიშნულ ადგილას შევიკრიბეთ. აქაც პოლკოვნიკი ენდრიუსი და მისი თანაშემწე ოფიცრები გვმასპინძლობდნენ. მსუბუქი მანქანები იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე საჭირო იყო. ეტიენი, ლიზელოტა და მე „BMW“-ში მოვთავსდით. შარლმა გამოგვიცხადა, თავს ცუდად ვგრძნობო და არ წამოვიდა. ლიზიმაც ერთხანს იყოყმანა, მაგრამ ბოლოს მაინც წამოსვლა გადაწყვიტა. მე და ის უკან დავჯექით, ეტიენი კი მძღოლთან. ორივენი საგზაოდ იყვნენ გამოწყობილნი. ლიზელოტას მამაკაცური შარვალი ჩაეცვა და უზარმაზარი შავი სათვალე გაეკეთებინა. მაშინ ეს უაღრესად ექსტრავაგანტურად გვეჩვენებოდა ყველას. ამერიკელი შოფერი ხანში შესული კაცი იყო. მთელი გზა ისე გაიარა, ხმა არ ამოუღია. თუ რამე მითითებას მიიღებდა, „ო, კეი!“ იტყოდა და განაგრძობდა გზას. ლიზიც ხანდახან თუ ჩაერეოდა ჩემსა და ეტიენის საუბარში, თორემ ისიც დუმდა. ეტიენს როგორღაც სულ დაავიწყდა თავისი „საკუთარი პრინციპები“ და თანამედროვე ფრანგ მწერლებზე ყვებოდა, თუ ვინ როგორ გაართვა თავი ომის სიძნელეებს, ხასიათისა და რწმენის სიმტკიცე გამოიჩინა თუ სულმდაბლობა. ბევრ მათგანს პირადად იცნობდა და კარგად იცოდა, ვინ როგორ იქცეოდა.

— ომი ხომ საშინელებაა, მაგრამ დიდი გამოცდაც, — თქვა მან, — ომის დროს ყველაფერი შიშვლდება და აშკარა ხდება. განსაცდელი საკუთარი სულის სარკის წინაშე აყენებს ადამიანს — ძლიერსაც და მხდალსაც. ვინც ამ გამოცდას დაიჭერს — ღირსეულია, ვინც არა — შერცხვენილი.

სამწუხაროდ, ფრანგ მწერალთაგან ბევრმა შეირცხვინა თავი. ზოგიერთ მათგანს მე პირადად ვიცნობდი. აი, თუნდაც ანრი მონტერლანს. ძალიან მიყვარდა მისი წიგნები. მიზიდავდა გმირების სულიერი სიმტკიცე, თავდადება. თურმე, ეს სულ მოჩვენებითი ყოფილა. თვითონ არც სულიერი სიმტკიცე აღმოაჩნდა და არც თავდადების უნარი...

ეტყობა, ლიზის უნდოდა შეეწყვიტა ეტიენის ეს მონოლოგი და ასეთი ირონიული კითხვა დაუსვა:

— საინტერესოა, ჟან-ჟაკ რუსო რომ მოხვედრილიყო გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში, როგორ მოიქცეოდა?..

ეტიენი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ ამ კითხვის აზრი მისი დაცინვა იყო, მაგრამ ეს ვითომ არც შეუმჩნევია. ისე კი საუბრის თემა ერთბაშად შეცვალა.

— მე ვიცი, რომ რუსოთი ჩემი გატაცება ირონიას იწვევს, — თქვა მან და ლიზის მოხედა, — თუმცა, კაცმა არ იცის, რატომ?! რუსოს მოძღვრების მთელი სიბრძნე ერთი წინადადებით შეიძლება გამოხატოს კაცმა: ყველა ადამიანი კეთილი იბადება, მაგრამ გარემო აქცევს მას ბოროტად. განა ეს ასე არ არის?

— ყველას ხომ არ აქცევს? — შევეხმიანე მე.

— მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა არ ვხვდებით სათანადო გარემოში, თორემ ჩვენც ისე მოვიქცეოდით, როგორც ისინი. შესაძლებელი რომ იყოს ნიურნბერგის საბრალდებო სკამზე მსხდომ დამნაშავეთა ხელახლა ბავშვებად გადაქცევა, მე მათგან ღირსეულ ადამიანებს გამოვიყვანდი...

ლიზის სიცილი წასკდა:

— როგორც მე. ბატონ პიგმალიონს უნდოდა, ჩემგან ღირსეული ლედი გამოეყვანა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა... მე ისევ ის უდაბნოს მახრჩობელა გველი ვარ...

ეტიენი მოიბუზა. ერთი კი მოიხედა და უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გაჩუმება არჩია. ლიზი კი ისე ბორგავდა და მოუსვენრობდა სავარძელზე, რომ მართლაც არ ჰგავდა „ღირსეულ ლედის“. ვერც მე ავუბი მხარი მათ საუბარს. არც

მქონდა ამის სურვილი. როცა მანქანით მიდიხარ უცხო მხარეში და ისიც ასე სწრაფად, როგორ შეგიძლია ამგვარ „მაღალ მატერიებზე“ ლაპარაკი, მთელი გულისყური იქითკენ გაქვს მიმართული, რომ საინტერესო რამეს შეავლო თვალი.

მე მუდამ თვალდამშეული მივყვები ხოლმე ასეთ გზებს. მინდა, ყველაფერი ვნახო, მეხსიერებაში აღვბეჭდო, მაგრამ გზებსა და პეიზაჟებს ცუდად ვიმახსოვრებ. რამდენიმე ხნის წინ, ეს გზა-მე ერთხელ უკვე გავიარე, როცა ზალცბურგსა და ავსტრიის ალპებში მივდიოდი კრუპის სანახავად, მაგრამ ჩემთვის მაინც ახალი სანახაობა იყო. ისიც მიხაროდა, ჩემს მაგივრად ლიზი რომ ეკამათებოდა ეტიენს. იგი მოუსვენრად იჯდა, აქეთ-იქით ტრიალებდა, ლაპარაკის დროს გამურულ სათვალეს ხან მოიძრობდა, ხან ისევ იკეთებდა, ტუჩებზე კი სულ ირონიული ღიმილი უთამაშებდა. საერთოდ, არ შეეძლო ირონიის გარეშე ლაპარაკი. თუ ხანდახან რამე რეპლიკას ვისროდი, ყურადღებას არ აქცევდა და ისევ თვითონ განაგრძობდა. ყველაფერს აბუჩად იგდებდა ან უარყოფდა. ცინიკურ აზრებს ისე უტიფრად გამოთქვამდა, რომ გამოცდილ მოპაექრეებსაც დააბნევდა. წესი ჰქონდა ასეთი: თუ ვინმე რამეს იტყოდა, იგი აუცილებლად საწინააღმდეგო პოზიციაზე დგებოდა. მე არ მახსოვს, როდისმე ვინმეს რამეში დათანხმებოდეს. არც ეტიენს. მართალია, „თავის ძვირფას შარლს“ ზოგჯერ კი უკრავდა კვერს, მაგრამ მის გესლიან ირონიაში უფრო წინააღმდეგობა იგრძნობოდა, ვიდრე თანხმობა. ეტყობოდა, ამ წინააღმდეგობაში სიამოვნებას ხედავდა, თორემ თავისთავად აზრი ან, როგორც თვითონ ამბობდა, „მკვდარი ჭეშმარიტება“, სულაც არ აინტერესებდა...

...მე ხშირად შევხვედრივარ უცხოეთში ასეთ ტიპებს. 20—25 წლის ასაკში მათ თავი ისე მოაქვთ, თითქოს მთელი ქვეყნის სიბრძნე შეეძინოთ და ყველაფრის უარყოფაც მოესწროთ. ასეთ ახალგაზრდებზე რომ ვფიქრობ, გოლსუორსის თეთრი მაიმუნის ალეგორია მაგონდება. მას ხელთ გამოწუწნილი ფორთოხლის ნაფცქვენები უჭირავს და უკმაყოფილო

თვალებით მისჩერებია მაყურებლებს, ნუთუ ეს არის ყველაფერიო.

ეს რომ ლიზელოტასთვის შემეხსენებინა, თვალებს ამომკაწრავდა, მაიმუნს შემადარეო. ისე კი, ყველაფრის ამაოებაზე რომ დაიწყო ლაპარაკი, მაინც შევაპარე:

— ეგ აზრები თქვენზე ბევრად ხანდაზმულები არიან, მადმუაზელ.

ეტიენს გაეცინა. ლიზი კი მართლაც გაბრაზდა, სათვალე მოიძრო, მონუსხული თვალებით შემომხედა და ვითომ სიტყვა მომიჭრა:

— უკაცრავად, ისინი უფრო ახალგაზრდებია, ვიდრე თქვენი ბანალური ჭეშმარიტებები...

— რატომ ბანალური? — მოგვიბრუნდა ეტიენი. ლიზიმ კი გაუტია:

— იმიტომ, რომ თქვენ ყველანი აღტაცებულნი ხართ ან აღშფოთებულნი. შეგიძლიათ იყვიროთ, იხმაუროთ, იმოქმედოთ, მაგრამ არ შეგიძლიათ იცხოვროთ უბრალოდ, იყოთ ის, რაცა ხართ, იარსებოთ ყოველგვარი აღტაცებისა და სასოწარკვეთის გარეშე, მხოლოდ საკუთარ გულისთქმას მიჰყვეთ და სხვებს თავი დაანებოთ, მკვდრებსაც და ცოცხლებსაც. სულ ვინმეს უპირისპირდებით, იღვწით, თავს ძალას ატანთ, გინდათ უკეთესად იყოთ, ვიდრე ხართ, ესაა თქვენი საზრუნავი.

— ვინ თქვენი, ვისზე ლაპარაკობთ? — შეეკითხა ისევ ეტიენი.

— ყველაზე, ვინც გულისამრევად კმაყოფილია, ვინც რამეს მიაღწევს და სახე გაუბრწყინდება. მე კი ეს არ მინდა. ამას მირჩევნია უკმაყოფილო ვიყო, მტკიოდეს რამე, მაწუხებდეს, მძულდეს, უარვყოფდე...

— მერედა, ვინ გიშლით ამას? — შევეკითხე მე.

— თქვენ, ვინც სიამოვნებისათვის იკლავთ თავს და გინდათ, ჩვენც აღტაცებულნი ვიყოთ. ბატონ ეტიენს სურს, რუსო მომწონდეს, შარლს — მისი ლექსები...

მერე მე შემომხედა და გაჩუმდა. ეტყობოდა, რაღაც „განსაკუთრებული“ უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა.

— მე? როგორ გგონიათ, მე რა მომწონს? — შეეკითხა ლიზი.

— თქვენ მარტო თქვენი თავი მოგწონთ, — მომიჭრა მან და სცადა ზურგი შეექცია...

— ლანძღვას რაღას გვემარიოლები, გეთაყვა, — გაიბუტა ეტიენი.

— განა მე ვილანძღები? — გაიკვირვა ლიზიმ, მაგრამ მაინც დაუმატა: — თუმცა, შესაძლებელია ასეც იყოს...

აქ ეტიენმა თავი ჩემსკენ გადმოწია და ვითომ რუსოს სიტყვებით „მანუგეშა“:

— კოლეგა, ნუ ვეცდებით ეშმარიტება ვუქადაგოთ იმათ, ვისაც ამის გაგება არ შეუძლია...

...მერე კარგა ხანი ისე ვიარეთ, რომ არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. მანქანა ისევ მიუნჰენის შოსეზე მიჰქროდა, მერე ოდნავ მარჯვნივ გადავუხვიეთ და რომელიღაც ქალაქში შევედით. გზის მაჩვენებელზე ეწერა: ინგოლშტადტი. რაღაც მდინარესაც მივადექით. ჩემდა სამარცხვინოდ, არც ვიცოდი, რა მდინარე გადიოდა იქ.

— ეს რა მდინარეა? — ვკითხე ეტიენს.

— დუნაი! — მითხრა მან.

გამეხარდა დიდი ხნის „ნაცნობ“ მდინარესთან შეხვედრა. საიდან სად არ მიედინება ის! ორი ათას რვაასზე მეტი კილომეტრით სერავს მთელ ევროპას. შვარცვალდის მთებიდან მოყოლებული, ჩაივლის გერმანიას, ავსტრიას, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს, იუგოსლავიას, ბულგარეთს, რუმინეთს, საბჭოთა კავშირს და შავ ზღვას ერთვის. გზადაგზა 34 დიდ სანაოსნო და კიდევ მრავალ პატარა მდინარეს ეერთებს. ეს სანაოსნო გზა შტოებიანად 5 ათასი კილომეტრის სიგრძეზეა გაჭიმული და ევროპის ერთ-ერთ უდიდეს არტერიად ითვლება. სად არ შევხვედრივარ მას! ვენაში, ბუდაპეშტში, ბელგრადში, ბრატისლავაში, ბრაილაში, იზმაილთან და სხვაგან. ახლაც ასე მოულოდნელად შევხვდი ინგოლშტადტში.

მანქანები გაჩერდა და დაღლილი მგზავრები გადმოვიდ-

ნენ. ეტყობოდა, ყველას ფიქრი ახლა ამ მდინარეს დასტრიალებდა. სანაპიროზე რომ გავედით, ლიზელოტამ არც ეს მდინარე დატოვა დაუგესლავი.

— რას არ მოიგონებენ ეს სულელი პოეტები! — თქვა მან, „ცისფერი დუნაიო“, სად არის ცისფერი? ამღვრეულია, თანაც ჭუჭყიანი...

— პოეტების წარმოდგენაშია ცისფერი. იმათ აქვთ ამის უფლება. მე შარლის ლექსები გადავიკითხე და მივხვდი, რას ნიშნავს მარიამ ღვთისმშობლის ალეგორია. ეს ისეა, როგორც „ცისფერი დუნაი“.

— ამით რა გინდათ თქვათ, — გაკაპასდა ლიზი და, ვიდრე იფეთქებდა, განზე გავდექი:

— არაფერი, მე მხოლოდ შარლის ლექსებზე მოგახსენებთ.

— აი, ასეთი ხართ თქვენ, მე ვიცი, რომ ასეთი ხართ!

— მაინც როგორი?

ისეთი გამომეტყველება მიიღო, შარლს რომ აშინებდა. მე უფრო გავუძელი ამას და გულგრილად შევხედე მის შინაგან ამბოხებას. ვიცოდი, რაღაც განსაკუთრებულად გესლიანი რამ უნდა ეთქვა, მაგრამ, ჩემდა მოულოდნელად, ისევ შეიკავა თავი, ტუჩებზე ღიმილი გამოესახა მხოლოდ და წყნარად თქვა:

— არ მინდა, ამ „ცისფერ დუნაისთან“ მოგაყენოთ შეურაცხყოფა.

— მადლობელი ვარ თქვენი „წყალობისა“-მეთქი, ვუპასუხე და პოლკოვნიკის ნიშანზე ისევ ჩავსხედით მანქანებში. სანამ დავიძვრებოდით, ოფიცერმა ყველა მანქანას ჩამოურბინა და იკითხა, მიუნჰენის გავლით გირჩევნიათ თუ პირდაპირ წავიდეთო. როგორც ჩანს, უმრავლესობამ მიუნჰენიდან ისურვა და ისევ ავტოსტრადაზე გამოვედით. ამით მანძილი ცოტათი გრძელდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ, უფრო კარგი გზით ვივლიდით, თანაც, შემთხვევა გვეძლეოდა, მიუნჰენი დაგვთვალიერებინა.

ეტიენი მოიქანცა მგზავრობით და მიყუჩდა. ახლა არც თავისი რუსო ახსოვდა და არც „ბუნების მარადიული ჭეშმა-

რიტება". იყო ნებივრად გადაწოლილი სავარძელში და თვლემდა. თითქოს მეც მომერია რული. ლიზელოტამ კი ჯერ გრძლად დაამთქნარა, მერე ფეხების გაჭიმვა სცადა, მაგრამ მანქანაში რომ ვერ გამართა, შოფრის სავარძლის ზურგზე ჩამოდო.

შემეშინდა, რამე უარესი არა ქნას-მეთქი, და მანქანის კუთხეში მივიყუჟე. იმას კი თავისი „ექსტრავაგანტური პოზით" არავითარი უხერხულობა არ უგრძვნია...

შოფერმა ერთი მოიხედა, გაიღიმა, თავისებურად „ო, კეი" წამოიძახა და გზა განაგრძო...

მეეზოვე ფელდმარშლები...

— აღარ მივედით იმ დასაქცევ მიუნჰენში? — ამოიდგა ენა ეტიენმა.

— მგონი, ახლა შევდივართ, — ვუთხარი მე, რადგან დავინახე, რომ წინ დიდი ქალაქი გამოჩნდა. მერე ერთხანს მიუნჰენის ქუჩებში ვიტრიალეთ და უზარმაზარი რუხი შენობის წინ გავჩერდით. გადმოვედით თუ არა, თვალში ლუდხანის რეკლამა გვეცა. ამერიკელებს უყვართ ასეთი სიურპრიზები. პირდაპირ იმ ყავისფერ ბარში მიგვიყვანეს, სადაც ნაცისტები თავიანთ „ისტორიულ შეკრებებს" აწყობდნენ. აქ, ამ ლუდხანაში, იკრიბებოდნენ ჰიტლერი, გერინგი, ჰესი და მათი თანამოაბჯრენი. აქ სახავდნენ მოქმედების გეგმებს. აქვე მომზადდა ცნობილი „მიუნჰენის პუტჩი". ჩვენ კი ასევე სახელგანთქმული „მიუნჰენის ლუდი" მივირთვით და ისევ გზას გავუდექით. ქალაქის დათვალიერება ახლაც ვერ შევძელი.

შემდეგი გზა უფრო მომქანცველი იყო. ავტოსტრადა გვერდზე დაგვრჩა და ჩვენი მანქანების კოლონა ასფალტმოსხმულ, მაგრამ ძლიერ დაზიანებულ გზას მიუყვებოდა. ეტიენს ნერვიულობა დაეტყო. ერთხანს რაღაცას ბუზღუნებდა, მერე კი ისევ ძილი მოერია. ლიზელოტამ ახლა სარკმელჩაწეულ კარზე ჩამოაწყო ფეხები და კიდევ უფრო შემავიწროვა...

შოფერმა ისევ ალმაცერად გადმოხედა მას და გაიღიმა. მერე თვალი ჩამიკრა და წამოიძახა:

— ო, კეი!..

...რამდენიმე ხნის შემდეგ, ეტიენმა თვალი გაახილა, მაგრამ მაინც მიხვეულ-მოხვეული გზა რომ დაინახა, ხელი უნებურად ჩაიქნია და უნდოდა ძილი განეგრძო. მე კი გზისმაჩვენებელს მოვკარი თვალი: „ლანდსბერგი 5 კილომეტრი“.

— მოვსულვართ და ესაა, — გავახარე ეტიენი.

— მადლობა ღმერთს! — გაეხარდა მას. ლიზიც გასწორდა. მერე რაღაც მდინარეზე გადებული ხიდი გადავიარეთ და უზარმაზარ რკინის კარებს მივადექით. ამერიკელი ოფიცრები დატრიალდნენ და ავტოების მთელი კოლონა ეზოში შეუშვეს. მანქანებიდან გადმოვედით თუ არა, წინ ადგილობრივი ოფიცრები შეგვხვდნენ. ურთიერთმისალმებისა და გაცნობის შემდეგ, პირდაპირ ბანაკის დასათვალიერებლად გავემართეთ, მაგრამ ამ დროს ციხის უფროსი მოვიდა და მიმართულება შეგვიცვალა. მერე თვითონ წაგვიძღვა წინ, სადღაც მივუხვიეთ, მოვუხვიეთ, გრძელ ნაცრისფერ სახლში შევედით და უფროსის კაბინეტში აღმოვჩნდით. ჯერ საუბარი ჩაგვიტარა. აგვიხსნა ის, რაც ისედაც ვიცოდით, რომ ეს ციხე ისტორიულია, აქ იჯდა ჰიტლერი, შემდეგ ისინი აქ თავიანთ მოწინააღმდეგეებს ამწყვდევდნენ. ახლა კი დრო ისევ შეტრიალდა და კვლავ ჰიტლერელებს მივუჩინეთ აქ ბინაო...

— ეს, უმთავრესად, სამხედრო დამნაშავეების ციხეა, — განაგრძო მან, —ჩვენი პაციენტები არიან ყოფილი ვეერმახტის უმაღლესი ოფიცრობა, ყოფილი გენერლები და ფელდმარშლები, არიან მინისტრებიც, მსხვილი მრეწველები, ერთი სიტყვით, მარტო ნიურნბერგის ციხეს შეუძლია ამ მხრივ კონკურენცია გაგვიწიოს.

— მე უფრო თვალსაჩინო პაციენტები მყავს, — ჩამოართვა სიტყვა პოლკოვნიკმა ენდრიუსმა, — თუმცა არც შენი ზოოპარკია ღარიბი, — ეს რომ თქვა, ისე გულიანად გაიცინა, ჩემს გვერდით მდგომ ლიზელოტას გააჟრჟოლა:

—რა უხარია ამ უბედურს, — გადმომილაპარაკა მან, — თუ ჰგონია, რომ თვითონ რომელიმე მათგანზე უკეთესია.

მე ამაზე არაფერი მითქვამს. ციხის უფროსი კი განაგრძობდა:

— ბანაკი ოთხი კორპუსისაგან შედგება. კორპუსები ჯვრის ფორმითაა განლაგებული და აღინიშნება ასოებით: A, B, C, D. კორპუსებს შორის მაღალი კოშკია სათვალთვალოდ. ყოველი კორპუსი ოთხსართულიანია. ოთხივე სართული რკინის შიდა აივნებითა და კიბეებითაა შეერთებული. სართულები აღნიშნულია ციფრებით: 1, 2, 3, 4. საკნებიც დანომრილია: 1, 2... 10, 20, 36... 79 და ა. შ. საჭირო საკნის დროზე მოსაძებნად სპეციალური აღნიშვნები გვაქვს. ვთქვათ, გვინდა მოვძებნოთ A კორპუსი, მესამე სართული, მეოცე საკანი. ეს ასე იწერება: A_3—20. ყველაზე საშიში დამნაშავენი, რომელთაც, ალბათ, სიკვდილი ელით, A კორპუსში არიან მოთავსებულნი. იმათთვის უფრო მკაცრი რეჟიმია დაწესებული, სხვები მუშაობენ. წოდების მიხედვით განსხვავება არ არის. მხოლოდ ფელდმარშლებს ვათავისუფლებთ მძიმე სამუშაოებისაგან. ისინი ახლა ცოცხითა და ჩვრებით გვყავს შეიარაღებული, რომ საკნებსა და დერეფნებში სისუფთავე დაიცვან. გენერლებს კარტოფილს ვაფცქვნევინებთ ან სხვა, შედარებით იოლ სამუშაოს ვაძლევთ, დანარჩენები ციხესთან არსებულ სახელოსნოებში მუშაობენ.

— ხომ ხედავთ, რა ჰუმანისტები არიან ეს ამერიკელები,— მიჩურჩულა ისევ ლიზიმ, — ყველა პატიმარს თავისი სამუშაო აქვს. ისინი უზრუნველყოფილი არიან საჭირო ინვენტარით: ფელდმარშლები—ცოცხებითა და ჩვრებით, გენერლები — კარტოფილის საფცქვნელი დანებით. მეტი რა უნდათ, უწინ კუდიან დედაბრებს ხატავდნენ ცოცხებით, ეხლა შეუძლიათ, ფელდმარშლები წარმოგვიდგინონ ასე...

მე ისევ გაჩუმება ვარჩიე, ციხის უფროსი კი თანდათან შედიოდა თავისი „ზოოპარკის“ აღწერის ეშხში:

— უმრავლესობას ცალკე საკანი აქვს დათმობილი, კარებზე გაკრულია ფირფიტა წარწერით, თუ ვის ეკუთვნის ის. ეს თქვენ თვითონ შეგიძლიათ ნახოთ, დანარჩენს გამყო-

ლები აგიხსნიან. ახლა კი, გთხოვთ გვეწვიოთ, — როგორც იქნა, დაამთავრა მან და მეზობელ დარბაზში შეგვიძღვა, სადაც უზარმაზარი მაგიდა იყო გაშლილი. პირველი სადღეგრძელო — გამარჯვებისა და მოკავშირეთა მეგობრობისა — თვითონ თქვა, მერე ჩვენ მოგვმართა: მე პირველად ვხედავ აქ რუს ოფიცრებს, ამიტომ განსაკუთრებით თქვენი სადღეგრძელო მინდა დავლიო, — თქვა მან, სასმისი გამოცალა, ჩვენთან მოვიდა და სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი...

...ნახევარი საათის შემდეგ ისევ ეზოში გამოვედით. მცირე ჯგუფებად დავიყავით და „ზოოპარკის“ დათვალიერებას შევუდექით. ყოველ ჯგუფს თითო გამყოლი ჰყავდა. პირველად „პრივილეგირებულ“ ფელდმარშლებს შევხვდით ეზოში. ერთი დაბალი იყო, ქერა, კურატივით ჩასუქებული, ტუსაღის ფორმა ეცვა, ზურგზე რაღაც ნომერი ეკერა, ხელში ცოცხი ეჭირა და ეზოს გვიდა.

ძლივს ვიცანი, მილჰი იყო. მე იგი ნიურნბერგშიც მყავდა ნანახი დაკითხვის დროს, მაგრამ ტუსაღის ტანისამოსით და ცოცხით ხელში, მართლაც, ძნელი საცნობი იყო.

— ეს ღორი — ავიაციის ფელდმარშალი მილჰია, — თქვა გამყოლმა და თითი მოურიდებლად მისკენ გაიშვირა. მილჰმა თავი უხერხულად იგრძნო და ცოცხი ზურგს უკან დამალა.

— აჰა, — იწყება და ისიამოვნეთ, — წამჩურჩულა ლიზამ.

— ფელდმარშალი კიუჰლერი, — ახლა მილჰის მეზობელს ატაკა თითი გამყოლმა.

კიუჰლერმა მისი კოლეგის მაგალითს მიბაძა და ცოცხი ხეს შიაყუდა. ექსკურსანტები ფელდმარშლებს მიესალმნენ. კიუჰლერმა თავი დაგვიკრა. მილჰმა მხოლოდ გაიღიმა.

მერე მარჯვნით შევუხვიეთ და ისევ ვიღაც პატიმარს წავაწყდით.

— სალამი, ბატონო მინისტრო, — დასცინა გამყოლმა ოფიცერმა.

— სალამი, — მიუგო მან და გვერდზე გადგა.

—ჰიტლერის — ფინანსთა, ხოლო დენიცის — საგარეო საქმეთა მინისტრი, გრაფი შვერინ ფონ კროზიკი!.. — რატომღაც

ხაზგასმული ტონით წარმოთქვა მან. გრაფმა უკან-უკან დაიხია და ხეივანში მიიმალა.

— ასეთებს კიდევ ბევრს ნახავთ, — გაგვახარა გამყოლმა.

— რაღა გიჭირთ! — მოგვაგონა ლიზელოტამ.

მერე ერთხანს დერეფანში ვიარეთ. ყველგან იდეალური სისუფთავე იყო.

— ეს სულ გენერლების მიერაა დაკრიალებული, — თქვა გამყოლმა. კარებზე მართლაც წარწერები იყო. ბევრი მათგანის გვარი ადრეც გამეგონა ომის დროს: იოდლის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი ვერლიმონტი, გენერალ-პოლკოვნიკი გოტი, გენერალ-პოლკოვნიკი ზელმუტი, ჰიტლერის ერთ-ერთი საყვარელი გენერალი რაინჰარდი. აქვე იყო ესესელთა ცნობილი დივიზიის „ადოლფ ჰიტლერის“ მეთაური, გენერალ-პოლკოვნიკი ზეპ-დიტრიხი. სადღაც თვალი მოვკარი წარწერას: „ა. კრუპი“ და გამახსენდა, ბლიუნბახში გუსტავ კრუპის მეუღლემ — ბერტამ რომ მკითხა, ხომ არ იცით, სად არის ჩემი შვილიო. აქ არ შევხვდი მას?! მერე სახელოსნოებში წაგვიყვანეს და გერმანული გენერალიტეტის ნარჩენები გაგვაცნეს. არც ის გამორჩათ ეჩვენებინათ, თუ როგორ ფცქვნიდნენ ყოფილი გენერლები კარტოფილს.

მარკოვმა მართლა გაიხარა:

— „მუნდირიანი კარტოფილი“ გამიგონია, მაგრამ უმუნდიროო გენერლები რომ კარტოფილს მუნდირს აძრობენ, ეს რაღაც ახალია ჩემთვის...

მერე, ის იყო, ბიბლიოთეკაში შეგვიყვანეს და ფელდმარშალი ლისტი გაგვაცნეს...

ხანგრძლივი სიკვდილი...

მე ისიც გიამბეთ, სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანის რადიოფიცირებული ადგილი რომ გვაჩვენეს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. უფრო გვიან პეტერსჰაგენის წიგნიდან გავიგე, რომ სიკვდილმისჯილი კიდევ დიდხანს რჩებოდა ამქვეყნად, ვიდრე „სიცოცხლის ტვირთისაგან“ გაათავისუფ-

ლებდნენ. ზოგიერთი მათგანი 2—3 წელიწადი უცდიდა თავის რიგს და ამ ხნის განმავლობაში, ვინ იცის, რამდენჯერ ეთხოვებოდა ოჯახის წევრებს. გამყოლი ამბობდა:

— ვინმეს სიკვდილს რომ მიუსჯიან, არ უცხადებენ განაჩენს სისრულეში როდის მოიყვანენ. ისინიც იცდიან. ზოგჯერ გამოიყვანენ ციხიდან, სახრჩობელასთან დააყენებენ, მარყუჟშიც გააყოფინებენ თავს, მაგრამ ეტყვიან, შეგვეშალა, ჯერ შენი რიგი არ მოსულაო და ისევ აბრუნებენ სასიკვდილო საკანში...

ეს, თურმე, თვეობითა და წლობით გრძელდებოდა. ვითომ ასეთი დანაშაულისათვის სწრაფი სიკვდილი საკმარისი არ არისო.

— ეს რა, სიკვდილით დასჯის ამერიკული წესია? — იკითხა ვიღაცამ.

— არა, გერმანული, — მიუგო მშვიდად გამყოლმა, სიკვდილის ხანგრძლივობა მათი მოგონილია.

მე ვიცი, ჰიტლერელები რომ უარესს სჩადიოდნენ. რა შედარებაა! ისინი „არტისტული სისასტიკის“ ნამდვილი ოსტატები იყვნენ და ყოველი მათგანის სინდისს ათასი თუ ათეული ათასი ადამიანის სიცოცხლე აწვა, მაგრამ ამას როგორღაც მივეჩვიე. მესმის, ამის თქმაც რომ უხერხულია, თუმცა ფაქტია: იმ ხუთი წლის განმავლობაში იმდენი საშინელება ვნახე და გავიგონე, რომ ცნობა ჰიტლერელების მიერ ბავშვების, ქალებისა და მოხუცების მასობრივი ჟლეტის შესახებ, უკვე აღარც იწვევდა გაოცებას ან განსაკუთრებულ ნერვულ დაძაბულობას. ასეა, კაცი, თურმე, ყველაფერს ეჩვევა. ჰიტლერელებმა მკვლელობა მართლაც თავგადასავლად და გართობის საგნად აქციეს, „სიკვდილი პიანოც“ მათი მოგონილია, მაგრამ ამ საშინელი ომის დამთავრების შემდეგ თუ ისევ ასეთი „გართობა“ და „სანახაობა“ განმეორდებოდა, ეს კი მართლაც არ მეგონა. ამან ჩემზე შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ნუთუ ამერიკელ ოფიცრებსა და გერმანელ მანდილოსნებს ისევ მოუნდათ ამგვარი სანახაობით გართობა?! ან ოკეანის გაღმა, ვაშინგტონში ვინ ისურვა რადიოში მოესმინა ის, რაც გამყოლმა გვიამბო? ვინ უსმენდა

მაგნიტოფონის ფირზე ამ ჩანაწერებს? ან მკვლელობის ეს გახანგრძლივება რისთვის მოიგონეს? იმათი სიკვდილით დასჯა აუცილებელია, ვინც ეს დაიმსახურა, მაგრამ დამსჯელი ხომ უნდა იცავდეს რამე ნორმას, რაც თვით მას არ გახდის დამნაშავედ?

საშინლად აფორიაქებული დავბრუნდი ციხის უფროსის რეზიდენციაში და ვინანე, რომ წამოვედი. ეტიენიც გაოგნებული იყო. ჩაფიქრებული მოვიდა ჩემთან და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ყოჩაღ, შარლ, ჩვენს შორის შენ ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მიიღე...

... გამყოლს რომ რადიოფიცირებული სასაკლაოსა და ხანგრძლივი სიკვდილის ამბავი არ მოეყოლა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა, — თქვა ეტიენმა. ახლა კი რაღაც შინაგანი ზიზღი ვიგრძენი „ამერიკელი კოლეგებისადმი". მაღიზიანებს მათი ზედმეტი უდარდელობა, ლაპარაკის თავაშვებული ტონი, სიტუაციისათვის შეუფერებელი მხიარულება.

— ხედავთ, რა კმაყოფილნი არიან! ეს არის კმაყოფილების ფასი, — არ მომეშვა ლიზელოტა. როგორღაც თავი შევიკავე. მხედავდა, რომ ვღიზიანდებოდი და უხაროდა. თან იმას ცდილობდა, ცეცხლზე ნავთი დაესხა:

— განა თქვენ კმაყოფილი არა ხართ?!

მე ზურგი შევაქციე და ისევ მარკოვთან მივედი. არც ის ჩანდა აღტაცებული.

— არ უნდა წამოვსულიყავით, — თქვა მან უბრალოდ.

— რატომ? საინტერესოა, ადამიანმა ყველაფერი უნდა ნახოს, — ვითომ დავამშვიდე მე და დავუმატე:

— ამაზე უარესი არ გვინახავს თუ?!.

— უარესი როგორ არ გვინახავს, მაგრამ მეგონა, ამგვარ საზიზღრობას ბოლო მოეღო. თურმე ისევ არ იწყება?! იმან გამაგიჟა, გერმანელი ქალბატონები ახლაც რომ უყურებენ სიკვდილით დასჯის სცენებს.

—კაცობრიობის საშველი არც ყოფილა და არც იქნე-

ბა! — ასეთი კომენტარი გაუკეთა ეტიენმა ამერიკელი ოფიცრის მონაყოლს...

... ციხის უფროსმა სადილზე მიგვიწვია. ჩემს სიცოცხლეში ქელეხში არ ვყოფილვარ. ალბათ, არც არასოდეს წავალ. იმ დღეს კი ისეთი განწყობილება მქონდა, თითქოს ქელეხში ვმჯდარიყავი. საჭმელზე, ცხადია, პირი არ დამიკარებია, სასმელს კი მივეძალე, მაგრამ რამდენიც არ დავლიე, არ მომეკიდა. ეტყობოდა, მარკოვიც ამ დღეში იყო.

— ეხ, ნეტავი ჩემი „ნუტრიმენტუმ სპირიტუსი“ მომცა აქ! — ინატრა მან...

...როგორც იქნა, წამოვედით. უკვე ბინდდებოდა. ეტიენი ისევ მძღოლთან დაჯდა. ერთი ჭიქა დავლიე და თავი მიბრუისო, თქვა. ლიზელოტასაც მოკიდებოდა ღვინო, მაგრამ არ იმჩნევდა. კარგა ხანი გაჩუმებული ვიყავით, საკუთარ ფიქრებში გახვეული. მე ეს მიხაროდა, რადგან ახლა ვერც ეტიენის ფილოსოფიას ავიტანდი და ვერც ლიზელოტას გესლიან შენიშვნებს...

... — გინდათ, ზღაპარი მოგიყვეთ? — თქვა მოულოდნელად ლიზიმ.

— რის ზღაპარი! ხომ არ გაგიჟდი, ზღაპრის თავი მაქვს? — ხომ ხედავ, თვალებს ძლივს ვახელ! — გაბრაზდა ეტიენი.

— არ გინდათ და... ნუ გინდათ, — გაიბუტა ლიზი. მერე, უცებ შეტრიალდა, ფეხებით მანქანის კუთხეში მიმაჭეჭყა და მოკუნტული დაწვა სავარძელზე, ძილისთვის ემზადებოდა, მაგრამ კარგად ვერ მოეწყო. ერთხანს იბორგა, ხან აქეთ შეტრიალდა, ხან იქით და, როგორც იქნა, უფრო მოხერხებული მდგომარეობა შეირჩია...

ცხადია, ჩემი „სასიცოცხლო სივრცის“ ხარჯზე...

... დიდხანს, დიდხანს ვიმგზავრეთ ასე... უმთვარო ღამე იყო და გარშემო ბნელოდა. მხოლოდ ფართო ავტოსტრადა იყო მანქანების ფარებით განათებული...

ო, ღამეე, ბნელო ღამეე, — მომაგონდა იმ ყანჩა პარუმ-ბაკუს წამოძახილი ჩიშმიჯიუს პარკში. მერე ისევ უთავბოლო ფიქრებს მივყევი, მაგრამ ძილის ბურანმა ჩქარა მეც ჩამითრია... თითქოს რაღაც ბნელ უფსკრულში ჩავიძირე და...

თვალი მხოლოდ მაშინ გავახილე, როცა ნიურნბერგს მივუახლოვდით...

მეოთხე მხარე...

მერე ისევ დაძაბული მუშაობა: პროცესი, დოკუმენტების ჩხრეკა, თარგმნა... სხვა რომ არაფერი, თვალები ჩაგვიწყალდა დოკუმენტების ამდენი კირკიტით. გარდა ამისა, ყოველივე ეს მართლაც, კენჭების წუწნას ჰგავდა. ზოგი უკმაყოფილებასაც გამოთქვამდა, ბრალდებლები სულ ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიანო. მგონი, აღარც ბრალდებულებს სიამოვნებდათ ეს „სიკვდილის ხანგრძლივობა". ისინი 20 ნოემბრიდან 13 მარტამდე, თითქმის ხუთი თვე, ისე ისხდნენ პროცესზე, რომ, წესდების თანახმად, ხმის ამოღების უფლება არ ჰქონდათ. არც ბრალდებისა და არც დაცვის მხარეს არ შეეძლო მათთვის რამე კითხვის მიცემა. ბრალდებულებს მხოლოდ თავიანთი ვექილების საშუალებით ეძლეოდათ უფლება, რამე განცხადებით მიეპართათ ტრიბუნალისათვის. ამას სხვაზე უფრო მტკივნეულად გერინგი განიცდიდა. იმ დღეს იგი ისე იყო აღელვებული, რომ ვახშამზეც უარი თქვა და ჯილბერტს შესჩივლა:

— ერთი წელია ციხეში ვზივარ, ხუთი თვე პროცესზე ვარ და თევზივით ისე მაქვს წყლით პირი სავსე, რომ ხმაც არ ამომიღიაო.

ახლა კი, ამ ხუთი თვის შემდეგ, მათ პირველად ეძლეოდათ პროცესზე „ხმის ამოღების" უფლება. ამისთვის ისინი გულმოდგინედ ემზადებოდნენ. გერინგი ძველებურად იქადდა, მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ავიღებ, ამას ვიზამ, იმას ვიზამო. შახტი აცხადებდა, რამდენიმე წინადადე-

ბით დავარღვევ მთელ მათ ბრალდებასო. შირახი და შპეერი ამბობდნენ, ყველაფერს ვიტყვითო. ასე გასინჯეთ, ფრანკიც ამას აპირებდა. სამხედროები გერინგს მისჩერებოდნენ, როგორ მოიქცევაო. სხვები უფრო სკეპტიკურად უყურებდნენ ყოფილი რაიხსმარშლის „ჰეროიკულ პოზას“. გერინგი მაინც აპირებდა მაგალითი მიეცა სხვებისთვის. ფუნკი და ფრიჩე უფრო ინდიფერენტულად იყვნენ განწყობილნი.

— გერინგი და შახტი გმირული პიროვნებები არიან, მე კი ასეთი ძალა არა მაქვსო, — თქვა პატარა ფუნკმა. ჰესმა და ფრიკმა საერთოდ უარი განაცხადეს რამე ჩვენების მიცემაზე...

... 18 მარტიდან დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა და, როგორც იქნა, „თევზებიც“ ალაპარაკდნენ. ისინი გამოჰყავდათ რიგრიგობით, იმისდა მიხედვით, რომელ საბრალდებო სკამზე ისხდნენ.

პირველი გერინგი გამოიძახეს. მართალია, იგი ამბობდა, პირველ ნომრად რომ ვზივარ, ეს იმას არ ნიშნავს, პირველი ნომერი დამნაშავე ვარო, მაგრამ, როგორც ჩანდა, მას ეს „პირველობაც“ ეამაყებოდა. ამიტომ, მოუხმეს თუ არა, მძიმედ წამოდგა, დარბაზი გაიარა და მოწმეთა დაბალ ტრიბუნასთან დაჯდა. მის უკან ორი ხელკეტმომარჯვებული სამხედრო პოლიციელი დადგა. დოკუმენტების გაუთავებელი წარდგენით მოქანცული დარბაზი ერთბაშად გამოცოცხლდა. იმ დღეს არც ერთი სავარძელი არ იყო თავისუფალი. კორესპონდენტების იარუსი ისე იყო გაჭედილი, რომ ვიღაცეები ფეხზეც კი იდგნენ. ენაკვიმატები ამბობდნენ, ეს თეატრალურ პრემიერას ჰგავსო. განწყობილება მართლაც „საპრემიერო“ იყო. სტუმართა შორის ისევ გაჩნდნენ ლორნეტებიანი მანდილოსნები. ყველა რაღაც სენსაციას მოელოდა და ღელავდა. ყველას ყურადღება ყოფილი რაიხსმარშლის იმპოზანტური ფიგურისკენ იყო მიპყრობილი. მართალია, ნიურნბერგის ციხეში მან 70 გირვანქა დაიკლო წონაში, მაგრამ „სქელი ჰერმანი“ მაინც წარმოსადეგად გამოიყურებოდა...

... დაკითხვა ჯეკსონმა დაიწყო. ბრალდებულს თავი ამაყად და გამომწვევად ეჭირა. ჯეკსონს კი ჩვეულებრივზე უფრო კუშტი სახე ჰქონდა. ეტყობოდა, ისიც ღელავდა, რადგან იცოდა, რომ უკომპრომისო ,ორთაბრძოლა მოელოდა. ამიტომაც ჯიქურ შეუტია გერინგს:

— შესაძლებელია, თქვენ შეგნებული გაქვთ, რომ ერთადერთი ადამიანი ხართ ცოცხლად დარჩენილთა შორის, რომელსაც შეუძლია დაწვრილებით მოყვეს ნაცისტური პარტიის ნამდვილი მიზნებისა და ხელმძღვანელობის შინაპარტიული მუშაობის შესახებ.

— დიახ, ეს მე კარგად მაქვს შეგნებული, — განაცხადა გერინგმა და უცებ ამოიდგა ენა...

ტრიბუნალის წესდების მიხედვით, ყოველ მათგანს შეეძლო თავის საქმეზე გამოსულიყო როგორც მოწმე. ფრიკისა და ჰესის გარდა, ყველამ ისარგებლა ამ უფლებით, განსაკუთრებით კი გერინგმა. ასეთ შემთხვევაში დაკითხვას, ცხადია, დამცველები იწყებდნენ, შემდეგ კი ბრალმდებლებიც ერეოდნენ. ამასთან, ბრალდებულებს უფლება ჰქონდათ, მხოლოდ დასმულ კითხვებზე გაეცათ პასუხი. გერინგი და მისი დამცველი შტამერი წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი, რაც შეიძლება ვრცლად გაეცათ პასუხი დასმულ კითხვებზე. საქმე ის არის, რომ ტრიბუნალის წესდებაში ბრალდებულთათვის რეგლამენტი არ განუსაზღვრავთ. ამით ისარგებლა გერინგმა და 15 საათი ილაპარაკა: პირველ დღეს — 5, მეორეს — 6, მესამეს — 3. ვიღაცამ დათვალა, 54 ათასი სიტყვა თქვაო. ლოურენსმა ლაპარაკი არ შეაწყვეტინა. გერინგსაც ეს უნდოდა და ყველაფერი თქვა, რაც საჭიროდ მიაჩნდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ნაციონალ-სოციალისტური გერმანიისა და ყველა ბრალდებულის სახელით გამოდიოდა. ფრიჩე წერს თავის მემუარებში:

— იქ, სადაც ბრალდება მხოლოდ დანაშაულს ხედავდა, გერინგმა საქმის მეორე მხარეც წარმოადგინა, რითაც სხვებსაც უჩვენა მაგალითი, თუ როგორ უნდა დაეცვათ თავი.

რიბენტროპი, როზენბერგი, შტრაიხერი და ჰესი, მართლაც, მის „ხაზს მიჰყვებოდნენ", ჩვენი დანაშაული გერმა-

ნელი ხალხის წინაშე მხოლოდ ის არის, რომ ომი წავაგეთო.

ყოველი მათგანი იმ „მეორე მხარეს“ ებღაუჭებოდა და ჩადენილი დანაშაულის გამამართლებელ მოდუსს ეძებდა. ამიტომ იყო, რომ გერინგმა ასე დიდხანს ილაპარაკა „ვერსალით გაუბედურებულ“ გერმანიაზე.

— მსოფლიოს არ ესმოდა გერმანიის გაჭირვება, — თქვა მან, — არავინ არ დაეხმარა მას, ამიტომ თვითონ სცადა ეშველა თავის თავისთვის და მივიდა კატასტროფამდე. ყოველივე ამის პასუხისმგებლობა პროცესის წინაშე თვითონ გერინგმა იკისრა.

— ფიურერი ადოლფ ჰიტლერი მკვდარია, — თქვა მან, მეორე კაცი მე ვიყავი გერმანიაში. ამიტომაც ვაცხადებ თავს ყველაფრის პასუხისმგებლად. ჩემი მისწრაფება იყო...

აქ იგი გააჩერა ლოურენსმა:

— ასეთი განცხადებები საჭირო არ არის. ტრიბუნალი ისედაც კარგად არჩევს ერთმანეთისაგან ფორმალურსა და ფაქტიურ პასუხისმგებლობას იმ ბრძანებებზე, რაც თქვენს მიერ იქნა გამოცემული...

მიუხედავად ამ შენიშვნისა, გერინგი მაინც თავის „ხაზს“ გაჰყვა:

— მე თავს პასუხისმგებლად ვთვლი ყველაფერზე, რაც გავაკეთე: მზადება ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, სახელმწიფოს ისე განმტკიცება, რომ ყოფილიყო დიდი და თავისუფალი. მე ბევრი ვეცადე, ომი ამეცდინა, მაგრამ რაკი ის დაიწყო, მოვალეობა მიკარნახებდა ყველაფერი გამეკეთებინა, რათა მოგვეგო კიდეც.

ლოურენსი იძულებული გახდა, ისევ ჩარეულიყო:

— ყოველივე ეს ჩვენ ერთხელ უკვე მოვისმინეთ. აღარ გვსურს განმეორება.

გერინგი მაინც ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, ვრცლად გაეცა პასუხი ბრალმდებლის კითხვებზე და, არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, განაგრძობდა ნაცისტური პოლიტიკის პროპაგანდას. იგი ისე დალაგებით და მჭევრმეტყველურად ლაპარაკობდა, რომ ამბობდნენ, იმ დღეს გერინგს

მორფი ჰქონდა მიღებული და გონება გაუნათდაო. საბრძოლო განწყობილებაზეც ჩანდა. ზოგჯერ აგრესიულადაც იქცეოდა. ამან შთაბეჭდილება მოახდინა. დასავლეთის პრესა ელვის სისწრაფით გამოეხმაურა ამ ამბებს. წერდნენ: ლოურენსიც კი მოექცა გერინგის გავლენის ქვეშ და ნება მისცა, 15 საათი ელაპარაკაო.

სხვებმა თქვეს, გერინგი ნამდვილი აქტიორია კარგ სპექტაკლშიო.

— გერინგის დაკითხვა კლასიკური დრამის დადგმას ჰგავსო.

სენსაციების მოყვარული ყვითელი პრესა აჰყვა ამ აჟიოტაჟს. ამერიკის მოუთმენელმა „ასოშიეიტედ პრესმა" დაავალა თავის კორესპონდენტს, ორი სიტყვით გადმოეცა პირველი შთაბეჭდილება გერინგის გამოსვლაზე.

—Very clever! („ძალიან ჭკვიანური") — იყო მისი პასუხი. ამის შესახებ გერინგმაც შეიტყო და დიდად ნასიამოვნები დარჩა. ჟურნალისტების ერთი ნაწილი ვარაუდობდა, გერინგს შეგნებული აქვს, სიკვდილი რომ არ ასცდება და ამიტომაც გამოდის ასე გაბედულადო. სხვები, პირიქით, ამბობდნენ, შთაბეჭდილების მოხდენა უნდა, ვინ იცის, იქნებ დასავლეთის სახელმწიფოებმა არ გამწირონო. ბრალდებულები და მათი დამცველები სახეგაბრწყინებულნი მისჩერებოდნენ თავიანთ „კაპრალს". ამბობდნენ, გერინგი ასე ძლიერი არასოდეს ყოფილაო. ის კი ორატორობდა, ხელებს იქნევდა. ლოურენსი ძლივს აწყნარებდა დარბაზს. პრესა კი განგაშს ტეხდა, გერინგი წარმართავს პროცესსო. იმასაც წერდნენ, დამცველ შტამერს თვითონ მისი დასაცავისაგან დასჭირდა დაცვაო. ამგვარმა აჟიოტაჟმა ერთგვარი ნერვული ატმოსფერო შექმნა პროცესზე. ასე გასინჯეთ, ჟურნალისტებს შორისაც გამოუჩნდნენ გერინგს თაყვანისმცემლები. ისინი ჯეკსონს „ზედმეტ სიმკაცრეს" უსაყვედურებდნენ. ჯეკსონი, მართლაც, ამბობდა:

— ჩვენ ეს პროცესი ძალიან მკაცრ პირობებში უნდა ჩავატაროთ, თორემ დაგვცინებენო.

ამას რომ ამბობდა, მე ის ლაიფციგელი გვარდიის გენე-

რალი გამახსენდა, წინასწარვე რომ დაგვცინოდა, რას ელოლიავებით ამდენს „იმ ღორიშვილებსო“...

ორთაბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა. ჯეკსონმა ზედიზედ მიაყარა კითხვები რემის „პუტჩის“, ებრაელთა ხოცვაჟლეტის, ხელოვნების განძების მითვისების შესახებ...

გერინგი არ ღელავდა. დასმულ კითხვებზე ბუნდოვან პასუხებს იძლეოდა. თავი ისევ გამომწვევად ეჭირა. რამე საკითხზე რომ იწყებდა ლაპარაკს, წინასწარვე უგულებელყოფდა ნათქვამის საწინააღმდეგო საბუთებს:

— ალბათ, ასეთი ქაღალდიც გიდევთ სადმე ამ რამდენიმე ტონა საბრალდებო მასალებშიო.

იგი ირონიულად უყურებდა ჯეკსონს, რომელიც „ზომაზე მეტად“ ღელავდა. მან რამდენჯერმე უადგილო გამოთქმაც იხმარა, რაზედაც ლოურენსის შენიშვნა დაიმსახურა. კორესპონდენტები ამბობდნენ, პირველი ათი წუთის ბატონ-პატრონი გერინგია და არა ჯეკსონიო. ეს უფრო ანერვიულებდა ამერიკელს. იგი ბრალდებულისაგან მოითხოვდა უფრო მოკლე პასუხს მის მიერ დასმულ კითხვებზე. ეს ყველაზე როდი ახდენდა კარგ შთაბეჭდილებას... მეორე დღეს დასავლეთის გაზეთებმა მსხვილი ასოებით გამოაცხადეს:

...პირველი რაუნდი მოიგო ნაცი ნომერ მეორემ...

...ჯეკსონი გონგმა იხსნა...

...ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ გერინგმა საყელო დაუჭირა ჯეკსონს და თავის ნებაზე დაატარებს...

ერთმა გაზეთმა ისიც იკადრა, რომ გამოაცხადა:

...გერინგმა გაამაიმუნა ჯეკსონი...

წერდნენ, ჯეკსონმა ცუდად იცის უახლესი ისტორია, იგი სწორად არ იყენებს დოკუმენტებსო და სხვა...

უარესის მოლოდინი...

სხდომა რომ დამთავრდა, ბრალდებულები შემოეხვივნენ გერინგს, ულოცავდნენ „ბრწყინვალე გამოსვლას“. ისე ჩანდა, რომ „კაპრალი“ გერინგი კვლავ ჩაუდგა სათავეში თავის უკა-

ნასკნელ ოცეულს. მან ისევ მოიგო ბრალდებულთა უმრავლესობის გული...

სხდომის განახლებისთანავე ჯეკსონმა სთხოვა ტრიბუნალს, აეძულებინა ბრალდებული, მოკლე პასუხები გაეცა დასმულ კითხვებზე.

— ვრცელი ახსნა-განმარტებები ბრალდებულს შეუძლია შემოინახოს იმ დროისათვის, როცა მას დამცველი დაჰკითხავს, — თქვა მან. ლოურენსმა არ დააკმაყოფილა ჯეკსონის თხოვნა. მაშინ იგი შეეკითხა გერინგს 1935 წლის საყოველთაო მობილიზაციისა და რაინის რემილიტარიზაციის შესახებ. გერინგს გასამართლებელი არაფერი ჰქონდა, მაგრამ მაინც არ დაიბნა. მან ნაცად ხერხს მიმართა და ჯეკსონს შეედავა: სწორი თარგმანი არ არისო.

— ო, არა, — თქვა მან, — Vorbereitung der Befreihung და Vorbereitung der Freimachung des Rheins სხვადასხვაა.

სიტყვას ბანზე აგდებდა, თორემ „Befreihung"-სა და „Freimachung"-ს შორის რომ თითქმის არავითარი სხვაობა არ არის, განა თვითონ არ იცოდა?! მიუხედავად ამისა, მაინც ამტკიცებდა:

— პირველ შემთხვევაში რაინის ოლქის გათავისუფლება იგულისხმება, მეორე შემთხვევაში კი რაინის სამხედრო გემებისაგან გათავისუფლება. ასეც რომ ყოფილიყო, რა მნიშვნელობა ჰქონდა სიტყვების ამ თამაშს! რაინის ოლქის რემილიტარიზაცია ხომ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს კი ასეთმა ხერხმა შთაბეჭდილება შეუქმნა, თითქოს „გერინგმა გამოიჭირა ჯეკსონი"...

ასევე: როცა ჯეკსონმა ჰკითხა საყოველთაო მობილიზაციის ს ა ი დ უ მ ლ ო დ ჩატარების შესახებ, გერინგმა გაოცებული სახე მიიღო და უპასუხა:

— მე არც ის გამიგონია, რომ ამერიკამ თავისი ჯარების მობილიზაციის შესახებ წინასწარ ცნობები დაუგზავნა სხვა ქვეყნებს...

აქაც სიტყვის ბანზე აგდების იგივე ხერხი იხმარა, თორემ გერინგისთვის განა ცხადი არ იყო ამ ორი მოვლენის

სხვადასხვაობა? გერმანიას საყოველთაო მობილიზაცია საერთაშორისო ხელშეკრულებით ჰქონდა აკრძალული, ამერიკას კი არა...

კიდევ რამდენიმე ასეთი პასუხი და, ჯეკსონს ისევ უღალატა ნერვებმა, ქაღალდები და ყურმილი მაგიდაზე დაახეთქა და დაკითხვა შეწყვიტა...

ამის გამო დასავლეთის პრესა ისევ ახმაურდა, აქაოდა, გერინგმა დაამარცხა ჯეკსონიო. ეს კიდევ უფრო ანერვიულებდა ისეთ გამოცდილ იურისტს, როგორიც ჯეკსონი იყო. მას ბრძოლა არ წაუგია, ამას თვითონ გერინგიც გრძნობდა. იგი არც ისეთ „საზეიმო ხასიათზე“ იყო, როგორც დასავლეთელი ჟურნალისტები წერდნენ. მეორე სხდომის დამთავრების შემდეგ თქვა კიდეც:

— ჯერ საქმე არ დამთავრებულა. ისეთი განწყობილება მაქვს, თითქოს უღრან ტყეში შევდიოდე და ყოველ ხესთან ვიღაც მყავდეს ჩასაფრებული...

გერინგი, რა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ წინ დიდი უსიამოვნება ელოდა: საბჭოთა ბრალმდებელთან შეხვედრა. თუმცა თავს იმშვიდებდა, ვარჯიშობდა. მუყაოს ქაღალდზე მსხვილი ასოებით წერდა: „ნელა“, „პაუზა“, „სიმშვიდე“, „მოთმინებიდან არ გამოხვიდე“ და სხვ.

როცა ლაპარაკობდა, ეს „შეგონებები“ წინ ედო...

...მესამე დღეს ჯეკსონი ისევ აღელდა და ერთხელ კიდევ სთხოვა ტრიბუნალს, შეეზღუდა გერინგი.

— ყველაფერი ეს კინკლაობად იქცევა, — თქვა მან, — შეერთებული შტატები კი სულ სხვას მოელის ჩემგან. ტრიბუნალი კარგავს კონტროლს საქმეთა მიმდინარეობაზე, როცა ამდენ უფლებას აძლევს ბრალდებულს. ჩვენ იძულებული ვართ, პასუხი იმის შემდეგ გავცეთ, როცა იგი თავის პროპაგანდისტულ სიტყვას ამთავრებს. ამასობაში პროპაგანდის მიზანი მიღწეულია...

ამაზე ლოურენსმა მიუგო:

— მე ვფიქრობ, რომ თქვენ ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებთ ბრალდებულის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს... ამერიკა

თავისი ჯარების მობილიზაციის შესახებ წინასწარ განაცხადებს თუ არა, ამას პროცესისათვის მნიშვნელობა არა აქვს. უმჯობესია, ასეთი განცხადებები უგულებელყოთ...

ჯეკსონი ვერც ამ რჩევამ დააკმაყოფილა:

— ბოდიშს ვიხდი ტრიბუნალის წინაშე, რომ ასე დაჟინებით მოვითხოვ ამას, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

ლოურენსი მაინც გაჯიუტდა:

— არასოდეს არ მსმენია, — გაიკვირვა მან, — ბრალდების წარმომადგენელი, ჯვარედინი დაკითხვის დროს, თავს ვალდებულად თვლიდეს, უპასუხოს ბრალდებულის მიერ უსაბუთოდ წარმოთქმულ სიტყვებს... ბრალდებულს უფლება აქვს, განმარტება მისცეს ტრიბუნალს და არ შემოიფარგლოს „ჰოს“ ან „არას“ პასუხით.

— მე, რა თქმა უნდა, ვემორჩილები ტრიბუნალის გადაწყვეტილებას, — განაცხადა ჯეკსონმა.

...ამგვარმა ინციდენტმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთნი ამბობდნენ, ბრალდებულის სიტყვები თუ რამეთი არ აბათილებს წაყენებულ ბრალდებას, ეს ზედმეტად აპიანურებს პროცესსო. სხვებს მიაჩნდათ, ბრალდებულის შეზღუდვა ცუდად იქნება გაგებულიო. ჯეკსონი კი ისე ნერვიულობდა, რომ ერთხელ დარბაზიც კი დატოვა დემონსტრაციულად. შეიძლება ეს იმის ბრალი იყო, რომ პრესა სულ მის „ჩავარდნასა“ და გერინგის „გამარჯვებაზე“ წერდა. ამის შესახებ ჯეკსონმა უსაყვედურა კიდეც კორესპონდენტებს პრესკონფერენციაზე, რაზედაც მათ მხოლოდ მხრები აიჩეჩეს...

...როგორც ჩანს, ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის გარეთაც ღელავდნენ. „Entlöwen sie Goering!“ („ჩამოგლიჯეთ ლომის ნიღაბი გერინგს!“) — მოითხოვდნენ „გარეშე პირები“, მათ შორის გერმანელებიც. ასეც ხდებოდა. რამდენადმე დამშვიდებულმა ჯეკსონმა უამრავი მამხილებელი საბუთი წარუდგინა გერინგს. მერე ებრაელთა ჟლეტის საკითხზეც გადავიდა და იმ „ლომმაც“ უკლო ლაპარაკს. ახლა იგი თავისივე სურვილით იძლეოდა უფრო მოკლე პასუხებს, ხოლო როცა სათქ-

მელი არაფერი ჰქონდა, ამბობდა: ამის პასუხისმგებლობას მე ვიღებო, თუმცა დანაშაულის აღიარებას მაინც ერიდებოდა.

აქ მას ჯეკსონმა ებრაელთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტის შესახებ არსებული ბრძანება დაუდო წინ და შეეკითხა:

— ამ დოკუმენტს ხომ თქვენი ხელისმოწერა აქვს?

გერინგმა დაადასტურა ეს, მაგრამ... ისევ „არაზუსტი" თარგმანი: რა უნდა იყოს „Uollendung" თუ „Ergänzung". ჯეკსონმა უკვე იცოდა ეს ფანდი. ამიტომ აღარ გაბრაზებულა, პირიქით, თქვენს შენიშვნას ვიღებო, უთხრა და განაგრძო დოკუმენტების წარდგენა. გერინგი მაინც კამათობდა, — ასე არ არისო და კითხულობდა ორიგინალს:

— აქ „Gesammtlösung" უნდა იყოს, და არა „Endlösung", — თქვა მან და თან ისეთი გამარჯვებული სახე მიიღო, თითქოს ესეც ერთი და იგივე არ ყოფილიყო. გერინგს კი მაინცდამაინც უნდოდა ეჩვენებინა, რომ ამ დოკუმენტის თარგმანი გაყალბებულია და თვითონ განაგრძო მისი კითხვა, მაგრამ რამდენიმე წინადადების შემდეგ წაიბორძიკა... თითქოს ენა დაება... აქ უკვე „Endlösung" ეწერა და არა „Gesammtlösung"...

დარბაზში სიცილი ატყდა. ლოურენსმა ხის ჩაქუჩი დაჰკრა მაგიდას და სიწყნარისაკენ მოუწოდა... ამის შემდეგ გერინგიც მოეშვა თარგმანის სიზუსტის საკითხს და იმაზე გადავიდა, თუ რა იგულისხმებოდა ამ „Endlösung"-ში...

ჯეკსონმა სწორედ აქ მიატანა თავის „მსხვერპლს" ვიწროში. მართალია, დახოცილ ებრაელთა რაოდენობაზე გერინგმა თქვა, მეეჭვება, რომ ექვსი მილიონი ყოფილიყო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. არც იმას ჰქონდა აზრი, თავის ფიურერსაც რომ წმენდდა ნამუსს, ასეთ ციფრებზე მას წარმოდგენაც არ ჰქონდაო. საერთოდ, გერინგი არ უარყოფდა ებრაელების დახოცვის ფაქტს, მაგრამ ასეთი მასშტაბით თუ ხდებოდა ეს, მიახლოვებითაც არ ვიცოდიო, — ამბობდა.

უკვე ჯეკსონმაც „ისწავლა ჭკუა" და, რაკი ეს საკითხი სრულიად ნათელი იყო, ამაზე მეტი აღარ შეჩერებულა, მხოლოდ ის ჰკითხა გერინგს:

— ებრაელობის საკითხში თქვენზე რადიკალურად ვინ მიგაჩნიათ?

— გებელსი და ჰიმლერი, — უპასუხა მან.

კრისტალის ღამე...

არც სხვა დოკუმენტები იყო გერინგისათვის სასიამოვნო. მით უმეტეს, ბრძანება „კრისტალის ღამის“ შესახებ. მართალია, ამ ბრძანებას გებელსი აწერდა ხელს, მაგრამ მის განხორციელებას გერინგი ხელმძღვანელობდა. 1938 წლის 12 ნოემბერს მან სპეციალური თათბირიც მოიწვია ამ საკითხზე და კონკრეტული დავალებები მისცა ებრაელთა სინაგოგების დაწვის, მაღაზიების დარბევისა და „ფასეულობათა დაცვის“ შესახებ. ამ თათბირის სტენოგრაფიული ანგარიში ჯეკსონმა წარუდგინა ტრიბუნალს. ასლი გერინგსაც დაუდო წინ. თათბირს ესწრებოდნენ: გებელსი, ფუნკი, ფრიკი, ფონ კროზიგი, ჰაიდრიხი, დალიუგე და ჰიმლერის რამდენიმე უახლოესი თანამშრომელი. ტონის მიმცემი, ცხადია, გერინგი იყო. მან გააცნო თათბირის მონაწილეებს ჰიტლერის დავალება „ებრაელთა საკითხის ცენტრალიზებული „გადაწყვეტის“ შესახებ. აქედან დაიწყო ამ „საქმის“ საბოლოო მოგვარება (Endlösung). ახლა რაღაც გადამწყვეტი მოხდებაო, განაცხადა გერინგმა. მისი აზრით, შეცდომა იყო, როცა ებრაელთა მაღაზიებს ცეცხლს უკიდებდნენ და წვავდნენ ყველაფერს. ის ნივთები, ტანისამოსი, ფეხსაცმელები ჩვენს ხალხს სჭირდებაო. იგი გააცოფა ცნობამ, რომ ბერლინში, უნტერ დენ ლინდენზე მდიდარი ებრაელის საიუველირო მაღაზია დაარბიეს და მილიონ შვიდასი ათასი რაიხსმარკის ძვირფასი ნივთები დაიტაცეს.

— ჰაიდრიხ და დალიუგე! თქვენ უნდა მომიძებნოთ ეს ნივთები. მოაწყვეთ გრანდიოზული დაპატიმრებები! — იყვირა გერინგმა.

ოქმში შეტანილია მისი სიტყვები:

— მე მირჩევნია, ორას ებრაელს გაუჭეჭყოთ თავი, ვიდრე მითხრათ, ესა და ეს ძვირფასი ნივთი დაიკარგაო.

— ზუსტად ასე წერია, ხომ? — ჩაეკითხა ჯეკსონი.

— დიახ, ასე წერია, — მიუგო გერინგმა. ჯეკსონის სახეზე ათამაშებულმა ღიმილმა შეწყვიტა ეს დიალოგიც. სათქმელი, მართლაც, არაფერი იყო! არც გერინგს სიამოვნებდა ამის მოსმენა. ისედაც ნათლად ჩანდა, რომ იმ საშინელ „კრისტალის ღამეს“ გერინგი ხელმძღვანელობდა. მანვე შეაწერა ებრაელებს ერთი მილიარდი რაიხსმარკი ჯარიმა, პარიზში ვიღაც ებრაელი სტუდენტის მიერ გერმანელი დიპლომატის მოკვლის გამო.

— მე ისე შევადგენ ბრძანების ტექსტს, — თქვა მან, — რომ ყველა გერმანელ ებრაელს ამ საზიზღარი დანაშაულის გამო დაედება ერთი მილიარდი მარკა კონტრიბუცია. ეს გააღატაკებს მათ და ის ღორები მეორედ არ ჩაიდენენ ამგვარ მკვლელობას...

აქ გერინგმა ისეთი დრაკონული ზომები დასახა, რომ თვითონვე წამოიძახა:

— გარდა ამისა, მინდა კიდევ გითხრათ რაღაც: მე არ ვისურვებდი, ვყოფილიყავი ებრაელი გერმანიაში...

ყველაფერი, მართლაც, ნათელი იყო, მაგრამ ჯეკსონი მაინც არ მოეშვა ამ საკითხს და ერთხელ კიდევ რომ ახსენა „კრისტალის ღამე“, გაბრაზებულმა გერინგმა ყურმილი ჩამოიგლიჯა და იყვირა:

— ისევ იმას უბრუნდებით, რაზედაც უკვე ვილაპარაკეთ?!

...კმაყოფილმა ჯეკსონმა შეწყვიტა გერინგის დაკითხვა, მაგრამ მის ნაცვლად უარესი გამოვიდა: დევიდ მაქსუელ-ფაიფი. ჯეკსონმა, მართლაც, უფრო ზერელედ იცოდა წარსადგენი დოკუმენტის შინაარსი. ეს მაქსუელ-ფაიფი კი პირდაპირ რჯულამდე მიჰყვებოდა საკითხებს და მზესავით ნათელს ხდიდა ყველაფერს. ამით ტრიბუნალის სიმპათიაც დაიმსახურა. მაქსუელ-ფაიფი, მგონი, ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც ტრიბუნალის წევრები და მთავარი ბრალმდებლები მხოლოდ სახელით მიმართავდნენ: სერ დევიდ!

როცა საკითხი 50 ინგლისელი ტყვე მფრინავის დახოცვას

შეეხო, გერინგი განზე გადგა, — იმ დროს შვებულებაში ვიყავი და არაფერი ვიცი. „სერ დევიდმა“ კი დაუმტკიცა, რომ არც შვებულებაში იყო მაშინ და არამცთუ იცოდა ყველაფერი, არამედ თვითონაც მონაწილეობდა „ამ ჭუჭყიან საქმეში“. გერინგს ისღა დარჩა, რომ გაეწირა „თავისი“ ფიურერი:

— ეს პირადად ჰიტლერის ბრძანება იყო, — თქვა მან.

მაქსუელ-ფაიფი მაინც არ მოეშვა და ათქმევინა, რომ თვითონაც მონაწილეობდა მასში.

— მე ვფიქრობ, რომ თქვენი პასუხი უნდა იყოს „დიახ!“ — უკარნახა მან.

— მე ვამბობ, დიახ!

— ყველაფერი უფრო სწრაფად მოხდებოდა, რომ თავიდანვე გეთქვათ ეს „დიახ“, გაიგეთ?

გაგებით კი გაიგო, მაგრამ საქმეს რას უშველიდა. ისე, უნდა გითხრათ, რომ ინგლისელი თავმჯდომარე ლოურენსი და ინგლისელი ბრალმდებელი მაქსუელ-ფაიფი ზედმეტ ყურადღებას აქცევდნენ 50 ინგლისელი მფრინავის დახვრეტას, უფრო დიდს, ვიდრე ასიათასობით საბჭოთა სამხედრო ტყვეების დახოცვას. როცა ამ საკითხს იხილავდნენ, ლოურენსი ისე აღელდა, რომ ამ შემთხვევაში თავის თავსაც გადააჭარბა და მისთვის უჩვეულო, უხეში რეპლიკა წამოიძახა:

— გერინგი ტყუის!..

მაქსუელ-ფაიფმა იმითაც „შეურაცხყო“ ყოფილი რაიხსმარშალი, რომ ერთხელ კიდევ თქვა: „თქვენი მეგობარი ჰიმლერიო“.

აქ კი გაცეცხლდა გერინგი და იყვირა:

— მე გითხარით, ნუ უწოდებთ მას ჩემს მეგობარს!..

მაქსუელ-ფაიფი ოდნავადაც არ აღელვებულა, ისე დაუდო წინ მისი პირადი წერილები, სადაც იგი წერდა ყოფილ რაიხსფიურერს: „ჩემო მეგობარო ჰიმლერ!“ ისიც მოაგონეს, ირმებზე სანადიროდ რომ ეპატიჟებოდა „იმ უხსენებელ ჰიმლერს“ ან საქართველოში თამბაქოსა და გერანის ერთად მოშენებაზე რომ თათბირობდნენ. გერინგი ხშირად იღებდა მდიდრულ საჩუქრებს ჰიმლერისაგან. ამ საჩუქრების წყაროც ხომ თავისთავად ცხადი იყო...

მერე ისე მიაქეჭყეს კედელზე თავისივე ხელმოწერილი დოკუმენტებით, რომ სულ „დიახ, დიახო“ აძახებინეს. მთავარი კი ჯერ წინ იყო: გერინგის დაკითხვას შეუდგა საბჭოთა ბრალმდებელი რუდენკო...

დათვის ტყავი...

გერინგი არ უარყოფდა, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომზადებაში რომ იღებდა მონაწილეობას და დაპყრობილი ტერიტორიების რაიხთან შეერთებაზე რომ მსჯელობდნენ. დავა მხოლოდ იმან გამოიწვია, თუ რა ფარგლებში უნდა მომხდარიყო ეს. გერინგმა თქვა, რომ ამგვარი „ფარგლები“ ომის შემდეგ უნდა დაგვედგინაო.

რ უ დ ე ნ კ ო: თქვენ ამაზე პრინციპში პროტესტი არ განგიცხადებიათ?

გ ე რ ი ნ გ ი: პრინციპში არა, მაგრამ მე ძველი მონადირე ვარ და ვიცავ წესს: დათვის ტყავი იმის შემდეგ უნდა გაანაწილო, როცა მას მოჰკლავ.

რ უ დ ე ნ კ ო: თქვენ ეს ტყავი უნდა დაგეყოთ, როცა მთელ ტერიტორიებს დაიპყრობდით?

გ ე რ ი ნ გ ი: როგორ უნდა მომხდარიყო ეს, იმისდა მიხედვით უნდა გადაგვეწყვიტა, თუ რა ღირებულების იქნებოდა ტყავი.

რ უ დ ე ნ კ ო: საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა.

გ ე რ ი ნ გ ი: საბედნიეროდ, თქვენთვის.

ეს ირონიული „საუბარი“ მაშინ გამწვავდა, როცა საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების ძარცვის საკითხი დაისვა. რუდენკომ შეახსენა გერინგს მის მიერვე წარმოთქმული სიტყვები:

— უწინ ამას ძარცვას უწოდებდნენ, ახლა უფრო ჰუმანური ტერმინებია შერჩეული, მაგრამ მე მირჩევნია, ისევ „ძარცვა“ (Plünder) ვთქვა. თქვენ დაგეშილი ძაღლებივით უნდა იყოთ და სხვა, რაც თქვენ უკვე იცით.

რ უ დ ე ნ კ ო: თქვენ ხომ არ უარყოფთ, რომ სწორედ ასე თქვით?

გ ე რ ი ნ გ ი: არა, მე სრულიადაც არ უარვყოფ ამას.

მერე ისევ იმ 5—10 თუ 50—100 მძევლის დახვრეტაზე მიდგა საქმე. გერინგმა ეს მეორედ შეახოცა ჰიტლერს ხელი: ნოლები იმან მიუმატაო.

რუდენკომ ისე ნელ-ნელა „გააძრო ტყავი" გერინგს, რომ ლოურენსმა შენიშნა:

—არ არის საჭირო ასე დაწვრილებით დაკითხვა. საბუთები თავისთავად მეტყველებენ.

რუდენკო დაეთანხმა მას.

დასავლეთის პრესა აღნიშნავდა: რუდენკოს მიერ დაკითხვის შემდეგ ოფლში გაღვრილი გერინგი ძლივს მილასლასდა თავის სკამამდეო. ბრალდებულებსაც გაუქრათ პირველი აღტაცება. ისინი ისევ დასცინოდნენ იმ „სქვლ ჰერმანს". შპეერი ლანძღავდა კიდეც:

— ახლა რაღას მოაქვს თავი! თუ ასე ერთგული იყო ფიურერისა, კრიტიკულ მომენტში რატომ მასთან არ დარჩა ბერლინში?! განსაკუთრებით მის „ჭუჭყიან საქმეებსა" და სიხარბეს ქირდავდნენ. გერინგს სრულებითაც არ უნდოდა ამაზე ყოფილიყო ლაპარაკი, მაგრამ ბრალმდებლებმა და მოწმეებმა ყველაფერი გაუხსენეს: ოქროს ფილებით მოპირკეთებული აბაზანები, ოქროს სახელურები კარ-ფანჯრებზე, ძვირფასი ქვებით მოჭედილი სანდლები, ბეჭდები ყველა თითზე, უნიკალური სურათების კოლექცია და, ვინ იცის, კიდევ რა! გერინგის მთელი გულისყური იქითკენ იყო მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი და იაფად მოეხვეჭა. ამ მხრივ იგი ყველა თავის კოლეგას აჭარბებდა.

კბილის მატლი...

მთავართაგან უმთავრეს სამხედრო დამნაშავე გერინგთან ბრძოლის შემდეგ ბრალმდებლები უკვე ისეთი ინტერესით აღარ ეკიდებოდნენ სხვების დაკითხვას. ეს გასაგებია. ისედაც ყველაფერი ცხადი იყო. საბრალდებო აქტში აღ-

ნიშნული ფაქტები დადასტურდა და ხომ არ შეიძლებოდა, მათ დიდი ენთუზიაზმით ემტკიცებინათ, რომ ორჯერ ორი ოთხია. ამიტომ დანარჩენების დაკითხვებში დამცველები უფრო აქტიურობდნენ, ვიდრე ბრალმდებლები.

რაკი ნომერ მეორე ბრალდებულმა ჰესმა არ ისურვა „ამ კომედიაში“ მონაწილეობის მიღება, გერინგის შემდეგ რიბენტროპი დაკითხეს. მთელი თავისი პატიმრობის მანძილზე იგი გულმოდგინედ ემზადებოდა ამ დღისათვის, თან ისეთი ფრთხილი იყო, რომ დაკითხვის დროს თუ რამე „სახიფათო საქმეს“ მიუახლოვდებოდა, მაშინვე უკან დგამდა ფეხს, დასმულ კითხვებზე მიკიბულ-მოკიბულ პასუხებს იძლეოდა და ერთხელ ნათქვამს ათჯერ უბრუნდებოდა. ამასთან, ისე ტკეპნით ლაპარაკობდა, რომ ლოურენსს ჩაეძინა. ბიდლმა ხელი გაჰკრა მას და გააღვიძა. მერე გერინგმაც ჩათვლიმა და ნანობდა, მგონი რაღაც ჩემთვის საინტერესო გამომრჩაო. კაცმა რომ თქვას, არც რიბენტროპი იყო კმაყოფილი თავისი გამოსვლით.

— არ ვიცი, რა მემართება, — შესჩივლა მან ჯილბერტს დაკითხვის შემდეგ, — სიტყვებს ვერ ვპოულობ, წინადადებებს ვერ ვადგენ. მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ ფრანკს მაინც არ უნდა ეთქვა, გერმანელები მთელი ათასი წლის განმავლობაში ღირსებააყრილი იქნებიანო, არც ის, ებრაელების მასობრივი გაჟლეტის ბრძანება ჰიტლერმა გასცაო...

აქ ჯილბერტმა ისევ იმაზე ჩამოაგდო სიტყვა, თუ როგორ ხდებოდა ეს, მაგრამ რიბენტროპმა შეაწყვეტინა:

— გაჩუმდით, ღვთის გულისათვის, გაჩუმდით, მე არ შემიძლია ამის მოსმენა.

მერე ენა დაება და ბორძიკით განაგრძო:

— რო... როდის მოხდა ეს? 1941 წელს?.. 41... 41... 41 წელს? ნამდვილად ჰიტლერმა გასცა ბრძანება ამის შესახებ? ეს დამტკიცებულია? 41 წელს ივი ბავშვთა დელეგაციებს იღებდა... ეალერსებოდა... ეს რაღაც ფანტასტიკური სიგიჟეა... მაშ, ახლა არავის ეეჭვება, რომ ეს ბრძანება ჰიტლერმა გასცა? იქნებ ჰიმლერმა? ან იქნებ უფრო გვიან მოხდა ეს? მაგრამ 41 წელს?! 41 წელს!. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!..

ვიდრე მაიდანეკის ამბავი არ გამომჟღავნდა, მე არაფერი ვიცოდი ამის შესახებ... ო, ღმერთო მაღალო!..

თუ რიბენტროპმა „არაფერი იცოდა ამის შესახებ“, მაშინ უნგრეთის რეგენტ ხორტისაგან როგორ მოითხოვდა ებრაელთა საკითხის „საბოლოო გადაწყვეტის“ დაჩქარებას ან ასეთ მითითებას როგორ აძლევდა იტალიის ბერლინელ ელჩს:

— ბანდები უნდა გაჟლიტოთ, ამასთან, ბანდის წევრებად უნდა ჩათვალოთ ქალებიცა და ბავშვებიც!..

... ბატონი რიბენტროპი ნაწყენიც იყო. დაკითხვის დროს იმპერიის საგარეო პოლიტიკაზე კი არა, ებრაელების საკითხსა და რაღაც „კრიმინალურ წვრილმანებზე“ რომ აწუხებდნენ. აბა, რა იქნებოდა, როცა თავდაცვის მთავარ მოდუსად მან აირჩია თეზა: გერმანიის საგარეო პოლიტიკას თვითონ ჰიტლერი განაგებდა, მე კი არაფერს მეკითხებოდაო. არც ბრალმდებლები იჩენდნენ მისი დიპლომატიური მოღვაწეობისადმი დიდ ინტერესს. უფრო მეტად ის აინტერესებდათ, ტრიბუნალისათვის ეჩვენებინათ, თუ სისხლის სამართლის რა დანაშაული ჰქონდა პირადად მას ჩადენილი. აქ კი ყველაფერი გაუხსენეს. ისიც, უნგრეთის გარდა, გერმანიის სხვა სატელიტ სახელმწიფოებისაგანაც რომ დაჟინებით მოითხოვდა ებრაელთა საკითხის „საბოლოო გადაწყვეტას“.

— გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა, ებრაელები სისხლის სამართლის დამნაშავეებს გაუთანაბროს და ჩამოართვას მთელი ქონება...

ეს სწორედ იმ რიბენტროპის სიტყვებია, რომელიც პროტესტს აცხადებდა:

— მე არასოდეს არ ვყოფილვარ ანტისემიტი და რატომ უნდათ, ასეთად გამომიყვანონო. ის კი არა, ბრალმდებლები ისე „დაწვრილმანდნენ“, რომ არკვევდნენ, საიდან შეიძინა რიბენტროპმა ამდენი სასახლე. ამისთვის იმ მართლაც „კბილის მატლმა“ მაქსუელ-ფაიფმა მოწმედ რიბენტროპის ახლო თანამშრომელი შმიდტი გამოიძახა და ასეთი დიალოგი გაუმართა:

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: რიბენტროპს, ვიდრე პოლიტიკურ მოღვაწეობას დაიწყებდა, სახლი ჰქონდა ბერლინ-დალემში, თუ რა ვცდები, ლენცალეე, ნომერ 19-ში. ასეა, არა?

შ მ ი დ ტ ი: დიახ, ასეა.

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: მერე, როცა საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, ჰქონდა თუ არა ექვსი სახლი? თუ თქვენ ეს არ გახსოვთ, ნება მიბოძეთ, დავეხმარო თქვენს მეხსიერებას: 1. სახლი ზონენბურგში 750 ჰექტარი მამულით და გოლფის სათამაშო მოედნით, 2. სახლი ტანუკში, ააჩენის ახლოს, სადაც ჯიშიანი ცხენები ჰყავდა მოშენებული, 3. სახლი კიტცბიუტელთან, საიდანაც ბატებზე სანადიროდ დადიოდა. 4. სასახლე ფუშლში ეს ავსტრიაშია, ასეა, არა?

შ მ ი დ ტ ი: დიახ, ზალცბურგთან ახლოს.

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: სანადირო სახლი სლოვაკიაში, პუსტეჰოლედ წოდებული, არა?

შ მ ი დ ტ ი: სახელწოდება არ მახსოვს, ვიცი, რომ ბატონი რიბენტროპი ზოგჯერ დადიოდა იქ სანადიროდ, მაგრამ მისი საკუთრება იყო სახლი თუ არა, არ ვიცი.

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: დიახ, გარდა ამისა, მას ჰქონდა სანადირო სასახლე სუდეტში, რაც ადრე გრაფ ჩერნის ეკუთვნოდა. გთხოვთ მიპასუხოთ, საგარეო საქმეთა მინისტრს ჰქონდა მტკიცე ხელფასი?

შ მ ი დ ტ ი: დიახ.

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: რამდენი?

შ მ ი დ ტ ი: ეს მე არ ვიცი.

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: რატომ, განა ეს საიდუმლო იყო?

შ მ ი დ ტ ი: არა, მაგრამ მე ამით არ დავინტერესებულვარ.

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: მაშინ იქნებ ასეთ კითხვას უპასუხოთ: შეეძლო თუ არა რომელიმე ადრინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს თავისი ხელფასით ამდენი სასახლე და მამულები შეეძინა?

შმიდტმა ამაზე გარკვევით ვერაფერი უპასუხა. რიბენტროპი კი აღშფოთდა: როგორ, მე, მინისტრს, უფლება არ

მქონდა სახლები შემეძინაო. რა თქმა უნდა, ამის უფლება რიბენტროპს ჰქონდა, მაგრამ მაქსუელ-ფაიფს სულ სხვა რამ აინტერესებდა, როცა ამ საკითხს იკვლევდა. სახელდობრ: როგორ „შეიძინა“ მან ეს სასახლეები. რიბენტროპს რომ გრაფ ჩერნის მართლაც შესანიშნავი სასახლე მოეწონა, ამ გრაფმა მთელი თავისი ოჯახიანად საკონცენტრაციო ბანაკში ამოჰყო თავი. მის სახლ-კარს კი რიბენტროპი დაეპატრონა... მისი ცნობილი „ფუშლის სასახლეც“ ადრე სხვას ეკუთვნოდა. ის „სხვაც“ სადღაც გააქრეს, ხოლო მისი ქონება თვითონ დაისაკუთრა. ეს უფლება კი არა, უწინარეს ყოვლისა, მორალის საკითხია, თუ უარესისა არა, მაგრამ რიბენტროპი ამას თითქოს ვერ მიხვდა. მერე კი ჯილბერტს შესჩივლა:

— ექვსი სასახლე ჰქონდაო! მერედა, ეს დანაშაულია?! განა რუზველტი თეთრ სახლში არ ცხოვრობდა? ასეთი რამ საჭიროა შთაბეჭდილების მოსახდენად...

...რიბენტროპმა „შთაბეჭდილება მაშინაც მოახდინა“, როცა პროცესზე მოწმედ მისი ხასა ფროილაინ ბლანკი გამოიძახეს. დარბაზი ერთბაშად გამოცოცხლდა. თვით ზედმეტად სერიოზული ლოურენსიც კი ვერ ფარავდა ღიმილს. დაჭცველი ჰორნი კი რატომღაც დაინტერესდა ამ საკითხის ინტიმური მხარით და მანამ არ მოეშვა ბლანკს, ვიდრე პასუხი არ გააცემინა კითხვაზე:

— გქონდათ თუ არა კავშირი რიბენტროპთან? — თან ხელის ისეთი უცნაური მოძრაობა გააკეთა, რომ ყველა მიხვდა, რა „კავშირს“ გულისხმობდა იგი.

ბევრი უმტკიცა ფროილაინ ბლანკმა, ათი წლის მანძილზე ბატონ მინისტრს ჩემთვის „თითიც არ დაუკარებიაო“, მაგრამ ჰორნმა მაინც არ დაიჯერა. იცოდა, გარემოება აიძულებდა ფროილაინ ბლანკს, ასეთი ტყუილი ეთქვა, თორემ...

მთელი ამ ხნის განმავლობაში დარბაზი სიცილს ვერ იკავებდა, ლოურენსი კი ამჯერად არ ტუქსავდა „წესრიგის დამრღვევთ“...

... ახლა მივხვდი, ვინ მართავდა ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს: ფროილაინ ბლანკი, — თქვა ზეის-ინკვარტ-

მა რიბენტროპის დაკითხვის შემდეგ, როცა იგი თავის საკანში ბრუნდებოდა. გერინგმა სერიოზული სახის მიღება სცადა და თავშეკავებული ირონიით უთხრა:

— ჩინებული იყო, ჩინებული!..

მაგრამ „იმ ღვინის ვაჭარმა“ ჩაიარა თუ არა, მეზობელს გადაულაპარაკა:

— წარმოდგენა არა მაქვს, რატომ უბოძა ჰიტლერმა ამ ლაჩარს ესესის გრუპენფიურერის ჩინი?!

მერე სხვას უთხრა:

— კარგია, დამცველმა რომ ფროილაინ ბლანკი გამოიძახა ბოწმედ. ასეთ დროს ქალები უფრო მამაცები არიან, ვიდრე კაცები. ამას უკვე თვითონ რიბენტროპმა მოპკრა ყური და გერინგს უსაყვედურა:

— მე დამცინით?

— ო, არა, მე საერთოდ ვამბობ, — გაიცინა გერინგმა.

შემდეგ კი ცალ-ცალკე ყველამ მოიქცია ყბა რიბენტროპის ლანძღვით: მას არაფერი გაეგებოდა საგარეო პოლიტიკის, იგი ბრიყვია და დილეტანტი. გერმანულად სწორად ვერ ლაპარაკობს, რადგან გრამატიკა არ იცის, ან ღვინით როგორ ვაჭრობდა ეს შეზეიდური?! მე მეცოდება იგი, თუმცა რა მისი ბრალია, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდა! ჰიტლერია დამნაშავე. დიქტატორები საერთოდ ასეთ ბრიყვებს იკრებენ თავიანთ გარშემო... და, ვინ იცის, საერთოდ რა არ თქვეს ამ საცოდავ რიბენტროპზე.

— ღმერთო, ეს ვინ არის! ჰიტლერს ჩემს მაგივრად ამისთანა ყეყეჩი ჰყავდა მრჩევლად?! — წამოიძახა ფონ პაპენმა.

— არა მგონია, ფიურერს არ სცოდნოდა, რომ ის ბრიყვია, — დაეთანხმა მას დენიცი, — მაგრამ სწორედ ასეთებს იახლოვებდა, რომ თვითონ გამოჩენილიყო ჭკვიანი...

ფელდმარშალი ფოსტალიონი...

პროცესის მიმდინარეობის დროს ზოგიერთმა ბრალდებულმა, ცხადია, იგრძნო, რომ „ბევრი შეცდომა იქნა დაშვე-

ბული“ და „არც თვითონ იქცეოდა სწორად“, მაგრამ საკუთარ ბნელ საქმეებს, ისევ „იმ ღორ ესესელებს“ აბრალებდა. ეს, უწინარეს ყოვლისა, კაიტელზე უნდა ითქვას. იგი დიდხანს ცდილობდა, დაეცვა როგორც თავისი მუნდირის, ისე არმიის ღირსება, მაგრამ მამხილებელ დოკუმენტებს მაინც ვერსად წაუვიდა. პროცესზე გამოიტანეს ესესის უმაღლესი ოფიცრების განკარგულებები, სადაც ამგვარი დაშიფრული გამოთქმა იყო: „ტყვეები, რომელნიც კ ა ი ტ ე ლ ი ს ბ რ ძ ა ნ ებ ა ს ექვემდებარებიან“. ეს დახვრეტას ნიშნავდა. სხვაგან ეწერა: სიებზე აღნიშნეთ „კაიტელის ბრძანება“ ან „ნახტ უნდ ნებელ“-ო. ასეთ სიებში მოხვედრილები, მოგეხსენებათ, უკვალოდ ქრებოდნენ.

ბოლოს კაიტელიც მიხვდა, რომ ამ დოკუმენტებს ვერსად წაუვიდოდა, ამბობდა, „ციხეში ჭკუა ვისწავლე და ახლა უფრო საღად ვაფასებ მოვლენებსო“. შეიძლება ეს მართალიც იყოს. როცა პოლონეთთან აგრესიული ომის დაწყების საქმე ირჩეოდა, კაიტელმა „კონფიდენციალურად გაანდო“ ჯილბერტს თავისი აზრი ამის თაობაზე:

— გთხოვთ, არავის უთხრათ და... ახლა დავრწმუნდი, რომ პოლონეთთან ომი საჭირო არ იყო...

— მართლა? — ჰკითხა ჯილბერტმა.

— აბსოლუტურად, — მიუგო „მომნანიებელმა“ ფელდმარშალმა. — ამაში მე ისე ვარ დარწმუნებული, რომ გერინგი და რიბენტროპი ვერ შემიცვლიან აზრს.

ამას რომ ამბობდა, კაიტელს ეშინოდა, სხვა ბრალდებულებს არ გაეგოთ და ისევ ჯილბერტს ეხვეწებოდა:

— ეს არავის არ უთხრათ, თორემ ამიერიდან არაფერს გეტყვით.

მერე, როცა საუბარი გლაივიცის პროვოკაციას შეეხო, კაიტელმა ისევ შიშით „გაანდო“ ჯილბერტს:

— პოლონეთთან ომის პროვოკაცია ჩვენ მოვაწყვეთ. თუ ღმერთი გწამთ, არ უთხრათ გერინგსა და რიბენტროპს, მე რომ ასე ვთქვი. მე მაშინ გავაფრთხილე კანარისი, შენ განზე გადექი და ვეერმახტს ნუ გასვრი ამ ჭუჭყიან საქმეში-მეთქი. შემეძლო მეთქვა, რომ პოლონური მუნდირები არა

მაქვს, მაგრამ არ ვიცოდი, რისთვის უნდოდათ. არც ის გამიგია, ჩემბერლენმა და რუზველტმა რომ გაგვაფრთხილეს...

მართალია, ამგვარ მსჯელობას კაიტელი „ჭკუაზე მოსკლას“ უწოდებდა, მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალება. გლაივიცის „საიდუმლოება“ რომ გასცა, დაუმატა:

— პოლონეთი ეგოისტია (!), რატომ არ დაგვითმო კორიდორი და დანცინგი?

კი მაგრამ, რატომ უნდა დაეთმო? განა დანცინგისა და კორიდორის საკითხი საერთაშორისო ხელშეკრულებებით არ იყო გადაწყვეტილი?!

თუმცა კაიტელისთვის ამგვარი ხელშეკრულებები ისეთივე „ქაღალდის ნაგლეჯი“ იყო, როგორც მისი ფიურერისათვის...

... კაიტელს უხაროდა, როცა პროცესზე ამბობდნენ, ბრძანებებს ჰიტლერი იძლეოდაო; თვითონ კი ლამის უბრალო ფოსტალიონად მოჰქონდა თავი:

— აი, ხომ ხედავთ, — ამბობდა იგი, — ამგვარ ბრძანებებს ჰიტლერი იძლეოდა. მე მიკროფონი ვიყავი მისთვის. როგორც შტაბის უფროსს, არავითარი ავტორიტეტი არ მქონდა ჰიტლერის წინაშე, არც არავითარი საკომანდო ფუნქცია მეკისრა. მის ბრძანებებს ვაფორმებდი და ვაგზავნიდი დანიშნულებისამებრ. ეს იყო და ეს. რა საერთო გეგმები ჰქონდა მას, ეს არც ვიცოდი. ვხედავდი საშინელება რომ ხდებოდა, მაგრამ მე რა შემეძლო. სამჯერ ვითხოვე გადადგომა, მაგრამ უარი მითხრა. ანტისემიტიზმი არმიაში არ იყო გავრცელებული. არმიის გარეშე კი რაც ხდებოდა, მე არ მესაქმებოდა. ჯარისკაცივით უნდა გავჭიმულიყავი ჰიტლერის წინაშე და პროტესტი განმეცხადებინა? ჩვენი საქმე ბრძანების შესრულება და ერთგულებაა, თქვენთვის, ამერიკელებისთვის კი ძნელი გასაგებია დისციპლინის ჰრუსიული წესი... თუმცა, ეხ, ახლა უკვე რაღა დროსია ამაზე ლაპარაკი: ამიტომაც გთხოვთ, რაც აქ ვთქვი, ჩვენს შორის დარჩეს, თორემ ხომ ნახეთ, ერთხელ ასეთ რამეზე როგორ ამიყვირდა გერინგი?..

ამგვარი „კონფიდენციალური საუბრის“ დროს უკვე ალარც კაიტელი იკავებდა თავს და საკუთარ ცოდვებს ჰიტლერს აბრალებდა. ამიტომ ჯილბერტმა მოისურვა გაეგო, რამდენად შეიცვალა მისი დამოკიდებულება ჰიტლერთან და პირდაპირ დაუსვა კითხვა:

— ახლა ხომ მიხვდით, რომ ჰიტლერი ნამდვილი ნგრეევის დემონი იყო?..

— დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ იმავე დროს იღბლიანიც, განსაკუთრებით ომის დასაწყისში, — მიუგო მას კაიტელმა, — იგი ყველაფერს ადვილად აღწევდა. ისე კი, ვინ იცის, იქნებ უმჯობესიც ყოფილიყო, სულაც არ ჰქონოდა ასეთი იღბალი! მაშინ მატარებელი დროზე შეჩერდებოდა...

... ეს პირველი შემთხვევა როდი იყო, იმ ხანებში გერმანიას სწრაფ მატარებელს რომ ადარებდნენ, ხოლო ჰიტლერს — მემანქანეს. როცა ნიურნბერგში ჯილბერტმა უთხრა ბრალდებულებს:

— ბოლოს მაინც ხომ ხედავდით, ჰიტლერს რომ კატასტროფისაკენ მიჰყავდა გერმანია, რატომ არ მოკალით იგი?

— როცა მატარებელი მიჰქრის, მემანქანის მოკვლას რა აზრი აქვს, განა ეს უფრო დიდ კატასტროფას არ გამოიწვევს? — მიუგეს მას.

ამით ჰიტლერისადმი თავიანთი ბრმა ერთგულების გამართლება უნდოდათ, თუმცა ზოგიერთები ერთგვარ სინანულსაც გამოთქვამდნენ ამის გამო.

— დიახ, მე ერთგული ვიყავი, მაგრამ მოტყუებული დავრჩი, — თქვა კაიტელმა. იოდლიც ასე ფიქრობს ახლა. მართალია, სინდისის საშინელ ქენჯნას განვიცდი, ამას რომ ვამბობ, მაგრამ... ფაქტია: მეც ბრმად მივყვებოდი მას. ამიტომაც დამიახლოვა ასე. აბა, რემიკით განგსტერები რად უნდოდა. ის კი არა, ეშინოდა კიდეც მათი: ადრე თუ გვიან ისინი მომიღებენ ბოლოსო. შეიძლება ასეც ყოფილიყო, რადგან სხვებივით მონა-მორჩილები არ იყვნენ. ჩვენ კი, როგორც უნდოდა, ისე გამოგვიყენა. ახლა, ხომ ხედავთ, სისხლის სამართლის დამნაშავეებივით ვზივართ აქ...

... იოდლი რომ დაკითხვაზე გამოიყვანეს, გერინგმა ჰესს გადაულაპარაკა:

—ეს არის ჩემი უკანასკნელი იმედი...

— მე სისხლითა და პროფესიით ჯარისკაცი ვარ, — თქვა იოდლმა. მიუნჰენის შეთანხმებამდე სკეპტიკურად ვუყურებდი ჰიტლერს. შემდეგ რომ ზედიზედ უდიდესი გამარჯვებები მოიპოვა, აზრი შევიცვალე. 1942 წლიდან კი ისევ გავწყვიტე მასთან კავშირი...

გერინგი შეიშმუშნა. ეს ვერაფერი „იმედი“ იყო მისთვის. იოდლი უფრო მკაცრად აკრიტიკებდა ჰიტლერს, ვიდრე გერინგი მოელოდა. ამის მიზეზი კი თვითონ იოდლმა განუმარტა ჯილბერტს:

— ჰიტლერს სძულდა ბიურგერობა, რომელსაც მე ვეკუთვნოდი; არისტოკრატია, რომელსაც ჩემი ცოლი ეკუთვნის; იგი აბუჩად იგდებდა გენერალურ შტაბს, სადაც მე ვმუშაობდი...

ეს მაწ პროცესზეც გაიმეორა:

— ჰიტლერი უნდობლად ეკიდებოდა სამხედროებს. იგი ამბობდა, მე მყავს რეაქციული არმია, კაიზერის დროის ფლოტი და ნაციონალ-სოციალისტური ავიაციაო. ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ ოფიცრებს პოლიტიკისა არაფერი გაეგებათ. მისი „სტავკა“ საკონცენტრაციო ბანაკისა და ეკლესიის ნაერთი იყო. ჩვენ, სამხედროები, იქ სტუმრებივით ვიყავით...

... იოდლის დამცველი ექსნერი ცდილობდა, გაემართლებინა ომის წარმოების საერთაშორისო კანონების უხეში დარღვევა: აგრესია ნეიტრალური სახელმწიფოების წინააღმდეგ, თავდასხმა ომის გამოუცხადებლად და სხვა... ამან თვით ლოურენსიც კი ისე გააოცა, რომ ჰკითხა:

— შეიძლება, განა, წინასწარ გაუფრთხილებლად დაეხა ნეიტრალურ ქვეყანას? ე. ი. ეს არ იქნება საერთაშორისო ნორმის დარღვევა?!

— მე ვამტკიცებ, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ ნეიტ-

რალურ სახელმწიფოებს, როცა ჩვენ დავესხით, — უპასუხა ექსნერმა.

— მაშასადამე, თქვენ ადასტურებთ და ამბობთ, რომ შეიძლება თავდასხმა წინასწარი გაფრთხილების გარეშე?!

არ მოეშვა ლოურენსი, მაგრამ ექსნერმა წარბიც არ შეარხია:

— საერთაშორისო სამართალში არის დებულება, რომ აუცილებელია წინასწარი გაფრთხილება, მაგრამ რაკი გერმანიის წინაშე იყვნენ არანეიტრალური სახელმწიფოები, ჰიტლერს შეეძლო ომის გამოუცხადებლადაც დასხმოდა მათ თავს...

აბა, დამცველის ამგვარ „არგუმენტს“ რა ფასი ჰქონდა ან მის შუამდგომლობას — გაემართლებინათ იოდლი იმ მოტივით, რომ შეგნებული არ ჰქონდა, თუ კანონის საწინააღმდეგო საქმეს სჩადიოდა... ისე, „კანონის საწინააღმდეგო საქმე“ კი არა, იოდლს უფრო საშინელი დანაშაული ამძიმებდა. ბრძანებას, პეტერბურგის პირისაგან მიწისა აღგვის შესახებ, სწორედ იოდლი აწერდა ხელს. ბევრი ეცადა იგი, ეს ბარბაროსული ბრძანება დროებით ოკუპირებულ კიევში მომხდარი აფეთქებების საწინააღმდეგო ღონისძიებად გამოეცხადებინა, მაგრამ საბჭოთა ბრალმდებელმა დაუმტკიცა მას, რომ ეს ბრძანება მანამ იქნა გაცემული, ვიდრე კრემჩატიკზე აფეთქებები მოხდებოდა. იოდლს ისღა დარჩა განეცხადებინა, ძალიან ვწუხვარ, რომ თარიღები ამერიაო...

აქ ვიღაცამ სრულიად მოულოდნელი კითხვა მისცა მას:

— მიგიღიათ თუ არა რაიმე ფულადი ჯილდო ან საჩუქარი ჰიტლერისაგან?

თავისი მუნდირის ღირსებაზე მზრუნველი იოდლი ისე ვაბრაზდა, რომ იყვირა:

— არც ერთი პფენინგი!.. არც ერთი ღილი — შარვალზე დასაკერებელი!..

საერთოდ, იოდლი ხშირად უწევდა ხმას პროცესზე. როცა ბრალმდებლები მას საშინელ მამხილებელ დოკუმენტებს უდგენდნენ, იგი ყვიროდა:

— ეს დოკუმენტი არ არის! ეს ქაღალდის ნაგლეჯია!

ეს სისულელეა!.. და სხვა ასეთი, რის გამოც ლოურენსის შენიშვნაც დაიმსახურა:

— ბრალდებულო იოდლ, მე ვფიქრობ, რომ ასე ხმამაღალი ლაპარაკი საჭირო არ არის.

იოდლმა მხოლოდ ამის შემდეგ დაუწია ხმას...

მაგიური ცამეტი...

ასევე უდიერად იქცეოდა „ებრაელთმჟლეტი" შტრაიხერიც. იგი უკმეხად უპასუხებდა დასმულ კითხვებზე. ნერვიულობდა, ყვიროდა, ლანძღავდა თავის დამცველს. როცა ბრალმდებლებმა შტრაიხერის წინააღმდეგ შემაძრწუნებელი დოკუმენტები წარადგინეს, დამცველმა ვეღარ მოითმინა და თქვა:

— ეს, მართლაც, საშინელია!

ამას ყური მოჰკრა შტრაიხერმა და უყვირა:

— ფაქტებს შეფასებას ნუ აძლევ, ეს ბრალმდებლის საქმეა და არა დამცველისო. შემდეგ ტრიბუნალის თავმჯდომარეს ლოურენსსაც აკადრა რაღაც უხეში სიტყვები, რის გამოც ასეთი გაფრთხილება მიიღო:

— თუ ასე უდიერად მოექცევით ტრიბუნალს ან თქვენს დამცველს, დაკითხვას შევწყვეტთ და არც სიტყვის უფლებას მოგცემთო.

ამის შემდეგ შტრაიხერი ოდნავ დაცხრა, მაგრამ ენიდან მაინც შხამი სდიოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მის აღვირახსნილ ანტისემიტიზმზე დაიწყო ლაპარაკი. ივი არც არაფერს გმობდა და არც არაფერს ნანობდა. დარწმუნებული იყო, რომ პროცესზეც ერთი შეხედვით უღებდა ალღოს, ვინ ებრაელი იყო და ვინ არა.

— მოსამართლეთა შორის სამი ებრაელია! — განუცხადა მან ჯილბერტს.

— რას ამბობთ?! — გაიკვირვა მან.

— დიახ, მე ვცნობ სისხლს. სამი მათგანი თავს უხერხულად გრძნობს, როცა თვალს ვუსწორებ. რასების საკითხებს მე ოცი წელიწადი ვსწავლობდი და ვიცი, რომ სხეულის

სტრუქტურა ამჟღავნებს ხასიათს. ჰიმლერს თავი ამ საქმის დიდ ავტორიტეტად მიაჩნდა, სინამდვილეში კი არაფერი ეს-მოდა. თვითონ მას ზანგის სისხლი ერია.

— ნუთუ?! — გაოცდა ჯილბერტი.

— ო, დიახ, მე ამის გამოცნობა შემიძლია თავის ქალას მოყვანილობით და თმებით. მე ვცნობ სისხლს.

შემდეგ ფილოსოფოსობაც იკისრა და თქვა:

— იცით, მე ჩემთვის ფილოსოფოსიც ვარ და ვფიქრობ: თუ ღმერთმა შექმნა ყველაფერი, თვითონ ღმერთი ვინღა შექმნა?

მერე ქრისტიანიზმს შეუტია, მაგრამ თქვა, რომ თვითონ ქრისტე ებრაელი არ იყო, სამაგიეროდ...

— იცით ღვთისმშობელი ვინ არის? — ჰკითხა მან უცებ ჯილბერტს და... ისევ გაისმა „ხმა ეკალთა ქუეშე სიავისა“:

— დამიჯერეთ, ღვთისმშობელი მარიამი ბოზია... ბოზი... ბოზიიი!..

შტრაიხერი ამას ისე ყვიროდა და ისე იცინოდა, რომ გაოგნებულმა ჯილბერტმა თავის დღიურებში ასეთი დიაგნოზი დასვა:

— ფსიქიკური არეულობის ნიშანი.

თვითონ შტრაიხერი კი დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერს მართალს ამბობდა. თავის ანტისემიტიზმსაც სრულიად ბუნებრივად მიიჩნევდა. ამისთვის სიონისტ ჰერტლის სიტყვებიც დაიმოწმა:

— სადაც ებრაელებია, იქ ანტისემიტიზმიცაა!.. მერე სულ თალმუდიდან მოჰქონდა ციტატები. ამბობდა, მე ამ საკითხში ისეთი ავტორიტეტი ვარ, რომ ჩემს სიტყვას გვერდი არ აექცევაო.

მერე ბრალმდებლებმა რომ შეუტიეს იმ „თხემით ტერფამდე გახრწნილ“ შტრაიხერს და „ებრაელთა შთანმთქმელი“ (Judenfresser) უწოდეს, შტრაიხერმა მხოლოდ გაიცინა და თქვა:

— ლუთერმა წიგნი დაწერა: „ებრაელობა და ტყუილები“. ჩემს ბრალმდებლებს რომ ეს წიგნი წაეკითხათ, მე კი არა, ბატონ ლუთერს მისცემდნენ პასუხისგებაშიო...

...მიუხედავად იმისა, რომ შტრაიხერის ბნელი საქმეები სრულ სააშკარაოზე იყო გამოტანილი, დამცველი მარკსი მაინც „ამტკიცებდა“, რომ მას ებრაელების მოსპობა კი არა, კუნძულ მადაგასკარზე გადასახლება უნდოდაო. რომ უთხრეს, თვითონ ბრალდებული თავის გაზეთში სულ ებრაელების მოსპობაზე წერდაო, დამცველმა „მცირე კორექტივი“ შეიტანა: „მოსპობაზე“ კი არ წერდა, „გაქრობაზეო“...

დარბაზში ერთსულოვანი სიცილი გაისმა, მარკსმა კი მაინც თავისი თქვა: რაც არ უნდა იყოს, შტრაიხერის ანტისემიტიზმსა და ჰიტლერის „საბოლოო გადაწყვეტის“ პოლიტიკას შორის მაინც დიდი განსხვავებაა. მერე ამ თეზას თვითონ შტრაიხერიც ჩაეჭიდა და განაცხადა: მე ანტისემიტიზმის თეორეტიკოსი ვიყავი, ხოლო პრაქტიკულად თუ ამგვარი საშინელება ჩაიდინეს, ამის შესახებ არაფერი ვიცოდიო.

„თეორეტიკოს“ შტრაიხერის ამ განცხადებამ „პრაქტიკოსი“ ფრანკი გააცეცხლა:

— შეხედეთ, ამ ღორმა არაფერი იცოდა მკვლელობებზე! — წამოიძახა მან, — აბა, მარტო მე ვიცოდი?! როგორ შეიძლება ფიცქვეშ ასეთი სიცრუე. მე თუ ყოვლისშემძლე ღმერთს დავიფიცავ, როგორ ვიცრუებ?! გამოდის, რომ მე ვიყავი ერთადერთი, რომელმაც ყველაფერი ვიცოდი!..

სხვა ბრალდებულებიც „სირცხვილით იწვოდნენ“, როცა შტრაიხერი ლაპარაკობდა. გერინგმა სახეზე ხელები აიფარა, დენიცმა თვალები დახუჭა. იოდლმა ამოიოხრა: „ახ, ეს გაიძვერა მაიმუნიო“.

მერე დაცინვით „თეთრი კრავი“ შეარქვეს მას. ირონია არც შტრაიხერს აკლდა და „ლენჩრუმში“ ქილიკობდა: ჰიტლერი სწორად არ მოიქცა, ებრაელებს რომ სდევნიდაო.

შტრაიხერისგან, რა თქმა უნდა, ეს გაუკვირდათ და ჰკითხეს, რატომო.

— ებრაელები მხოლოდ იმიტომ არიან ასე ძლიერი, რომ მთელი მათი არსებობის მანძილზე მუდმივ დევნას და რბევას განიცდიან, — თქვა მან, — ეს აძლიერებს მათ წინააღმდეგობას. იქ, სადაც ანტისემიტიზმი არ იყო, ებრაელები დაკნინდნენ და გადაგვარდნენ. ამიტომაც არიან თვითონ

ებრაელები უმთავრესი ანტისემიტები. რაც უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენს ერი თავისი შვილების მიმართ, მით უფრო მტკიცეა მისი ბრძოლის უნარი: ახლა კი ისინი ისევ „წამებულებად“ იქცევიან და ეს საკითხი ასი წლის განმავლობაში სულ გამწვავებული იქნება...

მერე სულ გააგიჟა თავისი კოლეგები: მე შემიძლია, სიონიზმის მამამთავრობა ვიკისრო, სათავეში ჩავუდგე ებრაელებს და აღთქმული ქვეყნისკენ წავიყვანოო...

ამაზე სიცილი რომ დაიწყეს, შტრაიხერი ისევ თავის პროფესიას დაუბრუნდა და „სისხლის სიწმინდის“ შესახებ დაიწყო ქადაგება. აქ ჯილბერტმა ჰკითხა მას:

— შეგიძლიათ თქვათ, რითი განსხვავდება ერთი ერის სისხლი მეორე ერის სისხლისაგან? შტრაიხერი დაიბნა და წაიბურტყუნა, ოცდაოთხი ხრომოზომითო; მერე „ებრაული თვალები“ დაახასიათა, „ებრაული სიარული“, მონსდორფში ოთხმა ებრაელმა დამკითხაო. როცა შემოდიოდნენ, მიხვრა-მოხვრით ვცნობდიო. ამგვარ საკითხებს 25 წელია ვსწავლობო. არავინ არ იცის ეს საქმე ისე, როგორც მეო. ბრალმდებლების უმეტესობა ებრაელიაო, — ამბობდა იგი, — ჯეკსონიც ებრაელია, მისი ნამდვილი გვარია „ჯეკობსონი“, — დაასკვნა მან.

სამაგიეროდ, რა ზიზღი იხატებოდა ჯეკსონის სახეზე, როცა უნდა ეხსენებინა „უხსენებელი შტრაიხერი“, „გაჯრწნილი ვიგინდარა“, „ულირსი, რომ მისი სახელი წარმოთქვას ადამიანმა“. არც წარმოთქვამდა, მაგრამ თუ ზოგჯერ მაინც იძულებული იყო დაესახელებინა, ისეთ სახეს ღებულობდა და ისეთი ზიზღით ამბობდა „შტრაიხერიო“, გეგონებოდათ, რაღაც სიმყრალე გადმოაფურთხაო...

არ გათეთრდება...

შტრაიხერის ფილოსოფოსობაზე რომ იცინოდნენ, ნამდვილი „ფილოსოფოსი“ როზენბერგი საკუთარ ფიქრებში იყო გართული და ნაკლებ ინტერესს იჩენდა პროცესისადმი. ეს

გაუთავებელი სხდომებიც „ძვირფასი დროს“ უნაყოფო ხარჯვად მიაჩნდა. ამიტომ თავის საკანში ეჩქარებოდა. აქ იგი პატარა მაგიდას მიუჯდებოდა ხოლმე და ახალ მითს თხზავდა მომავლისათვის.

ასე დაწერა მან სამასგვერდიანი წიგნი სათაურით: „უკანასკნელი ჩანაწერები“. წიგნის ქვესათაურია: „იდეალები და კერპები“. ეს არის მისი ცხოვრების თავგადასავალი ბავშვობიდან უკანასკნელ წუთებამდე. როზენბერგი იგონებს სტუდენტობის წლებს. რიგაში, პეტერბურგსა და მოსკოვში გატარებულ დროს, მოგზაურობას კავკასიაში („ნათესავებთანო“) და სხვ.

მერე თავის შეხედულებებს გადმოგვცემს მომხდარ ამბებზე და, უნდა ითქვას, რომ იმდენი „ხეხვის“ მიუხედავად, რაც მან ნიურნბერგში განიცადა, ოდნავადაც არ „გათეთრებულა“, პირიქით, სულ გაბოროტდა. მისი უკანასკნელი წიგნი უფრო რადიკალურია, ვიდრე „მეოცე საუკუნის მითი“. გასაოცარი ის არის, რომ უკვე მოახლოებულ სიკვდილს შეგუებული კაცი მონანიების არავითარ სურვილს არ ამჟღავნებს. ზოგჯერ სინანულს თუ გამოთქვამს მხოლოდ, რომ „შეცდომები დაუშვეს“ და დამარცხდნენ. ისე კი, ეშვიც არ ეპარება, რომ „მომავლის მიზნები უცვლელი რჩება“. ამ მხრივ დამახასიათებელია ისევ ის „ებრაელობის საკითხი“, რასაც როზენბერგი სპეციალურ თავს უძღვნის ამ წიგნში. თუ „XX საუკუნის მითში“ ეს საკითხი უმთავრესად თეორიის სფეროში რჩებოდა, ახლა მისმა ავტორმა უკვე იცის, რას ნიშნავს ამგვარი „თეორიების“ პრაქტიკაში განხორციელება და, იმ დროს, როცა დღისით ნიურნბერგის იუსტიციის სხდომათა დარბაზში შემაძრწუნებელ ამბებს ყვებოდნენ, ოსვენციმის, მაიდანეკისა და სხვა საკონცენტრაციო ბანაკებზე, „ფილოსოფოსი“ როზენბერგი ასეთ რამეს წერდა:

— ებრაელობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ნიურნბერგში უნდათ გაიგონ, როგორც ჩვენი შეხედულებების თუ სურვილების განხორციელება და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დასაშოშმინებლად ეძებენ ახალ მსხვერპლს. ებრაელობის საკითხი ისევე ძველია, როგორც თვით ებრაელობა.

თუ იყო ებრაელობა, იყო იუდაიზმიც: ტაციტუსიდან გოეთემდე, შოპენჰაუერამდე, ვაგნერამდე და დოსტოევსკიმდე. პირველი მსოფლიო ომისა და 1918 წლის ამბების დროს გერმანელების საწინააღმდეგო შეხედულებები უმთავრესად ებრაელობის მიერ იყო გამოთქმული. გერმანელების მთელი უბედურება მხოლოდ ებრაელების ბრალია. საავადმყოფოებში ექიმების 80 პროცენტი ებრაელები იყვნენ. ერთი რომ მოეწყობოდა, ათს მოათრევდა თან. ეს აუტანელი გახდა. მიუხედავად ამისა, 1933 წელს ათეულ ათასობით ებრაელი ჰიტლერმა მშვიდად გაუშვა საზღვარგარეთ (!), იმათ კი მაინც არ შეწყვიტეს პოლიტიკური ბრძოლა გერმანიის იმპერიის წინააღმდეგ. ამით ჰიტლერს მოთმინება გამოელია, გებელსმაც შეუნთო ცეცხლი და დაიწყო ამ საკითხში ყველა საშუალების გამოყენება.

ჰიტლერის წინააღმდეგ სიძულვილის პროპაგანდა მთელი ასი პროცენტით ებრაელთა ხელთ იყო, — განაგრძობს როზენბერგი, — ებრაელთა ინტერნაციონალური ბანდა გერმანიის წინააღმდეგ ომისკენ მოუწოდებდა. რუზველტი გარშემოხვეული იყო ებრაელებით. ამის გამო ამერიკამ კოლოსალური სამხედრო პოტენციალი გამოიყენა ჩვენს წინააღმდეგ. შემდეგ ებრაელთა მსოფლიო პოლიტიკის ცენტრმა პარიზში გადმოინაცვლა. ინგლისი პალესტინას შეპირდა მათ, ახლა კი, 1946 წლის 25 ივლისს, ებრაელებმა ააფეთქეს საელჩო, რის შედეგადაც 43 კაცი მოკვდა, 40 დაიჭრა, ხოლო 65 უგზოუკვლოდ დაიკარგა. დადგინდა ამ ტრაგიკული ამბების კავშირი ლონდონელ ებრაელთა კავშირთან, შემდეგ ებრაელებმა ტრანსიორდანია მოითხოვეს, საიდანაც ისინი თავიანთი ნებით წავიდნენ ორი ათასი წლის წინ...

ბრიტანეთის იმპერია, რომელიც აქ ბრალს გვდებს, ვალდებულია იმაზე მეტი გააკეთოს ებრაელების წინააღმდეგ, ვიდრე ჩვენ გავაკეთეთ 1933 წლიდან...

მიუხედავად ამისა, ჩვენ გვიკიჟინებენ მილიონების დახოცვას. ქრისტიანული ეკლესია პროტესტსაც აცხადებს. ისტორიას კი ყველა უგულებელყოფს. ჩვენ, ნაციონალ-სოციალისტები რომ არა, ამ პროტესტის გამცხადებელიც არ დარ-

ჩებოდა. ხოლო ვინც ჩვენ ახლა „ადამიანურობის წინააღმდეგ შეთქმულებას“ გვიკიჟინებს, თვითონაა ამის მომგონი: ამერიკამ 40 მილიონი ზანგი გაჟლიტა. მომავალშიც ნახავთ რას იზამს ის, როცა 50 მილიონი ზანგი და ათი მილიონი ებრაელი ეყოლება (2 მილიონი ებრაელი ახლაც ჰყავს მხოლოდ ნიუ-იორკში).

ამერიკელებმა უნდა გადაწყვიტონ: დაიცვან თეთრი ამერიკა ან დაემორჩილონ მულატიზაციის პროცესს.

ამის შემდეგ როზენბერგი ჰყვება, თუ რა მოუვიდა ძველ საბერძნეთსა და რომს რასობრივი აღრევის გამო.

— ისტორიკოსებმა, — განაგრძობს იგი, — რომის კულტურის დაცემის მრავალი მიზეზი დაასახელეს, მთავარი კი არა: სისხლის აღრევა წინააზიელ ხალხებთან. ახლაც ხდება ამერიკელების მულატიზაცია, ინგლისელების გათქვეფა აზიის ადგილობრივ მოსახლეობაში... სისხლის ამგვარ აღრევას კულტურის კატასტროფული დაცემა მოჰყვება. ამიტომ ვიცავ რასობრივ თეორიას, მაგრამ არარასობრივ სიძულვილს (!).

— დადგება დრო, — ამთავრებს ამ საკითხზე მსჯელობას როზენბერგი, — და შვილიშვილებს შერცხვებათ, ჩვენ რომ დამნაშავეებად გამოგვაცხადეს ამგვარი კეთილშობილი იდეების (!) გამო, რაკი... შეცდომები იყო დაშვებული...

ატმანის ნაპერწკალი...

როზენბერგის მიზანი ნათელია: მას უნდა ჩაგვაგონოს, რომ „დიდი კატასტროფის“ მიუხედავად, ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობიდან ისევე გადარჩება მითი „დიდი გერმანიის“ (Grossdeutschland) შესახებ, როგორც ფაუსტის „უკვდავი ნაწილი“ გადარჩა ჯოჯოხეთში შთანთქმას. განწირულების ჟამს ისიც ფიქრობს ფაუსტურ ამაღლებაზე. ამიტომაც უბრუნდება რწმენის საკითხს და კატეგორიულად აცხადებს:

— ნაციონალ-სოციალიზმის ახლანდელი დიდი დევნა

არის დევნა რწმენისა. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ნაცისტების მთელი სატანური მოძრაობა მოფიქრებული იყო, როგორც რელიგიური კულტი. როზენბერგის წიგნშიც ისევ იმაზეა ლაპარაკი, რომ უნდა აღდგეს ოსტატ ეკჰარტის სულში ჩასახული „შინაგანი გამოცდილების“ (innere Erfahrung) ახალი რელიგია; განვითარდეს ინდური „ატმანის“ ხაზი, კანტის შინაგანი სამყაროს თავისუფლების იდეა და გოეთეს მოწიწება საკუთარი თავის წინაშე (Ehrfurcht vor sich selbst). ეს იქნება ჩვენშივე მოცემული ცათა სასუფეველი (Himmelsreich in uns), ძველი ინდური ატმა და ბრაჰმანი, რასაც პლატონი იდეებს უწოდებდა, კანტი — თავისუფლებას და რაც ბახისა და ბეთჰოვენის მუსიკაში გამოვლინდა...

როზენბერგი აქ, უმთავრესად, შოპენჰაუერის თვალსაზრისს ავითარებს. სწორედ შოპენჰაუერი იყო ბუდიზმითა და ბრაჰმანიზმით გატაცებული, რაც ტრანსცენდენტურ ღმერთს გამორიცხავდა და ბუნების უნივერსუმთან შერწყმას ქადაგებდა.

როზენბერგის აზრით, სულის ეს „შინაგანი აქტიურობა“ ჩაჰკლა ეკლესიამ, მოსპო „ატმანის სულის სიძლიერის ნაპერწკალი“, ურომლისოდაც არ იქმნება გენიალობა—პლატონი, სოფოკლე, გოეთე, ბახი, რემბრანდტი, ბეთჰოვენი...

ამის შემდეგ იგი ისევ ქრისტიანიზმს ესხმის თავს, რაც, თურმე, ევროპის მულატიზაციასა თუ გაებრაელებას უწყობდა ხელს და რაღაც მეტაფიზიკურ ძალას უმორჩილებდა ადამიანის ნებას. როზენბერგს კი არა ტრანსცენდენტური, არამედ „განხორციელებული ღმერთი“ სწამდა. არც სამების იდეა იყო მისთვის უცხო, მაგრამ, ისევე, როგორც ეზოტერულ ქრისტიანიზმში, იგი სამ ღმერთს კი არ ნიშნავდა, არამედ ერთს, ე. ი. სამება ერთარსებას გულისხმობდა. ჰიმლერის „ბურგებშიც“ ესესელთა ორდენის წევრებს წვრთნიდნენ არა აღიარებული სამი ასპექტის (გონება, გრძნობა, ნებისყოფა), არამედ მხოლოდ „მესამე იპოსტასის“, ე. ი. ნებისყოფის მიხედვით. გრძნობა „ზედმეტ სანტიმენტალობად“, ხოლო გონება მხოლოდ ფიურერის კომპეტენციად იყო გამოცხადებული.

როზენბერგს მიაჩნია, რომ ამგვარი „უზენაესი წესრიგი“ მხოლოდ არიული რასის თვისებაა. „უმაღლესი კულტურის“ შექმნაც ამ რასის პრივილეგიაა. იგი ამტკიცებს, რომ დაბალი რასები ვერასოდეს ვერ შექმნიან ნამდვილ კულტურას და ისევ იმ ძველებური ქედმაღლობით აცხადებს:

— ჰოტენტოტები ვერ აღმართავენ კათედრალებს, ზანგები ვერ დაწერენ მეხუთე სიმფონიას, ვერც გაიგებენ ამას და დიდი უსამართლობაც იქნებოდა, მათგან მოგვეთხოვა ეს.

ყოველივე ამის შემდეგ როზენბერგი ასკვნის:

— არის ორგვარი რელიგია: თვითგანმტკიცებისა და თვითდამცირების. პირველი გვაუწყეს გოტუჰლაკმა, ეკჰარტმა, ბომემ, ლაგარდმა; მეორე — პავლემ, იგნაციუსმა, გრეგორ VII-მ და პიუს IX-მ. თუ ინდურ ატმანის რწმენა „შინაგანი მეობაა“ (das innere Jch), ქრისტიანიზმი ფორთხვაა ჯვარცმის ნიშნისაკენ.

ამის საპასუხოდ ნიცშე ამბობს:

— მე გეკითხებით, რა არის კარგი? — და თვითონვე უპასუხებს ამ კითხვას:

— იყო მამაცი, აი, ეს არის კარგი!..

როზენბერგი ამას „ევროპის უძველესი სულის სიამაყეს“ უწოდებს და აცხადებს:

— თქვენ შეგიძლიათ, ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომებით დაფაროთ ის, რაც ძვირფასია და სისხლის სამართლის კოდექსებიც მოგვიყენოთ, მაგრამ...

—

...თავისი წიგნის დასასრულს როზენბერგი ისევ ჰიტლერს ეხება. აქაც ისეა, როგორც ანდაზაში ყორნის შესახებ:

— ჰიტლერი ჩვენი ბედისწერა იყო, — აცხადებს იგი, — ჰიმლერი კი იმპერიის მესაფლავე. წლების მანძილზე მე თანდათან ვშორდებოდი ჰიტლერს. მან ისეთი ხალხი შემოიკრიბა თავის გარშემო, ჩემში სიმპათიას რომ არ იწვევდა. მე მიმაჩნდა, რომ პოლიციის უფლებების განუზომელმა ზრდამ სახელმწიფო შექმნა სახელმწიფოში. 1941 წლიდან მარტო ერთხელაც არ მილაპარაკია ჰიტლერთან. იგი საათობით იჯდა მდივან ქალებთან და მზარეულებთან, მე კი, საგარეო საქმე-

თა გამგებელმა, მიღება ვთხოვე, რაზედაც უთქვამს: ჩაიზე მოვიწვევდი, მაგრამ ისევ საქმეზე დამიწყებს ლაპარაკსო.

ჰიტლერს არ უყვარდა სხვისი აზრების მოსმენა. იგი თავის თავიდან ქმნიდა მომავალი კაცობრიობის მითს. ახლა კი ფიურერი მკვდარია, ხოლო მისი საქმე მსოფლიო სიძულვილის მორევშია შთანთქმული, მაგრამ ეს კატასტროფა სრულიადაც არ ნიშნავს საბოლოო მარცხს, რადგან ჰიტლერმა მაინც შეძლო თავისი ეპოქის მისიის შესრულება — ახალი მითის შექმნა. ეს კი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვება.

როზენბერგის აზრით, ყოველი ეპოქის მთავარი მიზანი მითის შექმნაა. მითის შესაქმნელად კი საჭიროა დიდი ამბები და დიდი ადამიანი, რომელიც ფორმას მისცემს ეპოქის სულისკვეთებას. ასეთი ამბები მოხდა და ასეთი ადამიანიც გაჩნდა. გერმანული დროშები ფრიალებდნენ ნორდკამპიდან ვოლგის ნაპირებამდე. ერთი, მხოლოდ ჰიტლერი განაგებდა ევროპისა და, იქნებ, მსოფლიოს ბედსაც. ეს განტოლება კი ღმერთს უდრის. ერთ დროს ბერძნებმა და რომაელებმა შექმნეს მითი ოლიმპოს ღმერთების შესახებ. ამ მითებმა უფრო მეტი მისცეს კაცობრიობას, ვიდრე იმდროინდელმა ისტორიულმა ამბებმა. რა იქნებოდა ევროპის ხელოვნება და ლიტერატურა მითოსის გარეშე! ჰომეროსს რომ არ შეექმნა მითი ტროადის ომის შესახებ, ის ამბები ახლა ორიოდ ისტორიკოსს თუ ემახსოვრებოდა. ჰომეროსმა პატარა სინამდვილიდან შექმნა ომის, როგორც გმირობისა და დიდების ასპარეზის მითი, რითაც დღემდე აღტაცებულია კაცობრიობა. რენანი წერს, ისეთი დიდი ქმნილება არ არსებობს, რომელსაც მითოსი არ ედოს საფუძვლადო. იგია ისტორიის მამოძრავებელი ძალა. ყოველი ეპოქა ქმნის ან ვერ ქმნის მითს. იქ, სადაც მითი არ იქმნება, არც დიდი ძვრები ხდება. მითოსს მოკლებული დრო სრული უნაყოფობა, დეგრადაციაა. ახალმა ეპოქამ შექმნა ქრისტეს მითი, რაც საუკუნეების მანძილზე კვებავდა ევროპულ კულტურას. ახლა ჩვენ, გერმანელები ვქმნით ასეთ მითს, რაც საუკუნეებს გაუძლებს. ჰიტლერიც შევა ისტორია-

ში, როგორც უდიდესი მასშტაბის პიროვნება. მე ყოველთვის ვადიდებდი მას და ახლაც ლოიალური ვრჩები...

ამით მთავრდება როზენბერგის მიერ სიკვდილის კარიბჭესთან შექმნილი მითი.

...ასეთი იყო ნამდვილი როზენბერგი არა მარტო ციხემდე, არამედ ციხეშიც; სწორედ რომ ციხეში, თორემ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის დარბაზში მას სულ სხვა რამეზე ეკითხებოდნენ. აქ იგი გამოჰყავდათ ფილოსოფიური მაქსიმების ბურუსიდან და მისი, როგორც აღმოსავლეთის დაპყრობილი ტერიტორიების საქმეთა მინისტრის, პრაქტიკული მოღვაწეობის საკითხებით „აწუხებდნენ". როგორც ჩანს, დამცველი თომაც დაეჭვდა თავისი დაუსრულებელი „ფილოსოფიური ექსკურსების" ამაოებაში და პროცესზე ისეთი საოცარი რამ მოხდა, რომ ამაზე დიდხანს იყო ლაპარაკი: თომა ტრიბუნაზე რომ იდგა, თავის თანაშემწეს სთხოვა, რაღაც დოკუმენტი მიეწოდებინა. თანაშემწემ ვერ გაიგო თუ შეეშალა, დოკუმენტების წიგნის ნაცვლად როზენბერგის „XX საუკუნის მითი" გადასცა. თომას დაავიწყდა მიკროფონი გამორთული რომ არ იყო და წიგნს დახედა თუ არა, თანაშემწეს დაუყვირა:

— ყეყეჩო, რას მაჩეჩებ ამ ნაგავს!...

დარბაზში ისეთი სიცილი ატყდა, ლოურენსმაც ვერ შეძლო ხალხის დაწყნარება. წერენ, თვით ბრალდებულთაგანაც ყველა იცინოდა, გარდა როზენბერგისაო...

...ტრიბუნალის წევრები და ბრალმდებლები ისედაც მოიქანცნენ როზენბერგისა და მისი დამცველის—დოქტორ თომას ფილოსოფიური შტუდიებით და, როგორც იქნა, დაუბრუნეს ისინი პრაქტიკული „მოღვაწეობის" საკითხებს: დაკითხვას აწარმოებდა რუდენკო. მან ჰკითხა როზენბერგს:

— რა დროიდან შეუდექით თქვენ, პირადად და უშუალოდ, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მზადებას?

— საერთოდ, არასოდეს არ შევდგომივარ, — უპასუხა ცივად როზენბერგმა.

— განა თქვენი დანიშვნა 1941 წლის 20 აპრილს აღმო-

სავლეთ ევროპის ტერიტორიების მმართველად უშუალოდ არ იყო დაკავშირებული გერმანიის თავდასხმასთან საბჭოთა კავშირზე?!

მართლაც! თავდასხმამდე ორი თვით ადრე, როზენბერგი დაინიშნა ამ თანამდებობაზე, შექმნა უზარმაზარი აპარატი, განსაზღვრა საბჭოთა კავშირის დაპყრობილი ტერიტორიების ბართვის სისტემა, მოქმედების მიზნები და საშუალებანი, რისთვისაც მოიწვია რამდენიმე თათბირი, შეადგინა ინსტრუქციები და სხვ. განა ყოველივე ეს იმის საბუთი არ იყო, რასაც რუდენკო ეკითხებოდა მას? მაგრამ როზენბერგი ისე უქცევდა გვერდს ამ საკითხებს, როგორც თევზი ფაცერს, ვიდრე იგი მის მიერვე შედგენილ დოკუმენტების ბადეში არ გახვიეს და მღვრიე წყლიდან სააშკარაოზე არ ამოიყვანეს. მე მხოლოდ ორიოდე ფრაზას შეგახსენებთ ამ დოკუმენტებიდან: როზენბერგი წინასწარ ამზადებდა საზოგადოებრივ აზრს იმისათვის, რომ აღმოსავლეთის დაპყრობილ ტერიტორიებზე გერმანიის ეკონომიკის ინტერესების დაცვა, რაც „აუცილებელი იყო ომის მოსაგებად“, გამოიწვევდა მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს შ ი მ შ ი ლ ი თ ს ი კ ვ დ ი ლ ს.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) და ბელორუსიის გერმანელების მიერ დაპყრობის შემდეგ როზენბერგი წერდა „ოსტლანდად“ მონათლულ ამ ტერიტორიების რაიხსკომისარს:

— ესტონეთის, ლიტვის, ლატვიისა და ბელორუსიის საიმპერიო რწმუნებულის ამოცანაა პროტექტორატის შექმნა, რათა შემდგომში ეს ოლქები იქცეს გერმანიის შემადგენელ ნაწილად, რასობრივი თვალსაზრისით შესაფერისი ელემენტების გერმანიზაციის, გერმანული რასის წარმომადგენელთა კოლონიზაციისა და არასასურველი ელემენტების მოსპობის გზით...

დიახ, მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ს შ ი მ შ ი ლ ი თ ს ი კ ვ დ ი ლ ი თ ა დ ა ა რ ა ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ი თ! ასეთი იყო როზენბერგის ფილოსოფიის პრაქტიკული მხარე...

თუ რა შემაძრწუნებელი შედეგი მოჰყვა ამას, ეს ყველასათვის ცნობილია... ჰიტლერის, ჰიმლერისა და როზენბერგის „მოღვაწეობას“ შორის ამ შემთხვევაში არავითარი განსხვავება არ არის. მიუხედავად ამისა, როცა რუდენკომ ჰკითხა როზენბერგს:

— თქვენ იყავით ჰიტლერის უახლოესი თანამებრძოლი მისი გეგმებისა და მიზნების განხორციელებაში, ასეა, არა?

— არა, ეს ასე არ არის, — მიუგო როზენბერგმა.

რუდენკომ ხელი ჩაიქნია და თქვა:

— მე დავამთავრე დაკითხვა, ბატონო თავმჯდომარევ...

ბებერი ბავშვი...

სხვა ბრალდებულებმაც ასეთივე განზე გადგომის ტაქტიკა აირჩიეს თავის დასაცავად. შახტი ისევ სხვებს ლანძღავდა. გერინგი ნამდვილი კრიმინალისტია, მე მისი შეხედვაც არ შემიძლიაო, — ეუბნებოდა იგი თავის „რესპექტაბელურ“ კოლეგებს.

— გერინგი მე მიმაჩნია ამორალურ კრიმინალურ პიროვნებად, — თქვა მან. ცოლები უყვებოდნენ ერთმანეთს, რომ იგი ჩაიზე ნერონისებური ტოგით, ბრილიანტებით მოჭედილი სანდლებით, თითებზე ბეჭდებასხმული და ტუჩებზე პომადაწასმული გამოდიოდაო...

შეურაცხყოფილი გერინგი ბრდღვინავდა თავის ვიწრო საკანში:

— ახ, ის გამოჩერჩეტებული შახტი! ვინ ეკითხება იმ ყეყეჩს, მე როგორ დავდიოდი ჩემს საკუთარ სახლში ან ცოლების ჭორაობა რა მოსატანია პროცესზე!..

გერინგი რომ გულს ასკდებოდა, შახტი მაინც განაგრძობდა სხვა „განგსტერების“ ქირდვას, განსაკუთრებით შტრაიხერისას, რომელსაც „სულ ვერ იტანდა“.

— მე უკვე იმითაც ვარ საკმარისად დასჯილი, რომ საბრალდებო სკამზე შტრაიხერის გვერდით ვზივარ, — თქვა მან. კალტენბრუნერს ხომ ზედაც არ უყურებდა. ერთი მით-

ხარით, ამ ძაღლისთავა ჯალათებთან რა მაქვს საერთოო, კითხულობდა იგი წამდაუწუმ. მისი დამცველი დიქსიც გულუბრყვილოდ ამბობდა, როგორ შეიძლება უშიშროების სამსახურის უფროსი კალტენბრუნერი და მისი ტუსაღი შახტი ერთად ისხდნენ საბრალდებო სკამზეო. მერე, როგორც „პარადოქსული ფაქტი", განაცხადა:

— 1944 წლის ზაფხულს, მე დავალებული მქონდა, დამეცვა შახტი სისხლიანი ჰიტლერელი მოსამართლის — ფრაისლერის სამსჯავროს წინაშე. 1945 წლის ზაფხულს კი მე მთხოვეს, მეკისრა შახტის დაცვა ამ საერთაშორისო ტრიბუნალზე. თვით ეს ფაქტია წინააღმდეგობრივი.

მერე იმანაც მხრები აიჩეჩა და გაოცებულმა იკითხა:

— რა აქვს ამ კაცს საერთო იმ ჯალათებთან?! ვითომ არ იცოდა, რომ იმ ჯალათების ხელისუფლებას შახტი უკაფავდა გზას, აიარაღებდა და აქეზებდა მათ. მიუხედავად ამისა, დიქსი, შახტივით, გაბუტული ბებერი ბავშვის პოზას იღებდა და ამბობდა, ბატონი შახტი უკვე საკმაოდ დაისაჯა იმითაც, რომ კალტენბრუნერთან და შტრაიხერთან ერთად დასვეს საბრალდებო სკამზეო. ის კი არა, ოფიციალურ პროტესტსაც კი აცხადებდა ამ „გაუგონარი უსამართლობის" გამო. იმაზე კი არაფერი უთქვამს, თვითონ ბატონი შახტი რა გულმოდგინედ ეტმასნებოდა იმ „ძაღლისთავების" საზოგადოებას. სამაგიეროდ, ჯექსონმა შეახსენა ეს.

ჯ ე ქ ს ო ნ ი: ბრალდებულო შახტ, მაშინ, როდესაც ნაცისტებმა ძალაუფლება იგდეს ხელთ, თქვენ საქმიანი კონტაქტები გქონდათ ყველა ქვეყანასთან, როგორც ერთ პირველ ბანკირთაგანს, არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ასეა, არა?

შ ა ხ ტ ი: მე არ ვიცი, ასეა ეს თუ არა, მაგრამ თუ თქვენ ასე ფიქრობთ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

ჯ ე ქ ს ო ნ ი: რამდენადაც ვიცით, თქვენ საჯაროდაც გამოდიოდით გერმანელი ხალხის წინაშე და მხარს უჭერდით ნაცისტურ რეჟიმს. ამასთან, იმ დროს თქვენ მხარში ედექით ისეთ პირებს, როგორებიც არიან შტრაიხერი და ბორმანი.

შახტი ისევ გაიბუტა:

— მე არავის არ ვუნახივარ შტრაიხერთან და ბორმანთან ერთად, — თქვა მან. — შესაძლებელია, პარტიულ ყრილობებზე ისინიც ისხდნენ სადმე ახლო, მაგრამ...

ჯეკსონმა მას წინ ჰოფმანის მიერ გადაღებული ფოტო დაუდო.

ჯ ე კ ს ო ნ ი: თქვენ ამ ფოტოზე ადვილად სცნობთ თქვენს თავს, არა?

შ ა ხ ტ ი: დიახ:

ჯ ე კ ს ო ნ ი: თქვენგან მხარმარჯვნივ ხომ ბორმანი ზის?

შ ა ხ ტ ი: დიახ.

ჯ ე კ ს ო ნ ი: ბორმანის გვერდით შრომის მინისტრია?

შ ა ხ ტ ი: დიახ.

ჯ ე კ ს ო ნ ი: თქვენგან მხარმარცხნივ ჰიტლერია, არა?

შ ა ხ ტ ი: დიახ.

ჯ ე კ ს ო ნ ი: ჰიტლერის გვერდით შტრაიხერია?

შახტი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რატომ ჩააცივდა ჯეკსონი ამ ფოტოს და აწრიალდა:

შ ა ხ ტ ი: არა, მე ვერ ვცნობ მას, მე არ ვიცი შტრაიხერია თუ არა ის, თუმცა, შესაძლებელია, ის იყოს...

„შესაძლებელია" კი არა, ის იყო. მერე სხვა ფოტოებიც უჩვენეს იმავე „ძაღლისთავების" კომპანიაში გადაღებული.

...მთავარი, რა თქმა უნდა, ის კი არ არის, სად ან ვისთან იჯდა შახტი, მაგრამ ახლაც რომ მათ კომპანიაში ზის, რატომ უკვირს? ან რატომ ამბობს, მათგან ყოველთვის შორს მეჭირა თავიო. „შორს ეჭირა" კი არა...

თუმცა, არ ღირს ამაზე ლაპარაკი. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, ჯეკსონმა რომ დაუმტკიცა ტრიბუნალსა და თვითონ შახტს, თუ როგორ ძვრებოდა იგი ტყავიდან, რომ ჰიტლერს ჩაეგდო ხელისუფლება და მერე როგორ ცდილობდა ამ ხელისუფლების განმტკიცებას, მის სამხედრო-ეკონომიურ გაძლიერებას და სხვა და სხვა...

პროცესზე კი აცხადებდა, შემთხვევა რომ მომცემოდა,

მე მოვკლავდი ჰიტლერსო!.. ამაზე გერინგს ისეთი სიცილი აუტყდა, რომ ძლივს დაწყნარდა და თქვა:

— მოკლავდა კი არა, სულ მუცელზე დახოხავდა მის წინაშეო...

დარბაზშიც „მხიარული გამოცოცხლება“ იყო, როცა შახტი ამბობდა, არასოდეს ნაციონალ-სოტიალისტი არ ვყოფილვარ, პარტიის ოქროს ნიშანს კი მხოლოდ იმიტომ ვატარებდი, რომ მატარებლისა და მანქანის გამოძახებისთვის მჭირდებოდაო.

—შახტი რომ ამას ამბობდა, ბიდლი და პარკერი ძლივს იკავებდნენ სიცილსო, — თქვა შპეერმა.

— ის რომ ტყუოდა, ნაცისტი არასოდეს ვყოფილვარო, სიცილი ვერ შევიკავე, — თქვა შირახმაც. გამახსენდა, შახტმა ცოლს რომ უზარმაზარი მარგალიტი აჩუქა, სვასტიკის ფორმის ჩარჩოში ჩასმული, მაშინ მას „სუპერ-ნაცისტს“ ვუძახდით. ფილმშიც იყო გადაღებული, როგორ მიესალმა ჰიტლერს ანჰალტის სადგურზე, მისმა ცოლმა კი ავტოგრაფი თხოვა. გერდელერსაც იმიტომ მიეტმასნა, რომ პრეზიდენტობა უნდოდა.

წარმოიდგინეთ, ფუნკმაც ასე შეაფასა შახტის გამოსვლა. რაც შეეხება „მეორე ჯენტლმენს“—პაპენს, ვერც იმან შეიკავა თავი „უახლესი მეგობრის“ გაკიცხვისაგან და გაიხსენა:

— 1932 წელს სწორედ ეს შახტი მოვიდა ჩემთან და მითხრა, გადადექი და რაიხსკანცლერის პოსტი ჰიტლერს დაუთმეო.

მერე ისიც თქვა, შახტი ოპორტუნისტია და ჯახრაკა ცხენზე ზისო.

„ჰიტლერის მოძულე“ შახტის „გაკრახმალებული რესპექტაბელურობა“ სულ შეირყა, როცა ბრალმდებელმა შოუკროსმა გამოაქვეყნა მისი სიტყვები, წარმოთქმული პარტიის ოქროს მედლით დაჯილდოების გამო:

— მომავალში მთელ ჩემს სულს, მთელ ძალ-ღონეს მოვახმარ ფიურერის საქმეს, იმპერიის საქმეს. გერმანიის მომავალი ჩვენი ფიურერის ხელთაა.

ბოლოს ფრიჩემაც ესროლა შახტს ერთი ქვა და შტრეზემანის სიტყვები გაიხსენა:

— ერთადერთი, რაც შახტს სუფთა აქვს, ეს თეთრი პერანგია...

...მოგეხსენებათ, შპეერმაც სცადა ნაციონალ-სოციალიზმისაგან გამიჯვნა და დაიტრაბახა, ჰიტლერის მოკვლა მინდოდაო, მაგრამ დანარჩენი ბრალდებულები ამ „სენსაციურ ცნობასაც“ ირონიული ღიმილით შეხვდნენ.

— თუ მოკვლა უნდოდა, ვინ შეუშალა ხელი?! — ამბობდნენ ისინი, — იგი ხშირად ხვდებოდა ჰიტლერს, მასთან შესვლის დროს არ ჩხრეკდნენ, ორივენი საათობით ისხდნენ პირისპირ და საუბრობდნენ. თუ ასეთი განზრახვა ჰქონდა, როგორც უნდოდა, ისე შეეძლო მოეკლა: ხანჯალი დაერტყა (erdolchen), ხელებით მიეხრჩო (erwürgen), ტყვია მიერტყა (erschiessen) ან სხვა რამ...

პირველი „სენსაციით“ რომ შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, შპეერმა მეორე მოიგონა: ომის უკანასკნელ პერიოდში მინდოდა 10 მთავარი ნაცისტი მომეტაცა და ინგლისში გადამეყვანა, მაგრამ ეს ოპერაცია ბოლო წუთებში ჩაიშალაო. რომ ჰკითხეს, მაინც ვინ უნდა მოგეტაცებინათო, შპეერმა ჩამოთვალა:

—ჰიტლერი, ჰიმლერი, გებელსი, ბორმანი, კაიტელი, გერინგი და... სხვები არც გაახსენდა...

შპეერს ბედი არ სწყალობდა. ასეთი სენსაციური განცხადებები გააკეთა, მაგრამ არც „მტრებმა“ დაუფასეს და არც „მოყვრებმა“. გერინგმა იგი მაშინვე მოღალატეთა სიაში შეიტანა. სხვებმა თქვეს:

— საქმე რომ ცუდად წაუვიდა, მაშინ გავაქაცდაო.

თუმცა ის „სხვებიც“ ასე არ იქცეოდნენ? ბოლოს თითო ქვა ყველამ ესროლა იმ „შეშლილ მესიას“. მათგან განსხვავებით, შპეერს საკუთარ პასუხისმგებლობაზე მაინც არ უთქვამს უარი.

— ამ ომმა წარმოუდგენელ კატასტროფაში ჩააგდო გერმანელი ხალხი, — თქვა მან. ჩემი მოვალეობაა, ვაღიარო ეს

უბედურება გერმანელი ხალხის წინაშე. ეს მე უფრო მევალება, რადგან პასუხისმგებელი ვარ, როგორც მთავრობის წევრი.

— ფიურერის ბრძანების გამო, — მიაწოდა ფრაზა მისმა დამცველმა, მაგრამ შპეერმა არ ისურვა ჰიტლერის ზურგს უკან დამალვა.

— არა, რამდენადაც ამ ბრძანებებს მე ვასრულებდი, პასუხისმგებლობაც მე მეკისრება, თუმცა მე მისი ყველა ბრძანება არ შემისრულებია, — მიუგო მან დამცველს.

ამით შპეერმა თავისთვის სასარგებლო შთაბეჭდილება მოახდინა. ჯექსონმა მას „ყველაზე სიმპათიური ბრალდებული უწოდა". იგივე თქვეს მაქსუელ-ფაიფმა და ბიდლმა. ხოლო შპეერის მეუღლემ, რომელიც სტუმართა იარუსიდან უგდებდა ყურს თავისი ქმრის დაკითხვას, კორესპონდენტებს განუცხადა:

— ასეთი ადამიანი კიდევ გამოადგება გერმანიას...

მოლიპულ გზაზე...

ნათქვამია, ბოროტება ისე საშინელი არ არის, როგორც მისი დაცვაო. ჩვენ არც ამ საშინელების განცდა დაგვკლებია, როცა ჯერი დაცვის მხარეზე მიდგა. აქ პირველი სიტყვა ნომერ პირველი ბრალდებულის დამცველმა დოქტორმა შტამერმა აიდო. აღსანიშნავია, რომ გერინგის, როგორც ბრალდებულთა ოცეულის მეთაურის, მსგავსად, მისი ვექილი შტამერიც დამცველთა „კაპრალი" იყო. იგი აძლევდა თავის კოლეგებს ზოგად მითითებებს და მათი მუშაობის კოორდინაციას ცდილობდა. ზოგჯერ სხვა დამცველების სახელითაც გამოდიოდა პროცესზე. თუმცა ამ „ფრონტის" ერთიანობაც მალე ჩაიშალა. ბრალდებულები რომ ერთიმეორეს დაერივნენ, ცხადია, ამან დამცველებზეც იმოქმედა. თუ შახტი გერინგს თათხავდა, შტამერი ვერ იქნებოდა შახტის დამცველთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაში. ამიტომ ეს „შინაგანი ფრონტიც" ისევე უდღეური აღმოჩნდა, როგორც გე-

რინგის „ოცეულის“ ფიქტიური ერთიანობა. თვითონ შტამერიც იმთავითვე მოლიპულ გზაზე დადგა:

— ბატონო თავმჯდომარე, ბატონო მოსამართლენო! — დაიწყო მან, — ეს პროცესი სამართლის ნორმების თვალსაზრისით ისეთი მასშტაბისა და ისეთი ისტორიული თუ პოლიტიკური ხასიათისაა, რომ მსგავსი რამ არ ახსოვს ისტორიას. ამასთან, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმათთვის, ვინც აქ ესწრება, არამედ მთელი გერმანელი ხალხისთვისაც. ამჟამად პროცესი შედის თავის ახალ ფაზაში:

სიტყვას იღებს დაცვის მხარე!..

ამ „საზეიმო“ სიტყვების შემდეგ, მაშინვე გაისმა საყვედური:

— ბრალდება და დაცვა არათანაბარ პირობებში არიან ჩაყენებული. ბრალდებას დაცვასთან შედარებით უფრო მეტი მოსამზადებელი დრო ჰქონდა. გარდა ამისა, პროცესი ტარდება ინგლისურ-ამერიკული პროცესუალური ნორმების მიხედვით, რისთვისაც უცხოა გერმანული სისხლის სამართლის ნორმები, განსაკუთრებით იმის შესახებ, რომ ბრალდების მხარე ვალდებულია მოიპოვოს და წარადგინოს ისეთი დოკუმენტებიც, რაც ბრალდებულთა სასარგებლოდ მეტყველებს...

აქ ლოურენსი იძულებული გახდა შეეჩერებინა დამცველი და განემარტა:

— დოქტორო შტამერ, მე მინდა გითხრათ, რომ განცხადება, რაც თქვენ ახლა გააკეთეთ, სრულიად უსაფუძვლოა. ეს პროცესი არ მიმდინარეობს ინგლისურ-ამერიკული პროცესუალური ნორმების მიხედვით. ინგლისში საერთოდ არ არსებობს სისხლის სამართლის სასამართლო პროცედურის კოდექსი, მაგრამ მთელ მსოფლიოში, ისე როგორც ამ პროცესზე, მიღებულია, ბრალდების მხარემ აცნობოს დაცვის მხარეს მის მიერ მოპოვებული ყველა დოკუმენტისა და არსებული მოწმეების შესახებ. ბრალდება განუხრელად იცავს ამ წესებს. ყველა, ან თითქმის ყველა, დოკუმენტი, რაც პროცესზე წარმოადგინა დაცვამ, მოპოვებულია ბრალდების მიერ, ამისათვის მთელ გერმანიაში ჩატარდა ძიება და, მე შემიძლია ვთქვა,

მთელ მსოფლიოშიც, რათა დახმარება გასწეოდა დაცვას თავისი პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად...

შტამერს ისღა დარჩა, ეთქვა:

— მე მადლობას მოგახსენებთ თქვენ ამ განმარტებისათვის, ბატონო თავმჯდომარე.

თავისთავად ეს „მადლობა" კარგი იყო, მაგრამ საქმე ის არის, რომ შტამერი შემდეგშიც ამგვარ ყალბ გზას გაჰყვა. იგი შეუდგა ლექციის კითხვას იმის თაობაზე, რომ ყოველგვარი საშინელი ბრალდება, რაც წარდგენილი აქვს განსასჯელს, განხილულ უნდა იქნეს ისტორიული პირობების მიხედვით...

— პირველად შუა საუკუნეების მქადაგებლებმა სცადეს, დაემორჩილებინათ ომი სამართლებრივი პრინციპებისთვის,— განაცხადა მან, — მანამ კი იგი ისეთივე ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდათ, როგორც ავადმყოფობა, ავდარი ან, თუნდაც, ღვთის ნების გამჟღავნება. თომა აქვინელმა პირველმა გაილაშქრა ამის წინააღმდეგ იმით, რომ ქრისტიანული თვალსაზრისით განასხვავა ერთმანეთისაგან სამართლიანი და უსამართლო ომები. შემდეგ ეს პრინციპი დაირღვა. გავიდა დრო და ჰუგო გროციმ სცადა ამ პრინციპის აღდგენა, მაგრამ ამაოდ. იგი სულ ჩაკვდა XVIII საუკუნეში. იქიდან მოყოლებული ბევრჯერ ცდილან ამ საკითხის მოგვარებას, მაგრამ სამართლის პრინციპების მიხედვით ვერ დადგინდა, რა არის სამართლიანი ომი და რა უსამართლო. არც საერთაშორისო სამართლის კოდექსებშია ამის შესახებ რამე გარკვევით ნათქვამი... შემდეგ შტამერმა განაცხადა:

— მე არ ვდავობ იმაზე, რომ ეს ტრიბუნალი შეიქმნა, მაგრამ გადაჭრით უნდა უარვყო მისი წესდების ის ნაწილი, სადაც არსებითად ახალი სამართლებრივი ნორმებია შექმნილი, რითაც სასჯელით ემუქრებიან მოქმედებას, რაც ჩადენის მომენტში არ იყო დანაშაულებრივად გამოცხადებული, თუნდაც მხოლოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით...

ეს იყო დაცვის მხარის საერთო და მთავარი თეზა: Nulla poena sine lege (არ არის დანაშაული. თუ ამის შესახებ არ წერია კანონში). ამის გამო რამდენჯერმე ოფიცია-

ლური პროტესტიც განაცხადეს დამცველებმა, რაც უარყოფილ იქნა ტრიბუნალის მიერ.

მართლაც რა გულუბრყვილობაა ეს! ნუთუ შტამერმა არ იცოდა, რომ დადებული ხელშეკრულებების დარღვევა, წინასწარ გამოუცხადებლად ომის დაწყება, საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფა და მილიონობით უდანაშაულო ადამიანების დახოცვა ისეთი დანაშაულია, რაც სასჯელს იმსახურებს? განა მთელი ომის მანძილზე მოკავშირეთა მთავრობები არ აფრთხილებდნენ მათ ამის შესახებ? მაგრამ ყოველივე ეს, თურმე, ყურად არ უნდა იღოს ტრიბუნალმა, რადგან, შტამერის აზრით, მოსამართლე პოლიტიკაში კი არ უნდა ჩაერიოს, მართლმსაჯულება უნდა განახორციელოს. აქ მოშველიებულ იქნა მონტესკიეს ავტორიტეტიც, რომელმაც განაცალკევა აბსოლუტური მონარქის მანამდე ერთიანი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და მართლმსაჯულებრივი ძალაუფლება.

აბა, ახლა წარმოიდგინეთ, რა საცოდავად გამოიყურებოდა მონტესკიეს ეს პრინციპი თვით ნაცისტურ გერმანიაში. სამაგიეროდ, საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი, გარდა მართლმსაჯულებისა, არც პოლიტიკას ქმნიდა და არც რამე ადმინისტრაციულ ძალაუფლებას ახორციელებდა. შტამერი კი სულ ასეთ საეჭვო, ზოგადისტორიულ ექსკურსებს აკეთებდა, რომ უბრალო რამ ეთქვა: მართალია, შემაძრწუნებელი დანაშაულებანია ჩადენილი, მაგრამ თქვენ მაინც არა გაქვთ მსჯავრდების უფლებაო.

აბა, ვინ დაიჯერებს ამას?! ან ვის შეეძლო ეთქვა, რომ ეს პროცესი იმეორებდა ნაცისტების სრულ თვითნებობას ამ საკითხში. განა ჯეკსონმა სწორად არ შენიშნა, ჩვენ ისეთ უფლებებს ვანიჭებთ ბრალდებულებს, რაც თვითონ არც ერთი მოქალაქისათვის არ მიუნიჭებიათო!..

ასეთივე ხასიათისა იყო შტამერის დავა ბრალდების ოთხი მთავარი პრინციპის პირველი მუხლის თაობაზე. შეგახსენებთ, რომ ეს მუხლია „შეთქმულება მშვიდობის წინააღმდეგ“, რაც თვითონ შტამერს ყველაზე მასშტაბურ და მთავარ ბრალდებად მიაჩნდა. იგი დიდხანს უტრიალებდა „შეთ-

ქმულების“ ცნების იურიდიულ მხარეს და, ბოლოს, განაცხადა:

— რას ნიშნავს შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ა? ეს არის შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ორ ან რამდენიმე პიროვნებას შორის, რათა მიღწეულ იქნეს უკანონო ან კანონიერი მიზანი, მაგრამ უკანონო საშუალებებით. შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა კი აშკარად გამოთქმულ თანხმობას ნიშნავს.

— მერედა, განა ყველაფერი ასე არ იყო? — იკითხავთ თქვენ. შტამერის აზრით, თურმე, არა.

— თუ რამდენიმე კაცი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთსა და იმავე მიზანს ისახავს, — „განმარტა“ მან, — ეს არ არის შეთქმულება. საკმარისი არ არის, როცა ერთსა და იმავე გეგმას ისახავენ, ისინი უნდა გაეცნონ ამ გეგმას და ყოველმა მათგანმა ნებით უნდა აღიაროს იგი თავისად.

ბრალდებულებიც ამიტომ აცხადებდნენ ასე ხშირად, ეს ჰიტლერის გეგმა იყო, მისი ბრძანება, ჩვენ კი გუნებაში არ ვეთანხმებოდით ამასო. შტამერიც კვერს უკრავდა მათ, ვისაც ა ი ძ უ ლ ე ბ ე ნ შეთქმულებაში მონაწილეობას, არ შეიძლება შეთქმულად ჩაითვალოსო.

გარდა ამისა, შტამერმა განაცხადა, რომ ეს პრინციპი სრულიად უცხოა გერმანული კანონმდებლობისათვის და ამიტომ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტრიბუნალის მიერო. თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ „მტკიცებას“. აქაოდა, ჩემს კანონში არ წერია აგრესიული ომებისა და მილიონობით ხალხის დახოცვის გამო პირადი პასუხისმგებლობის შესახებ, თქვენ როგორ გვასამართლებთ ასეთი რამისთვისო. ერთი სიტყვით, თუ ავაზაკების ბანდა დაგესხა თავს და გაგძარცვა, იმ ბანდის ცალკეული წევრი არ უნდა დასაჯო, რადგან დამნაშავეა არა პირადად ის, არამედ მთელი ბანდა.

ამაზე საკმაოდ უხეშად, მაგრამ მაინც სწორად თქვა ჯექსონმა:

— თუ სამი შეთქმული ყაჩაღიდან ერთი რომელიმე მოკლავს კაცს, პასუხს სამივე აგებს... განა ეს სადავოა? მაგრამ,

რას იზამთ, შტამერი დაობს და ტრიბუნალი იძულებულია მოუსმინოს. ის კი ასე მსჯელობს:

— მაშასადამე, ბრალდებული, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ებრაელების გაჟლეტასთან, იმისათვის უნდა დაისაჯოს, რომ ადამიანურობის მიმართ შეთქმულების მონაწილეა?!

რა თქმა უნდა! თუ ჰიტლერი, გერინგი, ჰიმლერი, რიბენტროპი, როზენბერგი, შტრაიხერი და სხვები შეთანხმდნენ, რომ ევროპაში ებრაელები მოსპონ, როგორც რასა და ეს საქმე ჰიმლერსა და მის ქვეშევრდომებს მიანდეს, თვითონ ისინი არ აგებენ ამაზე პასუხს?! ხომ გახსოვთ, რომ გიამბეთ, ჰიმლერი როგორ შეშფოთებული დაბრუნდა თათბირიდან, რომელსაც გერინგიც ესწრებოდა და სასოწარკვეთილად თქვა, მეტი აღარ შემიძლია, მოვიქანცე, ახლა კი ჰიტლერმა ექვსი მილიონი ებრაელის მოსპობა დამავალაო...

განა ამაში ჰიტლერი და გერინგი არ არიან დამნაშავენი? ასე ხომ თვითონ ჰიმლერიც უდანაშაულო გამოვა. თავის მხრივ, მან ხომ ეს ჰაიდრიხსა და აიხმანს დაავალა, ჰაიდრიხმა — ჰოსს და ასე შემდეგ... მაშ, ვინ არის დამნაშავე? ზემოდან ამბობენ: პირადად ჩვენ არ დაგვიხოციაო, ქვემოდან: იმათ გვიბრძანეს და დაგვახოცინესო. ასე რომ მივყვეთ, დანაშაულის თავსა და ბოლოს ვერავინ იპოვის. მერედა, რა საჭიროა ეს?! განა უფრო ნათელი არ არის დებულება: ვინც უბრძანა და ვინც შეასრულა, ორივე დამნაშავეა. ყველას თავისი უნდა მიეზღოს: კეისრისა — კეისარს, ხოლო ჯალათისა — ჯალათს...

მახსოვს, ეტიენმა მითხრა:

— ასეა, კოლეგა, ბოროტება ყოველთვის „სხვისი ხელებით“ კეთდება. ღმერთს სოდომი თვითონ კი არ დაუნგრევია, ორ ანგელოზს დაავალა ეს. არც აქავას გაუნადგურებია ნაბუთეს ოჯახი, ესეც სხვამ, მისმა მეუღლემ იეზაბელმა გააკეთა მისი შეგონებით. განა ფაუსტმაც მეფისტოფელს არ დაავალა ბავკიდეს და ფილემონის მოშორება? თვით მეფისტოფელმაც კი სხვას — სამ ძლიერს უხმო ამის შესასრულებლად. პირადად არც ჰიტლერი იყო მკვლელი, მაგრამ მილიონობით ადამიანების დახოცვის პასუხისმგებლობა მაინც მას აკისრია...

პირადი პასუხისმგებლობის საკითხი რომ დადგა, შტამერი ისევ სოფისტიკაში ჩავარდა.

— თუ ასეთი შეთქმულება არსებობდა, — თქვა მან, — მისი მეთაური იყო ჰიტლერი, იგი დიქტატორის უფლებებით სარგებლობდა. დიქტატურა კი თავისი ბუნებითა და ხასიათით ეწინააღმდეგება შეთქმულების ცნების არსს.

შტამერის აზრით, ეს სასაცილოა, იმდენად სასაცილო, რომ ხუმრობის ხასიათზე დადგა და თქვა:

— ჰიტლერი, ალბათ, სიცილით მოკვდებოდა, მისთვის რომ ეთქვათ, შენს მინისტრებთან, პარტიის ლიდერებთან, გენერლებთან ერთად შეთქმულება გქონდა მოწყობილი ამა თუ იმ ომის ასეთი თუ ისეთი საშუალებით წარმოების შესახებო...

მერედა, ეს მართლა სასაცილოა? ჰიტლერი ხომ ყველა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხზე ეთათბირებოდა თავის პალადინებს. ამ თათბირების ოქმები წარდგენილ იქნა პროცესზე. განა, ცოტა მინისტრმა თუ გენერალმა თქვა უარი ამ სახიფათო შეთქმულებაში მონაწილეობაზე? მერე, რა მოუვიდათ მათ? არაფერი! მართალია, მაღალი თანამდებობიდან გადააყენეს, მაგრამ სხვა მხრივ ხელი არავისთვის უხლიათ... აკი თვით ბრალდებულები ამბობდნენ, ვეწინააღმდეგებოდით ჰიტლერსო. გერინგმა ისიც თქვა, — ყოველგვარ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებო. მაშ, ვინ არის მართალი? გერინგი თუ მისი დამცველი? ცხადია, გერინგი! ამიტომაც განაცხადა, მე ყურსაც არ ვუგდებ, რას ლაპარაკობს ჩემი დამცველიო. ან რად უნდოდა ეს, როცა თვითონ 15 საათი ილაპარაკა თავის დასაცავად?

სხვისი არ ვიცი და, შტამერის პოზიცია კი, მართლაც, სასაცილო იყო. ამას, მგონი, თვითონაც გრძნობდა და ამიტომაც უთხრა ჯილბერტს:

— მე დაგიხასიათებთ გერინგს, მომისმინეთ, ეს თქვენთვის ფსიქოლოგიურად საინტერესო იქნება.

შტამერმა, რა თქმა უნდა, „დაუხასიათა“ მას გერინგის

„კარგი მხარეები“ და ჰკითხა, როგორ მოგეწონათ ჩემი დახასიათებაო.

ამაზე ჯილბერტმა უპასუხა:

— ყოველივე ეს მხოლოდ ერთი მხარეა, მაგრამ გერინგს აქვს მეორე მხარეც, რაც საშინელია...

— ო, რა თქმა უნდა, — დაეთანხმა მას შტამერი, — მაგრამ ამაზე ბრალმდებლებმა ილაპარაკონ.

თვითონ კი ვითომ ამართლებდა გერინგს. რითი? მისი ლოგიკით, გერინგი პირველი კაცი კი არ იყო სახელმწიფოში, არამედ მეორე; დიქტატორულ სახელმწიფოში კი ყოველგვარი პასუხისმგებლობა მთლიანად პირველ კაცს ეკისრება და არა მეორესო.

ასე რომ იყოს, ჰესის დამცველი იტყვის, ჰესი ცოცხლად დარჩენილთაგან მესამე კაცი იყოო, რიბენტროპი— მეოთხე, კაიტელი — მეხუთე და ა. შ. ამგვარ ლოგიკას რომ მიჰყვეს კაცი, ნეტავი, რუდოლფ ჰოსი მერამდენე კაცი იქნებოდა, რომელმაც აღიარა — ორმილიონნახევარი ადამიანის დახოცვაში მიმიძღვის ბრალიო... იმანაც ხომ ბრალდებულებისაკენ გაიშვირა ხელი და დაუმატა, აი ამათ გამაკეთებინეს ესო. შტამერის ლოგიკით კი, გერინგი დამნაშავედ კი არა, სულ მამა აბრამის ბატკნად უნდა დავსახოთ!..

...მე იმის შესახებაც მოგიყევით, მოწმედ გამოძახებულმა ყოფილმა ფელდმარშალმა მილჰმა რომ თქვა, გერინგი საერთოდ ომის წინააღმდეგი იყოო და მთელმა დარბაზმა სიცილი ვერ შეიკავა. უკმაყოფილო გერინგმა კი ჩაილაპარაკა, შეხედეთ, როგორ გამამასხარავა იმ ღორმაო...

შტამერმა მილჰის ის ჩვენება საბუთად მოიტანა და ამტკიცებდა, გერინგი ყოველთვის ომის წინააღმდეგი იყოო. გარდა მილჰისა, მან წინასწარ მოამზადა გენერალი ბოდენშაცი, დაარიგა, რა უნდა ეთქვა პროცესზე, მაგრამ გაუგეს და გამოააშკარავეს. როცა ბოდენშაცი მოწმის პულტთან დადგა და გაზეპირებული ფრაზები წარმოთქვა:

— გერინგი ყოველთვის ომის წინააღმდეგი იყო, იგი

სულ იმას მეუბნებოდა, სადავო საკითხები ისე უნდა მოვაგვაროთ, ომამდე არ მივიყვანოთ საქმეო...

ჯვარედინ დაკითხვაში ჯეკსონი ჩაერია.

ჯ ე კ ს ო ნ ი: თქვენ რამდენჯერმე მიიღეთ კონსულტაცია შტამერისაგან, რომელმაც აქ დაგკითხათ, ასეა, არა?

ბ ო დ ე ნ შ ა ც ი: დიახ, მე წინასწარ ვესაუბრე დოქტორ შტამერს, რომელმაც ახლა კითხვები მომცა.

ჯ ე კ ს ო ნ ი: ეს კითხვებიც მაშინ გადმოგეცათ, რომ პასუხები მოგემზადებინათ, არა?

ბ ო დ ე ნ შ ა ც ი: დიახ. ეს კითხვები მე წინასწარ გადმომცეს და შემეძლო პასუხები მომემზადებინა.

ასე აურია ჯეკსონმა შტამერს ჩაწყობილი კარტები. ბოდენშაცი კი ისე გამოიჭირა, რომ მის აბნეულ-დაბნეულ პასუხებზე დარბაზი სიცილს ვერ იკავებდა.

ჯ ე კ ს ო ნ ი: იყავით თუ არა თქვენ იმ თათბირზე?

ბ ო დ ე ნ შ ა ც ი: ვიყავი თუ არა, არ მახსოვს, მაგრამ თუ ოქმში წერია, რომ ვიყავი, ე. ი. ვიყავი.

ჯ ე კ ს ო ნ ი: თქვით თუ არა ეს?

ბ ო დ ე ნ შ ა ც ი: ვთქვი თუ არა, არ მახსოვს, მაგრამ თუ კი ოქმში წერია, რომ ვთქვი, ე. ი. ვთქვი.

ჯ ე კ ს ო ნ ი: ეს თქვენი ჩანაწერებია?

ბ ო დ ე ნ შ ა ც ი: დიახ, ასეა.

ჯ ე კ ს ო ნ ი: თქვენ დაწერეთ თუ არა ეს წინადადება?

ბ ო დ ე ნ შ ა ც ი: დავწერე თუ არა, არ მახსოვს, მაგრამ თუ წერია, ე. ი. დამიწერია...

...მერე ბოდენშაცმა ერთხელ კიდევ გაიმეორა დაზეპირებული ფრაზები, რომ გერინგი აგრესიული ომების წინააღმდეგი იყო, რაზედაც დარბაზში ისევ სიცილი ატყდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ამაში სიმართლის მარცვალიც არის... რა თქმა უნდა, გერინგს კი არა, ჰიტლერსაც არ უნდოდა ომი, თუკი ყველაფერს დაუთმობდნენ, რასაც ისინი მოითხოვდნენ...

ეს ისე ნათელი საკითხია, რომ ამაზე არც ღირს სიტყვის

გაგრძელება. არც იმაზე, იცოდა თუ არა გერინგმა ებრაელების დახოცვის ამბავი. ბრალდებამ ტრიბუნალს წარუდგინა ოცი დოკუმენტი ებრაელების წინააღმდეგ. ოცივეს პირადად გერინგი აწერდა ხელს. იგი თვითონ ატარებდა თათბირებს ამ ბრძანებათა განსახორციელებლად და, მართლაც, რა საკითხავია, იცოდა თუ არა ყოველივე ეს, თუნდაც მეორე კაცმა იმპერიაში. მე ისიც პარადოქსად მიმაჩნია, თავისი სიტყვის დასასრულს გერინგის დასახასიათებლად შტამერმა ჰენდერსონის სიტყვები რომ გაიმეორა:

— გერინგი თავისი ბატონის სრულყოფილი მსახური იყო. მე არასოდეს შემხვედრია ერთგულების ისეთი შემთხვევა, როგორც გერინგისა ჰიტლერის მიმართ! იგი ყველას აღიარებით იყო მეორე კაცი იმპერიაში და ჰიტლერის, როგორც ფიურერის, ბუნებრივი მომაგიერე. გერინგი ყოველთვის ხაზს უსვამდა ამას ჩემთან საუბრის დროს. ეს საერთოდ ასეა. ადამიანები, რომელთაც მეორე ადგილი უჭირავთ, ხშირად უსვამენ ხაზს თავიანთ მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, ყველა გულღია საუბრის დროს იგი არ ლაპარაკობდა თავის თავზე და იმ დიდ როლზე, რაც მან ითამაშა ნაცისტურ რევოლუციაში. ყველაფერი გააკეთა ჰიტლერმა, ყველას ერთგულება იყო ერგულება ჰიტლერისადმი, ყველა გადაწყვეტილება ეკუთვნოდა ჰიტლერს, თვითონ კი მასთან შედარებით არარაობა იყო...

ეს რომ შტამერს გერინგის დიდების ზენიტის დროს ეთქვა, დარწმუნებული ვარ, მარტო ამ ერთი სიტყვის — „არარაობის“ თქმის გამო წააცლიდა თავს. ახლა კი, ამ ძნელბედობის დროს, სიტყვა ასე დაამთავრა:

— ეს დახასიათება ახლაც ინარჩუნებს სიმართლის ძალას. მაგრამ ეს სიმართლე საბედისწეროდ იქცა მისთვის...

ცრუ მოციქული...

ჰესის დამცველმა ზაიდლმაც შორიდან დაიწყო:

— ბატონო თავმჯდომარე, ბატონო მოსამართლენო! რო-

ცა 1918 წელს გერმანულმა არმიამ დაყარა იარაღი, იგი ასე იმიტომ მოიქცა, რომ მიენდო პრეზიდენტ ვილსონის არა ერთ დაპირებას, რაც მან 1918 წელს გამოთქვა...

ლოურენსი ამ შემთხვევაში იძულებული გახდა, სიტყვა ჩამოერთვა მისთვის და ეთქვა:

— მე უნდა გითხრათ თქვენ, დოქტორო ზაიდლ, რომ ტრიბუნალს არ სურს მოგისმინოთ საკითხებზე, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს ჰესისა და სხვა ბრალდებულთა მიმართ წამოყენებულ ბრალდებებთან. თუ არ შეგიძლიათ ეხლავე გარდაქმნათ თქვენი სიტყვა, ჩვენ მოგცემთ საშუალებას, გააკეთოთ ეს აუჩქარებლად და შემდეგ გამოხვიდეთ...

ზაიდლმა გადაწყვიტა განეგრძო სიტყვა და თუ პირველად 1918 წლით დაიწყო, ახლა ერთი წლით აქეთ გადმოინაცვლა:

— როცა 1919 წელს გერმანელმა ხალხმა და ა. შ.

ლოურენსმა ამ შემთხვევაში წაყრუება არჩია. მერე იგივე „ლოგიკა“: გერინგი თუ მეორე კაცი იყო და ჰესი მესამე, ცხადია, ამ უკანასკნელმა უფრო ნაკლები იცოდა, ვიდრე სხვამ, რადგან ომის დროს ინგლისის ტყვეობაში იყო. რაც შეეხება ადრინდელ ამბებს, აქაც უდანაშაულოა, რადგან იგი პარტიის საქმეებს განაგებდა და არა სახელმწიფოს. ზაიდლი ამას ისე ამბობდა, თითქოს ჰიტლერის დროს პარტია სახელმწიფოზე მაღლა არ მდგარიყო. თანაც, საოცარი მოსაზრება იქნა გამოთქმული, აქაოდა, ბრალდებას არ წარმოუდგენია არც ერთი საბუთი, რომელიც ამტკიცებდეს თანამშრომლობას იმპერიის მთავრობას, პარტიულ ხელმძღვანელობასა და სამხედრო სამინისტროს შორისო... ნუთუ ამასაც რამე საბუთი უნდოდა?! ან მაშინ, როცა ნაციონალ-სოციალისტური პარტია დანაშაულებრივ ორგანიზაციადაა გამოცხადებული, მისი უმაღლესი ხელმძღვანელი და ჰიტლერის მოადგილე — უდანაშაულოა? თუმცა მარტო ასეთი „დიდი სახელმწიფოებრივი საქმეები“ როდი ბრალდებოდა ჰესს. ბრალდებამ ტრიბუნალს წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური წერილი იმპერიის კანცელარიის უფრო-

სისადმი, სადაც ლაპარაკია ჰესის წინადადებაზე ფიზიკური დასჯის შემოღების შესახებ. ამ საბუთის გასაბათილებლად ზაიდლმა თქვა, ასეთ დიდ სახელმწიფო მოღვაწეს ამგვარი „წვრილმანი" საკითხისათვის სად ეცლებოდაო. გერინგი ჰესზე უფრო დიდი კაცი იყო, მაგრამ ინსტრუქცია შეადგინა იმის შესახებ, რომ ნაჯახით თავის მოკვეთის დროს დასასჯელი პირქვე კი არა, პირაღმა დაეწვინათ, რათა მოქნეული ნაჯახისთვის თვალი შეევლო. ჰიტლერი ხომ ორივეზე დიდი კაცი იყო, მაგრამ იმისთვის მოიცალა, რომ მითითებები მისცა, 20 ივლისის შეთქმულების მონაწილენი როგორ ჩამოეკიდათ ჩანგლებზე... „სად მოიცლიდაო" რა საბუთია! ან თუნდაც ჰესის „მშვიდობის მისიით" ინგლისში გაფრენის საკითხის დასადასტურებლად ჰერცოგ ჰამილტონისადმი მიმართული ჰესისავე სიტყვები რომ გაიხსენა:

— მე ჩამოვედი მისიით, რაც მიზნად ისახავს კაცობრიობის ინტერესების დაცვას.

ზაიდლი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ჰესი ინგლისში გაფრენას ჯერ კიდევ 1940 წელს აპირებდა, როცა მან არაფერი იცოდა, აღმოსავლეთთან ომს თუ ამზადებდა ჰიტლერიო.

უფრო საოცარი ის არის, რომ აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანებიც, სამუდამო პატიმრობამისჯილი ჰესი „მშვიდობის დაცვის" ნობელის პრემიაზე რომ წარადგინეს...

ზაიდლის აზრით, ჰესის ამგვარ მოქმედებას, იურიდიული თვალსაზრისით, არაფერი აქვს საერთო „შეთქმულების" ცნებასთან. იმაზე კი არაფერი უთქვამს, ეს „მისიაც" რომ შეთქმულების ნაწილი იყო. ჰესმა ხომ თვითონ გაამხილა ნიურნბერგის ციხეში, ინგლისში ჰიტლერის დავალებით გავფრინდიო...

...რაც შეეხება რიბენტროპს, თუ მის დამცველ ჰორნს ჰკითხავთ, მიუხედავად იმისა, რომ მისი დასაცავი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, მას საერთოდ არაფერი სცოდნია საგარეო პოლიტიკის შესახებ, რადგან ყველა საქმეს, თურმე, პირადად ჰიტლერი წყვეტდა. რიბენტროპიც ამას იმეორებდა:

— ჰიტლერი მე არაფერს მეკითხებოდა. იგი ელჩების წერილებსაც არ კითხულობდა, ისე ყრიდა ყუთში. აღმოსავლეთის კომპანიის წინ შულენბურგი 20 წუთით მიიღო, მაგრამ ხმაც არ ამოაღებინა, ისე გაისტუმრა. სულ იმას ამბობდა, ვიდრე ომს დავამთავრებდე, დიპლომატებმა თავი დამანებონო...

ჰორნს, მგონი, დაავიწყდა მისივე ნათქვამი. ჰიტლერმა რომ რიბენტროპი დანიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე, სთხოვა დახმარებოდა მას ავსტრიის, სუდეტის ოლქის, პოლონეთის კორიდორისა და დანცინგის საკითხების გადაწყვეტაში. სხვა რომ არაფერი, ესეც საკმარისი იყო. ან ეს „ყველაფრის უცოდინარობა“ რანაირად ეგუებოდა ყველასთვის ცნობილ ფაქტს, რომ ჰიტლერმა მას „მეორე ბისმარკი“ უწოდა. თვითონ რიბენტროპი კი ამასაც აღარ დასჯერდა და ნაპოლეონის სახელს წაეპოტინა. საბრალდებო სკამზეც „დიდი კორსიკელის“ პოზაში იჯდა, გულხელდაკრეფილი...

ჰორნმა მის დასაცავად „საქმეების“ 9 უზარმაზარი ტომი გამოიტანა. თავმობეზრებულმა ლოურენსმა რამდენჯერმე შეაწყვეტინა, ამდენს ნუ კითხულობთო. ჰორნმა მას ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ ამით თავისი კლიენტის საქმე ოდნავადაც არ შეუმსუბუქებია...

უმისამართო სიმართლე...

კაიტელის დამცველმა ნელტემ თავისი გამოსვლა ჯექსონის მიერ წარმოთქმული სიტყვებით დაიწყო:

— ჩვენ ისე უნდა მივუდგეთ ამ ამოცანას, ისეთი გონივრულობით და სულიერი მოუსყიდველობით განვსაჯოთ ყველაფერი, რომ მომავალში ეს პროცესი გამოიყურებოდეს, როგორც ადამიანის ოცნების განხორციელება სამართლის შესახებ.

აბა, ამის საწინააღმდეგო ვის რა ექნებოდა, ან იმავე ნელტეს სიტყვებისა, რომ ამ პროცესის ლაიტმოტივი შ ე წ ყ ა ლ ე-

ბ ა კი არ უნდა იყოს, არამედ ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ა, რაც სრულიადაც არ ნიშნავს სისუსტეს. ის, რაც მოხდა და ბრალდების ობიექტს წარმოადგენს, არ შეიძლება ვინმეს ეპატიოს. მე მხოლოდ ვცდი, ანალიზი გავუკეთო საქმეთა ვითარებას. უბედურება, მწუხარება, რაც მთელ კაცობრიობას დაატყდა, ისე დიდია, რომ ამის სიტყვებით გამოთქმა არ შეიძლება. გერმანელი ხალხი, მას შემდეგ რაც გაიგო, თუ როგორ კატასტროფაში ჩააგდო უამრავი ადამიანი, ძრწოლითაა აღსავსე. ჩვენმა ხალხმა იცის, რას ნიშნავს უბედურება. იგი ისეა დამსხვრეული, როგორც არც ერთი სხვა ხალხი და არა მარტო სამხედრო თვალსაზრისით, არამედ საშინელი საჰაერო თავდასხმებით, მილიონობით ახლგაზრდების დაკარგვით, რომელნიც სამუდამოდ დარჩნენ ბრძოლის ველზე. ასე რომ, ჩვენ ვიცით. რა არის უბედურება, ჩვენ ვიცით, რა არის ტანჯვა...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რა კავშირი აქვს ამას მთავარ სამხედრო დამნაშავე კაიტელთან, რომელიც უკვე თვითონაც არ იცავდა თავს და მხოლოდ შ ე წ ყ ა ლ ე ბ ი ს იმედი ჰქონდა. სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგაც ხომ ეს თქვა, მე მეგონა, მაპატიებდნენო...

არ აპატიეს, რადგან, საზოგადოებრივი აზრის თვალსაზრისით, ეს იქნებოდა იმ მილიონთა ხსოვნის შეურაცხყოფა, ვინც სწორედ კაიტელის არაადამიანური ბრძანებების შედეგად დაიღუპა.

რაც შეეხება გერმანელ ხალხს, იგი არ საჭიროებდა ნელტეს დაცვას. პროცესზე ბრალმდებელთაგან არავის უთქვამს, მთელი გერმანელი ხალხია დამნაშავეო. ამას, როგორც იცით, მხოლოდ ზოგიერთი ბრალდებული ამბობდა. ნელტე კი მაინც ისროდა ჰაერში მართებულ, მაგრამ უმისამართო სიტყვებს:

— სხვა ხალხებს შეუძლიათ ეს საშინელებანი უკვე ისტორიად ჩათვალონ და ნორმალური ცხოვრების აღდგენას შეუდგნენ; გერმანელი ხალხის თავზე კი ჯერაც უიმედობის წყვდიადია. თუ ტრიბუნალი აღიარებს გერმანელი ხალხის დანაშაულს, ეს უიმედობა მარადიული გახდება. გერმანელი ხალხი არ ელის გამართლებას. იგი არ ელის, რომ ყველა-

ფერს, რაც მოხდა, შეიძლება მოყვასისადმი ქრისტიანული სიყვარულისა და დავიწყების სუდარა გადააფაროს. გერმანელი ხალხი მზადაა, ზიდოს ყოველგვარი შედეგის სიმძიმე, მაგრამ უნდა იმედიც ჰქონდეს, რომ არც დანარჩენი კაცობრიობის სიძულვილი იქნება მარადიული...

მართალია, ნელტესთვის არავის დაუვალებია გერმანელი ხალხის სახელით ლაპარაკი, მაგრამ რაც თქვა, მაინც სწორია. მერე კი „თავისი პროფესიის სიმაღლიდან“ ისიც დანაშაულებათა გამართლების დაღმართზე დაეშვა და ამტკიცებდა, რომ „ფიურერ-პრინციპი“, თავისთავად, გამორიცხავს სხვის დანაშაულს, მით უმეტეს, სამხედროსი, რომელიც სინდისის კი არა, უფროსის კარნახით მოქმედებს. ამიტომაც ამბობდნენ, ფიცი გვქონდა ჰიტლერისთვის მიცემული, ხოლო ფიცის გატეხა „ყველაზე დიდი დანაშაულიაო.

— უგუნურები! — წამოიძახა ბოლოს ნელტემ, — ჰიტლერს რომ ფიცს აძლევდნენ, ის არ ერჩიათ, შექსპირის სიტყვებს დაკვირვებოდნენ:

— დანაშაულებრივი ფიცის მიცემა მძიმე დანაშაულია, მაგრამ უფრო მძიმეა დანაშაულებრივი ფიცის დაცვა...

ნელტეს აზრით, ფელდმარშალი კაიტელიც ერთი „პატარა კაცი“ იყო, რომელიც ომის შემდეგ მოხვდა განათებულ ავანსცენაზე, უმთავრესად იმიტომ, რომ კაპიტულაციას მოაწერა ხელი. ისე, კაიტელს, რომელიც პოლკოვნიკის სამხედრო წოდებიდან ჰიტლერმა ფელდმარშლის წოდებამდე აამაღლა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის (OKW) უფროსად დანიშნა, თურმე, სამხედრო-ტექნიკურ საკითხებზე კონსულტაციების გარდა არაფერი ევალებოდა. თვითონ კაიტელმა განაცხადა, მე არავითარი საკომანდო თანამდებობა არ მეჭირაო და დაუმატა:

— ო, რა ძნელი იყო ჰიტლერთან საკუთარი თვალსაზრისის დაცვა. პირს რომ დააღებდით, სიტყვას ჩამოგართმევდათ და „თქვენს აზრს“ თვითონ დაამთავრებდა ისე, როგორც უნდოდა.

მართალია, ნელტემ განაცხადა, რასაც აქ ვამბობ, ყველა-

ფერი კაიტელთან მაქვს შეთანხმებულიო, მაგრამ კაიტელმა ხომ აღიარა, ჩემი დანაშაული ის არის, რომ დროზე ვერ შევიგნე, მორჩილებასაც რომ აქვს თავისი საზღვარიო. ნელტე ამტკიცებდა, ამა და ამ ბრძანებებს კაიტელი არ იცნობდაო. თვითონ კაიტელი კი აღიარებდა, ვიცნობდიო. მეტიც: ამ ბრძანებებს ჰიტლერის მითითებით მე ვადგენდი და ხელს ვაწერდი ისე, რომ მათ საშინელ შედეგებზე არც ვფიქრობდიო...

გაგიგონიათ ასეთი თავის მართლება?! ხელი მოაწერო ბრძანებებს, რასაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება, და არ ინებო, თუნდაც ერთი წუთი დაფიქრდე ამაზე!..

ნუთუ ეს არის განმარტება, რომელიც ტრიბუნალს შეიძლება მხედველობაში მიეღო! ან ნელტეს განცხადება, რომ ეფიქრა, გადადგებოდა და გათავისუფლდებოდა სინდისის ქენჯნისაგანო. შემდეგ კი დაუმატა:

— ბრალდებული კაიტელი ყურს არ უგდებდა მსოფლიო სინდისის გამაფრთხილებელ ხმებს. ცხოვრების ჯარისკაცურმა პრინციპებმა ისე შებოჭა მისი აზროვნება და მოქმედება, რომ იგი ყრუ იყო ყოველგვარი მოსაზრებისადმი, რომელსაც შეეძლო, გადაეყვანა იგი მორჩილებისა და ერთგულების გზიდან.

მერე ხომ თვითონ ნელტეს შესთავაზა, განთავისუფლებ ამ მძიმე მოვალეობისაგან, რადგან ჩემი ღირსება შელახულიაო და ისე შერცხვა თავისი თავის, რომ საკუთარ მეუღლესთან შეხვედრაზეც უარი თქვა, მე მას თვალებში ვერ ჩავხედავო.

აბა, ამის შემდეგ რა ფასი ჰქონდა ნელტეს მჭევრმეტყველებას!

უცოდველი კრავი...

თუმცა ეს რაა! საკვირველი ის არის, რომ, თურმე, კალტენბრუნერის დაცვაც შესაძლებელი ყოფილა და ისიც

მაღალფარდოვანი სიტყვებით. 1943 წლამდე იგი, თურმე, სულ უცნობი კაცი იყო. მხოლოდ „იმ ურჩხულ“ ჰაიდრიხის სიკვდილის შემდეგ გახდა ცნობილი. კი მაგრამ, „ურჩხულის“ ადგილას ეს „უცოდველი კრავი“ როგორ დაინიშნა? ან რატომ შეარქვეს მას „მეორე ჰაიდრიხი“. „კრავი“ კი არა, მოწმედ გამოძახებულმა გიზევიუსმა განაცხადა:

— ჩვენ ვეკითხებოდით თავს: თუ შეიძლება არსებობდეს უფრო სასტიკი ადამიანი, უფრო მეტად ვერაგი, ვიდრე ჰაიდრიხი იყო... გამოჩნდა კალტენბრუნერი და მდგომარეობა უფრო გაუარესდა. მერე ეჭვიც გამოითქვა: ნუთუ ერთ კაცს შეუძლია ამდენი ბოროტების არამცთუ ჩადენა, არამედ წარმოდგენა? ეს მის დამცველ კაუფმანსაც უჭირდა, მაგრამ მაინც ათასნაირად იგრიხებოდა:

— მე მესმის, რომ სისხლისა და ცრემლების ზღვასთან მდგარი, — თქვა მან, — არ უნდა ვლაპარაკობდე ამ კაცის ხასიათსა და სულიერ მდგომარეობაზე, მაგრამ რა ვქნა, მე დამცველი ვარ... იგი არ არის „ბოროტი სულის ნაშიერი“, არ არის „პატარა ჰიმლერი“, „მეორე ჰაიდრიხი“... ვიცი, რომ იგი ხელმძღვანელობდა სამმართველოს, რომლის შემაძრწუნებელ საქმეებზე ქვებიც კი ღაღადებენ. საკონცენტრაციო ბანაკების ხსენებაზეც უნებლიეთ გვაგონდება დანტე, მაგრამ კალტენბრუნერს ესმოდა, რომ ეს საშინელება იყო...

კაუფმანი ცდილობდა, ცოდვები სულ ჰიმლერისათვის მიეწერა:

— ვაგლახ! ჭეშმარიტად მილიონებია დახოცილი, მაგრამ ყველაფერი ეს ჰიმლერის საქმეაო, — წამოიძახა მან. შემდეგ „დაცვის“ უცნაური მოტივიც წამოაყენა:

— თუ დამნაშავეს არ შეუძლია იმოქმედოს თავისუფლად იმის გამო, რომ ვიღაც სხვა ართმევს ამის უფლებას სიცოცხლისადმი მუქარით, მაშინ, პრინციპში, ყოველგვარი დანაშაული იხსნება... ე. ი. კალტენბრუნერის დასჯა არ შეიძლება, რადგან მას ეშინოდა ჰიმლერის. ის კი არა, კაუფმანმა აქ ისე შეტოპა, რომ ეს „დიდი ინკვიზიტორი“ თავისუფლების პოტენციურ მებრძოლად გამოაცხადა:

— მე ვიცი, — თქვა მან, — კალტენბრუნერს უნდა, ხელახლა დაიბადოს და, ეს რომ შესაძლებელი იყოს, ალბათ, ისიც იბრძოლებდა თავისუფლებისათვის...

თქვენ გგონიათ, თვითონ კალტენბრუნერიც ასეთ „უწყინარ კრავად“ ან „თავისუფლებისათვის მებრძოლად“ სახავდა თავის თავს? სრულიადაც არა. ბრალმდებელი შეეკითხა მას:

— ნათელია თუ არა თქვენთვის, რომ თქვენს წინააღმდეგ წამოყენებულია სრულიად განსაკუთრებული ბრალდება? და მან ჩამოთვალა ისეთი შემაძრწუნებელი დანაშაულებანი, რომ ყოველი მათგანის მოსმენა ჟრჟოლას ჰგვრიდა მსმენელებს.

— დასასრულ, ბრალდება თქვენს სახელს აკავშირებს გესტაპოს ტერორთან და საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებებთან, — განაგრძო მან, — მე გეკითხებით თქვენ: გრძნობთ თუ არა თავს პასუხისმგებლად ასე ფართედ წარმოდგენილ და თქვენთვის კარგად ცნობილ ბრალდებებში?

ამაზე კალტენბრუნერმა უპასუხა:

— უწინარეს ყოვლისა, უნდა განვუცხადო სასამართლოს, რომ მთლიანად შეგნებული მაქვს ჩემდამი წარდგენილი ბრალდების სიმძიმე. ვიცი, რომ მთელი მსოფლიო ზიზღით მიყურებს, მით უმეტეს, რომ ჰიმლერი, მიულერი და პოლიცოცხლები აღარ არიან და მე ერთმა უნდა ვაგო პასუხი მსოფლიოსა და ამ სამსჯავროს წინაშე... თუმცა ჩემთვისაც ბევრი რამ უცნობი იყო. აქ დენიცმა გადაულაპარაკა შირახს:

— ამას რცხვენია თავისი თავის...

ზაუკელი კი ვითომ აღშფოთდა:

— ახ, შე სატანა, შე ღორო, შენა...

სხვებმა ცოტა შეარბილეს ეს „ზიზღი“.

— რაც არ უნდა იყოს, ჰაიდრიხივით ცუდი მაინც არ ყოფილაო.

მაინც რა გასამართლებელი ან თუნდაც სასჯელის შემამსუბუქებელი მოტივების მოყვანა შეეძლო მის დამცველს დოქტორ კაუფმანს! როგორ უნდა გაემართლებინა ადამიანი,

რომელმაც თავისი თავი „ძაღლის მძორს“ შეადარა და იცოდა, რომ მთელ კაცობრიობას ეზიზღებოდა! იქნებ კაუფმანმა თვითონ წარმოიდგინა თავისი თავი ქრისტედ და სხვებსაც ურჩევდა, გვერდი კი არ აევლოთ, არამედ გემო გაესინჯათ „ამ მძორისათვის“.

ვისაც მტკიცების არგუმენტები აკლია, მჭევრმეტყველებას აწვება. კაუფმანიც ასე მოიქცა. მან ისეთი მაღალფარდოვანი სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა, გეგონებოდათ, რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი უნდა აუწყოს საზოგადოებასო.

—ევროპის ცივილიზაცია ჰგავს დამსხვრეულ გემს, — თქვა მან, — რომლის ნაფოტებს აქეთ-იქით ახეთქებენ ზღვის მძვინვარე ტალღები...

ლოურენსმა, რომელსაც კაუფმანის გამოსვლის ტექსტი წინ ედო, სათვალის ზემოთ ახედა კაუფმანს და უთხრა:

— მე ვფიქრობ, უმჯობესია, თქვენი სიტყვის კითხვა დაიწყოთ მეცამეტე გვერდიდან...

ეს იწყინა კაუფმანმა, პროტესტიც განაცხადა და თავისი გაიტანა.

— ჰიტლერი მეტეორივით კი არ გამოჩენილა, — განაგრძო მან, — რომ ეს არაკანონზომიერად და მოულოდნელად მივიჩნიოთ. იგი ათეისტურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის შედეგია. ან, თქვენ გგონიათ, ნაციონალ-სოციალიზმის შემუსვრით დამთავრდა ყველაფერი? არა, კრიზისი გრძელდება, მშვიდობა არსად არ არის. მაკარტურმა რომ იაპონიის კაპიტულაციას მოაწერა ხელი, თქვა:

— თუ რამ უფრო ეფექტური სისტემა არ მოვიგონეთ, სიკვდილი ისევ კარს მოგვადგება...

— ეს პრობლემა საფუძველშივე თეოლოგიურია, — განაგრძო კაუფმანმა, მაგრამ ლოურენსმა ისევ შეაწყვეტინა ლექციის კითხვა, საჭირო არ არისო. კაუფმანმა არც ამას მიაქცია ყურადღება და თავის გზას გაჰყვა: რენესანსი, სუბიექტივიზმი, საფრანგეთის რევოლუცია, ნაციონალიზმი და სხვა და სხვა. ამ „მსოფლიო ექსკურსის“ შემდეგ, როგორც იქნა,

გერმანიამდე მოაღწია და კალტენბრუნერის დანაშაულშიც გერმანელ ხალხს დასდო ბრალი:

— ევროპის საერთაშორისო მდგომარეობა, რომლის ნაწილია ჩემი სამშობლოც, მძიმე სენითაა დაავადებული. იგი შეპყრობილია უარყოფის სულით, ადამიანური ღირსების დამცირებით. ჩემს სამშობლოში, განსაკუთრებით მის მაღალ წრეებში, დაივიწყეს, რომ სინდისია მთავარი. ჰიტლერმა სამართალი თავისი მიზნების მიღწევის საშუალებათა დონემდე დაიყვანა. ჩვენ კი მიზანს ვერ მივაღწევთ, თუ ამ შემაძრწუნებელ დანაშაულებს განვიხილავთ როგორც ემპირიულ ფაქტებს...

აბა, კაუფმანს ვინ დაანებებდა მილიონობით უდანაშაულო ადამიანების დახოცვის „ემპირიული ფაქტების" უგულებელყოფას.

ეს იმანაც იცოდა, მაგრამ რა უნდა ექნა. პროფესიული მოვალეობა აიძულებდა, დაეცვა ადამიანი, რომელიც ისე ეზიზღებოდა, რომ შეხვედრისას ხელსაც კი არ ართმევდა. თან, თავისი დასაცავი უყვიროდა, ლანძღავდა, შენ ვინა ხარ — დამცველი თუ ბრალმდებელიო. მისდა საუბედუროდ, დამცველი იყო და უნდა დაეცვა კიდეც, მაგრამ ამისთვის სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ისევ ის ძველი ზღაპარი გაიმეორა:

— საკონცენტრაციო ბანაკები იმპერიის აუცილებელი სისტემა იყო. „ჰიტლერის იმპერია" უკანასკნელი 12 წლის მანძილზე საკონცენტრაციო ბანაკების გარეშე ცარიელი უტოპია იქნებოდა. ამ სისტემაში კი კალტენბრუნერი ერთ პატარა ხრახნს წარმოადგენდა...

წარმოგიდგენიათ! იმპერიის უშიშროების სამსახურის უფროსი და „პატარა ხრახნი". ეს „ხრახნი" იყო, შიშის ზარს რომ სცემდა მილიონობით ადამიანებს. ეს იცოდა კაუფმანმაც, მაგრამ თავისი პაციენტის „ცოდვათა შემსუბუქების" რამე საშუალებას მაინც ეძებდა.

— კალტენბრუნერი იმ დროს გამოჩნდა ავანსცენაზე, როცა გერმანიის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, — თქვა მან და დაუმატა:

— ვინ წაავლებს ხელს ბორბალს ეტლისას, რომელიც უფსკრულისაკენ მიექანება!..

მიუხედავად ყველაფრისა, კაუფმანმა მაინც ასე დაამთავრა თავისი გამოსვლა:

— კალტენბრუნერი დამნაშავეა, მაგრამ მისი დანაშაულის ზომა უფრო მცირეა, ვიდრე ბრალდებას მიაჩნია. ახლა კი იგი, როგორც იმპერიის ყველაზე ბნელით მოსილი და მძიმე პერიოდის ბოროტი ძალების უკანასკნელი წარმომადგენელი, დაელოდება თქვენს განაჩენს...

ეს რომ თქვა და თავისი ქაღალდები აკრიფა, ისევ იმ გულისგამწვრილებელი ხმით დაუმატა:

— ხომ იყო მაინც ადამიანი, რომლის ბედს შეიძლება ტრაგიკული გრძნობის გარეშე შეხვდე!..

ცხოველები და ადამიანები...

ბრალდებულთა შორის ყველაზე სიტყვაძვირმა ფრიკმა თავის დასაცავად გამოსვლაც არ ისურვა. ამიტომ მისმა ვექილმა პანენბეკერმა ტრიბუნალის სხდომაზე განაცხადა, ბრალდებულ ფრიკის დაკითხვაზე უარს ვამბობო. ერთადერთი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ ფრიკის დავალებით დოქტორი გიზევიუსი გამოიძახა მოწმედ. რად გინდათ, ხომ იცით, გიზევიუსის ჩვენება გერინგს ავნებსო, — ეუბნებოდნენ ფრიკს.

— გერინგს რას დავეძებ, მე ჩემი თავის გადარჩენაზე ეფიქრობ, — თქვა მან.

იმ დროს უკვე გამოსული იყო გიზევიუსის წიგნი „ბრძოლა უკანასკნელ წუთამდე", ამიტომაც იცოდნენ, რომ მისი მოწმედ მოხმობა არ ივარგებდა, მაგრამ ფრიკი გაჯიუტდა:

— ძალიან გთხოვთ, თქვენ ნუ ერევით ჩემს დაცვაში. მე ხომ არ ვყოფ ცხვირს სხვის საქმეში, თქვენც დამანებეთ თავი. მე რომ არ გამოვიძახო გიზევიუსი, სულერთია, შახტი გამოიძახებს. ამაზე დენიცმა ჰკითხა გერინგს, რას ფიქრობთ ფრიკის განზრახვაზეო.

— ფრიკი ძნელად გასაგები ადამიანია. არა მგონია, ამ ამბავმა რამე სანუგეშო მისცეს, — მიუგო მან.

ფრიკი „ნუგეშს“ კი არა, პასუხისმგებლობიდან დასაძვრენ ხვრელს ეძებდა. მართალია, ტრიბუნალის სხდომებზე არ იღებდა ხმას, მაგრამ ციხის სასადილოსა თუ საკანში, ჯილბერტთან საუბრის დროს, დიდი მონდომებით უკეთებდა კომენტარებს პროცესის მიმდინარეობას. მას კარგად ესმოდა, რომ გერმანიაში მომხდარ ამბებზე სხვაზე ნაკლებ პასუხისმგებელი როდი იყო, როგორც უძველესი ნაციონალ-სოციალისტი და მესამე იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი. როცა პროცესზე ებრაელთა ხოცვა-ჟლეტის შემაძრწუნებელ ამბებს ყვებოდნენ, ფრიკი თავის საკანში ეუბნებოდა ჯილბერტს:

— მერე რა, ყოველ რასას აქვს უფლება დაიცვას საკუთარი თავი. ებრაელებიც ხომ ამას აკეთებდნენ ათასეული წლების წინ... ჰიტლერი გერმანული სისხლის სიწმინდისათვის იბრძოდა, თორემ ბუნებით ანტისემიტი არ ყოფილა...

ფრიკი, მსგავსად როზენბერგისა, ამტკიცებდა, რომ ეს „მეცნიერული საკითხია“, რომ ნიურნბერგის ანტისემიტური კანონები „ბუნების ფუნდამენტურ კანონებს“ ეყრდნობა.

—თუ სისხლის სიწმინდის დაცვის კანონები ცხოველებში მოქმედებს,—თქვა მან, — რატომ ადამიანებში არ უნდა მოქმედებდეს?! ჩქარა თქვენც დადგებით ამგვარი ამოცანის წინაშე. ამერიკელ თეთრებს არ სურთ გაითქვიფონ შავკანიანებში.

შემდეგ ამ საუბარში სხვებიც ჩაერივნენ. ზეის-ინკვარტმა თქვა:

— გერმანიაში ძალიან ბევრი ებრაელი ინტელექტუალი იყო. საჭირო გახდა მათი გაწმენდა. ამას აკეთებდნენ ჰიმლერი, ჰაიდრიხი, აიხმანი, ჰოსი და სხვები. მეტი არაფერი!

— ჰოსი სამხრეთგერმანელია, თორემ პრუსიელი არასოდეს არ იზამდა ამას, — უთხრა გერინგმა.

— სამხრეთგერმანელებს, მართლაც, აქვთ ამგვარი მისწრაფება ფანატიკური იდეოლოგიისადმი. თუმცა, სადაც ბრძანებაა, იქ ფიქრი უადგილოა. ჰოსი კი მხოლოდ ბრძანებას ასრულებდა, — მიუგო ზეის-ინკვარტმა.

— ნუთუ მართალია, რომ აუშვიცში (ოსვენციმი) ორნახევარი მილიონი ებრაელი დახოცეს? — იკითხა გულუბრყვილოდ ზაუკელმა, თითქოს მისი 5 მილიონი „უცხოელი მუშაკაგან" ამაზე მეტი არ ყოფილიყო დაღუპული.

— არა, არა, ეს ტექნიკურადაც შეუძლებელია, — მიუგო გერინგმა.

— კი მაგრამ, ჰოსმა ფიცქვეშ დაადასტურა ეს და კიდეც აღწერა როგორ აკეთებდნენ ამას.

გერინგმა პასუხის ნაცვლად სიტყვის ბანზე აგდება არჩია.

...ფრანკი კი უკვე თვითონ აღიარებდა:

— დიახ, ებრაელების წინააღმდეგ ბრძოლაში მიმიძღვის ბრალი. ეს წერია ჩემს დღიურებში და ასეცაა...

მიუხედავად ამისა, იგი თავის დანაშაულს, ძველებურად, გერმანელი ხალხის „დანაშაულთან" აიგივებდა და ასეთი რამის თქმასაც კადრულობდა:

— ჩვენ, გერმანელები, ყველანი მძარცველები ვართ. ნუ დაივიწყებთ, რომ გერმანული ლიტერატურა იწყება შილერის „ყაჩაღებით".

ეს რომ თქვა, ჯილბერტს მიაჩერდა:

— ნუთუ ეს თქვენ არასოდეს მოგსვლიათ თავში?!.

ფრანკი არა მარტო თავის ხალხს შეურაცხყოფდა, არამედ ზოგჯერ უფრო შორსაც მიდიოდა:

— ყოველივე ეს ევროპული ცივილიზაციის დეგრადაციის შედეგიაო, — ამბობდა იგი.

როზენბერგს არ მოეწონა ფრანკის ამგვარი პოზიცია და დასცინა:

— ფრანკი აღგზნებული ორატორია. იგი აღებს პირს, აფრქვევს სიტყვებს და მხოლოდ ხუთი წუთის შემდეგ დამუწავს... რასაც იგი ამბობს, მართალია, მაგრამ რატომ ავიწყდება, ინგლისელებმა რომ ჩინეთში ოპიუმით გაჟლიტეს მილიონობით ადამიანები, ამერიკელებმა კი ატომის ყუმბარით ერთბაშად ამოხოცეს სამასი ათასი იაპონელი...

„მომნანიებელი ფრანკი" კი ზოგჯერ თავის თავს ვერ

მალავდა და უნებლიეთ ისევ რასობრივ სიძულვილს ამჟღავნებდა. იგი ხან ებრაელებს ესხმოდა თავს, ხან პოლონელებსა და „ზარმაც ფრანგებს...“

...„მონათმფლობელი ზაუკელი“ სულ ერთსა და იგივეს იმეორებდა:

— მე კარგი მინდოდა, ყველაფერს გერმანიისთვის ვაკეთებდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ომი ბოლშევიკებმა, ებრაელებმა და კაპიტალისტებმა მოგვახვიეს. ახლა მივხვდი, რომ ეს პროპაგანდა ყოფილა, მე შრომას ვაღმერთებდი... მეზიზღებოდა უმუშევრობა. მე კარგი ქრისტიანი ვარ... და სხვა...

როგორ უთავსებთ ერთმანეთს ქრისტიანობასა და ამდენი მილიონი ხალხის ძალით მორეკვას გერმანიაში? — ჰკითხა მას ჯილბერტმა.

— თქვენ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ომი იყო, — უპასუხა ნერვიულად ზაუკელმა...

რა თქმა უნდა, ომი ომია და ეს არც არავის ავიწყდებოდა, მაგრამ...

პროცესზე ლაპარაკი იყო გეგმა „სენოს“ შესახებ. ეს უაღრესად გასაიდუმლოებული გეგმა შეადგინეს ჰიტლერელებმა. იგი ითვალისწინებდა 10—14 წლის ბავშვების დეპორტაციას აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ამ გეგმის შესრულებაც ზაუკელს დაევალა. უნდა ითქვას, რომ თვით ეს გამოცდილი „მონათმფლობელიც“ კი შეაძრწუნა ასეთმა გეგმამ და უნდოდა, ამ საკითხის მოგვარება გადაეკისრებინა აღმოსავლეთის ტერიტორიების მმართველ როზენბერგისათვის. საბუთიც მოიშველია, ამ ბავშვების სამუშაოზე გამოყენება არ შეიძლებაო. ეს არც გერმანიის სამხედრო ძლიერებას შეუწყობს რამეთი ხელსო. ბოლოს როზენბერგი და ზაუკელი მაინც შეთანხმდნენ და, იცით რაზე?! რომ „ეს ღონისძიება აუცილებელია მოწინააღმდეგის ბიოლოგიური ძალის შესასუსტებლად...“

როზენბერგის დამცველმა თომამ ისიც იკითხა, ჰაგის

კონვენცია თუ კრძალავს ამგვარ დეპორტაციასო. ამან ისე გამოიყვანა მოთმინებიდან საერთოდ მშვიდი ლოურენსი, რომ გაოცებულმა ჰკითხა მას:

— ნუთუ თქვენ გინდათ ამტკიცოთ, რომ...

თომა ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, არც დაამთავრებინა კითხვა ლოურენსს, ხელები გაასავსავა და წამოიძახა:

— არა, არა, მილორდ, მე არაფერს არ ვამტკიცებ...

...რაც შეეხება ყოფილი გროსადმირალების — დენიცისა და რედერის საქმეს, გერმანული სამხედრო ფლოტის, განსაკუთრებით წყალქვეშა ნავების პირატულ მოქმედებებს, ეს საქვეყნოდ ცნობილია. ის, რომ გაუფრთხილებლად სავაჭრო და სამგზავრო ხომალდებს ძირავდნენ, ხოლო წყალში უმწეოდ მოფართხალე ხალხს არამცთუ არ ეხმარებოდნენ, პირიქით, ტყვიამფრქვევებს უშენდნენ, დაცვის აზრით, საერთო წესი ყოფილა ომის დროს და დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს. არც ტყვედ ჩავარდნილი საზღვაო ოფიცრების დახვრეტა ყოფილა დანაშაული. ომი, სამწუხაროდ, ომია, — ამბობდნენ ისინი და ხელს აფარებდნენ ამ საზღვაო პირატების დანაშაულებრივ მოქმედებას. ბრალმდებლებმა კი დენიცის ასეთი ბრძანება გამოაქვეყნეს:

— არავითარი ღონისძიება არ უნდა იქნეს ჩატარებული ჩაძირული გემების ეკიპაჟების გადასარჩენად. ეს ეწინააღმდეგება ყველაზე ელემენტარულ მოთხოვნას მტრის გემებისა და ეკიპაჟების მოსასპობად წარმოებულ ომში.

თვითონ დენიცი ქედმაღლურად უარყოფდა ყოველგვარ ბრალდებას. ჰიტლერმა რომ თავის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურობა დამაკისრა, ალბათ, ამიტომ მასამართლებენ, თორემ ისე რა დანაშაული მაქვსო.

— მე სულაც არ მაინტერესებდა ჩემი სამხედრო ხომალდები „მონების“ აშენებული იყო თუ არა. როცა დამჭირდა 12 ათასი მუშა, გამომიგზავნეს კიდეც. საიდან და როგორ, ეს რა ჩემი საქმეა. შეუიარაღებელი სავაჭრო ხომალდების ჩაძირვა ომის სამწუხარო აუცილებლობაა და სხვა...

ასე „იცავდა“ იგი თავს. არც თავის წინამორბედსა და კოლეგას, გროსადმირალ რედერს ინდობდა, — მოძველებული ტაქტიკა ჰქონდა და „შურიანი მოხუცი“ იყოო. რედერი რომ მხოლოდ „შურიანი“ ყოფილიყო, ეს არაფერი. ისიც ისეთი იყო, როგორიც მისი კოლეგები. თუმცა მხრებს იჩეჩდა და გაოცებით კითხულობდა, მე რა კავშირი მაქვს ანტისემიტიზმთანო. მაშინ ჯეკსონმა შეახსენა მას 1939 წელს წარმოთქმული სიტყვები ჰიტლერის ნათელ და აღმაფრთოვანებელ მოწოდებაზე „ბოლშევიზმისა და მსოფლიო ებრაელობის მოსპობის შესახებ“.

ამგვარი „აღფრთოვანების“ შედეგი იყო „მსოფლიო ებრაელობის“ ექვსი მილიონი ადამიანით „შემცირება“, რასაც თვითონ რედერმა პროცესზე „უსაშინელესი დანაშაული“ უწოდა...

რაც შეეხება რედერის დამცველ ზიმერს, იგი, რა თქმა უნდა, ცდილობდა დასაცავი სულ უცოდველ კრავად წარმოედგინა, მაგრამ თვითონ რედერმა უფრო მკაცრი განაჩენი გამოუტანა თავის თავს, ვიდრე ტრიბუნალმა...

...ასეთივე დღეში ჩავარდა შირახის დამცველიც. შირახი უფრო მეტს აღიარებდა, ვიდრე მისი დამცველი. იგი ხომ ჯერ კიდევ გამოსვლამდე იქადდა, ამას ვიტყვი, იმას ვიტყვიო. ისიც მოითხოვა, მიკროფონი მომეცით და სახალხოდ განვაცხადებ, რომ ნაციონალ-სოციალიზმი შხამია გერმანიისათვისო. მერე პროცესზე გამოვიდა და... უნდა ითქვას, მართლაც, დაგმო ნაციონალ-სოციალიზმი და მისი ფიურერი, მაგრამ მხოლოდ „ცალკეული შეცდომებისათვის“. შეთქმულებაში მონაწილეობა კი უარყო, — დიქტატორი შეთქმულებას არ აწყობს, იგი ბრძანებსო, — თქვა მან. მერე ისევ მკვდარ ჰიტლერს შეუტია:

— ეს არის უდიდესი და უჯოჯოხეთურესი მასობრივი მკვლელობა მსოფლიო ისტორიაში. საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტი ჰოსი მხოლოდ ჯალათი იყო. ბრძანებებს იძლეოდა ადოლფ ჰიტლერი. ეს წერია მის ანდერძში. მან და ჰიმ-

ლერმა ჩაიდინეს გაუგონარი დანაშაული, რაც მუდამ სამარცხვინო ლაქად დარჩება ჩვენს ისტორიაში. ეს ისეთი დანაშაულია, რომ ყოველ გერმანელს სირცხვილს გვრის...

აქ მისმა დამცველმა წამოიძახა, ნუ დავივიწყებთ, რომ ამას გარდა არსებობს გოეთესა და ბეთჰოვენის გერმანიაო, მაგრამ ამ წმიდა სახელების ხსენება შირახს რას უშველიდა ან სხვა ვინმეს. პირიქით, ეს უფრო შემზარავს ხდიდა მათ დანაშაულს. ფელდმარშალ მილჰისადმი გამოტანილ განაჩენში წერია:

— რა უბადრუკი სანახაობა იყო, როცა ცივილიზებული ერი, ერი გოეთესი და ჰაინესი, ბეთჰოვენისა და შუბერტის, თუნდაც ბისმარკისა და ფონ ჰინდენბურგის, მონურად ქედს იხრიდა და დაფორთხავდა განდიდების მანიით შეპყრობილი კაცუნის წინაშე...

ეს, მართლაც, სამწუხაროა, მაგრამ ამის მიუხედავად, არც არავინ უარყოფს გოეთესა და ბეთჰოვენის გერმანიის არსებობას. ის კი ყველასათვის ცხადია, რომ შირახი და მისთანები არ ეკუთვნოდნენ ამ გერმანიას. ამიტომ არც მის დამცველს ჰქონდა მორალური უფლება, ეხსენებინა გოეთესა და ბეთჰოვენის სახელი. აბა, გერმანელი ხალხის ამ გენიალურ წარმომადგენლებს რა საერთო აქვთ ადამიანის მსგავს არსებასთან, შირახთან, რომლის ამგვარ სიტყვებს კითხულობდნენ პროცესზე:

— ყოველი ებრაელი, რომელიც ევროპაში ცხოვრობს, ჩვენი კულტურის მტერია... ან კიდევ:

— თუ მე შემეკითხებიან იმ ათეულ თუ ასეულ ათას ებრაელებზე, რომელნიც აღმოსავლეთის საკონცენტრაციო ბანაკებში გავგზავნეთ, ვიტყვი, რომ ეს არის ის აქტიური წვლილი, რაც ჩვენ შეგვაქვს ევროპული კულტურის განვითარებაში...

ამგვარმა „წვლილმა“ შეიწირა მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე. ხოლო კაცი, რომელიც წლების მანძილზე გერმანელ ახალგაზრდობას სალოცავ ხატად ჰიტლერს უსახავდა, გამოვიდა პროცესზე და უკანასკნელი სიტყვებით ლანძღა

თავისი „საყვარელი ფიურერი“. რა არ აკადრა მას, რა არ უწოდა: „მკვლელი“, „სადისტი“, „ფსიქოფატი“ და სხვა ამ-გვარი. მერე ისე „შევიდა როლში“, რომ განაცხადა:

— ჩემი დანაშაული ღმერთისა და გერმანელი ხალხის წინაშე ის არის, რომ დროზე არ მოვკალი ჰიტლერი...

დასასრულს ლაფიც გადაასხა თავზე. დასცინა, როგორც მამაკაცი უძლური იყო და ლამაზ ქალებს წარამარა ხელებზე კოცნიდაო. ისიც არ იცოდა, რომ გასათხოვარ ქალიშვილებს საერთოდ არ კოცნიან ხელზეო.

შირახი საბრალდებო სკამზეც არისტოკრატობდა. ამი-ტომ უსიამოვნოდ იშმუშნებოდა, როცა „უხეში სიტყვებით“ მიმართავდნენ ბრალმდებლები, განსაკუთრებით, შოუკროსი:

— ფონ შირახი! რა უნდა ითქვას მასზე! წისქვილის ქვა უნდა დაკიდონ კისერზე. სწორედ ამ არამზადამ გახრწნა მი-ლიონობით უდანაშაულო გერმანელი ჭაბუკები, რათა ძალა-დობისა და მკვლელობის ბრმა იარაღად ექცია ისინი...

პროცესზე ასეთი შემაძრწუნებელი მაგალითიც მოიყვა-ნეს: ლვოვის საკონცენტრაციო ბანაკიდან გერმანიაში „ჰიტ-ლერული ახალგაზრდობის“ ორგანიზაციებს უგზავნიდნენ ბავშვებს... სამიზნედ დასაყენებლად. ამით მომავალი მკვლე-ლები ერთდროულად მიზანში მორტყმასაც სწავლობდნენ და ნერვებსაც იკაქებდნენ...

შირახი იძულებული გახდა თვითონაც ეღიარებინა ეს, მაგრამ მაინც თქვა:

— ახალგაზრდებმა, რომელნიც ახლა უმწეოდ დგანან თა-ვიანთი სამშობლოს ნანგრევებში, ამ დანაშაულობებზე არაფე-რი იცოდნენ და არც უნდოდათ ეს. ისინი უდანაშაულონი არიან ყველაფერში, რაც ჰიტლერმა ებრაელებისა და თავისი ხალხის მიმართ ჩაიდინა. ჩემი დანაშაული კი ის არის, რომ მე მათ ვზრდიდი მილიონთა მკვლელისათვის. მე მწამდა იმ კა-ცის...

აქ შირახს ძალამ უღალატა და უცებ მოჭრა:

— ეს არის ყველაფერი, რაც მე გულზე მოსაშვებად შემიძლია ვთქვა...

...შირახის გამოსვლა ზოგმა გერინგის „ჰეროიკულ ცინიზმზე“ გამარჯვებად მიიღო, მაგრამ საყვედური გამოთქვა, ასე მკაცრად არ უნდა გაელაშქრა ჰიტლერის წინააღმდეგო. ფრიჩემ, ფუნკმა, შპეერმა, პაპენმა, შახტმა და ნოირატმა მოუწონეს.

ფრიკმა მაინც თავისებურად შეაფასა, სულერთია, ეს არ უშველისო.

ვიღაცამ თქვა, კიდევ კარგი, რომ ავადმყოფობის გამო გერინგი დარბაზში არ იყო, თორემ სულ გაგიჟდებოდაო. არც დენიცი ჩანდა კმაყოფილი, გადააჭარბაო. მისი აზრით, ჰიტლერს დიდი გავლენა ჰქონდა ახალგაზრდებზე. მე ამ ომში ორი ვაჟი დავკარგე და ვიცი ესო.

რიბენტროპმა თქვა:

— შირახის გამოსვლა ფიურერის წინააღმდეგ საშინელი იყო.

— რატომ? — ჰკითხა მას ჯილბერტმა, — მართალი რომ არის?

— ეჰ, არ ვიცი, არ ვიცი, — ჩაიქნია მან ხელი.

ციხის საკანში შირახი უფრო მკაცრად გაემიჯნა თავის ადრინდელ „საფიცარ ხატს“.

— 1934 წლამდე ჰიტლერი ა დ ა მ ი ა ნ ი იყო, 1938 წლამდე — ზ ე ა დ ა მ ი ა ნ ი, ხოლო 1938 წლიდან — ა რ ა ა დ ა მ ი ა ნ ი, ტირანი, — თქვა მან. ჩემი ცოლი იდეალისტია და, როცა ნახა როგორ მიერეკებოდნენ ებრაელებს სადღაც, ჰიტლერს ჰკითხა, იცის თუ არა მან რამე ამის შესახებ. ჰიტლერს არაფერი უთქვამს. მერე მეც მოვუყევი, თუ როგორ ხდებოდა ებრაელების დეპორტაცია... აქ კი იფეთქა და ისეთი ყვირილი ატეხა, რომ მეგონა, იქვე დამაპატიმრებდნენ. ამის შემდეგ იგი სულ ალმაცერად მიყურებდა...

როცა ომის დასასრულს ყველაფერი ნათელი გახდა, მე მივხვდი, რომ ყველა ჩემი ეჭვი გამართლდა და გადავწყვიტე თავი მომეკლა, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს, მე მინდა ვუთხრა ახალგაზრდობას ჩემი შეცდომების შესახებ და ამით ერთგვარი სამსახური გავუწიო მას...

შპეერმაც მომნანიებლის პოზა აირჩია და ჰიტლერის შემდეგ გერინგის ლანძღვას შეუდგა. არც ჭორაობა ითაკილა და განაცხადა: ერთხელ, პირადი საუბრის დროს, ჰიტლერმა მითხრა, გერინგი საზიზღრად იქცევა, იგი გამყიდველია და მორფინისტიო...

ამაზე გერინგი გაგიჟდა:

— დიახ, ეს მძიმე დღე იყო, — უთხრა მან ჯილბერტს, — ის ჩერჩეტი შპეერი... არ მეგონა, საკუთარი თავის გადასარჩენად ასე თუ დაეცემოდა, მე სირცხვილით დავიწვი მის მაგივრად.

გერინგმა შირახი მიუგზავნა შპეერს, გადაეცი, თავი უფრო ვაჟკაცურად ეჭიროსო. შპეერმა არც ეს შენიშვნა მიიღო და ხურდაც დაუბრუნა, ის ერჩია, ომის დროს თვითონ მოქცეულიყო ვაჟკაცურად, სულ ნარკოტიკებით რომ იყო გაბრუებულიო...

პროცესზე შპეერმა გერინგის გარდა სხვებსაც შეუტია:

— არც ერთი ამათგანი არ უნდა შევიდეს ისტორიაში, როგორც ადამიანი, ოდნავ მაინც რომ იმსახურებს პატივისცემას. დეე, მთელ ამ წყეულ ნაცისტურ სისტემას და მის ხელმძღვანელებს, ჩემის ჩათვლით, მიეზღოს ის ზიზღი და გმობა, რაც მათ დაიმსახურეს...

ახლა, გერინგი კი არა, სხვებიც აღელდნენ. თვით „პატარა ფუნკმაც“ კი წამოიძახა:

— ეს ჩამოხრჩობის ღირსია!..

მხოლოდ პაპენმა შეიკავა თავი შპეერის ლანძღვისაგან. იგი უფრო გერინგს დებდა ბრალს, ვიდრე თავს იცავდა. ამბობდა, დასაცავი მე რა მჭირსო. გერინგი ცინიკურად უყურებდა იმ „ბებერ ვირთხას“ და ბურტყუნებდა, ახ, ეს მოღალატე, ხომ ხედავთ, ცრუობს, სულ ცრუობსო.

—დროზე უნდა დაგეხვრიტათ, — გადაულაპარაკა რიბენტროპმა გერინგს.

— იგი თავის ჭუჭყიან საცვლებს რეცხავს, — თქვა ისევ

რიბენტროპმა. პაპენმა კი ჰიტლერს შეუტია: პათოლოგიური ტიპი, ცრუ მოლაყბე, მატყუარა და, ვინ იცის, რა არ უწოდა მას.

— მე ყველაფერს ვაკეთებდი, რომ შემეჩერებინა იგი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ბოლოს კი სულ გადავდექი, — თქვა მან პროცესზე. მერე კი ჯილბერტს უთხრა:

— მე მზად ვარ, მივიღო სასჯელი. გერმანელმა ხალხმა უნდა გაიგოს, რომ მას უღალატეს, რათა თვითონაც მიიღოს მონაწილეობა ნაციზმის პირისაგან მიწისა აღსაგველად.

პაპენი ამტკიცებდა, რომ ბოლოს ჰიტლერს მთელი გერმანელი ხალხის დაღუპვა უნდოდაო.

პაპენი რომ თავის ადგილას დაბრუნდა, ფრანკმა მიუღოცა — მშვენიერი გამოსვლა იყოო. საკანში კი ჯილბერტს უთხრა:

— ახლა შეგვიძლია გულახდილად ვილაპარაკოთ. პაპენს რომ პატიოსან კაცად მოაქვს თავი, დროზე სად იყო!

დენიცმაც იგივე თქვა:

— აჰა, მიხვდა ხომ! იგი ახლა უბრუნდება თავის ძველ ხაზს. ეს მას უნდა სცოდნოდა თეირანში, კასაბლანკაში, იალტაში და არა ახლა, როცა რუსები ტიურინგიაში არიან. ამას ვწერდი მე ეიზენჰაუერს, ვიდრე ცოცხალი ვიყავი...

სხვებმაც გამოთქვეს სინანული იმის გამო, „სხვაგვარად რომ არ მოხდა". ინგლისს მთელი გულით უნდოდა, ჩვენ გვეომა რუსეთთანო, — თქვა ერთმა. გერინგსაც ინგლისელებთან სურდა კავშირი... მაშ, რატომ მოხდა ასე, ორი ერთმანეთის მოსისხლე მტერი რომ დაგვეტაკა? ჰიტლერის ბრალია?

— ისტორიის ძალა უფრო მაღლა დგას კაცობრიობაზე. ეს ისტორიული ფატალიზმია. საქმე ის კი არ არის, ვინ განაგებს, არამედ ის, რა ძალები განაგებენ. ეს ისეა, როგორც ბერძნულ ტრაგედიაშია, — თქვა როზენბერგმა.

— ძალაუფლებისა და აგრესიისაკენ მისწრაფება ისე ძლიერია, რომ ყოველთვის ერთი და იგივე იქნება: ძალთა დაპირისპირება და სისხლის ნიაღვარი, — თქვა ფრანკმა...

...ფუნკი „აღშფოთებული იყო“ გერინგის, რიბენტროპისა და კაიტელის მორალური სახით. მან სპეციალურად დაიბარა თავისთან ჯილბერტი და უთხრა:

— უნდა იცოდეთ, რომ ჩვენს შორის არ არის არც ერთი, რომელსაც მორალური დანაშაული არ ჰქონდეს. მე ის მაწუხებს, რომ ებრაელების ქონების კონფისკაციას მოვაწერე ხელი. ეს ნამდვილი კრიმინალური დანაშაულია თუ არა, სხვა საკითხია,— მორალური კი უსათუოდ არის. ახლა ვნანობ, რომ არ დავუჯერე ცოლს, რომელიც მეუბნებოდა, მიატოვე მინისტრობა და ერთ პატარა სამოთახიან სახლში ვიცხოვროთ, რომ თავიდან ავიცილოთ ამგვარი არასასიამოვნო საქმეები. თუმცა მე რა მინისტრი ვიყავი! ჩემს ცხოვრებაში დაბედებული მაქვს, კარებამდე კი მივაღწევ, მაგრამ შიგ არ მიშვებენ. მეურნეობის მინისტრი მერქვა, ქვეყნის ეკონომიკას კი გერინგი განაგებდა. მე ფაქტიურად მისი სტატსმდივანი ვიყავი. ახლა კი პასუხისმგებლობა მე მეკისრება. ასე ყველანი დამნაშავენი ვართ, ცხადია, მეტ-ნაკლებად: პაპენი ისე არა, როგორც გერინგი, ფრიჩეც პატარა კაცია, მაგრამ ამ საშინელ ამბებზე მათ უფრო მეტი იცოდნენ, ვიდრე მე. თვით შახტიც ვერ აიცდენს მორალურ პასუხისმგებლობას.

მიუხედავად ამისა, „პატარა ფუნკს“ არ დაუჯერეს, მარტო „მორალური დანაშაული“ რომ ჰქონდა და, შეახსენეს, 1938 წელს თქვენც ესწრებოდით თათბირს, სადაც „კრისტალის ღამის“ გეგმა დგებოდაო...

— კი მაგრამ, ანტისემიტი მაინც არ ვყოფილვარ. ის კი არა, რიჰარდ შტრაუსსა და ფურტვენგლერთან ერთად ლეჰარსაც ვეხმარებოდი, იმას კი ცოლი ებრაელი ჰყავდა,— იცრემლებოდა „პატარა ფუნკი“. არც მის დამცველს დაუკლია ცდა — როგორმე დაეძვრინა იგი პასუხისმგებლობისაგან. მან დარმშტადტის ინტერნირებულ სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან ყუთებით ჩამოიტანა 13 ათასი წერილობითი ჩვენება ფუნკის „კაიკაცობის“ დასამტკიცებლად, მაგრამ ამაოდ... მისი მოადგილე, რაიხსბანკის ვიცე-პრეზიდენტი პული დაკითხვებზე უფრო გულახდილი იყო და ყველაფერს ჰყვებოდა: როგორ მოჰქონდათ ბანკში ნაძარცვი ძვირფასი ნივთები, როგორ ინახავდნენ მათ ბანკის სარდაფებში და სხვ.

— ამ ოპერაციებს სულ ფუნკი ხელმძღვანელობდაო, — თქვა მან.

...შტრაიხერიც რომ თავს იმართლებდა! მე მხოლოდ ანტისემიტიზმის თეორეტიკოსი ვიყავი და ებრაელების დახოცვაზე არაფერი ვიცი. წინ მისი გაზეთის „შტიურმერის" კომპლექტები დაუდეს. იქ ყველაფერი ეწერა: სად რამდენი ებრაელი დახოცეს, რამდენი მოკვდა გეტოებში შიმშილითა და ავადმყოფობით, როგორ ეპყრობოდნენ მათ. „შტიურმერის" კორესპონდენტები დაძრწოდნენ საკონცენტრაციო ბანაკებსა და გეტოებში ინფორმაციის შესაკრებად. მერედა, რა ტონით დაწერილ ცნობებს აწვდიდნენ ისინი მკითხველებს: „სატანის ბუშები", „ყოვლად იუდა გველები", „თავი უნდა გაეჭეჭყოს ყველას" და სხვა ასეთი.

ამ გაზეთის ტირაჟი 600 ათასი იყო. ხომ კითხულობდნენ ამას გერმანიაში? სხვამ თუ არა, მისმა რედაქტორმა მაინც ხომ იცოდა ყველაფერი. ამის მიუხედავად, შტრაიხერი მაინც ცდილობდა განზე გადგომას, მაგრამ როცა დაინახა, არ გამოუდიოდა, ნიღაბი მოიძრო და გამომძიებელს უყვირა:

— იცით თქვენ, სატანა ვინ არის? ურია, გესმით, ურია!..

...ზეის-ინკვარტის დამცველი უკმაყოფილო იყო — ვინ უწოდა ჩემს პაციენტს „ავსტრიელი იუდაო". პატივცემულ დოქტორს სხვა მრავალ დანაშაულთან ერთად, შეახსენეს, რომ გახდა თუ არა ავსტრიის მმართველი, რამდენიმე დღეში დააპატიმრეს 76 ათასი კაცი. აქედან 6 ათასი მაშინვე დახვრიტეს. ათას ორასს — ნაჯახით მოჰკვეთეს თავი, ხოლო დანარჩენები — დახაუს, ბუხენვალდისა და საქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკებში გააგზავნეს...

ერთთავიანი ურჩხული...

მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პერსონალური საქმეების გარჩევა რომ დამთავრდა, დანაშაულებრივი ორგანიზაციების საკითხის განხილვას შეუდგნენ.

ბრალმდებელმა დოდმა ასე დაახასიათა ნაციონალ-სოციალისტური გერმანია:

— ეს იყო საშინელი ურჩხული, რომლის თ ა ვ ი ა მთავრობა, ტ ა ნ ი — ნაცისტური პარტია, მ კ ლ ა ვ ე ბ ი — ესესი (SS) და ესა (SA), ხოლო, როცა ეს ურჩხული დაიძრა საომრად, არმია იქცა მის ფეხებად. დამცველებმა ამ ალეგორიის რამდენადმე შეცვლილი ვარიანტი წარმოადგინეს:

— თავი იყო ჰიტლერი, ესენი (ბრალდებულები) კი ხელები და ფეხებიო...

ამით ის უნდოდათ ეთქვათ, რომ თავია დამნაშავე და არა კიდურებიო.

ასეა თუ ისე, ეს „ურჩხული" რკინით დაჭედილი ჩექმებით დაალაჯებდა ევროპის სახელმწიფოებში და გადათელვით ემუქრებოდა მთელ მსოფლიოს. შემდეგ ის შეიპყრეს და საბრალდებო სკამზე დასვეს. თან, მის „ნაწილებს" დამცველები დაუნიშნეს და ისევე წაუყენეს ბრალდება, როგორც გერინგს, ჰესს, რიბენტროპსა და სხვებს. ვის შეუძლია წარმოიდგინოს ამგვარი ბრალდებულის სახე? იგი რამდენიმე მილიონია და, იმავე დროს, კონკრეტულად არავინ. მთავრობა, პარტია, გენშტაბი, ესესი, ესა, ესდე, მაგრამ კონკრეტულად ვინ? ეს მერე უნდა გაარკვიონ ადგილობრივმა სასამართლოებმა, ახლა კი, მართლაც, ვის ასამართლებენ? „დანაშაულებრივ ორგანიზაციებსო", — ამბობენ ბრალმდებლები. „ორგანიზაცია" ხომ პიროვნება არ არის — მხრებს იჩეჩენ დამცველები. მართლმსაჯულება მხოლოდ პერსონალურ დამნაშავეს სჯის და არა ვიღაცას, ვისაც „ორგანიზაციას" უწოდებენ. მართალია, მთელი ეს საშინელი ბოროტება ამ ორგანიზაციების საქმეა, მაგრამ „ორგანიზაცია" ხომ საზოგადოებაა და არა კონკრეტული პიროვნება. დამცველები კი უარყოფდნენ ამგვარი კ ო ლ ე ქ ტ ი ურ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ებ ლ ო ბ ი ს უფლებას. განსაკუთრებით დოქტორი სერვაციუსი აქტიურობდა:

— საზოგადოებას არ შეუძლია ჩაიდინოს დანაშაული! — წამოიძახა მან და მოჰყვა: მარტო პოლიტიკური ხელმძღვანელობის კასტა 139.000 კაცს შეადგენს, თუ ჰიტლერი საერ-

თოდ სჯიდა ებრაელებს, თქვენც ხომ იგივე არ უნდა. გააკეთოთ?!

ამ ფრიად განათლებულმა ვექილმა მაგალითებიც მოიტანა ისტორიიდან, ბიბლიიდან და სახარებიდან:

— ღმერთი სოდომს არ დაანგრევდა, — თქვა მან, — იქ რომ თუნდაც ერთი უდანაშაულო ყოფილიყო. ასეთი მაგალითი არც ისტორიას ახსოვს...

ვილაცამ გაიხსენა და უპასუხა, როგორ არა, ორი ათასი წლის წინ იყო ამის მსგავსი, რომაელებისა და ჰანიბალის ომის დროსო.

მერე სამხედრო პირების გასამართლებაც უკანონოდ გამოაცხადეს და საბუთად ისევ ისტორიას მიადგნენ.

„საცოდავი“ ისტორია! სიცრუის დადასტურება სურთ თუ ჭეშმარიტებისა, სულ იმის მაგალითებს იშველიებენ ხოლმე. იმას კი ანგარიშს არავინ უწევს, რომ ისტორიული ფაქტების ბოროტად გამოყენება დანაშაულია. გოეთეს ყველაზე დიდ ბოროტებად სწორედ ისტორიის გაყალბება მიაჩნდა. ამ მხრივ ცოდვა ბევრს მიუძღვის, მაგრამ ფაქტებზე ძალდატანების ყველაზე ფანტასტიკურ მაგალითებს მაინც ჰიტლერელები იძლეოდნენ. ისინი თვითონ თხზავდნენ მათთვის სასურველ „ფაქტებს“ ან სრულიად თვითნებურ შეფასებას აძლევდნენ მათ...

...ისტორიაზე ამგვარი ძალდატანების მაგალითი იყო, გენშტაბის დამცველმა ლ ა ტ ე რ ზ ნ ე რ მ ა სოკრატეს სიტყვები რომ გაიხსენა: ყოველი სარდალი მსჯავრდებულ უნდა იქნეს, როგორც ცალკეული პიროვნება და მხოლოდ თავისი პირადი დანაშაულისათვის დაისაჯოს. სოკრატეს ეს გაფრთხილება ყურად იღო სამსჯავრომ, რომელიც სამხედრო ტყვეებს ასამართლებდა.

ნიურნბერგშიც ამბობდნენ, ექვსი მილიონი კაცის კოლექტიურად დასჯა ვინ გაიგონაო. ესესის დამცველმა ჰელკმანმა კი პათეტიკურად წამოიძახა:

— ბატონო მოსამართლენო! მოკავშირეთა არმიებმა გაათავისუფლეს გერმანია ნაციზმის ტირანიისაგან, ახლა თქვენ

უნდა გაათავისუფლოთ მსოფლიო შურისძიების საშინელებისაგან!..

1946 წლის ორ თებერვალს რომის პაპიც გამოვიდა „კოლექტიური დასჯის“ წინააღმდეგ, ღმერთია მათი გამკითხავი.

მართალია, ეს „საბუთი“ არც მითებს ეხამება და არც ისტორიას, მაგრამ დანაშაულებრივ ორგანიზაციათა დამცველებმა მაინც სცადეს მისი მოშველიება. ბრალდებულები კი არც ისე დიდ იმედებს ამყარებდნენ მათ მჭევრმეტყველებაზე. ან რა „იმედებზე“ შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა ციხეში ასეთი არასაიმედო ცნობები მოდიოდა: ამერიკელებმა 73 ესესელი გაასამართლეს, რომელთაგანაც 43-ს სიკვდილი მიუსაჯესო. ისინი თავისებურ კომენტარებს უკეთებდნენ ამგვარ ცნობებს. ამბობდნენ, თუ არამთავარ სამხედრო დამნაშავეებს სიკვდილს უსჯიან, „მთავარ სამხედრო დამნაშავეებს“ რა ხეირს დააყრიანო. ამან შახტივით „უდარდელი“ ბრალდებულებიც შეაშფოთა, თუმცა გულის დასაიმედებლად ისიც თქვეს, ხომ ხედავთ, პოლკოვნიკ პაიპერს სიკვდილი მიუსაჯეს, ხოლო მის უფროსს, გენერალ ზეპ-დიტრიხს — სამუდამო პატიმრობა; მაშასადამე, უმცროსს შეიძლება მეტი სასჯელი დაადონ, ვიდრე უფროსსო.

— გარდა ამისა, გენერალ შტუდენტს მსუბუქი სასჯელი აკმარეს, რადგან ამერიკელ ოფიცრებს მოეწონათ მისი ხასიათი, — თქვა გერინგმა და თვითონაც სცადა ამერიკელების სიმპათია გამოეწვია...

... ციხეში ზოგჯერ მათთვის „სასიამოვნო“ ცნობებიც მოდიოდა. ისინი თვალყურს ადევნებდნენ ანტისაბჭოთა განწყობილების ზრდას ამერიკაში. ბევრი მათგანი დიდი გატაცებით კითხულობდა ბულიტის ახალგამოსულ წიგნს, მოსწონდათ მისი მოწოდება—დასავლეთის სახელმწიფოების საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაერთიანების შესახებ. რაღაც იმედებსაც ამყარებდნენ ამაზე:

— აი, ხომ ხედავთ, ამერიკელები უკვე იმას აკეთებენ, რითაც ჩვენ დავიწყეთ. ეს ახალი ანტიკომინტერული პაქტია.

ყოფილ სამხედროებს ისიც ეამებოდათ, ბულიტი რომ ატომური ყუმბარებით იმუქრებოდა.

— ამერიკელებს კიდევ დასჭირდებათ გერმანული წყალქვეშა ნავები. ამიტომ, ჩემს დასჯას ის ურჩევნიათ, გამომიყენონო, — თქვა დენიცმა.

— ვიცოდი, ბულიტი რომ ყოველთვის ანტირუსული პოლიტიკის მომხრე იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ანტინაცისტიცაა, — თქვა გერინგმა და დაუმატა:

—ეს არის წინაალმდეგობათა იგივეობა...

ჰესი დაეთანხმა მას. რიბენტროპს კი კმაყოფილებისაგან გაეცინა, მგონი, პირველად მას შემდეგ, რაც ციხეში მოხვდა.

ხომ ხედავთ! იყნოსეს თუ არა თოფის წამლის სუნი, ერთხმად მორთეს მგლებმა ყმუილი!

ო, რა სიამოვნებით წავიდოდნენ ისინი ისევ „სანადიროდ“ და, თუ დასჭირდებოდათ, თავიანთ მკვდარ ფიურერსაც ტოტია მგელივით დაგლეჯდნენ...

ამიტომ იყო, რომ ყველა რაღაც სხვას მოელოდა. ეს „რაღაც სხვა“ მათდამი უფრო „რბილ დამოკიდებულებას“ ნიშნავდა, მაგრამ, აი, ტრიბუნაზე ისევ რიგრიგობით ავიდნენ ბრალმდებლები და... არავითარი ცვლილება, არავითარი უკან დახევა, პირიქით...

ᲕᲘᲚᲐᲪ ᲡᲮᲕᲐ...

პირველი ისევ ჯექსონი გამოვიდა და აღნიშნა, რომ იურისტებს ძალიან იშვიათად უხდებათ, ზღვა მასალიდან ამოირჩიონ მხოლოდ მცირე ნაწილი დასკვნითი სიტყვისათვის. თუმცა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა თქმულიყო, ითქვა კიდეც.

უკვე ისედაც ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ ტრიბუნალის მუშაობის ამ ეტაპზე მაინც საჭირო გახდა დაცვის არგუმენტების ანალიზი. ბრალმდებლებს აქაც უამრავი მასალა ჰქონდათ. მთელი პროცესის მანძილზე ბრალდების მხარეს

სამი თვე დასჭირდა საბრალდებო მასალების წარსადგენად, დაცვის მხარეს კი ხუთი. ამიტომ იყო, ჯეკსონმა რომ განაცხადა:

— ჩვენ შეგვიძლია, ერთ რამეში დარწმუნებული ვიყოთ, — მომავალ თაობებს არასოდეს არ მოუხდებათ გაოცებით იკითხონ, თუ რა შეეძლოთ ეთქვათ ნაცისტებს თავიანთ გასამართლებლად. ისტორიას ეცოდინება, რომ მათ ნება დაერთოთ, ეთქვათ ყველაფერი, რაც უნდოდათ...

მიუხედავად ამისა, ჯეკსონის აზრით, წაყენებული ბრალდებები ურყევი აღმოჩნდა, რადგან საფუძვლიანად ეყრდნობოდა გერმანულ დოკუმენტებს, რომელთა აუტენტურობა ეჭვს არ იწვევდა. თავიანთი გამოსვლებით დამცველებმაც დაადასტურეს ამ დოკუმენტების მამხილებელი ძალა. ისიც უეჭველი ფაქტია, რომ თვით ბრალდებულთა ჩვენებებმაც მოსპეს მათი უდანაშაულობის ყოველგვარი ეჭვი.

— ისინი დაგვეხმარენ ჩვენ განაჩენის გამოტანაში, — თქვა ჯეკსონმა.

მართლაც! დაცვის რა არგუმენტები იქნა მომარჯვებული პროცესზე? მათ აღიარეს, რომ ეს საშინელი დანაშაულებანი ჩადენილია, მაგრამ...

ამ „მაგრამს“ უკვე რაღა ძალა ჰქონდა? ვითომ, ეს ამათი ხელის საქმე არ არისო?! მაშ, ვისი? მხოლოდ იმათი, ვინც ცოცხალთა შორის უკვე აღარ იყო: ჰიტლერის, ჰიმლერის, გებელსის, ჰაიდრიხის და სხვების? ამაზე ხომ უკვე ითქვა და საკმაოდ ირონიულადაც. განსასჯელებს კი, თურმე, პირადად არამცთუ არ ჩაუდენიათ რამე დანაშაული, არამედ არც სცოდნიათ, თუ „რა საშინელი ამბები მომხდარა“. ფრანგმა ბრალმდებელმა განაცხადა:

— „ჩვენ არაფერი ვიცოდით ამ საშინელებაზეო“, — ამბობენ ისინი. უბადრუკი დაცვა! გამოდის, რომ იმპერიის მეორე კაცმა — გერინგმა არ იცოდა, ჰიტლერი რას გეგმავდა და აკეთებდა: ნაციონალ-სოციალისტური პარტიის „უმაღლესმა ხელმძღვანელმა“ — ჰესმა არ იცოდა ან არ ახსოვს, რაც სახელმწიფოში ხდებოდა; საგარეო საქმეთა მინისტრს —

რიბენტროპს, არავინ არაფერს ჰკითხავდა საგარეო პოლიტიკაზე; უმაღლესი სარდლობის უფროსს არამცთუ წარმოდგენა არ ჰქონდა აგრესიული ომების მომზადებაზე, არამედ ისიც არ იცოდა, მის მიერ დაწერილ ბრძანებებს რა მოჰყვებოდა... უფრო მეტიც: იმპერიის უშიშროების სამსახურის უფროსმა — კალტენბრუნერმა არ იცოდა, საკონცენტრაციო ბანაკებში რა ხდებოდა და რა ეწერა მის მიერ ხელმოწერილ ბრძანებებში; აღმოსავლეთის დაპყრობილი ტერიტორიების მინისტრს კი არც გაეგონა, რა საშინელებებიც ამ ტერიტორიებზე ხდებოდა; ეკონომიკის მინისტრი ფუნკი, თურმე, სულ კარებთან იდგა და „შიგ არ უშვებდნენ". მან არც იცოდა, რა მიმართებით ვითარდებოდა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება; შინაგან საქმეთა მინისტრს ყური სულ დახშული ჰქონია და არაფერი გაუგონია, მისი იმპერიის შიგნით რა ხდებოდა... ვინ დაუჯერებს მათ, რომ არ იცოდნენ ის, რაც მთელმა მსოფლიომ იცოდა! მარტო ჩვენს ქვეყანაში დახვრიტეს 29 ათასი მძევალი. სრულიად მოსპეს დასახლებული პუნქტები—ორადურ-სიურ გლანი და მაიე. საერთოდ კი, საკონცენტრაციო ბანაკების გიგანტურ სასაკლაოზე დაიღუპა 15 მილიონი კაცი. ბრალდებულებმა კი ამის შესახებ, თურმე, არაფერი იცოდნენ!..

შოუკროსმაც ასე მიმართა მოსამართლეებს:

— თქვენ გთხოვენ დაიჯეროთ, რომ ტყვეებისა და ტუსაღების „გადაზიდვის" საშინელებანი, მონური შრომის პირობები, დამწვარი გვამების სიმყრალე და სულ მცირე 12 მილიონი ადამიანის მოსპობა, რითაც მთელი მსოფლიო იყო შეძრწუნებული, არ იცოდა მხოლოდ ამ 21 ა დ ა მ ი ა ნ მ ა, რომელთა ბრძანებითაც ხდებოდა ყველაფერი...

...კაცმა რომ თქვას, ეს ისეა, როგორც „ძმები კარამაზოვებში":

— ვინ მოკლა თეოდორ კარამაზოვი?

— ივანემ?

— არა!

— დიმიტრიმ?

— არა.
— სმერდიაკოვმა?
— არა.
— მაშ, ვინ?
— ვინც სმერდიაკოვში ეშმაკი გააღვიძა.
— ახლა? ვინ დახოცა ეს 15 მილიონი?
— გერინგმა?
— არა.
— ჰესმა?
— არა.
— რიბენტროპმა?
— არა.
— კაიტელმა? კალტენბრუნერმა? როზენბერგმა? ფრანკმა? ფრიკმა? დენიცმა? რედერმა? თუ...
— არა, არა და არა.
— ჰიმლერმა? ჰაიდრიხმა? აიხმანმა? ჰოსმა?..
— არა.
— მაშ, ვინ?
— ვინც იმ „სმერდიაკოვებში“ ეშმაკი გააღვიძა.
— ე. ი. ვინ მოკლა თეოდორ კარამაზოვი?
— ივანემ?
— არა!
— დიმიტრიმ?
— არა.
— სმერდიაკოვმა?
— არა.

ამგვარი იგავიც ხომ გაგიგონიათ:
— აბრამ, საიდან აიღე ამდენი ფული?
— სკივრიდან.
— სკივრში ვინ ჩადო?
— სარამ.
— სარას ვინ მისცა?
— მე მივეცი.
— შენ საიდან აიღე?

— სკივრიდან.
— სკივრში ვინ ჩადო?
— სარამ.
— სარას ვინ მისცა?
— მე მივეცი... და ა. შ.

ჯოჯოხეთის ხიდი...

პროცესი რომ ამ გზას გაჰყოლოდა, ისედაც ბნელით მოსილ საკითხებს უფრო დააბნელებდა. ან, ყოველ შემთხვევაში, იმ საშინელ დანაშაულებათა ფაქტებს კი დაადგენდა, მაგრამ პერსონალურ დამნაშავედ მხოლოდ ერთ კაცს — ადოლფ ჰიტლერს გამოაცხადებდა. ბრალდებულები და მათი დამცველებიც სწორედ ამას ცდილობდნენ პროცესის დასასრულს. თითქმის ყველა მათგანმა ხმალი ისევ იმ მკვდარ ფიურერს გადაატეხა:

— ვინ იყო ადოლფ ჰიტლერი? — წერდა ფრანკი ციხეში, — სახელმწიფო მოღვაწე? დიახ, მაგრამ მან წაართვა სახელმწიფოს ყველა მისი ძირითადი ინსტიტუტი: მოქალაქეთა კანონიერი უფლება, კონსტიტუცია, ადმინისტრაციის საფუძვლები, და ბოლოს, — ომის გზით დაანგრია იმპერია... პარტიული მოღვაწე? დიახ, მაგრამ იგი სისტემატურად არღვევდა მიღებულ პროგრამას, აუფასურებდა მის იდეას და აქცევდა მას საკუთარი პოლიტიკის იარაღად... ასე შეიძლება უამრავი კითხვა დავსვათ, მაგრამ პასუხი ერთი იქნება: არა! რადგან ჰიტლერი თანდათან ანგრევდა იმას, რასაც ერთ დროს თვითონ ქმნიდა.

სხვებიც იძახდნენ: ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი იგიო. მათი აზრით, როგორც ი ს ე რ თ ი იქნა მაშინ ჯვარცმული, ახლაც ე ს ე რ თ ი უნდა გააკრან თავიანთ სვასტიკაზე. თან იმდენად ფრთხილობდნენ, თუ „ი ს“ ქრისტე ღმერთი იყო, „ა მ ა ს“ ანტიქრისტეს ან სატანას თუ ლუციფერს უწოდებდნენ, თანაც ასე „პოეტურად“:

— ჰიტლერის სახე ჭეშმარიტად შედარებულ უნდა იქნეს სატანასთან, — თქვა ლატერზნერმა, — სატანა კოლოსალური სისწრაფით აიჭრა ზევით, დატოვა ნათელი კვალი, მიაღწია უდიდეს სიმაღლეს, ხოლო შემდეგ ჩაიჩეხა უფსკრულში. სწორედ ასე დაემართა ჰიტლერს... აბა, ოდესმე თუ ვინმეს გაუგონია, რომ სატანა, თავისი გიჟური აღმაფრენის დროს, საჭიროებდა თანაშემწეებს, მრჩევლებს ან წამქეზებლებს? მან თავისი სწრაფქროლვით აიყოლია სხვები, აუჯანყდა ზეცას,

„რათა დიდება მოეხვეჭა სხვებზე მაღალი
და უზენაესს ძლიერებით გატოლებოდა“.

მაგრამ, ამ „აღმაფრენაში“ ზღვრულ სიმაღლეს რომ მიაღწია... თავის ლაშქართან ერთად შთაინთქა უფსკრულში... ისე, როგორც მილტონის „დაკარგულ სამოთხეში“ წერია:

„ზვიადი ზრახვით უფლის ტახტსა და სასუფეველს
მან გაუმართა ბიწიერი ომი ზეცაში,
მაგრამ ამაოდ, ძლიერებამ ზენაარისამ
მყისვე გახვია ცეცხლის ალში და ეთერიდან
წვითა და ნგრევით ქვეჩასტყორცნა უძირო უფსკრულს...“

...რაკი აქაც ალეგორიაზე მიდგა საქმე, მოდით, ჩვენც მივყვეთ ამ ხაზს და მილტონის გენიით შექმნილი სატანის სახე გავიხსენოთ, სწორედ იმ სატანისა, რომელსაც დამცველი ლატერზნერი ადოლფ ჰიტლერის პიროვნებას ადარებდა. მილტონზე უკეთეს თანამგზავრს კი, ამ შემთხვევაში, თავად დანტე ალიგიერიც ვერ ინატრებდა. ხომ გახსოვთ, სატანა რომ გველის სხეულში გახვეული მიუახლოვდა „პირველ დედას“ და შთააგონა, უფლის მიერ აკრძალვის მიუხედავად, ეგემა ცნობადის ხის ნაყოფი. ევამ ვეღარ გაუძლო ამ ცდუნებას, ვაშლი მოწყვიტა, შეჭამა და...

„ტკივილებისგან კვლავ შეინძრა მიწის წიაღი,
ბუნებამ ისევ გამწარებით ამოიკვნესა,
ჭექა-ქუხილი გამძვინვარდა, ცა ჩამობნელდა
და სიმწრის ცრემლით დაიტირა პირველი ცოდვა,
პირველი ცოდვა — საშინელი სიკვდილის წყარო“...

შემდეგ ეს ცოდვა, მოგეხსენებათ, შთამომავლობიდან შთამომავლობას გადაეცა და იმათზეც გავრცელდა,

„ვინც აკრძალულ ხილს ხელითაც კი არ შეხებია,
არც გველისაგან არ ყოფილა შთაგონებული...“

ამით ცოდვა და სიკვდილი ისე გავრცელდა, რომ ჯოჯოხეთსა და დედამიწას შორის ფართო ხიდის გადება გახდა საჭირო...

„და გასდეს ხიდი, ჯოჯოხეთის კარისებრ ფართო,
რაიც ქვესკნელთან დედამიწას აკავშირებდა,
საზარელ სიკვდილს მსხვერპლთან მისვლას უადვილებდა;
თვალუწვდენელი, უხიფათო, მოხერხებული,
სწორი და ფართო გზა გაიხსნა ჯოჯოხეთისკენ...“

ნიურნბერგის პროცესზეც ამიტომ ითქვა, რომ ჰიტლერელებმაც

...„შეაერთეს ჯოჯოხეთი ამ ქვეყანასთან
და ერთ დიდ სახელმწიფოდ გადააქციეს...“

— მაშინ სატანა იყოო ამ საქმის მოთავე, ახლა კი ჰიტლერი, რომელმაც ჯოჯოხეთის იმ ხიდის ვითომ „აღთქმულ ქვეყანასთან“, ანუ სამოთხესთან შეერთება მოინდომა.

— ეს მისი იდეა იყო და ამიტომ ისაა ყველაფრის პასუხისმგებელი, — ამბობდნენ ნიურნბერგელი ბრალდებულები და მათი დამცველები...

...ასეთი იყო მათი საერთო პოზიცია, იმის მიუხედავად, კვლავ განაგრძობდნენ ჰიტლერის თაყვანისცემას თუ არა... ბოლოს კი, როცა ყველანი ერთად მიესივნენ თავიანთ მკვდარ ფიურერს, ჯეკსონმა განაცხადა:

— მე თავს ნებას მივცემ, ერთი წუთით ეშმაკის ვექილობა ვიკისრო. დავუშვათ, რომ ჰიტლერი იყო მთავარი ბოროტმოქმედი, მაგრამ ბრალდებულებმა რომ ყველა დანაშაული მას დააკისრონ, არ იქნება სამართლიანი. ჩვენ ვიცით, სახელმწიფოს მეთაურიც ისევე შეზღუდულია თავისი გონებრივი შესაძლებლობებითა და სამუშაო საათებით, როგორც ყველა

ადამიანი. იგი იძულებულია, სხვებს მიანდოს ბევრი რამ, სხვები იყვნენ მისი თვალები და ყურები, რომ შეატყობინონ, რა ხდება მის უზარმაზარ იმპერიაში. მას უნდა ჰქონდეს ხელები და ფეხები, რითაც შესრულდება მის მიერ ნაკარნახევი გეგმები და ბრძანებები. ვისი იმედი ჰქონდა ჰიტლერს ამ მხრივ, თუ არა ამათი, ვინც ახლა საბრალდებო სკამზე ზის? ვინ ჩააგონა მას, რომ ჰყავს უძლეველი საჰაერო არმადა, თუ არა გერინგმა? ვინ დაარწმუნა იგი დემოკრატიული სახელმწიფოების მერყეობასა და სისუსტეში, თუ არა რიბენტროპმა, ნოირატმა და პაპენმა? ვინ ჩაუნერგა მას გერმანიის დაუმარცხებლობის ილუზია, თუ არა კაიტელმა, იოდლმა, რედერმა, დენიცმა? ვინ აღვივებდა მის სიძულვილს ებრაელობისადმი, თუ არა როზენბერგი და შტრაიხერი? ესენი წარმოადგენდნენ მის პრეტორიანულ გვარდიას და თუმცა ემორჩილებოდნენ კეისარს, კეისრის ბედიც მათ ხელთ იყო... ახლა მკვდრებს რომ შეეძლოთ აღდგნენ და პასუხი გასცენ ყველაფერს, რაც აქ მათ წინააღმდეგ ითქვა, იქნებ უფრო ნაკლებად დამახინჯებული სურათი წარმოგვიდგებოდა იმისი, თუ რა როლს ასრულებდნენ ეს ბრალდებულები... წარმოიდგინეთ, რა მღელვარება ატყდებოდა ბრალდებულთ შორის, რომ მათ ენახათ, როგორ შემოვიდა ადოლფ ჰიტლერი დარბაზში და დადგა მოწმის პულტთან...

პროცესის ბევრ მონაწილეს უნდოდა ამის წარმოდგენა, მაგრამ იურისპრუდენციის მკაცრი ნორმები არ აძლევდა მათ საშუალებას ამის „ფსიქოლოგიური რეალობა“ დაეჯერებინათ. ჩვენ კი ხელს რა გვიშლის! რაკი ამის სურვილი გვაქვს, წარმოვიდგინოთ კიდეც. თუ იმისი გვეშინია, ვინმემ არ გვითხრას, სინამდვილეში ასე არ იყოო. მერე რა! განა ჩვენი წარმოდგენაც სინამდვილე არ არის? ის კი არა, ზოგჯერ წარმოდგენილი შეიძლება უფრო ჭეშმარიტი იყოს, ვიდრე სინამდვილე. ამიტომ თუ წარმოსახვით მაინც მივუხმობთ ჰიტლერს პროცესზე და დავკითხავთ, როგორც ბრალდებულ მოწმეს, ჯეკსონისა არ იყოს, იქნებ სინამდვილის მართლაც „ნაკლებად დამახინჯებული სურათი“ წარმოგვიდგეს...

...და აი, ახლა მეც იმაზე ვფიქრობ, როგორ მოიყვანდნენ ჰიტლერს ნიურნბერგში, რა აურზაური ატყდებოდა დარბაზში, ლოურენსი როგორ დააწყნარებდა ხალხს და ა. შ. რაკი ამ შემთხვევაში მეც საკუთარი წარმოსახვის გზას მივყვები, როგორც მინდა, ისე წარმოვიდგენ ყოველივე ამას. თუ ლატერზნერმა იგი მილტონის სატანას შეადარა, ჩემთვის დანტეს მიერ ჯოჯოხეთის მეცხრე გარსში მოთავსებული საზარელი არსება, ანუ „ერთსახიერი სამება“ იქნება, რომელსაც თვითონ მწერალი „ბოროტების ყოვლის მიზეზს“ უწოდებს:

„რა რიგ გავოცდი, როცა ვნახე მე ჩემი თვალით
სამგვარი სახე გამოსხმული რომ ჰქონდა თავზე,
ჯერ წინა სახე სისხლისფერი, მთლად მეწამული,
სხვა დანარჩენი პირველ სახეს უერთდებოდა,
ორთავე მხარის შუა გულში დატანებული,
ხოლო სამივე შუბლის ზემოთ ჰქონდა შეყრილი.
ნახევრად თეთრი და ნახევრად იყო ყვითელი
მარჯვენა სახე და მეორე სახე მარცხენა...“

დანტეს ეს „ერთსახიერი სამება“ სახეცვლილების ისეთივე ოსტატი იყო, როგორც მილტონის სატანა ან თომას მანისეული „შემაძრწუნებლად სხვა“, ბერლინში მიმავალს, მატარებლიდანვე რომ აეკიდა ჩემს წარმოსახვას. ამიტომაც „წინა სახით“ რომ ჰიტლერი მიმართავდა ტრიბუნალს, მარჯვენა და მარცხენა სახეები სულ იცვლებოდნენ იმისდა მიხედვით, თუ ვისზე ან რაზე ლაპარაკობდა. მარჯვენა მხარეს რომ ეშმაკი გამოჩნდებოდა, მარცხენაზე ვიღაც homo scientificus-ს ვხედავდი დამღით შუბლზე: O, homo, fuge! ზოგჯერ იმ სამებაში სამი სხვადასხვა პიროვნება ჩანდა: მათ შორის ერთი სულ ჰიტლერი იყო ჯვარცმული მაცხოვრის თუ კაპუცინელი ბერის სახით, ორი დანარჩენი კი მისი „მოციქულები“—გერინგი და ჰიმლერი, ბორმანი და გებელსი, ფრანკი და კალტენბრუნერი, რიბენტროპი და პაპენი ან სხვა ვინმე. შეძრწუნებული ბრალდებულები იმ სამებაში, როგორც სარკეში, ისე ხედავდნენ თავიანთ თავს. ამიტომ რა ვარიაციაც არ უნდა გამოჩენილიყო,

სულ ერთია, მაინც ერთსახიერი არსება გამოდიოდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ თავის დროზე ყველა ერთნაირად ფიქრობდა და ერთ საქმეს აკეთებდა: ცოცხლებიცა და მკვდრებიც. ჰიტლერიც სულ მათ შორის იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი თითქოს ტრიბუნალის სხდომათა დარბაზში იმყოფებოდა. დღე ისე არ გავიდოდა, ერთი ათასჯერ მაინც არ ეხსენებინათ მისი სახელი. ბრალმდებლები და მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტები მის საშინელ აზრებსა და საქმეებზე ღაღადებდნენ. ბრალდებულებიც მისი მეაბჯრენი იყვნენ. ამიტომაც მიმართა მათ იმ დამხობილმა სატანამ:

„თუ ერთი გვქონდა დიდებული ბრძოლების რწმენა,
განწირულების მძიმე ხვედრი გვაერთებს ახლა.“

მაგრამ არა! მთავარი სამხედრო დამნაშავენი და მათი დამცველები თავს უკვე განზე იჭერდნენ და ყველაფერს მას აბრალებდნენ. ეს ვინ ყოფილაო: მხეცი, ნადირი, გიჟი, გენიოსი, ბრძენი, ღმერთი და უფრო დიდი, ვიდრე ღმერთია: თვითონ სატანა, დემონი, ყოველგვარი ბოროტების საწყისი, მკვლელი. მერედა, რას არ ყვებოდნენ: 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავსო, ამდენი და ამდენი ქალაქი თუ სოფელი დაუნგრევიაო, მთელი მსოფლიო აუკლია და აუოხრებიაო. ერთი სიტყვით, ზღაპრადაც რომ არ ითქმის, ისეთი რამეები ჩაუდენიაო. აქ ვიღაცას უკითხავს, კი მაგრამ, ერთმა კაცმა ამდენი რამ როგორ გააკეთაო, განა მას N თავი ან N ხელი და ფეხი ებაო! აბა, როგორ, ის ხომ ყველა ჩვენთაგანის „მე“-აო, უპასუხნია რომელიღაც ბრიყვს იმის ნაცვლად, რომ ეთქვა, ყველას „მეორე თვითონაააო“.

ამაზე ჰიტლერს ვითომ განუცხადებია:

— მე ხომ თქვენს ფიქრებსა და ოცნებებს ვანხორციელებდი, თქვენთან ერთად ვმოქმედებდი. არც ერთ თქვენგანს ერთხელაც არ გაუწევია ჩემთვის წინააღმდეგობა, ახლა კი იძახით: ჯვარს აცვით, ყველაფერი მისი ბრალიაო. კეთილი, თანახმა ვარ, მე შემიძლია, ქრისტესავით ვზიდო ყველას ცოდვა...

ეს რომ მართლაც ასე მომხდარიყო, ნეტავი, ბრალდებულები როგორ მოიქცეოდნენ? განსაკუთრებით ისინი, ეშმაკის ინკარნაციას, თავად ეშმაკს, მკვლელსა და სადისტს რომ უწოდებდნენ მას? ამგვარმა ცნობისმოყვარეობამ მეც ისე წამძლია, რომ მინდა, ისევ იმ მილტონისეული ალეგორიით წარმოგიდგინოთ „უცხო ქვეყნების მაძიებელი“ ჰიტლერის შესაძლებელი გამოჩენა ნიურნბერგის ტრიბუნალის სხდომათა დარბაზში, როგორ მიუახლოვდა იგი

„...გუშაგთა მწკრივებს, ფეხი შედგა პლუტონის სახლში,
მეფურ ღირსებით თავის მაღალ ტახტთან მივიდა,
რასაც მდიდრული გავალაკი ჩამოჰბუროდა,
დაჯდა და ერთხანს სხვებსა სჭვრეტდა, თვით უხილავი.
ბოლოს ერთბაშად, ვით ღრუბლიდან მანათობელი,
ცის ვარსკვლავივით აელვარდა სატანის თავი,
ვარსკვლავზე მეტად ანათებდა ყალბი დიდებით,
რაიც მას ისევ შერჩენოდა დაცემის შემდეგ“.

მერე იგი ამღვრეულ თვალებს მოავლებს დარბაზს, ბრალდებულებს მიუბრუნდება და დამბლადაცემული მარჯვენის ნაცვლად მარცხენას აიქნევს ზევით. საბრალდებო სკამების ორივე მწკრივს შიშის ისეთი ზარი გადაუვლის, როგორიც ცოდვილთ, გამოცხადების ჟამს...

...და აღდგეს ზედა მათთა და შიში დიდი, რომელნი ხედვიდეს მას...

ზოგს, ალბათ, ენა ჩაუვარდება. სხვები „ჰაილ ჰიტლერისა“ და „ზიგ ჰაილის“ ძახილით შეხვდებიან. შეიძლება, შახტმა, პაპენმა და ნოირატმა თავი შეიკავონ, იქნებ შირახმაც... თუმცა, ვინ იცის!..

სამხედრო პოლიციელები ხელკეტებს აღმართავენ. ლოურენსი ხის ჩაქუჩს დაჰკრავს მაგიდაზე და წესრიგისაკენ მოუწოდებს როგორც ბრალდებულებს, ისე სხვებს... ჰიტლერი კი ჯოჯოხეთში დაბრუნებულ სატანის სიტყვებით მიმართავს „პლუტონის სახლში“ შეკრებილთ:

„უფლებასრულნო, ტახტოსანნო, ხელისუფალნო,
დიდნო თავადნო და მეფენო, აწ ამ სახელებს
მე თქვენ გიწოდებთ არა მხოლოდ უფლების ძალით,
აწ მართლაცა ხართ მქონებელი ყველა სიკეთის;
დაბრუნებული ისე დიდი გამარჯვებებით,
როგორსაც ჩვენი იმედიც კი ვერ მისწვდებოდა".

შემდეგ, ჩვეულებრივი დაკითხვის ნაცვლად ჰიტლერი გერინგივით უსაშველოდ გრძელ სიტყვას წამოიწყებს, მაგრამ ლოურენსი შეაწყვეტინებს:

— თქვენ აქ იმისთვის კი არ მოგიხმეთ, რომ ის გაიმეოროთ, რაც ათასჯერ გითქვამთ, არამედ ჩვენს კითხვებს უნდა უპასუხოთ.

ჰიტლერი რომ თავის უფლებებში ყოფილიყო, პროტესტს განაცხადებდა, მაგრამ რაკი ასე არ იყო, მორიდებით თქვა:

— კეთილი, მე პასუხს გავცემ თქვენს რამდენიმე კითხვას, მერე კი მაინც ვიტყვი ჩემსას და, თუ ამის ნებას არ მომცემთ, საერთოდ არაფერს ვიტყვი. ვერც მაიძულებთ, რადგან უკვე არც თქვენი მუქარის მეშინია და არც თქვენი სასჯელის.

აქ მან ისევ ქრისტეს სახე მიიღო, გულხელი დაიკრიფა, თვალები ზეცისკენ აღაპყრო და წყნარად დაუმატა:

— რამეთუ არა ვუწყი, რომელი არს სიკუდილი იგი მეორე...

...ამის შემდეგ დაკითხვა ერთხანს ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგება:

კ ი თ ხ ვ ა: თქვენი სახელი და გვარი?

პ ა ს უ ხ ი: სახელი — ადოლფი, გვარი, არ ვიცი, რომელი გაინტერესებთ — შიკლგრუბერი თუ ჰიტლერი?

კ ი თ ხ ვ ა: ერთიც და მეორეც.

პ ა ს უ ხ ი: დიახ, ადოლფ შიკლგრუბერი, იგივე ჰიტლერი.

კ ი თ ხ ვ ა: დაბადების წელი?

პ ა ს უ ხ ი: შიკლგრუბერისა — 1889, ჰიტლერისა — 1919.

კ ი თ ხ ვ ა: პროფესია?

პასუხი: პირველის — მხატვარ-არქიტექტორი, მეორესი — პოლიტიკური მოღვაწე...

კითხვა: გთხოვთ გაიმეოროთ ფიცის სიტყვები.

პასუხი: ფიცს მე მხოლოდ განგების წინაშე ვდებ.

კითხვა: უპასუხეთ კითხვას, ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ.

პასუხი: მე არ ვიცი, რას ნიშნავს სიტყვა „დანაშაული". თუ თქვენ გინდათ თქვათ: გრძნობთ თუ არა პასუხისმგებლობასო, დაგეთანხმებით. დიახ, მე ვკისრულობ ყველაფრის პასუხისმგებლობას. მე ვარ ყველაფრის დასაწყისი და დასასრული. ამით მე ვათავისუფლებ ჩემს ამ უბადრუკ მოციქულებს მსჯავრდებისაგან, თქვენ კი ამდენი უნაყოფო შრომისაგან — ამტკიცოთ ის, რაც თავისთავად ცხადია. მე ხომ არაფერი დამიმალავს. პირველი პოლიტიკური სიტყვიდან ანდერძამდე ყველაფერი ნათქვამია ჩემს წიგნში თუ გამოსვლებში. მე რასაც ვამბობდი, იმას ვაკეთებდი. ამიტომ არაფერს არ უარვყოფ. რასაც თქვენ ამბობთ და ამტკიცებთ, ყველაფერი მართალია. მე სწორედ ეს მინდოდა და გავაკეთე. კიდეც. თქვენ ამას დანაშაულს უწოდებთ, მე კი ვამაყობ ყველაფრით, რაც აქ ითქვა. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩემთვის უცხოა კეთილისა და ბოროტის ცნება. მე იმ ხის ნაყოფი არ მიგემნია, ღმერთმა რომ ცოდვად ჩაუთვალა პირველ ადამიანებს. ამიტომ უცოდველიც ვარ და უდანაშაულოც...

კითხვა: 50 მილიონი კაცის სიცოცხლის შეწირვა ცოდვად არ მიგაჩნიათ?!

პასუხი: არა. ისევე არა, როგორც ღმერთს არ მიუჩნევია ცოდვად წარღვნის მოვლინება. მე პატივს არ ვცემ თიხისაგან შექმნილ ადამიანებს, არც მაიმუნისაგან წარმოშობილთ. მე მინდოდა, მეხილა ცაد ახალი და ქუეყანად ახალი, რამეთუ პირველი იგი ცად და პირველი ქუეყანად წარხდეს. ამიტომ ვეძებდი ახალ ადამიანს. დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი უმჯობესი იქნებოდა, ვიდრე თიხისაგან შექმნილი ან მაიმუნისაგან წარმოშობილი. თქვენც ასე ფიქრობთ, მაგრამ პირდაპირ თქმას ვერ ბედავთ ან გერიდებათ. რატომ?! განა თქვენმა უფალმა ღმერთმა არ აღიარა, რომ ადამიანთა მოდ-

გმა გაიხრწნა და გადაგვარდა? ის ას ერგასის „ცოდვაც“ ხომ მან დაატრიალა. ქვეყანა წარღვნამ წალეკა. მერე კი დაპირდა ნოეს შთამომავალთ, ამიერიდან „წყლით რღუნა“ აღარ იყოსო, მაგრამ ცეცხლის წარღვნა მაინც უწინასწარმეტყველა კაცობრიობას. მეც ამიტომ მივეც მათ ტბად ცეცხლითა და წუმწუმებითა მოტყინარისა, მაგრამ ძალა არ მეყო... თქვენ კი ახლა ხელთ ისეთი „ჯოჯოხეთის იარაღი“ გაქვთ, რომ შეგიძლიათ, მთელი ქვეყანა გახვიოთ ცეცხლსა და გეჰენიაში, როგორც ორი იაპონური ქალაქი, რომელთაგან არც ერთი ყოფილა სოდომი და არც მეორე — გომორა. თქვენ გგონიათ, ეს შემაწუხებს? პირიქით, როცა მთელ მსოფლიოს ცეცხლი მოედება, მეც იქ ვიქნები. ჩვენი ღმერთი ოდინიც მაშინ გამოჩნდება და მერე თქვენ არკვიეთ, სად სიკეთე იყო და სად ბოროტება. მე კი ისევ ჩემს ლაშქარს მოვუხმობ და იმ ცეცხლში გამოვაწრთობ ახალ მსოფლიო იმპერიას, შევქმნი ახალ ადამიანებს. ეს უკეთესი იქნება, ვიდრე თქვენი სამოთხე ან თიხისაგან შექმნილი თუ მაიმუნისგან წარმოშობილი კაცობრიობა...

სიღრმენი ეშმაკისანი...

ის „ერთსახიერი სამება“ სულ ასე იგავურად უქცევდა გვერდს დასმულ კითხვებს, ტრიბუნალი კი მისგან ოთხ მთავარ ბრალდებაზე პასუხის გაცემას მოითხოვდა.

კითხვა: ცნობთ თუ არა, რომ თქვენი ბრძანებით რამდენიმე მილიონი სრულიად უდანაშაულო ადამიანი დახოცეს საკონცენტრაციო ბანაკებში?..

პასუხი: მას შემდეგ, რაც პირველმა ადამიანმა შეცოდა, უცოდველი და უდანაშაულო არავინაა ამქვეყნად.

კითხვა: არც თქვენ?

პასუხი: მე ვის წინაშე უნდა მიმიძღოდეს დანაშაული?

კითხვა: თუნდაც, ღმერთის!

პასუხი: მე არც თქვენი ღმერთი მწამს და არც ცნობადის ხის ზღაპარი. მე მყავს ჩემი ღმერთი, რომელსაც ხელთ

მახვილი უპყრია და იბრძვის. ჯერ არც ერთ ერს არ განუმტკიცებია თავისი არსებობა „მოყვასის სიყვარულით“. ძლიერი მხოლოდ ის ერია, რომელიც განუწყვეტლად იბრძვის. კაცობრიობის ისტორია მხოლოდ ომების ისტორიაა. გმირული სული ომში იწრთობა. ადამიანებმა თვითონ შექმნეს თავიანთი მეომარი ღმერთები. ისინი იმათ ადიდებდნენ, ვისაც ხელში მახვილი ეპყრა. ჰომეროსს რომ ტროას ომი დიდების შარავანდით არ შეემოსა, დღეს ის ამბავი არც გვემახსოვრებოდა. იქიდან მოკიდებული სულ ომებს აქებდნენ და ადიდებდნენ. იქ პოულობდნენ გმირობის მაგალითებს და არა სულიერი სიღატაკის, სხეულის გვემისა და უსისხლო დემოკრატიის სფეროში. ასეა, ბატონებო, ისტორია მახვილით იქმნება და არა საწერ-კალმით. სადავო საკითხებსაც მუდამ მახვილი წყვეტდა და არა მართლმსაჯულება. ზარბაზნები და სამართალი ერთმანეთს არ იცნობენ. ეს არც მე მომიგონია და არც ჩემს ხალხს. ომი ყოველთვის ისტორიის მამოძრავებელ ძალად მიაჩნდათ. შეგახსენებთ: ჯერ კიდევ ჰერაკლიტემ თქვა: „ომია ყველა დიდი საქმის შემოქმედი. ყველაფერი მნიშვნელოვანი ცხოვრებაში მიღწეულია გამარჯვებით ან დამარცხებით“. შემდეგშიც იმეორებდნენ ამ სიტყვებს. ამბობდნენ, რომ „ომი ჩაქსოვილია საგანთა ბუნებაში“, ახალგაზრდობა ისე იწრთობა ომში, როგორც რკინა ცეცხლში. ეს არის მამაკაცური ვნება, შეკუმშული მუშტი, საქმე. ყველგან გაისმოდა: ნამდვილი მეომარი უდრის წმინდანს. თავგანწირვა წმინდანური აქტია. ჩვენც ასე ვამბობთ: ოდინის ჯარისკაცები წმინდანები იყვნენ. ხალხის გმირული სული თავგანწირვის, სისხლის ნიღვრისა და მკვდრების ჰეკატომბებისაგან იბადება. გმირთა საფლავები ქმნიან სამშობლოს დიად პეიზაჟს. დიდების შარავანდიც იმას მოსავს, ვინც სიმღერით ხვდება სიკვდილს. ეს მართლაც ასეა, ერი მხოლოდ ომში ავლენს თავის შესაძლებლობას. ომია ერის დიდების აკვანი, რომელიც მხოლოდ ბრძოლის ველზე ირწევა. ომებმა გამოაწრთო და გააკაჟა გერმანელი ერი და სწორედ ამაშია მისი ღვთაებრივი ექსტაზის წყარო... ძალადობაში

ვლინდება მამაკაცური ხასიათი. სამგზის კურთხეული ომია უზენაესი სკოლა და გამოცდა.

ბატონებო, სხვებიც ასე ამბობდნენ და ამის მეტი მეც არაფერი მითქვამს... და თუ ეს დანაშაულია, მაკედონელებთან, ფრიდრიჰებთან, ნაპოლეონებთან, ჩინგის-ხანებთან და თემურ-ლენგებთან ერთად უხმეთ აქ ოლიმპოს ღმერთებს, ჰომეროსებს, ჰერაკლიტეებს, ფილოსოფოსებსა და მწერლებს, ომების მეხოტბეთა და მადიდებელთ, რომ ბრალი დასდოთ მშვიდობის წინაშე შეთქმულებაში...

... ბრალდებულები ისევ აღტაცებით მიაჩერდებიან თავიანთ ფიურერს. პირველი აქაც ჰესი წამოვარდება, წარბებს აიგრეხს, კისერს წაიგრძელებს და იყვირებს:

— ზიგ ჰაილ, ჩემო ფიურერ, ზიგ ჰაილ!..

სხვებსაც ერთი სული ექნებათ, რომ შესძახონ ეს „ზიგ ჰაილ!“ მაგრამ, სხვა დროა, სხვა სიტუაცია... ლოურენსი ხის ჩაქუჩს დაჰკრავს მაგიდას და აწყვეტინებს:

— აქ დანაშაულებრივ ომზეა ლაპარაკი...

— მილორდ, თქვენგანვე გამიგონია, ყოველგვარი ომი დანაშაულიაო, მე კი სხვა აზრისა გახლავართ ამ საკითხზე. ომების გარეშე კაცობრიობა გადაგვარდება. თქვენი თანამემამულე ამბობდა: „ომი საშინელია, მაგრამ ზარმაც მშვიდობაზე უარესი მაინც არ არისო“, „ომის საშინელება მშვიდობის სამკაულიაო“ და სხვა ასეთი.

ისევ ჩაქუჩის დარტყმა:

— ომსაც თავისი კანონები აქვს.

— ომის დროს კანონები სდუმან. ციცერონის გარდა, სხვამაც ბევრმა გაიმეორა ეს. რაც შეეხება სისასტიკეს, არც ეს არის ახალი. ჰუმანური ომი ჯერ არავის უწარმოებია. თქვენს ბიბლიაში ომის ისეთი საშინელებებია აღწერილი, რომ მის წინაშე მთელი შემდგომი ისტორია ფერმკრთალდება.

— ჩვენი ქრისტიანული მორალი უარყოფს ამას! — დაუძახა რომელიღაც ბრალმდებელმა. იმ სამსახეობის წინასახე მაშინვე შეცვალა „მარცხენა სახემ“ — მე კი მასში ისე

ი ს "შევიცანი—„შემაძრწუნებლად სხვა", რომელსაც ძველი მაგიური თქმულებების პროტოგონისტული გმირის მსგავსად კაპუცინელი ბერის სახე ჰქონდა მიღებული, თვალებს ბოროტად აელვარებდა და გამყინავი ხმით გაიძახოდა:

— მაშ, ვინა თქვა, წარვედით და დასთხიენით შუიდნი ესე ლანკანნი გულის წყრომისა ღმრთისანი. ვინ დასთხია იგი ქუეყანასა ზედა და ზღუასა ზედა, და მდინარეთა ზედა, და საყდარსა ზედა, და ჰაერსა ზედა... ვინ მოავლინა ქვეყნად შალალი ბოროტი, ვინ აქცია ზღვა სისხლად, ვინ მოსრნა ყოველნი სული, რომელი იყო ზღუასა შინა, ვინ მისცა მას ცეცხლისა დაწუვად კაცთა, ვით განხმა წყალი მდინარესა ზედა დიდისა ევფრატისა... ახლაც რა საშინელება მოჰყვა თქვენს გულისწყრომას, როგორ დაიწუნეს კაცნი სიცხითა დიდითა...

აქ ის ანტიქრისტე ამერიკელ ბრალმდებელს მიაჩერდა. დარბაზს თითქოს ხიროსიმასა და ნაგასაკის ატომურმა ქარიშხალმა გადაუარა და გაისმა ხმაი იგი საყვირისაჲ:

— ვინ არის, რომელსა იგი აქუს ხელმწიფებაჲ წყლულებათა ზედა მათთა. ვინ აწამა ხალხი ისე, რომ იცოხნიდეს ენათა თუისთა ტკივილისაგან და ჰგმობდეს ღმერთსა ცათასა ტკივილთა მათთგან და წყლულებათა...

მერე ისევ წინა სახე ამეტყველდა:

— საუკუნეების მანძილზე თქვენ ერთმანეთს ხოცავდით, ჩვილ ბავშვებს ქვევრებში ყრიდით ან კალოზე ლეწავდით, ცეცხლში წვავდით ადამიანებს, ნაჯახით თუ გილიოტინით კვეთდით თავს... თქვენ ახლაც იმ სისხლიანი ღმერთების მემკვიდრენი და მონები ხართ, ვისი პირისაგან გამოვიდა მახვილი ორპირი აღლესული, რაჲთა მით მოსრნეს წარმართნი, და იგი ჰმწყსიდეს მათ კუერთხითა რკინისაჲთა და იგი დასწენეს საწნეხელსა მას ღუინისა მის გულისწყრომის და რისხვისა ღმრთისა, ყოვლისა მპყრობელისასა...

თქვენ ამტკიცებდით, რომ „ჭეშმარიტებით და სიმართლით არიან სასჯელნი მისნი" და შეღაღადებდით: ღმერთო, ყოვლის მპყრობელო, მართალ და ჭეშმარიტ არიან სასჯელნი შენნი...

მაშ, ახლა რატომ შეძრწუნდით? რატომ გგონიათ, რომ

ეს დანაშაულია? თუ იმას ფიქრობთ, რომ მარტო მე მიმიძღვის ამაში ბრალი, როგორც ჩემი ეს უბადრუკი მოციქულები ამტკიცებენ.

ეს რომ თქვა, ბრალდებულებისაკენ შებრუნდა და... ისევ გაისმა ხმა დიდი, ვითარცა საყვირისაჲ:

— ამათ იმდენი იყბედეს ჩემს შესახებ, რომ შეგიძლიათ 30 ვერცხლი შესთავაზოთ, როგორც იუდებს...

ბრალდებულებს ტანში გააჟრჟოლათ და თავი ჩაქინდრეს..

და ისევ გაისმა ხმაჲ მისი, ვითარცა ხმაჲ წყალთა მრავალთაჲ:

— ვიცნი საქმენი თქუენნი და ჭირი და სიგლახაკე და გმობაჲ იგი, რომელი იტყუან თავთა თუისთა მოციქულებად, და არა არიან, და ჰპოვონ იგინი მტყუვარ, რომელი — იგი მე მძულან, დაიმარხნეს ვიდრე აღსასრულამდე, ხოლო რომელთა იცნობიან, სიღრმენი ეშმაკისანი და არა შეუგინებიეს სამოსლები მათი, და ვიდოდიან იგი ჩემ თანა სამოსლითა სპეტაკითა, რამეთუ ღირს არიან...

ამ სიტყვებით წაქეზებულმა ზოგიერთმა „ბოლომდე ერთგულმა“ ბრალდებულმა თვალი გაუსწორა თავის ყოფილ ფიურერს, როგორც მაშინ.

...ოდეს იყვნენ შუიდნი იგი სულნი ეშმაკისანი და აქუნდეს შუიდნი რქანი და შუიდნი თუალნი, რომელ არიან შუიდნი იგი სულნი სატანისანი და რომელნი მოივლინებიან ყოველსავე ქუეყანასა, რამეთუ იყოს რიცხვ მათი ბევრი ბევრთაგანი და ათასნი ათასთანი...

...და ისევ მილტონი:

„თქვა და შეჩერდა, მოელოდა მქუხარე ტაშსა
და მოწონების შეძახილებს. მაგრამ უეცრად
მის სმენას მისწვდა ყოველის მხრით ბილწი სისინი —
როგორც ნიშანი ზიზღისა და შეჩვენებისა.
განჰკვირდა, მაგრამ გონს მოსვლაც კი ვეღარ მოასწრო,
რადგან ცვლილებამ საკუთარმა უფრო შეაკრთო:
სახე ერთბაშად დაუწვრილდა, ჩამოუგრძელდა,
ხელები მჭიდროდ მიეწება ორივე გვერდსა,
ფეხებიც რაღაც უცნაურად გადაეხლართა,
დაეგრიხა და გადაეწნა ერთიმეორეს,

უცებ მოსწყდა და გაიშხლართა სატანა პირქვე,
მუცელზე მხოხავ უზარმაზარ გველად გადიქცა“.

ასე დაემართათ საბრალდებო სკამზე მსხდომ მთავარ სამხედრო დამნაშავეებსაც:

„საერთო ხვედრი შეხვდა ყველას — გველებად იქცნენ...
იკლაკნებოდნენ, საცოდავად იგრიხებოდნენ,
კუდებით, თავით მიაგავდნენ ასპიტებს, ჰიდრსა,
ღრიანკალებსა და ამფისბენს, შემაძრწუნებელს...“

ის „გველები“ ახლაც დასრიალებენ ადამიანთა ქვეცნობიერის ბნელში და ცნობადის ხის ნაყოფს სთავაზობენ ადამისა და ევას შთამომავლობას, სწორედ ისე, როგორც იმ ძველ ბიბლიურ ლეგენდაშია ნათქვამი...

...ჩვენც ამით შეგვეძლო ეს იგავური ინტერმედია ისე დაგვემთავრებინა, რომ პროცესზე ამდენი ლაპარაკი არ ყოფილიყო სხვებზე, ვინც უკვე აღარ იყო ცოცხალთა შორის... თითქოს მათმა აჩრდილებმაც ჩაიარეს ტრიბუნალის წინ და ისევ იმ გველისებური სისინით გამოხატეს თავიანთი აზრი.

გ ე ბ ე ლ ს ი: მე მხოლოდ ვლაპარაკობდი, საქმით კი არც სიკეთე ჩამიდენია და არც ბოროტება.

ჰ ი მ ლ ე რ ი: მე ჩემით არაფერი გამიკეთებია, სულ ჩემი ფიურერის მითითებას ვასრულებდი. ჩემთვის კი სხვა სიცოცხლე მქონდა, მეცნიერება მაინტერესებდა, მისტიკის საფუძვლებს ვიკვლევდი, სულთა მიგრაციის პრობლემას ვსწავლობდი, არიულ ცხენებსა და ფუტკრებს ვამრავლებდი, მეფრინველეობა მიტაცებდა, ჩიტების ფერმის მოშენება მინდოდა, მაგრამ უფალმა ინება, ჩემი ფიურერის იგნაციუს ლოიოლად ვქცეულიყავი. ეს ჩემი ბედისწერა იყო და არა დანაშაული...

ბ ო რ მ ა ნ ი: თქვენს განაჩენს მე გულგრილად მივიღებ, რადგან მას აღსრულება არ უწერია, რამეთუ, მსგავსად ჩემი ფიურერისა, აღარც მე ვუწყი, რომელი არს სიკუდილი იგი მეორე...

ჰ ა ი დ რ ი ხ ი: თუ გეტყვიან — მოკალი, უნდა მოკლა,

თორემ შენ მოგკლავენ. ასეთია ცხოვრების ლოგიკა. ქვეყანა ღმერთის მიერ არის შექმნილი და მანვე უნდა განსაჯოს—დანაშაულია ეს თუ არა...

მერე მათ სხვებიც მიჰყვნენ და, რაკი ამგვარ ალეგორიებზე მიდგა საქმე, ისევ იმ სენტენციას შეგახსენებთ:

— არიან მკვდრები, რომელნიც სიკვდილით დასჯას იმსახურებენ... და თითქოს ჩვენც:

...ვიხილეთ მკუდარნი, მდგომარენი წინაშე საყდარსა მის და სხუად წიგნი განეღო, რომელ არს ცხოვრებისად.

...და მოსცნა ზღუამან მკუდარნი... რომელნი იყვნეს მათ შორის და განისაჯა თითოეული საქმეთაებრ მათთა...

ირიდას ნაკვალევი...

წარმოსახვის სფეროდან ისევ სინამდვილეს რომ დავუბრუნდით, დარბაზს, მართლაც, იმ ფრთამსუბუქმა ირიდამ გადაუქროლა და შვიდი ცოდვის იმგვარი შვიდფერი კვალი დატოვა, რაც არასოდეს წაიშლება კაცობრიობის ისტორიაში. ამის დასტურად, დასკვნით სიტყვაში იმავე ჯეკსონმა პროცესის დასაწყისში დასმული სამი სრულიად უბრალო კითხვა გაიმეორა:

1. ჩადენილი იყო თუ არა მოქმედებანი, რაც წესდებით განსაზღვრულია, როგორც დანაშაულებრივი;

2. იყო თუ არა ჩადენილი დანაშაულებანი საერთო გეგმის ანუ შეთქმულების შედეგად;

3. ეკუთვნიან თუ არა ბრალდებულები იმათ რიცხვს, ვისაც ამაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება.

აი, ამ სამ, სრულიად ნათლად გამოთქმულ საკითხს მიუძღვნეს ბრალმდებლებმა თავიანთი დასკვნითი სიტყვები და ისე ნათლად გააშუქეს ყველაფერი, რომ ბრალდებულებსა და მათ დამცველებს, საერთო, ბუნდოვანი განცხადებებისა და იურიდიული მაქინაციების გარდა არაფერი დარჩათ. ყველაფერი, რაც საბრალდებო აქტში იყო აღნიშნული, სახელმწიფო ბრალმდებლებმა — ჯეკსონმა, შოუკროსმა, შარპანტიე

დე რიბმა და რუდენკომ სავსებით დადასტურებულად გამოაცხადეს...

პირველი ზარი ამ შემთხვევაშიც ჯეკსონმა ჩამოჰკრა. მან ერთხელ კიდევ გაიმეორა ბრალდების არგუმენტები და დაასკვნა:

— ბატონო მოსამართლენო! მთელი ჩვენი იურიდიული მუშაობის პრაქტიკაში, ჯერ არასოდეს მომითხოვია ვინმეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ მე იმ ქვეყნის წარმომადგენელი ვარ, სადაც ერთი ადამიანის მკვლელს სიკვდილს უსჯიან და, თუ ერთი ადამიანის მკვლელობა ამგვარ სასჯელს იწვევს, მილიონებისას რა უნდა მივუსაჯოთ?

...ჯეკსონის ამ სიტყვებმა, რა თქმა უნდა, მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ბრალდებულებზე. ამბობდნენ, ბრალდება მხედველობაში არ იღებს დაცვის არგუმენტებსო და ჯეკსონს ლანძღავდნენ.

შ ა ხ ტ ი: იურიდიული თვალსაზრისით ჯეკსონის სიტყვა საოცრად დაბალ დონეზე იდგა...

პ ა პ ე ნ ი: ეს იყო დემაგოგის სიტყვა. იგი ისევ თავისას გაიძახის და არავითარ ყურადღებას არ აქცევს დაცვის მოტივებს. თუ ასეა, რაღას ვზივართ აქ ამდენ ხანს?! სულერთია, იგი მაინც მატყუარებსა და მკვლელებს გვეძახის.

გ ე რ ი ნ გ ი: რაც უნდათ, ისა თქვან. სხვას არც მოველოდი. ბრალმდებლებს თვითონ შახტი, შირახი და შპეერი დაეხმარნენ, მაგრამ არა უშავს. მე მირჩევნია, მკვლელი მიწოდონ, ვიდრე ოპორტუნისტი. გაგონილა?! ბრალდება უგულებელყოფს დაცვას, მაგრამ რას იზამ, გამარჯვებულები ყოველთვის მართალნი არიან...

შ ტ რ ა ი ხ ე რ ი: ბრალდებულები თვითონ დაეხმარნენ ჯეკსონს. ჰიტლერი რომ, მართლაც, აქ ყოფილიყო, იტყოდა, რომ ებრაელები საზიზღარი რასაა. ხოლო რაც შემეხება მე, მომავალში სიამოვნებით ვიბრძოლებდი ებრაელებთან ერთად. კი არ ვხუმრობ, მართალს ვამბობ. დემოკრატიული სამყარო სუსტია. მას არ შეუძლია იარსებოს, მაგრამ არ უნდათ, ეს შეიგნონ. ებრაელებს კი მსოფლიო ბატონობა უნდათ. მე მოხა-

რული ვიქნებოდი, დახმარება გამეწია მათთვის, რადგან თუ მწამს რამე, ვიცი, როგორ უნდა გავაკეთო ეს...

იოდლი და როზენბერგი სიცილს ვერ იკავებდნენ:

— შტრაიხერი — ებრაელების ლიდერი! ახალი მოსე, რომელიც აღთქმული ქვეყნისკენ წაიყვანს იუდეველთა მოდგმას!

მხოლოდ გერინგი იყო გაჩუმებული. ერთხელ ხომ იმანაც თქვა: „მე სიამოვნებით ვიკისრებდი ებრაელების წინამძღოლობასო“.

შტრაიხერიც ამაზე „ოცნებობდა“.

— მე ისე დიდხანს ვსწავლობდი მათ ხასიათს, რომ კიდევაც შევეგუე. ამიტომაც მინდა ებრაელების წაყვანა პალესტინაში... თუნდაც ხელწერილს მოგცემთ, გამიშვით ნიუ-იორკის მედისონ სკვერში, რომ იქ გავაკეთო ამგვარი სენსაციური განცხადება, და თქვენ ნახავთ, რამდენი ებრაელი გამომყვება...

როზენბერგმა და იოდლმა შეწყვიტეს სიცილი. ფრიკი, კალტენბრუნერი და რიბენტროპი გაოგნებული უსმენდნენ ამ „ფანტასტიკურ სისულელეს“. მერე ჯილბერტი ჩაერია:

— როგორ ფიქრობთ ებრაელების გაბატონებას მთელ მსოფლიოში, როცა ნაცისტებმა მათი უმრავლესობა გაჟლიტეს ევროპაში.

— ო, არა, მე არა მგონია იმდენი გაგვეჟლიტოს, რამდენსაც ამბობენ. მე ვფიქრობ, ექვსი მილიონი კი არა, ოთხი მილიონი დახოცეს. მსოფლიოში კი, რამდენადაც ვიცი, თექვსმეტი მილიონი ებრაელია...

როგორც ჩანს, ბრალდებულებმა იფიქრეს, შტრაიხერის „გონების კოეფიციენტი“ ნულამდე დავიდაო და გაეცალნენ მას...

...„ჯენტლმენ“ ბრალდებულებს ისიც შეურაცხმყოფლად მიაჩნდათ, ჯექსონმა სიცრუეში რომ დასდო მათ ბრალი, აქაოდა, ფიცის ქვეშ როგორ ვიცრუებდითო...

ჯექსონს კი სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

— სიცრუე ყოველთვის ნაცადი იარაღი იყო ნაცისტურ

არსენალში. ჰიტლერი „ჩემ ბრძოლაში“ ქადაგებდა სიცრუეს, როგორც პოლიტიკას; რიბენტროპი ცნობდა „დიპლომატიური სიცრუის“ გამოყენების უფლებას; კაიტელი მოითხოვდა შეიარაღების გასაიდუმლოებას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ამის უარყოფა ქენევაში; რედერი ცრუობდა, სამხედრო ფლოტს არ ვქმნითო; გერინგი ავალებდა რიბენტროპს — „კანონიერი ტყუილი“ ეთქვა ბრიტანეთის მთავრობისათვის ავსტრიის „ანშლუსის“ შესახებ და ასე შემდეგ, მაგრამ მხოლოდ სიცრუე როდია მოტყუების საშუალება. მათ ამისთვის სპეციალური ლექსიკა ჰქონდათ შემუშავებული: „ებრაელთა საკითხის საბოლოო მოგვარება“ ნიშნავდა მათ მოსპობას; „განსაკუთრებული მოპყრობა სამხედრო ტყვეებისადმი“ — მკვლელობას; „პრევენტიული პატიმრობა“ — საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნას; „აუცილებელი შრომითი ბეგარა“ — კატორღას; „გადამწყვეტ ღონისძიებათა მიღება“ — აღვირახსნილ სისასტიკეს... ჩვენ იძულებული ვართ, ვეძებოთ მათი სიტყვების ფარული აზრი, რადგან ისინი სულ სიცრუის ენით ლაპარაკობდნენ. გერინგმა განაცხადა: „თავდაცვის საიმპერიო საბჭო, რ ო გ ო რ ც ა ს ე თ ი, არასოდეს შეკრებილაო“. ამის პასუხად საბჭოს სხდომების ოქმები რომ დაუდეს წინ, გერინგმა განაცხადა, მე ვთქვი „როგორც ასეთი“.

შემდეგ ჩაეკითხნენ, რას ნიშნავს ეს„ როგორც ასეთიო“. იმას, რომ საბჭოს იმ სხდომებს ნამდვილი წევრების გარდა სხვებიც ესწრებოდნენო. აი, რა შემთხვევისათვის იყო ეს „როგორც ასეთი“ ნათქვამი...

რიბენტროპს რომ ეკითხებოდნენ, სად არის ავსტრიის ყოფილი კანცლერი შუშნიგიო, „ვილაში ისვენებსო“, — უპასუხებდა. ეს „ვილა“ საკონცენტრაციო ბანაკი აღმოჩნდა...

...გერინგმა იმედი გამოთქვა, შოუკროსი უფრო რბილად გამოვა ჩვენს წინააღმდეგო. არაფერი ამის მსგავსი! იგი გახელებული იყო ჰიტლერის მოწოდებით:

— გერმანიამ ბოლო უნდა მოუღოს თავის ძველთაძველ მტრებს—ინგლისსა და საფრანგეთს.

მე მგონი, შოუკროსს 50 ინგლისელი მფრინავის დახვრეტის ამბავი უფრო ახელებდა, ვიდრე მილიონობით დაღუპული „უცხოელების“ ბედი. მისი გამოსვლაც იმაზე მეტად მკაცრი იყო, ვიდრე ბრალდებულები მოელოდნენ. იგი არ მოერიდა განმეორებებს და ერთხელ კიდევ შეახსენა ტრიბუნალს ის საშინელი დანაშაულებანი, რაც ჰიტლერელებმა ჩაიდინეს, შემდეგ ამაყად გადახედა დარბაზს და უმკაცრესი სასჯელი მოითხოვა ბრალდებულთათვის.

— და აი, ამ გოლგოთის შემდეგ, — თქვა მან, — რომელზედაც აიყვანეს მათ კაცობრიობა, ყველა ქვეყანა იბრძვის, რათა აღადგინოს სრულიად ჩვეულებრივი და უბრალო რამ — თავისუფლება, სიყვარული, ურთიერთგაგება, რისთვისაც მოგმართავთ ამ ტრიბუნალს სიტყვებით: აი, ჩვენი კანონები! დეე, აღსრულდეს მათი ძალა. მაშინ კი იმედი უნდა კიქონიოთ, რომ არა მარტო გერმანელთათვის, არამედ ყველა ხალხისათვის განხორციელდება გოეთეს ნათქვამი: „ასე უნდა მოიქცეს გერმანელი ხალხი, როცა მსოფლიოს უძღვნის და იღებს მისგან ძღვენს, ისე რომ, გული გახსნილი ჰქონდეს ყოველგვარი ნაყოფიერი და საუცხოო წყაროსათვის, იყოს დიადი სხვისი გაგებით და სიყვარულით, ადამიანებთან სულიერი სიახლოვითა და ურთიერთობით. ასეთია მისი დანიშნულება“...

...შარპანტიე დე რიბმა თავისი სიტყვის დასაწყისშივე განაცხადა:

— ამგვარ შემაძრწუნებელ დანაშაულს არასოდეს არ იცნობდა ისტორია, ვიდრე ჰიტლერიზმი არ წარმოიშვა. ამიტომაც გახდა საჭირო, შეგვექმნა ნეოლოგიზმი „ჰენოციდი“, ხოლო იმისათვის, რომ დაგვეჯერებინა ასეთი დანაშაულის შესაძლებლობა, მოგვიხდა დიდძალი დოკუმენტებისა და მოწმეთა ჩვენებების შეგროვება. დადასტურდა კიდეც, რომ იმ დროის სამარცხვინოდ, როცა ჩვენ ვცხოვრობთ, ეს შესაძლებელი აღმოჩნდა...

ამის შემდეგ ბრალმდებელმა მოიყვანა საინტერესო ციფრები იმის შესახებ, რომ გერმანიის ყველა დაპყრობილ ქვე-

ყანაში მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 25 პროცენტით, გერმანიაში კი გაიზარდა.

— აი, სწორედ ესაა ამათი მისწრაფება, — თქვა მან, — ადგილობრივი მოსახლეობისა და დამპყრობლების სასურველი „პროცენტული შეფარდების“ უზრუნველყოფა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო... მერე შარპანტიე დე რიბმაც აღადგინა მეხსიერებაში ის საშინელებანი, რაც ცხრა თვის განმავლობაში გაისმოდა ტრიბუნალის სხდომათა დარბაზში, რის შემდეგაც მას დასჭირდა ისევ პასკალის ავტორიტეტისათვის მიემართა, მხოლოდ თავისებურად. ისტორიის მაგალითებით გულგატეხილი დიდი ფრანგი მოაზროვნე ამბობდა:

— ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ა სადავოა, ძ ა ლ ა კი უდავო. იგი ადვილად იცნობა. აი, რატომ ვერ მიაღწიეს იმას, რომ სამართლიანი ყოფილიყო ძლიერი და ძლიერი ექციეს სამართლიანად...

იმის ნათელსაყოფად, რომ პასკალის „ეს პესიმისტური დოქტრინა მარადიული არ არის“, ფრანგმა ბრალმდებელმა განაცხადა:

— გაერთიანებული ერების გამარჯვებამ განამტკიცა სამართლიანობისა და ძალის კავშირი, რაზედაც მიუთითებს წესდება, რომლის საფუძველზეა შექმნილი ეს ტრიბუნალი და რაც დადასტურდება თქვენი განაჩენით.

შარპანტიე დე რიბს არც ის შეუნიღბავს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეს განაჩენი და, მართალია, შორი გზის მოვლით, მაგრამ ბოლოს მაინც განაცხადა:

— ეს საერთაშორისო პროცესი რომ დამთავრდება და ჩვენ ჩვენს ქვეყნებში დავბრუნდებით, იქ, ალბათ, მოგვიხდება იმათი გასამართლება, ვინც უბრალო ჯალათების როლს თამაშობდნენ და მხოლოდ ამ დანაშაულებრივი სახელმწიფოს ბრძანებებს ასრულებდნენ. მაგრამ როგორ შევძლებთ, ჩვენ მოვითხოვოთ მათი სიკვდილით დასჯა, თუკი ახლა დავიწყებთ მერყეობას, საჭიროა თუ არა სასჯელის უმაღლესი ზომა იმათთვის, ვინც ამ დანაშაულებრივი სახელმწიფოს მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენდნენ?..

...თუ ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი ბრალმდებლები ასეთ სასჯელს მოითხოვდნენ, რაღა უნდა ეთქვა რ. რუდენკოს, რომელიც იმ ქვეყნის სახელით გამოდიოდა, სადაც, მგონი, იმაზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ვიდრე ყველა დანარჩენ მეომარ სახელმწიფოში. მართლაც, პოლონეთმა თუ 6 მილიონი კაცი დაკარგა, იუგოსლავიამ — 1,7 მილიონი, საფრანგეთმა — 800. 000, ამერიკამ — 275. 000, დიდმა ბრიტანეთმა — 375.000, ხოლო განადგურებულმა გერმანიამ — 6 მილიონი, საბჭოთა კავშირმა? ამბობენ, 20 მილიონიო. მე არაფერს ვამბობ მატერიალურ ზარალზე, რაც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა. ამიტომ იყო, რომ ტრიბუნალის დარბაზში სრულიად ბუნებრივად გაისმა რუდენკოს სიტყვები:

— ბატონო თავმჯდომარე, ბატონებო!

ჩემი სიტყვით მთავრდება ბრალმდებელთა გამოსვლა.

გამოვდივარ რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა სახელით, მე დამტკიცებულად მიმაჩნია ყველა ბრალდება, რაც ბრალდებულების მიმართ იყო წარდგენილი, ამიტომ, მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის სახელით, რომელთაც უდიდესი მსხვერპლი გაიღეს მშვიდობის, თავისუფლებისა და კულტურის გადასარჩენად, მილიონობით დაღუპული უდანაშაულო ადამიანების ხსოვნის სახელით... მომავალ თაობათა ბედნიერებისა და მშვიდობიანი შრომის სახელით — მე მოვუწოდებ სასამართლოს, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ყველა ბრალდებულს გამოუტანოს სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა...

ასეთ განაჩენს კმაყოფილებით შეხვდება მთელი მოწინავე კაცობრიობა...

საბედისწერო ზარი...

ყოველივე ამის შემდეგ ბრალდებულებმა, რა თქმა უნდა, იგრძნეს, რომ მათმა საბედისწერო ზარმა ჩამოჰკრა და... მუქარაზე გადავიდნენ. თუმცა უკვე რაღა მუქარა შეეძლოთ, გარდა იმისა, რომ ჯილბერტს მისცვივდნენ:

— გერმანელი ხალხი ისევ აღდგება, თქვენ მას ვერ გასრესთ! — უყვირა მას გერინგმა. მერე სხვებიც წაეშველენ:

— დაიცადეთ, ერთ ოც წელიწადში თქვენც იძულებული გახდებით იგივე გააკეთოთ, რაც ჩვენ გავაკეთეთ, — თქვა როზენბერგმა.

— ჩვენ უნდა დაგვემსხვრია რუსული კოლოსი, ახლა კი თქვენ მოგიხდებათ ამის გაკეთება, — შეუძახეს ჯილბერტს აქეთ-იქიდან. ჯილბერტი არ აჰყვა მათ აყიოტაჟს და მშვიდად თქვა:

— ასეთი აზრები რომ გიტრიალებთ თავში, ალბათ, ამიტომაც უშვებდით ამდენ შეცდომებს...

ამაზე გერინგი აყვირდა:

— ჩქარა ნახავთ თქვენს სეირს. მე კი ამას სიამოვნებით ვუყურებ ზეციდან ან სხვა რომელიმე ადგილიდან.

ეს რომ თქვა, ნერვული სიცილი აუტყდა, მერე ისევ განაგრძო:

— სხვისი ტერიტორიების დაპყრობა ახლა იქცა დანაშაულად?! მექსიკა? კალიფორნია?! ყველა საუკუნეში ასე ხდებოდა. იარაღი იცვლება და არა ადამიანის ბუნება... იმის დასადასტურებლად, რომ ვიარაღდებოდით, რად გინდოდათ ამდენი ფილმების ჩვენება და დოკუმენტების კითხვა. რა თქმა უნდა, ვიარაღდებოდით. მე მხოლოდ იმას ვნანობ, რომ უკეთ არ შევიარაღდით. ცხადია, მე მინდოდა დიდი გერმანია. ეს რომ მშვიდობიანად მომხდარიყო, კარგი იქნებოდა, არადა, რაც მოხდა, ისიც მშვენიერი იყო. მაშინ ბევრი პარტია არსებობდა. მე ვარჩიე ნაციონალ-სოციალისტური, რადგან ჰიტლერმა გამოაცხადა, ჯანდაბას ვერსალიო...

ფრანკმა შარპანტიე დე რიბს ირონიულად აპოლონი უწოდა და ეს ბისმარკის სიტყვებით განმარტა:

— აპოლონი ნამდვილი ფრანგის ტიპია, იგი ვერ აიტანს, ფლეიტაზე მასზე უკეთ რომ სხვა უკრავდეს...

ცხადია, ყველა მიხვდა, რაც იგულისხმებოდა ამ „ფლეიტაში“.

— ინგლისელს ვერავინ ვერ დაარწმუნებს, რომ ის მართალი არ არის, — ჩაერია საუბარში შტრაიხერი. მერე

ამერიკელებს მოდგნენ, მაგრამ ჯილბერტის მოერიდათ და ეაჩუმდნენ...

... ასეთი საუბრები „ლენჩრუმსა“ და ციხის საკანში ჰქონდათ, თორემ ტრიბუნალის დარბაზში უფრო აწონილ-დაწონილ გამოთქმებს ირჩევდნენ. საბოლოო სიტყვებშიც უფრო ისტორიას მიმართავდნენ, ვიდრე სამსჯავროს. აქაოდა, თვით ისტორიაა ჩვენი უმაღლესი მსაჯულიო. ყველა იმას ცდილობდა, როგორმე შეელამაზებინა საკუთარი სახე ისტორიის წინაშე. შტამერმაც, ალბათ, ამიტომ თქვა:

— გერინგი იცავს არა თავის თავს, არამედ თავის სახეს...

ბრალდებულებმაც ასეთი რამ თქვეს თავიანთ საბოლოო სიტყვებში:

გ ე რ ი ნ გ ი: მე ვგმობ ამ საშინელ მასობრივ მკვლელობებს. პირადად მე არავის მოკვლაზე ბრძანება არ გამიცია და, როგორც შემეძლო, წინააღმდეგობასაც ვუწევდი ამას. გერმანელმა ხალხმა თავისი ბედი თვითონ მიანდო ფიურერს და სხვას, ასეთ შემთხვევაში, არ შეეძლო გავლენის მოხდენა საქმეთა ვითარებაზე. ხალხმა არ იცოდა ის მძიმე დანაშაულებანი, რაც ჩადენილ იქნა და რაც ახლა გამოირკვა. იგი ერთგულად აწარმოებდა თავის სამკვდრო-სასიცოცხლო ომს და მას ბრალი არ მიუძღვის. მე ომი არ მინდოდა და არც გამოვიწვევია, მაგრამ, რაკი დაიწყო, ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რომ გამარჯვებით დაგვეგვირგვინებინა ის. რაკი სამი დიდი და სხვა სახელმწიფოები გაერთიანდნენ ჩვენს წინააღმდეგ, იძულებული ვავზდით დავმორჩილებოდით უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს. ახლა მე ვდგევარ იმის პირისპირ, რაც გამიკეთებია და გადაჭრით უარვყოფ ბრალდებას, თითქოს სხვა ხალხების დამონება მინდოდა. ჩემი ერთადერთი მამოძრავებელი ძალა იყო ჩემი ხალხის სიყვარული, მისი ბედი, თავისუფლება და სიცოცხლე. ამის მოწმედ მოვუხმე მე ყოვლისშემძლესა და გერმანელ ხალხს...

... ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, ბრალდებულთა სა-

ბოლოო სიტყვის რეგლამენტი 20 წუთით იყო განსაზღვრული. მიუხედავად ლოურენსის არაერთგზის გაფრთხილებისა, ჰესმა ყურადღება არ მიაქცია ამას, ითხოვა, ნება მომეცით, ფეხზე არ ავდგეო და იმდენი ილაპარაკა, რამდენიც უნდოდა. ერთხელ გერინგმაც შენიშნა, საქმეზე ილაპარაკეო, მაგრამ ჰესმა უყვირა:

— თავი დამანებე!..

მერე უცებ წამოხტა, ჯერ განმკლავი გააკეთა, მერე — ზემკლავი, ისევ დაჯდა და განაგრძო რაღაც აბნეულ-დაბნეული და უმისამართო ლაპარაკი.

— თვითონ ბრალდებულების მიერ აქ ბევრი უსირცხვილო სიტყვა ითქვა ჩვენი ფიურერის შესახებ. მილჰმა განაცხადა, უკანასკნელ თვეებში, მგონი, შეშლილი იყოო. ეს სხვებმაც გაიმეორეს. ნორმალურ ადამიანს, მართლაც, არ შეეძლო ამგვარი ბრძანებების გაცემა...

ამასობაში თვითონაც აურია და, რას ლაპარაკობდა, კაცმა ვერ გაიგებდა:

— თვალები... თვალები... შიში თვალების წინაშე... ვიღაცეების ჩამქრალი თვალები, — „ბოდავდა“ იგი.

მერე ინგლისურ საკონცენტრაციო ბანაკებს გადასწვდა. იქ, სადაც 26.370 ადამიანი დაიღუპა, ახლა ძეგლია აღმართულიო.

— ლოიდ ჯორჯიც კი აცხადებდა ამაზე პროტესტს, — თქვა მან, — მაგრამ ინგლისელები მაშინ ისეთივე ამოცანებს წინაშე იდგნენ სამხრეთ აფრიკაში, როგორც ახლა ჩვენ გერმანიაში...

ეს ფრაზა მან, რატომღაც, სამჯერ გაიმეორა. მერე ისევ წამოხტა და ფიცის სიტყვები წარმოთქვა:

— ვფიცავ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ღმერთს, რომ ვიტყვი ყველაფერს მართალს, არაფერს არ დავფარავ და არც არაფერს მივუმატებ.

შემდეგ ისევ დაჯდა და განაგრძო:

— მე ვთხოვ ტრიბუნალს, რასაც ამის შემდეგ ვიტყვი, მიიღოს, როგორც ფიცდადებული ადამიანის ჩვენება. ამასთან, შემიძლია დავუმატო, რომ მე არა ვარ ეკლესიის ადა-

მიანი. არც არავითარი შინაგანი ურთიერთობა მაქვს ეკლესიასთან, მაგრამ, ამის მიუხედავად, ღრმად რელიგიური პიროვნება გახლავართ. დარწმუნებულიც ვარ, რომ ჩემი ურთიერთობა ღმერთთან უფრო ძლიერია, ვიდრე სხვებისა...

ლოურენსმა ისევ შეახსენა ჰესს, რომ რეგლამენტი ამოიწურა. ჰესმა არც ამას მიაქცია ყურადღება, მხოლოდ ისა თქვა, მე ერთადერთი ვარ ბრალდებულთა შორის, რომელმაც პირველად ამოვიღე ხმაო და რაღაც სისულელეები ილაპარაკა სიონის ბრძენების შესახებ, საიდუმლო საშუალებებზე, რითაც ადამიანებს ალაპარაკებენ იმას, რაც სურთ და სხვა ასეთი. ბოლოს გამოაცხადა, რომ იგი თავისი ფიურერის ერთგული რჩება.

— მე რომ თავიდან მომიხდეს დავუბრუნდე იმას, რითაც დავიწყე, ისევ იმასვე გავაკეთებდი, რაც გავაკეთე, იმ შემთხვევაშიც, თუკი ბოლოს კოცონს დაანთებდნენ და დამწვავდნენ, — თქვა მან, — დამოუკიდებლად იმისაგან, რასაც სჩადიან ადამიანები, ახლა მე ვდგევარ უზენაესის სამსჯავროზე. მხოლოდ მის წინაშე ვარ მე პასუხისმგებელი და ვიცი, რომ იგი გამამართლებს...

... მე პასუხს მავებინებენ საგარეო პოლიტიკაზე, რასაც სხვები წარმართავდნენ, — თქვა რიბენტროპმა. მერე ისევ ძველ ამბებს დაუბრუნდა. მთელი ამ უბედურების მიზეზი ვერსალიაო. მე ომი არ მინდოდაო და სხვა ასეთი. ბოლოს კი:

— ერთადერთი დანაშაული, რაც მე მიმიძღვის, ის არის, რომ ჩემი საგარეო გეგმები განუხორციელებელი დარჩა...

... კაიტელმა თქვა, რომ იგი სიკვდილს არჩევდა დანაშაულებათა ისეთივე ბადეში ხელმეორედ გაბმას.

კალტენბრუნერმა განაცხადა:

— მე მწამდა ჰიტლერის, მაგრამ მივხვდი, რომ ვტყუვდებოდი. ახლა გავიგე, რომ ჰიტლერის ანტისემიტიზმი ბარბაროსობა იყო. მე მის ბრძანებებს ვასრულებდი და, თუ რამეში ვცდებოდი, ესეც ჩემი ბედისწერა ყოფილა.

ფრანკი ისევ „მთავარ ბრალდებულს“ ჰიტლერს და-

ესხა თავს. იგი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ თავის ხალხსა და კაცობრიობას არ უთხრა „უკანასკნელი სიტყვა“ და სხვ.

— ახლა ჩვენ უნდა მოვუწოდოთ გერმანელ ხალხს: არც ერთი ნაბიჯი იქით, საითკენაც თქვენ მიჰყავდით ადოლფ ჰიტლერს, რადგან ეს იყო ღმერთისა და ქრისტეს საწინააღმდეგო გზა.

ეს იმიტომ განაცხადა, რომ მერე ეთქვა: „მე არ შემიძლია ჩემს თავზე ავიღო პასუხისმგებლობა, რაც ჰიტლერს ეკისრებაო“.

ფრიკმა ყველაზე მოკლედ მოჭრა: მე ვემსახურებოდი ჩემს ხალხს, ვასრულებდი ჩემს მოვალეობას და არავითარი მორალური დანაშაული არ მიმიძღვისო.

შტრაიხერმა, ცხადია, ისევ ებრაელებს შეუტია, მაგრამ უარყო ბრალდება მათი გაჟლეტის მოთხოვნის შესახებ. აქ ჩემი თვალსაზრისი განსხვავდება ჰიტლერისაგანო.

— მე პროცესის დასაწყისში ვთქვი, რომ დამნაშავე არა ვარ. ახლა ეს დადასტურდა. ებრაელების დახოცვის ბრძანებას იძლეოდა ჰიტლერი, ასრულებდა ჰიმლერი...

ფუნკი ისევ თავს ისაწყლებდა:

— მე პატარა კაცი ვიყავი და ასეთი ბოროტების ჩადენა როგორ შემეძლო. ადამიანის ცხოვრება შედგება შეცდომებისა და დანაშაულისაგან. მეც ვცდებოდი, გულუბრყვილო ვიყავი, ადვილად მჯეროდა ხვისი და მოვტყუვდი...

შახტმაც განაცხადა, პოლიტიკური შეცდომები მეც მქონდა, მაგრამ დანაშაულებრივი არაფერი ჩამიდენიაო.

დენიცმა, რედერმა და იოდლმა თქვეს, ჯარისკაცები ვიყავით და ბრძანებებს ვასრულებდითო.

შირახმა საერთოდ ბევრი რამ დაგმო, მაგრამ საკუთარი დანაშაულის ბოლომდე აღიარება მაინც გაუჭირდა და მხოლოდ მოწოდებებით დაკმაყოფილდა.

ზაუკელმა სულ ის იძახა, მე მუშა კაცი ვარ და არავის დამონება არ მინდაო.

— ახლა შეძრწუნებული ვარ... მე ათი შვილი მყავს... ღმერთო, დაიფარე ისინი და ჩემი ხალხი! — წამოიძახა მან.

პაპენმაც, რა თქმა უნდა, თავი იმართლა: ბოროტების ძალა უფრო ძლიერი აღმოჩნდა გერმანიაში, ვიდრე სიკეთისა და ამან მიიყვანა იგი კატასტროფამდეო.

ზეის-ინკვარტმა საჭიროდ ჩათვალა, ეთქვა:

— ჰიტლერი ყველა საგნის საზომს თავის თავში ხედავდა. მან შეძლო დიდი გერმანიის იდეა სინამდვილედ ექცია, მე იმ კაცს ვემსახურებოდი, ახლა კი არ შემიძლია ჯვარს ვაცვა იგი, ვისაც ჯერ კიდევ გუშინ ხოტბას ვასხამდი...

შპეერმა თქვა, ამ პროცესის შემდეგ გერმანელი ხალხი დასწყევლის ჰიტლერსო. იგი, როგორც მოსალოდნელი იყო, გაემიჯნა ჩადენილ საშინელ დანაშაულებებს და ისეთი „საპროგრამო სიტყვა“ წარმოთქვა, გეგონებოდათ, ქვეყნის ბედს ისევ მას ანდობენო...

ნოირატმა განაცხადა, დამნაშავე არა ვარ, მაგრამ თუ ინებებთ, სასჯელი დამადოთ, მივიღებ, როგორც ჩემს უკანასკნელ მსხვერპლს გერმანელი ხალხისთვისო.

ფრიჩემ აღიარა, დიდი დანაშაულია ჩადენილი, მაგრამ მე არაფერ შუაში ვარო...

დასასრულ, ლოურენსმა მადლობა გადაუხადა როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს და გამოაცხადა, რომ ტრიბუნალი 23 სექტემბრამდე წყვეტს საჯარო სხდომებს და მიდის განაჩენის გამოსატანად. ეს კი ფაქტიურად პირველ ოქტომბერს მოხდა. მანამდე კი ჟურნალისტები შეიკრიბნენ და ფარული კენჭისყრით თავიანთი განაჩენი გამოუტანეს ბრალდებულთ, უნდა ითქვას, რომ არც ისე განსხვავებული საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ნამდვილი განაჩენისაგან. ამაზე ბევრი ლაპარაკი იყო მაშინ. ზოგი ამბობდა, ეს უტაქტობაა, ზოგიც — საზოგადოებრივი აზრის ჭეშმარიტი გამოხატულებაა. ასეა თუ ისე, ჟურნალისტებმა სიკვდილით დასჯა ერთხმად მიუსაჯეს გერინგს, რიბენტროპს, კალტენბრუნერს და კაიტელს; ზაუკელს — 29; ფრანკს — 27; როზენბერგს — 24; ჰესს — 17; შტრაიხერს და დენიცს — 14; რედერს — 15; იოდლს — 14. ამასთან დაკავშირებით იოდლის ცოლმა მისწერა ქმარს, შენ უკეთ გამოიყურები, ვიდრე რედერიო...

ნამდვილი განაჩენის გამოცხადების დღემ რომ მოაღწია, თითქოს მთელი კაცობრიობა ფეხზე ადგა.

— ყურადღება, სასამართლო მობრძანდება!

მოსამართლენი რიგრიგობით კითხულობდნენ განაჩენს. ეს არის უზარმაზარი დოკუმენტი, სადაც ერთხელ კიდევ ჩამოთვლილია ყველაფერი, რაც საერთაშორისო ტრიბუნალმა მხარეთა კამათის შემდეგ დადასტურებულად სცნო. მერე მითითებულია, თუ ყოველ მათგანს, საბრალდებო აქტის ოთხი, თქვენთვის ცნობილი, პუნქტიდან, რომელი უღასტურდება: გერინგს — ოთხივე; ჰესს — პირველი, მეორე; რიბენტროპს — ოთხივე; კაიტელს — ოთხივე; კალტენბრუნერს — მესამე, მეოთხე; როზენბერგს — ოთხივე; ფრანკს — მესამე, მეოთხე; ფრიკს — მეორე, მესამე, მეოთხე; შტრაიხერს — მეოთხე; ფუნკს — მეორე, მესამე, მეოთხე; შახტს — ტრიბუნალი არ თვლის დამნაშავედ საბრალდებო აქტში ჩამოთვლილ ბრალდებებში და წინადადებას აძლევს სასამართლოს კომენდანტს, სხდომის დამთავრებისთანავე გაათავისუფლოს იგი; დენიცს — მეორე და მესამე; რედერს — პირველი, მესამე; შირახს — მეოთხე; ზაუკელს — მესამე, მეოთხე; იოდლს — ოთხივე; პაპენს — ტრიბუნალი სცნობს უდანაშაულოდ; ზეის-ინკვარტს—მეორე, მესამე, მეოთხე; შპეერს—მესამე, მეოთხე; ფონ ნოირატს — ოთხივე; ფრიჩეს — ტრიბუნალი თვლის უდანაშაულოდ; ბორმანს — მესამე, მეოთხე...

დანაშაულებრივ ორგანიზაციებად ცნობილ იქნა: ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა, გესტაპო, ესდე (SD) და ესესი (SS). სამაგიეროდ, მსჯავრდება მოეხსნათ იმპერიის მთავრობას, გენერალურ შტაბს და უმაღლეს სარდლობას. მოტივი: რიცხვი ადამიანებისა, რომელთაც ეს ეხება, ისე ცოტაა, რომ შეიძლება ისინი ინდივიდუალურადაც დაისაჯონ; ამასთან, გენშტაბი და უმაღლესი სარდლობა არ წარმოადგენენ არც „ორგანიზაციას“ და არც ჯგუფებს“, როგორც ეს წესდებაშია ნათქვამი.

... ეს იყო ტრიბუნალის 407-ე სხდომა. განაჩენის ტექსტის კითხვა რომ დამთავრდა, პერსონალური სასჯელის გამოცხადების წინ შესვენება გამოცხადდა.

შახტს, პაპენსა და ფრიჩეს მაშინვე გაუღეს მოაჯირის კარები და გაათავისუფლეს. პაპენი და ფრიჩე მივიდნენ გერინგთან და ხელი ჩამოართვეს, შახტმა — არა. დანარჩენი ბრალდებულები გაიყვანეს დარბაზიდან. ჟურნალისტები და ფოტოგრაფები მიესივნენ განთავისუფლებულთ. ისინი კითხვებს აყრიდნენ, სურათებს უღებდნენ ან ავტოგრაფებს თხოვდნენ მათ...

... შესვენება დამთავრდა, კინო-და ფოტო გადაღება აკრძალეს, ბრალდებულები თითო-თითოდ შემოჰყავდათ დარბაზში და ლოურენსი უცხადებდა მათ განაჩენს.

12 ბრალდებულს — გერინგს, რიბენტროპს, კაიტელს, კალტენბრუნერს, როზენბერგს, ფრანკს, ფრიკს, შტრაიხერს, ზაუკელს, იოდლს, ზეის-ინკვარტს და ბორმანს მიესაჯა სიკვდილი — ჩამოხრჩობით; ჰესს, ფუნკს და რედერს — სამუდამო პატიმრობა, დანარჩენებს — სხვადასხვა დროით: დენიცს — 10 წლით, შირახს — 20 წლით, შპეერს — 20 წლით...

განაჩენს ოქმის სახით დაერთო ნიკიტჩენკოს განსაკუთრებული აზრი, სადაც გაპროტესტებულ იქნა სასჯელის ზოგა ჰესის, პაპენის, შახტისა და ფრიჩეს მიმართ, აგრეთვე მთავრობის კაბინეტის, გენშტაბისა და უმაღლესი სარდლობის დანაშაულებრივ ორგანიზაციებად გამოცხადების უარყოფა...

... ნათქვამია, ვისაც უბედური ცხოვრება აქვს, უმძიმს მისი ტარება; ვისაც ბედნიერი — განშორებაო. ამათ ერთიც გამოსცადეს და მეორეც. ამიტომ, განაჩენი რომ გამოაცხადეს:

გერინგს არაფერი უთქვამს, ისე შეტრიალდა და გავიდა დარბაზიდან, მაგრამ საკანში რომ შევიდა, საწოლზე დაეცა და წამოიძახა:

— სიკვდილი!

შემდეგ, მარტო დამტოვეთო, ითხოვა.

ჰესმა ჯერ სიცილი დაიწყო, მერე კი თქვა, ყური არ მიგდია და არც ვიცი, რა მომისაჯესო.

... რიბენტროპმა წამოიძახა:

— სიკვდილი! სიკვდილი! მაშ, მემუარებს ვეღარ დავწერ? ნუთუ ასე ვძულვარ ყველას?!.

...კაიტელი: — სიკვდილი ჩამოხრჩობით! მე მეგონა, მაპატიებდნენ, ახლა კი უბედურებას სირცხვილიც დაემატა.

... ფრანკი: — მე დავიმსახურე ეს!

... რიბენტროპი: თოკი, თოკი, ეს გინდოდათ, არა!

— სიკვდილი!.. — გაიმეორა კალტენბრუნერმა და მეტი არაფერი უთქვამს.

— სწრაფი სიკვდილი სჯობია ნელ-ნელა კვდომას, — თქვა შირახმა.

— მთელი სიცოცხლე ციხეში ხომ არ დამტოვებენ? — იკითხა ფუნკმა და დაუმატა:

—რატომ დავიბადე, რატომ მაშინვე არ მოვკვდი, რისთვის ვცხოვრობდი?!

—სასიკვდილო განაჩენი?!. ჰო, დიახ, მაგრამ ეს მე არ დამიმსახურებია, — ჩაილაპარაკა იოდლმა...

— სასაცილო იქნება, განაჩენზე უკმაყოფილო ვიყო, — თქვა შპეერმა...

... სიკვდილმისჯილებს ხელებზე ბორკილები დაადეს და სხვებს ჩამოაშორეს. ისინი სასიკვდილო საკნებში მოათავსეს და მეთვალყურეობა გააძლიერეს. მანამ კი ზეის-ინკვარტმა მოახერხა წერილი გადაეცა ზაუკელისათვის:

— პასუხისმგებლობას არ უნდა გავექცეთ. თუ უწინ პირველ რიგებში ვიდექით, ამ უბედურების ჟამსაც ასე უნდა მოვიქცეთ, — წერდა იგი.

ამგვარი „ნუგეში“ ვილაცამ ნიცშეს სიტყვებითაც გამოხატა:

— ცხოვრებას ისე უნდა გაშორდე, როგორც ოდისევსი ნავსიკაიას...

იმათ, ვისაც სიკვდილი მიუსაჯეს, გერინგის, ფრიკის და

შტრაიხერის გარდა, თავიანთი დამცველების მეოხებით შეწყნარება სთხოვეს საკონტროლო საბჭოს.

ზაუკელმა ინგლისის მეფეს (!) მისწერა, მიშუამდგომლეთ, მაპატიონო. იოდლის დამცველმა საკონტროლო საბჭოს მიმართა: იოდლი ჯარისკაცი იყო, ჯარისკაცურად იქცეოდა სასამართლოში და ჯარისკაცისათვის კუთვნილ ტყვიას ნუ დაიშურებთ, ჩამოხრჩობა დახვრეტით შეუცვალეთო...

რედერმა სამუდამო პატიმრობის ნაცვლად დახვრეტა ითხოვა.

კაიტელმა თვითონ დაწერა თხოვნა, მზად ვარ მივიღო განაჩენი, მაგრამ ჩამოხრჩობა დახვრეტით შემიცვალეთ, რომ ჯარისკაცივით შევხვდე სიკვდილსო.

საკონტროლო საბჭომ უარყო მათი შუამდგომლობა.

... განაჩენის გამოტანიდან მის სისრულეში მოყვანამდე 14 დღე გავიდა. ამ დროს ისინი უმთავრესად წიგნების კითხვაში ატარებდნენ. ალბათ, იმისათვის, რომ ნაკლებად ეფიქრათ. გერინგი ფონტანეს კითხულობდა, იოდლი — ვილჰელმ რაბეს და ჰამსუნს, ფრანკი — ფრანც ვერფელს, რიბენტროპი — ფრაიტაგს, როზენბერგი — ბინდინგს, ზეისინკვარტი — „საუბრებს გოეთესთან“.

ყველა მათგანს უფლება ჰქონდა, მიეღო ან გაეგზავნა წერილები. ჯილბერტი და ექიმი პფლიუკნერი ძველებურად შედიოდნენ სიკვდილმისჯილთა საკნებში. რიბენტროპი ეკითხებოდა მათ, სად შედგება სიკვდილით დასჯაო. შტრაიხერმა უთხრა ჯილბერტს, სახრჩობელაზე რომ ამიყვანენ, ჩემი უკანასკნელი სიტყვები იქნება: ჰაილ ჰიტლერ!

ენდრიუსის მიერ დაწესებული რეჟიმის მიხედვით, კვირა დღეების გარდა მათ ამუშავებდნენ. წვერს პარსავდნენ არა ყოველდღე, არამედ კვირაში ორჯერ. მერე ნათესავების ნახვის ნებაც დართეს და მოვიდნენ: გერინგთან — ცოლი და ქალიშვილი; შახტთან — ცოლი და ორი ქალიშვილი; ზაუკელთან და იოდლთან — ცოლები; რიბენტროპთან — ცოლი და სამი შვილი. მისი უფროსი ვაჟი — ოფიცერი რაინდის ჯვრით, ინტერნირებულთა ბანაკიდან მოიყვანეს. ნოირატის,

კალტენბრუნერისა და ,ზეის-ინკვარტის — ცოლები; რედერის — ქალ-ვაჟი და სხვა... სიკვდილმისჯილთა მეუღლეებს ენაკვიმატმა ჟურნალისტებმა „ნიურნბერგელი ქვრივები“ უწოდეს...

ჯალათის კერძი...

მე ყოველთვის მიკვირდა იმ ადამიანებისა, რომლებსაც სიკვდილით დასჯის ყურება აინტერესებთ. ჩვეულებრივად, სიკვდილით საჯაროდ დასჯას ყოველთვის უამრავი ხალხი ესეოდა ხოლმე. რამდენი ვინმე გაუცილებია აღგზნებულ ბრბოს ეშაფოტისკენ. ის კი არა, დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორი რომ ეუბნება მაცხოვარს, დღეს ვინც პირქვე ემხობა შენს წინაშე და ოსანას გიგალობს, ხვალ გოლგოთაზე აგიყვანს და ჯვარს გაცმევსო, ისეა. თვითონ გერმანელები ბობოქრობდნენ და მოითხოვდნენ უმკაცრეს სასჯელს მთავარ სამხედრო დამნაშავეებისა და მათი დამცველებისათვის. 1946 წლის აგვისტოში ამერიკის საინფორმაციო სამსახურმა ერთგვარი რეფერენდუმიც მოაწყო სპეციალური ანკეტით. რვაჯერ დაკითხეს გერმანელები, თუ როგორი იყო მათი დამოკიდებულება პროცესთან. დაკითხულთა 75 პროცენტზე მეტმა მხარი დაუჭირა პროცესს, სამართლიანიაო. 16 პროცენტმა არავითარი აზრი არ გამოთქვა, მხოლოდ 4 პროცენტმა უპასუხა, არ არის სამართლიანიო. სხვა ანკეტაზე დაკითხულთა 70 პროცენტმა უპასუხა, ყველა დამნაშავეაო, ერთმა პროცენტმა — არავინ არ არის დამნაშავეო. ხუთიოდე წლის წინ კი, ვინ იცის, რამდენ პროცენტს ჰქონდა ხელი წინ გაშვერილი და ხმას იხლეჩდა „ჰაილ ჰიტლერის“ ბღავილით. ახლა კი, „ჯვარს აცუ!.. ჯვარს აცუ!..“ ისმოდა ყოველი მხრიდან. ისინი ისევ მუქარის წერილებს უგზავნიდნენ მთავარ სამხედრო დამნაშავეთა დამცველებს. ქალაქ კელნის სამსჯავროს კი ყველა მათგანის სამართალში მიცემა დაადგინა. ეს უკვე, მართლაც, „სხვა გერმანია“ იყო, ჯერ კიდევ დაბნეული და სასოწარკვეთილი, მაგრამ მაინც

ჯოჯოხეთგამოვლილი და განსაწმენდელში გატარებული, რომელიც ისევ იმსახურებდა „სხვათა სიყვარულსა და პატივისცემას“. მე ამას ისევ ჩემი პროფესიის თვალსაზრისით ვუყურებდი და ვხედავდი, გერმანელი ხალხის ამდენი ცდუნებისა და განსაცდელის შემდეგ როგორ გადარჩა „ფაუსტის უკვდავი ნაწილი“ და დაგვიბრუნა რწმენა, რომ, მართლაც, „არ შეიძლება მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენი კაცობისა“...

ამიტომ, თუ იმ „დიდი ტრაგედიის“ შემდეგ გერმანიის მდგომარეობას გრეთჰენის ბედს შევადარებთ, შეიძლება გოეთეს რეპლიკა გავიხსენოთ:

მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი: განწირულია!

ხ მ ა (მაღლით): გადარჩენილია!

იქნებ ამიტომაც იყო, რომ რაღაც უსიამოვნების გრძნობამ შემიპყრო, როცა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის ზოგიერთ დეტალს გავეცანი. ვიცი, სიკვდილით დასჯა თუ დაიმსახურეს, კიდევაც უნდა მიიღონ იგი, მაგრამ ამ პროცედურის ისეთი „შელამაზება“ ან მის დეტალებზე „გემოს ჩატანება“, როგორც ამას ენდრიუსი და მისი თანაშემწეები აკეთებდნენ, როგორღაც გაუგებარია ჩემთვის. ღირსებაახდილი ადამიანების უღირსი სიკვდილი საკუთარი ღირსების შელახვას ვერ დაფარავს...

... განაჩენის სისრულეში მოყვანა 15—16 ოქტომბერს, ღამით იყო დანიშნული. საღამოთი უკვე ყველამ იცოდა, რომ ეს დასასრული იყო. ამბობენ, სიცოცხლე იმას ჰქვია, შენს „დღეს“ „ხვალეც“ რომ აქვსო. იმათ „დღეს“ უკვე არ ჰქონდა „ხვალე“. ციხის ეზოდან ჩაქუჩების ყრუ კაკუნი ისმოდა: სახრჩობელებს ამზადებდნენ მათთვის. ექიმმა პფლიუკნერმა „დაამშვიდა“ გერინგი, ეს ღამე ყველაზე მოკლე იქნება თქვენთვისო. ვინ იცის, მართლაც, ყველაზე მოკლე იყო ის ღამე თუ ყველაზე გრძელი. ან ვინ გაზომავს მანძილს უკანასკნელ დაისსა და მარადიულ არგათენებას შორის, რასაც ავსებს დუმილის სიცარიელე, არაფრის სუნთქვა, ჩრდილების სევდა და ჯვარცმული ოცნებები... უკვე აღარც შვიდის მაგია იყო და აღარც სამის სიმბოლიკა... მხოლოდ აპოკალიფ-

სური რიცხვი: შავი 6, და ისევ 6, და ისევ 6 ანუ 666 — სამი ყულფის ფორმა სახრჩობელაზე. „გულმოწყალების“ ფერმკრთალი აჩრდილი, რაც ასეთ დროს ტრადიციად ქცეულ ფორმალობაშიც ვლინდება: სიკვდილით დასჯის წინ, არსებული წესის მიხედვით, დასასჯელებს ვახშმის არჩევის საშუალებას აძლევენ. მართალია, ეს „საზეიმო მენიუ“ არც ისე მდიდარი იყო, მაგრამ მათ შეეძლოთ, ძეხვის ნაჭერი მოეთხოვათ კარტოფილით ან „ბლინები“ კომბოსტოთი. მხოლოდ ფრიკმა მიირთვა მადიანად ეს „ჯალათის კერძი“ (Henkersmahlzeit). შემდეგ მღვდელი მოიწვიეს. გერინგმა უარი თქვა აღსარებაზე. 22 საათზე მან, ჩვეულებრივად, ძილის წამალი მიიღო. მცირე დოზა მისცეს — დიდხანს არ დაეძინოსო. — ზოგჯერ ღამე მოკლეა, — შეახსენა მას პფლიუკნერმა. გერინგმა მადლობა გადაუხადა და ხელი ჩამოართვა, თუმცა ეს აკრძალული იყო. მერე თქვა, ტანისამოსის გახდას აზრი არა აქვსო და ისე წამოწვა ნარზე.

ცოტა ხნის შემდეგ ციხის დერეფანში აურზაური ატყდა, გერინგს გული წაუვიდაო. სასწრაფოდ უხმეს ექიმებს, გასინჯეს, მაგრამ იგი უკვე სიკვდილს ებრძოდა: კბილით ამპულა გაეტეხა და საწამლავი მიეღო.

დღემდე ლეგენდები დადის, საიდან იშოვა მან ეს საწამლავი? ზოგი ამბობს, თავიდანვე ჰქონდა დამალულიო, ზოგიც — ცოლმა გადასცაო. ასეთ „დაზუსტებულ ვერსიასაც“ ჰყვებოდნენ: როცა ემმი გამოსამშვიდობებლად მივიდა მასთან, ჰკითხა: „სავარცხელი გაქვს?“ გერინგმა თავი დაუქნია. ამბობენ, ვითომ, ეს „სავარცხელი“ „საწამლავს“ ნიშნავდაო. ასეც ამბობენ, სიკვდილით დასჯის წინ ექიმმა პფლიუკნერმა გერინგს ჩიბუხი სთხოვა, სამახსოვროდ დამიტოვეო.

— არა, ჩიბუხს ვერ მოგცემ, — უთქვამს გერინგს, — როცა ამ საკნიდან უკანასკნელად გამიყვანენ, მე ფანჯრიდან ვისვრი მას...

ფიქრობენ: შეიძლება საწამლავი სწორედ ამ ჩიბუხში ჰქონდაო.

ისიც ხომ თქვეს, ბახ-ზელევსკიმ გადასცა, როცა დაკითხვის შემდეგ გვერდით ჩაუარაო... უფრო გვიან ბახ-ზე-

ლევსკომ თვითონაც განაცხადა, გერინგს საწამლავი მე გადავეცი და თავისი ამპულა უჩვენა. სპეციალისტებმა შეადარეს ის გერინგის კბილებიდან ამოღებულ ამპულის ნამსხვრევებს და, მართლაც, ისეთნაირი აღმოჩნდა... ვინ იცის, იქნებ ეს ვერსია იყოს მართალი? სხვას ვერაფერს მოგახსენებთ, ისე კი, გული მეუბნება, რომ ეს თვით ენდრიუსმა გააკეთა. ცნობილია, რომ გერინგმა მას რაღაც წერილი გადასცა, რომლის შინაარსი დღემდე საიდუმლოდაა დარჩენილი. მე მგონი, გერინგმა მის მიერ საზღვარგარეთის ბანკებში შეტანილი უამრავი ფულიდან რაღაც უწყალობა მას და, ვინ იცის... ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ გერინგის საკანში ცარიელი გილზა აღმოჩნდა.

საიდან?!

... სახრჩობელების აღმართვა რომ დამთავრდა, ენდრიუსმა თავისი უკანასკნელი „ნომერი გამოაგდო“: გამოიყვანა ისინი, ვისაც მუდმივი ან სხვადასხვა ვადით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი და სიკვდილით დასჯის ადგილი დაახვეტინა, ვითომ, უკანასკნელი სამსახური გაუწიეთ თქვენ კოლეგებსო.

განაჩენის სისრულეში მოყვანის წინ, მოიწვიეს ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოს ორ-ორი ჟურნალისტი, ფოტოგრაფი, კინოოპერატორი და გერმანელი ხალხის წარმომადგენლები; ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტი ვილჰელმ ჰოგნერი და ქ. ნიურნბერგის მთავარი პროკურორი ფრიდრიჰ ლაისნერი. ციხის ყველა კარი ჩაკეტეს და დაცვა გააძლიერეს...

... შუაღამით ათივე სიკვდილმისჯილს ერთხელ კიდევ წაუკითხეს განაჩენი. ისიც აცნობეს, რომ საკონტროლო საბჭომ არ დააკმაყოფილა მათი თხოვნა შეწყნარების შესახებ. პირველ საათზე ყველა საკანი ჩამოიარეს ენდრიუსმა, პასტორმა ო'კონორმა და ექიმმა პფლიუკნერმა. ერთხელ კიდევ შეამოწმეს „ყველაფრის მზადყოფნა“. შემდეგ ათივე გაიყვანეს ციხის ოთხკუთხა ეზოში, სადაც სამი სახრჩობელა იყო

აღმართული. კიბის სიმაღლე — 13 საფეხური. განსაკუთრებული სიმაგრის თოკი — რკინის ჭანგზე დაკიდებული. სახრჩობელაზე აყვანის წინ ყველას სახელსა და გვარს, აგრეთვე „უკანასკნელ სურვილს“ ეკითხებოდნენ. იქვე იყო მთარგმნელი და ჯალათი ვუდსი, კათოლიკე და მართლმადიდებელი მღვდელი...

უკანასკნელ წუთს ყველამ თქვა რაღაც:

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: ღმერთო, დაიფარე გერმანია, ღმერთო, იხსენი ჩემი სული. უკანასკნელი სურვილია: გერმანია ისევ გაერთიანდეს, დასავლეთმა და აღმოსავლეთმა საერთო ენა გამოძებნონ და უზრუნველყონ მშვიდობა მთელ მსოფლიოში...

შემდეგ შავი ტომარა, ყულფი. ამოჭრილი იატაკის გამოცლა და „შთანთქმა პირსა შიგან უფსკრულისასა“... 10 წუთის შემდეგ გვამის შემოწმება და მორიგი სიკვდილმისჯილის აყვანა სახრჩობელაზე...

კ ა ი ტ ე ლ ი: მე ვუხმობ ყოვლისშემძლეს, რათა შეიწყნაროს ჩემი ხალხი. ვწუხვარ, რომ ორ მილიონზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი დაეცა სამშობლოსათვის ჩემს თვალწინ. მე მივყვები შვილების გზას. ყველაფერი გერმანიისათვის...

კ ა ლ ტ ე ნ ბ რ უ ნ ე რ ი: მე ჩემს ხალხს და ჩემს სამშობლოს ვემსახურებოდი. ვწუხვარ, რომ ამ მძიმე მომენტში ხალხს სათავეში არ ედგნენ ნამდვილი ჯარისკაცები. ვწუხვარ, რომ დანაშაული ჩადენილია, მაგრამ მე ამაში მონაწილეობა არ მიმიღია...

ფ რ ა ნ კ ი: მადლობა ციხეში კარგი მოპყრობისათვის, მამა-ზეციერს ვთხოვ კარგად მიმიღოს.

ფ რ ი კ ი: გაუმარჯოს მარადიულ გერმანიას!..

შტრაიხერს ეკითხებიან:

— თქვენი გვარი?

— ეს თქვენ კარგად იცით!

განმეორებით:

— თქვენი გვარი?

— კეთილი, შტრაიხერი! Pupimfest, 1946 წლის pupimfest! და ახლა, ღმერთისაკენ. ჰაილ ჰიტლერ! (ხუთჯერ).

— ყულფი...

ეს „pupimfest“ ებრაული დღესასწაულია ესთერისა და მორდოხაის გათავისუფლების აღსანიშნავად დაწესებული...

— განაჩენის სისრულეში მოყვანა 1-ლ საათსა და 11 წუთზე დაიწყო, დამთავრდა 2 საათსა და 46 წუთზე...

აღსრულდა! რომელმან სთესოს ბოროტი, ბოროტიცა მოიმკის, ხოლო წყლულებითა საქმენი თვისნი აღასრულოს,— უთქვამს სოლომონ ბრძენს...

... გერინგის გვამიც გამოიტანეს და სხვებთან ერთად დადეს. მერე ორი საბარგო მანქანა მოიყვანეს, ზედ 11 კუბო დაასვენეს და მიუნჰენის კრემატორიუმისაკენ გააქანეს საშინელი სისწრაფით. ეშინოდათ, კორესპონდენტები არ დადევნებოდნენ მანქანებით, და გამოაცხადეს, ვინც ამას გააკეთებს— ვესვრითო... კრემაციას ამერიკელი ოფიცერი, მაიორი მორგანი ხელმძღვანელობდა. ყველაფერი დაბაიდუმლოებული იყო. კრემატორიუმის მომსახურე პერსონალს ეუბნებოდნენ: 11 დაღუპული ამერიკელი მფრინავიაო. სახელი და გვარიც შეცვლილი ჰქონდა ყველას. ენდრიუსმა აქაც თავისებურად „იხუმრა“ და „ებრაელთმჟლეტ“ იულიუს შტრაიხერს წმიდა ებრაული სახელი და გვარი უბოძა: აბრაჰამ გოლდბერგი...

...კრემაციის შემდეგ მათი ფერფლი „სადღაც გერმანიის რომელიღაც მდინარეში“ ჩაყარეს. შემდეგ ხმამ მაინც გამოჟონა და თქვეს: მდინარე ისარში, შრაინთან ახლოო...

...„მორჩა, — წერდა მეორე დღეს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, — დამნაშავის და უდანაშაულოს ფერფლი ერთნაირი ქიმიური შემადგენლობისაა“...

...ტრიბუნალის კანცელარიამაც გამოაქვეყნა თავისი ანგარიში: პროცესის ოქმი — 4 მილიონი სიტყვა, 5 მილიონი

თაბახი ქაღალდი, 780 ათასი ფოტო, 27 ათასი ხმის ჩამწერი ფირი, 7 ათასი ფირფიტა...

...კორესპონდენტებმა 14 მილიონი სიტყვა დაგზავნეს მსოფლიოს ყველა კუთხეში. იმ პროცესის შემდეგ მისი თითქმის ყველა ოფიციალური მონაწილე მემუარების წერას შეუდგა: ლოურენსი, ბიდლი, ჯეკსონი, ბოუკერი, ნივი და სხვები. ასე გასინჯეთ, თვით ჯალათი ვუდსიც არ ჩამორჩა მათ და ჟურნალისტებისათვის ინტერვიუს მიცემა ინება:

— ის ათი ნაცისტი მე ჩამოვახრჩე ნიურნბერგში და კიდევაც ვამაყობ ამით, — განაცხადა მან, — ეს საქმე უფრო ადრე უნდა გაკეთებულიყო და მე ის კარგადაც გავაკეთე. ყველაფერმა გვარიანად ჩაიარა. ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მე 347 კაცი ჩამოვახრჩე, მაგრამ არასოდეს ისე კარგად არ გამიკეთებია ეს, როგორც ახლა. მხოლოდ იმას ვწუხვარ, რომ გერინგი გამიძვრა ხელიდან. მე მას სრულიად განსაკუთრებულად მოვუვლიდი...

არა, სულაც არ ვნერვიულობდი. მე ხომ საერთოდ არა მაქვს ნერვები. ჩემი ხელობის ადამიანებს ნერვები არც სჭირდებათ. ნიურნბერგის საქმე კი სწორედ ის იყო, რაც მე ძალიან მინდოდა. მე თვითონ ვიზრუნე, რათა ეს დავალება ჩემთვის მოეცათ. ამისთვის ვიცდიდი აქ, ასე დიდხანს, თუმცა შემეძლო, შინ დავბრუნებულიყავი. ამ ბიჭებმა ნამდვილად დაიმსახურეს ჩამოხრჩობა. და მაინც... მინდა ამ ნაცისტებზე ვთქვა: ისინი მოკვდნენ მამაცურად. მხოლოდ ერთმა გამოამჟღავნა სისუსტე, ვერ აიარა ცამეტი საფეხური და მცველები მიეშველნენ... ყველას ამაყად ეჭირა თავი. უნდა გენახათ მათი სიძულვილი ჩვენდამი. ებრაელთმჭლეტი შტრაიხერი მომაჩერდა და თქვა: ერთხელაც იქნება და, ბოლშევიკები შენც ჩამოგახრჩობენო. მეც ჩავხედე მას თვალებში, ეს კი ახლაც არ მასვენებს... სიკვდილით დასჯაზე ბევრ რამეს ყვებიან. ყველაფერი კი ისევე ჩვეულებრივად კეთდება, როგორც სხვა რუტინა. 10 კაცი 103 წუთში — სწრაფი სამუშაოა. მხოლოდ ერთი მათგანი ინძრეოდა კიდევ ჩავარდნის შემდეგ. ეს იყო შტრაიხერი, „ჰაილ ჰიტლერო“, რომ ყვიროდა. თავზე ტო-

მარა რომ ჩამოვაცვი, მგონი, ზაუკელმაც დაიწყო ყვირილი: „ჰაილ ჰიტლერ!“ მე ყველა მათგანისთვის ახალ თოკსა და ახალ ტომარას ვხმარობდი. ყულფშიც მე ვაყოფინებდი თავს და თოკს ვუჭერდი, რომ მოშვებულად არ ყოფილიყო. მერე თოკები და ტომრები ცალკე დავაწყვეთ. რატომ? სუვენირების მოყვარულები 25.000 დოლარს იძლეოდნენ თითო თოკში...

რას ვფიქრობ ჩემს ხელობაზე? ვიღაცამ ხომ უნდა გააკეთოს ეს? მე მიხარია, რომ ნიურნბერგის საქმე დამთავრდა. რაც არ უნდა იყოს, ეს დიდ დაძაბულობას მოითხოვდა ჩემგან. მე ჯერ კიდევ აგვისტოში მითხრეს: შენ იქნები ის კაცი, რომელიც ამას შეასრულებსო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს საიდუმლოდ უნდა შემენახა...

როცა ვუდსს სთხოვეს, უფრო დაწვრილებით ეამბნა ზოგიერთი დეტალის შესახებ, მან უპასუხა:

— ერთმანეთის მიყოლებით ათი კაცის ჩამოხრჩობა ადვილი საქმე კი არ არის. ეს ისე სწრაფად ხდება, რომ... მე კი, ხომ იცით, ხელში თოკი მეჭირა და არა დღიურების რვეული...

ამბობენ, ეს ვუდსი 4 წლის შემდეგ, როგორც „კარგი სპეციალისტი“, ელექტროსკამის გამოსაცდელად მიიწვიესო.

...დასავლეთის პრესა კიდევ ერთხანს ხმაურობდა ამ ამბების გარშემო. იმის შემდეგ აგერ მეოთხედი საუკუნე გავიდა, ის ამბები ისტორიად იქცა და მინდა დავიჯერო, რომ. ყოველივე ეს მართლაც გუშინდელი დღეა, მაგრამ, ჰორაციუსის სიტყვებისა არ იყოს, — ისტორია ჩვენს თვალწინ მოქმედებს, მხოლოდ სახელებია შეცვლილი...

ალბათ, ამის გამოა, რომ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი ოფიციალურად დღემდე არ არის დაშლილი და ისევ განაგრძობს სიმბოლურ არსებობას. სამუდამო თუ სხვადასხვა ვადით პატიმრობამისჯილებიდან კი აი, ვის რა ბედი ეწია:

ნ ო ი რ ა ტ ი ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, 1954 წელს და ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

რ ე დ ერ ი 1955 წელს გაათავისუფლეს, გარდაიცვალა 1960 წელს.

 დ ე ნ ი ც მ ა თავისი 10 წელი მოიხადა და 1956 წელს გამოვიდა ციხიდან.

ფ უ ნ კ ი 1957 წელს ავად გახდა, გაათავისუფლეს და გარდაიცვალა 1960 წელს.

შ პ ე ე რ მ ა და შ ი რ ა ხ მ ა 20 — 20 წელი მოიხადეს.

ამჟამად, ბერლინის შპანდაუს ციხეში მთავარ სამხედრო დამნაშავეთაგან მხოლოდ ერთადერთი, სამუდამო პატიმრობამისჯილი რუდოლფს ჰესი ზის. მას ყოველდღიურად ოთხი გამარჯვებული სახელმწიფო უცვლის ყარაულს.

ამგვარი „საპატიო პატიმრობა“ დღემდე, მგონი, არც ერთ ბოროტმოქმედს არ ღირსებია...

მარადიული ცეცხლი...

საუბარს ისე შევყევი, რომ სულ დამავიწყდა შემეხსენებინა: თბილისში მე უფრო ადრე დავბრუნდი, ვიდრე პროცესი დამთავრდებოდა. როგორც იქნა, ნებართვა ავიღე—რამდენიმე დღით ბერლინში ჩავსულიყავი რაღაც საქმის მოსაგვარებლად. რაკი დარწმუნებული ვიყავი, რომ ორი-სამი დღის შემდეგ ისევ მოვბრუნდებოდი, არავის არ დავმშვიდობებივარ.

ასეა. ვინც რომანს წერს, ნაწარმოების ყველა გმირის თავგადასავალს რაღაც ლოგიკური დასასრული უნდა მოუძებნოს. მე კი ეს არ მევალება. ამიტომაც ვშორდები ასე უბრალოდ ჩემს ნაცნობებს: მე, წამოვედი, ისინი იქ დარჩნენ. მორჩა და გათავდა. სხვა არაფერი. არც მერე გამიგია რამე იმათ შესახებ, გარდა მარკოვისა, რომელსაც უკვე თბილისში შევხვდი:

— ცხოვრებამ საბოლოოდ დამაყენა თავის ხაზზე, — მითხრა მან, — ამჟამად „ინტურისტში“ ვმუშაობ და გერმანელ კოლეგებს დავყვები საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდო...

...ბერლინში უფროსებთან რომ გამოვცხადდი, მითხრეს, ახლავე გააფორმე საბუთები და ხვალვე შვებულებაში წადი, თორემ იაპონიაში გიპირებენ გაგზავნას მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პროცესზეო. ეს არცთუ ისე ცუდი პერსპექტივა იყო, მაგრამ ამდენი ხეტიალის შემდეგ შინ დაბრუნების სურვილმა ყველაფერი დაჩრდილა და მაშინვე კანცელარიას მივაშურე. აქ, ჩემთვის მოულოდნელად, ორ თანამემამულეს წავაწყდი: ი. დოლიძესა და ი. თავაძეს. ერთი ლონდონში მიდიოდა სამუშაოდ, მეორე—პარიზში, მე კი, როგორც იქნა, პირი თბილისისკენ ვიბრუნე. მეორე დღესვე თვითმფრინავით ჩამოვედი მოსკოვში და აეროდრომიდან პირდაპირ სადგურისკენ გავწიე მატარებლის ბილეთის ასაღებად. სალაროსთან უზარმაზარი რიგი იდგა. ჯიხურს ურიგოდაც ბევრი აწყდებოდა და იყო ერთი აყალმაყალი. საქმე უნუგეშოდ მეჩვენა, მაგრამ შევხედე და... სავლე წერეთელი! ძლივს ვიცანი. იგი ვითომ წესრიგს იცავდა სალაროსთან. ახლოს მივედი და...

— სვისტელნიკოვოს გაუმარჯოს! — შევძახე ძველებურად.

— გაუმარჯოს! — მომაძახა გახარებულმა და ერთმანეთს გადავეხვიეთ. მე გერმანიიდან მოვდიოდი, ის — იაპონიიდან და ასე შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. სავლემ, როგორც წესრიგის დამცველმა, ჩემთვისაც აიღო ბილეთი და ორივენი ერთად წამოვედით... იგი თავის თავგადასავალს მიამბობდა მატარებელში, მე კი ჩემსას. ფიქრი და გონება ორივეს წინ გაგვირბოდა... საქართველო... თბილისი... შინაურები... ნაცნობ-მეგობრები... მაგრამ არ იქნა და არ გათავდა ეს დასაქცევი გზა. მატარებელი ძლივს მიბობღავდა რუსეთის უშველებელ ტრამალებზე. რკინიგზის სადგურები ყველა დანგრეული იყო... მერე, როგორც იქნა, კავკასიას მივუახლოვდით... ბაქოში შევედით... ვიძინეთ... ვიძინეთ და, დილით რომ გავიღვიძეთ, თითქოს საქართველოს სიომ დაგვიბერა. ორივენი ფანჯარასთან მივვარდით და ცქერად ვიქეცით... მინდვრები...

მთები... გორაკები... და... ჯერ შავნაბადა... მერე მამადავითი... ფუნიკულიორის პლატო...

— გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო! — უნებურად აღმომხდა მე.

სავლემ დინჯად გაიღიმა და დაამთავრა:

— დაკარგული შენი შვილი მოვედი...

...ეჰ, სად არის ახლა ის სლოვაკი ექიმი, რომ საკადრისი პასუხი გასცეს კაცმა. „ბალანსი რა იქნება, ბალანსიო“, რომ ამბობდა.

რა იქნება და... გამარჯვების ზეიმი, შინ დაბრუნების სიტკბო, ოჯახისა და ფუძე-კარის გახარება, სიხარული და ბედნიერება, ფიქრი და ოცნება. აბა, მზის სიხალისეს რა გამოლევს ადამიანში! ყველა ასაკს ხომ თავისი სილამაზე აქვს, თავისი ბედნიერება და სიხარული: სათამაშოს უეცარი გატკაცუნება, სირბილი, გაუთავებელი სირბილი და მოზღვავებული ენერგიის უთავბოლო ფლანგვა. „ჰეი, ბიჭებო“-ს შეძახილი და მინდორში განავარდება, ჯოხის ბედაურებით ქროლვა, ხის ხმლების ტრიალი, თავმოკვეთილი დევები და ურჩხულები, ვითომ ბრძოლა, ვითომ გამარჯვება, ლელოს გატანა, კოჭის ალჩუზე დაჯდომა, ოცნებისა და სინამდვილის ორომტრიალი, კუპიდონის პირველი ისრები, სიყვარულით გაკაწრული გული, შეხვედრის სიხარული და განშორების სევდა... თვალჟუჟუნა გოგოების ქვეშ-ქვეშ შემოხედვა, „სასიყვარულოდ მოქნეული წელი“ და სასიამოვნო ჟრუანტელი ტანში...

ბალანსიო?! თქვე კაი კაცებო! თუნდაც იმ ჯოჯოხეთის გამოვლა, ტვირთის მოშორება, მწვანეზე ნებიერი გაშოტვა, გრილი ნიავის მოხვედრა შუბლზე, ზევით ცა და ქვევით დედამიწა, სიცოცხლის უსასრულო დინება, წასვლა და მოსვლა, დედის ხელის სითბო, მამის ამაყი შემოხედვა, ცოლის ერთგულება, შვილების კეთილდღეობა, შვილიშვილების ალერსი, გარეთ ავდარი, შიგნით ბუხრის ტკაცუნი, კარგი მეზობლობა, მეგობრობა, სიყვარული, შრომა, რაღაცის გაკეთება, რაღაცის მიკვლევა, ფორმის მიცემა, გამოხატვა, გამოძერწვა, გამარჯვება... ის, რასაც დიდი რგოლების მცირეში გაძვრენა ვუწოდეთ...

ასე რომ მიჰყვეს კაცი, სათქმელი არ გამოილევა, მით უმეტეს, თუ გალაკტიონივით ორი მილიონი თვალებით შეხედავ სამყაროს. ჩვენი ცხოვრებაც ასე უსაზღვროა და უსასრულო, დაბადების, არსებობისა და გარდაცვალების მისტერია. ყველაფრის საბოლოო აზრი კი სიცოცხლეა. ამაზე მაღალი ბუნებას არაფერი შეუქმნია. არც არაფერს აქვს აზრი სიცოცხლის გარეშე... ვაჟა ამბობს, რომ ბუნებაში ყველაფერი „სიცოცხლის განგრძობას“ ემსახურება. გაზაფხულის შინაგანი, „დაფარული აზრიც“ სიცოცხლის გაგრძელებაა. ამიტომ მისთვის სიცოცხლე და გაზაფხული სინონიმური ცნებებია. „უსიცოცხლოდ გაზაფხულს ვერ ვიგრძნობთ, ისე როგორც უგაზაფხულოდ სიცოცხლესო“. ვაჟას აზრით, ადამიანის სულსაც აქვს თავისი გაზაფხული, თუ იგი თავისუფალია და სიყვარულს არ არის მოკლებული...

...ჩვენც ასეთი სულის გაზაფხული გვედგა მაშინ, როცა ომიდან შინ გამარჯვებული ვბრუნდებოდით. ნეტავი თუ რამე შეედრება ამ გრძნობას! მაგრამ ვაი, რომ ყველამ ვერ განიცადა ეს. ვერ მოესწრო ცაში აფრენილი მშვიდობის მტრედების ნავარდს. მერედა, რა თმაქოჩორა ბიჭები დარჩნენ იქ! რამდენ დედას ჩაუწყალდა თვალი მათ მოლოდინში, რამდენი ქვრივი დარჩა მხარ-მარტო, რამდენ პატარას არ განუცდია ომიდან ოფლისა და თუთუნის სუნით გაჟღენთილი მაზარით დაბრუნებული მამის ალერსი...

მოწიწებული თავის დახრა, ღრმა სინანული და წყაროებად ქცეული ცრემლები იქნება მათი სამარადისო სახსოვარი, რამეთუ, „როცა მოიწია ჟამი, რაჲთა იდიდოს ძე კაცისაჲ“, მათ თავი დასდეს მამულისათვის...

ესპინძის ომის დროს ერეკლე მეფეს უთქვამს, „დადგა სიკვდილის ლხინიო“. აკი ვაჟაც ბრძანებს:

ღმერთიმც გიშველის, სიკვდილო,
სიცოცხლე მშვენობს შენითა.

მართლაც! შინმოუსვლელთა გმირული სიკვდილითაც „მშვენობს“ ჩვენი სიცოცხლე. ნათქვამია:

— უკუეთუ არა მარცუალი იფქლისაჲ დავარდეს ქვეყანასა და არა მოკუდეს, იგი მარტოი ეგოს; ხოლო უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს...

ეს კი ასეა, მაგრამ მაინც შინ გამარჯვებით დაბრუნების სიხარულია იმ საშინელი ამბების გვირგვინი. მილიონებთან ერთად ეს სიხარული მეც განმიცდია და ვიცი მისი ძალა...

...თბილისის სადგურზე მე და სავლე ისე უცებ და ისე ცივად დავშორდით ერთმანეთს, თითქოს გზაში შემთხვევით გაცნობილი მგზავრები ვყოფილიყავით. აბა, რა იქნებოდა, როცა ორივეს გულში შინდაბრუნების ტკბილი მოლოდინი მღეროდა. ეს ლექსიც, ალბათ, ამიტომ ამოფრინდა გულიდან:

ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო;
დაბრუნება და... ა. შ.

ეჰ, ცხენისა რა მოგახსენოთ და, სხვა კი მართლაც ასე იყო! ამიტომაც მოჰყვა ერთ სიმღერას მეორე:

აქედანა და შენამდე,
ვარდი მასხია ყელამდე...

მერე ის „ვარდების გზაც“ დაილია და ეზოს ჭიშკარი შეეღო. შინ არავინ მელოდა. ჯერ ნიურნბერგიდან დაბერლინიდან, მერე კი მოსკოვიდან ისე სწრაფად წამოვედი, რომ წინასწარ არავითარი ცნობა არ გამომიგზავნია...

...დილის რიჟრაჟი იდგა. დედაჩემი ისევ იმ აივნის სვეტზე იყო მიყრდნობილი და ელოდა რაღაც გაურკვეველს. შემომხედა თუ არა, მოულოდნელობისაგან გაქვავდა. მე მკლავებით ვიგრძენი, თუ როგორ თრთოდა მისი სხეული...

მერე ფანჯარა გაიღო და ჩემი ცხოვრების ერთგულმა თანამგზავრმა გამოიხედა... უეცარი ელდა... წყალი... ცრემლები...

სიხარულის ცრემლები!..

იმ ხმაურზე ბავშვებსაც გამოეღვიძათ. უფროსი კისერზე შემომაფრინდა, უმცროსი მაგიდის ქვეშ შეძვრა და იქიდან მიყურებდა შეშინებული.

შემდეგ ძმაც ძმურად გადამეხვია და დანარჩენი რაც იქნებოდა, ისედაც ადვილი წარმოსადგენია...

მზე და ვარსკვლავები...

ნაშუადღევს გულმა არ მომითმინა და უნივერსიტეტისაკენ გავწიე. მისი თეთრი კედლები ჯერ კიდევ შავად იყო შეღებილი. ერთხანს ნაცნობი ჭადრების ქვეშ გავჩერდი. აქ იყო, ომის პირველ წელს საკუთარ თავს რომ დავშორდი და გარემოებით ნაკარნახევ „ხაზს“ გავყევი. ახლა კი ისევ შევხვდით ერთმანეთს: ის, ვინც წავიდა და ვინც დაბრუნდა. შეიძლება ეს ორივე მე თვითონ ვიყო ან სხვა ვინმე, მაგრამ რას გაიგებ, იმ ორს შორის ვინ რომელია! რემბომ თქვა, „მე არის სხვაო“, გალაკტიონი თავის „მეორე მეს“ ხედავდა. მერე იმ მეორესთან „ვიღაც მესამე“ გაჩნდა და ისევ ის „ერთსახიერი სამება“ გამოვიდა, რასაც, შესაძლოა, „ჩვენ თვითონ“ ეწოდოს, თუმცა ისიც ძნელი გასაგებია, ამ „ჩვენში“ რომელია „მე თვითონ“. რილკემაც ამიტომ ჰკითხა თავის ორივეს: Wer von uns beide, bist du jetzt?—ჩვენ ორთაგან რომელი ხარ ახლა შენ?

ასეთი კითხვა მეც დამებადა, მაგრამ აბა, რა ვიცი, რომელი ვარ: მე, ჩემი „მეორე“ თუ ვიღაც მესამე, ან სულ სხვა ვინმე. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს! ვინც არ უნდა ვიყოთ, დედამიწა მაინც ბრუნავს. ჩვენც მასთან ერთად და...

ამდენი ხეტიალის შემდეგ ისევ ამ მეშვიდე სართულის

თივანზე ვზივარ, წინ ომისდროინდელი დღიურები და დოკუ-შენტები მიდევს. აქვე უამრავი ფოტოსურათია გაშლილი. ამ სურათებიდან ახალგაზრდა ოფიცრის „უცხო რამ სახე“ მომ-ჩერებია, იმდენად უცხო, რომ მგონია, მართლაც სხვა იყოს. ის გულკეთილად მიღიმის და რაღაცას მომაგონებს...

ამასობაში ღამის სიჩუმე ნელ-ნელა იფანტება, შორიდან თითქოს ზარბაზნების გრიალი და თვითმფრინავების გაბმუ-ლი გუგუნი მესმის. სადღაც ტანკებიც ჩაივლიან და მათი მუხ-ლუხების შემზარავი ხრჭიალი აშფოთებს მშვიდად მიძინებულ ქვეყანას...

...ფიქრებიდან ვერკვევი და მოჯადოებული ვუყურებ თბი-ლისის შემოგარენს. მარცხნივ ისევ ის შავნაბადაა, მერე კრწა-ნისი და ნარიყალა, პირდაპირ — მთაწმინდა, მარჯვნივ — თრიალეთის მთების კალთები... მთვარეც ისევ ისე ფეხშიშვე-ლი მოდის ცის შუაგულისკენ. მხოლოდ ისაა, რომ მის გაფი-თრებულ სახეზე უკვე ადამიანის ნაკვალევს ვამჩნევ. ასე მეჩ-ვენება, თითქოს იქ ახლაც დადის ვიღაც და ჩვენ გვიყურებს... მერედა, რა მშვენიერი ჩანს, თურმე, ჩვენი ცისფერი პლანეტა იქიდან! ვინ იცის, იქნებ სხვა პლანეტებიდანაც გვიყურებენ და ტკბებიან ამ საოცარი სილამაზით. ეცოდინებათ კი იმათ, თუ ზოგჯერ რა საშინელება ტრიალებს ჩვენს გაწამებულ პლა-ნეტაზე? იმასაც ვფიქრობ: თუ ყველა პლანეტას შორის სი-ცოცხლე მხოლოდ ჩვენთანაა — რატომ უფრო არ უფრთხილ-დებიან მას! ან თუ ცოცხალი არსებანი სხვაგანაც არიან, რა-ტომ არ რცხვენიათ იმათი, როცა ასეთ საშინელ ამბებს სჩა-დიან. რატომ აცმევენ დედამიწას სისხლის პერანგს ან ძაძებით რატომ მოსავენ მას? ამ უსასრულო სამყაროში ის ხომ ისე პატარაა, ისე ლამაზი, როგორც მიხეილ მამულაშვილის ბაღ-ში ყელმოღერებული პირიმზე. მერედა, როგორ უყვარს სი-ცოცხლე, სინათლე, სილამაზე. თვითონაც სულ მზის გარშემო ტრიალებს, მზის სხივებში ნებივრობს და მზესავით აფრქვევს სითბოსა და სინათლეს...

აი, ახლაც, მთვარე სადაცაა თავის გზას დაამთავრებს, ცის ჰორიზონტს ალისფერი ჰოედება, მერე დიდებული მზეც ამო-

ბრწყინდება და... ჩემი პატარა გიორგი გაახელს თვალებს. მე მას ხელში ავიტაცებ, მზისკენ ავწევ და ვუსურვებ ყველას, ვინც მასთან ერთად ან მის შემდეგ დაიბადა, არასოდეს ენახოთ და განეცადოთ ის, რაც მე ვნახე და განვიცადე. დეეს ყველამ იცხოვროს

„იმ სიყვარულით,
რაც აბრუნებს
მზეს და
ვარსკვლავებს...“

სარჩევი

ვაჰ, სოფელო 3
სტიქსის ჭაობი 9
აღლუმი დერეფანში 14
საკუთარი მზე 21
უმიზეზო სევდა 23
სიზმრების წელი 27
შაშვი და შროშანი 30
ღამის სიცილი 34
ცრემლის ჩრდილი 39
იარებოდა დედაი 40
Nutrimentum spiritus 43
განსვენების ტრედი 45
ღვთის ხელი 48
ბედნიერი ვარსკვლავი 54
შემაძრწუნებლად სხვა 58
საუბარი მასთან 60
ჯოჯოხეთის სამოთხე 66
მეცხრე გარსი 75
ლილი მარლენი 77
Vae Victis 80
უვარსკვლავებო არაფერი 82
ესე არს სასჯელი 86
მექანიკური ევა 90
ბრუნჰილდეს ქამარი 94
ჩვენ და შენ 100
კიანფა დონატოს ალბომი 107
სამი იპოსტასი 116
ხორცქმნაჲ სიტყუისაჲ 121
სულიერი სასაფლაო 124
შხამიანი ნექტარი 126

დე სანტოსის წყევლა 131
მშვიდი ჰეშმარიტება 134
სხვა გერმანია 139
ვიდრე მიქცევამდე 144
მესამე ადამიანი 148
გერმანული მზე 151
ქარის ჩრდილი 153
ქერათმიანი ღმერთები 156
Imperium sacri 162
იდეის სახე 170
სისხლის მითოსი 174
მარადიული მოგზაური 178
ღვათებრივი ვაალპოლი 182
საკუთარი მშვენიერება 185
ნაოცნებარი ოცნება 191
სამი ისარი 194
ცივი სითბო 197
პირველი ტალღა 200
წიგნი და მახვილი 204
დარბეული პარნასი 207
ეშმაკის ბორბალი 210
ვალპურგის ღამე 213
ხელები ზევით! 217
აერო მხატვრობა 221
ცოდვის ტრიალი 223
გრძელტარიანი კოვზი 231
ხმამაღალი სიცარიელე 233
ეფრეიტორი ქრისტე 235
ხიბრძნის ქვა 240
შეოთხე სხვა 244
ნემეზიდას მახვილი 248
შეხვედრა აგენტენდორფში 252
ხმა კალიფორნიიდან 264
ქეკლუცი ნომერი 268
უენო საუბარი 271
საიქიოს დამცდარი 275
ეშმაკის ყელი 283
პირველი შეხვედრა 288
დარცხვენილი ჰერკულესი 292
ამორძალების ბუნაგი 295
აუერბახის სარდაფი 296

თეთრი ნიაღვარი 300
გაბზარული ღიმილი 305
ორმაგი გამარჯვება 308
შეტყველი ეკრანი 312
დამხობილი დიდება 316
ყალბი ეტიკეტი 321
ჰეროდეს ასული 323
იეზიკიელის გოდება 328
ამინ უნივერსუმისა 331
უფალი უფლებაჲ 336
ბოთლების მტვრევა 341
ვილა „ალავერდი“ 348
დიუერერის გოდება 349
მეხუთე ბორბალი 353
ზარბაზანი „ბერტა“ 360
მონსდორფელი მოაგარაკენი 365
ეშმაკის მსახურნი 370
დრაკონის კბილები 375
ენდრიუსის ზოოპარკი 379
საყდარი დასაწყისისაჲ 386
ორსახოვანი იანუსი 391
ცოცხალი ნედლეული 394
გადაწყვეტილი საკითხი 398
სატანის მოძღვარი 402
თვითმმსახურება 406
უკაჲნაჲსკნელი კაცისაჲ 410
კარმენსიტა 414
რაღაც საიდუმლო 418
შაოსანი ვენერა 420
ჩინებული ხასიათი 423
ერთი მუჭა სამოთხე 426
მიცვალებული მზე 429
სატურნიული ღამე 435
შეხვედრა ვაგონ-სალონში 438
ქართული სადღეგრძელო 444
მოგონილი სინამდვილე 447
გვარდიელი გენერალი 450
ცოცხალი ჩონჩხი 462
ცხედრის კვირტები 467
ავიგეას ვიწრო კაბა 471
წინაპრები და შთამომავლები 479
სხვისი სხვა 482

გონების კოეფიციენტი 489
მეოცნებე ნიამორები 491
მარადისობის გზა 498
ნაბუქოდონოსორი 501
დაკარგული სამოთხე 505
პირველი ზარი 507
არიადნას ძაფი 515
დამოკლეს მახვილი 522
Advocatus diabolis 526
დაცვის დაცვა 529
გერინგის ინტერვიუ 534
ფანტასტიკური სიკვდილი 538
ძაღლის მძორი 542
მეკობრეები და მზარეულები 544
გენერალური რეპეტიცია 548
დღე პირველი 552
უდანაშაულო დამნაშავენი 558
გონების ხარკი 561
აქილევსის ქუსლი 564
პირველშობილი ცოდვა 568
ხმა ცნობიერი 574
გონების დანაშაული 578
ლეღვის ფოთოლი 584
შიში უფლისაჲ 591
სველი ენა 594
ფაიფურის ოცნება 598
ებერჰარდის აღსარება 604
მეცხრე ტალღა 615
ღია კარების გასაღები 620
ჩივიტელოს ტრაგედია 623
მოულოდნელი გამოცხადება 630
ლაქები მუნდირზე 632
დაშლილი ოცეული 635
ჯოჯოხეთის აჩრდილები 640
შეცდომების გასწორება 642

ბავშვების წარმოება 647
ჰიპოკრატეს ცრემლები 650
დაბადებამდე დახვრეტილი 655
ესთეტიკური წამება 658
ნიაფი სიკვდილი 660
მკვლელობის ფანტაზია 663
გვამების კუბატურა 666
საქმეთაებრ მათთასა 669
სიცოცხლის ფასი 672
ჟენჭების წუწნა 675
ედემის ბაღი 684
ბეღურების დაბრუნება 686
საპნის კულტურა 693
გაწბილებული პიგმალიონი 697
მეეზოვე ფელდმარშლები 703
ხანგრძლივი სიკვდილი 707
მეორე მხარე 711
უარესის მოლოდინი 716
კრისტალის ღამე 721
დათვის ტყავი 724
კბილის მატლი 725
ფელდმარშალი ფოსტალიონი 730
მაგიური ცამეტი 736
არ გათეთრდება 739
ატმანის ნაპერწკალი 742
ზებერი ბავშვი 748
მოლიპულ გზაზე 753
უადგილო სიცილი 759
ცრუ მოციქული 762
უმისამართო სიმართლე 765
უცოდველი კრავი 742
ცხოველები და ადამიანები 773
ნაგვიანევი სინანული 782
ერთთავიანი ურჩხული 785
ვიღაც სხვა 789

ჯოჯოხეთის ხიდი 793
ერთსახიერი სამება 797
მეორე სიკვდილი 799
სიღრმენი ეშმაკისანი 802
ირიდას ნაკვალევი 808
საბედისწერო ზარი 814
ნემეზიდას მახვილი 821
ჯალათის კერძი 825
მარადიული ცეცხლი 833
მზე და ვარსკვლავები 838

რედაქტორი ზ. აბესაძე
მხატვარი თ. გოცაძე
მხატვრული რედაქტორი გ. წერეთელი
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ე. ქვანია
გამომშვები ა. სააკაძე

გადაეცა წარმოებას 20/XII-72 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/V-74 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 3, 84×108 1/32
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 44,52
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 38,25
უე 08483. ტირაჟი 20000. შეკვ. № 370

ფასი 1 მან 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქ. მეც. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის 19;
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19